აკაკი თოფურია

სინდისის ღმერთების ბარიკადებზე

(სამ ნაწილად)

გამომცემლობა „მერანი"
თბილისი 1996

საერთაშორისო ფონდი — „იტალიის მეგობრები საქართველოში“ სერიალი „ცნება და სინამდვილე“
წიგნი მეოთხე

რედაქტორი ელიზბარ უბილავა

84 ГР.—4
894.631—94
თ. 775



მოკლე ცნობარი

აკაკი სარდიონის ძე თოფურია დაიბადა 1916 წლის 14 მარტს სენაკის რაიონის ზემოჭალადიდის თემის სოფელ სირიაჩქონში, დარიბი მრავალშვილიანი გლეხის ოჯახში. „ოდესღაც ლამაზი და დიდი სოფლის სუნთქვა და სიწმინდე მომუვებოდა დღემდის. ის იყო უტყვი მრჩეველი, უჩინარი თანამგზავრი და უხილავი მასწავლებელი ჩემი ცხოვრების ყოველსა ჟამსა შინა“. — გვაუწყებს თავის მემუარულ-პუბლიცისტური თხზულების შესავალშივე წიგნის ავტორი. მიზნისკენ დაუინებითი ლტოლვის, გამუდმებითი თვითძიების შედეგად ამ სოფლიდან იქცა იგი გამოჩენილ მეცნიერად, მწერლად, საზოგადო მოღვაწედ.

ფილოლოგიის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ლიტერატურისმცოდნეობისა და კრიტიკის განხრით, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული კურსის ფუძემდებელი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დამაარსებელი და მისი უცვლელი გამგე 1978—1989 წლებში (ცოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს იყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს და სახელმძღვანელოებისათვის გრიფების მიმნიჭებელი ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო-მეთოდური სექციის თავმჯდომარე, ამავე ხნის მანძილზე ითვლებოდა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭოს წევრად და ოპონირება უხდებოდა შესაბამისი ორი ინდექსით), ი. გოგებაშვილისა და ი. ჯავახიშვილის სახელობის მედლების კავალერი, ი. გოგებაშვილის სახელობის და უმაღლესი განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემიების ლაურეატი, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, დიდი სამამულო ომის საბრძოლო მედლებითა და ორდენით დაჯილდოებული, თაობათა უმწიკვლო აღმზრდელი, ფოთის საპატიო მოქალაქე. — ასეთია ა. ხ. თოფურიას ძირითადი დამამშვენებელი ნიშნები.

მთელ მის სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ბიოგრაფიაში „სინდისის ღმერთების ბარიკადებზე“ განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაწარმოებია. იგი დამაგვირგვინებელი სილამაზით ამკობს აკაკი თოფურიას დაბადების ოთხმოცი წლისთავის საიუბილეო თარიღს, რომელსაც ჰეშმარიტად ღვაწლმოსილი, ღირსეული ადამიანი ეგებება სრულიად ახალ ამპლუაში — მემუარისტისა და პუბლიცისტის აღიარებული, პატივსაცემი სახელით.

ცნობილი მკვლევარის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ა. ს. თოფურიას წინამდებარე წიგნი შედგება სამი ნაწილისგან: „იყო ასეთი სოფელი", „იყო ცხოვრების ასეთი გზებიც", „კათარზისი". იგი მთლიანი სახით პირველად ქვეყნდება შეზღუდული ტირაჟით. ცალკე დაბეჭდილი ზოგიერთი მონაკვეთის საზოგადოებრივმა აპრობაციამ დიდი აღიარება პპოვა, რამაც დააჩქარა კიდეც დუხჭირ პირობებში ეს გამოცემა.

წიგნი დაიწერა და გამოსაცემად მომზადდა ქვეყნად დატრიალებული ჭარტეხილების კვალდაკვალ (1988—1992) და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოიცავს ავტორის მიერ 1921 წლიდან განვლილი ცხოვრების ვრცელ პანორამას მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ყოფითი ასპექტებით, შტრიხებითა და ეპიზოდებით.

მემუარულ-პუბლიცისტური ჟანრის ერთმანეთთან ორგანულად შერწყმისა და დოკუმენტური პროზის კლასიკური ტრადიციების მომარჯვების საფუძველზე ავტორი გვევლინება სამოცდაათწლიანი ეპოქის პერიოდიზაციის არა მხოლოდ პიონერად, თვით ეპოქის ობიექტურ მემატიანედ, უკომპრომისო ანალიტიკოსად და მიუკერძოებელ შემფასებლად, არამედ ნათელი გონების გამჭრიახ მოაზროვნედაც. წიგნში იგი გაბედულად აუალიბებს შეხედულებათა მწყობრ სისტემას, რომელსაც თამამად შეიძლება გარდატეხის პერიოდის საყოველთაო ზნეობრივი თვითგანწმენდის ახლებური მოძღვრება ეწოდოს.

შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ მოაზროვნე-პუბლიცისტის ზოგიერთ თვალსაზრისსა და ინტერპრეტაციებს, განსაკუთრებით მესამე ნაწილში, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ეს წიგნი შექმნილია მამულიშვილური ღრმა გრძნობით განმსჭვალული, პრინციპულობით, თავმდაბლობით და შინაგანი სისპეტაკით გამორჩეული, უაღრესად გულმართალი, ბევრის მომსწრე ერუდირებული სწავლულის მიერ წინაპართა ნაკვალევის სწორად შეცნობის გზაზე კეთილი მეგზურობის გასაწევად.

ამ გაგებით, თანამედროვეობასთან, კერძოთ, კულტურისა და განათლების დარგის მასობრივ მკითხველებთან, პოლიტოლოგებთან, თეოლოგებთან ერთად, იგი განკუთვნილია მომავალი თაობებისათვის, როგორც შთამომავლობისადმი მიძღვნილი სიმბოლური საჩუქარი, მისდამი ერთგვარ საოჯახო ხულიერ რელიკვიად გამიზნული მეტად საინტერესო მემუარული ტრილოგია.

შეუნახეთ თქვენს შვილებს, შვილიშვილებს... მადლიერებით მოგიხსენიებენ ლამაზი ჩანაფიქრისათვის.

გაინძერ მადონა, შენშია ჩემი სული.

პიგმალიონი

აშრიალდი წიგნო, შენში განფენილი ჩემი სულიერების ავლა-დიდება მარტო შენ არ გეკუთვნის.

ავტორი

დიდი ინტერესით და ყურადღებით წავიკითხე აკაკი თოფურიას „სინდისის ღმერთების ბარიკადებზე“. ერთგან შექსპირი მიუთითებს, დროთა კავშირი დაირღვაო. დიახ, ჩვენში დღეს დროთა კავშირი მოიშალა და ეგ წიგნი გვიჩვენებს სიმართლეს წარსულ დროსა და საქმიანობაზე, რითაც დროთა კავშირის აღდგენას ლამობს.

ვახტანგ ტაბლიაშვილი

(„ლიტერატურული საქართველო“,
1996, № 3, 19 იანვარი)

იყო ასეთი სოფელი

ხანდაზმულობის „აივნიდან" ნეტარებით დავცქერით ჩვენი ბავშვობის უკნობ უკვავილებს, მათი ხურნელებით ვტკბებით და მათივე ნუგეშით ვაგრძელებთ სიცოცხლეს.

წყვდიადსა და უფსკრულებში აბურდულ-დაბურდული, კოშმარული სიზმრები რომ არ მომძალებოდა... შიშველი ფეხებით და უძარღვო ხელებით ხან ციცაბო კლდეებს ეპოტინები, ხან ფლატედან მომწყდარი მიექანები დაღმა და, აჰა, უნდა შთაინთქა... სიმაღლეზე აჭრის, ხის წვერიდან აფრენის არც ერთი გაელვება, სიხარულით და იმედებით რომ გავსებდა ახალგაზრდობაში!..

ფიქრებიც დაუძლურდნენ თითქოს, ჰირვეულები გახდნენ, ადგილს ვერ პოულობენ, დაეხეტებიან უმიზნოდ და უგზო-უკვლოდ დროსა და სივრცეში და წამდაუწუმ იმ პირველ საწყის კუნჭულს მახსენებენ, საიდანაც ურმის გარდა არავითარი სხვა ტრანსპორტი არასოდეს დაძრულა. ერთბორბლიანი ან ორბორბლიანი გორგოლა კი არა, იმასაც ურემს ეძახიან ზოგან, ნამდვილი, ორმოცი ფუთი სიმინდი და ერთი საჟენი შეშა რომ დაეტეოდა. ჯიშიანი ხარები ან ზორზოხა კამეჩები რომ ეზიდებოდნენ.

ნავთი და ჰრაქი, მარილი და ხელის წისქვილი, მჭადი და ლობიო, — აი, ძირითადი სარჩო და საბადებელი. ქალაქებს ყოველის მხრით მოწყვეტილი სოფელი თავისი შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობით, და მაინც საოცრად მდიდარი!.. სულით, სიდარბაისლით, ერთმანეთის მეზობლობით, გამტანიანობით, ერთგულებითა და სიყვარულით.

აი, იქითკენ გამირბის ბოლო ხანებში დაუდეგარი, პეპელასავით მოფარფატე ოცნება. მეხსიერებას შემორჩა იმ დუხჭირი, პრიმიტიული დროის ამბები. ზოგი მათგანი მოჰიხვინე ცხენივით ამეტუზება ფიქრების ფარდების წინ, მორიდებით, მორცხვად შემომხედავს და ნაღვლიანად შემომჩივლებს: — ნუ დამკარგავ, ნუ გამიყოლიებ შე-

ნი ხვედრი აღსასრულის კიდობნით ჟამთმოუსვლელობის უნაპირო ზღვისკენო.

მორიდება! სიმორცხვე! ადამიანურობის გამქრალი, დამამშვენებელი ფერიები.

ადამიანი! სინდისი! ნამუსი!

რა ამაყად ჟღერდა, რა მოწიწებით გაისმოდა ეს სიტყვები წინათ! რა ძვირად ფასობდა!.. მიზეზთა ძიებისას ოთხი ობიექტელიდან ერთნაირი შინაარსის ოთხი პასუხი აღიმართება ყოველი თქვენგანის წინაშე: დაეცა, დაკნინდა, გაითელა, გაისრისა. ვის მიერ? კონკრეტულად? კერძოდ? დამნაშავეა ყველანი და — არავინ. და ასე — ზოგადობის სამოსელში იფარებოდა და იფარება ინდივიდუმების უცნაური „კრედო“, სოფისტიკაში კი — დეგრადირებული პიროვნება თავისი იდუმალი ნიღბებით.

აწმყო მაინც იმედებით ცოცხლობს. მხოლოდ მას გააჩნია ორი სარკმელი: ერთი წარსულისკენ მზირალი, მეორე — მომავლისკენ. მათ შორის კავშირი ყოველთვის არსებობდა, არსებობს დღესაც, მაგრამ არა წინანდებურად — მჭიდრო და ურღვევი.

ასეთ დროს, ოპტიმიზმის გასაძლიერებლად და წინსვლის დაჩქარებისათვის, წინაპართა სახელოვან აჩრდილებს იხმობენ ხოლმე. ამ მხრივ „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. ყველას საკუთარი „კარმიდამო“, საკუთარი „მთა და ბარი“ აქვს მიზომილი და მიკუთვნებული. მათ შორის მეც, თქვენს უმორჩილეს „მსახურს“ და „ქვეშევრდომს“.

წინასწარ შეგთხოვთ პატიებას თუ თქვენს ინტელიგენტურად განებივრებულ გემოვნებას ვერ შეწვდება მოგონებათა ჩემი ეს უწყინარი ფრაგმენტები მიყრუებული სოფლის წურბლებით საცსე ჭალატბორებიდან, ცხოვრების განვლილი გზიდან. დავიბადე და გავიზარდე არა პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ცნობილი მოღვაწის წიგნებით სავსე ოჯახში, როგორც ერთადერთი პირმშო, არამედ ღარიბი, წერა-კითხვის უცოდინარი მრავალშვილიანი დედ-მამის ისლით დახურულ ქოხში. გახსოვთ, ალბათ, „ისლის სახლი... ისლის სახლი... ქარი, ქარი, ქარი“.

და მაინც მშურს ჩემი ბედის იმიტომ, რომ და-ძმათა მრავალობამ ისე განატოტა ჩვენი ოჯახის გენეალოგიური ხის შტოები, მშობლებიდან დაწყებული შთამომავალთა სრული სია ახლა ასამდე აღწევს. ეს საქართველოს მწირი დემოგრაფიისათვის არც ისე ფარატი-

ნა მაგალითია. მეტადრე უფრო კიდევ იმიტომ ბშურს ჩემი ბედის, რომ ოდესღაც ლამაზი და დიდი სოფლის სუნთქვა და სიწმინდე მომყვებოდა დღემდის. ის იყო უტყვი მრჩეველი, უჩინარი თანამგზავრი და უხილავი მასწავლებელი ჩემი ცხოვრების ყოველსა ჟამსა შინა.

აბა, როგორ არ ავწიო მისი სახელი მაღლა, ისე მაღლა, რომ ეკის კირქვეოვან მთას მაინც გაუსწორდეს, სენაკის გორაკთა ჟანგისფერ მწვერვალს, რომელიც გაზაფხულის ერთ მზიან ამინდში დავინახე ჩემი ბავშვობის აყვავებული ვაშლის ხიდან.

ამის საფუძველს ორი საგულისხმო ფაქტი თუ გარემოება მაძლევს: პირველი, კავკასიის მთავარმართებლის მრავალეობის შემსრულებელი გრიგოლ ორბელიანი 1861 წელს თან მოაცილებდა ხელმწიფე-იმპერატორ ალექსანდრეს ყუბანიდან ფოთამდე და ფოთიდან ორპირამდე გემით, მერე კი ქუთაისამდე ეტლით მგზავრობის დროს. მოგზაურობისა და ჭალადიდის ტყის მიდამოებში ნადირობის ეპიზოდების აღწერისას ერთგან პოეტი გარკვევით მიუთითებს, რომ იმპერატორმა გზად ნახა „სირიაჩქონის ეკლესია და დიდად გაკვირვებული იყო, რომ ამ სიმშვენიერე ბუნების საშუალ ასეთი ღარიბი ეკლესია იპოვება". მეორე, ადრე გარდაცვლილი მწერლის ოთარ კუპრავას რომანს ეწოდება „სირიაჩქონის ტყის სიზმარი". ამით პირდაპირ არის მინიშნებული მის რომანტიკულ ელფერზე. ეს ტყე მძარცველი ყაჩაღების საფარი კი არ იყო, 1921 წლის თებერვლის ბოლოს აქ იმალებოდა აბაშის არალეგალური ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლეგენდარული ლიდერი გოგონა, ვერა კიზირია, რომლის ხამოკლე ტრაგიკული ცხოვრების ასახვას ეძღვნება ნაწარმოები. იგი მთავრდება მთავარი პერსონაჟის სადიდებელი სიტყვებით: „სირიაჩქონს მიაბარა თავისი ცხოვრების ერთადერთი ულამაზესი სიზმარი და ტყიდან გამოვიდა".

სირი ჩიტის სახელია მათეს სახარების მიხედვით, როგორც ამას კურთხეული სულხან-საბა ორბელიანი გვიმოწმებს თავის ქართულ ლექსიკონში, ჩქონი კი დაბალი ნაშე ანუ დაბალი წვლილი ტყე წყალთა შუა (იმავე საბას მიხედვით). ნარიონალი ქვეშნარი ნაპირი ჩქონად იწოდება ახლაც. სირი-ა-ჩქონი-ს ტოპონიმი (ჩიტო, აგერ ჩქონი), ჩემი ვარაუდით, ამ ორი ცნებისგან უნდა წარმოსდგებოდეს და უძველესი წარმოშობით, ალბათ, ჩიტების საგალობელ ჭალას წარმოადგენდა. ესეც დამატებით ინტერესს უნდა იწვევდეს.

აი, ასეთი საბუთებით შეიარაღებულს, ვგონებ, მაქვს უფლება აქამდე დამწყვდეული საკუთრივ ნანახის, გაგონილის და განცდილის გამოსაჩენად ერთგვარი სიამაყით განვაცხადო: დავიბადე მეფენამყოფ სირიაჩქონის ეკლესიასთან და განთქმული კოლხური ტყეების ახლოს, სოფლის შუაგულში. მეტრიკული ჩანაწერის გადაკეთება თემსაბჭოს კანცელარიაში მოუხდენიათ 1930 წელს, როცა სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში შესასვლელად საჭირო იყო 14 წლის ასაკი. ამ დროიდან პასპორტით დაბადების თარიღად 1917 წლის 14 მარტის ნაცვლად ყველგან 1916 წლის 14 მარტია გატარებული და ოფიციალურად ცხოვრების ბიოგრაფიაც აქედან მეწყება.

ჩვენი პირველი საცხოვრებელი ადგილი სასოფლო გზის მარცხენა მხარეს თავიდანვე ჭონჭყო და ნესტიანი უნდა ყოფილიყო, რადგან ჭიშკრის ირგვლივ, მახსოვს, წყალი ყოველთვის იდგა. კუნძიდან კუნძზე კალიასავით ხტომახტომით უნდა შესულიყავი ეზოში. ბინად ქოხი გვქონდა. იგი ეზოს ზემო ნაწილში, საქონლის სადგომის გვერდითა წინა მხარეს დაბალ ბოკონებზე იდგა, უკანა კედლით კი მიწას ებჯინებოდა. ამიტომ ოთახის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო იატაკდაგებული. იგი საძინებლად ითვლებოდა. მეორე კი — სამზადად.

საყანე და საბოსტნე ქოხს ეკვროდა. ღობის გაღმა საბალახო მინდორი იყო. ცოტა მოშორებით რიონი მიედინებოდა. საითკენ, რა მხარესა და ქვეყნისკენ, მაშინ ჩემთვის სრულიად უცნობი და გაუგებარი იყო. მეზობლად არავინ სახლობდა. ადრე კი მამის ბიძაშვილი — მელიტონი ყოფილა დასახლებული. 1911 წლის დიდი თოვლობის და დიდი წყალდიდობის დროს ღამით უეცრად მოვარდნილ ნიაღვარს მისი მცირეწლოვანი ბავშვი სამზადიდან აკვნიანად გაუტაცნია ტყისკენ და ამის შემდეგ გზის მარჯვენა მხარეს გადასულა საცხოვრებლად. ნასახლარზე სიმინდს თესდა და ყანაზე გავლით დედას ხშირად მივყვებოდი მელიტონის სახლში.

მამა — სარდიონ ბიტუს ძე თოფურია წარმოშობით აბაშიდან იყო, სოფელ მანცხვარკარიდან (ახლანდელი განათლების კარი). იგი 1891 წელს დაბადებულა (გარდაიცვალა 1953 წელს). უღარიბესი გლეხის შვილს სკოლა საერთოდ არ ენახა. პატარაობიდანვე მძიმე ფიზიკური შრომა დაუწყია და აბაშელებთან ერთად ჩამოდიოდა თურმე სირიაჩქონში ტყიდან შეშის გასაზიდად. აქ გაუცვნია აქაური მკვიდრის იოსებ ცომაიას ქალიშვილი, რომელსაც სამი ძმა ჰყავდა. თვრამეტი წლის ყმაწვილს ცოლად შეურთავს იგი. დედის მშობ-

ლების და ძმების დახმარებით სრულიად უსახლკარო მამაჩემისათვის სამოსახლოდ შეუსყიდიათ სწორედ ისეთი ადგილი, რომელიც მათთან ახლოს იქნებოდა.

და მართლაც, ჩვენი ქოხიდან გერასიმე ბიძიას ოდა სახლი და ჰიშკართან მიდგმული დუქანი პირდაპირ მოჩანდა. გერასიმეს უმცროსი ძმა იულონიც გზის მარჯვენა მხარეზე იქვე სახლობდა, ხოლო უფროსი — სანდრო ჩვენგან მოშორებით, ჩვენსავით გზის მარცხენა მხარეზე იყო დასახლებული. დედის მხრივ ბებიას და ბაბუას არ მოვსწრებივარ, არც მამის მხრივ ბაბუა ბიტუს. ბებია კი 1927 წელს გარდაიცვალა და კარგად მახსოვს მისი დასაფლავების ცერემონია, მაგრამ მაშინ გადასული ვიყავით ზემოთ აღწერილი ადგილიდან.

დედა — მატრონა იოსების ასული ცომაია 16 წლისა ყოფილა, რომ გათხოვილა (გარდაიცვალა 1980 წელს, დაბადებულია 1893 წ.). 10 შვილთაგან მშობლებმა გაზარდეს რვა (ხუთი ძმა და სამი და). უკლებლივ ყველა სირიაჩქონშია დაბადებული, ერთი აკვნით, „ნანა სქუას“ ერთნაირი ტკბილი ჰანგებით ნარწევნი, ნაფერებნი და ნალოლიავებნი..

ამას უნდა დაემატოს ერთი შვილობილიც. ცოლქმრული სიყვარულის, ურთიერთ პატივისცემის და ოჯახის ურღვევობის პრინციპის გარდა რაოდენი სიკეთის გრძნობით უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული დედა, რომ უარი არ ეთქვა პირველი მსოფლიო ომიდან მამის მიერ ჩამოყვანილი მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდაზე. მეორე მხრივ, რაოდენ კეთილშობილური, ჰუმანური და მისაბაძია ჯარისკაცი მამის მოქმედება: 1914—1915 წლებში ის ყარსის ფრონტზე იბრძოდა. დემობილიზაციის დროს, სადგურზე, მატარებელში ჩასხდომისას, დაუნახავს უპატრონოდ მიტოვებული თურქი წლინახევრის ბავშვი. არავინ აქცევდა ყურადღებას, ყველა ისწრაფოდა წამოსასვლელად. მამას შებრალებია ბავშვი, მოფერებია, პურის ნატეხი შეუჩეჩებია ხელში. ვაგონის კიბეზე ფეხი რომ შეუდგამს, წინ გამოწვდილი თოთო ხელებით ბავშვის გულისდამწველი ტირილი და ჩხავილი დასდევნებია. მიბრუნებულა სწრაფად, მაზარაში მკერდთან მიუხუტებია და ვაგონზე ასულა. სამი დღე და ღამე უტარებია. თავის ულუფას უყოფდა და ისე კვებავდა გზაზე. შინ დაბრუნებულს სვრებში გახვეული, ხელზე ატატებული ბავშვი დედისთვის გადაუცია და ძუნწად უთქვამს:

— თუ გაზრდი, მატო, მადლია, შენ იცი და შენმა ქალობამო.

გაიზარდა თურქის შთამომავალი ბიჭი ჩვენთან ერთად მამის გვარით და ქართული სახელით — ვლადიმერ. სიმწიფის ასაკის რომ გახდა, მამამ ვალოდია ძონძირში ხელობის შესასწავლად ერთ ნაცნობს მიაბარა. ივარგა გაზრდილმა. დავაჟკაცდა იქ, დაცოლშვილდა კიდეც. დიდ სამამულო ომში გაიწვიეს და ბრძოლებში დაიღუპა. დარჩა შვილები. ისინიც გაიზარდნენ თოფურიას გვარით. ჩვენ ოჯახთან კავშირი არ გაუწყვეტიათ, მამის და დედის დასაფლავებაზე გვირგვინებით მოვიდნენ და დაიტირეს როგორც ბაბუა და ბებია.

ამიტომ იმ პირველ სამოსახლო მიწაზე ხუთნი კი არა, ექვსნი დავდიოდით ერთმანეთის მიყოლებით და მიბაძვით, თუთისა და ბლის ნაყოფებით ტუჩებშეღებილნი და ფეხშიშველნი.

რიონის ადიდებისას ჩვენს ეზოში წყალი ყოველთვის გადმოდიოდა, გუბდებოდა და ჰაობდებოდა. ალბათ, ეს იყო 1921 წელს სოფლის რევკომის გადაწყვეტილებით მამისათვის ახალი სამოსახლო აღგილის გამოყოფის მთავარი საბაბი და საფუძველი. მახსოვს, როგორ გადაჰქონდათ რამდენიმე უღელი ხარებით ჩვენი „სასახლე“ დაუშლელად, ხის შეკრულ მორებზე დამაგრებული, მაგრამ ახალი მიწა უკვე აღარ იყო ნაყიდი. იგი საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯის, მიწის შესახებ ცნობილი დეკრეტის პრაქტიკული განხორციელების თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენდა. იმ ისტორიული მოვლენის მომსწრეთაგან ახლა თითო-ოროლა თუ დარჩა. ამიტომ სოციალური თანასწორობის ისტორიის ინტერესების დასაცავად საჭიროა ასეთი მოვლენების სისწორით აღდგენა, ყოველგვარი პათეტიკისა და ჭარბი ემოციების გარეშე. უწინარესად, ჯერ სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობას გავეცნოთ.

სირიაჩქონი რიონის მარჯვენა მხარეს, ბორნიდან ბოგორონამდე იყო გადაჭიმული. მისი სიგრძე ათ კილომეტრს ცილდებოდა. 200-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა სოფელში. მოსახლეობა მჭიდროდ, ერთმანეთის მიჯრით, თითქოს ერთ ხაზზე იყო ჩამწკრიეებული. აქ იყვნენ შერეული გვარის მოსახლენი: დანელიები და სიჭინავები, ბერაიები და გელოზიები, ჯაჯავები და ჭიჭინაძეები, შეროზიები და არჩაიები, პაჭკორიები და გვაზავები, ცხვიტარიები და გულუები, ჩაჩიბაიები და ბელქანიები, ინჯებაშვილები, იმნაძეები, ჯოლიები და ჯოლოგუები, საჯაიები, ცომაიები, იოსელიანები, ცავები, კარტოზიები... ზემოჭალადიდის თემსაბჭო სამ სოფელს აერთიანებდა: გაღმით, კანცე-

ლარიასთან, მუხური იყო, გამოღმით, ბორნის დასაელეთით, საგვიჩიო იწყებოდა, აღმოსავლეთით კი — სირიაჩქონი. ბორნით ჩემი სოფელი თემსაბჭოს და სენაკს უკავშირდებოდა. ბოგორონის იქით, ანჯერიდან, აბაშის ტერიტორია იწყებოდა და სუჯუნასთან ახლოს მეორე ბორნით ცენტრთან ერთდებოდა, სამხრეთით ლანჩხუთის საზღვარი პატარა მდინარე ფიჩორის ხაზზე გადიოდა.

ზემოჭალადიდის თემსაბჭოსთან რიონზე გაკიდულ რკინის მავთულს ორი შეკრული ნავი ნიჩბის და ბოძის დახმარებით გაჰყავდა და გამოჰყავდა გაღმა-გამოღმა. ეს ნავები დაფარული იყო სქელი ფიცრების იატაკით. მასზე თავისუფლად ეტეოდა ორი დატვირთული ურემი ან 30—40 მგზავრი. მებორნე დიმიტრი ბესელიას ღამის გასათევი გამოღმა, ჩვენი სოფლის მხარეზე ჰქონდა, გაღმა კი, კანცელარიის გვერდით, სახლი ედგა. ის დღედაღამ მორიგეობდა და გულმოდგინედ ემსახურებოდა სირიაჩქონისა და საგვიჩიოს მოსახლეობას. გადაჰყავდა ერთი ნაპირიდან მეორეზე ხალხი. მხოლოდ ძლიერი ქარიშხლის დროს ჩერდებოდა ბორანი. ამ დროს იგი საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაბმული, რომ ქარს არ მოეგლიჯა. მებორნეს თემსაბჭო უხდიდა გასამრჯელოს.

სოფლის მთელი ტერიტორია ბორნიდან ბოგორონამდე ტყის მასივებით, ჭალებით, მინდვრებით და საძოვრებით აზნაურ იოსელიანებს ეკუთვნოდათ, რომელთაც ერთი მოურავი ჰყავდათ — კონსტანტინე წულუკიძე. წარმოშობით ყველა ისინი წყალტუბოდან იყვნენ. გაღმა, მუხურის მხარე, თავად ქოჩაქიძეების სამფლობელო იყო. პოეტი გიორგი ჭალადიდელი (ქოჩაქიძე) დასაფლავებული იყო მუხურის საუფლოში, რიონის პირას. რიონმა მთლიანად წალეკა ეს სასაფლაო. მოსალოდნელი საფრთხის ასაცილებლად 1935 წელს გიორგი ჭალადიდელი გადასვენებულ იქნა სენაკში და ქალაქის ბაღის სკვერშია დაკრძალული.

ორ სოციალურ ბანაკს შორის წინააღმდეგობა და ბრძოლა სირიაჩქონშიც ღვივდებოდა, მწვავდებოდა, ვითარდებოდა და ვლინდებოდა. რევკომის უმალ აღმოცენება და მისი სამოქმედო ფრთების სწრაფად გაშლა სხვანაირად შეუძლებელი იყო.

ჩემი მახსოვრობის დროისათვის ბოგორონის მხრისკენ ორი იოსელიანი პატრონობდა სოფლის სიმდიდრის ნახევარს — შალვა და ნიკოლოზ (კოლია), ხოლო ეკლესიიდან დაწყებული ბორნამდე მიწები პლატონ და ანდრო იოსელიანებს ეკუთვნოდა. არც ერთ გლეხს

არ შეეძლო მიწით სარგებლობა მათი ნებართვის გარეშე, ხოლო ნებართვისათვის, ნატურით თუ ფულით, სათანადო გადასახადი ჰქონდათ დაწესებული. გადმოცემით, ყველა ზემოხსენებულ აზნაურთაგან სისასტიკით პლატონ იოსელიანი გამოირჩეოდა. მისი დიდი ოდა სახლი ეკლესიის გვერდით თვალსაჩინო ზეგანზე იყო წამოჭიმული. წინ რიონი ჩაუდიოდა, უკან კი საყანე მიწები და ტყე ეკრა. პლატონი სახლის აივნიდან ბინოკლით ზეერავდა ყოველ საეჭვო, უნებართვო გაჭაჭანებას მის კუთვნილ ტერიტორიაზე და მოსამსახურეთა გამოყენებით სასტიკად ეპყრობოდა დამნაშავეს.

და, აი, სოფლად დამყარდა ახალი ხელისუფლება. ტყე, წყალი და მიწა სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადდა. პირველ რიგში პლატონ იოსელიანის დიდი, ხეხილოვანი ნარგაევებით სავსე ეზო ოთხ თანაბარ ნაწილად გაუყვიათ. დასავლეთით პლატონს მეზობლად პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ტყვეობიდან დაბრუნებული ღარიბი გლეხი ელიზბარ გულუა ჩაუსახლეს, გარეულ ღორებზე სოფლის განთქმული მონადირე. იგი პლატონის ეზოს მისი ძმისგან — ანდრო იოსელიანისაგან ყოფდა. აღმოსავლეთით პირველი ნაკვეთი უფროს ბიძას — სანდროს მიეკუთვნა, ხოლო მეორე კი, სანდროს გვერდით, ეკლესიასთან სულ ახლოს, მამაჩემს. ეს იყო შარაგზიდან ცოტათი ამაღლებული და ეზოებს შიგნით სიღრმეში თანდათან დადაბლებული მშრალი ადგილი, სადაც წვიმის წყალს მყისვე ისრუტავდა ქვიშნარი მიწა აძიტოძ ტალახი და გუბე არასოდეს დგებოდა. რა ბედნიერება იყო წინანდელთან შედარებით!

ეზოებს უკან, ასევე თანაბრად, ბიძას და მამაჩემს მიზომილი ჰქონდათ საყანე ნაკვეთები, ხოლო თითოეულს ცალ-ცალკე სხვებთან ერთად კიდევ ჰქონდათ საყანე მიწები სამ უბანში — დიხაზოკესა, შქაბანსა და ოხვამურში. ყველა ეს პლატონის მამულის ჩამონაჭრები იყო. ასეთივე ჩამონაჭრები უფასოდ დაურიგდათ სოფლის გლეხებს ანდრო, ნიკოლოზ, შალვა იოსელიანების და კონსტანტინე წულუკიძის მამულებიდან.

სიმინდის პირველი საგაზაფხულო მარგვლის დღეებში მოსახლეობის უკან მობიბინე ყანების ერთიანი ზოლი საუცხოო სანახაობას წარმოადგენდა. იგი სოფელსა და ტყეებს შორის თითქოს თავისუფლების კუნძულად ქცეულიყო. მთოხნელთა გადაძახილი, სიმღერა, მზისგან გარუჯული, გაღიმებული და გაბადრული სახეები მათი ცხოვრების სიხალისეს ისე მკაფიოდ და ნათლად გამოხატავდა, მისი

შეგრძნება ბავშვსაც ადვილად შეეძლო. მშობელთა საზეიმო განწყობილების პირველი შეუმცდარი საზომი ხომ ბავშვის უმწიკვლო ღიმილია!

აგრარული პოლიტიკის გატარებას ჩემ სოფელში არ მოჰყოლია არავითარი ინციდენტი, შეხლა-შემოხლა, ურთიერთგადაკიდება და მტრობა. ერთადერთი, რაც საგრძნობი იყო პლატონის მხრიე ახალ მოსახლეებთან დამოკიდებულებაში, ეს იყო ის, რომ არასოდეს ფეხი არ დაუდგამს მეზობლების ეზოში. კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ვაჟიშვილი ხუტა კავშირგაბმულობის ხაზით სხვაგან მუშაობდა და გასაბჭოების შემდეგ იშვიათად ჩამოდიოდა სოფელში. მეუღლე მეგი დაუახლოვდა დედაჩემს და ის გამოჩნდებოდა ხანდახან კენტად შემორჩენილ მოახლე გაიანესთან ერთად ფქვილის ან ყველის სასესხებლად. დედა ჯერ გაუმაპინძლდებოდა ახალგამომცხვარ ხაჭაპურით და რძით, მერე ნათხოვარს გაატანდა, ალაგემდე მიაცილებდა და ტკბილად ეტყოდა: — არ შეწუხდე, პატონი, თქვენი ფეშქაში იყოს.

პლატონს მოსამსახურეები მალე გაექცნენ, ეკონომიკურად თანდათან გაუჭირდა, დაუძლურდა. ერთხანს ოდასახლის გაყიდვით ირჩენდა თავს. მერე ასწლოვანი ჭადრის ხეებიც მიყიდა ვიღაც უცხოელს. არც ამან უშველა, დასნეულდა და გარდაიცვალა 1932 წელს. მისი ძმა ანდრო კი უფრო ადრე — 1922 წელს გარდაიცვალა. ანდრო იოსელიანის მაღალ ბოკონებზე შემდგარ გრძელი ოდასახლის წინა ორ ოთახში შეშის დამამზადებელი კანტორა მოთავსდა. უკანა ორი ოთახი კი ანდროს ახალგაზრდა ქვრივს — ოლღას დარჩა.

შალვა იოსელიანი სოფელში 1924 წელს მენშევიკური ამბოხების მეთაური იყო[1]. ზაფხულის ერთ წკვარამ ღამეს თოფის სროლა ატყდა. ლოგინში შეყრილ ბავშვებს გარედან ფეხის ხმა და ჩოჩქოლი მოგვესმა, მერე უკან, ტყისკენ გაქანდნენ თითქოს, რამდენიმე კაცის ფეხის ხმა ისმოდა. შიშმა შეგვიპყრო. დედა გვიან შემოვიდა ოთახში. მამა ბიძია იულონს და მის ამხანაგებს გაჰყოლია დასამალ ადგილებში. მერე გავიგე, მოსაკლავად მისდევდნენო. სოფლისთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ დამარცხებისთანავე შალვა სოფლიდან მეორე ღამეს გაპარულა, ნავით გადასულა ბოგორონიდან რიონზე, ტყე-ტყე ისულისკენ გაუღწევია და აბაშის სადგურიდან მატარებლით

---

[1] იმავდროულად იგი იყო საქართველოს პარიტეტული კომიტეტის წევრი.

თბილისში ჩასულა, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე. ამბოხების მეორე აქტიური მონაწილე ვაჭარი მამია გვაზა სენაკის სადგურზე დაეჭირათ და ჯარისკაცებს ხიშტზე წამოეგოთ. მისი დუქანი იავარად იქცა, რაც შეეხება ნიკოლოზ (კოლია) იოსელიანს, იგი თავიდანვე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოველთვის მხარში ედგა ახალ თაობას სახალხო ღონისძიებების გატარებაში.

ასეთი იყო სოციალური „ფერისცვალების“ ნიშნები, გაბატონებული, პრივილეგირებული ძალების ხვედრი და შინაგანი სხვაობა ერთი სოფლის მასშტაბით და მის მაგალითზე, ბუნებაში ბალანსირება ერთის დაცემასთან მეორის აღზევებით ხდება. ამის პირველი განსახიერება რევკომი იყო, ხოლო თვით რევკომში კი — ბიძაჩემი იულონი. იგი ორივე უფროსი ძმისგან რადიკალურად განსხვავდებოდა, მაგრამ სხვადასხვა განხრით. სანდრო წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მიწის, შრომის, სიმართლის და სინდისის მიმდევარი და მოყვარული. იულონს პირველდაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მიწაზე თოხის დარტყმა ბავშვობიდან ეზარებოდა, ფიზიკურ მუშაობას გაურბოდა. ამიტომ მათი ხასიათები ერთმანეთს ვერც ეწყობოდნენ და ვერც ეგუებოდნენ.

გერასიმესთან იულონს აერთებდა ის, რომ ორი კლასი, იმასაც ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ვაჭრობის ინტერესი უფრო იზიდავდა და ეს ჰქმნიდა ამ ორ ძმას შორის ერთგვარ „მსოფლმხედველობრივ“ ნაპრალს. იულონი უფრო საზოგადო საქმეებისკენ იხრებოდა, ჯარში გაწვევისათვის გერასიმესავით რაიმე „ეშმაკობა“ არ მოუგონია, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი არ გადაუჭრია, ცოტა ხანი იმსახურა და „ბუდიონოვკის“ ქუდით და დაგრაგნილი მაზარით ჩამოვიდა სოფელში. 1920 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. სამაზრო პარტიულ ამხანაგებს იცნობდა. სამსონ მამულიასთან, შალვა ასკურავასთან და სხვებთან იყო დაკავშირებული. ყველაფერი ეს ფარულად ხდებოდა და სოფელში თვით ძმებმაც არ იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი.

და, აი, რევკომის პირველ თავმჯდომარედ სირიაჩქონში კი არა, მთელ ზემოჭალადიდის თემსაბჭოში 1921 წელს ბიძაჩემი იულონი გახდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მაშინდელი პორტრეტი: ბათინკებიან გეტრებში ჩატანებული ნაცრისფერი კოვერკოტის გალიფე, ხაკის საყელოგახსნილი ბლუზა წელზე შემორტყმული ქამრით და ბოლჩიანი მაუზერით, შავი, ხუჭუჭა თმები თავზე. ლამაზი, მრგვალი

პირისახე ჩაწეული ნიკაპით და ჭროღა, მოციაგე თვალებით, საშუალოზე ცოტა მაღალი, ჩქარი ნაბიჯებით მოსიარულე, თითქოს საქმიანი და ჩაფიქრებული.

არავითარი წიგნიერება, ნაკითხობა და ორატორობა მის გამოსვლებს და სიტყვებს არ ეტყობოდა, სიწრფელე კი — უხვად. ასეთებად ითვლებოდნენ მაშინდელი კომუჯრედის წევრები: მიხა ლუხავა, თედო ბელქანია, გრიგოლ კარტოზია, ბონდო ცაავა, არსენ პაჭკორია, კომკავშირული თაობის წარმომადგენლები: ვასილ საჯაია, ანტიფო შეროზია და სხვა. მათ არ ჰქონდათ ცოდნა, განათლება, სხვისგან ჩაგონებული აზრებით და მიზნებით იყვნენ გამსჭვალულნი და „არა უწყოდენ, რასა იქმოდენ".

მიწის ნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარებამ რევკომს სოფლის გლეხობაში დიდი ავტორიტეტი შეუქმნა, განსაკუთრებით მის უღარიბეს ფენებში. ამას მოჰყვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ახალი კულტურული ღონისძიებანი. სოფლის ცენტრის წინ მდებარე მინდვრებში ჭაობის შემაწუხებელი სუნი შაბათ-კვირაობით საჯარო თავშეყრას და გართობას დიდად უშლიდა ხელს. იგი კამეჩების „სალაღობოდ" იყო გადაქცეული. ტლაპოსა და ტალახში იწვნენ გაგაჭია სიცხეში. იცოხნებოდნენ, კუდით ბუზებს იგერიებდნენ, გორაობდნენ და თითქოს არხეინად „ნებივრობდნენ". იქვე წყლიან თხრილებსა და ორმო ადგილებში წურბლები „ბინადრობდნენ", იგრიხებოდნენ და ერთმანეთს ესეოდნენ — ქვეყნად სხვათა სისხლის საწოვნელად გაჩენილნი. რევკომის დავალებით ახალგაზრდობა სათავეში ჩაუდგა ჭაობის ამოშრობის საქმეს. საზოგადოება მხარში ამოუდგა. ჭაობიდან რიონამდე გაიყვანეს ვიწრო არხი, რომელიც თანდათან ღრმავდებოდა. დაგუბებული წყალი არხით რიონში ეშვებოდა და ჰაერი იწმინდებოდა მავნე შმორისა და ოხშივარისაგან.

მრავალრიცხოვანი სოფლის მოსახლეობის ბავშვები ადრე სწავლა-განათლებას ვერ ღებულობდნენ. არც არავინ ზრუნავდა მათზე. რევკომმა გადაწყვიტა შვიდწლიანი შრომითი სკოლა გაეხსნა სირიაჩქონში და ამისთვის სულ რაღაც მოკლე დროში მუხურიდან გადმოტანილ იქნა ქოჩაკიძის ცხრათვალა ოდასახლი და იგი გვერდით ამოუდგა მანამდე არსებულ დაწყებითი კლასების შენობას. 1922 წლის ბოლოს სკოლის ეს ახალი შენობა დამთავრებული იყო, ეზო გაფართოებული და შემოკავებული. იგი ეკლესიას და სასაფლაოს

ესაზღვრებოდა. ესეც დიდ სიხარულს იწვევდა ხალხში, დიდ ენთუზიაზმს, თანაგრძნობას და თანადგომას.

მაგრამ სწორედ იმავე 1922 წელს რევკომმა იერიში მიიტანა ეკლესიაზე, გაჩაღდა ღვთისმსახურების წინააღმდეგ ბრძოლა, სკოლის კედლებზე გაჩნდა დიდი პლაკატები — რელიგია ოპიუმია. ჩემთვის მაშინ, ცხადია, სრულიად გაუცნობიერებელი იყო ამ პოლიტიკის იდეოლოგიური არსი. რა თქმა უნდა, არც ის ვიცოდი, ალექსანდრე იმპერატორი რომ იყო ნამყოფი აქ, სირიაჩქონის ეკლესიაში.

ყოველ დილით ჩვენი სახლიდან ვუმზერდი ეკლესიის გუმბათს, რომლის თავზე სვეტად აღმართული თეთრი ჯვარი მზეზე ისე კიაფობდა, როგორც ცისკრის ვარსკვლავი მოწმენდილ ცაზე. ცინკის სახურავს არსად აჩნდა რაიმე ბზარი. ხის კედლები ოთხივე მხარეს წითლად ისე იყო შეღებილი და კვადრატებად დაყოფილი, გეგონებოდათ აგურისგან ნაგებიაო. რკინის მრგვალი ბოძებით წინა მხარის ღია აივანი კიდევ უფრო ამშვენებდა ბეტონზე დაშენებულ მაღალ ნაგებობას. აივნის ერთ კიდესთან ძელზე დიდი სამრეკლო ეკიდა ზარზე გამობმული თოკით. იგი ბოძზე იყო დახვეული.

წირვის დღეებში, შაბათობით და კვირაობით, დილიდანვე დიაკვანი მოხსნიდა ამ თოკს, გასწვდა წინ და უკან, შემოკრავდა ზარს და შორს გაისმოდა მისი გუგუნი, რეკვის მოწკრიალე ხმა, მღვდლის სახარებისეული ლოცვა-კურთხევის სიტყვები, მორწმუნეთა ქვითინი, წუხილი და შეძახილები. დედა უმალ მიატოვებდა საქმიანობას, გადაიცვამდა საგარეო „სამოსს“, ჩაგვაცვებდა ხელს ბავშვებს და გადავყავდით საყდარში. მკერდამდე თეთრწვერიანი, უკან გადაყრილი გრძელი თმებით, ანაფორაში გახვეული იოსებ მღვდელი იესო ქრისტედ მესახებოდა. რიდი, სასოება და მოკრძალება სუფევდა ეკლესიაში. ლიტანია მშვიდად, ლამაზად და სასიამოვნოდ სრულდებოდა. როგორც ახლა ვიხსენებ, ჩემს ყურადღებას, ალბათ, მაშინ იქცევდა არა მისი შინაარსი, არამედ ფორმა. ერთი შეხედვით, ყოველივე, რაც იქ ხდებოდა, თეატრალიზებულ სანახაობას უფრო წააგავდა და, ვფიქრობ, ამითაც იზიდავდა მასას.

ეკლესიის ეზო შემოკავებული, დაცული და მოვლილი იყო. საფლავებს მზრუნველობა და პატრონობა არ აკლდა. ვარდების და ბზის ბუჩქებით იყო მოფენილი. სუროთი შემოხვეული ურთხმელები გუშაგებივით იდგნენ. აღდგომის დღეებში ამობურცულ მიწაზე გადაგორებული წითელი კვერცხების შეგროვება, შეჯიბრი იმაზე, თუ

ვინ რამდენს ჩატეხდა და რამდენს შეჭამდა, ბავშვობისას ჩვენი გართობის და ლხენის საგნად იყო გადაქცეული. ეზოს წინა მხარეს მაღალი, ასწლოვანი ცაცხვის ხე იდგა. მისი გაფარჩხული მსხვილი ტოტები თითქმის ფარავდა ეზოს ნახევარს. ფესვების დიდი ტოტი ხის ძირთან ამოყრილი იყო. მიწის ზემოთ ხორკლიანად ჩანდა და მოხერხებული საჯდომით მრგვალი მაგიდის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. გვერდიდან ფუღურო კაცის სიმაღლემდე სწვდებოდა, წვიმის დროს თავშესაფარად და თამაშობის დროს სამალაედ ვიყენებდით.

კვირა დღეს აქ მოხუცები იყრიდნენ თავს, მუსაიფობდნენ, ყალიონს აბოლებდნენ, წარსულ ამბებს იხსენებდნენ და დინჯად ფურცლავდნენ თავიანთი ცხოვრების დაუწერელ წიგნებს. — „ა, ესენი მოესწრებიან კარგ დროს, აბა, ჩვენი ყოფნა ყოფნა იყო?“ — იტყოდა ერთი ჩვენსკენ მონიშნებით და ყველანი უმოწმებდნენ. ნიავი რტოთა კენწეროებზე ფოთლებს არხევდა. ჩრდილქვეშ გრილი ჰაერი ქროდა. ბავშვები ეუსმენდით მოხუცთა დარბაისლურ ბაასს, ვგრძნობდით მათ ურთიერთ მოწიწებას, რაც ჩაქსოვილი იყო ღვთისადმი რწმენაში და ძალაუნებურად ვეჩვეოდით არა უხეშობას, ბილწსიტყვაობას, არამედ ერთმანეთისადმი თავაზიანობას და ერთმანეთის მეგობრობას. ასეთ დადებით ასოციაციას ჰქმნიდა სოფლის ეკლესია იმჟამინდელი ბავშვური, მიამიტური წარმოდგენებით.

და აი, სასწაული. ზაფხულის ერთ ღრუბლიან, მოღუშულ თუ მოქუშულ დღეს დედამ უცებ ხელებით სახის დაკაწვრა, ლოყების წიწკნა და სრესა დაიწყო. თან ჩუმად თავისთვის ბუტბუტებდა გამწყრალი და გაგულისებული, ხელებს ხან ეკლესიისკენ იშვერდა, ხან პირჯვარს იწერდა, ვიღაცას ედავებოდა, ემუდარებოდა და ევედრებოდა კიდეც.

— ღმერთო, სახიერო, — ჩურჩულებდა თავისთვის, — ღმერთო იესო ქრისტე. შენ მიშველე, შენ იხსენი ჩემი შვილები ამ უწმინდურებისა, უგუნურებისა და უმგვანოებისაგან. შენ დაგვიფარე ოჯახი შენთვის მლოცველი, შენი მონა და შენი მორჩილიო.

მეგრულად დედის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები მაგიური ღა დამატყვევებელი იყო. მან შესანიშნავად იცოდა რამდენიმე ლოცვა და მისანივით ჟრუანტელს მგვრიდა ყოველთვის. არაფერი მესმოდა და შაინც ცნობისმოყვარეობას იტაცებდა. დედის გოდებამ შემზარა. თან ეკლესიისაკენ მიხედვაც რომ არ სურდა, ეს უფრო მაიცებდა და მაკვირვებდა. უნებურად გავიხედე მისკენ და ვხედავ:

ბიძაჩემი იულონი და კიდევ რამდენიმე ჩემთვის უცნობი კაცი ჩვენი ეზოს მხრიდან ეკლესიის კედელზე მიდგმული დიდი კიბით სახურავზე ადის. მაღლით წინ ანტიფო შეროზია მიიწევს ჩაქუჩით და ნაჯახით ხელში. კიბეზე კიბე აიტანეს და სახურავზე დადეს ჯვრის მიმართულებით. მას ჩაებღაუჭა ბიძაჩემი, ანტიფო მოხრილად ზედ შედგა კიბეზე, საფეხურებს აყვა და მიადგა გუმბათს. დაჰკრა ნაჯახი ჯვარს, ვერ შეარყია, დაჰკრა ჩაქუჩი, წკრიალი გაისმა ჰაერში. ამ დროს ხალხი ეკლესიის ეზოს წინ იკრიბებოდა და იწყევლებოდა. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი კი მათ ედავებოდა და არ უშვებდა ეზოში.

— მოგრიხე სვეტი, სვეტი შოგრიხე. — მიაძახეს ანტიფოს ქვეშიდან.

ანტიფომ გვერდულად გაჰკრა ნაჯახი სვეტს, ჯერ ჯვრის ორი ტოტი ჩამოზნიქა, მერე სვეტის ბოლოს ურტყა და ურტყა ნაჯახი და როგორც იქნა მოღუნა, მოგრიხა, მოწყვიტა გუმბათს ჯვარი და ძირს, მიწაზე ჩამოაგდო. ერთ წუთს თითქოს შემზარავი გახდა გუმბათი, ღაკარგა არსებობის აზრი და რაკი ზეცისკენ მიპყრობილი მისი მზერა ჩაქრა და დაბრმავდა, თვით ეკლესიის სიცოცხლეც ამ ჟამიდან განწირული აღმოჩნდა.

ჩამოვიდნენ ანტიფო და ბიძაჩემი იმავ კიბით სახურავიდან, შეაღეს ეკლესიის კარი, დაფლითეს და დაარბიეს ატლასის ფერად-ფერადი ნაქარგები და ნივთები და რელიგიაზე გამარჯვებულნი ამაყად გავიდნენ სოფლის გზაზე. მათ მართლაც შეძლეს ეკლესიის წმინდათაწმინდა სასოების წაბილწვა, მაგრამ საუკუნეობრივი რელიგიური რწმენის სამუდამოდ მოსპობა და განადგურება არც შეეძლოთ და ვერც შეძლეს.

არ გასულა ერთი წელიც და მოხდა მეორე სასწაული. პარასკევობით სოფლიდან ლანჩხუთის ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად სოფლის ნაწარმი. ზაფხულის ერთ ასეთ დღეს მეზობლებთან ერთად დილით ადრე ანტიფო თავისი ურმით ლანჩხუთში წავიდა. მოათავეს ბაზრობა და უკან რომ ბრუნდებოდნენ, საღამო ჟამს, ფიჩორას ბოგირი ადიდებული წყლისგან აყრილი დახვდათ. აწრიალდა ხალხი, გადასვლა შეუძლებელი იყო. გაღმა ხის მორები ჩანდა და ბოგირზე მისი დადება იყო საჭირო. ანტიფომ გამოხსნა ერთი ხარი ურმიდან, ჩაავლო ხელი კუდს და გადაცურვა მოინდომა. დაუშალეს, მაგრამ ახალგაზრდულმა გაბედულებამ სძლია. ჩადენა ხარი მაინც მდინა-

რეში, კუდს გამოება და შუა ადგილამდე არ იყო მისული, ხარს ხის ტოტებიანი კუნძი დაეჯახა, დაატრიალა, ანტიფოს კუდი გაუსხლტა ხელიდან, ცურვა არ იცოდა, ხარს ვერ დაეწია და ჩაიხრჩო მდინარეში.

სამი დღის ძებნის შემდეგ მიაგნეს ნაპირთან მიგდებულს და გაგუდულს, სათევზაო რკინის ფიწლებით ამოზიდეს. მოასვენეს მთელ სოფელში განთქმული გლეხის კოჩა შეროზიას სახლში, რომელსაც ექვსი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ერთ კვირას გრძელდებოდა გლოვა და ტირილი. მაგრამ ეს ერთი კვირა იყო ღმერთისადმი თაყვანისცემის კვირაც. — ა, ბატონო, შური იძია, ვენაცვალე მის სახელსო. — ფუსფუსებდა ჩუმად ხალხი. უბედური შემთხვევა ღმერთის სიძლიერის დამამტკიცებელ არგუმენტად იქცა. და ამან ხელი შეუწყო დროებით ეკლესიის შენარჩუნებას. ბოლოს მღვდელი იოსებ ჯაჯავა სოფლიდან გაკრეჭილი წავიდა, ეკლესია უპატრონოდ დარჩა, შენობა დაშალეს, გადაიტანეს გზისპირა მინდორზე და მაღაზიის მოზრდილ ნაგებობად აქციეს. ასე გაიხსნა კერძო დუქნის მაგიერად სოფლის კოოპერატივი, რომლის ნოქრად მეორე ბიძა — გერასიმე დაინიშნა.

კვირაობით დიდძალი ხალხი იყრიდა თავს გერასიმეს ყოფილი დუქნის მიდამოში, კაკლის ხის ძირას. ანდრო იოსელიანის ქვრივი ლერწამივით ტანაშოლტილი ახალგაზრდა ქალი იყო. ზურგზე ორად გაყოფილი ნაწნავები ეფინა. მუხლებამდე წვდებოდა. დიდრონი, მაყვალივით შავი თვალები ჰქონდა. შავ ტანისამოსს ატარებდა. ამპარტავნული ზვიადობით ჯერ ისევ განირჩეოდა, თავს არ უყადრებდა გლეხის ქალებს. ხანდახან მარტო მიდიოდა ბოგორონისკენ ნიკოლოზ იოსელიანის სახლში დარდების განსაქარვებლად. არავინ იცოდა მისი ოჯახის კომიზმის საიდუმლოება.

და უცებ, ეს მოხდა 1925 წელს, მწარე ამბავი დატრიალდა. იმ ერთ კვირა დღეს, თავჩაღუნულს სასოფლო შარაგზაზე რომ უნდა გაევლო, როგორც კი კაკლის ხის არემარეში გამოჩნდა, მოულოდნელად ზურგიდან მიპარვით წამოეწია პატარა ტანის შუშუ ბიცოლა — იულონის მეუღლე. ჩაავლო ხელები ნაწნავებში, მოზიდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავი მოუგრიხა, ლამის მიწაზე დაადებინა და სახეზე დაუშინა ცალი ხელი. წივილ-კივილმა შეაწუხა ყველა, წამოცვივდნენ მოხუცები, გავარდნენ გზაზე, ძლივს გამოგლიჯეს გაავებულ ქალს ქალბატონი ოლღა. ბავშვები ღობიდან ვუცქეროდით

ამ უცნაურ და საზარელ სანახაობას. სიწყალმა ძლივს მოითქვა სუნთქი, აწეწილი თმები გაისწორა, დარცხვენით და გაჭირვებით გაშორდა იქაურობას. განშორდა და მერე არც გამოჩენილა. დატოვა სოფელი.

მალე ცხადად გაირკვა; 1921 წლიდანვე, რევკომის თავმჯდომარედ მუშაობის დაწყების დროიდანვე, ბიძაჩემმა, ისარგებლა რა თავისი თანამდებობით, გარეგნობით, და მოფერებით, ჯერ კიდევ ანდროს სიცოცხლეშივე დაიყოლია ოლღა და გაიხადა მუდმივ სასად. არაერთხელ შეუნიშნავს მოხუცებულ ანდროს მისი ხშირი, საეჭვო საუბარი ოლღასთან, მაგრამ სოციალურად დაბეჩავებულს წინააღმდეგობის ძალა არ შესწევდა. შეშის დამამზადებელი კანტორის შეხიზვნაც მისი გეგმა იყო — მისელის მიზეზად სჭირდებოდა. წვრილშვილების პატრონი ცოლი ითმენდა თავმოყვარეობის შელახვას. გულში იკლავდა და ბოლოს ღმეების თევაც რომ გაახშირა იმ ქალთან, გამოვიდა მოთმინებიდან და მოაწყო ეს სამარცხვინო „თავდასხმა“. ეს არ იყო ინერციის იმპულსი. აქეთკენ უბიძგა ახალი მდგომარეობით მინიჭებულმა გაბედულების ძალამ, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა წინანდელი ურთიერთობის ფორმები. მაგრამ ამ ფაქტის მეორე მხარეა უფრო საინტერესო.

ამ დღიდან ხალხმა ზურგი შეაქცია სახელგატეხილ, სახელგაბახებულ იულონს, დედაჩემმა ახლო არ მიიკარა, ძმებიც გაუწყრნენ, მამამ სასირცხვილო საქმე მოგვიდაო, ეს-ღა უთხრა, და თან დაუმატა: — კაცმა თუ სირცხვილის გრძნობა დაკარგა, ველურად იქცევა და ველურის წინამძღოლობა ვის გაუგონიაო. ამაზე იულონმა თავდახრით უპასუხა: — მართალი ხარ, სარდი, შენი სწორი და პირდაპირი მსჯელობა მირჩევნია სანდროს მდუმარე წყრომასო. მაზრაშიც გაიგეს იულონის ქცევის ამბავი. თემსაბჭოდან მოხსნეს. პარტიული სასჯელი დაადეს. სოფელში აღარ ედგომებოდა და გლეხებიდან პირველი გადავიდა სენაკში საცხოვრებლად თავის ცოლშვილიანად. 1928 წელს მეჯოგეთა კავშირის თავმჯდომარედ დანიშნეს. ანგარება და რაიმე დანაშაულებრივი მოქმედება არ ჩაუდენია, ქრთამზე ხომ მაშინ საერთოდ ფიქრიც არ შეიძლებოდა. დარჩა და გაიყინა 1921 წლის დონეზე, ჩამორჩა დროის დინებას და ისე წავიდა ამქვეყნიდან, ვერაფერს დაამჩნია რაიმე კვალი. ასეთი მოჩვენებითი ფრაზიორობით და ხალხური ზნეობის დასაცავად, ასეთი შეუპოვრობით იწყებოდა ახალი ცხოვრება.

ქათმის ქურდობის სახელი გაუვარდა ერთ გლეხს ბერაიებისა და გელოზიების კუთხეში. გამარჯობას არ ეუბნებოდნენ, საზოგადოებაში გარევა არ შეეძლო. ჩუმი ბოიკოტით და ზიზღით იძულეს თვითონ გადასახლებულიყო სოფლიდან და ისიც სენაკში გადავიდა. მორალს ხალხი სჭედდა. ბოქლომით არავინ კეტავდა სახლებს. მილიციელს ფეხი არ შემოუდგამს სოფელში. სიტყვას ძალა ჰქონდა. ზარმაცს, უქნარას და მატყუარას სამასხარაოდ იგდებდნენ. მამაჩემის ძმა ანდრო თვით მამაჩემისგან იყო შერისხული ტყუილებისა და სიზარმაცისათვის. ეს იყო ზნეობის პირველი გაკვეთილები ჩემთვის, ჩემი ასაკის ბავშვებისათვის, სანამ წიგნის გზით რაიმეს გაცნობიერებას შეეძლებდი. მშობლებისა და გარემოს მაგალითი ხომ ყოველთვის იყო აღზრდის უპირველესი სკოლა.

ნამდვილი სკოლა ჩვენი ახალი სამოსახლოდან ორი წუთის გარბენაზე იყო, სასაფლაოსა და ნასაყდრალის გვერდით. მას, როგორც აღვნიშნე, ორი შენობა ეკავა. ადრინდელს ოთხი ოთახი ჰქონდა, ახალს რვა. აქედან ერთი სამასწავლებლო იყო. ერთი ბავშვთა დასასვენებელი, ერთი გამგის კაბინეტად ითვლებოდა, ერთი კიდევ მის საცხოვრებლად, ხოლო ოთხი საკლასო ოთახს წარმოადგენდა. ორივე შენობის ოთახები ბუხრით თბებოდა ზამთარში. ეს მარტივად იყო მოგვარებული.

სასოფლო კრების გადაწყვეტილებით ფითოეული მოსწავლის მშობელს თითო ურემი შეშა უნდა მიეტანა სკოლაში. იგი ზამთრის დადგომამდე იხერხებოდა და ორივე შენობის იატაკქვეშ იწყობოდა. სკოლას დარაჯი და დამლაგებელი არ ჰყავდა. მოწაფეთა მორიგეობა იყო დაწესებული. მათ ევალებოდათ მეცადინეობის დაწყებამდე ოთახების დაგვა და ბუხრებში ცეცხლის დანთება. ეს წესი აკურატულად სრულდებოდა. ჩემი მოწაფედ მიღების დროისათვის ადგილობრივი მხოლოდ რუსული ენის მასწავლებელი იყო, ისიც არა სათანადო სპეციალური განათლებით.

სენაკის მაზრიდან ჩემი სწავლის პერიოდში, მახსოვს, მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა სკოლის მუშაობის შემმოწმებელი ინსპექტორი და ისიც ბედად რუსულ ენაში. ზამთრის თოვლიანი დღე იყო. ყველა კლასის მოწაფეებს მოულოდნელად ერთად მოგვიყარეს თავი ახალი შენობის სწორედ იმ დიდ, შესვენების წუთებში მოწაფეთა დასასვენებლად გამოყოფილ ოთახში. მერხები სხვა ოთახებიდან გამოიტანეს, სწრაფად დაალაგეს და დაგვსვეს კლასების მიხედვით.

წინ — დაბალი კლასის მოწაფეები, უკან — უფროსი კლასებისა. რუსული ენა მაშინ ჩვენთან მეორე კლასიდან იწყებოდა. ჩემი უფროსი ძმა — ბოჩია იმ დროისათვის მეექვსე კლასში იყო. მასთან ერთად სწავლობდა და მეგობრობდა აზნაურთა ყოფილი მოურავის შვილი როსტომ წულუკიძე. ბეჯითი იყო. მისი მოკლე ბიოგრაფია ასეთია:

ჩვენი სოფლიდან პირველმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად, საქართველოს კპ ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში, საქართველოს სსრ განათლების მინისტრად, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ. მინიჭებული ჰქონდა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და დოცენტის წოდება. სამწუხაროდ, ნაადრევად დაიღუპა საავტომობილო კატასტროფის დროს 1979 წელს. როსტომმა გარკვეული როლი შეასრულა ჩემი სამომავლო ორიენტაციის განსაზღვრაში, მინდოდა დავწეოდი, ბედმა გასწრებაც მარგუნა და ერთ სუფრაზე დაჯდომაც. მე — ღარიბი გლეხის შვილს, მას — მდიდართა წარმომადგენელს. ასე გაგვათანასწორა და ერთ სამსახურში ჩაგვაყენა ახალმა დროებამ.

და, აი, იმ დღეს როსტომი და ბოჩია ერთ მერხზე ისხდნენ. ინსპექტორთან ერთად ოთახში შემოვიდნენ სკოლის გამგე, მასწავლებლები, საზოგადოების წარმომადგენლები: კოლია ფოსელიანი, არსენ პაპკორია და სხვ. წამოვცვივდით მოწაფეები უცხო კაცის დანახვისას. ხელით გვანიშნა — დასხედითო. იგი ტანად დაბალი იყო, სახით — ლამაზი, ნიკაპზე წვერი კოხტად ჰქონდა შეკრეჭილი, თავზე კი — თმები გადავარცხნილი. როგორც შემდეგ გავიგე, სახალხო განათლების დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი კორნელი ქაცარავა იყო. მან პირველად ასეთი კითხვა დასვა:

— Как по-грузински плотник?

ბოჩიამ ყველაზე ადრე აიშვირა ხელი და ყვირილი მორთო: „მე მასწ... მე მასწ...“

— скажите, мальчик — მიმართა უცხო კაცმა.

— პლატონი მასწ. — უპასუხა ფეხზე ადგომით ბოჩიამ.

— Платон плотник? — ჩაეკითხა უცხო კაცი გაკვირვებით. — как его фамилия? — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ.

— პლატონ იოსელიანი, მასწ.

სადარბაზო ოთახში მოწაფეთა ხარხარი ატყდა. სკოლის ხელმძღვანელობა და მასწავლებლობა შეწუხდა. უცხო კაცმა უკმაყოფილების ნიშნად წარბები შეიკრა, კიდევ ორიოდე კითხვა დასვა და შეწყვიტა საუბარი. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბოჩიამ თავისი დანაშაული იგრძნო, პლატნიკი პლატონად მომესმა, თავს იმართლებდა. მაგრამ მთავარი დასკვნა, რაც მან გამოიტანა იმ დღიდან, სწავლისათვის თავის მინებება იყო. ჩემი საქმე არ არისო და მამის გზას — მეურნეობრივ საქმიანობას დაადგა.

დიდხანს დარჩა ეს ამბავი სასაცილოდ და მოსაგონებლად. გვიან, 50-იან წლებში, თვით ბოჩიას ნაამბობის მიხედვით ჟურნალისტმა გ. ალავერდაშვილმა ამ ფაქტზე მშვენიერი საბავშვო მოთხრობა დაწერა და გამოაქვეყნა კიდეც ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე (1958, № 7). ამასთან დაკავშირებით გაკვრით უნდა ითქვას, რომ რუსული ენის სწავლება არა მხოლოდ ჩემი სოფლის სკოლაში, საერთოდ გარკვეულ ეტაპზე ყველგან თავიდან არ იყო სათანადოდ მოწესრიგებული. ერთი მხრივ ამაში საგრძნობი როლი ითამაშა უკურეაქციამ, ერთგვარმა ნიჰილიზმმა საქართველოს დამოუკიდებლობის შექმნის პირველ წლებში, რაც ჩემი თაობისათვის კარგახანს გაგრძელდა უარყოფითობის გაგებით.

სხვა საგნების მასწავლებლები მთლიანად ჩამოსულები იყვნენ. მათდამი მოსახლეობა დიდ ყურადღებას იჩენდა. წერა-კითხვის მასობრივად უცოდინარი სოფელი ერთბაშად მასობრივი ინტერესით დაადგა სწავლა-განათლების გზას. თუ გასაბჭოებამდე პირველდაწყებით ორკლასიან სასწავლებელში 10—15 ბავშვი სწავლობდა, სწავლის ჭირას იხდიდნენ და მხოლოდ შეძლებული ოჯახების შვილები ხვდებოდნენ სკოლაში, 1921 წლის 1-ლ სექტემბერს ახალი ტიპის დაწყებით კლასებში, სადაც კანონით უფასო სწავლება იყო შემოღებული, 52 ბავშვი ირიცხებოდა, 1923 წლიდან შვიდწლიან სკოლაში — 80, ხოლო 1929 წლისათვის — 122. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული და მაინც ახალგახსნილი შვიდწლიანი სკოლა სულ მალე იქცა სოფლის კულტურული დონის ამაღლების ძირითად კერად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აქ მოდიოდნენ სასწავლებლად საგეჩიოდან

და მუხურიდანაც, რადგან დაწყებითის შემდეგ სწავლის გაგრძელება მხოლოდ სირიაჩქონში შეიძლებოდა. მე-5 კლასში ჩემთან ერთად სწავლობდა, მაგალითად, დედამამით ობოლი გრიგოლ ხაბულიანი, რომელსაც მამიდა ზრდიდა საგვიჩიოში.

ყოველ დილით, დარსა თუ ავდარში, გრიგოლი მამიდის მიერ შეკერილი ზურგზე მოკიდებული ჩანთით საგვიჩიოდან ხუთ კილომეტრს გამოიელიდა და ზარის დარეკვამდე რამდენიმე წუთით ადრე აუცილებლად გამოჩნდებოდა ჩემი სახლის ჰიშკართან. ზამთარში, როცა გათენებულიც არ იყო და ცოტათი ბნელოდა კიდეც, უეჭველად დამიძახებდა და მე გავრბოდი ჰიშკრისკენ, რათა ერთად მივსულიყავით სკოლაში. ხშირად ფეხები დასველებული ჰქონდა და მეცადინეობის დაწყებამდე ვეხმარებოდი წინდების გაშრობაში. წარმოიდგინეთ, როდის უნდა ამდგარიყო იგი დილით, სწავლის როგორი ინტერესი და ნებისყოფა უნდა ჰქონოდა, რომ მოესწრო გაკვეთილების მომზადება და გაცდენის გარეშე არც ერთი შენიშვნა არ მიეღო?! ეს ჩემთვის გამოცანაც იყო, გაფრთხილებაც და თავისებური ბიძგიც. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოსულ გრიგოლს მამობრივი მზრუნველობა აღმოუჩინა ქალაქის განათლების განყოფილების მაშინდელმა ინსპექტორმა ბენო ბარამიძემ, საკუთარ ბინაში შეიკედლა, საფინანსო ტექნიკუმი დაამთავრებინა, ცხოვრების გზაზე დააყენა. ჩვენი სკოლების ადრინდელ ისტორიას ამშვენებს და ალამაზებს ასეთი კეთილი ადამიანების სახელები.

ჩემთვის დიდი ნეტარებაა პირველი კლასის, ანბანის და ლექსების შესწავლის პირველი ეპიზოდების გახსენება. ახლანდელ ოჯახებსა და საბავშვო ბაღებშიც ე. წ. საანბანო პერიოდი ხშირად მოზარდებს სკოლაში შესვლამდე აქვთ გავლილი. მაშინ ვისგან შეიძლებოდა ამ ცოდნის შეძენა? ჩემთვის და ჩემისთანა მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათვის ერთადერთი შვება უფროსი და-ძმების გამოცდილება უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში ჩემს წინამორბედთ ოჯახური საქმიანობა დაწყებული ჰქონდათ და მაინც და მაინც არც გამეტებით აკლავდნენ თავს წიგნს. მე კიდევ ლუბას ზღაპრები მიზიდავდა და ღამით და დღითაც მის ბურანში ვიყავი გახვეული. წუთით ამ საგანზე — ლუბას ზღაპრებზე უნდა შევჩერდე.

როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნე, უფროსი ბიძის — სანდროს და მამაჩემის ეზოები ერთმანეთის გვერდით იყო, ერთი საერთო ჭა ყოფდა, იქვე გაკეთებულ ალაგზე გადავდიოდით და გადმოვდიო-

დით ბიძაშვილ-მამიდაშვილები და განუყრელი ურთიერთობა გვქონდა. ბიძას შვიდი შვილი ჰყავდა — ოთხი ვაჟი და სამი გოგო. ყველაზე უფროსს ლუბა ერქვა. მას სოფლის პირველდაწყებითი სკოლა დამთავრებული ჰქონდა, ნათესაობიდან ყველაზე ადრე გათხოვდა. ისიც არა სოფელშივე, მის გარეთ — ლანჩხუთში (სწორედ მისი გაელენით გათხოვდა მეუღლის მეგობარზე ჩემი უფროსი და — ნინა. იმავე ლანჩხუთთან ახლოს, სოფელ შუხუთში). ქორწინებამდე, ზამთრის ღამეებში, ხან ჩვენი, ხან სანდროს „ქუხნა“ სახლში, აგუზგუზებულ ცეცხლის პირას უფროსები რიგრიგობით ზღაპრებს გვიყვებოდნენ. მეტწილად ეს ჩვენთან ხდებოდა. აკვანში იმ ხანებში ღედას მცირეწლოვანი თეოლინა ეწვა და მისი მიტოვება არ შეიძლებოდა.

ჩვენი სახლი ამ დროისათვის ახალ სამოსახლოზე ოროთახიანი იყო. ერთი დაბალ ბოკონზე შემდგარი, და იატაკიანი, ხოლო მეორე — მიწით დაფარული. ორივე ოთახი კედლის შიგა კარით იყო შეერთებული ერთმანეთთან. საწოლი ოთახის კარი ყოველთვის მოხურული იყო, რომ კვამლი არ შესულიყო. ცეცხლი მიწის შუაგულს ენთო. კვამლი ზემოთ ადიოდა, სხვენზე იფანტებოდა და სახურავის ქვემოთ გარდიგარდმო გაწყობილი ლარტყები შავად იმურებოდა. კერიის თავზე, მსხვილი კუნძის გასწვრივ, ნაპა ეკიდა. ორივე მხარეზე გრძელი კვერები ეწყო. ვახშმის შემდეგ, ტაბაკს რომ აალაგებდა დედა, კარდალს ჩამოკიდებდა ნაპაზე და სიმინდი იხარშებოდა. გადმოვიდოდნენ ბიძაშვილები, შემოვუსხდებოდით ცეცხლს აქეთ-იქით და ლუბას მიერ დაწყებული ზღაპრის გაგრძელებას ვუსმენდით. თითქოს ბოლო არ უჩანდა. რატომ გამახსენდა მაინცდამაინც მისი მონაყოლი?

ჯერ ერთი, ამბავს საინტერესოდ ჰყვებოდა და მეორე — თვით ამბავი იყო რაღაც განსაკუთრებული. უფროსებიც — ჩვენი მშობლებიც გულისყურით უსმენდნენ. ეს იყო ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მეგობრობის ისტორია, მათი უჩვეულო თავგადასავლები. ლუბა რუსთაველის ენით და რუსთაველის სახელით კი არ ლაპარაკობდა, „ვეფხისტყაოსანი“ საერთოდ არ ჰქონდა წაკითხული. იგი გადმოსცემდა სხვისგან გაგონილს და გაზეპირებულს და ამ შემთხვევაში მთხრობელის როლს საუკეთესოდ ასრულებდა. ახლა რომ ვუკვირდები ამ ფაქტს, საესებით დამაჯერებლად მეჩვენება პროფესორ იოსებ მეგრელიძის სადოქტორო დისერტაციის ერთ-ერთი მთა-

ვარი დებულება პოემის ხალხური ვერსიების არსებობისა და გავრცელების შესახებ, რაზედაც მცდარად ედავებოდნენ ზოგიერთები (იხ. მის წიგნში, რუსთაველი და ფოლკლორი, „საბჭოთა საქართველო", 1960).

გრანიტივით უტეხი და კლდესავით ურღვევი უნდა ყოფილიყო რვა საუკუნის წინათ პოეტის, ინდივიდის მიერ შექმნილი ნაწარმოების ფაბულა, რომ მას მეგრულ ვარიანტშიც შეენარჩუნებინა თავისი ხიბლი და მშვენება, პირველყოფილი უმანკოებით შეეღწია კოლხეთის უსიერი და უდაბური მიდამოების „სულიერ" ლაბირინთებში, ტყაშმაფებისა და ოჩოკოჩების ლეგენდებით განებივრებული ჩემი სოფლის მყუდრო სავანეში. ალბათ, მეგრული მითოლოგიის ეს უკანასკნელი საუცხოო ნიმუში უფრო ცხოველად ენასკვებოდა რუსთაველიდან მომდინარე ხალხური ფენომენის ჯადოსნურ ქარგას და ეს იყო ყურებდაცქვეტილად ჩვენი სმენის მობილიზების მთავარი მიზეზი და საფუძველი.

ერთი რამ კი ცხადია: ლუბას მონათხრობში თითქმის მთლიანად წაშლილი იყო პოემის ლექსურ-მუსიკალური სიმდიდრე, მისი აფორიზმების ფილოსოფიური სიღრმე, ალიტერაციულ-სტროფული განფენილობა და სრულიად გარკვევით იგრძნობოდა ზღაპრულობის ძირითადი ელემენტების — ჰიპერბოლიზაციისა და ფანტასტიკურობის განუსაზღვრელი თარეში, რომელშიც ისახებოდა აზრის სიბრძნე, უბრალოების სიდიადე და ხალხურობის სილამაზე.

ამიტომ ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდები, დევებად და ურჩხულებად წარმოდგენილ ჯუჯა კაცებთან ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის შებმის სცენები და მომენტები, გამოქვაბულის ვითომდა ინტერიერები, ავთანდილის მოგზაურობის გაჭიმული ფათერაკები და სხვა ატრიბუტები ბავშვობაში ქვიშიან ზეგნებზე ჩვენი თამაშისა და გართობის, ჩვენი შთაგონების მთავარი წყარო იყო.

ქვიშის სიღრმეში თითქოს გამოქვაბულს ვთხრიდით, ხის ჯოხებზე ამხედრებულთ რაინდებად მოგვქონდა თავი. გოგოებს თინათინებად, ნესტანებად, ფატმანებად და ასმათებად ვყოფდით, ბიჭებს კი — ტარიელებად, ავთანდილებად, ფრიდონებად და რამაზებად და ასეთ მიბაძვებში, სახელების კატეგორიებად ასეთ დაყოფაში იწრთობოდა ჩვენი მეხსიერება. ასე რომ, ლუბას ნათხრობთა გზით, ნებით თუ უნებლიეთ, რუსთაველის გმირთა შეცნობას ვეწაფებოდით

თითქოს. მაგრამ ეს იყო ბავშვური ილუზია. და სწორედ ამიტომაც დამამახსოვრდა ასე დიდხანს.

ცოდნის ასეთი „მარაგით" გავხდი 1923 წლის 1-ლ სექტემბერს სირიაჩქონის შვიდწლიანი შრომითი სკოლის პირველი კლასის მოწაფე. ზარის დარეკვა არც გამიგია, იმდენად ვიყავი გაბრუებული ერთად თავმოყრილი ბავშვების ჟრიამულით და ჟივილ-ხივილით. ნაცნობთა ვიწრო წრე თითქოს უცებ მარაოსავით გაიშალა. თვალები ვერ ასწრებდნენ დანახულის აღქმას. აქეთ-იქით გამირბოდნენ და ხუთსაფეხურიან კიბეზე არბენას ვინ ჩიოდა, ასვლა გამიჭირდა. ზოგი ციყვივით ახტოდა, გასწრებაზე იყო, საკლასო ოთახში მერხზე პირველი ადგილის დაკავებას ცდილობდა.

კართან ჟურნალით ხელში ახალგაზრდა ქალი იდგა მომღიმარი და მოციმციმე თვალებით. თავზე ხელს ავლებდა ბავშვებს და ოთახისკენ ანიშნებდა. მეც მერგო ეს ბედნიერება. მეც ვიგრძენი მისი ხელის შეხება, მაგრამ იგი მოფერებას და ალერსს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოვალეობის ჩინოვნიკურ შესრულებას. არც ჩაცმულობით, არც შესახედაობით, — არაფრით განვირჩეოდი სხვისგან. სამაგიეროდ ტანად ყველაზე პატარად ვჩანდი. სკოლაში მაშინ 7—8, ზოგჯერ 9 წლის ბავშვებსაც იღებდნენ. მე კი ექვსისა ვიყავი და ბუნებრივად — მორცხვიც და მორიდებულიც. მგონია, ეს შენიშნა პირველ რიგში კარებთან მდგომმა ახალგაზრდა ქალმა და ამიტომაც ამიფართხალდა გული მისი თითების ჩემი თავის თმებზე პირველი გასრიალებით.

საოცარია! რა პატარა, სრულიად უმნიშვნელო შტრიხი და დეტალია. მათი ნატეხი, ნაწილაკი, ნამსხვრევი. და მაინც, აგერ, სამოცდათორმეტს გადაცილებულს, გუშინდელ დღესავით მახსოვს, ყოველთვის მაგონდებოდა და ყოველთვის მავსებდა ტკბილი, სათუთი გრძნობებით.

ვალენტინა ძველაიავ! პირველო მასწავლებელო! გონებრივი წრთობის პირველ აკვანთან სულის მანათებლად ბედად მოვლენილო!

განა არ ვიცი, საკლასო მაგიდასთან ახლოს, პირველ მერხზე რომ წამომასკუპეთ, თქვენი ალღოს ნაყოფი იყო. უკანა მერხებში ხომ მართლაც ჩავიკარგებოდი?! წიგნის პირველი გვერდი რომ გადამიშალეთ და სწორად დაჯდომის წესი მასწავლეთ — ზურგით გასწორდი, მკერდი გამართე, თავი დახარე და წიგნს ისე უყურეო, განა არ ვიცი, გევალებოდათ ახე მიგემართათ ყველასათვის, მაგრამ მე რომ

გამორჩევით, იღლიებში ხელების ამოდებით ცოტა მაღლა რომ ამწიეთ და ისე დამსვით როგორც მკარნახობდით?!

აი, ეს იყო თითოეული ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომის, მის ფსიქიკაში უშუალოდ წვდომის — იმდროინდელი პედაგოგიკის სწორი დევიზის — კონკრეტული და ნათელი გამოხატულება. გჩონდათ თქვენ რაიმე წარმოდგენა მაშინ მოწაფეთა და მასწავლებელთა ურთიერთდამოკიდებულების ნაცვლად ცნებათა ახალ ვარიაციაზე, პრესაში მცდარად პროპაგანდირებულ ე. წ. ახალ მოძღვრებაზე? არა, თვითონ თქვენი პედაგოგიური ტაქტი, ალღო, წვდომის უნარი და ინტუიცია! — ეს იყო, ეს არის და ეს იქნება ჰეშმარიტი პედაგოგის ხელოვნების საზომი კრიტერიუმი მუდამ. მე თქვენ ამ კრიტერიუმის სიმაღლიდან გიმზერთ და ჩემს ხსოვნაში ჩარჩით, როგორც ვარდის ის პირველი ცვარი, ჟრუანტელის მომგვრელად რომ მეპკურებოდა ხელებზე.

ასეთად მახსოვს თქვენი ის პირველი გაკვეთილი — აი ია-ს, ა და ი ასოს გაცნობა-შესწავლას რომ მიეძღვნა. იაკობ გოგებაშვილის სახელიც თქვენ გაგვაცანით, თქვენ შეგვაყვარეთ და თქვენ გაგვახარეთ მისი აზრების მისაწვდომი, მისახვედრი ახსნით. დედაენის სახელმძღვანელოში მოთავსებული სურათებიდან, მათი მკაფიო გამოსახულებით, ჩემი სოფლის ბუნება, მისი ცოცხალი სინამდვილე შემოშმცქეროდა თითქოს. ბაყაყი — სოფლის მთავარი „მშვენება“, კოლორიტული ატრიბუტი, ყიყინის „მუსიკით“ სულს რომ გვიმწარებდა, ზუსტად ისეთივე ეხატა, როგორსაც ყოველდღე ვხედავდი გუბეში, მიწაზე, ხეზე. ძროხაც, ტოროლაც, სიმინდის ღერიც. ასოები ბგერებად იკინძებოდა, მარცვლები — სიტყვებად, ფრაზები — წინადადებებად და აზრებად და ქართული ენის გაკვეთილებზე ამ გზით ვმაღლდებოდით და ვმდიდრდებოდით.

მახსოვს, სასწავლო წლის მიწურული იყო. მცირე, ერთი თუ ორსტროფიანი ლექსების წაკითხვის, დასწავლის და ზეპირად წარმოთქმის „პროცედურები“ დაგვეწყო. აი, აქ გამოვიჩინე თითქოს ის რაღაც, რითაც თქვენი ყურადღება და ნანატრი შექება დავიმსახურე. უფრო მეტი — კალთაში ჩაჯდომაც და შუბლზე კოცნაც. ო, რა ძვირფასი იყო ის დღე და ის განცდა ჩემი ცხოვრების საწყისი ეტაპისათვის, ის შორეული, დაბინდული, დაუვიწყარი დღე!

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — ეს ორი სიტყვა ულასის გასძგონად გაისმა

და ლოყებგაწითლებულს მეჩვენებოდა, თითქოს სიხარულის ცრემლები მხოლოდ ჩემ თავზე ცვიოდა.

— აბა, ვინ მეტყვის ლექსს ზეპირად? — იკითხა საშინაო დავალების შესამოწმებლად ერთხელ ვალენტინა მასწავლებელმა. თითები აქა-იქ შეირხა, მოწაფეთა თაკებს და მხრებშუა ისევ გაუჩინარდა. ჩემი მაღლა აწეული ორი თითი და „მე მასწ... მე მასწ...“ დაინახა და გაიგონა თუ არა, ვალენტინა მასწავლებელმა უმალ გამომიძახა კლასის წინ დასადგომად. წამოვხტი უცებ, დავდექი საკლასო მაგიდის კიდესთან ზურგით დაფისკენ და მარჯვენა ხელის ალმართვით დავიწყე:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.
იკურთხოს იმის მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

სიტყვაზე „იმის“ ხელი ძალაუნებურად უფრო მტკიცედ გავიქნიე, რადგან თითქოსდა ვგრძნობდი ვიღაცისადმი მიმართვის საჭიროებას, თვით ლექსის „სუნთქვას“.

სწორედ ამის შეგრძნებაში იყო ჩაქსოვილი ვალენტინა მასწავლებლის გულთმისნობის საიდუმლოება. სიტყვებიც „ყოჩაღ, ყოჩაღ“ სწორედ აქედან მრდიოდა. მაგრამ სტროფის წარმოთქმასთან ერთად მასწავლებელი ითხოვდა მისი აზრის ამოხსნას.

— რა არის ჯეჯილი? — მოულოდნელად ჰკითხა მან კლასს. ყველა გაინაბა, გასუსუნდა.

— სიმინდი, მასწავლებელო. — წამოიძახა ერთმა.

— ბალახი, მასწავლებელო. — დაუმატა მეორემ. მაგრამ ეტყობოდა, არ მოსწონდა პასუხები. მე ვდუმდი.

— რას ნიშნავს სიტყვა „დაპურდი“. აბა, დაუკვირდით?

დუმილი და ჩურჩული გრძელდებოდა. პური ჩვენს სოფელში არც ცხვებოდა და არც იყიდებოდა. მისი გემო მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა მოგვიანებით მამამ აბაშიდან ჩამოგვიტანა. ორი გოგორა იყო. საამო, მათრობელა სუნი ჰქონდა. ხელს რომ დააჭერდი, ბამბასავით იფშუტებოდა. ხორბალი ხომ საერთოდ არ ითესებოდა აქ. მაშ, „დაპურდის“ აზრი საიდან უნდა გეცოდნოდა. ან მისი წარმოქმნის გზა და საშუალება. ხომ გვაქვს სიტყვები: „დავაკაცდა“, „დაქალდა“, „დამწიფდა“, ხომ ვარკვევთ მათ ძირსა და ფუძეს, მა-

წარმოებელ სუფიქსებს და პრეფიქსებს. განა ვალენტინა მასწავლებელმა არ იცოდა, რომ ასეთი რთული ენობრივი ფორმების ახსნა და განმარტება ნაადრევი იყო ჩვენი ასაკისა და გონებრივი განვითარების დონისათვის? მაგრამ მან იცოდა ერთი რამ: სიტყვის მნიშვნელობის ელემენტარულად ამოზსნის აუცილებლობა მომდევნო სიტყვებთან კავშირში — დიდაქტიკის ქვაკუთხედი.

და მართლაც, საკმარისი იყო მომდევნო ორ სიტყვასთან — „გახდი ყანაო“ „დაპურდის“ აზრობრივ სიახლოვეზე ოდნავი დაკვირვება, ტვინის ოდნავი გაფაციცება, რომ მასწავლებლის მოთხოვნის სისწორე გეგრძნო. ეს არ იყო ძალდატანება, არც თამაშის მსგავსი რამ. ეს იყო უბრალოდ ბავშვის მძიმარე გონების გაღვიძების, მისი გამოცოცხლების და გავარჯიშების, თვით ძიების და თვით მიგნების, ლექსიკური მარაგის გამდიდრების ის საინტერესო ცდა, რომლისკენ, როგორც გამოცდილების დაუშრეტელი წიაღისაკენ, ზოგჯერ მიხედვა და მიბრუნება სასარგებლო იქნებოდა დაწყებითი კლასების თანამედროვე ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის. ამიტომაც ვამახვილებ ყურადღებას ასეთ „წვრილმანზე“.

— რისკენ მოუწოდებს პოეტი ჯეჯილს? — შეცვალა შეკითხვის ფორმა და აქცენტი მასწავლებელმა, როცა შეატყო, „დაპურდი“ გაუგებარი იყო.

— გაზრდისაკენ. — უცებ ერთხმად „იფეთქა“ პასუხმა, — იზარდე, გაიზარდეო.

— მაშ, რა ყოფილა ჯეჯილი? — ჩაეძია მასწავლებელი.

— სიმინდის მწვანე მინდორი, მასწ. — დაიძახა ყოველად წყალწაღებულმა ხუტა თაფლაძემ. სიცილი და კისკისი ატყდა კლასში. ვალენტინა მასწავლებელი ამით არც გამწყრალა და არც დაბნეულა.

კლასის წინაშე განაბულად მდგომს მომეჩვენა, რომ ხუტა, რომორც ყოველთვის, ხელს უშლიდა მასწავლებელს თავისი უადგილო წამოძახილებით. ვისარგებლე მისი ბოლო სიტყვით და ვთქვი ცოტა იკიბო-ბიკიბოდ:

— მინდორზე ამოსული ხორბლის ნორჩი ღერები ჯეჯილია, მასწ... ჯეჯილი უნდა გაიზარდოს, რომ დამწიფდეს, ყანად იქცეს, რომ იმის ნაყოფით გაიხაროს, ვინც დათესა იმ კაცის მარჯვენამ.

მასწავლებელმა ღიმილით შემომხედა, მხარზე ხელი დამადო და შექებით მითხრა: — სწორია! და მერე თვითონ განაგრძო საკითხის ინტერპრეტაცია:

— დაპურდი ან დამწიფდი ერთნაირი აზრის სიტყვებია. პოეტი აღტაცებით მიმართავს ჯეჯილს: — მალე გაიზარდე, დამწიფდი, პურად იქეცი და ყანად გახდიო. პურის ახალმოსული ნორჩი ბუჩქებით დაფარულ მინდორს ჯეჯილი ეწოდება. ხორბლის თესლისაგან მიღებული პური აღმოსავლეთ საქართველოში — ქართლსა და კახეთში ფართოდ გავრცელებული ისეთივე საკვებია, როგორიც თქვენ სოფელში და მთელ დასავლეთ საქართველოში სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარი მჭადი. ჩვენში სიმინდის ყანებია, იქ კი — პურის. აქაც და იქაც გლეხის მარჯვენა, შრომა და გარჯაა კარგი მოსავლის საფუძველი. წინათ გლეხს მიწა არ ჰქონდა. მებატონეებისა და მემამულეებისაგან უნდა აეღოთ, ახლა კი უსასყიდლოდ გადაეცათ და თვითონ გახდნენ საკუთარი მიწის ბატონ-პატრონები. — გვითხრა მასწავლებელმა და ზარიც დაირეკა.

საიდან იყო ვალენტინა მასწავლებელი ჩამოსული, მაშინ, აბა, ვინ გვეტყოდა! მეორე სასწავლო წელს არ დაბრუნებულა, მაგრამ ახლა იმ დროის მისი ცხოვრების პირობებს რომ ვიხსენებ (სკოლის ერთ პატარა ოთახში ჰქონდა ბინა, საჭმელს თვითონ იმზადებდა), ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: რაოდენი თავგამოდება, შინაგანი მოწოდება და სწავლა-აღზრდის სიყვარული უნდა ჰქონოდა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ბედის მომლოდინე სენაკელ ქალიშვილს, მიეტოვებინა თავისი არე-მარე, ჩაეხშო თავისი პირადი გრძნობები და რაღაც მცირე გასამრჯელოსათვის ჩამოსულიყო მიყრუებულ სოფელში. ის იყო ხალხის სამსახურისათვის უმწიკვლო და უანგარო მუშაკთა იმ პირველი თაობის ერთ-ერთი უწყინარი წარმომადგენელი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ახალი სკოლის მშენებლობის ადრეულ ეტაპზე ქვეყნად კულტურული რევოლუციის პოლიტიკის განხორციელების საქმეში. ეს რევოლუცია ჩვენგან, პატარებისგან, მოზარდებისგან იწყებოდა და თანდათან ედებოდა უფრო ხნიერ, წერაკითხვის სრულიად უცოდინარ, ხანდაზმულთა თაობებს.

ჩამოსულთაგან მეორე, ვინც ადრეული ასაკიდან აღიბეჭდა ჩემს მახსოვრობაში, იყო ბიოლოგიის მასწავლებელი ავქსენტი გვასალია. იგი მეტხანს, ორი თუ სამი წელი ცხოვრობდა სოფელში. მდგმურად იდგა იმ სახლში, რომლის აივნის ორ ბოძს შორის გაკრული იყო ერთი არშინის სიგანის გრძელი შავი ლენტი, რომელზედაც მსხვილი ასოებით ეწერა: „დავსტირით ანტიფოს". ეს იყო კოჩა შეროზიას ოჯახი, სკოლიდან რვა მოსახლით მოცილებული, გამორჩეული კარ-

მიდამოთი. ჯერ კიდევ გამოგლოვილი არ იყო მისი ერთადერთი ვაჟიშვილის ტრაგიკული სიკვდილი, რომლის შესახებ ზემოთ მქონდა საუბარი, ექვსი ქალიშვილიდან ოთხი გათხოვილი იყო აბაშასა, სენაკსა და ფოთში, ხოლო ორი — შუშანა და ლენა — იმჟამად სკოლის მოწაფე იყო. ორივემ სირიაჩქონის შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში. ძმის მიბაძვით აქტიური კომკავშირლები და თავიანთი სოფლის მასწავლებლები გახდნენ.

კოჩა ჭკუის საკითხავი, სამაგალითო მეურნე და საუკეთესო დურგალი გლეხი კაცი იყო. ტანად დაბალი, ზურგში ოდნავ მოხრილი, თეთრწვერულვაშიანი, თავზე ტილოს ქუდით და წელზე გაჩრილი წალდით თავისებურ ფიგურას წარმოადგენდა. სახელით და პატივისცემით სარგებლობდა ხალხში. იგი როდი ჰგავდა ჩურჩუტა ალექსის, უსაქმურობით გამოლენჩებულ მოხუცს, რომელსაც უკან დავსდევდით ბავშვები ძველი ამბების მოსასმენად. ალექსი კოჩასთან შედარებით მაღალი იყო. ყოველთვის წელზე ებჯინა ცალი ხელი, ზურგი, თავი და კისერი უკან ჰქონდა გადაზნექილი, ქვედა ტუჩი ჩამოგდებული, გადმობრუნებული ჰქონდა და ლაპარაკის დროს პირდაბჩენილს ნერწყვი ჩამოსდიოდა. მჭადის ნატეხებს არ თაკილობდა და ყველის ნაჭერსაც თუ დავუმატებდით, დიდად შეგვაქებდა, რაღაც უთავბოლო ზღაპრებს და უაზრო ამბებს მოგვიყვებოდა. „მე რომ თქვენი ხნისა ვიყავი". — ასე იცოდა ამბის დაწყება. დიდი ჯოხით ხელში არშინის სიგრძე ნაბიჯებს დგამდა, ილუკმებოდა და ჩვენ, მის გარშემო შეჯგუფებულნი, გვერდით მივყვებოდით ერთი ხის საჩრდილობლიდან მეორემდე, იმისდა მიხედვით, თუ საით-კენ გადაიხრებოდა მზე.

კოჩას კი ვინ ნახავდა გზაზე უსაქმოდ გამოსულს ან როყიოდ მოლაპარაკეს. პირში მთქმელი, მართალი და გულალალი კაცი იყო. შაბათ-კვირას თუ გამოჩნდებოდა კოოპერატივში ნავთის ან მარილის საყიდლად. ამინდის გამოცნობის ოსტატი იყო, მოუტევდა მარცხენა თვალს, მარჯვენა ხელს წარბების ზემოთ შუბლზე მიიდებდა, გაიხედავდა ცისკენ, თავს ნელა გადახრიდა ღრუბლების მოძრაობის მიმართულებით, მათ ფერებს აკვირდებოდა მზის გამოჩენის თუ დაფარვის წუთებში და დინჯად იტყოდა: „ზენა ქარი წამოვა", ან „იწვიმებს", ან „ტაროსი იქნება". და არ შეიძლებოდა არ გამართლებუ-

ლიყო. ამ ორი მოხუცის გარეგნული კოლორიტული ფიგურები სავსებით შეეფარდებოდა მათ შინაგან კონტრასტულ ხასიათებს და იმთავითვე ჰქმნიდა ჩემს წარმოდგენაში მარტივ შეხედულებებს ადამიანთა სხვადასხვანაირ კატეგორიებზე, მათ მიდრეკილებებსა და თვისებებზე, მათდამი დამოკიდებულების ფორმებზე.

სოფლიდან გამოყოლილმა დაკვირვების ასეთმა მცირედმა ნიშნებმა შემდგომში ხელი შემიწყვეს შემემუშავებინა საკუთარი ურყევი თვალსაზრისი პიროვნებათა შორის ურთიერთობის დასამყარებლად. ამით შევიძინე უდიდესი სიმდიდრე — სიახლოვე, სითბო, ნდობა და სიყვარული ყველა კეთილი, პატიოსანი, საქმის და საგნის მოყვარული ადამიანისადმი. დაკვირვება ხომ თავისთავად შემეცნების „აღუსებელ საწყაულად“ ითვლება. ამიტომაც ჩვენ ყველანი ბავშვობიდან ფიზიოლოგიური გაგებით მოვდივართ, როგორც ალექსი და კოჩა, მაგრამ გნოსეოლოგიურად იმ ბედნიერი დროიდან, როცა მეხსიერების დაუწერელ დაფაზე შთაბეჭდილებათა პირველი ანაბეჭდები გაჩნდა. აქედან იწყება ფიზიოლოგიურის და ფსიქიკურის ურთიერთშერწყმის ის გზა, რომელსაც რაიმე მნიშვნელოვნის შექმნის, ცოდნისა და განათლების ტაძრისკენ მივყვეართ. კაცობრიობის ბავშვობის მთელი ისტორიაც ამ პრინციპის დადასტურებაა.

ბუნების თავისებური მესაიდუმლის ოჯახში ბიოლოგიის მასწავლებლის მდგმურად ყოფნა ჩვენ, იმჟამად მე-5—6 კლასის მოწაფეებს, რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად მიგვაჩნდა. ავქსენტი მასწავლებლისადმი განსაკუთრებული რიდით და პატივისცემით ვიყავით განმსჭვალული. ის თვითონ იმსახურებდა ყოველივე ამას თავისი უბრალოებით, საგნის ცოდნით და საქმის სიყვარულით. რასაც გვიხსნიდა, გასაგებად და საფუძვლიანად, რასაც გვიჩვენებდა, თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, რასაც აკეთებდა, მთელი გულით, მთელი მონდომებით და მთელი არსებით. ყოველთვის შემოჰქონდა გაკვეთილზე დაკეცილი ქაღალდები იმისდა მიხედვით, თუ რა საგანზე ატარებდა გაკვეთილს — ბოტანიკიდან თუ ზოოლოგიიდან, გახსნიდა ერთ-ერთ მათგანს, დაფაზე გააკრავდა და ჯოხით გვიჩვენებდა ასახსნელ ობიექტს. ცხოველის თუ მცენარის სურათი საუცხოოდ იყო აღბეჭდილი ტილოზე. საერთოდ, თვალსაჩინოების მაშინდელი საილუსტრაციო მასალები, თვით საკლასო დაფა და ცარციც კი მაღალი ხარისხის იყო. ავქსენტი მასწავლებლისგან მახსოვს ორგანიზმის განვითარებისათვის ჟანგბადის და ნახშირორჟანგის ბუ-

ნებაში რეგლამენტირების წესები, პირადი ჰიგიენის დაცვის ელემენტარული მოთხოვნები, ნიადაგში ნივთიერებათა ცვლის პროცესების ზოგიერთი კანონზომიერება.

ეს უკანასკნელი ზოგჯერ საეჭვო ფიქრს გამოიჩენდა ჩვენი ეზოს საერთო ჰიდან წყლის დალევის დროს. ვედროში ქვიშა რჩებოდა. სასაფლაო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შუკის მეორე მხარეს იყო, ღობიდან 8—10 ნაბიჯზე. მეჩვენებოდა, ამ ქვიშაში ერია მიცვალებულთა გახრწნის შედეგად წარმოშობილი ახალი ნივთიერებანი. ერთხელ გავამხილე კიდეც ეს იდუმალი აზრი. — სუ, არსად წამოგცდეს, ნანა, მასწავლებელს გადაურევიაო, იტყვიან. — მითხრა დედამ. იმდენად მიყვარდა ბიოლოგიის მასწავლებელი, აქამდე მართლაც პირიდან არ ამომსვლია მსგავსი რამ. ის გაურბოდა აბსტრაქტულობას. პრაგმატიზმი — აი, მისი ძირითადი მრწამსი. არ ეზარებოდა ხელის ჩაყოფა სხვადასხვა გამანაყოფიერებელ ხსნარებში, ნარგაევების ძირების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან, ვედროს ნასერეტებიანი ყელისაგან მცენარეულობის მორწყვა.

ყოველივე ეს გადამდებად მოქმედებდა ჩვენს ზრდა-განვითარებაზე, გვაჩვევდა წესრიგს, შრომას და შინაგან დისციპლინას, ვბაძავდით მის ყოველ ნაბიჯს და ვოცნებობდით აგრონომობაზე. მაგრამ ეს იყო იმ პერიოდის ფიქრი და ოცნება, როცა ყოველი ბავშვური გატაცება სწრაფწარმავალი და ცვალებადია, როცა ჯერ კიდევ იგი მოკლებულია სათანადო სიმყარეს, სიმტკიცეს და ერთიან მიზანდასახულობას.

სკოლის დიდი ეზოს უკანა მხარეში სულ მალე მასწავლებლის ხელმძღვანელობით გაშენდა საუკეთესო ბაღი-ბაღჩა, სადაც კოლხური ჯიშის ყოველნაირი ნარგავი, ხეხილი და ბოსტნეული იყო გაშენებული. ნაკვეთები კვლებად იყო დაყოფილი და თითოეულ უბანზე ცალკეული კლასი იყო გაპიროვნებული. მიწაში ჩასობილ ჯოხზე გაკრული ფირფიტა იუწყებოდა: „მეხუთე კლასის საცდელი ნაკვეთი“ ან „მეექვსე კლასის საცდელი ნაკვეთი“. ან კიდევ: „ვაშლის ბაღი“, „მანდარინის და ლიმონის ბაღი“, „ზაფრანის, ჭინძის, ხახვის და კარტოფილის ნაკვეთი“ და ა. შ. განა ბაღი და ნაკვეთი ჰექტრობით იზომებოდა. თითოეულს მცირე ზოლი ეჭირა, მაგრამ იმდენად მრავალფეროვანი და მრავალსახოვანი იყო, მთლიანად კარგა მოზრდილი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი. გვეთესა სიმინდიც, ლობიოც,

კვახიც, სოიაც. შემოდგომაზე მათი მოკრეფის, ჩალის კონებად შეკვრის და პატარა ზვინის დადგმის წესებსაც ვსწავლობდით.

ყველაფერი ეს თითოეული მოწაფის ოჯახში ჩვეულებრივი გარჯის საგანი იყო. მაგრამ აქსენტი მასწავლებლისაგან ჩვენ ვსწავლობდით ამ ჩვეულებრივი საქმიანობის არაჩვეულებრივად შესრულების ხელოვნებას. პოეზია ხომ სხვა არაფერია, თუ არადა ჩვეულებრივი აზრის არაჩვეულებრივად გამოხატვა. „საღამო დადგა", „შეღამდა" ან „დაღამდას" აზრია ჩაქსოვილი ილიას და ვაჟას ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ სიტყვათა კონსტრუქციაში. 1. „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეფარა". 2. „მზემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები". ჩვეულებრივ პროზაულს არაჩვეულებრივი პოეტური შეენაცვლა და ბუნების მშვენიერებაც ამაღლებულად წარმოჩნდა.

ჩვენც მიწის გეგმიანად დამუშავების თეორიასთან ერთად მისი პრაქტიკული გამოყენების ახალ, უფრო ზუსტად — ახლებურ გზებს ვეუფლებოდით და ამით სწავლის ყოველი პროცესი სასარგებლო ჩვევების აღზრდის და გამომუშავების პროცესიც იყო. არავითარი საგანგებო სააგიტაციო საუბრები არ ტარდებოდა შრომის მნიშვნელობაზე. საცდელ ნაკვეთზე თვით გონიერული ფიზიკური შრომა, სასოფლო-სამეურნეო იარაღებით: ბარი, თოხი, ფოცხი, ნამგალი, ფიწალი და სხვ., სარგებლობა და მათი დანიშნულების გაგება-შეცნობა მათივე გამოყენების გზით — აი, ის ძირითადი ფორმები, რითაც ხორციელდებოდა მწარმოებლურ შრომასთან სწავლა-აღზრდის შეერთების დასახული მიზნები და ამოცანები. გადამწყვეტი მასწავლებლის პირადი მაგალითი იყო, მისი ზრუნვა, პროფესიონალიზმი, მისი დიდი პასუხისმგებლობა მოვალეობის წინაშე.

მოვალეობის შეგნება იყო ის მთავარი კვალი, რომელიც გაელო ჩემი ცხოვრების პირველ ხნულში აქსენტი გვასალიამ. არასოდეს მიღალატია მოწაფეობაში მისგან ჩანერგილი წესისათვის. მკრეხელობად მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია ქადაგება თუ მოწოდება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების აუცილებლობაზე. იგი ჩვეულად უნდა ყალიბდებოდეს ადრიდანვე, საკლასო-საგაკვეთილო დავალების მოწაფისათვის უპირველესი მოვალეობის პირნათლად შესრულების მოთხოვნიდან და ამ გზით იქცეოდეს პიროვნების მაორგანიზებელ, საზოგადოებაში მისი ადგილის განმსაზღვრელ სისტემად. ამას გვიჩვენებს კულტურული ერების ისტორიული გამოცდი-

ლება. მის შემოქმედებით გამოყენებაშია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ უდიდესი მნიშვნელობა. ქართული საბჭოური სკოლის პირველ სტადიაზე თვალნათლივ იგრძნობოდა სიახლოვე წარსულის ამ ძვირფას მემკვიდრეობასთან.

აი, ამიტომ მინდა გავიხსენო ხალხური ანდაზა: კარგი ჰქენი, გზად დადევი, გაიელი და წინ დაგხვდება. სიცოცხლეში ჩემს ზემოხსენებულ მასწავლებელს ბევრჯერ დახვედრია წინ მისი საქმეებიდან აღმოცენებული სიკეთის ნერგები, მაგრამ დაისის შემდეგ, მოგონებაში, ადამიანის თუნდაც მცირედი დამსახურების გახსენება სიბნელიდან ისეთ უეცარ გამონათებას ჰგავს, როგორსაც ძველებურ ნაცარ-ღადარში გადანახული ნაპერწკალი აჩენდა სოფლის ყოველი გლეხის ოჯახში განთიადიდან განთიადამდე. ასეთი გახსენება შთამომავლობას სჭირდება ტრადიციის აღდგენისა და გაგრძელებისათვის.

ცხადია, ორი მასწავლებლის გახსენებით არ ამოიწურება 20-იან წლებში ჩემ სოფელში მოღვაწე პედაგოგთა საერთო ზოგადი დახასიათება. იყვნენ სხვებიც, მეტ-ნაკლებად კეთილსინდისიერად რომ ასრულებდნენ დაკისრებულ რთულ საქმეს, მაგრამ მათ შორის, როგორც ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში, დროდადრო შეუფერებელნიც გემოერეოდნენ. ზოგი აგდებულად ეკიდებოდა საქმეს, ჩონგური ეჭირა ხელში და „შარლატანობდა“, ზოგი სიმთვრალის გამო იძულებული იყო დაეტოვებინა სკოლა და ა. შ.

სკოლის ეზოს წინა მხარე და გზის გაღმა მინდორი საბურთაოდ და ლახტობანას სათამაშოდ გვქონდა გამოყენებული. ფიზკულტურის საგანგებო მასწავლებელი სკოლას მაშინ არ ჰყავდა, არც თვითმოქმედების რაიმე წრეები იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სოფელს ინტელიგენციის პირველი საკუთარი თაობა წამოეზარდა, თემსაბჭოსთან სამკითხველო გაიხსნა, ხოლო თვით სკოლის გამგედ ღარიბი გლეხის შვილმა ლევან სიჭინავამ დაიწყო მუშაობა, თანდათან სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო, ე. წ. მასობრივი ღონისძიებები სასკოლო ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა. გაჩნდა ტანვარჯიშის თვითნაკეთი ხელსაწყოები, გადასახტომები, სპორტული მოედნის მსგავსი რამ, რაც უეშველად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ამ დროისათვის ვასილ საჯაიას თაოსნობით შექმნილი იყო პიონერული რაზმი, რომელსაც მარიამ ორახელაშვილის სახელი ეწოდა.

ვ. საჯაია მასწავლებელი არ იყო, მაგრამ, როგორც ყველაზე აქტიური და პირველი კომკავშირელი, ჩვენ შორის ტრიალებდა მუდამ და გატაცებით ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებას. 1926 წელს რაზმმა თბილისიდან მიიღო, როგორც მაშინ შეკრებაზე გვითხრეს, საჩუქრები: წითელი ყელსახვევები, დოლი, „ბარაბანი“, ბურთები. პიონერული ფორმების შესაკერი ორი შეკერა ფართლეული. შედგა ოქტომბრელთა და პიონერთა სიები, შეირჩა სადღესასწაულო სიმღერების შემსწავლელი გუნდი, დაიწყო მეცადინეობები საკრაველების წესების ასათვისებლად.

ზეიმით ტარდებოდა ლიტერატურული დილები პირველ მაისობაზე, შვიდი ნოემბრის და 25 თებერვლის დღესასწაულებზე, პარიზის კომუნის თარიღის აღსანიშნავად და სხვა დღეებში. გარეთ, ეზოში მოგროვდებოდნენ უმეტესად თავსაფრიანი, ციებცხელების საწინააღმდეგოდ ზოგჯერ შუბლზე ფხალის ფოთლებწაკრული დედაკაცები, ბავშვები და ძველი შენობის ღია აივნიდან, თითქოსდა სცენიდან, ლექსების კითხვით, ერთმოქმედებიანი პიესის თუ ლიტერატურული მონტაჟის წარმოდგენით გამოდიოდნენ შერჩეული მოწაფეები, სკოლადამთავრებული ახალგაზრდები. ფართოდ გაკიდული იყო ორი ერთმანეთზე გადაბმული ნარმის ზეწარი, რომლის გაწევ-გამოწევა სიცილს იწვევდა ყოჩელთვის. ხან წვრილი თოკი წყდებოდა ქაჩაობით. ხან ფარდა ვერ იწეოდა, ხან მოკარნახის დამალვა ვერ ხერხდებოდა და ერთდროულად ისმოდა მისი და პარიკიანი „მსახიობის“ ლაპარაკი. მაინც ინტერესი დიდი იყო. ხშირად გაისმოდა:

დღეს პირველი მაისია
და პირველი გაზაფხული,
წითელ-ყვითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული.

ან კიდევ:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილია ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ჭვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა...

ან:

გაზაფხულდა. ბუჩქის ძირას
თაეს იწონებს ნაზი ია;
ჩვენს სალხენად ვარდის კოკობს
ეშხით გული გაუღია.

ჩემს „რეპერტუარს“ შეადგენდა „ქორი და წიწილა“. იგი მხიბლაედა და მიზიდავდა არა იმდენად თავისი პოეტური მშვენიერებით, — ამის გაგების არც რაიმე თეორიული საფუძველი და არც რაიმე უნარი მაშინ, ცხადია, არ მქონდა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სოფლური ცხოვრების ყოველდღიურ სინამდვილესთან მისი საოცარი სიახლოვით, გრძნობების აჩუყების და სიბრალულის განცდის იმ პირადული „საიდუმლოს“ გადმოცემით, რასაც ფარულად ვატარებდი. ჩვენსა და სანდრო ბიძიას გაშლილ ეზოებში ახლადგამოჩეკილი წიწილების მთელი „ჯოგი“ გროვა-გროვად დატანტალებდა დედა-ქათმების მეთვალყურეობით. როცა ხან ჩვენსკენ, ხან იქითკენ ორი თუ სამი წიწილა შუა ეზოში საკენკს ცალკე შერჩებოდა და წუთით მოწყდებოდა „თავისიანებს“, ეზოებში არც ძაღლის ყეფა ისმოდა და არც ვინმეს მოძრაობა ილანდებოდა, უცებ, ელვისებური სისწრაფით, საიდანღაც ჩამოიქროლებდა ქორი, დაეცემოდა გულუბრყვილო რომელიმე წიწილას, დაასობდა თავის ბასრ ბრჭყალებს, ამოიდებდა ფრთებქვეშ და გააქანებდა ზეცისკენ.

ჰაერში წიწილის განწირული „კვნესა“, კრუხის „გმინვა“ და „გოდება“, დამფრთხალი წიწილების ქოთქოთი და წივ-წივი გულს მიკლავდა, ვტიროდი პატარაობისას და არავის ვუმხელდი ჩემს „გასაჭირს“. ასეთი „ტრაგიკული სცენები“ ხშირად მეორდებოდა. რა თქმა უნდა, მიხაროდა, როცა დედა კრუხი ქორის დაცემისას ასწრებდა წიწილების ფრთებქვეშ შეფარებას და „მტერთან გამკლავებას“. მაგრამ ასეთი ცალკეული შემთხვევები არ ანელებდა საერთო მძიმე შთაბეჭდილების სიმძაფრეს. ამიტომ, ბუნებრივია, სკოლაში „ქორი და წიწილას“ ზეპირად შესწავლის შემდეგ იგი ჩემთვის მაშინ ყველაზე ახლობელ და საყვარელ ნაწარმოებად იქცა.

და, აი, გამოაცხადებდნენ თუ არა ჩემს სახელსა და გვარს, ავიდოდი მარჯვედ აივანზე, მოვბრუნდებოდი ქვემოთ მდგომი მსმენელებისაკენ და დავიწყებდი მარჯვენა ხელის ვითომდა ცისკენ აწევით:

ქორმა წიწილა წაიღო,
იძახდა „წიავ-წიავსა“,
წიწილას თეთრი ბუმბული
ველად გაჰქონდა ნიავსა.
ისმოდა ბებრის ეზოში
კრუხის ქვითინი მწარეა,

მოსელოდნენ მოკეთენი:
კრუხნი, მამლები, ვარია,
ნათესავები კრუხისა,
მთელი იმისი გვარია.
ცხარე ცრემლს ღვრიდნენ ქათმები,
იდგა გლოვა და ზარია.

მერე ისევ ჩავირბენდი კიბით აივნიდან, ამოვუდგებოდი დედას გვერდით და თავზე მისი ხელის გადასმით თავდებოდა „დაჯილდოების“ რიტუალი.

მიუხედავად კლასიკური მწერლობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების მწვავე პერიოდისა, ასე ინთებოდა დიდი ილიას, სულმნათი აკაკის და ბრძენი ვაჟას მაღალი პოეტური კულტურის მარად ჩაუმქრალი ჩირაღდნის პირველი კელაპტრები ისეთ ჩამორჩენილ სოფელშიც, როგორიც სირიაჩქონი იყო საქართველოში ახალი ხელისუფლების დამყარებამდე. იგი ნელ-ნელა გამოდიოდა საუკუნოვანი „ლითარგიული ძილისგან“, ბნელეთიდან, მკითხაობისა და ცრურწმენის ბურუსიდან. „სურამის ციხის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ვარდუას გასამართლების ლიტერატურული ხერხიც აქეთკენ იყო მიმართული. ბრალმდებელი როსტომ წულუკიძე და დამცველი თამარ პაჭკორია ყოველნაირად ცდილობდნენ გამოემჟღავნებინათ თავიანთი ნაკითხობა, დამოუკიდებელი აზრი და პოზიცია იმდროისათვის აქტუალური პრობლემის — რელიგიის უარყოფის, მკითხაობის დაგმობის და განადგურების მიმართ. ეს სკოლის ძირითად სამოქმედო დევიზად ითვლებოდა.

ამიტომ, რამდენადაც მეშვიდეკლასელი როსტომი ტექსტის მოწველიებით ვარდოს მოქმედებას ულმობლად კიცხავდა, იმდენად მისი პოზიცია მისაღები, მყარი და მტკიცე იყო, რადგან ეფუძნებოდა დრო̀ის მხარდაჭერას, გამოხატავდა მის სულისკვეთებას და იდეოლოგიას. ხოლო პირიქით — მეექვსეკლასელი თამარის ყოველი ცდა დურმიშხანის ღალატში მოეძებნა ვარდუას მკითხაობის გამართლების საიმედო მოტივი, თავიდანვე განწირული იყო და, ცხადია, მოწაფეთა უმრავლესობაშიც თანაგრძნობას ვერ პოულობდა. მაგრამ თავისთავად ასეთ ღონისძიებას მაშინ დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა (შემდგომ ლიტერატურული დისპუტით შეიცვალა).

ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქარ-

თული საბავშვო კლასიკური ლიტერატურიდან სკოლებში შესასწავლად მაშინდელ პროგრამებში გათვალისწინებული ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: რაფიელ ერისთავის „მიპატიჟება სასწავლებელში“, „სესიას ფიქრები“, „ჯერ შრომა, მერე ხტომა“, „კაცი ის არის“, ეკ. გაბაშვილის „ღვინია გადაიჩეხა“, შ. მღვიმელის „შრომის ლუკმა“, „ვედრება შვილებზე“, „მკვეხარა მამალი“, „შოშია“, ნ. ლომოურის „ყინვა და პატარა მოწაფე“, დ. მეგრელის „ჭინაქინი“ და სხვ. დიდაქტიკურად და თემატურად თითქოს საგანგებოდ იყო შერჩეული სოფლელი ბავშვებისათვის, ესალბუნებოდა მათ ინტერესებსა და გულისთქმას, გარემომცველ ყოფით სურათებს, სოციალურ მდგომარეობას და ეროვნული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებთან ერთად უდაოდ დიდ როლს ასრულებდნენ მოზარდი თაობის სწორად აღზრდაში.

პიონერული რაზმის ჩამოყალიბების ერთი წლის შემდეგ პირველად მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაცია ზემოჭალადიდის თემსაბჭოს ცენტრში. საგვიჩიოდან და სირიაჩქონიდან სკოლის მოწაფეებს აქ უნდა მოგვეყარა თავი. ეს იყო სოფლის გარეთ გასვლის პირველი შემთხვევა და დემონსტრაციის პირველი სახეც, რაც არ შემიძლია მოგონების მიღმა დამრჩეს. მზადება ამისთვის იმ დღიდან დაიწყო, როცა მარიამ ორხელაშვილის მიერ გამოგზავნილი ფართლეულისგან მოკლე შარვლები და თეთრი ბლუზები შეგვიკერეს, წითელი ყელსახვევები დაგვირიგეს, დოლისა და „ბარაბნის“ დაკვრაზე ვარჯიშები დაგვაწყებინეს. გაკვეთილების შემდეგ მე „ბარაბანი“ მეკიდა კისერზე, ჩემზე ცოტა უფროსს — დოლი. მჩატე იყო, ბრტყელი და წრისებური.

მკერდის ქვემოთ, მუცელთან მიდებული „ბარაბნის“ დაჭიმულ ზემო პირზე ორ თავმსხვილა, ფანქრების სიგრძე ჯოხს ვუბათქუნებდი და დოლზე უფრო ნაზ ხმას გამოსცემდა. მაგრამ ეს ხმა სამწყობრო-საზეიმო ხმებზე უნდა ყოფილიყო შეხამებული, ხოლო თავის მხრივ სიმღერები — დოლის ბრახუნზე. საბოლოოდ ორივე — დოლი და „ბარაბანი“ რაზმის წევრთა მოძრაობის მომწერსიგებლის ფუნქციას ასრულებდა. ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... ჯოხების დაკვრა და ინსტრუმენტთა ხმაც მოძრაობის რიტმს უნდა დამორჩილებოდა, შეწყობოდა და შეგუებოდა. ეს სალაპარაკოდ არის ახლა ადვილი. მაშინ კი ძნელად ასათვისებელი აღმოჩნდა ჩვენთვის, ხოლო თვით გამართული, სწორი სიარული სხვა ბავშვებისათვის,

რადგან ფხვიერი, ზოგჯერ წახნაგობრივი მიწა ამის საშუალებას ყოველთვის არ იძლეოდა.

და, აი, სათანადო ვარჯიშების და შემზადების შემდეგ სკოლის ეზოდან 1927 წლის პირველ მაისს გაეედით რაზმებად დაწყობილნი. წინ მედოლე და „მებარაბნე" ჩაგვაყენეს. სასოფლო გზაზე ბორნისაკენ ჩვენს მოძრაობას სიხარულით ადევნებდნენ თვალს ჰიშკრებზე მომდგარი ქალები თავიანთი არა სასკოლო ასაკის და ხელზე აყვანილი მცირეწლოვანი ბავშვებით. ჩვენი სამარშო სვლა ხმაურიანი იყო. იგი აცოცხლებდა სოფელს, მოსავდა უჩვეულო ელფერით და თუ ყოველივე ამას ახალ, მანამდე გაუგონარ, ომახიან და ოპტიმისტურ სიმღერას დავურთავთ, ლექსის თუნდაც ერთი სტრიფით —

ჩვენ ვართ პიონერები,
მუშის და გლეხის შვილები.
თავისუფლების დროშებით
მივდივართ დარაზმულები. —

მაშინ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რაოდენ რადიკალური, ძირეული ხასიათის სულიერი გარდატეხა ხდებოდა სოფლად, როგორ დგებოდა იგი ახლებურ, მანამდე უცნობ გზაზე.

არ ვიცი, სწორად მეკიდა თუ არა „ბარაბანი", ან ჯოხებით სწორად ვუკრავდი თუ არა, ის კი მახსოვს, გზაზე თავაწეული მივაბიჯებდი, თითქოს ნაპოლეონი ვყოფილიყავი, სიმღერებს ფეხებს ვუწყობდი და ბორნამდე დარჩენილ მანძილს რიონის კალაპოტის მისედვით ეზომავდი. იგი იკლაკნებოდა. განიერი, ფართო მეჩვენებოდა, ვიდრე ჩვენი ეზოდან. ხან გაღმით იყო გაწეული და საურმე გზაც ნაპირს ახლო მისდევდა, ხან გამოღმით შემოწეული და ნაპირსაც გზა სცილდებოდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, სად იკეთებდა ხაბოს და სად ჭალას. საშიშროებას ჰქმნიდა ხაბოიანი ნაპირი. მორღვეული მიწის არეში არ უნდა მოჰხვედრილიყავით. ამიტომ ვასილ საჯაია, სკოლის გამგე და ორიოდე მასწავლებელი ნაპირის მხარეს მოგვსდევდნენ, ახლო არ გვიშვებდნენ და სწორ მიმართულებას გვიჩვენებდნენ.

რაზმის უკანა რიგებიდან ზოგჯერ ბავშვები მალულად უხვევდნენ, ხაბოს მიჰყვებოდნენ და წყალში წკნელებს აგდებდნენ, რომ დინებისათვის გაესწროთ. ხაბოს მღრღნელი ტალღები ჯერ ბზარებს აჩენდა ნაპირთან, მერე მოშლიდა მიწას და წყალში სძირავდა ვე-

ებერთელა ნაჭერს. სწორედ ასეთ ნაჭერზე დაედგათ შეუმჩნეველად ფეხი რაზმის რიგებიდან უნებართვოდ გამოსულ პიონერრებს ბიბილო გელოზიას და ლადო ბელქანიას — კომუჯრედის მდივნის თედო ბელქანიას შვილს. სანამ მიუსწრებდნენ ყვირილზე, ორივენი ჩავარდნენ ნაპრალში. მოძრაობა მყისვე შეჩერდა, ვასილმა, სკოლის გამგემ და მასწავლებლებმა უმალ გაქუსლეს იქითკენ, დაინახეს ჯერ კიდევ ახალ ჩაშვავებულ ბელტებზე შემდგარი ბიჭები, რომლებიც წუთი და... ჩაიხრჩობოდნენ რიონში. დაავლეს სწრაფად ხელები და ამოიყვანეს მაღლა. ორივენი შიშისაგან ფერწასულნი იყვნენ. ძლივს მოვიდნენ გონს. დატუქსვის და გაკიცხვის შემდეგ კვლავ ჩააყენეს რიგებში.

აქ საჭიროა ბიბილო გელოზიაზე გაკვრით ითქვას ორიოდე შტრიხით იმიტომ, რომ მას ჩვენ კვლავ შევხვდებით ომის შემდგომი პერიოდის მოგონებათა ფურცლებზე. იგი ცელქი, ეშმაკზე ეშმაკი იყო, თანატოლებს არ ჰგავდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მრავალშვილიანი ოჯახის მამას პატარაობიდან იგი გასაზრდელად და ხელზე მოსამსახურედ მიბარებული ჰყავდა ბათუმში ერთ ვაჭართან. გასაბჭოების შემდეგ ჩამოიყვანეს იქიდან. თან მოჰყვა ქალაქური „ზნე“ და „ჩვეულებები“. რუსული საგინებელი სიტყვები, კინტოური ქცევები და მანერები. ასაკით ჩვენზე უფროსი იყო და ლადოსთან ამხანაგობდა. ბევრი ასეთი უკუღმართობის მომფიქრებელი და „შემოქმედი“ იყო და იმ დღეს დანიშნულების ადგილზე ჩვენი დაგვიანებით მისვლის მიზეზიც.

აჰა, მივადექით მებორნის ჯიხურსაც და ბორანსაც. ფრთხილად ავედით მის ე. წ. „ლიანდაგზე“. ბორანი თითქოსდა რკინის მავთულის „ძრავით“ და ტრიალა ანძით გემივით წინ და უკან კი არ მიდიოდა, არამედ გვერდულად, ნაპირიდან ნაპირისაკენ. ვუცქეროდით თავშიშველ, თმებაბურძგნილ და ნიჩაბზე ხელებჩაბღუჯულ მებორნეს და ვგრძნობდით, რომ რაღაც დიდი საქმისკენ მივიჩქაროდით. ბორანი სწრაფად მიადგა ნაპირს. ხაბოს საურმე ასასვლელი რომ ავირბინეთ, კვლავ დავეწყვეთ ჰადრის ქვეშ რაზმებად და ასე — სიმღერით და დოლ-„ბარაბნის“ ხმაურით შევედით თემსაბჭოს კანცელარიის ეზოში.

გამოღმა საგვიჩიოს (გაღმა საგვიჩიო ქვემოჭალადიდში შედიოდა) და მუხურის დაწყებითი სკოლის მოწაფეებთან ერთად აქ უკვე მოგროვილები იყვნენ სამი სოფლის აქტივისტები, მესვეურები,

კომუჯრედის წევრები, კომკავშირელები, ახლო-მახლო მოსახლეობა. მოედანი საცე იყო ხალხით. კანცელარიის სამოთახიანი შენობის რიკულებიან აივანს კიბე შუაადგილას ჰქონდა მიდგმული. აივანზე მდგომ რამდენიმე კაცს ვასილიც შეუერთდა და მისვლისთანავე ერთმანეთს რაღაცაზე ცხარედ ესაუბრებოდნენ, ხან ჩვენსკენ გამოიხედავდნენ და ხელებს იშვერდნენ. დილით მოწმენდილ ცას ღრუბლები ჩამოეკიდა. გაისმა საყვირის ხმა. ლაპარაკი და ჩოჩქოლი მიწყდა. მოაჯირზე გადმოდგა ერთი იმათთაგანი, ვინც ცხარედ საუბრობდა. გალიფე და მაუზერი ტანზე კოხტად ჰქონდა მორგებული. პირისახეზე და გრუზა ქოჩორზე ხშირად ისვამდა ხელს. გასაბჭრებული კარგი მამასახლისის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს იყო ზემოჭალადიდის თემსაბჭოს ახალი თავმჯდომარე კირილე[1] გარუჩავა. მან მოგვილოცა პირველი მაისის დღესასწაული, მოკლედ ისაუბრა მის ისტორიაზე, მსოფლიო პროლეტარიატის მიზნებზე, ჩიკაგოს დაჩაგრული მუშებიც გაიხსენა და ბოლოს აწეული ბოხი ხმით თქვა:

— გაუმარჯოს მუშების და გლეხების კავშირს, ვიბრძოლოთ მათი თავისუფლებისა და ინტერესების დაცვისთვის, ფხიზლად ვიდგეთ რევოლუციის სადარაჯოზე.

ტაში დაუკრეს. პროლეტარიატის რა მიზნებზე იყო ლაპარაკი ან თვით პროლეტარიატი ვინ იყო, ამის გაგება და შინაარსი ჩვენ კი არა. ალბათ, თვით მთქმელსაც არ ესმოდა მაშინ. იგი ტრაფარეტულად იმეორებდა გაცვეთილ სიტყვებს. უფროსების მიბაძვით ჩვენც ავაწყეთ ხელების ტყაპუნ-ტყაპუნი. მიუხედავად მიმბაძველობის გარსიდან გამოსვლისა და განსჯის უნარის საგრძნობი ამაღლებისა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ამ დროიდან ტაში ჩემი თაობის ადამიანებისათვის განუშორებელი ატრიბუტი გახდა. განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან ყოველ კრებაზე საპატიო პრეზიდიუმის ერთსულოვანი აპლოდისმენტებით არჩევის დროს. განა შეიძლება მისი ძირი და სათავე დაგავიწყდეს? ეს დღე მეორე მხრივ იყო ჩვენთვის საგულისხმო.

მომხსენებლის გამოსვლას სიტყვები მოჰყვა. ჩვენი სოფლიდან არსენა პაჭკორია გამოვიდა. შავგვრემანი, საშუალო ტანის, შუბლის ზემოთ ჯდნავ მელოტი. ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა. გახსენა ექვსი წლის წინანდელი დრო. მენშევიკებს გლეხებისთვის არაფერი გაუკეთებიათ. ბოლშევიკები აქო. ჩვენს კარგ მომავალს

[1] კირილეს მეორე სახელად იონასაც ეძახდნენ.

გაუმარჯოსო. — თქვა რწმენით სავსემ და მოწაფეებს ბეჯითი სწავლისკენ მოგვიწოდა, ხელი უნებურად ჩვენსკენ გამოიქნია.

აქედან მიეხვედით, შორი გზის გამოვლა საჭირო და აუცილებელი ყოფილა. ამავე დროს ეს იყო სოფლის გამოჩენა თემის თავყრილობაზე, ჩვენი სკოლის მოწაფის მამის დანახვა სიშორიდან უფრო ახლოს, ე. წ. ახალ „ამპლუაში“ — ტრიბუნაზე, მისი ალალი გრძნობა-სურვილის მოწოდებად გამოხატვა, გლეხური სიწრფელის, სიმართლის და სიპატიოსნის ერთგვარი აპოთეოზი.

ამასობაში ზეცა გაშავდა და გაავდა. ქუხილი და გრგვინვა დაიწყო. ქარმა წამოუბერა. ვასილი ჩვენსკენ გამოიქცა, სწრაფად წამოვედით უკან, მაგრამ გვიანღა იყო. გაზაფხულის კოკისპირული წვიმა წამოგვესწრო. მშიერნი და გაწუწულნი დავბრუნდით სახლებში. მეორე დღეს სიცხე მომცა. ვერ ავდექი ლოგინიდან. სკოლა გამიცდა. ხველება დამაწყებინა. დედამ მაშინვე ფერშალი პლატონ გვაზავა მოაყვანინა. ეს იყო სოფლის საპატივცემულო ადამიანის პირველი სტუმრობა ჩვენს ორდა სახლში.

მაშ, პირველი სამოსახლოს პატარა ერთთვალიანი ქოხი მეორე სამოსახლოში 1921 წელს, როგორც აღვნიშნე, ორთვალიანით შეიცვალა, ხოლო 1925 წელს ამას შეემატა სამთვალიანი ოდა თავის ბუსრით. ღარიბთა სიიდან მამა მაშინვე საშუალო გლეხის კატეგორიას მიაკუთვნეს. ეკონომიკური ცვლილება და ამაღლება მართლაც საგრძნობი იყო. მამის მიერ თეკლათში შეძენილი ოდის დაშლილი მასალები ერთ დღეს ჩამოიტანეს მეზობლების ურმებით. კოჩამ და სანდრომ ორ კვირაში ააგეს, ყავრის ახალი სახურავით გადახურეს, სამეზობლოთა სუფრაზე ახალი ფუძე დალოცეს და, ასე და ამრიგად, მესამე სახლში გვიხდებოდა ღამის გათევა. მაგრამ ეს იყო სრულიად განსხვავებული, თანამედროვე გამოთქმით — „კომფორტული“ სახლი.

ჯერ ერთი, იგი იდგა ორთვალიანი სახლის წინა მარცხენა მხარეს, ჭასთან და სანდრო ბიძიას ეზოს სახურგესთან ახლოს დიდი ვაშლის ხის მიდამოში და თავისი სიმაღლით ფარავდა ეზოს ყველა ნაგებობას. კერძოდ, „ქუხნის“ უკან იდგა საქონლის საზამთრო ბინა, იქვე საქათმე ორი განაყოფით — ქვევით იხვების, ბატებისა და ინდაურებისათვის, ცოტა ზევით კი — ქათმებისათვის, რომლებიც დაბალი კიბით შედიოდნენ თავიანთ „სასუფეველში“. ამათ მიყოლებაზე ჯერ ეზოდან ღობით გამოყოფილი ქართა იყო. იქ სასაფლაოსა

და ჩვენს ეზოს შორის ტყისკენ გამავალი შუკიდან ზაფხულობით საქონელი შემოდიოდა საურმე კარით. ქართაში ჩადგმული იყო ექვს ბოძზე დაყრდნობილი დიდი სასიმინდე, მის უკან საღორე და ფეხსალაგი. აი, ეზოს მთელი მაშინდელი „მორთულობა“.

რელიეფის გათვალისწინებით ოდის უკანა კედელი მაღალ ბოკონებზე იდგა, წინა კი იმდენად დაბალზე, რომ აივანზე ასასვლელად კიბის სამი საფეხურის აგება იყო საჭირო. „ქუხნიდან“ ოდაში უკანა მაღალი ხის კიბით ავდიოდით. მაშინვე პატარა ჰოლის მარჯვნივ საკუჭნაო ოთახი იყო, მარცხნივ კი — საწოლი. პირდაპირი კარით სასტუმრო ოთახში ან მაშინდელი გავრცელებული ტერმინით „ზალაში“ შევდიოდით, „ზალიდან“ წინა კარით აივანზე გასასვლელი იყო. აივნიდან ვაშლის ხის ტოტებს ხელით ვწვდებოდით. სანდროს ექვსთვალიან ოდასთან შედარებით ჩვენი ოდა პატარად გამოიყურებოდა, ამიტომაც მას შეძლებულის წოდება ჰქონდა „მინიჭებული“, ჩვენ კი, როგორც აღვნიშნე, სიღარიბიდან საშუალოს დონემდე ავაღწიეთ.

ყველაფერი ეს რეალურ ნივთიერ ფორმებში იყო გამოხატული.

და, აი, პლატონ ფერშალმა, შემოდგა თუ არა წინა კიბით ფეხი აივანზე, დედის შეგებებამდე — ბედნიერება თქვენ ახალ სახლსო, ჩაილაპარაკა თავისთვის. ამასობაში კარებთან დედაც შეხვდა ბოდიშებით და მოკრძალებით: უი, რა ჩქარა მობრძანდით, პატონი, ჭიშკართან უნდა შეგხვედროდით. პატარა ბავშვს ძუძუს ვაწოვებდი და ვერ მოგისწარითო. მაპატიეთ, პატონი, იესო ქრისტემ გაგახარჯოთ და თქვენ იყავით ბედნიერიო.

პლატონ ფერშალი ლოგინთან მომიჯდა. საშუალო ტანის იყო. მსუქანი, სახით ლამაზი. ხის ფონენდოსკოპით გამსინჯა, სიცხე გამიზომა, პირის ღრუში ჩამხედა, მერე მიუბრუნდა დედას და უთხრა: — ფილტვებში ხიხინი აქვს, ბახმარო დასჭირდებაო. მანამდე ადუღებულ რძეში 2-3 კვერცხი მოუხარშეთ. რძე ასეით და თოხლო კვერცხი აჭამეთ. ეს სიცხის დასაწევი წამალი ასეით — ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დადო — ყოველ მესამე დღეს გამოვივლი და დავხედავო. დედამ საპატივცემლოდ საკუჭნაოდან კამეჩის ორი ნაწველი ყველი გამოუტანა და ქაღალდში გახვეული მიართვა. აფთიაქში მივიტანო, უთხრა დედას და ყველი არ წაიღო. ვანოს გაატანა დედამ და სახლში გაუგზავნა იმავე დღესვე.

გაცილებისას პლატონს დედისათვის ეთქვა: სხვა ბავშვებიც გა-

ციქნენ, სკოლის გამგესთან ერთად ვასილსაც საყვედური უთხრეს შორ გზაზე პატარა ბავშვების წაყვანისთვისო. არ ვიცი, ამ ფაქტმა იმოქმედა თუ ეკლესიის დანგრევაში აქტიური მონაწილეობისათვის დედ-მამასთან უკმაყოფილებამ, ვასილ საჯაიამ იმ დროიდან დატოვა სოფელი, თბილისში მუშფაკი დაამთავრა, თიანეთის რაიონში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა და 30-იან წლებში იქ გარდაიცვალა. სოფელში ჩამოასვენეს და ნასაყდრალში დამარხეს. სასაფლაო ამ დროს გაოხრებული და გაპარტახებული იყო. ზოგი ამბობდა: იმასაც უწია ღმერთის განრისხებამო. ენთუზიასტი და თავგამოდებული კომკავშირელი კი ნამდვილად იყო. ისიც ანტიფოსაეით უკვალოდ გაჰქრა.

თხუთმეტი წელი ემსახურებოდა პლატონ ფერშალი მარტოდმარტო სამი სოფლის მოსახლეობას. ცხენით დადიოდა. უნაგირის წინ აბგა ჰქონდა ჩამოკიდებული. მასში ეწყო პირველი დახმარების წამლები. აფთიაქი თემსაბჭოს გვერდით ჰქონდა, კერძო მოსახლის ერთ ოთახში. ვყოფილვარ, მინახავს თაროებზე სუფთად ჩამწკრივებული ხსნარებით სავსე მცირე ზომის ბოთლები, ფხვნილთა კოლოფები, იოდის პატარ-პატარა მაგრად დაცული შუშები და მიგრძვნია პლატონის ქველმოქმედებით კმაყოფილი ადამიანების სასიხარულო განწყობილება. მხოლოდ ერთხელ ჩამოვიდა თეთრხალათიანი ექიმების და ექთნების ბრიგადა და ისიც მხოლოდ აცრების ჩასატარებლად. სამ დღეს გრძელდებოდა. პლატონი იყო ქირურგიც და თერაპევტიც. ფარმაცევტიც და სტომატოლოგიც, უროლოგიც და ფტიზიატრიც. თითქოს ყველაფრის და ყოველივეს მკურნალი. ერთადერთი რაშიც არ ერეოდა, გინეკოლოგიური განხრა იყო. აქ მას ეხმარებოდა და შეელოდა ბებიაქალი სოფიო — ცხაკაიას ქვრივი. მთელი ჩემი სოფლის ბავშვთა დაბადების პირველი მიმღოცველი მშობლებისადმი სოფიო იყო.

მისი სასწაულებრივი ხელით და ხალხური მკურნალობის წესით სრულდებოდა მშობიარობის ყოველი შემთხვევა და ყოველთვის იგი მთავრდებოდა ოჯახისათვის საბედნიეროდ და სასიხარულოდ. ამიტომ კოჭებამდე შავ კაბაში გამოწყობილი სოფიოს ყოველი გამოჩენა შარაგზაზე თუ საკრებულოში, ხანშიშესულების თაყვანისცემას იწვევდა. სოფელში მუცლის მოშლაზე ვინ გაბედავდა ლაპარაკს, სიტყვა აბორტი ხომ საერთოდ არც იცოდნენ რა იყო, დაბადების დროს ბავშვის ან დედის სიკვდილი არასოდეს გამიგონია, საერთოდ

არც სიკვდილიანობა იყო ხშირი, არც მძიმე ავადმყოფობა, არც მალარიის მომაკვდინებელი სენის ისეთი თარეში, შარდენის, კ. კოხის და ო. სპენსერის მოგზაურობათა წიგნებში რომ არის აღწერილი სამეგრელოს მაგალითებზე. შესაძლოა ამას ხელს უწყობდა გაშლილი ვაკე ადგილი, ტყიანი საფარი და ჰაერის მუდმივი ცირკულაცია რიონის ახლო ჩამდინარებით.

დედამ საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულ მამას დაახვედრა ჩემი ავადმყოფობის ამბავი. ბახმარო მაშინ პირველად გაეგონათ, როგორც საკურორტო ადგილი და, ეტყობოდა, არ მიესადაგებოდა მათ ძალ-ღონეს. გადაწყდა პლატონის რჩევის მეორე ნაწილისათვის მიეპყროთ მთავარი ყურადღება. მოგეცათ ლხენა, რაც გაძლიერებულ კვებაზე გადამიყვანეს, საჭმლის გემო მართლაცდა ძალუმად ეიგრძენი. ღომში ჩახარშული ჭყინტი სულუგუნი, პიტნაში ამოვლებული ნადუღი, ტყემლის წვენში შეზავებული მოზრდილი წიწილის ჩვილი თეთრი ხორცი, თხის ახალმოწველილი რძე თოხლო კვერცხით, ღორის ქონი... როცა საუზმედ, სადილად და ვახშმად დედა ტაბაკზე ჩემს გამორჩეულ კერძებს დამიდებდა წინ, და-ძმებს შორის ვანო ყველაზე გამოკვეთილად ამეღავნებდა მდუმარე „პროტესტს", ჩემსკენ იმზირებოდა, ხელით ეპოტინებოდა კერძს და თავისი ლობიოს ნაცვლად გადატანას ლამობდა. ერთხელ ეს ჩუმი „პროტესტი" ბუზღუნში გადაიზარდა, ბუზღუნი — ტირილში და წუნიაობამ მწვავე ხასიათი მიიღო — თითი არ დააკარა საჭმელს.

მამამ სამჯერ მშვიდად განუმეორა, რაც დაგიდეს ჭამეო. მეოთხეჯერ განრისხდა, აიღო მჭადი, ლობიოს თეფში და ერთიანად გარეთ გაისროლა. ლოყაზე სილა გააწნა ვანოს და ხმამაღლა, ყვირილით უთხრა:

— მოშორდი აქაურობას, ძაღლთან დაჯექი და მასთან ჭამე, შე ძაღლის შვილო, შენა. ავადმყოფს როგორ ეცილები. ის წინ მიგიძღოდა „ბარაბანით" და შენ უკან მიჩანჩალებდი, სამი წლით უფროსი ხარ, გვიან შეხვედი სკოლაში, კლასში მაინც ჩარჩი, ეს პატარა ბიჭი წამოგეწია და ახლა როგორ ბედავ ულუფა წაართვა და პირიდან გამოგლიჯო? ა? შე ძაღლის შვილო, შენა, ა? — ეს იყო მამის ერთადერთი სასტიკი გაწყრომა შვილებზე, სასტიკი გაკვეთილი ყველასათვის. ამის შემდეგ ვანოს არასოდეს გამოუხატავს ბუტიაობა, არც მე მითქვამს არასოდეს უარი შემოთავაზებულ საჭმელზე.

პლატონ ფერშალი ყოველ სამ დღეში ერთხელ გამოივლიდა, გამ-

სინჯავდა, ახლა უკეთ არისო — იტყოდა და ფერიც მემატებოდა და ხორციც. მალე გამოვკეთდი, გავჯანსაღდი და დავუბრუნდი სკოლას, რომლის მატერიალური პირობების გაუმჯობესების, კეთილმოწყობის და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით მეორე სასწავლო წლის ბოლოს პირველად მოეწყო ალეგრობა. ინიციატორი კი სკოლის ახალი გამგე ლევან სიჭინავა იყო. გამოიყო მშობელთა კომისია სანდრო ცომაიას, ნიკოლოზ იოსელიანის, სარდიონ თოფურიას, თედო ბელქანიას და კოლია ცხვიტარიას შემადგენლობით. კომისიის გადაწყვეტილებით მშობლებისგან უნდა შეგროვებულიყო სურსათ-სანოვაგე, ჟურჭლეულობა, სუფრის გადასაფარებელი, ფულადი სახსრები ღვინის და ლიმონათების საყიდლად და ალეგრობიდან მიღებული თანხა მთლიანად სკოლას უნდა მოხმარებოდა. ეს ფინანსური ასპექტით.

რაც შეეხება თვით ღონისძიების ფორმას და შინაარსს, იგი სრულიად ახალი და მეტად საინტერესო იყო ადამიანთა ქცევის კულტურის აღზრდის თვალსაზრისით. სოფლის საზოგადოების მოლხენის, დროს ტარების, ცეკვა-სიმღერის და გართობის ერთ-ერთ საუკეთესო სახედ იყო მიჩნეული. მაგრამ ყველგან როდი გახდა შესაძლებელი ზომიერების და წესრიგის დაცვა. ამიტომაც დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ტრადიცია. იმ პირველი ალეგრობის დავიწყება მაინც არ შეიძლება. იგი ახალი ცხოვრების დასაწყისი ეტაპის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

....ივნისის ერთ შაბათ საღამოს სკოლის ახალი შენობის განიერ და გრძელ ღია აივანზე ლამპების შუქი ალაპლაპდა. მაგიდები და იატაკი გაივსო თეფშებით, ჯალათებით, ხაშაპურებით, მჭადებით, ყველით, შემწვარი გოჭებით, ქათმებით, ღვინის ბოთლებით, გარეცხილი და გასუფთავებული ბოსტნეულობით. წინა ეზოში სუფრისთვის 10 მაგიდა გაიწყო ათი ლამპით. თითოეულ მაგიდას თავისი მიმტანები ჰყავდა გამოყოფილი არა მოწაფეებიდან, არამედ სკოლადამთავრებული ახალგაზრდებიდან. ფასები დაწესებული იყო ყოველ კერძზე, ფული კომისიას უნდა ჩაბარებოდა, საბოლოოდ მის თავმჯდომარეს სანდრო ცომაიას, რომელსაც უსწავლელობის მიუხედავად ანგარიში არ ეშლებოდა. ვერავინ გაბედავდა მის ვერც გადაბირებას და ვერც რაიმეში მოტყუებას. თვითონ უძღვებოდა აუქციონს, რაც ალეგრობის მთავარი სილამაზე და მშვენება იყო.

...ალეგრობის დაწყებამდე ბავშვებისათვის სენაკიდან პირველად

ჩამოტანილი მუნჯი კინო გაუშვეს მეორე შენობის დიდ ოთახში. კედელზე ზეწარი გააკრეს. მერხები შეაბრუნეს კედლის მიმართულებით. საპროექციო აპარატში ფირი ჩართეს. დატრიალდა იგი და კედელზე ადამიანთა გამოსახულებანი გაჩნდნენ... ტექნიკური საოცრების პირველი რხევადი ტალღა მოედინებოდა „ეკრანიდან“ ჩვენი ნორჩი გულებისაკენ და შიგ ჩაბუდებას ლამობდა. მაგრამ არც რაიმე საამისო მომზადება გექონდა და არც რაიმე ძალღონე შეგეწევდა გამოგეცნო წამიერი წარწერების აზრი. იგი ელვასავით ჩნდებოდა და ჰქრებოდა. ბზუილსა და ყიჟინში იფარებოდა საერთო ბუნდოვანება და თითო-ოროლა უფროსების შეძახილი — გაჩერდით, დაწყნარდითო, კედელზე ცერცის შეყრას ჰგავდა. უცნაური სანახაობა უცნაურ რეაქციას იწვევდა. იგი დიდებისთვის იყო განკუთვნილი. ისინი კი...

...ამ დროს ცეკვა-თამაშით და სიმღერით ერთობოდნენ. მაგიდებს შორის დარჩენილი ზოლის ერთ კუთხეში კარტიც გაეშალათ ნიძლევის მოსაგებად. მეორეგან ტაშზე აწყობილი სიმღერის თანხლებით ქართული ნარნარა ცეკვა გაეჩაღებინათ. მაქსიმე შეროზიას ტანწერწეტა ნაწნავებიანი ქალიშვილი თამარი და ჩაჩიბაიების უბნელი ღუღუნი ცუღლუტა ერთმანეთს ზორიშორ უვლიდნენ ფეხების სრიალით, როკვით და გოგმანით, ბიჭს მუხლებამდე წვივებზე შემოჭერილი უძირო („აზიაცკი“) ეცვა, წელზე ყამა ეკიდა, თავზე ბოხოხი ეხურა და ახალ წვერულვაშიანი თითქოს დასაჭერად დასდევდა გრგოს. ის კი ჩამოუვლიდა წრეს, გვერდით გაიყოლიებდა ღუღუნს ხელების ტრიალით და უცებ გაუსხლტებოდა განზე. ეს დაშორება და დაახლოება, სისხარტე და სინაზე მიმზიდველობას ანიჭებდა ცეკვას. გარშემო შეძახილები ისმოდა, სითბო და სიყვარული სუფევდა. ჩვენი ჟრიამულით გამოჩენა და ცეკვის შეწყვეტა ისე დაემთხვა ერთმანეთს, ეტყობოდა, კინო საგანგებოდ იყო ჩამოტანილი, რათა ხელი არ შეგვეშალა მოზრდილთა გართობისათვის. და მართლაც, ჩვენი გამოჩენა ლხენა-ქეიფის დაწყების საბაბი გახდა. ათიოდე მაგიდა შეიესო მსურველთა ჯგუფებით. აქ ხნიერებიც ერიენენ და ახალგაზრდებიც.

...აივანზე სკოლის სამსახურში ჩამდგარი ეკლესიის ზარი დაირეკა. ეს ალეგრობის წინ აუქციონის დაწყების ნიშანი იყო. იყიდებოდა სუფრის მდიდრული მოწყობილობა. — სმენა და გაგონება — გაისმა მოაჯირიდან სანდროს ხმა. გვერდით მას ლევან სიჟინავა ედგა

წინ გამოწვდილი ფართო სინით, რომელზედაც ძვირფასი ხონჩა იყო დალაგებული. შორიდან ჩანდა შებრაწული გოჭის თავი პირში გაჩრილი წითელი ბოლოკით, ორი ბოთლი სამარკო ღვინო, დაუჭრელი ხაჭაპური კვერცხის გულით და ჰყინტი ყველით ზედაპირმოკაზმული, მოხარშული ქათამი, მჭადი სულუგუნით და შოკოლადის კოლოფები.

— სმენა და გაგონება. — კვლავ განიმეორა კომისიის თავმჯდომარემ და ულვაშებზე გადაისვა დაკოჟრილი ხელები. მაგიდის ეს საუკეთესო ხონჩა — მიიხედა ლევანისკენ — შეფასებულია 8 მანეთად, (მაშინდელი კურსით დიდი თანხა იყო), ვინც მეტს გაიღებს, მას დარჩება. ზარი დაირეკება სამჯერ თითოეულ მსურველზე ჩემი გამოცხადების შემდეგ. სმენა იყოს და გაგონება. ვიწყებთ.

მთელი მიდამო გაინაბა გამოცხადების მოლოდინში. თავმჯდომარის სიტყვები უმალ გადაეცემოდა მიმტანების საშუალებით მაგიდებს, რომელთა წარმომადგენლები მყისვე აბრუნებდნენ პასუხს მაგიდის ნომრის დასახელებით.

— ერთი. — დაიძახა სანდრომ და ზარიც დაირეკა.

— პირველ მაგიდას მიართვით. — წამოვიდა ხმა ქვედა საფეხურიდან.

— პირველ მაგიდას ერთი. — გამოაცხადა თავმჯდომარემ და კვლავ დაირეკა ზარი.

— პირველ მაგიდას ორი. — კვლავ გამოაცხადა და კვლავ დაირეკა მეორე პაუზის შემდეგ.

— მეხუთე მაგიდას 10 მანეთად. — დაიძახეს ქვევიდან. აუქციონი აზარტში შედიოდა.

— მეხუთე მაგიდას ათ მანეთად ერთი. — კვლავ გაისმა ზარის წკრიალი. მეხუთე მაგიდას 10 მანეთად ორი. — კვლავ განმეორდა პაუზის დაცვით.

— მეოთხე მაგიდას 12 მანეთად, — ისევ ქვემოდან წამოვიდა ხმა.

— მეოთხე მაგიდას 12 მანეთად ერთი, გაისმა ზარის ხმა განცხადების მიყოლებით და არ დააცალეს მეორეჯერ განმეორება.

— მეცხრე მაგიდას 15 მანეთად. — მოულოდნელად იყვირა ქვემოდან აუქციონის პირდაპირ მდგომმა, მაღალი, ჩაფსკვნილი აგებულების ახალგაზრდა კაცმა. ყველამ თვალი მიაპყრო მისკენ. ეს იყო ყოფილი აზნაურის სახლში შეხიზნული შეშის დამამზადებელი კან-

ტორის უფროსი, ქვალონელი დავით ყალიჩავა, რომელიც ორი წლის შემდეგ სანდროს მეორე სიძე გახდა. მის მაგიდას კანტორის თანამშრომლები შემოსხდომოდნენ.

— მეცხრე მაგიდას თხუთმეტ მანეთად ერთი. ზარი. პაუზა. მეცხრე მაგიდას 15 მანეთად ორი. ზარი. პაუზა. მეცხრე მაგიდას 15 მანეთად სამი. ამ უკანასკნელ გამოცხადებას არავინ გამოხმაურებია და ზარის მესამე ჩამოკვრის ხმაც ორღობეებში ჩაიკარგა.

— ალეგრობის ძვირფასი ხონჩა მიერთვას მეცხრე მაგიდის თამადას დავით ყალიჩავას. — გამოაცხადა ხმამაღლა სანდრომ და იგრიალა ტაშმა. მაგიდის მიმტანმა მაშინვე მოწიწებით მიართვა მფლობელს კუთვნილი სურსათ-სანოვაგე.

ეს იყო საოცარი აღტყინების, მაგიდის წევრთა ერთიანობის, მეგობრობის, შინაგანი რესურსების თანაბარი განაწილების, გულუხვობის, თავმოწონების და ზრდილობიანობის გამოჩენის არენა და გამოხატულება, და, რაც მთავარია, სკოლისთვის კოლექტიური ზრუნვის საუცხოო მაგალითი.

ასე ყალიბდებოდა, იზრდებოდა და მაღლდებოდა სოფლის გლეხკაცთა საზოგადოებრივი შეგნება. ადამიანი გამოდიოდა ინდივიდუალიზმის ნაჭუჭიდან. იგი ახალი სოციალური გარემოს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას განიცდიდა.

რა ტიპის და რა ხასიათის ადამიანს არ ნახავდით აქ. ჩაცმულობით განსხვაებულს კი არა, ქცევისა და მოქმედების მანერებით. აყალ-მაყალის მოყვარულსაც და ჩხუბისთავსაც. განსაკუთრებით სიმთვრალეში. რაიმე ჩარჩენილი ხინჯი ხანჯალივით იელვებდა. ამიტომ კომისიის წევრები ფხიზლობდნენ, მაგიდებს ხშირად ჩაუვლიდნენ რიგ-რიგობით, დროზე აწყნარებდნენ და აშოშმინებდნენ წაკინკლავებულთ.

— ვაშინერს წიე, ონჯღორერე. — ეს სიტყვები კანონის ძალას იძენდა (რელიგიურად აკრძალულია, არ ეგების, არ შეგშვენის, სირცხვილია) და ბოლოს, განთიადისას, ყოველივე კეთილად მთავრდებოდა.

ნაქეიფარნი ბანცალ-ბანცალით, ერთმანეთზე ხელიხელ ჩაკიდებულნი, არეული ნაბიჯებით და ამღერეული თვალებით შარაგზას მარჯვენა, ან მარცხენა მხრისკენ მიჰყვებოდნენ თავიანთი სახლების მიმართულებით და მამლების ყივილში ინთქმებოდა მათი შეძახილ-

გადაძახილი, ბორძიკით ნათქვამი სიტყვები, ჩახლეჩილი ხმა და სიმღერა:

წუთისოფლის შვილები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება...

ეს უფრო ხნიერების ჯგუფებიდან, ხოლო ახალგაზრდების ნაკადიდან —

შეყვარებული ვის არ ჰყოლია,
მაგრამ საფლავში ჰირიმე, ვინ ჩაჰყოლია,
ვარალე, ვარიყარალე—ე—ე...

გათენებისას კომისია და დამხმარე პერსონალი აალაგებდა მაგიდებს, გაასუფთავებდა ეზოს, დაიანგარიშებდნენ შემოსავალს, ხარჯებს გამოაკლებდნენ და მოგების თანხას მთლიანად ჩააბარებდნენ სკოლის გამგეს. იმავე კომისიას გარკვეულ ვადაში წარედგინებოდა გაწეული დანახარჯების სრული ანგარიში და პრაქტიკულად სახეზე ჩანდა მისი სისწორე: რამდენი მინა ჩაისვა ფანჯრებში, რამდენი მერხი, საკლასო დაფა ან სხვა სასწავლო ხელსაწყო-ინვენტარი ჩქნა შეძენილი, რამდენი მანეთის წიგნები შეემატა სკოლის ბიბლიოთეკას და ა. შ. ასეთი ურთიერთნდობის, სახალხო საქმისათვის თავდადების ნიშნით სასკოლო კომისია საბოლოო ანგარიშს სოფლის საერთო კრებას აბარებდა.

ეს იყო თვითმმართველობის ის ჩანასახი ფორმები, რომლებშიაც პირველად იღებდა მონაწილეობას საზოგადოების მანამდე დაუფასებელი, დაბალი ფენა, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად მას მინიჭებული ჰქონდა პოლიტიკური უფლებები. სოფლის ბედს თვით სოფელი განაგებდა.

...იმ ღამის ალეგრობა კვირა დილით კომისიის წევრთა და აქტივისტთა ლხენა-ქეიფით დამთავრდა. იმათგან უგონოდ მთვრალი არავის უნახავს. ისე დასცილდნენ ერთმანეთს, არც ფეხი ეშლებოდათ, არც ენა, არც აზრი. ეს იყო მხოლოდ: ახალუხის ამარა წამოსულთ მასრებიანი ჩოხა და ბოხოხი დარჩენოდათ მამას და სანდროს აივანზე და საღამო ჟამს თვით სკოლის გამგემ მოუტანა ორივეს თავისი ხელით. ყველაფერი ეს თავისებური სკოლა იყო ჩემთვის. ცხოვრების ნამდვილი სკოლა მაინც ოჯახური სფერო, მის გარშემო არსებუ-

ლი გარემო, წესი და ჩვეულება, ე. წ. სკოლის გარეთ აღზრდის კერაა.

მაშინ ჩემ და ჩემთან ერთად მრავალი მოწაფის მშობლიურ კერას არ ჰქონდა რაიმე მწიგნობრული წარსული, ე. ი. არ გააჩნდა სწავლის ტრადიცია. მისთვის უცხო იყო პედაგოგიკის კლასიკოსების სახელები, რომელთა პორტრეტები ახლა მეტ-ნაკლებად ყოველ სკოლაში ჰკიდია. პირველად გაეგო ღარიბთა შვილებში წერა-კითხვის ფართოდ გავრცელების გეგმებზე და, მაშასადამე, პირველადი ისტორიაც მისგანვე უნდა დაწყებულიყო. მე ამ ისტორიის სათავესთან ვიდექი და ერთსა და იმავე დროს სწავლა-აღზრდის ორ სკოლას გავდიოდი: ოჯახურს — სოფლურ სამყაროზე დაუბეჭდავი სახელმძღვანელოთი და ანბანურს — სტამბურად დაბეჭდილი სასკოლო წიგნებით. თავისთავად ორასკომლიან სოფელში სხვადასხვა საგნის სასკოლო წიგნების ერთბაშად შეჭრა გლეხთა ოჯახებისათვის ახალ ერას მოასწავებდა. აქ გამორიცხული იყო რაიმე გამონაკლისი. სწავლის გზა ყველასათვის იყო გახსნილი. უნებლიედ მაგონდება უდედოდ დარჩენილი ექვსი ვაჟიშვილის მამის ნიკო ცაავას მიერ საკვირაო თავშეყრაზე ოხუნჯობით წარმოთქმული სიტყვები: სწავლის სინათლემ ქოხებიდან მკბენარებსაც კი კუდით ქვა ასროლინაო.

ზემოთ ნაწილობრივ სკოლაში დაყენებულ სწავლა-აღზრდის ზოგიერთ მომენტზე ვლაპარაკობდი. მისი წარმატების საფუძველი ოჯახურ აღზრდასთან კავშირში იყო. მაგრამ აქ მთავარია ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ ერთი გარემოება: მშობელთა პედაგოგიზაციის გარშემო ის აურზაური და აჟიოტაჟი, რაც ბოლო დრომდე საყოველთაოდ იყო მოდებული, თუნდაც მშობელთა სახალხო უნივერსიტეტის ფართო ქსელის გაშლით, და ეს მაშინ როდესაც მშობელთა მთელი მასა აბსოლუტურად საშუალო და უმაღლესი განათლებითაა, იმ დროისათვის ასეთი რამ ტერმინოლოგიურ მიმოქცევაში საერთოდ არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში ჩემი სოფლის და ჩვენი თემის მასშტაბით.

მიუხედავად ამ „ნაკლისა“, არ ყოფილა ერთი ფაქტიც კი სკოლასა და მშობლებს შორის კონფლიქტი წარმოშობილიყო. ცოდნის შეფასების ნიშნებზე რომელიმე მშობელს ჩხუბი ან აყალ-მაყალი დაეწყო მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან, სკოლის გამგესთან. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო. თვით ჩვენი ოჯახიდან ბოჩიამ მე-6 კლასიდან მიატოვა სწავლა, ხოლო ვანო მე-3 კლასში ჩარჩა,

მაგრამ ამის გამო მამას ან დედას ერთი საყვედურიც არ უკადრებია არავისთვის. არც სხვა ვინმეს. აი, მაგალითად, ხუტა თაფლაძე ორჯერ იყო დარჩენილი კლასში და მესამეჯერ გაირიცხა მე-3 კლასიდან. არ შეეძლო სწავლა და არც არავინ აძალებდა. დედ-მამა არ დგებოდა შვილების მაგივრად გამოცდებზე, არ მიჰქონდათ იერიში მასწავლებლებზე, არ კადრულობდნენ უკადრებელს. ავტორიტეტს თვით პედაგოგიც უფრთხილდებოდა და სოფლის საზოგადოებაც. და შედეგიც კარგი იყო.

აქ მცირე ექსკურსი უნდა გავაკეთოთ: ჭიშკრიდან სკოლის ეზოში შეხედვა და ქათქათა დერეფნების გავლით საკლასო ოთახების დათვალიერება არასოდეს ყოფილა შემოწმების ფორმა და ობიექტი, მაგრამ ცხოვრების პირველყოფილი უმარტივესი წესი მაინც არსებობდა. იმიტომ, რომ არსებობდა ადამიანი. ამ გაგებით სწავლისა და აღზრდის ცნებები ისევე მარადიულია, როგორც ადამიანურობა და ადამიანის ფენომენი. მას თავისი საუკუნეობრივი ტრადიცია აქვს. იგი შეიქმნა ხალხური სიბრძნისა და ოჯახური კერის, ადათისა და ჩვეულების, კერძოსა და ზოგადის ხანგრძლივი ბუნებრივი შეზავების პროცესში.

ადამიანმა არ იცოდა წერა-კითხვა, მაგრამ იცოდა თავისი მოვალეობა, ადგილი, ღირსება, ხედავდა კარგს და ამჩნევდა ცუდსაც, ჰქონდა რიდი და პატივისცემა მშობლებისადმი, მიცვალებულისადმი, გრძნობდა სიკეთის, პატიოსნების და ზრდილობის ხიბლს. ულვაშის ღერი მისთვის სინდისის ბეჭედიც იყო და რწმენის განსახიერებაც. ის თვითონ ჰქმნიდა და თვითონვე იყო აღზრდის თავისებური სკოლა. ხოლო ნამდვილი სკოლა წარმოშობიდან ეფუძნებოდა ხალხურ საწყისებს, ინარჩუნებდა სწავლა-აღზრდის ტრადიციებს, ამდიდრებდა მას ახალი თეორიებით, აყალიბებდა გარკვეულ მწყობრ სისტემად და თაობიდან თაობას გადასცემდა უშრეტ მემკვიდრეობით საუნჯედ.

ასე მოაღწია ჩვენამდე ანტიკური დროიდან სოკრატეს მეთოდმა, როგორც სწავლა-აღზრდის მარადიულობის გამოხატულებამ. მაგრამ ჩვენში ასევე სადღაც შთაინთქა და ჩაიკარგა მისი მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ი ს ისტორიულად გამობრძმედილი ტრადიცია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უბრალო, უპირველესი და უსათნოესი წესკანონები არათუ დავიწყებას მიეცა, გაითელა და გაისრისა კიდეც ე. წ. ცივილიზაციის მაღალი კულტურის „ჭუსლებით“.

დროა მივუბრუნდეთ ჩვენს ახლო და შორეულ წარსულს არა მტრული პოზიციებიდან, არამედ გეოლოგიური „ძიებების“ მეთოდებით შეიარაღებულებმა, გამოვიყენოთ ყოველივე კარგი, „წიაღისეული“ ჩვენშივე დალექილი ზედმეტი ნაშრევებიდან გაწმენდისა და განთავისუფლებისათვის. თუ გვინდა ადამიანში ადამიანურობის აღდგენა, თ. დოსტოევსკის არ იყოს, უნდა ავუხილოთ მას თვალი „ბაეშვობის ნათელი მოგონებებით“. რა იყო ბუნებრივი, ტრადიციული და აღმზრდელობითი იმ ოჯახურ გარემოში, რომელშიც ვიზრდებოდი? მაგრამ უწინარესად ერთ ზოგად ასპექტზე.

1921 წელს გატარებული მიწის რეფორმა სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლის ისტორიაში გარკვეული მონაკოვარი იყო. უტყუარი ისტორიული წყაროების მოშველიების გარეშე მარტოოდენ ქართველი ხალხოსნების შემოქმედება საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორ იტანჯებოდა გლეხკაცი უმიწოდ, როგორ წარმოიშობოდა შუღლი და მტრობა ხან ერთ მტკაველ მიწაზე, ხან სარწყავი არხიდან წყლის ნაკადის გადმოგდებაზე, ხან სანადელო ბეგარის გადაუხდელობაზე. ჩემს სოფელში დაშრობის პრობლემა უფრო არსებობდა, ვიდრე სარწყავის, ქცევა-ჰექტარის და არა გოჯა-მტკაველის. სამეზობლო სახურგე მიწისთვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ არავინ გადაეკიდებოდა ერთმანეთს. კოლხეთის გაშლილი ვაკე ადგილები ამ მხრივ მეტ გასაჭანს და შესაძლებლობას იძლეოდა. მაგრამ მიწის სინაკლებე და გასაჭირი მაინც საერთო სატკივარი იყო. სწორედ ყველასათვის ერთნაირად ეს ტკივილი მოხსნა მიწის რეფორმამ. ზემოთ აზნაური იოსელიანების მიწების კონფისკაციაზე მქონდა საუბარი. ბოგორონის უბანში შალვა იოსელიანის ჩამორთმეულ მიწებზე მთელი დასახლება წავიდა და ხალხმა მას ახალი სოფელი დაარქვა. ჩვენც, როგორც ზემოთ მქონდა აღნიშნული, პლატონ იოსელიანის სამფლობელო ტერიტორიაზე ვიყავით დასახლებული.

საქართველოს სხვა კუთხესა და სოფლებში არ ვიცი, მაგრამ ჩვენთან ახალი მოსახლეებისათვის მიზომილი მიწები მრავალწლიანი ხეხილის ნარგავებით იყო დაფარული. მაგალითად, ჩვენს ახალ ეზოში, მეზობელთა მსგავსად, იდგა ვაშლის რტოებგაშლილი დიდი ხე შავი ყურძნის მრავალი შტოებით. წაბლის, ნიგვზის, ლეღვის, უნაბის, თუთის, ქსხლის, ბლის, ატმის, ალუბლის მურყნის, ტირიფის და სხვ. ხეები. მერე მათ ბევრი ახალი ნარგავებიც მიემატა, მაგრამ არსებითად ხილით მზამზარეულად ვიყავით უზრუნველყოფილნი.

ხანდახან, განსაკუთრებით შემოდგომაზე, როცა უნაბის დამჭკნარ ნაყოფებს ვკრეფდით და ძაფზე აცმულად ზამთრისათვის ვინახავდით, როგორც ფრიად სასარგებლოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, საიდანღაც უნებურად ამოტივტივდებოდა უცნაური ფიქრი: რატომ წაერთვა იგი ცოცხალ მეპატრონეს? რატომ არ მოხდა მისი შესყიდვა ან რაიმე სხვა სახით დიდიხნის მსხმოიარე ნარგაევების ღირებულების ანაზღაურება? გლეხებს სამოსახლოდ თავისუფალი მიწა უნდა მისცემოდა უსასყიდლოდ თუ განაშენებული ბაღი?

ალბათ, მეხუთე ან მეექვსე კლასში ვიქნებოდი, როცა ასეთ ფიქრებს ვატარებდი. არც რაიმე პასუხის გაცემა შემეძლო მისთვის და არც გამხელაზე შემიწუხებია თავი. მაგრამ როცა მამამ პლატონ იოსელიანის დასაფლავების დღეს უჩვეულო გულუხვობა გამოიჩინა, მიცვალებულის ხელმოკლე მეუღლეს სამი ფუთი სიმინდის ფქვილი და დაკლული დეკეულის ხორცი მიუტანა სტუმრების პატივსაცემად, მე ვიგრძენი, რომ მამამ ამით რაღაც დაგროვილი შინაგანი სულიერი ტვირთი მოიხსნა, სინდისის ქენჯნის ის მძიმე ტვრთი, რომელსაც ნამდვილი გლეხი დიდხანს ვერ ურიგდებოდა და ვერ იტანდა. საკუთარი შრომის გარეშე მოპოვებული ყელში არ ჩაუდიოდა. არამიაო, იტყოდა.

და მართლაც, იმ დღის შემდეგ ვამჩნევდი, მამა იმ ვაშლსაც ეტანებოდა, რომელიც მისი ხელით არ იყო დარგული. რა არის ეს, სასაცილო თუ ზნეობის გაკვეთილი? რაც გნებავთ, ის დაარქვით, ჩემთვის კი ცხადზე უცხადესია: ის ორგანული ზიზღი და შეურიგებლობა მომხვეჭელობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, არაშრომითი ქონებრივი დახარბებულობის უკუგდება, რაც დონკიხოტურ მდგომარეობაში მაგდებდა და მაგდებს ამჟამადაც, სწორედ იმ გაუმხელელი, შორეული, ბავშვობის დროინდელი ფიქრებიდან და განცდებიდან მომყვება. და სრულიად არ ვნანობ, ასეთად რომ დავრჩი ბოლომდე. ეს მამის დიდი გლეხური სულის მადლი და ამაგია და მისი სპეტაკი აჩრდილის წინაშე პირნათლად დგომა უფრო ძვირფასია, ვიდრე ოქრო-ბრილიანტებში ობივატელივით განცხრომა და ნებივრობა.

სოფლად ჩემი ბავშვობის ხანაში ან მატერიალური მდგომარეობით ერთმანეთისგან დიდად განსხვავებული ან მშობლის „პრესტიჟული" თანამდებობით განებივრებული მოწაფე არასოდეს მინახავს. ობივატელის ტიპი კი სოფლად საერთოდ არ არსებობდა. სულ სხვაა

ზარმაცის ან ცუღლუტის კატეგორია..ან კიდევ ტრაბახობით და ლაზღანდარობით გამორჩეული. ასეთები ყოველ საუკუნეში და ყოველ თაობაში არსებულან. მაგრამ ისინი არასოდეს ქცეულან მიბაძვის ეტალონებად. სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი გლეხის ჰკუისა და გონების საზომი შრომითი საქმიანობის სწორი ორგანიზაცია იყო. ნეპის პერიოდის მიერ მინიჭებული შეუზღუდავი შესაძლებლობანი მისი ეკონომიკური აღორძინების რეალური საფუძველი გახდა. ეს ბევრს დაეტყო ჩემ სოფელში და, როგორც ზემოთ გაკერით აღვნიშნე, ჩვენს ეზო-კარსაც.

...გზიდან ჰიშკარში შესასვლელი აღმართი უღელში შებმულ ხარებს ან კამეჩებს კისრის ძარღვების დაჭიმვით, მუხლების დაძაბვით და ფლოქვების მიწაში ჩაჭედვით უნდა აევლო. დატვირთული ურმის ატანა ისე არ შეიძლებოდა. ფართო კარს რომ გააღებდა, წისქვილიდან მობრუნებული მამა წინ დაუდგებოდა ურემს, წკნელს გადაკრავდა გამწევ საქონელს, ზურგით უკან-უკან მიიწევდა, რომ ურემი ამოეზიდათ. მერე შეებას გრძნობდა პირუტყვი. ჰიშკრიდან გზა ნელ-ნელა დაბლდებოდა და სწორდებოდა...

ეს მცირე დეტალი იმისთვის გავიხსენე, რომ შემედარებინა პირველი სამოსახლოს ზემოთ აღწერილ ჰიშკრის არე-მარესთან. ურემი ტლაპოში ამოგანგლული შედიოდა ეზოში. აქ კი, ჩვენს ახალ სამოსახლოში, სწორედ ჰიშკართან რჩებოდა ბორბლებს მოდებული ჰუჰყი და მშრალი მიწის გავლით ურემს ტვირთთან ერთად ეზოში შეჰქონდა აუწონავი სიმდიდრე — სისუფთავის „კერპი“. დედა ამ „კერპის“ თაყვანისმცემელი და „ქურუმი“ იყო. ერთის „საგარეო ღვაწლი“ მეორის „საშინაო“ გარჯასთან ისე იყო შეხმატკბილებული, როგორც სასიამოვნო მუსიკალური ჰანგები და ეს ჰქმნიდა ოჯახურ შრომით ჰარმონიას. გარეშე თვალისათვის ყოველივე ეს მარტივად და უბრალოდ გამოიყურებოდა: წესრიგი და უფროს-უმცროსობის გაგება სუფევდა ოჯახში. საქმიანობაც ამ პრინციპზე იყო აგებული.

ახლაც მიკვირს და ვერაფრით ამიხსნია, რანაირად ასწრებდა წვრილშვილებიანი, გულმოწყალე და სტუმართმოყვარე დედა ყველაფერს: დილით ადრე ადგომას, ფურკამეჩის და ძროხის მოწველას, საუზმის მომზადებას, აქვანში მწოლიარე ძუძუმწოვარა ბავშვის დაძინებას, ოდის დალაგებას, სამზადი სახლის გამოხვეტას, მისი აივნის და მოედნის გასუფთავებას, ბატების და იხვების ჰიშკრის გარეთ

გადადენას, ინდაურების და ქათმების „დაპურებას“, სადილ-ვახშმის დროზე მომზადებას, ყოველ შაბათ საღამოს შვილების ტანის დაბანას, თეთრეულის გარეცხვას და გაუთოებას, ბოსტნეულის მოვლას და ფხალის საზამთროდ დერგებში დამყაებას, შინმოყვანილი ბამბის ძაფებისგან წინდების მოქსოვას, ხელის საკერავი მანქანით ყველასათვის ახალი ტანისამოსის შეკერვას და სხვ. მაშინ ხომ არც გაზი ჰქონდათ, არც ელექტრო უთო, არც ცხელი და ცივი წყლის აბაზანები, არც მზატანსაცმელები იშოვებოდა.

მართალია, ხანდახან მამა ენაცვლებოდა დედას საქონლის ბაგის გამოწმენდის დამატებითი ტვირთისაგან, მაგრამ ეს მცირე „შეღავათი“ ოდნავადაც არ ამსუბუქებდა მის მძიმე შრომას. მოგვიანებით, როცა ქართაში ან ბაგაში სამი მეწველი ძროხა, ორი უღელი ხარკამეჩი, დეკეული, მოზვერი და ხბო იყრიდა თავს, არც დედას და არც მამას უბრალოდ დრო არ ჰყოფნიდათ საოჯახო საქმიანობის ამ „ვიწრო უბანზე“ მისახედად. დილიდან საღამომდე მათი მოუსვენარი შრომა-ჯაფა თავისთავად აღძრავდა მიბაძვის სტიმულს და ძალაუნებურად ერთიან ფერხულში გვითრევდა.

სკოლიდან დაბრუნებისთანავე, როგორც კი მჭადის და ყველის ნატეხებს შევჭამდით, მე და ვანო (ყველაზე უფროსი ძმა მამას დაჰყვებოდა ტყეში სამუშაოდ) უთქმელად პირველ რიგში პირუტყვის დახურულ თუ ღია სადგომს ვწმენდდით საღამოსათვის. საბოსტნე მიწაზე დაგროვილი ნაკელი გაზაფხულზე მამას საყანე მინდვრებში შეპჭონდა და ჩვენ ვგრძნობდით სიმინდის მოსავლის მოყვანაში ჩვენს პატარა წვლილსაც. ვისაც სოფელში უცხოვრია და ასეთი, ერთი შეხედვით მსუბუქი, მაგრამ, ესთეტიკურად არც ისე მიმზიდველი სამუშაო არ შეუსრულებია ბავშვობაში, მან არ იცის ცხოვრების დარჯაკი, მაშასადამე, არ იცის რა არის სოფელი. თუ რძის დალევა გინდა, მისი ადუღებაც უნდა იცოდე, პირუტყვის მოვლაც და პატრონობაც. ეს სოფლის საუკუნეობრივი დაუწერელი კანონია. ამ წესთან დაკავშირებით მოხუცებისგან გამიგონია:

ერთი პრანჭია გოგო გაუთხოვებიათ სირიაჩქონიდან საგვიჩიოში. მიუჩვეველ პატარძალს რქენის შიშით ძროხის მოწველა გასჭირვებია. რამდენჯერაც მიადგა ვედროთი, იმდენჯერ დამფრთხალი გაბრუნებულა თურმე. უყურა ამაყმა ქმარმა, უყურა და ბოლოს უთხრა: ძროხასაც ისე უნდა მოფერება, როგორც კაცს, შენ არც ერთი გცოდნია და არც მეორე. წადი შენს სახლში, ჯერ ისწავლე და მერე

ვნახოთ, გამოდგები თუ არაო. და მოპრონწიალდა ისევ უკან ღაფდასხმული.

მას შემდეგ, რაც სოფლად სამომხმარებლო კოოპერატივი (ე. წ. „ეპო“ — ეკონომიკური პოლიტიკა) გაიხსნა, რომლის შესახებ გაკვრით ზემოთ მაქვს ნათქვამი, მოსახლეობისაგან სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის შესყიდვას და მათთვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საგნებზე მის გადაცვლას ან მიყიდვას ეს სავაჭრო ორგანიზაცია ასრულებდა. მაგრამ თვით კოოპერატივის გახსნამდე ჩვენთან კერძო ვაჭრობის ორი წყარო არსებობდა: ერთი ბიძაჩემის — გერასიმეს დუქანი იყო, მეორე კი მეწვრილმანე ყობოია ურია (ასე ეძახდნენ სუჯუნელ ებრაელ მევახშეს), რომელიც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ორ კვირაში თუ არა, ერთ თვეში ერთხელ მაინც ჩამოივლიდა ცხენით ეზოების კარდაკარ. თეთრწვერებიანი იყო, თმებაბურძგნილი. ტომრები და ხურჯინები ეკიდა გარდიგარდმო უნაგირზე და თვით შუაში ჩამჯდარი ხმამაღლა გაჰყვიროდა: — ბურდღა, ნემსი, კოჭის ძაფი, ბურდღა, ნემსი, კოჭის ძაფი-ი-ი. ძახილი ნიშნავდა: ბურდღაზე იცვლებოდა წვრილმანი საოჯახო საგნები, დიასახლისს მზად უნდა ჰქონოდა იგი ჭიშკართან, რომ ყობოიას დრო არ დაჰკარგოდა ლოდინში. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ნაკლასევს, გაკვეთილების მომზადებასთან ერთად, ყურადღებით ვყოფილიყავი, არ გამომპარვოდა შორიდან მისი ძახილი, შემეტყობინებინა მაშინვე დედისთვის და დავხმარებოდი ჭიშკრამდე ქათმის, ბატის, ინდაურის, იხვის დაგროვილი ბუმბულის მიტანაში.

„დავალება“, რა თქმა უნდა, მომაბეზრებელი იყო, მაგრამ ვასრულებდი, რადგან, ვხედავდი, ჩემ მდგომარეობაში სხვა ტოლებიც იყვნენ. მათი კოლექტიური „შემოქმედების“ ნაყოფი იყო სოფლის ბავშვებში გავრცელებული სიმღერა: ყობოია ურია, წყალი ხომ არ გწყურია, მოგიტანე თმა მეტი, შენ მომეცი კამფეტი. ვერავინ მიხსნიდა და მარკვევდა იმაში, თუ სად ათავსებდა ფრინველთა ამდენ თმებს, რა მოგებას ნახულობდა მევახშე-ვაჭარი ამ წვრილმან გაცვლა-გამოცვლაში და როგორ იტანდა ზურგჩავარდნილი ჰაკი ცხენი უცნაურ მხედარს.

ეჰ, ეს კი არადა, რამდენი რამ რჩება, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ამოუხსნელად ყოველი დროის, ყოველი თაობის ბავშვობაში!

ჩემი ძირითადი სახალისო საზრუნავი მაინც ხბოების მოვლა

იყო. საღამომდე, სანამ ძროხები საძოვრებიდან დაბრუნდებოდნენ რძეგავსებული ჯიქნებით, მათი გამოკვება ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვდა. პატარა ნამგლით ხელში ჩემ ტოლ ბიძაშვილებთან ერთად სიხარულით მივეშურებოდით ახალამოსული ლორთქო ბალახების მოსატანად. ასეთები უმთავრესად საურმე გზების, ყანებისა და ტყის პირებზე იზრდებოდა. შიგ სამყურაც ერია — მსუყე და ნაზი. სიფრთხილე იყო საჭირო. ბალახი მუჭში უნდა ჩაგებღუჯა ძირებთან ახლოს, რათა მოთიბვისას ნამგალი მარცხენა ხელზე არ მოგხვედროდა. მწარე მაგალითი შოთასგან მიღებული გვქონდა. მისი მოქნეული ნამგალი ერთხელ აცდა შეკვრას და ცერა თითი გაიჭრა. ვიხსენებდით ამ ამბავს და სიცილ-ხარხარით მივდიოდით ტყისკენ. იქიდან ზურგზე აკიდებული ორი-სამი კონით ვბრუნდებოდით შინ.

ეს მოვალეობა მაშინაც არ მავიწყდებოდა, როცა ნასადილევს რიკტაფელას გახურებული თამაშით ვიყავით გართული გერასიმეს ეზოში, რომელსაც ჩვენს ეზოსგან განსხვავებით მოსწორებული, გაშლილი მდებარეობა ჰქონდა. ტელევიზორით ყინულზე ჰოკეის თავაწყვეტილ შეჯიბრებებს რომ ვუყურებ, ცხადია, თავისი მაღალ ტექნიკური აღჭურვილობით, ასე მგონია, მისი ადრინდელი, პრიმიტიული საფეხური სწორედ ჩვენებური რიკტაფელაობიდან უნდა მომდინარეობდეს. ძონძებისგან შეკერილი მუჭის ოდენა ბურთი, მოკაუჭებულთავებიანი ჯოხები და ორი პირობითად მონიშნული კარი შუაში ჩამდგარი „მეკარეებით“. სულ ეს იყო და ეს. თანაბარ ნაწილებად ვიყოფოდით და ჯოხებით მიგვქონდა ბურთი ერთი კარიდან მეორისაკენ. ვეჯახებოდით ერთმანეთს, ვძიძგილაობდით, განზე გაქცეულ ბურთს მივსდევდით...

შუბლზე თეთრთმება, წაბლისფერი, ყველაზე ნორჩი ხბო, მოფერებით ბოჩოლას რომ ვეძახდი, შორიდანვე თითქოს გუმანით გრძნობდა ჩემს მიახლოებას, კუდის ქიცინით, კუნტრუშით და ხტომა-სირბილით მეგებებოდა ეზოს უკანა ჰიშკართან, სხვებიც გამოედევნებოდნენ, მოგროვდებოდნენ ღობის ტირიფოვან კუთხეში და ალვების ჩრდილქვეშ ვუყრიდი ბალახს. ო, როგორი ცმაყოფილება, თითქოს აღტაცება და აღფრთოვანება იხატებოდა მათ მადლიან გამოხედვაში! როგორი გამალებით შეექცეოდნენ! ჯერ დრუნჩებით სინჯავდნენ, ყნოსავდნენ, შერე პირში გროვად იღებდნენ და კბილების კრაჭუნით ერთბაშად ყლაპავდნენ ნაღეჭს. უხეშ საკვებზე, თვით სიმინდის ფოთლებზე და ღერებზე უფრო ეადვილებოდათ. ვამჩნევ-

დი, მათთვის ლორთქო ბალახი ჩვენებურ რძის ფაფას ჰგავდა. აქაც ასაკი, ზრდა-განვითარების დონე, „მისაწვდომობა“ განსაზღვრავდა რაციონის დოზას, მის შემადგენლობას და „ათვისებას“.

სოფლური ცხოვრების ყოველი ასეთი შტრიხი ბავშვური დაფიქრების და დაკვირვების საგნად იქცეოდა. იგი მეორდებოდა პირველყოფილი გულუბრყვილობის, მიამიტობის და კეთილშობილების ნიშნად და ერთმანეთთან აერთებდა ორი მოდგმის სულიერ არსებებს, რომელთა შორის განსხვავება მაშინ ფეხთა რაოდენობით გვქონდა წარმოდგენილი. „ოთხფეხობანას“ თამაშიც ამის იმიტაციით ხორციელდებოდა. ეს ინსტინქტური „აღმოჩენაც“ იყო და ბუნების საიდუმლოებათა შეცნობისაკენ ლტოლვის გამოხატულებაც. ამ მხრივ აბრეშუმის ჭიის, ან „ყაჭის“ გამოყვანის, პარკის გაკეთების და მისგან ძაფის მიღების ისტორია ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი სამახსოვრო ფურცელია.

ეს იყო 20-იანი წლების დასაწყისში. მაშინ ჯერ კიდევ გაჩაღებული არ იყო აბრეშუმის პარკის დამზადების მასობრივი მოძრაობა, რომელმაც წარმოშვა ე. წ. ქისტაურელ მეაბრაშუმეთა მთელი პლეადა. საქმე ეხება მის კუსტარულ, საოჯახო წარმოების იმ ხანას, როცა ქალამანი და ჩითის ბლუზა, ხის ქოში და შეღებილი ნარმის კაბა ძვირფას „სამკაულად“ ითვლებოდა.

ხელის წისქვილი ათ მოსახლეში ერთს მაინც ჰქონდა სოფელში. მისი სიხშირე აიხსნებოდა იმით, რომ ჩანჩქერებს და ღელე-ნაკადულებს მოკლებულ მოსახლეობას არ გააჩნდა საკუთარი წისქვილი. ერთადერთი რიონისა და ცივას შესართავთან, მუხურის აღმოსავლეთ მხარეში, ტყის მისადგომებთან იყო. ბორნით გადასვლა ან ცივას სიღრმეში წისქვილამდე დიდი ნავით შეცურვა იყო საჭირო. უგზოობის ან უამინდობის შემთხვევაში მეზობლობა ერთმანეთს ხელის წისქვილით შველოდა. იგი ერთგვარ საკრებულოსაც წარმოადგენდა. ორი მრგვალი გლუვი ლოდი იდო ერთმანეთზე. ზედას ერთ კიდესთან ხის მსხვილი ჯოხი ჰქონდა ჩარჭობილი. შუაში კი ამოკვეთილი იყო სიმინდის ჩასაყრელი არე. ლოდი მძიმე იყო. მარჯვენა ხელით ატრიალებდნენ ამ ლოდს, მარცხენათი კი სიმინდის მარცვლებს ჰყრიდნენ ცარიელ არეში კაკლებად და შუალარიდან ღერღილნარევი ფქვილი შედგმულ გობში გროვდებოდა.

ამ საკრებულოს მეშვეობით, გაზაფხულის დადგომისას, აბრეშუმის თესლი ხელიდანხელში ისე გადადიოდა, თითქოს საიდუმლო

რამ ყოფილიყო. ეტყობოდა, ამას ჰქონდა თავისი საფუძველი, რადგან ჯერ კიდევ არ ექვემდებარებოდა ახალი წყობილების კონტროლს. პაწაწკინტელა, თვალით ლამის შეუმჩნეველი თესლი მცირე მასშტაბით ვრცელდებოდა და ინერგებოდა. დედა მალულად უყლიდა არა მხოლოდ საინკუბაციო, არამედ თუთის ფოთლებით გამოკვების და დაპარკების ხანებშიც. შიშობდა, ალბათ, მიუხვედრელობით არ გაგვესრისა გამოჩეკილი ჭიები.

როდესაც სპილენძის ქვაბში ჩაყრილი დიდი ხნის ნახარში, ჩიგორგალის მაგვარი დაგუნდაებული ქსელი უცნაურ ოხშივარს აყენებდა და მძიმედ ასატან სუნს გამოსცემდა, მივხვდი, ჩვენს ღარიბულ ოჯახში რაღაც ხელოსნური „წარმოება“ იყო დასადგურებული. ხოლო როცა გაციებული ნახარშიდან დედამ თითისტარზე ძაფების ახვევა დაიწყო და მალე რამდენიმე გროვა კედლის თაროზე დალაგა, მახსოვს, თითქოს მოუთმენლობის ფიალა ამევსო და უცნაური კითხვებით თავი გავუბრუე. დედამ შუქიანი ღიმილით ჩამხედა თვალებში და ჩუმად მითხრა: — მოიცადე კალანდობამდე და მაშინ გაგახარებო.

ეს დროც დადგა. დეკემბერში გასასუქებლად შემორაგულში ჩაყენებული დიდი ღორის დაკვლას, კუპატების გაკეთებას და კედელზე ჩამოკიდებას, ხორცის ნაჭრების დამარილებას და ხის გრძელ სათავსოში ჩაწყობას ღამ-ღამობით ახალი ქალამნების შეკერვა მოჰყვა. კამეჩის ან ხარ-ძროხის ტყავი ამისთვის ადრე მზადდებოდა. ჯერ იჭიმებოდა ბეწვიანად გარდიგარდმო გაყრილი ჯოხებით, მერე მზეზე შრებოდა ქარიან დღეებში, ნაცარს აყრიდნენ გამხმარ ბეწვებზე, წამახვილებული თოხის ტარით ტყავი იწმინდებოდა, მერე მას წყალში ალბობდნენ და ფეხის ზომაზე გამოჭრილს სადგისით და მსხვილი ნემსის ყუნწში გაყრილი გასანთლული ძაფით კერავდა მამა.

...დილით ჩემ ლოგინთან, ხის დაბალ სკამზე, ახალი ქალამანი, ბამბის ახალი წინდა და ახალი ბლუზა ელაგა. უმცროსებს ჯერ ისევ ეძინათ, უფროსი და-ძმების ხმა კი სამზადიდან ისმოდა. გახარებულმა უმალ ჩავიცვი ახალი ტანისამოსი და, ზღარბის მსგავსად, სამზადში გასასვლელ კართან უცნაური მორთულობა დამხვდა: ბზის ტოტებზე ბურბუშელის გირლიანდები და ბამბის ფთილები ეფინა, ხოლო ძირთან ტკბილეულობა ეწყო. ანთებულ სანთლებს შორის, ბზის თავზე, ერთადერთი ფორთოხალი და სამი ცალი მანდარინი იდო. გამაბრუებელი სუნი მატყვევებდა. ყოველივე ხილულისაგან გაო-

ცებულს ის იყო უნდა მეყვირა, თოვლის ბაბუა მოვიდა-მეთქი, რომ უეცრად კარი გაიღო და დედაჩემი და მამაჩემი კამფეტებით ხელში შემოვიდნენ, გადამეხვივნენ, ჩამკოცნეს და ჩიჩილაკის გარშემო მხიარულებით შემომატარეს. თან დედა ბლუზას მისწორებდა, მოკარგულს ჰგავდა. წინა ღამით აბრეშუმის პარკის იმ ძაფისგან მოექსოვა თურმე და გუმანით აღებული ზომის კოხტად მორგება ჩემსაით ახარებდა...

ეს იყო ჩემი ბავშვობის პირველი დიდი დღესასწაული. ამას წოპყვა ახალი წლის გათენებამდე თოვლიან ეზოში შემოჭრილი ის პირველი გუნდური სიმღერა, რომელსაც ალილუია ეწოდებოდა. შემოჭრილი... ერთხელ და უკანასკნელად. ჩიჩილაკიეით იგიც ისევე გაჰქრა, როგორც ეკლესიის კვალი, მირაჟი და ქიმერა.

მაგრამ გლეხის ძვალ-რბილში საუკუნეობით ღრმად გამჯდარი ადათწესი (მილოცვა-მოლოცვა, ლხინისა და ჭირის ურთიერთგაზიარება, მძიმე ფიზიკური შრომისგან ქალის განთავისუფლება, უქმე დღეების გამოყენება დასვენებისათვის და სხვა) ჯერ ისევ განაგრძობდა არსებობას ტრადიციის გზით და ცხოვრების მდინარე კვლავ მიედინებოდა ახალი კალაპოტის ჯერ კიდევ აუმღვრეველი გეზით. მისთვის ეს ადათ-წესი სახარების დაუწერელი წიგნი იყო და, ამდენად, სასიცოცხლოდ მასულდგმულებელი ძალაც. ჭკვიანი და მუყაითი გლეხი ამ ძალას ეყრდნობოდა და ამ სახარებით საზრდოობდა.

არც კრება, ლექცია-მოხსენება და არც „ზემოდან“ კარნახი სჭირდებოდა შეგონებისა და შეხსენებისათვის: — როდის დაეწყო სახნისის ღეჯვა, კაკის გამართვა, საყანე მიწებზე დარჩენილი გამხმარი ღერიჭების მოჩალება, მათი შეგროვება და დაწვა, რათა ნაცარი არ დაეკარგა; ცეცხლის კოცონების აბრიალება და გასუფთავებულ მინდვრებზე კვამლის განფენა თავისთავად ხვნა-თესვის დაწყების ნიშანი იყო — ამ დროისათვის სათესლე სიმინდი წინასწარ ჰქონდა ძიმზადებული. ან რამდენჯერ გაეთოხნა ყანა, როგორ მოევლო მისთვის გვალვიანობის, ზედმეტი ტენიანობის, ქარიანობის შემთხვევაში, როგორ გაეწმინდა სამონველით მარჩენალი ხარ-კამეჩის, ძროხის, ცხენის ბალანი და გავა-ფერდები, როგორ დაებინავებინა ჭირვახული, ერთი სიტყვით, როგორ ჩაეტარებინა ათაბაბადან დაწესებული ე. წ. სახოფლო-სამეურნეო და საოჯახო სამუშაოები. ზამთრის-საოვის შუშას თებერვალში კი არ ჭრიდა ან წისქვილში ფქვილის გამოლეების შემდეგ კი არ მიდიოდა.

გლეხის მწიგნობრულ გაუნათლებლობას მამაპაპისეული გამოცდილება წრთვნიდა. ეს გამოცდილება პერმანენტულად ივსებოდა და მდიდრდებოდა მისი ყოველი ახალი მოდგმის თანდაყოლილი ალღომიხვედრილობით, რომელსაც თვით უზენაესი ბუნების დაუძლეველი სტიქია უნვითარებდა და უკარნახებდა. ამიტომ, არა ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ, არამედ მასთან შეგუება, მისი გამოყენება საკუთარი კეთილდღეობის მიზნებისათვის. — ასეთი იყო კერძო საკუთრების ფსიქოლოგიით გაჟღენთილი სოფლის გლეხკაცობის საგრძნო კონცეფცია ჩემი ბავშვობის იმ ეტაპზე, როცა კოლექტივიზაციის პოლიტიკურ იდეოლოგიაზე ჯერ ჩამი-ჩუმიც არ ისმოდა.

ჯერ. მხოლოდ ჯერ.

მაგრამ მითქმა-მოთქმა და ჰორი კი ნაირნაირი ვარიაციებით სოფელში უკვე შემოღწეული და გავრცელებული იყო. იგი ზოგჯერ გაკვირვებას, ზოგჯერ უკიდურეს შიშს, ხოლო ზოგჯერ გამჭირდავ დაცინვას იწვევდა. სწორედ ამ უკანასკნელზე მოგონება სოფლური ცხოვრების მშვენიერ სურათთან არის დაკავშირებული. ნება მიბოძეთ ცოტათი განვავრცო თხრობა იმ დაუვიწყარი სურათის, დეტალის თუ ეპიზოდის აღსადგენად.

...შემოდგომაზე ქარშოშის (თბილი ქარის) დადგომამ დააჩქარა ყანების დამწიფება. მაგრამ მოსალოდნელი იყო გაავდრება. ამიტომ, დროის მოგების მიზნით, მინდვრებიდან პირდაპირ ფუჩეჩებიანად გამოჰქონდათ ტაროები და ეზოებში კალოებად ჰყრიდნენ. და, აი, მამამ დაამთავრა სამიე საყანე უბნიდან — შქაბანიდან, დიხაზოკედან და ოხვამურიდან ურმით სიმინდის მოსავლის გამოზიდვა, ჩალის ზვინებად დაყენება, ლობიოს და სოიას (მუხუდოს) მოკრეფა, მათი გახმობა, ჯოხებით დაბეგვა, განიავება, ტომრებში ჩაყრა და ოქტომბრის მიწურულის ერთ შაბათ საღამოს ნადი მოიწვია. ნადობა თოხნის, სახლის აშენების დროს და განსაკუთრებით უხვი მოსავლიანობის წლებში იმართებოდა, როცა სიმინდის უდანაკარგოდ დაბინავება სისწრაფეს და სიმარდეს ითხოვდა. ახლობლები, ნათესავები, მეზობლები ერთმანეთს ეხმარებოდნენ სიმინდის გასარჩევად. სხვანაირად მას ღამის თევას უწოდებდნენ და საინტერესო ჩვეულებას წარმოადგენდა.

საინტერესო იყო არა მხოლოდ შრომა-გარჯილობის, ურთიერთშიშველების, მხარში ამოდგომის თვალსაზრისით, არამედ ურთიერთპატივისცემის, სათნოების და სიკეთის გამოხატვის, სალაღობოდ და

სასაუბროდ თავშეყრის მხრივაც, რითაც შემოდგომის დოვლათს და ბაღჩაქას ერთგვარი საზეიმო იერი ეძლეოდა. ღამის თევა, ვინც მას თავისი შესაძლებლობის და სურვილის მიხედვით დანიშნავდა, აუცილებლად მთავრდებოდა ოჯახის პატრონის დიდი სამხიარულო სუფრით, რომელსაც ამშვენებდა ფელამუში, ლეღვის ტილისკვერი, კვახის მოხარშული ნაჭრები, კეციდან ახალ ამოღებული ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, მჭადები, გოჭის ხორცი, ყველი და შავი ყურძნის მაჭარი.

ასე იყო იმ თუთარჩელა ღამესაც. ვარსკვლავების კაშკაშა შუქი ეზოში სიმინდის კალოების „მთას“ მზესავით ანათებდა, ხოლო ბარჩხალა მთვარე საოცარი ელვარებით ბრწყინავდა. კალოების ძირებთან ისხდნენ გოგოები და ბიჭები, ახალგაზრდები და ხანშიშესულები, ქალები და კაცები. გვერდი-გვერდ კალათები ედგათ, ფუჩეჩს აცლიდნენ ტაროს, წმენდნენ ბეწვებისგან ან როგორც მაშინ ეძახდნენ — ულვაშებისგან, სალს და მარცელებით გაჭედილს კალათებში აგდებდნენ, გავსებული კალათები კი მამას და მის დამხმარეებს რიგრიგად კიბით სასიმინდეზე აჰონდათ და იქ ცლიდნენ. ფუჩეჩს, ნაგულას და უვარგის ტაროებს მათთვის მიჩენილ ადგილას ჩვენზე უფროსები აგროვებდნენ საქონლის და ღორების საჭმელად. ჩვენ კი, შედარებით პატარები, ვერთობოდით შრომა-საქმიანობასთან შეერთებულ იმ უჩვეულო განწყობილებებით, რომლებსაც ჰქმნიდა თვით ნადობის გარეგნული სანახაობითი ფორმა.

ერთ ჯგუფში რომ ზღაპრის მოყოლა დამთავრდებოდა, მეორეში შაირობა იწყებოდა, სიმღერას რომ მორჩებოდნენ, ამბების მოსმენაზე გადადიოდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდა ყურმოკრული და გაგონილი, ქორწინების და გასვენების ცალკეული სასაცილო შტრიხები, სასიყვარულო ლირიული გადახვევები და ჰორების ჰრელ-ჰრულა ნაფლეთები.

ულვაშებაპრეხილ ელიზბარ გულუას, პირველი მსოფლიო ომის ღროს გერმანიაში ტყვეობის ამბებს რომ იხსენებდა, უცებ ჰკითხეს: — გარეულ ღორებზე ნადირობა იქ ისწავლეო? — იქ გერმანული სიზუსტე ვისწავლე, და ნადირობას მეტი რა უნდა, ზუსტად დამიზნება და ნიშანში ტყვიის ზუსტად მოხვედრაო. — უპასუხა შეშკითხველს გონებამახვილურად და სიცილ-ხარხარი ატყდა.

ახლა გრიგოლ ჩენჩიბიამ გახსნა ოხუნჯობის „სკივრი“. იგი მოშაირეც იყო და ხუმარაც. მელექსესაც ეძახდნენ. თავის კუთხე-უბან-

ზე თვითონ იგონებდა კაფიებს და თვითონვე ქილიკაობდა. ტყის ბინადართა შორის ტურა, მელა და მგელი სოფლის დაუძინებელი მტრები იყო. პირველი ორი ქათმებს ავლებდა მუსრს, მესამე კი — პირუტყვს. მათან ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, თქმულებებიც ხანგრძლივი დროიდან მოდიოდა და გრიგოლი მას თავის ყაიდაზე ასხვაფერებდა. მაგალითად, მას მიაწერდნენ ასეთ კაფიას:

ტურა ღვიანს, კინ თექ ღვიანს,
ჩენჩიბიაში კარსია.
ჩენჩიბია ურაგადუ
ჰიფეს დო ბანსია.

ამ სტროფის ადექვატური თუ არა, მიახლოებითი აზრი შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

ტურა წკმეის, სულ იქ ყმეის,
ჩენჩიბიას კართანაო.
ჩენჩიბია ეუბნება
წვრილ ხმასაც და ბანსაცაო.

— ნადიაკვნარი ჩვენი პახულია შემხვდა ამას წინათ, კაცოდა, — დაიწყო ამბის თხრობა გრიგოლმა, თან ხელებით საქმის კეთებას განაგრძობდა. სხვებმა შეწყვიტეს ხმაური და ყურთასმენა მისკენ გადაიტანეს იმის იმედით, რაღაც საინტერესოს იტყოდა, — ვკითხე: — ხომ გიტირეს ყოფა კომუნისტებმა, ახლა შენი იოსებ პაპა საით წასუნსულდა, თუ იციოქვა. — აგერ, ქვალონში დასახლდაო, მითხრა. იქ არ იციან მაგის მღედლობის ამბავი თვარა, იქიდანაც აუკრავდნენ თავის გუდა-ნაბადსო. რა მითხრა მერე, კაცოდა, არ იკითხავთ?

— თქვი, გრიგოლია უბედურო, თქვი, ნუ გაჭიმე შენებურად. — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რა მითხრა და... საგეიჩიოდან მოვდივართ ცხენებით. წინ — პაპა. უკან — მე. ბავშვი მოვნათლეთ იქ, მებორნის ჯიხურს გაეუსწორდით ტყის პირებში და უცებ შეჩერდა პაპის ცხენი. ზედ მივადექი ჩემი ჯაგლაგა ჰაკით და ვეუბნები: — რაი არს პაპა მიზეზი თქვენი შეყოვნებისა-მეთქი.

— დახედე იმ ბუჩქის ძირსო, მითხრა გაღიმებით. დავხედე. მკვდარი ტურა ეგდო თვალებგადასარკლული.

— პახვა, — დაბალი ხმით ჩაძილაპარაკა ყურში პაპამ, ვითომდა

ტყესაც რომ არ გაეგო, -- ხაბახუსევი და ნასაჩუქრები კი ვართ, მაგრამ ახლა რო მივდივართ იქა, ეს ტურა იესო ქრისტეს წყალობაზე უფრო ძვირფასია, რომ იცოდე შენ. აიღე მაგი მოწიწებით და სურჯინში ჩადევი. ახალმკვდარია, ხომ ხედავ? დანარჩენი საწუთროსა ჟამსა განვიკითხოთ.

მხრები ავიჩეჩე. ცოტა შეეყოვნდი, მაგრამ რა გზა მჭონდა, შეეასრულე პაპის დავალება და შეღამებულზე შეეედით ალვის ხეებით დაბურულ საადამიოთა უბანში. აქაც ერთი ბაშვი უნდა მოგვენათლა. გეელოდნენ. მასპინძელი სიხარულით შეგვხვდა. ოდა სახლში შეგვიპატიჟა. სუფრა გაწყობილი იყო. პაპამ თქვა: წესი არს ღვთისა, ჯერ ბაშვი უნდა დავბანოთ, ვაკურთხოთ, ვასხუროთ ნათლისღების წყალი, სანთელი აეუნთოთ, ვაკმიოთ სუნნელებანი საკმეელისა და... მერე ნება იყოს თქვენი, შვილო, იესო ქრისტესა.

ისე მოიხიბლა მასპინძელი ანაფორიანი მღვდლის დაშაჭრული სიტყვებით, მუხლებშეშ ჩაუვარდა, ხელები აღაპყრო ზემოთ და პატიება შეეევედრა სულწასულობისა და უცოდინარობისათვის. პაპამ აღასრულა თავისი ნათქვამი. დიდხანს გაგრძელდა ნათლობის ფართი-ფურთი. მეზობლობა მოგროვდა. ვახშმობაც გვიანობამდე გაგრძელდა.

— ყველაზე უფრო რა გაწუხებთო, — ჰკითხა ბოლოს პაპამ მზრუნველი ბლაღოჩინივით სუფრის გარშემო შემომსხდარ ქალებს.

— ტურა, ბატონოო, — ერთხმად უპასუხეს, — არ დაგვიტია ქათმები, დაგვავსო და დაგვაქციაო. — დაუმატეს ბოლოს.

— როგორო, — გაიკვირვა პაპამ, — ერთი შელოცვით საქათმის კარებთან გავაფრთხობინებ სულსო. — უთხრა ისე დაიმედებით, ლოცვაც ისე სწრაფად და დამაჯერებლად აღასრულა, ქალებმა პირჯვარი გადაიწერეს, ღმერთო დიდებულო, შენ შეგეწიოს ჩვენი სისხლი და ჩვენი ხორციო.

იმ ღამეს იქ დავრჩით. ყველას რომ ეძინა, პაპამ გამაღვიძა ჩუმად და ჩამჩურჩულა: — პახული, ვითომ საჭირო საქმეზე გადიხარ, ხურჯინიდან ამოიღე ის მკვდარი ტურა და ზედ საქათმის კართან დადევი, ნახე ხვალ რა ზეიმი იქნებაო. თვითონ რომ დაწვა, მე მაშინ უკვე პირნათლად მჭონდა შესრულებული დავალება. ერთი ძილი მეც მერგო. ადგომა ვერ მოვასწარით, მთელი უბნის მოსახლეობა მასპინძლის ეზოში მოგროვებულიყო. დიასახლისს პირველს ენახა სასწაულის მაგვარი და მეზობლებისათვის შეეტყობინებინა იოსებ

პაპის ლოცვის უძლეველობის ამბავი. აივანზე რომ გამოვედით, მაღლა ხელებაპყრობილი ხალხი მღვდელს შეჰღაღადებდა დღეგრძელობას, ერთგულებას და ეკლესიისადმი მორჩილებას. საჩუქრებს ხომ ნუღარ იკითხავ, რითაც შეეძლოთ უხვად აჯილდოებდნენ.

წამოვედით მეორე დილით გავსებული ხურჯინებით ეკლესიისკენ და მაშინ კი ვკადრე იოსებ პაპას: — ფუ, შევარცხვინე ამისთანა სარწმუნოება და ამისთანა ღვთის მსახურება-მეთქი. შენ — შენ გზაზე, მე — ჩემ გზაზე-მეთქი. გაეცინა, განა განმირისხდა.

— აბა, რა გეგონაო. — მიპასუხა — ხელმწიფე გადააგდეს რუსეთში, შე ცოდვილო, და ჩვენ გადაგდებას რა დიდი ზარი და ზარბაზანი უნდაო. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, გავლენა შევინარჩუნოთ, ციხე შიგნიდან არ გატყდესო. პირზე ხელი დაიფარე, შე ცოდვილო, და მეტი არ წამოგცდეს ამნაირი სისულელეო. ილოცე, მენშევიკების ხელისუფლება არ დაგვემხოს. ყოველი რწმენა ილუზიაა, პახული, და, ბოლოს და ბოლოს, თვით ილუზიებიც და იდეალებიც, ძველი კერპებიც და ღმერთებიც ემხობიანო!

— ასე მითხრა იოსებ პაპამ მაშინ, კი, ასე მითხრა. — თქვე ნადიაკვნარმა პახულიამ და ძუნძულით გაიქცა რიონში საბანაოდ. მგონი, იქიდან არც ამოსულა ცოცხალი. — დაამთავრა ამბის თხრობა მელექსე გრიგოლ ჩენჩიბიამ და შესვენებაც გამოცხადდა.

მამლების ყივილი შუაღამის გადასვლას იუწყებოდა.

ისევ რომ შეიყარეს თავი, კალო დადაბლებული და დაპატარავებული ჩანდა.

— ერთი შევუტიოთ კიდევ და, აჰა, მორჩა. მატომ არ დაგვასწროს სუფრის გაწყობა. ხომ იცით, ჩქარა გამოუდის ხელიდან ყველაფერი. გასათხოვარ გოგოებს ესმოდეთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ეს ნათქვამი თვარა, ისე ყოჩაღად კი მუშაობენ ამაღამ. — ამ სიტყვების ავტორი ბუხუტი იმნაძე იყო, ჩემი ძიძის — ელპიტის მეუღლე, ხალხში ენაძუნწი და იშვიათად მოლაპარაკე. მის სიტყვებზე ყველამ ხალისიანად დაიკავა თავთავისი ადგილი. კვლავ ამუშავდა „კონვეირული სისტემა".

გრიგოლის მონაყოლ ამბავზე ცხარე დავა-კამათი გაიმართა. ახალგაზრდები იჯერებდნენ, ხანში შესულები — არა. გრიგოლი კი იფიცებოდა: — ტყუილს მართლად მითვლიდით ყოველთვის, ახლა მართალს და ნამდვილს არა ცნობთ, როდის მერე გახდით ასეთი სოლომონ ბრძენებიო. ქვეყანა გადაბრუნდა, თუ რაშია საქმეო. მე

მითქვია, კაცოდა, თქვენი პირი წაულია იოსებ ჯაჯავას და პახულია ნადიაკვნარსაცო.

ქალთა იმ წრიდან, სადაც ძიძაჩემი ელპიტი იყო ჩამჯდარი, რაღაც უცნაური ღინცილის და ფრუსტუნის მსგავსი რამ ისმოდა. თითქოს სიცილის გამჟღავნებისა ერიდებათო, წასკდებოდათ და უმალ იდუმებდნენ ხმას. ყოველ ჩურჩულით ნათქვამზე ასე მეორდებოდა. მამაკაცები გაოცებით შესცქეროდნენ. მერე ვერ მოითმინეს და სანდრო ბიძიამ ბიცოლა ფაფალას გადასძახა:

— რას იგუდებით და თაესაფრებში იმალავთ მაგ ცხვირპირს, გაგვაგებინეთ, ჰიანჭველა შემოგიძვრათ თუ ზღარბი შემოგიგორდათ მაგ გაფარჩხულ ფეხებშიო. — მხოლოდ სანდროს შეეძლო ასე მიემართა მანდილოსნებისათვის თავისი ხნოვანების, მტკიცე ხასიათის და ყველა იქ მყოფთათვის კარგად ნაცნობი საპატიო ნიშან-თვისებების გამო. და მხოლოდ მისმა მოწოდებამ მისცა ბიძგი სადინარი გახსნოდა პირში ჩაგუბებულ ხმებს, რომელთა აზრი იმდენად უცხო და იმდენად გაუგებარი აღმოჩნდა, წელანდელი ღინცილი და ფრუსტუნი ირონიულ ღიმილსა და ისტერიულ ხარხარში გადაიზარდა.

პირველად ელპიტემ ჩამოარიგა თეზისების სახით:

კოლექტივში ძალით შეგვყრიან თურმე სულ მალე ჩვენი სახლობით, ჯალაბობით და იქნება სოფელი კი არა — კომუნაო.

კომუნაში ერთ სახლში უნდა იცხოვროს თურმე დიდმა და პატარამ, მოხუცმა და ახალგაზრდამ, გასათხოვარმა თუ გაუთხოვარმა, ქმარშვილიანმა და ცოლშვილიანმა.

მერე ფაფალამ დაუმატა თეზისების უფრო დაკონკრეტების მიზნით:

ერთ უზარმაზარ საბანსა და ლეიბში უნდა ვიცხოვროთ თურმე მთელმა კომუნამ. იმასაც ამბობენ, ერთ უზარმაზარ სასადილოში ერთად უნდა ვისაუზმოთ, ერთად უნდა ვისადილოთ და ერთად უნდა ვივახშმოთ თურმე ერთსა და იმავე დროსა და საათშიო.

ვინც ასეთი კოლექტიური ცხოვრების წინააღმდეგი იქნება, აღებენ და იქით, სიმპირია თუ რაღაც ჯანდაბა, იქ გადაასახლებენო.

კიდევ იმასაც ამბობენ, — დაუმატა ცოტა შეყოვნების შემდეგ ფაფალამ, — როგორ ვთქვა, არ ვიცი, კი, ძიკი და ხუტა თაფლაძეები რომ არიან ღატაკები, ისე უნდა გაღატაკდეს ყველაო, მაშინ უფრო მიეხუტებიან ერთმანეთს გაპუტული ქათმებივით და ბატებივითო.

ძმები ძიკი და ხუტა თაფლაძეები ბიძაჩემ გერასიმეს მეზობლად

ცხოვრობდნენ. დედა ჰყავდათ მეუღლისგან მიტოვებული (თვით მეუღლე სოფელში არ ცხოვრობდა). ნახევრად ფარღალალა, წაფერდილი ქოხი ედგათ. ყანას ვერ უელიდნენ, ვერ იჩენდნენ სათანადო ფხას და უნარს, სამოწყალოდ გამოიყურებოდნენ და ეხმარებოდა კიდეც მეზობლობა. ასეთი მაგალითის მოტანა და შედარების „ოსტატობა“ მართლაც თავზარდამცემი იყო.

შუშანა შეროზიამ წარმოთქვა პირველი სიტყვა: ქართული ენის სახელმძღვანელოში სამთავისის და ზემოქედის კომუნების შესახებ მართლაც კი არის დაბეჭდილი, მაგრამ იქ ასეთი რამეები არ წერია. პირიქით — დიდი მოწონებით და სიხარულით შევიდა ხალხი კომუნებშიო. საბჭოთა ხელისუფლება მალე დაემხობაო, შარშან რომ ავრცელებდნენ, სწორი გამოდგა? ასეთივე ჭორი მგონია მაგი ამბავი მუ.

ბიცოლა ფაფალა და ძიძაჩემი ელპიტი არ დაეთანხმნენ შუშანას არგუმენტს: წიგნში რა წერია, ჩვენ საიდან გვეცოდინებოდა, წერა და კითხვა არავის უსწავლებია, რაც გავიგონეთ, ის გითხარით, გინდათ — დაიჯერეთ, გინდათ — არაო.

შეიქნა ერთი აურზაური, შეხლა-შემოხლა, რომ დასწრებოდით და მოგესმინათ, პლურალიზმის ჩანასახები იქიდან მოდისო, იტყოდით. შიშმა მოიცვა არე-მარე. წუთით ამდენი აფორიაქებული ადამიანი ერთბაშად გაიტრუნა, გაინაბა, დადუმდა. ყველა ცალ-ცალკე თითქოს დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემის გადაწყვეტით იყო ჩაფიქრებული და დაკავებული. უეცრად გოგონებისა და ბიჭების მხრიდან კისკისისა და ხორხოცის ისეთი „ნიაღვარი“ წამოვიდა, წამლექველად მოედო ღამისმთეველთა გათანგულ, გაბზარულ და გარინდებულ გუნება-განწყობილებას. მალე მეგრული მელოდიური სიმღერების ტკბილ ჰანგებში განიბნა და ჩაიკარგა ჭორების შხამგესლი, სიმინდის რჩევა უკვე დამთავრებული იყო. სასიმინდე ჭერამდე იყო სავსე. სუფრიდან ყველა მხიარულად დაიშალა.

მამლების ყივილი სტუმრებს ახლა თავიანთი სახლებისკენ მიაცილებდა ნიშნად ყინულოვანი გარსის გაფანტვისა და ცის ტატნობზე ახალი დღის დამბადებელი განთიადის ვარდისფერი ეარსკვლაეის აკიაფებისა.

მაშინ შუშანას სიტყვებში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ახლა ხომ თქვენც კარგად მოგეხსენებათ და მეც ვიცი, სამთავისისა და ზემოქედის კომუნებმა, ისე როგორც ოქტომბრის რეეოლუციის შემდეგ მოსკოვის ახლოს და სხვაგან დაარსებულებმა, ნაადრევად აღმოცე-

ნების გამო, ვერ გაამართლეს მიზანი და დანიშნულება, მათი ხსენებაც და ქება-დიდებაც ადრევე შეწყდა. ამიტომ ჰორების და მითქმა-მოთქმის წარმოშობას, მათ გაზვიადებას და ჰიპერბოლიზაციას უეჭველად ჰქონდა გარკვეული საფუძველი. ფაფალა ბიცოლას ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა მღვდელ იოსებ ჯაჯავასთან, მის წრესთან (იმავე გვარისა იყო) და ბუნებრივად ჰორის გავრცელების „ნაკადულიც“ განაწყენებულთა ფენიდან მოედინებოდა. ეტყობოდა, გლეხური ალღოთი იმხანებში სწორად განჭვრიტეს ყოველივე ეს სანდროთ, ბუხუტიმ და ელიზბარმა და ამიტომაც არ ჩაერივნენ საკითხის განსჯაში.

მეორე მხრივ, „პაექრობას“ უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. თითქოსდა ელპიტის და ფაფალას ნატერა თუ ოცნება ახდაო. 1926 წელს სოფელში დაიწყო ერთიანი ლაშქრობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. მთელს ჩვენს ქვეყანაში 20-იანი წლების ეპოქის ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი იყო. როგორ შეიძლება ამ ისტორიული ფაქტის ან მიჩქმალვა ან დავიწყება. საქმე ის კი არ არის, მოსახლეობის სწავლა-განათლების მასობრივი ორგანიზაციის გზით ჩემი სოფლიდან, ისე როგორც სხვა ადგილებიდან, მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე არავინ გამოსულა. აქ მთავარია ადამიანის სულიერი ამაღლებისათვის ზრუნვის პოლიტიკური აზრი, მისი გლობალურობა, კულტურული ჩამორჩენილობიდან ქვეყნის გაყვანა მოწინავე სარბიელზე.

ეს კი გრანდიოზული საქმე იყო. ფანქარი, ცალხაზიანი რვეული, მოსახლეობის ფართო წრისათვის საგანგებოდ გამოცემული ვ. ძიძიგურის და აკ. გვახარიას „საკითხავი წიგნი“ მასწავლებელთან ერთად წინასწარ აღრიცხულ თითოეულ ოჯახს თვით ეწვია, როგორც სახელმწიფოსგან გაგზავნილი ძვირფასი სტუმარი და საჩუქარი.

რამდენი ასეთი ოჯახი იყო საბჭოთა კავშირში, რამდენი ასეთი წიგნის შედგენა, დაბეჭდვა და გამოცემა იყო საჭირო ყოველი რესპუბლიკის, ოლქის, მხარის ნაციონალურ ენაზე, რვეულებისა და ფანქრების რაოდენობაზე რომ არაფერი ვთქვათ, სკოლებში შეუფერხებელ მუშაობასთან შეთავსებით მასწავლებელთა არმიის რაოდენი თავგამოდება, ენერგია და ნებისყოფა იყო საჭირო შრომაში გაუხეშებული ხელის დასამორჩილებლად, რათა ფანქარი მოემ-

წყვდია მარჯვენა ხელის თითებში და... ესწავლებინათ წერა და კითხვა.

ნანობდნენ მის არცოდნას და ახლა თვით ფაფალაც და ელპიტიც, ბუხუტიც და სანდროც, დედაჩემიც და მამაჩემიც, ელიზბარიც და მისი მეუღლე მარიამიც, ყველა, ახლო თუ შორეული მეზობლები. უკლებლივ ყველა 50-60 წლის ასაკამდე ჩაბმული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფებსა თუ „სკოლებში". ეს მათ შინაგან სიამაყეს ანიჭებდა. აგრძნობინებდა, ქვეყნის სრულუფლებიანი წევრი და მოქალაქე რომ ხდებოდნენ. აქედან მათ მოუცლელობას თუ ხანდაზმულობას უპირისპირდებოდა მათივე პოზიციის სიცხადე და აქტიურობა.

მეტწილად მეცადინეობები ინდივიდუალურად ტარდებოდა. მოწაფე შვილები ზოგჯერ დედ-მამის დამხმარე მასწავლებლებად გვევლინებოდნენ, შვილიშვილები კი — ბებიისა და ბაბუასი. და ისე გაიწაფეს ერთ წელიწადში ხელი, წინათ ჯვრის დასმას რომ ვერ ახერხებდნენ ქაღალდზე, საკუთარი გვარისა და სახელის ხელმოწერა პირველი კლასის პირველი სემესტრის მოწაფის დონეზე უკვე შეეძლოთ. ამით არ დამთავრებულა მეცადინეობები. მთელ ქვეყანაში ეს პროცესი 1938 წლამდე გრძელდებოდა. ამ შემთხვევაში პირველ შედეგებზე გვაქვს საუბარი. ერთად განვიცდიდით „წარმატების" სიხარულს მე და დედა. მე და მამა.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად აღსანიშნავია არა იმდენად „აკადემიური" წარმატებულობა, არამედ მოსახლეობის დამოკიდებულება ახალ ღონისძიებისადმი, რომელსაც წინ არ უძღოდა არავითარი ხმაური, „კრებომანია", აგიტაცია-პროპაგანდა, გარდა სიების შედგენის, სასწავლო მასალების მომარაგების და მასწავლებელთა განაწილებისა. ამით უბრალოდ იმის თქმა გვინდა, თუ რა იყო დამახასიათებელი და ნიშანდობლივი იმ დროის წყობა-მოქმედებისათვის. როგორიც არ უნდა ყოფილიყო, უპირველესად საქმე და ყველასათვის თვალსაჩინოდ დასანახი მისი შედეგი განსაზღვრავდა ადამიანთა გულებში რწმენისა და იმედის ჩაბუდებას და არა ბაქიბუქი და ქაღალდომანია.

გაკვეთილების შემდეგ, დღის მეორე ნახევარში, საკლასო ოთახების გამოსახვეტად ჩემი მორიგეობის დროს ძალაუნებურად ბევრჯერ დავსწრებივარ სოფლის კომუჯრედის ხუთ წევრიან კრებას და არასოდეს მინახავს ვინმეს რაიმე ოქმი დაეწერა. მსჯელობდნენ, სა-

უბრობდნენ ამა თუ იმ საკითხზე, დავობდნენ კიდეც, ხშირად ჯაჯღანებდა და ერთგვარ აგრესიულობას იჩენდა გრიგოლ კარტოზია. კერძო ვაჭრობაზე მიჰქონდა იერიში, სიღარიბით და იმჟამინდელი თავისი თანამდებობით — შეშის დამამზადებლის ჩინით ქედმაღლობასაც კი ამეღავნებდა, მაგრამ ყველაფერი ეს იქვე, საკლასო ოთახის კედლებშუა ჰქრებოდა და გარეთ რაიმე ამპარტავნობა მათ ქცევაში არ შეინიშნებოდა. თავმდაბლურად აკეთებდნენ მინდობილ საქმეს.

ფაქტობრივად ესენი იყვნენ პარტიის დასაყრდენი ძალა სოფლად. ხალხი გრძნობდა ყოველი ახალი წამოწყების ბუნებრიობას, მისი განხორციელების გარდაუვალობას და მხარს უჭერდა თავისი შეგნებით. და, აი, საქმე შეეხებოდა სწორედ ხალხის, საზოგადოების შეგნების კიდევ უფრო ამაღლებას წიგნისადმი ინტერესის გაღვივების, კულტურული მოთხოვნილების გაზრდის გზით.

ამის უტყუარი შედეგი იყო გლეხთა ოჯახებში ჟურნალ-გაზეთების გამოწერის თანდათანობითი პროცენტული მატება, რამაც განაპირობა სოფლისათვის ფოსტალიონის დანიშვნის აუცილებლობა. რაიონულ ცენტრს 15-18 კილომეტრით დაშორებული სოფელი სულ მალე აღმავალი კულტურული ცხოვრების ფოკუსში მოექცა. იორღა ცხენით დიანოზა ფოსტალიონს ახალსენაკის ფოსტიდან ყოველ მეორე დღეს მოჰქონდა გამოწერილი გაზეთები, ჟურნალები, დეპეშები, წერილები. ჩვენ სახლში, მაგალითად, ვღებულობდით გაზეთ „კომუნისტს“, „ახალგაზრდა კომუნისტს“, ჟურნალ „პიონერს“. მომდევნო ხანებში უშუალოდ რაიონული ცენტრიდან ფოსტა ჯერ თემსაბჭოში მოდიოდა, აქედან კი — სოფელში.

მეორე, კიდევ უფრო პრაქტიკულ-გამოყენებითი შედეგი წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ღონისძიების ფართო მასშტაბით გატარებისა, გამოხატულებას პოულობდა ცხოვრების ახალი ფორმების ყოველ ნაბიჯზე. წინათ გერასიმეს კერძო დუქნიდან ნისიად მიჰქონდათ პირველი მოთხოვნილების ნივთები და საგნები. ნდობას არავინ გატეხდა. სირცხვილი და სინდისი იყო მისი უწმინდესი თავმდები. კოოპერატივში ფართლეული, საპონიც კი ზოგჯერ განაწილებით რიგდებოდა სიმცირის და სინაკლების გამო. ამიტომ სიები დგებოდა. აუცილებელი იყო მიღებაზე ხელის მოწერა. შეშის დამამზადებელ კანტორაში ასევე ნამუშევრის ანაზღაურება უწყისებზე ხელმოწერით უნდა მომხდარიყო.

ამ კანტორამ 1922 წლიდან დიდძალი ხალხი მიიზიდა სირიაჩქო-

ნის განთქმულ ტყეებში შეშის დასამზადებლად და რიონის პირზე გასატანად. რაც უფრო მეტი იჭრებოდა ტყე, მით უფრო იზრდებოდა გზის მანძილი. გამუდმებული წვიმების დროს შეშის გამოზიდვის გეგმა ხშირად იფუშებოდა. ურმები ტალახიან გზებზე ღერძებამდე ეფლობოდა ტლაპოში და ხარ-კამეჩს, ტყაეიც რომ გაძროხოდა, ამოყვანა უჭირდა. მალე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს რიონის პირიდან ტყემდე. ორთქლმავალი „კუკუშკა“ ჩადგა გამწევი საქონლის რიგში. მას პატარა ღია ვაგონები (ე. წ. „ვაგონეტები“) მიაბეს და ახლა მემანქანე ვანიას მტვირთავები და გადმომტვირთავები ემსახურებოდნენ. ასე გაჩაღდა „ინდუსტრიული“ წარმოება. „კუკუშკა“ წივილ-კივილით მიჰქროდა ტყისკენ. რიონის პირი განუწყვეტლივ ივსებოდა საყენებად დაწყობილი შეშის მწკრივებით და ასევე განუწყვეტლივ იცლებოდა — ბარჯებით მიჰქონდათ ფოთისკენ.

ამ საქმის ფინანსურ ოპერაციებს, ბუნებრივია, შეშის მჭრელების, მზიდავების, მტვირთავების პირადი ხელმოწერა სჭირდებოდა და რამდენი ასეთი ახალი წარმოება, ქარხანა, ფაბრიკა გაჩნდა და წამოიმართა მთელ ჩვენ ქვეყანაში! სოფლის ახალი წარმოების ძირითადი მუშახელი, ცხადია, სოფლისავე მოსახლეობა იყო. მაღლდებოდა მათი ეკონომიკური შემოსავალი, უწყისებზე ჩნდებოდა მათივე ფაქსიმილე. განა ეს წინსვლა არ იყო? მართალია, სოფლის მდიდარი და უსიერი ტყე მოკლე დროში უმოწყალოდ განადგურდა, მაგრამ ამით მდგომარეობა არ შეცვლილა. დამზადების უბანმა სირიაჩქონიდან საგვიჩიოში გადაინაცვლა. წესი კი უცვლელი დარჩა.

ადრე სახერხი ქარხნის კერძო მფლობელს მიხა ფანცულაიას არ აწუხებდა რაიმე დოკუმენტაციაზე ფიქრი. შემდეგ კი დაქირავებულ მუშებზე ხელფასი უწყისის გამოწერით უნდა მიეცა. აქაც მწვავედ იდგა წერა-კითხვის ცოდნის პრობლემა. აქაც დადებითად გადაწყდა. გადაწყდა მთელ მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

სახერხი ქარხნის და „კუკუშკის“ საყვირების ხმას 1927 წელს გემის სასიგნალო, ამათგან განსხვავებული მიმზიდველი ხმაც შეემატა. ბარჯებით ფოთისკენ შეშის გატანას თან მოჰყვა ფოთიდან ჩვენი სოფლის გაელით სამგზავრო რეისის დაწესება ორპირამდე. ეს სწორედ ის მარშრუტია, მოგონების დასაწყისში რომ ვახსენე, ხელმწიფე-იმპერატორმა ალექსანდრემ რომ გამოიარა 1861 წელს გრიგოლ ორბელიანის თანხლებით.

...ივნისის მზიანი, ცხელი ამინდი იდგა. გემმისადგომთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მოსწავლეები წითელი ყელსახვევებით რაზმებად დაწყობილი გაგვიყვანეს. ნაშუადღევს რომ გადაცილდა, დასავლეთის მხარეზე ჯერ ანძაზე მოფრიალე წითელი დროშა გამოჩნდა, შემდეგ კი თვით გემი. იგი ნელა მოადგა ნაპირს. მსხვილი თოკი გადმოაგდეს გემბანიდან და მიწაში ღრმად ჩარჭობილ პალოზე შემოახვიეს.

ბაგირით კაპიტანი და მეზღვაურები გადმოვიდნენ გემიდან. ხალხი ტაშით და სიხარულით შეხვდა უცხო სტუმრებს. მოეწყო მიტინგი, ურთიერთმისალმება. ბავშვებს კამფეტების კოლოფები დაგვირიგეს. მე გემის მორთულობა მიტაცებდა. იგი პატარა იყო. თეთრად შეღებილ კოშკურაზე, რომელშიც საჭის სამართავი მოწყობილობა იდგა, მსხვილი ასოებით ეწერა „შალვა ელიავა". მისი ვინაობა ბავშვებისათვის უცნობი იყო, სოფლის თავკაცებისათვის კი, ჩანდა, კარგად ნაცნობი, რადგან დიდი პატივით ეკიდებოდნენ გემის მესვეურებს.

მაოცებდა ხის ფიცრებისაგან ნაგები ბორბლების აღნაგობა. ნახევარი წყლის ზემოთ მზეს ეფიცხებოდა, ნახევარი კი წყალში იყო ჩამალული. ზედა ფიცრის კიდურებიდან ნარჩენი წყალი ქვემო კიდურებს ეღვრებოდა, წვეთებად ეცემოდა, ქვემოდან კიდევ ქვემოს და ისევ უერთდებოდა რიონის ტალღათა „სამყაროს". ერთი საათის შემდეგ ნაპირს რომ მოცილდა და ორპირისკენ აიღო გეზი, ბორბლები დგაფუნით მიაპობდნენ ტალღებს, მეჩვენებოდა, არა ორთქლის ძალას, კვამლს რომ აბოლებდა ცისფერი მილიდან, არამედ სწორედ იმ ხის ბორბლებს მიჰყავდა ის კოპწია გემი. ის... რამდენიმე რეისის გაელა რომ მოასწრო და...

სოფლის დიდება ჩვეულებრივ დიდი ადამიანის დაბადების თარიღს უკავშირდება. რატომ მარტო სოფლის ან მარტო დიდი ადამიანის? თუ ჰყვიში მარადიულ სამახსოვრო ორბიტაზე გალაქტიონის სახელმა გაიყვანა, ნიკოლოზ ბარათაშვილი ხომ ქალაქში დაიბადა. თბილისს ხომ არ აკლდა სათაყვანებელი ისტორიული პიროვნებები?! და მაინც, რა მწირი იქნებოდა მისი ბიოგრაფია, „მერანის" ავტორის ბობოქარი პოეტური სულით რომ არ იყოს აელვარებული და მირონცხონებული.

მეორე მხრივ, რა ამათ მწკრივშია დასაყენებელი არსენა ოძელაშვილი, უსწავლელი ახალგაზრდა ყმა-გლეხი, მებატონეს რომ გაექ-

ცა... იგი უსამართლობას გაექცა ქვეყნად სამართლიანობის და კაცთმოყვარეობის გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის. მარაბდიდან, დაჩაგრული ხალხის წრიდან დაქროლილმა ზოგადკაცობრიული იდეის ჭარიშხალმა არსენასაც და მის სოფელსაც გაუთქვა სახელი.

ჩემ სოფელს?! ჰმ!.. ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრეს ნატერფალი და გრიგოლ ორბელიანის მოგონება ინახავს და ინარჩუნებსმეთქი ან ოთარ კუპრავას რომანის პერსონაჟების სამოქმედო არეალად მისი ლანდშაფტის გამოყენება შველის-მეთქი, გითხრათ და გიმტკიცოთ, დამიჯერებთ? ეს მეცნიერებმა და კრიტიკოსებმა იკელიონ, პოპულარობასთან რა საერთო აქვსო, მეტყვით, და მართალიც იქნებით. მოღალატის და გამცემის საძულველ სინონიმად ფარსადან ბოდბისხეველის სახელი ბავშვობიდან რომ მოგვდევს და მოგვყვება, ვითომ სოფელი ბოდბისხევი ამით არ გახდა პოპულარული?!

და, აი, არც გამცემი, არც მოღალატე, არც აბრაგი ვინმე შეუფარებია არასოდეს სირიაჩქონის დაბურულ ტყეებს, გარდა ძველად სახელგანთქმული და ახლაც დასავლეთ საქართველოში აქა-იქ ჯერ კიდევ მოსაგონრად შემორჩენილი კვარაცხელიას ჯოგისა. დიახ! ლეგენდარული ჯოგის! მისი მიმდევარი და თანამოძმე მეჯოგეებისა.

თვითონ მინახავს ეს ჯოგები, მათი კარვები, მათი მწყემსები. არაერთხელ მსმენია და გამიგონია: პირველი მსოფლიო ომის დროს ძიკი კვარაცხელიამ თავისი ჯოგიდან 100 სული მსხვილფეხა საქონელი შესწირა ყარსის ფრონტის მებრძოლებს, ნიშნად სამშობლოსათვის პატრიოტული თავდადებისა.

20-იანი წლების ბოლომდე, მესაქონლეობის განვითარების დიდებული „აკვანი" ტრადიციულად სწორედ აქ, ჩემი სოფლის და მისი შემოგარენის კორომებში „ირწეოდა" და არაფერია გასაკვირი. მოსახლეობა მემინდვრეობასთან ერთად ძირითადად ამ საქმეს მისდევდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი — ხარი, კამეჩი, ძროხა, აგრეთვე ცხენი მეტ-ნაკლებად ყოველი ოჯახის შემოსავლის წყარო, დოლათიანობის მთავარი საზომი იყო. იმდენად ძლიერი ყოფილა სოფელში ძველთაგანვე საქონლის კულტი, გასათხოვარ ქალს მზითვად ატანდნენ თურმე ან უღელ ხარს, ან მეწველ ძროხას, ან გახედნილ ცხენს. ეს ადათ-ჩვევა 20-იანი წლების მიწურულამდე არსებობდა. მაგალითად, ბიძაშვილის და ჩემი უფროსი დის სამზითვო ურემს, რომელზედაც საწოლის მოწყობილობასთან სუფრის ჭურჭე-

ლიც ელაგა, უკან თოკით მიბმული ძროხა მისდევდა თავისი დეკეულით.

საძოვრის სამი დიდი მინდორი ჰქონდა სოფელს: რიონის გაყოლებით ნასაყდრალიდან სახერხი ქარხნის ზონამდე, ახალი სოფლის წინ — ბოგორონამდე და საადამიოს უბანში მამიას დოხორედ (ნასახლარად) წოდებულ ველებზე. ზაფხულობით ეს ადგილები ყოველთვის გავსებული იყო სხვადასხვა ფერის, სახის, სიდიდის ნახირით. განსაკუთრებით რიონის ერცელი ჭალა იყო ყოველი კუთხე-უბნის ნახირისათვის ცენტრალური, საპატიო ადგილი. ქერძოდ, ქვიშნარი ნაპირი შუადღეს თითქოს „აგარაკის“ ფუნქციას ასრულებდა. პირღაპირ ზედგამოჭრილი იყო ცხენებისთვის — საკოტრიალებლად, კაჭიჭებისთვის — საცურაოდ და გასაგრილებლად, ხარ-ძროხებისათვის — მკბენარებისაგან დასაცავად. მუდმივად მჭროლაე ნიაღი დევნიდა მწერებს. სასმელი წყალი ხომ ულევი იყო.

ქვიშნარი ნაპირი საბანაო ადგილადაც იყო მიჩნეული. 10-15 ნაბიჯს ისე გაიელიდი, წყალი მუხლებამდე არ მოგწვდებოდა. ხან უფროსების თანდასწრებით, ხან ტოლებთან ერთად ბანაობა, რიონის ტალღებთან თამაში, მცირე მანძილზე ბაყაყურით გაცურვა, მერე ამოსვლა და ქვიშაში ჩამალვა, თითებით ცხელი ზედაპირის დასერვა, კვლავ ჩახტომ-ამოხტომა უსაზღვრო სიამოვნებას მგვრიდა. რიონის სიგანე აქ ვიწროვდებოდა, გაღმა ხაბო იყო და იმიტომ. მდინარის სიფართოვე და სიგანე დამოკიდებული იყო ნაპირის ფორმირების ცვალებადობაზე. ცურვაში დაოსტატებული ბიჭები მხარულით ამ ზოლში გადიოდნენ გაღმა, წყლის დინების წინააღმდეგობის ადვილად დაძლევით. უკან კი — დასავლეთისკენ დინების ზურგზე დაწოლით მიჰყვებოდნენ და ფართო ზოლს ნახევარი ვერსის დაშორებით გამოსერავდნენ. მერე ნაპირ-ნაპირ გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ ამხანაგებთან. ხაბოიან ნაპირზე მორევი ზოგჯერ უბედურებას ატრიალებდა. მაშინ ვლინდებოდა თავგამოდება განწირულისათვის შველაში. ყოველივე ეს გაბედულების თავისებური სკოლა იყო.

მაგრამ რიონის ქვიშნარ ნაპირთან ყოფნა მე უფრო სხვა მხრივ მიზიდავდა. მხოლოდ აქედან შეგეძლო გემზირა და მთელი მშვენიერებით გეგრძნო ბუნების წარმტაცი სილამაზე საღამოს ჟამზე, როცა დაწვერილი, ჩამავალი მზე ცის კიდურებს თითქოს ფიროსმანის ფუნჯით ნაირფერად ხატავდა. ღრუბლებს გაცრეცილ ნაფლეთებში ვახვეული მისი სხივები, ცისარტყელის გაელვებასავით, ზოგჯერ

წამიერად აციალდებოდა, ათამაშდებოდა, მერე იკარგებოდა, ჰჭრეპოდა, და მაშინ მოძალებული ბინდი შუქჩრდილებად ეფინებოდა ძწვანედ აბიბინებულ, გაშლილ მინდორ-ველებს.

დაიძრებოდა რიგრიგობით, ერთიმეორეზე მიყოლებით, მდელოებზე ნებივრობით გალაღებული ნახირი და თვალისმომჭრელად, კარგად გაწვრთნილი, „განსწავლული“ ჯარისკაცებივით შეუცდომლად მიედინებოდა თავიანთი ჰიშკრებისაკენ, შორიდან ზმუილით და ბღავილით იკლებდა არე-მარეს, თითქოს პატრონს ატყობინებდა: — აჰა, მოვდივარ. მომაქვს რძე და ბარაქა, კარი ღია დამახვედრეო.

რა არის ეს, ნოსტალგია? დიახ, რომანტიკული გახსენება, სევდიანი მოგონება და მონატრება.

სოფლის საძოვრებს ჯოგის მსხვილფეხა ახლოს არ ეკარებოდა. არ ხდებოდა პირუტყვების აღრევა და ათქვეფა. მაშ, როდის ხედავდნენ და გრძნობდნენ სოფლელები მეჯოგეთა არსებობას? მეჯოგეთა და არა მეჯოგის. ერთ სოფელში ერთზე მეტი? ნუ გაგიკვირდებათ. ჰქონდა მაშინ მაგნიტური მიზიდულობა სირიაჩქონის ტყიურ პუნებას.

მაქსიმე კვარაცხელიას (ვინ იცის, ოჯახის მერამდენე შთამომავლის) ჯოგი საადამიოს უბნის უკან, ლაუ ცირდავასი — სოფლის შუაგულის პირდაპირ და გოჩა კაკაჩიას ჯოგი კი ახალი სოფლის მიმდებარე ტყეთა სიღრმეში იყო განლაგებული. გლეხური ინტუიციით, გარკვეული მოსაზრების გამო, ტერიტორიულად ესენი ერთმანეთისგან საგრძნობლად დაშორებული იყვნენ, ისე კი ტყის ერთ მასივს ეკუთვნოდნენ, ერთი სოფლის ფართობზე ბინადრობდნენ. პირველი ორი ტყეში გამდინარი ფიჩორას ნაპირებთან ახლოს იყო დაბანაკებული, მესამე კი — წყალწითელასა და ფიჩორას შენაკადთან. სულადობის რაოდენობის და ჯიშის მიხედვით, როგორც აღვნიშნე, ძიკი კვარაცხელიას ბადალი არ ჰყავდა. ცირდავა და კაკაჩია მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოწაფეებად“, შეგირდებად ითვლებოდნენ. წარმოშობით ყველანი სამეგრელოს მთიანი მხრიდან იყვნენ. მათგან იძენდნენ სახარე მოზვრებს და საძროხე დეკეულებს.

ბიძაჩემი იულონი, როგორც მეჯოგეთა კავშირის თავმჯდომარე (ამის შესახებ ზემოთ ნათქვამი მაქვს, გვ. 22) ახალსენაკიდან დროგამოშვებით ჩამოდიოდა მათ სანახავად და ყოველთვის თან გამიყოლიებდა ხოლმე. გზაზე მიამბობდა კავშირის მიზნებზე, მეჯოგეთა გაერთიანების თანდათან დაშლაზე, „კორპორაციის“ ლიკვიდაციაზე.

სოციალისტურ სახელმწიფოში — მიყეებოდა იგი — შეუძლებელია ერთ კაცს 500 სული პირუტყვი ჰყავდეს. ჩვენ მწყემსების მეშვეობით ვახდენთ შინაგან „ამბოხს", უზომო დაბეგვრის მეთოდით ვაიძულებთ ხელი აიღონ კერძო საკუთრებაზე და, ბოლოს და ბოლოს, მოვიშოროთ ძველი დროის სამარცხვინო მანკი — ადამიანის გაველურება. „ხაზეინებს" რა ენაღვლებათ, ქონება და დროს ტარება არ აკლიათ. მწყემსებია ცოდვა. ისინი მოჯამაგირეები არიან, პროლეტარიატის თანამოძმენი. ჯოდა, გახსოვდეს, ეს ქვეყანა მოჯამაგირეებისა და პროლეტარების დასაცავად არაფერს დაიშურებს. ამას გვიქადაგებენ მარქსი — მარქსიზმი, ლენინი — ლენინიზმი.

ორი თუ სამი წელი იყო გასული, რაც ბიძაჩემი ქალაქში გადავიდა. ეგრძნობდი და ეხედავდი, ჩემ წინ ახლა სულ სხვა იულონი მიდიოდა. ვითომდა უფრო გათვითცნობიერებული პოლიტიკურ-იდეოლოგიურ საკითხებში, უფრო დაჯერებული თავისი საქმიანობის სისწორეში, უფრო რადიკალური და შეუპოვარი. აი, რას ნიშნავს თურმე ქალაქად ცხოვრება. იქ სხვანაირად ფიქრობენ და მოქმედებენ, ალბათ, ადამიანები. — ხმის ამოუღებლად მივსდევდი ბიძაჩემის ნაკვალევს ეიწრო გზაზე და გუნებაში ვერა და ვერ ვათავსებდი მისგან გაგონილ, ჩემთვის უცხო და გაუგებარ აზრებს.

შქაბანთან, მოსატეხად დამწიფებულ ჩვენს ყანას რომ ჩავუარეთ, იულონმა გაიხსენა: აი, იმ თხმელის ძირას გავათიეთ ღამე მე და მამაშენმა მენშევიკების გამოსვლის დროსო. დასაჭერად მომდევდნენ ლადი გულუა, შალვა იოსელიანი, სპირიდონ დანელია და მათი მიმდევრები, მაგრამ სოფლიდან რომ გამოვიქეცი, ვერ გაბედეს აქეთ შემოსვლა. ჩემთან ერთად იყო მიხა ლუხავა და თედო ბელქანიაცო.

გზა-ბილიკი ტყის სიღრმეში შევიდა. მზე ხეთა კენწეროებიდან დაგვცქეროდა. ჩემ წინ სრულიად ახალი, მრავალფეროვანი, მომხიბლავი სანახაობა იშლებოდა თავისი იდუმალებით და სილამაზით. ჯანგაკრიალებული, ტანაშოლტილი, სქელქერქებიანი მსხვილი ხეები თითქოს ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ სიმაღლისაკენ სწრაფვაში, ლარივით გაჭიმულნი და სანთელივით ჩამოქნილნი მედიდურად დაჰყურებდნენ დედამიწას და ისე ამაყად იდგნენ, არაფრად აგდებდნენ მათ ძირებთან ჩვენი ლანდების მოულოდნელ გამოჩენას, ჭიანჭველის ოდენა ღირსებაც არ გვქონოდა თითქოს. სამაგიეროდ, თავს გვიხრიდა და გვესალმებოდა შუალედებში ჩამდგარი ბუჩქები ახლადამონაყარი ყლორტების ნაზი რხევითა და შრიალით.

— ეს მუხაა. ეს — რცხილა, ის კიდევ — წიფელი, აი, ის თე-ლაა, ეს — ნეკერჩხალი, ესენი თხმელებია. — მეუბნებოდა და მიჩვე-ნებდა ბიძაჩემი გზადაგზა და თან ხმელი ფოთლების შარიშური მიგ-ვაცილებდა. რა და რა ფრინველი არ დაფრინავდა ხეზე, რანაირი სტვენა, ჭიკჭიკი, გალობა და რაკუნ-კაკუნი არ ისმოდა, რა ფერის პალახი, ხვიარა, რანაირი მწერები არ გვხვდებოდნენ! ნაწვიმარი, ჩარჩენილი წყალი წვეთებად მიწანწკარებდა ნაკვალევიდან ნაკვა-ლევისკენ და ბეღურების გუნდი ესეოდა, წყურვილს იკლავდა.

გავედით ფიჩორას ნაპირთან, მარჯვნივ გაეუხვიეთ და მინდორი გამოჩნდა ტყისპირას ჩადგმული გრძელი კარვით. ბიძაჩემი შეჩერდა, ჯოხი მოტეხა და მოიმარჯვა.

— ლაუ! — დაიძახა არც ისე მაღალი ხმით. არავინ გამოეხმაურა.

— ლაუ-უ! — იყვირა ისევ, ტყის ექო თითქოს უკან დაგვიბრუნდა.

ამასობაში ბომბორა ნაგაზები გამოეწთნენ კარვიდან, აყეფდნენ და კაციც გამოჩნდა.

— მობძანდი, მობძანდი, პატენი, — შორიდან დაიძახა უცნობმა და ნაგაზები ჩააჩუმა. იულონი იცნო, მიეგება, მიიწვია კარავში. მეც შევყევი.

— ლაუ არ არის? — ჰკითხა ბიძაჩემმა.

— წასულია, პატენი, ქალაქად.

— მარტო ხარ?

— არა, პატენი, ამხანაგი საქონელთანაა და შემოვა ახლავე. ერ-წუთ, ჩქიმ პატენი. — თქვა მწყემსმა მობოდიშებით და მეორე ოთა-ხისკენ გაალაჯა.

ბიძაჩემმა გარეთ გამიყვანა. შემოვუარეთ თიხით შელესილ კა-რავს. ცალკე ჩვილი ხბოების, ბოჩოლების, ცალკე მოზრდილების სადგომები დავათვალიერეთ. ერთ ოთახში ელაგა რძის ეედროები, ყველის შესანახი ხის დერგები, ერთში კიდევ ცხენების მოკაზმულო-ბა, ნაბადი, თოფი, ჰილოფები, ლეიბ-საბნები. სამზარეულოში არ შევსულვართ, მასპინძელი შეშას აყრიდა ცეცხლს. კარვიდან რომ გამოვედით, ბიძასა ეკითხე:

— ბიძია, ზამთარში საქონელი სად ჰყავთ ღამე?

— გარეთ.

— ჩვენ რომ ბაგაში ვაბამთ?

— ჯოგი იმიტომ ჰქვია, შეჩვეულია თოვლს და სიცივეს. ტყე იფარავს ქარისაგან და იგივე ტყე სიცივისაგანაც იცავს.

ამასობაში მეორე მწყემსიც შემოგვიერთდა. ბიძამ მასთან საუბარი ისე წარმართა, ეტყობოდა, უნდოდა გაერკვია გაუსწორა თუ არა „ხაზეინმა“ წინა ნამსახურის. პასუხებიდან ჩანდა, სამდურავი არაფერი ჰქონდა. კმაყოფილი იყო ბედის. ბიძამ საუბრის თემა შეცვალა, ყველის დამზადების გეგმის შესრულებაზე გადაიტანა. ჯერ ჰკითხა:

— როდის ჩამოდით მთიდან?

— ორი კვირაა, პატენი.

— ჯერ არ ჩაგიბარებიათ არაფერი?

— ხაზეინი როგორც კი ჩამოვა, მაშინვე გავიტანთ ცხენებით სენაკში.

— პო, კარგი, ნამატი ხომ არ გეზარალათ გზაზე?

— არა, პატენი.

— ახლა რამდენი გყავთ სულ დიდი და პატარა?

— 245.

— მაქსიმეს ორჯერ მეტი ჰყავს.

— გოჩასაც, მარა მაქსიმეზე ნაკლები. ხაზეინი ამბობს, მეტი არ გვინდაო.

როგორც საუბრიდან ჩანდა, 245 სულ პირუტყვს ორი მწყემსი უვლიდა, მაქსიმესთან ხუთასამდე სულს — ოთხი (იქ კარავიც უფრო კეთილმოწყობილი და მდებარეობაც უკეთესი ჰქონდათ, მიწა ზეგანიით იყო), ხოლო კაკაჩიასთან — სამი. პირუტყვი ტყეში საცხე ნაკერებით, ხმელი ფოთლებით, შეიარებით იკვებებოდა. არაეითარი თივის დამზადება მწყემსებს არ სჭირდებოდათ, მხოლოდ მოზარდებისათვის იმარაგებდნენ. არც რაიმე ვეტერინარული შემოწმება, ნესხეპის ჩხვლეტა, ლაბორატორიული ანალიზები... ზაფხულობით იალაღებზე გაჰყავდათ პირუტყვი. ეგ იყო და ეგ.

თვით მწყემსები იყვნენ პირუტყვის გულთმისნები. მათ ერთმანეთის ესმოდათ. შეატყობდნენ თუ არა საეჭვო რამეს, მაშინვე „საკარანტინო“ ზონაში ათავსებდნენ, ხალხური მკურნალობა იცოდნენ და გამოუვალ ვითარებაში დროზე იცილებდნენ, რათა სხვას არ შეჰყროდა „სენი“. და ასე, ბუნება, ადამიანი და პირუტყვი განაგრძობდა შეხმატკბილებულად მყუდრო ცხოვრებას ჩემი სოფლის უღრან ტყეში, ფიჩორას უწყინარ, უჩინარ და უშფოთველ ნაპირებთან.

პირველ გადატიხრულში ან ჩვენებურ „მისაღებში“ რომ დავბრუნდით, სუფრა გაწყობილი იყო. ელარჯი გაეკეთებინა მასპინ-

ძელს. ჩამოერიგა ხის ჯამებით. მეორემ მაწონი გადმოიღო ქოთნიდან. არყის ბოთლი შემოდგა ღვინის ჰიქებით. მაწონი ისეთი სქელი იყო, ისეთი საამო, ღომში ჩაზელილი ჭყინტი სულუგუნის ელარჯი კი ისეთი მსუყე და გემრიელი... ომამდელ ქილებიან წყნეთურ მაწონსაც მოვსწრებივარ და თანამედროვე „აღორძინებული" ელარჯიც მიჭამია, მაგრამ... ო, ღმერთო, ცხოვრებაში მსგავსი რამ არასოდეს არსად მიგემნია.

ბიძამ კარგად ისადილა, დალოცა ორივე მწყემსი და წამოსვლა რომ დააპირა, კვახის ფართო ფოთლებში შეხვეული ხუთი ცალი სულუგუნი მიართვეს საჩუქრად. — ეს თქვენ, პატენიო, უთხრეს.

არასოდეს მინახავს ბიძაჩემი ისე წარბშეკრული და განრისხებული, როგორც იმ წუთებში იყო, მაგრამ თითქოს არ შეიმჩნია გაბრაზება. ძღვენი გამოართვა მწყემსს, გასასვლელ კართან ჯორკოზე დადო და უთხრა: — აქედან კაკაჩიასთან უნდა გავიდე, მადლობელი ვარ რომ შეწუხდით და, აგერ, დისწულიც ასადილეთ. დამზადების გეგმა არ დაგავიწყდეთო, დაუბარა და დაემშვიდობა.

საღამოვდებოდა. ჯოგი ტყის საფარებიდან ჯგუფ-ჯგუფად შემოდიოდა სამფლობელოში, კარვის გარშემო გროვდებოდა. ხბოები ფეხების ბაკა-ბუკით ეგებებოდნენ. ნაგაზები ირგვლივ უვლიდნენ ჯოგს, რომ ღამე მგლებისგან დაეცვათ. ჩვენ ტყიდან ვბრუნდებოდით. სახლთან მიახლოებისას ბიძაჩემმა მითხრა: — ხედავ, ერთი საყვედურიც არ წამოცდათ ლაუ ხაზეინზე. გადადევი თავი ამისთანა ჩლუნგი ხალხისთვის. არასოდეს წაგძლიოს სულმა და არ გაიკარო ნამცეცის ოდენა სხვისი რაიმე.

ახლა ჩემ გვერდით ისევ ის სოფლელი იულონი მიაბიჯებდა — წრფელი, უანგარო, უბოროტო, მაგრამ... იდეებით ცდუნებული იულონი...

გაზაფხულზე, მაისის შუა რიცხვებიდან, მთის იალაღებისკენ მიმავალი კვარაცხელიას, ცირდავას და კაკაჩიას ჯოგი ცალ-ცალკე მწყობრად რომ გამოეფინებოდა სოფლის გრძელ შარაგზაზე, მის ცქერას არაფერი სჯობდა. ხარობდა, ლაღობდა, ლოცავდა ხალხი. ვინ წარმოიდგენდა, უკანასკნელი იქნებოდა გაცილების მაშინდელი ეგზოტიკური სიხარული... მეჯოგეთა კავშირიც დაიშალა, მათი დინასტიაც დაირღვა და თვით მეჯოგეობის ისტორიული ფენომენი განკულაკების ქარბორიალში არენიდან გაჰქრა...

მ ც ი რ ე ც ნ ო ბ ა: მეჯოგეობის კერძო სისტემის ლიკვიდაციას

თან მოჰყვა მთელ ქვეყანაში მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ფართო ქსელის შექმნა. 1932 წლის დასაწყისისათვის უკვე შექმნილი იყო 1480 ასეთი სახის საბჭოთა მეურნეობა 2 მილიონ ნახევარი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით, მაგრამ იმავე ხანებში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო: „ა) უყაირათობის და წარმოების პროცესების სრული მოუგვარებლობა, ბ) პირუტყვის მოვლის სრული არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია, სიბერწის მეტად უდიდესი პროცენტი და ჯოგის სრულიად არასაკმაო ზრდა საკუთარი ნამატის ხარჯზე, გ) სასაქონლო პროდუქციის განიავება, სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმების შეუსრულებლობა, დ) შრომის უაღრესად სუსტი ორგანიზაცია, ე) სამეურნეო ანგარიშის სრულიად გაუტარებლობა... საბჭოთა მეურნეობებში“. საბჭოთა საზოგადოებრიობას პრესის საშუალებით ეცნობა იმ გაერთიანებების, ტრესტების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების სია, რომლებიც მოხსნილი და სამართალში იქნენ მიცემული მეცხოველეობის განვითარებისადმი ცუდად ხელმძღვანელობისა და დანაშაულობების ჩადენისათვის (იხ. გაზეთ „კომუნისტი“, 1932, 2 აპრილი, № 77, რომელშიც გამოქვეყნებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ერთობლივი დადგენილება ვ. მოლოტოვის, ი. სტალინის და ი. იაკოვლევის ხელმოწერით).

მაშასადამე, ნეგატიური ტენდენცია წარმოიშვა საკუთრების ფორმის შეცვლის პირველსავე ნაბიჯებიდან და დაუნდობელი ბრძოლით კი არ ისპობოდა იგი, იცვლებოდა, ვითარდებოდა და ღრმავდებოდა გარემოებათა მიხედვით...

იყო და აღარ არის ლამაზრქებიანი, ძლიერი ძალღონის ბუღა-ხარების საოცნებო, სანატრელი, სანაქებო ჯიში, მათი ჰიდილის ეშხი და რომანტიკა!

იყო და აღარ არის კოლხურ ბუნებასთან შეგუებული, შეზრდილი, თითქოს შესისხლხორცებული და შეჯვარებული მეწველი ძროხების მამაპაპური ჯოგი!

იყო და აღარ არიან მეცხოველეობაში ძიკი კავარცხელიას მსგავსი უდიპლომო, უკანდიდატო, უდოქტორო, მაგრამ უდიდესი სარგებლობის მომტანი, საქვეყნო საქმის მცოდნე, ერთგული და მოყვა-

რული უბრალო ადამიანები, თავისი დროისათვის შეუცნობელი პეშმარიტი ნოვატორები!

ამიტომაც, იყო და აღარ არის ყველის, ხორცის, რძის და კარაქის ის სიუხვე, ის გემო, ის ნოყიერება, ის იაფობა და ის სულიერი... ეგზალტაცია...

ტრადიცია ყველგან იბადება, ტრადიცია ყველაფერშია, კარგი ტრადიციის გზა უწყვეტად უნდა გრძელდებოდეს...

ჩვენს სკოლაში პირველ ხანებში წითელ კუთხეს დაკისრებული ჰქონდა ბიბლიოთეკის ფუნქციის შესრულებაც და კედლის გაზეთის გამოშვების ორგანიზაციაც. ამით მისი საგანმანათლებლო როლი, მაშინდელი გაგებით, დიდი იყო. ალბათ, ამითვე უნდა აიხსნას, მისდამი საერთო ხელმძღვანელობას სკოლის გამგე ანხორციელებდა. სამასწავლებლოს ერთ კუთხესთან მიდგმულ მაგიდაზე წითელი ფერის სქელი ტილო იყო გადაფარებული. მაგიდის ფეხებსაც ფარავდა. ზემოთ, კედელზე გაკრული იყო თეთრი ქაღალდი, რომელზედაც წითელი ფანქრით ეწერა: „ლენინის სახელობის წითელი კუთხე". იქვე ეკიდა ლენინის ბავშვობის სურათი. ამით მნახველის თვალში მისი ფასი და მნიშვნელობა მაღლა იწეოდა. მოწიწებით უახლოვდებოდნენ და ათვალიერებდნენ მაგიდაზე დალაგებულ წიგნებს, ბროშურებს, ჟურნალ-გაზეთებს. კედლის გაზეთის ახალ ნომრებს სწორედ იმ წარწერის ქვემოთ აკრავდნენ. ასე რომ, მთლიანობაში კუთხე მართლაც იქცევდა ყურადღებას. ეს იყო კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ერთ-ერთი პირველი ფორმა მის საწყის სტადიაზე.

სკოლის გამგის გარეშე რაიმე ბროშურას ან წიგნს წასაღებად ხელს ვერ მიაკარებდი. ეს შიშის ან მონობის შეგრძნებას კი არ გინერგავდა, არამედ წესრიგიანობის და პასუხისმგებლობის განცდას. აირჩევდი, მოახსენებდი და გამგე სპეციალურ რვეულში იწერდა წაღების და დაბრუნების ვადებს. რომ ვთქვა, ჩვენი სკოლა წიგნებით მდიდარი იყო მეთქი, არ ვიქნებოდი სწორი. არასწორად ლაპარაკის სიცუდეს კი თვით სკოლა გვასწავლიდა. ძალზე ღარიბი იყო. ჟურნალებიდან „რემედასი" სჭარბობდა ყველას. ეს იყო რევოლუციონერ მებრძოლთა საზოგადოების ორგანო და 20-იან წლებში უფრო გავრცელებული, ვიდრე „პიონერი". მხატვრული ნაწარმოებებიდან პროლეტარული პოეტების ლექსების პატარა-პატარა კრებულები ეწყო მაგიდაზე. მათ შორის იყო, მაგალითად, ალიო მაშაშვილის 1925 წელს გამოცემული „მე და ბარათაშვილი" სურათით, ბროშუ-

რა საქართველოს კომკავშირის ისტორიაზე და წითელყდიანი ასევე ბროშურა „რა არის საბჭოთა ხელისუფლება.“ ეს ვითხოვე. ჩაშწერეს და წითელი კუთხიდან მხოლოდ ამით ვისარგებლე. რა დამამახსოვრდა მისი წაკითხვიდან?

ფორმულა: „საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია არის სოციალიზმი“. სოფელში საბჭოთა ხელისუფლების რეალური არსებობა უცილობელი ფაქტი იყო. მაშასადამე, უნდა შემატებოდა მეორე ნიშანი, რომ მიმეღო ფორმულაში ჩასმული ჯამი. ამიტომ სულ იმის ფიქრში ვიყავი, გამეგო ორი რამ: 1. რას ნიშნავს ან რა არის თვით ელექტროფიკაცია. ტარიელ გოლუას შეხუმრებისა არ იყოს: გიოს მიერ მოტანილ ამბავზე — ერთობის რამდენი ფეხი აქვსო, რამდენი თვალიო, დადისო თუ დაფრინავსო, მეც მაინტერესებდა, როგორი იყო იგი. 2. როდის შემოვიდოდა, საიდან შემოვიდოდა — აბაშის ბორნიდან თუ ზემოჭალადიდის, რიონზე გადმოხტებოდა თუ ტყიდან შემოიპარებოდა.

როცა ყოველივე ამის ცოდნით დაყურსული ვიქნებოდი, ჩემი ვარაუდით, მე პირველს შემეძლო მეყვირა და მეხარებინა ხალხისთვის: — გაუმარჯოს სოციალიზმის მობრძანებას სირიაჩქონში-ძეთქი. რადგან გვერდები ჩაჭრილიც არ იყო, დარწმუნებული ვიყავი, ჩემამდე არავის ჰქონდა წაკითხული ის ბროშურა. თქვენ წარმოდგინეთ, როგორ გაიზრდებოდა ერთბაშად ტოლამხანაგებში კი არა მარტო, მთელ სოფელში ჩემი სახელი!

სულ იმ ფორმულას ეზეპირებოდი, დღეებს და თვეებს ვითვლიდი ჩუმად, სულ ყურადღებით ვუსმენდი მასწავლებლებს და. ჩემდა გასაოცრად, არასოდეს არც ფორმულა უხსენებიათ და არც სოციალიზმის „მოპოვების“, „დამყარების“, თუ „აშენების“ საკითხებზე ჰქონიათ რაიმე საუბარი გაკვეთილებზე. გვიან მივხვდი, ნეპის პერიოდში სრულიად უსაფუძვლო ყოფილა ჩემი ბავშვური ფიქრი და ოცნება.

გაზეთ „კომუნისტში“ 1925—1928 წლებში სისტემატურად იბეჭდებოდა დისკუსიების მასალები პარტიულ-პოლიტიკურ საკითხებზე. შეგნებულად გვერდს ვუვლი მათ ციტირებას და დოკუმენტურ წყაროებზე მითითებას. იგი ამჯერად არ შემოდის ჩემი განსჯის სფეროში. მით უფრო, მაშინ საეჭვებით მიუწვდომელი იყო ჩემი ასაკის გონებისათვის. მაგრამ გვარებს და მათ სიტყვებს, სტატიებს ხომ მაინც ვკითხულობდი, ხომ მაინც ვფურცლავდი, ვათვალიერებდი, ვაკ-

ეიდებოდი სურათებს. ხომ ვისმენდი უფროსებისგან, ხომ ესმედა და ეგრძნობდი საზოგადოებრივ-სოციალურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და, აი, მხოლოდ აქედან გამომაქვს მარტივი დასკვნა: ხალხი მაშინ პრაქტიკული საქმეებით თვალნათლივ ხედავდა სხვადასხვა მოსაზრებათა შორის ყველაზე ლოგიკურის სისწორეს, მას უჭერდა მხარს და მას ემხრობოდა კიდეც.

საწყოლ ლოგინთან, კედელზე გაკრული მქონდა „კომუნისტის“ ის გვერდი, სადაც მოკლემათეთა სიტყვებში ერთგან სიტყვა-სიტყვით ეწერა: „იყავ ლენინთან და შენ მართალი იქნები“. ვის ეკუთვნის ეს ფრაზა, არც ამაზე მოგახსენებთ რაიმეს და არც იმაზე, ვის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვიტყვი მხოლოდ: ბავშვობის ამ დროიდან ლენინი და მისი იდეალები ჩემთვის ფეტიშად იქცა. ვისწრაფოდი, რაც შეიძლება მეტად დავწაფებოდი მის წიგნებს, მოწაწილეობა მიმეღო მის მიერ დაწყებული საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მაშინ მხოლოდ ამით შემოისაზღვრებოდა პოლიტიკური დისკუსიების გავლენის სფერო და მასშტაბი ჩემდამი.

შემდგომ ამ სწრაფვის და სურვილის რეალური გამოხატულება იყო სასკოლო მერხიდან ოქტომბრელობის, პიონერობის გზის გავლით 1931 წელს კომკავშირის რიგებში შესვლა, 1938 წელს პარტიის წევრობის კანდიდატად, ხოლო 1939 წლის იელისიდან წევრად მიღება. 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში აქტიური მონაწილეობა. ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილება და შემუშაებული მრწამსი უფლებასაც მაძლევს და ძალასაც პირუთვნელი ვიყო მოვლენების არა მარტო ემპირიულ აღწერაში, არამედ მათ ანალიზსა და შეფასებაშიც (ამის შესახებ მესამე ნაწილში). აქეთკენ მიმავალი გზა კი — ქრონოლოგიზმია. გაეყენეთ ჯერ ისევ მის ციცაბოვან ბილიკებს.

1928 წლის ივნისის დასაწყისში სკოლის ეზოს კარებთან გაჩერდა ერთცხენიანი მცირე ზომის ფურგონი, რომლის კოფოდან საშუალოზე ოდნავ მაღალი, სანდომიანი შეხედულების კაცი გადმოვიდა. ის დრო იყო, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ბავშვები, აჰა, უნდა გამოვსულიყავით ეზოდან.

— ბიჭებო და გოგონებო, გენაცვალოთ, წიგნები ჩამოგიტანეთ, აბა, ვის გინდათ. აირჩიეთ. — შემოგვძახა გარედან, ფურგონს მიუბრუნდა, ჩემოდანს ზედაპირი ახადა და გამოაჩინა რამდენიმე ცალი. გავიქეცით. ამასობაში სკოლის გამგე და მასწავლებლები მოვიდნენ. გამოეცნაურნენ, მიიწვიეს სკოლაში. სტუმარი მუსიკოსიც და სიმ-

ღერის მასწავლებელიც აღმოჩნდა. შეხვედრა მოუწყვეს. სადილი გაუმართეს. კონცერტის ჩატარებისათვის ფული გადაუხადეს და რაც წიგნები ჩემოდანში ჰქონდა, საჩუქრად დაუტოვა სკოლას. ეს ილიკო ქურხულის ქველმოქმედების და კულტურული მოღვაწეობის პატარა, მაგრამ, ეფიქრობ, არც ისე უმნიშვნელო შტრიხია.

აი, იმ „ოქროს ფონდიდან“ შემხვდა სამი წიგნი: ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ჭოხი“, მ. გორკის „ჩემი უნივერსიტეტი“ და კ. ტიმირიაზევის „მეხსიერების გამაგრება“. ეს უკანასკნელი ახლაც ინახება ჩემს ბიბლიოთეკაში, როგორც პირველი მრჩეველი და დამრიგებელი მეხსიერების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. თუ რაიმე ლოგიკურ თანმიმდევრობას ამჩნევთ ამ თხრობაში, მადლობა იმ მეცნიერს მიაგეთ, რომელმაც შემაძლებინა თქვენი ყურადღების ოდნავად მაინც მიპყრობა.

1929 წლის თებერვალში ახალსენაკიდან სოფელში ე. წ. „მუშათა ბრიგადა“ ჩამოვიდა სამი წევრის შემადგენლობით. ლოზუნგი „ქალაქი — სოფელს“ მაშინ პირველად იკაფავდა გზას. ეს იყო მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირების, ქალაქსა და სოფელს შორის ზღვრის წაშლის იდეის პრაქტიკული ხორცშესხმის ნიშან-გამოხატულება. სოფელს სამჭედლო არ ჰქონდა. სკოლის წინ მდებარე მინდორზე ბრეზენტის საფარქვეშ ერთგვარი სამჭედლო-სახელოსნო გაიმართა. სად ათევდნენ ღამეს მუშები, ვერ გეტყვით, ის კი კარგად მიგვრძნია და მინახავს, თუ როგორი სიხარულით მიეძალა სოფლის მოსახლეობის განსაკუთრებით ხელმოკლე და მარტოხელა ნაწილი შორიდან მოვლინებულ კეთილ ადამიანებს.

გაზაფხული დგებოდა და მიჰქონდათ გასალესად და გასამართავად სახნისი, თოხის პირი, ხერხი, ნაჯახი, წალდი, ფოცხი, ნამგალი, ცელი და სხვა იარაღები. ყოველ მომსვლელს, ქალი იყო თუ კაცი, მუშები გულთბილად ხვდებოდნენ, უფასოდ უკეთებდნენ და შიგა და შიგ ჩამოუგდებდნენ ხოლმე გაკვრით სიტყვას: — კავი და სახნისი მალე კულტივატორით და ტრაქტორით შეიცვლება. რად გინდათ ეს ძველი ხარახურები, ჩვენ ისეთ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს მოგაწვდით, იოლი ფიზიკური შრომით უხვი მოსავალი მიიღოთ.

ასეთი იყო ძირითადი აზრი იმ დიალოგებისა და საუბრებისა. რომლებიც ჰქონდათ მუშათა კლასის წარმომადგენლებს სოფლის

თავკაცებთან. აქტივთან, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან. და გავლენაც აშკარა და ნათელი იყო.

იმავე 1929 წლის შემოდგომაზე მამამ დილით სიმინდის ტაროებით დატვირთული პირველი ურემი რომ მიაყენა სასიმინდეს დასაცლელად, მოულოდნელად მიხა ლუხავა გამოჩნდა ეზოში და შორიდანვე დაუძახა მამაჩემს: — სარდი, თუ კაცი ხარ, არ დაიწყო გადმოცლა, მოვალ და გეტყვიო. და გაშეშებულ მამასთან მოვიდა კიდეც. იმ ხანებში ლუხავას ტყის მცველის თანამდებობაც ეკავა და თემსაბჭოს მასშტაბით კომუჯრედის მდივანიც იყო.

— რა იყო, მიხა, რამ შეგაწუხა, სახლში ხომ მშვიდობაა. — ჰკითხა მამამ.

— სარდი, თუ კაცი ხარ, არ მოვიდოდი შენთან, საქმე რომ არ იყოს. არ შემეკითხო, რატომ ან რისთვისო. ეს ერთი ურემი მთავრობას უნდა ჩააბარო. სხვებსაც გამოუცხადეთ. სენაკში წავიღებთ და ერთად ჩავაბარებთ. დამზადებაა დაწყებული.

წუთიერი დუმილის შემდეგ მამამ უპასუხა:

— კი, ბატონო, თუ ასეა საჭირო, გავაკეთოთ. მთავრობა აქეთ გვეხმარება, მიწები დაგვირიგა, იქითაც დავეხმაროთ, აბა. როგორ იქნება, კაცო. მაგრამ როდის ვქნათ აგი ამბავი.

— დღესვე. ჩამოივლიან მალე ჰიშკართან. გაჰყევი, თუ კაცი ხარ. მეც წამოგეწევით.

— ო... ჰო, კარგი, კარგი. — უთხრა მამამ ცოტა დაფიქრების შემდეგ და მე მომიბრუნდა:

— გაიქეცი ყანაში, დედაშენს უთხარი, შეწყვიტონ მოტეხვა. რაც მოტეხილია, იმას ჩალა გადააფარონ. ხვალ გავაგრძელებ-თქო. გაიგე, რაც გითხარი?

— კი, ბაბა, — და გავქუსლე ყანისკენ...

იმავე წლის დეკემბერში მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის სულადობის აღწერები დაიწყო...

ყველაფერი ეს იყო პრელუდია ჩემ სოფელში იმ „დიადი გარდატეხის“ დასაწყისისა, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის თანატოლს თუ არა, მის მსგავსს მაინც უწოდებდნენ. ვამბობ, ჩემს სოფელში, იმიტომ, რომ ჰქონდა-ქუხილი და წყალდიდობა შედარებით აქ ყოველთვის უფრო გვიან იწყებოდა, ვიდრე სათავეებთან და მწვერვალებთან.

მართლაც, 1930 წლის იანვრის ბოლო რიცხვებიდან სასოფლო

კრებების მთელი სერია შედგა ერთადერთი დღის წესრიგით: კოლექტივის დაარსება, არტელის ჩამოყალიბება სოფლად. ასეთი კრებების ჩატარება და კოლექტივების დაარსება ბევრგან უკვე დამთავრებული იყო. სხვანაირად გაზეთ „კომუნისტში“ არ გადმოიბეჭდებოდა „პრავდის“ 1930 წლის 2 მარტის ნომრიდან ცნობილი სტატია „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“. რომელსაც ღამ-ღამობით ცეცხლის შუქზე ვუკითხავდი მამაჩემს. საქმე შეეხებოდა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. ჩვენთან კი ჯერ კრებების „მოძრაობა“ იწყებოდა.

გლეხობის განწყობილება, მერყეობა, დამოკიდებულება ცხოვრების ახლებურად მოწყობისადმი მეტ-ნაკლებად ყველგან ერთნაირ ჭრილში გადიოდა. არც ჩემ სოფელში და არც, ალბათ, სხვაგან კმაყოფილებით ერთბაშად არავინ შეხვედრია კოლექტივიზაციის იდეას. თვითონ განსაჯეთ: იანვარში დაწყებული კრებების შედეგად კოლმეურნეობა ჩვენთან მუშაობას 1931 წლიდან შეუდგა. კრებიდან კრებამდე ყველას ეძლეოდა დრო დაფიქრების, მდგომარეობის აწონ-დაწონის, არტელში შესატანი წილის გაზომვისა და გაანგარიშებისათვის. დრო — მთელი წელიწადი.

უნდა ვიფიქროთ, შესაძლოა, მოუსწრო და აუჩქარებლობაში. ალბათ, დადებითი როლი ითამაშა „კომუნისტში“ გემოქვეყნებულმა ზემოთაღნიშნულმა სადირექტივო ხასიათის სტატიამ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ პარტიის პოლიტიკა „ეყრდნობა საკოლმეურნეო მოძრაობის ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ა ს და სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონში პ ი რ ო ბ ე ბ ი ს სხვადასხვაობის გათვალისწინებას (ხაზგასმა ტექსტისეულია, — ა. თ.). არ შეიძლება კოლმეურნეობების დანერგვა ძალით. ეს სულელური და რეაქციული ნაბიჯი იქნებოდა. საკოლმეურნეო მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს გლეხობის ძირითადი მასების მიერ აქტიურ მხარდაჭერას“.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელს საკუთარი ინტელიგენცია ამ დროისათვის ძირითადად უკვე ჰყავდა, კომკავშირული ბირთვი უფრო გააქტიურებული იყო თავისი კრიტიკული, შეტევითი ენთუზიაზმით და თვით ხალხიც გათვითცნობიერებული, მაინც მთელი წელიწადი გრძელდებოდა ჰიდილი დ ი ლ ე მ ა ს თ ა ნ, რომლის არსი ორიდან ერთის არჩევანში იყო ჩაქსოვილი. რომელი უნდა ყოფილიყო ის ერთი? ინდივიდუალური, კერძო, არსებული, თუ კოლექტიური, საზოგადოებრივი, არარსებული?

ახლაც თვალწინ მიდგას გლეხური „ბატალიების“ ის სცენები და ეპიზოდები კრებების სერიებიდან, რომლების მოწმე და მონაწილე თვითონ ვიყავი, როგორც დამამთავრებელი კლასის მოწაფე. კრებები სკოლის შენობაში ტარდებოდა ზოგჯერ კვირა დღით, ზოგჯერ შაბათ საღამოს და დახურული კი არ იყო. საჯარო, თავისუფალი დასწრების უფლებით. უნდა ვიგულისხმოთ, საჯაროობა ამ შემთხვევაში ვინმეს გაკიცხვისათვის არ იყო გამოგონილი, თვით კრების დღის წესრიგი ითხოვდა. არავინ არაფერზე არ იყო პასუხისმგებელი. არავინ იყო ბრალდებული და ბრალმდებელი. გადასაწყვეტი კი ყველას ერთი ჰქონდა: გაეკეთებინა სწორი არჩევანი. აქეთკენ იყო მიმართული აგიტაციაც და მოწოდებაც.

პირველივე კრებაზე, მაგალითად, ქალაქიდან ჩამოსულის თუ მომაგრებულის მოხსენებაში რჩევა-დარიგებად გაისმა აზრები სიმინდის მობნევით თესვის ნაცვლად მწკრივად დათესვის უპირატესობაზე, გლეხის ფიზიკური შრომის შემსუბუქების ახალ ტექნიკურ საშუალებებზე. მწკრივთა შორის კულტივატორი გაიელის, მწკრივების გამოთოხნა და ზედმეტი ძირებისგან გამოწმენდა-გამოხშირვა დაგჭირდებათ მხოლოდ. რამდენსაც მოითხოვთ, იმდენ კულტივატორს მოგაწვდით მიწგანიდანო. მომხსენებელმა ზოგადად სამოთხის ბაღად დახატა კოლექტიური მეურნეობა, თითქოს თვითონ გაეშენებინოს ან თვალით მაინც შეეხედოს. ბოლოს, ზეგავლენის წარმატებაში ღრმად დაიმედებულმა, კრებას მიმართა: — ვისაც სურვილი გაქვთ თქვენი წილი ქონებით შეხვიდეთ კოლექტივში, ა ქალალდი, ა ფანქარი. აგერ მაგიდა, გამობრძანდით და მოაწერეთ ხელიო.

მართალია, ამ პირველ ლამაზ სიტყვას, ხოტბა-ქებას და აგიტაცია-მოწოდებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია კოლმეურნეობის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მაგრამ გლეხობის გუნება-განწყობილებაზე უცხო კაცის მოხსენებამ ერთგვარი გარდატეხა უეჭველად მოახდინა. ამან თავი იჩინა კიდეც უკანასკნელ კრებაზე. იქამდე კი...

რამდენიმემ, მათ შორის მამაჩემმა და ბიძაჩემმა სანდრომ განაცხადი შეიტანეს კულტივატორის თაობაზე. თებერვლის ბოლოს ხუთი ცალი კულტივატორი მიიღო სოფელმა. მარტის დამლევს საცდელად ერთ ნაკვეთზე მწკრივად და ორში კი ისევ მობნევით დათესა სიმინდი მამაჩემმა. ასევე სხვებმაც. აპრილში ამოიყარა, მუხლამდე გაიზარდა. პირველი გამარგვლის დრო იყო. მწკრივებს შორის არე აგროწესების მოთხოვნით იყო დაცული. კულტივატორი რომ ჩააყე-

ნა, მამაჩემს გაუკვირდა: ასე ზუსტად, სანტიმეტრსა და გოჯებში ვინ მენცარმა გამოთვალა, ან რკინას სამი სახნისი ერთად როგორ მოაბაო. ხოლო როცა უღელში შებმულმა პირაკრულმა ხარებმა მწკრივებ შორის ბოლომდე გაიარეს, დაინახა, რომ სიმინდის ძირ-ფესვებს უფრო მსუყედ ჰქონდა მიწა მიყრილი, ჩამოუარა თოხით, მიასწორ-მოასწორა მიწა, გაათხელა მწკრივი და მიხვდა, სამუშაო ნამდვილად გაუადვილდებოდა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ იყო დასკვნისათვის. როცა სიმინდმა თავისი ჩვეულებრივი ლამაზი თავთავები გაიკეთა, ჭოჭორს თუ ქოჩოჩს რომ ეძახდნენ, ფოთლების ძირში ტაროს ნიშნებიც როს გამოჩნდა, მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა, კულტივაციის წესით მოსაყვალი კი არ შემცირდებოდა, იმატებდა კიდეც. ასე და ამრიგად, კრებიდან კრებამდე საკუთარ თავთან ფიქრი და სჯა-ბაასი უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა.

...მეორე კრებას ქალაქელი აღარ ესწრებოდა. სკოლის გამგე ლევან სიჭინავა ასრულებდა მის მაგივრობას, ხოლო გრიგოლ კარტოზია თავმჯდომარეობდა. საქმე კენჭისყრაზე რომ მიდგა, ზოგმა სანახევროდ აწია ხელი, უმრავლესობამ თავი დახარა და ისევ დუმილი არჩია. თავმჯდომარემ მისთვის ჩვეული ჯაჯღანი დაიწყო.

— რაიონში კოლექტივის გეგმები თითქმის შესრულებულია, საგვიჩიოში უკვე ჩამოყალიბდა. აი, მივიღეთ სენაკის ახალი რაიონული გაზეთი, რომელსაც ჰქვია „მთლიანი კოლექტივიზაცია". — თქვა ეს და ააფრიალა კიდეც გაზეთის ფურცლები, — რა გემართებათ, სირცხვილი არ არის სხვებს ჩამოვრჩეთ? — ხელების შლით, ჩქარ-ჩქარა, თან ისე, თითქოს ცხვირში დუდღუნებსო, ლაპარაკობდა ჩექმებიანი დაბალი აგებულების გრიგოლი.

— საგვიჩიოში ჩვენი ერთი უბნის ხელა მოსახლეობაა. გაჩერდი, კაცო, შენ. ნუ გადმოაგდე მაგ დანისწვერიანი ენა. შეშის მჭრელებს გაუსვი და გამოუსვი ტყეში მაგ ენა. საჟენობით აზომვის და გაზომვის მეტი რომ არ იცი. რა გენაღვლება შენ. — მიაძახეს თავმჯდომარეს აქეთ-იქიდან და კრებაც ამით დამთავრდა.

...მესამე კრებაზე საკითხების პუნქტებად კონკრეტიზების ჯერი დადგა. თემსაბჭოს კანცელარიიდან ამოწერილი უღარიბესი, ღარიბი, საშუალო და შეძლებული ოჯახების სია მაგიდაზე იდო. თვით თემსაბჭოს თავმჯდომარე კირილე გარუჩავა უძღვებოდა კრებას. იგი ყველაზე დიდ კაცად ითვლებოდა თემში. არც რაიმე მუქარა, არც

რაიმე ძალდატანება მის სიტყვებსა და გამოსვლებში არ იგრძნობოდა, მაგრამ მკაფიოდ ჩანდა უკმაყოფილება პარტიის პროგრამის განხორციელებაში ჩამორჩენილობით.

— ამხანაგებო! — მიმართავდა იგი ხალხით გაჭედილ დარბაზს. — სიმინდის დამზადების გეგმა თქვენმა სოფელმა ერთსულოვანი მოწონებით შეასრულა. შესრულებული გაქვთ გადასახადების გეგმაც. ამას წინათ ჩატარებულმა აღწერებმა გვიჩვენა, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ყველას გყავთ და იმაზე მეტი, ვიდრე კანონით გეკუთვნით. თან ისიც ხომ ვიცით, აღრიცხული პირუტყვის რაოდენობა არ შეეფარდება რეალურად არსებულს, გულზე ხელი დაიდეთ და თქვენს სინდისში ჩაიხედეთ, ვის რამდენი ფაშატი ცხენი გყავთ გაშვებული მინდვრად ან ტყეში, რამდენი საქონელი გყავთ გადამალული. ჩვენ ბუნებამ ისეთი მდებარეობა გვიბოძა, ეშმაკიც რომ შემოგვიჩნდეს, ვერავინ მიაგნებს ღორისა თუ კამეჩის ასავალ-დასაყალს. მაგრამ ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთ ნდობით. თქვენ ყველა სინდისით და პატიოსნებით გამორჩეული ხალხი ხართ, და აბა, დაეკითხეთ თქვენს თავს:

— სანამ ვიდგეთ განზე ქვეყნის ახალი საქმიდან, სანამ გადავწიოთ კოლექტივის დაარსების ვადა. მალე ახალი წელი დადგება, ხომ უნდა დავიწყოთ მოქმედება და გაზაფხულიდან შევუდგეთ კოლექტიურ ხვნა-თესვას. საკარმიდამო ნაკვეთები, სახლი და ქარი, ფრინველი და პირად სარგებლობისათვის საჭირო და აუცილებელი პირუტყვი დაიტოვეთ. საყანე მიწები, ერთი ძროხა თუ გამწევი ძალა გავაერთიანოთ კოლმეურნეობაში და ერთიანი შრომით, ძველებური მეზობლობით და მეგობრობით გავაგრძელოთ ცხოვრება და მუშაობა. მაშ, გაუმარჯოს სირიაჩქონში კოლექტივის ჩამოყალიბებას!

მოეწონათ თემსაბჭოს თავმჯდომარის სიტყვა და ისეთი ტაში ატყდა, რომ იტყვიან, ზანზარებდა ორი გაერთიანებული საკლასო ოთახი. არასოდეს მიგრძვნია ტაშის ხმის ასეთი მძლავრი გუგუნი. მაყრუოლებდა, მახარებდა, თითქოს იატაკი მეცლებოდა ფეხქვეშ და გასაფრენად მეწვოდა. ამ განცდით მეგონა შეპყრობილი ყველა, როცა მოულოდნელად ლადი გულუას ხმა გაისმა:

— მომეცით სიტყვა, სიტყვა მაქვს სათქმელი. — და უკანა მერხებიდან მაგიდისკენ წამოვიდა. მაშინ დავინახე პირველად, ცალი თვალი უმოძრაო და გაშეშებული ჰქონდა.

— თემსაბჭოს თავმჯდომარემ სოფელი გალანძღა. საქონელი გა-

დამალული გყავთო. თქვენ კიდევ ტაშს უკრავთ. თვალი გაახილეთ, მოთაფლულ სიტყვებს არ აყვეთ, ფეხი არ ჩაყოთ... იხუვლა კრებამ. არ დააცალეს სიტყვის დამთავრება.

— არ გვინდა შენი აპეკუნობა, ხელს ნუ გვიშლი, ვიცით, რა სულის კაცი ხარ და იკმარე, რაც შეგრჩაო. — მიაძახეს ყოველ მხრიდან ისე ერთბაშად და ერთმანეთში ისე არეულად, ცხადია, გამომსელელს არ შეეძლო კონკრეტულად ვინმე ან დაენახა ან ხმით გაშოეცნო. იგი მაგიდას გამწყრალი და გაგულისებული გასცილდა.

— მე, მე მომეცით სიტყვა! — წამოიძახა ანდრია ბოძგეერაძემ. აზნაურის ყოფილ მოჯამაგირეს ნამსახურობის ფულით კვარაცხელიას ჯოგიდან გამოყვანილი განთქმული ხარები ჰყავდა, ფაცხა ედგა, სახერხ ქარხანას ემსახურებოდა მორების მიზიდვაში და ფიცრებს აგროვებდა სახლის ასაშენებლად. ყველა იცნობდა, როგორც ალალ, გამრჯე, წვრილ ცოლშვილიანს.

— ჩამწერეთ კოლექტივის სიაში. ხარები შემყავს, მერე კიდევ კაცი, სახნისი, საყანე მიწა.

— ურემი, ანდრია, ურემს ვის უტოვებ! — შესძახეს მაშინვე. შეცბუნდა, დაიბნა, შეწუხდა ანდრია, უნდოდა ეთქვა: ხანდახან შეეაბამ ჩემ ხარებს და ჩემი ნებით წისქვილში წაეალო, მაგრამ ვერ გაბედა სიტყვის დაძვრა. გარკვევისათვის მაინც ჰკითხა მომხსენებელს.

— ხომ შეიძლება, პატონი, როცა მომინდება ჩემი ხარები ჩემ უღელში შევაბა?

— კოლექტივი იმიტომაა კოლექტივი, — უპასუხა თემსაბჭოს თავმჯდომარემ, — შენი და ჩემი კი არ იქნება, არამედ ჩვენი და თქვენი. კოლექტივში გაერთიანებული ქონება ყველასია და თანაბრად ექნება უფლება ყველას, როცა დასჭირდება, გამოიყენოს ხარიც და უღელიც.

ანდრიამ თავი ჩაღუნა, საკითხის უცოდინარობით სახეზე გამოხატული სირცხვილის შეგრძნება რომ დაეფარა, სიის შემდგენს თხოვა, ურემიც მიუმატეო. მერე მივიდა მაგიდასთან, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფში ნასწავლი ანბანიდან ძლივს გაიხსენა თავისი სახელისა და გვარის გამომსახველი ასოების მოხაზულობა და საკუთარი ხელით ალბეჭდა ქაღალდზე. ტაშის გრიალით მიაცილეს მერხამდე. აქვე მ ი ნ ა წ ე რ ი: გაიელის სულ რაღაც 2—3

წელი და სოფელში გავრცელდება ანდრიას გამონათქვამი ხუმრობა: ჰაი, გიდი, ტაში-ტაშით დავკარგე შვილივით ნაზარდი ჩემი ბუსკა და ნიკორა, ჩემი რქებდაგრეხილი ლამაზი ხარებიო.

ანდრიას მაგალითს მალე სხვებიც მიჰყვნენ. პორფილე გელოზიამ უყოყმანოდ მოაწერა ხელი თანხმობის საერთო განაცხადს. სია თანდათან ივსებოდა. სოფლის მოსახლეობის შრომისუნარიანთა უმრავლესობა საკუთარი სურვილით და თანხმობით მხარს უჭერდა მთელ ქვეყანაში მოდებულ საკოლმეურნეო მოძრაობას. როცა დაჯამეს განზოგადებული უძრავ-მოძრავი ქონების რაოდენობა, უნებურად წამოიჭრა გადაუდებელი პრობლემა: სად მოეთავსებინათ პირუტყვი? მეწველ საქონელს ხომ ცალკე სადგომი სჭირდებოდა. ან სად დაებინავებინათ მოსავალი? საერთო ბეღელში? რომ არ ჰქონდათ? ნაგებობათა წინასწარ მოუმზადებლობა აშკარად ჩანდა, აფერხებდა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას. ამასთან მწვავედ დადგა სახერხი ქარხნის პრობლემაც. ხომ არ დარჩებოდა იგი კერძო მფლობელის ხელში? მიწის მესაკუთრეებს თუ მამულები ჩამოართვეს, რატომ იმავე წესით არ უნდა მოხდეს მისი კონფისკაცია? გერასიმეს კერძო დუქანი უკვე აღარ არსებობდა. თვით ბიძაჩემი კოოპერატივში ცოტა ხნით მუშაობის შემდეგ უმცროსი ძმის — იულონის ნაკვალევს გაჰყვა, საცხოვრებლად გადავიდა სენაკში და საკირე ქარხნის მიდამოებში, ახლანდელ კუიბიშევის ქუჩაზე დასახლდა. მაშასადამე, მიხა ფანცულაია იყო დარჩენილი. ან შავ სიაში უნდა შეეტანათ და ჩამოერთმიათ ქარხანა ან ნებაყოფლობით უნდა დაეთმო მეპატრონეს და გამხდარიყო კოლმეურნეობის კუთვნილებად. კერძოს ნასახიც არ უნდა დარჩენილიყო, კაპიტალიზმის აღდგენის რაიმე ბაზა და საიმედო საყრდენი, ასე მოიყარა თავი რთულმა საკითხებმა. ასე გახდა აუცილებელი მე'ითხე და უკანასკნელი ორგანიზაციული კრების ჩატარება.

იგი დაიწყო მიხა ფანცულაიას განცხადების წაკითხვით. „გთხოვთ, მიმიღოთ კოლექტივის წევრად. ჩაიბაროთ სახერხი ქარხანა თავისი მოწყობილობით, რომლის ღირებულება უნდა შევიდეს კოლექტივის ფონდში. ამასთან გთხოვთ, მომამაგროთ საჭირო მუშახელი, მომამარაგოთ საჭირო საწვავი მასალით და ნება დამრთოთ ვამუშაო ქარხანა კოლმეურნეობის სასარგებლოდ, შემოსავლის საერთო განაწილების წესით. ქარხნის გარდა კოლექტივში შემომაქვს საყანე მიწა".

ბავშვობიდან ვიცნობდი ამ კაცს. ქარხანაშიც მინახავს და საკუ-

თარ ორთვალიან სახლშიც და ყოველთვის მხიბლავდა მისი გატაცება გაზეთში დაბეჭდილი ახალი ამბებით. თვითონაც იყო ტკბილი მოუბარი. მყელეფელი და ვინმესთვის რაიმე ზედმეტის წამრთმევი რომ ყოფილიყო, ხალხში არ იქნებოდა პატივდებული. ამიტომ წინა კრებაზე მისი მისამართით გამოთქმული ზოგიერთი უხეში სიტყვა, შავ სიაზე ლაპარაკი, გულს მტკენდა. კიდევ კარგი, თვითონ არ ესწრებოდა. და, აი, კრება მისი განცხადების წაკითხვით დაიწყო-მეთქი, რომ ვამბობ, მაშინ ისე ვიყავი გახარებული, სიტყვა-სიტყვით თუ არა, ტექსტის ძირითადი აზრი მაინც სწორად შემომინახა მეხსიერებამ.

ეტყობოდა, არ ელოდნენ მოვლენის ასეთ სწრაფ მეტამორფოზას. წინააღმდეგობის გაუწევლად მიხას მტკიცე გადაწყვეტილებაშ არსებითად გადაწყვიტა უკანასკნელი კრების წარმატებით დამთავრების ბედი. დიდი სიხარულით შეხვდა ხალხი ქარხნის შემოერთებას, მოგების თუ შემოსავლის დიდი ილუზია გაუჩნდათ და უყოყმანოდ, ვინც აქამდე კიდევ ოდნავ მერყეობდა, ჩაეწერა საერთო სიაში. კრებამ ერთხმად დაადგინა: ჩამოყალიბდეს სირიაჩქონის სასოფლო-სამეურნეო არტელი — „ჯიმალობა“ (ძმობა). მასში გაერთიანდეს სოფლის ყველა კომლი. არჩეულ იქნას გამგეობა შვიდი და სარევიზიო კომისია სამი წევრის შემადგენლობით. მ ც ი რ ე ც ნ ო ბ ა: ღია კენჭისყრით კოლმეურნეობის პირველ თავმჯდომარედ მიხა ლუხავას არჩევა არავის გაჰკვირვებია, არა იმიტომ რომ, გამორჩეული მიწის მუშა კაცი იყო, გასაბჭოების დღიდან მთავრობის კაცად იყო მიჩნეული და რაიონში იცნობდნენ. გამგეობის წევრებად სხვებთან ერთად ბიძაჩემი სანდროც და მამაჩემიც აირჩიეს.

კრებამ იმავე დღეს განაწესის სახით დავალება მისცა გამგეობას: დარჩენილი დრო მომავალი წლის იანვრამდე გამოეყენებინა მუშაობის ახალი წესების შემუშავებისათვის. სანარდო ფორმა აერჩიათ თუ ბრიგადული, როგორ აღერიცხათ კოლწევრთა ნამუშევარი, როგორ გაენაწილებინათ მოსავალი, სად გაეკეთებინათ პირუტყვის სადგომები, ვინ გამოეყოთ მომვლელებად, რა წესით აენაზღაურებინათ მათი მუშაობა და ა. შ. მაშასადამე, არავითარი მზამზარეული „რეცეპტურა“ კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის საკითხზე რაიონიდან სოფელს არ მიუღია, თვით რაიონშიც — ცენტრიდან. საყოველთაოდ ცნობილია, კოლმეურნეობათა პირველი სანიმუშო წესდება მიღებული და დამტკიცებული იქნა მხოლოდ 1933 წელს

კოლმეურნეთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე. აქედან ცხადია, თვით პრაქტიკული საქმე, თვით დაკვირვება და თვით გამოცდილება უსწრებდა წინ კოლმეურნეობათა სამეურნეო მექანიზმის, მართვის და შრომის ორგანიზაციის რაღაც ახალი, მანამდე უცნობი სისტემის შექმნას.

ეს მოხდა 1930 წლის აგვისტოს შუარიცხვებში. ამიერიდან ჩვენი სოფლის ყოფიერებაში ახალი ერა იწყებოდა.

ამ მომენტამდე შეგნებულად არ მინდოდა გამეხსენებინა იმ დროის წარსულისათვის დამახასიათებელი ერთი ულტრა მემარცხენული ხასიათის მოზრდილი ბროშურა, რომელიც ჩვენი სკოლის წითელი კუთხის წიგნთა შორის მაშინ მოწონებით თუ ერა, ინტერესით სარგებლობდა. ეს იყო ორი არც ისე ცნობილი ავტორის „ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის“. მასში ჩაცმა-დახურვის, ქცევის, მეტყველების ისეთ, ვითომდა მოძველებულ, „ნორმატივებზე“ იყო მსჯელობა, რომელთა გამოყენება, ავტორთა შეხედულებით, დაუშვებელია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქაში. ბრძოლა მათ წინააღმდეგ. — ასეთი იყო წიგნის მთავარი მოწოდება.

მაგრამ მისი მთავარი პათოსი მაინც, ამასთან ერთად, იყო ბრძოლა ყოფა-ცხოვრების ახალი წესების დანერგვისათვის. ჰალსტუხის ან შლაპის ტარება, მიმართვის ფორმად „ამხანაგის“ ნაცვლად „ბატონის“ ან „პატივცემულის“ გამოყენება ბურჟუაზიულ გადმონაშთად ითვლებოდა. ერთხანს შემდეგში დაგმობილ ამბავს „თეორიას“ გასავალი ჰქონდა. კომკავშირული ახალგაზრდობა მისდევდა მას, ვინაიდან საკავშირო მოვლენა იყო, ე. წ. პროლეტკულტელების ეულგარული „მოძღვრებიდან“ მომდინარეობდა. ისინი ხომ ცარიზმის დროინდელ რკინიგზის რელსების აყრასაც კი მოითხოვდნენ.

და, აი, სოფლად წინაპრების ტრადიციული ყოფა-ცხოვრებითი წესების თანდათანობით მოშლით უნდა შექმნილიყო ურთიერთობათა, ქცევათა, მოქმედებათა სტანდარტირების ერთი მთლიანი, რაღაც ჰარმონიული ახალი გამა. კოლექტივიზაციის საკუთრების ძველი ნაშთების ლიკვიდაციიდან, ინდივიდის კერძომესაკუთრული ფსიქიკის ძირეული გარდაქმნის საფუძველზე, საზოგადოებრივი შეგნების კონსოლიდაციისაკენ მხოლოდ ამ გზით უნდა განვითარებულიყო. ამიტომ შინაარსობრივ ცვლილებებს გარდაუვლად უნდა მოჰყოლო-

და ცვლილებები ფორმის სფეროშიც. ასეთი იყო კონკრეტულ-ისტორიული დროის კატეგორიული მოთხოვნა.

ეს მოთხოვნა დაფუძნებული იყო მაშინდელ სახელძღვანელო დევიზზე: „ჩვენ ვარღვევთ ძველ ურთიერთობას ცხოვრებაში და ვაშენებთ ახალს... იმსხვრევა ჩვეული და იკაფება ახალი“. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი ნაბიჯებიდანვე მართლაც ყველაფერი აქეთკენ იყო მიმართული. თვით ადრინდელი სასოფლო თავყრილობები, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებები, გამგეობის და სარევიზიო კომისიის სხდომები, ხვნა-თესვის, მოსავლის აღების ერთდროულად დაწყება და ერთდროულად დამთავრება, ყოველგვარი სხვა სამუშაოების შესრულების მომწყვდევა განსაზღვრულ გრაფიკულ ვადებში, ნაკვეთებზე წინანდებურად არა ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად, არამედ ჯგუფურად, ერთმანეთის გვერდით ყოველდღიური ფიზიკური მუშაობა, ყანის საჩრდილობელი თხმელის ხის ქვეშ სახლიდან წამოღებული საგზლის ძალაუნებურად სხვის კერძთან ამხანაგურად შეერთება, ერთად დანაყრება და დასვენება თავისი მრავალნაირი ნიუანსებით ცხოვრების ახალი წესჩვეულებების დამკვიდრების მღაღადებელი ნიშნები იყო. მტრულად გადაკიდებული მეზობლები სუფრას ვერ მიუსხდებოდნენ მინდვრად სადილობის დროს. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, კოლექტივში გაერთიანების პრინციპი ადრიდანვე დანერგილი ურთიერთ სოლიდარობისა და კეთილი განწყობილების ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც ემყარებოდა.

ამიტომ ჩვენთან არასოდეს წარმოშობილა პირადული კონფლიქტები. არავინ გაუსახლებიათ სოფლიდან და არც არავინ დაუპატიმრებიათ განკულაკების მოტივით. სამაგიეროდ, იმთავითვე ჩაისახა, ამოტივტივდა და თანდათან საგრძნობი გახდა კონფლიქტი პირადსა და საზოგადოებრივ ინტერესებს, მოვალეობასა და შეგნებას, გულიანად და უგულოდ მუშაობას შორის. ეს უკანასკნელი უფრო მწვავედ შესაცნობი და ძნელად ასატანი გამოდგა მიწის ნამდვილ შვილად დაბადებული მშრომელი კაცისათვის, ვიდრე ცნობიერების უხილავ სფეროებში მიმდინარე უსიამოვნო შეგრძნებათა ნაკადები.

ყანის სათოხნად დილაადრიან, ცვარ-ნამის აშრობამდე გასვლას მიჩვეული გლეხი ვერ ურიგდებოდა მიუჩვეველს — მზის ამოსვლის შემდეგ, მეხვალიესავით, მხარზე გადაკიდებული თოხით თანამოზიარის გამოჩენას. ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა შრომის ნაყოფიერე-

ბის თანაბრად განაწილების პირველ ხანებში შემოღებული წესი. იგი გამომდინარეობდა ახალი ტექნიკის მონაგარით სარგებლობის უფლების ყველასათვის ვითომდა ერთნაირად მინიჭებას პრინციპიდან. ეს სავსებით სამართლიანი და ზედმეტად ჰუმანურიც იყო, რომ ყოველი კოლწევრის შეგნება მისი მოვალეობის, ყოველი ზარმაცი წადილიანის დონემდე ყოფილიყო ამაღლებული.

1932 წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობამ ახალსენაკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურიდან („მტს") ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მიერ გამოშვებულ „ხტზ"-ის ტიპის ახალი ტრაქტორი მიიღო. იგი ჩამოიყვანა ჩემმა თანაკლასელმა ვლადიმერ (ვალოდია) სიჭინავამ — სკოლის გამგის უმცროსმა ძმამ, რომელიც შვიდწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სატრაქტორო კურსებზე გაიგზავნა და მტს-ში მუშაობდა (ამ დროს მე უკვე ახალსენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის მეორე კურსის მოსწავლე ვიყავი, მაგრამ სოფელთან კავშირი არ შემიწყვეტია. არც მაშინ და არც შემდეგაც გარკვეულ დრომდე. ამიტომ სოფლის თემაზე საუბარს შეუწყვეტლივ განვაგრძობ თვითმხილველის თვალით თემატური რკალის მთლიანობის მიზნით).

დიდი ზეიმით შეხვდა მოსახლეობა უცნაური მანქანის პირველ გამოჩენას, პირველ გუთანს და რკინის პირველ ფართო ფარცხს, რომელიც უკან ჰქონდა მიბმული ტრაქტორს. პათეტიკური განწყობილების საერთო ფონზე თითქოს მიიჩქმალა პირველი წლის შრომის ანაზღაურების წესით წარმოშობილი ჩუმი უკმაყოფილება, მაგრამ იგი არ გამქრალა. ტრაქტორის ჩამოყვანასთან დაკავშირებით ახალმა გარემოებამ იჩინა თავი. სწორედ 1932 წელს პირველი ეტაპი მიტანილ იქნა რიონის პირად გაშლილ მინდორ-ჭალებზე, რომელიც პირუტყვის საუცხოო საძოვარს წარმოადგენდა. ათეულობით ჰექტარი მიწა თითქოს უხვი მოსავლის მიღების დიდ იმედს იძლეოდა. ტრაქტორისათვის ხომ ზედგამოჭრილი იყო — ტრამალზე ერთი ხეც არ იდგა. ქვა და ლოდი ხომ, მით უმეტეს — მათი ნატამალიც არ მოიძებნებოდა.

სოფლის გამრჯე გლეხებმა დაინახეს თუ არა, როგორ მიარღვევდა საუკუნეობით ხელუხლებელ ნიადაგს რკინის გუთანი „ხტზ"-ის მძლავრი გუგუნით, როგორ ეწყობოდა ღრმა ხნულიდან გადაბრუნებული ბელტები ბელტებს და როგორ იპიმებოდა მათ თვალწინ შორ მანძილზე სიმინდის მომავალი ყანა, მის დასაცავად მაშინვე ენთუ-

ზიაზმით შეუდგნენ გულმოდგინე შრომას. ჯერ სკოლის პირდაპირ ჭაობების დასაშრობად რიონამდე ადრე გაყვანილი არხი სასწრაფოდ ამოწმინდეს, მის გაყოლებაზე ღობე გააკეთეს, ღობითვე გადაკეტეს სოფლიდან ჭალაში გასასვლელი გზები, ასევე ღობით ჩაკეტეს მეორე მხრისკენ, სახერხი ქარხნის ზონაში, რიონსა და ზეგნებს შორის დარჩენილი ვიწრო ველი. ყოველივე ამით, თავიანთი ფიქრით და ჰკუთ, შექმნეს მიუვალი ზღუდე აქაურ ადგილებს შეჩვეულ პირუტყვისათვის, ხოლო ხელსაყრელი პირობა სიმინდის მაღალი მოსავლის მისაღებად.

და მართლაც, 1932 წლის აგვისტოს მიწურულს ქვიშის გორაკების ზოლიდან რომ გადაგეხედათ ყოფილი სანახირე მინდვრებისათვის, თვალს მოგჭრიდათ მისი გაშლილი „გულმკერდი“ ქოჩოჩებიანი ლამაზი თავთავებით, რომლებიც სიმინდის უთვალავ ღერებს მოესხათ ბატრონთა გულგასახარად. მაგრამ სიხარული ნაადრევი იყო. პირველი თავმჯდომარის ინიციატივა, ტრაქტორისათვის სამოქმედო სარბიელად „ყამირის“ დაპყრობის თაობაზე, მოკლებული იყო ელემენტარულ წინდახედულობას. ჯერ ეროი, მცირე წყალდიდობაც კი ერთბაშად წალეკავდა ნათესს. იმ წელს ეს რისკი გაუმართლდათ. დარჩა ბუნების ორი ფაქტორი: მთელი ველი სარეველა ბალახით, ე. წ. „კლარტით“ იყო დაფარული. რამდენჯერაც არ უნდა გამოეთოხნათ, „კლარტა“ მახრჩობელა გველივით დაესეოდა ყანას, ტაროების მოსხმას დააბრკოლებდა და ყვერებად აქცევდა სიმინდის ღერებს. მერედა, სანახევროდ შემორჩენილ ნაყოფს რა დაიცავდა შემოდგომის მოსალოდნელი ქარებისგან? ტყე ხომ არსად ეკრა ჭალას?

ბუნების ამ ორმა ფაქტორმა, თვით ბუნების წინააღმდეგ პირველმა „გალაშქრებამ“, ჩაშალა იმ წლის გეგმა და ვარაუდი. სექტემბერში მოვარდნილმა ძლიერმა ქარებმა და ხშირმა წვიმებმა გააჩანაგეს, მიწაზე განართხეს და ზოგან ჩამარხეს კიდეც სიმინდის ტაროიანი ღერები. ამას დაემატა გაუთვალისწინებელი გარემოებაც. საძოვრებს დაჩვეული სოფლის ნახირის საგრძნობი ნაწილი (განსაკუთრებით კამეჩები), ღობეების გვერდის ავლით, რიონიდან შემოცურვით, თავისუფლად შედიოდა ყანაში და მეველის ყოველგვარი ცდა, ჩაეკეტა მდინარის სამკილომეტრიანი ნაპირი, სრულიად უშედეგო გამოდგა.

„ყამირზე“ მუშაობის უმძიმეს მომენტებში გამოვლინდა ყველაზე მკაფიოდ ვის შესტკიოდა გული პატიოსნად სახალხო საქმეზე და

ვის — არა, ვინ გარბოდა თოხით ხელში დარბეული სიმინდის ღერების გასამართავად და ვინ — უკან მიჩანჩალებდა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის თავისი წილი გადასახადის გამოყოფის, სათესლე ფონდის გადადების შემდეგ კელავ ნარდულად, პირდაპირ მინდვრიდან მოსავლის თანაბრად განაწილებამ კიდევ უფრო გაზარდა გულისწყრომა და შინაგანი უკმაყოფილება მშრომელ, ბეჯით, მუყაით გლეხკაცთა რიგებში. მათი ნატურალური შემოსავალი. შედარებით ინდივიდუალურად ყოფნამდე, აშკარად კლებულობდა, ზარმაცისა და არაფრის მაქნისისა კი — პირიქით, მატულობდა.

იმ ხანებში ქალაქად მუშათა ხელფასის სატარიფო სისტემა გათანაბრების პრინციპზე იყო აგებული, რაც დაგმობილ იქნა 1931 წელს. მაშასადამე, ასეთი ტენდენცია საკავშირო მოვლენა იყო და ქალაქიდან გადაედო სოფელს. გავრცელება გამოწვეული იყო ახლადშექმნილ კოლმეურნეობებში აღრიცხვიანობის საქმის სრული მოუწესრიგებლობით. ამ ნაკლის გამოსასწორებლად 1933 წლის თებერვალში ახალსენაკის მტს-ის და მიწგანის (რაიაღმასკომის მიწის განყოფილება) ერთობლივი ღონისძიებით პირველად მოეწყო კოლმეურნეობათა მოანგარიშეების ერთთვიანი სარაიონო მოსამზადებელი კურსები. მისი მიზანი იყო კოლმეურნეობებიდან წარგზავნილთა მოკლე ვადაში გადამზადება სპეციალურად შრომის წიგნაკების შევსების და დახარჯული შრომადღეების ამ წიგნაკებში ყოველ კვირის ბოლოს სისტემატურად შეტანის უზრუნველსაყოფად. ავადმყოფობის გამო სოფლად ყოფნის მთელ მანძილზე კომკავშირული დავალებით ამ წელს უშუალოდ ვმონაწილეობდი შრომის წიგნაკების არა მხოლოდ შევსების, არამედ კოლმეურნეთა მიერ ჩატარებული მუშაობის აზომვის, ციფრების შეკრების და დაჯამების „ოპერაციებში“. და ახლა, რომ ვიგონებ იმ დღეებს, გაოცება მიპყრობს:

როგორ უხაროდათ, როგორ სჯეროდათ და როგორ სწამდათ გლეხებს თავიანთი ალალი შრომის ციფრებში გამოხატული დაფასება! იმას კი არ იხსენებდნენ, ციფრების გარეშე რომ ცხოვრობდნენ წინათ, შეებას გრძნობდნენ იმით, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიგნებულია სწორი კრიტერიუმი. ამ პერიოდში მე უკვე ვიცნობდი საშუალო გლეხის დახასიათების ცნობილ ფორმულას: „...ეს ისეთი კლასია, რომელიც მერყეობს. ის ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მშრომელი... მან ყველაფერი გადაიტანა, და ამავე დროს ის მესაკუთრეა“. მეჩვენებოდა, რომ მერყეობის გზა ჩვენთან გლეხო-

ბას უკვე გაელილი ჰქონდა. ახლა იგი გულუბრყვილობის მანკით იყო შეპყრობილი და არავინ იცოდა, რამდენ ხანს დარჩებოდა მის ბანგში გახვეული.

გულუბრყვილობა! მესაკუთრე და გულუბრყვილო? ერთი შეხედვით, თითქოს პარადოქსია. ზოგადად ჭეშმარიტი გლეხის ხასიათში ეს ნიშანთვისება ყოველთვის შერწყმული იყო შრომის მოყვარეობით დეტერმინებულ დიდ ზნეობრივ ღირსებებთან. კერძოდ კი ჩემი სოფლის გლეხობის კეთილშობილური ბუნების ჩამოყალიბებაში შრომისმოყვარეობასთან ერთად უთუოდ ითამაშა როლი გეოგრაფიულმა მდებარეობამ, რკინიგზის ხაზებიდან მოწყვეტამ, რის შედეგად აქ საერთოდ არავინ მისდევდა ე. წ. ხელზე ვაჭრობას. მათი ფსიქიკა თითქოს სუფთა დაფას ჰგავდა. საკუთარი ნაწარმი საკუთარი ოფლით იყო გაჟღენთილი, ყიდდა დახარჯული შრომის ფასად და არა არიმე „ზეგეგმითი“ მოგების მიზნით. გეგონებოდათ, ბიბლიური წარმოშობის გამოთქმამ — ოფლითა პირისა შენისათა ჰამდე პურსა შენსა — აქ იპოვა თავისი ხორშცესხმული განსახიერება. ხომ გინახავთ რკინიგზის ბაქნებსა და სადგურებზე ლეღვის ან ვაშლის, ალუბლის ან ატმის კალათებით მოწანწალე ბიჭები, გოგონები, ხნიერები თუ ახალგაზრდები? ხილი სავსე იყო სოფელში, მაგრამ მათი ანალოგიით გასაყიდად არავის გაჰქონდა ქალაქში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შორს იყო და მეორეც, რაც მთავარია, სირცხვილად მიაჩნდათ ღვთით ბოძებულის ანგარებით გამოყენება.

სირცხვილის გრძნობის წაშლიდან, გაჭრობიდან, ე. წ. ხატოვანი გამოთქმის — „შუბლის ძარღვის“ გაწყვეტიდან გვესმის ახლა ასე ხშირად გულსატკენი სიტყვები: გლეხი — სპეკულანტი, გლეხი — ვაჭარი, გლეხი — გაწუწკებულ-გაციგნებული. ადრე კი გულუბრყვილობა მისი სინდისიერების თანამგზავრი, სამკაული, ადამიანურობის მშვენება და სილამაზე იყო. ეს სამკაული ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის კდემამოსილებას გლეხური ყოფიერების ახალ „სამოსელში“. დიახ, ჯერ კიდევ.

აი, ზოგიერთი ქრონიკალური შტრიხები საკოლმეურნეო ცხოვრების იმ წლების „ჭარაგმებიდან“, ან იმ „ერადან“, რომელიც სირიაჩქონში დაიწყო 1930 წლიდან და სულ მოკლე დროში დამთავრდა სოფლის გაევრანებით და აოხრებით.

...1932 წელს ჩამოყვანილი ტრაქტორი იმავე წლიდან აღარ გამოჩენილა მინდვრებზე. „ყაზმირს“ აღარ მისდევდნენ. ადრინდელი

საკვე ნაკეთები სახურგე თხრილებით და ჩამწვარი ხის ფესვებით იყო სავსე. ტრაქტორი რომ გადავიდა თხრილებზე, გუთანი მოედო ნაპირებს, მისი კბილანა სახნისები ძელქვებს შეეჯახა, ზოგან ამოაგდო, ზოგან თვით ძელქვამ გამოაგდო სახნისი გუთნის საპირედან. საწვავი მასალის მოზიდვა და შემცელელი ნაწილებით მომარაგება შორი მანძილიდან გაძნელდა და ამიტომ...

...ბახსოვს, ერთხელ ანდრიას ლამაზი ხარები სევე ჭიჭინაძის ურემს შეაბეს და კოოპერატივისათვის მარილის და ნავთის მოტანა მელიტონს დაავალეს. სიტუაციისა და გარემოების მიხედვით მოქმედება სწრაფ განკარგულებას ექვემდებარებოდა, სოფელს უნავთოდ და უმარილოდ არსებობა უჭირდა. ბუნებრივად წაიშალა „ჩემის“ და „ჩვენის“ ერთმანეთთან შერწყმის შესაძლებლობა. კაკაჩიას მიტოვებულ კარავში კოლმეურნეობის ფერმის მოწყობით დაკავებულ არც ანდრიას და არც სევეს იმ ხანებში წასვლა არ შეეძლოთ. მელიტონისათვის ხარებიც და ურემიც ნათხოვარი კი არ იყო, საერთო, საზოგადოებრივი საკუთრების ნაწილი. დაუდეს ურემზე ნავთის ორი კასრი, მისცეს მაღაზიის გამგის მიწერილობა ახალსენაკის სამომხმარებლო კოოპერაციის საწყობისადმი და უთხრეს: რაც შეიძლება ჩქარა წადი და ჩქარა მოდიო. დაჯდა გამზადებულ ურემზე მელიტონიც და წავიდა. არც სასაპნეზე უზრუნვია და არც ხარების საკვებზე. ჩამოვიდა იმავე ღამეს შეგვიანებით. ხარებს ფერდები ჩავარდნილი ჰქონდა შიმშილისგან, ურმის ღერძი კი ბორბლებს უსაპნობისგან ლამის „შეეჭამა“.

ასე დაიწყო გაუცხოების, განუკითხაობის, გაუპიროვნების „ბაცილების“ გამრავლება მისი მარტივი, ელემენტარული, თითქოს „უჩინარი“ და უმნიშვნელო შრომითი პროცესის პირველივე „ფაზიდან“...

...1933 წლის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე პირველი თავმჯდომარე შეიცვალა. რაიონულ გაზეთ „მთლიან კოლექტივიზაციაში“ წინა წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული პატარა კორესპონდენცია სათაურით „შრომის დეზერტირი“ ამხელდა მისი ხელმძღვანელობის მთავარ ნაკლს — ფიზიკური მუშაობისათვის თავის არიდებას. მეთოხნის გასაჭირი მეთოხნემ უნდა იცოდეს, თანასწოროა თუა, შრომაშიც თანასწორი უნდა ვიყოთო. — განსაკუთრებით კოლმეურნე ახალგაზრდობა იჩენდა შეუპოვრობას. კრიტიკის იარაღი მძლავრად იყო ამოქმედებული, მას თვითკრიტიკა აცხრობ-

და. მ. ლუხავას ჩივილი და შურისძიება არ დაუწყია საქეყნოდ „გამოჩენების“ გამო, შეინარჩუნა თავისი მეორე თანამდებობა — ტყის მცველობა და ჩვეულებრივად განაგრძობდა სოფელში ცხოვრებას. რიგით მეორე თავმჯდომარედ აირჩიეს ლუკა საჯაია — ახალგაზრდობის წარმომადგენელი.

პირველი სიახლე: სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად კოლმეურნეობაში შეიქმნა ბრიგადები. განზოგადებული მიწები ბრიგადების ნაკვეთებად დაიყო. ბრიგადირებს ყოველ შაბათ საღამოს უნდა წარმოედგინათ გამგეობაში ცნობები ჩატარებული სამუშაოების სახეობასა და ოდენობაზე, რის საფუძველზეც ხდებოდა შრომადღეების დარიცხვა.

კოოპერატივის სადარაჯოს პატარა ოთახის შიდა კედელზე მიაკრეს ოთხსაფეხურიანი მცირე ზომის კარადა, რომელშიც ინახებოდა რაიონიდან ჩამოტანილი შრომის წიგნაკები. ოთახში დარაჯის საწოლი ხის ლოგინი და პატარა მაგიდა იდგა. დღით თავისუფალი იყო. ეს წარმოადგენდა კოლმეურნეობის მაშინდელ კანტორას, სადაც კარადაზე დაკიდული საანგარიშო ჩოთქი შესვლისთანავე მიგანიშნებდა, რომ აქ „ბუხჰალტერია“ იყო მოთავსებული. რაიმე საგანგებო საკეტი კარს არ ჰქონდა, ხან ღია იყო, ხან მიხურული, მაგრამ არც ერთი შრომის წიგნაკი არ დაკარგულა, ისე როგორც, მიუხედავად საკუთრების ფორმის შეცვლისა, საკოლმეურნეო მინდერის არც ერთი კილოგრამი სიმინდი არ იკარგებოდა. რიონის გაღმა, ტყეში ჩამალულ-ჩასაფრებული ქურდობის მაცდური „ეტლი“ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა სოფელში შემოჭრას. სიწმინდე და პატიოსნება ჯერ ისევ ძველებურად ამკობდა მის მშვენიერ, ჩიტის გალობიდან წარმომდგარ სახელს.

მე და თამარ პაჭკორია მორიგეობით ვისხედით ამ პატარა ოთახში და ვავსებდით შრომის წიგნაკებს, მაგრამ გრაფიკი ხშირად გვერღვეოდა, რადგან ბრიგადირები ყოველთვის ვერ ასწრებდნენ ცნობების წარმოდგენას. ასეთ შემთხვევებში ჩვენ თვითონ მივდიოდით ბრიგადებში, ჩვენ თვითონ ვახდენდით მიწის აზომვას. ტექნიკუმის მეორე კურსზე გეომეტრია-ტრიგონომეტრიიდან ნასწავლი მჭონდა ფართობის, მოცულობის გაზომვა-გაანგარიშების პრაქტიკული ხერხები და ადვილად ვაღწევდი მიზანს. მოხნული მიწის სიგრძე-სიგანეზე გასვლა, ყოველ ერთ მეტრზე დაკუზვა-ადგომა უაღრესად მომქანცველი იყო, თამარისთვის, მით უფრო, მოუხერხებელი. ბრიგა-

დირმა ვარლამ პაქორიამ გვიხსნა „ტანჯვისაგან“. გაგეიკეთა თითოეულს სამკუთხედი, რომლის ჰორიზონტალი სამ მეტრს უდრიდა. დავადებდი მიწაზე, ჩაუმუხლავად სამ მეტრს გავივლიდი, მერე წვერის აუღებლად მოვატრიალებდი მეორე მხარეს და ასე გავიდოდი ბოლომდე. ეს დახმარება ბრიგადებს ახალისებდა, ჩვენ კი შინაგანი კმაყოფილებით გვავსებდა, ეგრძნობდით, საერთო დიდ საქმეში ვიყავით ჩაბმული.

მაგონდება შრომის წიგნაკის გრაფები. მას სამი განყოფილება ჰქონდა: 1. ჩატარებული მუშაობის სახეობა, 2. შესრულებული სამუშაოს ოდენობა, 3. დაერიცხა შრომადღე. აი, შევსების პირობითი მაგალითები ან პასუხები კითხვებზე: მოხვნა, 0.5 ჰექტარი. 1.8 შრომადღე, ან პირველი მარგელა, 2,1 ჰექტ., 5,2 შრომადღე, ან კიდევ: სიმინდის ტეხვა, 3,2 ჰექტ., 4,7 შრომადღე. შემუშავებული იყო ნორმატიული ნიხრები და დღეთა დარიცხვაც მის მიხედვით ხდებოდა.

პირველად 1933 წელს დაიწყო მოსავლის განაწილება არა უშუალოდ მინდვრებიდან, არამედ საერთო ბეღლებიდან. ეს მეორე სიახლე იყო. მაგრამ საერთო ბეღელი სინამდვილეში არ აშენებულა. კოლმეურნეთა სასიმინდეები შეირჩა უბნების და ბრიგადების ტერიტორიული განლაგების გათვალისწინებით. ჯერ ამ სასიმინდეებში იყრებოდა მთელი მოსავალი, შემდეგ კი, განაწილების უწყისებზე ხელისმოწერით, იმავე სასიმინდეებიდან თავიანთ ოჯახებში მიჰქონდათ. ოქტომბრის თვეში რამდენიმე სასიმინდის აღმრიცხველის როლში ვიყავი და აქ მინდა გავიხსენო ერთი დამახასიათებელი ასეთი ეპიზოდი:

...ნიკო ცაავას ნასახლარზე, სოფლის შარაგზის მარცხენა მხარეს, მაღალ კიბეებშედგმულ სასიმინდეში ვზიავარ და 1933 წლის „მნათობის“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცების“ გაგრძელებას ვკითხულობ. უცებ ურმის ჭრიალის ხმა მომესმა. სწრაფად ჩავედი ქვეით, რომ საღრიცხვო ქაღალდით მზად დავხვედროდი. ურემი გაპიპინებული იყო. მეურმემ ხარები გამოხსნა ურმიდან, თავი აუწია ზევით და სიმინდი ძირს ჩამოყარა. ახლა თვითონ უნდა გაევსო გამორწყული კალათა. ჩემი დახმარებით მხარზე შეედგა, აეტანა კიბით სასიმინდეზე და დაეცალა. მე მევალებოდა ყოველი კალათის ატანა და დაცლა ჰილოფზე სიმინდის ტაროს გადაგდებით აღმენიშნა. ტაროთა რაოდენობა კალათის რაოდენობას გვიჩვენებდა, ხოლო რაკი კალათი კილოგრა-

მებში იყო გამოწონილი, თავის მხრივ კალათების რაოდენობა კილოგრამებში ადიოდა, კილოგრამები ტონებში და მეურმის დღიური შრომაც ასე ისაზღვრებოდა. — განა მარტო მეურმის — სასამინდის ტევადობაც. აღრიცხვის ჟაღალდში შემჭონდა მეურმის სახელი და გვარი და მის მიერ სასიმინდეში ჩაყრილი სიმინდის წონადობა, რა თქმა უნდა, ტაროებიანად. ასეთი იყო წესი. ასეთი იყო მესამე სიახლე.

პირველი ურმის დაცლა დამთავრებული არ იყო, როცა მეორე დატვირთული ურემი გამოჩნდა. სასიმინდე ისე გაივსო, ფანჯრის მიხურვა ჭირდა. ორივე კოლმეურნე ერთად ავიდა მაღლა და საიმედოდ დაკეტეს. მერე ფანჯარას გარედან მესერი მიაჭედეს. მესერზე ფურცელი მივაკარი და მივაწერე სასიმინდეში ჩაყრილი სიმინდის საერთო ჯამი. საჭირო გახდა ადგილის გადანაცვლება, გადასვლა მეორე სასიმინდეში, რომელიც შიგ შუა სოფელში იდგა. აი, ამ დროს გაიმართა მეურმეთა შორის საუბარი, რომლის ხმა და აზრი ეჭოსაეით თითქოს ახლაც ჩამესმის ყურში.

— რა აიტანს ურემზე ისევ ამ დასაწვავს, ტყავი ამძვრა მხრებზე. გაგონილა, კაცო, კალათის ამდენი შედგმა-გადმოდგმა უაზროდ? ფუ, დასწყეელოს ღმერთმა!

— მოგეხმარები, მიდი, დროს ნუ დავკარგავთ.

— აგაშენა ღმერთმა. მოსატეხი კიდევ დარჩა დიხაზოკეში?

— კი. მოგიწევს მიბრუნება.

— ივარგა წელს ამინდმა.

— ჩვენც ვივარგეთ.

— მერე რა. ადამიების უბნის ბრიგადაში ნაკლებია მოსავალი. ახალსოფლისკენაც. აირევა ერთმანეთში და ნახავ, რა შეგხვდება.

— აბა, შარშანდელივით ის სჯობდა, ილარიონმაც იმდენი წაიღო, რამდენიც არსენამ?

— შარშან ერთგზობაზე გიხდებოდა ქემაინც შინ მიტანა. ახლა ჯერ აქ ჩაყარე, მერე აქედან ამოყარე, მერე... რა ჰქვია ამას. კაცო, შრომადღე ორმაგად არ გამო'გდის? ერთში გეძლევა რაღაცა, მეორეში ტყვილა გეკარგება.

— ეს როგორ, კაცო, აბა, ამიხსენი ერთი, შენ რო იცი ისე.

— ვერ გაიგე? აქ რომ მოიტანე ან აქედან იმ მეორე სასიმინდეში რომ მიეიტანთ, ხომ გვეწერება შრომადღე?

— კი.

— მერე ისევ იქ რომ მიხვალ და შენ სახლში წაიღებ, ვინ დაგიწერს რაიმეს? იანგარიშე რამდენია შენისთანა და ჩემისთანა მდგომარეობაში და რამდენი კაცდღე დაიკარგება უქმად.

— ოო. ერთგზობაზე რომ ვაკეთებდით წინათ, ახლა მართლა ორგზობაზე გვიხდება იმის გაკეთება, ვინ ზარალობს, თუ იცი?

— შენ, მე, თითოეული წევრი.

— კოლექტივი?

— არა. სახელმიწფო თავისას არ დაიკლებს. შენ აკეთებ ზედმეტ მოძრაობას და მაინც იმაზე ნაკლებს შეიტან სახლში, რამდენიც ნაკლების გაკეთებით შეგქონდა.

— ეს როგორ, კაცო, ამიხსენი ერთი, შენ რო იცი ისე...

მაგრამ ახსნის დრო არ იყო. თავმჯდომარემ მოგვისწრო და ერთად გავსწიეთ მეორე სასიმინდისკენ...

...ნოემბრის დამლევს მტს-დან ჩამოვიდა საბუჰხალტრო საქმის სპეციალისტი. მან თითქმის მთელი დღე-ღამე მოანდომა კოლმეურნეობაში მოსავლის დაჯამებას და შრომადღეებზე განაწილებას. რადგან ახალი წესის გამოყენების პირველი წელი იყო, იგი მოანგარიშეს ასწავლიდა, ნიმუშს აძლევდა, თუ როგორ გაეკეთებინა შემდეგში. მე კიდევ როგორც დამხმარე და „თანაშემწე“, ვისმენდი მის ახსნა-განმარტებებს და თამარს საბრიგადო უწყისების შედგენაში ეშველოდი. საოცრად მარტივად გამოდიოდა ყველაფერი.

ო, არა. ეს მხოლოდ გარეგნულად, ერთი შეხედვით, ციფრების სკრუპულოზური ჩხრეკის, შეკრება-შეერთების, მიმატება-გამოკლების, გამრავლება-გაყოფის თავსამტვრევი „ოპერაციების“ შემდეგ მოჩანდა ასე. მიახლოებით მაინც რომ წარმოგიდგინოთ, როგორ ეყრებოდა საფუძველი პირველ ეკონომიკურ აღრიცხვიანობას, როგორ ეჭცეოდა ინდივიდუალობის საუკუნეობრივი ტყეობიდან განთავისუფლებული თითოეული კოლწევრის სარჩო-საბადებლის ბედი ჯადოსნურად დახლართულ და ობობას ქსელივით გამოუვალ, თვალთშეუელებ ბადეში, აღვადგენ აქ ერთ ეპიზოდს ხუთათეულზე მეტი ბნის წინათ, საკლასო ოთახის ბუხრის ცეცხლთან, მბუტატავი ჭრაქის სინათლეზე „გათამაშებულ“ ციფრების „სპექტაკლიდან“. მოქმედი პირები რეალურია, ციფრები პირობითი, სურათი — სინამდვილესთან ადეკვატური.

— სულ რამდენი სასიმინდეა?

— ათი.

— თითოეულში თანაბრად ჰყრია?

— არა.

— აბა დავიწყოთ შეჯამება. ჩოთქში მე ჩაეყრი, თქვენ ციფრები მითხარით. და ჩოთქის ათჯერ ჩხაკუნით გაირკვა, რომ სულ სიმინდის 1933 წლის მოსავალი შეადგენდა 80 ტონას, ან 80 000 კილოგრამს.

— დავაჯამოთ ახლა შრომადღეთა რაოდენობა ბრიგადების მიხედვით. რამდენი შრომადღეა გამომუშავებული პირველ ბრიგადაში:

— 955.

— ჩავიდეთ ჩოთქში. მეორეში?

— 1230.

— მივუმატოთ 955-ს, უდრის 2185-ს. მესამეში?

— 1030.

— მივუმატოთ 2185-ს, მივიღეთ 3215. მეოთხეში?

— 950.

— კეთილი. მივუმატოთ 3215-ს, ჯამი 4165.

— თავმჯდომარეს გამგეობის მიერ დადგენილი ნორმატივის მიხედვით რამდენი გამოუდის?

— 250.

— მოანგარიშეს?

— 150.

— სახერხი ქარხნის გამგეს?

— 128.

— სულ 528. მივუმატოთ ამას კოლწევრთა შრომადღის რაოდენობა 4165. მაშასადამე, სულ გვაქვს 4693 შრომადღე. მაშ, გასაგებია განტოლების ფორმულა? ახლა უნდა დავადგინოთ თითოეული შრომადღის ღირებულება ნატურით. — რა არის ამისათვის საჭირო? მოსავლის საერთო ჯამს უნდა გამოვაკლოთ: პირველი — სათესლე ფონდი. მეორე — საფურაჟე, მესამე — განუყოფელი. როგორ უნდა მოვახდინოთ გაანგარიშება? ჩვენთვის ცნობილია, რომ ჰექტარზე ითესება, ვთქვათ, 30 კილოგრამი. რამდენი სათესი ჰექტარი აქვს კოლმეურნეობას? ვთქვათ, 200. გაამრავლებ 30-ზე და სათესლე ფონდიც გადადებულია. ასევეა ფურაჟის საკითხიც. რაც შეეხება განუყოფელ ფონდს, წესდებით აქ განსაზღვრულია საერთო შემოსავლის ზუსტი პროცენტი. მაშასადამე, შეუდგეთ ახლა ხელუხლებელი ფონდების გამოყოფას: სათესლედ — 1000 კილოგრამი, საფურაჟედ — 1500, განუყოფელ ფონდში ჩაირიცხება 2000 კილოგრამი.

სულ 4500. გამოვაკლოთ 80,000-ს 4500, დაგვრჩა 75,500 კილოგრამი. გავყოთ 75,500 4693 კაცდღეზე. ეურიკა! 16 კილოგრამი. კარგია ყოჩაღ, სირიაჩქონელებო! მოსალოცია. ახლა მიეუბრუნდეთ ამავე წესით ლობიოს.

ჩემო მკითხველო! ეს მომაგრებული სპეციალისტის სიტყვების მიახლოებით ზუსტი სტენოგრამაა, და რომ ზედმეტად არ მოგაწყინოთ, მენდეთ და ჩათვალეთ, ასეთივე თანამიმდევრობა იყო დაცული ლობიოს მოსაველის განაწილების მომენტშიც. შრომის წიგნაკებში დაჯამებული შრომადღეთა რაოდენობა მექანიკურად იწერებოდა განაწილების უწყისებში ან სიაში, რომელსაც ემატებოდა თითოეული შრომადღის ნატურანაზღაურებისაგან მიღებული საერთო ჯამი. მარტივად არ არის? ოღონდაც.

უდიდესი ბედნიერება მაშინ იყო ის, რომ ამ რთულ „მექანიზმს“ თან არ ახლდა მღრღნელი სატანა, რომელიც 50-იან წლებიდან წამგლეჯობის, მოტყუების და თვალთმაქცობის ფარული იარლიყით გადამდებად მოედო გადაგვარების „რელსებზე“ შემდგარ როგორც სოფლის, ისე ქალაქის ომგამოვლილ „სამყაროს“. სტუმარს მჭადით და ყველით გავუმასპინძლდით და ამითაც დიდად კმაყოფილი იყო. ბუხრის ცეცხლთან გაათია ღამე.

მეორე დღიდან დაიწყო მოსაველის ოჯახებში დაბინავება, ან საერთო ბეღლებიდან შინ მიტანა. მაგრამ განა ეს ერთ ან ორ დღეს, ერთ ან ორ კვირას გათაედა. ისევ გამოწონილი კალათებით თითოეული კოლწევრისათვის სხვადასხვა სასიმინდიდან თავისი კუთვნილის მითელა თუ გადათელა რამდენ დროს, გარჯას, რამდენ ანგარიშს ითხოვდა. ამას დაერთო ზოგჯერ დეკემბრის უამინდობა, ტაროს დასველება, ხელოვნური დანაკარგი. რაკი კოლმეურნეობის ძირითადი სამუშაო სეზონური ხასიათისა იყო, ხვნა-თესვიდან იწყებოდა და ჩალის აღებით მთავრდებოდა, გლეხი შუალედებში თავის საკარმიდამოს უვლიდა და პირად საქმიანობას ეწეოდა, ბუნებრივია, მთელი წელიწადი არ იყო იგი დაკავებული საზოგადოებრივი სექტორით.

ამიტომ 216 შრომადღე ყველაზე მაქსიმუმად ითვლებოდა ისეთი აქტიური კოლმეურნისათვის, როგორიც სანდრო ცომაია იყო. მას კიდეც ყველაზე მაქსიმუმი — 3456 კილოგრამი ან 216 ფუთი სიმინდი ერგო. მაგრამ ეს მაინც იმის ნახევარი იყო, რასაც ადრე, საკუთრივ იღებდა. ყოველთვიურად რვასულიან ოჯახს 13-14 ფუთი სიმინდი სჭირდებოდა მარტო საკვებად. ეს წლიური 160-მდე ფუთი იყო.

ახლა ფრინველების, წერილფეხა პირუტყვის საკვებად? გასაყიდად? გლესი. ხომ სიმინდით ირჩენდა თავს. და მაინც, შედარებით წინა წელთან, შრომას ფასი დაედო, გათანაბრება მოისპო, სტიმულირების ელემენტები გაჩნდა...

...1934 წელი. ზაფხულის შუარიცხვების ერთ კვირა დღეს კოოპერატივის ეივნის მარცხენა კედელზე კოლმეურნეობის კედლის გაზეთი გამოეკრათ. მომსველელ-წამსველელი ძალაუნებურად ჩერდებოდა და კედლის გაზეთის სქელ ქაღალდზე მსხვილი ასოებით დაწერილ სენსაციურ სათაურს კითხულობდა: „საჯაია ლუკას საქმე მიყავს უკან". მასში მოთხრობილი იყო ბრიგადებში შრომის დისციპლინის დაქვეითებაზე, სიმინდის სათოხნად კოლწევრთა დაგვიანებით გამოსვლაზე, სილოსის კოშკის მშენებლობის გაჭიანურებაზე. კომკავშირელთაგან ნ. ჯ.-ეა არ ფარავდა კმაყოფილებას. აშკარად იგრძნობოდა, წერილის ავტორი იგი იყო.

სკოლაში ჩემთან ერთი კლასით წინ სწავლობდა, ხასიათით ეიცნობდი და გამოველაპარაკე. „კოლექტივის ყანაში მუშაობას გაურბიან. — მითხრა მან, — მე, სეეე ჰიჰინაძე და ვარლამ პაჭკორია ვურტყამთ თოხს გამხმარ მიწას. ფერმის საქონელს მოვლა აკლია. ყველს ლანჩხუთის ბაზარზე ჰყიდიან. ამ ბოლო ხანებში მოვლინებული რომ ჩამოვა ეინმე, იქ მიყავს ლუკას სასადილოდ. ღვინო და არაყი საქონლის მომვლელებს შეაწერა. ისინიც ყველის გაყიდვით ინაზღაურებენ ნახარჯს. აბა, რა ქნან! ადრე ჯოგში ყავდა გადამძლული საქონელი, ახლა ფერმის ძროხებში გაურია და გადასახადისგან თავს იზღვევს. არ მოვიქეციოთ სწორად რომ გავაკრიტიკეთ? კომკავშირლებმა პირი შევკარით და დავცხეთ".

ყანებს მართლა ეტყობოდა, რომ მზრუნველი ხელი აკლდა. აქაიქ ყვითელი, ბაიას ფერი გადადებოდა. კოლმეურნეობის გამგეობის ორგანოში მისი თავმჯდომარის მძაფრი კრიტიკა იმ დროისთვის რაიმე უცხოს და მიუღებელს არ წარმოადგენდა. ჩვეულებრივად იგი საზოგადო საქმის სასარგებლოდ, მის დასაცავად, მისი წინსვლის ინტერესებით აღიქმებოდა. ამიტომ რაიმე პირადი უსიამოვნებანი, ურთიერთობათა გამწვაეება არ მოჰყოლია.

გარკვეული როლი, რა თქმა უნდა, ამ საქმეში ითამაშა ერთმა შემთხვევითმა გარემოებამ. კვირის ზუსტად მეორე დღეს ცხენით ახალსენაკიდან ჩამოვიდა მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი ნ. პატარაია, რომელსაც აგრონომიც ახლდა. იგი ტანად პატარა,

მკვრივი აგებულების და მკაცრი გამომეტყველების კაცი იყო. უპირველესად ყანები დაათვალიერეს. აგრონომს არ მოეწონა სიმინდის არც ფერი და არც ზრდის დონე. ივლისის მიწურული იყო და მუხლებს ვერ წვდებოდა. გვალვისგან დამზრალი იყო. ბალახი ერეოდა ზოგან. ლუკას სასტიკად უყვიროდა. დასჯით ემუქრებოდა. კოოპერატივში შეიარეს ვაჭრობის მდგომარეობის გასაგებად. საპნის და ასანთის დეფიციტი იგრძნობოდა. კედლის გაზეთიც ნახეს. — აი, ეს კარგია, ასე უნდა, ღირსი ხართ, ამხანაგო ლუკა. — ჩაილაპარაკა პოლიტგანყოფილების უფროსმა ყველა იქ მყოფთა გასაგონად და ამ დროს წვიმაც წამოვიდა. სტუმრები ცხენების უნაგირებზე მოკალათდნენ და უმალ წავიდნენ.

მიუხედავად მწვავე კრიტიკისა, ლუკა საჯაიას მუშაობის სტილში რაიმე ძირეული გარდატეხა მაინც არ მომხდარა. იგი გულგრილობას უფრო იჩენდა საქმისადმი, ვიდრე გულმოდგინებას. რაიკომიდან მომაგრებული აგროტექნიკოსი ს. ტყებუჩავა ხშირად ჩამოდიოდა სოფელში და ბევრჯერ შეუხვედრივარ გულმოსულს აგროწესების ვადების დაუცველობის და სამეურნეო საქმიანობის უთავბოლოდ წარმართვის გამო. ეს მაშინ, როცა ზოგჯერ თვით ზემოდან ნაკარნახევი იყო უთავბოლო. სასილოსედ ამოთხრილ ღრმა ორმოში იმდენი წყალი ჩადგა, მის ამოქაჩვას დიდხანს მოუნდნენ, სხვა ტექნოლოგიური მასალაც არ ჰქონდათ. ამიტომ პირდაბჩენილი ორმო ორმოდ დარჩა. თვით ფერმაც დაიხურა არა სილოსის უქონლობის გამო, არამედ სარევიზიო კომისიის შემოწმებით აღმოჩენილი დარღვევებისათვის.

რთული ვითარება შეიქმნა სახერხ ქარხანაში. 128 შრომადღის დაწერით წლიურ შემოსავლად 128 ფუთი სიმინდის მიღება მიხა ფანცულაიას წინანდელი შემოსავლის მესამედიც არ იყო. თან სისტემატურად იშლებოდა მაზუთით მომარაგების საქმე. მუშახელის დენადობა დაბლა სცემდა შრომის ნაყოფიერებას. ყოველივე ამან აიძულა ყოფილი მეპატრონე თავი მიენებებინა ქარხნისათვის. სენაკიდან ქარხნის მეთაურად მოიწვიეს ხე-ტყის საქმის მცოდნე კონსტანტინე კეშელავა — პოეტ ბონდო კეშელავას მამა. საშუალოზე ცოტა მაღალი, მსუქანი, ლამაზი პირისახის კაცი. შეუდგა ქარხნის ამუშავებას. ნახევარი წელი დარჩა სოფელში. და ბოლოს, იმანაც მიატოვა. ქარხნიდან მოგების მიღების ილუზია ამით სამუდამოდ დასამარდა. შრომადღის ნატურალურმა ანაზღაურებამ თანდათან იკ-

ლო. უეცარი აღმავლობიდან თითქოს უეცარი დეკადანსის ხანა იწყებოდა...

...იმ ხანებში ლანჩხუთიდან ერთდროულად გვეწვია ორი სიძე, ერთმანეთის ორი მეგობარი: ილია ჩხაიძე სანდროს ქალიშვილის — ლუბას მეუღლე და ჩემი დის ქმარი — როსტომ ჟორდანია. ეს უკანასკნელი ნოე ჟორდანიას ერთი შტოს შთამომავალი იყო. შუხუთში ცხოვრობდა. იმ სოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირად მუშაობდა. ილია კი ხე-ტყის დამზადების კანტორაში მსახურობდა. სადილობის შემდეგ, ჭასთან ახლოს, მსხლის ჩრდილქვეშ მოვიყარეთ თავი. ჩვენ სამ შორის საუბრის შინაარსი ცილდებოდა ვიწრო საოჯახო საქმეებს. გურულებს ოდითგანვე მოსდგამდათ პოლიტიკობანა და მათთაც უფრო ამ თემაზე გააბეს სჯა-ბაასი. ეს ის დრო იყო, როცა გერმანიაში ფაშიზმის გამარჯვება ჩვენს პრესაში ომის გაჩაღების სიმბოლოდ იყო გამოცხადებული. ფაშიზმი — ეს ომია. — ასეთი იყო 1933 წლის „პრავდიდან“ გადმობეჭდილი ერთ-ერთი სტატიის მთავარი ლაიტმოტივი. როსტომი შუხუთის კოლმეურნეობის მდგომარეობაზე ჰყვებოდა ამბებს, სურათს მუქ ფერებში ხატავდა, დაახლოებით ისე, როგორც ჩვენთან იყო. მიკვირდა მოვლენათა მსგავსება, დამთხვევათა უცნაურობა. როსტომი მიმტკიცებდა:

— ყველგან ერთნაირია მდგომიარობა. ადამიანის ტვინი და აზრი საკუთარ ჰიშკართანაა მიჯაჭვული. მხოლოდ ღორი ვერ არჩევს თავის ღობე-ყორეს, ყველას ეზო-კარში გაიჯირითებს, იმიტომ რომ ღორია, თორემ სინდისიერი და პატიოსანი კაცი სხვის ჯიბეში რავა ჩაყოფს ხელს.

— რატომ სხვის ჯიბეში. ერთი მთლიანი, დიდი საკოლმეურნეო ოჯახის ჯიბეა. ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის. ამაზე ოცნებობდნენ და ეს დროც გვეღირსა. — ვუპასუხე მე.

— ეს ლოზუნგი ჯარშია განხორციელებული. ჯარისკაცი მეთაურისათვის, მეთაური ჯარისკაცისათვის, ორივე ერთად მტრის წინააღმდეგ. სამხედრო-ყაზარმული რეჟიმი სასტიკ დისციპლინაზეა აგებული. კოლექტივმა მხოლოდ ამ რეჟიმით შეიძლება გაძლოს და იარსებოს. სხვანაირად, რამდენი ადამიანია, იმდენი ტვინი და აზრი. აქეთ რომ ვეძახი, გადმოი ბრიგადაში-მეთქი, ის იქით მიუა, თავისი ჰკუით და გონებით, და სანამ მობრუნდება, ყანას ძირფესვი უხმება. საუბარში ილია ჩაერია.

— მოიცათ ცოტა ხანი და ყველაფერი გასწორდება. როსტომს

გზაზე ვეუბნებოდი და ახლა შენც უნდა იცოდე. მოწიფული ხარ უკვე და ნაკითხი. ჰიტლერს წიგნი გომოუცია გერმანიაში. „ჩემი ბრძოლა“ ჰქვია. ბოლშევიზმი უნდა მოისპოს დედამიწის ზურგიდან. კაცობრიობას მე ვიხსნი მისი ჰირისგანო. — განუცხადებია თურმე და ემზადება კიდეც.

— ემზადოს. — ვუპასუხე მე დაჯერებით. — წითელი არმია უძლეველია, არც ერთ გოჯ მიწაზე მტერი ფეხს ვერ დაადგამს. ხალხი აღსდგება თავისი სამშობლოს და თავისი ხელისუფლების დასაცავად.

— შენ გგონია ხალხისაა ხელისუფლება? — ჩუმად, ხმის დაწევით მიპასუხა ილიამ.

— მაშ ვისია?

— კომუნისტების.

— კომუნისტები და ხალხი ვინ გაყო ერთმანეთისგან?

— რევოლუციამ.

— მერე რევოლუციამ თავისუფლება არ მოუტანა ხალხს?

— სიტყვით კი, საქმით — აი, კოლექტივი, ბატონო.

— კოლექტივი ლენინის ბრძნული მითითებით განხორციელდა.

— მაგრამ არა ბუხარინის თეორიით.

— გამდიდრდითო რომ იძახის?

— აბა, მშიერი და ღატაკი იყავიო, ამას ხომ არ გეუბნება. ადაშიანს კუჭი თუ მაძღარი არა აქვს. მგელზე უარესია, დაჭამს ერთმანეთს.

— სწორედ კოლექტივები იმიტომ დაარსდა, ყველა მაძღარი რომ გახდეს.

— კაცი ბჭობდა, ეშმაკი იცინოდაო, ხომ გაგიგონია ანდაზა. ისეა ბოლშევიკების საქმე. ჰიტლერი მოუღებს მაგათ ბოლოს.

— კი მაგრამ, რისი იმედი აქვს?

— ჰყავს დასაყრდენი ძალა შიგნით. განა ცოტაა უკმაყოფილო ელემენტები? ჭალაჭად კაპიტალისტების შთამომავლები და სოფლად თავადაზნაურების არ არსებობენ? ზოგი ტაშს რომ უკრავს, უკან იხედება. მოვიდნენ თუ არა ჩვენი იდეური დამცველებიო. შენ ბალღი ხარ ჯერ გამოცდილებით. ტროცკისტული ორგანიზაციები არალეგალურად შეშაობენ. ფართო ქსელია გაბმული. გარედან შემოსევას შინაგანი ამბოხი მოჰყვება და...

1934 წლიდან გაიზარდა ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების

და ფულადი გადასახადის გეგმები. გლეხკაცთა განწყობილება მდგომარეობის მიხედვით ხშირ ცვალებადობას განიცდიდა: იგი ხან დადებითობისკენ იხრებოდა, ხან უარყოფითობისკენ. საოცარი თანადამთხვევასავით გამოდიოდა. ზემოთაღნიშნულმა ფაქტმა მოსახლეობის გუნება-განწყობილება ერთხანს უკიდურესად დაძაბა, განაწყენდა ხალხი. მაგრამ სიძნელეების გადალახვით ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში მომხდარი თვალსაჩინო ძვრები, რაც გამოხატულებას პოულობდა მანუფაქტურული ნაწარმით, პირველი მოთხოვნილების ნივთებით და საგნებით სოფლად ვაჭრობის აშკარა ზრდაში, ხელს უწყობდა საერთო ოპტიმისტური სულისკვეთების სტაბილურობას, მის ამაღლებას და მობილიზებას.

განსაკუთრებით ეს გამოვლინდა ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების პირველი არჩევნების დროს, როცა უკვე ჩემივე სოფლის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვმუშაობდი. საარჩევნო კამპანიის დაწყებას წინ უძღოდა პრესაში გამოქვეყნებული ვრცელი, ერთგვეროვანი მოწოდება კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის პლატფორმით საარჩევნო ყუთებთან ყოველი ამომრჩეველის გამოცხადების და ხალხის მსახურებად მონათლულ დეპუტატობის კანდიდატებისათვის ხმის ერთსულოვნად მიცემის შესახებ. ეს მოწოდება აგიტაციის მთავარ საყრდენ წყაროს წარმოადგენდა.

ჩემი სააგიტაციო უბანი საადამიოს კუთხე იყო. საღამოობით ამომრჩევლები თავს იყრიდნენ ექვთიმე ადამიას სამზად სახლში. დაინთებოდა ბრიალა ცეცხლი, შემოუსხდებოდნენ ქალები და კაცები კველებს და დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიებს ვაცნობდი მათ. მაშინ კავშირისა და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები ერთდროულად იყრიდნენ კენჭს საარჩევნო უბნებში და განსხვავება მხოლოდ ბიულეტენის ფერებში იყო. დაბეჭდილ ფურცლებზე მოთავსებული იყო მათი ბიოგრაფიები, სურათები და აგიტატორის ამოცანას შეადგენდა საარჩევნო დებულებებთან ერთად ამ მასალების რაც შეიძლება დაწვრილებით გაცნობა კოლმეურნე მშრომელებისათვის. ძნელია ახლანდელი თაობის ადამიანებმა ნათლად წარმოიდგინონ, თუ რაოდენი ინტერესით იყრიდნენ თავს დღით ნაკაფი სოფლელები კერიის ცეცხლის პირას და როგორი გულისყურით უსმენდნენ ბიოგრაფიულ ცნობებს.

ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თექვსმეტი წლის მანძილზე არჩევნები პირველად ტარდებოდა და ბუნებრივად ხალხს აინტერესებდა მის პროცესში მონაწილეობა. მეორეც. ბოხარული იყვნენ იმით, რომ მათი მსგავსი, მესიმინდე თუ მეჩაიე. წამოყენებული იყო არა თემსაბჭოს, არა რაიონის, არა რესპუბლიკის. არამედ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანებული კავშირის, მთელი დიდი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. და, მესამე, ხმის მიცემის თანაბარი უფლება ჰქონდა მინიჭებული მამაკაცებთან ერთად ქალებსაც. ახალგაზრდებს თვრამეტი წლიდან, ე. ი. ყველა მოქალაქეს. ამაში იყო ჩაქსოვილი მაშინდელი გაგებით არჩევნების დემოკრატიულობა. პარტიის, მთავრობის და ხალხის ერთიანობის, მონოლითობის იდეა...

...რიგით მესამე თავმჯდომარის მუშაობის დაწყების დროისათვის რაიონის შემოტევების, ხშირი წყალდიდობის შედეგად სოფლიდან მიგრაცია ნაწილობრივ უკვე დაწყებული იყო. მაგრამ მან ერთგვარი მასობრივი ხასიათი 1938 წლიდან მიიღო. ადრე, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, რაიონის შემაწუხებელი მოქმედებისგან სოფელს მიწაყრილები იცავდა. გულისყურს არ აკლებდნენ — მდინარის ადიდებისთანავე აზნაურ იოსელიანების სამრეველო ხალხი თავიანთი უბნების მიხედვით დღედაღამ დარაჯობდა, წყლის მომატების კვალდაკვალ ბელტებს ბელტებზე აყრიდნენ. იშვიათად გაჟონავდა. და თუ გაჟონავდა, მაშინვე ჩაკირავდნენ. ძველისძველი მიწაყრილების ზოვლა ტრადიციულად დიდ საზოგადო საქმედ ითვლებოდა. 30-იან წლებში მზრუნველი პატრონი თემსაბჭოსა და კოლმეურნეობას — ორ ძიძას შორის დაიკარგა. რიონმა ეს უმალ იგრძნო, როცა გაბიბინებულ ნაპირებს მიადგა. ასის ნაცვლად ორი გამოვიდა ბარით ხელში. ათი მოყაყანე და მოქადაგე იყო.

აქოჩრილი ტალღები მიეძალა სუსტ ადგილს. ზემოდან გადასვლას არ დაელოდა. ჯერ წვეთ-წვეთად გაჟონა, მერე ნასვრეტი გაიკეთა, გააპო და გაანგრია მიწაყრილი. წალეკა კოლმეურნეობის ყანები. მეორე და მესამე წელს უფრო მიეძალა, აიკლო, აოხრა. ვერანად აქცია ყველაფერი. დაცარიელდა სარიაჩქონი. ვინ როგორ, ზოგი მუხურში გადასახლდა, ზოგი სენაკში, ზოგი ქვალონში, ზოგი აბაშაში, ზოგი ფოთში...

...ათი წელი გავიდა სოფელთან განშორებიდან. 1949 წლის ივნისში საქართველოს განათლების სამინისტროს მივლინებით ახალ-

სენაკის რაისაბჭოს განათლების განყოფილებაში ვიმყოფებოდი რაღ-
დენიმე დღით. გაეგო ჩემი იქ ყოფნა და სოფლელმა ახალგაზრდა
მასწავლებელმა შემომჩივლა:

— ნუთუ არ იცით, რომ სარიაჩქონში სკოლა დაგვიხურეს, მო-
სახლეობა მცირე დარჩა, 25-მდე ბავშვი გეყავს აღრიცხული და მუ-
ხურში უხდებათ სიარული. აი, სოფლის მცხოვრებთა თხოვნა, და-
წყებითი კლასი მაინც გაგვიხსნან. დაგეხმარეთ ამ საქმეში. იქიდან
არა ხარ?

ვერ ვიცანი. გამოვკითხე ვინაობა. ლავრენტი ჯაჯავას შვილი აღ-
მოჩნდა. ტექნიკუმი დაემთავრებინა და მუხურში ასწავლიდა. თავი-
სივე სკოლაში უნდოდა ემუშავა. ჯერ კიდევ მთლად არ დაცლილა
სოფელი. მხოლოდ სკოლას შეეძლო არათუ შეეკავებინა, კვლავ
უკუ მიეზიდა წასულთაგან. შემზარა ამ ცნობამ. განათლების განყო-
ფილების გამგეს (მაშინ ნ. შონია იყო) წარვუდგინე ქალიშვილი და
ვთხოვე აღეძრა საკითხი სამინისტროს წინაშე სარიაჩქონში დაწყე-
ბითი კლასების ვახსნის შესახებ. საკითხი დადებითად გადაწყდა.
გაიხსნა ორი კლასი. მასწავლებელად სხვასთან ის ქალიშვილიც და-
ინიშნა. წინანდელი ორი შენობა დაეშალათ და მუხურში საშუალო
სკოლისათვის გამოეყენებინათ. ამიტომ პირველ ხანებში ნაქირაებ
ოთახებში უნდა ჩაეტარებინათ მეცადინეობა.

სულ ეოცნებობდი როგორმე ჩავსულიყავი და მენახა სოფელი.
როცა 1953 წელს განათლების მინისტრად როსტომ წულუკიძე დაი-
ნიშნა, საგანგებოდ ვეწვიე მას და ვთხოვე ერთად წავსულიყავით.
გაუხარდა კიდეც სოფლის გახსენება და შევთანხმდით წასვლაზე.
მაგრამ მისი მინისტრობა ხანმოკლე გამოდგა, ექვსი თუ შვიდი თვე
იყო. ჩამეშალა გეგმა. მხოლოდ 1970 წლის იელისში მოვახერხე ჩა-
სულიყავი ლანჩხუთის მხრიდან ჩემს სანატრელ სირიაჩქონში. გამო-
ვიარე ფიჩორას ხიდი, ბოგორონი, შალვა იოსელიანის ნასახლარი,
ყოფილი სახერხი ქარხნის ადგილი და... ისე აღმოვჩნდი სოფლის
ცენტრში. ვერაფერი გავარკვიე. ნამდვილად სირიაჩქონში ვიყავი,
თუ ნაომარ, ნამეხარ, სიცოცხლეჩამქრალ ხუტორში.

ნამოსახლარები მურყანის კორომებით დაფარულა. აქა-იქ ათი-
ოდე კომლს თუ დაითვლიდით. დაწყებითი კლასებიც მიუხურავთ.
გული დამწყდა.

ვისლა ახსოვდა სოფლის დიდებული ისტორია! ან ის შვიდწლია-
ნი სკოლა, ეკლესიის გუმბათზე აღმართული ის ცისფერი ჯვარი, მუ-

დამ ხალხით სავსე კოოპერატივის ის მაღაზია, ან ის ნაადრევად „შობილი“ და ნაადრევადვე თვითდაშლილი კოლმეურნეობა. გაზაფხულ-შემოდგომით მეჯოგეთა „ქარავნის“ ის გამხარებელი გამოჩენა სოფლის გრძელ შარაგზაზე! მიტოვებულ სოფელს რაში არგებდა დიდი სამამულო ომის და ომისშემდგომ პერიოდში კოლხეთიშენის მიერ პატარა ფოთიდან კეთილარამდე გაველებული დამბის ვეება ზღუდე!..

1987 წლის იანვარში რიონის დიდმა წყალდიდობამ დამბის მარჯვენა მხარე გაარღვია ქვემოჭალადიდთან. მარცხენა მხარე გადაურჩა, მაგრამ რა ბედენაა უკაცრიელის გადარჩენა. ამიტომ სირიაჩქონი არც უხსენებიათ სტიქიური უბედურების მაუწყებელ ექსპრეს-ინფორმაციებში. თითქოს არასოდეს არსებულა ლამაზი, ხალხმრავალი, დოლათიანი სოფელი.

და მართლა, მკლედ, უბადრუკად გამოიყურება იგი ქართული ენციკლოპედიის პირველი გამოცემის ფურცლებიდან. „სირიაჩქონი — სოფელი ცხაკაიას[1] რაიონში. ზემოჭალადიდის სოფლსაბჭოში. ოდიშის დაბლობზე, მდინარე რიონის პირას. ზღვის დონიდან 16 მ. ცხაკაიადან 18 კმ. ზემოჭალადიდის საბჭოსთან კოლხიდის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა-ქარხანა. 6 კმ. საშუალო სკოლა სოფ. მუხურში“ (ტ. 9, 1985, გვ. 386).

მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, სირიაჩქონის ტერიტორიაზე მეურნეობა-ქარხნის რაღაც მცირე რგოლია და მხოლოდ ამიტომ აქვს შემორჩენილი სოფლის სახელი. არც მოსახლეობის სულადობა. არც კულტურის რაიმე კერა ნახსენებიც არაა...

იყო... და აღარ არის!

მიძნელდება ამ სტრიქონების წერა, ცრემლით მეჭღინთება ქაღალდი, სუნთქვა მეკვრის და გულის ძარღვები მეკუმშება, რადგან... „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, სად მისროლია ისარი... სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ...“ ჩემი ფესვებიც იქ არი...

აკვნის ფერადოვნებით შემკობილი, ბუნდოვანი ბავშვობის ამოუძირკვავი, ჩემი მომლოდინე, უშორესი და უწმინდესი ფესვები.

---

[1] ახლა ისევ ძველი სახელი — სენაკი ჰქვია.

იყო ცხოვრების ასეთი გზებიც...

დროთა, ეპოქათა, ადამიანების სულთა მემკვიდრეობითი კავშირების უშრეტობა ცივილიზებული ქვეყნების შენების უხილავი, თითქოსდა, ჯადოსნური სარკეა. გუშინდელი მღვრიე წარსულის მიუკერძოებელი გახსენებით იდუმალების ამ საოცრებისკენ მიპყრობილი იმედიანი და თვალცრემლიანი მზერაც ახლის ბალავრად ისახება.

თავი I. სენაკის ხანა

I

რამ მაიძულა ტყე-მინდორველებისა და სათნოების იმ მყუდრო საუანიდან, დღესაც უმანკოებით და უბიწოებით რომ შერჩენია ეკოლოგიურად დაავადებულ რიონის ნაპირებს ბოგოროხიდან ზემოჭალადიდის ბორნამდე, ურბანიზაციის თუ ცივილიზაციის „ცთუნებებს“ ავყოლოდი? მაშინ, მგონია, თავზეც რომ დამდგომოდნენ, ვერც ჟან-ჟაკ რუსო შემაკავებდა და ვერც ბერნარდენ დე სენპიერი თავიანთი ქადაგებებით სოფლური იდილიის მშვენიერებაზე, იმდენად ძლიერი იყო მისწრაფება სწავლის გაგრძელებისადმი. რამ გამიჩინა ასეთი უცნაური ჟინი? ამის გასარკვევად წუთით ისევ იქითკენ უნდა მივიხედო, იმ ფესვებისკენ, საიდანაც მოვდივარ. გიამბობთ და... ღვთის ნებით, როგორც გულმა გაგიჭრათ, გინდ ირწმენეთ, გინდ...

20-იანი წლების ბოლოსათვის უეკლესიო სასაფლაოს ის ძნელოვანი ცაცხვი, პირველ ნაწილში რომ აგიწერეთ, უკვე აღარ წარმოადგენდა ადამიანთა მიმზიდველ საკრებულოს. მიცვალებულის დამარხვა და ხალხის დაშლაც ერთი იყო. თითქოს გადაუდებელი სასწრაფო საქმე ეძახოდა თითოეულს ცალ-ცალკე და ყველას ერთად. არც მომტირალთა წივილ-კივილს, არც მოთქმას და შეცხადებას ჰქონდა ძველებური, გულის დამთუთქველი, გრძნობათა ამჩატყებელი და ცრემლების ღვარად დამდენი ელფერი. რაც მღვდლის წირ-

ცა-ლოცვა შეწყდა, მდუმარებას დაესადგურა ამ არე-მარეში. ჩამოშხეპრა-ჩამომკვნარი ღობე წინა მხრიდან პირუტყეს სულ მთლად გაეღრღნა და ღორების ნაჩიჩქნ მიწას მათი კვალი ორმაგად ეჩნდა. ასეთი გაპარტახება სოფლის სასაფლაოს განსაკუთრებით სახერხი ქარხნის უბნიდან არტემ არჩაიას გასვენების დროიდან დაეტყო. იგი სწორედ ქარხნის პირდაპირ ცხოვრობდა.

თოთქმის მარტოხელას მოუსწრო სიკვდილმა. ღრმადმოხუცებულს მოდგმიდან ერთი შვილიშვილი და რძალიღა დარჩა. ვაჟი 16-17 წლისა იქნებოდა. ბაბუასავით მაღალი, კაფანდარა, მიწის მოყვარული იყო. კრამიტით გადახურული რიკულებიანი ოდა სახლი და კარგი ეზო-კარი რჩებოდა ყმაწვილს. ოჯახს კერიის საიმედო გამგრძელებელი ეზრდებოდა. ამიტომაც ფეხზე დადგა ახლო-მახლო მეზობლობა. მთელი სოფელი. ასე იცოდნენ გულითადობის გამოხატვა შრომით პატივსაცემი ადამიანისადმი. ყველაფერი იღონეს იმქვეყნად არტემის „გაპატიოსნებული“ გამგზავრებისათვის. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი და შემაფერხებელი რამ.

დასაფლავების შაბათი დღეც დილიდანვე ქარწვიმიანი გამოდგა. სასოფლო გზა გაუვალი ტბორებით და ტალახით იყო დაფარული. მიცვალებულს ურმით ხომ არ წაასვენებდნენ! კუბოს ხელით ტარების გაძაპაპურ წეს-ჩვეულებას, როგორც შემორჩენილ ღვთიურ სასოებას. ჯერ ისევ მოწიწებით იცავდნენ და, ბუნებრივია, უპატრონობა არც ამ მხრივ უნდა დატყობოდა. ასედაც გადაწყდა. 6-7 ახალგაზრდა შეიკრიბა, რომელთაც ივალდებულეს სახერხი ქარხნის ზემოდან, ქვიშიანი ზეგნების გამოვლით, კუბოს სასაფლაომდე მიტანა. ხალხი ეზო-ეზო წავიდოდა ზოგი ქოლგით, ზოგი თავშლით, ზოგი ყაბალახით, ზოგი კიდევ ტომრებით თავმხრებდაფარული. მოგროვდა კიდეც გათხრილი საფლავის ირგელივ. მაგრამ... კუბო არ ჩანდა.

ამ დროს ნაშუადღევის გასაყარზე, იღბლად, ზაფხულის პირმცინარე მზემ ქარის დაფანტული ღრუბლებიდან პირის დასაბანად გამოუხედა. კოლხეთის ზოგჯერ ღვარძლიანმა, კაპასმა ბუნებამ თავისი ჩვეული გულმოწყალებით ქარბორია თბილი ნიავით შეცვალა, წვიმა შეწყვიტა და ხალხის გამწკარტული გუნება-განწყობილება ოდხაე გამოაკეთა.

— ფარსაგი თუ გინდა, სად არიან ოჯახქორები ამდენ ხანს. — თქვა არტემის კარის მეზობელმა, მოხუცმა იელიანემ და ადგილის მოუცველად ფეხები წინ და უკან გადადგა.

— რა მოუვიდათ ნეტავი, სასირცხვო საქმეა. — გაოცებით და გაკვირვებით შეეპასუხა მეორე მეზობელი. სხვები იდგნენ და სდუმდნენ.

— არ უნდა გაგვეშვა ახალგაზრდები უცხო გზით. როდის იყო, კაცო. ტრიალ მინდორზე მიჰქონდათ მიცვალებული. ფარსაგია რაღაც, — თქვა დაეჭვებით ისევ ივლიანემ და ორი-სამი კაცის თანხლებით სწრაფად გასწია ჰალების ზეგნებისაკენ.

იქ კი, ტირიფოვანი ხეების ცოტა იქით, ქვიშის ერთ ზეგანზე, კუბო იდგა. ჰურჭლის ზედა ზოლზე ქაღალდი გადაეფარათ, მიცვალებულის საცხონებლად წამოღებული ღვინის ბოთლები, მჭადის ნატეხები და ყველის ნაჭრები დაელაგებინათ და... არტემის ხსოვნის დღეგრძელობის უკანასკნელ ჭიქებს ცლიდნენ ცოტათი შეზარხოშებული ბიჭები.

მართალია, ივლიანეს გულმოდგინებით იმ საღამოსვე მიიტანეს კუბო სასაფლაომდე. სადაც ხალხი უკვე აღარ იყო, და არტემი დამარხეს, მაგრამ ეკლესიის დანგრევის შემდეგ ეს ამბავი ხალხის შეროყეული რწმენისთვის მეორე დიდი ლახვარი იყო. კვირა დღეს სკოლის ეზოში კომუჯრედის ცხარე კრება გაიმართა კომკავშირულ ახალგაზრდობასთან ერთად აქ იყვნენ სახელგამტეხი საქციელის ჩამდენი „გმირებიც“, რომელთა უმრავლესობა სკოლიდან გასული ან სწავლისადმი უინტერესობის გამო იქიდან გამორიცხულები იყვნენ. დისკუსიის საგანი იყო: ხალხის ადათ-წესი და რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა. როგორ უნდა დაეცვათ და შეეხამებინათ ეს ორი საკითხი ერთმანეთისთვის. მებრძოლ უღმერთოთა პირველადი და რაიონული ორგანიზაციები მაშინ ყველგან არსებობდა და, ცხადია, კომკავშირის მეშვეობით მათ პარტია ხელმძღვანელობდა. ამიტომაც კომუჯრედის ღია კრებას საკმაო პირთვი ესწრებოდა.

ჩემი ყურადღება კრებაზე განსაკუთრებით როსტომ წულუკიძის მსჯელობის **ლოგიკამ** მიიქცია. მან იმ წელს (1929) დაამთავრა სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი და, როგორც ამბობდნენ, სწავლის გასაგრძელებლად თბილისში მიდიოდა. იმ ხანებში ჩემი სოფლიდან სენაკის პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები დამთავრებული ჰქონდათ ლევან სიჭინავას, შუშანა დალენა შეროზიებს, ბიძაშვილ სერგო ცომაიას დ აყველა ამათ „რიონდალეულებს“ ეძახდნენ. ჩემთვის ეს ცნება მაშინ სრულიად გაუგებარი იყო, ისე რაგორც „თერგდალეული“, რომლის ანალოგიითაც იგი იყო შექ-

მნილი. მაგრამ უფრო გაუგებარი და მიუწვდომელი იყო როსტომის მსჯელობაში გამოყენებული სიტყვა-გამოთქმები: ათეისტური, თეოლოგია, დიალექტიკა, ტენდენციური, იდეალისტური, მატერიალისტური, ორთოდოქსული და სხვა ასეთები. მათი აზრი, ჩემდა სანუგეშოდ, კომუკრედის არც ერთ წევრსაც არ ესმოდა. ისინი უბრალოდ კიცხავდნენ მოსახლეობის უკმაყოფილების გამომწვევი უცნაური მოქმედების ჩამდენებს და ახალგაზრდობისაგან მოითხოვდნენ ძველი ადათ-წესებისადმი მეტ პატივისცემას. ამ აზრს ემხრობოდა ხუთი „რიონდალეულიდან“ ოთხი. მხოლოდ როსტომი განასახიერებდა რადიკალურად განსხვავებულ პოზიციას. იგი თავისი განსწავლულობით ყველა იქ დამსწრეთაგან, მეჩვენებოდა, ათი თავით მაღლა იდგა.

— ტენდენციური მიდგომით საკითხი არ გადაწყდება, — ამბობდა იგი, — თქვენ მხოლოდ შედეგის მიხედვით არჩევთ მომხდარ ფაქტს. მაგრამ საიდან მივიღეთ შედეგი? აქ ბუხუტი ცხვიტარიაძ. უღირსი მოქმედების მთავარმა „გმირმა“, აგვიხსნა: მეზობლებიდან არავის გახსენებია ბრეზენტგადაფარებულ სეფაში ჩვენი შეყვანა და საქმლისთვის მიწვევა. მიცვალებულის კუბოს წაღებაზე მაინც არ გვითქვამს უარი. სულის სახსენებელი კირილე ლენჩს აკიდეს. მან კიდევ მაინც და მაინც ჩვენი გზით არჩია წამოსვლა. აქეთ ქარი გვიბერავდა, იქით კიდევ მძიმე ტვირთს ვეზიდებოდით, შიმშილით კუჭი აგვეწვა და...

— ხედავთ? — განაგრძობდა როსტომი მგზნებარებით, — ასეთი გარემოება და სიტუაცია სოფელში ოდესმე შექმნილა? იყო? სწყალ არტემს თითქოს ყველა ჭირისუფლობდა, მაგრამ კონკრეტულად? აქ ზოგადისა და კერძოს იშვიათი მაგალითია. თვით მკვდრის სუფრაზე დაჯდომასაც ხომ თავისი წესი და თადარიგი აქვს. ეზოეზო მოსიარულეებს თუ ეპატიჟებოდნენ, ამხელა ტვირთის მზიდავები რატომ დააიწყდათ? რას იზამდნენ ბუხუტი და მისი ამხანაგები, კირილე რომ არ ადევნებოდა მათ? რატომ არავის მოუვიდა აზრად გამოეხმოთ იგი და ხალხთან ერთად წამოეყვანათ?

— და, აი ასე, ჩვენს წინაშე მიზეზთა მთელი წყებაა. ისინი ერთიმეორესთან მჭიდროდ არიან გადანასკვნულ-გადაჯაჭვულნი და ჩვენგან მოითხოვენ არა იდეალისტურ, არამედ მატერიალისტურ ახსნას. თუ ათეისტები ვართ, თუ მებრძოლ უღმერთოთა კავშირის წევრებად ვითვლებით, თუ კომკავშირის წესდება-მოვალეობას გა-

ნუხრელად და ერთგულად ეიცავთ, მაშინ მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ თეოლოგიურ ცთუნებებს. საფლავის თავზე დაესხამთ მიცვალებულის სულის საცხონებლად ღვინის წვეთებს თუ მისი დაშვედილი ჰურჰლის თავზე, ამას პრინციპულად არავითარი განმასხვავებელი მნიშვნელობა არა აქვს. საკითხის მეორე მხარეა ადათის დაცვა. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, აშკარა დარღვევასთან გვაქვს საქმე. და ამისთვის ბუხუტი და მისი თანამესუფრენი უნდა გავკიცხოთ, მაგრამ გავითვალისწინოთ გზის თავისებურებაც.

— ხომ ყველამ ვიცით, როგორი ოღროჩოღროიანია ჭვიშიანი ზეგნები. განა მანძილი იქიდან გაცილებით უფრო შორი არ არის, ვიდრე სახერხი ქარხნიდან სოფლის შარაგზაა? რანაირად შეეძლოთ ამ ამხანაგებს ერთდროულად მოსვლა სასაფლაოზე ხალხთან ერთად? რატომ არ დაელოდნენ კუბოს მოტანას? ივლიანე რომ არ მისულიყო მათთან, ისინი ხომ თვითონ მოვიდოდნენ დანაყრების შემდეგ და მაშინ ხომ არავინ გაიგებდა ამ სამარცხვინო საქმეს? ხომ არ იგრძნობა აქ მოსახლეობის ერთგვარი სულმოკლეობა შედარებით შექმნილ მოულოდნელ სიტუაციასთან? ასეთია მიზეზებისა და შედეგების დიალექტიკა, მისი ფილოსოფია. — დაასრულა ფეხზე მდგომმა როსტომმა თავისი სიტყვა და კრების მონაწილეთა შორის ფიცრის გრძელ სკამზე ჩაჯდა.

მე თქვენ ამ სიტყვის ძირითადი შინაარსი გადმოგეცით ექვსი ათეული წლის წინანდელი ადამიანების სხვადასხვაგვარი რელიგიური განწყობილების, ფსიქიკის, ქცევის, კულტურის და აზროვნების დონის შესაცნობად. მაგრამ თხრობის მთავარი აქცენტი, შეამჩნევდით, ალბათ, იქითკენ მქონდა გამახვილებული, როგორმე მეჩვენებინა და მეგრძნობინებინა: აი, სწორედ იმ კვირა დღის კრებაზე მოსმენილმა ასეთმა სიტყვამ მომცა პირველი ბიძგი, პირველი წამახალისებელი შთაგონება შვიდწლიანი შრომითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა აუცილებლად განმეგრძო სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში, სადაც ჩემი მაშინდელი წარმოდგენით, ესოდენ ფართო განათლება ჰქონდა მიღებული თანასოფლელ როსტომ წულუკიძეს (მისი ვინაობის შესახებ მინიშნებული მაქვს პირველ ნაწილში, გვ. 24). რა თქმა უნდა, ეს ბიძგი არ წარმოიშობოდა, რომ მას საფუძვლად არ დასდებოდა სოფელში მომხდარი ნამდვილი ამბავი, ზემოთ აღწერილი რეალური შემთხვევა.

მაშინ ჩემს წინაშე სრულიადაც არ იდგა კრების დღის წესრიგის,

მოკამათის დებულებების მოწონების ან უარყოფის ამოცანა. ეს არც შემეძლო. არც მიცდია და არც არავის დაუკისრებია. უბრალოდ მე ტექნიკუმდამთავრებულის აზრების ლოგიკური თანამიმდევრობა, სიცხადე. ნაირფერობა და დასაბუთების ორიგინალურობა მხიბლავდა. ქვეშეცნეულად, ჩანს, აქეთკენ — ანალიტიკურობისკენ იხრებოდა და იწვევდა გული. ეს იქცა ჩემი შემდგომი ბედის გადამწყვეტ მომენტად. ამიტომაც დამამახსოვრდა ასე დიდხანს.

და ამიტომაც მინდა გაგიზიაროთ ერთგვარი დასკვნის სახით: საკუთარსავე არსებაში მიზნისაკენ სწრაფვის იმ რაღაც იმპულსური წერტილის, იმ რაღაც აღმაფრენი მომენტის „გაელვება“, მისი „აღმოჩენა“ და „დაჭერა“ ყოველგვარი პროფესიული ორიენტაციის ფსიქოლოგიურ ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ცოდნის შეძენის ურყევ ბაზად მოგვევლინებათ, თუ ზეშთაგონების, შინაგანი მოწოდების ხმას ბოლომდე გასდევთ ნებისყოფის მტკიცე ძალით.

თითქოს სალამურის ხმასავით საამური სიზმარი ამიხდაო, სურვილის ჩასახვიდან მისი შესრულებისაკენ მიმავალი გზა ერთბაშად ადვილი და გაკაფული აღმოჩნდა ჩემისთანა გლეხკაცების შვილებისათვის. მეტრიკული ამონაწერის, სკოლის დამთავრების მოწმობის და სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობის წარდგენა განცხადებასთან ერთად. არც მისაღები გამოცდები. არც რაიმე კონკურსი. ასე გავხდი ყოველგვარი გასაჭირის გარეშე 1930 წლის პირველი სექტემბრიდან სენაკის საოცნებო პედაგოგიური ტექნიკუმის პირველი კურსის მოსწავლე.

მხოლოდ 18 ვერსი, ან 18 კილომეტრი მაშორებდა ადგილის დედიდან. საურმე და საცალფეხო გზა ბორანზე გავლით მაშინვე მარჯვნივ, ხეთა ჩრდილოვან „გვირაბში“ უხვევდა, მერე ჩრდილოეთისკენ ცრეას ნაპირებს მისდევდა თეკლათამდე, ხიდს გადაჰკრიდა აღმოსავლეთის მიმართულებით და რკინიგზის გადასასვლელით ქალაქში შედიოდა. „გზას ვამბობ, თორემ რა გზასა.“ მიუხედავად ამისა, ხელსაყრელი ამინდების დროს მთელ მანძილს სიხარულით ვფარავდი თვეში ორჯერ მაინც მშობლების სანახავად და სურსათის ჩამოსატანად.

ორჯერ მეტი ხნის ვიყავი, ვიდრე დავით კლდიაშვილი ბავშვობაში, როცა იგი მშობლიური სოფლიდან კი არა, საქართველოდან შორს, შორს, უკრაინის დედაქალაქ კიევში ჩაიყვანეს პატარაობიდანვე სამხედრო დარგის შესასწავლად, და ისიც, მხოლოდ რუსულ

ენაზე. რაოდენი ზღაპრული კონტრასტია, არა?! მისი მთავარი აზრი ჩადებულია სწავლა-განათლების საქმის იმ ახლებურ ორგანიზაციაში, რომელიც მოჰყვა დავით კლდიაშვილის დროის გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ძირფესვიან შეცვლას. ეს იყო ჩემთვის და, ცხადია, მთელი ჩემი თანაკურსელებისათვის, ძველთან შედარებით, თითქოსდა, მართლაც, „ნახტომი მზისკენ". მშობლიურ ენაზე სწავლა ყველგან თავისუფალი და გარანტირებული იყო.

სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი მაშინ მოსწავლეებს იღებდა არა მხოლოდ სენაკის რაიონის სკოლებიდან, იგი ემსახურებოდა აბაშის, ხობის, მარტვილის, სამტრედიის და სხვა რაიონებსაც. მართალია, შავსიელების[1] გარდა აქ ყველას თავისუფლად ღებულობდნენ, მაგრამ, ჯერ ერთი, საბინაო პირობების მოგვარება ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო (ან ნათესავ-ნაცნობი უნდა ჰყოლოდა ქალაქში, ან უნდა ექირავა) და, მეორე, არც განურჩეველი ლტოლვა იყო საოხუნჯო. დეეზით — კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო. მონდომებას შინაგანი მონაცემებიც უნდა შეფარდებოდა, ხოლო ამ მონაცემს თავისთავში ყველა როდი „აგნებდა". ამიტომ კურსის ოდენობა 15—20 მსმენელით შემოიფარგლებოდა. მომატების შემთხვევაში კი ორ ჯგუფად იყოფოდა. ასე მოხდა ჩვენი მიღების დროს.

ტექნიკუმი მოთავსებული იყო რუსთაველის და გამკეთი ქუჩების შესაყართან ამჟამად არსებული მეოთხე რუსული საშუალო სკოლის იმ ორსართულიან შენობაში, რომელსაც მიშენება-დაშენების შედეგად ძველის ნაშთად რუსთაველის ქუჩის მხარეზე დარჩენილი გათლილი ქვის მხოლოდ ქვედა სართული შერჩენია. აქ, ამ ძველ ნაგებობაში, 1900-იან წლებიდან მოთავსებული იყო სასული-

---

[1] 20-იან წლებში შემოღებული „შავსიელობა" სწავლის გარკვეულ ხღუდეს ბართლა ჰქმნ-და ოქტომბრის რევოლუციამდე პრივილეგირებული სოციალური ფენების შვილებისათვის. მანამდე, როგორც ცნობილია, საპირისპიროდ დაბალ ფენა განიცდიდა ამგვარ შეეიწროებას. გლეხის შვილს იშვიათად იღებდნენ სასწავლებლებში. მაგრამ ანალოგია მაინც პირობითია. შედარებით ძველ დროსთან, ამას ჰქონდა არა მუდმივი, არამედ დროებითი ხასიათი. შავ სიაში ექცეოდა არა ყველა, ვინც თავადაზნაურობის ან ეკპართა ჯგუფს ეკუთვნოდა, ე. წ. ლოიალისტები, საბჭოთა ხელისუფლებასთან თავიდანვე შერიგებულნი და შეგუებულნი ამ მხრივ არავითარ სიძნელეს არ აწყდებოდნენ. ასე რომ არ ყოფილყო, მოერავის შვილი რ. წულუკიძე ან ბიძაჩემ გერასიმეს შვილები — ბორისი, შოთა, ილია პარტიული, სამეცნიერო და სამეურნეო დარგის ნასწავლი მუშაკები ვერ გახდებოდნენ.

ერო სასწაულებელი, რომელიც რევოლუციამდელ სამეგრელოში ერთადერთი იყო. იგი პირველად მარტვილში დაარსდა, ხოლო 1880-იან წლებიდან გადმოტანილ იქნა სენაკის სამაზრო ცენტრში. სწორედ იმ პერიოდში სწავლობდა იპოლიტე ვართაგავა, რომლის გადმოცემით ახალი შენობის აგებამდე სასწავლებელი ფარღალალა ნაქირავებ ოთახებში იყო შეკედლებული (ი. ვართაგავა, მოგონებები. 1956, გვ. 67).

სამეგრელოს სასულიერო სასწაულებელში მხოლოდ სამღვდელოების წრის შვილებს იღებდნენ სამრევლო სკოლებიდან და ისიც მთელი სამეგრელოს კუთხიდან მტკიცედ განსაზღვრული რიცხვით. მაგალითად, 1901 წელს, როცა სასწაულებელს ზედამხედველი ბუტირსკი განაგებდა, სულ 5 ადგილი იყო გამოყოფილი, გამოცდას კი 12 აბარებდა. სწორედ ამ სასწაულებლის მატერიალური ბაზიდან შეიქმნა ჯერ ჰუმანიტარული, ხოლო 1921 წლიდან პედაგოგიური ტექნიკუმი, რომლის პირველ კურსზე ჩარიცხული ა და ბ ჯგუფის მოსწაულეები ყოფილი სენაკის მაზრის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ერთი სოციალური წარმომავლობის — მშრომელთა შვილები იყვნენ. ესეც კონტრასტი!

პირველივე შეხვედრებიდან და ურთიერთ პირველივე გაცნობიდან ცხადი იყო, რომ ჩვენ არა თუ სოციალური წარმოშობით, თვით გარეგნობითაც (უფრო ზუსტად, ჩაცმულობით — ღარიბულობის გაგებით) საოცრად ვგავდით ერთმანეთს. ხაკის ბლუზა-შარვალი, უბრალო ქამარი და წუღა. გოგოებს კიდევ მუხლებამდე კაბა, წვივებზე შემოსალტული თეთრი ფერის ჩულქი, მოშავო-მოყავისფრო დაბალქუსლიანი „ტუფლი“ და საყელოგახსნილი ღილებიანი პერანგი. თმები უმეტესობას, მაშინდელი მოდის მიხედვით, კისერთან ჰქონდა შეკრეჭილი. ბიჭებს ახლად ამონაყარი წვერ-ულვაშის მხოლოდ „ფიფქებიღა“ ემჩნეოდათ და ჯერ კიდევ არ აღბეჭდოდათ ნაპარსის ნიშნები. ეს გარეგნული მსგავსება სრულიადაც არ უკარგავდა თითოეულს საკუთარ ინდივიდუალობას, არ გულისხმობდა პიროვნებაში პიროვნულის ნიველირებას ან შარვლის ორი ტოტის თანაბრად გაუთოების „თეორიით“ ცხოვრებას. მეცადინეობის ინტენსიობით, საზოგადოებრივი საქმიანობით და ასაკითაც გამორჩეულებიც იყვნენ და ერთმანეთისგან განსხვავებულებიც. უფრო მეტი — ყველას თავისი ჩვევა, ლაპარაკის და სიარულის თავისებური მანერაც კი ჰქონდა „მოტანილი“. ზოგიერთი თანაკურსელი სენაკელის (მაგალი-

თად, ელიზბარ ლომთაძის — ამჟამად ქართული ენის ცნობილი სპეციალისტის) გამოცდილება, სითამამე და აქტიურობა, აბა, რა შესადარებელი იყო ჩემი სოფლური მარაგის სიმწირესთან ან კიწიიდან, კეთილარიდან და ლეძაძამიდან ჩამოსულთა ფარულ „რეზერვებთან“?

და მაინც, სწავლის წყურვილი, მიზნისკენ სწრაფვა და რომანტიკული გატაცება ყველასათვის ერთნაირად განმსაზღვრელი, მეგობრულად გამაერთიანებელი ნიშანი იყო. ჩვენ ვიზრდებოდით და ვყალიბდებოდით ამ ნიშნით, ვიწრთობოდით და ვვითარდებოდით ამგვარი გრძნობა-განწყობილებებით.

ახლა გარემოს არ იკითხავთ? მუდმივად ცვალებად და მაინც მუდმივად ზემოქმედ იმ საზოგადოებრივ გარემოს, რომლის როლი პიროვნების აღზრდის საქმეში კაცობრიობის დასაბამიდანაა ქცეული გონებითი კვლევის საგნად. მაგრამ ჯერ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ერთი დამახასიათებელი სურათი აღვადგინოთ. ამ პერიოდში სენაკის სასულიერო სასწავლებელში სწავლისა და გარემო პირობების შესახებ იპოლიტე ვართაგავა მოგვითხრობს:

„მაშინდელი სენაკი მხოლოდ დიდი სოფელი გახლდათ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ სახლები ერთად იყო თავმოყრილი და სახლებს შორის რაღაც ქუჩების მსგავსი ხაზები იყო გაყვანილი. არც ერთი ქუჩა არ იყო მოკირწყლული და შემოდგომით და ზამთრობით ისეთი ტალახი, ტლაპო დგებოდა, რომ მუხლებამდის ისვრებოდა გამვლელი... უნდა პირდაპირ ითქვას, რომ მოწაფეთა დიდი უმრავლესობა მთელი თვეების განმავლობაში მშიერებად გრძნობდა თავს. ამ ნიადაგზე ხანდისხან ღამღამობით ან დილაადრიან გადავიპარებოდით ბაღებში და ხილით უბეგავსებული ვბრუნდებოდით ბინაზე. ხშირად იყო შემთხვევა, რომ ჩვენ გავიდოდით ქალაქგარეთ, მივიდოდით იმ ადგილას, საცა მეწველი ძროხები და თხები ძოვდნენ, დავიჭერდით მათ და პირდაპირ ვწოვდით რძეს. მახსოვს ერთი შემთხვევა, როდესაც ნამდვილი სისხლის სამართლის დანაშაული ჩავიდინეთ: შუაღამეს შევედით სხვის ეზოში, საღორედან გამოვიყვანეთ ბურვაკი, მივიყვანეთ ბინაზე, დავკალით და შევჭამეთ... ჩვენ არ გვაშინებდა მეცადინეობის სიმძიმე, არ გვაფრთხობდა მასწავლებლების და ადმინისტრაციის სიმკაცრე. ჩვენ გვტანჯავდა მოლოდინი ნახევრად მშიერი ცხოვრებისა, უპატრონობისა, გვძულდა სენაკი და სენაკში მცხოვრებთა ოჯახები“ (ი. ვართაგავა. მოგონებები, 1956, გვ. 68-69, 94).

გრძელი ამონაწერი კი გამომივიდა. მაგრამ ბოდიშს მაინც არ ვიხდი, რადგან საშინელებაა თვით შიმშილობა და მით უფრო — მის გამო ჭურდობა და ბოლოს — სიძულვილი ადამიანებისადმი. ყურადღება მიაქციეთ მთავარს: დანაშაულს ჩადიოდნენ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები, რომელთაც ყოველდღე ეკითხებოდათ საღვთო სჯული, აზეპირებინებდნენ მოსეს სახარებიდან 10 მცნებას, უტარებდნენ წირვა-ლოცვის საგანგებო გაკვეთილებს და განუწყვეტლივ ჩააგონებდნენ: „არა კაც კლა, არა იმრუშო, არა იპარო“.

ტექნიკუმში ჩემი მოხვედრა ემთხვეოდა ნეპის უკანასკნელ და კოლექტივიზაციის ახლად დაწყების ხანას, როცა პურის საბარათო სისტემა უკვე შემოღებული იყო. პურის ერთ-ერთი საცხობი სწორედ ტექნიკუმის გვერდით, ქუჩის კუთხესთან იყო (ამჟამად ბიოქიმიური ლაბორატორიაა მოთავსებული). ამავე დროს დარაბებიანი კერძო დუქნების წინ გამოფენილი იყო ნაირნაირი სასურსათო პროდუქტები ხილეულობის, ბოსტნეულობის, ყურძნის და სხვა საჩით. პატრონი ზოგჯერ არც კი ჩანდა. ვინ მიაკარებდა ხელს სირცხვილის გრძნობით. ვინ იკადრებდა დაფარულად თუნდაც ერთი მტევანი ყურძნის, ერთი ცალი ვაშლის ან ერთი კაკალი თხილის აღებას? განსასინჯად თუ გინდოდა, უნდა გეკითხა — შეიძლება?

იმ კერძო დუქნების „აორქლების“ შემდეგ ე. წ. ზრდის „სიძნელეებმა“ უფრო იმატა 2-3 წელს (საბარათო სისტემის მოხსნამდე). მაგრამ წესი წესად რჩებოდა, მოქმედებდა როგორც ცხოვრების უცვლელი კანონი. ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობისაგან, პიონერებისა და კომკავშირელებისაგან ჭურდობა[1], როგორც წარსულის გადმონაშთი, გამორიცხული იყო. ყოველივე ეს ფოტოგრაფიული სიზუსტით იყო ასახული იმ დროის ქართულ მწერლობაში. მოვიგონოთ პიონერ-მოსწავლე ბარდღუნია „გვადი ბიგვადან“. მან ხომ თავისი უდანაშაულო ძმების დასჯის სცენა მხოლოდ იმისთვის გამოიგონა, რომ მამა ემხილებინა მანდარინების მოპარვაში, ჩაეხედებინა იგი ახალ სოციალურ პირობებთან შეფარდებით თავის შეუფერებელ საქციელში. ადრე კომკავშირელმა მექი ვაშაკიძემ („კოლხეთის ცისკრიდან“) თალიკოს კუთვნილი ძვირფასეულობა თვითონ კი არ მიითვისა სიხარბით, იგი ურმიანად ზემოციხის კოლმეურნეობას ჩააბარა. რა ედო საფუძვლად ამგვარ აღზრდას, ზნეობას, ფსიქიკას?

[1] მხედველობაში გვაქვს საკითხის ზოგადი ასპექტი და არა ცალკეული ანომალიები.

ე. წ. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. იგი ისტორიაში მანამდე უცნობ სოციალისტურ სახელმწიფოში ცელიდა რელიგიას თავისი მსოფლმხედველობრივი მრწამსით და საზოგადოებრივ შეგნებაში მოპოვებული ჰქონდა გაბატონებული მდგომარეობა. ამას პირველ რიგში განაპირობებდა ზეციური დაპირებების ნაცვლად მიწიერი, მატერიალიზებული მოწოდებების რეალური პრიმატობა. სწავლა-აღზრდის მთელ საბჭოურ სისტემას განსაზღვრავდა ვ. ი. ლენინის სადირექტივო მითითება: „საჭიროა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“ (თხზ., ტ. 31, 1952, გვ. 348). კომუნისტურ ან კომუნისტის მორალში, იმავე ლენინის სიბრძნით, კონდენსირებულად მოქცეული იყო „ეპოქის ღირსება, გონება და სინდისი“, ხოლო თვით ლენინი — არა მისტიკური, არამედ ისტორიულად არსებული ცოცხალი ფენომენი — ითელებოდა ამ ღვთიური „სამების“ ეჭვმიუტანელ განსახიერებად, მარქსის შემდეგ ანბანი რწმენის, თითქოსდა, მეორე ქრისტედ.

ამიტომ თუ რევოლუციური მოძრაობის გაჩაღების პერიოდში აკრძალული მარქსისტული წიგნების კითხვა ამ მოძრაობის გამარჯვებისათვის რაზმავდა მთელ თაობებს, და მსხვერპლად ეწირებოდნენ კიდეც რევოლუციურ იდეებს, ახლა, ტექნიკუმში ჩემი სწავლის დროს, იმავე ლიტერატურის კითხვით გატაცება, მისდამი ინტერესი განპირობებული იყო მოპოვებული გამარჯვების განმტკიცებისათვის ბრძოლის ურყევი სულისკვეთებით. ასეთი სულისკვეთების ფანატიკურად აღზრდაში, მის შეგრძნებაში იყო კომკავშირის არსებობის ძირითადი აზრი. სწავლის მოვალეობა შეხამებული იყო საზოგადოებრივი აქტიურობის მოვალეობასთან და მოწინავე კომკავშირელის სახელი მხოლოდ პირადი მაგალითის გზით მოიპოვებოდა.

გაკვეთილებს შორის შესვენების შუალედებში, გარეთ, სასწავლებლის დიდ ეზოში, ჩვენი უფროსკურსელები ჯგუფ-ჯგუფად რომ გამოეფინებოდნენ, ისინი ჰიდაობით და ხტუნაობით კი არ ერთობოდნენ, არა; მათი სერიოზული მსჯელობის მთავარი თემა იყო შინ წაკითხული პოლიტიკური, ფილოსოფიური წიგნების საგანი და შინაარსი. აქეთკენ უბიძგებდა საზოგადოებათმცოდნეობის საგნების სწავლება: კანტი, ჰეგელი, მარქსი, ენგელსი, ლენინი, კაუცკი, ბერნშტეინი, ტროცკი, სტალინი, ბუხარინი. — წამდაუწუმ გაისმოდა ეს

სახელები და ხშირად ზეპირადაც გადმოსცემდნენ მათ ნააზრევს. მაშინ თბილისიდან სენაკამდე ჩამოღწეული იყო ფუნაგორია ალექსანდრე (ალიოშა) ქუთელიაზე, რომელიც 50-იან წლებამდე მარქსისტული ფილოსოფიის ორთოდოქსად ითვლებოდა. „ალიოშა' ქუთელია კანტს კითხულობს უთენია. დაბადებულს კატის კნუტად, კანტი ესმის კანტი-კუნტად". ამ ფუნაგორიის „მარილი" იმაში იყო, რომ ახალგაზრდობა უნდა შეჰიდებოდა შეუძლებელს და დაუძლეველს, და უნდა დაეძლია კიდეც. იგი პრეტური რემინისცენციით შორეულად ეხმიანებოდა ეპოქალურ ლოზუნგს: „არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღება ბოლშევიკებს არ შეეძლოთ".

აქეთკენ დაჟინებითი ლტოლვის ნიშნად ჰო — არა, არა — ჰოს ფორმულაზე ათასგვარი აზრობრივი კომბინაციები ითხზვებოდა. მაგალითად, სოფისტიკურ კითხვაზე: გაეტევა თუ არა ნემსის ყუნწში აქლემი? უნდა გეთქვა ან ჰო, ან — არა. მაგრამ დამტკიცება? მაშინვე გაიმართებოდა ცხარე პაექრობა აზროვნების სამი ძირითადი კანონის გარშემო, ჩნდებოდა განხეთქილება იგივეობის, წინააღმდეგობის და მესამის გამოკლების კანონების მიმდევართა, დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის დამცველთა შორის.

ზოგჯერ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა განსჯა ასეთ საკითხებზე: ზემოდან ჩამოვარდნილი ქვის დაცემით ადამიანის სიკვდილი შემთხვევითობის გამოვლინებაა თუ აუცილებლობის? რა კაეშირში არიან ისინი ერთმანეთთან? აუცილებლობა განსაზღვრავს შემთხვევითობას თუ პირიქით — შემთხვევითობა აუცილებლობას? პირველკურსელებს ძალაუნებურად არა მხოლოდ მოსმენა გვიტაცებდა, არამედ გვიზიდავდა მათი მსჯელობის პათოსი და მგზნებარება, ძიებითი ინტერესი და დაუდგრომლობა, რაც ბუნებრივად გვიბიძგებდა მიბაძვისაკენ. ჭარტეხილები ხდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში და, ცხადია, ახალგაზრდობის ფსიქიკასა და აზროვნებაშიც.

ასე გამიჩნდა მხატვრულის პარალელურად მარქსისტული ლიტერატურის თვით კითხვის, ამ გზით თვითგანვითარების და თვითაღზრდის მიდრეკილება. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგიდაზე წინ მიდევს 1930 წელს ქართულ ენაზე გამოცემული ფრ. ენგელსის ყდაშემოძარცული წიგნი „ლუდვიგ ფიერბახი" (ახლანდელი მართლწერით — ფოიერბახი — ა. თ.). მას გ. პლეხანოვის წინასიტყვაობის დასაწყისთან ზემოთ აწერია: „სახსოვრად აკაკის დაუვიწყარ ძმის

მსგავს მ. ცხვიტარია“. ამით ვიხსენებ, ივი ნაჩუქარი იყო მიტუშა (დიმიტრი) ალექსანდრეს ძე ცხვიტარიასაგან, სოფლიდან თანაკლასელისაგან, რომელიც იმ ხანებში სენაკში მსახურობდა და ნაადრევად დაიღუპა.

სად არ მიტარებია ეს წიგნი ცხოერების გრძელ მანძილზე, როგორც ძვირფასი რელიქვია (ამიერიდან სამუზეუმო ექსპონატად ქცეული დაელოდება გამოყენების ვითომ ახალ ისტორიას — ავტ.). მასში თითქმის უველგან, ყოველ გვერდზე, ხან წითელი ფანქრით, ხან უბრალოთი, ხან ლურჯ-მწვანე მელნით აღბეჭდილია ჩემი მაშინდელი, 1931 წლით დათარიღებული, კალიგრაფიული ნიშნები, ფაქსიმილე, მინაწერები და ხაზგასმები. გვხვდება ზოგიერთი თანატოლის მოწოდებაც: „დავიცვათ მარქსიზმი, მედგრად დავიცვათ ჩვენი მარქსიზმი, ვიბრძოლოთ ამით მტრების წინააღმდეგ, რომ საბოლოოდ დაუმტკიცოთ მათ არ არის მუდმივი კაპიტალიზმი“ (გვ. 123).

აი, ასეთი მაგიურობის ძალა ჰქონდა მარქსიზმის კლასიკოსების წიგნების კითხვას მაშინ. ასე მქონდა აჭრელებული ვ. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, ი. სტალინის „ლენინიზმის საკითხები“, გ. პლეხანოვის „მონისტური შეხედულებანი ისტორიაზე“ და სხვა. მესმოდა? ვწუდებოდი მათ ყოველის მომცველ აზრებს? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, ნათქვამია, მოდის აყოლამ ჩაყოლა იცისო. ლენინის შემეცნების თეორიის ძირითადი დებულებანი, სუბიექტური და ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენლების მახის, ავენარიუსის, ბერკლის სახელები, მარქსის ცნობილი გამოთქმა თეზისებიდან ფოიერბახის შესახებ, სახელდობრ: „ფილოსოფოსები მხოლოდ სამყაროს **განმარტევდნენ** ასე თუ ისე; მაგრამ საქმე ის არის, სამყარო **შეიცვალოს**“. — აქამდე მახსოვდა.

დიახ, აქამდე ვიყენებდი მათ ზოგჯერ კიდეც იმდენად ჭარბად, რომ მეთოდიკური სახელმძღვანელოს ორტომიან პირველ გამოცემაში, საგნის მეთოდოლოგიური საფუძვლების გარკვევისას, სხვა ავტორებისგან განსხვავებით, ცალკე ქვეთავად მქონდა გამოყოფილი საკითხი ასახვის ლენინურ თეორიასთან მეთოდიკის, როგორც მეცნიერების, კავშირურთიერთობის შესახებ, ადვილად მიგნებული ციტატებით და მათგან გამომდინარე ლოგიკური დასკვნებით (იხ. 1957, ტ. 1, გვ. 32—36).

ლენინიზმი, როგორც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი, ამ დროიდან ჩემს და ჩემისთანებისათ-

ვის იქცა ერთგვარ „მანათობელ“ მოძღვრებად, ხოლო ამ მოძღვრების საფუძველზე აგებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაცვა, მისდამი ერთგულება — შინაგან სულიერ მოთხოვნილებად. მიმზიდველობის ძალა იყო არა მატერიალურ უზრუნველყოფაში, არამედ **იდეალში**, რომლის განხორციელების რწმენას თვით უნდა მივეყვანეთ მატერიალურ უზრუნველყოფამდე. ამ იმედს გვინერგავდა ლენინი კომკავშირის მესამე ყრილობაზე 1920 წლის 2 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვაში, რომლის შინაარსის ცოდნა სავალდებულო იყო კომკავშირის რიგებში ყოველი შემსვლელისათვის. მიმართავდა რა ყრილობის დელეგატებს, იგი ამბობდა:

„ის თაობა, რომელიც ახლა 15 წლისაა, აი, ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას... 10—20 წლის შემდეგ კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., თბ. ტ. 31, 1952, გვ. 359-360). წარმოიდგინეთ ჩემი და მილიონობით ჩემისთანა ახალგაზრდის მაშინდელი აღტაცება: სიტყვის წარმოთქმიდან დარჩენილი იყო სულ რაღაც მაქსიმუმი, ათ, 10 წელი და კომუნიზმი, რომლის აჩრდილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოსვლიდან, ე. ი. 1848 წლიდან თითქოს უკვე დადიოდა ევროპის ქუჩებზე, გარდუვალად მოევლინებოდა ჩვენს ქვეყანას, როგორც რეალობა დამაშინ, — ვფიქრობდი ჩემთვის, — კიდეც გამთლიანდებოდა იდეალური და მატერიალური.

ამიტომ ვეწაფებოდი მარქსიზმ-ლენინიზმის „მძლეთამძლე“ მოძღვრებას, ამიტომ სულ ხვალინდელის, უკეთესი მომავლის ოპტიმიზმით ვცხოვრობდი, სულ მუდამ სიძნელეების დაძლევის ილუზიებით ვიზიარებდი ხალხურ ანდაზებად ქცეულ შეგონებებს: საზოგადო საქმე წმინდად და უანგაროდ უნდა კეთდებოდეს. პირადული შიგ არ უნდა გარიო. ვინც პატიოსნად იშრომებს, ის ბედნიერად იცხოვრებს... და ეშრომობდი, ვიღვწოდი მილიონობით ჩემისთანებთან ერთად იმ პერსპექტივით, რომ... მეგონა, მჯეროდა და მწამდა: თვით საზოგადოება იზრუნებდა ინდივიდის კეთილდღეობისათვის, საზოგადოებრივი დოვლათის თანაბრად განაწილებისა და თანასწორობისათვის.

ასეთი იყო კონკრეტულ-ისტორიული დროით პირობადებული მაშინდელი სულიერი „სიმდიდრის“ ფეიერვერკული ნათება, ღიმილიანი ბედის სარკაზმი, მისი ირონია. ყველაფერი ეს, რითაც ვსუნთქავდით, რითაც თავს ვიწონებდით და რაც იდეურად გვასულდგმუ-

ლებდა, ჩემი და მთელი ჩემი თაობის ბიოგრაფიის განუყრელი **ტრაგიკული** ნაწილია.

ამ მცირე გადახვევისა და რევოლუციამდელ წარსულთან ზემოთ მოტანილი ანალოგიის ფონზე (ყველაფერი ხომ შედარებით ფასდება და იზომება) დასმულ კითხვას — როგორი გავლენა მოახდინა ჩემზე გარემო ვითარებამ? ისევ წინ უნდა გაეუსწრო მოვლენებს და ერთბაშად უნდა გაეცე პათეტიკურ ექსტაზში[1] ჩაქსოვილი ზოგადი პასუხი:

სენაკი! პირველი ქალაქი და რკინიგზის პირველი სადგური! ჩემი გულუბრყვილო, ბავშვური, მიამიტური ცნობიერების პირველი დამრბევი და ამაფორიაქებელი. უცხო ხილვებით, სანახებით, იდეების „მთა-გორებით" მისი პირველი აღმნთები, გამამდიდრებელი და გამაფართოებელი! სასარგებლო შრომითი უნარ-ჩვევებით პირველი გამწვრთნელი, დამმოძღვრელი და შემაიარაღებელი! რწმენის, იმედის, ენთუზიაზმის, საზოგადოებრივი შეგნების, მაღალი იდეალებისა და მისწრაფებების თავბრუდამხვევ რკალსა და გარემოში პირველი მომქცევი და მომნუსხველი, ახლის მშენებლობის პათოსის პირველი მაზიარებელი, ახალგაზრდული ენერგიის ე'შხით, სილამაზით და სიდიადით პირველი დამბანგველი და დამაუნჯებელი! სიძნელეებისა და დაბრკოლებების მდუმარე „კედელთან" პირველი ულმობელი გამოშცდელიც და ნდობა-ერთგულების პირველი გულღიად გამომხატველიც!

ასეთად, დიახ ასეთად ჩარჩა ჩემი ხსოვნისა და მოგონების „სკივრში" სენაკის ხანა. თქვენ შეგიძლიათ არ იწამოთ ასეთი ზოგადი ასპექტები იმიტომ, რომ თვითონ უშუალოდ არ გინახავთ, არ გიგრძენიათ, არ განგიცდიათ ის „შავი" წარსული, მაგრამ კანონის რა ძალით, პლურალიზმის რომელი საიდუმლო შიფრით მართმეთ საკუთარი თვალით დანახულის, საკუთარი გულით განცდილის და საკუთარი გონებით გააზრებულის რეპროდუქციის უფლებას? აკი ხომ დაგპირდით, აღწერიდან ანალიზზე გადაგაალ მეთქი?! მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე თუ არ დაიცდით, საღამოს დადგომას საიდან

---

[1] ეფიქრობთ, ორი სიტყვა „პათეტიკურ ექსტაზში" ზუსტად გამოხატავს დროის კოლორიტს. მთელი პროლეტარული პოეზია ხომ აღფრთოვანების, მოწოდების და პათეტიკის უმაღლესი გამოხატულება იყო .გავიხსენოთ თუნდაც: „შეტევა მარჯვნივ, შეტევა მარცხნივ, ბრძოლა აშკარა, ბრძოლა ფარული. მგლებია ღმუილმა ვერ შეაშინოს პარტიის ხაზი გენერალური" (ფრ. ნაროუშვილი).

გაიგებთ? და, აი, იმ „სკივრიდან“, ქალაქური ყოფის მაშინდელი იერსახიდან ზოგიერთი ეპიზოდი თანამიმდევრულ შტრიხებად თუ შტუდიებად:

...სადგურიდან მატარებლების ხუთმწკრივიანი ვაგონების ზემოთ გადებულ გრძელ ხიდს რომ გადაივლიდით, პირდაპირ ქუჩის გადაკვეთამდე, მარჯვენა მხარის ბოლოს, საშაქარლამოს წინ, დილაადრიან, ფეხსაცმელების მწმენდავთა „რაზმი“ დაგხვდებოდათ თავიანთი „დაზგებით“.

— ჩისტკა, ჩისტკაა, აბა, ჩისტკა. — ისმოდა მათი გამუდმებული ძახილი.

ჩამოსული მგზავრი შედგებოდა ამ „დაზგაზე“ ჯერ ცალი, მერე მეორე ფეხით, ხანში შესული ულვაშებიანი თუ მასზე ცოტა ახალგაზრდა ბოხოხის ქუდიანი აისორი უმალ აუსვამდა და ჩამოუსვამდა „აზიაცქისა“ ან ჩექმის ყელებზე ხელში მონავარდე ჯაგრისებს, ხაელრდის ნაჭრით გააპრიალებდა ფეხსაცმელს და ხურდა ფულებს „დაზგისავე“ უჯრაში ყრიდა.

მაშასადამე, ქალაქში სუფთად და კოხტად უნდა იარო. ნუ შემოგაქვს ჭუჭყი. შეგიძლია მთელი დღე ისეირნო მის ცენტრალურ, თუნდ განაპირა, ქვებით და ხრეშით მოკირწყლულ ქუჩებზე და არსად ჩაეფლობი ტალახში, მუხლებამდე კი არა, წვივების დონემდეც. ცემენტით დაბეტონებულ ტროტუარებზე ხომ წვიმის წყალი სრულიადაც არ დგებოდა. იგი ქუჩის ვიწრო ზოლს ჩაედინებოდა, თხრილიდან თხრილში სწრაფად გადადიოდა და ტექნიკუმის იქით — ღელეს უერთდებოდა.

წინათგრძნობის სიმპტომი იყო, თუ სხვა რამ, არ ვიცი, სენაკის იმ მთავარ ქუჩაზე პირველად მოსმენილი სიტყვები „ჩისტკა, ჩისტკა“ ჭოტის კივილივით რაღაც შესაზარ ასოციაციას იწვევდა და იმ ადგილს ყოველთვის უნებურად ვარიდებდი თავს (შესაძლოა იმიტომაც, არც ისეთი ფეხსაცმელი მეცვა, გაწმენდის ღირსი ყოფილიყო და არც სამაგისო ფული მქონდა). მერე, რანაირად და როგორ, ვერ გეტყვით, მალე აისორების „რაზმი“ იქიდან აიბარგა, რკინიგზის სადგურის სხვადასხვა უბანში გადანაწილდა. ადამიანების „წმენდა“ კი შემგომ აქაც ხომ მართლა მოხდა. მაგრამ ამ ფაქტს არავითარი კავშირი არა აქვს სიმბოლურობასთან. იგი უფრო გონების წარმოსახვითი „თამაშია“ ქალაქური ყოფითი დეტალის წარმოსადგენად.

ასეთი დეტალებისაგან იქმნებოდა მაშინ ჩემში შთაბეჭდილება-

თა მყარი კრედო თვით სენაკზე, როგორც, თითქოსდა, დიდ ქალაქზე. პირველად აქედან მეხსნებოდა იმ ახალი, ჩემთვის მანამდე უცნობი სამყაროს კარი, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგე, ფილოსოფოსები უსასრულობას უწოდებენ. და, აი, საოცრება! მარად უჩინარი, მარად უხილავი და მარად მიუწვდომელი უსასრულობა ჩემში შემოდიოდა ყოველგვარი გართულებების გარეშე, სრულიად მარტივად, დაშლილ-დაქუცმაცებული ნაწილაკებით და ელემენტებით, ჩემს გარშემო არსებული სინამდვილის თანდათანობით გაცნობის, გაცნობიერების, არა ზუსტი და არა სრული ცოდნიდან უფრო სრული და უფრო ზუსტი ცოდნის თანდათანობითი შეძენის გზით. სასწავლო მეცადინეობის დაწყებამდე მე უკვე გარკვეული წარმოდგენა მქონდა იმ სხვაობაზე, რომელიც განელილ სოფლურ ცხოვრებასთან ქალაქში შეინიშნებოდა.

ეს იყო უპირველესად შუაზე გადაკვეთილი ბაღი-ბულვარი. მაგისტრალური გზა მას ორად ჰყოფდა (და ახლაც ჰყოფს). კვიპარისების, მაგნოლიების და ნაძვების „ტყე" ორივე მხარეში დაფშვნილი აგურის წითელი ბილიკებით იყო დაფარული. ერთ სკვერთან, გზიდან ცოტა მოცილებით, ხეთა ჩრდილქვეშ ლენინის ძეგლი იდგა გზისკენ ხელგამოწვდილი. ხიდან რადიორეპროდუქტორი ლაპარაკობდა. ღამღამობით, აბგესის ამუშაების შემდეგ, სადგურის მიდამოები, მაგისტრალური ჭუჩა, მისი შემოგარენი და მთელი ბაღ-ბულვარი ილიჩის ნათურებით იყო განათებულ-გაჩირაღდნებული. პირველად მანცვიფრებდა და მახარებდა ყოველივე აღქმული.

მაგრამ სწორედ 1930 წლის შემოდგომის ერთ მზიან დილით ბულვარში ლენინის ძეგლის ნამსხვრევებისღა რომ ნახეს და ამის მიზეზად მეხის დაცემა დაასახელეს, მაშინ როცა ღრუბლები არსად ჩანდა, მიეხვედი, რომ ემოციებს მართვა სჭირდებოდა. აქედან იქცა თვითკონტროლი ჩემთვის განუყრელ ჩვევად, ხოლო საგნებისა და მოვლენებისადმი კრიტიკული მიდგომა — ცხოვრების წესად.

კვირაობით ბაღი-ბულვარი სენაკელთა სასეირნო და კულტურული გართობის საუცხოო ადგილად ითვლებოდა. აქ ღია ესტრადაზე ხშირად იმართებოდა საკონცერტო საღამოები. სკეტჩები, ეწყობოდა შეხვედრები თბილისიდან ჩამოსულ პოეტებთან და მწერლებთან. ისინი დრუგამოშვებით ბრიგადებად ჩამოდიოდნენ. მათ შორის იყვნენ: გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ზომლეთელი, პეტრე სამსონიძე,

შალვა დადიანი, როდიონ ქორქია, ალიო ადამია და სხვა. ფოტოგრაფების გარშემო ყოველთვის დიდძალი ხალხი ირეოდა.

აქ ნახავდით ფურნის მახლობლად ფართო მოედანზე გამართული ბაზრობიდან შემოსულ სოფლელებს თავიანთი კოლორიტულობით, მოჯირითე ეტლებიდან გადმომხტარ მექორწილეებს თავიანთი სიძე-დედოფლით. სურათებს იღებდნენ, ერთმანეთს ეცნობოდნენ, ბაასობდნენ, სეირნობდნენ. წკირებზე წამოცმული წითელმამლებიანი კამფეტები ხომ ბავშვების სანატრელ საგნად ქცეულიყო. ქოხსამკითხველოც შიგ ბაღში, ძველ შენობაში იყო მოთავსებული. ბულვარის უკან ერთ მხარეზე პარტიის რაიონული კომიტეტის ასევე ძველი ყაზარმული ტიპის ერთსართულიანი შენობა იდგა, მეორე მხარეზე კი — რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის. მათი არსებობა მაშინ გავიგე, როცა ტექნიკუმის მოსწავლეები პირველსავე სასწავლო წლის დაწყებიდან მეორე თუ მესამე თვეს მიტინგზე გაგვიყვანეს სიმინდის დამზადების მიმდინარეობის საჩვენებლად. ეტყობოდა, იგი გრძელდებოდა.

სიმინდის ყვითელი ტაროებით და მარცელეულის ტომრებით დატვირთული ურმები მწყობრად შემოდიოდნენ ქალაქში ნაქალაქევიდან, ძველსენაკიდან, შხეფიდან და სხვა სოფლებიდან კოფოებზე გაკრული ტრანსპარანტებით და ლოზუნგებით: „წითელი ქარავანი“, „გაუმარჯოს კოლექტივიზაციას“, „მოვსპოთ კულაკობა, როგორც კლასი“, „ოქტომბრის რევოლუციის გზით წინ, კომუნიზმისაკენ“. ურმებს ტექნიკუმის წინ უნდა გამოევლოთ. ჩვენ მათ დაფდაფებით ვხვდებოდით და მიეაცილებდით ქალაქის ცენტრისკენ.

აქ ბულვართან მოუხვევდნენ. რაიაღმასკომის წინ იმართებოდა სახელდახელო მიტინგი. შენობის კიბიდან კოლონას სიტყვით მიმართავდა ხან რაიაღმასკომის თავმჯდომარე ლაზარე კოკაია, რომელსაც გახსნილი მაზარა ეცვა და ძაბრისებური ქუდი ეხურა, ხან პარტიული რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი პიმენ ჩარგაზია-ჩაფსკვნილი, კოპლაკოპლა, შავი წარბებიდან კუშტად მზირალი. გამოდიოდნენ კომკავშირული აქტივისტები და თემსაბჭოთა თავმჯდომარეებიც.

შემდეგ ქარავანი შემოუვლიდა ბაღ-ბულვარს უკანა მხრიდან, მოუხვევდა რაიკომის ქუჩით და მიემართებოდა პირდაპირ რკინიგზის სადგურისაკენ, სადაც ჩამომდგარი იყო ღია და დახურული სატვირთო ვაგონები. პირველ ხანებში თითქოს ყველაფერი ორგა-

ნიზებულ ხასიათს ატარებდა. შემდგომ, დამზადების ტემპის გაძლიერების შესაბამისად, ჩანდა, რკინიგზის ტრასპორტი ვერ აუდიოდა გადაზიდვის ამოცანას, ან გულგრილობა ისადგურებდა. ნოემბერ-დეკემბერში ზოგჯერ ღია ვაგონები ცის ქვეშ კვირაობით იდგა. გარჯით მოწეული, ძალდატანებით დამზადებული სიმინდი კი ლპებოდა წვიმისა და თოვლისაგან. გამკითხავი თითქოს არავინ იყო. მაგრამ...

ტექნიკუმის „მძლავრი“ კომკავშირული ორგანიზაციიდან გამოზრდილი აქტივისტები (ასე იწოდებოდა იგი პარტიული თუ კომკავშრული აქტივის კრებებზე), რომლებიც სხვადასხვა სფეროში მუშაობდნენ, მსუბუქი კავალერიის საგუშაგოები, რაიონული და რესპუბლიკური გაზეთების („მთლიანი კოლექტივიზაცია“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“) კორესპონდენტები, ე. წ. მუშკორები და გლეხკორები ფხიზლობდნენ, აჩაღებდნენ დაუნდობელ ბრძოლას ყოველგვარი უყაირათობის, უსულგულობის, საქმისადმი ულაპასუხისმგებლო დამოკიდებულების წინააღმდეგ.

ეს იყო ხანა, როცა XVI პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საუძველზე გაშლილი იყო ფართო ფრონტით შეტევა ქალაქად და სოფლად სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის. ფრაქციათა შინაპარტიული ბრძოლის ეტაპი განვლილი იყო. პარტიის გენერალური ხაზი, მისი გეზი და მიმართულება ყველგან და ყველაფერში მკაცრი შრომითი დისციპლინის, წესრიგიანობის და ეფექტიანობის მიღწევის გარანტიას იძლეოდა.

ყოველივე ამას ემატებოდა მასების მამობილიზებელი ლოზუნგები: „ვინ — ვის“, „კადრები წყვეტენ ყველაფერს“, „დავეწიოთ და გავუსწროთ“, რომლებიც გახვეული იყო აგიტაცია-პროპაგანდის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ან ე. წ. იდეოლოგიური მუშაობის ერთიან სამოსელში. იგი ხაბოიანი ნაპირის მორევივით ღრმად ითრევდა განსაკუთრებით ახალგაზრდობას, აღაგზნებდა საბრძოლო შემართებით, სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავგანწირვის სულისკვეთებით.

სიტყვები „სამშობლო“, „ხალხი“ მაშინ აღიქმებოდა პარტიული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ მოტივის მიხედვით. მასში ეროვნული თვით:შეგნების წაშლით ყველა ქვეყნის მშრომელთა გაერთიანების იდეა ჩაქსოვილი იყო თუნდაც ამ ერთ სტრიქონში — „ინტერნაციონალში შევებას ვპოვებთ ყველა“. ბანგის ძალა ჰქონდა ამ სიტყვებს! და არა მხოლოდ მაშინ, 1920-30-იან და მომდევნო წლებში — უკა-

ნასწავლ დრომდე, ადრიდანვე, ფრანგულიდან რუსულად და რუსულიდან ქართულ ენაზე აკაკი წერეთლისა და იროდიონ ევდოშვილის მიერ ეყენ პოტიეს მთელი ლექსის თარგმნის დროიდანვე, 1900-იანი წლების პერიოდიდან.

ესეც ისტორიული ფაქტია და ბედის ისტორიული ირონიაც.

1931 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში, კომკავშირში მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ტექნიკუმელ ამხანაგებთან ერთად კომკავშირის რაიონულ კომიტეტში თათბირზე გამომიძახეს. ისიც პარტრაიკომის შენობაში იყო მოთავსებული. აქვე იყო გაზეთ „მთლიანი კოლექტივიზაციის“ რედაქციაც, სადაც ჩვენი თანაკურსელი ილო (ვლადიმერ) წირღვავა აქტიურად თანამშრომლობდა. იგი ამხანაგობდა უფროს თანაკურსელ ანდრო (ანდრია) აფაქიძესთან (ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი). ილოსთან ერთად ანდროც შედიოდა იმ „მრისხანე“ ხუთეულში, რომელმაც გარკვეული კვალი გაავლო სენაკის მაშინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხუთეულის მეთაურად ნიჭიერი ივანე ახალაიას გარდაცვალების შემდეგ ჟურნალისტი რაჟდენ გაბეჩავა ითვლებოდა. მათ გვერდში ედგნენ ალექსი გეგენავა და ვლადიმერ თორდუა — ომგადახდილი მწერალი, ვეტერანი ჟურნალისტი. ესენი სისტემატურად აქვეყნებდნენ მამხილებელ კრიტიკულ კორესპონდენციებს, დაუნდობლად ებრძოდნენ ყველა იმათ, ვინც არ იცავდა პარტიულ-კომკავშირულ დისციპლინას, მის ნორმებს და მოთხოვნებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგალითად, მათი კოლექტიური ხელმოწერით ცენტრალური გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულმა წერილმა ხორშის ახლადშექმნილ გერანის საბჭოთა მეურნეობაში გაუპიროვნების შედეგად ძვირფასი სუბტროპიკული მცენარის მოუვლელობის თაობაზე. თურმე ნუ იტყვით, სარეველა ბალახები შესევია გერანის პლანტაციებს. სენაკის რაიონული პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. ჩარგაზია კი აინუნშიც არ აგდებს ამას. გაკიცხული და გათათხული იყო უბოდიშოდ და საჯაროდ. რეაქცია? საზოგადოებაში დადებითი, სიმართლის მჭადაგებელთა მხარდამჭერი. „მთავარ“ შტაბში კი — მწვავე. თვით მდივანი, როგორც ახლონ ამბობდნენ, ცოფს ჰყრიდა. იმუქრებოდა კორესპონდენტთა დასჯით და ქალაქიდან მათი განდევნით. მაგრამ პირიქით მოხდა.

თვით ვესწრებოდი რაიონული პარტიული აქტივის ღია კრებას სენაკის კლუბში. დარბაზი გაჭედილი იყო. ამფითეატრის მოაჯირიდან ხუთეული ამაყად გადასცქეროდა კრების მონაწილეებს. პ. ჩარგაზიას მოხსენებაში მათი მისამართით გამკილავი, ზოგჯერ დამამცირებელი სიტყვები გაისმოდა. „უსაქმურების ეს მცირე ჯგუფი, — აბობდა იგი, — ხელს უშლის სენაკის პარტიულ ორგანიზაციას განაგრძოს თავისი შეტევითი ბრძოლა კლასობრივი მტრების წინააღმდეგ. წამოსკუპებულან ეგერ, ე, ამფითეატრზე. — მარჯვენა ხელი გაიშვირა იქითკენ და დარბაზიც შეიშმუშნა, ბევრმა კისერი მიაბრუნა მათ დასანახად, — აქაც სისხლს გვიშრობენ. უნდა აილაგმონ ასეთები კომკავშირის რიგებიდან, უნდა ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე, რათა არ დავუშვათ ჩვენი რიგების ოდნავი მოდუნება“...

კრებამ არ გაიზიარა პირველი მდივნის აღშფოთება კრიტიკის გამო, არ მოიწონა მისი არათვიკრიტიკული გამოსვლა და მკაცრი შეფასება მისცა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც სენაკის პარტიული ორგანიზაციის ქმედითუნარიანობას ღრნიდა. მას გაუხსენეს ყოფაცხოვრებითი გადახრები, კარიერისტების და მლიქვნელების შემოკრების, ადმინისტრირების მეთოდის დანერგვის, კრიტიკის ჩახშობის, თავმდაბლობის გრძნობის დაკარგვის და სხვა უარყოფითი მხარეები. აშკარად იკვეთებოდა წინანდელი დამსახურებით გაამაყებული პოლიტიკური მუშაკის ლაქებიანი პორტრეტი.

აქტივის კრების ჩასატარებლად თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა გიორგი სტურუამ (იმ ხანებში, მგონი, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარედ მუშაობდა) მხარი არ დაუჭირა მომხსენებელს და შეაქო კორესპონდენტები რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე გაბედული კრიტიკული გამოსვლისათვის. იგი ლაპარაკობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების საქმეში დაშვებულ უხეშ დამახინჯებებზე, მოიტანა სტატისტიკური ცნობები და დამადასტურებელი მაგალითები. უეცრად ადგილიდან ხმა გაისმა: — ახალი თქვით, ეს ჩვენც ვიცითო. ტრიბუნიდან გ. სტურუამ რეპლიკის ავტორის გასაგონად მშვიდად განაცხადა: — ახალს ბელადები ამბობენ, ჩვენ მათ ნათქვამს ვიმეორებთო.

ასეთი ურთიერთშეკამათება მოწმობდა, ძირა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში იმ ხანებში კრიტიკა და თვითკრიტიკა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ქმედითობის ძალას და არავის აძლევდა უზურპაციის საშუალებას. იგი საჯაროობის გარკვეული ფორმა იყო

და ემსახურებოდა აწმყოსა და მომავლის ინტერესებს. მალე ცნობილი გახდა, რომ პ. ჩარგაზია ჯერ თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მერე გარიცხეს კიდეც პარტიის რიგებიდან. მის ადგილზე დაინიშნა ი. ბეჭვაია. (მაშინ არჩევა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ცენტრიდან დანიშნულის შეცვლა ამ გზით იშვიათად ხდებოდა). ეს იყო კორესპონდენტთა გამარჯვების, პრესის როლის დაფასების, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების კონკრეტული გამოხატულება. ამ მოვლენას უკვალოდ არ ჩაუვლია.

სარაიონო მასშტაბის პირველი კომკავშირული დავალების მიღებისას თათბირზე აგვიხსნეს მისი შინაარსი, მოგვცეს შესრულების ვადა იმისდა მიხედვით, თუ ტერიტორიულად ვინ სად ვიყავით მიმაგრებული (ერთი ან ორი დღე) და თან გაგვაფრთხილეს: ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს გაბარებთ. ახლად ჩამოყალიბებულ კოლმეურნეობებში კომკავშირის ავანგარდული როლი რომ გაეზარდოთ, პირველადი ორგანიზაციების შემადგენლობა, წევრთა რაოდენობა და ვინაობა უნდა ვიცოდეთო. ესენი ხომ პარტიის დასაყრდენი რეზერვია და ჩვენ კი მონაცემები არ მოგვეპოვებაო. გამოძახებულნი ბევრი ვიყავით. ყველანი ცალ-ცალკე გაგვანაწილეს სოფლებზე, დაგვირიგეს მელნით შესავსები სააღრიცხვო ფურცლები.

მე ეკის კოლმეურნეობაზე მიმამაგრეს. ჩამაწერინეს მხოლოდ პირველადი ორგანიზაციის მდივნის გვარი და სახელი. არც გზა ვიცოდი, არც მიელინების რაიმე დოკუმენტი მოუციათ. უნდა მიმეგნო, უნდა შემევსო ფურცლები და დანიშნულ დროში ჩამებარებინა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგისათვის, პირადად — ამხანაგ მარო აფაქიძისათვის.

თანამედროვე გაგებით, ეს იყო ტექნიკური ხასიათის დავალება. მაგრამ ჩვენი მაშინდელი წარმოდგენით კი — უპირველესად ნდობის გამოცხადების უდიდესი ნიშანი. მას ჰქონდა სტიმულის და აღმაფრენის მომნიჭებელი ისეთი ძალა, რომელსაც თითქოს შეეძლო თვალდახუჭულად გადაეფრინე პირდაპირ ეკში.

ნდობა! კომკავშირული დავალება! საოცარ აღტყინებას, უჩვეულო სიხარულს იწვევდა მაშინ. ჯიბეში ჩადებული კომკავშირული ბილეთი წინდებში ჩატანებული ხაკის შარვლიანად თითქოს ზურგის ქარით ეკისკენ მიმაქროლებდა.

ოდნავ გაცვეთილი წუღა მეცვა, საყელო გაღეღილი მქონდა და გრუზა თმები შუბლზე მეყრებოდა. მენჯის და სახარბედიოს მთას

როგორც კი გავცილდი და ხორშისკენ გადასახვევთან გზი ეკის მიმართულებით ავიღე, გაშლილ ტრამალზე ქარმა მართლა წამოუბერა, მკერდზე მეჯახებოდა და წინსვლას მიძნელებდა. ჯიბეში პურის ნატეხი მედო ორი კბილი შაქრით. წინ, თითქოს შორეთში, ისევ მთა-გორები მოჩანდა. მივდიოდი ქართან ჰიდილით, ბარბაცით, მარტოდმარტო, ფიქრებში დუმილით გართული. ვიხსენებდი ლექსებს, ვერთობოდი მათთან ფერება-ალერსით. ზოგს ვედავებოდი, ზოგს ველოლიავებოდი.

10—12 კილომეტრიანი გზის გავლით დაქანცულობისაგან შესაბრალისად ვინმეს რომ არ ვენახე, როცა კითხვა-კითხვით პირველადი ორგანიზაციის მდივნის ეზო-კარს მივაგენი, ცოტა მოშორებით, თეთრად აყვავებული ტყემლების ჩრდილქვეშ შევისვენე. აქ ერთი ცალი შაქრით და ცხვირსახოცში გახვეული პურის ნატეხით დავნაყრდი, მოსახლის ჰის ოწინარის ვედროდან წყალი სახეზე შევისხი და ასე „პირდამშვენებული“ მივადექი ადრესატს.

ბედად სახლში დამხვდა ამხანაგი მდივანი — ეკის კოლმეურნეობის ხუთწევრიანი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საწერ-კალამი და სამელნე გამომიტანა, ხის სკამი დამიდგა სამზადის წინ და შემავსებინა ანკეტა დასმული კითხვების მიხედვით.

— რომ მკითხონ კოლმეურნეობაში რა მდგომარეობა არისო, რა ვუპასუხო? ხომ არ არის რაიმე დარღვევები, კულაკებს როგორ ეჭცევით? — ვკითხე მაშინდელი ტერმინოლოგიით წამოსვლის წინ ამხანაგ მდივანს. მისი ეზოს სახნავ მიწაზე ჯერ დათესილი არ იყო სიმინდი. ხეხილსაც არ ჰქონდა მთლად დამთავრებული აყვავილება. გრილი ნიავი სახალისოდ აფრიალებდა ახალგამოსხმულ მწვანე ფოთლებს. პატარა სამზადის გვერდით დაბალ ბოკონებზე ყაერით გადახურული ასევე პატარა ორთვალიანი ოდა ედგა. ეტყობოდა, ღარიბულად ცხოვრობდა.

— მინდვრის სამუშაოები დაწყებულია ბრიგადებში. კულაკი ჩვენთან ვინ უნდა იყოს, მეჯოგეები აქ არ არიან და მეცხვარეები. უწინდელ მდიდრებს არ მოსწონთ. ღარიბებს — კი. მოვლონიერდებით მალე ერთობლივი მუშაობით. — მიპასუხა მდივანმა და სამზადში შემიპატიჟა. სირცხვილით როგორ დავრჩებოდი. მეჩქარება-მეთქი, ვუთხარი მადლობის გამოხატვით და დავემშვიდობე. იმავე საღამოს დაებრუნდი სენაკში. მეორე დღეს საანკეტო ფურცელი რაიკომს ჩავაბარე. შესრულება მომიწონეს და „ყოჩაღ ამხანაგოს“ სიტ-

ყველაზე გამომისტუმრეს. ასეთი შეკრება ჯილდოზე უფრო ძვირფასი იყო. ამაყად და ხალისით მივაბიჯებდი ტექნიკუმისკენ.

...იმავე 1931 წლის ივნისის ბოლოს, მესამე კურსელების გამოსაშვებ საზეიმო შეკრებაზე, რომელიც ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტის ვრცელ დარბაზში ჩატარდა, ტექნიკუმის დირექტორის ბესარიონ წიფურიას მისალოცი სიტყვის შემდეგ კურსდამთავრებულთა სახელით პირველი გამოვიდა ანდრო აფაქიძე. ადრე, კომკავშირულ კრებებზე, ზოგჯერ შუაღამემდე რომ გრძელდებოდა დავა-კამათი, მოსმენილი მქონდა მისი გამოსვლა, მაგრამ იმ დღეს მჭევრმეტყველების რაღაც იშვიათ ნიშუშს იძლეოდა. გასუსულ-განაბულ დარბაზში კაჟისა და აბედის ნაკვესივით მისი სიტყვა თითქოს ნაპერწკლად, ფრაზა — ალად და აზრები გიზგიზა ცეცხლად ინთებოდა.

მასში არ იგრძნობოდა მოჩვენებითობის ნიშანწყალი. არც მომხიბლავი ხატოვნება. ჩვენს თვალწინ თითქოს აზრების ლამაზი „შენობა“ იგებოდა ყოველგვარი ჩუქურთმებისა და სამკაულების გარეშე, გულიდან უშუალოდ მომდინარე გონებამახვილობით. თუ აქამდე ა. აფაქიძეს შორიდან მორიდებით შევცქეროდით, როგორც ყოველმხრივ სამაგალითოს, ახლა, თვითონ სამოღვაწეო ასპარეზზე გასული, თითქოს საქმიან ანდერძს გვიტოვებდა ტექნიკუმის საუკეთესო ტრადიციების გაგრძელების მოწოდებად. რამდენიმე ფრაზა თუ გამოთქმა შემომრჩა, იქნებ ნაწყვეტად მაინც აღვადგინო.

— ჩვენ დღეს ვტოვებთ ჩვენს აღმზრდელ ტექნიკუმს, ჩვენს საყვარელ პედაგოგებს, მასწავლებლებს, დამრიგებლებს, — ამბობდა ანდრო, — მაგრამ არასოდეს დავივიწყებთ მათ ამაგს, გაეამართლებთ მათ იმედებს და თოთხმეტი კურსდამთავრებული თოთხმეტ გასაროლილ ყუმბარასავით მტრის რისხვად და სამშობლოს ჩირაღდნებად მოეფინება მშობლიურ კუთხე-არემარეს. ჩვენ ვიბრძოლებთ მიღებული ცოდნის კიდევ უფრო გაფართოებისა და ამაღლებისათვის, მოქალაქეობრივი ღირსების და მოვალეობის პირნათლად დაცვისა და შესრულებისათვის, ქვეყნის წინსვლისა და ხალხის ბედნიერებისათვის.

...შედარებით წინამორბედ კურსელებთან, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის მხრივ, ჩვენი მდგომარეობა გაცილებით გაუარესებული აღმოჩნდა. ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური საგნებისათვის გამოყოფილი საათების შემცირების ხარჯზე სწორედ ჩვენი სასწავლო წლიდან შემოღებული იქნა **მწარმოებლური** შრომა, რო-

გორც საბჭოთა სკოლის პოლიტექნიზაციის ლენინური გეგმის განხორციელების გამოხატულება. ნაცელად იმისა, რომ სასწავლო დროის მაქსიმუმი მოხმარებოდა სათანადო პროფესიული ცოდნის დაუფლებას, პირველი კურსიდანვე შემოდგომა-გაზაფხულზე სისტემატურად გაეყავდით მეცადინეობიდან მოწყვეტით საწარმოო და საკოლმეურნეო პრაქტიკაზე.

კირის ადგილობრივი ქარხნის ბრძმედში ქვის გამოწვის ტექნოლოგიას ვაკვირდებოდით, სადურგლო სახელოსნო'ში — სახარატო პროცესებს, ზანასა და უშაფათში გეიმრებს ვთხრიდით ჩაის პლანტაციების გასაშენებლად, ძველსენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობას მოსაელის აღებაში ვეხმარებოდით, გეჯეთში — ეკალ-ბარდებს ვწმენდდით და ვინ იცის, რანაირ მძიმე ფიზიკურ დატვირთვას არ ვასრულებდით.

ვიტანდით ყოველგვარ გაჭირვებას, ბინის და კვების მოუგვარებლობას, მაგრამ ამის გამო არავინ ბუზღუნებდა და არც არავინ ცდილობდა სიმულაციით თავის არიდებას. პრესა გამაბრუებელ წარმატებებს იუწყებოდა თვალუწვდენელი ქვეყნის კიდეგანიდან. ყველგან შრომითი ენთუზიაზმის „კოცონები" გიზგიზებდა და ჩვენც, მაშინდელი ჭკუით და წარმოდგენით, ამ საერთო ფერხულში ვიყავით ჩაბმულნი. თავს არ ეზოგავდით, მაგრამ ზოგჯერ ავადმყოფობა დაგვერეოდა. მესამე კურსამდე გაეუძელი და, ბოლოს, მეც მიმტყუნა ჯანმრთელობამ. ბავშვობაში პნევმონიით ნააავადმყოფარს, რომლის ეპიზოდი აღწერილი მაქვს პირველ ნაწილში (გვ. 49—52) ახალი გართულებები დამემატა. ამის გამო თითქმის ერთი წლით ჩამოვრჩი სწავლას და პედაგოგიური ტექნიკუმი ექსტერნად 1934 წელს დავამთავრე.

მიუხედავად შემაფერხებელი დაბრკოლებებისა, პედაგოგებიდან მადლიერების გრძნობით ვიხსენებ ნიკო ბოკუჩავას და ბარნაბა ლაბარტყავას (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს), ვალერიან გეგეჭკორს (მუსიკის მასწავლებელს და კანცელარიის გამგეს), კონსტანტინე ახვლედიანს (მათემატიკა), აგრაფინა იოსავას (რუსული ენა), გიორგი ალავიძეს (ბიოლოგია). ეს უკანასკნელი ის გიორგი ალავიძეა, რომელიც ომამდე და ომის შემდეგაც დიდხანს მეთაურობდა საქართველოს სოფლის მეურნეობას (ჯერ იყო მიწამოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე, მერე კომისარი, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრი).

თავიდან უპარტიო იყო, მაგრამ საოცრად შრომისმოყვარე, თავისი საგნის და საქმის, რომ იტყვიან, ენთუზიასტი. ნამდვილი სპეციალისტი. მისი წყალობით ტექნიკუმს საუცხოოდ მოვლილი და გაშენებული საცდელი ნაკვეთი ჰქონდა. გვატარებდა ექსკურსიებში არა მარტო სენაკის შემოგარენში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მატარებლით მგზავრობას სწორედ პატივცემული გიორგის წინამძღოლობით შევეჩვიე. პირველად ფოთის კოლხური ფლორისა და ფაუნის დასათვალიერებლად წაგვიყვანა. ეს იყო 1932 წლის მაისში.

ჭვალონს გაეცილდით თუ არა, ვაგონების ფანჯრებიდან რკინიგზის ორივე მხარეს კოლხეთის ველობის გადაჭიმული უდაბური ტყეები მოჩანდა. ყველგან დაჭაობებული წყალი იდგა, თვით პატარა ფოთის იქითაც (რიონი მაშინ ნაბადისკენ გადაგდებული არ იყო). ნაესადგურში რომ ჩავედით, მახსოვს, კოკისპირულად წვიმდა. ზღვის ტალღები საზღვაო ვაგზლის კედლებს ენარცხებოდა. მის საფარს შეყუჟებულნი, ვუსმენდით მასწავლებლის საუბარს ნიკო ნიკოლაძის ღვაწლზე, ფოთის ნავსადგურის ისტორიაზე. თვით ქალაქის დათვალიერება და მთავარი მიზნის მიღწევა ვერ შევძელით. სამაგიეროდ, მზიანი დარი შეგვხვდა მწვანე კონცხზე ბოტანიკური ბაღის და ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნის დათვალიერების დღეს. ისე გვიხაროდა, თითქოს პარიზში ან ვენეციაში ვყოფილიყავით. ჩვენი შემეცნებითი „გეოგრაფია“ ამით ფართოვდებოდა.

ყველაფერი ეს გ. ალავიძის თაოსნობის, მისი დამსახურების ნაყოფი იყო. ხმელ-ხმელი, მაღალი, ჭერათმიანი, გრძელი პირისახის, მოხრილი ცხვირით. — ასეთად შემომრჩა მისი გარეგნული პროფილი. მისი დაწინაურება მისივე შრომის, მოქალაქეობრივი ღირსების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა. საერთოდ მაშინ მუშაკთა დაწინაურების მთავარი კრიტერიუმი საქმიანი ნიშანთვისებები და ზნეობრივი ფაქტორი იყო.

...მაგრამ ამ მხრივ ნაჩქარეობის შემთხვევები თავიდანვე იგრძნობოდა. საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ ეტაპზე მთელ ქვეყანაში შექმნილმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა უდიდესი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დაჩქარების საქმეში. მაგრამ მათთან ერთად პოლიტგანყოფილებების თვით სისტემა და მათი უფროსების საკადრო შერჩევის პოლიტიკა ყოველთვის როდი ეფუძნებოდა ზემოდან დაშვებულ პრინციპულ მოთხოვნებს. ეს სენაკის მაგალითზეც თვალსაჩინოდ საგრძნობი იყო. სოფ-

ლის მეურნეობას ერთდროულად ორი პოლიტიკური მბრძანებელი გაუჩნდა. პოლიტგანყოფილების უფროსსა და რაიკომის მდივანს შორის „კინკლაობამ“ 1934 წელს კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ნ. პატარაია თვითნებობდა, იჭრებოდა რაიკომის ფუნქციებში, ხოლო ი. ბეჭვაია რაიონის მართვის სადავეებს ხელიდან არ უშვებდა.

პირადულ თავმოყვარეობას და უკომპრომისობას ზოგჯერ მნიშვნელოვანი საქმე ეწირებოდა. ჭიშპობა პრესის სფეროშიც გადაიზარდა. პოლიტგანყოფილებას თავისი გაზეთი ჰქონდა „ავანგარდის“ სახელწოდებით. იქ რედაქტორის (ს. ებრალიძე) შემდეგ წამყვან როლს რაჟდენ გაბეჩავა ასრულებდა. რაიონულ გაზეთ „მთლიან კოლექტივიზაციაშიც“ ასევე რედაქტორის შემდეგ ერთ-ერთი აქტიური მუშაკი ილო წირღვავა იყო. მათ შორის შეჯიბრი იყო გამართული კრიტიკული მასალების ოპერატიულად გამოქვეყნებაზე, პოპულარიზაციისათვის. ადრინდელი ხუთეულის ორ მოწინავე წევრს შორის ამ ჯანსაღი იდეის ნიადაგზე ზოგჯერ „კონფლიქტი“ წარმოიშობოდა.

პოლიტგანყოფილების უფროსი თავის გაზეთს უპერდა მხარს. რაიკომის პირველი მდივანი კი თავისი რედაქციის პრეტენზიას. საბოლოოდ ყოველივე იმით დამთავრდა, რომ ჯერ პოლიტგანყოფილების უფროსი გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, შემდეგ კი, სულ მალე, საერთოდ მთელ ქვეყანაში გაუქმდა მტსბთან არსებული პოლიტგანყოფილებები და მათი გაზეთები. (ალბათ, ანალოგიური კონფლიქტური სიტუაციები და პარალელიზმი ყველგან იჩენდა თავს).

უნდა ითქვას, რომ სენაკის პარტიული ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელობის მუშაობის პრაქტიკული შედეგები უფრო და უფრო თვალსაჩინოდ იკვეთებოდა. მწყობრში ჩადგა სადგურის წინ აღმართული სამსართულიანი ადმინისტრაციული სახლი კეთილმოწყობილი ახალი სასტუმროთი, ცენტრის მოედნიდან საკოლმეურნეო ბაზარი გადატანილ იქნა ქალაქის დასავლეთით, გაფართოვდა სახელმწიფო საუპრო ორგანიზაციების ქსელი, გამოცოცხლდა სარაიონო თეატრის მუშაობა, რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოვიდა მომღერალთა გუნდი ცნობილი ლოტბარის რემა შელეგიას ხელმძღვანელობით.

გუნდის 7-8 წლის მოცეკვავე ბიჭუნამ პატიკო ცომაიამ ფურორი მოახდინა დედაქალაქის სცენაზე. ეს იყო უჩვეულო ტანისამოსით

ანსამბლში ბავშვის მონაწილეობის პირველი წარმატებული ცდა, რაც საგანგებოდ გამოიკვეთა კიდეც პრესის ფურცლებზე. კულტურული ცხოვრების ამაღლებასთან ერთად მშვენიერდებოდა და ლამაზდებოდა სენაკის ქუჩები.

...1935 წლის დასაწყისში „მთლიანი კოლექტივიზაციის“ რედაქციაში მუშაობა დაიწყო ალეკო შენგელიამ, შემდეგში გამოჩენილმა პოეტმა (დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში), რომლის ლირიკულ ლექსებზე შექმნილი სიმღერები („დამაყარეთ, დამაყარეთ ყვავილები“ და სხვა) დღესაც ხშირად მეორდება ეთერში რადიომსმენელთა თხოვნით. გაზეთის საახალწლო ნომერში (1935, № 1) დაბეჭდილი იყო თბილისიდან გამოგზავნილი მისი ერცელი კორესპონდენცია რუბრიკით: „სენაკის მშრომელებმა უნდა ნახონ „ჩაპაევი“. იგი გადმოსცემდა სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირზე შექმნილი კინოსურათიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს და მთავრდებოდა მოწოდებით: „დე, ყველამ იგრძნოს ჩაპაევი“. ხელოვნება უკვე დიდი ხნით ადრე იყო ჩამდგარი საბჭოთა წყობილების ინტერესებისათვის ბრძოლის სამსახურში.

და, აი, ამ კორესპონდენციის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ალეკო პირველად ილო წირღვავამ გამაცნო ლენინის ქუჩაზე, ჟურნალ-გაზეთების ჯიხურთან.

ზამთრის ახალი შავი პალტო ეცვა და ყავისფერ ბეწვიანი საყურეაკეცილი ქუდი ეხურა. პირველად ვხედავდი ასეთ ქუდს და ალეკოს გაოცებით შევყურებდი. ზურგით ოდნავ მოხრილს, ფართო ტუჩების ზემოთ მსხვილი ცხვირი და მოციაგე, მოსიყვარულე თვალები ისე შეენოდა, ძალაუნებურად იქცევდა ყურადღებას, ძალაუნებურად გვიახლოებდა და გიიდვილებდა ახლო მისვლას.

— ავანგარდი აღარ არის, ჩვენსკენ გადმოდი მთლიანად, ჩვენ უნდა ვიკისროთ ავანგარდობა.— ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ზოგჯერ ბგერებს მარცვლავდა, დაყრფით, დანაწევრებით, გაბმულად იმეორებდა, პირს ფართოდ აღებდა, თითქოს ჰაერს ღრმად ისუნთქავსო და აზრს მკაფიოდ გაგებინებდა. შევატყვე, ილოსგან ინფორმირებული იყო ჩემთან შეხვედრამდე და მაშინვე მივუხვდი ნათქვამს.

— გაუგებრობა იყო. თუ საჯელწოდებას გადმოიღებთ, კარგი იქნება მეთქი. — ვუპასუხე ალეკოს (ტექნიკუმში სწავლის და მისი

დამთავრების შემდეგაც დროგამოშვებით ორიეე გაზეთის რედაქციებთან ეთანამშრომლობდი. ალეკოს ეს ჰქონდა მხედველობაში).

— ა, — მიმართა ილოს, — უცებ არ ჩაწვდა? ერთი მომხრეც ხომ შემოგვემატა.

საუბარი მართლა რაიონული გაზეთის სახელწოდების შეცვლის გარშემო წარიმართა. სენაკში დაბადებული და გაზრდილი ალეკო იმ ხანებში თბილისიდან ახალი ჩამოსული იყო და ახალი იდეა თან ჩამოეტანა. მას მთლიანი კოლექტივიზაცია განელილ ეტაპად მიაჩნდა და თვლიდა, რომ ასეთი სახელწოდება არ ესადაგებოდა გაზეთის ახალ ამოცანებს. ეს აზრი თანდათან მომწიფდა და, მართლაც, 1938 წლის 29 მაისიდან სენაკის რაიონულ გაზეთს „ავანგარდი" ეწოდა. (ამჟამად „კოლხეთი" ჰქვია). ალეკო შენგელიას რედაქციაში მისვლამ ტრიფონ გაბედავასთან ერთად გაზეთის ლიტერატურული „სუნთქვა" გააძლიერა. ამას მოყვა ლიტერატურული გეერდები, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობის მოზიდვა, შემოკრება, გაერთიანება.

მარტის ბოლოს კომკავშირის რაიკომის მიელინებით პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელ ერთთვიან რესპუბლიკურ კურსებზე გამგზავნეს. მოულოდნელი ხელსაყრელი ვითარება გზას მიხსნიდა სანატრელი მთაწმინდის ნახევის, თბილისის გაცნობის და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისკენ. და სანამ დედაქალაქში პირველად ჩასვლის პერიოდს შევეხებოდე, აქვე ნება მომეცით დავასრულო სენაკის მონაკვეთი კიდევ ორიოდე შტრიხით.

...ჩემიეე სოფლის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობის რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მოულოდნელად რაიონული აღმასკომის განათლების განყოფილებაში გამომიძახეს. მისმა გამგემ ვლადიმერ მიქაძემ განყოფილებაში ინსპექტორად გადმოყვანის წინადადება შემომთავაზა. ასე გავხდი 1938 წლის იანვრიდან კვლავ სენაკის „მკვიდრი", მაგრამ არა როგორც მოსწავლე, არამედ ერთ-ერთი კულტურული დაწესებულების მოსამსახურე და თან იმ ახალ ადმინისტრაციულ შენობაში, რომლის აგების პროცესი საძირკვლის ჩაყრიდან თითქმის ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა.

აქამდე თუ გარედან შევყურებდი, შევდიოდი, როგორც „სტუმარი", ახლა ერთ-ერთი უბნის მუშა „ჰანჯიკად" ქცეული, სხვებს უნდა შევგებებოდი ვითომდა „მასპინძლის" როლში. ამ შენობაში დი-

ლით, სამუშაო საათების დაწყებისას, თავს იყრიდა თანამშრომელთა მთელი „არმია“, რომლის მსგავსი მანამდე არასოდეს მენახა. სოფლის სკოლა „ათეულსაც“ არ შეადგენდა. აქ თავმოყრილი იყო პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული რაიონული ხელმძღვანელი ორგანოების მთელი „შტაბი“ თავიანთი რგოლებით, დანაყოფებით, უჯრედებით, კაბინეტებით, სართულებით, დერეფნებით და კიბეებითაც კი.

უნდა გენახათ ხუთი წუთით ადრე როგორ მიეჩქარებოდა ყველას თავთავიანთი ოთახებისკენ, სკამებისკენ, მაგიდებისკენ, სადაც დამლაგებლებს უკვე გაკრიალებული და გაწმენდილი ჰქონდათ ყველაფერი წინა დღის „მტვრებისაგან“. ურთიერთ მისალმებებს გზა და გზა, კიბეებზე და მოსახვევებთან „არიგებდნენ“. 9 საათზე მოქმედებას იწყებდა უხილავი მექანიზმი, რომლის ხმა კედლის საათის ტიკტიკივით შენობაში არ ისმოდა, მაგრამ ითვლიდა დროს, ნთქავდა მრავალი ადამიანის ენერგიას, წუვეტდა საკითხებს და წინ წევდა საქმეს, რომლის „არხები“ საბოლოოდ კომუნიზმის მშენებლობის დიდ „ოკეანეში“ ჩაედინებოდა.

ეს „ოკეანე“ ჩვენი ქვეყნის ყოველ კიდე-კუნჭულში „ბრბოქრობდა“. მისი კონტურები პირველი ფაზის — სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებით თითქოს შორიდან ნელ-ნელა ახლოვდებოდა და ადამიანები რეალურად გრძნობდნენ მათი შრომის ისტორიულ ღირებულებას. პასუხისმგებლობა მოვალეობის სინდისიერად შესრულებისადმი განამტკიცებდა მათ ერთსულოვნებას, ხოლო სახელმწიფოებრივი დისციპლინა — მათ მონოლითობას.

შინაგანად საკვირველად მეჩვენებოდა ასეთი გარეგნული ბრწყინვალება. არავინ ხმას არ იღებდა რეპრესიის იმ ქარიშხალზე, რომელმაც ქვეყანას გადაუარა სულ რაღაც რამდენიმე თვის უკან. მისი ექო სენაკსაც დაატყდა. აქ შევიტყვე ევგენ ეჯიბიას დაპატიმრების ამბავი. მან ხომ, როგორც ტექნიკუმის დირექტორმა, დარჩენილი საგნების ექსტერნად ჩაბარების ნება დამრთო და სასწავლებლის დამთავრების ატესტატი პირადად გადმომცა! აქ ხომ გაურკვეველი მიზეზით პარტრაიკომის მესამე მდივნად მუშაობის დროს თავი მოიკლა ჩემი გვარის კაცმა — ამირან თოფურიამ! აქ ხომ იმავე პარტრაიკომიდან დომენტი ჭუბაბრია, რაიკლმასკომიდან ო. ოჩიგავა და სხვა „გააქრეს“. „ხალხის მტრის“ ბარლიყით შემოსილი ძუ მგელი აქაც ხომ გველისებური სისინით დაძუნძულებდა!

ახლა კი... თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს! რისი ქარიშხალი, რისი ძუ მგელი. ცხოვრება თავისი მაგისტრალური გეზით ისევ ისე მიედინებოდა და საზოგადოება თითქოს უფრო დარაზმული იყო, ვიდრე მანამდე. შიშით? ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება, მაგრამ მასობრივი შიშის დამალვა შეუძლებელია. აქ სხვა ფაქტორი მოქმედებდა. უჩინარს და დაფარულს, საკნების ჯურღმულებსა და შორეულ ბანაკებში რომ ხდებოდა, მაშინ არავინ ხედავდა, ფასადებზე გამოკრულ ლოზუნგებს კი — ყველა. პრესა არწმუნებდა ხალხს მთავარ „დამნაშავეთა“ სასამართლო პროცესების საჯაროობით წაყენებული ბრალდებების სისწორეში, აბრუებდა მასების გონებას ქვეყნის რეალური თვალსაჩინო მიღწევებით და აქეზებდა მისდამი ერთგულების ახალ-ახალი ფორმებით გამოხატვისაკენ.

ასეთ ატმოსფეროში მოხვედრილს პირველ ხანებში, მართალია, მაოცებდა, მაგრამ თანდათან მახალისებდა, მიზიდავდა და ენერგიას მმატებდა ის სულიერი სიმშვიდე, ჯანსაღი, საქმიანი განწყობილება, რომელიც განათლების განყოფილებაში სუფევდა. ჩემი ძირითადი უბანი და ამოცანა სასკოლო ინსპექტირებასთან ერთად (ამ ხაზით მოღვაწეობდნენ ა. ქურდიანი და ვ. აბშილავა) იყო წერა-კითხვის უცოდინარობის დარჩენილი სალიკვიდაციო ჯგუფების მუშაობის შემოწმება, მათი შეფასება და საბოლოოდ დახურვა.

ცნობილია, რომ 1938 წელს დამთავრდა სსრ კავშირში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. ჩვენს რესპუბლიკაში ეს საქმე ივნისში დასრულდა. ამ თვის ბოლოს მოხდა მთელი ჩატარებული მუშაობის შეჯამება განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც მოეწყო თბილისის მასწავლებლის სახლის სხდომათა დარბაზში. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მაშინდელი პირველი მოადგილე მარიამ ბურჭულაძე. ჩვენი რაიონი მოწინავეთა შორის დასახელდა.

ამის მისაღწევად მთელი ზამთრის და გაზაფხულის თვეებში ხშირად მიხდებოდა ხან ფეხით, ხან ცხენით, ხან ველოსიპედით, ხან შემხვედრი საბარგო მანქანით რაიონის სოფლების შემოვლა, სკოლების მასწავლებლებთან ერთად იმ ხნიერ მოსახლეებთან შეხვედრა, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ სამეცადინო კურსი სალიკვიდაციო ჯგუფებში. ჩემ სოფელში ასეთი მეცადინეობები ხომ ადრე დაიწყო! ახლაც თვალწინ მიდგას ერთმანეთის მსგავსი სურათებიდან

ტიპობრივი ეპიზოდი. იგი, ეფიქრობ, ნათლად გამოხატავს ხანდაზმულ „მოწაფეთა“ საერთო კმაყოფილებას.

— რა ჰქვია ამ წიგნს? — ეკითხება ნოსირელი მასწავლებელი თავის მსმენელ დიასახლისს ახალი ოდის კიბესთან და მის თავფურცელზე მიუთითებს. ქალბატონი ეფროსინე ნასარაია თავსაფარს ისწორებს, სკამზე დამჯდარი მუხლებზე დადებულ საკუთარ წიგნზე მარჯვენა ხელის თითებით ხაზს ავლებს და დაბალი ხმით ნელ-ნელა, დამარცვლით კითხულობს.

— ქ-ა-რ-თ-უ-ლ-ი ე-ნ-ა.

— ერთად? — ვეკითხებით ჯგუფურად მე და მასწავლებელი.

— ქართული ენა. — გვპასუხობს ქალბატონი ეფროსინე.

— კარგია. აპა, ეფროსინე პატონი, დამიწერე ამ ქაღალდზე თქვენი გვარი და სახელი. ა, აგერ. — აწვდის წიგნზე დადებულ სუფთა ქაღალდს და ფანქარს მასწავლებელი და ორივე დავცქერით რვეულის ფურცელს, რომელზედაც კლაკნილად, მაგრამ ასოების გამოუკლებლივ მწკრივდება და იხატება მისი ფაქსიმილე — თითქოსდა ისტორიისათვის ძვირფასი შენაძენი.

— მშვიდობით, ეფროსინე, პატონი. — და უნდა გამოვიდეთ ეზოდან.

— არა, სქუა, მოიცა, სირცხვილია წასვლა, ხაჭაპურს გამოვაცხობ, არ მიჰირს, ძღაბი, შენ ხო იცი, მეწველება ძროხა და კამეჩი. მოგვდევს ჭიშკრამდე დიასახლისი ხვეწნა-ლაპარაკით და უკანასკნელი სიტყვებით გვაცილებს სოფლის გზაზე გასულთ.

— თქვენ გაიხარეთ, სქუა, ღორონთი იყოს თქვენი მფარველი...

ასე დგებოდა მასწავლებელთა საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციები. ყოველივე ეს მოკლებული იყო პარადულობას, მაგრამ, თვითონ განსაჯეთ, თავისი უაღრესად დიდი შრომატევადობით კულტურული რევოლუციის ღრმა შინაარსს მოიცავდა. მიხაროდა, რომ ვმონაწილეობდი მის დაგვირგვინებაში. სწორედ იმ ხანებში საკუთარი ხელფასით შევიკერე და პირველად ჩავიცვი ერთნაირი ფერის შარვალ-კოსტიუმი. იგი არც ჯვალოს ჰგავდა და არც განთქმული კოვერკოტის ნაშერი იყო. ლვინგრადის „სკოროხოდის“ ქარხნის ტყავის ძირებიანი თეთრი ფეხსაცმელიც ვიყიდე და... ამიერიდან დამოუკიდებელი ცხოვრების ბედნიერი პერსპექტივა მესახებოდა...

...სამსახურის პარალელურად კომკავშირული დავალებით ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში პოლიტსკოლას ეხელმძღვანელობდი. მას-

ში უმთავრესად ჩაბმული იყო წარმოება-დაწესებულებებში დაუსაქმებელი ახალგაზრდობის ის ჯგუფი, რომელიც სასარგებლო შრომით ცხოვრებას ეწეოდა ოჯახსა და შინამრეწველურ გაერთიანებებში. იდეოლოგიური აღზრდის ზემოქმედების გარეშე არავინ არ უნდა დარჩენილიყო. — ასეთი იყო იმ დროის დევიზი. საუბრების მთავარი თემა იყო სადღეისო ამოცანები, პარტიის და მთავრობის საშინაო-საგარეო პოლიტიკის წარმატებები, ქვეყნის თავდაცვის ღონისძიებები. მაშინ კომკავშირი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამიტომ მისი დავალების შესრულება ყოველთვის დიდ ღირსებად მიმაჩნდა.

ალბათ, ეს ნიშანი ედო საფუძვლად კომკავშირის რაიკომის რეკომენდაციას პარტიის წევრობის კანდიდატად მისაღებად. იგი ემყარებოდა განათლების განყოფილებიდან წარდგენილ დადებით დახასიათებას. ყველაფერი ეს მაშინ გავიგე, როცა პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში გამომიძახეს და მითხრეს: დაიწყო პარტიაში ახალი მიღება, თქვენი კანდიდატურა წარმოდგენილია კომკავშირის რაიკომიდან, მაგრამ ერთი რეკომენდატორი უეჭველად დაგჭირდებათო. ძველი კომუნისტებიდან ყველაზე ახლო მიცნობდა რაიონის მაშინდელი სამხედრო კომისარი, პოდპოლკოვნიკი კირილე ბაღათურია, რომლის პოლიტიკურ მოხსენებებს ყოველთვის ინტერესით ვესწრებოდი. მესხეთ-ჯავახეთში გამიგონია — დატკეპნილად ლაპარაკობსო, ე. ი. დალაგებულად, დამაჯერებლად, აზრიანადო. სწორედ ასეთი მოსაუბრე იყო. პარტიის საქმის დიდი ერთგული, უაღრესად სპეტაკი და ღირსეული მოქალაქე. ეი, ასეთი პიროვნების რეკომენდაციით მიმიღეს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად ერთი წლის ვადით.

საოცარია! დამთხვევა და ასეთი?! თითქოსდა ფიზიკურ არსებაშიც უეცარი გარდატეხა მომიხდა. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ამ დროისათვის მე უკვე გამოსული ვიყავი ლილიპუტობის ზედწოდების შემაწუხებელი „მარწუხებიდან“ და ზრდადასრულებულს მოვალეობის რაღაც ახალი საპატიო ტვირთი მეკისრებოდა, კომკავშირულზე უფრო ამამაღლებელი, უფრო პირდაპირი და გამოკვეთილი.

სენაკის პატრაიკომის პირველ მდივნად იმ ხანებში ივანე შამუგია მუშაობდა. საკანდიდატო ბილეთი მან გადმომცა. ამის გამო კი არ ვიხსენებ. ფორმალური აქტი რა მოსატანია. ან საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად რომ აირჩიეს. არა. ივანე ნიკოლოზის ძე

შამუგია არ გაედა თანამდებობით გამეტიჩრებულ ყოყლოჩინათა ტიპს. იგი იმ დროის თავგამოდებულ პარტიელთა ზოგადეთიკური სახის ნიმუშად შეიძლება წარმოვიდგინოთ. 28 წლის ასაკში დაბრძენებულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. წარმოშობით ზუგდიდელს, სიღარიბეში გაზრდილს და კომკავშირიდან დაწინაურებულს თავმდაბლობა და ზნეობრივი სიწმინდე ამკობდა. ოროთახიან კომუნალურ ბინიდან უბრალოდ ჩაცმულ-გამოწყობილი რაიკომში ყოველთვის ფეხით დადიოდა. არც მყვირალა იყო და არც გულმავიწყი. საქმეს დაგავალებდა და შესრულებასაც მოგთხოვდა ისეთი ფორმით, რომ გეგრძნო მისი შეუვალობა და აუცილებლობა. თათბირებზე ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ საქმით კი ბევრს აკეთებდა. მხოლოდ ერთხელ ვნახე ცოტა აწეული ხმით რომ მიმართავდა კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ ამხანაგს. სიმინდის გათოხნის ვადები დაერღვიათ და მოსავალს საფრთხე ემუქრებოდა.

— გაგეობის სხდომა ჩავატარეთ. — განმარტებას იძლეოდა მიმაგრებული.

— შედეგი?

— ბრიგადირების შეკრება მოვაწყეთ.

— მერე?

— თავმჯდომარეს შევახსენე.

— და ბოლოს?

— ვადაზე მაინც ვერ გავთოხნეთ ყანა.

— აი, ამხანაგებო, გაიხსენეთ ამხანაგ სტალინის მოხსენება მე-17 პარტყრილობაზე. ზუსტად ასე არ ახასიათებდა მოლაყბის ფიზიონომიას? საქმე, საქმე, მხოლოდ საქმის შედეგები. არავითარი სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. მიმაგრებული ხარ კოლმეურნეობაზე? პასუხი აგე ჩავარდნისათვის. — ბრაზობდა მდივანი.

ასეთი იყო იმდროინდელი პარტიული მუშაობის საერთო დამახასიათებელი სტილი, დაფუძნებული მკაცრ მომთხოვნელობასა და სიბეჯითის დაფასებაზე. ახლა ყოველივე ეს ადმინისტრაციულ-ებრძანებლობითი მეთოდის სახელწოდებითაა მონათლული და უკუგდებული. მაშინ კი უბრალოდ წესრიგიანობის, მოვალეობის პირნათლად შესრულების გაგებით აღიქმებოდა. და ამაში არაფერი იყო გასაკვირი, თუ საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის, აღმშენებლობითი პროცესის, ახალი სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათ-

ვის ფოლადისებური სიმტკიცის საძირკვლების ჩაყრის პოზიციებიდან შევხედავთ.

მაგრამ საიდან გაჩნდა მიმაგრების მთელი ეს უხვეირო სისტემა? რატომ რაიონიდან მიმაგრებულმა უნდა აგოს პასუხი ყველაფერზე და არა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ? რატომ გახდა საჭირო მეურვეობა? შრომის დისციპლინა არ დგას მოწოდების სიმაღლეზე? მაშასადამე, ყოველი კოლმეურნე, ყოველი ბრიგადა საკუთარ კარმიდამოს გულისტკივილით არ უვლის განზოგადებულ საერთო საკოლმეურნეო საკუთრებას, მაშასადამე, ჯერ კიდევ არ დამყარებულა სრული წესრიგი საზოგადოებრივ სამფლობელოში! რა უშლის ხელს? კერძომესაკუთრული ინსტინქტები? ამოვძირკვოთ, ამოვშანთოთ, ამოვწვათ.

იმ თათბირიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა, ხოლო ასეთი დასკვნებიდან დაეშვების ახალი „კიბეებით“ ჩემი მაშინდელი ფიქრები ახალ-ახალი თათბირების, მიმაგრებების, მითითებების ობობასებურ ქსელში იბლანდებოდა. ვატყობდი, ჩემი უნარი უძლური იყო ამგვარი ქსელის გასარღვევად. 1938 წლის აგვისტოს ბოლოს სამუშაოდ ფოთში გადასელამ ბედად სხვა წრესა და სხვა პროფესიას — ჟურნალისტობას შემახვედრა, მაგრამ... ჯერ ნუ დავადგებით სენაკიდან ფოთისკენ მიმავალ გზას, იქ ჩავიდეთ, საიდანაც ამ გზის საწყისები შემზადდა. „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“, ჩემო უცნობო, უქცნობო და ბავშვობიდან ძილ-ღვიძილში ანგელოზად, ჩასახულო ქართო!..

თავი II. სტუდენტობა — ოქროს „საბადო“

ნათქვამია, უნახავმა რა ნახაო. გახსოვთ, ალბათ, რაოდენ დითირამბებს ვაფრქვევდი ზემოთ სენაკისა და მისი კოპწია რკინიგზის სადგურის წინაშე. იქნებ ვცდებოდი, ან იქნებ ვცრუობდი? ღმერთო, ჩემო! მე ხომ სულხან-საბა არა ვარ, სიცრუის საფარქვეშ სიბრძნე შემოგაპარპოთ. ახლავე აგიხსნით დაეშვების მიზეზს. სოფელში ვინმესგან რომ გავიგონებდი, ქართიშა მის მიართე, პატონიო (თბილისში ვის მიესვლება, ბატონოო) ჩემს წარმოდგენაში ქართი ყოველთვის აბსტრაქციად, კონკრეტულ შინაარსს მოკლებულ ფიქციად ირეკლებოდა.

აბა, სხვანაირად როგორ მეფიქრა შორეულსა და ამოუცნობ სივრცეზე?! მაშინ ხომ ქართისა და თბილისის იგივეობა გაცნობიერებული არ მქონდა. აკი დასაწყისშივე მოგახსენეთ, ქალაქს ყოველის მხრით მოწყვეტილი შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობიდან მოვდივარ მეთქი. ადგილსამყოფელის გამოცვლამ თავდავიწყებითი უეცარი ექსტაზი ბუნებრივად წარმოშვა. სენაკი ნამდვილად აღმოჩნდა ჩემი ბავშვური, გულუბრყვილო ცნობიერების დამრბევი და ამაფორიაქებელი.

მაგრამ, აი, ჰკუის გაკვეთილი. როცა 1935 წლის აპრილის დასაწყისში თბილისის სადგურის გრძელ, განიერ, ხალხმრავალ ბაქანზე დილაადრიან ფეხი პირველად დავადგი, უმალ ვიგრძენი, სენაკის ბაქანი მასთან შედარებით ერთ ციცქნად, ხოლო თვით სენაკი — თბილის-ქალაქის ერთ პაწაწკინტელა ქუჩად გამოიყურებოდა. ამავე დროს საქები ლექსიკის ყველა მარაგი უკვე ამოწურული მქონდა. დაზოგვა და მომჭირნეობა სიტყვებსაც სჭირვებია თურმე!

ამ გარემოებამ, უნდა გამოგიტყდეთ, ერთხანს შემაკრთო და სანამ ბაქნიდან მოედანზე გავიდოდი, დამაბნია, დამაფიქრა და დამაღონა კიდეც. ზურგზე აკიდებული ჩემოდნით მგზავრებს ფაციფუცნვით, დარცხვენით მივსდევდი. მგრძნობელობითი ემოციონალობის საფეხურიდან იმ წუთებში თითქოს გონებითი დადინჯების მოშწესრიგებელ სტადიაზე გადავდიოდი. გაოცებას დაკვირვება ცვლიდა, აღტაცებას — განსჯა.

როგორც კი ჩემოდანი ჩამოვდგი და მოედანზე ტრამვაის მოლოდინში შევყოვნდი, იქვე, ჩემს ირგვლივ, წელმოკაკული, შუბლდაღარული მეკურტნეების და მათი მხლებლების რიგი გაჩნდა. წარა-მარა იცვლებოდა. ერთი წყება რომ მოდიოდა, მეორე უმალვე უკან ბრუნდებოდა ახალი ტვირთის ასაკიდებლად. მართალია, კისერჩაჟანგებულებს არ წააგავდნენ, არც მოლად უიმედოდ განწირულებს, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ, ისინი თავიანთი ფრესკული ნიშნებით მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იყვნენ გადმოსულნი და, როგორც მათი ჩამომავლები. ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ „ტანჯვითი შრომის“ მთავარ ატრიბუტს — ტვირთის ზურგით ტარების ჩვევას. შემდგომ ხომ ამ სფეროშიც შეიჭრა ტექნიკური სიახლე, ე. წ. ხელის შრომის „მექანიზაცია“ და გაჰქრა კიდეც ბოქულაძეთა ტიპი. აი, მე კი მოვუსწარი და თბილისმა ამ მხრივ თვალი ამიხილა-მეთქი, რომ გითხრათ, ცოტაა.

ჯერ ერთი, მან განმიმტკიცა ტექნიკუმში ჩაგონებული აზრი წარსულში სოციალური უთანასწორობის არსებობის სისწორის შესახებ და, ბუნებრივია, უფრო მეტი ნდობით განმაწყო მარქსისტული მოძღვრებისადმი, რომელიც პროლეტარიატის ხსნის თეორიას ქადაგებდა (მაშინ ხომ ისე მოწიფული არ ვიყავი და სამტროდ ჩახმახივით შემართული, სულიერი ზრდის სიმახინჯე იმთავითვე შემეცნო). მეორე და არსებითი: ჩემ მიერ პირველად დანახული მეკურტნეები თითქოს ტყუპის ცალივით ჰგავდნენ ილიასა და გრ. ორბელიანის პოეზიაში გამოსახული ქალაქური ყოფის სახეებს. ისინი ხომ მათი წინაპრებივით სხვის ტვირთს ეზიდებოდნენ „პირუტყვსავით“ ლუკმის საშოვნელად, ახლაც ხომ ისევ ისე ულურჯდებოდათ ძარღვები მის ყოველ აწევისას, როგორც მაშინ.

მაშასადამე, ლიტერატურა და ცხოვრება განუყრელია ერთმანეთისგან: კითხულობ ლიტერატურულ ქმნილებას და ცხოვრებას ეცნობი, ცხოვრობ თვით ცხოვრების შუაგულში და მწერალი შენით საზრდოობს, შენსავ დუმილში ჰვრეტს ხან „ღვთის რისხვის“ ზარებს, ხან კიდევ „განახლების გრიგალის“ მოახლოების ჟამს. მწერალი — იდუმალებით მოცული სამყარო, მწერალი — ფენომენი. ჩემს არსებაში ეს იყო ერთგვარი გადატრიალების, არჩევანის საბოლოო გადაწყვეტის ღირსსახსოვარი დღე. კიდევ რა შემრჩა სატრაბახოდ და საამაყოდ?

მოწმე და მხილველი ვარ: თბილისის რკინიგზის სადგურის საძი „თაობისა“ (უწინდელი — საქართველოს დემოკრატიული მთავრობა რომ გააცილა ევროპაში, მერმინდელი, ე. ი. საბჭოური — რომ გადაკეთდა, მიშენდა და დაშენდა და ახლანდელი — ძირფესვიანად რომ დაინგრა, უზარმაზარ გემს რომ დაემსგავსა მოედნის გაფართოებით და რეკონსტრუქციით), ასევე სამი საზეიმო ტრიბუნისა (პუშკინის ძეგლთან, მთავრობის სახლის წინ და სასტუმრო „ივერიასთან“), შაჰ-აბაზის მეჩეთის (მეტეხის მიდამოებში), მტკვარზე ახალი ხიდის აშენების (ახლა თამარის ხიდი რომ ჰქვია), მის ახლოს მოქმედი ბორნის გაუქმების, ამ ადგილებში მტკვრის სანაპიროს გამაგრების პირველი დაწყების და იმ გორაკის „გახლეჩის“, რომლის ერთ მხარეზე ცირკის მრგვალი შენობაა წამომართული, მეორეზე კი — ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ინსტიტუტები და ბიბლიოთეკა.

ბევრი რამ სამუდამოდ წაიშალა თბილისის იმდროინდელი ქალა-

ქური ყოფის კოლორიტიდან, ბევრი დარჩა მოდერნიზებული და განახლებული სახით. განახლებისა და მოდერნიზაციის ის ტემპი, რაც 30-იან წლებში დაიწყო, უეჭველად თავისებური და რადიკალური იყო. ტექნიციზმის სიღარიბეში სწრაფად იჭრებოდა ესთეტიზმის ელემენტები, მოკლე დროში იცვლებოდა ქალაქის იერსახე, რაც კეთდებოდა, ხარისხიანად და მტკიცედ. ეს ყველასათვის ადვილად შესამჩნევი და იმდენად ხილვადი იყო, ქუჩებზე დადგმულ სანაგვე ურნებსაც ეტყობოდა. დილით ადრე იგი ყველგან გასუფთავებული და გაწმენდილი იყო, ისე როგორც ქუჩები და გაზონები. მეეზოვეთა ლაშქარს მუშაობის რაღაც მწყობრი სისტემა ჰქონდა შემუშავებული — დღით უჩინარი, გამთენიისას ფუტკარივით მოდებული თაეიანთ არე-მარეში, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უბნების გამშვენიერება-გალამაზებაშიო.

ერთი თვე მომიხდა ნინოშვილისა და კლდიაშვილის ქუჩების გადასაკვეთთან პიონერხელმძღვანელთა რესპუბლიკური კურსების საერთო საცხოვრებელში ღამის გათევაც და იქვე დღით მარგო თომაძის საუბრების მოსმენა პიონერული მუშაობის საკითხებზე. მაშინდელ ამ განაპირა მხარეშიც კი ქუჩების დაგვის მხრივ ისეთივე წესრიგი იგრძნობოდა, როგორც მაგისტრალურ, ცენტრალურ ადგილებში. თითქოსდა ასეთ „წვრილმან“ ფაქტზე განსაკუთრებულად იმიტომ ვამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომ მერწმუნოთ; ეს არ არის დასაკარგავი და გადასაგდები გამოცდილება ქალაქის ახლანდელი ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც ზოგჯერ „მსხვილმან“ საქმეებზე ზრუნვაში დრო არ რჩება სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისადმი მისახედად. არადა, ტუალეტი და ქუჩა უცხოსათვის ყოველი ქალაქის კულტურის ის მრუდე სარკეა, რომელსაც შეუძლია ყირამალა გადმოატრიალოს მისი მიღწევების მაღალი „კოშკურები“.

ყოველივე ეს უბრალოდ სიტყვას მოყვა თორემ, მთავარი ჩემთვის იმ ერთი თვის მანძილზე ქალაქის გაცნობა კი არ იყო, არამედ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების წესების გაგება და საგამოცდო საგანთა რაოდენობის დადგენა,-11 უნდა ყოფილიყო თუ 8. კურსებიდან სენაკში დაბრუნებულს საწადელი მოსვენებას არ მაძლევდა. სულ რაღაც სამი თვე რჩებოდა გამოცდებამდე. საგნების მომზადებისათვის. ზრუნვა და მატერიალური მდგომარეობის აწონ-დაწონვა საგონებელში მაგდებდა. მრავალშვილიანი მშობლებიდან რა დახმარების იმედი უნდა მქონოდა. მაშინ ჩემ უფროს ძმას — ვანოს დამ-

თავრებული ჰქონდა სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და ქვალონის ტყეში მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობაში მსახურობდა. მშობლების კმაყოფიდან გამოსული იყო. ეს მცირე შეღავათს მაძლევდა. მაგრამ მოუღონიერებელი კოლმეურნეობის წყალობით მამას რა უნდა ექნა, 6-7 სული სარჩენი რჩებოდა. ამიტომ ,რც გამიზიარებია ჩემი გულისთქმა, როცა სანახავად ჩავედი. ვერიდებოდი, წყენა არ მიმეყენებინა შეუძლებლის მოთხოვნით.

სამაგიეროდ, თავისი სამომავლო გეგმა გამაცნო და საიდუმლოდ გამიზიარა ბიძაშვილმა სერგომ, რომელიც ბიოლოგიის მასწავლებლად მუშაობდა ჩვენსავე სოფელში. მას გადაეწყვიტა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აგრონომიული უმაღლესი განათლების მიღება და ამ მიზნით დაეწყო ჯიდეც ფულის შეგროვება. ფიზიკურად ჯანმრთელი იყო. სკოლიდან თავისუფალ დროს შეშის დამამზადებელი კანტორისათვის ტყეში ხეებს ჭრიდა და საკმაოდ დიდ თანხას იღებდა თურმე. მე ეს არ შემეძლო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სენაკში დროებით ემსახურობდი კურსების მოწმობის პროფილით და რაღაც მცირე გასამრჯელოს ვიღებდი და, მეორე, ფიზიკურად სუსტი ვიყავი, ნაჯახით შეშაც არ დამიპია, ხის მოჭრაზე ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა.

მაგრამ სერგო ცომაიას განზრახვამ იმედის ფრთები შემასხა. გამიჩნდა თანამზრახველი და თან ისეთი ახლობელი და თანშეზრდილი, გაჭირვების ჟამს გვერდით რომ დამიდგებოდა. გარეგნულად თითქოს ცივი, შინაგანად ისეთი გულჩვილი იყო, ბაგეების შეურხევად ცრემლებით ეესებოდა თვალები, როცა ნათესავ-მეგობრის რაიმე ჭირამს გაიგებდა. და-ძმებშიც გამოირჩეოდა და ჩვენს დიდ ნათესაურ წრეშიც. ჩვენ პირობა მივეცით ერთმანეთს ერთად წავსულიყავით თბილისში. სერგო ჩამოვიდოდა სენაკში გათხოვილ დასთან, რომელიც ბიძაჩემ იულონის მოზიარე სახლში ცხოვრობდა, — ბიცოლა შუშუ მე ხომ თავს მეცლებოდა და შვილებისგან არ მანსხვავებდა, — იქ შევიყრიდით თავს ორივე და... რა თქმა უნდა, სერგო ჩემ მშობლებს შეატყობინებდა ყველაფერს და მთლად ხელცარიელს არ გამოუშვებდნენ, სამგზავრო ფულს, ვიცოდი, გამოატანდნენ. აი, ასეთი „კონსპირაციული“ გეგმით გახარებული სენაკში ინტენსიურ მზადებას შევუდექი.

დარჩენილ მცირე მონაკვეთში გაზეთ „მთლიანი კოლექტივიზაციის“ რედაქციის ხელშეწყობით და ზოგჯერ სპეციალური დავალე-

ბით ჰონორარის გამოსამუშაებლად რაც შეიძლებოდა გაეაცხოველე მუშაობა. მაშინდელი ჰონორარი ახლანდელი ფულის კურსთან შედარებით საკმაოდ მოზრდილი თანხა იყო. მაის-ივნისის განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე დროის შესაბამისი მოდური გატაცებით გამოვაქვეყნე ნარკვევები და კორესპონდენციები: ასეთი მყვირალა სათაურებით: „კოლხიდმშენში კულტსაყოფაცხოვრებო პირობები ცუდია“ (ეხებოდა მდინარე ცივას ნაპირებთან სენაკის სამუშაო უბანს, 1935, 23.V. № 26), „ხუთწლედის სესხის ქრონიკა“ (1935, 29.V, № 27), „საწვეროწიგნაკი — სათუთუნე როდია“ (1935, 6. VI. № 18), „ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს“ (1935. 25. VI. № 32) და სხვა.

ივლისის ორი დეკადა მთლიანად გამოცდებისთვის ზრუნვას, საჭირო წიგნების და საბუთების შეგროვებას მოვანდომე და მე და სერგო სათანადო სასწავლო მასალებით აღჭურვილნი თბილისში ჩამოვედით იმ თვის ოცდახუთ რიცხვში. მე განცხადება სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიტანე, სერგომ კი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულზე. ერთხანს ერთად ვცხოვრობდით სტუდენტთა ქალაქის[1] საერთო საცხოვრებელში, სანამ მისაღები გამოცდები ტარდებოდა, შემდეგ დავცილდით ერთმანეთს. სერგო ჩაირიცხა ინსტიტუტში, მე კი... ვერ გეტყვით, გარეთ დავრჩი მეთქი, მაგრამ სრულიად ახალ გარემო-სიტუაციაში კი მოვყევი. ეს ცილდება პირად სფეროებს, თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და, ამდენად, ვფიქრობ, თქვენთვისაც საინტერესოა.

მაგრამ ჯერ გაკვრით უნივერსიტეტში ჩატარებული გამოცდების შესახებ. იგი დაიწყო აგვისტოს პირველი რიცხვებიდან და შემჭიდროებულ ვადებში — 25-სთვის დამთავრდა. თუ ტექნიკუმში ხუთიოდე წლის წინათ, როგორც ზემოთ ვწერდი, ყოველგვარი გასაჭირის გარეშე, მხოლოდ საბუთებით ჩავირიცხე, ახლა კონტინგენტის შერჩევა საკონკურსო წესით ხდებოდა და მერე როგორი! ფილოლოგი-

---

[1] ვაკეში უკაცრიელ ადგილზე 1926 წელს გაშენებული თორმეტი ორსართულიანი სახლი თავისი კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობებით, მწვანე ნარგაევებით და კეთილმოწყობილი სამზარეულო-სასადილოთი მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა და ამიტომაც უწოდებდნენ სტუდენტთა ქალაქს. იქ უმაღლესი სასწავლებლების ათასობით ახალგაზრდა ცხოვრობდა უფასოდ, კვების მაქსიმალური შეღავათებით. ამჟამად თითქმის დანგრეულია.

ის ფაკულტეტზე (ასევე სხვებზეც) შემსვლელს უნდა ჩაებარებინა 8 საგანი. ჩამოგითვლით: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-ზეპირი), მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია — წერითი), ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ერთადერთ შეღავათად გეეთვლებოდა ის, რომ მათემატიკური სამი საგნიდან ერთი საერთო ნიშანი გამოყავდათ და ორნახევარი ქულა რაოდენობაში შედიოდა.

პროტექტორი ვინ უნდა მყოლოდა, ან რეპეტიტორი. ასეთი ცნებები, ისე როგორც ქრთამი და მექრთამე, მთელი ჩემი სტუდენტობის ხანაში არც არავისგან გამიგონია და მაშინდელ საზოგადოებაში, მგონი, არც იყო „პრესტიჟული“. ამავე დროს არც გამოცდები იყო იეზუიტური. აბიტურიენტს ცოდნის გამოვლენის ნორმალური პირობები ჰქონდა შექმნილი. ამიტომ კონფლიქტური სიტუაციები ნაკლები იყო, გულისხმიერება კი — მეტი. ორ დეტალს მოგაწვდით და თქვენ დვითონ დაასკვნით.

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ 1935 წელს უნივერსიტეტში აკაკი შანიძე იყო. ხშირად ყვითელი ფერის ჰილოფის ქუდი ეხურა, დამრგვალებული სავსე პირისახე ჰქონდა, თმა ქერა, გრუზად დახუჭუჭებული, ღილებიანი თეთრი პიჯაკი ეცვა ფართო ჯიბეებით. წერითი მუშაობის დროს ჩამოიელიდა აუდიტორიაში მერხებს შორის და სათვალეებიდან ირიბად აკვირდებოდა აბიტურიენტთა ნაწერებს. მისი ფეხის ხმაც კი არ ისმოდა, ისე ნელა და ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს. მერე კომისიის განაბულ წევრებს ჩურჩულით რაღაცას გადაულაპარაკებდა და გავიდოდა ოთახიდან, სადაც ოცნებისათვის მყუდროების მეტად ხელსაყრელი ატმოსფერო სუფევდა. გონებაში თუ რამ გელაგა, შეგეძლო ადვილად მოგეხმო, სიტყვა და აზრი მოგეძია, საკუთარი გულის ბუდეში მოგემწყვდია, რათა არ გაგფრენოდა... ასე გეიმსუბუქდებოდა უმძიმესი ფსიქოლოგიური დატვირთვა. რა ბრძანეთ? მცირედი და უმნიშვნელო მაგალითია? მწარედ ცდებით.

კონტრასტისათვის: 60-იანი წლები. წერითი საგამოცდო დარბაზი. მუშაობის შუა პროცესია. უეცრად მერხიდან ხტება ნერვებაშლილი აბიტურიენტი, გარეთ გარბის, დერეფნის ფანჯრებს ასკდება და ლამის გადავარდეს მესამე სართულიდან. შემზარავია, არა? მიზეზი? ნილაბაფარებული საეჭვო რეპუტაციის რეპეტიტორ-გამომცდელი განუწყვეტლივ დადიოდა ოთახში ფეხსაცმლის ჭრაჭუნით და გა-

უთავებლად ხმამაღლა ქაქანებდა ვითომდა საწერი თემის ახსნა-განმარტებისა და მის გარშემო ორიენტაციის მისაცემად, რაც ჩვეულებრივ წერის დაწყებამდე ეძლეოდათ. კიდევ უფრო ამაზრზენია, ხომ?

ჰოდა, თუ იოსებ გრიშაშვილი ძველი თბილისის „ელამ მიკიტანს“ მისტიროდა „თავის დუქანთან მიბმული ყოჩით“, მე კიდევ გასაქრობად განწირულ წერითი გამოცდის იმ ერთ, ბეწვის ოდენა შტრიხს იმიტომ შევხარი და შევციცინებ, ამ მხრივ, წარსული ტრადიციების გადარჩენა შეუძლებელია დამსხვრეული ნაწილაკებიდან მთელის რესტავრაციის გარეშე.

2. მაპროფილებელი საგნის წერაში 5 და ზეპირში 4 რომ მივიღე, მეგონა მეშვიდე ცაზე უკვე ასული ვიყავი. ტანგეს-კოტანგესის აბლაბუდაში კი ისე გავიხლართე, ტრიგონომეტრიის ფურცელი თითქმის შეუვსებელი დამირჩა. სამაგიეროდ, ალგებრის და გეომეტრიის ამოცანებს თავი როგორღაც გაეართვი, მაგრამ შიში მეუფლებოდა. წერა ჩატარდა პირველი კორპუსის 104-ე აუდიტორიაში, რომელშიც მერხები ქანდარისებურად იყო დალაგებული. გამომცდელებს მაღლიდან დავყურებდით. ნაწერების ჩაბარებისას ერთმა თეთრთმიანმა გამომცდელმა უმალ შენიშნა, რომ ერთი საგნის ფურცელი ბოლომდე შევსებული არ მქონდა. იქვე გადაიკითხა სხვა ფურცლებიც (მაშინ არავითარი საიდუმლო შიფრები არ არსებობდა), გაასწორა და მკითხა:

— ტრიგონომეტრია რას ეწოდება?

— გეომეტრიის ის ნაწილია, რომელიც სამკუთხედების გვერდების და კუთხეების თანაფარდობას სწავლობს მეთქი. — ვუპასუხე.

— მერედა, სწორედ თანაფარდობის გამოყვანა დაგვიწყებიაო. — მითხრა და გაეღიმა. თავი მორცხვად ჩავღუნე. ეს ნიშნავდა უცოდინარობის შეგრძნებას (და არა მის გამართლებას იქედნური უტიფრობით). იმ კეთილშობილმა იქვე, ჩემ თვალწინ, სამივე ფურცლის საერთო ნიშანი გამოიყვანა და საგამოცდო წიგნაკში წითელი ფანქრით ჩაწერა არც მთლად სამი და არც მთლად ორი. გადამარჩინა. ასეთი შემთხვევები სხვებთანაც იყო. ანგარებით ზრახვას ვინ გაივლებდა გულში, წაბიძგება კი ჩვეულებრივ ადამიანურ ქცევად ითვლებოდა.

25 აგვისტოს უნივერსიტეტის ეზოში სტენდზე გამოკრულ ჩარიცხულთა სიების ქვემოთ მოულოდნელად გამოკრული იყო ისტო-

რიის, ფილოლოგიის, ბიოლოგიის და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტთა დეკანატების გაცხადებები იმ აბიტურიენტთა საყურადღებოდ, რომლებიც სიებში არ იყვნენ მოხვედრილი. ყველა ესენი მეორე დღეს, 26 აგვისტოს, დილის 9 საათიდან უნდა გამოცხადებულიყვნენ თავთავიანთ დეკანატებში. არავინ იცოდა, რისთვის ან რატომ. მოწყენილობას მოუსვენრობა ემატებოდა, მოუსვენრობას დაღვრემილობა, ხოლო ყოველივეს ერთად — გაუგებრობა და გაოგნებულობა.

იმავე დღეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი უნდა დამეცალა. ტრამვაის ლიანდაგის მშენებლობა დამთავრებული არ იყო, რელსების დაგება სტუდქალაქის მოსახვევ მოედანთან გრძელდებოდა, ამიტომ შპალიდან შპალზე გადახტომით მივიჩქაროდი მისკენ, რათა დროზე მომესწრო გლეხთა სახლში გადასახლება. იგი კომუნარების (ყოფილი ალექსანდრეს) ბაღის უკან მდებარეობდა. იმავე საღამოს იქ დავიკავე იაფფასიანი ერთი ადგილი ქვედა სართულის ბნელ ოთახში. მეორე დღეს დეკანატის კარებთან უამრავი ახალგაზრდა მოგროვდა. სათითაოდ შედიოდნენ, ზოგი კმაყოფილი გამოდიოდა, ზოგი — გაურკვეველი განწყობით.

1935 წლის სექტემბრიდან მთელ ქვეყანაში და, ცხადია, საქართველოშიც ხორციელდებოდა საყოველთაო-სავალდებულო შვიდწლიან განათლებაზე გადასვლის ერთიანი პოლიტიკა, რამაც პედაგოგიური კადრების მომზადების სწრაფი გაზრდა მოითხოვა. სწორედ იმ ხანებში ახლადდაარსებული თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ოთხი ფაკულტეტის — ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკის დაკომპლექტება მოხდა უნივერსიტეტის ბაზაზე, რითაც იგი ფაქტობრივად მის განაყოფად იქცა.

უკანასკნელ დრომდე, უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღების აღნიშვნისას, როცა მიუთითებდნენ მისგან წარმოქმნილ უმაღლესი სასწავლებლების კერებზე, ნაკლებად იგრძნობოდა რაიმე მინიშნება ამ ფაქტზე. ეს გამოვლინდა 1988 წელს გამოცემულ ორასგვერდიან წიგნშიც „თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი“ (ადრე, იმავე ინსტიტუტის შრომებში (1962, ტ. 16, გვ. 5), მხოლოდ გაკერით, თითქოს შეფარვით მაინც იყო ორიოდე სიტყვა ნათქვამი ფაქტის რეალობაზე). სინამდვილეში კი მდგომარეობა ასე იყო:

ოთხივე ზემოაღნიშნული ფაკულტეტების დეკანატებში გამოცხადებულ აბიტურიენტებს 26 აგვისტოს მიმართავდნენ ერთადერთი კითხვით: აქვთ თუ არა სურვილი სწავლა განაგრძონ თბილისის ახლადგახსნილ ორწლიან სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც პირდაპირ ირიცხებოდნენ დადებითი ქულიანები თავისი ნახევარ კუდნებით, ხოლო ე. წ. შიშველი ორიანებისთვის მხოლოდ ერთ საგანში ეწყობოდა გამოცდა. ამასთან იქვე იუწყებოდნენ, რომ სასწავლო პროცესს გაუძღვებოდნენ უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები და რომ ეს პროცესი წარიმართებოდა ოთხწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტის შემოკლებული პროგრამით, რომელშიც მშობლიური ენის, ლიტერატურის და ისტორიის საათების რაოდენობა საკმაოდ იყო გათვალისწინებული.

მიუხედავად ასეთი ინფორმაციული ცნობების მოწოდებისა, მეტიჩრებს და კუდაბზიკებს რა გამოლევდა მაშინაც, დაბალ სკოლაში რა გვინდაო და ზოგიერთები ცხვირაბზუებულნი გამოდიოდნენ დეკანატებიდან. ასე იყო რექტორატის გასწვრივ გადატიხრული დერეფნის ერთ ვიწრო ოთახში მოთავსებულ ჩვენს დეკანატშიც. მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილებით ეთანხმებოდა. საბუთები იმავე დღესვე იგზავნებოდა ახლანდელი დ. უზნაძის ქ. № 32-ის მისამართით, სადაც ყოფილი მეორე საცდელ-საჩვენებელი სკოლის შენობაში საღამოს ცვლაზე დროებით შეხიზნული იყო ინსტიტუტი (ამჟამად საქართველოს განათლების სამინისტროს აპარატია მოთავსებული).

დირექციას გამოყოფილი ჰქონდა პირველი ასასვლელი კიბეების მარცხნივ განლაგებული ოთახები წინ ვრცელი ჩაღრმავებული ვესტიბიულით. ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ორ ჯგუფში ჩაირიცხა 90-ზე მეტი სტუდენტი. ცხადია, ამისთვის მარტო უნივერსიტეტის კონტინგენტი საკმარისი არ იქნებოდა. ამიტომ დამატებითი მისაღები გამოცდები ჩატარდა. ასე მოხდა სხვა განყოფილებებზეც.

უნივერსიტეტიდან ასობით აბიტურიენტთა პირადი საქმეების გადმოტანა, მათი დალაგება განყოფილებების, ჯგუფების მიხედვით, ჟურნალების შედგენა და სხვა ასეთი „შავი სამუშაოები“ სწრაფ ერთობლივ მოქმედებას მოითხოვდა და, უნდა ითქვას, ყველაფერი ეს ჩარიცხულ პირველ კურსელთა გარკვეული ნაწილის აქტიური მონაწილეობით მოხდა. საღამოობით, ვესტიბიულში დაყრილი პირადი

საქმეების მოწესრიგების პროცესში ამ აქტივისტების ინიციატივით იმართებოდა სახელდახელო თვითმოქმედებითი გამოსვლები, უმთავრესად ლიტერატურული დეკლამაციები. ლექსის მხატვრულ კითხვაში ერთ საღამოს თავი გამოიჩინა დაეით ჩუბინიძემ. ვაჟას ლექსი „ბაკური“ თავიდან ბოლომდე ზეპირად სცოდნოდა. როცა აკორდული მგზნებარების ფარდა ნელნელა დაეშვა და უკანასკნელი სტროფი დაამთავრა: —

მოდგა და მოდგა მტრის ჯარი,
ფრანგულმა გაიცინაო.
თორმეტი მოკლა ციხის კარს,
ერთურთზე დააწვინაო.
ვეფხვსაც დააცდა კლანჭები, —
ბაკურმაც დაიძინაო! —

მოწონების ნიშნად ტაში დაუკრეს. ხმაურზე დირექციის ოთახიდან გამოვიდა მომღიმარე სახის, საშუალოზე მეტი სიმაღლის კაცი, რომელსაც, ეტყობოდა, ნაადრევად გაჭაღარავებოდა თმები. მწკრივში ჩადგა და თითოეულის ვინაობის გაცნობა დაიწყო. ჯერი ჩემამდე რომ მოვიდა, უცებ მკითხა:

— საიდან, რომელი სოფლიდან ხარო.

— სირიაჩქონიდან-მეთქი. — ისე სწრაფად ვუპასუხე, თითქოს რუსთაველის დაბადების ადგილიდან ვყოფილიყავი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაუნათდა და გაუფართოვდა თვალები, როგორ დაიხარა (ამ დროს, წლოვანებასთან შედარებით, ტანად პატარა ვიყავი) და როგორი მგრძნობელობით მითხრა:

— ბავშვობაში მამას მივყვებოდი აბაშიდან შეშის ჩამოსატანად. მახსოვს, დიდი სოფელი იყო.

ასე მოხდა ჩვენი პირველი გაცნობა, სტუდენტად მიღებულის და სასწავლო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ვარლამ თოფურიასი. ცოტა ხანს იყო ამ თანამდებობაზე, მაგრამ მან დირექტორ კარპეზ ბერაძესთან ერთად ორგანიზაციული საფუძვლები ჩაუყარა უნივერსიტეტის გ ა ნ ა ყ ო ფ ახალ კერას, რომლიდანაც წამოიზარდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

გაზეთ „კომუნისტის“ 1987 წლის 20 თებერვლის ნომერში

(№ 44), გარდაცვალებამდე რაღაც სამიოდე კვირით ადრე, აკადემიკოსი აკ. შანიძე, რომლის უშუალო მონაწილეობითაც მოხდა ინსტიტუტის დაარსება, მის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მისასალმებელ მილოცვაში პირველად აღნიშნავდა: „თქვენი ინსტიტუტი თბილისის უნივერსიტეტის განაყოფია. მახარებს მისი წარმატებები ახალი თაობის აღზრდისა და მეცნიერების განვითარების დარგში“. ვფიქრობთ, ეს ამონაწერი ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მოგონების უტყუარი დადასტურებაა.

მეცადინეობის დაწყებიდან ერთი კვირა იქნებოდა გასული, სექტემბრის ბოლო დღეები იყო, მზიანი, როცა დირექციის სამეურნეო ნაწილში სხვებთან ერთად საერთო საცხოვრებლის ორდერი გადმომცეს და დამავალეს იმ დღესვე დამეკავებინა მითითებულ მისამართზე ადგილი. ბინის საკითხი მაშინ ინსტიტუტისათვის მძიმე პრობლემა იყო, ჩემთვის და ჩემისთანებისათვის, რა თქმა უნდა, მწვავე. ისევ იმ გლეხთა სასტუმროში ვცხოვრობდი. როგორც კოლმეურნის შვილს შეღავათ ფასებში მეკავა ერთი ლოგინი ხუთ ადგილიან ოთახში და ღამე ნახევრად უძილო ვიყავი, მომსვლელთა და წამსვლელთა განუწყვეტელ მოძრაობაში ვინმეს გაცნობასაც ვერ ვასწრებდი. მე შევერჩი შედარებით ხანგრძლივად და დაშლაგებელი ყოველთვის მკითხავდა ხოლმე, ბინა კიდევ არ მოგცესო? არა მეთქი, რომ ვეტყოდი, ეა, ეა, შვილო, უფროსები ჯავრობენ, ბარგი გაუყარეო, მეუბნებიან, მეცოდები, შვილო, სტავლა დაგეწყოთ?..

და იმავე დღეს, ჩემი ხაბაკ-ხუბაკით ჯავახიშვილის ქუჩაზე № 1 სახლის ქვედა სართულის სარდაფში ისტორიკოსების ჯგუფთან შევსახლდი. სულ თორმეტი ადგილი იყო. ასე იყვნენ სხვადასხვა უბნებში დანაწილებულნი უბინაობით ყველაზე გაჭირვებულნი მანამ, სანამ ინსტიტუტის სამსართულიანი ახალი კორპუსი არ აშენდა. და როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში? ექვს თვეში. 1936 წლის მარტიდან ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე (33) პირველი კორპუსის მესამე სართულზე გადამიყვანეს (შემდგომ მეოთხე სართული დაშენდა).

ეს კორპუსი ახლა დაფარულია ილია ჭავჭავაძის ქუჩიდან, რადგან ოთხსართულიანი ახალი შენობა დაემატა ძველთან შეერთებით. წინათ დიდი ეზო იყო და ჩვენი წითელაგურებიანი კორპუსი შორიდანვე ჩანდა. სასწავლო მეცადინეობა ყოფილი კამოს ქუჩიდან გადატანილ იქნა ფალიაშვილის ქუჩაზე (№ 30) მდებარე 59-ე (ამჟამად 56-ე) საშუალო სკოლის შენობაში, სადაც საღამოს 5 საათიდან ინს-

ტიტუტს ეკავა 14 საკლასო ოთახი. 1936-1937 სასწავლო წელს ლექციები სკოლაშიც გვიტარდებოდა და ინსტიტუტის საკუთარი შენობის პირველ და მეორე სართულებზეც.

მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, სასწავლო პროცესი ერთხელაც არ ჩაშლილა. სინათლით და დგამ-ავეჯით სამეცადინო ოთახები უზრუნველყოფილი იყო. მაგრამ უხერხულობას ჰქმნიდა სასკოლო ინვენტარი. მერხები ბავშვებისათვის იყო გამიზნული. ჩვენთან კი შედარებით ხნოვანებიც იყვნენ და საკმაოდ ტანოვანებიც. ზოგი სარგებლობდა საღამოს ცელით და მსახურობდა კიდეც. მაგალითად, თანაკურსელი გერონტი ბასილაშვილი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში მუშაობდა (ცხადია, არა ლექტორად). მაღალი იყო და მერხებში მუხლების გამართვა უჭირდა. ამასთან კურსი მრავალრიცხოვანი იყო და გაერთიანებულ ლექციებზე, რაც არ უნდა დიდი ოთახი შეერჩიათ, თავისუფლად დაჯდომა მაინც ვერ ხერხდებოდა.

ჯგუფხელების მეშვეობით ჟურნალებში დასწრების აღრიცხვა სისტემატურად ისე წესიერად წარმოებდა, არც არავის მოუვიდოდა აზრად უმიზეზოდ გაცდენა და არც არავინ შეეცდებოდა ჯგუფხელის შეცდომაში შეყვანას. მისი ავტორიტეტი დეკანატის მიერ იყო ამაღლებული, ხოლო დეკანატის დავალების შეუსრულებლობა სტუდენტური მოვალეობის დარღვევად ითვლებოდა. ეს შეგნება პირველი დღიდანვე დაინერგა და შესრულება მოთხოვნილებად იყო ქცეული. დასწრება სავალდებულო იყო არა იმისთვის, რომ ჟურნალში ფიქსირებით აღრიცხვის ფორმალური მხარე დაეცვათ. ეს მოჩვენებითობის საფარი იქნებოდა, რასაც ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული.

მთავარი იყო სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩაბმა. სახელმძღვანელოების უქონლობის ვითარებაში ამოცანად იყო მიჩნეული ყოველი ლექციის დაკონსპექტება, ყურადღების მობილიზება და სათანადო ჩანაწერების გაკეთება, რათა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა სამეცადინო დრო შემჭიდროებულ ვადებში სპეციალობის დაუფლებისათვის. მაშასადამე, სწავლის მიზანი განაპირობებდა მისი მიღწევის გზებს, შინაგანი შრომითი დისციპლინა — დასწრების აუცილებლობას.

მაგრამ ამ წესის დანერგვა შეუძლებელი იქნებოდა ლექტორთა მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე. ვინ გაუთქვა სახელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს? უწინარესად, მისმა ფუძემდებ-

ლებმა, პროფესორ-მასწავლებელთა პირველმა თაობამ. მეცნიერების დედა-ტაძრისკენ ლტოლვის და მისწრაფების საზომი ბარომეტრი მარტოოდენ ლურჯთეთრად მოქათქათე კედლები და გუმბათი კი არ იყო, არამედ იქ მოღვაწე სწავლულები, მათი ბაგეებიდან წარმოთქმული აზრების სიდიადე, ლეგენდებად ქცეული მათი სახელები. ჩვენთან ვინ იყვნენ? რამდენად გამართლდა დაპირება?

ო, ბედმა გაგვიღიმა. ვისაც უნარი და ინტერესი ჰქონდა, მთელ ცხოვრებაში წარუშლელ კვალად დააჩნდა ინსტიტუტში გატარებული ხანა, დრო — საკუთარ მშფოთვარებით, ძიებებით, დაუცხრომელი სწავლით. ჩვენ ხომ კურსდამთავრებულების გამოშვების პირველი ნაკადი ვიყავით, ისტორია ჩვენგან იწყებოდა. ხომ გაგიგონიათ ფიგურალურად ნათქვამი: სჯობს იყო სოფელში პირველი, ვიდრე რომში მეორეო. ნეტავ იმ სტუდენტურ ხანას, მეცნიერული დარგების კორიფეთა იმ ლექციებს, ახალი კორპუსის სხვენზე საგამოცდო საგნების კოლექტიური მომზადების იმ ამხანაგურ განწყობილებას და ერთსულოვნებას!

სხვენი! აი, ეს იყო აღმოჩენა! ბოლო სართულიდან თავისი სახანძრო კიბით და სახურავიდან ჩამოსული შუქჩრდილებით, ჩვენ-ჩვენი კონსპექტების, წიგნების, ჩანაწერების ურთიერთ შეჯერებით, შევსებით, აზრების შეხსენებით და ჩაღრმავებით. თქვენ გეძახით და გიხმობთ: ნიკოლოზ ბაჯელიძეს, პომპეი ქოიავას, გერვასი ცხადაძეს, აპოლონ როგავას, გულნარა დათუაშვილს, მაყვალა ტუხაშვილს, ლადო ბიბილეიშვილს, სხვებს და სხვებს, სადაც არ უნდა იყოთ, ქვესკნელში თუ ზესკნელში, მომაწვდინეთ თქვენი ხმა და დამიდასტურეთ, რომ ყველაფერი ეს ასე იყო, რომ ზოგჯერ სხვენსაც კი ვიყენებდით ცოდნის შესაძენად და გონების განსავითარებლად.

ახლა ყოველნაირი სახელმძღვანელოების ფუფუნებაში ჩაფლულთ, ნამდვილი სწავლა მაინც რომ არ უნდათ, არ სჯერათ, არაფერი არ სჯერათ, და იმასაც ვერ წვდებიან, რომელ მიკროწრეზეა ლაპარაკი. არა „არისტოკრატებზე“, რომელთაც ბინები ნაჭირავები ჰქონდათ, არამედ იქვე, მესამე სართულის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებთა და მათთან დაახლოებულ ვიწრო ჯგუფზე. ინდივიდების ასეთი ვიწრო ჯგუფებიდან იქმნებოდა სტუდენტთა კურსის მთელი პლეადა. ჯგუფიდან პლეადისკენ, პლეადიდან — ჯგუფისკენ. დახასიათების სხვა გზა ჯერ არავის გამოუძებნია. მეც მათ ნაკვალევს მივყვები.

რა თქმა უნდა, კონსპექტი არ წარმოადგენდა ერთადერთ წყაროს. მაგრამ ნაბეჭდი პროგრამების უქონლობის სტადიაზე, საჯარო ბიბლიოთეკის გონიერული გამოყენების შემთხვევაში, იგი გეზსა და მიმართულებას გვაძლევდა, გვაჩვევდა შრომას და გვასწავლიდა ლექტორის როლის დაფასებას. ამიტომ ლექციების მოსმენაში ხელშეშლა ცილდებოდა სტუდენტური ეთიკის ფარგლებს და ყოველი ასეთი გამოვლინება კურსის კომკავშირული ბიუროების მსჯელობის საგნად იყო გადაქცეული. ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ მაშინ იყო დაშვებული, როცა ახალბედა, დამწყები ლექტორი თვით იყო მიჯაჭვული თავისი საგნის წინასწარ შედგენილ კონსპექტს, მაგიდას ვერ შორდებოდა, თავჩაღუნული თვალს ვერ აცლებდა მსმენელებს და მათ აურზაურში როს კითხულობდა. ასეთი რამ მართლა შეინიშნებოდა ყოფილი კამოს ჭუჩაზე სასწაული მეცადინეობის პირველ ხანებში და ისიც მხოლოდ ერთ საგანში — საშუალო საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურაში (ასე ეწოდებოდა), რომელზედაც მასალების დაძებნა და სისტემატიზაცია იმდროისათვის არც ისე ადვილი იყო.

მაგრამ ბევრს სრულიადაც არ აინტერესებდა მიზეზი. ისინი თავაშვებულობის გასაჭანს სწორედ შედეგში პოულობდნენ და დიდად კმაყოფილნი რჩებოდნენ ამით. მე და შაქრო სამადაშვილი, ერთმანეთს რომ შევხვდებოდით სადმე ჭუჩაში, იმ შინაარსით მდიდარი კონსპექტური ლექციებიდან ყოველთვის ღიმილით ვიხსენებდით დიდი ფრანგი ჰუმანისტის ფრანსუა რაბლეს გარგანტუა და პანტაგრუელის თავგადასავლებს, რომლებშიაც სასაცილო ამბების გვერდით პროგრესული საკაცობრიო იდეალები იყო გადმოცემული.

ამასთან დაკავშირებით, იქნებ ჯობდეს აქვე გამოვხატო ჩემი სუბიექტური აზრი და დამოკიდებულება აღძრული საკითხისადმი. საილუსტრაციო მასალების, ციტატების გამოყენება ერთია, მაგრამ მთლიანად დაწერილი კონსპექტით სტუდენტებთან ლექციების გაბმული კითხვა, მით უმეტეს, მრავალრიცხოვან აუდიტორიაში, ვინც არ უნდა მიმართავდეს მას, ჩემდათავად არ მიმაჩნია გამართლებულად. მართალი გითხრათ, იმდენად ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში იმ ერთი საგნის მძიმე შთაბეჭდილება და, მეორე მხრივ, იმდენად ძლიერი იყო მისაბაძად სხვათა ზეპირი ლექციების შთამაგონებელი ძალა, სხვანაირი დასკვნის გამოტანა არ შემეძლო (ახლა სულ სხვაა, ლექცია დიალოგად მოინათლა, დიალოგი — მიტინგობად...). ამიტომ

ორმოცდაათი წლის სალექციო პრაქტიკაში არც არასოდეს გამომიყენებია წერილობითი ფორმა. თუ რამ გამომყვა და გამომაჩნდა ოდნავ ღირებული ამ სფეროში, მისი საწყისები, აი, იქიდან, ჩვენთან მოწვეული უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, კორიფეთა საუკეთესო ტრადიციებიდან მოდის.

ეჰ. წელთა სიმრავლით დახუნძლულს, ვინ დამიბრუნებს ახალგაზრდულ აღმაფრენას, ან ვინ მომიხმობს მერცხლებივით მოეღურტულე ჩემი სოფლის სირინოზებს, რათა მიახლოებით, შტრიხებით მაინც გაგრძნობინოთ იმ შორეული, დავიწყებული ტრადიციების „სხივმოსილება“, იმ სახელოვანი ადამიანების მდუმარე აჩრდილებთან უწყვეტი სულიერი კავშირის აუცილებლობა.

ზოგადი ენათმეცნიერების შესავლის კურსს რომ გვიკითხავდა, **გიორგი ახვლედიანი** (1887—1973) პირველი იყო, ვინც თავისი უჩვეულო კოლორიტული დიქციით ერთბაშად ისე მოგვხიბლა, რომ იტყვიან, პირში თითქოს ყველას წყალი ჩაუდგაო, პირდაპირ არტახებივით „მიგვაკრა“ ლექციასთან, ძალაუნებურად დაგვაწყებინა ფიქრიანი მუშაობა — მოსმენა და წერა. აბა, გეცადა ყურადღების გაფანტვა! პირველი შეხვედრის წუთებიდანვე საგრძნობი გახდა, მერხებისკენ მიპყრობილი მისი მზიანი მზერა წვდებოდა და ამჩნევდა წინიდან ბოლომდე თითოეული ჩვენგანის ოდნავ საეჭვო რხევასაც კი და ხმის ინტონაციით ახდენდა ისეთ შეფარვით რეაგირებას, თუ მთლად წყალწაღებული არ იყავი, უნდა მიმხვდარიყავი — უაზრობა ზემოთმოტანილ მაგალითზე შემუშავებული ჩვევებით ჩემთან თანაარსებობაო. და ეხვდებოდით კიდეც.

დადგებოდა მაგიდის შუა კიდესთან ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი სოლიდური აღნაგობის ის სულკურთხეული კაცი, თეთრ პერანგზე მორგებული შავი ჰალსტუხით, ღიმილიანი პირისახითა და ნაოკებიანი შუბლით, ოდნავ შეევრცხლილი თმებწარბებით და მარჯვენა ხელის აწევ-დაწევით ლაპარაკს რომ დაიწყებდა, მის ფართოდ გაღებული ბაგეებიდან წინადადებები და აზრები ისე ნელა, ისე ჩალვათად, ისეთი უწყვეტი თანამიმდევრობით მოედინებოდა, არ გჭირდებოდა სიტყვების არავითარი შემოკლება, თავისუფლად შეგეძლო გადაგეტანა საერთო რვეულის ცალხაზიან ფურცლებზე. ივსებოდა და ივსებოდა ლექციიდან ლექციამდე, კვირიდან კვირამდე ეს ფურცლები, როგორც თითქოსდა დიდი თავყრილობის აუკინძავი ძვირფასი სტენოგრამა. მაგრამ ეს არ იყო კარნახი. ეს იყო გიორგი

ახლედიანის მწყობრი, დახვეწილი, ლაპიდარული მეტყველების ჩვეულებრივი სასაუბრო სტილი — პედაგოგიური ხელოვნების ნიმუში.

აზრების მწყობრი ლოგიკა არ არსებობს აზროვნების მკვეთრი ლოგიკის, ხოლო ორივე ერთად — საგნის ღრმა ცოდნის გარეშე. ჩვენ შორის მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ გიორგი ახლედიანის სახით ჩვენ წინაშე იდგა ქართული ენათმეცნიერული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი, ფართო დიაპაზონის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მაშინ ჰალსტუხთან მკაფიოდ გამოკვეთილი მისი ღაბაბი უფრო გვაოცებდა და ლექციები გვიზიდავდა პრაქტიკული მიზნით — გამოცდის ჩაბარების გაადვილებისათვის.

ამიტომ ლექციების შემდეგ კონსპექტებში ხშირად ვიხედებოდით და ვიზეპირებდით ენათმეცნიერების ჩვენთვის მანამდე უცნობი დარგების სახელწოდებებს, კერძოდ, ლექსიკოლოგიის, სემასიოლოგიის, ეტიმოლოგიის განმარტებებს, რომ 'ოდესღაც სიტყვა ცხედარი თურმე საწოლ ტახტს ნიშნავდა, ახლა კი — მიცვალებულს, მედგარი — მზაკვარს, ახლა კი — შეუპოვარს და მამაცს, რომ არსებობენ სინონიმთა, ომონიმთა და ანტონიმთა ჯგუფები, არქაიზმები და ნეოლოგიზმები, სიტყვათწარმოების წესები და კანონები, მათი წარმოშობის თეორიები და ა. შ. ეს იყო სტუდენტური ვიწრო ხედვის ზოგადად დამახასიათებელი ნიშნების გამოხატულება. და ახლა ყველა ჩემი მაშინდელი ამხანაგის სახელით ქედს ვიხრი ბატონი გიორგის ხსოვნის წინაშე.

აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის იმ სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო, რომლის სხდომაზე 1963 წლის 11 დეკემბერს ჩემი სადოქტორო დისერტაციის საჯარო დაცვა შედგა. ესწრებოდა როგორც წევრი და მომილოცა კიდეც დაცვის შედეგი .ამის გარდა უნივერსიტეტში ერთად მუშაობისა და ურთიერთობების ეპიზოდებიდან ყველაზე მტკივნეულია მოსაგონებლად 1969 წლის 19 აპრილი. პირველი კორპუსის ამაღლებულ შესასვლელთან ჯოხით და თავისი განუშორებელი პორტფელით რომ შემხვდა, გამაჩერა, მზეს შეხედა და რაღაც დაღონებით მითხრა:

— ყველაფერი მიმავალია ამ ქვეყნიდან მზის გარდა, შეხედე როგორ ბრწყინავს, თითქოს პირველად ეხედავდეო.

— აპრილის მზეა, ბატონო გიორგი, გაზაფხული გვეწვია ყვავილებით. ხომ არ ინებებთ ბაღის ბილიკებზე გასეირნებას-მეთქი.

— არა, — მიპასუხა გადაჭრით — მუხლები არ მემორჩილება ძველებურად. რომ ამოდიოდი, დაგინახე, ეგერ ფოტოგრაფია, დაუძახე და გადაგვიღოს ერთად სურათიო.

არ მოველოდი ასეთ სერვილს და არც ფოტოგრაფის იქ ახლო ყოფნა მეგულებოდა. ადრინდელ კურსდამთავრებულთა შეკრების გადასაღებად მოუწვევიათ და დარჩენილა ცოტა ხნით. ის იყო ჩავირბინე კიბეები და ფოტოგრაფი ამოვიყვანე, კარებთან გამოჩნდნენ გეოფიზიკის კათედრის გამგე, აწგანსვენებული პროფ. მიხეილ ნოდია და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე. პროფ. პროკლე კეკელიძე. შეჩერდნენ, ბატონ გიორგის მიესალმნენ და რომ გაიგეს მისი სურვილი, დიდი სიამოვნებით შემოგვიერთდნენ. ეს სურათი ახლა ჩემ წინ დევს და ბატონ გიორგის მზისკენ მზირალ ნაღვლიან სახეს რომ დავცქერი, გუმანით ვხვდები, იგი მაშინ წინასწარ გრძნობდა დაუძლურების მოსალოდნელ შედეგს და, მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ იქვე, უნივერსიტეტის ეზოში დაიდო სამუდამო ბინა.

ასეთი სასუფეველი ადრე მიეკუთვნა **კორნელი კეკელიძეს** (1879—1962) — უნივერსიტეტის დამფუძნებელთა შორის თავისებურ ფიგურას, ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორტომიანი წიგნის ავტორს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ერთ-ერთ პირველ დეკანს, ბიბლიის მსახურს და ქომაგს. მისი ყოველი გამოჩენა 1935—1936 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ახალი კორპუსის წინა ეზოში ჩვენთვის დღესასწაული იყო. ფანჯრებიდან რომ დაინახავდნენ სტუდენტები, უმალ აუდიტორიისაკენ მიეშურებოდნენ. გაერთიანებული ორი ჯგუფის მრავალრიცხოვანი სტუდენტობა ვერ ეტეოდა ოთახში, მაგრამ გაცდენას არავინ აპირებდა. ისხდნენ ბოლომიჯრით და შეკრულად, ნემსი რომ ჩაგეგდოთ, არ ჩავარდებოდა. ზოგი ფეხზეც იდგა. სამაგიეროდ, ჩაწერა ყველას არ შეეძლო. ხუთიდან ერთს ჰქონდა მინდობილი, ის ერთი ყოველ ახალ შეხვედრაზე იცვლებოდა და, ასე და ამრიგად, მორიგეობით იწერებოდა კონს-

პექტები. 1924 წელს გამოცემული მისი წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა.

განსხვავებით გიორგი ახვლედიანისაგან, კორნელი კეკელიძეს ჩვენ დროს წესად ჰქონდა მაგიდასთან ჯდომა და ისე ლაპარაკი. ამიტომ ხუმრობით მის საუბრებს სტუდენტებმა „მჯდომარე ლექცია“ შეარქვეს. მაგრამ ეს იყო აკადემიური ცოდნის რაღაც დაუშრეტელი საწყაულის განსახიერება, თხრობის ერთ ტონში მოქცეული ძველი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების მშვენიერი მთლიანი ქამა, რომლისთვისაც კი არ უნდა გეცქირა შორიდან, შენი ფიქრებით და არსებით უნდა მიჰყოლოდი ამბების გადმომცემს, რათა შეგეცნო, შეგეგრძნო და შეგერგო მისი მსჯელობის მარტივ ფორმასთან შეერთებული უმდიდრესი და უღრმესი შინაარსი. უმდიდრესი — ფაქტობრივი მასალებით, უღრმესი — ახსნით და ანალიზით.

დაირეკებოდა ზარი და ოდნავ წელმოხრილი, ჯოხით ხელში, ნელი ნაბიჯებით გავიდოდა აუდიტორიიდან სახეგაბადრული, ბიბლიური სათნოებით აღსავსე ადამიანი, რომელსაც ჩვენმა ეპოქამ ბედად შვილის ტრაგედიის სიმწარეც არგუნა და აკადემიკოსობის სიხარულის სიტკბოც.

დაბადების 100 წლის უბილეს დღეებში უნივერსიტეტის ეზოში გადმოასვენეს საქართველოში ფსიქოლოგიური სკოლის, მსოფლიოში აღიარებული განწყობის თეორიის ფუძემდებელი **დიმიტრი უზნაძე** (1888—1950). იგი ჩვენი ინსტიტუტის პირველ ადგილსამყოფელთან ახლოს ცხოვრობდა, კამოს ქუჩაზე, (№ 91, ახლა ეს ქუჩა უზნაძის სახელს ატარებს). მისი ბინის პირდაპირ, მეორე მხარეზე, ლაბორატორია ჰქონდა მოწყობილი. 1950 წლის 9 ივნისს თავის სამუშაო კაბინეტში (ი. ჯავახიშვილის ქ. № 1) ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეზოს უკან, პატარა მოედანზე, ტახტზე უგრძნობლად იწვა და შესაძლებლობა მქონდა მცირედად მაინც მომეხადა ვალი — მედარაჯა მორიგეობით სხვებთან ერთად. მერე მისი ბინის აივნიდან მომესმინა უახლოესი მეგობრის — გიორგი ახვლედიანის მგრძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვა.

ფსიქოლოგიის ზოგადი კურსის რამდენიმე შესავალი ლექცია წაგვიკითხა დიმიტრი უზნაძემ პირველ სემესტრში და სამუდამოდ ჩამებეჭდა მისი ჭროღა, წვრილი თვალების არაორდინარული გამოხედვა, სახით პირდაპირ მზირალს ოდნავ, არა ელამის, არამედ ალმა-

ცერის იერს რომ აძლევდა. მისი, როგორც ლექტორის, ფენომენი ფილოსოფიური მოაზროვნის კატეგორიას განეკუთვნება. ერთი შეხედვით, მუდამ მოუცლელის, ჩაფიქრებულის, დიდი საკვლევი პრობლემებით დატვირთულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მის მიერ დაწყებული კურსი შემდეგ განაგრძო რევაზ ნათაძემ. თვითონ ბატონი დიმიტრი ხანდახან გვესტუმრებოდა პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებზე ლაბორატორიაში, სადაც ამ საქმეს მისი ასისტენტი ბარნაბა ხაჭაპურიძე ხელმძღვანელობდა.

ვისაც **სიმონ ყაუხჩიშვილის** (1895—1981) „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ ათასგვერდიანი I და II ტომის 1949—1950 წლების გამოცემა უნახავს და გაუცნია, დამემოწმება, ეს სახელმძღვანელო ნაყოფია ავტორის პედაგოგიური მუშაობისა, როდესაც უხდებოდა „ლექციების კითხვა ბერძნული ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე, როგორც სპეციალური ისე ზოგადი კურსის („ანტიკური ლიტერატურის ისტორია“, „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“) ფარგლებში“ (პირველი ტომის წინასიტყვაობიდან). ამ „პედაგოგიური მუშაობის“ ბიოგრაფია ჩვენი ინსტიტუტიდან არ დაწყებულა, მაგრამ მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს მაინც შეადგენდა, რადგან პატარა ზომის ბარათებიდან მოტანილი ციტატები მოწმობდა, ყველა ისინი მომავალი წიგნის „საშენი“ მასალა იყო.

ბარათები ვახსენე, გინდა კართოტეკები დავარქვათ, სხვანაირად ეს ბერძნული ტექსტების ავტორისეული თარგმანებიდან ამოწერილი ციტატები იყო. იგი მაგიდაზე ელაგა. მიდი-მოდიოდა მაგიდის ირგელივ, ყვებოდა, მსჯელობდა, ასახელებდა ციფრს და თარიღს, ავტორს და ნაწარმოების სახელწოდებას, ახასიათებდა ეპოქას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების დაპირისპირებებს, და როცა ცხოვრების მთელი ამ მოვლენების ასახვასა და გაგებაში მწერლის როლის გარკვევის საკითხს მიადგებოდა, შეჩერდებოდა წამით, აიღებდა კარტოთეკას, წაიკითხავდა ციტატს, გადასდებდა განზე და კვლავ განაგრძობდა ვიწრო რადიუსში მოძრაობას და თხრობას. მაშასადამე, იშველიებდა მხოლოდ საილუსტრაციოდ, რამდენადაც საქმე შეეხებოდა უცხოურიდან, შორეული, უძველესი ძეგლებიდან ამოკრეფილ თარგმნით ტექსტებს.

აქ ერთმანეთთან შეერთებული იყო ტიტანური შრომა და დიდი პასუხისმგებლობა ლექციის მომზადებისა და ჩატარებისათვის, საბოლოოდ — სახელმძღვანელოს შექმნისათვის. მერედა, როგორ სა-

განში — ანტიკური, ჩვენს ერამდელი, ბერძნული მითოლოგიის და ჰომეროსის დროიდან, ელინისტური და ბიზანტიური პერიოდების ჩათვლით.

გრიგოლ წერეთლის შემდეგ კლასიკურ ფილოლოგიაში სიმონ ყაუხჩიშვილი თავისი შრომისმოყვარეობით შეუდარებელი იყო. იმ დროს, როცა ჩვენთან უხდებოდა სალექციო მუშაობა, შედარებით ახალგაზრდად გამოიყურებოდა: მკვირცხლი, გამჭვირვალე თვალები, მრგვალი, ფაფუკი სახე, ნესტოებთან კოხტად შეკრეჭილი ულვაში, გადავარცხნილი შავი თმები, მოქნილი, მოძრავი, ენერგიული, მსუყედ მოლაპარაკე.

არასოდეს მავიწყდება ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვის დღეს, საჯარო პაექრობის პროცესში, მისი გაცხარებული რეპლიკა არაოფიციალური ოპონენტის გამოხდომაზე, რაც სამეცნიერო საბჭოს სტენოგრაფიული ოქმის 28-ე გვერდზეა ფიქსირებული.

— „მე მინდა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ყურადღება მივაქციო ორ გარემოებას: 1. ჩვენ აქ მოვედით არა იმისთვის, რომ მოვისმინოთ რეცენზია დისერტანტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ შრომებზე. 2. როცა თავმჯდომარე საპასუხო სიტყვის უფლებას მისცემს დისერტანტს, ვთხოვოთ მას უპასუხოს მხოლოდ იმ შენიშვნებს, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომს ეხება“.

ეს გამონათქვამი ისტორიის კუთვნილებაა. კონკრეტულ საგანზე კონკრეტული მსჯელობა ყოველთვის იყო ჭეშმარიტების დადგენის ნაცადი კრიტერიუმი. როცა უნივერსიტეტის მაღალ პიედესტალზე აბდაუბდის აცოცების ნიშნები გაჩნდა, ნამდვილი მეცნიერი წინ აღუდგა მაშინვე და თავისი პროტესტი დაგვიტოვა შეგონებად, შეხსენებად და გაფრთხილებად, რათა გზა გადაკეტოდა მეცნიერული პაექრობის გაყალბების ყოველგვარ ცდებს. სამწუხაროდ, ამგვარი აზრების ყურისმგდები, გამგები და მიმდევარი ცოტა დარჩა.

ამათ გარდა, უნივერსიტეტიდან ჩვენთან მუშაობდნენ და გვასწავლიდნენ: რუსულ ენაში — დიმიტრი მგელაძე, რუსულ ლიტერატურაში — ანა ჩხეიძე, საქართველოს ისტორიაში — სარგის კაკაბაძე, ლიტერატურის თეორიაში — კონსტანტინე კაპანელი, პედაგოგიკაში — შალვა სიხარულიძე და სხვა. რაც შეეხება მაშინდელ მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტეკონომიის ლექტორებს, ისინი ხშირად იცვლებოდნენ,

ამიტომ ვერ ვახერხებ სისწორით აღდგენას და, მგონია, არც არის საჭირო.

სამაგიეროდ, უნივერსიტეტში ჩატარებული შემოქმედებითი საღამოებიდან ზოგიერთის გახსენება კი სრულიადაც არ მიძნელდება. ის ჩვენი მეორე მშობლიური სააღმზრდელო კერა იყო. სადღესასწაულო დემონსტრაციებზე ხომ ყოველთვის უნივერსიტეტელების გვერდით მივსდევდით კოლონებს, ესეც გვაკავშირებდა და გვაახლოებდა.

1936 წლის 19 სექტემბერს მაშინდელ სააქტო კლუბში (ახლა რომ ახალი კლუბის ფოიედ არის გადაქცეული) მოეწყო პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან, როგორც მშვიდობის დაცვის პარიზის მსოფლიო კონგრესის დელეგატთან. აღტაცებული დარბაზი ტაშის გრიალით შეეგება სცენაზე მის გამოჩენას. შალვა რადიანის მოხსენების შემდეგ პოეტს მისასალმებელი სიტყვით მიმართა პროფ. ეუკოლ ბერიძემ. პოეტმა წაიკითხა თავისი საყვარელი „მთაწმინდის მთვარე". დარბაზიდან გამოსულს, მელიქიშვილის ქუჩაზე ამხანაგები მარტოდ მიმავალ პოეტს დიდხანს უკან მივსდევდით.

იმავე წლის 21 ოქტომბერს იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებით საღამოზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა ჩვენმა ლექტორმა კორნელი კეკელიძემ, რომელმაც პოეტი დაახასიათა, როგორც მეცნიერი და მკვლევარი. მ. ზანდუკელი შეეხო გრიშაშვილის ლექსის მხატვრულ თავისებურებებს. „იცოცხლე და იღღეგრძელე, ჩემო სოსო, შენი ნარნარა, შუქმფინარე, მჩქეფარე ლექსებითო". — უთხრა ბოლოს. მომხიბვლელი იყო თვით პოეტის გამოსვლა, ლექსის კითხვის ის ეშხი და ლაზათი, რაც მხოლოდ ი. გრიშაშვილის კუთვნილებად დარჩა. საღამოს მეორე, ე. წ. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობდნენ მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების გამოჩენილი მსახიობები თამარ ჭავჭავაძე, პიერ კობახიძე, ვასო გოძიაშვილი.

რაც შეეხება ჩვენი პროფესიული სპეციალიზაციისა და პედაგოგიზაციის პროცესს, ამ საქმეს ქართულ ენასა და ლიტერატურაში უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ **ვარლამ თოფურია** (1901—1965) და **მიხეილ ზანდუკელი** (1889—1968) — ორივე თავთავიანთი საგნის სწავლების მეთოდიკური სათავეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცალ-ცალკედ, ფილოლოგიური თვალსაზრისით; ორივე დიდი

სპეციალისტი, ორიენ — უპირველესად პედაგოგები ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. მომთხოვნელობა, სიმკაცრე, ობიექტურობა, გულისხმიერება. ამ პრინციპებით აღიზარდნენ ისინი და ამითვე გეზრდიდნენ ჩვენ. ასე იყო შემუშავებული სწავლა-აღზრდის დიდაქტიკური მოძღვრება ანტიკური დროიდან.

განა ამ მოძღვრების ანარეკლად არ მიგეაჩნდა ამ ცოტა ხნის წინათ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ ლეონის მიერ უფლისწულ ჯუმბერის აღზრდაში გამოყენებული სასტიკი მეთოდები ან დაჟით გურამიშვილის სენტენციები: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, „სწავლის ძირი მწარე არის კენწეროში გატკბილდების?“ უგარეყავით თუ უკუვაგდეთ, შეეცვალეთ თუ გავამდიდრეთ? არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ დაეივიწყეთ და განვადიდეთ თანამშრომლობის პედაგოგიკა, როგორც ეითომდა ჰუმანიზაციის ღეთით მოვლენილი მანათობელი მზე. სინამდვილეში ყალბად გაგებული ჰუმანიზაცია გზას უხსნის ლიბერალიზმს, ეს უკანასკნელი — მცონარობას, საბოლოოდ — საგნის და საქმის დაკნინებას, ქეეყნის დაქცევას.

როგორც ბატონი ვარლამი, ისე ბატონი მიხეილიც გულს აქსოვდნენ სტუდენტებთან მუშაობაში, მონდომების მცირედსაც დაგიფასებდნენ, მაგრამ შინაგან მრწამსს არ ღალატობდნენ, არ გაპატიებდნენ უნარის, შესაძლებლობის და შექმნილი პირობების გამოუყენებლობას, სიზანტეს და ფუქსავატობას, თითქოს მათი სასწორი საბჭოური არ ყოფილიყო. იყო, მაგრამ ჯერ კიდევ აღმავალი, აღმშენებლობითი, წინსვლითი, როცა ხარისხის კოეფიციენტი წინ უსწრებდა რაოდენობის დეფიციტს.

საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ვ. თოფურიასათვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო ცარცით ხელში დაფასთან პირისპირ დგომა. ლექციის პროცესში მას მხოლოდ იმ მცირე მანძილის დაფარვა უხდებოდა, რაც მაგიდასა და დაფას შორის არსებობდა. ჩეევად ჰქონდა შუბლზე ჩამოყრილი თავისი გრძელი თეთრი თმების მარჯვენა ხელის არა დასერილი თითებით, არამედ მაჯის მტევნით ან მკლავის მოშველიებით ზევით აწევა, სათვალეებიდან კითხვის მოგებით გადმოხედვა, დაფაზე დაწერილს ყველა ხედავს თუ არაო. მისი კალიგრაფია ხომ გამორჩეულად ლამაზი იყო, და მაინც სიფრთხილეს იჩენდა, ცარცის ეფექტს ამოწმებდა.

ნეტავ არ დაგძინებოდა,
ჩიტო, ნიბლიავ, ნარზედა.
ჩამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღალ მთაზედა.

ასეთი პოეტური წინადადება ხშირად იყო მისთვის მორფოლოგიურ-სინტაქსური გარჩევის, პრაქტიკული საჩვენებელი ვარჯიშის წყარო და საფუძველი. მოწინავე სტუდენტებზე დაყრდნობით ჯგუფის საერთო აკადემიური მომზადების ამაღლება. — ასეთი იყო ძირითად ასპექტში ვ. თოფურიას ლექტორული გამოცდილებიდან გამომდინარე ის დასკვნა, რომელიც მაშინ გვქონდა შემუშავებული.

სულ სხვანაირად გამოიყურებოდა მ. ზანდუკელის, როგორც ლექტორის, ჩვენა-მანერა. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლექციების ჩატარების დროს ის განუწყვეტლივ მოძრაობდა, დადიოდა ოთახის ერთი კედლიდან მეორისკენ, მერხებს შორის წინ და უკან, ზოგჯერ მაგიდასთან შეჩერდებოდა, ლაპარაკის შეუსვენებლივ განგრძობით გადახედავდა მსმენელებს — და ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მის წერილ ხმას საიდანღაც დისონანსად ჩუმი, მაგრამ თავისთავად უცნაური ჩოჩქოლ-ხორხოცი შეერთოდა. უცნაური — ე. ი. შეუთავსებელი, მოუთმენელი, აუტანელი. და უმალ გაისმოდა სიტყვები: „ყმაწვილო, შეგიძლიათ გარეთ განაგრძოთ". და ისევ გრძელდებოდა მოძრაობაც და ლექციაც.

ჩვენდა გასაკვირად, ის ყმაწვილი, რომლის გვარი ან სახელი არ ცხადდებოდა, უსიტყვოდ გადიოდა ოთახიდან. თქვენ გამოცანად მოგეჩვენებათ — როგორ შეიცნო, როგორ აღმოჩნდა პროფესორის ერთი ფრაზა ზუსტად ადრესირებული უკანა მერხის შუა წერტილის მიმართ? სწორედ მოძრაობა იყო მისთვის ის ხერხი თუ საშუალება, რომლითაც ჩვენდა შეუმჩნეველად აგნებდა ხელშემშლელ „კერას", აგნებდა, მერე დროს აძლევდა თვით „ჩაექრო", თვით ჩაეცხრო ღინციალი. ამიტომაც ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებზე მსჯელობისას, თითქოს არც კი აქცევს ყურადღებასო, განზრახ განზე, ირიბულად ფანჯრებისკენ იცქირებოდა. და როცა ასეთი ლმობიერი ღონისძიება ვერ აღწევდა მიზანს, როცა ხელშემშლა კვლავ მეორდებოდა, მაშინ მაგიდიდან, ცენტრიდან პირდაპირ მიპყრობილი მზერა და მკაცრი ტონით ნათქვამი სიტყვა „ყმაწვილო", როგორც დაღნა-

ხეთ, აუცდენლად ხვდებოდა „სამიზნეს“. დამნაშავე დგებოდა და არა სხვა ვინმე. ეს არ არის წვრილმანი.

მოტანილი შტრიხული მაგალითი მაღალი პედაგოგიური პროფესიონალიზმის ის დეტალია, რომელიც მ. ზანდუკელს მოყვებოდა თბილისის პირველი სანიმუშო სკოლიდან, სადაც 20-იან წლებში გამგე-დირექტორად მუშაობდა. მისი შეგირდები ახლაც სიყვარულით იხსენებენ ამგვარ დეტალებს, „ზანდუკელის სკოლისთვის“ დამახასიათებელ ნიუანსებს — როგორ გაეკრებოდნენ კედლებს დერეფანში დირექტორის გამოჩენისას. სწავლებაში და აღზრდაში სწორედ უარყოფით დეტალებსა და ნიუანსებში წვდომა, მათი დროულად აღმოფხვრაა წარმატების საწინდარი. ხანძარი ხომ სულ პირველად კვესის ან ასანთის უმცირესი ნაპერწკლიდან ჩნდება.

სამაგიეროდ, პედაგოგიურ პრაქტიკაზე სავალდებულო საცდელი გაკვეთილის გარჩევა-შეფასებისას (პრაქტიკას გავდიოდით საბაზო სკოლაში, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო ვერეს აბანოსთან, ამჟამად არსებული სამხატვრო ტექნიკუმის შენობაში) შეაქო იგივე ხუსკივაძე თემის ახსნის დროს მოსწავლეთა ყურადღებისადმი კონტროლის, ამ აუცილებელი ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებისათვის და მთელი ჯგუფის გასაგონად თქვა:

ფილოსოფოსი პლატონი ამბობდა: თუ მეწაღე ცუდი გამოდგება და თავის მოწაფეს ისევე ცუდად აღზრდის, როგორც თვითონ არის, თუ ის თავისთავს მეწაღეს დაუძახებს მაშინ, როდესაც ამ ხელობაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს, სახელმწიფოს ამით დიდი ზარალი არ მოუვა. ათინელებს ფეხებზე ცოტა ცუდად ეცმევათ. — აი, ამის ერთადერთი შედეგი. მაგრამ თუ ახალგაზრდობის აღმზრდელები მხოლოდ სახელით იქნებიან ასეთები, თუ ისინი ცუდად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაშინ შედეგები სულ სხვანაირი აღმოჩნდება. იმათი ხელიდან გამოსული ცუდი შრომა მისცემს სახელმწიფოს უმეცარსა და მავნე თაობებს, რომელნიც თავიანთი ქვეყნის მომავალს დაღუპავენო. ეცადეთ, არ დაღუპოთ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს მომავალი.

რა თბილი, ჰკუის სასწავლი, შთამაგონებელი დარიგება იყო!

ზემოთ ასისტენტი ვახსენე. მეორე სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, უფრო ზუსტად, 1937 წლის თებერვლიდან იგი ვ. თოფურიას მართლაც გვერდში ედგა ყოველთვის და მისებრ პუნქტუალობით ატარებდა ქართული ენის სავარჯიშოებს ზეპირად დაფასთან და

ყოველკვირეულად საკონტროლო წერითი მუშაობის სახით. ამ მძიმე, შრომატევად საქმეს უძღვებოდა იმ ხანებში ლექტორთა შორის შედარებით ყველაზე ახალგაზრდა **ივანე გიგინეიშვილი** (1909—1982), რომელიც მომთხოვნელობით და საგნის ღრმა ცოდნით ხასიათდებოდა.

უცნაურად მოგეჩვენებათ, მაგრამ მის მოწვევაში უნებურად მცირე წვლილი მე და ჩემს თანაკურსელ გერგეში ცხადაძეს მიგვიძღვის. ორივე ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში ვცხოვრობდით და, ორივეს ხელმოწერით გაზეთ „კომუნისტურ განათლებაში“ დროგამოშვებით (იხ. 1936, № 48, 50 და სხვ.) იბეჭდებოდა ჩვენი კორესპონდენციები ინსტიტუტის ცხოვრებიდან. რატომ მაინც და მაინც მასთან შეერთებულად მიხდებოდა ხსენებულ გაზეთში თანამშრომლობა? ოთახში ხომ სხვა თანაკურსელებიც ცხოვრობდნენ?! ეჰ, ეს ამბავი ცოტათი სასაცილოს ჰგავს, მაგრამ, ეფიქრობ, გარკვეული აზრი მოეპოვება.

გაგონილი გექნებათ გლახა ჯრიაშვილის ნაამბობი. ოდნავ ფერშეცვლით თუ ვიტყვით, მაგალითად: აი, იმ ძველ დროსაო, სტახანოვური მოძრაობა რომ ჰყვაოდაო, მიძღვნითი ლექსები გაზეთების ფურცლებზე შადრევნებივით რომ ჩქეფდაო, სისხლის წვიმები რომ დგებოდაო, სწორედ იმ დროს ჯომკაშირის სრულიად საკავშირო მე-10 ყრილობის დელეგატად არჩეული იყო აჭარაში მცხოვრები ბერძენი გოგონა — მარიამ ფუნდიკიდი, რომლის შრომით გმირობაზე მაშინდელ ქართულ პრესაში სურათებთან ერთად ბევრი მასალა იბეჭდებოდა. საღამოს პოპულარული გაზეთ „მუშის“ რედაქციას როგორც იქნა, მივაგენი ყოფილი კომუნარების ბაღის. ერთ კიდესთან.

ოთახში რომ შევედი, ისეთი სივიწროვე დამხვდა, მაგიდებს შორის გასასვლელი ძლივს ვიპოვე. ლექსი დაუდევი წინა მაგიდაზე უცნობს, დახედა და ხელით მანიშნა — ჩემი ზურგის უკანა მაგიდასთან მიდიო, იმ უკანამ კიდევ უხმოდ უკანისკენ მიმითითა, ასე მივაღწიე თითქმის ბოლომდე, სადაც პატარა მაგიდასთან იჯდა თავდახრილი კაცი, რომელიც გამალებით წერდა. თავზე რომ დავადექი, ამოხედვა არ დასჭირვებია, მხრებით მხრებს ეუსწორდებოდით. ჩემებრ დაბალი ტანის გახლდათ, მაგრამ მსხვილი, დახედა ჩემ მიერ მორიდებით მიწოდებულ ფურცელს, სათვალე შეისწორა, კიდევ დახედა და ხელით მანიშნა — დატოვეო.

სულ რაღაც სამი თუ ოთხი დღე იყო გასული. ღამის 11 საათი იქნებოდა. მესამე სართულის საცხოვრებელ ოთახში ჩამოკიდულ ელექტრო ნათურას გაზეთი აქვს შემოხვეული. ზოგი ისევ ზის და კითხულობს, უმეტესობა დაწოლილია. ამ დროს ყვირილით შემოვარდა აპოლონ როგავა, შედგა სკამზე, გაზეთის ფურცლები ააშრიალა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— აბა, ყური ღამიგდეთ, ხმა და კრინტი! ეკითხულობ: — მარიამ ფუნდიკიდის: ჩაის ბუჩქს რომ ჩაუარე მკლავმარდმა, ვსთქვი — ზღვის ტალღა სიხარულად მოგორავს. გამოგზარდა მშობელ ქვეყნის ამაგმა კომკავშირელ სტახანოველ გოგონად... განაგრძობს კითხვას აპოლონი, ლოგინებიდან კი ყვირიან: ვინ არის ავტორი, ვისია. მაგრამ აპოლონი არ ამხელს, მე კი შემკრთალივით საბანში ჩამალული და გატრუნული ვუსმენ და ვფიქრობ: ნუთუ?! ასე უცებ? ასე ჩქარა? კითხვა გრძელდება უკანასკნელი აკორდით: რომ შეგხედავ — ხალისის ღიმს შეგატყობ, სასახელო შესძელ შრომის გმირობა. მიხარიან ერთად რომ ედელეგატობთ ჩვენს გამომზრდელ კომკავშირის ყრილობას. აკაკი თოფურია, გაზეთი „მუშა“, 1936 წელი, 10 მარტი, № 57. — თქვა ბოლოს აპოლონმა და სკამიდან ჩამოვიდა.

თითქოს წყალი გადაესხათო, ყელში თითქოს ხმა ჩაუწყდათო, უცებ გაინაბნენ ყველანი და მხოლოდ გერვასი იყო პირველი, რომელიც წამოხტა თავისი ლოგინიდან, გადამხადა საბანი, გამომათრია ცენტრში და მათ დასანახად გადამკოცნა, გადამეხვია, შემანჯღრია და მითხრა: ეს ერთი და სხვა მრავალიო. გულწრფელი იყო ეს მოლოცვა. და სწორედ გულწრფელობა დაედო საფუძვლად ჩვენს ურთიერთობას. კრებებზე მგზნებარე გამოსვლა იცოდა, მე წერაში ვჯობნიდი. ერთმანეთს ვუგებდით და ვეხმარებოდით. მხოლოდ მას გაეანდე მაშინ და ახლა თქვენც გაგიმხელთ.

ის უცნობი კაცი, გაზეთ „მუშის“ რედაქციაში რომ მუშაობდა, ელვისებურად ფრთა რომ შემასხა პოეზიის ზეცაში ვითომდა საფრენად (რაღაც შეატყო, ალბათ, ლექსს, მაგრამ რა მისი ბრალია, იმედი თუ ვერ გაუმართლე), იყო პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, ფარსადანის ფსევდონიმით ცნობილი იუმორისტი **სიკო ფაშალიშვილი**. (1894—1970). იყვნენ უბრალო, უპრეტენზიო, მოვალეობის კეთილსინდისიერად შემსრულებელი ასეთი ადამიანები! მათი ცხონებისა იყო ეს მცირე გახსენება!

და. აი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში გამოცდების დამ-

თავრების შემდეგ ე. თოფურიამ დაგვტოვა მე და გერვასი და გვითხრა:

— თქვენი წერილი შეეუტანე დირექტორს (მაშინ გერმანე დოლიძე იყო). პრაქტიკუმების ჩასატარებლად ასისტენტის შტატს ადრეც ვითხოვდი, მაგრამ ყველაფრის გაკეთება ერთბაშად ვერ მოხერხდა. თან ხელმძღვანელობა ხშირად იცვლებოდა. წაიკითხა თუ არა, უმალ დამრთო ნება ასისტენტის მოსაწვევად. ნახავთ როგორი საინტერესო მუშაობა გაჩაღდება წერითი მეტყველების კულტურის ასამაღლებლად. კათედრის სახელით მადლობას გიცხადებთ (ლაპარაკია ქართული ენის კათედრაზე, რომელსაც ე. თოფურია განაგებდა).

და მართლაც, ი. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული სტუდენტთა საკონტროლო წერით ნაშრომებში დაშვებული შეცდომების კლასიფიკაცია და მათი ანალიზი მეორე თაეისებური სკოლა იყო ჩვენთვის. ამასთან დაკავშირებით, რეაგირების ოპერატიულობისა და ჩვენი მაშინდელი კრიტიკული პოზიციის ნათელყოფისათვის, ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს მცირედი შემოკლებით იმ კორესპონდენციის მთლიანი ტექსტის მოტანა, რომლის სათაური იყო „კურიოზები ქართული ენის სწავლებაში“.

...„ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოწაფეები ვერ ახერხებენ სწორ, გამართულ მეტყველებას და ლიტერატურული ენით წერას. განსაკუთრებით ორთოგრაფიის საკითხი არის ძალზედ ჩამორჩენილი. ჩვენი სკოლის მოწაფეები სულ მცირე ნაწერში რამდენიმე შეცდომას უშვებენ. ეს შეცდომები საკმაოდ სტილისტურ-სინტაქსური ხასიათისაა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ აუცილებელია ენის სწავლების საქმეში წერით მუშაობას საკმაო ყურადღება მიექცეს. წერითი .გაკვეთილების საკითხი თბილისის არც სამასწავლებლო ინსტიტუტში არის სწორად დაყენებული. ლიტერატურის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტების საკონტროლო ნაწერებში აღმაშფოთებელ კურიოზებს შეეხვედით. სტუდენტები ვერ ახერხებენ აზრის გადმოცემას მოკლედ, ნათლად ჩამოსხმულ წინადადებებში. უშვებენ სხვადასხვა უხეშ შეცდომას.

აი, მაგალითად, როგორ წერს სამასწავლებლო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი: „ლუარსაბ თათქარიძეს ცხოვრებისათვის გეგმა არ ჰქონდა შედგენილი“. ან „სიფრთხილე იყო საჭირო, სახლში შესვლისთანავე აგურაცვენილ ჭერზე ფეხი არ მოეტეხა“! განა შესაძლებელია ჭერზე ფეხის მოტეხვა? ან რა აზრი აქვს ასეთ წინადადებას: „ლუარსაბი სასუქს (!) მოგვაგონებს“, „ჰზარეულად დამზადებულ ჰამზე (!) ზრუნვა“. „მუდამ მუცელი ახსოვს!, რომელსაც ყოველდღე უნდა ჩაეყაროს“, „ლუარსაბს ტიკვასავით (!) დამორილი ხელები ჰქონდა“.

ზოგიერთი სტუდენტი ლიტერატურის უცოდინარობასაც ამჟღავნებს, მაგ. სტუდენტი ნ. შ. სწერს: „ილია ჭავჭავაძე ხალხოსნების იდეის მატარებელი იყო“.

ზოგს შემოაქვს არასალიტერატურო ჭართული. ტახტის ნაცვლად სწერს „კრაოტს“, ღაბაბის ნაცვლად „ყაყატოს“ და სხვ. ზოგი ვერ სწერს სიტყვას გამართულად. ხშირად გამოტოვებულია რომელიმე ასო. ხშირად შეხედებით ნაწერში „ღობებს“, „გადარჩინოს“, „ისტორის“, „დეგრადაცის“, „ბრწეული“, „მისთაგან“ და სხვ.

რით უნდა აიხსნას ყოველივე ეს? დღემდე სამასწავლებლო ინსტიტუტს ენლიტის ფაკულტეტზე სუსტად არის დაყენებული წერითი მუშაობა. გასულ წელს (ისიც წლის ბოლოს) მხოლოდ ერთხელ იქნა ჩატარებული წერითი გაკვეთილი. წელსაც ერთჯერ ჩატარდა. ცხადია, ასეთი მუშაობა ვერ წასწევს წინ ენის სწავლების საქმეს. საჭიროა გადიდდეს წერითი საათების რაოდენობა და სხვა ღონისძიებების გატარებაც. აკაკი თოფურია, გერვასი ცხადაძე“. („კომუნისტური განათლება“, 1936, 24 დეკემბერი № 55).

ახლა რომ ვკითხულობ წიგნის პალატის ფოლიანტებიდან გადმოწერილ ამ ტექსტს, ყურის ბიბილოები მიწითლდება ლექსიკური სიღარიბისა და უნიათო სტილისათვის, მაგრამ გაბედულება? მიკვირს იმ უცნაურ, თითქოს არეულ-დარეულ დროში როგორ არ დაგვიშვირეს და არ მოგვნათლეს ცილისმწამებლებად. განა შეიძლებოდა საბჭოთა სკოლაში ასეთი კურიოზები მომხდარიყო? ეს ხომ ლაყბობაა საბჭოთა სისტემის მიმართ?! ხომ იყო სავარაუდო ასეთი აბლაბუდის წარმოსახვა! დღევანდელი პრესის საინფორმაციო წყაროები მართლა იძლევა ასეთი ფიქრის საფუძველს. მაშინ კი აზრადაც არ მოგვსვლია და არც არავის დაუსვამს ამგვარი კითხვები, არც არავის მიუცია რაიმე პოლიტიკური შეფასება ჩვენი კრიტიკული შენიშვნებისათვის.

პირიქით, როგორც მოგახსენეთ, დირექციაც და შესაბამისი კათედრაც საქმიანად გამოეხმაურა და გამოსწორდა კიდეც არსებული ხარვეზი. იმდროინდელი პრესა გაჟღენთილი იყო კრიტიკული სიმძაფრით და სიმახვილით, რაც საზოგადოებას განაწყობდა ცალკეულ უბნებში ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ერთიანი ბრძოლისკენ. მაგრამ იყო ცილისმწამებლური პროვოკაციების უამრავი ცდებიც და მაგალითებიც.

ამ გაგებით, აქ გაკვრით უნდა აღვნიშნო, 1935—1937 წლები გლობალური მასშტაბით ჩვენი წარსულის უაღრესად წინააღმდეგობრივი, ურთულესი და უმძიმესი მონაკვეთია. მისი იზოლირება არ შეიძლება ამაევე წლების საშინაო და საგარეო ხასიათის ასევე გლობალური ასპექტებისგან. ქვეყნის გარეთ იგი ემთხვევა ახალი მსოფლიო ომის მომასწავებელი ფაშისტური ტირანიის აღზევებულად მძვინვარების ხანას, როცა გერმანიის გვერდით ესპანეთში დატრია-

ლებული ამბები ძალაუნებურად იპყრობდა ცივილიზებული საზოგადოებრიობის აზრსა და გულისყურს, როცა მადრიდის დაბომბვის საშინელება აღიქმებოდა, როგორც ადამიანის თავისუფლების დათრგუნვის ემბლემა და ესპანეთის ხსნისთვის მებრძოლთა ინტერნაციონალურ რიგებში ჩადგომა მიჩნეული იყო უდიდეს და უდიადეს საქმედ. სწორედ ამ თემას ეძღვნებოდა ჰემინგუეის ნაწარმოები „მშვიდობით, იარაღო“. ამ დროს გამოქვეყნდა მადრიდზე პოეტი ქალის მარიკა მიქელაძის მომწოდებელი ექსპრესიული ლექსი, რომელიც გამოირჩეოდა პათოსის მგზნებარებით და მრისხანების აღტყინებით. იგი, თუ არ ვცდები, იწყებოდა სტრიქონებით:

წამოვიდა ციდან წვიმა, წამოვიდა ჟღალი,
წამოვიდა უუმბარები, როგორც ქარიშხალი.

მაშასადამე, იყო საბრძოლო განწყობილების მობილიზების ბაზა და საფუძველი.

ქვეყნის შიგნით ეს ხანა სავსე იყო დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ტრაგიკული მოვლენებით. დროის ერთდაიმაე კატაკლიზმურ მონაკვეთში თავბრუდამხვევ წარმატებებს თან ახლდა პრესის მეშვეობით საჯარო სასამართლო პროცესების გამაბრუებელი დემონსტრირება. ხასანის ტბასთან წითელი არმიის მიერ იაპონელი სამურაების განადგურების ტრადიციული ფესვები ადვილად შეგეძლო დაგეძებნა ჰეროიკულ კინო ფილმში „ჩაპაევი“ და ნ. ოსტროვსკის გახმაურებულ ნაწარმოებში — „როგორ იწრთობდა ფოლადი“. ამით სამოქალაქო ომიდან ამოფრქვეული ძლევამოსილება წითელ არმიას ხალხის თვალში ქვეყნის საზღვრების დამცველის ლეგენდარული სახელით მოსავდა.

ახლა აიღეთ ჩრდილოეთის პოლუსზე ამ დროს მომხდარი უჩვეულო გაფრენები, ანტარქტიკის დაპყრობის ეპოპეა, შორეული აღმოსავლეთის გრანდიოზული მშენებლობები, მამაცობისა და შრომითი გმირობის, როგორც მაშინ აღიქმებოდა, „წარმტაცი“ მაგალითები დონბასელი ალექსი სტახანოვის და ტყიბულელი ვასილ სამხარაძის, უკრაინელი პაშა ანგელინას და მფრინავი ქართველი ქალის რუსუდან ჟორდანიას ცხოვრებიდან, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მოწყობა მოსკოვში, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი

არჩევნებისათვის გაშლილი პოლიტიკური კამპანია თავისი სააგიტაციო პომპეზურობით, რუსთაველის 750 წლისთავის და ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის იუბილეების ჩატარება და სხვა მრავალი ასეთი ფაქტი.

გაზეთ „კომუნისტური განათლების“ 1937 წლის 6 მაისის ნომერში საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან ასეთ ადგილს რომ წავიკითხავდით: „სტალინი ბელადია და მხატვარი უდიადესი, ხარტიით გაადიადა გზა ნაშედი და ხათესი.“ — თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენო, გიორგი ლეონიძე „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებიდან (1937, 22. IV, № 92) გულში შთამბეჭდავად რომ გვინერგავდა: „მონობა კიდევ დიდია, შურისძიება მტანჯავი; სტალინის სახე ჰკიდია ქოხებში როგორც ხანჯალი.“ — რაზე უნდა გვეფიქრა მაშინ, ამ პოეტების ორპირობაზე?

ან გაზეთ „მუშის“ 1936 წლის 5 მაისის ნომერში ნ. კრუპსკაიას სტატიას, შინაარსს თავი დავანებოთ, ასეთი სათაური რომ ექნებოდა: „ლენინისაგან და სტალინისაგან უნდა ვისწავლოთ ადამიანზე ზრუნვა“, ხოლო იმავე „მუშის“ იმავე წლის 10 დეკემბრის ნომერში ორდენოსანი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი ასეთი შეფასებით რომ გვარწმუნებდა: „სტალინური კონსტიტუცია დამტკიცდა. ამიერიდან იგი საძირკვლად დაედო ჩვენს ცხოვრებას, რომელიც უფრო მეტად და შარავანდედით შეიმოსება. სოციალიზმის გამარჯვება მკვეთრად ასახულია კონსტიტუციაში.“ — გეკითხებით, იმ დროის სტუდენტობას მიტინგები მოგვეწყო ქუჩებში და ნ. კრუპსკაია და მ. ჯავახიშვილი გველანძღა?! პოეტები და მწერლები ჩვენი იმედის და რწმენის, ჩვენი სულიერი ზრდის წყაროები იყვნენ.

ყველაფერი, რაც ზემოთ გაკვრით მოგახსენეთ, ისე იყო ჩახლართული ერთმანეთში, ისე ენასკვნებოდა და ერთვოდა რეპრესიების გაუგონარ ნიაღვარს, მისი ნალექი მაშინ ზედაპირზე თითქოს ქვიშაში ჩაღვრილი წყალივით უჩინარდებოდა. იგი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ფარულ შრეებში სადღაც ოსტატური პარადოქსულობით მიედინებოდა უფსკრულის ქანებისკენ და მხოლოდ იმან იცოდა მისი უკანასკნელი ზღვარი, ვისაც ამ მექანიზმის პირველშემქმნელის ჯადოსაიდუმლო ებარა. აი, ეს არის, ჩემი აზრით, 1935—1937 წლების, ამ კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის დღემდე შეუცნობელი დილემა. ამიტომაც რჩება იგი დღემდე, თითქოსდა, ეპოქა — სფინქსად. (ვრცლად მესამე ნაწილში).

რომ იმ მტკივნეულმა ამბებმა ქვეყანას მართლა ჭარიშხალივით თუ ნიაღვარივით გადაუარა, ამას ჩვენი ინსტიტუტის ცხოვრების მაშინდელი მაგალითიც მოწმობდა. კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნად სიფხიზლის ამაღლებისათვის მოხსნილის ნაცვლად 1937 წლის მარტის ბოლოს ჰიათურიდან ჩამოყვანილი, როგორც კრებაზე გვითხრეს, აქტიური მუშა კომკავშირელი დაგვინიშნეს (მუშის ტანისამოსში კი იყო მართლა გამოწყობილი). მან ერთი კრების ჩატარება და ტროცკისტების, როგორც მაშინ ამბობდნენ, ერთი ბანდის: ზინოვიევის, კამენევის და სხვათა წყევლა-კრულვაც მოასწრო. აპრილის ბოლოსთვის უკვე აღარ იყო. როგორც მოიყვანეს, ისევე მოულოდნელად — დაიჭირესო, ხმა გავრცელდა. ეჩვის არ აუხსნია, რისთვის ან რატომ. და ეჩვ არავის სასწავლო მეცადინეობის რიტმი ამის გამო არა თუ არ დაურღვევია, სტუდენტური ცხოვრების მსვლელობა ოდნავადაც არავის შეუცვლია. ადამიანი ხომ მხოლოდ იმას ხედავს, რაც მის გარშემო ხდება. იგი ხომ თავის განწყობა-შეხედულებებს საკუთარი თვალით დანახული საგნების შთაბეჭდილებებზე აგებს. მოდით, ყოფიერებიდან დავიწყოთ, როგორც ცნობიერების ბაზისიდან.

სტიპენდიას რომ ავიღებდით, მაშინვე იქვე ახლო სასადილო სარდაფში ჩაედიოდით ამხანაგები. ე. წ. გერმანული ანგარიშით (პონემეცკი შჩოტ) და თითო ლუდს ვაყოლებდით ჩანახს, რაც სულ პურიანად თითოეულს 37—40 კაპიკი გვიჯდებოდა. თუ გიორგი ნაფეტვარიძე გაერეოდა ჩვენ წრეში, მაშინ ის გვპატიჟებდა და გერმანული წესი ირღვეოდა. სამსახურით თავს გვარიანად ირჩენდა და ხანდახან ჩვენც გეშველოდა. ამიტომ სტიპენდია გვყოფნიდა კვებისა და კულტურული დასვენება-გართობისათვის. ჩვენ არ ვიცოდით რა იყო იმპორტული „ჯინსი“, მაგრამ სამამულო ნაწარმით — კალოში იყო თუ ქუდი, ფეხსაცმელი თუ პალტო — კმაყოფილი კი ვიყავით. ეს არ არის არც სიღარიბის და არც სიმდიდრის იდეალიზება, უბრალოდ იმ ცხოვრების გახსენებაა, როგორიც იყო. შეუჩვეველს შეჩვეული ჭირი სჯობიაო, და...

პურის საბარათო სისტემა, ტალონები, მიმაგრებები და სხვა ასეთები თბილისში ჩემი სწავლის დროისათვის ორი წლით ადრე იყო გაუქმებული. სურსათ-სანოვაგე მაღაზიებში თავისუფლად, ყოველგვარი რიგის გარეშე იყიდებოდა. მაღალცხიმიანი პირველი ხარისხის კარაქის ღირებულება არ აღემატებოდა მანეთსა და 20 კაპიკს, მესა-

მე ხარისხისა — 90-ს. პური 4 კაპ. ღირდა, ლუდი 8. ინსტიტუტს თავისი ბუფეტი ჰქონდა, როგორც ყოფილ კამოს ქუჩაზე, ისე ახალი კორპუსის პირველ სართულზე.

განსაკუთრებით საგულისხმო იყო დეკანატის ზრუნვა კინო-თეატრებში კოლექტიური სელების, ექსკურსიების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში. ჩვენ არ ვტოვებდით უნახავად რუსთაველისა და მარჯანიშვილის, ოპერისა და ბალეტის თეატრების საუკეთესო სპექტაკლებს. თქვენი გემოვნება არ ვიცი და ჩვენ კი მაშინ ძალიან მოგვწონდა აკაკი ხორავას მიერ განსახიერებული ოტელო, სპარტაკ ბალაშვილის — არსენა (მ. ჭიაურელის კინოფილმიდან), აკაკი ვასაძის — იაგო, ვერიკო ანჯაფარიძის — დეზდემონა, ივდითი, ვასო გოძიაშვილის — ლუარსაბი (შ. დადიანის „ჩეტეხილი ხიდიდან"), თამარ ციციშვილის — დარიკო (ანალოგიური სახელწოდების კინოფილმიდან) და სხვა. მაშინდელი პრესის საერთო აღიარებით, 1935—1937 წლები ქართული თეატრალური კოლექტივების შემოქმედებითი განვითარების, აღმავლობის ხანად ითვლებოდა.

...სადღაა ის საბურთაო ველ-მინდორი, ის ცარიელი, ხრიოკი პლატო, ის ვიწრო ბილიკები? ნახევარ საუკუნეში გაშენდა მთელი ახალი რაიონი, საბურთალოდ წოდებული, თავისი ინდუსტრიული „ცათამბჯენებით", სასახლეებით და საწარმოებით. ჩემი თაობა ამ აღმშენებლობის საწყის ეტაპზე ფიზიკურად უშუალოდ მონაწილეობდა მისი საძირკვლის ჩაყრაში. სტუდენტები რაზმებად გავყავდით ახლანდელ გმირთა მოედნის მიდამოებში და გორაკების აფეთქებებისგან მოზღვავებულ ქვა-ღორღებს ვწმენდდით. აქედან იწყებოდა მომავალი დიდი საბურთალოს ჰიშკარი.

ლიტერატურული ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, მწერალთა შუზეუმი ერთხანს მთაწმინდის ეკლესიაში იყო შეხიზნული. დეკანის მოადგილემ, ე. კაკაბაძემ, იქ რომ მიგვიყვანა, ჯერ მთაწმინდის სერებზე გვატარა, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის — „შემოღამება მთაწმინდაზე" შემოქმედებითი ბიოგრაფია გაგვაცნო, გადაგვახედა მთელ თბილისზე და მიგვანიშნა იმ უბნისკენ, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა პოეტი, მერე ქვაშვეთთან ახლოს იმ შენობისკენ მიგვახედა, სადაც იგი სწავლობდა და ყოველივე ამით პირველად გადაგვიშალა ლექსში პიროვნულისა და კაცობრიულის ოსტატური შერწყმის ჩვენთვის მანამდე უცნობი სამყარო.

მაგრამ რამდენადაც ეს სამყარო თავისი იდუმალებით ჭეეცნობი-

ერად ჩვენთვის მაინც არც ისე გასაგები და მისაწვდომი იყო, იმდენად გასახარელი და შთამბეჭდავი იყო თვით მუზეუმის ვიწრო ოთახებში გამოფენილი ქართველ მწერალთა ექსპონატების დათვალიერება, ის საუბარი, რაც ამ ექსპონატების გარშემო მუზეუმის დირექტორმა, პოეტმა და მკვლევარმა **გიორგი ლეონიძემ** ჩაგვიტარა. იმ ხანებში ყველას, რომ იტყვიან, პირზე გვეკერა მისი ლექსიდან ერთი ასეთი ადგილი:

შენ დაეცი ფოთოლივით
და მთასავით წამოდექი.

და, აი, ბედნიერება! ავტორის ნახვა, მისი ბუბუნა ხმის გაგონება, მისი გულთბილი მიღება და ოთახიდან ოთახში ექსკურსიამძღოლივით ტარება. თან უხაროდა, რომ ახალგახსნილი პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგი სტუდენტები ვეწვიეთ.

— ნიკო, ნიკო, გამოდი აქეთ. — გასძახა უცებ ვიღაცას. ოთახიდან გამოვიდა ჩვენი ნაცნობი დაბალი, ჩამრგვალებული ტანის ლექტორი, რომელიც თურმე აქ მუშაობდა. სწორედ ის — საშუალო საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურას რომ გვიკითხავდა, ნიკო ურუშაძე (ეს ერთადერთი არა უნივერსიტეტელი ლექტორი იყო). მოგვესალმა თუ არა, პოეტმა უთხრა: — აბა, გაუძეხი ახლა შენს სტუდენტებს, აჩვენე რაც კარგი და მოსაწონი გვაქვსო. მას შემდეგ, რაც მთაწმინდიდან იმავე გიორგი ლეონიძის თაოსნობით მწერალთა მუზეუმი ჯორჯიაშვილის ქ. № 8-ში გაფართოებულ ბინაში გადავიდა, პოეტი-აკადემიკოსი დიდხანს მეთაურობდა მას. ვანო კაკაბაძემ იგი ჯერ კიდევ სიკვდილამდე (1966) შეცვალა და ასევე დიდხანს ხელმძღვანელობდა გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს.

გერვასი ცხადაძის თანადგომით მეტწილად მწერალთა სასახლე'ში დავდიოდი. ვინ არ იცნობს ამ სასახლის ისტორიას, ნიკა ბგიაშვილის მშვენიერ ჩანაწერებს როგორ შეეცილები. განმეორება რომ არ გამომივიდეს, აქედან ორი მომენტი მიმაჩნია ყურადსაღებად.

რაჟდენ გვეტაძის „ლაშაური საღამოების“ განხილვის დროს, 1936 წელს, პირველად მწერალთა სასახლეში გაისმა მირზა გელოვანის სახელი. განხილვა ორ საღამოს გრძელდებოდა. დიდი ინტერესი გამოიწვია ნაწარმოებში შეტანილმა ანონიმურმა სტროფმა:

დედამიწა შეიმოსა თეთრი სამოსელით,
თეთრ კარავებს დაემსგავსნენ ატეხილი მთები.
მახსოვს შენი გუნდაობა უხელთათმნო ხელით,
ახლაც მახსოვს შენი სახე, ახლაც მაგონდები.

— ეს სტროფი საოცრად ორიგინალურია და შენს არც ერთ პოეტურ და პროზაულ სტილს არ ესადაგება. რაჟდენ ბატონო, ხომ არ ინებებთ აგვიხსნათ საიდუმლო, საიდან გაჩნდა იგი თქვენი გმირის დღიურებში? — უსვამდნენ ასეთ კატეგორიულ კითხვებს. — საბოლოო სიტყვაში რ. გვეტაძემ თქვა:

— ჩემთან თიანეთიდან ერთი მოსწავლე მოვიდა ლექსების რვეულით. იქიდან მაქვს ამოღებული. მალე დაიბეჭდება მისი ლექსები და გაიგებთ, ვინ არისო. მაგრამ ვინ აცალა. მაშინ ტრიბუნიდან რ. გვეტაძემ განაცხადა:

— ეს მოსწავლეა მირზა გელოვანი. დავულოცოთ ნიჭი და ჩვენს რიგებში შემოსვლა.

დარბაზმა მჭუხარე ტაში დაუკრა. ეს ტაში იყო ქართულ პოეზიაში მირზას სახელის პირველი გაელვების ტაში. იგი არ დამცხრალა და დღესაც გაისმის მ. გელოვანის უკვდავების სავანიდან.

მწერალთა სახლში ადრე მიტანილი მჭონდა მოთხრობა „გელა ვარგელი" კოლხიდის დაშრობის თემაზე. პროზის სექციის კონსულტანტმა კ. ლორთქიფანიძემ მირჩია, როგორც კოლხიდის კუთხიდან ჩამოსულს, ამავე თემაზე დამეწერა ლექსი და წარმედგინა იგი ჟურნალ „ჩვენ თაობაში" რომელიმე ლიტერატურული წრის რეკომენდაციით. და, აი, მაშინ გადავწყვიტე ჩავბმულიყავი განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ წრეში, რომლის მიერ მომზადებული ლიტერატურული გვერდი უკვე გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტურ განათლებაში" (1936, 4. VII, № 27).

ამ წრის არსებობაზე რაიმე საყურადღებო ნარკვევი ჯერ არ დაწერილა. რუსმა ნ. ტელეშოვმა მოგონებათა მთელი წიგნი შექმნა მოსკოვში მე-19 საუკუნის 90-იან და მე-20 საუკუნის 900-იან წლებში არსებულ ლიტერატურულ წრეებზე. ვ. კოტეტიშვილის ბიოგრაფიაში მისი ხანმოკლე მოღვაწეობა ხსენებული წრის ლიტერატურული დონის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი ფურცელია.

მე მინახავს იგი ღრმად ჩაფიქრებულიც და სახე განათებულიც, დაღონებულიც და დაღვრემილიც, მაგრამ 1937 წლის 6 აპრილს,

როცა იოსებ იმედაშვილი თავის მოთხრობას „ციბრუტას“ კითხულობდა, იგი არსებითად, დადუმებული კი არა, გაქვავებული იყო. ეს იყო მისი უკანასკნელი შეხვედრა წრის წევრებთან. უსიტყვოდ დაცილდა განათლების მუშაკთა იმ სახლს, სადაც წელიწადნახევარი თანაბარი სითბოთი უნაწილებდა თავის სულიერ სიმდიდრეს წრის ყოველ წევრს.

და მერე... მაისის თუ ივნისის ერთ საღამოს, დედამიწაზე მზის ჯერ კიდევ დარჩენილ მეწამულ შუქზე, პიონერთა სასახლის წინ, მოედანზე იდგა კაცი — თავად ბრინჯაოსფერი, ზეციდან თითქოს ბრინჯაოს ქანდაკებად მოვლენილი ღვთიური ფრთებით. იდგა უძრავად, გარინდებულ-გაფითრებული, თმებაქოჩრილი თუ თმებაბურძგნილი, ქალაქის საბჭოს თაღოვან სვეტისკენ მზერა მიპყრობილი და... ემშვიდობებოდა საქართველოს!

...„ჩვენი თაობის“ 1937 წლის მეოთხე ნომერი, რომელშიც ვ. კოტეტიშვილის ვიზირებით დაიბეჭდა ჩემი ლექსი „აყვავებულ კოლხიდას“, ორი თვის დაგვიანებით გამოვიდა და ჰონორარის აღება გამოცდების დამთავრების შემდეგ მომიხდა. მწერალთა სახლის პირველ სართულზე, მარჯვნივ, პირველ ოთახში იჯდა რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, პოეტი ალექსანდრე აბაშელი. საერთოდ უთქმელი, წყნარი, მშვიდი ბუნების იყო. გამოხედვაც თავისი ადრინდელი ლექსებივით მზისდარი ჰქონდა. შუბლი და სახე თითქოს სულ უღიმოდა.

— ჰო, ჰონორარი? — ალაპარაკდა უცებ ჩემ თხოვნაზე — არ მიგიღიათ? ახლავე... გახსნა თავისი მუდამ საკორექტურო მასალებით და ხელნაწერებით სავსე პორთფელი, ამოიღო იქიდან უწყისის ფურცელი, რომელშიც ფული იყო გახვეული.

— აბა, გვარი, სახელი... ჰო, ჰო... არის. აყვავებულ კოლხიდას, არა? 32 სტრიქონია. გამახსენდა: ყველას უყვარხარ... ფრინველთა შორის გემდურის მხოლოდ მაღალი ყანჩა. კარგია. კიდევ მოგვიტანე. არა, წრის გამგეობამ მოგვიტანოს. ასე სჯობია. — და ითვლის მანეთიანებს.

ჰმ! პოეტი — მთლარე, პოეტი — ბუხჰალტერი! არ თაკილობდა, იერთებდა, ითავსებდა და ყველაფერი მარტივად, ადვილად გამოდიოდა.

მე უკვე განაწილებული ვიყავი სამუშაოდ ჩემივე სოფლის სკოლაში და წრეს **გამოვეთხოვე**. გაილია ჩვენი სტუდენტობა —

ჩვენი სიცოცხლის ოჭროს „საბადო!“ —
საყრდენი ცოდნის მუდმივად მზარდის.
ვეჯიდებოდით ზეცის კაბადონს
და ვშორდებოდით ერთმანეთს დარდით!...

სხვადასხვა საგნის 350-ზე მეტი ახალგაზრდა პედაგოგი მოეფინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. სოფელში ჩასული ვიყავი, როცა „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1937 წლის 8 ივლისის ნომერში (№ 154) ვნახე დაბეჭდილი კლიშე, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „პუშკინის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის წარჩინებული კურსდამთავრებულნი (მარცხნიდან მარჯვნივ)“. გამიკვირდა, პუშკინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადება ჩვენ დროს დაწყებული იყო, მაგრამ მისი სახელი ინსტიტუტს არ ჰქონდა მინიჭებული. ეტყობა, მერე მოხდა.

გამოშვების საღამოზე საერთოდ არ წაუკითხავთ წარჩინებულთა გვარები. ასეთები ცოტა როდი იყო. და უცებ იმ ხუთი სურათის ქვეშით, რომლებიც ერთ კლიშეში იყო გამოსახული, ჩემი და გერვასის სახელი და გვარიც იყო დაბეჭდილი. საინსტიტუტო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაში ორივე აქტიურ როლს ვასრულებდით და, ალბათ, ამანაც შეგვძინა ქულები. გარდა ამისა, ოთხიდან უპირატესობა ჩვენს — ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს ჰქონდა მიკუთვნებული, თითოს ნაცვლად ორით იყო წარმოჩენილი. ესეც სიამოვნებას მგვრიდა. ინსტიტუტის ეროვნული სახე თავიდანვე გამოკვეთილად ჩანდა.

მაგრამ, ჩემდა სავალალოდ თუ სამწუხაროდ, სოფელში ერთი ვინმეც კი არ გამოდგა ან ჟურნალის ან გაზეთის ის ნომრები წაეკითხა, სადაც ჩემი ლექსი და სურათი იყო მოთავსებული. ვინ იცის, იქნებ წაეკითხეს და... მაინც არაფერი მქონდა სანანებელი, ბედისთვის სამდურავი. შრომა და გარჯა ჯერ კიდევ ფასდებოდა.

და ჯერ ისევ... ეშაფოტის სისხლიანი მარწუხებით ზოგიერთთა ღამეული წამება გაშმაგებით გრძელდებოდა. აქაც შემოეღწია რბევას, მოქილიკე ბუხუტი ცხვირტარია დაეპატიმრებინათ ანტისაკოლმეურნეო ლაყბობისათვის. ის ბუხუტი, მიცვალებულის ნეშტი რომ წაბილწა... მის ღობეწაქცეულ ეზოში კი ალვის ხის კენწეროზე სუროსაით შემოხვეული შტოები ძველებურად ირხეოდა, შრიალებდა, — იცინოდა, ხარხარებდა თითქოს.

თავი III. პირველად ფოთში

გულმავიწყობა ყოველთვის თუთიყუშის ბრიყვული თვალებით იმზირებაო. — უთქვამს ერთ ხნიერ ფსიქოლოგს. მართალიც არის. იგი არსად არ მოჩანს ისე თავხედად, როგორც ანეკდოტების, ძველისძველი ამბების თხრობის ან მოგონებების წერის დროს.

საკმარისია გონების ოდნავი მოდუნება, სიფხიზლის სულ მცირედი მოჩლუნგებაც კი, განთიადის ჩასაფრებული მამალივით გულმავიწყობამ უმალ გიყივლოს — ძაფი გაწყდა, ღმერთი გაწყრა, სად იყო და რას როშავსო. ჯერ, ბატონო ჩემო, საქვეყნოდ მოგჭრის თავს, მერე, ვითომდა თავისი „განსწავლულობის“ გამოსაჩენად, ერთგვარი შეგონებით შეგახსენებს: ათას ერთი ღამის არაბული ზღაპრები საუკუნეების განმავლობაში ითხზვებოდა და მაინც შეჰერაზადას მძიებზე ასხმულ-აკინძული დაიარება ქვეყნიერებაზეო.

ამიტომ ვშიშობ და ვფხიზლობ და ორივე — შიში და სიფხიზლე გაჭირვებაში მშველელი დედა ტერეზას მოწყალების დებივით თან მომდევს, რათა თქვენთან მუდმივი, ურღვევი კონტაქტი გამიადვილდეს. გახსოვთ? სენაკიდან ფოთისკენ უნდა გავმგზავრებულიყავი და... თბილისი შემოგატარეთ. მადლობა უფალს, ახლა ისევ აქა ვართ, სენაკის რკინიგზის სადგურის ვიწრო ბაქანზე და „თბილისი — ფოთის“ მატარებლის მოლოდინში იმ კითხვებზე უნდა გაგცეთ პასუხი, უნებლიეთ რომ დაგებადათ: განათლების განყოფილებაში ინსპექტორის ადგილი გეკავათ, წინ — სარბიელი გეშლებოდათ. რატომ გადაწყვიტეთ უცებ ფოთში გადასვლა? ვისი ან რისი იმედით მიდიხართ იქ? რამდენ ხანს გეყოფათ უკანასკნელად აღებული საშვებულებო ხელფასი? კოღოებს გამოექეცით შორეული ჭალასოფლიდან და ისევ მალარიის ბუდეში ბრუნდებით?!

ამ ბოლო კითხვამ ცოტათი შემაფიქრიანა, მაგრამ თავზარი როდი დამცა. „ეს იყო ძველად, ეს იყო წინათ, ეს იყო“... უნდა მეთქვა, რევოლუციამდე-მეთქი, როგორც შედარებისათვის მოდაში იყო მიღებული, მაგრამ უნებურად თავი შევიკავე. მომაგონდა ის ექსკურსია, ბიოლოგიის მასწავლებელმა რომ წაგვიყვანა სენაკიდან ფოთის საზღვაო ვაგზლის სანახავად. მის შემდეგ ექვსი წელიწადი გავიდა. ზღვა ერთხელაც არ გამხსენებია. ზაფხულის პაპანაქებამ ბანაობა მომანატრა და, აჰა, კი არ მივდივარ, მივფრინავ-მეთქი რომ მეყბედა,

მტკნარი, ბათა ქექიას ორღობიდან აფრენილი ტყუილის ჩიტი იქნებოდა. მტრისას. მაშ, რა „ბზიკი" შემიჩნდა?

1932 წლიდან კოლხეთის მშენებლობის დამკვრელური გეგმა შთაგონების ერთ-ერთ, ძალზე აქტუალურ თემად ითვლებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის მოღვაწეებისათვის. 1936 წელს დაიბეჭდა კ. გამსახურდიას ნარკვევი — „კოლხეთში (მწერლის ბლოკნოტიდან)",[1] 1934 წელს — რუსი მწერლის კ. პაუსტოვსკის რომანი „კოლხიდა", ჟურნალ „ჩვენი თაობის" 1937 წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნდა ა. ქუთათელის პოემა „კოლხიდა". ამავე ხანებში დაიწერა გ. ჩიქოვანის სცენარი „კოლხიდის ჩირაღდნები" და პრესაში გაჟონა ინფორმაციამ დ. რონდელის რეჟისორობით კინოფილმის შესაქმნელად ფოთში მოსამზადებელი სამუშაოების დაწყების შესახებ. ლექსებს, მოთხრობებს, ფერწერულ ტილოებს, კორესპონდენციებს, წერილებს და სტატიებს ხომ ნუღარ იკითხავთ. ფოთი მომავალ ვენეციად ისახებოდა.

პატარა ფოთიდან ნაბადისკენ რიონის გადაგდებით ნარიონალში შავი ზღვის წყალი ჩადგებოდა თავისი მოლიელიე (მხოლოდ მოლიელიე და არა მოქარიშხლე, მობობოქრე) ტალღებით. ფოთის შუაგულში გაჩაღდებოდა ვენეციური გონდოლა-ნავებით ზღაპრული სეირნობა, რომლის ხილვა სანატრელი გახდებოდა. და, ვინ იცის, გარემოებათა გამო, არც მღირსებოდა ეგებ. „გაეშურე, გასწი". — არ მასვენებდა ატეხილი ფიქრები.

მინაწერი: ყოველივე ეს ბლეფი გამოდგა. ზღვა არ დაემორჩილა ჰიპოტეზებს. ნარიონალი დაჭაობდა, ამძორდა, ამყრალდა, ხოლო ნაბადისკენ წასულმა რიონმა ახალი კუნძული გაიჩინა. ფოთის ნაპირებთან საუკუნეთა მანძილზე ორი ტოტით შემდინარე დიდძალი შლამის გაჭრობამ გამოიწვია ზღვის მიმოქცევის დარღვევა, ამან კი — ნაპირების ნგრევა და შთანთქმა. დაიკარგა ჰიპოდრომი, საჭალაქო პლაჟი. რიონის მხოლოდ ერთი ტოტის ნაწილობრივ აღდგენას და მისი კალაპოტის რკინა-ბეტონის კედლით გამაგრებას ომის შემდგომ დიდძალი თანხა დასჭირდა. პროექტის ინიციატორები მაინებ-ლებად მოინათლნენ. ამ თემაზე დაიწერა ს. კლდიაშვილის პიესა

---

[1] ამ დოკუმენტური პროზის კლასიკური ნიმუშის მთავარი პერსონაჟი იყო კოლხეთმშენის ახალგაზრდა ენთუზიასტი, ფოთელი ანდრო გაბუნია, შემდეგში სამგორის არხის და თბილისის ზღვის მშენებლობის უფროსი, გამოჩენილი მელიორატორი.

„გმირთა თაობა“, რომელიც „წარმატებით“ იდგმებოდა დედაქალაქისა და პერიფერიის თეატრებში.

რეპრესირებულთა რეაბილიტაცია მოხდა, ფოთი ისევ ფოთად დარჩა, შავი ზღვა — ზღვად. მაგრამ ჩერნობილური და ეკოლოგიური შხამ-ბაცილებით დაავადებულს, გააევებულს და გაგულისებულს ერთხელ მიყენებული „ჭრილობა“ არ ასვენებს, აქეზებს „შურისძიებისკენ“, ლამობს აიწყვიტოს მოთმინების „ჯაჭვები“ და დაიბრუნოს კოლხეთის დაბლობად წოდებული თავისი წინარე, პრეისტორიული სივრცე.

ესეც ჰიპოთეზაა, მაგრამ არა ბლეფური, მილიონი წლის ლოდინით...

და, აი, მილიონი წლით ადრე, აგვისტოს იმ მცხუნვარე დღეს, მატარებლის ფანჯრებიდან მე ხარბად გავცქეროდი საპირისპირო მიმართულებით უცნაურად მსრბოლავ განახლებულ მიდამოებს და ბორბლების გრუხუნში გაფაციცებით ყურს ვუგდებდი ვიღაცასთან ვიღაცის საუბარს: „რამდენი რამ გაკეთებულა, როგორ შეცვლილა კოლხეთი! ქვალონის სამხრეთით, გაუვალ ტყეებში, გზა ლარივით გაჭიმულა. პირდაპირ ზემოჭალადიდამდე და აეტომანქანების სამიმომავლოდ გამხდარა. რკინიგზის მარცხენა გაყოლებაზე დაგუბებული წყალი დამშრალა, გაშენებულა ახალი საცხოვრებელი სახლები, აღორძინებულა ადამიანთა მილეული სიცოცხლე. თვალუწვდენი ტყიანი ფართობები დასერილა წყალსაწრეტებით, ისინი ყორათის დიდი არხით ხობისწყალს შეერთებია და ყულევის მხარეში ზღვისკენ უქნია პირი ჭაობების საუკუნოვან შმორს“.

პატარა ფოთთან რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო. რიონი თავისი ძველი კალაპოტით მიედინებოდა. „მაშ, სასწაული აწი უნდა მოხდეს, — გამიელვა ფიქრმა, — დროზე მივდივარ. თუ გაჭირდა, მიწისმთხრელ ენთუზიასტთა რიგებში ჩავდგები“. ჩემი აღტყინებული ოცნება ადრინდელ რომანტიკულზე უფრო ფრთოსანი და აღმატებული იყო. წინამგრძნობი ალღო, რაღაც უცნაურ ბედს მიწინასწარმეტყველებდა...

ჩემთვის ფოთში, როგორც მოგახსენეთ, ერთადერთი ნაცნობი ადგილი ნაესადგურის ეგზალი იყო, სადაც სამგზავრო მატარებელი უკანასკნელად ჩერდებოდა (აქედან საღამოს თბილისისკენ ბრუნდებოდა) და მეც იქ ჩამოვხტი. დილის 9 საათზე მოწმენდილ-მოკრიალებული ზეციდან მზის ქათქათა სხივები თოლიების ფრთებით დას-

თამაშებდა ზღვის მშვიდ ტალღებს. საწარმოო უბნებში სატვირთო გემები იდგნენ და ჰიათურის მარგანეცით, ან, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „შავი ოქროთი“ იტვირთებოდნენ. ხმელეთზე ადამიანები მიდიმოდიოდნენ თავიანთი გეზით, ფიქრებით, მიზნებით და არავინ სტოვებდა უსაქმურისა და მოხეტიალის შთაბეჭდილებას. ასეთ მდგომარეობაში იმ წუთებში მხოლოდ მე ვიყავი.

მეგზურობას შენობათა ფასადებზე მიკრული ქართული წარწერები მიწევდა. მასზე დანდობით წისქვილკომბინატიდან ქუჩის ტროტუარს რომ გავუყევი, ჯერ ნავსადგურის პოლიკლინიკას ჩავუარე, ცოტა იქით — მისსავე საავადმყოფოს, შემდეგ რიონის ჩრდილო ტოტის საკმაოდ გრძელ ხიდზე გადავედი და მოულოდნელად მივადექი 1903 წელს აშენებულ მეზღვაურთა ყოფილი კლუბის იმ ორსართულიან მკვრივ ნაგებობას, რომელზედაც მიჭედილი ფირნიში იუწყებოდა: „აქ მოთავსებულია ფოთის საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქცია და სტამბა“. ნუთუ ქალაქის ცენტრში ვარ?

უაზრობა იყო ვინმესთვის მეკითხა — ქალაქი აქედან იწყება თუ აქ მთავრდება-მეთქი. სენაკის მაგალითზე უნდა მცოდნოდა: სადაც რედაქციაა, იქ არის მმართველობაც, ადმინისტრაციული ერთეულის მჩქეფარე არტერიაც. მაგრამ... ცოტუნების საიდუმლოს თუ გინდა მიაგნო, ნიკოლაძის კოშკზე[1] უნდა ახვიდე თურმე, იქიდან გადახედო ქალაქს და წინ გადაგეშლება ფოთის უპირველესი საკვირველება — დაგეგმარების იშვიათობა და მომხიბვლელობა.

წრისებური (ერთი შეხედვით, ბურთისებური) ყვავილოვანი ბაღი-ბულვარის მიზიდულობით აქეთკენ მოემართებიან ცისარტყელას შვიდფერად დახატული ქალაქის შვიდი უბნის შემაერთებელი მაგისტრალური ქუჩები. მათი ზეციერი მფარველი და მეთვალყურე თეატრის გუმბათია. წინათ აქ ტაძარი იდგა. მისკენ მოისწრაფოდნენ და მის მკერდთან „ნეტარებდნენ“...

[1] ასე უწოდებდნენ ფოთელები მე-17 საუკუნეში თურქთა სარდლის ჭუჩუკბეის მიერ ქალაქის ცენტრში რიონის პირას აგებულ სურომხვეულ კოშკს, სადაც ფოთისთავად ყოფნის დროს ნიკო ნიკოლაძეს მოწყობილი ჰქონდა თავისი სამუშაო კაბინეტი. ფოთის აღება პირველად მოხდა 1810 წელს. ამ თემაზე დაწერილი ლექსი სათაურით „სტიხნი აღებასა ფოთისასა, თქმულნი ბეგლარ ორბელიანის მიერ 1810 წელსა“ დაბეჭდილია დავით ჩუბინაშვილის მიერ 1846 წელს პეტერბურგში გამოცემულ ქართულ „ქრისტომატიაში“. თურქებისაგან ფოთი საბოლოოდ განთავისუფლდა 1828 წელს.

ნიკო ნიკოლაძე! კოშკად და ძეგლად აღმართული! ეს მან მიანიჭა საქართველოს უძველეს საზღვაო ჯიშკარს ორიგინალური არქიტექტურული ფხა და მზიანობა.

სანამ ყოველივე ამას შევიცნობდი და ნიკო ნიკოლაძისადმი სიმპათიების ახალი გრძნობებით აღვივსებოდი, იმ ფირნიშის წინ ხომ არ ვიდგებოდი ოჩან ცხენივით?! რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ კოლმეურნეთა სასტუმროს წინ აღმოვჩნდი. მეორე სართულზე ადგილი დავიკავე. წითელ კუთხეში გაზეთების შეკვრა გადავათვალიერე. „მგზნებარე კოლხიდელის“ ნომრებიც ელაგა. ვფურცლავ მის გვერდებს და ხშირად მხვდება ჩემი გვარისკაცის წერილები პოეტური „ნაპერწკლების“ გაელვებით. ვინ უნდა იყოს?

გვარისადმი ინტერესი და პატივისცემა ჩვენს ეროვნულ, ისტორიულად კრისტალიზებულ ხასიათში დუღაბივით ისე საოცრად არის ჩაკირულ-ჩაგვირისტებული, შორეული და უცნობი ერთბაშად ახლობელი და ნაცნობი ხდება. ეს თვისება (რაც თავისთავად უმნიშვნელოვანეს ფენომენად შეიძლება მივიჩნიოთ), მთელი ქართველობის სამკაულია. თაფლის (თოფურის) ფუძიდან წარმომდგარწარმოშობილი ჩემი გვარი კი, ვგონებ, რაღაც მეტ სითბოს და სიმხურვალეს უნდა ამეღავნებდეს ურთიერთშეხვედრებისას. თითქოსდა, ნათესაურის მსგავსს. ღმერთს შევსთხოვ, გადასცემოდეს ეს ნიშან-თვისება ქართველი ერის ერთ კონად, ერთ მუშტად შესაკრავად თაობიდან თაობას ყველა გვარში, მოდგმაში, ყოველ ჯიშსა და ჯილაგში.

გვერდითი კიბის საფეხურებიდან მეორე სართულის დიდ ოთახში პირდაპირ რომ შევედი, უცებ ისე დავიბენი, გამოუჩენლად ისევ უკან დაბრუნება მინდოდა, მოეტრიალდი კიდეც და ამ დროს იქვე კარებთან მდგომმა ახალგაზრდა მანდილოსანმა შემაჩერა, ცნობისმოყვარეობით შემომხედა და გაკვირვებით მკითხა:

— ვის ეძებთ? წერილი მოიტანეთ?

— არავის, არაფერი მომიტანია. — ეუპასუხე ჩურჩულის მსგავსად, ვინძლო ხელი არ შეშლოდათ მუშაობაში და კიბისკენ დავიხიე ჩასარბენად და გასაქცევად. როგორ მეგონა, ჰოლის ან დერეფნის გაუელელად, ჯიქურად მივადგებოდი რედაქციის პატივსადებ ოთახს, სადაც რამდენიმე მაგიდას, ეტყობოდა, თანამშრომლები უსხდნენ (ძველად, ალბათ, მეზღვაურების საცეკვაო დარბაზი იყო).

— ბოდიში, — კვლავ მომმართა იმ მანდილოსანმა, — ჩვეულებ-

რივ აქ კორესპონდენტები მოდიან და მასალები მოაქვთ. ფოთელი არა ხართ?

— არა. — ჩავილაპარაკე დაბალი ხმით, როგორც უცხომ.

— გზა ხომ არ შეგეშალათ? დაგეხმარებით, რითაც შეგვიძლია.

ახლა უკვე ჩემ წინ ვინმე მოცლილი, ენაჭარტალა დედაკაცი კი არ იდგა, იმ ახალგაზრდა მანდილოსნის სახით თითქოს თავაზიანობის, ზრდილობის და გულისხმიერების კანდელი ანათებდა, რომლის შუქი მბოჭავდა, წვდებოდა ჩემს იდუმალ წადილს და მიქარვებდა უხერხულობისგან სულში აღძრულ წუთიერ წუხილს. ამით გათამამებულმა ამოვიდგი ენა.

— მაპატიეთ, თქვენთან თოფურიას გვარით ხომ არ მუშაობს ვინმე? — ვკითხე ცოტა აწეული ხმით.

— კი. — მიპასუხა მანდილოსანმა თეთრ სახეზე გადაფენილი ჩრდილნარევი ღიმილით, რომელშიც რაღაც შეუცნობელი ხაზის მრუმე ფერი იყო გარეული.

— სასტუმროში ვიქნები, აქვე, თქვენს გვერდით.

— ვინ იკითხოს?

— მისივე გვარი.

დავაგდე ეს სიტყვა და სწრაფად დავეშვი კიბეზე. სასტუმროს ოთახში, ბალიშზე მიწოლილი, ეტუქსავდი ჩემ თავს. „ეს რა უტიფრობა გამომივიდა. რას იფიქრებდა ის მანდილოსანი, ან ის... უცნობი თანამოგვარე. არა, უნდა დავბრუნდე, საღამოს ისევ უკან უნდა დავბრუნდე“... ამ ფიქრებში გახვეულს ორი მამაკაცი დამადგა თავზე. ორივე ხმელ-ხმელი. ერთი შედარებით მაღალი, მოზრდილი, ოდნავ მოხრილი ცხვირით, მეორე — წითური, შავი, წუმწუმა თვალებით. რაკი ოთახში ჩემ გარდა არავინ იყო, იმ მეორემ ხალასი გულით მკითხა:

— ჩვენს დარეჯან კორექტორს თქვენ შეხვედით? თქვენ დამიბარეთ? მე ალექსანდრე, ალიოშა ვასილის ძე თოფურია ვარ, ეს კიდევ ილია, ილუშა ქოიავაა. — ჩვენი გაზეთის რედაქტორის მოადგილე და პასუხისმგებელი მდივანი. რაშია საქმე, რა გაგჭირვებია, რა ჩაიდინე ისეთი?

ჰმ. საგონებელში ჩამიგდია ეს ხალხი, გამოქცეულან საშველად და მე კი, რაღაც ფანატიკურ ილუზიებს აყოლილი, ვაცდენ ძვირფას სამუშაო დროდან. კიდევ უფრო გამიღრმავდა შეცდომის მწვავედ განცდის შეგრძნება, მაგრამ, რასაკვირველია, თან იმასაც კარგად

ვგრძნობდი, თუ როგორის სიმსუბუქით, უდრტვინველად მშორდებოდა კისრის არე-მარიდან მკაცრი სამსჯავროს მძიმე უღელი. გონს მოსულმა შემხვედრი სიწრფელით ეუამბე ყველაფერი, ვინაობაც გავაცანი და ჩასვლის მიზანიც.

ჟურნალისტობის პროფესიული სპეციფიკის ერთ-ერთი ნიშანღირსება წინათ ინფორმაციული წყაროებით გამდიდრებისკენ დაუოკებელი ლტოლვა იყო. ორივე დაჯილდოებული იყო ამ უნარსწრაფვით. თვითგანვითარება მათი ინტელექტის ზრდის მყარ ბაზად ქცეულიყო, ხოლო გამოცდილებას გამოეწრთო, გამოებრძმედა მათი ცხოვრების განვლილი გზა.

— მაშ, შენ ის ავტორი ხარ, ლექსი „მაისის მოსვლა“ რომ დაბეჭდე სენაკის რაიონული გაზეთის ამა წლის პირველი მაისის ნომერში? შარშანდელ „ჩვენ თაობაში“ რომ გამოაქვეყნე „ყვავებულ კოლხიდას“? გაზეთ „კომუნისტურ განათლებაში“ რომ თანამშრომლობდი სხვა ავტორთან ერთად? ჩვენგან, ფოთიდან, პიმენ ნაცვლიშვილიც ბეჭდავს იქ კორესპონდენციებს. ისიც შორიდან გიცნობს. — მითხრა ალიოშამ თვალების მომნუსხველი მოჭუტვით და ზურგზე იმედის ხელი დამადო.

რა დასამახსოვრებელი ლექსები მე მქონდა დაბეჭდილი, სხვა ვინმეს ჩარჩენოდა გონების სიღრმეში. აკი მოგახსენეთ, მხოლოდ რედაქციის გათვითცნობიერებულ მუშაკებს შეეძლოთ საცნობარო მასალების ასე მოხელთება და დილეტანტურად გამოყენება.

— კოლხეთში ნის მრავალტირაჟიანში არ გაგიშვებთ, — თქვა რედაქტორის მოადგილემ თანამდებობრივი მდგომარეობის მკვეთრად ხაზგასმით. — ჩვენთან მოგაწყობთ. მით უფრო, პიმენის შტატი თავისუფლდება, ის სკოლაში გადადის მთლიანად სამუშაოდ. მაგრამ სანამ რედაქტორთან შეგიყვანდეთ, ერთი დავალება უნდა შეასრულოთ. ხვალ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომაა მოწვეული საფინანსო ბიუჯეტის საკითხებზე. დაესწარი და ოპერატიულად მოამზადე ინფორმაცია გვერდნახევრის მოცულობით. მომიტანე ზეგ დილით.

— რომ არ იცის სად არის ქალაქის საბჭო? — ჩაერია ლაპარაკში ალიოშა.

— უნდა მიაგნოს. არც მე ვიცოდი, როცა სოფლიდან ჩამოვედი, მაგრამ ხომ ვისწავლე. — რედაქტორის მოადგილის პასუხში ნათლად გამოიკვეთა სარედაქციო დავალების ფორმა და ხასიათი.

— ამელამ ჩემთან გაათიე ღამე. აქ როგორ შეიძლება. — ძითხრა ალიოშამ. მე შორს დავიჭირე თავი. სკამზე მჯდომმა ი. ქოიავამ გაიხსენა:

— აბიბო ნახე დღესვე, აბიბო ნანეიშვილი, — მიმართა მან ალიოშას, — ის ხომ ნაქირაევებ ოთახშია სადღაც აქ ახლოს. იქნებ მასთან სჯობდეს. ერთად იქნებიან რედაქციის თანამშრომლები.

ეს სიტყვები ისე დაჯერებით თქვა ი. ქოიავამ, თითქოსდა ჩემი სამსახურის ბედი სარედაქციო დავალების შესრულებაზე სრულებით არ ყოფილიყო დამოკიდებული, შემეძლო არხეინად მეგრძნო თავი, რადგან საფუძველი მქონდა გადაწყვეტილად მიმეჩნია. მაგრამ არც მოსაუბრეს და არც გამგონეს ასე უბრალოდ, ქარაფშუტულად არ ესმოდა საკითხი. რედაქტორის მოადგილე მიმხვდარი იყო ჩემს სინდისიერებაში, მე — მის მომთხოვნელობაში. უცნობთა ურთიერთ გაგების, დაახლოების და დამეგობრების საშუალებად მ ი ხ ვ ე დ რ ი ლ ო ბ ა ზ ე უფრო უებარი წამალი დედამიწაზე არ არსებობს. ჟურნალისტებისათვის ეს ღვთით ბოძებული უნარ-თვისებაა. ამ გზით საქმიანი მხარე ადვილად რომ მოგვარდა, ალიოშამ ხუმრობით მკითხა:

— ზღვაში გიბანავია?

— არასოდეს.

— ა, ილუშა, გავიყვანოთ აკაკი პლაჟზე და შევახედოთ ქვიშაზე გაშოტილ, მკერდამობურცულ, ზურგის კანგადახრუკულ ფოთელ გოგოებს.

მაშინდელი აკვიატებული რიგორისტული პოზიციებიდან ვულგარულად მომეჩვენა ალიოშას ბოლო სიტყვები: „მკერდამობურცული", „კანგადახრუკული", თან მისი თვალების უცნაურ პარპალში ლოველასის ნიშნები და მასთან კავშირში კორექტორის წეღანდელი ქვეშეცნეული ღიმილის გამართლება რომ შევიცანი, უფრო მეჩოთირა ნათქვამი და უარყოფითი განწყობილების დაუფარავად ჩემთვის ჩავილაპარაკე:

— ბუნების ნაზ არსებებზე ბუნებითვე თავაზიანობით უნდა ვიმსჯელოთ.

უეცრად, თითქოს გველმა უკბინაო, წამოხტა სკამიდან ილუშა ქოიავა, მომიბრუნდა და ყინულის ნატეხივით მესროლა შეკითხვა:

— რამდენი წლის ხარ?

— ოცდაორის. — ეუპასუხე მყისვე.

— ოცდაორი წლის გაჭანებული სულელი ყოფილხარ. — შობახალა ისე უკმეხად, პირდაპირ, ისეთი გამკილავი, გამგმირავი ჭირჭილით, რომ გითხრათ, პირი ერთბაშად გამიშრა-მეთქი ,არ ვიჭნებოდი მთლად ზუსტი. ენის წვერი იმ წუთას ლამის გამეყინა, გამიხმა, გამიქვავდა.

ახალგაცნობილის ყოფიერებითი „სიბრძნით“ თითქოს ერთბაშად დაემხო ჩემი ზნეობითი წარმოდგენები ზოგადად ადამიანზე, კერძოდ კი — ქალთა პერსონაზე. აბა, ზღვისპირას დადექ, თვალები შეავლე იმ შენეული ნაზი არსებების გაშიშვლებულ-გაუხეშებულ სხეულებს და მაშინ იგრძნობ... მოიხსენი ცისფერი სათვალეები, თავადის ასულ მაიას მარგალიტებად ზღვის ტალღებს მიუგდე ეგ შენი გადაჭარბებული, მიკროსკოპული ზედმიწევნითობა და ცხოვრების სინამდვილეს შეხედე... მაშასადამე, ხომ შეიძლება, ადამიანის მსგავსად, თანამედროვე სახელმწიფოებრივი „სხეულის“ გაშიშვლებაც მოხდეს და გამოჩნდეს... ა — ა, ერთს ვკვრეტთ და მეორეს აღვიქვამთ? ე. ი. უზარმაზარ უჩინარ საქანელაზე ვზივართ და ყველა ერთად ერთმანეთს ვატყუებთ?!

ოცდაორი წლის სულელად მონათლული რეტდასხმულივით დავბორიალობდი საკუთარი აწრიალებული, აწეწილ-დაწეწილი ფიქრების წყვდიადში და იმას კი არ ვუწევდი ანგარიშს, როგორ მიწითლდებოდა ლოყები, როგორ მიშეშდებოდა მზერა, მეკვროდა სუნთქვა და მეკუმშებოდა გული.

ცხადია, ჩვენი პირველი შეხვედრა არ ჰგავდა ახალგაზრდა რასტინიაკის შეხვედრას მოხუც ვოტრენთან, ისე როგორც ფოთი არ ჰგავდა პარიზს. არც მე-19 საუკუნის მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების გამხრწნელი ზემოქმედების რაიმე საფრთხე მემუქრებოდა, მაგრამ პირველი სასტიკი სილა რომ ვიწვნიე, ბალზაკის „ადამიანური კომედიიდან“ უნებლიეთ ამოტივტივებული პასაჟი შიშის ზარს მცემდა. ფსიქოლოგიურად სწორედ ასეთ დაძაბულ მომენტში გაისმა ალიოშას დამამშვიდებელი სიტყვები.

— ნუ შეაშინე, ჯამუევიჩ, შენი მწარე ნისკარტით სტუმარი. მე ხომ ვიცი შენი თბილი გულის ამბავი. — თქვა ეს და ჩამოვარდნილი წუთიერი დუმილი სამხიარულო-საღიმილო სიტუაციით შეიცვალა. ორივე სიცილით და კმაყოფილებით გავიდა ოთახიდან.

გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ 1938 წლის 28 აგვისტოს 198-ე ნომერში დაიბეჭდა ჩემი პირველი რეპორტიორული კორეს-

პონდენცია ფოთის საქალაქო საბჭოში ჩატარებული სხდომის შესახებ, ხოლო იმავე წლის პირველი სექტემბრიდან რედაქტორის — გრიგოლ ვაჩაძის ბრძანებით (იგი ტიპური მუშფაკელი იყო, ჰოლიტიკურად „მომზადებული“) მე უკვე ამ გაზეთის ლიტერატურული მუშაკი ვიყავი. ცოტა ხნის შემდეგ სოფლის მეურნეობის განყოფილება მომანდეს, შემდეგ კი — კულტურის და განათლების. ხელფასად 350 მანეთი დამენიშნა, საშუალოდ ამდენივე ჰონორარი გამომდიოდა, ე ი. სენაკისაზე გაც•ლებით მეტი.

მაგრამ მატერიალური უპირატესობა რა სახსენებელია. უპირველესად მე მადლობელი ვიყავი ბედის იმის გამო, რომ რედაქციისა და სტამბის მუშაკთა სახით ადამიანების შესანიშნავ, მეგობრულ კოლექტივს შევხვდი. მათ შორის არავინ ჩანდა გულგრილი, არ ყვარებოდა თავისი საქმე — ჟურნალისტობა და ასოთამწყობობა. აი, ეს იყო მთავარი — თანამოკალმეთა სულიერი „ნავსაყუდელის“ პოვნა, მასთან მინდობა და მიკედლება.

ისე აგხდომოდეთ ყოველი ნატვრა და ოცნება, როგორც მე ამისრულდა იმ წელს. საპატიო დაწესებულება! კარგი წრე! მიმზიდველი სფერო!

რაც უფრო გატაცებით, ხალისით ვეფლობოდი სარედაქციო საქმიანობისა და პრიმიტიული სასტამბო ტექნიკის „ხვეულებში“ (სხვისი და საკუთარი საგაზეთო მასალების მომზადება, დარგობრივი საორიენტაციო გეგმის შედგენა და ზრუნვა მისი შესრულებისათვის, ღამის მორიგეობა ნომრის გამოსაშვებად, შრიფტების გამოყენების და საკორექტურო სწორების წესები, ბეჭდვის პროცესი და სხვა), მით უფრო ვრწმუნდებოდი ახალი პროფესიის საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ხასიათში, იმ როლში, რომელსაც ასრულებდა მაშინდელი გაგებით ე. წ. საბჭოური პრესა.

ცხოვრების მიმდინარე პროცესების გაშუქებაში არ უნდა დაგეშვა უკიდურესი გადახრა სინამდვილის ცალმხრივი გამრუდებისკენ, ნაკლოვანებათა მხილება მიღწევების ფონზე. — ასეთი იყო ზომიერებისა და ობიექტურობის დაცვის, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ზოგადი კრიტერიუმი, ერთგვარი დაუწერელი კოდექსი. საგაზეთო კულტურის ეთიკით ასეთი მიდგომა ბევრად მაღლა იდგა ადრინდელი ულტრამემარცხენული დონისგან, თვით ჩემ მიერ გამოვლილი მცირე კორესპონდენტური პრაქტიკიდან. თვითდაკვირვება თვითანალიზში მეხმარებოდა, თვითანალიზი — თვითშეცნობაში.

თავისთავად 20-იანი წლებიდან მთელ ქვეყანაში ცენტრალურის, სამხარეო-რესპუბლიკურის და საოლქოს დამატებით საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების კორპუსის შექმნა უეჭველად ვირტუოზული გამოგონება იყო ხალხის იდეოლოგიური წრთობა-აღზრდის, „მონოლითური“ დარაზმვის გზაზე. მარტოოდენ ფოთში 1938 წლისათვის ოთხგვერდიანი ყოველდღიური საქალაქოს გარდა ორი მრავალტირაჟიანი გაზეთი გამოდიოდა — სპეციალურად კოლხეთმშენისა და ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ეფიქრობ, ამას თავისებური გამართლება ჰქონდა. „პრავდა“ მაშინ აეტორიტეტულად, მედროშედ კი ითვლებოდა, მაგრამ პერიფერიებისათვის თითქოს შორეული და უცხო ფრინველი იყო. იგი სირაქლემასავით კვირაგმოშვებით „დააბოტებდა“ თავისი „გრძელი ნაბიჯებით“ და ნაკლებად წვდებოდა მასებს. „მგზნებარე კოლხიდელი“ და „მრავალტირაჟები“ ქალაქში მცხოვრებთა ღობე-ყორეს ხელიკებივით ედებოდნენ, „მიძვრებოდნენ“ ტერიტორიულად მის სოფლებსა (ყულევი, ქვემოჭალადიდი, პატარა ფოთი) და საწარმოო-სამუშაო უბნებში და ყოველ ცისმარე დღეს მათკენ მიაფრიალებდნენ ლოზუნგებად და იდეებად აკიაფებულ ახალ-ახალ ამბებს.

ადამიანის გულის მოგებას ოდითგანვე ხომ ერთი დაშაქრული სიტყვა ჰყოფნიდა. აკი პოეზიაც გვიდასტურებს — გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო. პუბლიკაციის გზით მისი მეობის თუნდაც მცირედი გამომზეურება, შრომის თუნდაც ოდნავი დაფასება და ამით აღძრული შინაგანი აღფრთოვანება სულის ასაფრენად ის მშვენიერი პლაცდარმი იყო, საიდანაც თავდაუზოგავად იჭრებოდა იგი ახალი სახელდიდების მოსაპოვებლად. ლაპარაკია არა ადამიანში ჩამკვდარ სულზე, არამედ ახალ ყოფაში ამოზრდილ, შრომითი მამაცობისათვის, თითქოსდა, ალალად ხელგამოწვდილ სულთა მასობრივ თვითმზეობაზე, მაშინ ფართოდ გახმაურებული სტახანოვური მოძრაობის მიმდევართა, ე. წ. სტახანოველთა ლაშქართ-ლაშქარზე (იხ: წერილების სერია „მგზნებარე კოლხიდელში“: 1. „მელიტონ ზარანდია — სტახანოველი“, 1939, № 134, 2. „სტახანოვური მოძრაობის სათავეში“, 1940, № 91, 3. „სტახანოვური მოძრაობა მაღალ საფეხურზე“, 1940, № 160, 4. „სტახანოველის გზა“, 1940, № 226, 5. „მაღალი მოსავლის ოსტატები“, 1941, № 84 და სხვა).

თუ ინდივიდი, პიროვნება თვითონ არ იყო შენიღბული, გაორე-

ბული და თვალთმაქცი, ახლის შენების პათოსით, საერთო ენთუზიაზმით გარემოცული სინამდვილე მას სახელმწიფოებრივი გეგმების შესრულებაში სიცრუისა და სიყალბისკენ კი არ უბიძგებდა, — აიძულებდა დაეთრგუნა თავისთავში მანკიერებანი და ჩამდგარიყო თანაცხოვრების აქტიურ მშენებელთა რიგებში (მოიგონეთ გვადი ბიგვას, ჯიბილოსა და გვირისტინეს სახეები იმ დროის ქართული მწერლობის ნიმუშებიდან).

შეურიგებლობა ყოველგვარი უღირსი მოქმედებისადმი, მოწინავეთა წახალისებიდან ჩამორჩენილობის, დარღვევების და სიძნელეების დაძლევისკენ, აქედან ხალხის ფართო ფენებში მხოლოდ ერთადერთი, ვითომდა მაღალზნეობრივი, ე. წ. კომუნისტური შეგნების გამომუშაევების საერთო მიზნებისკენ. — ამაში ერთიანდებოდა ძირეული ბეჭდვითი ორგანოების ლოკალური ამოცანები, ყოველი ადგილობრივი გაზეთის რედაქციისა და სტამბის ინტერესები. პირველი განსაზღვრავდა მეორის არსებობას, მეორე კი პირველის ოპერატიულ, ქმედით, მიზანდასახულ საქმიანობას.

ამ მიმართულებით პრესის ამოცანებისა და ქმედითუნარიანობის კიდევ უფრო ამაღლება-გაძლიერებაში წამქეზებელი, მაორგანიზებელი როლი ითამაშა ერთმა მოვლენამ, რომელსაც, მართალია, გასაგები მიზეზების გამო, ახლა არც კი თელიან ხსენების ღირსად, უფრო მეტი, ვინმეს ყასიდად თუ მოაგონდება, დაცინვით, აბუჩად აგდებით მოიხსენიებენ ხოლმე, მაგრამ ლენინის მოსაზრებით დროებით თუ ვიხელმძღვანელებთ, მაშინ სურათი ბუნებრივ, თავის შესაფერ ჩარჩოში „ჩაჯდება“. „რათა ნამდვილად გაიცნოთ საგანი, — წერდა იგი, — საჭიროა მოიცვათ, შეისწავლოთ ყველა მისი მხარე, ყველა მისი კავშირი და „გამეშვება“. ყოველმხრივობის მოთხოვნა უზრუნველგვყოფს შეცდომებისა და გახევებისაგან“ (თხზ., ტ. 32, თბ., 1952, გვ. 62).

და, აი, „ყოველმხრივობის“ მოთხოვნისა და ისტორიზმის პრინციპის დაცვის, ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ყველა მხარის გაცნობის მიზნით მოგითხრობთ იმ მოვლენაზე და უმორჩილესად გთხოვთ შემინდოთ, გამიგოთ და მითანაგრძნოთ, „რამეთუ არა ეუწყოდი“, საცერით დაულეველი წყალივით გაუგონარ მისტიკურ მირაჟს ვეპოტინებოდი თურმე. და განა მარტო მე — მასები, მილიონები.

ეს მოვლენა, საესებით გამიზნულად, ნიშანდობლივ, განმსაზ-

ღვრელ იერს ანიჭებდა ქვეყნის მაშინდელ მთელ იდეოლოგიურ არსენალს. ობიექტურობა გვავალებს კი არ მივჩქმალოთ, გვერდი კი არ ავუაროთ ამგვარი ხასიათის ფაქტს, მოვაქციოთ იგი კონკრეტულ-ისტორიული დროის კუთვნილ ჭრილში. დიახ, ძნელია ამ ჭრილიდან მისი ამოკვეთა. რეპრესიებით გაოგნებული საზოგადოებრივი ცნობიერების წინანდებურად განვითარებაზე იგი სასწაულებრივ გავლენას უდავოდ და უეჭველად ახდენდა. მაშასადამე, თუ გვინდა სიმართლეს მივაგნოთ, უნდა დავუძებნოთ საკითხს ძირი.

საქმე ეხება ფოთში მუშაობის დაწყების პირველივე თვიდან, უფრო ზუსტად, 1938 წლის 16 სექტემბრიდან ჩვენს გაზეთში, ხოლო ადრე ყველა ტიპის ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში, ცალკე წიგნად გამოსვლამდე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის ბეჭდვის დაწყებას. ამ დროიდან, თვით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილების საფუძველზე, „მოკლე კურსის“ შესწავლა, პროპაგანდირება და ამ გზით ყველა დარგის და პროფესიის მუშაკთა იდეოლოგიური აღზრდა ახალ, სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ ფაზაში შედიოდა. იგი ყველგან, მთელი ქვეყნის კიდე-კუნჭულში პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის გამსჭვალავ, ძირითად ქვაკუთხედად იქცა.

როგორც პარტიული საქალაქო გაზეთის რედაქციის თანამშრომელს, ღვთის რისხვით თუ ეშმაკის ცდუნებით, ბედმა მარგუნა ვყოფილიყავი ამ დიდი „მარათონული“ სრბოლვის არა უბრალოდ მორიდან მეთვალყურე, არამედ მის უშუალო მოწმედ და მონაწილედ. დანაშაულია ეს თუ შეცდომა, ორივე ერთი ეპოქის პირმშოა და, ამდენად, თხრობის მთლიანობისათვის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტი. მეხსიერებას „ინკოგნიტოდ“ შემორჩა ზოგი რამ „მოკლე კურსის“ შემეცნებითი პროცესის პრაქტიკიდან და იგი, ჩემი თვალსაზრისით, ისტორიასაც უნდა შერჩეს იმ ეპოქის განსასჯელად და... უკმეხად თუ გნებავთ, „სათრევ-საწყეელადაც“.

...ჯერ ერთი, გაზეთებში „მოკლე კურსის“ ბეჭდვის დაწყებას წინ უძღოდა „პრავდის“ ზედმიყოლებითი ორი მოწინავე წერილი. პირველის — 9 სექტემბრის — სათაური იყო „ღრმად შევისწავლოთ ლენინ-სტალინის პარტიის ისტორია“, მეორის — 10 სექტემბრისა კი — „აღვზარდოთ ახალგაზრდობა ბოლშევიკური ტრადიციების სულისკვეთებით“. ამით „ზემოდან“ წინასწარ მკაფიოდ იყო ნაჩვე-

ნები სამოქმედო გეზი და მიმართულება. ამასთან, რაც მთავარია, ხალხის ფართო მასების სამეტყველო ლექსიკაში (რომ არაფერი ვთქვათ პარტიულ ელიტაზე) აქედანვე მტკიცედ მკვიდრდებოდა მცნება „ლენინ-სტალინი“, როგორც გონებაში ჩასაბეჭდი ახალი, „ძვირფასი“ იეროგლიფი, რომელიც სიმბოლური სირთულიდან ბოლშევიზმის მოძღვრების უძლეველობის სიმბოლოდ უნდა აღქმულიყო და აღიქმებოდა კიდეც.

„მოკლე კურსის“ გამოსვლამ, ამრიგად, დასაბამი მისცა კომუნისტური პარტიის სახელწოდების სინონიმად ერთმანეთთან თითქოსდა ურღვევ გრანიტად გადაქცეული ორი სახელის ტყუპად გავრცელების კანონზომიერებას. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო, ბიძგი მისცა პარტიისა და ხალხის ერთიანობის იმ უზარმაზარი ტალღის აზვირთებას, რომელმაც სამამულო ომის საშინელი განსაცდელის გამოელით, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1954—1961 წლებში, ლოგიკური გამოსახულება ჰპოვა კრემლის წინ, მავზოლეუმზე, ოქროს ასოებით ამოტვიფრულ წარწერაში: „ვ. ი. ლენინი — ი. ბ. სტალინი“. ხალხის შეგრძნებასა და შეგნებაში ამისთვის მყარი ნიადაგი ადრიდანვე, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის თითქოსდა ჩვეულებრივ, უწყინარ, მაგრამ, სისწორით რომ ვთქვათ, ეიფორიულ, აღზევებით ფორმებში მზადდებოდა. მაგალითები:

...ბაღი-ბულვარის პირდაპირ, ქალაქის ცენტრში, ორსართულიანი სახლის ფასადზე მიკრული ფირნიში წინათ არ იწვევდა არავითარ საგანგებო ინტერესს. 1938 წლის 22 ოქტომბრიდან მისკენ ადამიანთა ნაკადის დინებამ უეცრად იმატა. ამ დღეს აქ ჩატარდა საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი მიძღვნილი „მოკლე კურსის“ შესასწავლად წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების, კონკრეტული გეგმა-ღონისძიებების დასახვისადმი. მთავარი მათში ზედა სართულზე ვიწროდ მოთავსებული პარტიული კაბინეტის პარტიული განათლების ფართო და მძლავრ კერად გადაქცევის პრობლემა იყო. მის სასწრაფოდ კეთილმოწყობასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ლექტორთა და კონსულტანტთა კვალიფიციური კადრის შექმნა. ქალაქკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების მაორგანიზებელი როლის გაძლიერება. წიგნის შესწავლის ფორმების განსაზღვრა და თვალსაჩინოებითი მასალების შეძენა-მომზადება. კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება ბოლშევიზმის თეორიის დაუფლებისათვის ბრძოლაში.

ყველაფერი ეს ხდებოდა „მოკლე კურსის“ წიგნად გამოსვლამდე. შემდეგ კი... კერძოდ, 1939 წლის 10 მარტიდან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებმა, საანგარიშო მოხსენებამ, ეჰვი არ უნდა შეგეპაროთ, ასკეცად გააფართოვა და გააღრმავა ინტერესი წიგნისადმი, შეიტანა მის შესწავლაში მეტი სიცხადე, სიახლე და მასშტაბურობა. ასე დაიწყო პარტიული აქტივის რეგულარული სემინარული მეცადინეობები.

მაშინ, ჩვეულებრივ, ყოველი სახის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღონისძიებანი, კრებები, სხდომები, ქალაქკომის ბიურო, პლენუმები, საქალაქო საბჭოს დეპუტატთა სესიები ექვსდღიანი სამუშაო კვირის სამუშაო საათების შემდეგ ტარდებოდა და არავის ჰქონდა უფლება მოეცდინა კოლმეურნე გლეხი — მინდვრიდან, მუშა — წარმოებიდან, მოსამსახურე — დაწესებულებიდან. შეგნებული შრომითი დისციპლინის და ყოველმხრივი, ყველაფერში წესრიგიანობის დრო იყო. (შეგნება და წესრიგი უპირველესად ემყარებოდა ყოველი რანგის ხელმძღვანელის მისაბაძ, სანიმუშო მაგალითს. „ზემოდან“ მომთხოვნს ქვემოდან კონტროლი უპირისპირდებოდა. ფოთის გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორი კოლექტივის გადაწყვეტილებით მოიხსნა თანამდებობიდან სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში დაგვიანებით გამოცხადებისათვის. — „მგზნ. კოლხ“, 1939. № 10). ამიტომ, ბუნებრივია, აქტივის მონაწილენი სემინარულ მეცადინეობებზე სამუშაოდან პირდაპირ პარტიული განათლების სახლში იკრიბებოდნენ.

ისინი წინასწარ დარიგებულ თემებზე არა მხოლოდ მოხსენებებს ისმენდნენ, მათ ევალებოდათ კამათში აქტიური მონაწილეობის მიღება, თავიანთი თეორიულ-პოლიტიკური მომზადების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ცხადყოფა, პოზიციის გამოკვეთა და გამოვლენა. „პოლიტიკაში შეცდომა რომ არ დაუშვა, — ჩასჩიჩინებდა წიგნი-მაცდური, — უნდა გაატარო შეურიგებელი კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკა... კი არ უნდა აქრობდე კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბოლომდე მიგყავდეს იგი“.

მით უფრო, 1940 წლის 10—13 ივნისს ჩატარებული სამდღიანი სემინარი ეძღვნებოდა „მოკლე კურსის“ მეოთხე თავის ყველაზე რთულ მონაკვეთს. მისგან სამოხსენებოდ შერჩეული იყო სამი საკითხი: 1. ლენინის ბრძოლა მახიზმის წინააღმდეგ, 2. ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, 3. დიალექტიკური და ისტო-

რიული მატერიალიზმის ნიშნები. წიგნის სულ რაღაც 30—35 გვერდზე რაც შეიძლება მარტივად იყო გადმოცემული საერთოდ ფილოსოფიური აზრის განვითარების, კერძოთ კი დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ჩამოყალიბების, მარქსისტული პარტიის მსოფლმხედველობად მისი გადაქცევის გზა და პროცესი. მაგრამ ამ სიმარტივის გაგება არც ისე ადვილი იყო. ცნება-ტერმინებს განმარტება სჭირდებოდა.

„მგზნებარე კოლხიდელის“ 1940 წლის 16 ივნისის ნომრიდან, თუ დაინტერესდებით, თქვენ შეგიძლიათ მიახლოებითი წარმოდგენა მიიღოთ სემინარის ჩატარების ორგანიზაციულ ფორმებსა და საკითხებზე. აქ დაბეჭდილია ერცელი წერილი „პარტიული აქტივის სემინარები“. თვითმხილველის რაიმე უნებურ ცდუნებაში რომ არ მოვყვე, მოვიტან ზოგიერთ ცნობას დასახელებული ნომრის ფურცლიდან: შერჩეულ სამოხსენებო თემებთან დაკავშირებით აქტივის წევრებს წინასწარ ჩაუტარდათ 14 ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია, სემინარების დროს დაისვა 84 შეკითხვა, კამათში გამოვიდა 17 ამხანაგი.

სემინარის ბოლო დღეს აქტივისტები დიდად კმაყოფილნი იყვნენ ქალაქკომის აგიტაციის და პროპაგანდის განყოფილების გამგის, შოთა დიმიტრის ძე გეთიას შემაჯამებელი სიტყვის სიმკვეთრით და სიღრმით. მას ყურადღების არედან არ გამორჩენია არც ერთი მოკამათის აზრი. ზოგს მოწონებით იხსენიებდა, ზოგს შენიშვნებით, ე. წ. „შეხურებით“, ზოგის მიერ გაშუქებულ საკითხს კი სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას აძლევდა. რაც მთავარია, იგი სემინარულ მეცადინეობას უშუალოდ უკავშირებდა პრაქტიკულ მიზნებს, ცხოვრებისეულ პრობლემებს, რითაც ყოველ აქტივისტს პირდაპირ განაწყობდა სამუშაო ადგილზე მუდამ მობილიზებულად, ქვეყნის ინტერესებით ყოფნისკენ.

— ამხანაგ ვალერიან თოთიბაძეს, — ამბობდა იგი საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგის მისამართით, — კარგად ესმის ჰეგელის დიალექტიკიდან იდეალისტური ჩენჩოს ჩამოშორების, მაშასადამე, მისი გაწმენდის მარქსისტული მეთოდის სისწორე, მაგრამ ზოგიერთ სავაჭრო მაღაზიაში ფინანსური დანაკლისის ფაქტები თითქოსდა სრულიად არ აწუხებს. აბა, რით ავხსნათ, თვითონ დღითიდღე იდეურად იზრდება, ხოლო მისდამი დაქვემდე-

ბარებულ დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი წესრიგი, კონტროლი და სიფხიზლე დაქვეითებულია?!

ივნისის როგორი ბუღი იდგა გარეთ და, უნდა გენახათ, როგორი ცხარე დავა-კამათი იმართებოდა დარბაზში ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების სხვადასხვა თეორიაზე. ბოლოს ყველა ერთხმად გულდაჯერებით აღიარებდა მარქსის დებულების სისწორეს: „ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას". აქედან, თითქოს საკლასო საზეპირო დავალებად ჰქონოდათ მიცემული, ქუჩებში აქტივისტები ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, ხშირად იმეორებდნენ ერთმანეთის ცოდნის შესამოწმებლად: „თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როგორც კი იგი მასებს დაეუფლება".

მასების საყოველთაო პოლიტიზაციის ასეთ თავბრუდამხვევ ატმოსფეროში ჟურნალისტთა რა მატყუარობაზე ან რეპრესიების რა უსამართლობაზე შეიძლებოდა ფიქრი და ლაპარაკი? დამნაშავეების თითოეული მთავარი ჯგუფის სასამართლო პროცესები წიგნში დახასიათებული იყო, ერთი მხრივ, როგორც საბჭოთა რევოლუციური მართლმსაჯულების უდიდესი გამარჯვება, ხოლო, მეორე მხრივ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმის მასალების შესაბამისად, ნაჩვენები იყო დაშვებული შეცდომების აღიარებასთან ერთად მისი გამოსწორების კონკრეტული გზებიც. ლოგიკურად საეჭვო თითქოს არაფერი რჩებოდა.

დიახ, ლოგიკურად! და ამაში იყო „ჩაწნეხილი" ადამიანთა გონების შერყვნის, მისი „მოწამვლის" და შენიღბვის ამოუცნობი საიდუმლოება.

მახსოვს, ექიმთა საზოგადოების შედარებით ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელმა „მგზნებარე კოლხიდელის" ერთ-ერთ ნომერში (თუ არ ვცდები, 1940 წლის 22 ნოემბერს) გამოაქვეყნა თავისი მოსაზრება „მოკლე კურსიდან" მიღებული ცოდნის სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების შესახებ. ეს წიგნი ჩემთვის მეორე უნივერსიტეტი გახდაო. — იუწყებოდა იგი. თუ წინათ, დიაგნოზის დასმისას, ავადმყოფთა მხოლოდ სუბიექტური ჩივილებით ვკმაყოფილდებოდი, ახლა მეტ ყურადღებას ვაქცევ პაციენტის ავადმყოფობის გამომწვევი ობიექტური მიზეზების შესწავლას, ვაჯერებ ერთმანეთთან და გამომაქვს სწორი დასკვნაო.

ვიცი, თქვენი ირონიული ჩაღიმილებით სტერეოტიპული შეკითხვა გინდოდათ მოგეცათ — აიძულეს დაეწერა და დაწერაო. პარტიის ისტორიაზე ადრეც იყო შექმნილი გ. პეტროვსკის, ე. იაროსლავსკის და სხვათა ნაშრომები და გამოცდების ჩასაბარებლად მართლა გვაიძულებდნენ მათგან გვესწავლა ეს საგანი, მაგრამ ბევრი არაფერი გამოგვყოლია მათი წაკითხვიდან. რა დასამალია, თავიანთი გულისთქმის გამოსახვას მკითხველებს თვით „მოკლე კურსი“ აიძულებდა.

ენციკლოპედიური ლაპიდარიზმი, აზრების, ფაქტების და მოვლენების განზოგადების სიცხადე, დასკვნების კონკრეტიზაცია და დამაჯერებლობა, საზოგადოებრივი განვითარების წინსვლისათვის მთავარი რგოლის წინასწარ დანახვის, მეორეხარისხოვნებიდან მისი წინ წამოწევის, შედეგის წინასწარ განჭვრეტის, წინდახედულების და გამჭრიახობის უნარ-თვისებებით შეიარაღება, რათა არ ჩაეფლო „შეცდომების ჭაობში“. — ასეთი იყო მისი ძირითადი, ზოგადი დამახასიათებელი ნიშანი, რჩევა და მოწოდება. ასე აფასებდნენ, „აღმერთებდნენ“ ამ წიგნს მაშინ.

ამიტომ ერქვა „მოკლე კურსი“ და, ამ მხრივ, როგორც მაშინ წერდნენ და გვინერგავდნენ, თითქოს კლასიკურად ჩამოქნილ ხალხურ ნოველას უფრო ჰგავდა, ვიდრე ათასგვერდიან უგერგილო რომანს. თითქმის ექვსას გვერდამდე გაიჭიმა ნ. ხრუშჩოვის ეტაპის დამატებით სკკპ ისტორია, ლ. ბრეჟნევის ეტაპის დამატებით ამაზე უფრო მეტადაც (მ. გორბაჩოვის ეტაპის დამატებით დაგეგმილი გამოცემა ჩაიშალა) და მაინც რაოდენობითმა ზრდამ ვერა და ვერ გადასწონა „მოკლე კურსის“ დონე და ხარისხი, მასებისათვის მისაწვდომობა და პოპულარობა.

ამიტომაცაა, ხსენებულ ისტორიებს დიდი ხანია არავინ იხსენებს, „მოკლე კურსი“ კი თევზის ძვალივით ყელზე გამუდმებით ეჩხირებათ. სულ ახლახან („პრავდა“, 1990, № 112) ნატალია მოროზოვამაც გაჰკრა კბილი. ასე, მაგალითად: „მეცნიერული კეთილსინდისიერების კომპონენტი, — წერს იგი, — დიახაც აკლია დღეს მეცნიერების ზოგიერთ დოქტორს. თუმცა ისინი შეიძლება არც არიან დამნაშავენი? მართალია, დოქტორები კი არიან, მაგრამ მათთაც ხომ „მოკლე კურსიდან“ ისწავლეს“... და ა. შ. და ა. შ.

ამით, რასაკვირველია, „სარკოფაგში“ სამუდამოდ ჩამარხული წიგნის რაიმე ლეგალიზაციას ან იდეალიზებას როდი ვახდენთ, არა, უბრალოდ გვინდა მიგანიშნოთ წარსული ეპოქის სულიერ საყრდენ-

თან თხუთმეტი წლის განმავლობაში (1938-1953) მის უწყვეტ კავშირზე, იმაზე, რომ **შეუძლებელია** იმ ეპოქის, თვით პიროვნების კულტის წარმოშობის სწორად გაგება და შეცნობა მისი სწორად წარმოდგენის გარეშე.

ზემოთჩამოთვლილი ზოგადი ნიშნების დამატებით ნაწილობრივ მაინც რომ უფრო ჩაწვდეთ „მიზიდულობის" საიდუმლოებას, საკმარისია წიგნის მხოლოდ გვერდნახევრიანი შესავალი და დასკვნები წაიკითხოთ და თავი წარმოისახოთ მაშინდელ გარესამყაროში, რომელიც მომხდარი რადიკალური ცვლილებებით ობიექტურად შეესატყვისებოდა მასში მოცემულ დახასიათებებს. იძლეოდა რა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის არსის განსაზღვრას, შესავლის ბოლო ნაწილში ნათქვამი იყო, რომ ის „არის ისტორია ცარიზმის დამხობისა, ისტორია სამოქალაქო ომის დროს უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციის განადგურებისა, ისტორია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური საზოგადოების აშენებისა".

ყოველივე ეს, როგორც რეალობა, ასახული იყო სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში, ხოლო ამ კონსტიტუციის შესახებ საინტერესოა ვიცოდეთ რას სწერდა კონსტანტინე გამსახურდია,[1] რომელსაც, სხვათა შორის, ეკუთვნის 1939 წელს გამოცემული დაუშთავრებელი ბიოგრაფიული რომანი სახელწოდებით „ბელადი". აი, რამდენადმე შემოკლებული ტექსტი მისი საგაზეთო წერილიდან „ახალი ენტუზიაზმით".

„ძნელია რაიმე ფორმის მოძებნა სიხარულისთვის, საბჭოთა კონსტიტუციის გაცნობისას რომ განვიცადე. გადავიკითხე იგი მრავალგზის ისეთის სიამითა და გულისყურით, როგორითაც მსოფლიო პოეზიის შედევრები გადამიკითხავს ხოლმე. საბჭოთა კონსტიტუციაში ხორცშესხმულია ყველა კეთილშობილური მისწრაფება კაცობრიობისა პლატონიდან სტალინამდის... ადამიანის, მოქალაქის და თავისუფალი პიროვნების ხარტია ისე არავის ესაჭიროება როგორც მწერალს, რომელიც წინა რეჟიმში დევნილი იყო, როგორც მაღალი იდეების ალამდარი და მეწინავე. შრომით და ბრძოლით, შრომის ახალი ენტუზიაზმით კიდევ უფრო გავაძლიეროთ საბჭოთა საქართველო, რომელსაც წინ მიუძღვის დიდი სტალინის გენია და მისი

---

[1] „მთვარის მოტაცების" ავტორი მაშინ ახალგაზრდობის სათაყვანებელ კერპად იყო ქცეული.

საუკეთესო მოწაფე, ქართული კულტურის დიდი მეგობარი ლავრენტი ბერია“ (გაზეთი „მუშა“, 1936, № 143).

მთელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი აღტყინების ასეთ საერთო ფონზე „მოკლე კურსი“ მთლიანად და, კერძოდ, მისი შესავალი, რა თქმა უნდა, აღმგზნებიც იყო, დამრაზმავიც და... ბოლშევიკური ფანატიზმით გამაბრუებელიც.

ჩვენთვის, ე. ი. ჩემი თაობისათვის მაშინ სრულიად უცნობი და დახშული იყო ქრისტიანული, კერძოთ, პავლეს ეპისტოლედან საუკუნეების განმავლობაში გავრცელებული სიბრძნე: „რწმენის გარეშე ღმერთის შეცნობა შეუძლებელია... რწმენა არის განხორციელება მოსალოდნელისა და დაჯერება უხილაობისა“. 30-იანი წლების ბოლოდან „უხილაობის დაჯერებაში“ ახალი რწმენის კონცენტრირებულ, უშრეტ წყაროდ სწორედ „მოკლე კურსი“ გვევლინებოდა.

ისე როგორც ლენინის კერპი ცვლიდა ქრისტეს სახებას, იგი, კოლექტიურ შემქმნელთა ჩანაფიქრით, ვითომდა ცვლიდა ქრისტიანულ სახარებებს და ეპისტოლეებს. ამ მოსაზრებით შევარქვი კიდეც ზემოთ პირობითად „წიგნი-მაცდური“. ქრისტიანულ მოძღვრებასავით ისიც თითქოს სულიერად ზრდიდა და ამდიდრებდა ე. წ. საბჭოურ კადრებს, ადამიანებს „აღაგზნებდა“ შეუძლებლის, მიუღწეველისა და მიუწვდომლისკენ მუდმივ საბრძოლველად.

ამ გაგებით, „მოკლე კურსი“ მარქსიზმ-ლენინიზმიდან ამოზრდილი ტოტალიტარიზმის საყრდენი თეორიული ბაზა იყო, — ანტითეზა ბიბლიისა. ყოფიერების ერთსახეობა განაპირობებდა ცნობიერების მატერიალიზების საყოველთაობას. ნიღაბახდილი თუ ნიღაბჩამოგლეჯილი ამ ცრუ თეორიების **რწმენობის,** სხვათა დარწმუნების მეთოდსა და ძალაში იყო ჩამარხული მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ეკონომიკური და იდეოლოგიური სიმტკიცის ჯადო-გასაღები (ვრცლად მე-3 ნაწილში)...

მივუბრუნდეთ ახლა ისევ კოლხეთის ბაღნარებსა და ლამაზ-ლამაზ ყვავილებში ჩაფლულ, ლეგენდარული მითოსის — „ოქროს საწმისის“ ომამდელ ფაზის-ქალაქს.

ექო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი მოგზაურის კარლ კოხის ჩანაწერებიდან: „ფოთი კიდევ უფრო სევდისმომგვრელი ადგილია... და გაცილებით მავნე ჯანმრთელობისათვის... ციება აქ ყველაზე საშიში მტერია... ხშირად შეხვდებით შესიებულ, ფერმკრთალ, გაყვითლებულ სახეებს, რომლებიც გარესამყაროს მიმართ

ინდიფერენტულნი არიან. მათი გამომეტყველება ოდნავადაც არ იცვლება. ფართო ფოსოებიდან უსიცოცხლო თვალები იყურება, ხელები უკანკალებთ, სიარული უჭირთ“ (კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1987, გვ. 168).

ღმერთო ჩემო! რაოდენი „უფსკრულია“ წელიწადნელ აღტაცებით ნათქვამსა და კოხის მართლაც „სევდისმომგვრელ“ ამ სტრიქონებს შორის. ადრე, სენაკიდან ფოთში გადასვლამდე, ეს რომ წამეკითხა, ვერავითარი რომანტიკა ვერ მიშველიდა, ვერ გამიჭარწყლებდა შეძზარაე შთაბეჭდილებას. მაშინ, მგზავრობის წინ, გახსოვთ, ალბათ, მალარიისადმი აღძრული ეჭვი და შიში იმ ინფორმაციებით მოვიგერიე, რომლებიც პრესაში იბეჭდებოდა. და არც მოვტყუებულვარ. საუკუნეთა მანძილზე, განსაკუთრებით დასაწყისში საქართველოში მძვინვარე ამ სენის **მოსპობა** უდიდესი მონაპოვარი იყო. ბავშვობაში გადატანილი სიმწრის შემდეგ, სიყრმიდან სიჭაბუკეში შესულმა, ფოთში პირველად ვიგრძენი საყოველთაო ბედნიერების ის შუქმოსილება, რომელიც ფიზიკურ სიჯანსაღეს მიენიჭებინა მალარიისგან განკურნებული და გალაღებული ადამიანებისათვის. თითქოს საოცარი კონტრასტების ზღაპრულ ელდორადოსთან მიხდებოდა შეხვედრა.

დიახ, კოხის დღიურების საპირისპიროდ, პირველივე დღეებიდან მე ასეთ მიკრო „ოქროქვეყანაში“ მცხოვრები ადამიანების გარემოცვაში ვიმყოფებოდი. მათ ხალისიან გამომეტყველებას სიცოცხლის ხიბლი, ენერგიის მჩქეფარობა და შრომა-საქმიანობის უზადო წყურვილი ამკობდა. მათ მოძრაობებსა და ურთიერთობებში ერთდროულად ორ დაუძინებელ მტერზე — ციებასა და ტუბერკულიოზზე გამარჯვების საზეიმო განწყობილება იხატებოდა და არა ინდიფერენტულობის რაიმე ნიშან-კვალი. ჭალაში ზღვიდან მონაბერი გრილი ნიავი გამუდმებით წმენდდა ჰაერს, ასფალტდაგებულ ქუჩებზე კი კონკის ნაცვლად პატარა ზომის ავტობუსები დაჰქროდნენ.

ამ ადვილად საგრძნობ სიკეთეს თან ერთოდა ადამიანური ქცევათვისებების ადვილადვე შესამჩნევი ისეთი ელემენტები და ატრიბუტები, როგორიც იყო ზრდილობა, პატიოსნება, წესიერება და ჭალ-ვაჟთა შორის ურთიერთპატივისცემითი დამოკიდებულება. მათ მეგობრობას გულითადობა ამშვენებდა, სიყვარულს — სიწრფელე, სიმორცხვე და სინაზე. ერთის ბედნიერება გამორიცხავდა მეორის უბედურებას, ალტრუიზმი — ეგოიზმს. აქ მხედველობაშია მისაღები

გარემოება, რომელიც ერთხანს მაკვირვებდა და მაოცებდა კიდეც.

ფოთი მაშინ თავისი გარშემორტყმული უბნებით — ახალსოფელი, ნინოშვილი, ცენტრი, პარკი, კუნძული, ნაბადა, ციხისმხარე — ჯერ ისევ აგრარულ იერს ატარებდა და ინდუსტრიულის ელფერს ძირითადად საზღვაო ჰიშკარი — ნავსადგური ანიჭებდა. მოსახლეობის უმეტესობა მიწათმოქმედებას მისდევდა (ალბათ, ეს ედო საფუძვლად ადრინდელი მესვეურების უგუნურ გადაწყვეტილებას შიგ, ქალაქის ფარგლებში, კოლმეურნეობების ნაჩქარევად ჩამოყალიბების თაობაზე. კიდევ კარგი, მოგვიანებით გამოსწორდა დაშვებული შეცდომა). მეწველი ძროხა და უღელი ხარ-კამეჩი, განსაკუთრებით კაპარჭინას მიდამოებში, თითქმის ყოველ მოსახლეს ჰყავდა[1]. ჰქონდათ მოშორებით თავთავიანთი საყანე და საძოვარი ადგილებიც. ყოველივე ეს მათ უნარჩუნებდა ნახევრად სოფლურ იდილიურობას, ძველებური მეზობლობის, კრძალვა-რიდის ჩვევებს. ასეთი დადებითი ჩვევები ოჯახებიდან ახალგაზრდობაზე გადადიოდა.

მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთა ჩვევა-ხასიათების, მათი კუთხური მეტყველების, კილოთქმების ერთმანეთში შერევა და შერწყმა, ერთგვარი ასიმილირება ბუნების შეუვალ წესად ქცეულიყო. ასეთი პერმანენტული პროცესის შედეგად მთელ ფოთში[2] ქართული ლიტერატურული ენით გამართულად, ერთიანი ფორმით მეტყველების კულტურა საოცრად მაღლა იდგა. ამას ემატებოდა ყოფაცხოვრებითს ნიშნებში — ჩაცმა-დახურვა, სიტყვა-პასუხი, თავდაჭერილობა, სისადავე და უბრალოება — ჩაქსოვილი კულტურაც. ნაკლებად ჩანდა ამ მხრივ ვინმე ტლანქად გამორჩეული და თავხედად „ზეაწეული".

სოციალურად გათანასწორებულ, კონსტიტუციურად გათანაბრებულ, ერთნაირ მოქალაქეობრივ უფლებებში ჩაყენებულ ადამიანებს ტანისამოსის ერთფეროვნება და ცხოვრების დონის ერთნაირობა ძალაუნებურად ერთ სულად და ერთ ხორცად აერთიანებდა. აქ თავისთავად გამორიცხული იყო მბრძანებლობის რაიმე საჭიროება. მათ ეზოებში, ბაყაყებით სავსე ჭების ნაცვლად, ნოსირიდან

---

[1] ამ მხრივ განსაკუთრებით განთქმული იყო კავკასიის ქუჩაზე მცხოვრები პაველ მაკალათიას მშვენიერი გლეხური ოჯახი.

[2] მეგრელების სიჯარბის პარალელურად გურულებით დასახლების გამო ფოთი ძველად, ოზურგეთის მსგავსად, შეცდომით გურიის ქალაქად იყო მიჩნეული (იხ. ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, 1912, გვ. 496), რასაც ვიღაცეები ბოროტად იყენებენ.

1939 წელს რკინის უთვალავი მილებით გამოყვანილი ანკარა სასმელი წყალი, ყოველგვარი გარჯის გარეშე, ონკანებიდან პირდაპირ ყველას ერთნაირად ჩაედინებოდა თავთავიანთ დოქებსა და ვედროებში[1]. ვითომდა პეტერგოფის ანალოგიით, ყველასათვის თვალსაჩინოდ, ქალაქის ბაღში ცად ატყორცნილი შადრევანი ჩქეფდა (იხ. ლექსი „შადრევანი ფოთის ბაღში", „მგზნ. კოლხ". 1940, № 219).

ამასთან, მიუხედავად სურსათ-სანოვაგის და ფართლეულის სიუხვისა, ეკონომიკურ, ან როგორც ახლა მოდაშია მიღებული, მატერიალურ ფუფუნებას, მართალია, წინ სულიერი, იდეური სიწმინდე უსწრებდა, მაგრამ, უკეთესი მომავლის რწმენით, სიცოცხლეს აშკარად რაღაც ახალი ელფერი, სილამაზე, შინაარსი, ახალი ყღერადობა მისცემოდა.

მწვანე ნარგავებით მორთულ ქუჩებსა, თეატრის წინმდებარე მოედნებსა და თვით ბაღ-ბულვარის ბილიკებზე მოსეირნენი თუ საკოლმეურნეო ბაზრიდან გამოსულნი (მის ტერიტორიაზე წინათ ადმინისტრაციული სახლი იდგა) შეჰხაროდნენ, შესციცინებდნენ, გულის სითბოს უყოფდნენ ერთმანეთს. საზიაროდ, საწილადოდ გაშხდარიყო მათთვის ერთმანეთის ჰირიც და ლხინიც.

მთელი ამ გარეგნული და შინაგანი სახეცვლილებების მანათობელ კანდელ-გვირგვინად საზოგადოებაში მკაფიოდ გამოვლენილი ქართული ეროვნული სული იყო. მას დარაჯად ედგა ქართული სკოლების ფართო ქსელი, განთქმული დრამატული თეატრი და ინტელიგენციის ბევრი და ახალი პატრიოტული თაობა. **ფოთელობა**, განურჩევლად ნაციონალური კუთვნილებისა, ყველა აქ მცხოვრებს ოითქოს თავისებურ სიამაყეს გვრიდა, მუხტავდა, მოვალეობას აკისრებდა. და ყველა ცდილობდა, პოტენციური შესაძლებლობის მიხედვით, რაღაცით სამაგიერო მიეზღო, რაღაცით გამოეხატა მისდამი გულში სათუთად შენახული სიყვარულის გრძნობა.

მახსენდება საშუალო ტანის, პირმრგვალი, იღლიაში მუდამ წიგნგაზეთებით ამოჩრილი ბესარიონ გოგოლი (გოგოლიშვილი). შემოგეყრებოდა თუ არა, შეგაჩერებდა, მოგიყვებოდა გუშინ, გუშინწინ, კიდევ იმის წინ სად იყო, ქალაქის რომელ კუთხე-უბანში (ყუ-

[1] ნოსირ-ფოთის ორმოცდაათ კილომეტრიანი წყალსადენის მშენებლობის (უფროსი შ. ცაგარელი) მოკლე დროში დამთავრება და ქალაქის უბნების სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოსახლეობის საუკუნოვანი ოცნების განხორციელების გამოხატულება იყო.

ლევსა თუ საქორჭიოში, შავღელესა თუ ნაბადაში), რა აღმოაჩინა, რომელი საუკუნისაა, როგორ მიაგნო. იგი ზოგჯერ საკუთარი სახსრებით კრებდა, იძენდა და აგროვებდა კოლხეთის საისტორიო მასალებს, აწარმოებდა პრიმიტიულ არქეოლოგიურ გათხრებს. ასე ეყრებოდა ჯერკიდევ დიდ სამამულო ომამდე საფუძველი ფოთის ამჟამინდელ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნის საშვილიშვილო საქმეს.

ექიმი არმენაკ თურქიანი სამუშაო საათების შემდეგ ხან ფეხით, ხან ეტლით რამდენიმე კილომეტრს გადიოდა ქალაქიდან სამხრეთის მიმართულებით „ღია ექსპერიმენტების“ ჩასატარებლად, რათა დაემტკიცებინა ბავშვების ჯანმრთელობისათვის მალთაყვის ძვირფასი საკურორტო თვისებები. ასეთი იყო მისი არც ისე მცირე წვლილი ფოთის დღევანდელი მშვენების ასაყვავებლად წინასწარი სამედიცინო წინამძღვრების მომზადებაში.

— ანოფელესი „გავანადგურეთ“. მერე? თვითდამშვიდებას და თვითკმაყოფილებას მიეცეთ? არც ერთი კოღო ქალაქში! მის გარშემო ჭაობები დაშრა, კოლხეთმშენი ისტორიულ, გაუგონარ საქმეს აკეთებს, ნაჭაობარზე გრეიფრუტის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, ხოლო, დახეთ, აქა-იქ საეკვო წერტები ჩნდება! დიახ, თითოეული მოსახლის ეზოს წინ გაუწმენდავი თხრილის პატარა გუბე კოღოს გაჩენის საშიში წერტია. ღამე მშვიდად რომ იძინოს ხალხმა, ყველგან უნდა მოისპოს კოღოების კერა. — გისაბუთებდა თავის მოუსვენრობას სამალარიო-ეპიდემიოლოგიური სადგურის გამგე **ილარიონ ცომაია** და დამხმარე ბრიგადით განგაშს ტეხდა, ხელებწაკაპიწებული „რისხვად“ ატყდებოდა „ცხელ კვალზე“ მიგნებულ ადგილებს. „იბრძოდა, იღწვოდა, იწვოდა საქმისთვის, მადლობა მივაგოთ, ხსენება ამისთვის“.

ტრფიალი ათასნაირია, მაგრამ... 1936 წლიდან ფოთის დრამატულ თეატრს დიდხანს ედგა სათავეში რეჟისორი ნიკო გოძიაშვილი. დასი ძირითადად ადგილობრიეი ძალებით იყო დაკომპლექტებული, მოწვეულებიც ჰყავდა. ჩვენს გაზეთში სისტემატურად ვაქვეყნებდი თეატრალურ რეცენზიებს (ბიობიბლიოგრაფიაში აღნუსხულია ქრონოლოიგურად), და არა მხოლოდ ჩვენს საქალაქო გაზეთში. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზეც. მიწერ-მოწერა მქონდა ამ ჟურნალის რედაქციის განყოფილების გამგესთან, ცნობილ თეატრალურ კრიტიკოსთან შალვა ალხაზიშვილთან, რომლის წყალობით, სა-

თანადო ფოტოსურათებით ამ ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი ორი რეცენზია. 1. „მათი ამბავი“ ფოთის თეატრში (ვიქტორ გაბესკირიას პიესის დადგმაზე, „საბჭ. ხელ.“, 1939, № 11) და 2. „ოიდიპოს მეფე“ (სოფოკლეს დრამა, იხ. „საბჭ. ხელ.,“ 1940, № 12).

თეატრთან ასეთი მჭიდრო კონტაქტის ნიადაგზე, ნებსით თუ უნებლიეთ, მე ვიცნობდი არა მხოლოდ დასის თითოეულ წევრს (სიამოვნებით ვიხსენებ წამყვანი მსახიობების: ასკალონ მაგრაქველიძის, ქეთევან კოლხიდელის, თეიმურაზ და რუსუდან ლორთქიფანიძეების, ელადიმერ კუცაის, თამარ პოკროვსკაიას, აკაკი დობორჯგინიძის სახელებს), არამედ მაყურებლების ძირითად ბირთვსაც.

აი, ამათ რიგებიდან განსაკუთრებით ბიჭიკო თურქიას მუდამ მომღიმარი, თვალებგაბრწყინებული სახე შემომრჩა, როგორც ხელოვნებისადმი თავდავიწყებითი სიყვარულის განსახიერება. იგი ფოთის თეატრის არც ერთ დადგმას ხომ არ გამოტოვებდა და არ გამოტოვებდა! ძნელია დაიჯეროთ (მაგრამ მე ამის უშუალო მოწმე ვარ), არ ტოვებდა თბილისის მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრების არც ერთ მნიშვნელოვან სპექტაკლსაც. უეჭველად უნდა ჩასულიყო, დასწრებოდა, ენახა და დამტკბარიყო მათგან მინიჭებული ესთეტიკური განცდებით.

ყველაზე უფრო ვერიკო ანჯაფარიძის დეზდემონა და ივდითი „აგიჟებდა“. პროფესიით ექიმი იყო. არც ისე პრესტიჟული დარგით. ვენერიულ სნეულებათა დისპანსერს ხელმძღვანელობდა. ჰქონდა წარმოდგენების გეგმა-გრაფიკი. პარასკევს მიდიოდა თბილისში, შაბათს სპექტაკლს დაესწრებოდა, ღამის მატარებლით ისევ ბრუნდებოდა და კვირა საღამოს ბაღ-ბულვარის შესასვლელ კოლონადასთან, ჭადრების ჩრდილქვეშ, აღგზნებით გვიამბობდა შთაბეჭდილებებზე. ჰო, ჰო, ჰო, პა-პა-პა. — გაიძახოდა ჩაფსკვნილი, შავგვრემანი სახის ბიჭიკო ხმამაღლა, ცმუკავდა და ხელებს იფშვნეტდა. ტრფიალი ათასნაირია, მაყურებელიც. მაგრამ ასეთი?

ან ავიღოთ ფოთელობის გამოხატვის სხვა ასპექტი. ტრადიციის ესტაფეტა. კონსტანტინე მიქაბერიძე ცოცხლად შემორჩენილი ის საპატიო პერსონი იყო, ვინც ფოთში ნიკო ნიკოლაძესთან ერთად მოღვაწეობდა, როგორც სამედიცინო დარგში ხალხის მსახური. მის სახლს კუნძულის უბნის ცენტრალურ ქუჩაზე ახლა მემორიალური დაფა ამშვენებს. 30-იანი წლების მიწურულში წარსულისადმი ნიჰილიზმი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იგრძნობოდა. ექიმთა საზოგადო-

ებაში კ. მიქაბერიძეს წამყვანი ადგილი არ ეჭირა, დაჩაჩანაკებულ მოხუცს ეძახდნენ. თვით ნ. ნიკოლაძის სახელიც არ იყო სათანადოდ დაფასებული. მათი მეგობრობის ტრადიცია მედიცინის და ლიტერატურის ურთიერთკავშირს, საზოგადოებრივ ინტერესებს და იდეალებს ეფუძნებოდა.

ამ მხრივ, ომამდელ ფოთში ინტელიგენციის თვალსაჩინო წრიდან კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა სპეციალობით ყელ-ყურის დასტაქარი, ხოლო შინაგანი მოწოდებით და სულიერი ცხოვრებით ქართულ მწერლობასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული, საზოგადო საქმეებისათვის თავგამოდებული **იასონ სიმონის ძე უჩანეიშვილი** (1903—1973). მასთან ყოველი შეხვედრა, დაწყებული 1938 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე, ჩემთვის შთაგონების რაღაც მომხიბვლელი, ლამაზი, დაუვიწყარი ფურცელი იყო. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, პაციენტისგან გადამრჩენის დაეიწყება განა ვინმეს ეპატიება? მახსენდება პირველი გაცნობის უცნაური ეპიზოდი.

რედაქციაში მუშაობის დაწყების მეორე თუ მესამე კვირის დამდეგს, სამუშაო ოთახში გაზეთის მორიგი ნომრისათვის მასალის მომზადების დროს, ყველას თვალწინ, საწერ მაგიდაზე ჭაღალდის ფურცლები უცებ წითლად შეიღება, ცხვირის ნესტოდან ღვარად წამომდინარე სისხლი. თანამშრომლები აწრიალდნენ, დამესიენ, წყლით მომბანეს პირი, ცხვირსახოცებით აგუბებდნენ, მაგრამ ვერავითარი საშუალებით დენა ვერ შეაკავეს. მაშინ სასწრაფო დახმარების ქსელი არ არსებობდა, არც სააფთიაქო პუნქტი იყო სადმე ახლო. როცა შეატყვეს ზეზეულად სისხლისგან ვიცლებოდი, რედაქტორმა გვაძაბიას ეტლით[1] უმალ გამგზავნა ქალაქის საავადმყოფოში, რომელიც კუნძულის უბანშიეე რიონის მეორე ტოტის განაპირა ქუჩაზე იყო მოთავსებული. იქ მიყვანისას გონი თითქმის დაკარგული მქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ სასწაულებრივ იმავე ეტლით გამომაბრუნეს ბამბის და ბინტის ტამპონებით ნესტოებგამოტენილი, მოსულიერებული და ახალგაზრდა, ოცდათხუთმეტი წლის ჯადოქარი მკურნალის რჩევა-დარიგებებით გამხნევებულ-გამხიარულებული.

— რაც არ უნდა შეგაწუხოს სიცხემ, — მეუბნებოდა დარბაის-

---

[1] ასე ეძახდნენ ფოტოგრაფ გვაძაბიაზე მიმაგრებულ ეტლს, რომლითაც იგი ფოტომასალებს ამზადებდა რედაქციისათვის.

ლური სიდინჯით ჩემთვის მანამდე უცნობი თეთრხალათიანი, სანდომიანი მრგვალი პირისახის, ფართო სათვალეებიდან კეთილშობილური ადამიანური გრძნობებით მომზირალი იასონ უჩანეიშვილი, — ცხვირის ნესტოების ყველაზე ფაქიზ კიდესთან კანს ნუ გაკაწრავ პატარა თითის წაწვეტებული ფრჩხილით. ქავილი ცხვირსახოცით ან ხელის მოსმით მოიშორე. გამოდენილი სისხლი ტეინში ჩაქცევის საშიშროებას გიქმნიდათ, სუსტ ადგილს მიასკდა და... ამიერიდან არ გაგიჩნდება მაღალი წნევა.

ი. უჩანეიშვილის ეს გამონათქვამი მომაქვს მისი ყოველი სიტყვის ჰეშმარიტების დადასტურების, პროფესიონალიზმის დონის ნათელყოფის ნიშნად. მართლაცდა, იმ დღეს სექტემბრის სულის შემხუთავი ბუღი იდგა რედაქციის ოთახში, თავი როგორღაც დამძიმებული და გაბრუებული მქონდა, ცხვირის ნესტოებთან ქავილის განსაქარვებლად მარჯვენა პატარა თითის წვეტიანი ფრჩხილით კანი მართლა გავიკაწრე და იმ დღიდან უკანასკნელ დრომდე არასოდეს შეუწუხებივარ ჰიპერტონიას (სამაგიეროდ, ჰიპოტონია დამჩემდა).

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ი. უჩანეიშვილმა 1930 წელს დაამთავრა. იმ დროისათვის მას უკვე მოხვეჭილი ჰქონდა მწერლის და საზოგადოებრივი საქმის ენთუზიასტის სახელი. ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ 1927 წლის ფურცლებზე ი. ეგრისელის ფსევდონიმით (№ 3, 4, 5-6, 8) გამოქვეყნებული იყო მისი ერცელი მოთხრობა „ნარვალები“, რომლის დაწერის დრო და ადგილი თვით ავტორის მიერ მითითებულია ბოლო ნომრის 79-ე გვერდზე გაკეთებულ მინაწერში: „ქ. ფოთი, 1926 წ.“

აქედან ჩანს, რომ ნაწარმოები შექმნილია ავტორისათვის საყვარელ მშობლიურ ქალაქში ჯერ კიდევ სტუდენტობამდე, და რომ მისი დაბეჭდვა მომხდარა ძალზე ოპერატიულად, მომდევნო წლის პირველსავე ნომრებიდან, რაც მიგვანიშნებს ჟურნალის რედაქციასთან, მის ლიტერატურულ კრედოსა, მიდრეკილებასა და მიმართულებასთან ახლაგაზრდა მწერლის არა მხოლოდ სიახლოვეზე, არამედ მისი შემოქმედებითი ნიჭის გარკვეულ დაფასებაზეც.

1928 წლის 7 თებერვალს, უკვე სტუდენტობის პერიოდში, ფოთის პრიმიტიული თეატრის „კომეტას“ სცენაზე საქველმოქმედო მიზნით დაიდგა ი. ეგრისელის ისტორიული დრამა „თინათინ დედოფალი“, რომელშიაც ვასილ ბარნოვის რომანის „მიმქრალი შარავანდედის“ სიუჟეტის გამოყენების ფონზე ასახული იყო მეთექვსმეტე

საუკუნის საქართველოს ცხოვრებიდან სამთავროებს შორის არსებული დამოკიდებულების მწვავე პრობლემები. ამ პიესის დადგმის თეატრალურმა აფიშამ ისტორიას შემოუნახა ოციანი წლების ფოთის კულტურულ განვითარებაში ვლადიმერ (ლადო) მარჯანიშვილის — დიდი კოტე მარჯანიშვილის მეზღვაური ძმის აქტიური მონაწილეობის მეტად საინტერესო ფაქტი.

იასონ უჩანეიშვილს ფოთის გიმნაზიაში ერთად სწავლის პერიოდიდან ურღვევი მეგობრობა აკავშირებდა პოეტ ალიო (მაშაშვილ) მირცხულავასთან. როცა 1963 წელს მთელ საქართველოში დიდი ზეიმით მიმდინარეობდა მისი დაბადების სამოცი წლის უბილის აღნიშვნა, ი. უჩანეიშვილი ფოთში იმ იუბილის საგანგებოდ ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

„რკინიგზის სადგურიდან ყოფილი გიმნაზიის შენობამდე გზა ვარდყვავილებით და ფარდაგებით გექონდა მოფენილი, — მიყვებოდა მოგვიანებით მალთაყვაში დასვენებისას ბატონი იასონი, — მე ალიოს ჩვენი ყოფილი გიმნაზიის (ე. ნინოშვილის ქუჩაზე ახლანდელი მეორე საშუალო სკოლის)შესასვლელ კართან დავხვდი. გადამეხვია, გადამკოცნა და ღიმილით მითხრა: შენ ადრე ჩამოცილდი ლიტერატურას, თორემ ჩემზე უფრო დაფასებული იქნებოდიო. მე ვუპასუხე: ხალხს ექიმობითაც ვემსახურები, მაგრამ ლიტერატურა მაინც ჩემი სულის განუყრელ ნაწილად დარჩა-მეთქი“.

დიახ, მედიცინასთან კავშირში მხატვრულ-შემოქმედებითი გატაცება იასონ უჩანეიშვილის სულის განუყოფელი ნაწილი იყო. მის ინტელექტუალურ დიაპაზონს ყოველივე ეს თავისებურ ელვარებას ანიჭებდა. იგი იყო დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამორჩეული ხელმძღვანელი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი. ი. უჩანეიშვილს დარჩა მეტად საყურადღებო მოგონებები, ჩანაწერები, დღიურები, დრამატურგიული და ლიტერატურული ნაწარმოებები, საოჯახო ალბომები, რომელთაც მოწიწებით უელიან და ინახავენ მისი ღირსეული მემკვიდრენი. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, კერძოთ, ცალკე გამოვყო უმცროსი ვაჟიშვილის — საქართველოს აგრო უნივერსიტეტის პროფესორის თენგიზ უჩანეიშვილის იშვიათი მზრუნველობითი როლი ამ საქმეში.

მამის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, გაზეთ „ახალი კოლხეთის“ 1974 წლის 14 მარტის ნომერში, გამოქვეყნებულია პი-

რადად მის მიერ რედაქციისათვის მიწოდებული მამის დღიურის ერთი ნაწყვეტი, რომლითაც სათავე დაედო ფოთის თეატრის ისტორიისათვის უცნობი მასალების შეგროვების მნიშვნელოვან კულტურულ თაოსნობას. ასე გადაეცა ფოთისადმი სიყვარულის ტრადიციული ესტაფეტა ჯერ მიქაბერიძიდან იასონ უჩანეიშვილში, ხოლო შემდგომ — მამიდან შვილში, რაც განსაკუთრებული მოწონების და მიბაძვის ღირსია.

ამასთან დაკავშირებით, აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ორიოდე სხვა მაგალითიც. პედაგოგებიდან ფილიმონ ნადარეიშვილის ოსტატობის ტრადიციას მათემატიკის სწავლებაში აგრძელებდა ახალგაზრდა მათემატიკოსი ვახტანგ მაღლაკელიძე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში დავით გიგინეიშვილის გაკვალულ გზას — ჟურნალისტი და ლიტერატორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი პიმენ ნაცვლიშვილი. ციტრუსების გაშენებისათვის კოლხეთის ნიადაგების სამეცნიერო კვლევას ჭაბუკობიდან დოქტორობის და პროფესორობის დონემდე მთელი თავისი ძალ-ღონე შეალია სოფლის მეურნეობის დარგში ცნობილმა მეცნიერმა ალექსანდრე მოწერელიამ. კიდევ რამდენის ჩამოთვლა შეიძლებოდა, მაგრამ აქ მთავარია ითქვას:

ყველაფერი, რის გარშემოც ზემოთ მქონდა ლაპარაკი, კეთდებოდა და თავისთავად, ბუნებრივად, სულიერი მოთხოვნილების მსგავსად, თაობათა გადაძახილის „ჰანგზე", ფოთელობის, ვითომდა ამერიკელობის, წინასწარ შეუმუშავებელი, ერთმანეთთან შეუთანხმებელი, მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა ძვალ-რბილში ღრმად გამჯდარი პრინციპით.

ქალაქკომის მდივნის — ნიკანდრო გაბუნიას პიროვნულ მეობაზე ქალაქში ჩუმად ასეთი ხმა დადიოდა: თბილისიდან მომაგრებული ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ამხანაგი, პარტიული აქტივის ჩატარების შემდეგ, მატარებლით გამგზავრებამდე, სავახშმოდ თავის ოროთახიან კომუნალურ ბინაში მიუწვევია და მჭადით და ყველით გამასპინძლებია. მეუღლეს სუფრაზე ერთი ბოთლი ღვინო შემოედგა. სადგურიდან დაბრუნებისთანავე მეუღლისათვის უკითხავს: მე არ მეგულებოდა შინ ღვინო, შენ საიდან გააჩინეო. თუ მაღაზიაში იყიდე, რატომ იარლიყი არ ჰქონდაო. გუშინ ბიძაშვილმა ჩამოიტანა სამბოთლიანი ბოცათი, უცხო სტუმრის შემრცხვა და ამიტომ გამოეიტანეო, — უპასუხნია ცოლს. სხვა დროს არ მიიღო, ძღვენს რაღაც

თხოვნა მოყვება, უხერხულ მდგომარეობაში არც შენი თავი ჩააყენო, არც მე ჩამაგდო. იმ სტუმარმა იცის პარტიული სტუმარ-მასპინძლობის წესები. ჩვენი მუშაობა სუფრით კი არ ფასდება, საქმის შედეგებითო.

უმწიკვლო, თავაზიანი და თავად ზრდილობიანი იყო კოლხეთიშენიდან ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადმოყვანილი ილიკო ლაღიძე. ასეთებიც იყვნენ მათი წინაპრები გრიგოლ მალანია, ივანე ფაჩულია და სხვები. თევზი თავიდან ყარსო. — ნათქვამია ხალხში. როცა ქალაქს ასეთი მესვეურები ჰყავდა, ხელქვეითებიც მათ ბაძავდნენ. იმართებოდა ზეიმები, დღესასწაულები, შეხვედრები, საღამოები, გართობები, მაგრამ არა ქეიფები და ღრეობები, მიწერები და შეწერები, მკელელობები და დებოშები. ყველაფერს საქმიანი, სერიოზული, აღმზრდელობითი ფორმა და ხასიათი ჰქონდა.

პარტიის წევრობა სამაყოდ ითვლებოდა. იგი მოწინავის, ღირსეულის, დიადი იდეალებისათვის უანგაროდ მებრძოლის ასოცირებას იწვევდა. ეს „პრივილეგია" იკარგებოდა და ჰქრებოდა მაშინვე, როგორც კი ვინმე დაარღვევდა საწესდებო მოთხოვნას, ბოლომდე ვერ დაიცავდა მას, საზოგადოებრივ ინტერესებს პირადულით, თავმდაბლობას — კარიერისტული, ამბიციური მიდრეკილებებით შეცვლიდა.

აი, ასეთი იდეურ-ზნეობრივი და საზოგადოებრივ-კულტურული ატმოსფერო სუფევდა ფოთში ომამდე — 1938—1941 წლებში. რა არგუმენტით უნდა მეთქვა უარი ერთი წლის საკანდიდატო სტაჟის გასვლის შემდეგ პარტიის წევრად მიღებაზე? რომელ ცთუნებას ავყოლოდი, კონფრონტაციის? ვისკენ ან ვისთან? არენაზე არავინ ჩანდა, გარდა ერთი ხაზისა და ერთი მიმართულებისა. და მეც, მიმბაძველობისა თუ ხარკის მოსახდელად, იმ ერთ გზას დავადექი, გატკეპნილს, ჩვეულ, რწმენით ანთებულ გზას.

ამიტომ, იმ სიტუაციისა და გარემოვითარების ფონზე, სრულიადაც არ ვნანობ, 1939 წლის 14 ივლისი — ნ. გაბუნიას პირადი ხელმოწერით მის მიერ პარტიული ბილეთის გადმოცემის დღე — ნანატრი სურვილის აღსრულების დაუვიწყარ, სასიხარულო დღედ რომ მესახებოდა. ცხადია, არა კარიერის რაიმე აღმატების, ეგოისტური წადილის გამო (ასეთი ზრახვა არასოდეს მჭონია). იმიტომ, რომ წარმოგიდგენიათ?... ლენინ-სტალინის პარტიის დიდ ნდობას ვიმსახურებდი! ბელადების ბიუსტები, ძეგლები ხომ ყველგან იდგა! მათი

ბიოგრაფიების ამსახველი ოთახები ხომ მაშინ, პარტგანათლების სახლის გარდა, სკოლებსა და წარმოება-დაწესებულებებში ყველგან იყო მოწყობილი! ვ. მაიაკოვსკის პოემების მ. პატარიძისეული თარგმანები ხომ მისწრებასავით პირდაპირ „ბურღავდა“ ტეინს პარტიის რაობაში უფრო ღრმად ჩასაწვდომად. („ვამბობთ პარტიას და ვგულისხმობთ ამხანა გლენინს, ვამბობთ: ლენინი და ვგულისხმობთ მუდამ პარტიას“).

პარტიის ნდობა! პარტიაში მიღება! მაშინ ეს ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის მსოფლმხედველობრივი მრწამსის განმსჭვალავი, მამოძრავებელი, ამამაღლებელი გრძნობა იყო.

და სწორედ ეს გრძნობა იწვევდა ჩემში ერთხანად დაეჭვების მწვალებელ განცდას. მეჩვენებოდა, ჯერ კიდევ არ ვიყავი ამოდენა დაფასების ღირსი. სად ჩკალოვის ლეგენდარული ფრენის ამბავი და... ოცნებაში ზოგჯერ საკუთარ თავს შევჩიოდი:

გავხედავ შენსკენ მთის თეთრ სახელოს,
სადაც ვარდების ფურცლები ჰქრიან
და ვგრძნობ გმირული და სასახელო
ჯერ არაფერი არ შემიქმნია.

ამ აზრის პერსონიფიცირებული მეორე ვარიანტიც მედო იდუმალად გულის „ჯიბეში“:

წუხდა, ნანობდა, თვითონ ხვდებოდა,
ვერ შეძლო სხვებზე მეტის კეთება.
ფიქრები ფიქრებს ენაცვლებოდა,
ტბებზე მცურავი, ტბისფერ გედებად.
ნაპირს ტალღები ენარცხებოდა,
როგორც დაფშვნილი სულისკვეთება.

სინდისის შინაგან ახალგაზრდულ ბორგვასა და პარტიის მიზნებისკენ დაუოკებელ ლტოლვაში ჩემსა და ჩემისთანა მილიონების წინაშე უპირველესი დამნაშავე ზემოთმიმოხილული „წიგნი-მაცდურის“ ზეგავლენით შექმნილი „ჰეროიკული“ კინოფილმები („ლენინი ოქტომბერში“, „1918“, „თოფიანი კაცი“, „შჩორსი“ და სხვ.), მხატვრულ-პუბლიცისტური, ჟურნალისტური ს ა ხ ო ტ ბ ო ლიტერატუ-

რა, მაშინდელი გაბატონებული იდეოლოგიური „შბამ-ბაცილები" იყო.

ფრანგი მწერლისა და სოციოლოგის, იპოლიტე ტენისა არ იყოს, ჩვენ ხომ ყველანი გარემო სინამდვილის ჰერქვეშ შეხიზნული უძღებები და უმადური სტუმრები ვართ! მისი ჰაერით ვსუნთქავთ, მისი მსუყე ნიადაგით ვსაზრდოობთ.

მერე სეგენის ატეხილ თხასავით, ვეურჩებით მამაზეციერის ნაბოძებს, ამბოხებული სულის რტოებგაფარჩხულ იდეებად დავეხეტებით შეშფოთებული დედამიწის დაუსაბამო კიდე-განზე!

ესეც ზოგადკაცობრიული ფასეულობის ძვირფასი „განძი და მარგალიტია", ალფა და ომეგა ჩვენი არსობისა.

სწორედ ზოგადკაცობრიულ არსობას, მთელ მის ღირებულებებს და ფასეულობებს ერთიანად განადგურებას უქადდა მეორე მსოფლიო ომის უკვე გაჩაღებული ხანძარი, რომელიც ამ დროისათვის ფაშისტური გერმანიიდან პოლონეთის, საფრანგეთის და ინგლისის სასიცოცხლო ინტერესებს ედებოდა. საომარი მოქმედების შორეულ საშინელებას ზღვისპირა ქალაქი მაშინ ისევე გულგრილად ალიქვამდა, როგორც ადამიანი გარეული ღორის სიკვდილს. ყველაფერი ჩვეულებრივად, ძველებური სიმშვიდით და სიხალისით გრძელდებოდა. ახალგაზრდობის სიცილ-კისკისიც შადრევნისა და აუზიის გარშემო, ცხარე პაექრობაც აგრსია ლორკას „სისხლიანი ქორწილის" დადგმაზე, გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაც, აქტიევის სწავლებაც, ციტრუსების გაშენებაც...

ბალტიისპირეთიდან ახალ მოკავშირე რესპუბლიკებად ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, როგორც მაშინ ამტკიცებდნენ, ნებაყოფლობითი შემოერთება, ფინეთთან გაჭიანურებული ბრძოლების ზავით დამთავრება, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის წინათ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ძლევამოსილი გამარჯვება ხასანის ტბასთან, ეკონომიკური სტაბილიზირება და, ბოლოს, გერმანიასთან მიღწეული სახელშეკრულებო შეთანხმება, — აი, ძირითადი მოვლენები, ჩვენი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის „წარმატებათა" მაშინდელი ძირითადი გარეგნული ნიშნები.

ერთი შეხედვით, ყოველივე ეს სიამაყის გრძნობით აღავსებდა ადამიანებს და ძალაუნებურად განაწყობდა მათ ერთგულებისა, ერთიანობისა და სიმტკიცისაკენ. ამიტომ შინაგანად მაშინ გულში ყვე-

ლა რწმენით აღიქვამდა გავრცელებულ ლოზუნგს: — არც ერთი გოჯი, არც ერთი მტკაველი მიწა მტრის ხელში. წითელი არმია უძლეველია.

მითი იყო ეს თუ ლეგენდა, მაშინ არავინ ინტერესდებოდა მისი ამოხსნის წადილით. ხოლო თავისთავად იგი ადამიანთა ცნობიერებას პატრიოტული სულის მგზნებარებით მსჭვალავდა. ეს სულისკვეთება განსაზღვრავდა ფოთის მაშინდელი მჩქეფარე ცხოვრების შინაარსს, მის აზრს და მიმართულებას.

მახსოვს, რა ზეიმით და სიხარულით ჩატარდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო საღამო 1940 წლის 25 ივნისს ვ.გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში. იმ ხანებში როგორც თეატრის „მუდმივ" რეცენზენტს „მუდმივად" ერთი ადგილი ჰქონდა შერჩეული. ეს იყო პარტერის უკან, ამფითეატრის მეორე რიგის მეცხრე სკამი. იქიდან ყურებისას მარტო სცენა კი არ მაინტერესებდა, მსახიობების ხმის, დიქციის, მეტყველების რეზონანსიც. ფარდის ახდამდე იმ ხანად საქალაქო გაზეთის რედაქტორმა გრიშა საბაშვილმა, რომ იტყვიან, ძალით გამომგლიჯა ხელნაწერი და გაუჩინარდა. აკაკის ძიძისადმი მიძღვნილი ჩემი პატარა ლექსი ამ დროს უკვე გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში (22 ივნისს, № 101), ხელნაწერი კი დასრულებულად არ მიმაჩნდა.

ოფიციალური ნაწილი — მოხსენება, სიტყვები თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ტრიბუნაზე გამოჩნდა მსახიობი ს. მელქაძე, რომელსაც, როგორც მან მითხრა შემდეგ, ძლივს მოესწრო თურმე ხელნაწერის გადაკითხვა (ლირიკული ნაწარმოების განწყობილების გადმოსაცემად შესატყვისი ინტონაციის შემუშავება ხომ, რა თქმა უნდა, არ შეეძლო). ჩემი გვარის, სახელის და ლექსის სახელწოდების გამოცხადებიდან კითხვის მთელ პროცესში (ცხრამეტსტროფიანი იყო) მაყურებელთა ზურგს უკან თავჩაღუნულად სადმე ჩამალვას ვლამობდი, მაგრამ...

წუთიერ მწარე განცდებში ტაშის ხმა არც კი გამიგია, მოულოდნელად გადმომცეს — გეთია გიბარებსო. დავტოვე დარბაზი, კულისებიდან პრეზიდიუმის ფარდებს მივადექი და შოთა გეთიაც უმალ გამოჩნდა, ხელი გამომიწოდა, კარგი ლექსი დაგიწერიაო, შემაქო და უცებ მითხრა: თბილისიდან ჩამოსულ სტუმარს შენი ნახვა უნდაო.

ეს სტუმარი იყო გამორჩეული კრიტიკული წერილებით და წიგნებით შორიდან ჩემთვის კარგად ცნობილი, მაგრამ ახლოდან უცნო-

ბი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მაშინდელი მოადგილე, ამჟამად ღვაწლმოსილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი ნატროშვილი**. იგი პოეტ ვიქტორ გაბესკირიასთან ერთად მწერალთა კავშირის დავალებით ფოთში ჩამოსულიყო აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე მონაწილეობის მისაღებად, რაც სიტყვაში გამოსვლით გამოიხატა კიდეც. მოეკრა ჩემი გვარის გამოცხადებისათვის ყური და უმალ მოუკითხავარ.

გიორგი ნატროშვილმა ხელის ჩამორთმევაც ვერ მოასწრო, საჩქაროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად შემატყობინა: შენი ლექსი აწყობილია, მალე დაიბეჭდება, რედაქტორი შალვა რადიანი ცოტას ყოყმანობს, მაგრამ, ჰო, კი, ჰო, დაიბეჭდება, კი, დაიბეჭდება. — შემატოვა ეს სიტყვები და ისევ პრეზიდიუმს მიაშურა.

მეორე დღეს საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილების გამგემ, პლატონ სალუქვაძემ დამირეკა ტელეფონით რედაქციაში და მთხოვა აუცილებლად მივსულიყავი მასთან სამუშაო დღის ბოლოს. სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა, თუ ნებას დამრთავთ, სხვათა შორის გაუწყოთ: ტელეფონი მაშინ მხოლოდ სამსახურებრივი, საქმიანი, გადაუდებელი დანიშნულების დიდად საჭირო ფუნქციას ასრულებდა. საღლაბუცოდ, სალაზღანდაროდ, დროის ფუჭად დაკარგვისათვის მისი გამოყენება დაუწერელი კანონით ფაქტობრივად აკრძალულიც იყო. ეს არ იყო მარტოოდენ ფოთის კოლორიტულობის გამოხატულება. იგი ომამდელ, საათივით აწყობილი სახელმწიფოებრივი მექანიზმის სულ მცირე, პეწის ოდენა ნიუანსია — ფრიად სასარგებლო შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით.

პლატონ სალუქვაძე განათლებისა და კულტურის დარგს მაშინ ერთობლივად ხელმძღვანელობდა (მასთან შედიოდა მუსიკალური სასწავლებელი, ბიბლიოთეკები, კინო, კლუბები, თეატრი) და გადაეწყვიტა სტუმრებს გამგზავრების წინ უბრალოდ გამასპინძლებოდა. იქვე, საქალაქო საბჭოს მახლობლად, სასადილო იყო, რომელსაც კვების საქმის ძველი, გამოცდილი კაცი განაგებდა. ხუმრობით მას კოსტიას სასაუზმეს ეძახდნენ. მაშინ საერთოდ არ ვეტანებოდი მაგარ სასმელებს, არაყი იქნებოდა, კონიაკი თუ ღვინო. პლატონს მორიდებოდა მწერლებთან იაქესავით დაჯდომა და, აი, ჩემმა მაშინდელმა ლიტერატურულ-შემოქმედებითმა გატაცებებმა თვით მიმიყვანა მართლაცდა უბრალო, მოკრძალებულ, მაგრამ სტუმართმოყვარულ და სამახსოვრო სუფრასთან.

ვიქტორ გაბესკირია სტუდენტობის წლებში მინახავს მწერალთა სასახლის მეორე სართულზე კედელთან ჩაფიქრებულად მდგომი, იმ ფანჯარასთან ახლოს, რომელიც შუშებში ჩასმულ თვალებბრიალა ლომის ფიტულს დღის სინათლით თითქოსდა ცოცხალივით აჩენდა. თავდახრილი მიდიმოდიოდა მარტოდმარტო მოკლე ნაბიჯებით, მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით ქვედა ტუჩს იკვნეტდა. ცალმხრივი, გვერდული გამოხედვა იცოდა. გეგონებოდა, თავის ვიწრო, მიუვალ, მიუკარებელ „მიკროსამყაროს“ ჰქმნიდა. მაგრამ იგი სუფრაზე სრულიად სხვანაირ, გულღია, გულგაშლილ მოსაუბრედ წარმომიდგა და იმდენი სახუმარო ამბების მცოდნედ, გიორგი ნატროშვილს ჭამის დროს ხელი მკერდთან ჰქონდა მიბჯენილი, სიცილასაგან თავს ვერ იკავებდა.

ჩემთვის მთავარ აღმოჩენად იმ დღეს მაინც იყო ის, რომ წარმოშობით ვიქტორი ნაბადიდან ყოფილიყო და თავის მწარე ბავშვობას რომ იხსენებდა, იუმორის მარილით „კაზმავდა“ ამბავს, სურათს თითქოს პირდაპირ ფერწერული საღებავებით ხატავდა. „ირგვლივ ტყე და ეკალბარდები, ჭაობები და ბაყაყები, ტურები და მგლები. პორტამდე ხან ლაქაშების მინდორზე უნდა გაგევლო, ხან ღობისპირა ბილიკებზე. საოცარია ეკალიპტი და მაგნოლია. აი, ჩემი ახალი ლექსების თემა. რა ქნა, რა სასწაული დაატრიალა კოლხეთის მშენებლობამ. ფოთი ხომ სულ მთლიანად გამოიცვალა, მაგრამ ნაბადას ვერ ვცნობ, ასე მგონია უცხოა ჩემთვის“. — ამას ამბობდა ხუმრობის ხასიათიდან სერიოზულ თემაზე გადასვლის დროს და თან ღვინოს დააყოლებდა პატარა ჭიქიდან.

ამასთან დაკავშირებით პლატონმა სტუმრებს მოუთხრო წინადღეებში წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა მიერ მოწყობილ შაბათობაზე სწორედ ნაბადის უბანში დარჩენილი თხმელის ტყის ზოლის გასაკაფად, სადაც დასახული გეგმით უნდა აშენებულიყო (და აშენდა კიდეც) ჰიდრომელიორაციული მიწის მწოვი მანქანების გამომშვები ქარხანა.

გიორგი ნატროშვილმა ჩემკენ მოიხედა, წუხანდელი წუთიერი შეხვედრა გაიხსენა და უცებ სიტყვა ჩამოაგდო ჩემ ლექსზე, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში გაგზავნილი მქონდა ორიოდე თვის წინათ. მან ვიქტორის დაინტერესება სცადა პოლიტიკური პამპფლეტის ჟანრით. გამწვავებული საერთაშორისო

მდგომარეობის ვითარებაში ლირიკის ეს ფორმა აქტუალობას იძენდა.

— მე ძალიან მომეწონა აკაკის ლექსი „მარცხენა ეძახის მარჯვენას". ერემია ქარელიშვილსაც. ვინც შემოდიოდა რედაქციაში, ეკითხებოდით ხელნაწერს, ალეკო შენგელიას, ანდრო ლომიძეს, ნიკა აგიაშვილს და სხვებს. ყველას მოეწონა. შალვა იძულებული გახდა ჩაეშვა სტამბაში, მაგრამ ნომრიდან ნომრამდე დებს. — თქვა გიორგი ნატროშვილმა და მთხოვა შემეხსენებინა დასაწყისი სტროფი. მე უხერხულად ვიგრძენი თავი და ცოტა შევყოყნდი. პლატონ სალუქვაძემ თვალებით მანიშნა — თქვი, დაიწყეო.

გაიღო დილა და ოთახში, როგორც ყოველთვის,
შემოანათა გაზეთების მზემ და ბარაქამ.
მან ეს იცოდა: ლექსისათვის თემას ვპოვებდი
და საფრანგეთის ცხოვრებაზე მელაპარაკა...

— და ამას მოსდევს ორიგინალური პოეტური სახეები, — განაგრძო ჩემს შემდეგ ისევ გიორგიმ. როგორ უხაროდა, როგორ უბრწყინავდა სახე ეფექტური კომპლიმენტის მონიშვებით! ჩემდამი, ვიღაც პროვინციელისადმი! შურიანობას მეტწილად თანაგრძნობა, თანადგომა, ასეთი მხურვალე მხარდაჭერა ცვლიდა. აქედან დაიწყო გ. ნატროშვილთან ჩემი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია.

— კარგი დაწყებაა. შალვას რა აეჩვებს, რას უფრთხილდება? — ჰკითხა გიორგის ვიქტორმა.

— საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეების გულისწყრომა არ გამოიწვიოსო.

— კი მაგრამ, ვინ გააგებინებს საფრანგეთს, ფრანგულად ხომ არ ბეჭდავთ.

— ფრანგულად არ ვბეჭდავთ, მაგრამ ხომ შეიძლება... სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო გიორგიმ, იგი ვიქტორმა ფიცხლად აიტაცა და გააგრძელა:

— ჰოო. — ჩაილაპარაკა თავისთვის, — შალვა ძველი მყნოსველია. ა, მე მითქვია და დაიმახსოვრე გიორგი, რაკი ფეხს ითრევს, არც დაბეჭდავს მაგ ლექსს. პოლიტიკა პროსტიტუტკას ჰგავს. დღეს რომ გაგიღიმებს, ხვალ ზურგს მოგიშვერს, სხვას კი ფიანდაზად გაეფინება და ზეგ მუხლებზე ჩამოგეპროწიალდება. სად შეგიძლია

სდიო მაგის აეან-ჩაჟანს. მაიაკოვსკის გაუმართლდა. არა. ახლა სხვა დროა. — დაასრულა სათქმელი ვიქტორ გაბესკირიამ.

შინაწერი: ის ლექსი მართლა არ დაბეჭდილა. „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1940 წლის იანვრის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული იყო ასეთი შინაარსის მოკლე ინფორმაცია: „ერთმა ვანდელმა გლეხმა გამოაცხადა: ცალ თვალს ვყიდიო. ამით მსურს ნაწილობრივ მაინც გავიუმჯობესო ჩემი ოჯახური მდგომარეობაო“. ეს ედო საფუძვლად პუბლიცისტურ-პოლიტიკური ხასიათის ჩემს პამფლეტს. მაშინდელი ყალბი წარმოდგენით ე. წ. „დამპალ“ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთშიც, რომელიც იმ ხანებში გერმანიის მიერ ფაქტობრივად ოკუპირებული იყო, მშრომელი მასა თითქოს მათხოვრებად იყო გადაქცეული. ჭარბი ფანტაზიით ვანდელი გლეხის პოლიტიზირებულ იდეალიზაციას ეახდენდი. სამაგიეროდ, 1941 წლის ჟურნალ „ჩვენი თაობის“ პირველ ნომერში კი ნამდვილად დაიბეჭდა სწორედ ამ შეხვედრის წინა საღამოზე თეატრში წაკითხული ლექსი „აკაკი სავანეში“...

ვატყობ, მეტისმეტი მომივიდა. გავკადნიერდები და ჩემივე თავს მკვახე კითხვას დავუსვამ თანამედროვეობის პოზიციიდან, სანამ თქვენ, მოთმინებიდან გამოსული, დამასწრებდეთ: რედაქციაში სხვა არაფერი საქმე გქონდათ, სულ ლექსების წერით რომ ერთობოდით? ხომ არ გინდათ მიგვახვედროთ, რათა იმპროვიზაციულად ამდაგვარი „შესხმა“ მოგიძღვნათ: ოცნებები რაში ხარჯოს, ზეცის დამბადებელი, ლექსი იყო მისი სარჩო, მისი საბადებელი. რა გელექსებოდათ, როცა ქვეყანა მონობაში ცხოვრობდა? შეწყვიტეთ ეგ თქვენი „ბაიათები“.

სხვა რა გზაა, მოწმედ სულთა აჩრდილებს უნდა მოვუხმო: 1. „მე, ოლია (იგივე ოლღა) ოლიფანტეს ასული წულაია, ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი რწმუნებული პარკის უბანში, ვადასტურებ, რომ 1938 წლის დეკემბრის ბოლოს ჩემს სამომსახურეო უბანს შეემატა ახალი მოსახლე — მოქალაქე სარდიონ ბიტუს ძე თოფურია თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით, წარმოშობით სირიაჩქონიდან. მან კავკასიის ქუჩაზე (№ 14) იყიდა რკინიგზის ყოფილი კონდუქტორის სამსონ დოლიძის ოთხთვალიანი, მაღალჭერიანი, კრამიტით გადახურული, გარედან ცისფრად შეღებილი ხის ოდა სახლი უკან მიდგმული ორთვალიანი სამზადით და საკუჭნაოთი. დიდი ეზოს ნახევარი მსხმოიარე ლიმონისა და მანდარინის ბუჩქებით

იყო დაფარული, ნახევარი კი — ხეხილით. ზამთარში სახლი ბუხრით თბებოდა. ელექტრო შუქი, როგორც უბნის ყველა მშრომელს, იმასაც უნათებდა კარ-მიდამოს. მონობაში ჩემი უბნის ხალხს არასდეს უცხოვრია. ნუ მიაჩვევთ შვილებს დედ-მამის გინებას. თუ როგორ გეჭონდა მოწესრიგებული მოსახლეობის კეთილდღეობა, ამის შესახებ მოთხრობილია საქალაქო გაზეთის ფურცლებზე (იხ. „განახლებული პარკი", 1939, № 206). ჩემ დროს არა უთანაბრო ქონებრივ სიმდიდრეზე, არამედ ადამიანთა ურთიერთ სიყვარულზე, ჰარმონიულ სოლიდარობაზე აგებული საზოგადოება არსებობდა. ამჟამად რა ხდება, ნეტავ"?

მინაწერი: უბნის რწმუნებულობა, როგორც თვითმმართველობის არჩეითი ფორმა, საპატიო საზოგადოებრივ დატვირთვად ითვლებოდა. იგი დაახლოებით იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც სხვაგან — სასოფლო საბჭო. ფოთის შვიდი უბანი, მოსახლეობის სულადობის მიხედვით, შვიდ სოფელზე გაცილებით მეტი იყო. რწმუნებულები საქალაქო საბჭოს დეპუტატებად ირჩეოდნენ და დიდი მონდომებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას.

2. „ხუტა სოლომონის ძე წურწუმია: რედაქციის ერთ ოთახში ერთად მუშაობის მანძილზე ჩემ თვალწინ ყალიბდებოდა პოეტური მომავალის მჭონე ახალგაზრდა კაცის სახე. ამავე დროს მაოცებდა მასში, ლექსის მთხზველებისათვის უჩვეულო, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის შეგრძნება. ციტრუსების შეწამლვის ქიმიურ წესებზე ისევე კვალიფიციურად წერდა, თითქოს სპეციალისტი ყოფილიყო. არ კმაყოფილდებოდა მიწგანიდან მოწოდებული ინფორმაციებით, აუცილებლად ფეხით გაივლიდა რამდენიმე კილომეტრს, რათა თვითონ ენახა კოლმეურნეთა წიგნაკებში შრომადღეთა აღრიცხვიანობის შეტანის სისწორე. ასე დაიწერა ნარკვევი „დამახინჯებანი ყულევის კოლმეურნეობაში". ჩემ გვერდით იქმნებოდა შთაგონების ადრესატზე მგრძნობიარე ბარათები, რომელთა სულისკვეთება გამოკრთის მისი მშვენიერი ლექსებიდან. ეს ლექსები იწერებოდა რედაქციის გარეთ, კონკრეტულად თუ სად, ეს ავტორის გულს უნდა ჰკითხოთ. ის კი ვიცი, მათ დადებით შეფასებას აძლევდა რესპუბლიკური ლიტერატურული პრესა. დიახ, დიახ. ნეტავ, რა ბედი ეწია, სად არის ახლა?"

მინაწერი: ხ. ს. წურწუმია რედაქციაში მოვიდა უმაღლესი აგრონომიული განათლებით. ამ დროს გადასული ვიყავით კოლმეურნე-

თა ყოფილ სასტუმროში, სადაც ფოთში ჩასვლისას პირველად დავბინავდი. მან დაიკავა სოფლის მეურნეობის ის განყოფილება, რომელიც მე მებარა. ჰყავდა ცოლ-შვილი, მოწოდებით ნამდვილი ჟურნალისტი იყო. საშუალო ტანის, შავგვრემანი, ლამაზი, გულთბილი. 1946-1959 წლებში რედაქტორობდა საქალაქო გაზეთს. ნაადრევად გარდაიცვალა. მისი ორი სასახელო ქალიშვილი — ლიანა და რუსუდანი მეცნიერული ხაზით მოღვაწეობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კონსერვატორიაში.

სულთა შორის გაწყვეტილი კავშირების აღდგენის მიზნით მათი აჩრდილების თქვენს წინაშე წამიერმა გაელვებამ და კითხვამ „ნეტავ, რა ბედი ეწია“, უნებლიეთ გამახსენა ზემოთ, სენაკიდან ფოთისკენ მგზარობისას, ფიქრებში შემოპარული სიმპტომატური ფრაზა — „წინათმგრძნობი ალღო რაღაც უცნაურ ბედს მიწინასწარმეტყველებდა“. ამიხდა. მეწია ის, რაც უნდა მწეოდა.

მუზისკენ მიდრეკილების ოდნავ გამოჩენისთანავე პროვინციიდან ცენტრისკენ მიეშურებოდნენ, იქ რჩებოდნენ, იტანდნენ ხელმოკლეობას, რათა აღეღწინათ ზვარაკი მისი ღმერთისათვის. და აღწევდნენ მიზანს. მე კი ცენტრიდან პროვინციისკენ გამოვქანდი, როგორც კი ახალგაზრდულ ლიტერატურულ ჟურნალში პირველად დავიბეჭდე. ახლა, მართალია, ოცნებებში ზეციურ ფრენას მაინც განვაგრძობდი, მაგრამ... მიწიერი რეალობა პრაქტიციზმის მკაცრ გაკვეთილებს მიტარებდა. ამაოდ ვეძებდი იდეალურს ირაციონალურის გზით.

ბოლო ხანებში შინაგანად ვგრძნობდი, რომ სულიერი აღმაფრენის შთამაგონებელი იმპულსები თანდათან ხელიდან მეცლებოდა, მიახლოვდებოდა მაცდური დემონის რაღაცნაირი ღაღადისის „ერა“. მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც სარწმუნოდ მეჩვენებოდა ჰკვიანი კაცის გამონათქვამი — ჟურნალისტობა პოეტური „დოვლათიანობის“ უბოროტესი მფლანგელია.

აკი თვითონ გამოვცადე. ჩემს წინ გაჭრილ „აღვირახსნილ“ წარმოსახვას თუ ფანტაზიას სულ უკან ვეჭაჭებოდი, ხან „საკანში“ ვამწყვდევდი, ხან „ჯაჭვით“ ვაბამდი, რათა არ გამქცეოდა, მოვალეობისაგან არ მოვეწყვიტე და არ გავეტაცე იმ მომხიბვლელ უსაზღვროებისაკენ, რომელსაც ჰეშმარიტ პოეზიას უწოდებენ. ეს იყო მტანჯავი, მქეჯნავი, ტკივილიანი განცდები. რა მაკრავდა გაუღვეველი არტახებით მოვალეობასთან?

ცხადია, ჯერ კომკავშირული, მერე კი პარტიული ბილეთით შეფერადებული და მტკიცედ შემოზღუდული, არა მხოლოდ წმინდა ადამიანური, არამედ პარტიის წესდებით ზედწოდებასავით ზედდართული, კისერზე ხამუტივით მორგებული, ე. წ. პარტიული, ე. ი. ლენინური სინდისი, ვითომდა, როგორც მაშინ გვარწმუნებდნენ, მთავარზე მთავარი, მაღალზე მაღალი, გაუტეხელზე გაუტეხელი.

— გაუფრთხილდი, ამხანაგო, პარტიულ-ლენინურ სინდისს. — ჩამძახოდა თითქოს ვიღაც.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების შექმნასა და მასთან თითოეული წევრის სავალდებულო შეკავშირების წესში თავიდანვე ეს აზრი იყო ჩადებული. ყოველი კომუნისტის ქცევა-მოქმედების, შეგნების და მსოფლმხედველობის ერთ მუჭად შეკვრა. ყველაფერზე პარტიული კონტროლის დაწესებით, რაც XVIII პარტყრილობის შემდეგ, 1939 წლიდან ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა, ერთიორად იზრდებოდა არა მხოლოდ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, არამედ თითოეული წევრის ავანგარდული როლი კოლექტივში, საზოგადოებაში, სახელმწიფოში. იდეჩი წინა რიგებში, იყავი პარტიის პროგრამის გატარებაში მისაბაძი, წერე ლექსებიც. დე, იყოს უდღეური, უღიმღამო, პლაკატური, მაგრამ მჭუხარე, მომწოდებელი, სააგიტაციო... პროლეტარიატის დიქტატურიდან **პარტიის დიქტატურაზე** გადასვლის ახალ ეტაპს ძალაუნებურად მიჰყავდი ამ აზრის ამოცნობამდე.

აი, აქედან მომეძალა გარეგნულად უჩინარი გულაცრუების, ინტერესთა ამოწურვის, ერთგვარი სიცარიელის მწვავე გრძნობა. ერთმანეთს ებრძოდა შესაძლებლობა და სურვილი, მოვალეობა და მიდრეკილება, მგრძნობელობის სიჭარბე და ემოციების მოთოკვის აუცილებლობა, ბიოგენეზისური და მერკანტილური საწყისები. საგაზეთო საქმიანობაზე ადრე შემუშავებული წარმოდგენა მეცვლებოდა მისი მომჭანცველობის, გამომფიტველობის დამაფიქრებელი შეგრძნებით. უნდა დამეწყო ნაცნობი წრეების ირგვლივ კვლავ უხალისო რბენა-შემოვლა, კვლავ უნდა მეწერა იმ თემებსა და საკითხებზე, რომლებზედაც ვზოგადი ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ მარაგს.

რა ძნელი მისახვედრი იყო, მმართველობის ერთპარტიული სისტემა აზროვნების ყველა ფორმის, კერძოთ, ჟურნალისტური ფერადების ერთსახოვნებას, ერთფეროვნებას, ერთხაზობრიობას გულისხმობდა. თავისთავადობის შენარჩუნებისათვის, ყოველგვარი წუწუ-

ნისა და კონფლიქტის გარეშე, ან უნდა გამომეცვალა სამუშაო პროფილი, ან პირიქით — შევგუებოდი ხვედრს, ე. ი. დავდგომოდი ევარიაციათა ევარიაციის, გადაღეჭილის, ე. წ. განმეორებების და ტრაფარეტის გზას. ჩემი მაძიებელი ბუნებით მე უფრო პირველისკენ ვიხრებოდი. მაინც ინსტინქტების რამდენ სახეობას იტევს ადამიანის იდუმალება? რაზეა დამოკიდებულ მათი ჩასახვა და აღმოცენება, ზრდა და განვითარება, უკუგდება და აღმოფხვრა, უარყოფა და დაძლევა?! მარტოოდენ ნებისყოფაზე?..

დაეჭვების და ყოყმანის ასეთ ბინდბუნდში „ლიტერატურული საქართველოს“ 1941 წლის 13 ივნისის ნომერში ალ. მიმინოშვილის ხელმოწერით გამოქვეყნდა მიმოხილვითი ხასიათის საკმაოდ ვრცელი წერილი — „კოლხეთის დედაქალაქის ლიტერატურული ახალგაზრდობა“. მასში ნათქვამი იყო: „...საერთოდ კი აკაკი თოფურიას ლექსები საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ იგი სულ მალე ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტთა რიგებში ჩადგება“. გადავწყვიტე მესარგებლა ამ წაქეზებით და 21 ივნისს, შაბათს, თბილისში ჩავედი სამსახურებრივი მივლინებით უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების საკითხის მოსაგვარებლად. იმავე დღესვე რექტორის დავით ყიფშიძის მისაღებში მივედი მისი ნახვის დროის გასარკვევად. მდივანმა გოგონამ მირჩია, გინდ დატოვეთ განცხადება, გინდ დაელოდეთ განათლების კომისარიატიდან როდის დაბრუნდებაო. მე განცხადება დავუტოვე და ვუთხარი, ორშაბათს გნახავთ პასუხის გასაგებად-მეთქი.

კვირას, 22 ივნისს, რუსთაველზე გავიარე. „ზარია ვოსტოკას“ შენობის მომიჯნავე კუთხესთან „ლუქსის“ ფეხსაცმლების განთქმული მაღაზია იყო. ოცი მანეთი ღირდა ტყავისძირებიანი, ძვირფასად შეფუთული. მინდოდა შემეკერა და მეყიდა. თორმეტ საათს ცოტათი გადაცილებული იყო. ფოსტა-ტელეგრაფის ძველ სახლთან (ახლა მისი ნატამალიც არ ჩანს), ლეგენდარული თუთის ხის ცოტა იქით, ხალხი გროვა-გროვად იდგა და სულგანაბულად ყურს უგდებდა ბოძზე დაკიდებულ რადიორეპროდუქტორს. მოლოტოვის სიტყვის უკანასკნელი ფრაზები ისმოდა.

ომი დაიწყო! — ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს შემზარავი ცნობა. მოზომზომე, მოალერსე, გულმხურვალე თბილისი უეცრად თითქოს ერთბაშად გაშეშდა, გაირინდა, მაგრამ ოდნავადაც არ მოუცავს პანიკას, კვლავ წამოიმართა აღგზნებული და მოგუგუნე ხმებით.

იმ ღამესვე დაებრუნდი უკან. რკინიგზის მოძრაობის განრიგი უკვე გადაყვანილი იყო „საომარ რელსებზე“. ლოზუნგი — „ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის“ უკვე ამოქმედებულიყო თავისი მძლავრი დინამიზმით.

ექვსი დღე-ღამე მოვუნდი დაბრუნებას[1]. ამასობაში თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა. „უძლეველი“ არმია კვლავ განაგრძობდა უკანდახევას. მტრის ხელში მიწის გოჯა-მტკაველი კი არა, ათასობით ჰექტარები ეჭცეოდა, ინგრეოდა, იწვოდა ქალაქები და სოფლები...

...ფოთი აღარ ჰგავდა ფოთს, მისი იისფერი, გამჭვირვალე ზეცა ტყვიისფერად, თალხისფერად შეცვლილიყო და მწუხრის ზეწრად გადაფარებოდა დაღვრემილ, პირშეკრულ, დადუმებულ ქალაქს. ყვავილებს სუნამოზე უფრო სახალისო, სასიამოვნო და საამო სურნელება მეყვსეულად გაყროდა როგორც ბუნების თანადგომის გამოხატულება ხალხის საბრძოლო განწყობილებისადმი. ამ განწყობილებას ჰერკულესის სულს უდგამდა ფოლადივით ერთმანეთთან შედნობილი ხუთადხუთი სიტყვა: „ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენ გავიმარჯვებთ“. თანაქალაქელი ახალგაზრდა მეომრის პირტახიას გმირობის ამბავი მთელ ქვეყანას ეფინებოდა...

...რედაქციაში დილით ადრე მივედი. ყველა კუთხე-მხარის გაზეთებს ვიღებდით. ჩვევად მქონდა მუშაობის დაწყებამდე მათი გადათვალიერება. შემთხვევით ხელში მომხვდა საგარეჯოს რაიონული გაზეთის 23 ივნისის ნომერი — ომის დაწყებიდან ზუსტად მეორე დღის. გამაოცა ოპერატიულობამ, მაგრამ უფრო მეტად განცვიფრებული დავრჩი ლექსის დაწერის და დაბეჭდვის მოსწრებით. პატრიოტიზმის გამოსხივების მრავალი ფორმა არსებობს, ის ე როგორც ტრფიალების, რომლის შესახებ ზემოთ გესაუბრებოდით. და მაინც, იშვიათი ფაქტის მოწმე გავხდი.

ოპტიმისტური ყღერადობით აღსავსე წრფელი სტრიქონების ავტორი გახლდათ არა ვინმე გამორჩეული, ხატებად ქცეული პოეტი, არამედ მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობი, საომრად გამზადებული ახალგაზრდა, წვევამდელი თეიმურაზ ჯანგულაშვილი. იმ დღესავით მახსოვს როგორ იწყებოდა და რით მთავრდებოდა მისი ლექსი.

[1] ჩვენი ოჯახიდან დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა ხუთი ძმა, ერთი რძალი და ერთი შვილობილი (იხ. გრ. დარჯანია, ფოთი დიდ სამამულო ომში, გაზეთი „ახალი კოლხეთი“, 1970 № 154).

სამშობლოსათვის! — ჩვენი სისხლის ყველა მისხალი,
სამშობლოსათვის! — მთელი ხალხი დგას როგორც ერთი.
დაე, მტრის თავზე ჰქუხდეს ჩვენი ძალა მრისხანე
და ყველა გრიგალს მიაპობდეს ფოლადის მკერდი.
დედა-სამშობლოვ! ძლიერების მზეო ნათელო,
შენს უსპეტაკეს წმინდა სახელს შევეწირებით!!

მართალი გითხრათ, პირველად შემშურდა პათეტიკურობის, პატრიოტიზმის ასეთი უცაბედი, შადრევნის ნაკადივით თითქოსდა მიწიდან ამოხეთქილი ჩქერების ამოფრქვევა, შემრცხვა საკუთარი თავის, ლაჩრად წარმოვიდგინე, მაგრამ ის დღე ჩემ ბიოგრაფიაში შევიდა, როგორც სულიერი გარდატეხის, სიტყვიერი ლაქლაქიდან მაბულისათვის საქმით თავდადების გადამწყვეტ დღედ. ეინა თქვა, შემთხვევითობა არ არსებობსო!

...სამხედრო კომისრის კაბინეტის მაგიდაზე განცხადების ტექსტი როგორც კი დავდევი, მან უმალ უჯრიდან გაყვითლებული ფერის, ჩვენი გაზეთის 10 ივლისის ნომერი ამოიღო და...

— როდის უნდა გამოვცხადდე გასაწვევ პუნქტში? — შევეკითხე უცებ, სანამ რამეს მეტყოდა.

— გადაგიდებთ. თქვენი მეუღლე ხომ ჯარშია. — მიპასუხა მან.

— კომისიაზე გამატარეთ. გადაწყვიტოს კომისიამ. — ვთქვი ოდნავ გაჯავრებული, კატეგორიული ტონით.

— ჩანს, თქვენი ლექსი „წავიდეთ ფრონტზე" მარტო სხვებისთვის მოწოდება არ ყოფილა.

— იგი მოწოდებაა არა მხოლოდ სხვებისთვის, არამედ ჩემთვისაც... და რედაქციიდან ერთადერთი მე აღმოვჩნდი ჩემივე მოწოდების საქმით შემსრულებელი.

...1941 წლის 28 აგვისტოს (1938 წლის 28 აგვისტოს პირველი რეპორტიორული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ზუსტად სამი წლის თავზე — საოცარი დამთხვევაა, არა?), „მგზნებარე კოლხიდელში" დაიბეჭდა ომის თემაზე დაწერილი ჩემი რიგით მეოთხე ლექსი „სიმღერა დამშვიდობების". იგი მთავრდებოდა სტროფით —

დე, გვიელავდეს ხელში თოფები,
ქარს და გრიგალებს კვეთდეს ჩვენი გზა
და ეს სიმღერა დამშვიდობების
იყოს სიმბოლო გამარჯვებისა.

იმაე საღამოს რკინიგზის სადგურზე, გაზეთის მორიგე მუშაკების გარდა, რედაქციის და სტამბის თითქმის მთელი კოლექტივი გამოსულიყო. იყვნენ ახლობლები, მეგობრები, მშობლები. კარლო კომახიძე, ბუნებით მორცხვი და მორიდებული, ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდდა თვალებიდან, განზე გამდგარი ნაღვლიანად შემომყურებდა. ვალიკო გუჯაბიძე მის ზურგს უკან იდგა და მიღიმოდა, ცერა თითით კეთილ სურვილებს მიგზავნიდა. უხუცესი მეტრანსპაჟე სამსონ ჩიჩუა, სიმაღლით და ჰკუა-გამოცდილებით გამორჩეული, თავის შეგირდს ებაასებოდა ჩემს გასაგონად: — თხოვე ფრონტიდან წერილები გამოგვიგზავნოს, მე ავაწყობ ჩემი ხელებით და დაბეჭდილს გავუგზავნიო.

კალე კაკულია — პედაგოგი და ფილოსოფოსი — ილუშა ქოიავასთან და ალიოშა თოფურიასთან ერთად გვერდით მედგა, მხრებზე ხელებს მითათუნებდა და მართობდა მოგონებებით ჩვენს ღამეულ ხეტიალზე კაპარჭინას ნაპირებთან, მახსენებდა ერთად გატარებულ მთრთოლვარე, მგრძნობიარე საღამოებს, გაბზარული სიყვარულის იმ უწმინდეს გრძნობებს, რომელთა ნაფლეთებიღა მიმყვებოდა მხსნელ ავგაროზად ომისკენ მიმავალ გზაზე!

ომისკენ! ბრძოლისკენ! სიკვდილ-სიცოცხლის დაუნდობელ საჭიდაო „ველებისკენ“...

თავი IV. ეპიზოდები ფრონტული ცხოვრებიდან

1. კურსანტობიდან დაწყებული გზა

...1941 წლის აგვისტოს უკანასკნელი მზიანი, მცხუნვარე დღე იდგა. თელავის სამხედრო სასწავლებლის დიდი, განიერი ეზო ახალჩარიცხული კურსანტებით იყო სავსე. წითელი აგურის ორსართულიანი ყაზარმების წინ, სპორტულ მოედანზე, პირველი ათასეულის პირველი ასეულის ჯარისკაცები ერთმანეთში ირეოდნენ, უჩვეულოდ მოძრაობდნენ, ხმაურობდნენ, სამწყობრო ნაბიჯების ილეთებს სწავლობდნენ. ყველაფერს აქ სამხედრო წესდების მკაცრი მოთხოვნა განაგებდა.

იქით, გზის მეორე მხარეს, სხვა ასეულები, ოცეულები და ათე-

ულები ტრიალებდნენ წინ და უკან. ისინი ჩვენზე ადრე ჩამოსულიყვნენ და უკვე მოესწროთ ამ „ტექნიკის“ თეორიული კურსის დაუფლება. ახლა კი მის ცალკეულ დეტალებს „რანდავდნენ“, „ასუფთავებდნენ“, ერთ მთლიანობაში კრავდნენ ნაბიჯების მგრგვინავ ხმას.

ჰო, ხმა, ხმა!

აი, ეს იყო იდეალი! ნაბიჯების ერთიანი, მრგვინავი ხმა. ასფალტი მაინც ყოფილიყო. ყოველი ჯარისკაცის ფეხი მწყობრში მეთაურის მშექარე ძახილზე უნდა დამორჩილებოდა ქვედანაყოფის მოძრაობის დახვეწილ რიტმს. აბა, ერთი დაგგვიანებოდა. აბა, ერთი არ დაგეკრა მიწაზე დაჭიმული ძარღვებით ჩექმის ძირი სწორად და მძლავრად ისე, რომ ხმა არ გამოეღო. და როცა ყველა ჯარისკაცის ფეხის ხმა ერთ გამად ერთდებოდა, ქვედანაყოფის მოძრაობის რიტმთან ერთად იგი ჰქმნიდა ფეხების ხმის თავისებურ ჰარმონიას, რომლის სიმშვენიერე, ძალა და სიმკვეთრე განისაზღვრებოდა მეთაურის ბრძანების ტონით.

— დატოვე! — რომელიღაცის ფეხის ხმამ აურია და მოძრაობის შეუჩერებლივ ქვედანაყოფი დაუყოვნებლივ უნდა გადასულიყო სამწყობროდან სამარშოზე. ამ დროს ჯარისკაცის მთელ ორგანიზმს თითქოს დაძაბულობის „ქამარი“ ეხსნებოდა.

— სამწყობროდ! — დასჭექა მეთაური გვერდიდან და ფეხების ხმებიც ისევ იჭექებდა, გრგვინვად იქცეოდა... დრახ... დრახ... დრახ...

— ასე, ერთი, ორი, სამი! დრახ... დრახ... დრახ!... სწორია! — იძახოდა მეთაური კმაყოფილებით, მისდევდა დანაყოფს, აბრუნებდა, ამეორებინებდა ერთი და იმავეს რამდენიმეჯერ და ასე აღწევდა მიზანს.

ყველაფერი ეს ახალბედა კურსანტების თვალწინ ხდებოდა, მათ საჩვენებლად, მათ მისაბაძად.

ჩვენ რიგებში ამ დროს „ტორტმანი“, „რყევა“, „დატუქსვა“ შეტი იყო, ვიდრე წამახალისებელი შეძახილი და თავისუფალი დგომის ნება.

ო, როგორი სანატრელი იყო თავისუფალი დგომა! აი, ცხენმა რომ იცის, ცალ ფეხს რომ მოხრის, ისე.

მიუჩვეველ ორგანიზმს უჭირდა ერთბაშად სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა, სამწყობრო და სამარშო მოძრაობის ელემენტების დაუფლება, თვით მოძრაობის პროცესში ერთი ფორმიდან მეორეზე

გადასვლა. ერთი სიტყვით, თითოეულს თავისი „გასაჭირი", თავისი „ცოდვა" ჰქონდა და ყველა ცდილობდა როგორმე მეტი ეზრუნა, რათა სწრაფად შეესწავლა ეს „ახალი საქმე". თითქმის უმრავლესობა კურსანტებისა (მათი რიცხვი კი ოთხი ათასამდე იყო), ან უმაღლესი განათლებით ან უმაღლესი სკოლების სტუდენტები იყვნენ. აქ იყო საქართველოს მაშინდელი ახალგაზრდული ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკადი. და როგორ უკვირდათ ერთი შეხედვით ამ უბრალო „საგანს" ადვილად რომ ვერ სძლევდნენ.

შესვენების დროს, როგორც ასეულის პარტორგს და პოლიტინფორმატორს, ახალი გაზეთები და საინფორმაციო ბიუროს ახალი ცნობები უნდა მიმეტანა სამეცადინოდ ველად გასულ თანაკურსანტებისათვის, რომელთაც ოცმეთაური ვიალისისგან რ. შურღიას ამოუწურავი ანეკდოტები ართობდა. ვდაობდით, ვწუხდით ყოველ ასეთ ცნობებზე. ჩვენი ჯარების უკანდახევა გრძელდებოდა, დასავლეთის ოლქები, ქალაქები და რაიონები მტრის ხელში ინთქმებოდა და იკარგებოდა. ჩვენ კი ამ დროს ნაბიჯების ილეთებზე და ხიშტებით „ჩუჩელა-ფაშისტების" აკუწვაზე ვარჯიშით ვიმტვრევდით თავს. თურმე ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. სასწავლებლის ორწლიანი კურსი ექვსი თვით ყოფილა შემცირებული. წინ გველო ლაშქრობები გომბორის მთის კალთებსა და შუამთის ტყეებში, სანგრების თხრა თოვლსა და ყინულებში...

ნახევარი წლის შემდეგ სასწავლებელს დავემშვიდობე ლეიტენანტის ჩინით და განწესების ადგილზე გავემგზავრე. სხვადასხვა მიმართულებით გაემგზავრნენ სასწავლებლის სხვა კურსდამთავრებულებიც. ყველას ფრონტისკენ მიუწევდა გული.

2. როგორ მოვხვდი ჯართულ დივიზიაში[1]

1942 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩვენი სატვირთო ვაგონები დასავლეთ საქართველოდან დაიძრა. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების დღიდანვე — იმავე წლის მარტიდან 38-ე სათადარიგო ბრიგადის 124-ე სათადარიგო ლეგიონში ვმსახურობდი ოცეულის მეთაურად. აქ ნახავდით ამიერკავკასიაში მცხოვრები

[1] მასალები დივიზიის ისტორიისათვის.

ეროვნების ყოველ წარმომადგენელს. ლეგიონი ყოველდღე ივსებოდა და „იცლებოდა“. ეს სულ მარტივად ხდებოდა: მობილიზაციით გაწვეულ ჯარისკაცებს, 10 დღის გადამზადების შემდეგ, აგზავნიდნენ ფრონტზე სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენი ჯერიც დადგა. მოულოდნელად შეგვკრიბეს ქართველი მებრძოლები და მეთაურები შტაბში და გამოგვიცხადეს — იგზავნებით ბაქოს მიმართულებით.

თბილისამდე ჩვენს ვაგონებს გზადაგზა კიდევ შემოემატა რამდენიმე ვაგონი და ნავთლუღის სადგურზე ჩამომდგარი ეშელონი უცებ უკვე 500 კაცისაგან შემდგარ რაზმად ჩამოყალიბდა. მეორე დღეს მატარებელმა კურსი ბაქოსკენ აიღო. ბაქოდან ბესლანში ჩაგვიყვანეს, იქიდან ვლადიკავკაზში და აქ გავიგეთ პირველად, რომ 392-ე ქართული მსროლელი დივიზია უნდა შეგვეესო. დაგვხვდა შტაბის წარმომადგენლობა, სამედიცინო პერსონალი. ერთი ღამე აქ დავრჩით. მეორე დღეს ფეხით გავუდექით გზას ნალჩიკისაკენ.

ვლადიკავკაზიდან ნალჩიკამდე 150-ზე მეტი კილომეტრია. არც მებრძოლები და არც მეთაურები მაშინ შეიარაღებული არ ვიყავით. იარაღს ნაწილში მიიღებთო — გვითხრეს. ასეულებად დაოცეულებად დაყოფილნი გადავდიოდით ჩრდილოეთ ოსეთის ერთი სოფლიდან მეორეში. ღამეს ვათევდით მინდვრად, ან გზის პირას, ფარაჯაში გახვეულნი. დღე მზე და სიცხე გვაწუხებდა, ღამით კი სიცივე. გვეგონა ნალჩიკი უკანასკნელი პუნქტი იყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დილით გზა ისევ განვაგრძეთ.

ქალაქს გამოვცილდით თუ არა, წამოგვეწია ერთი ყაბარდოელი გოგო, გიშრისთვალება, ლამაზი სახის, მხრებზე ნაწნავებგადაყრილი. გაეგო ქართველები რომ ვიყავით და გვეხვეწებოდა: წამიყვანეთ, ნუ დამტოვებთ ნალჩიკში, აქ გერმანელები მალე შემოვლენ, მე დამხვრეტენ, როგორც კომკავშირელს, თქვენი კინოსურათი ვნახე, დარიკოსავით ვიბრძოლებ თქვენთან ერთად, თქვენ დაჭრილებს მოვუვლი, წამიყვანეთ, არ დამტოვოთ, გეყვედრებით... მოგვდევდა ხვეწნა-მუდარით და გული გვეწვოდა. არ შეგვეძლო მიგვეღო. დაღლილ-დაქანცული ქვაზე დაჯდა და დიდხანს, დიდხანს გვიყურებდა, სანამ თვალს არ მოვეფარეთ. დარიკოს მხატვრული სახით შთაგონებული ყაბარდოელი გოგონა! ვინ იცის იქნებ[1]...

---

[1] ნარკვევში „კავკასიის მისადგომებთან“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 7) აღწერილი მაქვს ეს ეპიზოდი „ყაბარდოელი დარიკოს“ ქვესათაურით.

ათი დღის მომქანცველი ლაშქრობის შემდეგ ნალჩიკის ჩრდილო-აღმოსაელეთით მდებარე სოფელ ლეშენსკაიაში დავბანაკდით. სექტემბრის შუა რიცხვები იყო. აქ გაგვანაწილეს დივიზიის სხვადასხვა ნაწილსა და ქვედანაყოფში და ერთმანეთისათვის უცებ ისე გავქრით და გავუჩინარდით, როგორც ქვიშაში ჩასხმული წყლის წვეთები. ლეშენსკაიაში მე დავინიშნე 79ე-ე ლეგიონის მეორე ათასეულის მეხუთე ასეულის მეთაურის მოადგილედ. ეს ლეგიონი მაშინ ყაბარდო-ბალყარეთის მთებში იყო შეხიზნული.

და, ეი, ამ მიღება-განაწილების პროცესში, სოფელ ლეშენსკაიას ტყის განაპირას, პირველად დავინახე მტრის „მესერშმიტები“, რომლებმაც, ეტყობა, შეამჩნიეს ჩვენი თავშეყრა და სცადეს ყუმბარები ჩამოეგდოთ, მაგრამ ტყემ გვიშველა. როგორ მოვხედით ტყეში? უნდა გავიხსენო ერთი დეტალი. სოფელი ლეშენსკაია ნალჩიკიდან მომავალო ფართო შარაგზის პირზე, მთის შეფენებაზე იყო გაშენებული. ხის ძირას ვისვენებდი. მოულოდნელად მებრძოლი თავზე დამადგა და მითხრა:

— ამხანაგო მეთაურო! ეს კაცი თქვენთან არის გამოგზავნილი.

მიმითითა მან მაღალი ტანის, შავ, გახუნებულ კოსტიუმში გამოწყობილ კაცზე. მე ავხედე ახლადმოსულს და სახტად დავრჩი. მაშინვე ფეხზე წამოვხტი. სრულიად მოულოდნელი იყო პოეტ გიორგი ქუჩიშვილის გამოჩენა. მივუახლოვდი, ხელი ჩამოვართვი.

— პატივცემულო გიორგი, აქ საიდან, როგორ?! — შევეხმიანე პას და ჩრდილქვეშ მივიწვიე.

გიორგი ჩემს გვერდით ჩამოჯდა. დაღლილობა ეტყობოდა. ჩანდა, კარგა მანძილი ჰქონდა ფეხით გამოვლილი.

— ჩვენი მწერლების ბრიგადა ორად გაიყო. — ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო გიორგიმ. — მე და ერემია ჭარელიშვილი თქვენთან მოვხვდით. სოლომონ თაქაძე და კარლო კალაძე მეზობელ ნაწილში წავიდნენ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაგვავალა თქვენთან ჩამოსვლა. გავიგეთ, რომ კარგად იბრძვიან ჩვენი ვაჟკაცები... გვიხარია, ვამაყობთ... ირაკლი აბაშიძე[1], ალიო მირცხულავა და ილიო თაქაძე ერთი თვით ადრე იყვნენ აქ.

[1] სწორედ აქ, ბალყარეთის მთის კალთებზე იყო დამარხული ჩვენი დივიზიის კაპიტანი შიხეილ ბუხაიძე. მისი საფლავის ნახვის შედეგად დაიწერა ირაკლი აბაშიძის ცნობილი ლექსი ბუხაიძეზე და პირველად აქვე, დივიზიის გაზეთში დაიბეჭდა.

ამასობაში სადილის სიგნალიც მისცეს. მოძრავ სამზარეულოსთან ჯარისკაცები გაჩნდნენ. გიორგი ყურადღებით აკვირდებოდა ფრონტული ცხოვრების ყოველ წერილმანს. დროგამოშვებით თვალებს ჰორიზონტს მიაპყრობდა და ფიქრებს მიეცემოდა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ულუფაც მოიტანეს. მე და გიორგიმ ერთი საველე ქვაბუნიდან ვისადილეთ. გიორგისათვის რომელიღაც ჯარისკაცისაგან ნათხოვი ხის გამოთლილი კოვზი მოიტანეს.

— რა კოხტად გამოუთლია, — გაცინებით თქვა გიორგიმ კოვზის დანახვაზე. სადილობის შემდეგ იგი ადგა და გამანაწილებელ შტაბისკენ წავიდა. არ გასულა ნახევარი საათი და სალაშქრო დაფდაფის ხმაზე მთელი ჩვენი ხუთასკაციანი რაზმი ასეულებად დაეწყო, სოფლის უკან მდებარე ტყისკენ გაემართა და ტყის შუაგულში პატარა მოედანზე ოთხრიგად გამწკრივდა. მოედნის თავზე საბრძოლო დროშას ტყის გრილი ნიავი აფრიალებდა. მწვანე ბალახი ბიბინებდა პატარა ველზე. ვიდექით, ველოდით ბრძანების წაკითხვას. მარჯვენა მხრიდან შტაბის უფროსი კ. ბერუჩაშვილი გამოჩნდა, მას გვერდით გიორგი და ერემია მოსდევდა. რაზმის წინ, შუა ადგილას შეჩერდნენ, ოდნავ შესამჩნევ შემაღლებაზე. დაიწყო სახელდახელო მიტინგი. შტაბის უფროსმა ერემია ჭარელიშვილის გამოსვლის შემდეგ სიტყვა გიორგი ქუჩიშვილს მისცა. ჯარისკაცები სულგანაბულნი უსმენდნენ პოეტს. უცებ ჰაერში გაისმა ნაცნობი ზუზუნი. ნალჩიკის მხარეს, ცაზე „მესერშმიტების“ ესკადრილია გამოჩნდა.

— ჰაერი! — გაიცა მყისვე განკარგულება და თვალის დახამხამებაში რაზმი ტყეს შეეხიზნა. ეს ისე უცებ მოხდა, გიორგიმ დაწყებული პირველი სტროფის წაკითხვაც ვერ დაამთავრა, თითქოს სიტყვა პირში გაუწყდაო, იდგა ერთხანს გარინდებული და მხოლოდ შტაბის უფროსის შეძახილის შემდეგ შეაფარა თავი იქვე ახლო მდგომ ბუჩქებს.

თვითმფრინავებმა გადაიქროლეს.

კვლავ გამწკრივდა რაზმი. კვლავ გაისმა გიორგი ქუჩიშვილის მგზნებარე ხმა. „მოგესალმებით საგმირო ჰანგით, თქვენი ბრძოლე-

ბით აღტაცებულნი, ნურც დაგიხრიათ, ძმებო, ეგ დროშა“ — განაგრძობდა გიორგი, მაგრამ თვითმფრინავებმა ამ დროს კვლავ შემოუარეს ჩვენს ზემოთ სოფელს და კურსი სწორედ ტყისკენ აიღეს. კვლავ გაისმა განგაშის ხმა, კვლავ დაიშალა რაზმი და ტყეს შეეხამა, მოედნიდან კვლაე უველაზე გვიან გავიდა გიორგი. ბოლოს, როგორც იქნა, პოეტმა დაამთავრა ორსტროფიანი ლექსის ბოლო სტრიქონები: „ნურც დაგიხრიათ, ძმებო, ეგ დროშა, სისხლით ნაბოძი, წითლად კაშკაშა, რომ თქვენ, არწივებს საქართველოსას, მთებიც მოგძახდეთ ვაჟკაცურ ეაშას“. ბოლო სიტყვები რაზმის ჯარისკაცთა ტაშმა დაფარა.

როცა გიორგი ჭუჩიშვილის თხზულებათა პირველი ტომის 407-ე გვერდზე მოთავსებულ ლექსს „კავკასიის მთებში მოქმედ ქართულ დივიზიას“ ეკითხულობ, სიამაყისა და სიხარულის გრძნობა მიპყრობს. ეს ლექსი დაიწერა სოფელ ლეშენსკაიაში, მტრის თვითმფრინავების გააფთრებული თავდასხმის დროს, რაზმის საბრძოლო დროშის ფრიალში, ფრონტულ ტრიბუნაზე.

ლეშენსკაიადან ჩეგემის ხეობის გავლით კიდევ რამდენიმე დღის მგზავრობა დამჭირდა, რათა მიმეგნო ფრონტის წინა ხაზზე განლაგებული ჩემი ლეგიონის, ათასეულისა და ასეულისათვის. უკვე ოქტომბრის პირველი დღეები იყო, როცა ათასეულის მეთაურთან გამოვცხადდი. ის სანგარში მეთაურების თათბირს ატარებდა.

მე გარეთ შევჩერდი. მიდამოს თვალიერება დავიწყე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ აღმოსავლეთით აზიდულ მთას და მთელ მის კალთებს ხარახორას მთა და მისი კალთები ეწოდებოდა, რომ მთის მწვერვალზე გერმანელები იყვნენ განლაგებული და იქიდან უთვალთვალებდნენ ჩვენი ნაწილების თუ მებრძოლების ყოველ მოძრაობას.

ვიდექი სანგრიდან ცოტა მოცილებით, გავყურებდი მიდამოს და უკან მიხედვაც ვერ მოვასწარი, უცებ, ჩემგან სულ რაღაც რამდენიმე მეტრის იქით, გზის მხარეზე, ნაღმი გასკდა. სანგრიდან ვიღაცამ გამოიხედა და მიყვირა: — დაწექი! მერე ხოხვით მომიახლოვდა, ფეხებში ხელი ჩამავლო და სანგარში ჩამათრია.

— ჯერ არ მოსულხარ და თავს იღუპავ? — მითხრა მკვახედ უცნობმა მეთაურმა.

— ხედავ, ნიშანში ამოიღეს. — დაუმატა მეორემ.

— ასეთი გაუფრთხილებლობით, იცით, რამდენი დაგვეღუპა? — ჩამილაპარაკა ყურში მესამემ.

მე გაოგნებული შევცქეროდი ათასეულის მეთაურს. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ თურმე ზედ ფრონტის წინა ხაზზე ვიყავი. მთებში ვერ გაარჩევ ფრონტის წინა და უკანა ხაზს. ეს ყველაზე საშიშია და ამ საშიშროების პირველ „გამოცდას“ ვაბარებდი.

— ასეულის მეთაური ლეგიონის სამედიცინო პუნქტში წევს. დღეიდან თქვენ მოგიწევთ მისი მოვალეობის შესრულება. — მითხრა ათასეულის მეთაურმა თათბირის დამთავრების შემდეგ.

3. პირველი „ნათლობა“

1942 წლის 18 ოქტომბერს დამევალა პირველი სადაზვერვო ამოცანის შესრულება ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხარახორას მთაზე განლაგებული მტრის საცეცხლე წერტების გამოსარკვევად. ეს არც ისე დიდი სიმაღლის მთა სარდალივით დაჰყურებდა მდინარის პირად გაშლილ მთელ ვიწრო ველს, რომელიც იმ დროს სიმინდის აუღებელი ყანებით იყო დაფარული.. ამ ყანებს ჩაუდიოდა გუნდელენთან, ზაიუიკოვსთან და სხვა დასახლებულ პუნქტებთან დამაკავშირებელი სასოფლო გზატკეცილი. როგორც კი ამ გზაზე ჩვენი ქვეითი ნაწილი, არტილერია, ფურგონი ან ცხენიანი სამზარეულო გამოჩნდებოდა, ხარახორას მთის მწვერვალიდან ნაღმების „სეტყვა“ წამოვიდოდა და მიწიან-ბუდიანად გლეჯდა ყველაფერს. არაერთი მებრძოლი და მეთაური იმსხვერპლა ამ გზამ. 37-ე არმიის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენს დივიზიას, რომელსაც იმ ხანებში პოლკოვნიკი გ. ყუფარაძე სარდლობდა, ნაბრძანები ჰქონდა ამ მთიდან გერმანელების განდევნა. მაგრამ, სანამ შეტევა დაიწყებოდა, თითოეულ სამხედრო ნაწილს მისი სამოქმედო რაიონის წინასწარი დაზვერვა უნდა მოეხდინა.

790-ე ლეგიონის მეორე ათასეულის მეთაურმა, კაპიტანმა სერგო მჭედლიძემ 18 ოქტომბერს დილაადრიან გამომიძახა ათასეულის შტაბში, რომელიც მოთავსებული იყო მდინარის პირას, ერთ მოზრდილ ფარდულში. აქ უკვე შერჩეული ჰყოლიათ მზვერავი ათეული. მე მისი მეთაურობა დამეკისრა. პარტბილეთი და ყველა პირადი დოკუმენტი შტაბში დაიტოვეს. ბრძანება მომეცა ავსულიყავი ხარახო-

რას მთის კალთებზე და დამედგინა მტრის საცეცხლე წერტების განლაგებანი.

ეს იყო, რა თქმა უნდა, მძიმე დავალება. დაბრუნება საეჭვო იყო. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ჩვენი დივიზია ბაქსანის ხეობაში ბრძოლებგამოვლილი იყო. მისი პირადი შემადგენლობა თითქმის ნახევრამდე იყო შემცირებული. ყოველივე ეს იგრძნობოდა ჩვენს ათასეულში და, კერძოთ, ჩემს ასეულშიც.

მართალია, ჩვენს ამოცანას იმ დღეს შეადგენდა არა მტერთან ბრძოლაში ჩაბმა, არამედ მტრის განლაგების მოხერხებული დაზვერვა, მაგრამ ომის დროს ყოველი დაზვერვა გარკვეულ ხიფათთან არის დაკავშირებული. მე მაშინ ამ ხიფათს არც კი ვგრძნობდი, თავისთავად შინაგან სულიერ კმაყოფილებას მანიჭებდა ათასეულის მეთაურის დიდი ნდობა — სხვებს შორის მე რომ შემარჩია ამ საპასუხისმგებლო დავალების შესასრულებლად. ჩვენს ინფორმაციას ხომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა შეტევისათვის.

დილის ათ საათზე ათეული გაშორდა ათასეულის შტაბს და სიმინდის ყანებში გავუჩინარდით. შემოდგომის ის დღე დილიდანვე ბურუსიანი იყო, დროგამოშვებით წვიმდა კიდეც. მალე გადავკვეთეთ მდინარის პირიდან მთის კალთამდე გაჭიმული ყანის ზოლი და ხარახორას ძირას, ბუჩქებში ჩავიმალეთ. აქედან უნდა დაგვეწყო ასვლა. პირველი ფერდობის ყურადღებით დათვალიერების შემდეგ ფრთხილად ავედით მის ზედა კალთაზე, რომელიც გაშლილ მინდორს წარმოადგენდა. ამ მინდორს ისევ ახალი ფერდობი მოსდევდა. იმ ფერდობს კიდევ ფერდობი და ასე იქმნებოდა სიმაღლეთა გრეხილი, რომელზედაც, როგორც შემდგომ დაზუსტდა, ჩასანგრებული იყვნენ გერმანელთა სამთო შენაერთის ნაწილები.

პირველ კალთაზე ასვლამ დაგვარწმუნა, რომ მტერი აქ ახლო-მახლო არ იყო. მინდორზე თივის ზვინები იყო. ამ ზვინებს გავუყევით და მათზე ამოფარებულები მივედით ერთ ზღუდემდე, რომლის ორმოსებურ ნაპრალში გრძელი კარავი აღმოჩნდა. კარვის ეზო ღობით იყო შემოკავებული. ეტყობოდა, ბალყარეთის რომელიღაც კოლმეურნეობას აქ, ამ მთაგრეხილზე, მესაქონლეობის საზაფხულო საძოვარი ჰქონდა მოწყობილი და ახლა ეს კარავი, მისი „ეზო-კარი“ მიტოვებულ, უკაცრიელ ადგილად ქცეულიყო. სწორედ ამ კარვის ზემოთ, სულ რაღაც 30 მეტრის იქით, ახალი აღმართი იწყებოდა.

გადავწყვიტე, ათეულის შემდგომი მოძრაობა დროებით აქ შემე-

ჩერებინა. ირგვლივ ნისლი და ბურუსი უფრო ღრმად ჩამოწვა. მტრის არსებობის ნიშან-კვალი არსად ჩანდა. მაშ, საიდან გვესროდნენ? აკი სწორედ ამ მხრიდან მოდიოდა ნაღმების „წვიმა“?

ხელდახელ „წასაუზმების“ შემდეგ ათეულიდან ორი გუშაგი გამოეყავი და კარვის ორივე კუთხესთან დავაყენე მეთვალყურედ, ხოლო დანარჩენებს ვუბრძანე შიგ კარაეში შესულიყვნენ, ღობის ნარჩენებისგან ცეცხლი დაენთოთ და სველი ტანისამოსი შეეშროთ. ჩემი ვარაუდით, სახურავიდან ამოვარდნილი კვამლი, ჯერ კიდევ დღის მრუმე სინათლეზე, ნისლსა და ბურუსში, მტრისათვის ადვილი გასარჩევი იქნებოდა და იგი უეჭველად გამოეხმაურებოდა მას, რაც საშუალებას მომცემდა გამომერკვია, იყო თუ არა იგი ნამდვილად ჩვენი მარშრუტის ზოლში. და მართლაც, არ გასულა ნახევარი საათიც კი კარაეში ცეცხლის აბრიალებიდან, გარეთ მდგომმა ორივე გუშაგმა მაცნობა — სულ ახლოს გერმანელთა ლაპარაკი ისმის და მათი მოძრაობა იგრძნობაო.

დაუყოვნებლივ დავძარი ათეული უკან, იმავე მიმართულებით, საიდანაც ამოველდით მთაზე, მაგრამ ახლა უკვე სულ მთლად გართხმულები ვიყავით მიწაზე, წვიმისაგან გალუმპულ ბალახებში და ხოხვით მივისწრაფოდით შტაბისკენ. ღამდებოდა. კარვიდან სულ რაღაც ათი მეტრითაც არ ვიყავით დაშორებული, რომ გერმანელებმა მგეზავი ტყვიებით სროლა აგვიტეხეს. მიზანი მიღწეული იყო. აშკარა იყო, მტრის განლაგების ზოლი სწორედ იმ კარვის ზემოთ, ამაღლებულ ზღუდეზე გადიოდა. იმ საღამოს საჭირო ცნობებით ათეული ათასეულის შტაბში უვნებლად დავაბრუნე. ეს იყო ჩემი პირველი საბრძოლო „ნათლობა“, პირველი „წარმატება“ ომში.

4. ხარახორასათვის ბრძოლაში

მეორე დღეს, 19 ოქტომბერს, ჩვენმა ათასეულმა, ისე როგორც მთელმა 790-ე ლეგიონმა და დივიზიის სხვა ნაწილებმა, ღამით დაიწყო შეტევა ხარახორას მთის ასაღებად. იყო წყვდიადი, ჯოჯოხეთური ღამე. ჩემი მეხუთე ასეული ბედად სწორედ იმ მიმართულებით მოხვდა შეტევის გეგმით, რომელიც წინა დღეს მქონდა დაზვერილი, მაგრამ უკუნეთ ღამეში უცნობი თუ ნაცნობი ადგილის გარჩევა შეუძლებელი იყო. ჩემს მარჯვნივ მეოთხე (მეთაური ს. მეფა-

რიშვილი) და მარცხნიე მეექვსე (მეთაური ა. ფანქველაშვილი) ასეულები მოქმედებდნენ, ხოლო მათ ფლანგებზე სხვა ქვედანაყოფები და ნაწილები.

გვიან, ღამით, საშინელი სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა სწორედ ამ ხარახორას მთის კალთებსა და ფერდობებზე. ჩვენი არტილერიის, ტყვიამფრქვეველების და თოფების მოულოდნელ ჰექა-ქუხილს მტერმა გააფთრებული წინააღმდეგობით უპასუხა და სცადა კონტრშეტევაზე გადმოსვლა. მაგრამ ჩვენმა ნაწილებმა შეძლეს მათი შეჩერება, მოგერიება, დაკავებული პოზიციების შენარჩუნება გარკვეული დროით, მთელი ამ მნიშვნელოვანი პუნქტის დაცვა. ბევრი გერმანელის სიცოცხლე შეეწირა ხარახორას მთას, მაგრამ არც ჩვენ გვჭონია მცირე დანაკლისი.

თუ რა ახლოს გადიოდა მაშინ ჩვენს შორის ფრონტის წინა ხაზი, როგორ ახლოს ვიდექით ერთმანეთთან, როგორი შეუპოვრობით, თითქმის პირისპირ გვიხდებოდა მტერთან შებმა, ამას მოწმობს 19 ოქტომბრის ღამით ჩემი ასეულის საბრძოლო მოქმედებიდან ერთი ასეთი, მუდამ დაუვიწყარი, მაგრამ მძიმედ მოსაგონარი ეპიზოდი.

მიუხედავად მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა, ათასეულის შტაბიდან ტელეფონით ნაბრძანები მქონდა ასეული წინ გადამეყვანა ახალ ზღუდეზე, რათა მეზობელ ნაწილებს გაადვილებოდათ დანიშნული სიგნალით ერთდროულად გადასვლა იერიშზე. როგორც შემდგომში გამოირკვა, ეს ბრძანება არ ემყარებოდა რეალურ საფუძველს. უკუნეთი სიბნელის გამო, ჩვენ თურმე ისედაც შეპრილი ვყოფილვართ მტრის განლაგების ზოლში. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. გადავწყვიტე ასეულის პოლიტხელ ა. ხელაძესთან ერთად სამეთაურო პუნქტი მომეწყო ასეულის განლაგებიდან სულ რაღაც სამი მეტრის დაშორებით, შუა ადგილას, რათა შესაძლებლობა მქონოდა დამენახა ლანდებად ქცეული მებრძოლების ადგილგადანაცვლება. ეს უნდა მომხდარიყო ათეულების მიხედვით, ე. ი. ჯერ ერთი ათეული ამოვიდოდა თავდახრილად სანგრიდან, უცებ გაირბენდა ათიოდე ნაბიჯს და კვლავ ჩაწვებოდა, მას უნდა მიჰყოლოდა მეორე, მესამე და ა. შ.

როგორც კი მიიღო მარჯვენა ფლანგზე მყოფმა ათეულმა (ათეულის მეთაური სერჟანტი ვ. თოდუა) ჩემი ბრძანება წინ გადასვლის შესახებ, მეთაურმა მაშინვე დაძრა ათეული, უხმოდ, მოხრილად გადაირბინა რამდენიმე ნაბიჯი და ახალ ზღუდესთან ჩაწოლა ვერ მო-

ასწრო, რომ მე და პოლიტხელს ერთდროულად მოგვესმა სერჟანტ თოდუას ერთადერთი, შემზარავი, თითქმის ყელში გაგუდული სიტყვა: დავიღუპეთ! შემდეგ ერთმანეთში აირია გერმანული, რუსული და ქართული სიტყვები და ყოველივე ტყვიების ზუზუნსა და დაჭრილების კვნესა-წუხილში შთაინთქა. ეს მოხდა თვალის დახამხამებაში, თითქოს ჩვენს თვალწინ, ჩვენს გეერდით, სულ ახლოს ჩვენს საკომანდო პუნქტთან.

ცხადი იყო, ჩასაფრებული მტერი ელოდა ჩვენს მიახლოებას და ლამობდა ცოცხლად ხელში ჩაგდებას. ამას მოყვა ურთიერთცეცხლის დაშენა. ტყვიამფრქვეველების, თოფების, არტილერიის სროლის ხმამ მოიცვა მთელი მიდამო, ყოველი მხარე. გამაყრუებელ ზუზუნსა და ხმაურში, ღობის კიდესთან დაჭრილი მეომრის ძახილი მოგვესმა — მიშველეთო. მისკენ ხოხვით წავიდა ასეულზე მომაგრებული გამოცდილი ფერშალი ვ. კოროშინაძე, რომელსაც ადრე ბრძოლის ველიდან დაჭრილი მებრძოლების გამოყვანისათვის ჯილდო ჰქონდა მიღებული. სწორედ ამ უკიდურესი განსაცდელის წუთებში ათასეულის მეთაური, კაპიტანი ს. მჭედლიძე ტელეფონით დამიკავშირდა და მოითხოვა საბრძოლო ცნობის მიწოდება. მე დავუხასიათე ვითარება.

— მეზობელი მეოთხე ასეული უარეს მდგომარეობაშია, — მითხრა მან. — კავშირი გაწყვეტილი მაქვს მასთან. შენს გვერდით მოქმედ მეექვსე ასეულს უკვე ვუბრძანე უკან დაბრუნება. დაუყოვნებლივ გამოყევი ტელეფონის მავთულს, გამოიყვანე დაჭრილები და მებრძოლები და ეცადე დილამდე დაბრუნდე გამოქვაბულში.

ასე სასწაულებრივ გადავურჩით გარდუვალ დაღუპვას.

წიგნში „ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“, რომელიც გამოცემულია 1965 წელს, ნათქვამია: „ხარახორას მთის ფერდობების, ზაიუკაევოს მთის და სოფელ ზაიუკაევოს დაკავებით ქართულმა დივიზიამ გერმანელებს ჩაუშალა გეგმები. დივიზიის პირადმა შემადგენლობამ გამოიჩინა მხედრული სიმტკიცე, ბრძოლის მაღალუნარიანობა და სამშობლოსათვის უსაზღვრო თავდადება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ათასეულის მეთაურის მჭედლიძის, ასეულის მეთაურების თოფურიძის და ფანქველაშვილის, უმცროსი ლეიტენანტის მირზიაშვილის, პოლიტხელის ხელაძის, ზემდეგ ფერაძის, სერჟანტ ჟღენტის, მეკავშირე წითელარმიე-

ლის ჯიქიას გმირობა, მამაცობა და სამშობლოსათვის უსაზღვრო თავდადება“ (გე. 235).[1].

5. ათი დღე ხარახორაზე

თითქმის ხელჩართულ ბრძოლამდე მისული მძიმე ეპიზოდის გამოელის შემდეგ, ათასეულის გამოქვაბულში ხოხვით დაბრუნებულ ასეულს განთიადისას დავალება მიეცა: ხარახორას კალთის ზეგანზე დაგეგეკავებინა თავდაცვითი ზოლი, მოგვეწყო სანგრების ფარული საფარი ისე, რომ ჩვენი მოძრაობა დღით შეუმჩნეველი ყოფილიყო მტრისთვის. დღე კი, წინაღამის საშინელი წყვდიადის ნაცვლად, ისეთი მზიანი და ნათელი გათენდა, ირგვლივ ყველაფერი მკაფიოდ ჩანდა.

ჩანდა აღმოსავლეთით სულ რაღაც სამასი მეტრის სიშორეზე აზიდული ხარახორას მთის ახალი აღმართი, რომლის მწვერვალზე გერმანელები იყვნენ განლაგებული. ჩანდა სამხრეთით ამაღლებული გაშლილი ბორცვი, სადაც მეზობელი ქვედანაყოფები იდგნენ, ჩანდა დასავლეთით ის ტაფობი და სიმინდის ის ყანები, საიდანაც ამოვედით ამ მთაზე, და, ბოლოს, ჩრდილოეთით, ჩვენს პირდაპირ, ჩანდა მთის ორ განაყოფს შორის გველეშაპის ხახასავით შემზარავად მოქცეული ვეებერთელა უფსკრული. გამოქვაბულიდან გადახედვაც კი შიშის ზარს იწვევდა. ღრმა და ურჩხულივით შემაზრზენი იყო მისი „გარეგნობა“, სიცარიელე, ყვავი რომ ყვავია, ისიც შორიდან უელიდა.

მთელი დღე ბრძანების შესასრულებლად სანგრების გათხრას და საბრძოლო მდგომარეობის მომზადებას მოვუნდით. თივის ზვინები გეშველოდა მებრძოლებისათვის ახალგათხრილი მიწის სიღრმეში სადგომზე დასაფენად. ჩვენი პოზიცია მტრის განლაგებისკენ იყო მიმართული. ზემდეგი გამოქვაბულიდან საგანგებოდ გაკვალული საფარით ახერხებდა სანგრებში საჭმლის მიწოდებას. პოლიტიკური საუბრებიც სანგრებში ტარდებოდა.

---

[1] წიგნში დაშვებულია შეცდომა, რაც გასწორებულია ვ. აბაშიძის მიერ დაბეჭდილ რეცენზიაში. „ხარახორას მთის კალთებზე იბრძოდა არა თოფურიძის, არამედ ასეული უფროს ლეიტენანტ აკაკი თოფურიას მეთაურობით“ („თბილისი“, 1965, № 257).

ასეთი საუბრების საჭიროება ხარახორას მთაზე განსაკუთრებულად აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც მტრის თვითმფრინავებმა ღამე დაიწყეს ათასგვარი პროვოკაციული ფურცლების ჩამოყრა. ეს ფურცლები დილით თოელის ფანტელივით ეყარა მინდორზე. სანამ მის აკრეფას და განადგურებას მოვასწრებდით, თითო-ოროლა ხელში უვარდებოდა მებრძოლებს და ზიზღით მახორკის გასახვევად იყენებდნენ. ღამე საუკეთესო მებრძოლებთან ერთად მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მორიგეობა იყო დაწესებული მტრის მზვერავების შემოჭრის ან რაიმე წესის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

სწორედ ასეთი მორიგეობის იმ ღამეს გამოქვაბულიდან სულ რაღაც რამდენიმე მეტრის დაშორებით მე და ჩემი ასეულის პოლიტხელი მივადექით ერთ ბორცვს და თვალნათლივ დავინახეთ დაბლიდან ზემოთ მომავალი უცხო ჯარისკაცი, რომელიც კისრამდე იარაღში იყო ჩაფლული. მთვარის მკრთალ შუქზე მისი სილუეტი ხან მთლიანად გამოჩნდებოდა და ჩვენ ჩურჩულით მის ეროვნებას ვარკვევდით, უფრო რუმინელს ვამსგავსებდით, ხან კი ფერდობის ჩრდილში მოქცეული ნახევრად ჩანდა და სულგანაბულნი მის მოახლოებას ვუცდიდით.

— ვესროლო? — მეუბნებოდა ჩუმი ხმით პოლიტხელი.

— არა. — ვეტყოდი ჩუმათვე — უნდა შევიპყროთ.

და ჩვენ, სუნთქვაშეკრულნი, ვემზადებოდით ბორცვიდან გადასახტომად, მაგრამ გეშით მიგვეხვდა თუ გზა შეეშალა, უცებ უკან გაბრუნდა, ბუჩქებს მიეფარა, გაუჩინარდა...

როცა მორიგეობის დრო გაგვითავდა, ჯერ კიდევ განთიადის მოსვლამდე, დასასვენებლად ასეულის უფროსმა სამხედრო ფერშალმა ვ. კოროშინაძემ გამოქვაბულიდან ზევით ამიყვანა, თავდახრით გამატარა ასეულის განლაგების ზოლიდან მარცხნივ და სადღაც უცნობ ფერდობზე ჩამიყვანა. ხელი ხელზე ჰქონდა მოკიდებული და ჩუმად მაფრთხილებდა, ფეხი არ დაგიცდეს, ნაბიჯ-ნაბიჯ მომყევი და ტკბილად დაგეძინებაო.

მართლაც, ოციოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ შემაჩერა, თვითონ დაიხარა, თავი შერგო რაღაც ჯურღმულში, დაიხარეო მითხრა, ხელით მისკენ გამქაჩა და ორივენი თივის ბუმბულზე გავწექით. თავით რომ მიწას მივეყრდენი, ვიგრძენი ფეხები გარეთ მქონდა გაფშიკული. ფერშალიც ჩემს გვერდით ასევე მოკალათდა. ხერელში სიბნელე იყო. ოქტომბრის ღამის გრილი, მთის ჰაერის ნაკადი თივის

სურნელებას ერთეოდა და დაღლილ-დაჭანცულთ, ფარაჯებში გახვეულთ, მალე ჩაგვეძინა.

კოროშინაძე ადრე ამდგარიყო. წყალი მოემზადებინა პირის დასაბანად. ხერელის თავთან იდგა და მელოდა. სინათლის სხივის შემოჭრა არც კი გამიგია. წამოდგომა დავაპირე და ზემოთ თავი ისე მაგრად მივარტყი მიწას, ფხვიერი ნამცეცები თმებზე და კისერზე დამეყარა. ვერ წარმომედგინა, სად ვიყავი. სანგარს რომ არ ჰგავდა, ვგრძნობდი, მაგრამ... ასეთ საოცრებას თუ გამოიგონებდა ფერშალი, აზრად არ მომსვლია. ფეხებს ვამოძრავებ აქეთ-იქით, მაღლა და დაბლა და მიწას მაინც არ ხვდება. უნდა გავსრიალდე თივის „ლეიბზე“, მაგრამ რომ არ ვიცი, სანამდე?

— ამხანაგო მეთაურო, — მომესმა ამ დროს ფერშლის ხმა. — აქა ვარ, ნუ გეშინიათ, გამოჩოჩდით ცოტა და მე აგიყვანთ.

ეჰე, გავიფიქრე, ასაყვანად გამიხდა საქმე? დაჭრილი ხომ არა ვარ? თითქოს ეკვით ვკითხე ჩემს თავს.

— აბა, დამადე ფეხებზე ხელი, — გავეპასუხე ხერელიდან ფერშალს. იდაყვებზე დაყრდნობით გაწოლილად გავჩოჩდი, კიდევ გავჩოჩდი, ტანი ნახევრად გავიტანე გარეთ, ფერშალმა ფეხები მიწაზე დამადგმევინა, გავმაგრდი, ზედა ტანიც გამოვიტანე ხერელიდან და ფერშლის გვერდით დავდექი. გავიხედე და ორიოდე ნაბიჯის იქით სწორედ ის ველება უფსკრულის ხახა მომჩერებოდა, გუშინ გამოქვაბულიდან რომ ვნახე, აჰა, ეს არის შთანთქმას მიპირებსო. თვალები ძირს დავხარე და მომეჩვენა, უფსკრული თითქოს უძირო, უფსკერო იყო. დაგიცდეს ფეხი და... სულს ვერ ჩაიტან.

ახლა როცა ვიგონებ იმ უფსკრულის წინაშე დილაადრიან ჩემს პირველ დგომას, გული მიკანკალებს, მაჟრჟოლებს, სიმაღლის შიშის გრძნობა ისე მაკრთობს, თითქოს თვალწინ მედგას, შიგ ვიხედებოდე, ფეხქვეშ მიწა მეცლებოდეს და უფსკრულში ვვარდებოდე. მაშინ კი... მაშინ მხოლოდ გაოცება და გაკვირვება მეხატა სახეზე. ფერშალმა ეს ადვილად შემნიშნა. მე მივიხედე ხერელისკენ, მასთან ჩასასვლელ პატარა ბილიკისკენ და უმალ მივუხვდი ფერშლის მოსაზრებულობას.

— აქ გერმანელი ვერ მოგვაგნებს. — მითხრა მან ღიმილით და დამშვიდებით.

მართალიც იყო.

უფსკრულის დახრილ ციცაბო კიდურთან ხერელი ისე იყო შეჭ-

რილი, იმდენი თივა ეყარა ორი კაცის საწოლად, უკეთეს ბუნაგს, ეშმაკიც ვერ მოისაზრებდა.

ინსტინქტი!

ო, რა ძალა აქვს!

ხელების ფრჩხილებით გამოეთხარა და ნიჩბით გამოეყარა ამოდენა მიწა.

ამ ბუნაგის არსებობა არავინ იცოდა.

ათასეულის მეთაურს ერთხელ ყურადღება მიუქცევია ფერშლის საეჭვო მოძრაობისათვის უფსკრულის ქიმთან. თივის ახალი კონა შეჰქონდა თურმე ხვრელში და ძველს უფსკრულში ყრიდა. ათასეულის მეთაური თავზე დადგომია.

— რას აკეთებ სერჟანტო. — უკითხავს.

— ასეულის მეთაურის ბინას ლოგინს ვუცვლიო. — უპასუხნია ხუმრობით ფერშალს.

— აბა, მაჩვენე. — და ბილიკს ჩაჰყოლია.

სანამ ხვრელამდე მივიდოდა, უფსკრულისკენ გადაუხედავს და უმალ უკან გამობრუნებულა, ფერშლისთვის უბრძანებია: ახლავე გასცილდი აქაურობას და მეტი არ დაგინახო ეკარებოდეო.

კაპიტანი გაბრაზებული შემომხვდა თავის შტაბთან და ფიცხლად მითხრა:

— ეს რა საშინელი თავშესაფარი შეურჩევია ფერშალს შენს დასაღუპავად, ოდნავ ფეხის დაცდენა და ნაპრალიდან მკვდარსაც ვეღარავინ ამოგიტანს.

— გულით ვითომ სიკეთეს მიკეთებდა, მაგრამ ვატყობ, მართლაც საშიშია.

— საშიშია და მეტი არა?! — დასძინა მან მკვახედ და ამით მაგრძნობინა: სერჟანტის წინდაუხედაობას ასეულის მეთაურის წინდახედულება უნდა ასწორებდესო.

ეს შეგონებაც იყო და გაკვეთილიც გამოცდილი მეთაურისაგან. ვინ იცის იმ ხვრელს დროზე რომ არ გავცლოდი, რა ხიფათი და მარცხი მელოდა წინა დღეების ცხარე ბრძოლებში გადარჩენილს.

ათი დღე და ღამე ხარახორაზე ერთი თოფიც არ გავარდნილა. ერთმანეთს სანგრებიდან შევყურებდით ჩვენ და გერმანელები. ერთმანეთის პირისპირ ვიდექით, ისინი მაღლობზე, ჩვენ მათ ქვეშოთ, და ისე შევეჩვიეთ მშვიდად ყოფნას, თითქოს ერთმანეთის მტრები კი არა, გაუცნობელი და შეუჩვეველი მეზობლები ვყოფილიყავით,

თითქოს არც ბაქსანთან და არც აქ, ხარახორასათვის, ერთმანეთის გასაჭლეტად არ გვეომოს.

დუმილით მოცული ეს დღეები ხშირად გვაფიქრებდა და როცა გამოქვაბულში თავმოყრილი მეთაურები ამ საკითხზე მსჯელობას გავმართავდით, აზრი ყოველთვის ბუნდოვანი და ამოუხსნელი რჩებოდა.

იქნებ ყაბარდო-ბალყარეთის მთების რთული რელიეფი იყო შეჩერების მიზეზი? იქნებ მაშველ ძალებს ელოდნენ და შეტევას მერე განაახლებდნენ? იქნებ ჩვენი ეშინოდათ და სიფრთხილის იმედით კვლავ მიტყუებით უნდოდათ ჩვენი ცოცხლად ხელში ჩაგდება?

ასე იყო თუ ისე, ხარახორას მთის ალებულ კალთაზე ჩვენი ათასეული მთელი ათი დღე ეწეოდა თავდაცვით ბრძოლას და არ აძლევდა მტერს საშუალებას თავის სამოქმედო ზოლში წინ წამოწეულიყო. ასევე იცავდნენ თავიანთ დაკავებულ პოზიციებს მეზობელი ნაწილებიც. ამ დროს ნალჩიკი უკვე აღებული იყო. მტერი ვლადიკავკაზისკენ მიიწევდა, იმ ადგილებისკენ, რომლებიც ხუთასკაციანი შემსვლები რაზმით ფეხით მქონდა გამოვლილი თვენახევრის წინ. ყაბარდო-ბალყარეთის მთებში მომწყვდეული ქართული დივიზიის მდგომარეობა თანდათან კრიტიკული და დაძაბული ხდებოდა.

6. უცნობი ვინაობის „მოღალატე“

ზემოთ ფურცლები ვახსენე. სინამდვილეში პროკლამაციები იყო. უფრო ზუსტად — მოწოდება იარაღის დაყრის და წინააღმდეგობის შეწყვეტის შესახებ. კაპიტანმა სერგო მჭედლიძემ დიდხანს ატრიალა ერთი ასეთი ფურცელი ჩემს თვალწინ და მერე მითხრა:

— აგვისტოში ბაქსანის გადალახვისათვის რომ ვემზადებოდით, მის ნაპირებთან განლაგებულ ჩვენს ნაწილებს მაშინ პირდაპირ რადიოთი გაღმიდან ასეთი შინაარსის მოწოდებებით ქართულად ყოველდღე მოგვმართავდა ის ურჯულო და მოღალატე ისა.

— ვინ, ამხანაგო კაპიტანო? — გაკვირვებით შევეკითხე.

— ის პადლეცი, ისა. — კვლავ ქარაგმულად და მძულვარებით განიმეორა კაპიტანმა და როცა კვლავ ვთხოვე ეამბნა დაწვრილებით, კაპიტანი ცოტათი მოლბა და საუბარი ასე განაგრძო:

— ჩვენ მაშინ საშუალოდ ვიყავით შეიარაღებული და დაკომ-

პლექტებული. დივიზიას პოლკოვნიკი სილაგაძე მეთაურობდა. არმიიდან ნაბრძანები იყო ბაქსანის გაღმა პლაცდარმი დაგვეკავებინა და სხვა ქვედანაყოფებთან ერთად განგვეგრძო შეტევა. შეუდექით მზადებას. აღმოჩნდა, რომ ჩვენი დივიზიის პირისპირ გაღმა იდგა ქართული ლეგიონი ვინმე პოლკოვნიკ მაღლაკელიძის მეთაურობით. ეს ლეგიონი ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ გერმანელთა არმიაში შედიოდა და შედგებოდა ტყვედ ჩაგდებული ქართველებისგან. ქართველები ქართველების წინააღმდეგ — ეს იყო ჰიტლერის მზაკვრული გეგმა, ხოლო მისი განხორციელებისათვის მაღლაკელიძე[1] რადიოთი გვიწევდა აგიტაციას. მისი გვარი აქ გავიგეთ პირველად. ბიჭები კბილებს ილესავდნენ, ვინ აჩის ეგ ოხერი და გადამთიელი გადაბირებას რომ გვიპირებსო. მაგრამ ჩვენი ხმა, აბა, მას საიდან მიწვდებოდა! გაღმა მტრის არც მოძრაობა ჩანდა, არც რაიმე ნიშანი, მხოლოდ რადიოდან გვესმოდა შორეული ხმა. ჩვენი დაზვერვის არასწორი ცნობების შედეგად გადაწყვეტილება ბაქსანის გადალახვის შესახებ დამღუპველი გამოდგა.

განთიადისას დივიზიამ ქვედანაყოფების მიხედვით დაიწყო მდინარეზე გადასვლა. მოასწრო ერთმა ასეულმა, შევიდა თიების ზოლში, მეორე ამოვიდა ნაპირიდან, გაშლას აპირებდა, სხვები წყალზე ნავტიკებით გადასელას ლამობდნენ, დანარჩენი კი რიგს ელოდებოდა. ამ დროს მოულოდნელად თიების ზვინები შეიძრა, სამთო ტანკები გამობობღდნენ იქიდან, ალყა შემოარტყეს გადასულ ნაწილებს,

---

[1] შ. მაღლაკელიძე 1947 წელს, როცა ომისგან დანგრეულ გერმანიაში ორი დამოუკიდებელი, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობის სახელმწიფოებრივი სისტემის ნასახიც არ ჩანდა (ორმოცდასამი წლის შემდეგ კელავ რომ გაერთიანდა), საოცარი ოსტატობით „მოუტაცნიათ" ერთ-ერთ გადარჩენილ სასტუმროდან, სადაც ცოლშვილთან ერთად ცხოვრობდა თურმე. „დილის ათი საათი იქნებოდა, სასტუმროს მსახურმა მაცნობა: პარიზიდან ჩამოსული თქვენი ორი მეგობარი ქუჩაზე მანქანით გელოდებათ, ნახვა გვინდაო. მათი გვარები ზუსტად ემთხვეოდა ჩემი დიდი ხნის უნახავი პარიზელი მეგობრების გვარებს და მეც დაუყოვნებლივ პიჟამოთი სახარულით გავედი მათთან შესახვედრად და მოსაპატიჟებლად. მანქანას მიეუახლოვდი თუარა, უცებ თავზე ტომარას მსგავსი სქელი შავი ტილო ჩამომაცვეს და სწრაფად მანქანაში შემაგდეს. თვითმფრინავით ჯერ მოსკოვში ჩამომიყვანეს, შემმოსეს ახალი ტანსაცმლით, ამიხსნეს მოტაცების მიზეზი და შემდეგ პირდაპირ თბილისში ამოვყავი თავი. რა ტექსტი დაიბეჭდა, არ ვიცი, ამ თემაზე ჩემთან არავის უსაუბრია". შ. მაღლაკელიძის ნაამბობიდან, რომლის შესახებ ქვემოთ.

მერე მოადგნენ ბაქსანს და ტყვიამფრქვეველებით ცეცხლი დაუშინეს მდინარეში ჩასულ მებრძოლებს.

ბაქსანის ტალღები დივიზიის მებრძოლთა სისხლით მოირწყო. აქ დაიღუპა ასობით ჯარისკაცი და მეთაური. მას შემდეგ ვართ აქეთ, მთებში შემოხიზნულნი. და, აი, ხომ ხედავ, რადიოს ნაცვლად ახლა პროკლამაციებით გვიმასპინძლდებიან. კბილით დავგლეჯდი, რომ სადმე შემხვედროდა.

— აქაც იმ მაღლობზე მაღლაკელიძის ლეგიონია? — ვკითხე მე განრისხებულ ბატალიონის მეთაურს.

— აქ არა, ამ მთებში ვერ შემობედავდა. იცის, ეტყობა, თავისი საქმე. მაგრამ სანამდე დაგვემალება ხელში ჩაგდების შიშით.

კაპიტნის ნაამბობმა ზიზღით და მძულვარებით განმაწყო ყველა მოღალატისადმი. მათ შორის პირველ რიგში პოლკოვნიკ მაღლაკელიძისადმი, რომლის ვინაობა მაშინ ჩვენს ათასეულში არავინ იცოდა. ისე როგორც არავინ იცოდა ხარახორას მთაზე ერთმანეთის პირისპირ ორი მოსისხლე ბანაკის მდუმარედ დგომის საიდუმლოება. წინ გავუსწრებ მოვლენებს და ბარემ აქვე გიამბობთ, თითქოს დაუჯერებელს, მაგრამ ნამდვილ ამბავს ამ ბურუსით მოცულ საიდუმლოებაზე.

ომის შემდგომ, 1947 წელს, მხოლოდ გაზეთ „ზარია ვოსტოკა-ში“ გამოქვეყნდა სენსაციური მოკლე ინფორმაცია, იგი იტყობინებოდა: მაღლაკელიძე დაკავებული და ჩამოყვანილია საქართველოში სამშობლოს ღალატისათვის პასუხისგებაში მიცემის მიზნით. 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის ყველა ყოფილი მებრძოლი და მეთაური, ვინც ეს ინფორმაცია წაიკითხა, გაფაციცებით ელოდა ცნობას პოლკოვნიკის სიკვდილით დასჯის თაობაზე. მაგრამ ასეთი ცნობა საერთოდ არ გამოქვეყნებულა. ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარი, შინაგანად შეუთავსებელი და ამაღელვებელი იყო.

გავიდა ხანი და უკვე ორმოცდაათიან წლებში გავრცელდა ხმა თბილისში მაღლაკელიძის საცხოვრებლად დამკვიდრების, მასთან პოლონეთიდან მეუღლის ჩამოყვანის, ორივესათვის პროფესიული განათლების მიხედვით — ქმრისთვის იურისპრუდენციაში, ცოლისთვის — საექიმო დარგში სამსახურის მიცემის შესახებ. ამბობდნენ მაღლაკელიძის ელეგანტურობაზე, უცნაურობებზე. ყველაფერი ეს მაოცებდა და მაკვირვებდა. არ დავმალავ: ზიზღს და სიძულვილს ერთიორად მიორკეცებდა.

და, აი, 1972 წელს, სრულიად მოულოდნელად, გამომცემლობა „მერანში" პირადად შევხვდი სწორედ იმ უცნობი ვინაობის „მოღალატე" ყოფილ პოლკოვნიკს, რომლის სახრჩობელაზე ჩამოკიდება ჩვენ ხარახორას მთაზე გადავწყვიტეთ კაპიტან მჭედლიძესთან ერთად.

საოცარია ადამიანის ბედი!

1921 წელს თბილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი, ახალგაზრდა შალვა მაღლაკელიძე მენშევიკურ მთავრობასთან ერთად საზღვარგარეთ გაიხიზნა. 1942 წელს კავკასიას მოადგა ქართული ლეგიონის მეთაურად, საქართველოს ამაოხრებლად და გასანადგურებლად, ფაშისტური გერმანიის ლაქიად.

და მე ასეთი ბინძური ბიოგრაფიის ადამიანს ეხვდები აგერ, ქართველი მწერლების სათაყვანებელ გამომცემლობაში!

ოთახში მაღალი აღნაგობის, წარმოსადეგი, ხმელ-ხმელი, ხანში შესული უცნობი კაცი შემოვიდა და შინაურულად სკამზე დაჯდა. მწერალთა გამომცემლობაში, ჩვეულებრივ, მწერლები დადიან, თითქმის ყველას ვიცნობ, ეს კაცი არასოდეს მინახავს, ნეტავ ვინ არის? — გამიელვა ფიქრმა. იმ წელს გამომცემლობაში ჩემი „ლიტერატურული წერილები" გამოდიოდა და მე წიგნის რედაქტორის ერემია ქარელიშვილის სანახავად ვიყავი მისული. ერემიას ცოტა დააგვიანდებაო, მითხრა მხატვრული ლიტერატურის განყოფილების მდივანმა გოგონამ. მე უცნობზე ვკითხე ჩუმად.

— გამომცემლობების იურისკონსულტი გახლავთ, მაღლაკელიძე. — მითხრა მან ჩუმადვე. ეს ნამდვილად ის მაღლაკელიძეა, ახლა კი დადგა ჟამი ანგარიშის გასწორების მეთქი. — ჩავულაპარაკე გოგონას და ვთხოვე ცოტა ხნით გარეთ გასულიყო და არავინ შემოეშვა. ოთახში ორნი დავრჩით — მე და ის... მოვიკრიბე ძალა და პირველმა მივმართე უცნობს.

— თქვენ ის პოლკოვნიკი ბრძანდებით, 1942 წელს ყაბარდო-ბალყარეთში მდინარე ბაქსანთან ქართულ დივიზიას რომ ებრძოდით?

— დიახ. — მიპასუხა არც ისე მორიდებით, ამაყად და რიხითაც კი.

— მერედა, ვინ მოგცათ უფლება თავისუფლად ყლაპავდეთ ჩვენს სუფთა ჰაერს და თავისუფლადვე დასეირნობდეთ ჩვენს დედა-

ქალაქში? — გაილიმა ჩემს სიტყვებზე და დამცინავად ენაც კი შემომიბრუნა.

— იმ საცოდავ დივიზიაში იყავით მაშინ, ყმაწვილო? — მკითხა აგდებულად.

— რატომ საცოდავში?

— აბა, რა გქონდათ შეიარაღება. ძველებური ვინტოვკები და ძველებური ტყვიამფრქვევები.

— თქვენ, თქვენ რა გქონდათ?

— ჰმ...

— იმიტომაც გაიმარჯვეთ.

— ჰმ...

— როგორ დადიხართ ცოცხალი. აკი ინფორმაცია იყო თქვენი პასუხისგებაში მიცემის და დასჯის შესახებ?

— ყმაწვილო, რაკი იმ დივიზიაში გიმსახურია, მე რომ რადიოთი გელაპარაკებოდით, გეტყვით ყველაფერს და ჩემი დაუსჯელობის მიზეზსაც მაშინ გაიგებთ.

და მიამბო მოკლედ, მისახვედრად, მისაწვდომად.

— მართალია, მაშინ იქით იყავით, მთებში, მაგრამ გაგიგიათ თუ არა, რომ 1942 წლის აგვისტოში თბილისში სამადსამი ყუმბარა ჩამოვარდა: ვაკეში — დაუსახლებელ ადგილზე, ვარაზის ხევში და ერთიც ქალაქის განაპირას? ზესტაფონშიც არა ფეროშენადნობის ქარხნის ტერიტორიაზე, უკაცრიელ მიდამოში?

— გამიგია. — ვუპასუხე მე.

— რა შორს ვიყავით, არ შეგვეძლო თვითმფრინავების მასობრივი ბომბარდირებით გადაგვებუგა თბილისი და მთელი საქართველო?

— შეგეძლოთ, მაგრამ ვერ გაბედეთ.

— გაბედვა რა შუაშია, უბრალოდ აგაცდინეთ უბედურებას.

— თქვენ?!

— ისიც კარგად გაიხსენეთ, ბალყარეთის მთებში რომ იყავით შემწყვდეული და ფეხდაფეხ არ მოგდევდით, მთელი ათი დღე თოკივით გაჭიმული იალბუზზე გადადიოდით და არც ერთი თვითმფრინავი თქვენს ცაზე არ გამოჩენილა.

— ესეც თქვენი წყალობა იყო?

— ...პლიუს თქვენი შეუპოვრობა, ერთიანობა, გმირული თავდადება სამშობლოს დასაცავად.

— გამოდის, თქვენ წვლილიც მიგიძღვით...

— ეს წელილი რომ არ ყოფილიყო, ყმაწვილო, ვინ მაპატიებდა დანაშაულს? დანაშაულს კი ჩავდიოდი ნდობის მოსაპოვებლად. ამის გარეშე გერმანული სარდლობის მაღალ ჩინს ვინ მომანიჭებდა. მოჩვენებითი ერთგულების დამსახურებით გავხდი ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ჰიტლერული მე-17 სატანკო არმიის სარდლის ფონ კლეისტის კონსულტანტი და არც ერთი საომარი მოქმედება ჩემი რჩევის გარეშე მას არ ჩაუტარებია. ვარწმუნებდი საქართველოს ზღაპრულ სილამაზეში და, თუ ატყობდით, ნელა ემოძრაობდით აქეთკენ. იმ დროს მივადექით ძაუჯიკაუს (ელადიკავკაზს), როცა სტალინგრადის დიდი სტრატეგიული ოპერაცია უკვე დაწყებული იყო. და მაშინვე უკან დავიხიეთ, სწრაფად გავიარეთ გზა არმავირამდე. მერე ისე გავცილდით როსტოვს, არსად წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია.

— როსტოვთან ხომ შეიძლებოდა გზის გადაჭრა და მთელი თქვენი არმიის ტყვედ ჩაგდება?

— შეიძლებოდა, მაგრამ ასე იყო საჭირო... მერე რაც მოხდა, იცით. ერთი სიტყვით...

რაღაც სიმართლის ნიშნები იგრძნობოდა ამ სიტყვებში. განწყობილება შემეცვალა, კინაღამ ხელის ჩამორთმევაც კი დავაპირე, მაგრამ თავი შევიკავე. დავდუმდი და გავირინდე.

ჩემს პირდაპირ მოღალატე მაღლაკელიძე კი არ იჯდა, არამედ, თითქოსდა, ქართველ შტირლიცად — ორი ბატონის მსახურად მოვლენილი სულ სხვა მაღლაკელიძე.

მართლაცდა, საოცარია ადამიანის ბედი!

7. შეხვედრა მკვდართან

30 ოქტომბერს, დივიზიის შტაბის ბრძანებით, შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების დამკვრელი ჯგუფი, რომელსაც ბალყარელი მეგზურის დახმარებით ერთი დღის განმავლობაში უნდა დაეფარა მანძილი ზაიუკოვოდან ჩეგემამდე, დაეკავებინა აქ პლაცდარმი და მოემზადებინა ნიადაგი მაშველი ძალების მიღებისათვის. ვიწრო ბილიკებით უნდა გვევლო, მთიდან მთაზე უნდა გადავსულიყავით. ვისწრაფოდით. რაზმში სხვადასხვა ქვედანაყოფიდან იყვნენ შერჩეული საუკეთესო მებრძოლები და მეთაურები. ერთმანეთს არ ვიც-

ნობდით. მეტწილად ვდუმდით და ისე მივყვებოდით მეგზურს. მაგრამ, აი, დაღამებისას მივადექით მდინარე ჩეგემზე გადასახედ კლდოვან ადგილს, სადაც ბედად მეცხოველეობის ფერმის მიტოვებული კარავი იდგა. ღამე აქ უნდა გაგვეთია. მოვკალათდით, მოვეწყვეთ, ვივახშმეთ და ამასობაში გამოვეცნაურეთ კიდეც ერთმანეთს[1].

განთიადისას გადავლახეთ მდინარე ჩეგემი და სოფელში შევედით. აღმოჩნდა, რომ მტრის შემოჭრილი რაზმი იქ ადრე ჩასულ მეზობელ შენაერთებს წინა ღიით განედევნათ სოფლიდან. მაშველი ძალები იმ დღეს შემოგვიერთდნენ. ლეგიონის მეთაურის გ. ნადირაძის ბრძანებით ჩემს ასეულს დაეკალა სამხრეთიდან ქვემო ჩეგემში შემოსასვლელი გზის და ყველაზე სახიფათო იმ ხიდის დაცვა, რომლის აფეთქება უკან დახევისას გერმანელებს ვერ მოესწროთ. 1 ნოემბერს, საღამოს 6 საათისათვის, პოლიტხელ ა. ხელაძესთან ერთად ასეული განვალაგე დანიშნულების ადგილზე. იგი ტყის ზოლს უერთდებოდა. ხიდის გაღმა ნალჩიკიდან მომავალი ვიწრო გზა ჩანდა. მტერს აქედან შეეძლო დაბრუნება. 5 მებრძოლი გადავიყვანე ხიდის გაღმა და ამაღლებულ ბორცვზე მოვათავსე, საიდანაც გზის დაზვერვა ადვილი იყო. იმ ღამეს და მეორე დღეს მტრის განმეორებითი შემოჭრის ცდები წარმატებით მოვიგერიეთ. მშვიდად ჩაიარა იმ მეორე ღამემაც. მესამე ღამე დადგა.

მყუდროებას მხოლოდ მდინარე ჩეგემის შხუილი და ტყის ტოტების ტკაცუნი არღვევდა. ფხიზლად დარაჯობდნენ სათვალთვალო პუნქტებზე გამოყოფილი გუშაგები. შუაღამე გადაცილებული იყო, როცა მოულოდნელად საშინელი სროლა ატყდა. აშკარად იგრძნობოდა, გაღმიდან აქეთ, ჩვენსკენ ისროდნენ, რადგან ჩვენი სანგრების წინ, ქვის ლოდებს მოხვედრილი ტყვიის ანასხლეტი ისე ანათებდა, როგორც ციცინათელა.

რა მოხდა? საიდან დაგვესხა მტერი? ვინ ვის ესვრის? — ეს კითხვები უმალ გაგვიჩნდა, მაგრამ ძნელი იყო გარკვევა. რა არ ხდება, რას არ წააწყდები, რას არ გადაეყრები ომის გზებზე! სანგრიდან სანგარში სასწრაფოდ მეკაეშირეთა დაგზავნით მალე ნათელი გახდა,

---

[1] აქ შევხედი, მაგალითად, ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს, კომპოზიტორ ნიკოლოზ გუდიაშვილს, რომელსაც ამას წინათ საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. მაშინ... ბალყარეთის მთებიდან მთებზე ჩვენთან ერთად თითქოს არწიეის ფრთებით „დაფრინავდა“.

რომ რაღაც გაუგებრობაა მიზეზი. თავდასხმის არავითარი ნიშანი არ იგრძნობოდა. ასე მოგვადგა განთიადი. ზემდეგმა მებრძოლი მანაშერაშვილი მომიყვანა და მითხრა:

— ამხანაგო მეთაურო! აი, ეს ყოფილა წუხანდელი ჩვენი „ოძის“ წამომწყები, რას მიბრძანებთ?

მანაშერაშვილი თბილისელი იყო. ხელობით მექუდე, საშუალო ტანის, არც ისე გულადი, მაგრამ მართალი კაცი.

— მანაშერაშვილო, გისმენ, — ვუთხარი მტკიცედ და გულმოსულად. იგი შეკრთა. თითქოს მოიბუზა. ემჩნეოდა, თვითონ განეცადა თავისი შეცდომა, მაგრამ ახლაც გაურკვეველი იყო, მართლა შეცდა, მართლა მოელანდა, თუ ნამდვილად ნახა მისკენ იარაღმომართული, ბუჩქებში ჩამალული მტერი. საქმე კი ასე ყოფილა. შუაღამისას პირად საქმეზე სანგრიდან ამოსულ მანაშერაშვილს მოჩვენებია, რომ მტერი ესვრის. გამოქცეულა, სანგარში ჩამხტარა და უთქვამს: დაგვეხსნენო, დაიწყო სროლა.

— რა მოგეჩვენა, — ვუთხარი მე გაღიმებით.

— მტერი, უფროსო! — მიპასუხა მანაშერაშვილმა.

— როგორ დაინახე?

— მთვარის შუქზე ხელები გამოშვერილი ჰქონდა, თოფს მიმიზნებდა.

— მერე, სად დაიკარგა?

— არ ვიცი, უფროსო.

— აბა, მაჩვენე, სად იყო.

მანაშერაშვილი წინ გაგვიძღვა. უკვე თენდებოდა. საგნების დანახვა და გარჩევა გარკვევით შეიძლებოდა. ყოველნაირი დაჭრილი და მკვდარი მინახავს, მაგრამ, ო, დღემდე მახსოვს იმ მკვდართან შეხვედრის საშინელი სურათი.

ბუჩქებს შორის იწვა ჩვენი ცხენოსანი ნაწილის მებრძოლი ჯარისკაცი. პირქვე დამხობილი, მაზარით და ჩექმებით. მარჯვენა ხელი მართლაც ბუჩქის გადატეხილ ტოტზე ჰქონდა დაყრდნობილი ისე, რომ ტოტი თვითონ ჰქმნიდა მომარჯვებული თოფის შთაბეჭდილებას. თავი მეორე ტოტზე ჩამოედო და თავაწეული ჩანდა. ჭიანჭველები დასეოდა. ერთი კვირის მკვდარს ჰგავდა. ჩეგემისათვის წარმოებულ ბრძოლაში დაღუპულიყო და აქ ჩარჩენოდათ. მიწას მივაბარეთ. დოკუმენტები შტაბში გავგზავნეთ. მანაშერაშვილს მადლო-

ბა გამოეუცხადე დასჯის ნაცვლად. კიდევ ერთი დღე და ღამე დავრჩით იქ.

4 ნოემბერს ლეგიონი დაიძრა ჩეგემიდან. გეზი იალბუზისკენ ავიღეთ. გზადაგზა მივდენიდით უპატრონოდ მიტოვებულ პირუტყვს, ისე, რომ არ ვიცოდით, ვისთვის ან რისთვის იყო ეს საჭირო.

8. ლაშქრობა მრისხანე გადასასვლელის გადასალახავად[1]

იალბუზის მთის ძირას ალპინისტთა ერთადერთი სახლი იდგა. მას გარშემო ნაძვების ტყე ეკრა, ტყეს — მცირე ველი. მთელ დივიზიას მოეყარა აქ თავი. უამრავი პირუტყვიც მოგროვილიყო — ცხენი, მსხვილფეხა საქონელი, სახედარი, ცხვარი. ქვედანაყოფებს თავიანთი „უბნები" ჰქონდათ მიჩენილი. საველე სამზარეულოები „ამოქმედნენ". ცხელი კერძები მზადდებოდა. სამი თვის დაუბანელები ვიყავით, მაგრამ ამაზე ფიქრის დროც არ იყო. პოლიტმუშაკები და აგიტატორები საუბრებს ატარებდნენ. მთავარი თემა ოქტომბრის რევოლუციის 25-ე წლისთავის აღნიშვნა იყო. ჩვენ მას ასეთ უჩვეულო ვითარებაში ვხვდებოდით. რადიოს საშუალებით დივიზიის პოლიტგანყოფილებას უკვე მიღებული ჰქონდა ინფორმაცია მოსკოვში საზეიმო სხდომაზე 6 ნოემბერს უმაღლესი მთავარსარდლის მოხსენებისა და 7 ნოემბრის პარადზე მისი გამოსვლის შესახებ. — ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული! რწმენის და იმედის შთამბერავი ეს სიტყვები ქვედანაყოფიდან ქვედანაყოფში სწრაფად ვრცელდებოდა და ახალი საბრძოლო ენთუზიაზმით აღანთებდა მებრძოლებს.

მათ უკვე მიეღოთ დივიზიის გაზეთის — „წინ გამარჯვებისაკენ" ახალი, საშვიდნოემბრო ნომერი და იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. რედაქციის მუშაკებს მოესწროთ უკანასკნელი საბრძოლო ოპერაციის შესახებ ოპერატიული მასალების შეგროვება და დაბეჭდვა. კაპიტან გ. კვანტალიანის წერილში სათაურით „ერთი ბრძოლის გამოცდილება" ნათქვამი იყო: „ქვემო ჩეგემის განთავისუფლები-

[1] სათაურით „მრისხანე გადასასვლელი" ჩვენი კორესპონდენცია-ნარკვევი პირველად გამოქვეყნდა ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული ქართული გაზეთის „მებრძოლის" 1943 წლის 24 იანვრის ნომერში, რაც საფუძვლად დაედო ამ გავრცობილ ვარიანტს.

სათვის ბრძოლაში ლეიტენანტ აკაკი თოფურიას ასეულმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა“ (საგანგებოდ აქვს დივიზიის ამ გაზეთის, 1942 წლის 7 ნოემბრის ნომერი აღწერილი საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, პეტრე შამათავას ჟურნალ „დროშის“ ბიბლიოთეკით 1987 წელს გამოცემულ მეოთხე წიგნში, გვ. 101—103).

10 ნოემბრის დილას ათასეულის მეთაურმა შეგვკრიბა ასეულის მეთაურები და ახალი ამოცანა გაგვაცნო. 790-ე ლეგიონი პირველი იყო დივიზიაში და ამიტომ პირველს უნდა დაეწყო ლაშქრობა.

ლეგენდარული ლაშქრობა დონღუზ-ორუნბაშის მრისხანე გადასასელის გადასალახავად.

სხვა გზა არ იყო.

უკან დასახევი მოჭრილი გვქონდა.

წინ იალბუზის მთა იდგა.

იგი მარადიული, გაუვალი თოვლით იყო დაფარული.

თან თოვდა, ბარდნიდა, ბურუსი იყო ჩამოწოლილი.

ომამდე დონღუზ-ორუნბაშის მწვერვალი სრულიად უცნობი და მიუვალი ყოფილა ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. გაბედულ ალპინისტებს დაედგათ ფეხი და განეზრახათ კიდეც ტრასა გაეკაფათ, მაგრამ ამ დროს ომიც დაწყებულა. უმაღლესი მთავარსარდლობის განსაკუთრებული მითითებით ქართული დივიზიის დროშისა და პირადი შემადგენლობის გადარჩენის ერთადერთი გზა მხოლოდ დონღუზ-ორუნბაშის დალაშქვრა იყო. სხვა უღელტეხილები — ბეჩოს, ხოტიუ-ტაუს, ტვიბერის გერმანელთა მიერ იყო დაკავებული. მესტიაში მცირე დესანტიც გადაესხათ.

ჩვენ ალპინისტები არ ვიყავით. არც არავითარი ალპინისტური დამხმარე ხელსაწყო გვქონდა. მწვერვალზე ასავალი თოვლით დაფარული ბილიკი ჯერ მცირე ხევს, ხოლო შემდეგ თანდათან ჩაღრმავებულ, გაზრდილ და გაფართოებულ საშიშ უფსკრულს მისდევდა. ლაშქრობის დაწყებამდე იალბუზის მთის ძირას ჩაიმარხა დივიზიის მძიმე არტილერია, მძიმე საომარი ტარაღი, სხვა ისეთი სატრანსპორტო საშუალება და მოწყობილობა, რომლის გადატანა შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ უნდა აგვეზიდა საკუთარი აღჭურვილობა. (აირწინაღი, ზურგჩანთაში ჩაწყობილი დღეღამის საგზალი), მოლიბდენის ძვირფასი სამხედრო მასალა, გადაგვეყვანა დაჭრილები.

და, აი, დილის ათ საათზე შევუდექით ამოცანის შესრულებას — აღმართზე ასვლას. საკვირველი იყო, წინამძღოლად ამ შემთხვევაში

ჩვენ მიერ მოდენილი პირუტყვი „დაენიშნათ“. ურიცხვი და თან ნარევი ჯოგი ახლა საოცრად მოწესრიგებულ, მოთვინიერებულ და თითქოს გაწვრთნილ სამხედრო ერთეულს წარმოადგენდა. ყოველგვარი ჰირველობის და წინააღმდეგობის გარეშე ჯერ ცხენები დრუნჩების მწარე ცქმუტუნით და კვნეტით თითოთითოდ, მკერდამდე თოვლში ჩაფლულნი, გეშით უფსკრულის კიდეს აყვნენ, კვალი გაავლეს, მათ მიყვა ხარ-ძროხა, ცხვარი და სახედართა კოლონა, რომელთაც ზურგზე ეკიდათ დაზგის ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების და მსუბუქი ქვემეხების დაშლილი ნაწილები.

ასე გაიტკეპნა ღრმა თოვლში ვიწრო საცალფეხო გზა, რომელსაც ჩვენ დაუადექით. ასაქცევი არსად იყო. რიგ-რიგად ჩამწკრიეებული მებრძოლები და მეთაურები, თავიანთი იარაღით ხელში ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით შეუდგნენ მთის დახვეულ კალთებსა და ციცაბო აღმართებზე დაკლაკნილ ბილიკს. მივდიოდით თავდახრილნი, უხმაუროდ, ზევით და ზევით. შესვენება მხოლოდ მაშინ გვიხდებოდა, როცა ყველაზე წინ მიმავალი ცხენი შეჩერდებოდა. დაიწყებდა ის ფრუტუნით და ხვიხვინით მოძრაობას, უმალ მთელი შენაერთიც ამოძრავდებოდა.

დღის მეორე ნახევარში თოვა შეწყდა, ღრუბლები გაიფანტა, მზე გამოჩნდა. უკან რომ მოვიხედე, ერთ მწკრივად დაკლაკნილი ხაზი რაღაც უშველებელ რიგს წარმოადგენდა, რომლის ბოლო საერთოდ არ ჩანდა. რამდენადაც მაღლა-მაღლა მივიწევდით, იმდენად ბოლო სულ უფრო და უფრო უსასრულო ხდებოდა და მწკრივი თოკივით იჭიმებოდა. საკმარისი იყო ერთი თვითმფრინავიის გამოჩენა და ერთ ხაზზე გადაჭროლვით ყველას დაგვცხრილავდა, მაგრამ ბედად ავცდით უბედურებას.

ზეზეულად ორცხობილებით „სადილობისას“ სახედრებმა ერთბაშად გამაყრუებელი ყროყინი მორთეს. ამ დროს თვალუწვდენი კავკასიონის თეთრად მოქათქათე ქედის ცქერით მოხიბლული, ფიქრებში „განდეგილიდან“ დიდი ილიას სტრიქონებს ვიგონებდი, ვადარებდი თვალწინ გადაშლილ ზღაპრულ სანახაობას და გულში ვამბობდი: „მართლაც ისეთ მთაზე ავდივართ, რომლის მწვერვალებსაც „ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან, სად წეიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან, სად უდაბურსა მის მყუდროებას კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია, სად მეუფება ჰქა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია“.

„ილია ჭავჭავაძეს ოდესღაც, ალბათ, ფეხი დაუდგამს აქ, — განვაგრძნობდი ფიქრებს, — ოდესღაც თვითონ უხილავს, უგერძნია და განუცდია ადამიანთა მოდგმის ერიამულისგან გაწმენდილი მუუდროების ეს უდაბურება, ქართა, ჰექა-ქუხილთა და ყინულთა ეს მეუფება, თორემ“... სახედრების ყროყინმა ფიქრებიდან გამომიყვანა.

— რა ბზიკი შეუჩნდათ ამ ოხრებს. ყურთა სმენა არ წაიღეს? — გაბრაზებით ჩაილაპარაკა ჩემს გვერდით მდგომმა მეექვსე ასეულის მეთაურმა ალექსანდრე ფანქველაშვილმა.

— მოშივდათ, ალბათ. ისე კი, მართალი გითხრა, დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენს წინაშე. — გავეპასუხე ალექსანდრეს ისე, რომ თვალი თოვლიანი მთებისათვის არ მომიწყვეტია.

— დამსახურება მოგეცა. რაც მაგ საწყლებმა ტყეია-წამალი, იარაღი და სურსათი ზიდეს კლდიდან კლდეებზე და მთებიდან მთებზე, ნუ იტყვი, იყროყინონ ახლა რამდენიც უნდათ. — თქვა ზემდეგმა და ქაღალდის ნაგლეჯში გახვეული „მახორკა“ გააბოლა.

— კი, ჯილდოს ღირსნი არიან, მაგრამ შენ მაინც ხომ იცი, — მივმართე ზემდეგს, — ჩემი ფარაჯის ამბავი? ზემდეგს გაეცინა.

— ვიცი, ამხანაგო მეთაურო, ერთი კიდევ მოყევი, რომ ამათაც გაიგონ. — თქვა მან და თვალი ახლოს მდგომ მებრძოლებისკენ გაატყორცნა.

— ჩეგემის ხეობიდან თქვენს შესავსებად რომ მოვდიოდით, — დავიწყე მე, — უცებ სახედრების „ლეგიონს“ გადაეყარეთ. თითოეულს ორი ტომარა პურის ფქვილი ეკიდა ცალეულად ორივე გვერდზე. ბილიმის ახალ ბაზაში გადაჰქონდათ. ზემოჩეგემიდან უმოკლესი გზა ციცაბო კლდოვან აღმართებში უხვევდა. უნდა გენახათ, როგორი სიმკვირცხლით, სიბეჯითით და თითქოს „პატრიოტული მგზნებარებით“ ადიოდნენ ქვაღორღიან, დაკიდულ ბილიკებზე. სამი თუ ოთხი ბალყარელი მიუძღოდა მთელ კოლონას. ჩვენც მათ გავყევით. ავედით გორაკზე და ბუჩქნარებს შორის გაწოლილ ვიწრო მინდორს დავადექით. სექტემბრის მცხუნვარე დღე იყო. ცალკე აირწინაღი, ცალკე კისერსა და მკერდზე მხარიღლივ გადაკიდებული დაგრაგნილი ფარაჯა სიარულის დროს სულს მიხუთავდა. მოვიხსენი და ეგრე დაგრაგნილი ერთ სახედარს გადავკიდე ზურგზე. ტომრების თოკით დავამაგრე და გვერდით მიმავალ ბალყარელს ვანიშნე, თვალი გეჭიროს, არ ჩამოვარდეს-მეთქი.

გზაზე საუბრებით გართულს მიმავიწყდა ფარაჯა. ბილინში შეღამებისას შევედით. სახედრებმა გაგვასწრეს. ტვირთის საწყობში შეზიდეა დაემთავრებინათ. სიბნელეში ყველა სახედარი ტყუპისცალივით ერთმანეთს ჰგავდა. ზოგი ღობე-ყორესთან მიყრილ ბალახს შეექცეოდა, ზოგი წყალს სვამდა, ზოგიც ხის ძირას მიწოლილიყო და ისვენებდა. ერთ ბალყარელს ვეცი, მერე მეორეს, ვეკითხები, ფარაჯა რა უყავით მეთქი. სდუმან. ხელებს ასავსავებენ. სახედარი გვაჩვენე, რომელს აკიდეო. ბნელში, აბა, როგორ უნდა გამომერჩია, როცა რაიმე ნიშნის დამახსოვრება ადრე აზრადაც არ მომსვლია. შეშფოთებით მივმართე სახედრების კოლონის მეთაურს. მან ზრდილობიანად განმიმარტა:

— თქვენი ბრალია, ამხანაგო. სახედარს კვალდაკვალ უნდა გამოყოლოდი. მართალია, იგი ღონიერი და გონიერი არსებაა, მაგრამ იქამდე ჯერ არ განვითარებულა, თქვენი მიბარებული ფარაჯა ჩვენთვის გადმოებარებინა და ეთქვა: უცნობმა მგზავრმა დამიტოვა და გადაეცითო.

— ვიღაც თქვენმა ხელქვეითმა ხომ ჩამოხსნა ტვირთი, ხომ ნახავდა, შენახული ექნებათ, ან სამაგიერო მომეცით, — ვუთხარი კოლონის უფროსს მტკიცე ხმით. მან უკმეხად შემომხედა და ასეთი როყიო სიტყვებით მომიშორა:

— სახედარი უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ვიდრე თქვენი ფარაჯა. და, საერთოდ, უნდა იცოდეთ საკუთარი ნივთის მოვლა.

— მერე რა ჰქენი? — ინტერესით შემეკითხა ალექსანდრე.

— ხაკის ბლუზით მოვიდა ჩვენს ასეულში. ძლივს ვიშოვნე. — სიცილით უპასუხა ჩემ მაგივრად ზემდეგმა მეექვსე ასეულის მეთაურს.

ამ საუბარში სახედრებს უკვე შეეწყვიტათ ყროყინი და გზის განგრძობის ჩვენი ჯერიც მოსულიყო.

აჰა, უკანასკნელი ასასვლელი!

შეღამდა. მიდამოს ხან მრუმე, ხან მეწამული ფერი გადაეკრა. ყინული უფრო მკვრივი, მოლიპული გახდა. ფეხი სრიალებს, მეწინავემ მძიმედ ამოისუნთქა, მაღლა აიხედა და შეისვენა. სადღაც ქვევით უკანასკნელმა ჯარისკაცმაც მიადგა ფეხი. შესაზარად გამოიყურება ზევიდან უზარმაზარი კლდოვანი ქვა. იგი თითქოს გულმოსუ-

ლიაო, პირქუშად დაგვცქერის, თითქოს სადაცაა მოწყდება ფერდობს, გამოქანდება ჩვენსკენ და გრიალ-გრიალით ჩაგვიყოლიებს საზარელ უფსკრულში.

— ავალთ? — ეჭვით გაიელვა გრძლად და მრუდე ხაზად ჩაწკრიებული მებრძოლების გულში ამ კითხვამ.

— ავალთ! — იმედის ძახილად გაისმა ყურთან — ავალთ, წინ, ამხანაგებო! — ეს ათასეულის მეთაურის მხედრულმა ძახილმა ჩაუქროლა თითოეულ მებრძოლს, ჩაუქროლა და აღაგზნო. თითქოს შეტევისკენ მოუწოდებდა სამშობლოსათვის ბრძოლაში დავაუკაცებული კაპიტანი თავის მებრძოლებს, საქართველოს გულფიცხ შვილებს.

საქართველო!

გეესმის შენი მშფოთვარე გულისძგერა, ამბოხებული სულის ტკივილი! არც ისე შორს ხარ, აგერ, იალბუზის გადაღმა გაქვს მოდებული ყური და ჩვენი მოძრაობის ყოველი ჩქამიც, ალბათ, გესმის.

კავკასიონის მთაგრეხილები გვთიშავს და იგივე კავკასიონი გეფარება ჯავშნიან მკერდად, აუღებელ სიმაგრედ. ყაბარდო-ბალყარეთის მიწის ყოველ მტკაველს ვიცავდით შენი წმინდა სახელით, შენი უკვდავებისათვის. ახლა ეტოვებთ მას მხოლოდ იმიტომ, რომ სული მოვითქვათ, ძალა მოვიკრიბოთ. მოვდივართ და თან მოგვაქვს იმედი და რწმენა, შურისგების და სამაგიეროს გადახდის გაუტეხელი ენინი. უკან ვიხევთ არა ლაჩრული სიმხდალით, არამედ ახალი შეტევის მგზნებარე წადილით. — თითქოს ასეთი ფიქრებით ეჩურჩულებოდა კაპიტანთან ერთად ყოველი მებრძოლი იმ წამებში მშობლიურ კუთხეს, საქართველოს მზეს და მთვარეს.

— გადაიწიეთ მარჯვნივ, გადაიწიეთ მარჯვნივ! — გაისმა უცებ მოწოდების მჭუხარე ხმა. იგი სწორედ იმ კლდოვანი ქვის ძირიდან მოდიოდა. გოლიათური აღნაგობის, ქამარშემორტყმულ გრძელ ქურქში და ყურებიან ბეწვის ქუდში გახვეული ორი ალპინისტი იდგა ქვის ძირთან და ხელების ქნევით გადაწევის მიმართულებას გვიჩვენებდა. ტვირთაკიდებული სახედრებიც ჩვენთან ერთად გზის მარჯვენა კიდეზე ჩამწკრივდნენ.

ამ დროს უეცრივ ჩვენს თვალწინ საშინელი სანახაობა დატრიალდა: ცხენებს, ძროხებს და ცხვრებს აღმართზე ასვლისას ყინულზე ფეხები დაუსრიალდათ, მოწყდნენ გზის მარცხენა კიდეს, გადაკოტრიალდნენ და, ერთმანეთში არეულნი, განწირულნი, გულის ამაჩუ-

ყებელი ბლავილით და ჰიხვინით გადაცვიედნენ ქარაფებიდან ძირს, თვალუწვდენი უფსკრულისაკენ.

საბრალონი!

პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი.

გზა გაგვიკაფეს და აქამდე ამოგვიყვანეს. მწვერვალზე მათი არც ასვლა და არც აზიდვა არ შეიძლებოდა. ამიტომ უნდა ჩაჩეხილიყვნენ და ჩაიჩეხნენ კიდეც ხეობის წყვდიადში. მერე და მერე, მომდევნო დღეებში, მოხერხდა ნაწილობრივ პირუტყვის გადარჩენა და გადარეკვა. ტვირთებჩამოხსნილ სახედრებს ისევ უკან აბრუნებდნენ ახალი რეისისათვის. ტრაგიკული საშინელების მოწმენი ჩვენ იმიტომ გავხდით, რომ მწვერვალზე ასვლის პირველი სიძნელის გადალახვა პირველებს გვიხდებოდა.

ო, რა მძიმეა იგი მოსაგონებლადაც კი.

უზარმაზარი კლდოვანი ქვის ძირთან მდგომი ორი გამოცდილი ალპინისტი რიგრიგად მათთან თავიანთი აღჭურვილობით მისულ მებრძოლს თუ მეთაურს მწვერვალიდან გადმოგდებულ მსხვილ თოკს მარყუჟით ლაჯებსა და იღლიებში სწრაფად შემოარტყამდა, შეკრავდა, აიდაო ეტყოდნენ, თოკზე ხელების ჩავლებით და სიპ ქვებზე ფეხების მიბჯენით უცებ მაღლა გეწეოდა ძლიერი ძალა და წამში სწორედ იმ 3200 მეტრის სიმაღლის დონღუზ-ორუნბაშის წვეტიან მწვერვალზე იდექი, სადაც საშინელი ქარბუქი მძვინვარებდა. აქ ლოდებს ამოფარებული სვანი ალპინისტები იწვნენ ჯგუფ-ჯგუფად და თოკებს ეზიდებოდნენ. ფეხზე მდგომნი სწრაფადვე შეხსნიდნენ თოკს, გადააგდებდნენ ძირს, კლდოვან ქვისკენ, ხოლო ამოყვანილებს კატეგორიული ტონით გასძახოდნენ: ჩადით, იარეთ, არსად გაჩერდეთ.

წუთით გავიხედე მწვერვალის ქედზე დაწოლილი ალპინისტებისკენ და უმალ შევნიშნე, დასადგომი იქ მართლაც არსად იყო. დაქანება და დალმართი იქვე იწყებოდა. წვეტი რაღაც ალესილ უზარმაზარ დაშნას გავდა. შეიძლებოდა მკერდით მიბჯენოდი, მაგრამ ფეხით დიდხანს ვერ დაადგებოდი. ქარბუქი ან წინ გადაგაგდებდა, საიდანაც ამოგვიყვანეს ან უკან, საითაც უნდა დაშვებულიყავით.

და დავეშვით კიდეც.

მაგრამ ასვლა უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ჩასვლა. დამრეცილ დალმართში თოვლი კისრამდე გვიწევდა. იგი გაკვალული იყო ალპინისტების მიერ საგანგებოდ ჩვენი შეუჩერებელი მგზავრობი-

სათვის. გზადაგზა სახელდახელოდ გაკეთებულ თოვლის სანგრებში ვისვენებდით და როგორც კი მოძრაობაში გახურებული ფეხი გაგვიციებდებოდა, განვაგრძობდით სიარულს. მთელი დღე და მთელი ღამე სიარულმა ისე მოგვღალა, მოგვთენთა და დაგვაუძლურა, ფეხებს ძლივს მივათრევდით, ძილი გვერეოდა. მაგრამ წინმავალს უკანმსვლელი აფხიზლებდა, კონდახს კრავდა, თოვლით ყურებს უსრესდა.

განთიადისას რომელიღაც ღელეს მივადექით. თხემლის დაბურდული ტოტები ღელის თავზე ერთმანეთს ისე გადახვეოდა, თითქოს გიწვევდა, გეძახდა, დამაწექი, დაგასვენებო. მცირე თოვლი ედო, ქვეშ გამდინარე წყალი მალე ისრუტავდა. წამძღია ცთუნებამ, ზედ გავიშხლართე ფარაჯიანად, ტოტზე თავგადებული უცებ ძილის ბურანში გაეხვიე. ხიშტის წვერით ამაგდო უკან წამოწეულმა. ბარბაცით გადავტოპე ღელე და მალე დავეწიე ნაწილს.

რამდენი იმსხვერპლა ამგვარმა ცთუნებამ, თოვლში ჩაწოლამ და გაყინვამ!

სვანეთის უკიდურესი ჩრდილოეთი სოფლის — ნაკრის მოსახლეობა დილით სიხარულით შეგვხვდა. ხოჩა ლადეე ლახვბა, ხოჩა ლადეე ლახვბა! (კარგი დღე, ძმებო) — გაიძახოდა მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ მახვშის კოშკის უძველესი ზარების უკანასკნელი დარაჯი. ყოველ ოჯახში დიდი, გუზგუზა ცეცხლი დაენთოთ ჩვენს გასათბობად, გრძელი მაგიდები დაედგათ მოხარშული ხორცით, კეცის მჟადებით და რახით გასამასპინძლებლად, ფიცრის თივაგადაკრული ლოგინები მოემზადებინათ დასასვენებლად და დასაძინებლად.

მართლაც, დიდხანს, თითქმის მთელი დღე და ღამე გვეძინა ნაკრაში.

სარდლობის ამოცანა შესრულებული იყო. ათასეულმა, რომელსაც მეთაურობდა მამაცი კაპიტანი სერგო მჭედლიძე, ვაჟკაცურად გადალახა იალბუზის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე დიდი სიმაღლის მწვერვალი, გადაზიდა საბრძოლო იარაღები, გადაიყვანა დაჭრილები, გაიკვლია საცალფეხო გზა მარადიულ თოვლსა და ყინულებში და გაუადვილა გადმოსვლა დივიზიის სხვა ნაწილებს, რომლებიც იალბუზის ძირთან თავიანთ რიგს ელოდებოდნენ.

მეორე დღეს დავტოვეთ ნაკრა, გამოვიარეთ სვანეთის სოფლები და სწორედ იქ, სადაც გზა ჯვარისკენ, მთიან სამეგრელოსკენ უხვევდა, ენგურის ხეობის სათავესთან ჩვენ დაგვხვდა 46-ე არმიის

სარდალი კ. ლესელიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ე. ბაქრაძე. ამით გავიგეთ და მიეხვდით, რაოდენ დიდი დამხმარე ძალების მობილიზებით გახდა შესაძლებელი ნალჩიკის აღების შემდეგ 37-ე არმიას მოწყვეტილი, ყაბარდო-ბალყარეთის მთებში მომწყვდეული 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის გადარჩენა და კვლავ მწყობრში ჩაყენება.

1942 წლის ნოემბერში დონღუზ-ორუნბაშის (ღორის დინგი) მრისხანე გადასასვლელის დაპყრობა თავისი სიდიადით შეეცილის ალპებში სუვოროვის ლეგენდარულ ლაშქრობას ჰგავდა და ამ მხრივ იგი პირველ რიგში სამხედრო ისტორიკოსების საგანგებო შესწავლის საგანია. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე არავის უფიქრია კინოფილმის შექმნაზეც კი სამამულო ომის ისტორიაში ამ უაღრესად იშვიათ, ლოკალურ ეპოპეაზე, რომლის მოწმენი და მონაწილენი ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩნენ ვითარების ნამდვილი სურათის წარმოსადგენად.

არადა, მისი დაკარგვა და დავიწყება დანაშაულია.

9. „პური არსობისა“

ფრონტიდან დაბრუნებულ ნაომარ დივიზიას ახალი დავალება მიეცა სამხრეთის საზღვრების დასაცავად შავი ზღვისპირეთის მთელ ზოლში გონიოდან შეკვეთილამდე. მეთაურთა და პოლიტმუშაკთა პირველი ერთიანი შეკრება 1942 წლის დეკემბერში ამ ამოცანის განხილვას მიეძღვნა. ეს მოხდა ბათუმში.

ამ შეკრებაზე დივიზიის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ დარგში კ. სოხაძემ განაცხადა: პოეტ ირაკლი აბაშიძის ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ უნდა იქცეს ჩვენი ქართული ნაწილის თითოეული ქვედანაყოფის სალაშქრო-საბრძოლო ჰიმნად. და მართლაც, არ გასულა რამდენიმე ხანი და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ, მჭექარე, მოგუგუნე სიმღერად მოედო ათეულიდან ოცეულს, ოცეულიდან — ასეულს, ასეულიდან — ათასეულს, ათასეულიდან — ლეგიონს, ლეგიონიდან — დივიზიას, დივიზიიდან შენაერთს, შენაერთიდან კი — მთელ ქართველ ხალხს. იგი ომის და მის შემდგომ პერიოდშიც კარგა ხანს აკაკი წერეთლის „ციცინათელასავით“ ჩვენს ხალხს გულში ჰქონდა ჩაკრული. „და ვუბარებ ყოველ ქართველს,

მისი წმინდა ვალი არი, მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას დერბენტი და დარიალი". — ეს დევიზად ქცეული პოეტური მოწოდება შესანიშნავად გამოხატავდა მაშინდელ საერთო სულისკვეთებას და განწყობილებას.

აქ შევხვდით ერთმანეთს სხვადასხვა ქვედანაყოფის მებრძოლი ამხანაგები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა დივიზიის გაზეთის — „წინ, გამარჯვებისაკენ" რედაქციის მუშაკების ახლო გაცნობა. მისი რედაქტორი დავით გაბრიაძე, მოადგილე პეტრე შამათავა, ლიტერატურული მუშაკები კომანდო დობორჯგინიძე და კარლო გოგოძე შესვენების ყოველწუთს ფრონტული ცნობისმოყვარეობით იყენებდნენ ახალი საბრძოლო განლაგების უბნებში დივიზიის ყოველ ნაწილთან ცოცხალი კავშირის დასამყარებლად, მისი ახალი „ცხოვრების" ისევე საინტერესოდ გაშუქებისათვის, როგორადაც ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის მძიმე პირობებში აღწევდნენ და ახერხებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, პეტრე შამათავას უანგარო ღვაწლი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდო დივიზიის საბრძოლო ცხოვრების გაშუქებას. არა ერთი წიგნი მიუძღვნა მის ისტორიას.

ამ თათბირიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დივიზიის მეთაურად პოლკოვნიკი, მერმის გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი მოგვევლინა. შეიცვალა ჩვენი ლეგიონის წინანდელი მეთაურიც. მის ნაცვლად ყოფილი პოლიტმუშაკი შალვა ვასაძე (50-იან წლებში საქართველოს სამხედრო კომისარი) დაინიშნა. მაშინ ლეგიონი მდინარე ჩოლოქის ტყიან მასივში იყო განლაგებული. ეს პატარა მდინარე შორეულ წარსულში საქართველოს და თურქეთს შორის მწვავე ურთიერთობების, შეტაკებების, მრავალი ისტორიული ბრძოლების მოწმე იყო. ახლა იგი აჭარის მთებიდან სრულიად დამშვიდებული მოედინებოდა, ზღვის შესართავთან, ხიდქვეშ, მდორედ მიათრევდა თავის გველივით შავ ტანს და ზანტად უერთდებოდა ნაპირთან ზღვის აქაფებულ ტალღებს.

ჩოლოქის ორივე ნაპირის დაუსახლებელ ველმინდვრებზე საბრძოლო-საწვრთნელ მეცადინეობებს გავდიოდით, ვატარებდით გრძელვადიან ლაშქრობებს, ვიღებდით ახალ შეესებას და ტექნიკას და ვემზადებოდით ახალი ბრძოლებისათვის. საბრძოლო-ტაქტიკური მომზადების საქმეში ჩემ ასეულს დივიზიის გარდამავალი დროშა ჰქონდა მოპოვებული. ამ დროშის გამოტანით იწყებოდა ჩვენს ლე-

გიონში ყოველი სახის დიდი ლაშქრობები და მეცადინეობები. ამავე დროს აქტიურად ვთანამშრომლობდი როგორც დივიზიის, ისე არმიერკავკასიის ფრონტის წითელარმიულ გაზეთებში.

ერთგვარი ლირიული გადახვევის ნებას თუ დამრთავთ, ანდაზისა არ იყოს, ცოდვა გამხელილი სჯობიაო, აქვე გაკვრით გამოგიტყდებით: 1944 წელს, საბჭოური არმიის რიგებში მსახურობის დროს, ლექსების მცირე ციკლი შევქმენი საერთო სახელწოდებით „კარპატებში“. თითქმის ყველა გამოქვეყნებულია საბლიტგამის მიერ 1948 წელს გამოცემულ ფრონტელ მებრძოლთა ლექსების კრებულში „იერიში“ (გვ. 16—32), გამომცემლობა „მერანის“ მიერ 1985 წელს გამოცემულ კრებულში „მუზა ჯარისკაცის ფარაჯით“ (გვ. 103—105) და გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელში“ (1959, 25. III, № 24). მოვიტან აქ ორ ლექსს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გამომადგა ჩვენი სოფლის ტყეში ამ წიგნის პირველ ნაწილში აღწერილი მგზავრობისგან და ჩეგემის ხეობაში მკვდარ ჯარისკაცთან შეხვედრის მეხსიერებაში შემორჩენილი შთაბეჭდილებები, ხოლო თუ როგორ აირეკლა, ამის განსჯა თქვენთვის მიგვინდვია.

ტყე თავდება და ტყე თითქოს კვლავ იწყება,
ულევი და უდაბური ეს ტყე.
ტყის სურათებს არ სცოდნია დავიწყება,
თუკი გულში ჩაიმარხე ერთხელ.
ქოლგასავით, აქაც ნეშოთ ავსილ მიწას,
ახურავენ ჩრდილებს ხეთა რტონი.
და ნადირთა ნაკვალევში ჩამდგარ ცივ წყალს
ბეღურები სვამენ გულის თრთოლვით.
აქაც შურთხი, ისე როგორც ცისკრის დროზე
ყუმბარებით ვანგრევთ მტერთა სანგრებს,
ტყის იდუმალ მდუმარებას რტოდან რტოზე
კრიახით და ფრთის ფარფატით ანგრევს...
აქაც ბნელა. გზა-ბილიკი აქაც არ ჩანს,
კენჭებივით ყრია ქერქი ხეთა
და ჩირგვები შეჩვეულნი ჩრდილქვეშ ტანჯვას
მგლოვიარე ქალებივით სხედან.
აქაც მიწა, ფეხს რომ ვადგამ, თითქოს დარდობს,
ხმელ ფოთლებით მესმის როგორ ხვნეშის.

და მე უცებ მაგონდება ყოფნა ამ დროს
ჩემი სოფლის ამწვანებულ ტყეში!

2

მახსოვს ტყეში მარტოდ მარტო დამარხული
ჯარისკაცი — მეგობარი ჩემი.
ხის ფოთლები აბრეშუმად დავახურე,
დავიტირე ვარსკვლავების ცრემლით.
მახსოვს ფიქრი, ო, ის ფიქრი მაშინდელი,
მწუხარებით გათანგული ფიქრი!
ღამე თვლემდა ხის რტოებზე დამშვიდებით,
მთვარე კრთოდა კარპატების იქით.
ჩურჩულებდა ტყე ფოთლების ბაირაღით,
მე მესმოდა ტყის ჩურჩული ფრთხილი:
„ხვალ როდესაც მზე ამ ხესთან თავს ძირს დახრის,
დედის ფრთებით დაადგება ჩრდილი!
მიცოცდება, ჭიანჭველა მიცოცდება,
ცივ ბაგეზე შეჩერდება ამოდ.
ხიდან ჩიტი ჩამოსძახებს: — სიცოცხლე ვარ,
გაიღვიძე, გზა განაგრძე, ძმაო!
შეირხევა? თვალს გაახელს? წამოდგება?“
იელის მწერი ამ ფიქრებით შუბლზე...
მაგონდება, ო, ის ღამე მაგონდება
და მე თითქოს იმ ჯარისკაცს ვუმზერ!

არასოდეს კარპატის ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია. ზოგმა კი მართლა ირწმუნა მას შემდეგ, რაც ფრონტიდან გამოგზავნილი ზემოთაღნიშნული ციკლის ერთ-ერთი ლექსი ჯერ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1944 წლის 8 დეკემბერს (№ 41), ხოლო მერე ბორის სერებრიაკოვის თარგმანით „ზარია ვოსტოკაში“ 1945 წლის 9 სექტემბერს (№ 180). (ეს თარგმანი შევიდა რუსულ ენაზე „მერანის“ მიერ გამოქვეყნებულ ზემოთმითითებულ კრებულში, 1985, გვ. 112). აი, ეს ლექსი:

კარაატეში

ძირს, უფსკრულებში, მტერევით, განგაშით
გადაიჩეხა მტრის შავი რაზმი.
ვდგჭუარ კარპატის ქედზე მხარგაშლით
გამარჯვებული და ბუმბერაზი.
აი, მოვედი სანუკვარ გზამდე,
იშლება ველი ჩრდილდაფენილი.
ნაბიჯის სიგრძე ბრძოლებით ვზარდე,
აქედან მოსჩანს ბნელი ბერლინი.
აი, ბილიკი ხავსიან კლდეზე
დაკიდებული თოკივით ობლად.
თითქოს წარსული წამოდგა ზეზე,
იღვიძებს დღეთა მარადისობა!
თითქოს ეს ხეც, განმდგარნი ლოდებს,
ცოცხლად შერჩენილ რტოთა ფიორით
მეუბნებიან: იდგაო ოდეს
ამ გზა-ბილიკზე ბაგრატიონი.
გავხედე კარპატს, ნაომარს გუშინ,
შემომაგებეს ღიმი გორებმა.
და სიხარული შეიჭრა გულში,
როგორც სიმღერა და შთაგონება...
ბაგრატიონის ხმა მესმის სრული...
და უსასტიკეს ხეობის იქით,
ის, წინაპარი ჩემი მამულის,
ხმალშემართული მინათებს ბილიკს.

ამ ლექსზე გიორგი ნატროშვილი წერდა: „მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ ცოცხალ სურათში კარგად არის შერწყმული ბუნების (კერძოდ, კარპატის ბუმბერაზული მთების) და ისტორიის (ხმალშემართული ბაგრატიონი), თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორღაც გამაერთიანებელი პეიზაჟი... ეს ლექსი მარტო იმ დღეებისათვის კი არა, მე მგონია, დღესაც ინარჩუნებს თავის ესთეტიკურ ღირსებას“ (წინასიტყვაობიდან „ორიოდე სიტყვა წიგნსა და ავტორზე“, „საბჭოთა საქართველო“, 1980, გვ. 4). აქ მინიშნებაც არ არის მაინც და

მაინც გამოსახვის ობიექტთან უშუალო, პირდაპირი კონტაქტის აუცილებლობაზე. და სავსებით სწორადაც.

ახალგაზრდული ლაღი ფანტაზია, პლუს იმდროინდელი პრესის ცნობები და ინფორმაციები, კავკასიის მთებში ბრძოლების გამოცდილება და ბოლოს მშობლიური სოფლიდან გამოყოლილი პატრიოტული, ჰაბუკური მგზნებარება. — აი, ეს იყო ლექსის დაბადების „კვესი და აბედი". ეს კვესი და აბედი „წარმართულ ხანაში" ჩარჩა, ლექსობით ჩემი ადრინდელი გატაცებაც იმ „ხანის" ჩრდილებით დაიფარა...

...როგორ გვიჭირდა, როგორ მივდიოდით ვლადიკავკაზიდან ნალჩიკამდე უიარაღოდ საზარბაზნე ხორცად ქცეულნი 1942 წლის ზაფხულის მიწურულს და როგორი ზეიმი დაგვიდგა 1945 წლის მაისის დამდეგს! ვგრძნობდით, ველოდით გამარჯვების გაზაფხულს და, აჰა, მოვიდა!

1945 წლის 9 მაისის შემდეგ დაიწყო მებრძოლთა დემობილიზაციის სწრაფი პროცესი. იელისის მეორე ნახევარში დამევალა ოცდაათკაციანი ნაკადის თბილისში ჩამოყვანა და სამხედრო კომისარიატისათვის მათი პირადი საქმეების ჩაბარება. აქ შემთხვევით შევხვდი დივიზიის შტაბიდან ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში სამუშაოდ გადმოყვანილ კაპიტან გრებენიუკს, რომელსაც ვიცნობდი მეთაურთა შეკრებებიდან. მან მაცნობა, რომ ლეგიონიდან დივიზიის შტაბში წარდგენილია რეკომენდაცია-დახასიათება მაღალი რანგის მეთაურთა მოსამზადებელ აკადემიაში ჩემი გაგზავნის შესახებ. — ასე რომ, დემობილიზაცია არ მოგიწევს, — მითხრა მან. ამ ცნობამ შემაშფოთა.

სამივლინებო დავალება რომ შევასრულე, ეს იყო დილის დაახლოებით 11 საათი, პირველად შევედგი ფეხი „მებრძოლის" რედაქციაში, რომელიც მოთავსებული იყო კომუნარების ბაღის კიდესთან, გაზეთ „მუშის" რედაქციის ყოფილ შენობაში. აქ თურმე იოსებ ნონეშვილი მუშაობდა. იგი შემხვდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და გახარებულმა მაშინვე მითხრა, რედაქტორს ძალიან მოეწონა შენი პოემა, უნდოდა ბეჭდვის დაწყება, მაგრამ ხელი შეგეშალა ოფიციალური მასალებით. წამოდი, ახლავე შეგიყვან მასთანო. ეს ჩემთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო. კანტებიანი გალიფე, ჩექმა და კიტელი მეცვა. ქუდი ხელში დავიკავე, ქამარი გავისწორე და იოსებს გავყევი.

ვანიონ დარასელი! „მებრძოლის“ რედაქტორი, სამხედროში აღზრდილი მაიორის ჩინით. პოეტი, დრამატურგი, იმ დროს პოპულარული პიესის „კიკვიძის“ ავტორი. კეთილშობილებით აღსავსე სანდომიანი სახე. პირმრგვალი, ცოტა მსუქანი ლოყებით, ჩამოქნილი, უნაოჭო შუბლი ოდნავ შეთხელებული თმით. ღიმილიანი გამოხედვა ისე შევნოდა, ოფიცრის სიმკაცრის ნატამალიც არ შერჩენოდა. იოსების წარდგინება არც დასჭირვებია, ისე შემხვდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები, მეგობრები ვყოფილიყავით. გვერდით დამსვა და ჩამოსვლის მიზეზი მკითხა.

! — დემობილიზებული მებრძოლები ჩამოვიყვანე. — ვუპასუხე მე.

— როდის უნდა დაბრუნდე ნაწილში?

— დღესვე.

— იოსებ, გამოვიყენოთ ეს მომენტი. დაუკავშირდი ახლავე მწერალთა კავშირს და აკაკის იმ ახალ პოემას ერთგვარი აპრობაცია გავუკეთოთ. როგორც შევთანხმდით, ან ჩვენს გაზეთში დავბეჭდავთ ან იმ წიგნში, რომლის შედგენას შენ აპირებ[1]. აბა, დატრიალდი შენებურად.

როგორც სამხედროში წესად იყო მიღებული, იოსები სიტყვის შეუბრუნებლად გავიდა რედაქტორის ოთახიდან. ვანიონმა მკითხა, რას აპირებ, რა გეგმები გაქვს, ოფიცრების დემობილიზაცია მალე დაიწყებაო, დაუმატა ცნობისთვის.

— დღეს აქ გავიგე ჩვენი დივიზიის ყოფილი შტაბნიკიდან, აკადემიაში მიპირებენ გაგზავნას. ჩემგან იმაზე მეტი არაფერი გამოვა, ამხანაგო ვანიონ, რაც ახლა ვარ. ომის პირობებში, რაც შემეძლო ყველაფერი გავაკეთე. მშვიდობიან პერიოდში ჯარში სამსახური ნამდვილად არ შემიძლია. — გული გაეუხსენი, რადგან შეხვედრისთანავე თვითონ შემომაგება სარკესავით კრიალა თავისი მგრძნობიარე, ადამიანური გული. ეს იყო ურთიერთმინდობის რაღაც ენით გამოუთქმელი იმ წუთების ბედნიერება, რომლითაც, როგორც იშვიათი გამონაკლისით, ძუნწად გვაჯილდოებს ცხოვრება.

— შენს ასაკში მეც შენ მდგომარეობაში ვიყავი. ბევრს ვწერდი

---

[1] იოსებ ნონეშვილის, ვ. დარასელის და სხვათა მონაწილეობით შედგენილი ქართველ მებრძოლთა ლექსების საკმაოდ მოზრდილი კრებული „იერიშის“ სახელწოდებით 1948 წელს მართლაც გამოსცა საბლიტგამმა.

და პოეზიაში გამორჩენის დიდი მიზნები მქონდა. შევრჩი არმიას და იმედები დაიმსხვრა. აქ რომ გადმოგიყვანო, დათანხმდები? — მკითხა მოულოდნელად ვანიონმა.

— უყოყმანოდ.

— ბინას ვერ შეგპირდები.

— ვიქირავებ.

— ფრონტის პოლიტსამმართველოში ამხანაგ მაისაიასთან დავსვამს შენს საკითხს. თუ გამომივიდა. ამიერკავკასიის ფრონტის სარდლის მარშალ ტიულენევის ბრძანებაში მოხვდები სხვა ოფიცრებთან ერთად, მაშინ ვერავინ შეგაჩერებს. რომ ჩამოხვალ, მინახულე. — თქვა ეს და იოსებიც შემოვიდა.

— მოგვარებულია. სამ საათზე პოეზიის სექციის წევრები შეიკრიბებიან და აკაკის ლექსებს განიხილაენ. — მოახსენა იოსებმა.

— კარგია. ინფორმაციას დაებეჭდავთ. იოსებ, შენ მიხედე ამ საქმეს. — უთხრა ვანიონმა და ამ საუბრით ერთმანეთს დავცილდით[1].

---

[1] იოსებ ნონეშვილის სიცოცხლეში მისდამი ჩემი სიყვარული გამოხატული მაქვს ერთელ სტატიაში „იოსებ ნონეშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი", რომელიც დაბეჭდილია წიგნში „ლიტერატურული წერილები", „მერანი", 1972, გვ. 109—134. ვანიონ დარასელი (1909—1954) მძიმე სენით ადრე გარდაიცვალა. ავადმყოფობამდე რამდენიმეჯერ ვნახე. უკანასკნელად მას 1952 წელს შევხვდი ამჟამინდელი ფილარმონიის ადგილას მაშინ მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის კუთხის მოსახვევთან, ისევე სამხედრო ფორმით, მაგრამ არა წინანდელი ვაჟკაცური შესახედაობით. დალეულიყო, მხრები ჩაეარდნილი ჰქონდა, ლოყები შეთხელებული, ადრინდელი ფერი და ხორცი დაჰკარგოდა. ალბათ, აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა, ძლივს გამაგებინა — მცირეწლოვანი ბიჭი მრჩებაო. — და თვალები ცრემლებით აევსო.

იმ დღიდან მე არ მომცილებია ფიქრი ვანიონის ბიჭზე. განგებამ უნივერსიტეტში სტუდენტად მომიყვანა ზაზა დარასელი. დამთავრებამდე სულ თვალყურს ვადევნებდი, არ დამეკარგა-მეთქი, ეაფრთხილებდი კიდეც. ნიჭიერი, წესიერი ყმაწვილი იყო. ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა, გაიტაცა ჟურნალისტურმა საქმიანობამ და ოჯახზე გადაუდებელმა ზრუნვამ. 1984 წელს, როგორც იქნა, დავიყოლიე როგორმე ხელი მოეკიდა სამეცნიერო-საკვლევაძიებო საქმისათვის. საკანდიდატო დისერტაციის თემაც შეეურჩიე, მაძიებლის ბრძანებაც გაფორმდა. პირობა მომცა საგნებს დროზე ჩააბარებდა, მაგრამ, ვხედავდი, ხელი ეშლებოდა. თვითონ შივაკითხე ტელევიზიაში, გავახსენე, ვთხოვე და მაინც... ერთადერთ სინანულად ვიმეცება, რომ ბოლომდე ვერ გამოვიჩინე სიმტკიცე... თუმცა სწორი გეზი აღმოაჩნდა. სახელი მოიპოვა. მეცნიერებამ დაჰკარგა ოქროს ფასი, დიდი დრო დასჭირდება მის განახლებას. ღმერთი იყოს ბატონ ზაზა ვანიონის ძე დარასელის მფარველი.

ნაწილში რომ დავბრუნდი, სულ რაღაც რამდენიმე დღის შემდეგ „მებრძოლში“ დაიბეჭდა ლექსი „შინ ბრუნდებიან“, რომლის ქვემოთ მსხვილი შრიფტით მოთავსებული იყო სარედაქციო ხასიათის ინფორმაცია სათაურით: „უფროს ლეიტენანტ ა. თოფურიას ლექსების კითხვა-განხილვა“. იგი იუწყებოდა:

„18 ივლისს საქ. მწერალთა კავშირის პოეტთა სექციის სხდომაზე ჩვენი გაზეთის აქტიურმა თანამშრომელმა, უფ. ლეიტენანტმა აკ. თოფურიამ წაიკითხა თავისი ახალი ლექსები და პოემა „ხმა სანგარიდან“. ფრონტელი პოეტის ნაწარმოებთა ირგვლივ აზრი გამოთქვეს მწერლებმა: გ. ნატროშვილმა, ს. ფაშალიშვილმა, ა. ლომიძემ, კ. ჰიჰინაძემ და სხვ. მათ აღნიშნეს, რომ აკ. თოფურიას შემოქმედების დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეს ლექსები და პოემა დაწერილია უშუალოდ ცეცხლის ხაზზე ან წითელარმიულ ნაწილებში ყოფნის დროს, ყველა მათგანს ეტყობა გულწრფელობა და უშუალობა. დასასრულს მწერლებმა აკ. თოფურიას მისცეს ზოგიერთი შენიშვნა. საერთოდ აკ. თოფურიას ლექსებმა დამსწრეებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა“ (ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი „მებრძოლი“, 1945, 20 ივლისი, № 86).

როგორის ოპერატიულობით, გულისხმიერებით შესრულდა დანაპირები! ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ჩუმად გულში დანაპირების მეორე დიდ იმედს დავატარებდი. სწორედ ამ ხანებში მოულოდნელად ლეგიონის მეთაურთან გამომიძახეს.

— 10 ოქტომბერს დანიშნულია შენი ასეულის საჩვენებელი საბრძოლო-ტაქტიკური მეცადინეობა. წინადადება გეძლევათ სანიმუშოდ მოამზადოთ ასეული. კორპუსის მეთაური ჩამოვა და თვითონ შეაფასებს შედეგებს. — მითხრა შ. ვასაძემ ბრძანების ტონით ისე, რომ პირდაპირ არც კი შემოუხედავს თვალებში, კაბინეტის გახუნებულ კედლებს უმზერდა და თითქოს მას ელაპარაკებოდა.

— არ გამოვა. — წამომცდა მოულოდნელად და მყისვე გავქვავდი.

პოდპოლკოვნიკმა წარბები შეიკრა, მომიბრუნდა და მაგიდის კიდესთან გაჯგიმულს წუთით შემომაჩერდა.

— 10 ოქტომბერს, 12 საათზე, მზად იყავი ასეულით. — კატეგორიული ტონით მითხრა ისევ.

— არ გამოვა, ამხანაგო პოლკოვნიკო! — კვლავ განვუმეორე

ინსტინქტის ძალით და ეგრძნობდი ჩექმებში ჩამალული ფეხების უცნაურ სხარსხალს.

— ეს როგორ! — განრისხებით და ხმამაღლა მითხრა ლეგიონის მეთაურმა.

— ჩემოდნის განწყობილებაა მებრძოლებში. ყველა სახლში წასვლას ელოდება. — ვუპასუხე დინჯად.

ლეგიონის მეთაური წუთით დადუმდა, თითქოს მოლბა, გაეღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— გენერალი მიქელაძე ორივეს სასტიკად დაგვსჯის. მოითხოვე დახმარება რაშიც გინდა და სწრაფად შეუდექი საქმეს.

წინ ერთი კვირა იდო გადაუგორებელ ლოდად.

დავიწყე ასეულის დარჩენილი მებრძოლების ვარჯიში ნორმატივებით გათვალისწინებულ წინააღმდეგობათა გადალახვაში. აქ შედიოდა: აირწინაღებით და საბრძოლო აღჭურვილობით რბენა დადგენილ დისტანციებში, ხოხვა მიწაზე ცალ ხელში შაშხანით, ორი მეტრის კედელზე აცოცება და გადახტომა, ძელზე სიარული, ხიშტების მოქნევა და „მტრის" განგმირვა და სხვ. ყველა ეს მოქმედება სწრაფად, განსაზღვრულ დროსა და გამოკვეთილ მეომრულ რიტმში უნდა შესრულებულიყო.

დადგა 10 ოქტომბრის მზიანი, უფრო სწორად, მცხუნვარე, პაპანაქება დღე. ზუსტად 12 საათზე შეკრების ადგილას, მოედანზე მოგროვდნენ ვილისები. მანქანებიდან გადმოვიდნენ კორპუსის და დივიზიის მეთაურები, შტაბების მუშაკები, ოფიცრები, ლეგიონი ხომ ათასეულებად და ასეულებად ჩამწკრივებული იყო. მათ წინ, ბრძანების მიღების მოლოდინში, ჩემი ასეული იდგა აფრიალებული გარდამავალი დროშით. მეთვალყურენი ხეთა ჩრდილებში მოკალათდნენ. დაძაბულობის თუ განაბულობის ერთი წუთი გავიდა, ორი, სამი და.... დაწყების ნიშნად მორიგე ოფიცრის ხმაც გაისმა.

...გაოფლიანებულნი და დაქანცულნი უკანასკნელი ილეთის შესრულებას ვაპირებდით, როცა მომესმა მორიგის ძახილი: ატსტავიტ! მიზეზი? ერთი ხანში შესული მებრძოლი კედელზე ვერ აცოცდა, შემოუარა მას და ძუნძულა განაგრძო. უმალ შემაწყვეტინეს მეცადინეობა. კორპუსის მეთაურთან, გენერალ-მაიორ მ. მიქელაძესთან მიხმეს. გამოცხადდი პატაკით. ნაფრონტალ გენერალს ცალი ხელი მოკვეთილი ჰქონდა. შავგერემანი იყო, ჯმუხი აგებულების, კუპრივით შავი თვალებიდან თითქოს ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიდა.

— თქვენი პური არსობისა ჯარში სამსახურია. — ამბობდა ის მკვეთრი ხმით. — განმეორებით ჩაატარებთ ერთი კვირის შემდეგ, 17 ოქტომბერს, 12 ნოლნოლ საათზე. კვლავ დაგესწრებით და თუ კვლავ დაირღვევა მეცადინეობის მწყობრი სისტემა, ჩამოგერთმევათ ოფიცრის წოდება და რიგით ჯარისკაცად იმსახურებთ. სხვა გზა თქვენ არა გაქვთ. თქვენი პური არსობისა ჯარში მუდმივი სამსახურია! — თქვა ეს განმეორებით და გაჯავრებით, უცებ ჩაჯდა ვილისში და მანქანაც სწრაფად გაქანდა. მას ხმის ამოუღებლივ მიჰყვა დივიზიის მეთაური ი. ბაბალაშვილი, მიჰყვნენ ჩამოსული მეთვალყურენი თაეიანთი მანქანებით, ათასეულები და ასეულები დაიშალნენ, მინდორზე, სიცხეში, ჩემი მებრძოლებიღა დარჩნენ, ხოლო ხის ძირას, ჩრდილქვეშ, მრავალ დამსწრეთაგან მარტო ორი დავჩით: ლეგიონის მეთაური და მე. პოდპოლკოვნიკმა ქვეშეცნეულად შემომხედა და დაბალი ხმით მითხრა:

— ხომ მოისმინე?

— ხომ გითხარით ადრევე? — მეც ვუპასუხე უცებ ისეთი სიძშვიდით, თითქოს სამხედრო სამსახურიდან სამოქალაქოზე ვყოფილიყავი გადასული. კადრის ძველ ოფიცრებს ვერც კი წარმოედგინათ ომში გაწვეული ახალგაზრდობის სხვანაირი ცხოვრება, გარდა ჯარში სამსახურისა. გენერლის სიტყვებზე გულში მეცინებოდა, მაგრამ...

— დაიწყე ისევ თავიდან მტკიცე წესრიგით და ომისდროინდელი სიმკაცრით, — დააგდო ეს სიტყვა პოდპოლკოვნიკმა შ. ვასაძემ ნელი ნაბიჯებით გაუყვა ნაძვების ხეივანს ლეგიონის შტაბისკენ.

ომისდროინდელი!

სულ რაღაც ხუთი თვით ვიყავით დაშორებული მისგან. იმ დღიდან ეს ერთი სიტყვა განუყრელად შერჩა ჩემს ცნობიერებას, როგორც 1418 უმძიმესი და უსაშინლესი დღე-ღამის მუდამ მწარედ მოსაგონარი რეკვიემი.

სამი დღეც არ იყო გასული გენერლის დავალებიდან და მუქარიდან, როცა შეეიტყვეთ, რომ კორპუსი, რომელშიაც ჩვენი დივიზია შედიოდა, დაშლილიყო და თვით მ. მიქელაძე ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში გამოეძახათ თადარიგის სამსახურში გამოსაყენებლად.

1945 წლის 30 დეკემბერს შ. ვასაძემ ხელი მოაწერა ტიულენევის დაშიფრული ბრძანების საფუძველზე ლეგიონიდან დემობილიზაციით ჩემი განთავისუფლების დოკუმენტს. მასში დაბრუნების ად-

გილად ჩაწერილი იყო არა ფოთი, საიდანაც გაწვეული ვიყავი, არამედ თბილისი, სადაც უნდა დამეწყო ცხოვრების ახალი გზა.

ეს გზა მე დავიწყე სრულიად გამოცელილმა არა მხოლოდ ფიზიკური გარეგნობით,[1] არამედ გამოცდილებით და სულიერი განწყობილებითაც. სანამ გადავიდოდე იმ ახალი გზის აღწერაზე, თქვენის მოწყალებით, აქ ვურთავ მხოლოდ ერთ ლექსს.

თბილისში ვარ...

თბილისში ვარ!... ჩემი მერცხლის ბუდე ვნახე,
ჩემი ბაღის ყვავილები და კვირტები.
ომში წასულს, ბუდეც რაა, შემინახეს
და ყველაფერს ცისკრის თვალით ვაკვირდები!

თბილისში ვარ!... ვარდისფერი ღამე მიპყრობს,
ვარსკვლავები მაღლა სწვევენ მზის ფარდაგებს.
მეც ვმაღლდები!... მეც სულ მაღლა მინდა ვიყო
და ეს ნატვრა ზღაპრულ იმედს მიქანდაკებს.

მოვიარე შორი ზღვა და შორი მთები,
რომ სიცოცხლე შერჩენოდა მზეს და ბაღებს.
და დღეს ფრთხილად, ძველებური მორიდებით
მე თბილისის რკინის კარი შემოვაღე.

მინდა ვიდგე მეც ამ ხეთა ჩრდილებისქვეშ,
მეც ვხარობდე ამ ქალაქის მზის ფერებით.
და გაზაფხულს გაზაფხულის იებითვე
შევხვდე მერცხლის, ჩემი მერცხლის სიმღერებით!

1946, იანვარი.
(„მგზნ. კოლხ", 1959, № 24)

---

[1] ომიდან დაბრუნების შემდეგ ჩემთან შეხვედრის პირველ შთაბეჭდილებას რომ აღწერდა, ფოთელი ჟურნალისტი ი. ქოიავა მოგვიანებით წერდა: „უცებ ვერ ვიცანი, დავაკვირდი და ვნახე, ულვაშები გაზრდოდა, სახე მზისა და ქარისაგან გარუჯოდა. მხოლოდ თვალებს შერჩენოდა სულის ადრინდელი სინაზე და ყურმობძლე ოცნება" („ახალი კოლხეთი", 1963, 15. XII. № 149).

თავი V. ისევ ჟურნალისტად

თბილისში დემობილიზაციით მარტო მე არ ჩამოვსულვარ, როს პრეტენზია წამეყენებინა ვინმესთვის, რატომ ტაშფანდურით არ დამხვდით სადგურზე და საყოფაცხოვრებო პირობები მაშინვე არ მომიგვარეთ-მეთქი. რომელი მარშალი ან გენერალი მე ვიყავი, საპატიო შეხვედრა მოეწყოთ! ხოლო ამ დროისათვის ჯარისკაცთა და მეთაურთა შემადგენლობიდან აქ ჩემი რანგის ათასობით იყო ჩამობრძანებული. ერთადერთ იმედად სამხედრო ფორმის ჩემი კუთვნილი ტანსაცმელი — უგებოლტო მაზარა, კოკარდიანი ქუდი, კანტებიანი გალიფე, კიტელი, ჩექმა, სადემობილიზაციო ფული და თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის საგანგებო დადგენილება მომაცილებდა. იგი ითვალისწინებდა საშუალო რანგის ოფიცრებისათვის ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შექმნას. ომის ძირითადი ტვირთი საბოლოოდ ხომ მეთაურთა სწორედ ამ კატეგორიაზე, კერძოთ, ფეხოსნებზე გადადიოდა. ამათ რიცხვს კი ნამდვილად უეკუთვნოდი. ასე რომ, იმედისათვის ფსიქოლოგიური ნიადაგის შემზადება თავად არ დამჭირვებია. იგი „ზემოდან“ მებოძა.

...განწირულად მეჩვენება იმ კაცის ბედი, ვინც პირდაბჩენილი ელოდება ახეთ იმედს. იგი მეტწილად თავხედებს უმართლებთ. ფეხით აღებენ იმათ კარებს, ვისაც ზემოდან დაპირებულის აღსრულება ევალებათ. მაგიდებზე მუშტების ბრაგაბრუგით თავშესაფარსაც ადვილად იგდებენ ხელთ და სარფიან ადგილსაც.

— მიბაძეთ მათ! — ჩამძახოდა ვითომ კეთილისმყოფელი დემონი.

— გაუფრთხილდი, ამხანაგო, პარტიულ-ლენინურ სინდისს! — უმალ მახსენებდა არსებობას შინაგანი ხმა და მომიწოდებდა თავშეკავებისკენ, მოთმინებისკენ, სანამ მოლოდინი თვით არ მეწვეოდა.

სამხედრო კომისარიატში თავაზიანად აღრიცხვაზე კი ამიყვანეს, მაგრამ... სადაც მივადგებოდი ბინის ან სამსახურის საკითხზე, ზრდილობიანად, გადაკრული სიტყვებით უმალ უკან მისტუმრებდნენ: — გვაცალეთ, გვადროვეთ, ამხანაგო, ჩვენი ქალაქიდან ხომ არ გაუწვეიხართ, ჩვენთვის ხომ არ გიბრძოლია, იქ მიაკითხეთ... ერთი სიტყვით, ბარიერების „კედელი“ კისრამდე იზრდებოდა.

აშკარად ჩანდა, საომარი მობილიზებიდან სამშვიდობო მოშვებულებაზე გადასვლა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენი-

ლებასაც დატყობოდა. წინანდელი სიმკვეთრით, სიმტკიცით და სიმკაცრით აღარ მოქმედებდა. ამას ერთოდა სხვამხრივი გართულებებიც. ბინის საქირაოდ ვიღაც სანდო პირი უნდა მიგყოლოდა, რომ მის პატრონს შიში არ გასჩენოდა — ეკუთვნის, მიჩივლებს და ჩამომართმევენო. ამასობაში ჩემი სიალალით, სიბრიყვით თუ სიბეცით ჩამოყოლილი საარსებო თანხის ძირითადი ნაწილი სულ ტყუილად დამეკარგა. ომიანობის დაღი ეკონომიკურ სივიწროვეხთან ერთად გაიძვერობის მომრავლებაშიც დაჩნეოდა ისტორიული წარსულის სიმდიდრით განებივრებულ თბილისს.

...1946 წლის იანვრის პირველი დეკადის თოვლუყაპიანი, ციცი, ბურუსიანი დღე იდგა. ომიდან დაბრუნებულთათვის ბინის საკითხის მომგვარებელ საქალაქო შტაბიდან ყოფილი კიროვის რაიონის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში გამგზავნეს განცხადებაზე დადებული რეზოლუციით: „გულისხმიერად მოეკიდეთ და აღმოუჩინეთ დახმარება“. იგი მდებარეობდა ახლანდელი ლესელიძის ქუჩის დასაწყისთან, მარცხენა სახლის მეორე სართულზე. იქ მისვლისას თანამშრომლად გამომეცნაურა შედარებით გამხდარი აღნაგობის კაცი, რომელმაც საოცრად მოქარგული, მომჯადოებელი სიტყვებით აღმითქვა:

— პირდაპირ ბედი გქონიათ და ეგ არი. ზედგამოჭრილია თქვენთვის. ჩაიწერეთ მისამართი: გოგირდოვანი აბანოების უბანი, ხარფუხის პირველ აღმართს აუყვებით, შეუხვევთ მარჯენივ, გაივლით რამდენიმე ნაბიჯს და სამღებროს ქუჩის შეცამეტე ნომერზე მიადგებით ერთსართულიანი სახლის კედელს, რომლის მარცხენა კიდესთან მიშენებულია რვამეტრიანი ოთახი. იგი გადანახული გვაქვს სწორედ თქვენისთანა ნაომარი ოფიცრებისათვის. დღეს უნდა მომიტანონ გასაღები. ხვალ დილით მობრძანდით, ჩაიბარეთ და შეგარგოთ ღმერთმაო. ოღონდ, — ხმას ცოტა დაუწია, პირი ლამის ლოყაზე მომადო, თითქოს ყურში ჩამჩურჩულებდა, — პატრონი სხვაგან გადადის და ოთახის დატოვებისათვის, არა, სამგზავროდ შეპირებული ვარ... — არ დავაცალე სიტყვის დასრულება და სიხარულისაგან აცუნცრუკებულმა უმალ მივაგებე:

— რამდენი სჭირდება?

— სულ მუქთია. ჩვენებური ყოფილხარ და ბედნიერად მოგახმაროსო. — კიდევ მოაყარა სიტყვას „შაქარი“ და კბილებში გამოცრა, — ათასი მანეთი.

— რომელ საათზე მოვიდე? — ვკითხე თავაზიანად და ფული გადაეცი.

— თორმეტზე. — მიპასუხა საქმიანად ისე, წარბიც არ შეუხრია. ფული დაუყოვნებლივ გულჯიბეში ჩაიდო.

— აბა, ხვალ არ დაიგვიანოთ. მთხოვნელები ბევრია, ხომ იცით. კეთილად მოგახმაროთ. — მითხრა ვითომდა დიდი მზრუნველობის გამოხატვით და თან ოთახის კარამდე მიმაცილა. ეს მოხდა სულ რაღაც ხუთ წუთში.

მეორე დღეს დანიშნულ დროზე რომ მივედი, იმ ოთახში სრულიად სხვა ატმოსფერო დამხვდა. ორ მაგიდას ორი უცნობი მამაკაცი უჯდა და ქაღალდებს ჩაკირკიტებდნენ. მე თაეისუფალ სკამზე მოვკალათდი. „სადაცაა, შემოვა". — ვფიქრობდი გულში.

— ვის ელოდებით? — მკითხა ცოტა ხნის შემდეგ ერთმა დამხვდურმა.

— აი, აქ, თქვენ მაგიდასთან, გუშინ სხვა კაცი იჯდა. იმასთან მაქვს საქმე. — ვუპასუხე დამშვიდებით. ეჰვადაც არ გამკარებია რაიმე შავი ფიქრი.

— ეს მაგიდა ჩემი სამუშაო ადგილია. მაინც საინტერესოა, რომელ საათზე იყავით აქ? — მკითხა უცნობმა.

— ორი დაწყებული იყო.

— ჰო, შესვენებაზე ვყოფილვართ მე და ჩემი ამხანაგი. ვინაობა არ ჰკითხეთ?

— როგორ არა. თანამშრომელი ვარო, ინსპექტორი ბინების დარგში. მე ქალაქის შტაბიდან რეზოლუციანი განცხადება გადავეცი.

— გვარი ან სახელი გახსოვთ?

— ჩალიჩავა, მგონი, სევერიანე.

— ასეთი ჩვენთან არავინ მუშაობს. ან მოგონილი გვარი და სახელია, ან გაქნილი აფერისტის.

— სად შემიძლია ვნახო?

— ყველგან, არსად. — მომიჭრა უცებ.

— ეს როგორ გავიგო? — ვკითხე გაოცებით.

— უბრალოდ. — მიპასუხა მან დინჯად. — ეტყობა, შესვენების წუთებით ისარგებლა იმ ვიღაც გაიძვერამ, დაგტყუათ, ალბათ, რა ღაც და მიიმალა. სახელს გვიტეხს. ასეთი შემთხვევები ჩვენს სისტემაში ბოლო ხანებში გახშირდა, კერძოთ, რაც ფრონტებიდან თქვე-

რისთანა საპატივცემულო ხალხი ჩამოდის. სარგებლობენ მომენტით, მაგრამ მალე მოეღება ბოლო. გირჩევთ, აწი მაინც ჭკუით იყოთ. — დამარიგა კიდეც იმ უცნობმა და ოთახიდან რეტდასხმულივით გაოგნებული და გაშეშებული გავედი.

...იანვრის ბოლოსათვის ფოთის ბანკიდან აღებული ათწლიანი სესხით ვეძინის ქუჩაზე მდებარე № 11 სახლის ქვედა სართულში მის კერძო მფლობელთან ურთიერთ წერილობითი შეთანხმებით (ე. წ. „ოტსტუპნოით“) დავიკავე ათმეტრიანი ოთახი, რომელსაც სინათლე ქუჩის მხრიდან ჩამოსდიოდა. ქუჩა აღმართს მიუყვებოდა. ფანჯრის ვიწრო ზოლიდან მისი მხოლოდ კონტური-ღა მოჩანდა და გამვლელთა მხოლოდ ნაბიჯების ხმა ისმოდა. „ექსპერიმენტისათვის“ ფანჯარას თუ მიადგებოდი და საგანგებოდ ზეით აიხედავდი, მაშინ მათი ფეხსაცმლებიანი ქუსლების დანახვაც შეიძლებოდა იმის გასარკვევად, კაცი მიაბიჯებდა თუ ქალი, ახალგაზრდა თუ მოხუცი. სამაგიეროდ, შემოსასვლელი ბნელი დერეფნის გავლით პირდაპირ პატარა ეზოში გადიოდი. იქიდან... ინებეთ, ძირს დაეშვებით? ბელინსკის ქუჩით რუსთაველზე გახვალ, მაღლა მოისურვებ? მთაწმინდაზე „აფრინდები“.

...როგორც კი დავბინავდი, სამოქალაქო, ანუ თავისუფალი ცხოვრების პირველ დღეს შევუდექი, რომელიმე გაზეთის რედაქციაში მუშაობის დაწყება გადაჭრით გადავიფიქრე. კმაყოფილებით შევხვდი ცნობას წითელარმიულ „მებრძოლში“ შტატების შემცირების გამო რეალური შესაძლებლობის არ არსებობის შესახებ. საგაზეთო პროფესიისადმი ომამდელი გულაცრუების განწყობილება კვლავ მრმეძალა. 25—30 წლის ასაკში გადატანილი მძიმე პერიოდი კიდევ უფრო მიძლიერებდა აპათიას.

ეს ასაკი, მოგეხსენებათ, ყოველი ადამიანის პიროვნულ ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი, აუნაზღაურებელი, ოქროს სამკაულებში ჩასმული ლაჟვარდოვანი დროა. იგი ომმა ხელიდან გამოგლიჯა ცოცხლად დაბრუნებულ ჩემ ტოლ თაობას. „შევძლებ კი სარედაქციო შრომა-საქმიანობას წინანდელი პათოსით და გატაცებით?! შევეგუები საგაზეთო მასალებისათვის კვლავ გამუდმებით წანწალს და გონებაში მის კვლავ შაბლონურად გადახარშვას?“ ხშირად მაწვალებდა და მაწამებდა ასეთი ფიქრები.

იძულებული გავხდი გამოძახებებს დავლოდებოდი. საბინაო წიგნში ჩაწერილს კონკრეტული მისამართი უკვე მქონდა. დემობილი-

ზებულების სამუშაოდ მომწყობ რესპუბლიკურ კომისიას ხელმძღვანელობდა საქართველოს კპ (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გრიგოლ ზამბახიძე, რომელიც საღამოს საათებში ოპერატიულ მუშაობას ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ ძველ შენობაში ატარებდა. სამჯერ მომიხდა მასთან გამოძახებით შეხვედრა.

პირველად თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის რედაქტორობა შემომთავაზეს. ომში გაწვევამდე ჟურნალისტადაც გიმუშავნიათ და პროფილით შესაფერისია თქვენთვისო. მე სწავლის გაგრძელება მოვიმიზეზე და აღრიცხვაზე დამტოვეს. მეორედ — ყოფილი 26 კომისრის რაიონში ახლადშექმნილი პროფტექნიკური სასწავლებლის პოლიტმუშაკის თანამდებობა შემაძლიეს. პარტიის წევრი ხართ და პარტიას იქ სჭირდებითო. ისევ თავი შევიკავე და აღრიცხვაზე ისევ დამტოვეს. მესამედ — მოსკოვში მილიციის სამეთაურო ორწლიანი სკოლა გაიხსნა, ოფიცრის წოდება გაქვთ, პირობები იდეალურია, ჩამოხვალთ და მილიციის ხაზით მაღალი რანგის მუშაკი იქნებით. — მითხრა კომისიის თავმჯდომარემ, თან წამქეზებლურად და ოდნავ დამადლებითაც კი — აჰა, შეგირჩიეთ სამომავლოდ ვითომდა დიდებული ადგილიო. მილიციაში რა მინდა-მეთქი რომ ეუთხარი, მახსოვს, გ. ზამბახიძე უცებ გაბრაზდა, ღიმილიანი სახე სწრაფად კუშტად შეეცვალა, კომისიის მდივანს ცივად გადაულაპარაკა — მოხსენი აღრიცხვიდანო, მერე მომიბრუნდა და ჩუმად მითხრა:

— აქედან რომ გახვალთ, ისე ჩადით კიბეებზე, არავის გააგებინოთ თქვენი აქ ყოფნა. აწი თქვენი გზა თქვენ თვითონ იძიეთ.

მართლაცდა, პირველულობისათვის ვის ეცალა. სანანებლად თვენახევრის ფუჭად დაკარგვა მრჩებოდა, ხოლო საფიქრებლად და აწოსახსნელად პირველად გაგონილი ზემოთმოტანილი ფრაზა-რებუსი: „პარტიას იქ სჭირდებითო“. შემდგომ, დროის ბრუნვაში, თვალნათლივ ჩანდა და იგრძნობოდა სხვადასხვა ინსტანციაში სხვადასხვა ვარიაციით, პარტიის ზოგად სახელზე ამგვარი ამოფარებით („პარტია მოითხოვს“, „პარტია გავალებს“, „პარტიას ებრძვი?“ და ა. შ.), როგორ ილახებოდა და იბილწებოდა პირვანდელ პროგრამა-მინიმუმში ჩაქსოვილი ის ზნეობრივი პრინციპებიც კი, რომლებიც კაცობრიობის ჰუმანიტარულ ფასეულობათა საგანძურს დღესაც განეკუთვნებიან (თუნდაც მოძღვრება ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების ჰარმონიზაციის, საყოველთაოდ ყველასათვის უფასოდ გა-

ნათლების მიღების და მკურნალობის უზრუნველყოფის შესახებ და სხვა).

...მარტის შუარიცხვებიდან საარსებოდ მშველელი ხელი საქართველოს რადიოკომიტეტმა (კერძოდ აკაკი ძიძიგურმა) გამომიწოდა. იგი რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის შენობის მეოთხე სართულზე იყო მოთავსებული. პირველ ხანებში ჰონორარს ომისდროინდელ ლექსებში მაძლევდნენ (მაგალითად, კრებულ „იერიშში“ დაბეჭდვამდე რადიოთი გადაიცა ოთხასსტრიქონიანი პოემა „ხმა სანგარიდან“), მერე კი — კორესპონდენცია-ნარკვევებში. ერთ-ერთი ასეთი შედარებით მოზრდილი ნარკვევი ეთერში გავიდა მარტის დამლევს, ხოლო რემინგტონზე გადაბეჭდილი მისი მეორე ეგზემპლარი მიტანილი მქონდა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციაში, სადაც არავინ მიცნობდა. ამ გაზეთის 1946 წლის 4 აპრილის ნომრის (№ 15) მეორე გვერდზე, ზემო ნაწილში, ვხედავ, თვალსაჩინო ადგილას „გამოჯგიმულია“ ჩემი ნარკვევი სათაურის მსხვილი შრიფტით — „გაზაფხული აგრობიოლოგიურ სადგურში“.

სამი კვირის შემდეგ ჰონორარის მისაღებად რომ მივედი, რედაქტორს თქვენი ნახვა უნდაო, ჩუმად მითხრა ფულის გადმოცემისას მოლარე-მდივანმა ეთერ არჩვაძემ. ამ ცნობით გაკვირვებულმა, მიბრუნებაც ვერ მოვასწარი, ვიღაცამ ზურგიდან მხრებზე ხელი დამადო, მკლავში მკლავი გამიყარა და იქვე თავის კაბინეტში შემიყვანა. მთლად ჩაბნელებულ პატარა ოთახში მაგიდის ელექტრო ნათურა როგორც კი აინთო, მხოლოდ მაშინ შევხედე უცნობ „მასპინძელს“. გაზეთის რედაქტორის, გრიგოლ საჯაიას თეთრი სახიდან, ირიბად მზირალი მისი ჭროღა თვალებიდან იმ წამს თითქოს კმაყოფილების რაღაც სათნო გრძნობა გამოსჭვიოდა. გამომკითხა ვინაობა, ამხედ-დამხედა, ჩემს სამხედრო ჩაცმულობას კიდევ ერთხელ შემოავლო მზერა და ბოლოს მითხრა:

— თქვენი ნარკვევი ისე დაიბეჭდა, როგორც მოიტანეთ. თითიც არავის დაუკარებია. ყველას როდი შეუძლია საგაზეთო მასალის მიგნება, მისი „მოხელთება“. დიდი ხანი არ არის, რაც მასწავლებელთა გაზეთი აღდგა, კარგ მუშაკებს ვეძებ. პირველი მაისიდან დაიწყეთ ჩვენთან მუშაობა. ხელფასი 650 მანეთი გექნებათ. ამდენივე ჰონორარი გამოგივათ. — ეს ბოლო სიტყვები ისეთი რბილი, დამყვავებელი ტონით შემომაპარა, თითქოს არც დაეჭვებულა, კის ვეტყოდი, თუ — არას.

სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. — ნათქვამია ხალხურად. ჰოდა, ჩემი გადანაფიქრის საწინააღმდეგოდ, უნებურად თუ ინსტინქტურად, თანხმობის ნიშნად უმალ თავი დაუქნიე და ხელის ჩამორთმევით უსიტყვოდ დავემშვიდობე. რატომ მოხდა ჩემს არსებაში ასეთი უეცარი მეტამორფოზა?

იანვარ-აპრილის — ამ ოთხი თვის განმავლობაში უმუშევრობის დამამცირებელი განცდებისაგან ლამის ადამიანურობის უმთავრეს ღირსებას — შრომის ჩვევას ვკარგავდი. დიახ, მიზანდასახული შრომა სიცოცხლის მშვენიერებაა. ო, როგორ მდორედ, ტაატით, ზლაზვნით მიედინებოდა უსაქმურობით მოშხამულ-მოწამლული, მუდამ მბორგავი დრო! ეს იყო მთელი ჩემი განვლილი ცხოვრების მანძილზე სოციალური ასპექტით ყველაზე უმწარესი, უსაშინელესი განცდა. არავის ვუსურვებდი მის თუნდაც სიზმარში აცხადებას.

სამი წელიწადი, შვიდი თვე და ორი კვირა დაეყავი ოთხგვერდიანი დიდი ფორმატის რესპუბლიკური ყოველკვირეული გაზეთის რედაქციაში, ე. ი. გაცილებით იმაზე მეტი დრო, ვიდრე ომში გაწვევამდე ფოთის საქალაქო გაზეთში, საიდანაც, გახსოვთ, ალბათ, ჟურნალისტური საქმიანობისადმი აღერღილი განწყობილებით წამოვედი. მაშ, რამ გამაძლებინა ამდენ ხანს?

ჯერ ერთი, „სახალხო განათლება“ იყო პირველი უწყებრივი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც განახლებული და გაფართოებული პროფილით აღდგა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან სულ რაღაც რამდენიმე თვის შემდეგ და, რასაკვირველია, მკითხველთა საყოველთაო ინტერესს იწვევდა. იგი აღმოცენდა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ 1928 წელს დაარსებულ მასწავლებელთა გაზეთის ბაზაზე, რომელშიც, როგორც გიამბეთ, სტუდენტობის ხანმოკლე პერიოდში მეც ვთანამშრომლობდი. მაშასადამე, მისი ტრადიციის ფესვებთან მცირე მოგონების ძაფიც მაკავშირებდა.

მეორე, გაზეთის მომსახურების სფეროს წინანდელივით მოიცავდა არა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბავშვო სახლებისა და ბაგა-ბაღების მასწავლებელთა ვიწრო წრე, არამედ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კლუბების, თეატრებისა და ჭოხსაძკითხველოების ამ დროისათვის ფართოდ გაშლილი ქსელი, მუშაკთა მთელი „არმია“, საქართველოს კულტურისა და განათლების დარგების მასშტაბური ერთობლიობა;

და ბოლოს, აქედან გამომდინარე, წებსით თუ უნებლიეთ, ამ გაზეთის რედაქციაში, როგორც ერთგვარ გამაერთიანებელ ცენტრში, სიმბოლურად თავს იყრიდა მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო, ნაღები ფენა, ინტელექტუალური ძალა, პედაგოგიური აზრის მიმდევართა გულმხურვალე პლეადა.

ყოველივე ამას პირველ რიგში ხელს უწყობდა ადგილსაშყოფელის ან დგამ-ავეჯის არა რაიმე კომფორტული მოწყობილობა თუ მოკაზმულ-მოხატულობა, — პირიქით, სავარძელი კი არა, ზედმეტი უბრალო სკამიც არ მოგვეპოვებოდა რედაქციის სამუშაო ოთახში, — არამედ ადგილმდებარეობა და გარემოცვა. იგი მოთავსებული იყო თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური, პოპულარული ქუჩის — რუსთაველის პროსპექტის დასაწყისთან, თვით მისი ძეგლის ზემოთ, ე. წ. „ზემელის“ კიდესთან, ი. ჯავახიშვილის ქუჩის აღმართზე, მწვანე ნარგავებით მორთულ ეზოში, რომლის მარცხენა მხარეზე მობინადრეთა სახლები იდგა, ხოლო მარჯვნით შუშაბანდიანი ორსართულიანი შენობა.

აი, აქ, ამ შენობის ზედა სართული ეკავა განათლების კომისარიატის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ხოლო ქვემოს ერთი ნაწილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ასევე საკვლევ ინსტიტუტს, ხოლო მეორე ნაწილი ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკას თავისი ვრცელი სამკითხველო დარბაზით. სწორედ მათ მიღმა, შენობის ბოლო კუთხეში შეხიზნული იყო რედაქციაც.

ცხადია, ეს გარემოება ხელსაყრელ ატმოსფეროს ჰქმნიდა გამოჩენილ ადამიანებთან კონტაქტებისათვის. მეორე მხრივ, გაზეთის ავტორიტეტის ამაღლების, მისი პოპულარობის საწინდარს წარმოადგენდა თვით განათლების სახალხო კომისარიატი თავისი მრავალფეროვანი სტრუქტურული აგებულებით და თანამშრომელთა შედარებით მცირე რაზმით, რომელიც უფრო უკეთ, მოქნილად და ნაყოფიერად მუშაობდა, ვიდრე იმ „მცირე რაზმიდან“ შემდეგში წარმოქმნილი სამინისტროები და კომიტეტები თავიანთი გაბერილი შტატებით. ისინი თანდათან სახელმწიფოს პარაზიტებად მოგვევლინენ.

მაგალითად, რედაქციაში ჩემი მუშაობის დაწყების დროისათვის, 1946 წელს, კომისარიატის უმაღლესი სკოლის სამმართველოს სულ ხუთი თანამშრომელი ჰყავდა. სამმართველოს უფროსი იყო მიხეილ

ჩხეტია. აქედან შეიქმნა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ჯერ სახელმწიფო კომიტეტი, შემდეგ კი სამინისტრო, რომელიც ბოლო დროისათვის 250-ზე მეტ თანამშრომელს ითვლიდა. და მაინც, ვითომდა, ვერ აუდიოდა „დიდძალ“ საქმეს. ასევე შეიძლება ითქვას კომისარიატიდან წამონაზარდ სხვა სამინისტროსა და კომიტეტზეც (კულტურის იქნება ეს თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების). 50-იანი წლებიდან ასეთი ფაქტები მთელ ქვეყანაში საყოველთაოდ გავრცელდა და მის დამაკნინებელ ნიშნებად გადაიქცა.

გაზეთის რედაქციაში საუცხოო კოლექტივთან ხანგრძლივად მუშაობის მთავარი წამახალისებელი ფიგურა მაინც განათლების მაშინდელი სახალხო კომისარი ვიქტორ კუპრაძე (1903—1985) იყო. ცნობილია, კომისრობის ჩინი 1946 წლის ბოლოდან შეიცვალა მინისტრობის ტიტულით. ეს იყო ე. წ. ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტებზე გადასვლის პირველი გამოხატულება. ამ ასპექტით, ვიქტორ კუპრაძე საქართველოს განათლების ჰეშმარიტად პირველ ღირსეულ მინისტრად ითვლებოდა. მის ბიოგრაფიაში მხოლოდ „საბჭოური“ პერიოდის ცხოვრების ტიპური ნიშნები იყო აღბეჭდილი. არც წარმოშობით, არც უმაღლესი განათლებით მას არაფერი აკავშირებდა ე. წ. რევოლუციამდელ წარსულთან და, ამდენად, „ახალ ეპოქაში“ აღზრდილი ახალი ინტელიგენციის ნიშანთვისებებს განასახიერებდა.

სიღარიბის განვლილმა მწვავე განცდებმა მას ბოლომდე შეუნარჩუნა თავმდაბლობის დამამშვენებელი გრძნობა, ხოლო მათემატიკურმა ნიჭმა და ბეჯითმა შრომამ შეუფერხებლად მიიყვანა აკადემიკოსის საპატიო სავარძლამდე. მაგრამ ამის გამო განცხრომით და ფუფუნებით არასოდეს უცხოვრია (ეს ცხადი გახდა არა მხოლოდ ვაჟიშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო თანაგრძნობის გამოსახატავად მის ძველ ბინაში (ვორონცოვის ხიდთან), არმედ ახალშიც მიმსვლელთათვის (ბარნოვის ქუჩაზე), საიდანაც თვითონ გაასვენეს.

გამხდარი, ფერმკრთალი, მუდამ სერიოზული, საქმიანი გამომეტყველების, სიტყვაძუნწი, მაგრამ აზრობრივად მდიდარი, მკაფიო, კონკრეტული და მიზანგამოკვეთილი, ჩაცმულობით, გარეგნული აღნაგობით და მანერებით იმდენად უბრალო, ერთბაშად გაგიძნელდებოდათ თანამდებობრივ ან განსწავლულობის მხრივ რაიმე გამორჩეულობის შეცნობა-გაგება, სამაგიეროდ სწრაფად აცნობდა ზოგ-

ჯერ დასავლეთურ (გურულ) სიფიცხეს, ემოციურ სიჭარბეს და გრძნობების სიწრფელეს. შუბლწარბების უეცარი შეჭმუხვნა და თვალების განზე, ირიბად გახედვა. ეს იყო და ეს.

აი, პორტრეტული იერსახის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძირითადი შტრიხები, რომლებიც აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში დაწყებული 1946 წლიდან, მეთვალყურის, ე. წ. „რეპორტიორის“ როლში ყოფნიდან, ვიქტორ კუპრაძის სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის საპროფესორო ოთახში ერთმანეთს ეხვდებოდით, როგორც კოლეგები, ლექციებისათვის განკუთვნილ შუალედურ დროში.

ამ ხნის მანძილზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ოქროსა და ვერცხლის მედლების გარშემო პირველად ატეხილი აჟიოტაჟიდან, პედაგოგიკური მეცნიერების განვითარების გზების შესახებ თბილისში 1948 წელს გამართულ ამიერკავკასიის ზონალურ თათბირზე და შემდგომ, 1965 წელს, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში პროფესორ-მასწავლებლებთან ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრისას წარმოთქმული შესავალი თუ მისასალმებელი სიტყვებიდან, ჩემთვის მაინც განსაკუთრებულად ღირსსახსოვარი იყო ერთი ეპიზოდი, რომელიც, მიუხედავად დიდი ხნის გასვლისა, ახლაც ცოცხლად მიდგას თვალწინ.

საქართველოს განათლების სამინისტრო მაშინ მთავრობის სახლის უკანა ნაწილის მარცხენა მხარეს, მეექვსე სართულზე იყო მოთავსებული. მინისტრის ვრცელ კაბინეტში 1949 წლის 15 დეკემბერს პირველად ვესწრებოდი კოლეგიის სხდომას. გრძელ მაგიდას კოლეგიის წევრები უსხდნენ, თავში კი, თავისი სამუშაო მაგიდის ცენტრში, მინისტრი იჯდა. იგი ყურადღებით უსმენდა კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილის ირაკლი კვაჭაძის ინფორმაციას დღის წესრიგის მორიგ საკითხზე.

— პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექცია შუამდგომლობს, — ჩასჩერებოდა ცხვირზე მორგებული სათვალეებით ორივე ხელებში ჩაბღუჯულ საქაღალდეს პირმრგვალი ი. კვაჭაძე, და, თითქოს კითხულობსო, ზეპირად ახსენებდა საკითხის შინაარსს კოლეგიას, — რათა დამტკიცდეს ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორის უმცროს მეცნიერმუშაკის თანამდებობაზე 110 მანეთის საგანაკვეთო ტარიფით გა-

ზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის სასკოლო-მეთოდური განყოფილების გამგე (თქვენი მონამორჩილის სახელის, გვარის და მამის სახელის ჩინოვნიკური სიზუსტის ცხადყოფით), რომელსაც ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციალობით ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის სავალდებულო საგნები. წერილობითი თანხმობა რედაქციიდან ინსტიტუტში მისი გადაყვანის შესახებ საქმეშია ჩაკერებული. ხომ არ წაიკითხო?

— არა, არ არის საჭირო. — შესძახეს აქეთ-იქიდან.

მე ახალი დირექტორის და ყოფილი რედაქტორის უკანა რიგში ვიჯექი და ინსტინქტურად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ფეხზე წამოვდექი. ამ დროს დაისვა მატერიალური პირობების საკითხი. გრ. საჯაიას განმარტებით, საშუალოდ ჩემი ხელფასი და ჰონორარი ყოველთვიურად 140—150 მანეთს უდრიდა, რაც ნაკლებია ინსტიტუტის ტარიფზეო. ამით იგი უკანასკნელ ცდას მიმართავდა კოლეგიის წევრთა გადასაბირებლად და ამას სჩადიოდა ერთგვარი სინანულის გრძნობით ჩემ კეთილღეობაზე ზრუნვისათვის (ეხერხებოდა ასეთი გარეგნული, მოჩვენებითი ეფექტების შექმნა). მაგრამ, ეტყობოდა, კადრების სამმართველოს წინასწარ საკითხი „მაღალ“ დონეზე ჰქონდა მომზადებული. მხიბლავდა სამინისტროში დანერგილი ორგანიზაციული მუშაობის სტილი და ის იყო უნდა გამოესულიყავი სხდომიდან, სწორედ ამ მომენტში მოულოდნელად გაისმა მინისტრის მოკლე, სხარტი, ერთგვარად შემაჯამებელი სიტყვა.

— თვალყურს ვადევნებდი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამხანაგ აკაკი თოფურიას სტატიებს და წერილებს და ჩემს მოწონებას ყოველთვის იწვევდა ფიქრი და განსჯა. ეს ჟურნალისტისთვის სანუკვარი თვისებაა. მისი კანდიდატურა შენამატება ინსტიტუტისათვის, მაგრამ რედაქციისათვის — დანაკლისი. მე მხარს ვუჭერ კადრების სამმართველოს წინადადებას. მადლობის გამოცხადებით გავისტუმროთ ჩვენიდე ერთი დაწესებულებიდან და წარმატების კეთილი სურვილით დავამტკიცოთ ჩვენიდე — ამჯერად სამეცნიერო დაწესებულებაში სექტორის მეცნიერმუშაკად. მატერიალური პირობების შექმნა დაეკისროს ინსტიტუტის დირექციას.

ვინც მაშინ კოლეგიის აქ აღწერილ სხდომას ესწრებოდა, მათ სულთა აჩრდილებს თან გაჰყვა ვიქტორ კუპრაძის ამ სიტყვის ხსოვნა და სიზუსტე. და თუ მოხმობას შევბედავ, მხოლოდ იმისთვის,

რომ ნათელი დაადგეთ მასთან მუშაობის მცირე ეპიზოდის მოგონებისათვის. იგი მომავალს, შთამომავლობას სჭირდება.

სახელდობრ: 1. იმით, რომ იყო ასეთი მინისტრი, პროფესიით მათემატიკოსი, ახალგაზრდობაში ჟურნალისტად ნამუშევარი, ჟურნალისტური მძიმე შრომის დამფასებელი და მის თვისებრივ არსში ესოდენ ღრმად ჩამწვდომი, 2. იმით, რომ იყო ასეთი სამინისტრო, სადაც მუშაკთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის საკითხს, რა დონისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ესოდენ გაფაციცებული უურადღებით ეკიდებოდნენ, 3. იმით, რომ იყო ზოგჯერ ასეთი დაფასების, სტიმულის და ალმაფრენის მომნიჭებელი ატმოსფეროც.

წელან გაკვრით რედაქციის საუცხოო კოლექტივი ვახსენე. მისი შექმნა, რა თქმა უნდა, რედაქტორის დამსახურება იყო. გრ. საჯაიას კადრების შერჩევის კარგი ალღო ჰქონდა, მაგრამ შენარჩუნება უძნელდებოდა. მოწოდებით და მუშაობის გამოცდილებით შორს იდგა ჟურნალისტიკის დარგიდან. ამიტომ მთელი გულისყური და ენერგია გადატანილი ჰქონდა საქმის ადმინისტრაციულ-ორგანიზატორულ მხარეზე, რითაც თემატური სიახლით და მრავალფეროვნებით გაზეთის გამოშვებას წარმატებით აღწევდა.

ამ წარმატების ნამდვილი შემოქმედნი რედაქციის წამყვანი მუშაკები იყვნენ. ჩემამდე და ჩემ გვერდით, სხვადასხვა დროს, აქ მუშაობდნენ იმ ხანად სახალხო განათლების, ჟურნალისტიკის, ლიტერატურის სფეროებში საკმაოდ ცნობილი ადამიანები. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ნათლიმამობის ტრადიციული გრძნობით დამიახლოვდა და ოჯახური სითბო-სიყვარულით გულს მიხალისებდა, იყო ვარლამ ძიძიგური (1889—1957). დიახ, 20-იან წლებში დაწყებითი სკოლების I და II კლასებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს ბავშვობიდან ჩემთვის სანატრელი სწორედ ის ავტორი, რომელიც მოხსენიებული მყავს პირველ ნაწილში (გვ. 83).

თავისთავად ასეთ შეხვედრასაც ხომ შეხვედრა ჰქვია! მაგრამ მე ხომ მაშინ, სირიაჩქონში, წიგნის ყდაზე დაბეჭდილი სახელი და გვარი ზეადამიანის რაღაც ბუნდოვან სიმბოლოდ მესახებოდა და არამც და არამც არ წარმომედგინა მისი მიმსგავსება ადამიანების ჩვეულებრივ ფიზიკურ გამოსახულებებთან?!

და, აი, უცნაურობის ფანტასმაგორიიდან ვარლამ ძიძიგური რეალობის „ტროტუარებზე“ ყოველდღე დადიოდა ჩემ თვალწინ თავისი

ჩვეული, დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯებით. პირველივე სარედაქციო დავალება სასკოლო თვითშემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე დასწრების და მისი გაშუქების შესახებ ორივეს ერთად მოგვეცა და ამან თვით შექმნა პირობა მის ოჯახს დავკავშირებოდი. იქ მიბარებდა მასალების ერთმანეთთან შესათანხმებლად და წერილზე ორივეს ხელმოსაწერად (ვ. ძიძიგურის ძველი ბინა და იმ მიდამოს დასახლება ამჟამად აღარ არსებობს. მის ადგილზე სასტუმრო „იევრიაა" აღმართული).

ვარლამ ძიძიგური იყო საშუალო ტანის, ღაჟღაჟა ლოყებითა და ღაბაბით მუდამ პირმომღიმარი, ტკბილმოუბარი, ქველმოქმედი, ცხოვრებაში ჩახედული, ე. წ. ჭკუის საკითხავი კაცი. ლეგენდად იყო ქცეული მის მშობლიურ სოფელში — მათხოჯში სახალხო სახლის მშენებლობის დასაჩქარებლად 1925 წელს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მ. კალინინის ჩაყვანის იშვიათი ამბავი. ამ სახლში შემდეგ გაიხსნა მათხოჯის საშუალო სკოლა, რომელსაც ვ. ძიძიგურის სახელი მიეკუთვნა. 1980 წლის 5 ოქტომბერს თვით ვესწრებოდი სკოლის ეზოში მისი ძეგლის საზეიმოდ გახსნას.

ყოველივე ეს ვარლამ ძიძიგურმა დაიმსახურა ხანგრძლივი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით, იმ პატრიოტული თაოსნობით, დიდი გარჯით და მონდომებით, რომლის უშუალო შედეგი იყო 1947 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის შექმნა-დაარსება. ამ მუზეუმმა პირველად ბინა დაიდო თბილისის 51-ე საშუალო სკოლის პირველ სართულზე, ვესტიბიულის გვერდითა ოთახებში, ხოლო 50-იანი წლებიდან გადატანილ იქნა პირველი საშუალო სკოლის იმ ისტორიულ შენობაში, რომელიც ეროვნული ძალების მმართველობის წლისთავზე, 1991 წლის 22-23 დეკემბერს, შინა ბრძოლების — ძმათა ურთიერთმკვლელობის ტრაგიკულ დღეებში, ხანძრისგან განადგურდა. ცხადია, შენობასთან ერთად დაიწვა და ფერფლად იქცა მუზეუმის უნიკალური არქივი, სახალხო განათლების ისტორიის ეროვნული განძი.

მუზეუმის დაარსებიდანვე ვარლამ ძიძიგური შეუდგა სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეებისა და სახალხო მასწავლებლების შესახებ მასალების შეგროვების, შესწავლის, განზოგადების და კრებულებად გამოცემის საშვილიშვილო საქმეს, რაც მისი სიკვდილის

შემდეგ თანდათან მინელდა, შეყოვნდა და ბოლოს სულ შეწყდა. გულნაკლული წავიდა ამ ქვეყნიდან ვარლამ ძიძიგური, რომელმაც პირველად შექმნა დაწყებით სკოლაში ქართული ენის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო წიგნი. იგი მან გადამუშავებული სახით საკვალიფიკაციოდ წარადგინა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და აქ გზა გაუხსნა „სახალხო განათლების“ ფურცლებზე 1951 წელს ტენდენციური წერილის გამოქვეყნების შედეგად[1]. ამ წერილის უკან იმ დროისათვის ენათმეცნიერების ფრონტზე გაბატონებული ძალები, მათ სახელს ამოფარებული მოჭიშპენი იდგნენ, რის გამოც ინსტიტუტის დირექციამ ვერ შეძლო დისერტაციის დაცვის პროცედურამდე მიეყვანა საქმე. ღვაწლმოსილი პედაგოგის ავადმყოფი გულისთვის ასეთი ვერაგული „დარტყმა“ ძნელად გადასატანი აღმოჩნდა.

საბედნიეროდ, გზა გაიკაფა მისმა მემუარულმა ნაშრომმა სახელწოდებით — „მასწავლებლის მოგონებები“, რომელიც ქალბატონმა კობო ძიძიგურმა (მიქელაძემ) გადმომცა 1958 წლის 21 იანვარს ასეთი წარწერით: „საყვარელ აკაკის ვარლამის მოსაგონებლად“. გარემოებამ წილად მარგუნა განუყრელად ახლო ვყოფილიყავი ამ დიდბუნებოვან, შინაგანი კდემამოსილებით აღსავსე ადამიანებთან.

სოლომონ ცაიშვილს (1900—1957) ჯერ კიდევ ომამდე ვიცნობდი მასწავლებლის სახლთან არსებული ლიტერატურული წრიდან. მაგრამ ეს იყო მხოლოდ შორიდან დანახვით, აბა, ახლო ურთიერთობა საიდან მექნებოდა. ისევ ის თეთრი პენსნე ეკეთა თვალებზე, ისევ ის ჩუმი, მოკრძალებული, უწყინარი და მუდამ ფიქრებით დაკავებული სოლომონი — პედაგოგი, ლიტერატორი, ჟურნალისტი იყო. ახლა ჩემი მაგიდის პირდაპირ და კორესპონდენციებს ასწორებდა მორიგი ნომრისთვის. მისი ხშირი სტუმარი იყო იმავე ლიტერატურული წრიდან იოსებ იმედაშვილი. ნაბადი, როგორც ყოველთვის, ცალ მხარზე ჰქონდა მორგებული, კახური ქუდი ეხურა, ისევ ისე მხნედ გამოიყურებოდა, ოდნავ უფრო გაჭაღარავებული და თეთრწვერებმოშვებული.

სოლომონ ცაიშვილის აქტიური მონაწილეობით მომზადდა ივანე გომელაურის პედაგოგიური მოღვაწეობის სამოცი წლისთავის აღსანიშნავად ჩვენი გაზეთის საიუბილეო გვერდი, რომელშიაც დი-

[1] იხ. „სახალხო განათლება“ 1951, № 17 (24. IV).

ბეჭდა ი. იმედაშვილის მოგონება სათაურით — „მოქალაქე და ადამიანი“. იგი მთავრდებოდა საგულისხმო სიტყვებით: „მე რომ მოქანდაკე ვიყო და შემეძლოს სხეულთან ერთად ადამიანის სულის ვითარების გამოძერწვა, ვანოს გამოვაქანდაკებდი ზედ წარწერით: „ახალგაზრდებო, იყავით ასეთი მასწავლებელი“ და სკოლებს დავურიგებდი თვალსაჩინო ადგილას დასადგმელად, რომ ყოველ მასწავლებელს ყოველ დილით ისეთივე გულწრფელობით, ისეთივე სიწმინდით, ისეთივე ჰუმანიურობით და სწავლა-აღზრდის ისეთივე ღრმა რწმენით შეედგათ ფეხი კლასში, როგორც ვანო გომელაურმა იცრდა და იცის“ („სახალხო განათლება“, 1948, № 49). ჩემზე გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ასეთი სიტყვები, თვით ორივე წინაპრის ცოცხალი სახე, რედაქციაში რომ ეხედავდი.

სოლომონ ცაიშვილი რედაქციიდან სახალხო განათლების მუზეუმში გადავიდა სამუშაოდ და მხარში ედგა ვ. ძიძიგურს არა მხოლოდ სამუზეუმო-ორგანიზაციულ, არამედ ზემოთ ნახსენები იმ კრებულების შედგენისა და გამოცემის საქმეებშიც, რომლებიც ფაქტობრივად მისი უშუალო მეთვალყურეობით, ავტორობით და გულმოდგინებით მზადდებოდა. ამის მოწმე თვით ვიყავი. მე წილად მხვდა, მაგალითად, რედაქციაში მუშაობის პერიოდში მუზეუმის დაკვეთით დამეწერა სტატია-ნარკვევები ი. ფერაძის, კ. გაგუას, პ. კაპანაძის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ისინი გამოქვეყნებულია კიდეც ცალკეულ კრებულებში („სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, ტ. I, 1953, გვ. 291—296 და სხვ.).

ერთხელ სოლომონ ცაიშვილი ვერეს ხიდზე შემხვდა, გამაჩერა და გაცისკროვნებული თვალებით მახარა: — პაველე ინგოროყვამ მკითხა შენზე, ვინ არისო. მე ვუხსენი, ვინც იყავი. რატომ მეკითხებით მეთქი, რომ ეუთხარი, გამანდო: „მნათობში“ მისი წერილი იბეჭდება ილია ჭავჭავაძეზე, წამაკითხეს და სასწრაფოდ პირველი ტომის ბეჭდვა შევაჩერეო. უნდა გადავაკეთო ერთი ადგილი და მოვიხსენიებ უეჭველადო. პაველე ინგოროყვა იშვიათად აჯილდოებს ამგვარი პატივისცემით ვინმეს. — დაუმატა ბოლოს და მკითხა, რას ეხება წერილიო.

ეს იყო ჩემთვის მოულოდნელი სიურპრიზი. ჟურნალ „მნათობის“ 1950 წლის მე-11 ნომერში გამოქვეყნებული წერილი „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაო-

ბის საკითხისათვის)“ მიზნად ისახავდა დაერღვია პ. ინგოროყვას მტკიცებით გავრცელებული შეხედულება, რომ ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ სახელს პირველად გაეცნო 1860 წელს ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ პეტერგოფში მიწოდებული ხელნაწერი კრებულიდან. ეს თარიღი ჩემ წერილში მოხმობილი არგუმენტებით უნდა გადაწეულიყო უკან, სახელდობრ, 1852 წლით, როცა „ცისკარში“ პირველად მოხდა პოეტის რამდენიმე ლექსის პუბლიკაცია.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ათტომეულის პაველე ინგოროყვასეული გამოცემის პირველი ტომი, მეორესთან შედარებით, მართლაც გვიან გამოვიდა. მას წამძღვარებული ჰქონდა პ. ინგოროყვას ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომლის 48-ე გვერდზე, სქოლიოში, მართლაც არის დასახელებული ჩემი წერილი პ. ინგოროყვას ასეთი მინაწერით — „რომელიც მთელ რიგ სწორ დებულებებს შეიცავს“. ხოლო სქოლიოს ზემოთ, უკანა 42-ე გვერდზე, ავტორის მიერ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ საკითხზე ადრე გამოთქმული შეხედულება „როგორც ირკვევა, არაა სწორი“. ეს იყო ლიტერატურისმცოდნეობის ასპარეზზე ჩემი გამოჩენის პირველი ნიშანი, რომლის მაუწყებლად და მესაიდუმლედ ს. ცაიშვილის სახით ღმერთმა ღვთიური ბუნების ადამიანი მომივლინა.

სოლომონ ცაიშვილს ი. მეუნარგიას „ქართველი მწერლების“ ორი ტომის გამოცემის გარდა თუნდაც არაფერი გაეკეთებინა, ესეც საკმარისი იყო მისი ხსოვნისა და მოღვაწეობის დასაფასებლად. საცხოვრებლად ვაკეში გადასული, თავის ახალ ბინაში რომ ვნახე (კავსაძის და ფალიაშვილის ქუჩების კუთხესთან) მძიმე, მწოლიარე ავადმყოფი იყო. მეუღლე, ქალბატონი ფატი ჯაყელი, თავადაც პედაგოგი, თავს დასტრიალებდა და საყვედურობდა — ლოგინშიც არ ისვენებს, სულ ქაღალდებში იბურჯგნებაო. გვერდითა სკამებზე მართლა დახვავებული იყო საქაღალდეების დასტები გამოუქვეყნებელი ხელნაწერებით. ისინი დაიბეჭდნენ და განაგრძობენ ამ შესანიშნავი ადამიანისა და მოქალაქის სულიერ სიცოცხლეს.

რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად და სტილისტად მუშაობდა ვ ლ ა დ ი მ ე რ მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი (1913—1964) — კვალიფიციური, დახელოვნებული, პროფესიონალი ჟურნალისტი. იგი ეკუთვნოდა ჟურნალისტთა იმ თაობას, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“

ტრადიციებზე იყო აღზრდილი და გამოწრთობილი. ეს ტრადიცია 20-იანი წლების მწვავე კლასობრივი ბრძოლის თეორიიდან იყო აღმოცენებული და გამოირჩეოდა ულმობელობით, კრიტიკული სიმძაფრით და სიმახვილით. ყველა ამ ნიშანთვისებას გამოხატავდა ვ. მგალობლიშვილი გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, როგორც მისი სპეციალური კორესპონდენტი (იგივე თანამშრომელი), რომელიც 1932 წლიდან სისტემატურად აქვეყნებდა მამხილებელ ფელეტონებს სოციალიზმის მშენებლობის მიმდინარე მტკივნეული პროცესების ირგვლივ. პრესის მეშვეობით იგი კომუნისტური იდეალებისათვის მებრძოლის მისაბაძ მაგალითს იძლეოდა. ყოველივე ეს ნაწილობრივ, ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდიდან, ვიცოდი, როცა გაზეთის ყოველი ნომრის წაკითხვა მოთხოვნილების საგნად მქონდა გადაქცეული.

ვ. მგალობლიშვილთან პირველი შეხვედრით აღძრული ჩემი შთაბეჭდილება აბსოლუტურად საწინააღმდეგო, დიდად დაშორებული აღმოჩნდა შორიდან შემუშავებული ოდიოზური წარმოდგენებისაგან. ორი-სამი კვირა დასჭირდა, გამეფანტა გაოცების ბურუსი, შემეცნო და გამეგო გარეგნულად ამ თითქოსდა მიუკარებელი, ყველაფრის მიმართ ინერტული ინდივიდის ბუნება-ხასიათი. 1937 წლის რეპრესიების შედეგად ვ. მგალობლიშვილის სულში ჩაფერფლილი მგზნებარების აღდგენა, მისი კვლავ ანთება შეუძლებელი იყო. ეს უპირველესად თვითონვე ეგრძნო, როცა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის დატოვება იძულებით მოუხდა. ამ გარემოებამ იგი ილუზიების სფეროდან ერთბაშად შიშის სამყაროში გადაისროლა და მოაქცია შეზღუდულ ჩარჩოში, სადაც შემოქმედებით უნარს შეზღუდულივე სამოქმედო სარბიელი უნდა ეპოვნა. ასე მოევლინა ყოფილი კვალიფიციური ჟურნალისტი მკითხველ საზოგადოებას უბადლო სტილისტად და დახელოვნებულ, ჰეშმარიტად პროფესიონალ მთარგმნელად.

ტიტანურ, არაადამიანურ შრომას ეწეოდა ამ დარგში ვ. მგალობლიშვილი. თუ ბელინსკის და ჩერნიშევსკის თარგმნა შინაგანად რაიმე ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა, უნდა ვიფიქროთ, ამგვარი სიამოვნებისაგან დაცლილი იყო, ალბათ, როცა დავალებით უხდებოდა... დიახ, დავალებით იგი შედიოდა მობილიზებულ მთარგმელთა იმ ჯგუფში, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა საქართველოში ლენინის თხზულებათა მეოთხე ქართული გამოცემა. ამიტომ „სა-

ხალხო განათლებაში“ შეთავსებით მუშაობდა, კვირაში, მგონი, ერთი თუ ორი დღე და ერთ წუთსაც ვერ ნახავდით უსაქმოდ, თავაწეულს და მოცლილს. მისი სამუშაო საათები არ განისაზღვრებოდა ასტრონომიული დროით, იგი ექვემდებარებოდა მოვალეობისა და საჭიროების მოთხოვნას.

ერთხელ დავდგომივარ თავზე და მინახავს თავისი საშინაო-საინსპექტორო ფუნქციის შესრულების შემდეგ როგორ ედო საწერ მაგიდაზე ხელმარცხნივ ლენინის ტომი, როგორ ჩაკირკიტებდა სათვალეებიდან ფურცლებზე ჩამწკრივებულ სტრიქონებს და, თითქოს ავტომატურად, როგორღა სისწრაფით, როგორ ჩქარ-ჩქარა გადაჰქონდა მარჯვენა ხელით ცარიელ ქაღალდზე აზრები და წინადადებები, რათა მემანქანეს არ მიკლებოდა რემინგტონზე გადასაბეჭდად და არ დაბრკოლებულიყო პირდაპირ სტამბაში ჩაგზავნა.

ასე ხდებოდა ყოველდღე ხან ჩვენთან, ხან „იმელში“ კონვეიერულ-სერიული სისტემით ლენინის გადაქართულება. ასე გადაიღალა, არა, ასე „გადაიწვა“ ტეინის უხილავი უჯრედების მაცოცხლებელი „ნათურები“, ასე გაჩნდა ტკივილიანი, მტანჯავი, უძილო ღამეები. და ბოლოს, თვითმკვლელობით ასე დასრულდა ვლ. მგალობლიშვილის ხანმოკლე ცხოვრების უკუღმართობით შელახული გზა.

პარადოქსი! ტრაგიკულის და კომიკურის შენაზავი! შიშის ფსიქოლოგიური წნეხის აპოგეა!

თბთქოს ჩემს მისვლას უცდიდნენო, ხუთწევრიანი პირველადი პარტიული ორგანიზაცია რედაქციასთან 1946 წლის მაისიდან ჩამოყალიბდა და მისი მდივნის მოვალეობას ვასრულებდი ინსტიტუტში გადაყვანამდე. ასეთი პოლიტიკური ორგანიზაცია ყოველი წარმოება-დაწესებულების შემადგენელ კომპონენტად ითვლებოდა და, ალბათ, როგორც ჩვენთან ისე სხვაგანაც, შტატის მუშამოსამსახურეთა საერთო რაოდენობის შედარებით მცირე ნაწილს, ან მცირე ბირთვს შეადგენდა. მისი მთავარი დანიშნულება, პარტიის ხაზის გატარებასთან კრებების ჩატარების ჩათვლით, საბოლოოდ საწევრო ანარიცხების აკრეფაში მდგომარეობდა. მაგრამ მდივნის მოვალეობა, რა თქმა უნდა, მარტო ამით არ იფარგლებოდა. რაიკომის პარტთათბირებსა და ე. წ. თეორიულ კონფერენციებზე დასწრება და მონაწილეობა სავალდებულო იყო, ხოლო დამატებით ზედავალებათა შესრულება — ზესავალდებულო.

ორგანიზაციის ხუთი წევრიდან ოთხი ნაფრონტალი, ნაჭრილობე-

ვი და ნატყეევარი იყო. მაგალითად, რედაქტორის მოადგილეა გივი ხიორაძეს, აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ყოფილ ინსპექტორს და კოლეგიის წევრს, ჭრილობებისგან ცალი ფეხი ისე ჰქონდა დაზიანებული, კოჭლობდა კიდეც. ვახტანგ სიხარულიძეს გამოელილი ჰქონდა ფაშისტური გერმახიის ტყვეთა ბანაკებიდ და შემდგომ, საკუთარ წიგნში — „მავთულხლართების ტყვეობაში“ გადატანილი ტანჯვის გამოსახვის გარდა მან დიდი შრომა შეალია წინანდელი სახელგამის მეშვეობით დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ოთხი ტომის მომზადებას და გამოცემას (თანაშემდგენელთან ერთად) საერთო სათაურით — „ომის გზებზე“. მიუხედავად ამისა, არც პარტიულობის და არც ომში ნამსახურობის ნიშნით არ მახსოვს ვინმეს რაიმე უპირატესობა ან პრივილეგია ჰქონოდა.

ზემოხსენებულთა გარდა, ჭიხვილ კეკელიძე იყო ეს თუ შალვა შენგელი, ვასო ბაიაძე თუ დავით თაბუკაშვილი, გრიგოლ ზაქარაია თუ მერი ადამია, ნუნუ ხომერიკი თუ სიმონ ლორთქიფანიძე, ერთი სიტყვით, რედაქციის თანამშრომელთა ერთიან კოლექტივში არავინ გრძნობდა ერთმანეთს შორის რაიმე განსხვავებულობას, სუფევდა ურთიერთპატივისცემის, კოლეგიალობის, სიყვარულის საოცრად თბილი, მოსაგონებლად კიდეე უფრო საამო და სასიამოვნო ატმოსფერო. იგი აგებული იყო არა ქვენა, ეგოისტურ გრძნობებზე, არამედ უშუალობასა, გულწრფელობასა და გულითადობაზე.

ამიტომ ჩვენთან მაშინ არ არსებობდა კონფლიქტური სიტუაციების შინაგანი პრობლემა. ყველახი — დაწყებული რედაქტორიდან დამთავრებული ტექნიკურ მუშაკამდე — საერთო საქმის, გაზეთის ხარისხის, მისი ავტორიტეტის ამაღლების ინტერესებით ვიყავით განმსჭვალულნი და გაერთიანებულნი. არავითარი დანდობა, მხარდაჭერა ზნეობრივად სახელგატეხილებს, „ძმა-ბიჭობას“, „მუქთახოროობას“, ყოველმხრივი თანადგომა პატიოსნებას, მოვალეობის შეგნებას, იდეალების ერთგულებას. ომამდელი პერიოდივით ეს პრინციპი ედო საფუძვლად გაზეთის სარედაქციო მოქმედების მექანიზმს, იგი ასახავდა საზოგადოების, მასების ძირითად განწყობილებას, სულისკვეთებას და, მაშასადამე, გვიქმნიდა კიდეც პრესტიჟს მკითხველთა ფართო წრეში. ამ მხრივ ერთიანობის მასაზრდოებელი გარეგანი ფაქტორების როლი და მნიშვნელობა უაღრესად დიდი და გადამწყვეტი იყო.

ფასების ყოველწლიური დაკლების დიდმა სახელმწიფოებრიებმა პოლიტიკამ და ფულის რადიკალურმა რეფორმამ სწრაფად გადაწყვიტა ომამდელი ეკონომიკური დონის მიღწევის, მანეთის კურსის განმტკიცების და მისი ყიდვითი უნარიანობის გაძლიერების უმთავრესი ამოცანა. ამას თან მოყვა: 1. სამრეწველო და სასურსათო მაღაზიების ცარიელი თაროების პირველი მოთხოვნილების აუცილებელი საგნებით, ნივთებით და პროდუქტებით ავსება, 2. ყველგან და ყველაფერში ძველებური წესრიგის აღდგენა, 3. ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და რიგების მოსპობა, 4. საშინაო საქმეების სტაბილიზების პარალელურად ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის უდიდესი მასშტაბით კიდევ უფრო გაზრდა და ამაღლება.

ამ უკანასკნელის რეალობას თვალნათლივ მოწმობდა: 1. ახლადშექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მის უშიშროების საბჭოში სსრ კავშირის განსაკუთრებული როლისა და ადგილის საყოველთაოდ აღიარების, 2. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში — პოლონეთსა, ბულგარეთსა, იუგოსლავიასა, რუმინეთსა, უნგრეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და აღმოსავლეთ გერმანიაში ე. წ. სახალხო დემოკრატიის პრინციპით მმართველობის ახალი ფორმების დამკვიდრების, 3. აზიის კონტინენტზე — ჩინეთსა, მონგოლეთსა, ვიეტნამსა და ჩრდილოეთ კორეაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინების, 4. აზიისა და აფრიკის სხვა ქვეყნებში ამ მოძრაობის ფართოდ შეჭრის, 5. ამრიგად, სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბების, როგორც დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი გამარჯვების ლოგიკური შედეგის, ასევე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ფაქტები.

ბეცი უნდა ყოფილიყავი, იმ დროის ეიფორიულ საერთო ფონზე არ გეგრძნო ამ ისტორიული მოვლენების ბუმბერაზობა და სიდიადე, მისი საპატიო, საამაყო ხასიათი, საკუთრივ არ დაგენახა და არ შეგემჩნია სასურსათო მაღაზიებში მთელი დღე გამოფენილი სამი ხარისხის საჭონლის ახალი ხორცი სამნაირი ფასით — კილოგრამში მანეთი და ოცი კაპიკიდან მანეთი და ოთხმოც კაპიკამდე, კარაქის, ყველის, თევზეულობის სიუხვე და მრავალსახეობანი, წითელი და შავი ხიზილალის, ძეხვეულის ნაირნაირი ნიმუშები, ნაირნაირი კომფოტების, მურაბების, ტკბილეულობის, ნამცხვარების, პურეულობის ასორტიმენტები და „ფასონები“. წყალგარეულ თუ შაქარგარე-

ულ ღვინოს არსებობაზე მაშინ ხომ გაფიქრებაც არ შეიძლებოდა! ლუდი ლუდს ჰგავდა, ჩვენიც და „ბავარიულიც", არაყი და კონიაკი — დეგუსტატორის ნახელავს.

შესვენების საათებში თუ რვასაათიანი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ხშირად ჩაედიოდით რედაქციასთან ახლო მდებარე ხან ერთ („გემო"), ხან მეორე („ყაზბეგი") რესტორანში, რომელთაც „ზემელთან" ურთიერთ მოპირდაპირე სახლების კარგად მორთული, განათებული სარდაფები ეკავათ და გულარხეინად შეეექცეოდით გემრიელად შეკაზმულ და თავაზიანად მორთმეულ საჭმელებს ქართული სუფრის დამამშვენებელი არომატული სასმელით (მენიუში ყოველთვის იყო, როგორც წესი, საცივი, ღომი, მჭადი, სულუგუნის ყველი, მწვადი, შებრაწული ქათამი მოხარშული ბაყას საკაზმით, ჩახოხბილი, გოჭის ხორცი, ყაურმა, ერთი სიტყვით, რასაც მოისურვებდი. ფულის შოვნა უფრო ჭირდა, ვიდრე პროდუქტის).

სიხარულს, სიამოვნებას გგვრიდა ასეთი მოლხენა, გვაახლოებდა, გვაყვარებდა ერთმანეთს, შრომის და ცხოვრების სტიმულს გვაძლევდა. არავითარ სინანულს არ იწვევდა ის მცირე დანახარჯი, რომელსაც თითოეული ვიღებდით ერთმანეთის პატივსაცემად. ხუთკაციანი მეგობრული სუფრა, მახსოვს, 12—15 მანეთს არ აცილდებოდა. ერთი საგაზეთო სტატიის საფასური იყო. ვხვდებოდით ერთმანეთს ოჯახებშიაც არა მხოლოდ საახალწლოდ და სადღესასწაულოდ, თითოეულის სურვილის და ინიციატივის მიხედვითაც. ჩვენს ცნობიერებას, შეგნებას და ურთიერთდამოკიდებულებას ყოველგვარ გაჭირვებასა და სინაკლებეში წინანდებურად წარმართავდა ხვალინდელი დღის იმედი და უკეთესი მომავლის რწმენა. აი, ეს იყო მთავარი.

ამიტომ მუშაობის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ ათმეტრიან სარდაფიდან საცხოვრებლად ვეძინის ქუჩის ცოტა ქვემოთ, ოძელაშვილის ქუჩაზე (№ 18) თექვსმეტმეტრიან ყოფილ სამზარეულოში გადასელა დიდ ფუფუნებად, პროგრესად უნდა მიმეჩნია და მიმაჩნდა კიდეც. ეს მოხდა 1946 წლის ზაფხულის დასაწყისში. ჩემმა სახლის მეპატრონემ ახალი სახეირო „მუშტარი" გაიჩინა, „ოტსტუპნოის" დასაბრუნებელი ფულით ვითომდა კომუნალური ოთახიდან მარტოხელა მოხუცი ქალი გაიყვანა, სახლმმართველობაში ჩემი ამოწერა-ჩაწერის საკითხი წინასწარ მოაგვარა და მხოლოდ ამის შემ-

დეგ გამიმხილა — თუ შეიძლება იქ გადაბრძანდიდთო. უარს რო-გორ ვეტყოდი!

პერს რომ ხელით ვწვდებოდი, მარცხნივ და მარჯვნივ მობინადრეთა საერთო სამზარეულოების რკალში რომ ვიყავი მომწყვდეული, უკანა კედელი ვეძინის ასახვევიდან მიწის ნესტით რომ იყო გაჟღენთილი, ან ეზოს საერთო საპირფარეშოში სახიფათო მიხვეულ-მოხვეული გზებით რომ უნდა მევლო, — ყოველივე ეს რა ღმერთის წყარომა იყო იმასთან შეფარდებით, რაც ახალ ბინას გააჩნდა. ეზოდან იგი მეორე სართულად ითვლებოდა, ჰქონდა ფანჯარა, შეგეძლო გადაგეხედა მოაჯირიდან და გეგრძნო ერთი საფეხურით მაღლა დგომის სიამაყე!

ჩემ წინანდელ პრიჯინა რკინის ლოგინს პატარა ოთახის შესაფერისი პატარა მაგიდა, ოთხი სკამი და ერთი ტახტი შეემატა და... ჰაიდა! სიხარულისგან გასაფრენად მზად ვიყავი. აი, სწორედ იმ ნამცეცა სიხარულმა გამახსენა თბილისში ჩამოსვლის მთავარი მიზანი — სწავლის გაგრძელება.

იმავე წლის სექტემბრიდან მე უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების[1] ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ვიყავი. მუშაობის პარალელურად, ადრე სამასწავლებლო ინსტიტუტში გვლილის დამატებით, უნდა ჩამებარებინა ექვსი განსხვავებული საგანი, რათა სახელმწიფო გამოცდებზე დაშვების ნება მოეცათ. ეს საგნები იყო: ლათინური ენა, დიალექტოლოგია, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა, ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი, ძველი ქართული ენა, უახლესი რუსული ლიტერატურა.

...ერთხელ რედაქციაში დავიბარე — საგნის ჩასაბარებლად მივდივარ-მეთქი. ბატონმა ვარლამმა ყური მოკრა და უმალ მკითხა: რა საგანს აბარებო. ვუპასუხე, რაც იყო. გამაჩერა და მითხრა: დღეს ნუ წახვალ, ამაღამ შოთას ვეტყვი და ხვალ გაგიფორმებსო. არ გასჭრა ჩემმა უარმა. ყოფილი ძერჟინსკის, ახლანდელი პავლე ინგოროყვას ქუჩაზე, მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტს პირველი სართული ეკავა, ქართველურ ენათა გან-

[1] განყოფილებას მაშინ ხელმძღვანელობდა დოცენტი ანდრო ჭილაია (შემდეგში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჭართულ ენაზე ლიტმცოდნეობითი ცნებების ლექსიკონის პირველი შემდგენელი და გამომცემელი ო. შუმანიასთან ერთად).

ყოფილებას კი — ერთი დიდი ოთახი. შესვენების საათის შემდეგ აქ მივაგენი ლექტორის ადგილსამყოფელს. ოთახში რამდენიმე მაგიდა იდგა. თანამშრომლებიდან თავდახრით ზოგი რაღაცას წერდა, ზოგი რაღაც გაურკვეველ პრობლემაზე ფიქრებს გაჰყოლოდა და გაშეშებით დუმდა, ზოგი ჭერს მისჩერებოდა. ფანჯრის სინათლე ქუჩიდან მრუმედ ანათებდა. მე ჯერ ისევ სამხედრო ფორმის კიტელი მეცვა. ნოემბრის შუარიცხვები იყო.

ლექტორს საგამოცდო ფურცელი გადავეცი. დახედა, სახეზე არც კი შემოუხედავს, ისე მითხრა: ჩაიწერე კითხვები, მოიფიქრე და მიპასუხეო. და ჩამაწერინა სამი საკითხი. სამივე შეეხებოდა დიალექტებისა და სალიტერატურო ენის ურთიერთობის, დიალექტური ფორმების თავისებურებებს. პირველ ორ კითხვაზე შედარებით თამამად გავეცი პასუხი, ხევსურული გამოთქმის ნიუანსებში წაბორძიკება აშკარად მემჩნეოდა. ლექტორი წარბებშეკრული განზე იყურებოდა. წამოდგომას ვაპირებდი ხელმეორედ მისასვლელად, მაგრამ ფურცელი უკვე შევსებული და ხელმოწერილი იყო. მომაწოდა და სწრაფად გამოვედი ოთახიდან. დერეფნის გავლა ვერ მოვასწარი, ზურგიდან წამომეწია, შემაჩერა და რაღაც შეწუხებული სახით მითხრა:

— მოიცა, მოიცა, თქვენ... მაჩვენეთ ფურცელი. ო, კიდევ კარგი ოთხიანი დამიწერია, ისე ხუთის დაწერა შეიძლებოდა. მამაჩემმა არ გაიგოს, თუ კაცი ხარ. სულ დამავიწყდა. ხომ იცი, ათას ფიქრებში ვართ მეცნიერები. არ გეწყინოს, თუ კაცი ხარ. აკაკი არ ხარ შენ, მამაჩემის საყვარელი მეგობარი? სულ შენზე ლაპარაკობს. მოიცა, ახლა მეც მოვდივარ, ერთად წავიდეთ.

მართლაც, ერთად წამოვედით. ჩამოვიარეთ ოძელაშვილის ქუჩის ქვემოთ, ბელინსკის ასახვევთან, სასაუზმეში შევედით და დავლოცეთ ერთმანეთი.

— არა, ოთხიანი ისედაც გეკუთვნოდა, შემეძლო ხუთიანი დამეწერა, მაგრამ ხომ გამოვიჩინე პრინციპულობა, ა, აკაკი, ასეა ხომ. — იმეორებდა ნათქვამს შეზარხოშებული გზადაგზა და მანამ არ მომიშორა, სანამ სახლში არ მიმიყვანა დედ-მამასთან წარსადგენად...

ეს იყო ჩემ ცხოვრებაში პროტექციით სარგებლობის (თუ ამას სარგებლობა ჰქვია) ერთადერთი ეპიზოდი, რომლის გაკვეთილი, როგორც დაინახეთ, „ბრწყინვალედ" ჩამიტარა იმ დროისათვის დო-

ცენტმა (შემდეგში აკადემიკოსმა) შოთა ძიძიგურმა. აბა, რა მისი ბრალი იყო. მაშინ ჯერ კიდევ სათანადოდ დახვეწილი და შემუშავებული არ იყო პროტექციონიზმის მოქმედების „რთული" მექანიზმი. სახელმწიფო გამოცდები 1947 წელს ჩავაბარე.

მას წინ უძღოდა ორი საინტერესო მომენტი, რომელმაც მასტიმულირებელი როლი შეასრულა არა მხოლოდ გამოცდების წარმატებით ჩაბარებაში, არამედ ჩემს შემდგომ საქმიანობასა და ცხოვრებაში. ამიტომ საგანგებოდ უნდა შევჩერდე ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორივე მომენტზე, როგორც ერთი ამბიდან წარმოშობილ მოვლენებზე. საქმე ეხება დიდ სამამულო ომში პიროვნების ბედს, მის სულიერ ძლიერებას, ლიტერატურით გატაცების შთამაგონებელ მაგალითს.

ჩემი უმცროსი ძმა — აბესალომი, რომელიც 1940 წლის დეკემბრიდან მოქალაქეობრივ ვალს ჯარისკაცის ფარაჯით ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის მეთერთმეტე არმიაში იხდიდა,დაიკარგა ომის დაწყების პირველი დღიდანვე. გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის" 1945 წლის 2 ნოემბრის ნომერში (№ 214) გამოვაქვეყნე ლექსი სათაურით „სიმღერა ომში დაკარგულზე", რითაც შეეცადე გამომესახა მშობლებისა და და-ძმების საერთო გულისტკივილი. ეს იყო საიდუმლოებით მოცული ოჯახური გამომშვიდობების, გამოტირების თავისებური, მტკივნეული გამოხატულება.

და, აი, საოცრება! 1947 წლის აპრილის დასაწყისში ოძელაშვილის ქუჩაზე ჩემს ვიწრო, დაბალჭერიან ბინაში მოულოდნელად, ადრე დილით, თავზე დამადგა უგზოუკელოდ დაკარგული, დავაჟკაცებული ძმა და სიხარულისგან სულისმოთქმა არცკი მაცალა, პირდაპირ ხელისკერით აივანზე გამიყვანა და მაიძულა გავყოლოდი... სად? ვისთან? რა დროს წასვლაა? რა უცნაურობაა! — ვეკითხები, ვეწინააღმდეგები, ვებრძოლები, ვეჭაჩები, მაგრამ ძალისძალით ეზოდან ქუჩაზე გავედით, მისამართი დამისახელა და მივდივართ...

ყოფილი ჯაფარიძის (ახლანდელი პაოლო იაშვილის) ქუჩაზე მდებარე ცამეტ ნომერ სახლს როგორც კი მივადექით, შესასვლელთან შევჩერდი და ვკითხე დიდი ხნის უნახავ ძმას:

— ახლა მაინც მითხარი, ვისთან მიდიხარ.

— კონსტანტინე მელოდება. — მიპასუხა ისე თავდაჯერებით, გეგონებოდათ, ეს ვიღაც კონსტანტინე მისი ფრონტელი ამფსონი

უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, მართლა ეპატიებოდა ყველაფერი.

— ვინ კონსტანტინე, მე რატომ მიგყევარ-მეთქი. — ეკითხე განმეორებით.

— ვინდა, კონსტანტინე გამსახურდია. — მიპასუხა გაღიმებით.

— ხომ არ გაგიჟდი. საუზმე არ გეიჭამია, შენი ჩამოსვლის სადღეგრძელო არ დამილევია, ასე ადრიანად როგორ ბედავ მასთან მისვლას! ან რომელი შენი ნაცნობი ის არის, თავი გაუტოლო-მეთქი. — გაეცხარდი და უკან მობრუნება ვცადე. გაგონილა? განა დამიჯერა. პირიქით — ხელით მიბიძგა, წინ გამყევი, ნახავ, როგორ მიმიღებსო.

მართლაც, მეორე სართულზე ბნელი დერეფანი რომ გავიარეთ, ჯერ ხანში შესული ქალი შემოგვხვდა, გეკითხა — ვინ ბრძანდებითო. სანამ დიასახლისი მობრუნდებოდა, ოთახის კართან პიჟამოთი გამოწყობილი ბატონი კონსტანტინე უკვე იდგა და მიწვევის ნიშნად ხელგაშლით ეგებებოდა აბესალომს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ აბესალომ. პირობა შეასრულე. შემოდი, შემოდი. — თქვა ეს სიტყვები და ოთახში შეიპატიჟა.

სამუშაო კაბინეტი მოცულობით უფრო დარბაზს ჰგავდა. შუაში მაგიდა იდგა დარბაზის შესატყვისი, დიდი, დიდი. წიგნების კარადები კედლებიდან თითქოს შორეულად ჩანდა. დასავლეთის მხრიდან ერთადერთი ფანჯრის დიდი სინათლე მაგიდას კარგად წვდებოდა, კუთხეებს კი მრუმედ. დაჯდომისთანავე მოახლე-დიასახლისმა შემოიტანა საუზმე და მაგიდის ერთ კიდეზე დაალაგა. ამით ჩემთვის გასაგები გახდა მოლოდინის რეალობა. თუმცა სტუმრისათვის წინასაშზადისი გერმანულ სიძუნწეს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე კოლხურ გულუხვობას. სამ პატარა თეფშზე თანაბრად თითო კვერცხი, თითო ნაჭერი ყველი და მჭადის მომცრო, თითქოს ობლისკვერი იდო. ამას მოყვა ერთი ბოთლი ღვინო სამი სათითის ოდენა ყანწით, რომლის მსგავსი მანამდე არსად მენახა.

— სარდიონი როგორ ბრძანდება თავისი ულვაშებით, დედათქვენი ხომ კარგად არის? — მოიკითხა ბატონმა კონსტანტინემ აბესალომის მშობლები. მე გაოცებით შევცქეროდი. საიდან იცნობს-მეთქი, ეფიქრობდი.

— კარგად. — უპასუხა აბესალომმა — მოკითხვა დამაბარეს თქვენთან. — დაუმატა ბოლოს.

— კარგად მოვილხინეთ. აკაკი გაწერელია და ვიქტორ გაბესკირია გზაზე სულ თქვენი ოჯახის პურმარილზე ლაპარაკობდნენ.

— მათი სინდისის ერთგულებას გამოვექეცი გერმანიიდან, თორემ ცხოვრების პირობებით უზრუნველყოფილი ვიყავი. — უპასუხა აბესალომმა.

საუბარი ნახევარ საათს გაგრძელდა. ჩემი სამსახურში წასვლის დრო ახლოვდებოდა. ძმას ვანიშნე, ნუ შეაწუხებ მწერალს, ადექი მეთქი. მიმიხვდა და უკანასკნელად სიტყვა თავის მომავალ გეგმებზე ჩამოუგდო.

— უნივერსიტეტში მინდა საბუთები შევიტანო, ბატონო კონსტანტინე, თქვენ რომ მირჩიეთ ისე, ხომ არ...

— აბესალომ, — შეაწყვეტინა სიტყვა ბატონმა კონსტანტინემ. — ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი ხარ და, აბა, წარმოიდგინე, მე, კონსტანტინე გამსახურდიამ, ავიღო ტელეფონი და დაველაპარაკო გორელ „გაგრია“ ნიკო კეცხოველს. არა. შენ შეიტანე საბუთებს, ჩააბარე გამოცდები და მერე სამინისტროდან, თვითონ მინისტრს დავარეკინებ. ახლა ჩემი ჩარევა არ ღირს. ისე არ დამივიწყო, შემოდარე ჩემთან[1]. — დაამთავრა ამ სიტყვებით მწერალმა სათქმელი და დავემშვიდობეთ.

უკან მობრუნებისას აბესალომისგან შევიტყვე: ფოთში ჩამოსვლის მეორე დღეს როგორ შეხვედრია შემთხვევით ქალაქში კონსტანტინე გამსახურდიას და მის მხლებლებს, როგორ მიუპატიჟნია მამისეულ სახლში სტუმრად, როგორ გაუხარებია მწერალი გერმანიიდან ჩამოტანილი საუკეთესო რადიომიმღების — „ტელეფენკუნის“ ჩუქებით, სწავლის გაგრძელებით დაინტერესებულს როგორ დაპირებია იგი უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვას, როგორ მიუცია მისამართი და რა დიდ იმედებს ამყარებდა თვითონ ამ დაპირებაზე. მთელს ამ ინფორმაციაში ჩემთვის ყველაზე საგულისხმო იყო ლიტერატურისადმი, კერძოთ, კ. გამსახურდიას შემოქმედებისადმი ჯარში გაწვევამდე აღძრული ინტერესის ჩაუქრობლობა და უმაღლესი განათლების მიღების დაუოკებელი სურვილი.

ჩემი რჩევით აბესალომმა მისაღები გამოცდები ჩააბარა არა

---

[1] იმ დღიდან მწერალთან ძმის კავშირურთიერთობაზე მოთხრობილია მისსავე წერილში „ასე გავიცანი კონსტანტინე გამსახურდია“, გაზ. „ახალი კოლხეთი“, 1973, 17. IV, № 46.

უნივერსიტეტში, არამედ მაშინდელ პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე და 1947 წლის სექტემბრიდან შეუდგა კიდეც სტუდენტურ ცხოვრებას. იძულებული ვიყავი დროებით გავცლოდი ჩემს ოთახს, ხელი შემეწყო ძმისთვის და თვითონ სხვას შევეხიზნებოდი. დროგამოშვებით ვაკითხავდი და ვამოწმებდი მის მუშაობას, მის გარშემო შემოკრებილი ამხანაგების წრეს. ერთხელ, ეს იყო 1949 წელს, ოთახში მარტოდ დამხვდა ძალზე დაღონებული და ჩაფიქრებული. ქალაქში ტყეეობიდან დაბრუნებულთა ჩუმი გასახლება დაწყებული იყო.

— აბესალომ, რაღაც გიჭირს თქმა, ნუ დამიმალავ. შეიდი წელი არ ჩანდი. იქნებ... დავუწყე ლაპარაკი შეფარვით, სიმართლის გაგების წადილით.

— ამეღამ მატარებელს გაეყვები ფოთისკენ და გზაზე დავიკარგები. მხოლოდ შენ გეცოდინება. ნურავის ეტყვი. — მითხრა მოკვეთილად, გადაჭრით ის, რაც წინასწარ ნაფიქრი და ნააზრევი ჰქონია. თურმე ბედზე მივუსწარი.

— როგორ თუ დაიკარგები. ძიებას შენ ვერ დაეკარგები, თუ ეს საჭირო და აუცილებელი გახდა. შენ ფიქრობ, რომ დაგეძებენ და ვერ მოგაგნებს? ან გაიქცევი და ვერ გიპოვნიან?

— არა, დავიკარგები სამუდამოდ. შენ გეცოდინება მხოლოდ. ამით დედამის ტანჯვა-ვაებას ცოტათი მაინც...

... — ნუ სულელობ, — გავაწყვეტინე ენაზე მომდგარი ცრემლიანი სიტყვა. — რა დანაშაული მიგიძღვის ისეთი. რატომ არ გინდა გამიმხილო?

— არავითარი. ტყეეობაში ჩემს სიმწარესა და სიმართლეს საფუძვლიანად მხოლოდ გენერალი მზარელუა იცნობს. მასთან ერთად ვმუშაობდი გერმანიაში ომის დამთავრების შემდეგ. ახლა რომ დამჭირდეს, ვინა მყავს მოწმე ან თავდები? კვლავ ტანჯვას სიკვდილი მირჩევნია.

— მეტი რა მოწმე გინდა, გენერალი მზარელუა ცოცხალია. თავი გაანებე სისულელეებს.

— მთავარი მაინც სხვა რამეა. — მითხრა ბოლოს ისეთი ნაღველგარეული ამოოხვრით, ვიგრძენი, მის გულში რაღაც შეუცნობელი, ამოუხსნელი ბოღმის ალმოდებული ცეცხლი გიზგიზებდა, შხამავდა, წამლავდა მის ფიქრებს, აზრებს და გონებას წალმა-უკუღმა უტრიალებდა.

ამის შემდეგ სისტემატურად ვაკითხავდი ღამღამობით, თბილისიდან გასვლის გასაჭანს არ ვაძლევდი. გაიარა ორმა კვირამ. გასახლება დამთავრდა. აბესალომისათვის თითიც არავის დაუკარებია. ინსტიტუტის დიპლომით ფოთში ისტორიის მასწავლებელი გახდა, დაცოლშვილდა. ბევრს კითხულობდა, წერდა კიდეც, ეუსწორებდი და ადგილობრივ გაზეთში ხშირად უბეჭდავდნენ ომისდროინდელი შთაბეჭდილებებიდან ნაწყვეტებს. მისმა ერთმა ნაწარმოებმა 1967 წელს ჟურნალ „ცისკრის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჟიურის წამახალისებელი შეფასება მიიღო. პატრიოტულ საქმეებს აკეთებდა, მაგრამ ტყვეობის ამბებს ბოლომდე მაინც ვერ ამხელდა. თავად მშვერმეტყველი, ამ თემაზე პირში თითქოს წყალს განზრახ იგუბებდა.

და, აი, მეორე საოცრება! 1984 წლის ზაფხულის მიწურულს, მალთაყვაში დასვენების დროს, აბესალომმა ჩემთან მოიყვანა და გამაცნო ლენინგრადელი სტუმარი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი ალექსი რადინსკი, საშუალო ტანის, სიმპათიური გამომეტყველების მამაკაცი, რომელსაც სწორედ მაშინ შესრულებოდა სამოცდაშვიდი წელი. ძმაზე სამი წლით უფროსი იყო.

ორმოცდასამი წელიწადი იყო გასული იმ შავბნელი დროიდან, როცა გერმანიის ქალაქ ჰიუნსბერგის სამხედრო ქარხანაში დაიჭირეს ტყვეთა არალეგალური ჯგუფის ორი აქტიური წევრი, ორი დამნაშავე, რომელთაც სიკვდილმისჯილის ბორკილები ედოთ. არ გასცეს, არ გაყიდეს ერთმანეთის სული, გადაიტანეს კარცერებში ჯდომის ყოველგვარი წამება და ისე დაეკარგნენ ერთმანეთს, ცალეულად, ერთს დაღუპული ეგონა მეორე, მეორეს — პირველი.

სულ ხუთი თვე იყვნენ ერთად თვითმფრინავების ჰანჭიკების დამამზადებელ ქარხანაში და მაინც მოასწრეს ერთმანეთის სულისკვეთების გაგება და განდობა. უცხოელ ტყვეთა დახმარებით ქარხანაში მალულად შეიტანეს ოთხი ასაფეთქებელი ყუმბარა და სანამ ქარხნის განადგურებას მოასწრებდნენ, ვიღაც ჯაშუშმა დაასწრო. კარცერში რადინსკის არწმუნებდნენ: თოფურიამ აღიარა შენთან კავშირი, დახვრეტილია და სიმართლე თქვიო, ხოლო მეორე კარცერში აბესალომს ჩააგონებდნენ: რადინსკიმ ყველანი გასწირა, ჩამოხრჩობილია, გაგიშვებთ, თუ სიმართლეს იტყვიო. არ გატყდნენ. ზნეობრივად არ გაიხრწნენ ბიჭები. არ უღალატეს რწმენას, ჯარისკაცურ ფიცს და მამაპაპურ სინდისს. ერთის გადარჩენა მხოლოდ მეორის

სულიერ გმირობაზე იყო დამოკიდებული, მხოლოდ თვითონ იყვნენ საკუთარი სიცოცხლის ტოლფასი თავგანწირვის მოწმენი და მესაიდუმლენი.

ამიტომ 1942 წლიდან ოლოლებივით დაჟინებით დაეძებდნენ ერთმანეთს, ყველგან და ყოველთვის სათუთად, მტკიცედ და ურყევად ინახავდნენ გაუმხელელი სევდის და ბურუსით მოცული ამბის მისტიკურ იდუმალებას. ბოლოს... იპოვეს და გაახარეს ერთმანეთი. 1985 წელს რადინსკის საპასუხო მიწვევით აბესალომი ლენინგრადში ჩავიდა თავისი ცოლშვილით. იქაურმა ტელევიზიამ ფირზე აღბეჭდა მათი ურთიერთშეხვედრის ლეგენდარული, სასწაულებრივი ისტორია...

1992 წლის 8 თებერვალს, ანდერძის თანახმად, აბესალომის ნეშტი მშობლების გვერდით მიებარა ფოთის მიწას. საშინელი, თოვლიანი ამინდი იდგა. დავყურებდი ბორცვზე განფენილ ყვავილებს მისი საფლავის თავთან მწუხარედ გარინდული და ვფიქრობდი:

— ნეტავი შენ, ძმაო, ბედნიერი ხარ, შორდები ამღვრეულ, არეულ და აფორიაქებულ დღევანდელობას და ქალაქში შერქმეული ორიგინალური კაცის[1] საპატიო სახელით წინაპართ აკლდამას უბრუნდები, აწდა სამარადჟამოდ! შენი ომისდროინდელი, აქამდე დაფარული მისაბაძი მაღალი ღირსება, აჰა, ამიერიდან ანთებულ სანთლად იქცა. იგი შენ მიერ დაჭორწინებული 665 ოჯახის შთამომავალთა, ყოველ ცნობიერთა და მიწიერთა საამაყოდ, სათაყვანოდ, შუქად და შთაგონებად დარჩება მუდამ. კიდევ მჭირდება დრო მატიანის დასრულებისათვის. მაჩუქე იგი — შენი წილი და ხვედრი. მერე კი... ამომძახე, სულთა მარადიული ძმობის სიმბოლოდ მეც განვუტევებ შენს გვერდით, ვითარცა შენებრ უკვდავმყოფი ამაგისა მშობელთა...

მცირე სენტიმენტალური გადახვევიდან დაეუბრუნდეთ ისევ ქრონოლოგიურ ჟამთასელას.

მართალია, 1946 წლის 14 აგვისტოს უბადაღებულმა დადგენილებამ ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ბევრი თვალსაჩინო შემოქმედის ნიჭი და ტალანტი შეიწირა, მაგრამ მან გარკვეული როლი შეასრულა ლიტერატურულ-მხატვრული წუნის

[1] ასეთი სათაურით დაბეჭდილი წერილი იხ. გაზეთი „ახალი კოლხეთი“, 1989, № 24.

წინააღმდეგ ბრძოლაში. ჟურნალ-გაზეთებში ამ დროიდან დამკვიდრდა სპეციალური რუბრიკა — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ყოველივე ეს ერთგვარ ტრადიციად იქცეოდა, „ცხელ კვალზეო“ რომ იტყვიან, პირველი იერიში მიტანილ იქნა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მიმართ („საბლიტგამი“), რომლის დირექტორად ომამდელი დროიდან დიდხანს მუშაობდა კონსტანტინე (კოტე) ჭანტურიშვილი, სიმპათიური, სანდომიანი შესახედაობის სათვალეებიანი კაცი.

დადგენილების გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ერთი თუ ორი თვის შემდეგ შეიქმნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სახალხო კომისარიატის (შემდგომ სამინისტროს) ერთობლივი კომისია, რომელსაც დაევალა გამომცემლობის მუშაობის კომპლექსურ-იდეოლოგიური, საწარმოო-ფინანსური და თემატური გეგმების შედგენის თვალსაზრისით შესწავლა. რედაქციიდან (ალბათ, რედაქტორის წარდგინებით) კომისიის წევრთა შორის მეც აღმოვჩნდი. პირველად ვმონაწილეობდი რესპუბლიკური მასშტაბის ასეთ „დიდ“ კომისიაში. მისი „აგრესიული“ დანიშნულება პირველივე სხდომაზე გამოიკვეთა.

— ზემდგომ ინსტანციაში შესულია სიგნალი საბლიტგამში შექმნილი რთული სიტუაციის შესახებ. ძირფესვიანად უნდა შეისწავლოთ მისი მუშაობა. გაფრთხილება არ გვჭირდებათ, მაგრამ შეგახსენებთ, საქმეს უნდა მოეკიდოთ მთელი პასუხისმგებლობით. ქვეჯგუფები იმუშავებენ კონკრეტული დავალებებით. შედეგები მოხსენდება მხოლოდ კომისიას. გამომცემლობის თანამშრომლებთან კონტაქტებს მოერიდეთ, მაგრამ ნუ შექმნით რაღაც შიშის მომგვრელ კონსპირაციულობის შთაბეჭდილებას. — ასეთი იყო იმ პირველი სხდომის სადირექტივო ხასიათი. სამუშაო უბნების განაწილების მიხედვით მე იდეოლოგიურ ჯგუფში მოვხვდი. მახსოვს, ჩემთან ერთად იყო აგრეთვე ომიდან დემობილიზებული ერთი ყოფილი პოლიტმუშაკი, რომელიც მერე, გატარებული „ღონისძიების“ შედეგად, თვით გახდა გამომცემლობის დირექტორი.

კომისიის დაკომპლექტებასა და მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა ე. წ. საზოგადოებრივი აზრის შემზადება. ასე გამოჩნდა ჩვენი გაზეთის 1946 წლის 10 ოქტომბრის ფურცლებზე (№ 44) ჯერ სარეიდო მასალა სიგნალის-მანიშნებელი სათაურით „საბავშვო გამომცემლობის მუშაობა უნდა გარდაიქმნას“, ხოლო მომდევნო 24 ოქ-

ტომბრის ნომერში მწვავე კრიტიკული რეცენზია — „ბავშვებისათვის საზიანო წიგნი". კომისიის ერთ-ერთ შემაჯამებელ სხდომაზე, რომელსაც წევრთა გარდა ესწრებოდნენ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი ამხანაგები (თვით მინისტრის პირველი მოადგილე მ. ბურჯულაძე), გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" მაშინდელმა რედაქტორმა გერასიმე ფირცხალავამ (შემდეგში თსუ-ს პარტისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა) თავის გამოსელაში პირდაპირ განაცხადა: — პრინციპულობა მოითხოვს საგანს ეუწოდოთ თავისი სახელი. ფინანსური დისციპლინის დარღვევა ერთია, ხოლო ამ დარღვევის შედეგად სახელმწიფო ფულის მითვისება — მეორე. აქ მოტანილი მასალები ადასტურებენ, რომ საბლიტგამში ამ მხრივ განუკითხაობა ყოფილა გამეფებული.

ამ გამოსვლამ არსებითად შეატრიალა კომისიის წევრთა შორის ზოგიერთ საკითხში შეუთანხმებლობის თუ მერყეობის ტენდენცია. იგი დაემყარა საფინანსო დისციპლინის დარღვევის უხეშ ფაქტებს (დაუწერელ და გამოუცემელ წიგნებზე ჰონორარების გაცემა, თანახმათა რაოდენობის შეუფარდებლობა ანაზღაურებულ თანხასთან და სხვა) და ერთიანი ღონისძიებებით წარდგა განათლების სამინისტროს კოლეგიისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე, რომელმაც შეცვალა საბლიტგამის ხელმძღვანელობა. ერთობლივი დადგენილება მიზნად ისახავდა საბავშვო ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონის მკვეთრად ამაღლებას. ეს დროული და საჭირო ღონისძიება იყო. მართლაცდა, ვიღაც ოდიშარის წიგნის („თავდადება") გამოცემა, წუნად კი არა, გაუგებრობად ჩაითვლებოდა. მისი სახელი მწერლობაში მერე არც გაჰაჭანებულა. რამდენი იყო მასთან მიტმასნილი თუნდაც მუშათა დამკვრელური გაწვევის დროიდან.

კომისიაში მონაწილეობამ მორალური საფუძველი შემიმზადა განაჩენი გამომეტანა საკუთარი პოეტური „პროდუქციისათვის". იგი უმთავრესად მიძღვნითი, დითირამბითი რომ იყო ეგრძნობდი და ეიცოდი, მაგრამ, მართალი გითხრათ, თავდასხმის ობიექტი, ისიც ფოთელი ყოფილი თანამოკალმეებისაგან თუ გაეხდებოდი, არ წარმოშედგინა. იქაც „ცხელ კვალზე" განუხილავთ საკავშირო „მშობლიური პარტიის" საკავშირო დადგენილებიდან გამომდინარე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანები და საქართველოს

ალკ ფოთის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე მწვავედ გაუკრიტიკებივართ. საქალაქო კომიტეტის მდივნის მოხსენებაში ჩემი „დანაშაული“ ასე იყო ფორმულირებული: „პირად ინტიმურ განცდებით ხასიათდებიან აკ. თოფურიას ლექსები, რომლებიც საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელში“ გამოქვეყნდა“ („მგზ. კოლხიდელი“, 1946, № 230). მომხსენებელს, რა თქმა უნდა, იერიში მიეტანა გაზეთში დაბეჭდილ სატრფიალო ლექსზე „მიძღვნა უკანასკნელი“.

ამან მეც ამაღებინა დროებით ხელი „ლექსაობაზე“, მაგრამ — არა ლიტერატურაზე, ლიტერატურულ კრიტიკაზე, რომელსაც მხატვრული ნაწარმოების განსახილველად წარმოსახვების სამყაროში წედომის უნარ-ჩვევები საერთოდ ყოველთვის მეტ წარმატებას მოუტანს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მწერალთა კავშირის შეკრებაზე, იდეოლოგიურ დარგში საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პეტრე შარიამ, განაზოგადა რა საბლიტგამში გამოვლენილი დამახინჯებანი, თავის სიტყვაში გაურია გამოთქმა „საღლეტგამი“. აქედან გავრცელდა საზოგადოებაში — გამომცემლობა უწმინდესი დაწესებულება გვეგონა, თურმე ღლეტა-მტაცებლობის ბუდე ყოფილაო. ეს იყო ომიანობის პერიოდში მოდუნებული მომთხოვნელობის კვლავ გაძლიერების, წარმოება-დაწესებულებებში წესრიგისა და წესიერების აღდგენის ერთ-ერთი, ტონის და მიმართულების მიმცემი მაგალითი.

ასეთი მაგალითების „შთაგონებით“ იყო თუ თვითგახსენებით განვაახლე ფოთში დაწყებული თეატრალური რეცენზირების პრაქტიკა და თბილისის მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის (არსებობდა რუსული თეატრიც) დადგმებზე მარტოოდენ პირველივე წელს მოვასწარი ორი რეცენზიის გამოქვეყნება. ერთი ინგლისელი მწერლის ფ. ბერნეტის მელოდრაშის „ალმასის საბადოების“ („სახ. განძ.“, 1946, № 30), მეორე ახალგაზრდა ქართველი დრამატურგის კ. გოგიაშვილის პიესის „ბაღნარების“ შესახებ (იქვე, № 51). ამ უკანასკნელს სათაურად ჰქონდა „საბავშვო სპექტაკლების მაღალიდეურობისათვის“, რაც თავისთავად მიგვანიშნებდა მის კრიტიკულ მიდრეკილებაზე. ამის გამო არც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს და არც პიესის ავტორს პირადად ჩემთან ან რედაქციასთან რაიმე პრეტენზია არ ჰქონია. პირიქით — რეცენზიამ უფრო თბილი ურთი-

ერთობით დაგეკავშირა ერთმანეთთან. დასაწყისი წამქეზებლად მომეჩვენა. რით აიხსნებოდა ეს?

უბრალოდ და მარტივად. სოფლიდან გამოყოლილ „საგზალს“ — გლეხურ ჰკუაგამოცდილებას, ათაბაბადან შემუშავებულ ზნეობრივ ფორმულას წამლის დოზასავით ვიყენებდი. ადამიანს გულმკერდზე აფენია საკუთარი ღირსების საამაყო ნიშნები. უწინარესად, პატივი მიაგე, ეამბორე მიწიერი არსების ზეციურ გამონაშუქს. კრიტიკის შხამი კბილის მწვავე ტკივილივით ძნელად ყუჩდება. მხოლოდ ობიექტურობის, ზომიერების და ტაქტის მალამოა მისი განმკურნებელი. არ ჩაეფლო ასკირკიტობის, ჩხირკედელაობის, მეწვრილმანეობის „ჭაობში“. ჩაქოლე შენივე სულში ბოროტი ზრახვების ყველა ხვრელი, ამაღლდი საკუთარ ინსტინქტებზე და იყავ წრფელი შენივე მაჯისცემის — შენი სინდისის წინაშე.

ჟი, კრედოდ ქცეული ჩემი კრიტერიუმი, რაც მტრების ნაცვლად წინათ მუდამ მოკეთეს და მეგობარს მმატებდა. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, პრესის ფურცლებიდან ურთიერთგადაკიდების, გულისამრევი შმორის რაღაც გაუთავებელი ნაკადი მოედინება. აღვირახსნილთა თარეშს გაოგნებით შევყურებ. მათ ყურადსაღებად არა, მათ შთამომავალთა გულისსხლძარღვების ასაჩქროლებლად, ასამოძრავებლად და ასამოქმედებლად მრავალთა შორის მოვიტან აქ რამდენიმე მაგალითს განვლილი პოლემიკური კულტურიდან. დიახ, არსებობდა პოლემიკის კულტურა, პოლემიკური კულტურის ტრადიცია ჩემამდეც, ჩემს დროს და...

ჩემ პრაქტიკაში ამ კულტურას სათავე დაუდო „სახალხო განათლების“ 1948 წლის 7 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა სათაურით „შენიშვნები ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოზე“. იგი შეეხებოდა შემდეგში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ სიმონ გაჩეჩილაძის (1898—1981) 1948 წელს გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოს, რომელიც უმაღლესი სკოლებისათვის ადრე დაბეჭდილი მისივე „ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის“ შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენდა. ფაქტობრივად წერილი მიმართული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სასწავლოდ განკუთვნილი წიგნის, ჩემთვის პირადად უცნობი ავტორის, მაშინ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის, სამეცნიერო-ლიტერატურულ საზოგადოებაში იმ დროისათვის საკმაოდ

პოპულარული პიროვნების წინააღმდეგ და, მაშასადამე, საქმე მჭონდა საჯაროდ პირველი კრიტიკული გამოსვლის არც ისე ჰაიჰარა ფაქტთან.

ყველა ეს მონაცემი ჩემთვის ცნობილი იყო. ვიცოდი ისიც, რომ იმ წერილს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა კრიტიკის სფეროში ჩემი სამომავლო გზა-ბედისათვის, რომლის გამკაფავი და ხელშემწყობი თვით მე ვიყავი. პირველივე ნაბიჯიდან რეპუტაციის დაცემა თუ ამაღლება თვით ჩემზე, ჩემს უნარსა, შინაგან მოქალაქეობრივ თვისებებსა და ალღო-მიხვედრილობაზე იყო დამოკიდებული. სხვისი იმედი ყოველთვის ზედმეტ სითამამეს განიჭებს, აქედან კი მცირე მანძილია თავხედობამდე.

როცა მასალის ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე წერილს ვწერდი, მაშინ ეს მონაცემები და ვარაუდები საერთოდ თითქოს არც არსებობდა ჩემს გონება-მეხსიერებაში. ჩემი მიზანი იყო სწორად, მართლად და დამაჯერებლად მიმეტანა მკითხველამდე საკითხის არსი. ხოლო თავის მხრივ საქმის სისწორე, სიმართლე და ობიექტურობა ცის ცქრიალა ნამივით მინარევებს ვერ იტანს. იგი თვით უნდა იყოს სუფთა და კამკამა.

წერილი, რომელსაც გაზეთის მესამე გვერდის მთელი სარდაფი ეკავა, მთავრდებოდა სიტყვებით: „შემდეგი გამოცემისათვის ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება, მთელი რიგი სხვა საკითხების კონკრეტიზაციასთან ერთად, უეჭველად ხელს შეუწყობს ლიტერატურის თეორიის მაღალხარისხოვნად სწავლებას“. ნაკლოვანებები კი მცირე და უმნიშვნელო როდი იყო შენიშნული. კერძოთ, შეეხებოდა ლიტერატურულ მიმართულებათა რაობას, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ მიზანდასახულობის გარკვევას, პოეტური ლექსიკის საზეობებს, საილუსტრაციო მასალების შერჩევას და ა. შ. არ გასულა გაზეთის გამოსვლიდან ორი თუ სამი დღე, რედაქციაში შემოვიდა მაღალი ტანის, რუხისფერი ზოლებიანი კოსტიუმით გამოწყობილი შლიაპიანი კაცი, რომელსაც ხელში სქლად დაკეცილი მოყვითალო პორტფელი ეჭირა. ჩემი გვარი და სახელი იკითხა, შემდეგ პირდაპირ ჩემი მაგიდისკენ წამოვიდა, თავზე დამადგა და მითხრა:

— მე გახლავართ სიმონ გაჩეჩილაძე. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. თქვენი წერილი დიდად დამეხმარება ახალი გამოცემის დაჩქარებაში. დამდეთ პატივი და თუ დაგრჩათ რაიმე ისეთი, რაც წერილში ვერ ჩაეტია, — ყოველთვის ხდება, მე პრესის ძველი მუ-

შაკი ვარ, — გადმომეცით, აგერ პორტფელში ჩავდებ და კიდევ უფრო მადლობელი გეყოლებით.

— არაფერი დამრჩენია, ბატონო სიმონ, მეგონა გამიწყრებოდით. მადლობას თვით მოგახსენებთ ასეთი სულგრძელობისათვის.

— არა, სულგრძელი თქვენ აღმოჩნდით, შეცდომები და ლაფსუსები ზრდილობიანად რომ მიაწოდეთ მკითხველს. ზოგიერთი ვიგინდარა ლაფში ამომსერიდა, ლექციებს მიმატოვებინებდა.

წიგნის დადებითი მხარეებისა და კეთილშობილური სურვილის გამოხატვის ფონზე პრინციპული, საქმიანი შენიშვნები საწყენობიდან სამეგობრო ელფერით შეიმოსა. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება უხვინჯოდ გრძელდებოდა ბატონ სიმონის სიცოცხლის მანძილზე. ამის დამადასტურებელია დოკუმენტური საბუთის ტექსტი (მოგვაქვს უცვლელად).

„ჩემო კაკო! — მწერდა ბატონი სიმონი შინაურული ფამილარობით. — ნათელამ დაგვიანებით მითხრა, რომ გინდოდა წიგნის დაბრუნება; მაპატიე, რომ დაგიგვიანე. ვიპოვე ჩემი საკუთარი შენი წიგნის ეგზემპლიარი. შენი კი ხელუხლებელი გიბრუნდება. საშუალო სასწავლებლის სახელმძღვანელოში უკვე შეეიტანე, რაც შენი წიგნიდან მინდოდა, უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოში კი შემაქვს შენი წიგნიდან სხვა სქემა. როცა გადამუშავებას მოვრჩები და აღარ დამჭირდება, ჩემ ეგზემპლიარსაც შენი შრომისას შენ გამოგიგზავნი; ვიცი, რომ ავტორს ძალზე ჭირდება, გჭირდება უფრო მეტად, ვიდრე მე. მე კი კვლავ თუ დამჭირდა, კვლავ შენგან ვინათხოვრებ. მეგობრული სალამით. ს. გაჩეჩილაძე. 16. IX. 1975“.

აქ მოხსენიებული ნათელა — ნათელა გიორგობიანი იყო ჩემი დისერტანტი, სწორედ იმავე 1975 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ალექსანდრე აბაშელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მუშაობდა გამომცემლობა „განათლებაში“. მან მომიტანა ბატონ სიმონისგან გადმოცემული, ჩემგან ნათხოვარი წიგნი „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“. იქიდან გადაიღო და თავის ლიტერატურის თეორიის სასკოლო სახელმძღვანელოს მორიგ გამოცემაში შეიტანა ს. გაჩეჩილაძემ „ტარიელ გოლუას“ სიუჟეტური აგებულების ჩემ მიერ წიგნში დაბეჭდილი სქემა სქოლიოში სათანადო მითითებით. ასე გადაიზარდა იმ პირველი კრიტიკული წერილიდან ჩვენი პირადი უცნობობა ურთიერთ მეგობრობასა, ურთიერთ თანამშრომლობასა და სიყვარულში.

სოლომონ ცაიშვილის სახელის მოგონებასთან დაკავშირებით, ზემოთ ნაჩუენები იყო 1950 წელს პაულე ინგოროყვას დადებითი გამოძახილი ჩემ ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის წერილზე. მხოლოდ პოლემიკური კულტურის სასურველ დონეს შეეძლო გამოეწვია კრიტიკულ შენიშვნებზე განრისხების ნაცვლად ჩემ მიერ წამოყენებული დებულების მისი მხრიდან გაზიარება და დაფასება.

მომდევნო, 1955 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე (№ 188) დაიბეჭდა ჩემი ვრცელი წერილი სათაურით „რამდენიმე შენიშვნა მნიშვნელოვან თეორიულ საკითხებზე“, რომელშიც გამოთქმული იყო მთელი რიგი კრიტიკული მოსაზრებანი ცნობილი ლიტერატურისმცოდნის, დიმიტრი ბენაშვილის წიგნზე „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“. ამავე წიგნზე გამოქვეყნდა კრიტიკოს გია მარგველაშვილის რეცენზიაც, რასაც მოყვა წიგნის ავტორის მწვავე რეაქცია ურთიერთარასასიამოვნო შეხლა-შემოხლამდე. ამ ამბავს თვით ბატონი დიმიტრი მიყვებოდა ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების რაიმე არათუ შეცვლის, უფრო განმტკიცების ნათელსაყოფად. ერთი წლის შემდეგ, ცხინვალში გ. ტაბიძისადმი მიძღვნილი ბანკეტის დროს, ჩვენ ერთად ვცეკვავდით კიდეც (ამის შესახებ ქვემოთ). თავისი წიგნი „კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე (I)“ ასეთი წარწერით მისახსოვრა: „აკაკი თოფურიას — უღრმესი პატივისცემით. ავტორი. 28. XII. 1967 წ.“

უფრო მოგვიანებით, 1969 წელს „მნათობში“ (№ 5, გვ. 101-111) გამოქვეყნებულ სტატიაში „დაე, ცისკარივით ანათებდეს“ გაკრიტიკებული მჭონდა კრიტიკოსთა ახალი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბატონ გურამ ასათიანის შეხედულება ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ბიბლიური თქმულებების ანარეკლების საკითხებზე. მოსალოდნელი იყო იგი თავისი ჩვეული ოსტატობით შეეცდებოდა ჩემი შენიშვნების მოგერიებას, მაგრამ სახტად დავრჩი, როცა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან (1970, 26 ივნისი) პირიქით — თავის ვრცელ წერილში „მოდელები და სინამდვილე“, სხვა ოპონენტებთან შედარებით, კომპლიმენტი მომიძღვნა — ჩემს მოსაზრებებს უწოდა „ზოგადთეორიული თვალსაზრისით სწორი და საყურადღებო დებულებები“.

თავისთავად დებულებების წამოყენება რისი მაქნისი იყო. იგი მხოლოდ არგუმენტირების ძალით შეიძლებოდა „სწორად და საყუ-

რადღებოდ“ მიჩნეულიყო. ბატონ გურამს ჰქონდა ამის ინტუიცია და ამიტომაც ითვლებოდა გამორჩეულ კრიტიკოსად. მაშასადამე, როცა პოლემიკის კულტურაზეა ლაპარაკი, იგი ორივე მხარეს გულისხმობს — მოკამათეს და მოპასუხეს. ჩემ პრაქტიკაში მისი საწყისი, როგორც დაეინახეთ, „სახალხო განათლების“ რედაქციაში მუშაობის ტკბილ მოგონებას უკავშირდება.

მაგრამ ეს მოგონება ზოგჯერ სარისკო, სახიფათო ეპიზოდებსაც მოიცავდა. პირველ ხანებში, როგორც შედარებით ყველაზე ახალგაზრდას, რედაქცია ხშირად მაგზავნიდა მივლინებით ახლო მდებარე თუ შორეული რაიონების სკოლებში ოპერატიული მასალების მოსამზადებლად. ამით საქართველოს მთა-ბარს, მის კუთხე-კუნჭულს ვეცნობოდი, რაც, ცხადია, მიტაცებდა და მიზიდავდა. სად არ მომიწია ყოფნამ — ბორჯომსა თუ ახალციხეში, თელავსა თუ კაჭრეთში, ხაშურსა თუ ხობში, ზესტაფონსა თუ ხარაგოულში, ზუგდიდსა თუ გაგრაში, კასპსა თუ ოზურგეთში, ბოლნისსა თუ ახაშაში.

და, აი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების წინა დღეებში თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დიდ თონეთში მივლინება კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა. იმ სოფლიდან წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატზე ნარკვევის დაბეჭდვა დაგეგმილი იყო 1947 წლის 30 იანვრის ნომერში (იხ. „ახალი თაობის ენერგიული აღმზრდელი“, № 5). დავალება მოკლე ვადაში უნდა შესრულებულიყო. რედაქტორმა ამიხსნა: — სამგზავრო ავტობუსით, ხომ იცი, ვერეს ხიდიდან გადის, ერთ საათში ჩახვალ. მასალა აიღე და დღესვე დაბრუნდი ბოლო რეისით. ნარკვევის დაწერას ღამე მოასწრებ. ხვალ დილით სტამბაში უნდა ჩავუშვათო. ნომრის გამოშვებამდე ოთხი დღე რჩებოდა. თბილისში შაბათის ღრუბლიანი, მოქუშული დილა იდგა.

დიდ თონეთში, სანამ საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესა და ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელთან, დეპუტატობის კანდიდატ მარიამ მეხრაძესთან საუბარს დავამთავრებდი, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გავეცნობოდი და საერთო ფონისთვის საჭირო ინფორმაციებს შევკრებდი, დღის მეორე ნახევრისათვის ხვაევიანი თოვა დაიწყო და დამაბნელებელი ბურუსი ჩამოწვა. საღამოს სოფელში უკვე მეტრამდე თოვლი იდო. მანგლისის შორიახლო მიდამოებში ზამთრის ასეთი მოულოდნელობანი ჩვეულებრივ სტიქიად მიიჩნიეს და ჩემი გამომგზავრების საკითხი ადგილობრივი ამხანაგე-

ბის განმარტებით უბოდიშოდ გადაწყდა: დარჩებით ჩვენთან, სანამ გზა არ გაიხსნებაო. რა უნდა მექნა. ხვედრს უნდა დავმორჩილებოდი. საშუალება მომეცა მესარგებლა შემთხვევით და დაწვრილებით გამეგო ზოგი რამ დიდ თონეთში მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ვაჟა ფშაველას მასწავლებლობის, თვით იმდროინდელი სკოლის შესახებ.

რაოდენი კონტრასტი იგრძნობოდა! სადღა იყო ის ერთოთახიანი ქვითკირის სასკოლო ბინა, სადაც სულ ათიოდე მოსწავლე დადიოდა. სოფლის ცენტრში, სასაფლაოსთან ახლოს, იდგა საკლასო ოთახებით და სასკოლო კაბინეტებით მორთული საშუალო სკოლის მოზრდილი ნაგებობა 150-მდე მოსწავლით. თვით დეპუტატობის კანდიდატი სოფლიდან უმაღლესი განათლების მქონე პირველი უპარტიო ქალი იყო, რომელმაც ბეჯითი შრომით და სწავლით დაძლია სიღარიბის სიძნელეები და გახდა თავისივე სოფლის მოზარდი თაობის რაიონში მოწინავე აღმზრდელ-მასწავლებელი.

მეორე დღეს მეტრნახევრიანი თოვლით დაფარულ სოფლის გზაზე მანგლისიდან ბედად ჩამოიარა სამხედრო ნაწილის დიდმა სატვირთო მანქანამ („სტუდბეკერი"), რომელმაც ღამის ათი საათისათვის დიდი გაჭირვებით, სხვა მგზავრებთან ერთად, ძლივს ჩამიყვანა სოფელ პანტიანამდე. ქარბუქი მძვინვარებდა. სიბნელეში ხუთი მგზავრი შევიკრიბეთ და ერთ მოსახლეს მივადექით. ადგილობრივი მცხოვრები თათარი აღმოჩნდა, გვარად ოღლი. ღამე გაგვათევინა, დილით საუზმე მოგვართვა. ფული არ აიღო — როგორ გეკადრებათ, ერთი ქვეყნის ხალხნი ვართ, ერთ მიწა-წყალზე ვცხოვრობთ, ერთმანეთს გაჭირვებაში უნდა დავეხმაროთო. მადლობით დაეშვიდობეთ და ყველანი ჩვენ-ჩვენ გზას დავადექით. გამოდარებული დღე იდგა.

პანტიანიდან მანქანის მოძრაობა შეჩერებული იყო. სოფლის ცენტრთან გზა ორად იყოფოდა. მარჯვნით კოჯრისკენ მიდიოდა, მარცხნით — ბეთანიისკენ წყნეთის გამოვლით თბილისამდე. თანამგზავრები ბეთანიის შორ გზას დაადგნენ. მე კენტად დავრჩი და მოკლე გზა ვარჩიე, 15—18 კილომეტრიანი, რათა კოჯრიდან უფრო ჩქარა ჩავსულიყავი თბილისში. როგორც კი დავცილდი თანამგზავრებს და პირი კოჯრისკენ ვიბრუნე, სოფლის ერთმა მკვიდრმა შემაჩერა, ისიც თათრული წარმოშობის იყო, ქართულად უქცევდა სიტყვებს.

— არ წახვიდეთ ამ გზაზე. არ შეიძლება. ტყეა გასაველელი. მგლები დახეტიალობენ და მარტოდ საშიშია. — გამაგებინა თავისი აზრი კეთილი სურვილებით. მე ავუხსენი მდგომარეობა, ისედაც ერთი დღე გადავაცილე, სასწრაფო დავალება მაქვს, აქედან უნდა წავიდე-მეთქი.

— თუ არ დაიშლი — მითხრა მან, — მაშინ, ა, ჩემი ჯოხი წაიღე და ეს სპიჩკაც გქონდეს. საესე კოლოფია. თუ მგელი გადაგიდგა გზაზე, სპიჩკას გაკარი, ხშირ-ხშირად გაკარი, რომ დაფრთხეს და გაიქცეს. თუ ისევ მობრუნდა და ჯოგად გადაგეღობა, მაშინვე ხეზე ადი, თან ჯოხი აიტანე. მაგრამ სანამ გაძლებ ტოტზე ჩამომჯდარი?! გირჩევ, კაცო, არ წახვიდე. ყოფილა შემთხვევები, შეუჯამიათ ადამიანიც. ზამთარია, საკვებს ვერ შოულობენ...

ამ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, წუხილით მეუბნებოდა. ვგრძნობდი, ვებრალებოდი, განწირულად მთვლიდა. გზა დამილოცა და დიდხანს მიყურებდა გაუტკეპნავ თოვლიან გზაზე ჯოხით, ჩექმით და გახუნებული ფრონტული მაზარით მიმავალს.

ჯეკ ლონდონის, ბალზაკის ან მიხეილ ჯავახიშვილის მაღალ ოსტატობას უნდა ფლობდე, მოჭარგული სიტყვებით აღიწერო მარტოოდენ მუხების ტყის ხუთკილომეტრიან ზოლში ჩემი მაშინდელი მგზავრობის, მუცელჩავარდნილი, კენტად მოხეტიალე მგლის ადევნების, ასანთის ღერების ნათების, ჯოხის წამდაუწუმ ტრიალისა და სასოწარკვეთილი ყვირილის სცენა-ეპიზოდები. ისე როგორც ჩემი უმწეო ხმა მაშინ ვერ წვდებოდა მშველელს, ვერც ჩემი ახლანდელი უძლურება გადმოგცემთ შიშის იმ განცდებს, იმ ფსიქოკლიმატის, იმ სურათის საშინელებას, რომელსაც ჰქმნიდა უდაბური ტყე, მშიერი მგელი და დაჭანცულობით მოლასლასე ჩემი საცოდავი სილუეტი...

ეს იყო სარედაქციო დავალების შესრულებისთვის ჩემი ომსგადარჩენილი სიცოცხლის ბრიყვული დაუზოგველობის, ყოველგვარი დაბრკოლებების გადასალახად პარტიულ-ლენინური სინდისით ვითომდა „გმირული ქედუხრელობის“ ტრაგიკომიკური გამოხატულება. დღევანდელობის თვალსაწიერიდან — სრული სიბეცე, სიბრმავე და სიჯაბუკის რომანტიკულობიდან შემორჩენილი სისულელე. აბა, ბედად მზეს არ ჩამოეხედა ტყეში, სიბნელე ჩამოწოლილიყო?! მგლების ხროვა დამესეოდა.

ყველაფერი ეს მალე დავიწყებას მიეცა. დაგვიდგა გაზეთის ათასი ნომრის გამოსვლის საიუბილეო თარიღი. 1948 წლის 27 ოქტომ-

ბრის „სახალხო განათლების“ ოთხივე გვერდი ამ მოვლენას მიეძღვნა. მასში მოთავსებული იყო მოლოცვები და განათლების მინისტრის ე. კუპრაძის ვრცელი წერილი სათაურით „ჩვენი გაზეთის საბრძოლო ამოცანები“. ინფორმაციული მასალა „საქ. სსრ განათლების სამინისტროში“ იუწყებოდა:

„გაზეთ „სახალხო განათლების“ მეათასე ნომრის გამოსვლისა და დაარსებიდან ოცი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, პედაგოგიური გაზეთის რედაქციაში ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური თანამშრომლობისათვის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით დაჯილდოებულნი არიან სამკერდე ნიშნით — „სახალხო განათლების წარჩინებული“ და იქვე თხუთმეტ დაჯილდოებულთაგან რედაქციის ხუთ მუშაკს შორის (ვ. მგალობლიშვილი, ს. ცაიშვილი, მ. კეკელიძე, დ. თაბუკაშვილი), რიგით მესამედ, დასახელებული იყო ჩემი გვარი, სახელი, მამის სახელი იმ დროისათვის დაკავებული თანამდებობის ჩვენებით — „სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოებისა და უმაღლესი სკოლების განყოფილების გამგე“. სამკერდე ნიშანი თვითონ მინისტრმა გადმოგვცა. ჩემი 47-ე ნომერი იყო.

– ამავე ხანებში პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სასიკეთო ცვლილებები მოხდა. ასეთ წრესა და გარემოში მყოფს არ შეიძლებოდა არ განმეცადა მიმართულების განმსაზღვრელი ფაქტორების გარკვეული ზეგავლენა. 1949 წლის იანვრიდან სექტემბრამდე გ. ნიორაძესთან ერთად, რედაქციაში მუშაობის პარალელურად, მომიხდა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სპეციალობით ჩამებარებინა საკანდიდატო მინიმუმის მაშინდელი გეგმით დაწესებული ექვსი სავალდებულო საგანი: — პედაგოგიკა ფსიქოლოგიით, ქართული ლიტერატურის ისტორია, თეორია და მეთოდოლოგია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ქართული ლიტერატურის მეთოდიკა, გერმანული ენა, ლოგიკა. ამით ინსტიტუტისკენ მიმავალი გზა მკაფიოდ ისახებოდა.

გზა. გზა. შორეული, მოკლე, ფართო და ვიწრო. აბა, რა გზა მე შჭონდა გასავლელი ერთი შენობის ერთი ბეწო მიწური კიბიდან მეორე ხუთსაფეხურიან ცემენტის კიბემდე? ამასაც გზა უნდა ერქვას? პირობითობის რაღაც გამაზავებელი ელფერი რომ არ არსებობდეს, სიტყვა „გზის“ სახეობებს შორის ისეთივე ყაყანი, ყიყინი და ყიყლიყი ატყდებოდა, როგორც, მაგალითად, ბატებსა, ბაყაყებსა და

მამლაყინწა მამლებს შორის. თითოეული თავის პოზიციაზე დგომით თავის ხმას ბულბულის გალობად წარმოგვიდგენდა. ასევე ვიწრო გზაც ფართოზე არანაკლები კვეხნით და პრეტენზიით შორეულსაც და მოკლესაც წინ გადაუდგებოდა და სიამაყის გრძნობით უტიფრად დაიტრაბახებდა — სიტყვა „გზა" მე უნდა მერქვას და არა თქვენისთანა დაგრძელებულ და დამოკლებულ ტიტლიკინებსო.

მართალიც იქნებოდა! განა დღეს ამას არ გაგონებთ პრესაში ატეხილი დავიდარაბა? დავა, კამათი, ლანძღვა, გინება? განა ყველა ვიგინდარა და ბაზანდარა, დემოკრატიის განვითარების თავისებურ გზას არ წარმოგვისახავს თავთავისი ნაღრძობი ჰკუამიხვედრით? დაე, ღმერთისგან ხელი მოემართოს თითოეულს.

მე კი ჩემ იმ ერთ ციცქნა, ცერის ოდენა, პირობითად შერქმეულ გზას მაინც არ დავდგომივარ პირდაპირ და ჯიქურად, დაუფიქრებლად, ვაჰრული სიხარბის ანგარიშით. საგნების ჩაბარება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კვლევა-ძიებითი ორიენტაციის სწორად განჭვრეტას. რომელ განხრას დავდგომოდი — ლიტერატურის თეორიის, ლიტერატურის ისტორიის თუ ლიტერატურის მეთოდიკის? ნაწილობრივ ზემოთ აღწერილი ეპიზოდიდან ჩანდა, პირველი განხრით მოკრძალებული განაცხადი თითქოს გაკეთებული მჭონდა — რეცენზია ლიტერატურის თეორიის სასკოლო სახელმძღვანელოზე ამის ერთგვარი ცდა იყო. ლიტერატურის ისტორიაში, მეჩვენებოდა, კარდინალური, ეპოქალური მნიშვნელობის პრობლემები ძირითადად გადაწყვეტილი იყო. რაც შეეხება ლიტერატურის მეთოდიკას, რესპუბლიკის მასშტაბით სკოლებთან კავშირმა დამარწმუნა, აქ რაღაც სიცარიელე არსებობდა, წინანდელი უკვე არ შეეფარდებოდა დროის მოთხოვნებს, მოქმედი ემპირიული დონე კი შეცვლას მოითხოვდა. ასე მზადდებოდა ფსიქოლოგიური წანამძღვრები დარგის თუ მიმართულების შესარჩევად. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ინსტიტუტში გადასასვლელად.

რედაქტორმა მთხოვა დავხმარებოდი შემცვლელის პოვნაში. გივი ნორაძე უკვე გადასული იყო ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ, ვ. ძიძიგური, ს. ცაიშვილი, მ. კეკელიძე მუზეუმში მუშაობდნენ. სასკოლო-მეთოდური განყოფილება უპატრონოდ რჩებოდა. ბუნებრივია, ინსტიტუტის მოთხოვნაზე თანხმობას ამიტომ აჭიანურებდა.

სწორედ ასეთი სიტუაციის დროს რედაქციის სამდივნოდან რე-

გისტრირებული კორესპონდენცია-წერილების მთელი დასტა მივიღე ჩვეულებრივი განრიგით განსახილველად და მოსამზადებლად. მათ შორის შემთხვევით აღმოჩნდა გ. შ-ძის ოთხგვერდიანი მასალა სათაურით „ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის?!“ სათაურის გაგებისათვის“. რაღაც გუმანით მივხვდი, წერილი თბილისიდან უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი და იმ მიზნით, რომ ავტორი სწრაფად მენახა, სწრაფადვე მივეცი მსვლელობა. იგი დაიბეჭდა 1949 წლის 27 ოქტომბრის ნომერში. მალე გამომეცხადა და გამომეცნაურა — სენაკის პედტექნიკუმდამთავრებული იყო.

ამის შემდეგ თვენახევარი დამჭირდა კიდევ იმისათვის, რომ ჩემი რეკომენდაციით მიეღოთ გ. შ-ძე რედაქციის თანამშრომლად. საშინაო ბარიერი რომ გადაილახა, გაჩნდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საგარეო“ დაბრკოლება. თბილისში ის ნაქირავებ ბინაში ნაცხოვრება, პროფ. ვ. თოფურიას ასპირანტი ყოფილა, ამიტომ უფლება არ ჰქონდა ემუშავა, რადგან სტიპენდიას იღებდა აკადემიის ასპირანტურიდან (კანონით მხოლოდ დაუსწრებელ ასპირანტებს ჰქონდათ მუშაობის უფლება).

რამდენი ხვეწნა-მუდარა, რამდენი თხოვნა-ვედრება გადმხდა ჩემ მოგვარესთან კანონის საწინააღმდეგო ნებართვის ასაღებად! გამონაკლისის დაშვებით ორივე გარკვეულ რისკზე მივდიოდით მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეგვეწყო ასპირანტის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და წინსვლისათვის (პირადად სხვა მოტივი რომ მქონოდა, სხვას გამოვნახავდი და არც თავდებად დავუდგებოდი რედაქციას).

1949 წლის 15 დეკემბრიდან საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერმუშაკი ვიყავი. ჟურნალისტობიდან — მეცნიერებისაკენ, პედაგოგიური, ლიტერატურული, საზოგადოებრივი სარბიელისკენ.

მშვიდობით ჭარბი ემოციების მჩქეფარე ნაკადულებო! სალაშო განსჯითი ფიქრების ცისფერად მოლივლივე ტბებს! გაუმარჯოს მათ სინთეზირებას და ჰარმონიას.

თავი VI. ფართო სარბიელზე

1. ინტერმეცცო... ირონიზებული სახით

მაგონდება ერთი კიბერნეტიკოსის სოლიდურად ნათქვამი სიტყვები: მათემატიკურ მეცნიერებაში ალბათობის თეორია ცალკე მეცნიერულ დარგად დიდი ხანია გამოიყო და ჩამოყალიბდაო. ეზიზღა და ვფიქრობ: ჯერ თავისთავად ეჰვი, ეჰვიანი, ეჰვიანობა ღრღნის და ხრწნის ადამიანის სულს, ახლა ეს ალბათ, ალბათობა მის ტკივნს სულ მთლად გამოხრავს, ფუღუროდ, ფიტულად გადააქცევს და ვისღა უნდა გამოშიგნული, უსულოდ და უგულოდ, ადამიანი?

უცებ ფიქრი ფიქრს აედევნა, აზრი აზრს გადაება და ორი სიტყვისგან ერთის — უსულგულოს ადვილად მიგნების სიხალისემ და სიხარბემ ალბათობაზე ნეგატიური შეხედულება პოზიტიურით შემიცვალა. ეს ისე სწრაფად მოხდა, ჩემს გონებაში საკუთარ თავს კითხვა დაეუსვი: რას გადაეკიდე იმ შენთვის უცნობ, შორეულ მეცნიერულ დარგს, ნაცნობს და ახლობელს მიხედე, თუ რაიმე ძალა და ღონე გაქვს, მას არგე და ასარგებლე-მეთქი.

ასე გამიჩნდა კოსმოპოლიტური ალბათობის ანალოგიით ჩვენს ეროვნულ ფრაზეოლოგიაში პირობითობის თეორიის დამოუკიდებელ მეცნიერულ პროფილად გაფორმების იდეა. რა არის ამაში გასაკვირი? აკი ბოლო ხანებში ყოველნაირი მეცნიერული დარგები, მიმართულებები, პროფილები ფორმდება, იქმნება და იფურჩქნება! აკი ყველა რაღაც ასოციაციების, ფირმების, საზოგადოებების, პარტიების, ბლოკების, უჯრედების და ვინ იცის კიდევ რა ჯურის და რა ჯგუფის შეკოწიწებისაკენ მიიღტვის და მიისწრაფის! იმიტომ, რომ ყველას პრეზიდენტობა უნდა. თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჰამაო. მეგაფონებით ხელში დადიან და... გაჰყვირიან. დარბიან და... გაჰყვირიან. დახტიან და... გაჰყვირიან.

მე კი... მხოლოდ კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ყველაზე უმდაბლესი ტიტული — უმცროსმეცნიერმუშაკობა როგორც კი მებოძა, როგორც კი დავაპირე ფართო სარბიელის ცალფა კიბეზე ცალი ფეხის დადგმა, უმალ შემაჩერეს და, თითქოს სმენადაკარგულთა კატეგორიას მიეეკუთვნებოდე, ახლო მანძილიდან შემომძახეს: რა სარბიელი, რისი სარბიელიო, რომელი აკადემიკოსი ან პოლიტიკოსი შენა ხარ, ქვეყნებისა და მერიდიანებისკენ რომ მიგიპყრია ეგ შენი,

ვითომდა, შორმჭვრეტელი გონებითი ხედვა-გახედვაო, სხვანაირად ფართო სარბიელი, აბა, რას უნდა ნიშნავდესო. ეს რა ამბიციური, ამპარტავნული, პრეტენზიული სათაურით აპირებ ისტორიის ახალი ფურცლის დაწყებასო. რა აღმოჩენებით, რა ჰიპოტეზებით შემოდიხარ მეცნიერების მამაზეციურ ტაძარშიო!

— ბატონებო და ქალბატონებო! — მივმართავ აუდიტორიას — თქვენი აღშფოთება სამართლიანია, განრისხება კი — გაუგებრობაზე აგებული. ერთობლივ შეძახილებსა და სტიქიურ ხმაურში თქვენ ყურადღებიდან გამოგრჩათ მთავარი და არსებითი — ჩემი ჰიპოტეზა, გულმოდგინე, ხანგრძლივი ფიქრის მონაპოვარი — ჩემი აღმოჩენა. ამის შესახებ მე თქვენ ზემოთ მოგახსენეთ. უფრო დაწვრილებით ახლა ქვემოთ გადაგიშლით. დაუკვირდით სიტყვებს: ზემოთ და ქვემოთ. მათ გადამწყვეტი როლი ეკისრებათ მეცნიერულ კვლევაში და ამიტომ განმეორება მოგვიწევს. გთხოვთ მაპატიოთ.

სათაურში მოქცეულ სიტყვა „ფართოს“ ამჟამად აღარა აქვს პირობითობის ის გამაზავებელი ელფერი, რაც გზის სახეობების გარკვევისას უფრო ზემოთ, ე. ი. წინა გვერდებზე ჰქონდა ჩვენგან მინიჭებული. აქ კონტექსტში პირობითობას სხვა ფუნქცია დაეკისრა. არა, მეცნიერულად თუ ვიტყვით, — იმედი მაქვს მკრეხელობად არ ჩამითვლით გაბედულებას, უმცროს მეცნიერმუშაკს მხოლოდ მეცნიერული მსჯელობა მოეთხოვება. მე არ ვლააპრაკობ უნარზე, უმთავრესია მოთხოვნა, — დიახ, მეცნიერული გაგებით ახალ კონტექსტში პირობითობამ სულ სხვა ფუნქცია შეიძინა. ე. ი. კი არ დაეკისრა, არამედ შეიძინა. ამით პირობითობა გასცილდა წინანდელ ფარგლებს და ჩემ წინაშე წარმოდგა როგორც საკვლევი ობიექტი. აქედან მივედი ზემოთ ჩამოყალიბებულ დასკვნამდე, კოსმოპოლიტური, ე. ი. სასხვისო, საერთო ალბათობის ანალოგიით შეიქმნა სივრცითიც მხოლოდ ჩვენი ეროვნული ფრაზეოლოგიის აღმატებისათვის პირობითობის თეორიის დამოუკიდებელი მეცნიერული დარგი. აი, ბატონებო და ქალბატონებო, ჩემი მოკრძალებული ჰიპოტეზა, ჩემი მიგნება და ჩემი აღმოჩენა.

რაც შეეხება სათაურის ამბიციურობის საკითხს, ეს, სამწუხაროდ, ისტორიული შურიანობიდან, მისი თანდაყოლილი მძვინვარებიდან არის წარმოშობილი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ნაწილობრივ თქვენ მხრივ ანგარიშგასაწევი სიფხიზლიდანაც. ულრმეს მადლობას მოგახსენებთ დღევანდელობაში ესოდენ საჭირო სიფხიზლის დრო-

ულად გამოჩენისათვის. ამან თქვენ და ჩვენ ზემოთ წამოყენებული ჰიპოთეზის ლოგიკურად არგუმენტირების აუცილებლობასთან მიგვიყვანა. მეცნიერება ხომ, როგორც სწავლულები გვმოძღვრავენ, ლოგიკური აზროვნების კანონებზეა დაფუძნებულ-დაბეტონებული.

— ბატონებო და ქალბატონებო! გამომდინარე მეცნიერული ლოგიკის კანონებიდან, ვემყარებოდი რა სათაურის კონტექსტში პირობითობის ახალშეძენილ, დიახ, ხაზი მინდა გავუსვა, ახალშეძენილ ფუნქციას, და არა ოდესღაც დაკისრებულს, მოძველებულს და დახავსებულს, საპირისპირო „ვიწრო სარბიელის" ეტაპად პირადად ჩემდამი მიმართებაში, კონკრეტულ შემთხვევაში, — და მოგეხსენებათ ყოველი ზოგადი კონკრეტულის სინთეზია, — მე ვთვლიდი უბრალოდ გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის იმ „შტაბბინას", საიდანაც ამოვედი აქ, ამ აუდიტორიაში, ე. ი. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „შტაბ-ბინაში". აქ თქვენი წყალობით განკუთვნილი მაქვს ჩემი კუთხე-უბანი — საერთო ოთახში საკუთარი საწერი მაგიდა.

ხომ ყოველმა თქვენთაგანმა კარგად იცით, იმ ჩემი ახალი საწერი მაგიდის ქვემო სართულზე, დაბლა, ნახევრად ბნელ ოთახში როგორ ვიყავი, სხვებთან ერთად, შეყუჟულ-შეხიზნული ნამდვილად ვიწროდ და ნამდვილად უსარბიელოდ?

თქვენთან მოსვლამდე, როცა პირველად დაედექი დერეფნის ღია ფანჯარასთან ერთი საფეხურით მაღლა და გავხედე ზეცას, ო, ბატონებო და ქალბატონებო, იცით... ჩემს წარმოდგენაში ყველაფერი თითქოს ზღაპრულ ელდას ჰგავდა. უცებ რაღაც საოცარი შვება, სულის რაღაც მოზღვავებული აღტყინება, აზვირთება ვიგრძენი და ამ დიდი, ერთბაშად მოვარდნილი, მოულოდნელი აღტაცების დაუფარავად, ბავშვური მიამიტობით და გულუბრყვილობით, ხან ფანჯრის რაფას ვეალერსებოდი ფაქიზად, ხან მის დაკრიალებულ მინებს ნაზად ვეფერებოდი და მორცხვად ვკოცნიდი კიდეც.

ეს იყო შეგუებული და შეჩვეული ერთი მდგომარეობიდან მეორე, არა ზეციური, არამედ წმინდა გეომეტრიული თვალსაზრისით ამაღლების, სულ მცირედ განსხვავებულ, მაგრამ მაინც ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე გადასვლის ის ადამიანური განცდა, რომელსაც კი არ უნდა ვივიწყებდეთ, ვკარგავდეთ, — კრიალოსნის მძიმებად აკინძულს სათუთად უნდა ვუვლიდეთ და გულში ვიხუტებდეთ, როგორც მიძინების ჟამს სალოცავ ხატებას. ადამიანი გონების

კაშკაშით და გრძნობების ციალით ბუნებისაგან შეზავებული ღვთიური ქმნილებაა და ნუ შეეცდებით შეძახილებით მის ველურად ჩაქოლვას.

დიახ, მე ვიდექი ღია ფანჯარასთან და გაეყურებდი პირდაპირ ხელისგულივით გადაშლილ თბილისის ყველაზე ძვირფას, სანუკვარ, საოცნებო და სათაყვანებელ მთაწმინდის მხარეს — მეცნიერებისა და ხელოვნების მარადიულ მუზას — და იმის შეგრძნებით, რომ ყოველდღე შემეძლო აქედან მემზირა მისთვის, ხარობდა თვალი, ლაღობდა გული, ვერ ეძლებოდი სანახაობის სილამაზით, სიმშვენიერით და უსაზღვროებით.

— აი, ბატონებო და ქალბატონებო, სწორედ ჩემ თვალწინ დღეს გადაშლილი ეს სივრცითი უსაზღვროება, შედარებით განცდილ სივიწროვესთან, ვფიქრობ, მე მაძლევს თეორიულ საფუძველს ვისარგებლო ფრაზეოლოგიური პირობითი ერთეულით — „ფართო სარბიელზე“ და წარმოვდგე თქვენს წინაშე მისი ახლებური ინტერპრეტაციით. საწყისი სტადიიდან, დღეიდან, გთხოვთ, აღიქვათ იგი, როგორც თვალსახედის, თვალსაწიერის სრულიად უმანკო, უბიწო და უცოდველი გამოხატულება და არა...

2. დისციპლინა, უპირველეს ყოვლისა

ოთხი დაწესებულება მქონდა გამოვლილი (სკოლა, განათლების განყოფილება, ორი გაზეთის რედაქცია ფოთსა და თბილისში) და არსად კედელზე დაკიდული სატაბელო დაფიდან ჩემი ნომერი არ გადამიბრუნებია ისეთი გულმოდგინებით, როგორც აქ, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლის დირექტორი იყო პროფესორი დავით ლორთქიფანიძე (1905—1992). მას რედაქციიდან ვიცნობდი. 1947 წელს რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიიდან პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხით დაბრუნებისა და დირექტორად დანიშვნის რამდენიმე დღის შემდეგ რედაქციას ეწვია და მის კოლექტივთან საუბარი ჰქონდა ინსტიტუტის გეგმებსა და პერსპექტივებზე. მაშინ ეს შორიდან გაცნობას ჰგავდა. როცა ინსტიტუტის თანამშრომელი გავხდი, პროფილი ნათლად გამოიკვეთა, წარმოდგა როგორც პიროვნება, ორგანიზატორი, მეცნიერი.

იმ მოკლე დროის განმავლობაში, რაც მაკავშირებდა ინსტიტუტთან შორიდან თუ ახლოს (1947—1952), მის ისტორიაში იმდენი რამ გაკეთდა, დიდმნიშვნელოვანი და მასშტაბური, არც მანამდე — დაარსებიდან და არც იმ მოკლე დროის შემდეგ მსგავსი არასოდეს გაკეთებულა. ეს იყო ერთგვარი აღმავლობის, ქართული პედაგოგიკური აზროვნების სამეცნიერო-საკვლევი ცენტრის — მაკოორდინებელი და მაორგანიზებელი „შტაბის“ შექმნის ნამდვილად შესამჩნევი ხანა, პერიოდი, როცა შრომითი დისციპლინა იძლეოდა თვალსაჩინო ნაყოფს, სახელმწიფო დანახარჯი — რეალურ შედეგს.

სახელმწიფო ხარჯი! მთელ უზარმაზარ, ბოროტების იმპერიად წოდებულ დანგრეულ ქვეყანაში, იგი კაპიკობით იყო აღნუსხული, აღრიცხული და გაანგარიშებული და, ვაი, იმის ბრალი, ვინც მას არადანიშნულებისამებრ გამოიყენებდა. ფინანსთა საკავშირო მინისტრზე (ზვერევზე) მოსკოვში შეთხზული სახუმარო თქმულება ჩამოღწეული იყო თბილისშიც და იგი სიმონ სხირტლაძის მიერ გადაკეთებული სახით ინსტიტუტის დერეფნიდან დერეფანში გადადიოდა სამნეო ნაწილის საქილიკოდ: „რა უშველის ეზოს ნარგავს, წყურვილისგან ქარი ახმობს, ზაენ-დიტომ ცოცხის ყიდვა ზვერევს უნდა შეუთანხმოს“. მკაცრი მომჭირნეობითი რეჟიმი პირველ რიგში გულისხმობდა უთავბოლო და უყაირათო ხარჯების წინააღმდეგ (ვთქვათ, კაბინეტების მორთვა ძვირფასი ავეჯეულობით) დაუნდობელ ბრძოლას და არა ფულადი სახსრების ხელოვნურად დაზოგვას დაგეგმილი საქმეების საზიანოდ.

პირველად წავაწყდი შემთხვევას, როცა პიროვნების გონებითი შრომა თურმე წინასწარ იგეგმება, წინასწარ ისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოს ფურცელთა რაოდენობაც კი. უფრო მეტი — თურმე დისერტაციის დაწერისთვის სახელმწიფო გიხდის ფულს. ოღონდ დაწერე, ოღონდ გახდი მეცნიერი, ოღონდ... ასეთ პარადოქსულ სიტუაციაში (პარადოქსულს იმიტომ, რომ არც ერთ ე. წ. კაპიტალისტურ ქვეყანაში საკუთარ საკვალიფიკაციო ნაშრომზე სახელმწიფოს სალაროდან არ შეიძლება რაიმე თანხა გაიცეს), ყოველმხრივ გამართლებულად ჩანდა კონტროლისა და მომთხოვნელობის გაძლიერება ინსტიტუტისათვის გამოყოფილი თანხების კანონზომიერად ხარჯვისადმი.

მართლაცდა, ასპირანტი ხარ? სტიპენდიას ღებულობ? ჩაეტიე სამი წლის ვადაში და დაიცავი... დაიცავი დისერტაცია შენდა სა-

კეთილდღეოდ. მეცნიერმუშაკი ხარ? ხელფასს ღებულობ? წარმოადგინე წლის ბოლოს შესრულებული ნაშრომი. იგი არ ჩაიკეტება კარადებსა და ყუთებში. საკუთარი გამომცემლობის მეშვეობით ინსტიტუტი გპირდება: 1. წიგნად გამოცემას, 2. ყოველწლიურ სამეცნიერო შრომებში დაბეჭდვას, 3. თეზისებად გამოქვეყნებას. იდეალურ პირობებად არ გესახებათ? თქვენი არ ვიცი, მე კი ნამდვილად ასე მიმაჩნდა და ამიტომაც არ მჭირდებოდა შეხსენება — დისციპლინა, უპირველეს ყოვლისა!

მაგრამ დირექციის მხრივ ასეთი შეხსენების ობიექტური აუცილებლობა რეალურად არსებობდა ომის დამთავრებიდან ორი წლის შემდეგ, 1947 წლიდან, როცა სახალხო განათლების სისტემაში რადიკალური ღონისძიებანი გატარდა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს გამოიხატებოდა სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების შესაბამისად ხელფასების მკვეთრად მომატებასა და სათანადო კატეგორიებისა და ტარიფების დაწესებაში, რაც მიმართული იყო სწავლების ხარისხისა და მეცნიერების განვითარების დონის ამაღლებისაკენ. ცხადია, ფართო მასშტაბის ეს ღონისძიებანი ნაკარნახევი იყო მაღალი ფაზის — კომუნიზმის აშენების ვითომდა შორსმჭვრეტელური მიზნებითა და ამოცანებით.

ყოველივე ეს პრაქტიკულად საფუძვლად დაედო პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკურ-მეთოდიკურ სპეციალობათა განხრით სამეცნიერო კადრების მომზადების მძლავრ კერად გადაქცევას. ამისათვის მყარ ბაზად აქ პირველად შეიქმნა 10—12 ადგილიანი ასპირანტურის განყოფილება და საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭო, რომლის გადაწყვეტილება უზენაესობის სტატუსით იყო აღჭურვილი. იგი არ ექვემდებარებოდა ცენტრის რაიმე ჩარევას, შეიძლებოდა საკანდიდატო დიპლომის ადგილზევე გაცემა. ეს ეროვნული მნიშვნელობის მონაპოვარი იყო.

სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის გაფართოების, სკოლებთან კავშირის განმტკიცებისა და მასწავლებელთა მდიდარი გამოცდილების განზოგადების მიზნით ინსტიტუტი ყოველი სასწავლო წლის მარტის არდადეგებზე ატარებდა მასწავლებელთა რესპუბლიკურ სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებს პლენარული და სექციური სხდომების სახით. მომხსენებელთა შერჩევა ხდებოდა რაიონებსა, ქალაქებსა, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში წინასწარ ჩა-

ტარებული ე. წ. „პედაგოგიური კითხვების“ საშუალებით. სხვადასხვა საგნის საუკეთესო მასწავლებლების, სკოლების და განათლების სისტემის ხელმძღვანელი მუშაკების და ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლების ყოველწლიური თავშეყრა, აზრთა ურთიერთგაზიარება და პოლემიკა სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებზე, მიუხედავად გაბატონებული იდეოლოგიის ზეგავლენისა, დიდად უწყობდა ხელს პედაგოგთა შემოქმედებითი ძალების, მათი ინიციატივის გამოვლენას, მათი რიგებიდან საუკეთესოების მიზიდვას და ჩაბმას მეცნიერულ მუშაობაში.

სწორედ ამ გზით ჩაეყარა საფუძველი „პედაგოგიური კითხვის“ სერიებით საგნობრივი მეთოდიკური კრებულების გამოცემის ტრადიციას, რაც, სამწუხაროდ, კარგა ხანია შეწყდა. ამ კრებულებში დაბეჭდილია რესპუბლიკურ პედაგოგიურ-სამეცნიერო კონფერენციებზე მოწონებული და რეკომენდებული საუკეთესო მოხსნებები დაწყებითი, არასრული და საშუალო სკოლების მასწავლებელთა დასახმარებლად, მათი გამოცდილების გამდიდრების, წახალისებისა და დაწინაურებისათვის.

რამდენი ცოცხალი აზრი, ფიქრი, გატაცება, რაოდენი მონდომება, ინტერესი, საგნისადმი სიყვარულია ჩაქსოვილი მათში! თვალწინ მიდგას თითოეული ავტორის სახე, თითოეულის წინაშე მოწიწებით ვხრი თავს — ეს იქნება, მაგალითად, ქიმიკოსი თინა ჭოჭუა ფოთიდან თუ ქართული ენისა და ლიტერატურის ნოვატორი მასწავლებელი ვარო ვარდიაშვილი თბილისიდან. ყველას ჩამოთვლა ტექნიკურად შეუძლებელია, მაგრამ ყველას მადლი უნდა მიეგოს თავიანთი მოვალეობის ღირსეულად შესრულებისა და რესპუბლიკურ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის.

ყოველ წელიწადს ინსტიტუტის გამომცემლობა ზემოხსენებულ პერიოდში ბეჭდავდა და მკითხველ საზოგადოებას აწვდიდა 30—35-ზე მეტი დასახელების წიგნს, რომელთა თემატურ მრავალფეროვნებას, ინსტიტუტის კვლევითი გეგმით შესრულებული ნაშრომების გარდა, ამშვენებდა თარგმანები ჟან-ჟაკ რუსოს, კ. უშინსკის, ბ. ბელინსკის, ა. მაკარენკოს პედაგოგიური თხზულებებიდან. მაგრამ მის ძვირფას შენაძენად უნდა ჩაითვალოს იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის გამოსაცემად მომზადება, პირველი ორი ტომის გამოცემით მისი დაწყება და მომდევნო ორ-სამ წელიწადში სრულად დამთავრება. ამავე პერიოდში მომზადდა და გამოიცა აე-

ტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი ქართული ლიტერატურის X—XI კლასების სახელმძღვანელოები.

ყოველივე ეს კოლექტიური შრომის დიდ ორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ მარტოოდენ პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების საკითხებზე 1948 წლის 12—14 ნოემბერს ჩატარებული ამიერკავკასიის წინა თაგში გაკვრით ნახსენები ზონალური თათბირის მოგონება რად ღირს. თვით ვესწრებოდი მასწავლებელთა სახლში ამ კონფერენციას და თვით მოვამზადე „სახალხო განათლებისათვის" ერთი გვერდი მისი მიმდინარეობის გასაშუქებლად (იხ. „სახალხო განათლება", 1948, 23 ნოემბერი, № 48).

მაშინ თუ რეპორტიორის როლში ვიყავი და არც მევალებოდა თათბირის ზოგადი ასპექტების შეფასება, ახლანდელი გადასახედის სიშორიდან, ანალიტიკური მიდგომით, მონაწილეთა რანგით და მრავლობით იგი არ შეიძლება შემოიზღუდოს მხოლოდ ზონალურობის ვიწრო გაგებით. ეს იყო ინსტიტუტის ინიციატივით საკავშირო ხასიათის თბილისში ჩატარებული პირველი სამეცნიერო თათბირი, რომელიც მოწმობდა ინიციატორის პრესტიჟის საქვეყნოდ გამოჩენის გზით საქართველოს სახელის კიდევ უფრო განფენას ამჯერად პედაგოგიკურ მეცნიერებათა სფეროებში. ამდენად, ამ თათბირს გარკვეული პატრიოტული მიზანიც ჰქონდა. იგი განისაზღვრებოდა არა ჩატარების ადგილის არჩევანით, არამედ პირველ რიგში ქართული პედაგოგიკური აზროვნების იმჟამინდელი შედარებით მაღალი დონით. ოთხი ძირითადი მომხსენებლიდან სამი საქართველოდან იყო წარმოდგენილი (პროფ. გ. თავზიშვილი, აკად. დ. უზნაძე, დოცენტი ა. ფრანგიშვილი).

ინსტიტუტის წარმატების აქ კონტურებად მოხაზული ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, სულ რაღაც ორმოცწევრიან კოლექტივთან ერთად, პირველ რიგში მიეწერება მისი ხელმძღვანელის დაუღალავ ენერგიას და თავგამოდებას. პროფ. დ. ლორთქიფანიძე ჩემი მასთან მუშაობის პერიოდში მხოლოდ საქმის ინტერესებით „სუნთქავდა", ფიგურალურად რომ ვთქვათ, თითქოს საქმისთვის „იწვოდა და იფერფლებოდა". როცა საკითხი ინსტიტუტის რეპუტაციას შეეხებოდა, იგი საკუთარი სატკივარივით განიცდიდა ყოველ წვრილმანს, გულგრილობის და უდარდელობის გამოხატულების ყოველ დეტალს. მთელი სისასტიკით ტუქსავდა დამლაგებელს მეცნიერთანამშრომლის სამუშაო მაგიდის გაუსუფთავებლად დატოვების გამო

და ამით, როგორც ადმინისტრატორი, გამოხატავდა ზრუნვას სამუშაო პირობების შესაქმნელად, მაგრამ, ვაი, იმავე თანამშრომელს, თუ სამუშაო საათებს გააცდენდა ან უნაყოფოდ იყენებდა. ამ შემთხვევაში ოთარაანთ ქვრივის ქოქოლა მონაგონი იყო.

და სწორედ ამ მომენტში მჟღავნდებოდა ზოგჯერ პროფ. დ. ლორთქიფანიძის პიროვნული სისუსტე — უპრინციპობა, მერყეობა, დანაქადიდან ხვეწნა-მუდარამდე დაშვება და ნათქვამის უბოდიშოდ უკან წაღება, რაც მის სიტყვას ძალას უკარგავდა. ერთი სექტორის გამგე შეთავსებით დაწესებული დღეებიდან სისტემატურად 11-12 საათზე ცხადდებოდა ინსტიტუტში. დირექტორი გადავიდოდა სექტორის თანამშრომლებთან, გაცხარებით აიკლებდა იქაურობას, მოვხსნი, ხვალიდან არ დავინახო, დატოვებდა ამ სიტყვებს და თავის კაბინეტისკენ მიმავალს, დერეფანში როს გამცდენი შეეყრებოდა, შეჩერდებოდა, გაუღიმებდა, ხელს ჩამოართმევდა და მორიდებით ეტყოდა — რამე ხომ არ შეგემთხვაო.

პასუხად გრძელ ახსნა-განმარტებას როს მოისმენდა, როცა გამცდენი დაწვრილებით აუწერდა ფილტვების ქრონიკული ანთების რეციდივებს და სიტყვებით, წუხელ ძლივს გადაურჩიო, დაამთავრებდა თხრობას, ბატონი დავითი მაშინ თვალებიდან ცრემლების გადმოღვრით, საყვედურის ნაცვლად, ფერებ-ფერებით მიაცილებდა მოსახვევამდე, თავს მოუარეო, ეტყოდა და განაგრძობდა კაბინეტში მუშაობას. გაივლიდა ორი დღე. იგივე სცენები მეორდებოდა. დიახ, ასეთი პიროვნული სისუსტე ახასიათებდა ბატონ დავითს. ჭანაობდა პირდაპირობასა და პირმოთნეობას შორის.

სამაგიეროდ, დილის 9 საათიდან 6 საათამდე მას ვერ ნახავდით მოსვენებულად. შრომისმოყვარეობის, შრომის ნაყოფიერების ნიმუშს თვით იძლეოდა. ჯერ კიდევ ომამდე გაუთქვა სახელი პირველმა მონოგრაფიამ დიდი ჩეხი პედაგოგის იან ამოს კომენსკის შესახებ. იგი არაერთხელ გამოიცა ქართულ, რუსულ, ჩეხურ და სხვა ენებზე. მას მოყვა „სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები“, ვრცელი მონოგრაფიული შრომა კ. უშინსკის პედაგოგიკურ მოძღვრებასა და მსოფლმხედველობაზე, უმაღლესი სკოლების სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ განკუთვნილი „დიდაქტიკა“ და ა. შ.

დ. ლორთქიფანიძე ჯერ რსფსრ-ის, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი აკადე-

მიკოსი იყო. ინსტიტუტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრაზე გადავიდა, მის გამგედ და მის მიერ დაარსებულ საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტად ითვლებოდა. ორივე ერთდროულად დატოვა, როცა ოთხმოც წელს გადაცილებულმა შეატყო, უჭირდა, უძნელდებოდა მუშაობა. თან ასაკოვნებს თანამდებობის დატოვებას თხოვდნენ. მან პირველმა გადადგა ამ მიმართულებით მისაბაძი ნაბიჯი. და მაინც მთელ მის განვლილ გზას დაღად დააჩნდა ზედმეტი კეკლუცობა რუსებისა და ჩეხების წინაშე, უფრო ნაკლები ყურადღება ქართული ეროვნული პედაგოგიკური იდეების კვლევისადმი.

ინსტიტუტში მუშაობის დაწყების ერთი წლის შემდეგ ბედნიერება მჭონდა თავი მეგრძნო იმ სამეცნიერო დაწესებულების მუშაკად, სადაც 1951 წლის პირველი თებერვლიდან მესამე კატეგორიის ჩვეულებრივი უფროსი მეცნიერმუშაკის (მხედველობაშია ინსტიტუტის სამეცნიერო კატეგორია — ა. თ.) საშტატო განაკვეთი ეკავა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს (1888—1968) (იხ. ინსტიტუტის 1952 წლის მუშაობის წლიური ნაბეჭდი ანგარიში, გვ. 34). ეს ის დრო იყო, როცა იდეოლოგიური სიწმინდისათვის ბრძოლის მოტივით იგი განთავისუფლებული იყო „ზემოდან“ მითითებით ფილოსოფიის ინსტიტუტიდან 1948 წლის აპრილ-მაისში ჩატარებული ავად სახსენებელი დისკუსიის შედეგად. აქ მას თავს დაესხნენ წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ ვითომდა ქართული კულტურის ისტორიის გაყალბებისა და მარქსიზმის მისტიციზმით შეცვლის ცდისათვის.

ჩვენი პირველი შეხვედრა რამდენადმე უჩვეულო ვითარებაში მოხდა. ერთი თვე არც კი იქნებოდა გასული ბატონ შალვას ინსტიტუტში მოწვევიდან (ცხადია, მასზე არ ვრცელდებოდა დისციპლინის რეჟიმი), 1951 წლის 12 მარტს გამოძახებული ვიყავი ინსტიტუტის დირექტორთან. კაბინეტის კარი რომ შევაღე, იქ მაგიდის მარჯვენა მხარეს შალვა ნუცუბიძე იჯდა და ხელების გაშლით დირექტორს ესაუბრებოდა. უმალ მოვიხურე კარი და უკან გამოვბრუნდი. უბრალოდ, ზრდილობა მოითხოვდა ხელი არ შემეშალა. მაგრამ დირექტორმა პირადი მდივანი დამადევნა და სასწრაფოდ მიხმო.

— მე გავალ, თუ რაიმე საიდუმლო გაქვთ. — თქვა ბატონმა შალვამ და ადგომა დააპირა.

— რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ, ბრძანდებოდეთ. —

უპასუხა დირექტორმა და თაეის მოპირდაპირე სკამზე მიმითითა, დაჯექიო.

— გადმომცეს თქვენი გამოძახება. გისმენთ, ბატონო, დავით! — მოვახსენე დირექტორს.

— საქმე ასეა. ბრძანება ხელმოწერილია. 15 მარტიდან სექტორის გამგედ ხარ დანიშნული. შეუდექი მუშაობას და დაამყარე მკაცრი დისციპლინა სექტორში. ზოგიერთები კვლავ აცდენენ სამუშაო საათებს. ხელფასი ათი მანეთით მოგემატება. აბა, შენ იცი. ეს მინდოდა მეთქვა და კარგია, რომ ამ ჩვენს ლაპარაკს ბატონი შალვაც ესწრება. — გაღიმებული, გაბრწყინებული თვალებით მითხრა ეს სიტყვები დირექტორმა და თან დაუმატა — კანცელარიაში შეიარე და ბრძანება თან წაიღეო.

— არა, ბატონო დავით, მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, მაგრამ არ შემიძლია შევასრულო თქვენი მოულოდნელი ბრძანება. — ვუპასუხე გადაჭრით, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, დირექტორისათვის, მართლაცდა, წარმოუდგენელი ფორმით.

— რას ამბობ, გესმით, თქვენ რას ამბობთ? — მომიბრუნა პასუხად დირექტორმა შეცვლილი, ცოტათი განაწყენებული, მაგრამ ჯერ მაინც შერბილებული ტონით.

— მესმის, ბატონო დავით, როგორ არ მესმის. უნდა მიხაროდეს, მაგრამ მე ხომ ჯერ შეუფერებელი ვარ სექტორის გამგის თანამდებობისათვის. სექტორში ყველა უფროსი მეცნიერმუშაკია, ყველას წოდება და ხარისხი აქვს, თვით გამგესაც. როგორ ვიკადრო მათი უფროსობა? თან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სულ რაღაც ერთი წლის გამოცდილება მაქვს. დისერტაცია დასაცავია. ხელი შემეშლება ზედმეტი დატვირთვით და დავალებებით. — ამ არგუმენტებს რომ ვიშველიებდი, ბატონი შალვა, ვგრძნობდი, გაფაციცებით მომჩერებოდა და გაკვირვებით მისმენდა. დირექტორი განრისხდა.

— რაიკომში დავსვამ შენი პარტიული პასუხისმგებლობის საკითხს. გაგონილა კომუნისტის ასეთი მოქცევა?

— მე თანამდებობისათვის არ შევსულვარ პარტიაში. — შევეპასუხე დირექტორს. და, აჰა, განრისხების ახალი ტალღა ის იყო, თავს უნდა დამტყდომოდა, ამ დროს უცებ ბატონი შალვა სკამიდან წამოდგა, დირექტორს მიუბრუნდა და გაცინებით უთხრა:

— ჩემი ცხოვრების მანძილზე კომუნისტების ხელში ყველაფერს

მოვსწრებივარ, მაგრამ კაცს თანამდებობას აძლევდნენ და უარი ეთქვას, ამისთანა არაფერი მინახავს. ბატონო დავით! ასეთ კაცს პასუხი კი არ უნდა აგებინო, მოეფერო და გულში უნდა ჩაიკრა. მე გავდივარ და თქვენი საქმე თქვენ იცით. — დატოვა ეს სიტყვები და ღაბაჩღაბაჩით — ეს რა ვნახე, რა მოვისმინე. — გავიდა კაბინეტიდან.

სანამ დირექტორთან ავწონ-დავწონიდი „დაწინაურების" პლუს-მინუსებს, საბოლოო პასუხისათვის დაფიქრების სამი დღის უფლებას მოვიპოვებდი, ბატონ შალვას მოესწრო დერეფანში მოგროვილ თანამშრომლებთან ამ ამბის დაწვრილებით თხრობა-მოყოლა. რამდენიმე ხნის წინათ, 1986 წლის 6 ივნისს, როცა დაბადების სამოცდაათი, სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე[1] პროფესორი პროკლე კეკელიძე მილოცავდა ამ თარიღს, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე თავის წარსულიდან ეს ეპიზოდი ასეთი სიტყვებით გაიხსენა:

— მაგონდება, — ამბობდა იგი, — პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ერთად მუშაობის დროს, ჩვენს იუბილარს ჩემი თანამდებობა — სექტორის გამგეობა შეაძლიეს. მან თავაზიანად უარი უთხრა დირექტორს, მე ჯერ მომზადებული არა ვარ ამ თანამდებობისთვისო. განსვენებული შალვა ნუცუბიძე გაოცებული იყო ამ ფაქტით. ახლა უარს იტყვიან კიარა, სკამს აგაცლიან ხელიდან.

შალვა ნუცუბიძე რომ არა, დირექტორთან ორმოცი წლის წინანდელი ჩემი საუბრის საიდუმლოს, აბა, ვინ გაიგებდა. მან ამ პატარა, თითქოს უმნიშვნელო ფაქტში ადამიანის ღირსების დაკარგული თუ ჩაკლული რაღაც ნიუანსი აღმოაჩინა და თავისი შემართული

---

[1] ამ სხდომაზე ჩემთვის მომხიბლელი იყო ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით გამორჩეული ყოფილი სტუდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ შარაძის მიერ მოძღვნილი წიგნი წარწერით: „ბ-ნ აკაკი თოფურიას, ჩემს ძვირფას მასწავლებელს და უფროს მეგობარს — ღრმა პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით დაბადების 70 წლისთავზე. გურამ შარაძე. 6.06.86". ეს აღმზრდელსა და აღზრდილს შორის გულთბილი დამოკიდებულების საუკუნოვანი ტრადიციის მისაბაძი სიმბოლური გამოხატულებაა, რისთვისაც უწრფელეს და უგულითადეს მადლობას მოვახსენებ ბატონ გურამს მოგონებების ასევე სიმბოლური გადასახედიდან.

იუმორით, გონებამახვილობით აქცია იგი სააღმზრდელო ხასიათის ანეკდოტურ ამბად[1].

აქედან დაიწყო შ. ნუცუბიძესთან ჩემი ჯერ ნაცნობობა, მერე კი უფრო დაახლოება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მოწიწების, მორიდების, მოკრძალების გარკვეულ ფარგლებში. კი არ ვუთამამდებოდი, როგორც თავხედებს ჩვეიათ, ესაოდა, ერთ დაწესებულებაში ვართ, ერთნაირი უფლებები გვაქვსო. გარემოებას ვიყენებდი მხოლოდ როგორც ხელშემწყობს დაახლოებისათვის, ისე როგორც შემდეგ, უხიერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე სხვადასხვა დროის შეხვედრებს. მაგრამ დაუვიწყარი, განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი მაინც 1956 წლის სექტემბრის ერთ კვირა დღეს ზოოპარკში სრულიად შემთხვევითი შეხვედრა იყო. ღმერთს შევთხოვ ძალას, აღმადგენინოს მისი ყოველი შტრიხი და დეტალი.

კვირაობით მაშინ ზოოპარკი ბავშვებით და მათი მშობლებით, რომ იტყვიან, „ყელამდე" ივსებოდა. იგი ჯერ ისევ ძველ შესანიშნავად მოვლილ, მდიდარ ეგზოტიკურ სანახაობას წარმოადგენდა. ჩემი ოთხი წლის ბიჭი — მერაბი, უფროსი გოგონა მედეა და მე დავდიოართ ერთი კუთხე-უბნიდან მეორისკენ, ვათვალიერებთ გარეულ ფრინველთა და ცხოველთა მიკრო „სამყაროს" და ასე, 12 საათი იქნებოდა, მივადექით გრძელხორთუმიანი ვეება სპილოს გალიას. ბავშვები გისოსებშუა პურის ნატეხებს უგდებდნენ და ისიც თავისი ხორთუმით მტვერსასრუტივით თითქოს ხახაში იყრიდა ყველაფერს. აქ შევყოვნდით, ხალისით ვუცქეროდით და ვერთობოდით სამივე. ამ დროს ზურგიდან მხარზე ხელი დამადო ვიღაცამ, უცებ მოვიხედე და...

---

[1] აქვე მადლიერების გრძნობით ვიხსენებ სამოცდაათი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ პუბლიკაციას: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მოსალოცი წერილი სურათით („ლიტ. საქ." 1986, 14 მარტი), პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ღვაწლმოსილი („ქუთაისი", 1986, 25 მარტი), პროფ. ალ. ღლონტი, მეცნიერი, ომის ვეტერანი („სახალხო განათლება", 1986, 18 აპრილი), პროფ. ო. ჭურღულია და სხვა, სახელოვანი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე („საბჭოთა აფხაზეთი", 1986, 9 აპრილი), პროფ. ი. მეგრელიძე, პროფ. ალ. ღლონტი, დოც. ო. ქაჯაია, დოც. ტ. სულაბერიძე, ღვაწლმოსილი მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი („საბჭოთა ოსეთი", 1986, 14 აპრილი), დოცენტი ლუარა სორდია, მრავალმხრივი მეცნიერი და მოძღვარი („მგზნებარე კოლხიდელი", 1986, 20 მაისი) და ა. შ.

ბატონი შალვა ნუცუბიძე! იდგა და მიღიმოდა. მივესალმეთ ერთმანეთს, ხელი ჩამოვართვი. ოთხი წელი იყო გასული, რაც არ მენახა. მე უკვე ამ დროს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაველოდი კათედრის გამგედ და ჩამსვლელ ლექტორად, ის კი... ბიჭი ახლდა, 10—12 წლის იქნებოდა, თამაზს ეძახდა. ბავშვები სპილოსთან დავტოვეთ, ჩვენ კი იქვე ახლოს, ტირიფების ჩრდილქვეშ, მუხლები მოვასვენეთ.

გაგონილი მქონდა 1953 წლიდან შალვა ნუცუბიძის აკადემიიდან, უნივერსიტეტიდან და პედაგოგიკის ინსტიტუტიდან ერთდროულად განთავისუფლების შემზარავი ამბავი. ჩავლილი იყო 1956 წლის მარტის ტრაგიკული დღეები. ვიცნობდი მის კოლოსალურ ენერგიას და პოტენციურ შესაძლებლობებს თუნდაც იმით, რომ პედაგოგიკის ინსტიტუტში ყოფნის მოკლე დროში, მიუხედავად ფილოსოფიის ინსტიტუტიდან მოშორებით მიღებული მძიმე სულიერი ტრავმისა, მაინც შექმნა შესანიშნავი შრომა ძველ საქართველოში აღზრდის იდეებისა და უმაღლესი განათლების საკითხებზე. მაგრამ მიძნელდებოდად ახალი დევნა-შევიწროების პირობებში იმის დაჯერება, თუ როგორ, რა შინაგანი ძალებით შეძლო სწორედ 1956 წელს თავისი „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ პირველი ტომის გამოცემა. ამიტომ პირველი კითხვა უფრო მილოცვას ჰგავდა, რის შემდეგ საუბარი თავისთავად აიწყო.

— ცხინვალში იყიდებოდა თქვენი წიგნი. მთლად წაკითხვა ვერ მოვასწარი. გილოცავთ, ბატონო შალვა, პირველი ტომის გამოცემას, მეორესაც მალე ვიხილავთ, ალბათ.

— მაწვალებენ და თან მეხმარებიან. საარსებოდ სხვა რა გამაჩნია. ბარსაც და თოხსაც ვიშველიებ.

— ფიზიკურად მუშაობთ?

— გლდანში კარ-მიდამო მაქვს და ვერთობი. გონებრივ შრომას ფიზიკური წაბუქსირება უხდება.

— ძნელი წარმოსადგენია თქვენი პატივისმცემელი საზოგადოებისათვის ბატონი შალვა ნუცუბიძე ბარით და თოხით ხელში.

— ის პატივისმცემელი საზოგადოება შალვა ნუცუბიძის უმუშევრობას თუ ადვილად იტანს, ჩემი ბარის და თოხის დანახვაზეც ადვილად დახუჭავს თვალებს.

. — აქედან პარტიულ საზოგადოებაზე თუ გადავიტანთ აქცენტს, დახურულ წერილზე ხომ მართლა ყველამ დახუჭა თვალი.

— რომელ დახურულ წერილზე ლაპარაკობ?

— აი, წელს მეოცე ყრილობაზე პიროვნების კულტის შესახებ რომ მიიღეს.

— ყრილობის დადგენილებას რა დახურული წერილი სჭირდებოდა?

— როგორ არა, დახურულ პარტიულ კრებებზე მარტ-აპრილის თვეში ყველგან წაიკითხეს ხრუშჩოვის დავალებით ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი პიროვნების კულტის შედეგების შესახებ.

— და ვერავინ მიხვდა, ყრილობის გადაწყვეტილებას არც დახურული კრება ესაჭიროებოდა და არც დახურული წერილი?

— შეიძლება მიხვდნენ, მაგრამ პროტესტი არავის გამოუთქვამს საჯაროდ.

— პროტესტის უმაღლესი ფორმა ახალგაზრდობის გამოსვლა იყო.

— ჩემი თვალით ვნახე როგორ ესროდნენ დემონსტრანტებს კავშირგაბმულობის სახლიდან. საერთოდ ქუჩაზე დღისით სროლა აქამდე არასოდეს მინახავს.

— ვერ ნახავდი იმიტომ, რომ ქვეყანას პატრონი ჰყავდა. ამით დამთავრდა სტალინის ერა. დაიწყო დესტალინიზაცია, რომელსაც მოჰყვება დელენინიზაცია, დემარქსიზმიზაცია, დეიდეოლოგიზაცია და ბოლოს — დესაბჭოეთიზაცია.

— ეს გარდუვალი პროცესია?

— შეუვალი.

— რა განაპირობებს გარდუვალობას და შეუვალობას?

— სტალინის პიროვნება არა ხრუშჩოვის მიერ გამოგონილი კულტის სახით, არამედ რეალურად, ისტორიულად არსებული ადამიანისა, რომელიც ბედნიერება მჭონდა მენახა.

— ბატონო შალვა, რამდენადაც ვიცი, თქვენ სულ დევნას განიცდიდით, რეპრესირებულიც იყავით. პარადოქსად მეჩვენება ასეთ ვითარებაში ნახვის შესაძლებლობა. დაპატიმრებამდე ნახეთ თუ შემდეგ?

— „ვეფხისტყაოსნის“ ჩემი თარგმანი, გეტყობა, არ ჩაგვარდნია ხელში: ჩემი მეუღლის გარდა არავინ იცის, შენ გიცნობ როგორიც ხარ და გაგანდობ ერთ საიდუმლოს: მე ვინახავ ისტორიისათვის უნიკალურ რელიკვიას — სტალინის ავტოგრაფით ჩემი თარგმანის ნა-

ბეჭდ ეგზემპლარს, რომლის სატიტულო ფურცელზე და აშიებზე მისი ხელით მინაწერი შენიშვნებია. საქმე ასე იყო: — გამომცემლობამ საუკეთესო ყდაში ჩასმული სასიგნალო ეგზემპლარი გაუგზავნა სტალინს. მან ყურადღება მიაქცია თავფურცელზე მისი სახელის ხსენებას. გამომცემლობას ეამაყებოდა ამით, მაგრამ კატეგორიულად აკრძალა. ამის გამო ხელახლა ასაწყობი შეიქნა. სტალინმა არამარტო ნასწორები ეგზემპლარი მისახსოვრა თავისი ავტოგრაფით, თავისი პოეტური გამონათების იშვიათი ნიმუშიც — რუსთაველის ორი სტროფის გენიალური თარგმანი. საოცარი ეს კი არ არის, ფილოსოფიურ გამოცანად რჩება უმძლაერესი ლოგიკური აზროვნების შეხამების ფაქტი პოეტურ ნიჭთან. ამ მოვლენას არ მოეპოვება ბადალი, ისე როგორც თვით სტალინის პიროვნებაა უბადლო და განუმეორებელი[1].

მადლობა მოვახსენე ნდობისათვის და უნებურად სულმა წამძლია, ავტოგრაფის ხსენებასთან კავშირში ინფორმაციის მიწოდება ვცადე. ბატონი შალვა დაინტერესდა.

— 1947 წელს „სახალხო განათლების“ რედაქციის დავალებით გორში ვიყავი მივლინებული სკოლებში გამოსაშვები გამოცდების შიმდინარეობის გასაშუქებლად. იქ ჩამოვიდა განათლების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. მურუსიძე. მთხოვა გავყოლოდი ბერშუეთში, სადაც ცხოვრობდა სტალინის ბავშვობის მეგობარი, მასწავლებელი გრიგოლ გლურჯიძე, რომლისთვისაც სიგელი უნდა გადაეცა. მან გამოგვიტანა პატარა კოლოფი და მაგიდაზე წინ დაგვიდო სტალინის წერილი. „ჩემო გიგა! გიგზავნი მცირე ნობათს. შენი სოსო. 1945 წ.“ ეს ბარათი კონვერტით და მასში ჩადებული 5000 მანეთით ჩამომიტანა პეტრე კაპანაძემ. — გვითხრა გლურჯიძემ. ბარათი ძველებური ლამაზი ქართული კალიგრაფიული ასოებით იყო დაწერილი. ჩემთვის მაშინ ეს სიხარულის მომნიჭებელი დიდი მოვლენა იყო.

— ო, პეტრე კაპანაძე ჩამოუტანდა. — თქვა ბატონმა შალვამ. — კალიგრაფია მართლა ძველებური სუფთა ქართული ასოებით ჰქონ-

---

[1] ეს გამონათქვამი დასტურდება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, აკადემიკოს ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს მიერ „ლიტერატურული საქართველოს“ 1969 წლის 5 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიით „ვეფხისტყაოსნის“ ერთი რუსული თარგმანის ისტორიდან“.

და შენარჩუნებული. საერთოდ, შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ზნე-ჩვეულებაც. სამფეხა დაბალი ტაბლა ედგა წინ, როცა თითქმის მთელი ღამე გავათენეთ მარტოდ-მარტო საუბარში. გულისტკივილით მითხრა: ფენომენალური მეხსიერების კაცი ხართ და იცოდეს საქართველომ, ჩემზე უბედური მის მიწაზე არავინ დაბადებულა. პირადი ცხოვრება რუსეთს შეეწირე, რუსეთის სახით საბჭოთა ხალხს. ხალხი არ დამიეიწყებს, პარტიაში კი სხვა ძალა მოვა, არ მაპატიებენ ქართველობას. იქ კიდევ — საქართველოს რა გაუკეთაო, იტყვიან. აი, თქვენი თარგმანი ქართულიდან ქართველისა საქართველოს სულიერი კულტურის მშვენება და დიდებაა. თქვენ ხომ ამის მოწმე ხართ. და იქნებ თქვენც...

— ამას რომ ამბობდა, — განაგრძობდა ბატონი შალვა საუბარს, — ჩიბუხით ხელში ტაბლას გარშემო უელიდა. ჩემი თვალებით ვხედაედი, ინტუიციით ვგრძნობდი მის ნელ მოძრაობაში, უტყვ სუნთქვასა და წუთიერ დუმილში რაოდენი ადამიანური სევდა იყო ჩაქსოვილი! ბედის ტრაგიკულობის რაოდენი ღრმა განცდა! და იმ ღამის მოგონებას დღევანდელობას რომ ვადარებ, ყოველივე ამის წინასწარმეტყველურ ამოცნობაშიც კი მეღავნდება სტალინის ბუმბერაზობა და სიდიადე. იგი შორმჭვრეტელი იყო.

— თქვენ მას მაინც მაღალ შეფასებას აძლევთ?

— მე შალვა ნუცუბიძე არ ვიქნებოდი მაშინ, თუ ჩემი პირადული წყენა სტალინის საკაცობრიო როლის დაკნინებას შეხამის წვეთად გავურიო. ის ბუმბერაზად, დიდად, მიუწვდომელ ფენომენად დარჩება მსოფლიო ისტორიის არენაზე მანამ, სანამ თვით არენა იარსებებს, როგორც ცნებითი კატეგორია.

— ახლა რაკი ჩვენში დემოკრატია შემოდის, როგორც ცნებითი კატეგორია, ალბათ, მსოფლიოს გაკრობა არ ემუქრება. მაგრამ როგორ გესახებათ დემოკრატიულობის უახლოესი მომავალი?

— რუსეთი უფრო ადრე აითვისებს მის „დოქტრინას", ვიდრე საქართველო. მე დემოკრატიული საქართველოს სამწლიანი ექსპერიმენტის მოწმე და მონაწილე ვარ. დამფუძნებელი კრება ბალაგანად იქცა. პოლიტიკური კიარა, ყოველგვარი კამათი, ლიტერატურული თუ მეცნიერული, ჩვენთან პირადული მტრობით მთავრდება. ეს ქართულ გენებში ჩაბუდებული მოუცილებელი სენია. მის მოსპობას თვითაღზრდის დიდი კულტურა სჭირდება. ხოლო ამისთვის დიდი დროა საჭირო.

— ბატონო შალვა, გავიგე, რომ ბერიას აგენტობას გაბრალებენ. ბერიამ დაგიჭირათ და ასეთი ბრალდება აბსურდი არ არის?

— ომის დამთავრებამდე გერმანიაში მე სტალინის დავალებით ვიყავი გაგზავნილი. ბერია დავალების შემსრულებელი იყო. ეს ახალი ლეგენდა აქედან წარმოიშვა.

— ალბათ, შეხვედრიხართ. მიგაჩნიათ, რომ ბერია მართლა იმპერიალიზმის აგენტი და ხალხის მტერი იყო?

— ბერია ორგანიზატორული ნიჭით პატარა სტალინი იყო. თუ დიდი სტალინი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, პატარა სტალინის ხვედრი რუსული შოვინიზმის წიაღიდან ამოტივტივებული გესლით სხვანაირი სცენარით არ გათამაშდებოდა. პირველის პირადი ცხოვრება ტრაგიკული იყო, სიკვდილი — ტრიუმფალური. მეორის ორივე ერთად — ტრაგიკომიკური, და საერთოდ — ცხოვრება ნიღბების ჭიმერაა. ბავშვებს მივხედოთ, სად არიან ყურუმსაღები. — თქვა ბატონმა შალვამ და სკამიდან წამოვდექით. სამივე იქვე ახლო მანძილიდან გვიყურებდა, გვითვალთვალებდა თურმე, ჩვენს ადგომას ელოდა.

— შეხედე ამ ცელქებს, რა დინჯად მოდიან. — ჩუმად ჩამილაპარაკა ბატონმა შალვამ.

— ნაყინით უნდა დავაჯილდოვოთ. ნება მომეცით მასპინძლობა გავწიო. — ვუპასუხე და ხუთივე ყელგაგრილებული დავცილდით ერთმანეთს ზოოპარკის კართან. დასავლეთისკენ გადახრილი შემოდგომის მზე მწარედ აცხუნებდა.

ამის შემდეგ კიდევ დიდმა დრომ განვლო. 1963 წლის 18 დეკემბერს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ დისერტაციას პეტრე იბერიელის შრომების ტექსტებით და ვრცელი გამოკვლევით სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, მახსოვს, წინ აღუდგა აკაკი შანიძე და სიმონ ყაუხჩიშვილი. დისკუსია ორ დღეს გრძელდებოდა. სიტუაცია სულ უფრო მწვავე, დაძაბულ ხასიათს იღებდა. შალვა ნუცუბიძე ამ დროისათვის ყოველმხრივ რეაბილიტირებული და აღდგენილი იყო თავის ძველ მდგომარეობაში. იგი საბჭოს სხდომებს ესწრებოდა არა როგორც საბჭოს წევრი ან ოფიციალური ოპონენტი, არამედ როგორც დისერტანტის მხარდამჭერი, რომელმაც მის მიერ ადრე წამოყენებული დებულებების დამადასტურებელი უტყუარი მასალები გამოამზეურა. ამიტომ თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამოსვლაც მოუხდა.

აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა ორატორულ ხელოვნებასთან, სიტყვის სალაროს არაჩვეულებრივ სიმდიდრესთან ერთად მისი შეუდრეკელობა და ლომისებური შემართება მეცნიერული ინტერესების დასაცავად. ფაქტობრივად, ეს იყო სამი დიდი მეცნიერის ერთმანეთთან დაპირისპირება ანგარიშით 2—1.

— ერთი მხრივ, გრამატიკოსის პუნქტუაციური თეორიით დაბინდული აზრი და, მეორე მხრივ, ლათინური ენის ცოდნის „ბუკვაედობა“ საკმარისი არ არის ფსევდო-დიონისე აეროპაგელის ფილოსოფიური ლაბირინთების გასარღვევად. დიდ სიმაღლეს დიდი ფრთები სჭირდება და, საერთოდ, ნურავინ შეეცდება იმ გვირაბში შესვლას, საიდანაც გამოსაღწევი გზები დაკეტილია.

შალვა ნუცუბიძის ფრთიანმა სიტყვებმა დისერტანტის ბედი დადებითობისკენ შეატრიალა. მაგრამ ჩემთვის დღესაც გაურკვეველია ინტერესთა დაჯახების ის მოტივები, რომლებმაც გამომწვევად გააღიზიანეს მისი მიძინებულ-მიყუჩებული პატივმოყვარეობა და ინსტინქტები. ვფიქრობ, იგი უფრო ოპონენტებთან დისერტანტის პირადული ურთიერთობებიდან გამომდინარეობდა.

მეოცე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების დიდი კორიფის შეცნობისა და გაგებისათვის ამჟამად მხოლოდ ნიადაგი მზადდება, სრულყოფადობა — თაობების საქმეა.

იმათ შორის, ვინც მუშაობით დაქანცულობისაგან დერეფანში შესვენების წუთებს გონივრულად იყენებდა, თავისი კოლორიტულობით გამოირჩეოდა 1947 წლიდან ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერმუშაკი არკადი ხუნდაძე (1897—1969). ასეთ დროს მისი ჰობი ხუმრობა და ანეკდოტები იყო. პედაგოგიკის ისტორიის და თეორიის სექტორიდან იგი ხშირად გადმოდიოდა ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორის ოთახში, სადაც შეთავსებით მომუშავე თანამშრომლები კვირაში სამ დღეს დადიოდნენ.

სექტორის გამგეობა მავალებდა ოთახში გამუდმებით ყოფნას და მარტოობის შუალედებს მაქსიმალურად ვიყენებდი წლიური ინდივიდუალური გეგმის შესასრულებლად. იგი ორ ეტაპს მოიცავდა. მასალების, წყაროების გაცნობა-შესწავლას და თემის დაწერას. ამ მეორე ეტაპზე ბატონ არკადის სტუმრობა, შესვენების დროის გარდაც, თავისთავად ყოველთვის სასიამოვნო და სახალისო იყო ჩემთვის. შუახნის კაცს ტანბრგე, სიცოცხლით სავსე ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა. სალამის მოძღვნით შემოგხაროდა, შემოგცი-

ნებდა თითქოს, თვალები უბრწყინავდა, თავის ალალ გრძნობას გულღიად გამოხატავდა. ბუნებით იყო უაღრესად კეთილშობილი, ზრდილობით და პატიოსნებით სავსე.

არკადი ხუნდაძეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა მინიჭებული, როცა კანდიდატურების დამტკიცება მიკროსკოპიული შერჩევით და შემოწმებით ხდებოდა, თითზე ჩამოსათვლელი რომ იყო. მას საინტერესო მწერლური წარსულიც ჰქონდა. დანიელ ჭონქაძეზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე შექმნილ პირველ, დოკუმენტური მასალებით მდიდარ მონოგრაფიას არ გამოჩენია მეტოქე და შემცვლელი. მე ვიცნობდი მის ზოგიერთ საბავშვო მოთხრობასაც.

ეს ნიშნები და თვისებები მაახლოებდა, მჭიდროდ მაკავშირებდა მასთან. ვისხედით ორივე მუუდრო, მზიან ოთახში და ბევრ საერთოს ვპოულობდით ერთმანეთის ხასიათში. ისიც, როგორც მე, სოციალურად მრავალშვილიანი გლეხის ოჯახიდან, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჭალაგონიდან — ღარიბი კუთხიდან იყო გამოსული და ამიტომ ორმაგად მიზიდავდა მისი თხრობა ცხოვრების განვლილ გზებზე. განსაკუთრებით საგულისხმოდ ჩამრჩა მონაყოლიდან ზოგი რამ ვაკის საბავშვო სახლის ისტორიაზე. მისი დამაარსებელი ხომ თვითონ იყო, მაშასადამე, თვით განასახიერებდა მის ისტორიას.

— კომუნისტები რომ შემოვიდნენ თბილისში, მე მაშინ ახალ გადმოსული ვიყავი ხაშურიდან და რკინიგზის სკოლაში ვმუშაობდი მასწავლებლად. სადგურის მიდამოები სავსე იყო მოხეტიალე უდედმამო ბავშვებით. სამოქალაქო ომს რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან გამოერიყა სამხრეთის ნაპირებისკენ და ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ. ყველა ჯურის იყვნენ, მათ შორის ქართველებიც. ორთქლმავლების კვამლით გამურულებს პირისახე არც კი უჩანდათ. ასეთ ბავშვებს მაშინ „პაცნებს“ ეძახდნენ.

— მაპატიეთ, ბატონო არკადი, სიტყვა „პაცანმა“ გამახსენა. სენაკში სოფლიდან პირველად რომ ჩავედი, ეს იყო 1930 წელს, კერძო დუქნების წინ ტექნიკუმის მოსწავლეები რომ ჩავიღლიდით, ხშირად მესმოდა მედუქნისაგან — შეხე, შეხე, რავა პაცნებივით დადიანო. ვერ გამეგო რას ნიშნავდა. ალბათ, ადრე იქაც იქნებოდნენ.

— უმთავრესად რკინიგზის საკვანძო ქალაქებში ყველგან იყვნენ. მატარებლებს დასდევდნენ, ხან ვაგონებქვეშ შემძვრალნი, ხან სახურავებზე მოკალათებულნი. თბილისის ყოველ დიდ ქუჩებსა და მო-

სახეებში ნახავდით მათხოვრებად ქცეულ ბავშვთა ჯგუფებს. მათ ძონძების მაგვარი რაღაც ნაფლეთები ეცვათ. ნახევრად მშიერნი, შიშველნი იყვნენ. გულმოსაკლავად ფულის და პურის ნატეხების შეგროვებას რომ იწყებდნენ, ჯერ ერთმანეთს ეკეროდნენ, მერე ეცილებოდნენ, რათა არსებობისათვის ბრძოლის ინსტინქტით ერთს მეორე დაეჯაბნა, დაეჩაგრა, სასიკვდილოდ განეწირა. მაწანწალების ეს უმწეო ჯგუფი ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდა. ჰოპ... ჰოპ... ჰოპ... პა.. პა.. პა.. რა საცოდაობა, რა უბედურება, რა საშინელი სანახაო იყო.

— მაკარენკოს „პედაგოგიურ პოემაში“ აღწერილს არ გაგონებთ? — ვკითხე და... გვიანღა იყო უადგილო რეპლიკისათვის ენის წვერზე კბილთა კბენანი. ბატონ არკადის სახეზე წყენის ნიშნების გაელვება და გაჭრობაც ერთი იყო. საოცარ თავშეკავებას იჩენდა მოულოდნელ სიტუაციაშიც კი. აბა, მაკარენკო რა სახსენებელი იყო, როცა ამბავი მის გამოჩენამდე საკუთარი თვალით დანახული სინამდვილის აღწერას შეეხებოდა. უფრო მეტი — თვით შექმნა ამ სინამდვილიდან ლამაზი ისტორია, რომელსაც ვაკის საბავშვო სახლი ერქვა, ხოლო ამ სახლის აღზრდილთა უთვალავი ბარათები თვით წარმოადგენდა მისთვის მათი განახლებული, გარდაქმნილი, ახლადშობილი სულების თავისებურ, უძვირფასეს პოემა-საგანძურს.

დიახ, არკადი ხუნდაძის თავდადებული შრომით და ღვაწლით დაარსდა უდედმამო ბავშვთა პირველი საბავშვო სახლი თბილისში, მის მაშინდელ გარეუბნად წოდებულ ვაკის დაუსახლებელ მხარეში და 1925 წლიდან 1947 წლამდე, მიუხედავად უპარტიობისა, მთელი ოცდაორი წელიწადი მისი გამგე-დირექტორი იყო. მისი ინიციატივით დაწყებულ კეთილშობილურ საქმეს შემდეგ მთელ საქართველოში (ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, კასპი და სხვა) გამოუჩნდა მიმდევარი და გამგრძელებელი, უსახლკარო, ქუჩის მაწანწალა ბავშვებს კი — მზრუნველი პატრონი, მეთვალყურე, აღმზრდელი და შეგობარი. და რამდენი ღირსეული თაობა აღიზარდა მათი რიგებიდან! სოციალურად საშიში მდგომარეობიდან 20-30-იან წლებში ისინი იქცნენ საზოგადოების ჯანსაღი სხეულის განუყრელ, შემადგენელ ნაწილად. ამ ისტორიული ფაქტის არც დავიწყება შეიძლება, არც იგნორირება და არც უკუგდება.

ინსტიტუტში გამორჩეულ ფიგურად ითვლებოდა საქართველოს

სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რ უ ს უ დ ა ნ ნ ი კ ო ლ ა ძ ე (1884—1981) — ნიკო ნიკოლაძის ყველაზე უმცროსი ქალიშვილი. იგი ქიმია-ბიოლოგიის მეთოდიკების სექტორის უფროსი მეცნიერმუშაკი იყო. ჩემს გვერდითა ოთახში იჯდა და ყოველ კვირას ვხედავდი ხან კრებაზე, ხან ინსტიტუტის მუშაკებთან ე. გიორგაძესთან, ვ. კობახიძესთან, ა. მიქაძესთან ერთად. ძირითადად მაშინ ქალბატონი რუსუდანი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მუშაობდა კათედრის გამგედ. სექტორის წლიურ საკვლევ თემად კი დამტკიცებული ჰქონდა საშუალო სკოლის ქიმიის კურსში ატომისა და ელემენტის თანამედროვე ცნების საკითხი, რაც მეთოდიკური განხრით მას ინსტიტუტის პროფილთან აკავშირებდა. ამრიგად, იგი ერთდროულად ემსახურებოდა მეცნიერების ორ დარგს — ქიმიური მოვლენების შემსწავლელს, ე. ი. მეცნიერებას ქიმიის შესახებ და — საშუალო სკოლაში ამ მოვლენების სწავლების გზებისა და პრინციპების შემმუშავებელს, ე. ი. მეცნიერებას ქიმიის სწავლების მეთოდიკის შესახებ. ასეთი რამ გამონაკლისთა წილხვედრია.

ამით იგი მართლაც გამორჩეულ ფიგურად ითვლებოდა. მაგრამ ფიზიკური აგებულებით ანტიპოდურად გამოიყურებოდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით გაგებასთან. არა, დაბალი არ ეთქმოდა, უფრო შესატყვისად — პატარა, გამხდარი, გრძელი შავი კაბით, სიმპატიური სახის, წყნარი, მშვიდი ბუნების, დიდი შინაგანი კულტურით აღსავსე. სიარულის დროს მომცრო ტანი ერხეოდა, თითქოს კოჭლობსო. ასეთად დარჩა იგი გარეგნული და სულიერი კდემამოსილებით ჩემს მეხსიერებაში. პატარა მოცულობა დიდი ენციკლოპედიური ცოდნა-განათლების ტევადობით.

ინსტიტუტის წამყვან — პედაგოგიკის ისტორიის და თეორიის სექტორს განაგებდა დოცენტი ვ ა რ ლ ა მ ქ ა ჯ ა ი ა (1906—1970). იგი ადრე, ცოტა ხნით, ნამუშევარი იყო „სახალხო განათლების“ რედაქციაში, საიდანაც გადაყვანილ იქნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. შეთავსებით ლექციებს კითხულობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც პედაგოგიკის კათედრის თანამშრომელი. ჯერ კიდევ ომამდე განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსთან უშანგი ობოლაძესთან და ინსტიტუტის დირექტორთან დ. ლორთქიფანიძესთან ერთად ჰქონდა დამთავრებული ასპირანტურის კურსი მოსკოვში. ერთად სვამდნენ და ქეიფობდნენ კიდეც.

მაგრამ ორი ნელ-ნელა ჩამოცილდა უზომო ღვინის სმის მაენე ჩვეულს, ე. ქაჯაია, სამწუხაროდ, ბოლომდე შერჩა. ამიტომ მისი ნიჭი, უნარი და შესაძლებლობა ვერ გამოვლინდა იმ მასშტაბით, რომელსაც იმსახურებდა და ყველა მოელოდა მისგან. ასევე უნდა ითქვას ინსტიტუტის ზოგიერთ თანამშრომელსა და ასპირანტზე, კერძოთ, უმელიანე გოგინავას, დავით ჩხეიძის და სიმონ სხირტლაძის შესახებ. თითოეულს ცალ-ცალკე ღვთით მომადლებული მახვილსიტყვაობის, შეკერმეტყველების ნიჭი და უნარი, ფართო განათლება, ერუდიცია ჰქონდა, მაგრამ დასანანია, რომ ნებისყოფის სისუსტის გამო, ნაადრევად ემსხვერპლნენ...

დიდია და განსაკუთრებული ვარლამ ქაჯაიას ღვაწლი იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის მომზადების და გამოცემის, სახალხო განათლების მუზეუმის დაარსების და ჩამოყალიბების, ქართველ პედაგოგთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მონოგრაფიული შრომების (ალ. ჭიჭინაძე, ივ. გომელაური და სხვ.) შექმნიის საქმეში. სამეგობროდ კეთილი და თავდადებული იყო. ამიტომ მის გარშემო პატივისმცემელთა ფართო წრე იყო შემოკრებილი.

ინტელიგენციის ამ ფართო წრის მაშინდელი საღი გრძნობა-განწყობილების ნათელ დემონსტრირებად მოჩანს ვარლამ ქაჯაიას მამის დაკრძალვაზე 1950 წლის გაზაფხულის მიწურულს დიდძალი სტუმრის ჩასვლა თბილისიდან მარტვილის რაიონის სოფელ ონოღიაში. სატრანსპორტო სიძნელეების პირობებში ეს ქართული ტრადიციული ხასიათის — მეგობრობის, ერთგულების მკაფიო გამოვლენა იყო. კერძო მანქანები ხომ მაშინ საერთოდ არავის ჰყავდა. მიცვალებულის სასაფლაომდე მიცილების შემდეგ მე, შოთა ძიძიგურმა და პროკლე კეკელიძემ ღამე დიდიჭყონის ჩაის მეურნეობის სასტუმროში გავათიეთ.

მეორე დილით მეურნეობის ხელმძღვანელობამ დიდი პატივი დაგვდო. სანაკამდე სამგზავროდ სატვირთო მანქანა მოგვამაგრა, საუზმის შემდეგ უნდა გავმგზავრებულიყავით. მოულოდნელად ბატონმა შოთამ სურვილი გამოთქვა, მშობლიურ სოფელთან რაკი ახლოს ვიმყოფები, ერთი საათი მეყოფა, ბარემ ვნახავ და დავბრუნდებიო. მაშინვე ვილისი გამოუყვეს. ჩამსვა მეც და... ცხენისწყლის ხიდზე როგორც კი გადავედით, მძღოლს უთხრა — მარცხნივ გაუხვიე, ბარაბაძეების უბნის ზემოთ, მაღლობზე, ქალთა მონასტერია, იქ მიმიყვანე როგორმეო.

— მონასტერში რა გინდა-მეთქი. — ვიყვირე გაკვირვებით.

— იქ განდგომილი გადია უნდა ვინახულო. — მიპასუხა ნატვრის აღსრულებით გახარებულმა.

ვილისმა სწრაფად დაფარა მიხვეულ-მოხვეული, ტალახიანი გზა. მაღლობზე სამონასტრო შენობის ნატამალი არ ჩანდა. სიცოცხლე ჩამკვდარიყო, ჩიტების გუნდიც კი გაცლოდა იქაურობას. საიდანღაც მაღალი აღნაგობის გამხდარი, ლოყებჩავარდნილი დედაკაცი გამოჩნდა. ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით შემოგვეგება. შოთა მიეჩქარა და სანამ დედაკაცი რაიმეს თქმას მოასწრებდა, შუბლზე აკოცა. დედაკაცმა ტუჩების შორეული ცმაცუნის შეგრძნებით უეცრად შეიცნო სტუმრად მისული და მკერდზე მიიხუტა. მერე გარინდებით შესცქეროდა და დუმდა.

— მონოზვნები სად არიან, გადია? — ჰკითხა ბატონმა შოთამ..

ო, ნეტავ, არ ეკითხა! ნეტავ, არ მენახა! დაუჯერებელი, გაუგონარი, წარმოუდგენელი, აუწერელი, ენით უთქმელი.

ორმოცი წელიწადი ვატარე იმ წუთების შთაბეჭდილება დედამიწაზე უმძიმეს ტვირთად და, აჰა, უნდა მოვიხსნა, თქვენ გადმოგცემთ და... ზიდეთ, დაინაწილეთ, დაიწილადეთ, დაიხსომეთ და გაეცით პასუხი ზენაარსს რიტორიკულ კითხვებზე: რატომ? რისთვის? სწორია?

გადიამ მიგვიყვანა სოფლური კარდალის მსგავს თუჯის უშველებელ ღია ქვაბთან, რომლის დიამეტრი მეტრნახევარი-ორი მეტრი იქნებოდა. ზედაპირზე შორიდან არაფერი ილანდებოდა, ახლოს რომ მივედით და ჩავხედეთ: ოი, საკვირველებავ, საკვირველაბათა საკვირველებავ, ნუ შეურყევ ადამიანს გონსა და ჭკუას, ნუ გადააცდენ, ნუ...

ცოცხალი ლეშების გავარვარებული წითელი მასა თითქოს ერთგროვად ეყარა ქვაბში. თითქოს კვესკნელიდან ისმოდა რაღაც სისინის, წივილისნაირი მიკნავებული, მისუსტებული, უბგერო და უაზრო ხმა, რომელიც ქვეწარმავალთა მოდგმას უფრო ესადაგებოდა, ვიდრე... იხრწნებოდა არა ერთის და ორის, მთლიანად მათხოვრის დედათა მონასტერს ოდესღაც შეფარებულთაგან ბოლო დრომდე დარჩენილი იმ მონოზვნების ჯერ კიდევ სულმობრძავი, დაშრეტილი, ძვალტყავად ქცეული სხეულ-გვამები, რომლებიც ტანწერწეტა ლერწმების სიმშვენიერიდან დიდრონ-დიდრონ, დაგრეხილ-დაგრძელებულ უცნაურ წურბლებს დამსგავსებოდნენ.

ახლა ისინი ერთმანეთს გადაკვროდნენ, ერთმანეთში ჩახლართულ-ჩათქვეფილიყვნენ, უსუსურნი და უძლურნი ერთმანეთს კორტნიდნენ, ქვაბის ძირიდან კედლებს ეპოტინებოდნენ, თითქოსდა, ზეასვლის წადილით, მაგრამ ისევ და ისევ კედლებს შორის სრიალებდნენ, ვითარცა ულმობლად განწირულნი და თავიანთი მილეული სიცოცხლის ერთადერთ ნიშნად უფეხოდ და უნაკვთებოდ მოძრაობის, ო, არა, დაგუნდავებულად ვითომდა ქანაობის რაღაც სასწაულს გვიჩვენებდნენ.

სასწაული! დაუჯერებელი, გაუგონარი, წარმოუდგენელი, აუწერელი, ენით უთქმელი.

— რა ხდება ქვაბში, ქალბატონო? — ვკითხე გაოგნებით ჩვენს მეგზურს.

— არაფერი ისეთი. თვითგვემით უნდა დასრულებულიყო ჩვენი სიცოცხლე აქ, ამჟამად გაველანებულ მონასტერში, სადაც წინათ ჩვენი წესით და ადათით ვცხოვრობდით.

— ხომ შეიძლებოდა დაბრუნებოდით თქვენ-თქვენ გარემოს და გაგეგრძელებინათ ახალი ცხოვრება?

— თითოეულ ჩვენგანს საკუთარი ღმერთის — საკუთარი სინდისის წინაშე გექონდა ჩადენილი ცოდვა. ამიტომ საკუთარი ღმერთისგან უნდა დავსჯილიყავით ცალ-ცალკე და ყველა ერთად. ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ და ამ გადაწყვეტილებას ვასრულებთ.

— თქვენ რჩებით?

— მე და ჩემი დამხმარე ამათ ძვლებს რომ ამოვალაგებთ და მიწას მივაბარებთ, იმავე მიწაში ჩავეფლობით და ერთად წარვდგებით პირწმინდად დიდი უფლის — მამაზეციერის წინაშე.

უკან დაბრუნებისას შოთა ძიძიგურმა ამიხსნა: — იცი, რა ლამაზი ქალი იყო ჩემი გადია? მათხოჯში უკეთესი ვერ გაივლიდა. სახელი გაუტყდა სოფელში ვიღაცასთან მალული კავშირის გამო და სირცხვილისგან განშორდა, განუდგა ხალხს. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი.

სირცხვილისგან განდგომა!

მარქსისტული „ოპიუმის“ შედეგია ეს თუ რელიგიური კათარზისის? ღმერთო ჩემო! რამდენი სახელგატეხილი დაეხეტება ქვეყნიერების დაბინძურებულ გზებზე! იქნებ...

ამ საზარელი სანახაობის ერთი კვირის შემდეგ, ივნისის პირველ დეკადაში, ჩვენი შენობის ქვემო სართულზე ფსიქოლოგიის ინსტი-

ტუტის დირექტორის, აკად. დ. უზნაძის ინსულტი საბედისწეროდ დასრულდა. დილის 12 საათზე მოულოდნელად დაწყებული პროცესი გარეთ, ეზოს უკანა მხარეში, სამი დღე-ღამე გაგრძელდა. ტახტზე დაწოლილს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტთა თანამშრომლები შეერთებული ძალღონით მორიგეობდნენ, დარაჯობდნენ იმის იმედით, რომ შეწოვება წარმატებით დასრულდებოდა. ბოლოს მაინც კუბოს გატანა გარდუვალი გახდა.

ზედიზედ ორმა უსიამოვნო შემთხვევამ კალაპოტიდან ამოგვაგდო ყველა. ზაფხული კარზე იყო მომდგარი. მოულოდნელად მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტიდან მიწვევა მომივიდა, მთხოვდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთთვიან რესპუბლიკურ კურსებზე დამეკავებინა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სალექციო საათები. მერე სად? კურორტ ბორჯომში... ახალი ასპარეზი... პირველი ლექცია... პირველი კონტაქტები მომავალ კოლეგებთან...

ჟურნალ „მნათობში“ 1949 წლიდან 1985 წლამდე ვთანამშრომლობდი. იმ პირველ წელს, მაგალითად, ჩემი ორი რეცენზია (№ 4, 8) და ერთი ლექსი (№ 1) დაიბეჭდა. ეს ლექსი თბილისში არ იყო დაწერილი. უნდა გამოვტყდე, იგი დაიბეჭდა ომამდე ფოთის საქალაქო გაზეთში (1941, № 18). მივიტანე იმავე სახით, როგორც დაბეჭდილი იყო იმ მიზნით, რომ უბრალოდ გამეგო ყველაზე სოლიდური ლიტერატურული ჟურნალის პოზიცია. შემემოწმებინა საკუთარი პოეტური მეობის დონე და შესაძლებლობა. პუბლიკაციას ვინ დასჯერდა! საკავშირო პერიოდული ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვის“ ფურცლებზე გია მარგველაშვილის კრიტიკულ წერილში „ცხოვრებას ჩამორჩენილი ჟურნალი“ დასახელებული აღმოვჩნდი ლენინის თემაზე „მნათობში“ დაბეჭდილი კარგი ნაწარმოებების ავტორების: ალ. აბაშელის, კ. ნადირაძის, ვ. ჟურულის გვერდით (იხ. დასახელებული ჟურნალი, 1949, № 4, გვ. 148). ამაოდ! ამ დროს უკვე ხელი ჩაქნეული მქონდა „ლექსაობაზე“.

1950 წელს დაბეჭდილმა ვრცელმა წერილმა ილია ჭავჭავაძესა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე პირველად დამაკავშირა ახლო ჟურნალ „მნათობის“ მაშინდელ რედაქტორთან, პოეტ-აკადემიკოს ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ე ს თ ა ნ (1909—1992). პირადად მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ შორიდან, დალაპარაკების გარეშე. მწერალთა კავშირის ერთ-ერთი თავყრილობის დროს, საღამოობით რომ ტარ-

დებოდა, დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე კარებთან შემხვდა და ჩაელით ჩამჩურჩულა — შენი ლექსი იბეჭდებაო. იმდენად თავშეკავებულად მეჭირა თავი, მადლობის თქმაც ვერ მოვახერხე, უფრო სწორად, ვერ გავუბედე. ახლა ვუხდი ბოდიშს. მაგრამ ამ რიდს და მოკრძალებას საფუძველი ჰქონდა.

ჯერ ერთი, იგი მწერალთა კავშირის ნაპირველკაც-ნამდივნარი იყო. ეს თანამდებობა ჩემში მოწიწებას ბადებდა, რადგან პირველკაცობა პირველობას თუარა, გამოჩენილობის ასოცირებით მაინც აღიქმებოდა ომამდელი ზღვისპირა პროვინციიდან და კრძალვა-რიდი იქიდან მომყვებოდა. მეორე და მთავარი — ერთადერთ ლიტერატურულ ჟურნალს რედაქტორობდა. ლიტერატურის რა ჟანრით უნდა წარვმდგარიყავი მის წინაშე, მის გვერდით დგომის უფლება რომ მქონოდა?

აი, იმ პირველმა ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის წერილმა კი ნამდვილად მიბიძგა, ხელი მკრა თითქოს და რედაქციიდან პირდაპირ გაშლილ სუფრაზე ირაკლი აბაშიძის გვერდით დამსვა. ეს მოხდა ყოფილი პლეხანოვის გამზირზე გორკის სახელობის ბაღი-პარკის საზაფხულო რესტორანში. თითქმის რედაქციის მაშინდელი ძირითადი ელიტა იყო სუფრაზე: ნიკა აგიაშვილი, ლავროსი კალანდაძე, გრიგოლ ჩიქოვანი, შალვა ალხაზიშვილი. მე და ვლადიმერ ჯიბუტი (ისიც ხშირად ბეჭდავდა რეცენზიებს) მასპინძლის როლში გამოვდიოდით. ამის მერე ისე დაეუახლოვდით ერთმანეთს, აკაკის ნაცვლად შინაურულად კაკოს მეძახდა (მე კიდევ ირაკლის ნაცვლად ირას) და ასე მიძღვნიდა წიგნებს. მაგალითად, ერთ-ერთ მის წიგნს — „სიტყვები, გზები, სახეები" თავფურცელზე აწერია: „ჩემს კაკოს ძმურად. 29. IV 1971"

ერთხელ ნათქვამი მაქვს და ახლაც ვიმეორებ: სუფრაზე მოლხენა მაშინ დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო საჭმელ-სასმელის სიუხვით, გულითადობით, უანგარობით, ხარჯის მისაწვდომობით, მომსახურების კულტურით. იმისთვის კი არ ვიყრიდით თავს, ვინმეს გამორჩენა ენახა, შეღავათი ეგრძნო. არა. გული გადაეშალა, გრძნობა გამოეხატა, აზრები და შეხედულებები გაეზიარებინა, ახალ-ახალი ამბები გაეგო, ხუმრობაში გაეტარებინა დრო.

— აბაშის რაიკომის პირველი მდივანი დაუპატიმრებიათ. — თქვა ირაკლიმ. ეს შეცხადებასავით გაისმა, ყველამ ყურები დავცქვიტეთ, რადგან იმ ხანებში იშვიათობის მაგალითად ჩანდა. ნიკამ

გაიხსენა კომკავშირული გაზეთის ისტორიიდან სერგო ებრალიძის სახელი.

— აქტიურად თანამშრომლობდა „ახალგაზრდა კომუნისტში". მერე მტს-ის პოლიტგანყოფილების გაზეთს რედაქტორობდა სენაკში. მე დავუმატე:

— „სახალხო განათლების" რედაქციიდან აბაშაში მივლინების დროს ვნახე. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სოფელ განათლების კარის სკოლის მოსწავლეებს წვიმიანობის დროს ღელეზე გადასვლა უჭირდათ. ბოგირის გადება იყო საჭირო. ერთ კვირაში გაკეთდებაო. — შეპირდა რედაქციას და გააკეთა კიდეც.

— რაზეა დაპატიმრებული? — იკითხა შალვამ.

— სიმინდის მოსავლის აღების დროს რაიონში მიწერების ფაქტები აღმოუჩენიათ. — განმარტა ირაკლიმ და თან დაუმატა. — გოგოლის „მკვდარი სულები" არ ჰქონია წაკითხული, თორემ...

სუფრა გამხიარულდა. ირაკლი აბაშიძის იუმორი ჩემთვის აღმოჩენა იყო. იგი ადამიანური უბრალოებისა და უშუალობის მომხიბვლელი თვისებებით მეცნობოდა. თავისთავად იხსნებოდა შეზღუდულობის თუ შემბოჭველობის ყოველგვარი ზღუდე. ასეთად დარჩა იგი ბოლომდე — პოეტი, ადამიანი, მოქალაქე. აქედან დაწუებული ჩვენი მეგობრობის ხიდი არასოდეს გაბზარულა. მიზეზის პოვნა ყოველთვის შეიძლებოდა, მაგრამ მისი ტაქტი, გონიერება და ჰორიზონტი ყველაფერს ფარავდა. მაინც რა შეიძლება ზოგად ასპექტებში გამოიყოს შტრიხებად პორტრეტისათვის?

რამდენადაც ირაკლი აბაშიძე მაღალი, წარმოსადეგი, შთამბეჭდავი შესახედაობის იყო ფიზიკურად, იმდენად უფრო მაღალი და მშვენიერი იყო პოეტურად, მაგრამ იგი არასოდეს ატარებდა სიამაყის, ზემოდან ალმაცერად ცქერის მაცთუნებელ ნიღაბს. ყველას, დიდსა და პატარას, თანამოკალმეს და თანამესუფრეს თანაბრად უნაწილებდა ღიმილიანი სალამის სითბოს და გულიანი კაცის სიყვარულს. მისგან შორს იყო პოეტურ უცნაურობათა გარეგნული ეფექტებით თავმოწონების მიდრეკილება, სამაგიეროდ, მუდამ ინარჩუნებდა თავისებურ, ღვთისგან მომადლებულ სიდარბაისლეს, რომელიც თვით ანიჭებდა კოლორიტულობის მიმზიდველ იერს.

ირაკლი აბაშიძე გარემოების კონიუნქტურული კარნახით კომკავშირული თაობის სახელით შემოვიდა ქართულ პოეზიაში, კომბაინსაც უძღვნიდა ხოტბას და ხუთწლედის ობლიგაციებსაც, მაგრამ

ხარკის გადაუდებელი მოხდის აწ უკვე დასამარებულ დროშივე მან თვით შექმნა მისგან ადვილად დაღწევის სამი ფსიქოპირობა სამი ეპოქალური ლექსით. პირველი — ჯერ კიდევ ომამდე სიყვარულის გაცვეთილ თემაზე ჰაბუკური გულისძგერის ორიგინალური გამოხატვით:

წუხელ თოვდა, ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდიდ შენს პატარა ნაფეხურებს.
(ლექსიდან „პირველი თოვლის სიმღერა").

მეორე — ომის უმძიმეს ხანაში ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი პატრიოტული სულისკვეთების ახლებური აღგზნებით და აელვარებით:

და ვუბარებ ყოველ ქართველს,
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
დერბენტი და დარიალი.
(ლექსიდან „კაპიტანი ბუხაიძე")

და მესამე — მშობლიურ ენის საგალობლად ზოგადკაცობრიულ ჰანგის შექმნით:

შენ აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის...
იბერის ენავ, ენავ თამარის...
შენ ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
(ლექსიდან „ხმა კატამონთან")

...1954 წლის 7 სექტემბერს ირაკლი აბაშიძე (იმ ხანად საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმეორედ არჩეული თავმჯდომარე) მეუღლესთან ერთად, ლეო ქიაჩელი, ალიო მირცხულავა (იმ ხანად „მნათობის" რედაქტორი), ვარლამ ძიძიგური მეუღლით ჩემთან სტუმრად იყვნენ პასტერის ქუჩაზე, ვაჟიშვილის ორი წლისთავის დღეობის აღსანიშნავად მოწყობილ წვეულებაზე. „მნათობის" აგვისტოს ნომერში დაბეჭდილი იყო ჩემი ახალი სტატია ლეო ქი-

აჩელის შესახებ. თან მომიტანა საბავშვო წიგნები და მთხოვა განშეხილა მისი საბავშვო მხატვრული შემოქმედება (დავწერე და 1956 წელს დაიბეჭდა კიდეც). ამავე 1954 წელს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მწერლის დაბადების სამოცდაათი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოსცა ჩემი კრიტიკულ-მეთოდიკური ბროშურა ლეო ქიაჩელზე, ხოლო საკანდიდატო დისერტაცია, რომლის საჯარო დაცვას თვით მწერალი ესწრებოდა, ორი წლით ადრე იყო გამოცემული. ასე რომ, ქიაჩელოლოგს მეძახდნენ. კარგი, გულთბილი ურთიერთობა და მიმოსვლა გვქონდა ერთმანეთთან.

ამ წეუულებიდან თვენახევარიც არ იყო გასული, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ყოფნის დროს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1954 წლის 29 ოქტომბრის ნომერში, ჩემდა გასაკვირად, დაიბეჭდა ლეო ქიაჩელის „იძულებითი განმარტება“, რომელიც ეხმაურებოდა „მნათობში“ დაბეჭდილ ჩემ სტატიას. იმ ღამესვე დაებრუნდი თბილისში. შაბათ-კვირას პასუხის დაწერაც და გადაბეჭდვაც მოვასწარი და ორშაბათს, 2 ნოემბერს, პორტფელში ჩაწყობილი მასალებით დილის 10 საათზე ირაკლი აბაშიძის კაბინეტში ვიყავი. მარტო იყო. მაგიდაზე დავუდევი „პასუხად ლეო ქიაჩელს“ და თხოვნა არც კი დასჭირვებია, მაშინვე გულმოდგინედ თავიდან ბოლომდე წაიკითხა.

— გაოცებული დავრჩი ლეოს წერილი რომ წავიკითხე. გორკი ჩვენი ლიტერატურის დროშაა, როგორა ჰყავს გაბითურებული-მეთქი, ვფიქრობდი. აი, რაში ყოფილა საქმე. პრეზიდიუმის წევრები მოელენ ამ წუთებში. სხდომა მაქვს მოწვეული. — თქვა ბატონმა ირაკლიმ და იმ წამსვე წამოვდექი გარეთ გასასვლელად.

— აქ იყავი, არსად წახვიდე. პირველ საკითხად განვიხილავ. უნდა დაიბეჭდოს. — მითხრა ეს და სკამზეც მიმანიშნა — იქ დაჯექიო.

მართლაც, რიგ-რიგად შემოვიდნენ პრეზიდიუმის წევრები, მათ შორის თვით ლეო ქიაჩელი. ბატონმა ირაკლიმ განაცხადა: წავიკითხე საპასუხო წერილის ტექსტი ბატონ ლეოს „განმარტებაზე“ და მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დაიბეჭდოს. ამის თქმა და ბატონმა ალიო მირცხულავამ მაშინვე შეაგება:

— „მნათობის წინააღმდეგაა მიმართული, გადმოგვეცით ჩვენ და „მნათობშივე“ დავბეჭდავთ პასუხს.

მე იქვე, ალიოს გვერდით ვიჯექი. უცებ დაუფიქრებლად წამოვ-

ხტი და, რომ იტყვიან, უტაქტობა გამომიყიდა, განვაცხადე: — გაზეთს მასობრივი მკითხველი ჰყავს, საზოგადოება „მნათობს“ ორი თვის შემდეგ გაეცნობა, სენსაცია სწრაფად რომ გაიფანტოს, თვით გაზეთშიღე უკეთესია-მეთქი.

— მაშინ გიორგი ნატროშვილს გადაეცეთ წერილი. — თქვა ბატონმა ირაკლიმ, პირდაპირ მიაწოდა და თან დაუმატა — მორიგ ნომერში დაბეჭდეო. ამ სიტყვებზე გაისმა ბატონ ლეო ქიაჩელის რეპლიკა — ჩემს „განმარტებას“ რა განმარტება სჭირდებაო. ირაკლიმ უპასუხა: — კაცი გადაყვა თქვენს ქება-დიდებას და მიეცეთ უფლება დაიცვას თავისი დებულება-მტკიცებანი. რა არის აქ უცხო და მიუღებელიო.

ამ დროს პორტფელიდან ამოვიღე რუსულ ენაზე მოსკოვში 1952 წელს გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სახელმძღვანელო წიგნი, გადავშალე ჩანიშნული გვერდი (247) და წინ დავუდევი ლეო ქიაჩელს. მან სათვალე მოიმარჯვა და შემოხაზული აბზაცი წაიკითხა. იქ ნათქვამი იყო: „ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ დაწერილია მაქსიმ გორკის „დედის“ უშუალო ზეგავლენით“. „მნათობში“ დაბეჭდილი ჩემი წერილი მიმართული იყო ამ დებულების გაქარწყლებისკენ დეეიზით — ლეო ქიაჩელი ისეთივე დიდი მწერალია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, როგორც რუსულში გორკი[1]. ლეო ქიაჩელის „განმარტებიდან“ ჩანდა, რომ იგი უკადრისობდა გორკისთან ანალოგიას.

— ეს რომ მენახა, მაშინ არ დავწერდი ჩემს „იძულებით განმარტებას“. — განაცხადა ლეო ქიაჩელმა. მე ვუპასუხე:

— თქვენს შესახებ დაწერილს მე ვალდებული ვარ ვიცნობდე. მე თქვენ გიცავთ ამ აბზაცით არასწორი გაგებისაგან. ნაცვლად იმისა, მისი ავტორისათვის გაგეცათ პასუხი, მე რა შუაში ვიყავი-მეთქი.

ამის თქმა და კულმინაციური დაძაბულობის კვანძი უმალ გაიხსნა. იქვე, ლეო ქიაჩელის პირდაპირ იჯდა წიგნის ერთ-ერთი დაც თვით იმ აბზაცის ავტორი, ბატონი ბესარიონ ჟღენტი. მან მისთვის ჩვეული ირონიზებით სიტყვა-სიტყვით განაცხადა:

— რა ვქნათ, გორკის „დედა“ არ წამიკითხავსო, ახლა ამბობს მწერალი და შეცდომა მეც მომიყიდა.

---

[1] ამ საკითხზე ვრცლად იხილეთ ჩვენს წიგნში „ლეო ქიაჩელი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი)“, მეორე გამოცემა, „განათლება“, 1984, გვ. 154—168.

— მერედა, ბესო ჩემო, თქვენ შეცდომაზე რატომ აკაკიმ უნდა აგოს პასუხი? — უთხრა ბატონმა ირაკლიმ და საკითხი გადაწყვეტილად ჩანდა.

მომდევნო ნომერში არა, მაგრამ „ლიტერატურული საქართველოს“ 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი „წერილი რედაქციას“, რომელსაც არ მოჰყოლია ბატონ ლეო ქიაჩელის რაიმე გამოძახილი. 1959 წელს არასასიამოვნო „ინციდენტის“ დასავიწყებლად (თუმცა ოცი წლის შემდეგ გამოუჩნდნენ სპეკულანტები და გამყალბებლები) მან თავის თხზულებათა III ტომი ასეთი წარწერით მომიძღვნა: „ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მკვლევარს, ძვირფას მეგობარს აკაკი თოფურიას ნიშნად მისი ნიჭისადმი გულწრფელი პატივისცემისა ავტორისაგან. 4. XII. 1959“. ეს ირაკლი აბაშიძის სწორი პოზიციის, მხარდაჭერის, ობიექტურობის შედეგი იყო.

მეორე მხრივ, მას ზოგჯერ, მისდაუნებურად, დანაპირები ან ავიწყდებოდა, ან ტყუილი გამოუდიოდა. ერთხელ შოთა ძიძიგურის თანდასწრებით, აკადემიის ვიცეპრეზიდენტობის დროს, დამიბარა და განცხადება დამაწერინა ქართული ენციკლოპედიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში შეთავსებით მუშაობის დაწყების თაობაზე. პორტფელში რომ იდებდა, შოთამ სიცილით გადაულაპარაკა, ხონურად არ მოგვიდეს, მერე არ თქვა, დამეკარგაო. როგორც თქვენ, ჩემო მკითხველო, არავის მიუწვევიხართ იქ სამუშაოდ, იმ დღიდან არც ჩემი გვარი და სახელი გახსენებია ვინმეს. მაგრამ განა ასეთი, თვით შოთას გამოისობით, და ან ამის მსგავსი ცალკეული შემთხვევები წაშლის იმ დიდ ნაკვალევს, რაც ქართული კულტურის ისტორიაში ირაკლი აბაშიძემ დატოვა?

ქართული ენციკლოპედიის დაარსება, მისი შენობის აგება, თორმეტტომეულის გამოცემის მომზადება, დაწყება და დასრულება, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილის ჩატარება და რუსთაველის პრემიის დაწესება, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნა, იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის ორგანიზება და რუსთაველის პორტრეტის გამოჩენა. — აი, მთავარი მინიშნებები, რაც უშუალოდ ირაკლი აბაშიძის სახელთან, ღვაწლთან, ამაგთან არის დაკავშირებული. 1992 წლის 19 იანვარს, საქართველოს ისტორიაში ძმათამკვლელობის ყველაზე საშინელ, ტრაგიკულ ჟამს, მისი ნეშტი მიებარა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს. გამორჩეულად გულში ჩამწვდომი,

შგრძნობიარე, ცრემლიანი სიტყვით გამოეთხოვა ი. აბაშიძეს ენციკლოპედიიდან უერთგულესი თანამდგომი, ჩემი დროის უნივერსიტეტის ახლად არჩეული რიგით მეშვიდე ღირსეული რექტორი, აკადემიკოსი რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი.

...1951 წლის აპრილის ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სკოლებისა და მეცნიერების განყოფილებაში გამომიძახეს. ინსტრუქტორმა თ. ზახაშვილმა სეიფიდან გამოიტანა კადრების აღრიცხვის ანკეტა, გადმომცა და მითხრა:

— შეავსეთ სუფთად. ეგერ მაგიდა თავისუფალია. შეეუსრულე მოთხოვნა. გადაათვალიერა, მოიწონა და განზე გადადო. სუფთა ფურცელი აიღო, მომაწოდა და ისევ მითხრა:

— ამ ქაღალდზე დაატიეთ თქვენი მოკლე ავტობიოგრაფია. ეს მოთხოვნაც შეეუსრულე. ჩადო ანკეტაში, თვით ანკეტა — სპეციალურ საქაღალდეში, ამოიდო იღლიაში და მანიშნა, გამომყეთო. დერეფანში გავიარეთ იმ ოთახის კარამდე, რომელზედაც მიკრული აბრა იუწყებოდა: „სკოლებისა და მეცნიერების განყოფილების გამგე“. სანამ თ. ზახაშვილი კარს შეაღებდა, მე უკვე მობრუნებული ვიყავი და ჩქარა მივაბიჯებდი ნაცნობი ოთახისკენ. შევდგი ფეხი თუ არა, თ. ზახაშვილმა მაგიდაზე გულმოსულად დაანარცხა საქაღალდე და აყვირდა.

— ვინ არის თქვენი აბუჩად ასაგდები? რას ჰგავს, ამხანაგო, თქვენი მოქმედება? რატომ დაბრუნდით უკან?

— ქალბატონო თამარ, სად მიგყევართ ან რისთვის, არ უნდა ვიცოდე? თქვენ ხომ არაფერი გითქვამთ წინასწარ. რატომ მიყვირით?

— რა ახსნა და რა თქმა უნდოდა იმის გაგებას, რომ ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების გამგესთან ანკეტით და ავტობიოგრაფიით კომუნისტები დასაწინაურებლად მიჰყავთ.

— რა დაწინაურებაზეა ლაპარაკი?

— შეთანხმებული იყო წინასწარ ყველაფერი. აქ, განყოფილებაში, ინსტრუქტორად უნდა დაგეემტკიცებინეთ. ხალხი ოცნებობს ამ თანამდებობაზე.

— აქ ისინი აიყვანეთ, ვისაც კარიერის მიდრეკილება, მისი დიდი სურვილი და ზეპირად კარგი ლაპარაკის უნარი აქვს.

— ჭკუას ნუ გვარიგებ. კარგი მინდოდა თქვენთვის და რაკი არ გინდათ, ა, დავხევ ამას და ის იქნება. — თქვა და ნაკუწ-ნაკუწად ჭრიდა, იქვე სანაგვე ყუთში ჩაყარა. მერე საწერი მაგიდის უჯრა გა

მოსწია, იქიდან რვეული ამოიღო, თავფურცელს დახედა და მითხრა:

— ეს სკოლის მასწავლებლის მოხსენებაა თქვენთან კონფერენციაზე წასაკითხად. წაიღეთ და დაეხმარეთ. — თქვა ბრძანებითი მითითების ნიშნად და რვეული მომაწოდა. მე უკან დავუბრუნე და მოვახსენე:

— გადაეცით იმ მასწავლებელს, ცენტრალურ კომიტეტში კი არ უნდა დაჰქონდეს საკუთარი მოხსენებები, არამედ ჩვენთან, ინსტიტუტში, სადაც მათთვის ყველა პირობაა შექმნილი პედაგოგიური გამოცდილების გამოსაჩენად. მოიტანოს და დავეხმარებით.

და მართლაც, ბოდიშის მოხდით მოგვიტანა სექტორში თბილისის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის ერთ-ერთმა მოწინავე მასწავლებელმა შალვა გიგაშვილმა თავისი მოხსენება ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას“ სწავლების შესახებ, წაეკითხეთ კონფერენციაზე და დავბეჭდეთ კიდეც „პედაგოგიური კითხვის“ სერიით გამოცემულ პირველ კრებულში („მასწავლებელთა გამოცდილებიდან“, 1951, გვ. 34—48).

...1951 წლის მაისის ბოლო ან ივნისის დასაწყისი იქნებოდა (ზუსტი თარიღი არ მინდოდა მხსომებოდა და არც მახსოვს), ყოფილი ორჯონიკიძის რაიკომიდან ჩვეულებისამებრ დარეკეს — პარტბიუროს პირველი მდივანი ან მოადგილე 6 საათზე აუცილებლად გამოცხადდეს სამედიცინო ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში. როცა რედაქციაში პარტორგანიზაციის არც პირველი მდივანი და არც მოადგილე, არამედ უბრალოდ მდივანი ვიყავი, ყოველთვის მე მიხდებოდა პარტრაიკომის თათბირებზე დასწრება. მაგრამ იგი ყოველთვის რაიკომისავე შენობაში, მის სასხდომო დიდ ოთახში ტარდებოდა. ეს შენობა ინსტიტუტის მოპირდაპირე მხარეს, მაშინდელ ლენინის ქუჩაზე მდებარეობდა და მაღლიდან, ინსტიტუტის ფანჯრიდან ჩანდა (ახლა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს უკავია). მაშ, რატომ სამედიცინო ინსტიტუტში? ეს ინსტიტუტი კი მელიქიშვილის ქუჩაზე, სასტუმრო „საქართველოს“ გვერდით იყო. პარტბიუროს მდივნის (მ. სიმონიას) ავადმყოფობის გამო, სხვა რა გზა იყო, მე უნდა დავსწრებოდი, როგორც მოადგილე. მაგრამ, ვაი, ამ დასწრებას.

სამუშაოდან პირდაპირ თათბირზე გამოძახებული ე. წ. აქტივისტები დარბაზში საღამოს 6 საათიდან ღამის 2 საათამდე გაუნძრევ-

ლად ისხდნენ. ისინი პირობითად ტუსაღებს ჰგავდნენ. გასასვლელი ყველა კარი გადაკეტილი ჰქონდათ. არ შეეძლოთ არავისთან ტელეფონით დალაპარაკება და რაიმეს შეტყობინება. არც ბუფეტისთვის გარჯილა ვინმე. წყურვილის მოსაკლავად ონკანით სარგებლობის უფლება მათი ერთადერთი ფუფუნება იყო. მოთმინების ფიალა ევსებოდათ, მაგრამ... აღშფოთება, გულისწყრომა და დუმილი ერთმანეთში ირეოდა და იფარებოდა.

ღამის ორ საათზე დარბაზში შემოვიდა რაიკომის პირველი მდივანი ნინა ჟვანია უცნაური მხლებლებით — სხვადასხვა რანგის და ჩინის სამხედროებით, ჩეკისტებით, შინსახკომელებით. სულ ნახევარი საათი მოუნდა ახსნა-განმარტებას. ოპერაცია „გასახლება“ მთელ ქალაქში დაიწყებოდა სამ საათზე. ჩვენ, აქ შეყრილნი, ძალაუნებურად მისი მოწმენი და მონაწილენი ვხდებოდით. ფუნქცია? გარეგნულად — მარტივი, ფსიქოლოგიურად — უმძიმესი. ზუსტად გამოთვლილ დროში, ზუსტად დადგენილ მისამართზე, ზუსტად გამოყოფილი მანქანებით ყველანი ნახევარი საათის შემდეგ დილის 7 საათამდე ვრჩებოდით გამოსახლებული ბინების მცველებად — თითოეულ ბინასთან ორ-ორი (ერთი რაიკომის აქტივიდან, მეორე — რაისაბჭოს დეპუტაციიდან), დილით ბინა ილუქებოდა და ჩვენც თავისუფალი ვიყავით.

...ჩვენი მანქანა ვაკის აგურის ქარხანასთან ახლოს, ორსართულიანი სახლის წინ შეჩერდა. ზუსტად ღამის სამი საათი იყო. ქალაქი ღრმა ძილში იყო გახვეული. ბინის მფლობელი ბერძენი გამოდგა. ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. სამხედროებმა წარუდგინეს დოკუმენტი, მისცეს ბარგის შეკვრის დრო. ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, ბინის პატრონს არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუხატავს. ცოლმა ეს-ღა მოასწრო ეთქვა დამტვრეული ქართულით — ათასჯერ გითხარი გამოიცვალე პასპორტი, ბერძნულის პოდანობა არ იქნება-თქო, არ ჰქენი და... მხოლოდ გაღვიძებისას ბავშვებმა წამოიკნაველეს, წაიტირეს ერთი და მამამ უმალ ორივე ჩააჩუმა... აუტანელი სანახაობა იყო. ახლაც თითქოს ყურში ჩამესმის იმ ბავშვების გულისამაჩუყებელი, გაგუდული, ყრუ ქვითინის ხმა.

დილით ოთახი დაილუქა და შინისკენ ჩემ გზას დავადექი. უნდა გავსულიყავი ყოფილი პლეხანოვის მხარეზე. შიმშილისგან ძლივს მივათრევდი ფეხებს, რაც შეიძლება მოკლე გზას ვეძებდი. ვარაზისხევი მაშინ გაუვალ უფსკრულს წარმოადგენდა. სადღაც ქვემოთ

ღვარცოფის შემაკავებელი დიდი მილი გადიოდა ჩელუსკინელების ხიდის მიმართულებით. ზემოთ, უნივერსიტეტის მოპირდაპირე მხარეზე, კუთხის სახლის კიდესთან, მესრების ღობე იყო გავლებული. გადავწყვიტე ღობეზე წაპოტინებით ნელ-ნელა ჩავსულიყავი ხევში, რათა როგორმე გადამეპრა შორი გზა ვერეს ხიდიდან შემოელის გარეშე.

როგორც კი ზურგით ღობეს მივეყრდენი, ფეხის მოსაკიდებლად ერთი ნაბიჯით ძირა ბუჩქისკენ ჩავიწიე, უცებ დამპალი მესერი მოწყდა ლარტყას და მის ნატეხიანად, დაქანებულ მიწაზე მიკრული, ძირს ჩავსრიალდი ღრმა უფსკრულისაკენ. შარვალი საწყის კიდესთან ბუჩქის ტოტს მოედო, ჩაიხა, ასე, გატალახიანებულ-გაპარტახებული დავეცი რიყის ერთ ადგილზე. ეს იმ კოშმარული ღამის იდუმალებით მოცული მეორე „სპექტაკლი“ იყო, რომლის განხილვა მხოლოდ პირველთან კავშირში შეიძლებოდა. მაგრამ ვინ დამიდგება იმღამეული ტანჯვის მოწმედ და მოამბედ? სამაგიეროდ, ზოგადსაკაცობრიო სამსჯავროს წინაშე დღეს მე ვდგები იმ ფაქტის ცოცხალ, ურყევ და ულმობელ მახილებლად. მხოლოდ ერთი პირობით:

ამ ნაპირიდან იმ სამსჯავრომდე ჯერ კიდევ გრძელი და ძნელი გზაა.
ნუ შემიმოკლებთ გადაღლის გამო იმ გზას, მიზანი რომლისაც სხვაა.
ყოველის მხილველი, ყოველის მპყრობელი ამ ქვეყნად მხოლოდ მზეა და ცაა...

...1951 წლის 4 ნოემბერია — დიდი დღესასწაულის წინადღე. სამგორის არხის მშენებლობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნილად ცხადდება. სიტყვას ამბობს საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი. ტრიბუნაზე მის გვერდით დგანან მეორე მდივანი მიხა ბარამია, ბიუროს, მთავრობის წევრები, სტუმრები, მშენებლები. ეს ტრიბუნა მაღლობზეა აღმოსავლეთის მხრივ, ზედ კახეთის ველებიდან გამოყვანილი არხის თავზე. სამგორის უზარმაზარი ორმო კი, თემქის კოლმეურნეობის ფერმის ყოფილი საძოვარი, სულ მალე თბილისის ზღვად, ხოლო მის გარშემო განფენილი ოდესღაც მწირი და უკაც-

რიელი მიწები წალკოტად იქცევა. ასეთია საკრემლო, საბელადო პატაკის შინაარსი. მთელი თბილისი თავისი წარმოება-დაწესებულებებით, ორგანიზაციებით და კოლექტივებით დღეს თითქოს ამ ორმოში ჩაფლულა, იმ ფსკერზე დადიან, ხარობენ და ქეიფობენ, რომელიც უნდა დაიფაროს, გაუჩინარდეს და გაჰქრეს. ორმოცი წლის წინანდელ ამ ზღაპრულ მოვლენას ახლა არავინ იხსენებს.

პირველი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი სამგორის წარსულსა და მის პერსპექტივებზე დაწერა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ელიზბარ უბილავამ, ხოლო პირველი ისტორიული პოემა „სამგორის“ სახელწოდებით შექმნა სახელმწიფო პრემიის სამგზის ლაურეატმა, პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ. ამით ინტერესი სამგორისადმი უდიდესი იყო. მაგრამ უფრო დაუვიწყარი და ძვირფასი იყო მისი მშენებლობის პირველი რიგის — თვით თბილისის ზღვის გაჩენის, დაბადების, არხიდან იერის ტალღებით ფსკერის თანდათანობით დაფარვის, ამით აღტყინებული ხალხის საყოველთაო-სახალხო ზეიმის ის პირველი ხილვა, სიხარული და განცდა, რომელთაც მოეცვა ვახტანგ გორგასალის დროიდან უდაბურებაში მთვლემარე ეს მხარე.

მალე თბილისის ზღვა თბილისის სააგრარკო უბნად იქცა. თემქის და ვარკეთილის დასახლებით, ვარკეთილის მეევნახეობის მეურნეობის შექმნით, სამგორის კალთებზე სანატორიუმ „ქართლის“ აშენებით, საქალაქო-საბანაო პლაჟით, ტურისტული ბაზებით, კაფე-რესტორნებით და სხვა ნაგებობებით მან თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქალაქის კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსში და XX საუკუნის ერთ-ერთ თავისებურ ძეგლად რჩებოდა...

მაგრამ მოგონება ინახავს იმ საზეიმო დღის მოჟამულ, დათალხულ ელფერსაც, საიდანაც სათავეს იღებს ახალი ურჩხულის კაენისებური „გამოსხივების“ არა მხოლოდ ლოკალური, არამედ დიდი, გლობალური უბედურება. სწორედ 4 ნოემბრის ღამე ერთგვარ „ბართლომეს ღამედ“ იქცა საქართველოსათვის, და არა ოდენ მისთვის. იმ ღამეს დაწყებული რბევა-რეპრესიები როდი ისაზღვრებოდა „მეგრელების საქმის“ გარშემო დატრიალებული ფარსით. მას შორს გამიზნული ხასიათი ჰქონდა. სხვანაირად რით უნდა ახსნილიყო იმ ზღვა ხალხის გაბრიყვება, ვინც 4 ნოემბრის სამგორში ჩატარებული მიტინგისა და მესამე დღეს თბილისში მოწყობილი სა-

შვიდნოემბრო პარადის დროს 13 წლის განმავლობაში საქართველოს უცვლელ, უწესიერეს ხელმძღვანელს კ. ნ. ჩარკვიანს ხედავდა უცნაური ნიღბით და უჩვეულო პოზით?

სამგორში ზეიმის წინადღეს მან იცოდა, რომ მის გვერდით ტრიბუნაზე მდგომ მეორე მდივანს მ. ბარამიას, რაიკომის მდივნებს ნ. ჟვანიას, გ. ჩაჩიბაიას და სხვებს იმღამესვე თუ არა, სულ მალე დაიჭერდნენ და მაინც უღიმოდა და უცინოდა მათ, ხოლო პარადის დღეს ტრიბუნაზე თითქოს ადგილს ვერ პოულობდა, იატაკი ერყეოდა, ბედისწერის მოახლოებულ რისხვას თვალებს ვერ უსწორებდა. ყველაზე მძიმე ტვირთი, ალბათ, მისთვის საქართველოს ორ გუბერნიად დაყოფის თაობაზე ცენტრიდან მიღებული სასწრაფო დირექტივის შესრულება და, ბოლოს, ჯერ აფხაზეთიდან ქუთაისის ოლქში, ხოლო ქუთაისიდან თბილისში მის შემცვლელ ა.კ. მგელაძისათვის საკუთარი ხელით სავარძლის შემზადება იყო. მაგრამ ეს სავარძელი ხომ ფუყე, ფშვნადი, არა მყარი აღმოჩნდა.

არეულობის თუ არევ-დარევის ასეთ საწყის სტადიაზე, როცა ათასგვარი ჭორი, მითქმა-მოთქმა, კალამბური (მაგალითად: ამოსულა ბუჩქთან ია, რა გინდოდა შენ აქაო. საწყალს ყლორტებს ძირში ჭრიან, უმწარებენ სააქაოს) ვრცელდებოდა სამეგრელოს კუთხის წარმომადგენელთა საბეზღებლად და სათრევ-საგინებლად, როცა პარტიულ ორგანიზაციებში ყველგან საკ. კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი იკითხებოდა „მეგრული ნაციონალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღების შესახებ და ძმები ბუჯიაშვილები, ძმები ბალავაძეები ახალმოვლენილი პირველი კაცის წაქეზებით „რკინის დისციპლინას“ ამყარებდნენ ამ მიმართულებით მტრული ელემენტების „გასანადგურებლად“, სწორედ ასეთი მოწამლული ატმოსფეროს ვითარებაში, 1951 წლის 27 დეკემბერს, შედგა ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვა, ან საჯარო პაექრობა მის დასაცავად. აღსანიშნავია, რომ, იმ ხანებში დის გარდაცვალების გამო, დაცვას ესწრებოდა მგლოვიარე, წვერებმოშვებული ლეო ჭიაჭელი. ზოგი რამ წინამოსამზადებელ ეტაპზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორში საკანდიდატო სამეცნიერო ხარისხის მქონე ოთხი თანამშრომლიდან სამი (ვ. რამიშვილი, კ. გუგუშვილი, მ. თალაკვაძე) ქართული ენის მეთოდიკის ხაზით იყო, ხოლო ერთი (პრ. კეკელიძე) — არა ქართული ლიტერატურის მეთოდიკის სპეციალობით, არამედ ქართული

ფილოლოგიისა. აქედან გამომდინარე, სექტორში არ არსებობდა ამ ხაზით მეცნიერული კელეის რაიმე ტრადიცია. ამიტომ არც მეცნიერხელმძღვანელი მყავდა.

სხვადასხვა ვარიანტული თემების „განსჯა-განქექვის“ შედეგად საბოლოოდ თვით მიეედი საკანდიდატო დისერტაციის ასეთი ფორმულირებით ჩამოყალიბებამდე — „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში გივი ნიორაძემ ასევე თვით შეირჩია უფრო ზოგადი ასპექტი — „ქართული საბჭოთა ლიტერატურის სწავლების საკითხები“. ეს ორი თემა ინსტიტუტის 1950—1951 წლების საკვლევ გეგმაში მოწონებით „ჩაჯდა“, როგორც იმდროინდელი მოთხოვნებისათვის პირდაპირ ადექვატური. მოგეხსენებათ, თანამედროვეობა მაშინ ყურადღების ცენტრში იდგა.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ნიმუშები იმ დროის საშუალო სკოლის სხვადასხვა კლასში ფართოდ ისწავლებოდა. კონკრეტული მწერლის შემთხვევაში ამოსაველი დებულებები ზოგადი მეთოდიკური საფუძვლებიდან უნდა გამომეყენებინა. მაგრამ არ არსებობდა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის არც ზოგადი მეცნიერული სახელმძღვანელო. ასე წარმოიშვა დაბრკოლებათა, სიძნელეთა და წინააღმდეგობათა ბარიერები. და რაც უფრო ნათლად ისახებოდა მათი უჩინარი ფორმები და სახეები, მით უფრო დაჟინებით მიძლიერდებოდა სწრაფვა გაუკაფავ იმ გზისკენ, რომელსაც მიმდევარი და მიმბაძველი აუცილებლად უნდა გასჩენოდა. ამის იმპულსს თვით ინსტიტუტი იძლეოდა სამეცნიერო კადრების აღზრდის რეალური პერსპექტივით.

მეორე მხრივ, ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობის იდეამ თვით მწერალთან უშუალო კონტაქტების დამყარების გადაუდებელ საჭიროებამდე მიმიყვანა. ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი (1884—1963) მაშინ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ზემოთ, ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა (№ 23). იგი ყოველთვის მისაღებ დიდ ოთახში მხვდებოდა, სადაც განიერი მაგიდის ახლოს, კედელთან, საწოლი ლოგინი ედგა. ყოველთვის მაძლევდა პასუხებს ჩემთვის საინტერესო საკითხებზე.

ერთხელ მისი ნაამბობის და პასუხების მიხედვით შემოქმედებითი გზის ჩემეული მიმოხილვის ნაჩქარევად დაწერილი ვარიანტი მივუტანე. წაიკითხა და მაშინვე მითხრა, დამიტოვეო. რამდენიმე

დღის შემდეგ რომ მივაკითხე, დამიბრუნა ფანქრით ჩასწორებული და ზოგან ახლად დაწერილი გვერდების სახით. ასე გაჩნდა „ტარიელ გოლუას“ პროტოტიპების შესახებ სრულიად ახალი მასალა — მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის, შემოქმედებითი ფსიქოლოგიის გასაღები (მწერლის გამონათქვამის დოკუმენტური წყარო ჩემთან ინახებოდა, ამჟამად ცსა-ს პირად ფონდშია ფ. 287, აღ. 1).

აქედან გზა მეხსნებოდა ქიაჩელის შემოქმედების არა მხოლოდ მეთოდიკური, — ლიტერატურულ-ფილოლოგიურ ასპექტებში უფრო ღრმა ინტერესით განხილვისაკენ, რამაც 1950 წლიდანვე განსაზღვრა ორი განხრით ჩემი მუშაობის გეზი და მიმართულება: — პედაგოგიკურ-მეთოდიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული, ლიტერატურისმცოდნეობითი... შორს, იდეალში, ი. გოგებაშვილის აჩრდილისკენ, თანამედროვე ეტაპზე ქართული მწერლობის და სკოლის კავშირის ახალი ნიშანსვეტისკენ ვიმზირებოდი.

იმ ხანებში პირველი რიგის ამოცანად დისერტაციის მოდელის შექმნა იდგა. როცა მისი კონტურები გარკვეული მთლიანობით საქაღალდეში ჩალაგდა როგორც გეგმის მონახაზი, ეჭვი გამიჩნდა. წინასწარი აპრობაციის ადგილობრივი ბაზა (სექტორი, პუბლიკაცია, სკოლებთან კავშირი), მხოლოდ ინტუიციაზე დამყარება არასაკმაოდ მეჩვენებოდა რწმენის სიმტკიცისა და სიმყარისათვის. 1950 წლის პირველი ოქტომბრიდან თხუთმეტ ნოემბრამდე ჩვენი სექტორიდან მე პირველი ვიყავი სამეცნიერო მივლინებით წარგზავნილი რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რაც სასარგებლო გამოდგა საერთო გათვითცნობიერებისა და შემდგომი მუშაობისათვის.

ვცხოვრობდი მოსკოვის დიდი თეატრის უკან, გორკის პროსპექტის შესახვევში, ნაქირავებ ოთახში, რომლის მფლობელი თეატრის გარდერობის ტექნიკური თანამშრომელი იყო. იგი მიამბობდა გადატანილი ომის საშინელებაზე, მაგრამ არც წყალი, არც გათბობა, არც შენიღბული სინათლე თეატრსა და ქალაქის მცხოვრებლებს არ მიკლებია. 1950 წლის 7 ნოემბრის დემონსტრაციაზე ინსტიტუტის სწავლული მდივნის დიმიტრი ვიკულინის დახმარებით ვმონაწილეობდი თანამშრომლებთან ერთად და ჩემი ყურით მომისმენია კრემლის მოედანზე, მავზოლეუმის წინ, მოზღვავებული დემონსტრანტების უფრო დიდი ყიჟინი, „ურას“ და „ვაშას“ უფრო მჭუხარე ძახი-

ლი ვიდრე აქ, თბილისში. მაგრამ ეს კი არ იყო ჩემთვის იმდენად მოულოდნელი და გასაკვირი, საგულისხმო და მთავარი იყო ღუბობი მოსკოველის გულღია საუბარი და გზა და გზა, დემონსტრაციის მსვლელობის დროს, მოწოდებული ინფორმაციები.

— შეხედე — მეტყოდა ყოველი ახალი ქუჩის გამოვლისას ტანდაბალი, ფერმკრთალი, გამხდარი შესახედაობის ვიკულინი — ეს ხეებიც ფესვებიანად ბერიას დარგულია. საერთოდ მოსკოვის ქუჩების გამწვანება მისი აქ გადმოყვანის დროიდან დაიწყო. თვით გორკის ქუჩის გაფართოება, სახლების გადატანა და გადაადგილება მისი მეთვალყურეობით ხდებოდა.

— რა უშლიდა ხელს ადრე ეფიქრათ ასეთ რამეზე?

— ეგონათ, მოსკოვის ყინვას ვერ გაუძლებდა ნარგავი. მან კი ისეთი ჯიშები შეარჩია და ჩამოატანინა, რომლებიც, ხომ ხედავ, დგანან და ხარობენ.

— სად იყავით ევაკუირებული ომის დროს?

— არსად. ჩემს ბინაში.

— როგორ გაძელით, ბომბარდირებას როგორ გადაურჩით?

— პირველ ხანებში იყო ცოტა პანიკა და დაბნეულობა. 1941 წლის შვიდი ნოემბრის პარადის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ყველა დარწმუნდა კრემლშია ბელადი, შიში არავის ჰქონდა. გეჯეროდა გამარჯვების.

— დღეს ტრიბუნაზე არ იდგა. ერთი სამუშაო დღე მხოლოდ იმისთვის გავაცდინე, თქვენი წყალობით მეგონა შორიდან ვნახავდი.

— მე ბევრჯერ მინახავს ტრიბუნაზე. აი, შენთვის კი — დასანანია. არ არის, ალბათ, მოსკოვში.

— ორ ქართველს როგორ იტანთ, პეტროვიჩ.

— რას ამბობ, ჩვენთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენი სახელმწიფო მაშინ დაინგრევა, როცა არ ეყოლება ასეთი ხელმძღვანელები. აი, დაესწარი, აკადემიაში მალე იქნება ენათმეცნიერების საკითხებზე საკავშირო თათბირი, იქ გაიგებ, ვინ არის ჩვენი ბელადი, როგორც პოლიტიკოსი კი არა, როგორც მეცნიერი.

— საშვს მიშოვი?

— აუცილებლად.

ამ დროს დემონსტრანტები უკვე კრემლის სანაპირო ქუჩებისკენ უხვევდნენ და იშლებოდნენ. ჩვენც დავცილდით ერთმანეთს ინსტიტუტში მალე შეხვედრის იმედით.

დიმიტრი ვიკულინის ნაამბობს მე მაშინ არაფრად ვაგდებდი, რადგან ავტორეფერატის გარეშე ჩემი თემის გარშემო ვინმესთან რაიმე კონტაქტი შეუძლებელი გახდა. ეს წინასწარ გათვალისწინებული არ მქონდა. ვევარაუდობდი ზეპირი საუბრებით მივაღწევდი მიზანს. არა. მხოლოდ დაწერილი. თარგმნილი თეზისებად, გეგმად, მწყობრად. და მთელი შინაგანი ძალებით აქეთკენ ვიყავი მიპყრობილი. ვწერდი თავებად ავტორეფერატს და თან ნაწილ-ნაწილ ვათარგმნინებდი გაზეთ „იზვესტიის“ ქართული უწყების ერთ-ერთ თანამშრომელს — გვარად ცხაკაიას, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. ვიკულინმა მთლიანი ტექსტის (22 გვერდის მოცულობით) ჩაბარებისას მითხრა — რუსული ლიტერატურის მეთოდიკების განყოფილების გამგეს, პროფ. ვასილ ვასილის ძე გოლუბკოვს გადავცემ წასაკითხად და მერე შეგახვედრებო.

მე მას „რუსული ლიტერატურის მეთოდიკის“ სახელმძღვანელოს მხოლოდ 1949 წლის მეოთხე გამოცემიდან ვიცნობდი. ის ითვლებოდა მაშინ ერთადერთ ავტორიტეტად მთელ კავშირში. შეხვედრამდე დარჩენილ დროში ლენინის სახელობის მოსკოვის დიდ ბიბლიოთეკაში გავეცანი ლიტერატურის მეთოდიკის დარგში დაცულ სადისერტაციო ნაშრომებს, კერძოთ, ცალკეულ მწერლებზე. ასეთები აქ საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა, იმდენად ბევრი, რომ ტრაფარეტად ქცეულიყო. რა ბედი ეწევა ჩემს გეგმა-მონახაზს? იგი არათუ არ ემთხვეოდა, არსებითად განსხვავდებოდა ტრაფარეტული მოდელებისგან სტრუქტურითაც და შინაარსითაც.

1950 წლის 14 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტების გაერთიანებული სრულიად საკავშირო თათბირი. ჩვენი ინსტიტუტიდან სპეციალური მივლინებით ჩამოვიდნენ ქართული და რუსული ენებისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორების მეცნიერთანამშრომლები ესეოლოდ კაპანაძე და პროკლე კეკელიძე. მთავარი მომხსენებელი იყო აკადემიკოსი ი. მეშჩანინოვი, რომლის გამოსვლიდან სიტყვა-სიტყვით მახსოვს ფრაზები:

— ჩვენ ყველანი უდაბურ ტყეში დავბორიალობდით უკომპასოდ. ახლა ხელთა გვაქვს მანათობელი მოძღვრება და მისი შუქით ყველანი გამოვდივართ იმ უდაბური ტყიდან, რათა ენათმეცნიერება გავანთავისუფლოთ მარისტული ხორკლებისაგან, ჩავაყენოთ იგი საზოგადოების, ხალხის სამსახურში.

ყავარჯნებით ძლივს მივიდა ტრიბუნასთან ქვედაკიდურებწართმეული დაბალი, წელს ზემოთ მკვრივი და ჯმუხი შესახედაობის ლ. ი. ტიმოფეევი — ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოების ცნობილი ავტორი. იგი შეცვალა რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფ. ვ. ვ. გოლუბკოვმა, სწორედ იმან, ვისთანაც საკონსულტაციოდ და შესახვედრად მე ვიყავი ჩასული. ტიპური რუსი ინტელიგენტი, არც ისე მოხუცი, მაგრამ ხნიერი, ჭაღარა, უბრალოებით გამორჩეული, დინჯი, ნელი მოლაპარაკე.

მეორე დღეს ვიკულინმა მის კაბინეტში შემიყვანა და წარმადგინა, რომელი ქალაქიდან ვიყავი და რომელი ინსტიტუტიდან.

— ქიაჩელის ბიოგრაფიას არ ვიცნობ. რომელი საუკუნის მწერალია? — მკითხა პირველად.

— ახლაც ცოცხალია. — ვუპასუხე.

— როგორ, თქვენ ცოცხალ მწერალზე დისერტაციას წერთ?

— დიახ, ჩვენს ლიტერატურაში ცოცხალ კლასიკოსად არის მიჩნეული.

— მერე რა ვუყოთ. მაინც ხომ ცოცხალია. მაინც ხომ დასრულებული არა აქვს თავისი ცხოვრება და შემოქმედება?

რა უნდა მეპასუხა ამ მოულოდნელ კითხვაზე? მართლაცდა, ხომ გრძელდება ცხოვრებაც და შემოქმედებაც. რატომ მეკითხება? — გამიელვა ფიქრმა. თვითონვე ამიხსნა:

— აი, ჩვენთან ალექსანდრე ფადეევი ხომ უფრო დიდი ფიგურაა თანამდებობით — სსრ კავშირის მწერალთა პირველი მდივანია, „ახალგაზრდა გვარდია“ ხომ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებია. აქვს ადრე დაწერილი „განადგურებაც“. ორივე ისწავლება სკოლაში. დისერტაცია არა გვაქვს მასზე. არც ერთ ცოცხალ მწერალზე. კატეგორიულად აგვიკრძალა — იმაზე წერეთ დისერტაციები, ვინც დაასრულა თავისი ცხოვრება და შემოქმედებაო. და სწორიც არის. რა ხნისაა ქიაჩელი?

— მალე შეუსრულდება სამოცდაათი წელი.

— ეს დიდ შეღავათს არ იძლევა. ზოგადმეთოდიკური სახელმძღვანელო არა გაქვთ?

— ისეთივე როგორიც თქვენთან იყო 1930 წელს გამოცემული რიბნიკოვის წიგნი.

— მაშინ კომპლექსური სწავლების სისტემა იყო.

— ამიტომ იძულებული ვარ ზოგჯერ დავარღვიო შტამპური მიდგომა.

— ასეთ ვითარებაში თქვენი ავტორეფერატი ორმხრივაა მოსაწონი: იგი მთელ კავშირში ცოცხალ მწერალზე დაწერილი საკანდიდატო დისერტაციის პირველი გაბედული ნიმუშია და, ამავე დროს, ნიადაგის მომზადებაა ქართულ ენაზე ზოგადმეთოდიკური სახელმძღვანელოს შესაქმნელად. გისურვებთ წარმატებებს...

მხოლოდ ინსტიტუტის სწავლული მდივანი დიმიტრი პეტრეს ძე ვიკულინი ისმენდა ამ სიტყვებს, მხოლოდ მის აჩრდილს შეუძლია დაადასტუროს, რომ ყველაფერი ასე იყო „წვეთ-წვეთობით, მისხალ-მისხალ“. მაგრამ განა თვით შედეგები ამის დამოწმება არ არის? სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისათვის ძირითად სახელმძღვანელოდ დამტკიცებული ქართული ლიტერატურის სწავლების ზოგადი საფუძვლების სულ უკანასკნელი მეექვსე გამოცემა ამას არ ცხადყოფს? განა მეთოდიკური მონოგრაფიის ჩემ მიერ პირველად შემუშავებულ მოდელს იმთავითვე არ გაუჩნდა პირდაპირი მიმბაძველი 1954 წელს გამოცემული წიგნით „ვაჟა ფშაველას შემოქმედების სწავლება“, რომელიც ქარგასავით მიჰყვებოდა ჩვენს ნაკვალევს? და განა ორმოცი წლის შემდეგ, 1991 წლის 22 ნოემბერს, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დაცული დისერტაცია დავით გურამიშვილის შემოქმედების სწავლებაზე იმ ქარგაზე და იმ მოდელზე არ იყო აგებული? და ეს მერამდენედ. სხვა მოწმე და სხვა ჯილდო ვის რაში უნდა აინტერესებდეს. მივუბრუნდეთ ისევ დაცვის დღეს.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით წერდა: „აკაკი თოფურიას შრომა ფრიად საინტერესოა და წარმოადგენს ახალ მოვლენას ჩვენს მეთოდიკურ ლიტერატურაში. ოფიციალურმა ოპონენტებმა: პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. თავზიშვილმა და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა პროკლე კეკელიძემ მაღალი შეფასება მისცეს პაექრობაზე წარმოდგენილ ნაშრომს, რის საფუძველზე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ა. ს. თოფურიას ერთხმად მიანიჭა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი“ („ლიტ. საქ.“, 1952, 21 იანვარი, № 4)...

1952 წელი საქართველოში ხელმძღვანელობის შეცვლით დაიწყო. სამგორის „ფარსი“ ახალ იერს იძენდა. პირველი კაცის პირველი გამოჩენა უცნაურ წრესა და უჩვეულო ვითარებაში მოხდა. იგი სიტყვით გამოვიდა დედაქალაქის მეეზოვეთა რაზმების წარმომადგენელთა შეკრებაზე. აქედან გაისმა საპროგრამო-საღლაბუცო სიტყვები: ჰორიზონტზე კიაფობს კომუნიზმის ელვარე შუქი. მისი ნათელი გეიახლოვდება. უნდა დაიწმინდოს და გაკრიალდეს თბილისის ქუჩები სანიმუშოდ, რათა ღირსეულად წარვდგეთ კაცობრიობის სანუკვარი ოცნების განხორციელების უბედნიერესი და უბრწყინვალესი ჟამის წინაშე. მეეზოვებო, წინ, კომუნიზმისაკენ!

ამ ლოზუნგმა ჩვენს ინსტიტუტამდეც მოაღწია. დამლაგებლებს თანამშრომლებიც შეუერთდნენ, კომუნისტებს უპარტიოები, დირექციას მთელი კოლექტივი ამოუდგა მხარში და ასე ერთიანად დაიწყო კარ-ფანჯრების, დერეფნების, ოთახების, იატაკის და საწერი მაგიდების, ყოველი კუთხე-კუნჭულის დარეცხვა-დანიავება, გაფერთხვა-მილაგება-მოლაგება, გასუფთავება-გალამაზება. ალაგობრივ მოთხოვნას — დისციპლინა, უპირველეს ყოვლისა, მეტი წონა, მეტი ღღერადობა შეემატა.

ეს განსაკუთრებით მას შემდეგ დაეტყო, რაც პოლიტიკური სწავლების მორიგ მეცადინეობაზე სემინარის მუდმივმა ხელმძღვანელმა ვ. კილაძემ ფილოსოფიურად დაგვისაბუთა ჰორიზონტზე კომუნიზმის ელვარების ახალი თეორიის პერსპექტიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა. ამის ერთ-ერთ არგუმენტად მან ვერეს ვიწრო ხიდის სწრაფი გაფართოების, მის ახლად აშენების ფაქტი დაასახელა: ხალხის მისვლა-მოსვლა მოელვარე შუქზე გადიდდება და გაადვილდებაო...

მორიგი მეექვსე სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შემაჯამებელ პლენარულ სხდომაზე სექციათა თავმჯდომარეების ანგარიშით ჩემი მოვალეობის შესრულება მოვასწარი და ამ დროს მოულოდნელად ფოთიდან შემაშფოთებელი ამბავი შემატყობინეს. „მეგრელების საქმესთან“ დაკავშირებით დაპატიმრებული საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გრიგოლ კოკაიას კვალობაზე პასუხისგებაში მიუციათ ჩემი უფროსი ძმა ივანე (ვანო), რომელიც ადრე ნამუშევარი იყო ქალაქკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. იქიდან, როგორც აგროტექნიკი, ნაბადის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაუყვანიათ, ხოლო იმჟამად პატიმრობაში ყუანილი გაესამართლებინათ კიდეც. სასამართლო პროცესზე მტკი-

ცებების უქონლობის გამო საქმე კვლავ საქალაქო პროკურატურაში დაბრუნებულა, რის შემდეგ პატიმარი ქუთაისში გადაუყვანიათ რაღაც მკურნალობისათვის.

ასეთი იყო მოწოდებული ინფორმაციის ძირითადი შინაარსი. იძულებული გავხდი ჩავსულიყავი ქუთაისში ავადმყოფი ძმის სანახავად. ჩემ დაეჭვებას იწვევდა თვით ფაქტი. რა ისეთი ავადმყოფობა უნდა აღმოჩენოდა, რომლის მკურნალობა ან დიაგნოზი ფოთში არ შეეძლოთ? ჰმ... მისწრებაზე ყოფილა თურმე სიცოცხლის ბედი.

ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მარტო არ მივსულვარ. ადგილობრივი მკვიდრი, ქართული ენისა და ლიტერატურის შემოქმედი მასწავლებელი, პედაგოგიური კონფერენციების ხშირი და აქტიური მონაწილე პაველ ხმალაძე მიმყვა. საავადმყოფო ქალაქგარეთ, დასავლეთ მხარეში იყო მოთავსებული. მას ახალგაზრდა ექიმი ვახტანგ ჩიხლაძე განაგებდა (მრავალი წლის შემდეგ ვაკის პარკში შევხვდით ერთმანეთს, ა. ზურაბიშვილის ფსიქოთერაპიულ კლინიკაში განყოფილების გამგე იყო, თბილისში ცხოვრობდა). გამოიყვანეს ჩემი ძმა-ვანო ხმაურიან ოთახიდან და დანახვისთანავე სიხარულისგან გულაჩუყებულმა, დასუსტებულმა და ღონემიხდილმა გამწარებით შემომჩივლა:

— რა მინდა მე აქ. რატომ მომიყვანეს. რას მიგონებენ, რას მწამებენ. კოკაიასთან ერთად თურქეთში დადიოდი წყალქვეშა გემითო. ტყუილი უნდა მათქმევინონ. ვინ გვყოლია პროკურორებად და მოსამართლეებად, ვინ ყოფილან! მამაჩემის სინდისს ვერ ვუღალატებ. ვერა, ვერ გამტეხენ. მიშველე, მიხსენი გიჟებისგან. ისევ სასამართლოში, ხალხის წინაშე დამაყენონ. იქ გავცემ მაგათ პასუხს. იქ... იქ...

ამ სიტყვებს, ახლა რამდენადმე დალაგებით რომ გიყვებით, სინამდვილეში ასე კი არ ამბობდა. იგი შფოთავდა, ღელავდა, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა, მაგრამ ერთმანეთთან კავშირში, გარკვეული აზრით და მრისხანებით, იმედით და რწმენით, რომ სიმართლე გაიმარჯვებდა. ნაომარ კაცს სხვანაირად არ წარმოედგინა. მის ხვედრში რაღაც დიდ გაუგებრობას ხედავდა, მოსალოდნელ რაღაც დიდ უბედურებას გრძნობდა. ამიტომ ტიროდა და ცახცახებდა ვაჟკაცი.

მარტოდ რომ დავრჩით, მთავარ ექიმს ვკითხე: — ხომ ხედავთ,

საესებით ნორმალური ადამიანი არასწორი დიაგნოზით არის მოხვედრილი თქვენთან. არ შეგეძლოთ უკან დაგებრუნებინათ?

— ეს აღემატებოდა ჩემს კომპეტენციას. — მიპასუხა მან.

— რატომ?

— პაციენტი პროკურატურის კონტროლზეა. მათ გარეშე უფლება არა მაქვს.

— სწორი დიაგნოზის დასმის უფლებას თქვენ პროკურატურიდან იღებთ?

— არა მაგრამ, როცა მათი ზედამხედველობის ქვეშაა, ერთმანეთთან ვათანხმებთ.

— მაშასადამე, მთავარი ყოფილა არა ის, რამდენად შეეფერება ავადმყოფი თქვენი სამკურნალო დაწესებულების პროფილს, არამედ ის, თუ რამდენად აწყობს თქვენი საავადმყოფო პროკურატურას საქმის ძიებისათვის.

— მე არაფერი შემიძლია, მიმართეთ პროკურატურას. — მითხრა ბოლოს მთავარმა ექიმმა და ამით დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

იმავე დღის მეორე ნახევარში ქუთაისის ოლქის პროკურორის შიო რეხვიაშვილის კაბინეტში ერთი საათი გრძელდებოდა ჩვენი საუბარი ამ თემაზე. მაღალი, ტანმსხვილი, სავსე პირისახის საოლქო პროკურორი პირველ წუთებში ჩემს წინაშე უძლურად გამოიყურებოდა. ერთი მხრივ, იგი განიცდიდა ზემოდან დაწოლის სიმძიმეს, მეორე მხრივ, შინაგანი სინდისის კარნახით გრძნობდა, რომ ფუყე ნიადაგზე იდგა, ამიტომ ვერ პოულობდა მომხდარი ფაქტის გამართლების რაიმე იურიდიულ ძალას.

— საავადმყოფოს მთავარი ექიმი ადასტურებს, რომ პაციენტი არ შეეფერება მის პროფილს, მაგრამ ვერ იყენებს თავის უფლებას იმის გამო, რომ ფოთის პროკურატურას ეს არ აწყობს. თქვენი როლი?

— ჩემი როლი სხვა შემთხვევაში უკანონობის აღმკვეთი იქნებოდა, მაგრამ „მეგრელების საქმეს“ უშუალოდ რუხაძე ხელმძღვანელობს.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ უშუალოდ რუხაძის განკარგულებით მოხდა ჩემი ძმა ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში?

— არა, ასე პირდაპირ და კონკრეტულად — არა. ზოგადად — კი.

— ეს როგორ გავიგოთ?

— ფოთის პროკურატურას დავალებული აქვს მიაღწიოს პატიმ-

რის მიმართ წაყენებული ბრალდების აღიარებას. როცა აღიარების რეალური სარჩული არ არსებობს, მიმართავენ უკიდურეს ზომას, მათ შორის სულიერი შერყევის ცდას. ასეთ დროს პიროვნება კარგავს ცნობიერების უნარს და ყველაფერზე შეგიძლია ხელი მოაწერინო.

— ამას თქვენ გულწრფელად აღიარებთ, როგორც ადამიანი და მოქალაქე და ამავე დროს, როგორც პროკურორი, დუმილს არჩევთ საშინელების წინაშე?

— დაახლოებით ასეა.

— ჯერ ხომ ცოცხალია ჩვენი საერთო უზენაესი სიმართლის ღმერთი. არ გვშინიათ მისი რისხვის?

— საიდან გაიგებს, რა ხდება ქუთაისის მივარდნილ საავადმყოფოში. მასთან ძნელია ამბის მიწვდენა. ამით სარგებლობენ.

— ამაოდ. მე თქვენ ერთ ამბავს მოგიყვებით, თუ ნებას დამრთავთ. იქნებ გენიშნოთ.

— ბრძანეთ.

— ჯარიდან ერთ ჩემ ნაცნობ მეთაურს პირველი დღიდანვე ომში გაწვეული ახლადშერთული ექიმი ცოლი ჰყავდა. ხუთი წელიწადი ცალ-ცალკე მსახურობდნენ და ამით ფაქტობრივად გაწყვეტილი ჰქონდათ ცოლ-ქმრული ურთიერთობა. ჩემი ნაცნობი თბილისში დაბრუნდა დემობილიზაციით და თავის გზას დაადგა. ყოფილი ცოლი კი ამ დროს გერმანიის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარში იმყოფებოდა. ერთ დღეს რაიონიდან ჩემ ნაცნობს ყოფილი სიმამრი, ხანში შესული, ალალმართალი კაცი ჩამოუვიდა და თხოვა:

— ხომ იცი, ორი შვილიდან ერთი ომში დამეღუპა. ერთადერთ იმედად ქალიშვილი დამრჩა. თქვენ ბედმა ორივე დაგჩაგრათ, ომმა გაგყარათ და ახლა შეერთებას აზრი არა აქვს. რაღაც თვენახევარი იცხოვრეთ ერთად და კარგად შეწყობილი არც იყავით. კომისარიატში ბრძანება ყოფილა მოსული, ქმარს შეუძლია ცოლის დემობილიზაცია მოითხოვოსო. დამდე მოხუცს პატივი, გამოიყენე ეს უფლება და ერთი ორი ღერი სიტყვა მიაწვდინე იმ დიდ კაცს, ეგებ გამოუშვან ჩემთან და სიკვდილის დროს პატრონი მაინც მეყოლება. მიქნი ეს სიკეთე, მამაშვილობას გაფიცებ, შენ ამით არაფერი დაგაკლდება.

— მერე, მერე, რა საინტერესო ამბავია. — შემაწყვეტინა საუბარი პროკურორმა. — მიწერა?

— ის ნაცნობი მეტად გულმოწყალე და თავად სიმამრის პატივისმცემელი იყო. ადგა და იქვე მის თანდასწრებით რვეულის ნაგლეჯ ქაღალდზე ფანქრით სულ რაღაც სამიოდე წინადადება დაწერა: ჩემი ცოლი ესა და ეს მსახურობს ამა და ამ ნომერ სამხედრო ნაწილში და გთხოვთ გამოუშვათ სახლშიო. ჩადო ეს ფარატინა ქაღალდი იმ მოხუცის თანდასწრებით კონვერტში, დააწება და გარეთ დააწერა — მოსკვა, კრემლ, ტოვარიშუ სტალინუ. წამოიყვანა საფოსტო ყუთამდე, ჩააგდო და გაისტუმრა დიდად გახარებული. გულში არხეინად ფიქრობდა: რაზე უნდა ვაწყენინო მოხუცს, ვინ ნახავს ან ვინ გაიგებს იმ ნაჯღაბნ ქართულს. თვითონ ის კიდევ... იმედით იცხოვრებს.

— მერე, თუ კაცი ხარ, რა მოხდა? — კვლავ შემაწყვეტინა პროკურორმა რაჭული აქცენტით.

— წერილის გაგზავნიდან სამი კვირის შემდეგ, დილაუთენია, ნახევრად ბნელი ოთახის კარზე იმ ჩემმა ნაცნობმა რაღაც საეჭვო კაკუნის ხმა გაიგო. წამოხტა ლოგინიდან, შარვლის ერთ ტოტში ცალი ფეხი რომ ჩაყო, ამ დროს ახალმოსულმა დაურაზავი კარი გააღო და... ნაცნობი ლოგინზე შარვლისტოტიანად დაემხო. მერე უცებ ჩაიცვა და ნამძინარევი თვალები მოიწმინდა, ხომ არ მეშლება, ხომ არ მეჩვენება, ხომ არ მელანდება რამეო. მაგრამ... გვიანღა იყო. წარბები შეიკრა და კუშტად ჰკითხა: — ჩემთან საიდან მოდიხარ.

— როგორ თუ საიდან. მამაჩემთან ჩავედი. რაიონში მეგონე. შენი მისამართი მომცა და მაშინვე წამოვედი.

— არაფერი გითხრა?

— რა უნდა ეთქვა. დარჩიო კი მითხრა, მაგრამ მე შენი გამოძახებული ვიყავი და რა გამაჩერებდა.

— როგორ თუ ჩემი გამოძახებული. — უთხრა ნაცნობმა ისე ყაიდად, გამოსაცდელად.

— როგორ და ასე: მიბარებენ სასწრაფოდ შტაბში და მეკითხებიან: ქმარი გყავდა? რას ჰქვია მყავდა, მყავს მეთქი. აბა, გვარი, სახელი, მამის სახელი გვითხარიო. ვუთხარი. რაღაც ქაღალდში ჩაიხედეს. მერე მეკითხებიან. — თანახმა ხარ წახვიდე ქმართან, თუ აქ დარჩენა გირჩევნიაო. მე ვუთხარი: რატომ მეკითხებით ასე ჩაციებით, მითხარით რაშია საქმე-მეთქი. მიპასუხეს: უმაღლესი მთავარსარდლობის განკარგულება გვაქვს შევასრულოთ თქვენი ქმრის

თხოვნა, დემობილიზებული ხართ არმიიდან, შეგიძლიათ დღესვე გაფრინდეთ. გამოვფრინდი და მოვედი...

— მერე როგორ წარიმართა მათი ცხოვრება? — მკითხა გაოცებულმა და ფიქრებში წასულმა პროკურორმა.

— სანანებელი შეექნა წინდაუხედაობის გაუთვალისწინებელი შედეგი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი.

— ცხადია, მთავარია სახელმწიფოში დამყარებული უმაღლესი დონის დისციპლინა. — თითქოს ჩემი სათქმელი პროკურორმა გააგრძელა.

— და ამ დისციპლინის მეოხებით ზრუნვა ადამიანზე და ადამიანისათვის. ესაა უპირველესი ამ ფაქტში. — დავასრულე მე და დავუმატე:

— ნაომარ კაცს აგიჟებენ. სად ვართ, ფაშისტურ გერმანიაში?

პროკურორი ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა. კრინტი არ დაუძრავს. ტელეფონის ყურმილი აიღო.

— ჩიხლაძე ხართ? დღესვე გადაგზავნე ფოთის საპატიმროში თქვენთან შეცდომით მოყვანილი ბრალდებული. ცოტა ხნის შემდეგ პირადი მდივნის საშუალებით ფოთის პროკურორს დაელაპარაკა.

— ქუთაისიდან ჩაიყვანენ თქვენ მიერ დანაშაულებრივად საგიუეთში მოთავსებულ ბრალდებულს, სასამართლო დაუნიშნეთ და შედეგი მაცნობეთ.

სანამ „მეგრელების საქმე“ დამთავრდებოდა, ჩემი ძმა უკვე განთავისუფლებული იყო ციხიდან, მაგრამ მამა გადაიყოლა ჯავრმა...

...მასწავლებელთა დახელოვნების ბორჯომის რესპუბლიკური კურსების ორგანიზატორებს მოწვეულ ლექტორთა ფილტრაციის უმტკივნეულო წესი ჰქონდათ შემუშავებული. ტელევიზიის ფუნქციას მათთვის მსმენელთა ასკაციანი კონტიგენტის გულთა უხილავი სარკე ასრულებდა. იგი სასტუმროს ოთახში თითქოს წინ ედოთ უჩინ-მაჩინის ჯადოსნურ ქოლგასავით და ყოველდღე იხედებოდნენ, ზომავდნენ და წონიდნენ თიოდოელის ლექციურ ღირებულებას, ტაქტს თუ ცოდნას, სიზანტეს თუ სიმარჯვეს, ერთი სიტყვით — უნარიანობისა და ქცევა-მოქმედების სარკეზე არეკლილ ნიშნებს. მაშ, როგორ! საზაფხულო დასვენების საუკეთესო ივლისის თვე ოჯახს მოცილდეს, შორეული სოფლიდან ჩამოვიდეს და აქ კიდევ... ამიტომ მსმენელები ერთნაირი გულწრფელობით გამოხატავდნენ კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას. კურსების ხელმძღვანელობაც

რეაგირებდა, მეორე წელს აღარ იწვევდა და ამით საკუთარსავე ავტორიტეტს უფრთხილდებოდა.

მაშინ ბორჯომის კურსებზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობა თავს იყრიდა საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭულიდან. მათ აქ იზიდავდა არა ბუნების იშვიათი სილამაზე ან მინერალური წყლების ძვირფასი სამკურნალო თვისებები, — პირველ რიგში პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების მიზანი, პროფესიული ინტერესი და მოწოდება, წინსვლის და განვითარების მისწრაფება. ამ მხრივ, კურსების შემადგენლობა მართლა წარმოადგენდა შესანიშნავ არენას გამოცდილებათა, აზრთა და შეხედულებათა არა მხოლოდ ურთიერთ გაზიარების, არამედ თვითშემოწმებისა და კრისტალიზებისათვის. დიახ, თვითკონტროლის, თვითგანსჯის გზით რწმენის განმტკიცებისათვის.

აკი აქსიომაა, ყოველი დამწყები მასწავლებელი პირველ ნაბიჯს გაკვეთილზე მოსწავლეებთან კონტაქტის გზით დგამს, ყოველი დამწყები ლექტორი — სტუდენტებთან. ჩემი პირველი ლექცია 1950 წელს ბორჯომის რესპუბლიკურ კურსებზე დაიწყო უჩვეულო კონტიგენტის — უმაღლესი ფილოლოგიური განათლების, საკმაო პედაგოგიური სტაჟის მქონე, შეფასების მკაცრი კრიტერიუმებით შეიარაღებული მასწავლებლების წინაშე. მიკვირს, როგორ არ მოვყევი პირველივე ფილტრაციის „ზონაში“, როგორ შევრჩი ზედიზედ მიწვევას მანამ, სანამ არ დაიშალა თვით კურსების სტრუქტურა, არ წარმოიშვა დახელოვნების რეგიონალური ახალი კერები.

დახელოვნების იმ წინანდელ, ცენტრალურ და ერთიან სისტემას არა მგონია ჩვენი სკოლა ოდესმე დაუბრუნდეს. ქუთაისის რეგიონალურ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მიწვევით ბორჯომის შემდეგ თითქმის 1962 წლამდე სისტემატურად მიხდებოდა შეხვედრები წყალტუბოს, ბათუმის კურსების მსმენელებთან. მათი უამრავი ბარათებიც მომდიოდა. მოძღვართმოძღვარს მიწოდებდნენ:

აი, ერთი ნიმუში ოფიციალური მიწვევის დოკუმენტიდან: „პატ. აკაკი! ჩვენ ქართული ენის და ლიტერატურის კურსები გვაქვს წელს ისევ წყალტუბოში. დაგეგმილია ოთხი ჯგუფი. ჩვენი საქმისათვის მეტად აუცილებელია თქვენი ჩამობრძანება. ყველა თქვენს მოთხოვნას დატვირთვის, დროის, ცხოვრების პირობების ორგანიზაციისა და სხვა მხრივ. მაქსიმალურად დავაკმაყოფილებთ. გთხოვთ იყოთ

თანახმა. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ქუთაისის ფილიალის დირექტორი ბორის ნადირაძე. 8. VI. 1961."

რით ვიმსახურებდი ამ, შესაძლოა გადაჭარბებულ, ყურადღებას და დაფასებას? ორატორული ხელოვნებით? არა. სრულიადაც შორს ვიყავი ამისგან. მაშინდელი „წარმატების" ერთგვარი გასაღები დევს ზოგადმეთოდიკური სახელმძღვანელოს პირველივე გამოცემიდან ბოლო გამოცემამდე ჩემს შემდეგ მოსაზრებაში (ცხადია, ეს მოსაზრება ადრე შემუშავდა და გვიან დაფიქსირდა):

კონსტანტირებას ვუკეთებ რა საერთოდ მიღებულ ტრივიალურ შეხედულებას ლიტერატურის მეთოდიკისათვის ლიტერატურისმცოდნეობის ყველაზე ახლობელ, აუცილებელ და განუშორებელ მონათესავე მეცნიერულ დისციპლინად მიჩნევის თაობაზე, იქვე ვწერ და ვამბობ: — „ეს არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ ლიტერატურის მეთოდიკა ყოველთვის მზამზარეულ დებულებებს იღებდეს ლიტერატურისმცოდნეობისაგან. ლიტერატურის მეთოდიკის ნამდვილ სპეციალისტს, საჭიროების შემთხვევაში, თვითონვე მოეთხოვება დამოუკიდებელი თვალსაზრისი იქონიოს ამა თუ იმ საკითხზე და გადაჭრას იგი სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების მიხედვით" (ქართ. ლიტ. სწ. მეთოდიკა, მეექვსე გამოცემა, 1991, გვ. 48).

აი, ეს დამოუკიდებელი თვალსაზრისი ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენის განხილვისას, რაც მაშინ გაბედულებად და სიახლედ აღიქმებოდა, მოსწონდათ და აინტერესებდათ მასწავლებლებს. ჩემთვის კი ისინი „სასინჯ ქვას" წარმოადგენდნენ, მერე სტატიებად და წერილებად ვაქცეყნებდი, შემჭრიდა წიგნებში ცალკეულ თავებად თუ მონაკვეთებად. ასე წარმოიშვა, მაგალითად, მასწავლებელთა დახელოვნების კურსებიდან სახელმძღვანელოში ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" პრობლემატიკის ძიების, თაობათა ბრძოლაში გრიგოლ ორბელიანის ადგილის განსაზღვრის, გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამის" გაგების, ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას" კომპოზიციური ანალიზის და სხვა საკითხებისადმი მიძღვნილი ნაკვეთები, თავები და ქვეთავები.

კურსებს მე ეუცქეროდი როგორც ორმხრივად სასარგებლო ერთგვარ სასწავლო ლაბორატორიას, ეცდილობდი მასწავლებლებთან მიმეტანა რაიმე ახალი ლიტერატურულ-თეორიული და პედა-

გოგიკურ-მეთოდიკური აზრი, მათ „ჭურაში" გამომეწრთო, „გამომეხარშა" და გამომეტარებინა იგი და, ამავე დროს, მათგან მესწავლა, მიმეღო და შემეთვისებინა ყოველივე, რაც გააჩნდათ გამოცდილების „ბეღელში" შეუმჩნეველი „სიმდიდრის" სახით. ეს გამოხატავდა მათ დაფასებას, მათთან სიახლოვეს, უშუალობას, კონტაქტს არა როგორც მსმენელებთან, არამედ კოლეგებთან. ასეთი მიდგომა, ბარათებიდან ჩანდა, ხიბლავდა მათ.

მაგრამ ჩემი ცხოვრების გზაზე, კერძოთ, ბორჯომის კურსების როლი განსაკუთრებულია იმით, რომ მან მიმაჩვია ყოველი ლექციის არა დაკონსპექტებას, არამედ აგეგმვას. მე ვიყენებ სიტყვა „აგეგმვას" საკუთარი შეგნებულად და არ უნდა გავიგოთ იგი გეგმის რაღაც მონაცვლე ფორმად. გეგმა ქაღალდზე ფიქსირებული ხილვადი დოკუმენტია, აგეგმვა გონებაში, მეხსიერებაში, უხილავად აღბეჭდილი. მეორე წინ უსწრებს პირველს და ორივე — წარმატების საწინდარია.

ცხადია, არც გეგმა გაშველის და არც აგეგმვა, თუ არ ფლობ საგანს, თემას, მასალას, თუ არა გვაქვს საამისო განათლება, მომზადება, ცოდნა. მაგრამ მათი თანმიმდევრული, მიზანდასახული, კონკრეტიზებული ახსნისა და გაშუქებისათვის მსჯელობის მწყობრი სისტემაა საჭირო, რაც ქვეცნობიერად გარკვეულ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს. თვითკონტროლის ჩვევამ მე შემძინა ლექციისადმი მუდმივი უკმარისობის, მისთვის მუდმივი ძიების, მის წინაშე მუდმივი პასუხისმგებლობის გრძნობა.

მხოლოდ სამი წლის ასეთი გამოცდილება მქონდა, როცა ბორჯომის 1952 წლის კურსებიდან დაბრუნებულს განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლების სამმართველოს მაშინდელმა ახალმა უფროსმა ივანე გეერდწითელმა წინადადება მომცა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის მოთხოვნით სექტემბრიდან დამეკავებინა ქართული და ოსური ლიტერატურის გაერთიანებული კათედრა ჩამსვლელის სტატუსით. მალე ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამირჩიეს კათედრის გამგედ, წარმადგინეს დოცენტის წოდებაზე უმაღლეს საატესტაციო კომისიაში და მომანიჭეს კიდეც.

3. ჩამსვლელის სტატუსი

სიტყვა „სტატუსი“ ბოლო დროის ტერმინოლოგიური შენაძენია, „ჩამსვლელი“ კი — ძველის გადმონაშთი. იგი წარმოიშვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების პირველ დღიდანვე — 1932 წლიდან[1]. იცვლებოდნენ ჩამსვლელთა თაობები, სიტყვა კი რჩებოდა. მისი შინაარსი უკავშირდებოდა განსაკუთრებით ქართული განყოფილებების — ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტებს. ამ დარგებში ადგილობრივი სპეციალისტები მაშინ სრულიად არ ჰყავდათ. ამიტომ განათლების კომისარიატი, შემდეგ სამინისტრო თბილისიდან აგზავნიდა შეთავსებით შერჩეულ კადრებს სპეციალობათა მიხედვით. დროდადრო ხდებოდა მათი მონაცვლეობა.

აი, ამ ნაკადის ერთ ტალღას მეც მოვყევი და თითქმის ექვსი წელიწადი ჩავდიოდი თბილისიდან ცხინვალში ხან მატარებლით, ხან ავტობუსით დეკანატთან შეთანხმებული განრიგით კვირაში მხოლოდ სამი დღე — ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი. თავთავისი განრიგი ჰქონდა ყოველ ჩამსვლელს. მათი რიცხვი ცოტა როდი იყო. საერთო საცხოვრებელი მუდამ იცლებოდა და ივსებოდა, ე. ი. ორ ნაკადად იღებდა „სტუმრებს“, რომელთაც ყოველთვის მზად ხვდებოდა დამლაგებელი ოსი ქალბატონი ქსენია. იქვე ახლო იყო ინსტიტუტის შენობაც, ლექტორთა სასაუზმეც. ამ სამ დღესთან იყო შეხამებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, კათედრის და სხვა ხასიათის სხდომები და კრებები. ასე რომ, საყოფაცხოვრებო თუ სამუშაო პირობები კარგად იყო მოგვარებული.

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ხომ პერიფერიად ითვლებოდა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, ხომ არ შეიძლებოდა გამორჩეული ყოფილიყო მატერიალური ბაზით და ტექნიკური მოწყობილობით, ვინატრებდი და ვისურვებდი მის იმდროინდელ დონეზე მაინც ასულიყოს ახლანდელი, ე. ი. ბოლო სამ წელიწადში (1988—1991) სარკინიგზო-საგზაო-საჰაერო მიმოსვლის განრიგივით მოშლილი და მორღვეული ჩვენი უნივერსიტეტი. სწავლამოწყურებულ სტუდენტახალგაზრდობას მეცადინეობის უმიზეზო გაცდენა, ლექციებზე წესრიგის დარღვევა, დავალების შეუსრულებლობა, უინტერესობა და უყურადღებობა, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა,

[1] ასევე პერიფერიის სხვა ინსტიტუტების დაარსების დროიდან.

თითქოსდა ვერ წარმოედგინა. ამიტომ კათედრის ძირითადი საზრუნავი სალექციო-სასემინარო და სტუდენტთა წრეობრივი მუშაობის სწორი ორგანიზაცია, მისი ხარისხის ამაღლება იყო.

ორმხრივი ძალისხმევით ქართული ენის და ქართული ლიტერატურის კათედრები კოორდინირებულად ცდილობდნენ მიეღწიათ კვალიფიციური კადრების მომზადების შესაფერისი დონისათვის. პირველ სამ წელწადშივე სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციებზე ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტიდან წარგზავნილნი სიგელებით და ფულადი ჯილდოებით ბრუნდებოდნენ, რაც უმაღლეს სასწავლებელთა შორის ამ მხრივ ჩამორჩენილ ინსტიტუტს სახელს მატებდა.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ 1988 წლის 8 აპრილის ნომერში (68) გამოქვეყნებულია ამ გაზეთის რედაქტორის მაშინდელი მოადგილის, ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ყოფილი კურსდამთავრებულის, ჟურნალისტ ვასილ საბანაძის მოგონება, რომელშიაც ის იხსენებს მესამე კურსის სტუდენტად ყოფნის ხანას, 1954 წელს, როცა ჩემი დავალებით ასრულებდა ლიტერატურული წრის თავმჯდომარის მოვალეობას. მისთვის საკონფერენციო თემად შემირჩევია „მასალები ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ შექმნის ისტორიიდან“, მიმიცია მისამართი და მირჩევია თბილისში პირადად ენახა მწერალი.

„ზარი რომ დავრეკე, — აღწერს მოგონების ავტორი ლეო ქიაჩელთან შეხვედრის ეპიზოდს, — კარი თვითონ გამიღო, შინაურულად მომესალმა, მომკიდა ხელი და თავის სამუშაო ოთახში შემიყვანა. დიდ, მრგვალ მაგიდასთან დამსვა, თვითონაც გვერდით მომიჯდა. მაგიდაზე თვალი მოვკარი აკაკი თოფურიას წიგნს „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“. ლეო ქიაჩელმა ის წიგნი აიღო ხელში და მითხრა: აი, შვილო, შენ რა მასალებიც გაინტერესებს, ყველაფერი აქ არისო“.

განა ამ წიგნს მე არ მივაწვდიდი? აქ მთავარია ცოცხალ მწერალთან შეხვედრის შთაბეჭდილება, რომლითაც შეივსო წიგნში მოთავსებული მასალები. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ სტუდენტმა იმ წელს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციაზე პირველი ადგილი დაიკავა, კონფერენციის ორგკომიტეტის ხელმძღვანელის, ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის, ფილოლოგიურ

მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კონსტანტინე მეძველიას მოწონება დაიმსახურა. სწორედ ამის გამოხატვას ემსახურებოდა მოგონებაც.

ვასილ საბანაძის მოგონებას მოყვა ჩემი მიწვევა ცხინვალში. ისედაც მონატრებული ვიყავი და მოვახერხე მენახა იგი 1988 წლის 12 სექტემბერს. იმავე გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ 16 სექტემბრის ნომერში (179) დაბეჭდილია რედაქციის თანამშრომლის, ყოფილი სტუდენტის, ჟურნალისტ ვლადიმერ მელქოევის ინფორმაციული წერილი სათაურით „შეხვედრა მეცნიერთან“. რამდენადაც მასში ასახულია სამხრეთ ოსეთში ჩემი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ზოგიერთი მომენტი, წინასწარ ბოდიშის მოხდით, მოვიტან აქ რამდენადმე ვრცელ ნაწყვეტს ამ წერილიდან.

...„1952—1958 წლებში სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის დროს ა. თოფურია სათაეში ედგა ქართული და ოსური ლიტერატურის კათედრას. აღზარდა პედაგოგთა თაობები. შემდეგშიც ხშირად ჩამოდიოდა ცხინვალში, როგორც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და აქტიურად მონაწილეობდა სპეციალისტთა დახელოვნებაში.

და აი, ღვაწლმოსილი მეცნიერი ამ დღეებში კვლავ ეწვია ცხინვალს, პედაგოგიურ ინსტიტუტს, მოინახულა ნაცნობ-მეგობრები, თავისი სტუდენტები. პროფესორ აკაკი თოფურიას შეხვედრა მოუწყო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ. შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, გახსნა და სტუმარს მიესალმა ამავე კათედრის გამგე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ქურდაძე. — პროფესორ აკაკი თოფურიას პედაგოგიურ-ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, — თქვა მან, — თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მეთოდიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში. ხანგრძლივი ინტენსიური შრომის შედეგი იყო „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ ფუძემდებლური სახელმძღვანელო, რომელიც გამოიცა პირველად 1957—1959 წლებში. ეს წიგნი არის ფილოლოგიური ფაკულტეტების სტუდენტთა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა თანამგზავრი, სამაგიდო წიგნი“...

ეს ამონაწერი უმთავრესად იმიტომ მოვიტანე, რომ ხაზი გამესვა ცხინვალში მუშაობის პერიოდის გადამწყვეტი როლისათვის ზემოთ

მითითებული სახელმძღვანელოს შექმნაში. პირველი წიგნის 1957 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ვწერდი, რომ მას საფუძვლად დაედო ლექციების ის კურსი, რომელსაც ვკითხულობდი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტებთან იქ ჩასვლიდან ოთხი სასწავლო წლის განმავლობაში. ჩემთვის დაუვიწყარია ყოველგვარ საშტატო შეთავსებაზე უარის თქმის შედეგად ინტენსიური მეცნიერული მუშაობის ის ოთხი წელი — კვირის ოთხი დღე თბილისში საჯარო ბიბლიოთეკასა და არქივსაცავებში მასალების საძიებლად და მოსამზადებლად, ხოლო სამი — ცხინვალში მათი გააზრება-გაცნობიერებისა და სისტემატიზებისათვის. ასე მზადდებოდა და გროვდებოდა უხვი მასალა, ორმოცთაბახიანი ორი წიგნის საამისო ტექსტი. მხოლოდ ხელნაწერის დასრულების და პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ დადგა ჩამსვლელის სტატუსისგან თავის დახსნის, მისგან განთავისუფლების საკითხი.

ცხინვალის პერიოდის საქმიანობა არ შემოზღუდულა მარტოოდენ სასწავლო საგნის არარსებული სალექციო კურსის შექმნით. რომ არაფერი ვთქვათ დედაქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაში მონაწილეობაზე, კათედრის პროფილში ქართულ ლიტერატურასთან უშუალოდ შედიოდა ოსური ლიტერატურის, ქართულ-ოსური ლიტერატურული ურთიერთობების არა მხოლოდ შესწავლა, პირველ რიგში მისი პროპაგანდისა და განმტკიცებისათვის ზრუნვა. ეს ურთიერთობანი სათავეს მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან, კ. ხეთაგუროვის შემოქმედებიდან იღებდა. საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილებას ქართულ, ოსურ, რუსულ ენებზე საოლქო გაზეთის ანალოგიით ჰქონდა ბეჭდვითი ორგანოები და წიგნებს სამ ენაზე ბეჭდავდა. სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონი“ ემსახურებოდა ოლქში კულტურის, განათლების, მეცნიერების საქმეს. თვით ცხინვალში მუშაობდა როგორც ქართული, ისე ოსური დრამატული დასი. ყველაფერი ეს შესაძლებლობას იძლეოდა სკოლებთან მჭიდრო კონტაქტების გარდა შემოქმედებით ორგანიზაციებთან და კულტურულ დაწესებულებებთან კათედრის კავშირ-ურთიერთობის დამყარებისათვის.

ადგილობრივ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში სისტემატური თანამშრომლობის პარალელურად ჩემი წინასიტყვაობით დაიბეჭდა გამომცემლობაში ოსურ ენაზე ილია ჭავჭავაძის რჩეული მხატერუ-

ლი თხზულებანი (1956) და ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა“ (1955), ხოლო 1956 წელს ქართულ ენაზე გამოიცა კრიტიკული წერილების ჩემი პირველი პატარა კრებული, რომელშიაც შევიდა სამი სტატია: 1. ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხისათვის) 2. დავით ჯიოევის შემოქმედებითი გზა, 3. ლეო ქიაჩელის საბავშვო მხატვრული შემოქმედება.

აქედან, დავით ჯიოევის შემოქმედების ვრცელი კრიტიკული განხილვა მისი რომანის „უძლეველი ძალის“ ქართული თარგმანის შეფასებით (აღსანიშნავია, რომ ეს რომანი ქართულ ენაზე თარგმნა გრიგოლ მაჭავარიანმა და გამოიცა თბილისში გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მიერ 1955 წელს), რომელშიაც გამოსახული იყო ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული მეგობრობა, ოსეთის ინტელიგენციამ ინტერესით აღიქვა. ეს მოხდა უპირველესად იმის გამო, რომ ქართველი კრიტიკოსის პირველი წერილი მიეძღვნა ლოგინთან წლების განმავლობაში მიჯაჭვულ ცოცხალ ოს მწერალს (გარდაიცვალა 1969 წელს). მისი ბედი ნ. ოსტროვსკის ბედს მოგაგონებდათ. მახსოვს, როგორ გახარებული იყო იგი ადრე საოლქო ოსურ და ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული ჩემი წერილებით და რა სასოებით გადმომცა თავისი რომანი მისივე ხელით ქართულად წარწერილი სიტყვებით: „აკაკი თოფურიას — სტუდენტი ახალგაზრდობის გულისხმიერ აღმზრდელს, ქართული ლიტერატურის სიდიადის ნიჭიერ პროპაგანდისტს, სულით და გულით ეუსახსოვრებ ჩემ ნაშრომს „უძლეველ ძალას“ მეგობრობის ნიშნად. 8 იანვარი, 1956 წ“...

ზემოთ ერთგან 1950 წელს მოსკოვში ჩატარებული სრულიადსაკავშირო თათბირი ვახსენე ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დამახინჯების საკითხებზე. მაშინ იქ სრულიადაც არ იგრძნობოდა რაიმე დევნა-შევიწროებითი პოლიტიკა ნიკო მარის ე. წ. ანტიმარქსისტულ შეხედულებათა მიმდევრების წინააღმდეგ. ჩვენთან, საქართველოში კი, გაჩაღდა „გაშანადგურებელი“ კამპანია ქართველი „მარისტების“ მიმართ. ამას ტონი მისცა გაზეთმა „კომუნისტმა“, როგორც იდეოლოგიური ფრონტის ოფიციოზმა, თავის მოწინავეში „გამოუსწორებელი მარისტების“ პირდაპირი მხილებით. ესენი იყვნენ: შოთა ძიძიგური, ალექსანდრე ღლონტი, იოსებ მეგრელიძე — მარის ყოფილი ასპირანტები ლენინგრადიდან. ამ სამეულიდან მხოლოდ შოთა ძიძიგურს ვიცნობდი. ვიცოდი, რომ იგი უნივერსიტეტის ქარ-

თული ენის კათედრიდან განთავისუფლებული იყო და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში უწევდა ჩასელითი მოღვაწეობა.

და, აი, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგის მოვალეობას ჩამოცილებული ალ. ღლონტი და მთლად „პირწავარდნილი" მარისტი ი. მეგრელიძე ცხინვალში დამხვდნენ, როგორც „დევნილები". ქართული ენის კათედრაზე, რომელსაც დოცენტი შოთა გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობდა, მათთან ერთად ჩემ დროს მუშაობა დაიწყო ჩვენზე ახალგაზრდა სპეციალისტმა ოთარ ქაჯაიამ. ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა აქედან დაიწყო. ამ ისტორიას ორმოცი წლის „სტაჟი" აქვს და ეს მიმაჩნია ცხინვალის პერიოდის ერთ-ერთ ძვირფას შენაძენად. პირველად ჩვენ ერთმანეთი გამოვცადეთ მისაღებ გამოცდებში 1953, 1954, 1955 წლებში და ახლა მის მიმდინარეობას რომ ვიგონებ, ვამაყობ მათი გაცნობით და მათთან მეგობრობით.

წერითი გამოცდებიდან თავისუფალ დროს ლიახვის პირას ვატარებდით, საზაფხულო პარკში. თან მიგვქონდა გაზეთებში გახვეული პომიდორი, კიტრი, ყველი და პური. ეს იყო ჩვენი სადილი და ჩვენი კონტაქტები „გარე სამყაროსთან". ამიტომ არც არავითარი პრეტენზიები, შიფრები და კონფლიქტები არსებობდა. 1985 წელს ცხინვალიდან ფოსტით მივიღე გაზეთ „წიგნის სამყაროს" 8 მაისის ნომერი პირველი გვერდის აშიაზე ასეთი მინაწერით: „ბატონო აკაკი! თქვენ ჩემი ღმერთი ბრძანდებით 1954 წლიდან. მოკრძალებით ავთანდილ ცოტნიაშვილი. 10. V. 1985, 21[15] საათი". თურმე პატარა ქებითი წერილი მოუთავსებია გაზეთში გამარჯვების დღესთან დაკავშირებით (სათაურად ჰქონდა „მეცნიერი, მეომარი"), რათა გულწრფელი მადლობა გამოეხატა სწორედ 1954 წელს ზეპირ გამოცდაზე სოფლიდან ჩამოსული ობოლი ყმაწვილისათვის „ფრიადის" დაწერის გამო. ასეთი ობიექტურობა ხომ ჩვეულებრივად ითვლებოდა წინა პერიოდებში. მისთვის, როგორც ჩანს, მოულოდნელობას წარმოადგენდა. ე. ი. იმ ხანებში უკვე დაწყებული, იყო გადაგვარების ნიშნები — ზნეობრივად გამხრწნელი რეპეტიტორობის პროცესი[1].

---

[1] მუდამ თვალწინ მედგა იმ მათემატიკოსის სილუეტი, მე რომ სულში ჩამხედა 1935 წელს (იხ. ზემოთ მეორე თავი). ბევრისათვის ჩამიხედია მის მსგავსად, მაგრამ... აქ მთავარია რეპეტიტორობიდან თავიდანვე განდგომის ზემოთმითითებული მოტივი. ხოლო გამხრწნელობა რეპეტიტორების გამოცდებისკენ დაუოკებელ ლტოლვაში იხატებოდა.

ალექსანდრე ღლონტი ცხინვალში ახლოდან პირველად სუფრაზე გავიცანი. ინსტიტუტის დირექტორად მაშინ ზაქრო ჯიოევი მუშაობდა, ქართული ორიენტაციის, ქართული განყოფილებისათვის მზრუნველი და დამხმარე კაცი. მის სახლში მიწვეული ვიყავით სუფრაზე მე და ალექსანდრე. ჩემთვის ეს ოსური ტრადიციის, ზნე-ჩვეულების, ოსური „ხაბიძგინების“ პირველი გაცნობა იყო. აქ იყვნენ ოსეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის საოლქო პარტიული კომიტეტის ყოფილი და არაყოფილი თანამდებობის პირები. რიგითი სადღეგრძელოს ჯერი საოლქო კომიტეტის ერთ-ერთ ყოფილ მდივანზე რომ მიდგა, ალექსანდრემ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა.

გაინაბა მთელი სუფრა. ყურები დავცქვიტე მეც. არაფერი გამომრჩეს, არაფერი წამომცდეს-მეთქი. აქებდა, მაგრამ როგორ! ცამდე აყავდა. არ იშურებდა ხალხურ მარგალიტებს, რათა როგორმე „ხელთუქმნელი, მარად უკვდავი“ ძეგლი დაედგა იმ კაცისათვის. მეც მისი მიბაძვით, რაც შეიძლებოდა „შევამკე“ სადღეგრძელოს ადრესატი. სუფრიდან გვიან ღამე ჩვენს ბინაში რომ ებრუნდებოდით, ალექსანდრეს ვკითხე:

— რა ენერგიული და საქმიანი პარტიული მუშაკი ჰყოლიათ ოსეთში. სად მუშაობს ახლა?

— ვინ? — მკითხა გაკვირვებით.

— აი, თქვენ რომ აქებდით ის კაცი.

— მაგისთანა მეორე არ დადის ქვეყანაზეო. — მიპასუხა დაჯერებით, დამშვიდებით და წარბშეუხრელად. თან დაუმატა: ცალკეული მახინჯი, როგორც ყველგან, აქაც არის.

— აბა, სუფრაზე დითირამბებს რად უკმევდი-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა:

— მაშ, გინებას ხომ არ დავუწყებდი.

საერთო საცხოვრებელში რომ მივედით, გაღვიძებულ კოლეგებს ეუამბე ალექსანდრეს „რეჩის“ ისტორია. გაიცინეს და მითხრეს:

— დღეიდან იცოდე: არსებობს ორი ალექსანდრე ღლონტი. ერთი — სუფრაზე, ბანკეტზე, იუბილეზე. მეორე კი — აქ, ჩვენთან, ჩვენ გვერდით. უფრო ამ უკანასკნელს ერწმუნე. კომუნისტებმა ასე ასწავლეს და ასეთად გამოზარდეს. რა მაგისი ბრალიაო.

ხუმრობა და იუმორი იქით იყოს და... ალექსანდრე ღლონტი სათაეში ედგა, ინიციატორობდა ყოველ საზოგადოებრივ საქმეს ინს-

ტიტუტში. იგი იყო სამეცნიერო შრომების კრებულთა რედაქტორი, სამეცნიერო საინსტიტუტო და ჟურნალის რაიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან გამსვლელი სესიებისათვის თეზისების დაბეჭდვის ორგანიზატორი, სტუდენტთა მეცნიერი, სამეცნიერო წრეებში მათი ჩაბმის გულმხურვალე ენთუზიასტი, ოსური ფოლკლორის მაძიებელი და პოპულიზატორი. სიტყვა „ფოლკლორი“ შემთხვევით არ მიხსენებია. ზოგი ჰირი მარგებელიაო, — ხალხური ანდაზისა არ იყოს, მარისტობის იარლიყმა იგი აიძულა დროებით გადაერთო თავისი ნიჭი და ენერგია ფოლკლორისტიკის სფეროში. მისი სადოქტორო დისერტაცია ხალხურ შემოქმედებაში ნოველის ჟანრის წარმოშობას, მის მეცნიერულ კლასიფიკაციას ეძღვნებოდა და ამით უმტკივნეულოდ აიცდინა მოსალოდნელი ახალი „შერისხვა“.

მაშინდელი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩვენ თითქმის ერთდროულად გადავედით სამუშაოდ. იმ ხანად იქ ქართული ენის კათედრას ცხინვალიდან მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გადასული, აწ განსვენებული შოთა გაფრინდაშვილი განაგებდა. მან დატოვა კათედრა აკადემიაში ფონეტიკის სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების გამო. გამოცხადდა კონკურსი. აქ „დაეჯახა“ ერთმანეთს ორი მარისტის, ლენინგრადიდან ორი მეგობრის — შოთა ძიძიგურის და ალექსანდრე ღლონტის ინტერესები.

მდგომარეობა გამწვავდა იმით, რომ გაუგებრობის ნიადაგზე განცხადება ორიეეს შეტანილი ჰქონოდა. მედიატორობა ორიეემ მე დამაკისრა. ორიეეს მიმართ ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, აწ განსვენებული გ. ტალიაშვილი სცოდავდა. ორიეესთვის სიკეთე უნდოდა და ორიეეს ცალ-ცალკე დაპირებოდა მხარდაჭერას, ისე რომ, არ გაუთვალისწინებია კონკურსის მოსალოდნელი უხერხულობანი. მე ორიეე განაწყენებული მხარე ადვილად შევარიგე ერთმანეთს მანამ, სანამ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდებოდა არასასიამოვნო შედეგი. ეს მოხდა ურთიერთგაგების, პატივისცემის, შინაგანი დიდი კულტურის მეოხებით, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა.

ალექსანდრე ღლონტმა 1965 წელს დაიკავა ხსენებული კათედრა და მას ხელმძღვანელობდა უკანასკნელ დრომდე. ოც წელიწადზე მეტი მოანდომა მე-19 საუკუნის უცნობი ქართველი ლექსიკოგრა-

ფის ნიკო ჩუბინაშვილის ძვირფასი მემკვიდრეობის მეცნიერულ შესწავლას და გამომზეურებას. მისი კვლევის სფერო არ იფარგლებოდა მარტოდენ საენათმეცნიერო, წმინდა ლინგვისტური, ქართული ენის სტრუქტურის საკითხებით, ამასთან ერთად მის არეალში შედიოდა დიალექტოლოგიის, ონომატოლოგიის, ანთროპომონიკის, ტოპონიმიკის, მწერლის ენის და სტილის ძირეული მნიშვნელობის პრობლემები.

მრავალმხრივ გამოჩენილი მეცნიერი, საოცრად შრომისმოყვარე და დიდად ნაყოფიერი მკვლევარი, უბრალო, თავმდაბალი, გულითადი, სპეტაკი, მუდამ ძიებით, საქმიანობით გატაცებული, საუკეთესო ლექტორი და აღმზრდელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ომგადახდილი პროფესორი, — ასეთად დარჩა ჩემ მეხსიერებაში ცხინვალის პერიოდიდან ბოლომდე ძვირფასი მეგობარი ალექსანდრე ღლონტი.

კოლორიტული ფიგურა. — პირველად დანახვისთანავე ასეთად წარმოდგა ჩემ წინაშე ი ო ს ე ბ მ ე გ რ ე ლ ი ძ ე — კაცი მაღალი აღნაგობის, მაღალი სულის, ფიზიკურად ძლიერი და უფრო გაუტეხელი, უფრო ძლიერი თავისი რწმენის, ხალხის ინტერესებისა და სამშობლოს სიყვარულის დაცვის საქმეში. მას უკვე გამოვლილი ჰქონდა რეპრესიის „სუსხი". მაინც არაფერს იმჩნევდა, არ წუწუნებდა[1], უნაყოფოდ არ ჰკარგავდა არც ერთ დღეს და ცხინვალში ყოფნის თავისუფალ დროს მაქსიმალურად იყენებდა ლიახვის ხეობის სიძველეთა ძეგლების შესასწავლად. ასე გაჩნდა 1984 წელს გამოცემული სქელტანიანი წიგნი „სიძველეები ლიახვის ხეობაში". მასში გამომზეურებულია ლიახვის აუზის IX—XIX საუკუნეების წარწერები, ახალი ცნობები მატერიალური კულტურის ძეგლების, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სხვა ხასიათის მასალების შესახებ.

მისი მოგზაურობების და ერთგვარი „არქეოლოგიური" ძიებების მოწმე, თვითმხილველი 1954 წელს მეც ვიყავი, როცა ერთად ვისვენებდით ჯავის რაიონის სოფელ ხეწეში ზაფხულის არდადეგების

---

[1] პირიქით — ზოგიერთისგან განსხვავებით მადლიერიც იყო, ხუთი წლის გადასახლება რომ აკმარეს, ომის დროის მკაცრი კანონების მიუხედავად, ჩადენილი „დანაშაულისათვის". საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მეცნიერ ემიგრანტებს სისტემატურად უგზავნიდა საჭირო წიგნებს, ცნობარებს, სტატიებს, ჰქონდა მათთან მიწერ-მოწერა, რაც მაშინ თავგანწირვას ნიშნავდა.

დროს. მაშინ სოსოს (ასე ვეძახდით სიყვარულით შინაურულ წრეში) თან ახლდა ახალშერთული მეუღლე, თეატრალური ინსტიტუტის ლექტორი, ამჟამად ხელოვნებათმცოდნეობის ღვაწლმოსილი პროფესორი, ქალბატონი ნინო შეანგირაძე. მე ბინა სოფლის გზის ნაპირას მქონდა ნაქირავები, სოსოს კი — ცოტა მოშორებით, უფრო სააგარაკო ადგილზე. რამდენჯერაც მივაკითხავდი, ქალბატონი ნინო მეტყოდა,, ისაუზმა თუ არა, წავიდა თავისი მხარზე ჩამოსაკიდი ჩანთით, გამუდმებით ეძებს და იწერსო.

ჩვენთან ხვწეში ისვენებდა აგრეთვე ინსტიტუტის ლექტორი თბილისიდან, დოცენტი სერგო გუნია ოჯახით. იგი მერე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი გახდა, დიდხანს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფიზიკის კათედრას განაგებდა. ემსხვერპლა საშვიდნოემბრო დემონსტრაციას. მისი ინსტიტუტის კოლონამ როგორც კი რუსთაველის პროსპექტამდე მიაღწია, მოულოდნელად ქუჩაზე დაეცა. მძიმე ფორმის ინსულტი აღმოაჩნდა. სამი დღის შემდეგ მეცხრე საავადმყოფოში გარდაიცვალა. მაშინ სიცოცხლით სავსე, გულთბილი, იშვიათი სამეგობრო კაცი იყო. ჩემთან ახლოს ცხოვრობდა. ჩემი ორი ბავშვი და მისი შვილები ოს ბავშვებთან ერთად თამაშობდნენ და საუცხოოდ ერთობოდნენ. თვით სოფლის ოსი მოსახლეობა ჩვენდამი, საერთოდ ქართველებისადმი მაშინ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდნენ.

ერთ დღეს მე და სერგომ გადავწყვიტეთ სოფელ ბაგიათის მინერალური წყაროების დათვალიერება და ასე, დღის 12 საათზე, ავედით მის გორაკზე. გავიხედეთ, სოსო ჩამჯდარა ადგილობრივ მცხოვრებთა წრეში და გამუდმებით იწერს მათ ნაამბობს. ქალბატონი ნინოც გაჰყოლია. განმარტოებით იჯდა და უსმენდა მოხუცთა საუბრებს. სოსოს ჩვენ თავზე დავადექით, მაგრამ განა შეგვნიშნა, ისე იყო ჩაფლული ცნობების მოსმენასა და ჩაწერაში, აინუნშიაც არ ჩაუგდია ჩვენი იქ მისვლა. ქალბატონ ნინოს შევუერთდით და ცოტათი გავართეთ, გამოვიყვანეთ მოწყენილობიდან. აბა, წარმოიდგინეთ სამი საათი იჯდე და უსმენდე რომელიღაც ოჯახის პაპისპაპისპაპის გენეალოგიას, ან კოშკიდან დაგორებული ლოდის ისტორიას.

ჩაიხედეთ იოსებ მეგრელიძის წიგნში და თქვენ გაგაკვირვებთ არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალების სიუხვე, არამედ თვით ამ მასალების დამადასტურებელი ცნობების სიზუსტე, აღწერილობა, მეცნიერული შედარებები და მოხმობილი წყაროების სიმდიდრე.

ამ შემთხვევაში იგი ექვთიმე თაყაიშვილის მემკვიდრედ, მიმდევრად, მისი ტრადიციების გამგრძელებლად გვეელინება. აკი ამიტომაც აწერია წიგნს: „ეძღვნება უფროსი მეგობრის, ექვთიმე თაყაიშვილის ნათელ ხსოვნას. ავტორი“. აკი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებას საგანგებოდ მიუძღვნა მონოგრაფია „ექვთიმე თაყაიშვილი“. მაგრამ ყოველივე ეს ი. მეგრელიძის დამსახურების ერთი მხარეა — დაკავშირებული ცხინვალში პედაგოგიური საქმიანობის პერიოდთან.

1990 წლის 24 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური საზოგადოებისა და პედაგოგიკის კათედრის წინაშე იაკობ გოგებაშვილის სახელობის საიუბილეო პრემიის ლაურეატობის წოდების მისანიჭებლად რეცენზია-დასკვნას რომ ვადგენდი, იქვე დავძენდი:

„არა გვგონია, საქართველოში იოსებ მეგრელიძის, როგორც მეცნიერის და მოქალაქის, სახელი ჩვენგან მოითხოვდეს ვინმეს წინაშე რაიმე დამატებით ინფორმაციას მისი ვინაობის და პოპულარობის გასაცნობად. ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგური მუშაობა ჩვენს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში, პედაგოგიური კადრების აღზრდის საქმეში თვალსაჩინო წვლილი, დაბადების 80 წლისთავზე შეჯამებული მისი სამაგალითო, უმწიკვლო და უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ვფიქრობ, კარგად არის ცნობილი საზოგადოების ფართო წრისათვის“...

ლექტორთა ასეთ წრესა და კოლექტივში ეპოულობდი შრომის-მოყვარეობის მისაბაძ მაგალითს. იგი ბიძგს, იმპულსს, სტიმულს მაძლევდა და მეც შეძლებისდაგვარად ვიყენებდი გარემო ფაქტორებს. დავუბრუნდეთ ისევ ცხინვალში მუშაობის დაწყების პირველ, 1952 წელს.

ოქტომბერში ჩატარებული XIX პარტიული ყრილობის შთაბეჭდილებებზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი, ყრილობის დელეგატი აკაკი იმნაძე ალექსანდრე ღლონტთან ერთად მის კაბინეტში გველაპარაკებოდა:

— უკანასკნელ სხდომაზე პრეზიდიუმიდან ტრიბუნისკენ მიმავალს სტუმრებ-დელეგატებიანად ფეხზე ადგომით ტაშს უკრავდა მთელი ყრილობა. დარბაზი ზანზარებდა თითქოს. ის მიდიოდა ნელი ნაბიჯებით, შეთეთრებული ულვაშებით და შეძახილების ტალღა

შიაცილებდა. როგორც კი შეჩერდა ტრიბუნის რაფასთან, მარჯვენა ხელი ზეასწია, უველანი დასხდომისთანავე გაინაბნენ. მისი ხმის გაგონებას დანატრებულები ვიყავით. ხომ გახსოვთ, წინა ყრილობა 13 წლის წინ, 1939 წელს ჩატარდა. არათუ ყრილობა, ამ ხნის განმავლობაში საკავშირო პლენუმიც არ ჩატარებულა. ეს გამონაკლისი მოვლენა იყო ჩვენი პარტიის ისტორიაში. სახალხო მეურნეობის აღდგენა, ომის ჭრილობის მოშუშება, ვოლგა-დონის მშენებლობა, მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ბაზისის შექმნა, — აი, რა უძღოდა წინ ხანგრძლივ პაუზას. მოკლე, ღრმაშინაარსიან სიტყვას უფრო დიდი, მრგვინავი ოვაცია მოყვა. ისევ ფეხზე ადგომით, ისევ ტაშით და შეძახილებით მივაცილებდით პრეზიდიუმის მაგიდისაკენ. მხნედ, იმედიანად გამოიყურებოდა. განთავისუფლება ითხოვა. იბღავლეს დელეგატებმა...

— პლენუმს არ დასწრებიხართ, ალბათ, — ჰკითხა ალექსანდრემ.

— ახლადარჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და კანდიდატების გარდა პლენუმს სხვა არ დასწრებია. ჩვენგან აკაკი მგელაძე ესწრებოდა. როგორც გავიგე, იქაც დაუყენებია გენერალური მდივნობიდან განთავისუფლების საკითხი, მაგრამ... შეუძლებელია მის გარეშე პარტიის არსებობა.

— მუდმივად ხომ არ იცოცხლებს. — უნებლიედ წამომცდა.

— ამ ეტაპზე მისი სიცოცხლე კიდევ კარგა ხანს, მისი გარეგნობის მიხედვით, ეჭვს არ ბადებს. — მომიგო მდივანმა თავისი ნათქვამის განსამტკიცებლად...

ორი თვის შემდეგ, 1953 წლის იანვარში, კრემლის ექიმთა, კერძოთ, ბელადის პირადი ექიმის ვინოგრადოვის რეპრესიამ კითხვის ნიშანივით მდუმარედ და ავის მომასწავებლად გადაუარა მთელ ქვეყანას. კიდევ ორი თვის შემდეგ დაიწყო ავადმყოფობის ბიულეტენების გამოქვეყნება და... 5 მარტს სამგლოვიარო ზარის გუგუნმა ცხინვალში მომისწრო. გარეთ მიდამო თოვლის ღრმა ფენებით იყო დაფარული. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტიახალგაზრდობა დერეფნებსა და აუდიტორიებში ერთწუთიანი მდგომარე დუმილით, მწუხარე, ცრემლიანი თვალებით შეეგება რეკვიემის დაწყებას.

იმავე წლის 9 მარტს, დასაფლავების დღეს, თბილისში ხალხი ისევ იმ ძველი ფოსტა-ტელეგრაფის მიდამოში, იმ ხის რადიორეპროდუქტორის გარშემო მოჯარულიყო, საიდანაც 1941 წლის 22 ივ-

ნისს მოლოტოვის გამოსვლას ვუსმენდი. ახლა ისევ ის მოლოტოვი ლაპარაკობდა მოსკოვის სამგლოვიარო მიტინგზე სხვა ხმით, თითქოს მისი ქვითინი გაისმოდა ეთერში. ლაპარაკობდა ხრუშჩოვი, ბერია... ამ ხანებში უკვე „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო იოსებ ნონეშვილის ლექსი „მამავ, ძვირფასო“ და მისი სტრიქონები, სტროფები ზეპირად ვრცელდებოდა.

1953 წლის 9 მარტიდან მოვლენები ელვისებურად დატრიალდა. გაუქმდა ხელოვნურად გამოგონილი ოლქობანა, მოისსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის წლინახევრიანი ხელმძღვანელობა თავისი „კუდებით“ და „დანამატებით“. „მეგრელების საქმეზე“ დაპატიმრებული ალ. მირცხულავა ციხიდან პირდაპირ უცებ პირველი კაცი გახდა. მან თავისი მმართველობა შექმნა. იგი მხოლოდ შვიდთვიანი გამოდგა იმის შედეგად, რომ ივნისის ბოლო რიცხვებში არენიდან სამუდამოდ გაჰქრა ბერიას ლანდიც. დაიწყო ლაშქრობა მისი დამქაშების მოსასპობად. სექტემბერში მირცხულავას ადგილი გენერლის ჩინოსანმა ვასილ მჟავანაძემ დაიკავა. ისევ შეიცვალა ყველგან ნომენკლატურული აპარატის ხელმძღვანელობა. და, აი, მაშინ შეითხზა ნაირნაირი გამონათქვამები მდივნებზე, მინისტრებზე, აპარატშჩიკებზე. იყო... ფაფუ... იყო... ფაფუ... ან ვულგარულად „შენაკაზმი“ გადასხვაფერებით: იყო დრო და მომენტი, თეკლეს... ჰგავდა დომენტი. შეიცვალა მომენტი, თეკლე... ჰგავდა დომენტის.

ერთმანეთში აირია იუმორი და ტრაგიზმი, კომიზმი და დრამა.

1953 წელი!

ფასდაკლების შეწყვეტის, ეკონომიკური თვალსაზრისით ხალხისათვის დაუვიწყარი უკანასკნელი წელი. მან დაგვიტოვა: კარაქი — მანეთი და 50 კაპიკის ღირებულებით, ყველი — 1 მან. და 80 კაპ., შამპანური — 2 მან. და 50 კაპ., კონიაკი — 5 მან და 40 კაპ., პროფესორის ხელფასი — 500 მანეთი, დოცენტის — 320.

1953 წელი!

მსოფლიოში სსრ კავშირის ავტორიტეტის კულმინაციის, უმაღლეს მწვერვალზე ასვლის, ისტორიულ ქვალოდად ქცეული წელი, საიდანაც დაიწყო მისი რყევის, რღვევის, დეგრადაციის მძიმე, რთული, დამანგრეველი, ხრწნადი პროცესი.

1953 წელი!

სოციალიზმის მსოფლიო-პოლიტიკური სისტემის აპოგეას, ცივი ომის გაძლიერების მსუსხავი წელი.

1953 წელი!

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ეიზენჰაუერის შეფასებისა არ იყოს, კაცობრიობის ისტორიაში დიდი პიროვნების დიდი ერას სამარადჟამო დასასრულის, მზის ჩასვენების, დაისის წელი...

ყოველივე ამის პირველი მაუწყებელი იყო 1954 წლიდან პარტიულ კრებებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილების სერიალების კითხვა-მოსმენა, კრემლის მანამდე საიდუმლოებით მოცული შიგა ამბების, პოლიტბიუროს ავან-ჩავანების, ინტიმების, ინტრიგების გარეთ, სამზეოზე გამოფენა, ვითომდა დასაბერტყად და ნესტისგან ჰაერზე გასანიავებლად. ამით ორი-სამი წლით წადი ფსიქოლოგიური ნიადაგი მზადდებოდა დიდი სულიერი „მიწისძვრისათვის". იგი დაიწყო XX პარტყრილობის შირმით, რასაც მოყვა ჯერ თბილისში 1956 წლის მარტის სტუდენტური ამბოხება, ხოლო 1962 წელს ნოვოჩერკასკში უიარაღო მუშათა დემონსტრაციის საშინელი ხოცვა-ჟლეტა.

1956 წლის 5—9 მარტს თბილისში დატრიალებული სისხლიანი დღეების შესახებ ბევრი რამ დაიწერა. მე ორ შემთხვევას შევესწარი. პირველს, როდესაც უნივერსიტეტიდან დაძრული სტუდენტი ახალგაზრდობის კოლონას ყოჩივით წინ მიუძღოდა საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე და მიაცილებდა მაშინდელ ლენინის მოედნამდე. აქ გამართულ მიტინგზე გაისმა ხრუშჩოვის გადაყენების და მის ადგილზე მოლოტოვის დანიშვნის მოწოდება. აქედან დაიძრა ახალგაზრდობის ჯგუფი და კრწანისში მყოფ ჩინელ გენერალ ჯუ დეს წაუყენა მოთხოვნა დახმარებისათვის ეშუამდგომლა მაო ძე დუნის წინაშე, რათა ბოლო მოეღებოდა ხრუშჩოვის ავანტიურას. ეუსმენდი პოეტ იოსებ ნონეშვილის, სტუდენტების მგზნებარე გამოსვლებს. მათი ერთსულოვანი აზრი მიმართული იყო ლენინისა და სტალინის იდეების დაცვისკენ. მაშასადამე, ხელისუფლების ორგანოებს მათ საწინააღმდეგო არაფერი არ უნდა ჰქონოდა.

მეორე საბედისწერო შემთხვევამ ერთბაშად გააქარწყლა ჩემი გულუბრყვილო წარმოდგენა. 9 მარტს, დღისით, რუსთაველის პროსპექტით ზღვა ხალხის დინებას ისევ მოედნისკენ მიეყვებოდი

მარჯვენა მხრის ტროტუარზე. ქუჩა თითქოს ცარიელი იყო. როგორც კი მივუახლოვდით ოპერის ზონას, ქუჩაზე მოედნის მხრიდან გამოჩნდა ახალგაზრდობის გასისხლიანებული ჯგუფები, ზოგს შიშველი, სისხლით შეღებილი მკლავები ზევით, ჰაერში ჰქონდა შემართული, ზოგი შეელას ითხოვდა, დაჭრილები გარბოდნენ და გაჰყვიროდნენ: ჯალათები გვესვრიან, ნახეთ ხალხო, რისთვის გვესვრიან, რისთვის, რისთვის!.. სასწრაფო დახმარების მანქანების სირენების და სროლის გამაყრუებელი ხმები ერთმანეთში ირეოდა.

ჩაეუარეთ ოფიცრების სახლს და აქ საზარელი სანახაობის მოწმე გავხდი. სასტუმრო „თბილისის“ მხრიდან და ყოფილი კომუნარების ბაღიდან მუშტად შეკრული ადამიანების ურღვევი მასა კავშირგაბმულობის სახლისკენ მიიწევდა, ქუჩის გადაკვეთას ლამობდა. სწორედ ამ დროს გაისმა ამ სახლიდან ტყვიამფრქვეველების კიდევ ახალი უწყვეტი კაკანი. თავი შევაფარეთ ეზოს არკას, საიდანაც ნათლად ჩანდა, თუ როგორ ხვდებოდა ტყვიები სასტუმროს რესტორნის კედლებს, ფასადს, კარ-ფანჯრებს, როგორ იმსხვრეოდა და იფხრიწებოდა მინები, ფარდები, მაგიდები, სკამები. უფრო მძლავრად გაისმოდა დაჭრილების და დემონსტრანტების ერთობლივი გმინვა და გუგუნი...

ამავე ხანებში მწერალთა კავშირში ჩატარებულა მიტინგი, რომლის შესახებ კრიტიკოსი ვლადიმერ ჯიბუტი მიამბობდა: კლუბი გაჭედილი იყო ახალგაზრდობით. სიტყვით გამოსულთა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ლეო ქიაჩელი ჩავარდა. — ხომ იცი, სტალინზე მას როგორი ნარკვევები აქვს დაწერილი. მოგონებაში გაურია ასეთი სიტყვები: პირველი რევოლუციის დროს ვხვდებოდით ერთმანეთს არალეგალურ პირობებში. თავიდანვე ჩანდა, რაც იყო და როგორიც იქნებოდა, რომ მაგის ხელში... არ აცალეს სიტყვის გაგრძელება, ფეხების ბრაგა-ბრუგით და შეძახილებით „ძირს, ძირს“ აიძულეს ტრიბუნა დაეტოვებინა. მერე ნანობდა, გამაბრიყვეს, შემაქებზეს გამოდიო და...

ცხინვალში მარტის ბოლოს დახურულ პარტიულ კრებაზე დახურული წერილის წაკითხვა თითქმის სამ საათს გაგრძელდა. სიტყვით გამოსულმა გიგუცი კულუმბეგოვმა (განაგებდა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას) უფრო მწარედ განიმეორა კრებებზე ადრე გამოხატული ნაციონალისტური შეხედულებანი. იგრძნო რა თავი წელგამართულად, მან დაადანაშაულა პარტიის გარდაცვლილი ბე-

ლადი ოსურ სკოლებში ქართული ენის სწავლების შემოღების და გაქართველების ტენდენციის წარმოშობისათვის.

ეს ისეთ უხეშ ფორმებში იყო გადმოცემული, არსებითად ამახინჯებდა ფაქტებს და სინამდვილეს. საქმე შეეხებოდა არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. და რამდენადაც პედაგოგიკის ინსტიტუტში მუშაობის დროს ამ საკითხთან უშუალოდ კავშირი მქონდა, იძულებული გავხდი გამეკეთებინა განმარტება. მისი შინაარსი ასეთი იყო:

— საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 22 ივნისის დადგენილებით იმავე წლის პირველ სექტემბრიდან ყველა ტიპის დაწყებითი, არასრული და საშუალო არაქართული სკოლების მეორე კლასიდან დაწესდა ქართული ენის სწავლება. ეს დადგენილება მიღებულ იქნა, როგორც მის ტექსტშია ნათქვამი, არაქართველი ახალგაზრდობის ქართული უმაღლესი სასწავლებლებისაკენ დიდი ლტოლვის და საქართველოს სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის ქართული ენის ცოდნის აუცილებლობის გათვალისწინებით.

— განვლილ პერიოდში ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის მასშტაბით. შეიქმნა არა მარტო არაქართველი მოსწავლეებისათვის კლასების მიხედვით ქართული ენის სახელმძღვანელოები, 1952 წელს დაიბეჭდა და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გრიფით გამოიცა მასწავლებლებისათვის დამხმარე მეთოდიკური სახელმძღვანელო სახელწოდებით „ქართული ენის სწავლება არაქართულ სკოლებში“ (ავტორები: ვ. მუშკუდიანი, ვლ. თევზაძე, ფ. რურუა). წიგნს მე გავუწიე რედაქტირება მაშინ, როგორც ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექტორის გამგემ და შეთავსებით გამომცემლობის რედაქტორმა. ამ დონეზეა დაყენებული დღეს ეს საქმე. ამ საქმის წარმატების მკაფიო მაჩვენებელია ჩვენი ინსტიტუტის ქართული ენის და ლიტერატურის განყოფილება, სადაც უმთავრესად ქართულ ენას დაუფლებული ოსი ახალგაზრდობა სწავლობს.

— ყოველივე ამის შემდეგ გაოცებას იწვევს კულუმბეგოვის გალაშქრება პირველ რიგში ქართული სახელმწიფოებრივი ენის წინააღმდეგ, საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოქალაქეების შიერ ამ ენის ცოდნის წინააღმდეგ, მაშასადამე, ფაქტობრივად საქ-

მე გვაქვს ქართული ენის უგულებელყოფის, მისი აბუჩად აგდების ცდასთან.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვით ოსმა კომუნისტებმა, ინსტიტუტის დირექტორმა სასტიკად დაგმეს გ. კულუმბეგოვის გამოხდომა, უწოდეს მას გამოუსწორებელი ნაციონალისტი და ამ ფონზე დახურული წერილის წაკითხვიდან შექმნილი მოჟამული განწყობილება რამდენადმე განეიტრალდა. მისთვის რაიმე დადებითი მოწონებითი რეაგირება არავის გაუკეთებია. წაყრუებით მიჩნეულ იქნა ინფორმაციად. რა თქმა უნდა, 9 მარტის თბილისის ამბები, უდანაშაულო დემონსტრანტების დახვრეტის შემაზრზენი ფაქტები ხელს უწყობდა ამგვარ ინდიფერენტულ რეაგირებას.

ჩვენთან საიდუმლოდ მიჩნეული დახურული წერილის მთლიანი ტექსტი ამ დროს უკვე გამოქვეყნებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში. მისი შინაარსი მსოფლიოს მოედო. გაზეთებში დაიბეჭდა ინფორმაცია ამერიკელი მწერლის, ჰოვარდ ფასტის კომპარტიის რიგებიდან გასვლის შესახებ, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის და სხვა კომპარტიებიდან დაბნეულობის შედეგად ათასობით კომუნისტმა დაყარა პარტბილეთი, ხოლო ჩინეთის კომპარტიამ პროტესტის ნიშნად ჩვენთან ჯერ პარტიული კავშირი გაწყვიტა, შემდეგ კი — ეკონომიკურიც. ინდონეზიაში გადატრიალება მოხდა, დაემხო საბჭოთა კავშირის ორიენტაციის სუკარნოს ხელისუფლება, ძალაუფლება აიღო გენერალმა სუხარტომ, რომელმაც გააუქმა ყოველგვარი დიპლომატიური კავშირ-ურთიერთობა მოსკოვთან და იქ ჩვენი ხარჯებით შექმნილი მილიარდობით ღირებული ქონება ხელთ იგდო. ასეთი იყო პირველი საერთაშორისო გამოძახილის ზოგადი სურათი.

გალაკტიონ ტაბიძეს (1891—1959) შორიდან ვინ არ იცნობდა, ცხადია, მეც ვიცნობდი. ერთგან ზემოთ ნახსენები მაქვს 1936 წლის სექტემბერში სახელმწიფო უნივერსიტეტში პოეტთან მოწყობილი შეხვედრის საღამო, რომელსაც ვესწრებოდით სტუდენტებიც და იქვე აღვნიშნავდი, რომ მელიქიშვილის ქუჩაზე მიმავალს უკან მივსდევდით იმ სიხარულის განცდით, რომ მის ნატერფალს კვალდაკვალ მივყვებოდით. ესეც დიდად გვეამაყებოდა. ომის შემდგომ არაერთხელ მინახავს მწერალთა კავშირის ბაღში განმარტოებით, ნაძვების ჩრდილქვეშ მჯდარი. მინახავს 1954 წელს პასტერის ქუჩის № 2 სახლის ეზოში მთვრალ მდგომარეობაში ბავშვების

გუნდით ალყაშემორტყმული. მაშინ მას ავტომანქანა „პობედის“ მძღოლად ჰყავდა ვინმე წერეთელი, რომელიც ამ სახლის ქვედა სართულზე, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. როცა მანქანას ერთი კვირით გაიტაცებდა „სახალტუროდ“, თავის ბინაში სომხის ქალთან ტოვებდა გ. ტაბიძეს. ის კიდევ არყით ათრობდა მძღოლის მოსვლამდე. მე მაშინ დროებით იმ სახლის ზემო სართულზე ვცხოვრობდი. მაწუხებდა ეს ამბავი, მაგრამ ჩარევა არ შეიძლებოდა. ასეთი ცალკეული უცნაური შემთხვევები აღწერილი აქვს პროფესორ ნოდარ ტაბიძეს წიგნში „გალაკტიონი“. ისინი კულისებს მიღმა არსებული შემთხვევებია...

1956 წლის გაზაფხულზე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლობამ და სტუდენტახალგაზრდობამ გალაკტიონ ტაბიძეს ტრიუმფალური საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ეს იყო ჰეშმარიტი პოეზიის აღიარების საყოველთაო-სახალხო ზეიმი. ხალხით გაჭედილ სააქტო დარბაზში, რა თქმა უნდა, ოსი ინტელიგენცია, ოსი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა სჭარბობდა და, ამდენად, ეს იყო ქართველი და ოსი ხალხების, ქართველი და ოსი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისტორიული მეგობრობის თავისებური ნათელი გამოხატულებაც.

შეხვედრის ორგანიზატორი ჩვენთან ერთად ალექსანდრე ღლონტი იყო, რომელმაც იკისრა, გალაკტიონის ჩამოყვანის, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ კვალიფიციური მომხსენებლის შერჩევის და თვით გალაკტიონთან შეთანხმების საქმე. ეს ბედნიერება წილად ხვდა შემდეგში პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგეს, ცნობილ კრიტიკოსსა და მკვლევარს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, აწ განსვენებულ პროფესორ დიმიტრი ბენაშვილს.

და აი გალაკტიონ ტაბიძე მსუბუქი ავტომანქანით, მომხსენებლისა და სტუდენტ გივი თედეევის თანხლებით, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწვია ზუსტად დანიშნულ დროზე, 1956 წლის 20 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

სააქტო დარბაზი ამ დროისათვის უკვე ხალხით იყო გაჭედილი. პოეტის გამოჩენას დარბაზში უჩვეულო ტაშის გრიალით შეხვდნენ. შესავალი კარებიდან ტრიბუნისაკენ მიმავალი გალაკტიონი მოჩანდა არა მხოლოდ როგორც მხატვრული პოეტური სიტყვის გოლიათი თავისი მაღალი, აზიდული შუბლით, შავი, ბიბლიური წვერითა

და არწივისებური, შორს მზირალი თვალებით, არამედ გოლიათი თავისი ფიზიკური აგებულებითაც, თავისი წარმოსადეგი, ლარიოთ გამართული მაღალი ტანით, გაშლილი მხარბეჭებითა და გრძელი, ზომიერი მკლავებით. სცენის სიღრმიდან, სადაც ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორთან და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად იმ წუთებში ყოფნა მომიხდა, ნათლად ჩანდა, თუ როგორ მოუძღოდა ძვირფას სტუმარს მკვრივი, დაბალი აღნაგობის გულითადი მასპინძელი ალექსანდრე ღლონტი, როგორ არღვევდა და ათავისუფლებდა იგი ვარდების თაიგულებით შეკრულ გზას და როგორ ამოყავდა გალაკტიონი სახოებით სცენაზე.

ტაშის ქარიშხალი დაცხრა, დარბაზი გაირინდა. პრეზიდიუმის მაგიდას ორ მწკრივად მიუსხდნენ სტუმრები და მასპინძლები. მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ ინსტიტუტის დირექტორმა მოხსენებისათვის სიტყვა მისცა დიმიტრი ბენაშვილს, რომელიც გალაკტიონსა და ჩემს შუა იჯდა. მოხსენება დაახლოებით ორმოც წუთს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში მე გაფაციცებით ვადევნებდი თვალს გალაკტიონის ყოველ მანერას. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა, როცა ასე ახლოს, თითქმის სულ გვერდით ვიმყოფებოდი მასთან და არ მინდოდა უსარგებლოდ ხელიდან გამეშვა ეს სანუკვარი შესაძლებლობა. იქნებ რაიმე ისეთი შტრიხი, ისეთი იდუმალი მზერა დამეჭირა, რომლის აღბეჭდვა რაღაცათი მაინც ეგებ გამოდგომოდა შთამომავლობას. მაშინ ეს იყო ერთადერთი სურვილი და ერთადერთი მიზანი.

ამიტომ ცალი თვალით შემპარავად მისკენ ვიხედებოდი, ცალი თვალი და გულისყური კი მომხსენებლისკენ მქონდა მიპყრობილი. დრო და დრო გალაკტიონი ფართოდ გაახელდა თავის დიდრონ თვალებს, დიდრონ შავ წარბებს ზევით აზიდავდა და მღიმარე, გაცისკროვნებული სახით გადახედავდა დარბაზს ერთი კიდურიდან მეორე კიდურამდე, სცენის დაქანებიდან ჰერის კუთხეებამდე, შემდეგ მარჯვენა ხელის თითებით ნიკაპსა და მკერდზე დაფენილ გრძელ წვერებს ჩამოივარცხნიდა ხოლმე.

ერთხელ თავი ორივე ხელისგულში ჩაერგო, თვალები მოეხუჭა, წვერები ყავისფერი კოსტიუმის ღილებამდე და მაგიდის ძგიდემდე ჩამოფენოდა და უნებურად მომეჩვენა, რომ თვლემდა. დიახ, თითქოს ნამდვილად თვლემდა!

და არც იყო გასაკვირი. სამი-ოთხი საათის ნამგზავრი (ვინ იცის,

წამოსვლისას დაისვენა თუ არა) პირდაპირ დარბაზში შემოვიდა... ხუმრობა ხომ არ არის. აგერ სამოცდახუთი წლის ხდება. დაიჭანცა პოეტი! არა, დაიჭანცა ადამიანი პოეტში, ადამიანური სხეული მარად დაუჭანცველ პოეტურ არსებაში, რომელიღაც წარმავალი ნაწილი პოეტის მარადიულ სულში! ასე ვფიქრობდი იმ რამდენიმე წამს, რამდენიმე წუთს, როცა ჩემი წარმოდგენით არათუ ნამდვილად თელემდა იგი, არამედ ზოგჯერ აფარებული ხელების ჩრდილში ენის წვერით მშრალ ტუჩებს ისველებდა კიდეც, ბაგეებს არხევდა და ასე გადმოსცემდა ჩემთვის რაღაც უცნაურ და შეუცნობელ ბგერებს.

ამ დროს მომხსენებელი უკვე გალაკტიონის ადრინდელი შემოქმედების, მისი უნაზესი ლირიკის ერთგვარ ხორკლოვან „ნაწიბურებზე“, იმ დეკადენტურ-სიმბოლისტურ განწყობილებებზე ლაპარაკობდა, რომლებიც „მე და ღამის“ და „ლურჯა ცხენების“ ავტორს, მისი აზრით, ფრანგი სიმბოლისტების გავლენით ჰქონდა გამოხატული. ეს აზრი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. შემდეგ მომხსენებელი პოეტის ღრმა ფილოსოფიურ ლირიკას გადასწვდა და მიმოიხილა მთელი მისი შემოქმედებითი გზა, როგორც ქართულ პოეზიაში სახელოვანი წინაპრების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას ტრადიციების გაგრძელების მეტად უშესანიშნავესი გამოვლინება.

გალაკტიონი ახლა უკვე პრეზიდიუმის მაგიდის ცენტრში ისევ იმ გოლიათური აღნაგობითა და გაცისკროვნებული, მღიმარე თვალებით მოჩანდა, როგორც სხდომის დასაწყისისას, როცა იგი ერთმანეთში გადაჭდობილი ხელების ნელი რხევით სცენიდან მადლობას უხდიდა მის პატივისმცემელ და ესოდენ დამფასებელ დამსწრე საზოგადოებას

მხურვალე მისალმებებს! შემდეგ გალაკტიონმა წაიკითხა რამდენიმე ლექსი. მათ შორის „იდიდე, მშვიდობავ“, „ისევ ახალგაზრდობას“ და „სალამი ახალგაზრდობას“. ეს ორი ლექსი თითქოს საგანგებოდ ჰქონდა დაწერილი და შერჩეული სტუდენტიახალგაზრდობის იმ აუდიტორიისათვის, რომლის წინაშე იგი ახლა ასე ღალმოხდილი და პირნათელი იდგა.

ლექსის გალაკტიონისეული კითხვა ერთი შეხედვით თითქოს ძლიერ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, მაგრამ იგი განუმეორებელი

[1] ამ მხრივ მგზნებარებით გამოირჩეოდა ცნობილი ოსი პოეტის რევაზ ახაევის გამოსვლა.

და მეტად თავისებური იყო გალაკტიონი არ მისდევდა ინტონაციის, მახვილისა და პაუზის იმ დაკანონებულ შტამპს, რომლის თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შემუშავებას მხატვრულ-გამომეტყველებითი კითხვის ოსტატებმა და თეორეტიკოსებმა საუკუნეების მანძილზე დიდძალი შრომა შეალიეს. აქაც თითქოს, ისე როგორც ლექსის ფორმის დარგში, გალაკტიონი ერთგვარ რეფორმატორად გვეელინებოდა. იგი მახვილს ჩვეულებრივ ორ და სამ მარცვლიან სიტყვებში არა ბოლოდან მეორე, არამედ პირველსავე მარცვალზე უკეთებდა და ამის შედეგად თითქოს დისონანსი შეჰქონდა წარმოთქმის ტრადიციულ ემოციურ ელფერში, მაგრამ მისებური აქცენტით წარმოთქმული „იდიდე, მშვიდობაე, იდიდე" ქმნიდა ბგერების, რითმისა და რიტმის თავისებურ ჰარმონიას, რაც ესთეტიკურ ჟღერადობას და სილამაზეს ანიჭებდა ლექსსაც და თვით კითხვასაც.

შეხვედრის ოფიციალური ნაწილი დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი შემდეგ გადატანილ იქნა ცხინვალელი მოსახლის გ. კულიჯანოვის ოჯახში, სადაც ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების მე-4 კურსის სტუდენტებს კათედრის წევრებთან ერთად მოწყობილი ჰქონდათ ბანკეტი გალაკტიონ ტაბიძის პატივსაცემად. აი, ეს ბანკეტია არანაკლებ ღირსსახსოვარი.

სუფრა ვრცელი სადარბაზო ოთახის მთელ სიგრძეზე იყო გაწყობილი. შესავალი კარის პირდაპირ, კედლის გასწვრივ, ერთმანეთზე მიდგმული და სურსათსანოვაგით, ღვინის ბოთლებითა და დოქებით დამშვენებული მაგიდები განიერი არ იყო და ოთახში საკმაო ადგილი რჩებოდა გავლა-გამოვლისა და ცეკვისათვის. მის ერთ უკანა კედელთან ხალიჩაგადაფარებული ტახტიც იდგა, წინ წიგნების პატარა მაგიდით. სხვა საგანგებო მორთულობა ოთახში არ შეიმჩნეოდა. იგი უბრალოების, გულუხვობისა და გულითადობის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, რომელსაც მასპინძელთა, სტუდენტთა და ლექტორთა პოეტისადმი ერთობლივი, ჰეშმარიტად გულწრფელი სიყვარული უერთდებოდა.

ეს არ იყო გამოხატული არც ზედმეტ პათეტიკურ სიტყვებში, არც ბახუსის ძალით გადაჭარბებულ სითამამეში და არც რომელიმე მეტიჩარას მიერ პოეტის წინაშე თავის გამოჩენის გულისამრევ ქათინაურებში. საიდუმლო „შინაგანაწესს" ყველა თითქოს ზუსტად იცავდა. ყველაფრიდან გამოსჭვიოდა პოეტისადმი საერთო დიდი

რიდი, მოკრძალება და თაყვანისცემა. თამადობდა ალექსანდრე ღლონტი, რომლის მოპირდაპირედ, სუფრის მეორე ბოლო მხარეზე იჯდა გალაკტიონი, მის გვერდით დიმიტრი იჯდა, ხოლო ჩვენ, ლექტორები, სტუდენტებს შორის ისე ვიყავით ჩამჯდარი, რომ ყველას დანახვა შეგვძლებოდა.

როგორც კი გალაკტიონი სუფრას მიუჯდა, იგი ერთბაშად გამოიცვალა, გამოცოცხლდა, გახალისდა და სულ მთლიანად გაუქრა დაღლილობის ის იერი, რომელიც ნაწილობრივ შეემჩნეოდა საზეიმო სხდომაზე ყოფნისას. სტუდენტთათვის საოცნებო მიუწვდომლობიდან ის უკვე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი გახდა, უბრალო, სადა, მომლხენი, მომღერალი, გამრთობი, მოცეკვავე. ამან ბიძგი მისცა ჩვენს წარჩინებულ სტუდენტ-ფოტორეპორტიორს, ამჟამად მწერალს და ჟურნალისტს გიგი თედეევს[1] ფოტოსურათებზე ალებეჭდა გალაკტიონისა და მის გარშემო მყოფთა ცალკეული საინტერესო შტრიხები. სადღეგრძელოებს სადღეგრძელოები ცვლიდა, სიმღერას გიტარა, გიტარას ცეკვა და ასე გრძელდებოდა დილამდე. გალაკტიონს რული არ ეკარებოდა, რაც მეტს სვამდა, უფრო მეტად ფხიზლდებოდა და ფეხზეამდგარი თითქმის ქადაგად იყო გადაქცეული. ყველას გეხიბლავდა მისი ღრმაშინაარსიანი სიტყვა ამათუიმ საკითხზე, მაგრამ ამავე დროს ყველას გვაოცებდა მისი გონების აბსოლუტური სიფხიზლე, რომელსაც ბახუსის ძალა ვერ მორეოდა.

ერთხელ სტუდენტებს დრო ეხელთათ და უფრო ახლოს მისხდომოდნენ ფეხზე მდგარ გალაკტიონს, რომელიც გატაცებით იგონებდა თავისი ცხოვრების განვლილ ეპიზოდებს. უცებ ის ერთ მათგანს მოუბრუნდა, თვალებში ჩააცქერდა და მისთვის დამახასიათებელი შეჭირჭილებით მიმართა:

— რა გქვია, ძამიკო, შენ?

— გიგი, ბატონო გალაკტიონ, — სწრაფად მიუგო ჯმუხი აგებულების ჭაბუკმა და ელვარე თვალები ზევით მიაპყრო.

— რა გეარი ხარ, ძამიკო?

— თედეევი.

— თქვენ გოგონა?

— მამისაშვილი.

— სახელი?

— მარო, მარიამ.

და ასე ჰკითხა რამდენიმეს. მერე თვითონ ატრიალა მათი გვა-

[1] გიგი თედეევმა შემდგომ პატარა წიგნიც გამოსცა სათაურით „გ. ტაბიძე ოსეთში“.

რი და სახელი: ანა სუდაძე, ელენე ბაშარული, მერი ცხოვრებოვა, მარიამ მამისაშვილი, გივი თედეევი.. მოყვა და მოყვა ხან ქართული გვარი, ხან ოსური. გალაკტიონს უცებ სახე არაჩვეულებრივად გაუბრწყინდა, თითქოს მიაგნო, რასაც ეძებდაო, მარჯვენა ხელი წინ გამოიშვირა, ტანიც ნახევრად მოაბრუნა ხელის მიმართებით და ახალ მოგონებას ახალი სადღეგრძელო მოაყოლა.

— ასე იყო, ძამიკობო, ძველადაც. ერთად ვსწავლობდით ქართველები და ოსები, ერთ მერხზე ვისხედით, ერთ მიზნებს ვემსახურებოდით. სემინარიაში ჩემი ახლო მეგობარი იყო ერთი ოსი ყმაწვილი. ვალოდიას ვეძახდით მას. გვარად ფარნიევი იყო. ის დიდად მიყვარდა, ნიჭიერი იყო. ოსურ „ასა-ასას“ რომ დაიძახებდა ცეკვის დროს, იატაკს აზანზარებდა. აქედან შემრჩა ოსეთისა და ოსების დიდი სიყვარული. 1932 წელს ვეწვიეთ ქართველი მწერლები ოსეთს, 1952 წელსაც გახლდით აქ. ახლა კი მგონი უკანასკნელად ვარ თქვენს მიწა-წყალზე!

რაღაც ნაღვლიანი კილო შეეპარა ხმაში, მაგრამ უმალვე დაძლია და შეკრული შუბლი უმალვე გახსნა.

— მუდამ ასე ერთად იყავით, ჰაბუკებო და ქალიშვილებო, ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას გაუმარჯოს. — თქვა ეს და სავსე ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა. დაჯდა, ხელები აიფარა სახეზე, დადუმდა. გეგონა მიეძინებოდა და ლოგინის მომზადებას შეეუდექით. სულ რაღაც რამდენიმე წუთმა განელო მის ასე მდუმარედ ყოფნაში. ცეკვა-მოლხენა კი გრძელდებოდა.

გალაკტიონი უცებ ზეწამოიჭრა და თვალებით დიმიტრის დაუწყო ძებნა.

— დიმიტრი, სადა ხარ, დიმიტრი, ძამიკო! — იძახდა ის.

— აგერ ვარ, ბატონო გალაკტიონ. უპასუხა ჩემთან ცეკვით გართულმა დიმიტრი ბენაშვილმა და გალაკტიონს მიაჩერდა. ყველანი ისევ მისკენ მივბრუნდით. ახლა არც ყანწი ეჭირა ხელში და არც ღვინით სავსე ჭიქა. ორივე ხელებით მაგიდის ძგიდეებს დაყრდნობოდა და თითქოს მოხსენების დასაწყებად ემზადებაო, ერთი ზევით აიხედა, ჰერს მოაპყრო თვალები და დაიწყო.

— აი, დიმიტრიც შეცდა დღეს, ჩვენი კრიტიკოსები ცდებიან, ყველანი ცდებიან, გალაკტიონი სიმბოლისტი იყოო, ამტკიცებენ. არა, ძამიკო დიმიტრი, არა ამხანაგებო, ეს არ არის სწორი, ეს გაუგებრობაზეა აგებული. მე ასეთი გულუხვობა და ასეთი წრფელი

სიყვარული არსად არ მიგრძვნია და, აი, თქვენ გაგანდობთ, ჩემო ძვირფასო პაბუკებო და ქალიშვილებო, ჩემი დიდიხნის დამალულ საიდუმლოს, „მე და ღამის“ შექმნის საიდუმლოს.

იგრძნობოდა, რომ ახლა უკვე ის თავისი შემოქმედების ნამდვილ ექსტაზში შედიოდა, იმ ექსტაზში, რომელშიც წარმოიშობა ხოლმე სულის ყველაზე უსათუთესი ღაღადისი, ყველაზე დაფარული გასანდობარი. უცებ უბის წიგნაკი მოვიმარჯვე და სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე შემდეგი:

„ეს იყო ახალგაზრდობის დროს, 1912 წელს. — დაიწყო ნელი, მკაფიო ხმით გალაკტიონმა, — ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ერთი ჩემი ახლო მეგობარი რევოლუციონერი იჯდა (ლაპარაკია მ. ოკუჯავაზე — ა. თ.). მე და ჩემს ამხანაგს დავალებული გვქონდა მიგვეღო მისგან საიდუმლო ნიშანი, წინასწარ გაფრთხილებული ვიყავით, რომ ის ციხის ზედა საკნიდან ქუჩისკენ, სადაც ჩვენ უნდა ვმდგარიყავით, პურის ცომისგან მოზელილ გუნდას გადმოაგდებდა, რომელშიც პატარა წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული. და, აი, ერთხელ საღამოჟამს დავიწყეთ სეირნობა ციხის გალავნის ირგვლივ, დათქმულ ქუჩაზე. დიდხანს მოგვიხდა სეირნობა და ლოდინი. ეტყობოდა ხელსაყრელ დროს ელოდა. ბოლოს ჩემს ახლოს დაეცა პურის გუნდა... უმალ ავიღე და გადავტეხე იგი. შიგ მართლაც ბარათი იყო: „იარაღი შემოგვიგზავნეთო“. ეს მე საიდუმლოდ შევინახე. აი, რამ მომცა ბიძგი დამეწერა ჩემი „მე და ღამე“. — თქვა ეს და ისევ დიმიტრის მიმართა.

— რა აქვს, დიმიტრი, ამ ამბის შემდეგ საერთო ჩემს „მე და ღამეს“ სიმბოლიზმთან? არაფერი, არაფერი.

— ეს ამბავი ფრიად საინტერესოა, ბატონო გალაკტიონ, და აწი გავითვალისწინებთ! — მოკრძალებით შეეპასუხა პატიეცემული დიმიტრი.

ამ მცირედი შეპაექრებიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ პრეზიდიუმზე ყოფნისას მე მხოლოდ მომჩვენებია გალაკტიონის თვლემა, ნამდვილად კი ის თურმე მომხსენებლის ყოველ სიტყვას გულდასმით უსმენდა და თავის გულში ეკამათებოდა კიდეც მას. უეჭველია ამის მომასწავებელი იყო ტუჩების ის უცნაური ცმაცუნი და ბგერების იდუმალი შრიალი, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდი.

გალაკტიონის ეს შინაგანი სულიერი ღაღადისი მართლაც, წინათგრძნობის მსგავსად, უკანასკნელი აღმოჩნდა. ზუსტად სამი წლის

შემდეგ მან ტრაგიკულად დაამთავრა თავისი სიცოცხლე. თბილისის სამკურნალო კომბინატში მწოლიარე პოეტს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ვეწვიე და თან მივუტანე ცხინვალში მის მიერ „მე და ღამის“ გენეზისის საკითხზე გამოთქმული აზრების ჩანაწერები სათანადო კომენტარებით. დიდად ესიამოვნა, თავის უბის წიგნაკში საგანგებო ჩანაწერი გააკეთა და მთხოვა, რომ წარდგენილის სახით გამომექვეყნებინა ეს მასალა. მე ვაცნობე, რომ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე ვაპირებ დაბეჭდვას მეთქი. ამან კიდევ უფრო გაახარა და დაუყოვნებლივ ჩემს წერილს ბოლოში ასეთი წარწერა გაუკეთა: „ძმაო ერემია! (იმ ხანებში ერემია ჭარელიშვილი აწერდა ხელს რედაქტორის გიორგი ნატროშვილის მაგიერ გაზეთს) აკაკი თოფურიას ეს წერილი წაიკითხე. ყველაფერი სწორია. გთხოვთ უცვლელად დაბეჭდოთ“.

ერემიას წერილი იმ დღესვე მივუტანე, მოამზადა კიდეც დასაბეჭდად, მაგრამ მოულოდნელად გალაკტიონის სიკვდილმა მოუსწრო და მისი მინაწერი ბარათი ჩემ წერილთან ერთად შერჩა და მოწიწებით ინახავდა. ჩემ მხრივ, რაკი ტექსტი სიცოცხლეში შეთანხმებული მქონდა პოეტთან, მისი სურვილი მალე შევასრულე. 1959 წელს ჩემი „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ მეორე წიგნის პირველ გამოცემაში საგანგებოდ შევიტანე ქვეთავი, გ. ტაბიძის „მე და ღამე“, რომელშიც ზემოთ მოტანილი მოგონება მთლიანად დაბეჭდილი გვაქვს სათანადო კომენტარებითა და ანალიზით (იხ. გვ. 276—278). შემდეგ ეს განმეორდა ამ წიგნის ყველა გამოცემაში. ფაქტობრივად აქედან ჩამოეცალა გ. ტაბიძის „მე და ღამეს“ სიმბოლიზმთან კავშირის საილუსტრაციოდ გამოყენების „ფუნქცია“. თვით დ. ბენაშვილმაც თავისი წიგნის 1967 წლის გამოცემაში ამ საკითხზე ახალი თვალსაზრისი განავითარა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

...რიჟრაჟი მოადგა სარკმლებს. ცხინვალი იღვიძებდა, ფეხზე დგებოდა, დღიური მჩქეფარე შრომისთვის ემზადებოდა. ჩვენც ნელ-ნელა ოთახიდან გარეთ, ეზოში გამოვედით. დილის გრილი, მასულდგმულებელი ნიავი ჰქროდა. იმ ხანებში გრძელი პალტოები იყო მოდაში და გალაკტიონსაც დრაფის შავი, აქა-იქ გახეხილი გრძელი პალტო ეცვა და შლიაპა ეხურა. არც ნამთვრალევს ჰგავდა და არც მთლად ფხიზელს, არც ენა ეშლებოდა და არც ფეხი. ოჯახის პატრონს გავცილდით გამოსამშვიდობებელი გუნდური სიმღერით,

რომლის „ლოტბარობა“ მე დამეკისრა (არასოდეს სიმღერა არ ვიცოდი, გარდა ცოტათი მოლხენის შემდეგ ჩემებური „აბა ულასი“, რომელსაც აიტაცებდა ხოლმე განსვენებული დავით ჩხეიძე თავისი მრავალჰანგოვანი მდიდარი ხმით). გუნდის საპატიო წევრებად, სტუდენტებთან და ჩვენი კათედრის წევრებთან ოთარ ჭაჭაიასთან, ალ. ღლონტთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძეც და დიმიტრი ბენაშვილიც ითვლებოდა (ეს სურათიც გადაღებული ჰქონდა ანა სუდაძეს და გვი თედეევს).

შემდეგ ჩვენ ერთიანად სასტუმროსკენ გამოვყევით გალაკტიონს. გზაზე სტუდენტი გოგო-ბიჭები ფუტკარივით ეხვეოდნენ, ისიც გრძნობდა ამას და ხან ერთს გადასდებდა ხელს, ხან მეორეს. რა ამბები არ მოიგონა კიდევ გალაკტიონმა თავისი ცხოვრებიდან! ზოგს, რა თქმა უნდა, თხზავდა, ცოტა სიმართლეს დიდ ფანტასტიკურ ამბავს გაურევდა და სტუდენტებს ამით აოცებდა და აკვირვებდა. ერთი დეტალი განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

— 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მომდევნო დღეებში, პეტროგრადში ვიყავი, — ყვებოდა გზადაგზა, სვენებ-სვენებით გალაკტიონი, — სმოლნში გაეგოთ ჩემი იქ ყოფნა და გამომძიძახეს. შესავალ კარებთან ჩვენი სოსო შემხვდა.

— მერე, მერე, ბატონო გალაკტიონ, რა გითხრათ სტალინმა?. — გაფაციცებით, ინტერესით ეკითხებოდნენ სტუდენტები.

— გალაკტიონ, რევოლუციას შენი დახმარება სჭირდებაო. — მითხრა მან, — უპასუხებდა გალაკტიონი.

— თქვენ რა პასუხი მიეცით?

— მზად ვარ ვემსახურო რევოლუციას-მეთქი.

— ჰოდა, შუააზიაში ბასმაჩების რაზმები გვებრძვიან და იქ უნდა წახვიდეო.

— თქვენ რა უპასუხეთ? — კვლავ სულმოუთქმელად ეკითხებოდნენ სტუდენტები.

— ცოტათი დავფიქრდები-მეთქი, ეუთხარი და დამეთანხმა. მეორე დღეს უნდა მივსულიყავი.

— მიხვედით?

— რასაკვირველია, არა. მერე არ დაებრუნებულვარ სმოლნში, გალაკტიონი პოეზიას სჭირდებოდა, ძამიკობო, და ბასმაჩებისთვის რომ თავი გადამედო, ახლა აღარ გეყოლებოდათ თქვენი გალაკტიონი. ასე არ არის?

— დიახ, ასეა, ბატონო გალაკტიონ! — ერთხმად უდასტურებდნენ სტუდენტებიც.

ყველაფერი ასეთ ანეკდოტურ ამბებსაც. და ამაშიც იყო რაღაც თავისებური, გალაკტიონისებური. სასტუმროსთან შევჩერდით. დასვენება არ ინება. თქვენთან ყოფნა და საუბარი მირჩევნიაო, თქვა. ამჯერად კიდეც სულ მთლად გათენდა. მანქანა სასტუმროსთან გველოდებოდა. გალაკტიონი, დიმიტრი ბენაშვილი, ალექსანდრე ღლონტი და მე ჩავსხედით მანქანაში და 21 აპრილს, დილის 9 საათზე, გამოვემართეთ თბილისისკენ.

ასეთი იყო გალაკტიონ ტაბიძის უკანასკნელი ერთი დღე სამხრეთ ოსეთში. ეს დღე არასოდეს წარიშლება ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ყველა იმ ყოფილ სტუდენტთა და თანამშრომელთა მეხსიერებაში, რომლებიც მონაწილეობდნენ 1956 წლის 20 აპრილს მასთან მოწყობილ საზეიმო და პირად, საბანკეტო შეხვედრებში. ამ შეხვედრამ ახალი ფარდა „მე და ღამის“ შექმნის საიდუმლოებას[1].

...მოგონებაში ნახსენებმა ყოფილმა სტუდენტებმა მერი ცხოვრებოვამ და გივი თედეევმა 1988 წელს ცხინვალში სტუმრად ყოფ-

---

[1] თბილისამდე მგზავრობის ეპიზოდიდან გალაკტიონის ორი შტრიხიც უნდა შეიმატოს მის უცნაურობათა ყოფით ბიოგრაფიას. გამოცილდით თუ არა ცხინვალს, მეჯვრისხევში არც კი ვიყავით შესული, უკან მოუხედავად გალაკტიონმა დიმიტრი ბენაშვილს ჰკითხა: — ჯიბეში ფული რატომ არ ჩამიდესო. დიმიტრიმ მე და ალექსანდრეს გადმოგვხედა მხრების აწურვით. ჩვენ ხომ ბილეთები არ გაგვიყიდია, ბანკეტი მოეუწყებეთ, რა საფასური უნდა მიგეცა. დიმიტრიმ უცებ გამონახა გამოსავალი და უპასუხა: ბატონო გალაკტიონ, ფოსტით გამოგიგზავნიან და მოგივაო. ხმა არ ამოუღია, ჩვენ სამიეს თვლემა მოგვერია. ვიგრძენით, რომ მანქანა სადღაც გაჩერდა. გავიხედეთ, რულთან გალაკტიონი არ ზის. მძღოლმა გვითხრა, გამაჩერებინა და ეგერ სასადილოში შევიდაო. გადმოვხტით სამივე, ვხედავთ, გალაკტიონი ჩამდგარა სოფლელ გლეხებთან, შაიი ღვინით სავსე ჯამი უკავია ორივე ხელით და მათ აღღეგრძელებს. ორი ჯამის დალევა მოასწრო. ჩავსვით ისევ მანქანაში.

მოგონებისათვის ამის დამატება მირჩია ცნობილმა პოეტმა ვახტანგ ჯავახაძემ, რომელმაც 1988 წელს „ნაკადულის“ მიერ „უცნობის“ სახელწოდებით გამოცემული საინტერესო წიგნით პირველად შეგვახედა გალაკტიონ ტაბიძის დღემდე მართლა უცნობ შემოქმედებით ლაბორატორიაში. ეს წიგნი ძვირფასი შენაძენია ქართული ლიტერატურისმცოდნეობისათვის, ჯერ კიდევ ნაკლებად პატივდადებული მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიის მეცნიერებისათვის. ამ თვალსაზრისით იგი თვით ავტორის პოეტური ბიოგრაფიის ერთ-ერთი საეტაპო, შემადგენელი ნაწილია.

ნისას დიდი პატივი დამდეს, მიმიწვიეს თაეიანთ ლამაზ, სულით და გულით მდიდარ ოჯახში. აქ იყვნენ ყოფილი სტუდენტები ნოდარ ზადიშვილი და ვასილ საბანაძე. (ამ უკანასკნელმა წინა საღამოს პირდაპირ სასტუმროდან წამიყვანა თავის სახლში).

მომხიბლა ქალბატონ მერის დიახალისობამ, შრომისმოყვარეობამ და შემოქმედებითი ნიჭიერების ნაყოფიერებამ. იგი ჩემ წინაშე წარმოდგა სამაგალითო, სათნოებით საესე დედად, ერთგულ, გამგებ, თანამოაზრე და თანამოკალმე მეუღლედ, გამომცემლობა „ირისთონის“ უცვლელ რედაქტორად, პროფესიონალ მწერლად და მთარგმნელად. მერი ცხოვრებოვა თანაბრად ფლობს როგორც ქართულ, ისე ოსურ ენას, ეწევა ორმხრივ მთარგმნელობით მოღვაწეობას და ამით ცდილობს ყოველნაირად ხელი შეუწყოს ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მაგიდაზე მიდევს ოსურიდან ქართულად მის მიერ თარგმნილი ოსი მწერლის მ. გაბულოვის სქელტანიანი რომანი „სისხლით ნაწერი“ და საკუთრივ მისი პროზაული ნაწარმოებების სულ ბოლოს გამოცემული კრებული სახელწოდებით „უკვდავი ფესვი“, რომელსაც ამშვენებს ავტოგრაფი: „პროფესორ აკაკი თოფურიას — ჩემს ძვირფას მასწავლებელს გულწრფელი პატივისცემით. მერი ცხოვრებოვა. 1988, ქ. ცხინვალი“. ამაზე უნეტარესი ჯილდო რა უნდა იყოს აღმზრდელი-პედაგოგისათვის?!

მაგრამ მერი ცხოვრებოვას ახსოვს ჩემი სიმკაცრე და გაფაციცებით დავუწყე მის რომანს, ჯოველებს ძველებური წესით „ჩხრეკა-ქექვა“, რათა, გულწრფელი წარწერის მიუხედავად, დამეტუქსა სიუეტის სიმწირისა თუ მხატვრული საღებავების აქა-იქ იქნებ მუქად ან ტლანქად წარმოდგენის გამო. დახე, ამ უწინდელ სუსტ, გამხდარ, შეოცნებე და მაძიებელ გოგონას?! როგორის ოსტატობით დასტრიალებს ხალხური „ქვადედაკაცას“ სახელშერქმეულ ლოდის გარშემო შეთხზულ ამბავს, როგორის დამაჯერებლობით ქარგავს ერცელ რომანში სოფლური ცხოვრების ნაირფეროვან სურათებს, როგორ გვიხატავს და გვინერგავს წესჩვეულებათა ღრმა ფესვების მარადიული უკვდავების იდეას?!

ყოველივე ამის შემდეგ განა მოვალე არა ვარ ქედი მოვიხარო მის წინაშე და ბოდიშის მოხდით უღრმესი მადლობა მოვახსენო პირველ რიგში ჩემი „გაწბილებისა“ და „დამარცხებისათვის“? ესეც ხომ თავისებური უნეტარესი ჯილდოა! გივი თედეევიც თავის მხრივ

რამდენიმე წიგნის ავტორია, მათ შორის ჩემდამი მოძღვნილის („მამულო, საყვარელო". 1972). ერბანეთს ეჯიბრებიან შემოქმედებით სწრაფვაში.

ან ავიღოთ მეორე მაგალითი. გალაკტიონთან დიალოგში სტუდენტ მარიამ მამისაშვილის სახელის გაელვება. თეითონ არ მინახავს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მაგრამ გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" 1986 წლის 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან შევიტყვე, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ცხინვალისავე მეოთხე საშუალო სკოლაში. მისივე თანაკურსელთან გულნარა ქერქაძესთან ერთად მათი ერთობლივი რეცენზია სათაურით „ჩვენი მუდმივი სახელმძღვანელო" ერთ-ერთი საუკეთესოა ჩემს მეთოდიკურ სახელმძღვანელოზე დაბეჭდილ პუბლიკაციათა შორის. ამას რომ ვამბობ, მხედველობაში მაქვს პრაქტიკოსი მასწავლებლის პოზიციიდან შემუშავებული კრიტერიუმი, რომელიც ამჟღავნებს მათ პროფესიულ ზრდას, წინსვლას, მთავარში წვდომის უნარს, წერისა და აზროვნების კულტურას. ეს ხომ ყოველი განათლებული ადამიანის დიდი ღირსებაა. არა, ცხინვალის პერიოდს უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

— მაშ, საიდან წარმოიშვა გამწვავებული ეთნოკონფლიქტი, რომელმაც ასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა? — დაიბადება ბუნებრივი კითხვა.

ის რაც სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში მოხდა, არ გამომდინარეობს არც ქართველი და არც ოსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან. ის ზემოდან თავსმოხვეულია მათზე როგორც გარეშე ძალების, ისე ორივე ხალხის ფენებიდან ამოტივტივებული, მოუმწიფებელი პოლიტიკანების მიერ უტაქტო, მოუზომელი, შეურაცხმყოფელი ტონით წარსულიდან ურთიერთის მიმართ ლაფის დასხმით, გონების, ჰკუის და წინდახედულების მომარჯვების ნაცვლად ემოციებისა და გრძნობების უფრო და უფრო მეტი მობილიზებით.

სამაჩაბლოს საზოგადოების დამფუძნებელ პირველ ხუთასკაციან კრებაზე, რომელსაც მისი დამაარსებელი, პროფესორი გურამ შარაძე უძღვებოდა, ოსი ექსტრემისტების მოქმედების საშინელი სურათი დაიხატა. მაშინ იქ გამოვთქვი სურვილი: — შეგვახვედრეთ ჩვენს ყოფილ კურსდამთავრებულ ოს ინტელიგენციას, ცხინვალის ინსტიტუტის ქართული განყოფილების იმ ყოფილ ოს სტუდენტებს, ვინც გალაკტიონის საღამოს და ბანკეტს ესწრებოდა, მოგვეცით საშუ-

ალება გავიგოთ, რამ ააღებინა მათ იარაღი ქართველი კარის მეზობლების წინააღმდეგ, და თუ ამაში დამნაშავე ჩვენა ვართ, მათი აღმზრდელები, დაე, ჩვენ გვესროლონ ტყვია-მეთქი. ეს სურვილი თუ განცხადება მაშინ უურად არავინ იღო. ჩვენ, ვინც კარგად ვიცნობდით 50-იანი წლების ოსეთს, არავინ გაგვრია რაიმე მომრიგებელ ღონისძიებებში და ამიტომ არც არაფერში ჩავრეულვართ.

ისე კი სიმართლე უნდა ითქვას. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე, ვაკის პარკში მოწყობილ მიტინგებზე ზ. გამსახურდიასაგან პირადად მომისმენია მოწოდება — საქართველო ქართველებისათვის, ავლაგმოთ ლეკები, აფსუები და ოსები საქართველოდანო. იმავე ვაკის პარკში ამ მოწოდების საპასუხოდ რადიორეპროდუქტორიდან გაისმოდა ოსი წარმომადგენლის აღგზნებული სიტყვები: მოვითხოვთ ზეიად გამსახურდიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ქართველი და ოსი ხალხების ისტორიული მეგობრობის ფეხქვეშ გათელვის, ამ ორ ხალხს შორის შუღლის ჩამოგდების, ნაციონალური გრძნობების და მტრობის გაღვივებისათვის. ამ მიტინგებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. ცნობილია, თბილისიდან ცხინვალის მისადგომებამდე მრავალათასიანი უიარაღო დემონსტრაციის ფაქტიც, რამაც კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა.

ერთი მხრივ ჩოჩიევის, ხოლო, მეორის მხრივ, გამსახურდიას პირადი ამბიციები, მრავალთა შორის, ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია უბედურებისა, რომელიც ორივე ხალხს დაატყდა თავს. ამიტომ ამ ამბის ანალიზისას შედეგებიდან კი არ უნდა გამოვდიოდეთ, არამედ, ამასთან ერთად, იმ მიზეზებიდან, რომლებმაც წარმოშვეს სავალალო, ტრაგიკული, სახელგამტეხი შედეგები...

გალაკტიონთან შეხვედრის ცოტა ხნის შემდეგ ინსტიტუტის სამეცნიერო მივლინებით მე და ალექსანდრე ღლონტი 1956 წლის ივნისში ერთდროულად ვიყავით ცალ-ცალკე, ჩვენ-ჩვენი გეგმით, მე — მოსკოვში, ის კი — ლენინგრადში. წინასწარ დათქმული გვქონდა ერთმანეთს შევხვედროდით მოსკოვში წითელ მოედანზე, მავზოლეუმის წინ. პუნქტუალური სიზუსტით შევხვდით კიდეც. ეს იყო 9 ივნისს, დილის 11 საათზე.

მანამდე, 8 ივნისს, პროფ. ვ. გოლუბკოვი ნაცნობ ინსტიტუტში კარგი განწყობილებით შემხვდა, წაეკითხა ჩემი სადოქტორო დისერტაციის ოთხგზერდიანი გეგმა-თეზისი. მირჩია ვრცელი ავტორეფერატი დამეწერა და გამეგზავნა პირადად მის სახელზე. იგი დაინ-

ტერესდა მე-19 საუკუნის ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიის ჩემეული სავარაუდო პერიოდიზაციით და გამოთქვა სურვილი ნაციონალური რესპუბლიკების ბაზაზე მეთოდიკური ქრესტომათიის გამოცემის შესახებ. ეს ძალიან კარგი იდეა იყო მაშინდელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის გაგებით. დარჩენილი დღეები დაგეგმილი მქონდა ლენინის სახელობის დიდ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. ასეთი იყო ჩემი ერთგვარი პირადი „ანგარიში“ საშა ღლონტისთვის მოსახსენებლად. ვიცოდი ლენინგრადში მისი დაუღალავი შრომის ამბავი. ერთ ბარათში იქიდან მწერდა: „ახლა ბიბლიოთეკაში ვზივარ. ყოველ დღე 10 საათიდან საღამოს 11 საათამდის“. წარმოგიდგენიათ! სირცხვილით სად გამეღო თვალები, რომ... უქმად მესეირნა, ვთქვათ, მოსკოვის კულტურის პარკში.

და, აი, ჩვენ ისევ ერთად ვართ. დაღლილის სახე ჰქონდა. ნაყოფიერად ემუშავა. ისიც სადოქტორო დისერტაციისათვის მასალებს აგროვებდა. ჩვენი მთავარი ამოცანა იმ დღეს განახლებული მავზოლეუმის ნახვა იყო. სულ რაღაც წელიწადნახევარი იყო გასული მისი გახსნიდან. უშველებელი რიგი 11 საათზე იწყებდა მოძრაობას. ჩვენ დავიკავეთ ბოლო ადგილი კრემლიდან კილომეტრნახევრის დაცილებით. როგორც იქნა შევაღწიეთ მრუმედ განათებულ მღვიმეში, შემოვუარეთ ჯარისკაცების თვალწინ იმ სარკოფაგს, რომელიც ნანახი მქონდა 1950 წელს. გაეფართოებინათ. მინის შუშის ჰერმეტიულ ჩარჩოში ახლა ორი იწვა.

პირველი — რომელმაც ათ დღეში შეძრა კაცობრიობა, მეორე — ვინც ოცდაათი წელიწადი აზანზარებდა მსოფლიოს. ახალბალზამირებული ახალმიცვალებულს მოგაგონებდათ. ამიტომ იგი, შედარებით პირველთან, გიგანტურად, თითქოსდა, ქედმაღლურად გამოიყურებოდა: წინა — ხანგრძლივობისგან ჩაფშუტულ პატარა ფიტულად ქცეულიყო და გვერდით მწოლიარე თავისი სხეულით ლამის ფარავდა კიდეც. ეს სხეული ახლა გაქვავებული იყო. ოდნავ ჰორფლიანი სახით, თავზე შერჩენილი თხელი თმით, თავისი განთქმული ულვაშით, შუაში ოდნავ ჩაწეული შუბლით, მსხვილი ბაგეებით და გულმკერდზე ჯვარედინად დაწყობილი ხელებით მშვიდად მძინარეს ჰგავდა. იმდენად მიახლოებული ჩანდა სამი წლის წინანდელ რეალობასთან, იმ ცოცხალთან, რომელიც მხოლოდ კინოლენტებიდან შემოგვცქეროდა, ერთი შეხედვისას უცებ, თითქოს, გაღვიძების შიში გიპყრობდათ. ამ შთაბეჭდილებებით გამოვედით მღვიმედან.

ბედად წინა დღეებში გაეხსნათ უკანა მხრიდან კრემლის ეზოში შესასვლელი ჭიშკარი და მავზოლეუმიდან ახალი რიგი იქითკენ მიემართებოდა. ჩვენც გავყევით დინებას, შევუდექით აღმართს და ზედ იმ ისტორიულ ქვემეხთან შევჩერდით, რომლის შესახებ ათასგვარი ლეგენდები ერცელდებოდა. აკი აქ, ამ ქვემეხის მიდამოებიდან დაიწყო ე. წ. ლენინური შაბათობების ისტორია! ცოტა იქით კრემლის უკანა კედელი ჩანდა შუაში რაღაც სამი-ოთხი საფეხურიანი კიბით და შესასვლელი კარით. იქიდან მოპირდაპირე შენობამდე გაკრული იყო 50—60 მეტრის სიგრძის თოკი, რომლის გადალახვა არ შეიძლებოდა. თოკის მიღმა ბილიკებად დაყოფილი ბალახებიანი მინდორი იყო.

დამთვალიერებელთა შორის ხმა დაირხა, ტიტო ჩამოდის მოსკოვში და შესახვედრად აქედან მალე წავალენო. ყურებდაცქვეტილნი ვუსმენდით ჩუმ ხმებს და ამ დროს მოულოდნელად კრემლის უკანა კარიდან გამოვიდნენ, კიბეზე დაეშვნენ, შემოუარეს მინდვრის ბილიკებს და ერთ ადგილზე საუბარი გააბეს ხრუშჩოვმა და შეპილოვმა. შეპილოვი ახალდანიშნული იყო საგარეო საქმეთა მინისტრად და იმ დღეს თურმე ეგვიპტეში მიფრინავდა, ეტყობოდა ინსტრუქციებს იღებდა ხრუშჩოვისაგან. მალე კრემლიდან გამოვიდნენ ჯერ კაგანოვიჩი და მიქოიანი, მერე ბულგანინი და პერვუხინი. ეზოს მხრიდან მათ შეუერთდა მანქანით მოსული მალენკოვი, რომელიც იმ ხანებში ელექტროფიკაციის მინისტრად მუშაობდა.

ყველა ესენი, პარტიისა და მთავრობის ძირითადი ელიტა, შორეული პერიფერიიდან რაღაც ზეადამიანებად რომ გვესახებოდა, აგერ, ჯგუფ-ჯგუფად, ჩვენს თვალწინ დადიოდნენ და ჩვეულებრივად საუბრობდნენ. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ხრუშჩოვის ფიგურამ მიიპყრო. შედარებით იქ მყოფთაგან იგი გამორჩეულად დაბალი ტანის, ჩასუქებული, მკვრივი აღნაგობის იყო. საყელოგაღეღილი უკრაინული პერანგი, რუხი ფერის თხელი კოსტიუმი ეცვა. მრგვალი პირისახე ღიპმოდებულ მუცელს სანახევროდ გამობერილი ბურთის იერს აძლევდა. კაუჭა ცხვირი და აპრეხილი ბაგეები ერთმანეთს თითქოს ისე მიკვროდა, ცხოველური დინგის გამოსახულებას ჰქმნიდა. ყურებაწეულის მელოტი თავი კიდევ უფრო აძლიერებდა ამგვარ შთაბეჭდილებას. შეპილოვთან საუბრით გართული ზოგჯერ უნებურად მოგვიახლოვდებოდა და მაშინ სქელი კისრის უკანა ქედი სარკესავით მკაფიოდ მოჩანდა. ამ მომენტში უცებ

ფიქრად გამიელვა, ვერ დავმალე და გვერდით მდგომ საშას ჩავჩურჩულე:

— დააკვირდი, თუ კაცი ხარ, წამით წარმოიდგინე მოსეირნე ნიკიტა ხრუშჩოვი იმ ბილიკზე ოთხად დაყენებული. ჩვენი სამზერიდან ზედგამოჭრილ იორკშირის ჯიშის ღორს არ დაემგვანება? არა ჰგავს? არ გაგონებს? ჩვენი ახალგაზრდების მკვლელი მხოლოდ ასეთი ღორი შეიძლებოდა ყოფილიყო.

— სუ, გაჩუმდი, ვინმემ არ გაიგოს. — მიპასუხა ჩურჩულითვე საშამ და ზიზღით ზურგი შეგვაქციეთ თბილისში ჯოჯოხეთის დატრიალებისათვის.

ერთადერთი მალენკოვის გრძელი ავტომანქანა იდგა კრემლის კიბესთან ახლო. ჩვენდა გასაკვირად, ყველა ერთად იმ მანქანაში ჩაეტია და აეროპორტისკენ გასწიეს. ჩვენ რესტორან „არაგვში" ვისადილეთ. მეორე დღის, 10 ივნისის თარიღით, საშა ლენინგრადიდან მწერდა: „მაქ თუ ჩვენ მთელი მთავრობა ვნახეთ, აქ მე ტიტოს შევხვდი. ერთი სიტყვით, შთაბეჭდილებებით აღსავსეა ჩვენი აქ მუშაობა. „არაგვში" ჩვენი სადილობა არასოდეს დამავიწყდება".

არა, უნაყოფოდ არ ჩაუვლია ცხინვალის პერიოდს. იორკშირის ჯიშის ღორის მოლანდებაც ხომ სიმბოლურად თავისებური გამოცანაა!

ჩამსვლელის სტატუსის ტარების დრო ნელ-ნელა იწურებოდა. ოსური ყველიც და ახალი ხორციც მაღაზიებში ნელ-ნელა კლებულობდა. კარაქი „მუშების მოთხოვნით" სამმანეთნახევრამდე გაძვირდა. სამაგიეროდ, დაიწყო უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაციის, ე. წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესი. „ანტიპარტიული ბლოკის" იარლიყით კრემლიდან სამუდამოდ განიდევნა ამ პროცესის ვითომდა შემფერხებელი მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, საბუროვი, პერვუხინი, პოსპელოვი, მათთან მიტმასნილი შეპილოვი და სხვა. თავდაცვის მინისტრი ჟუკოვი თანამდებობიდან მოხსნილ იქნა ჰაერში, იუგოსლავიიდან ალბანეთში გადაფრენის დრის.

ერთი სიტყვით, ახალი თვითნებობის, გაუგონარი უთავბოლობის, უფაქტურო ოპერაციების, მიწერების, მარცხენა ილეთების, ზნეობრივ ფასეულობათა გადასინჯვის უეამო ჟამი უკვე დამდგარი იყო.

4. შხამნარევი გაცილებით...

1958 წლის სექტემბრიდან ყოფილი პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობა მეკავა. ეს ინსტიტუტი ხომ იმ ორწლიანის ბაზაზე შეიქმნა, რომლის დაარსების უშუალო მოწმე თვითონ ვიყავი. თვითონ ვცხოვრობდი მისი ძველი კორპუსის საერთო საცხოვრებელში (ამის შესახებ ზემოთ მოთხრობილი მაქვს მეორე თავში). ახლა, 21 წლის შემდეგ, კვლავ ეუბრუნდებოდი, როგორც ლექტორი, სრული საგანაკვეთო შტატით. ისე კავშირურთიერთობა 1954 წლიდან მჭონდა. ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების საათობრივი მიწვევით ამ დროიდან ლიტარატურისმცოდნეობის შესავლის კურსს ვკითხულობდი დაუსწრებელ ფილოლოგებთან. მწერალმა გივი ბუთხუზმა თაეისი მოთხრობების წიგნის მოძღვნისას გამახსენა, ინტერესით გისმენდით, განცდით და პათოსით ლაპარაკობდითო. ყველაფერი წარმავალია, პათოსიც და განცდაც, რჩება სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ყოველი ახალი საფეხურის კვალი. იგი ორმაგ სიხარულს მანიჭებდა.

ძველი ნაცნობების წრეს დაახლოების თვალსაზრისით აქ შეემატა ფილოლოგიის განხრით რამდენიმე თვალსაჩინო ფიგურა. მათ შორის გაპორჩეული ადგილი უკავია ა კ ა კ ი გ ა წ ე რ ე ლ ი ა ს. მის სახელს და გვარს ახალგაზრდობიდან ვიცნობდი, მწერალთა კავშირში ხშირად მომისმენია მისი გამოსვლები, სიტყვები, მოსწრებული რეპლიკები, პირადი კონტაქტები კი არასოდეს მჭონია. ინსტიტუტში მუშაობის მცირე პერიოდმა მისი სახით დაუვიწყარი უფროსი მეგობარი შემძინა. ჩვენ გავუგეთ, შევეთვისეთ და შევიყვარეთ ერთმანეთი უპირველესად ერთნაირი მახასიათებელი ნიშნებით. ცალ-ცალკე ორივეს გეძულდა ყოველგვარი შენიღბვა, პოზიორობა, ქედმაღლობა, უმეცრების პარპაში, გვხიბლავდა უბრალოება და თავმდაბლობა, მიხვედრის ალღო და ნიჭი, ზრდილობა და სიწრფელე, შრომაზე აგებული და შრომით მოპოვებული ღირსება. — პატიოსნების ამბიონი.

როცა ორი ინდივიდი მსგავსი შინაგანი თვისებებით მეგობრობის ხიდს დებს ერთმანეთს შორის, ინტელექტუალური კულტურა გარეგანი გამღიზიანებელი ფაქტორებისგან შემაკავებლის როლში გვევლინება. ერთის გაცხარებას მეორის თავშეკავება მოსდევს, მეორის

ახირებას — პირველის დათმობა. ასე ყალიბდება ურთიერთგაგების, პატივისცემის, ნდობის და ერთგულების კომპლექსი, რომელსაც ხასიათის პირველობის მღვრიე ნაკადი ისევე ვერ მოშლის, როგორც მთიდან გადმოვარდნილი ნიაღვარი მის ძირას შეფარულ კლდეს.

ამ თითქოს ტრივიალურს იმიტომ ვიმეორებ და ვიხსენებ, გარეგნულად ზოგიერთს აკაკი გაწერელია რთულ, მიუკარებელ, უმეგობრო პიროვნებად ეჩვენებოდა. მისი სიმკაცრე, მომთხოვნელობა, ზედმიწევნითი პუნქტუალობა და პოლემიკის სიმძაფრე, ერთი შეხედვით, თითქოს ხელს უწყობდა ამგვარი შთაბეჭდილების შექმნას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვიო. საკმარისი იყო, ერთის მხრივ, ჩაწვდომოდი მისი გონებრივი შრომით შექმნილ ღრმამეცნიერულ, მაღალლიტერატურულ, მახვილგონიერ ფილოსოფიურ-ესეისტურ შრომებს, ხოლო, მეორის მხრივ, დაგეყო მასთან თუნდაც ერთი საათი გულახდილი საუბრისათვის, თქვენს წინაშე უეცრად იფანტებოდა მოჩვენებითობის ბურუსი და უმალ გიქარწყლდებოდათ ყალბი წარმოდგენა, რომელიც თვით ამ შრომების შექმნის შედეგი იყო.

დროა ავმაღლდეთ პიროვნების დაფასების ცივილიზებულ კულტურამდე. არა პიროვნული ცალკეული სისუსტენი, არამედ აზროვნების დონე და მასშტაბი, მხატვრულ თუ მეცნიერულ ქმნილებათა სიღრმე და სიდიადე. — აი, რა უნდა ედოს საფუძვლად შემოქმედი ადამიანის დაფასების ცხოვრებით შემოწმებულ საზოგადოებრივ კრიტერიუმს.

ამ კრიტერიუმით აკაკი გაწერელია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ უნდა ყოფილიყო. 1953 წელს გამოცემული მისი კლასიკური ნაშრომი ქართული კლასიკური ლექსის თეორიაზე, აბა, რომელი ქვეყნის აკადემიის წიგნების თაროს არ დაამშვენებდა! არც პავლე ინგოროყვა აურჩევიათ აკადემიაში, მაგრამ ამის გამო მას სახელი და დიდება არ დაკლებია. თვით აკადემიას კი ნამდვილად დააკლდა. ასეა ამ შემთხვევაშიც.

აკაკი გაწერელიას მწერლური თვალთხედვა პირველად ნატურის სახით ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ე. წ. საწარმოო-პროფკავშირულ კრებაზე „აღმოვაჩინე“. საკუთარი დარბაზის უქონლობის გამო მაშინ დირექციის თხოვნით კრება ჩვენს მოპირდაპირე ზოოვეტერინალურ-კვლევითი ინსტიტუტის კლუბში ტარდებო-

და. საკითხი შრომის დისციპლინას შეეხებოდა. ინფორმაციებით ფაკულტეტების დეკანები გამოდიოდნენ. მე და ბატონი აკაკი ერთად ვისხედით. ტრიბუნაზე ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი იდგა. იგი ხელებით ტრიბუნის რაფას დაყრდნობოდა, პირისახე კისერში ჩაერგო, აღგზნებული თვალები თითქოს უპეებიდან გადმოვარდნოდა და ქუთუთოების ქვემოთ უცნაურად ხამხამებდა.

— შეხედე, — მითხრა ჩუმად ბატონმა აკაკიმ,—ჭაობიან წყლის ფოთლებზე შესკუპებულ გომბეშოს არ ჰგავს? მართლა საოცარი სიზუსტით ჰგავდა. რამდენი წელი, რამდენი ხანი გავიდა იმ კრებიდან და ეს ყოფითი დეტალი არ დამვიწყებია. იმიტომ, რომ იგი ყოველთვის აკაკი გაწერელიას მკვირცხლ გონებას, მის მეგობრობას მახსენებდა.

ხოლო თუ როგორ ვახსენდებოდი მას თვითონ, ამის დასტურად მისივე წერილობით გამონათქვამებს მოვიხმობ: 1. ავტოგრაფი 1960 წელს გამოცემული წიგნიდან „ნოველები": „დიდად ნიჭიერ აკაკი თოფურიას — ძმური სიყვარულით და მარად მისი სიკეთისა და წარმატების მოსურნე. აკაკი გაწერელიასაგან. 1. XI. 1960 წ." 2. 1971 წლის ბარათიდან: „ძვირფასო აკაკი! გულითად მადლობას გიძღვნით შესანიშნავი ტელეგრამისათვის, რომლითაც საიუბილეო თარიღი მომილოცე. შენ ყოველთვის მამხნევებდი მე... მხოლოდ ერთი შემიძლია დავიტრაბახო — მეგობრობის რაინდი ვარ. შენ გეკუთვნის ჩემი ძმური სიყვარული და გაუბზარავი ერთგულება. ასე იქნება მუდამ, სანამ სული პირში მიდგას. საუკეთესო სურვილებით. თქვენი აკაკი გაწერელია. 19. VI. 1971". 3. 1989 წლის ბარათიდან: „ძვირფასო აკაკი! დიდად გმადლობ მოლოცვისა და კარგი სურვილებისათვის. სხვა მოლოცვა არსაიდან და არც ერთი პირისგან არ მიმიღია... დე იზეიმონ მტრებმა. როცა პირადად შეგხვდები, ბევრ ახალ რასმე გეტყვი. თქვენი მოყვარული აკაკი გაწერელია. 1. I. 1989". და, მართლაც, ასე გრძელდებოდა...

ძმები ზუბალაშვილების ქუჩის № 33 სახლის ფასადზე მიკრული მემორიალური დაფა გვაუწყებს: „აქ 1948—1960 წლებში ცხოვრობდა გამოჩენილი მეცნიერი და მწერალი გიორგი ნადირაძე". გამვლელმა, არც ისე ხნიერმა კაცმა, ჩაილაპარაკა — ასეთი მწერალი არ გამიგონიაო, ვერ გაიგონებდა, რადგან ზოგს მწერალი მხოლოდ ის ჰგონია, ვინც პროზაულ ნაწარმოებებს წერს. ლიტერატურის ნამდვილი კრიტიკოსი ამავე დროს ნამდვილი მწერალიცაა,

ხოლო გიორგი ნადირაძე იყო არა მხოლოდ კრიტიკოსი ეიწრო გაგებით, იგი იყო ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი და, ამდენად, გამოჩენილი მეცნიერი. ამის უტყუარი დამადასტურებელია მისი წიგნი „რუსთაველის ესთეტიკა“ (1958), რომელიც რუსთველოლოგიის ერთ-ერთი შენაძენთაგანია.

სულ რაღაც ორი წლის, ინსტიტუტში მუშაობის პერიოდის ნაცნობობა მაკავშირებდა მასთან და ეს მოკლე დრო ჩემს მეხსიერებაში ალიბეჭდა პროფესორ გიორგი ნადირაძის ნათელი ხსოვნით, მისი შინაგანი დიდი კულტურით, სიდინჯით და სიდარბაისლით, ფართო განათლებით და მოქალაქეობრივი ღირსებებით. მას უშუალოდ აკაკი გაწერელიას მეშვეობით დავუახლოვდი. ისინი ერთ კათედრაზე მუშაობდნენ. ხშირად ერთად გვიწევდა ქუჩაზე მგზავრობა. დახვეწილი ქართული ლექსიკა მის საუბარს თავისებურ კოლორიტს ანიჭებდა. სიტყვაძუნწი, ან უფრო, ფრთხილსიტყვოვანი. როცა რაიმე საკითხზე ბაასს გააბამდა, ზოგჯერ პაუზებს იშვილებდა, ამით უნდოდა ეგრძნობინებინა — სიტყვა ხომ არ გამიგრძელდა, ზედმეტი ლაპარაკით ხომ არ შეგაწუხეთო. მორიდებულობის, თავაზიანობის რაოდენი აპოთეოზია!

ავადმყოფობის უკანასკნელ სტადიაზე მე და ბატონმა აკაკიმ ბინაში რომ ვნახეთ, ფერი უკვე დაკარგული ჰქონდა. უჩიოდა ყრუ ტკივილებს მუცლის არეში. სინამდვილეში კი ღვიძლის ფუნქცია ჰქონდა მოშლილი. გრძნობდა, აღსასრული მოახლოებოდა, მაგრამ არც კვნესა, არც წუწუნი, არც რაიმე ჩივილი პირიდან არ ამოსდიოდა. ისევ ისე შეუდრეკელი, მორიდებული, მაღალი კულტურის წავიდა ამქვეყნიდან, როგორადაც გაცნობის პირველ დღეს შევიცანი. ასეთი ადამიანების ხსოვნა ლამპრად უნდა რჩებოდეს...

1959 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა საინსტიტუტო პარტიული ორგანიზაციის დახურული, თუ შეიძლება ითქვას, ისტორიული კრება. იგი დაიწყო საღამოს 6 საათზე ერთ-ერთ ყველაზე დიდ აუდიტორიაში და დამთავრდა დილის 5 საათზე. მას თავიდან ბოლომდე ესწრებოდა საქ. კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი გ. გუგუშიძე. მოხსენებით კრებაზე გამოვიდა საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სკოლების განყოფილების გამგე მ. გაფრინდაშვილი.

ჩემთვის, რიგითი კომუნისტისათვის, ასეთი ხანგრძლივი კრება პირველი იყო და, როგორც იშვიათი მოვლენა, დამამახსოვრდა თა-

ვისი სიმყრალით, უძილობით, შიმშილობით, პარტიულ მასებთან საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვითომდა მჭიდრო კონტაქტების დემონსტრირებით და, რაც მთავარია, დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის განხორციელების თითქოსდა კონკრეტიზებული თვალსაჩინოებით.

მაშ, ტოტალიტარიზმის განელილ ეპოქაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი მიჩქმალული იყო. იგი აღდგა. უნდა ამოქმედდეს მისი მძლავრი ბერკეტები. ადამიანმა უნდა იგრძნოს თავისუფლების, დემოკრატიზაციის ლაღი ჰაერით სუნთქვის ბედნიერება.

მოხსენების ინფორმაციული ნაწილიდან: — თქვენი პარტიული ორგანიზაციის ორ აქტიურ წევრს ამხანაგ პატარაიას და ამხანაგ სიხარულიძეს, რომელთაც სისხლხორცეულად ჰქონიათ ათვისებული დემოკრატიული ცენტრალიზმის რაობა და სიკეთე, ოცდახუთგვერდიანი განცხადებით მიუმართავთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისათვის, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისათვის. ოპერატიულად ამხ. ხრუშჩოვს საკითხის შესწავლა დაუვალებია შუააზიიდან ცენტრალურ კომიტეტში ერთ-ერთ მდივნად გადაყვანილ ამხ. მუხიტდინოვისათვის. ამხ. მუხიტდინოვს თავის მხრივ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძისათვის, ხოლო ამხანაგმა მჟავანაძემ ჩვენ დაგვავალა, მოგვცა შესრულების კონკრეტული ვადა. ჩვენ შევისწავლეთ მასალები და თქვენთან განხილვის შედეგები დაწესებული კონტროლის მძიმე საკეტის ახსნით ოპერატიულად უნდა ვაცნობოთ ამხ. მჟავანაძეს, იგი მიაწვდის მუხიტდინოვს, მუხიტდინოვი — ხრუშჩოვს.

— აი, ამხანაგო კომუნისტებო, დღის წესრიგის საიდუმლო ასპექტი. ამიტომ ვატარებთ კრებას დახურულ კარებში. განცხადება ეხება ინსტიტუტის დირექტორის, კომუნისტ გ. ტალიაშვილის ხელმძღვანელობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. გაგაცნობთ მას განცხადებაში ჩამოყალიბებული ბრალდებების მიხედვით.

მოხსენების ძირითადი ნაწილიდან: — ტექსტი იმდენად ვრცელია, მისი წაკითხვა დიდ დროს წაგვართმევს: ეკონომიის მიზნით წარმოგიდგენთ ძირითად შინაარსს ბრალდებათა კლასიფიკაციის საფუძველზე: 1. ნაკლოვანებანი სასწავლო პროცესის ორგანიზაციის დარგში, 2. სამეცნიერო-კვლევით სფეროში, 3. სამეურნეო-ადმინისტრაციული ხაზით, 4. შრომის დისციპლინის განხრით, 5. სტუ-

დენტთა ინტერნაციონალური აღზრდის მწვავე პრობლემების შუქზე.

კრება მიმდინარეობს. ფიქრები საკუთარ თავთან: გაჰირვებულს ქვა აღმართზეც დაეწევაო. — დამეწია და ეგ არის. სად ეცლება მეავანაძეს ჩემ მისალებად? ამისთანა რამდენი საჩივარი ექნება განსახილველი და პასუხსაგები. თანაშემწემ ვეცდებიო კი თქვა, მაგრამ მის ცდას რა აზრი აქვს, თუ თვითონ მას დღეღამის დრო არ ეყო? ჩემი ბრალია. ჯერ ბინის მოგვარებაზე უნდა მეზრუნა, მერე წიგნებზე. ასე მოიქცნენ ჰკვიანები. საბინაო მშენებლობა ჩქარი ტემპით მიდის, ჩქაროსნულად მრავლდება უბინაოთა რიცხვიც. ყველა ქვედა ინსტანცია მოვიარე, დარჩა მხოლოდ ზედა, მისი ერთი სიტყვა და...

კრება დასასრულს უახლოვდება. გ. გეგეშიძის შემაჯამებელი სიტყვიდან:

— ჩვენ გადავიტანეთ უმძიმესი კრიზისული პერიოდი. საქართველოს გასახლებას უპირებდნენ. ვასილ პავლეს ძე რომ არა, გადაგვასახლებდნენ. პოლიტბიუროს წევრობის ასეთი კანდიდატი გვყავს და განა საკადრისია საქართველოდან საჩივრების წერა და ჩვენი სიგლახით კრემლის კიდევ და კიდევ გაღიზიანება? დემოკრატიული ცენტრალიზმი განა იმას ნიშნავს, რომ მაინც და მაინც ცენტრიდან უნდა მოგვედიოდეს დირექტივა, გამოვარკვიოთ რა ხდება ჩვენი დედაქალაქის რომელიღაც ინსტიტუტში? რატომ ჩვენ არ მოგვმართეთ, რატომ ჩვენთან არ დააყენეთ მტკივნეული საკითხები? ამხ. ტალიაშვილი მართალია, ყველა იმ ნაკლოვანებათა მოგვარება, რომლებსაც მომჩივნები აყენებენ მოსკოვის მეშვეობით, ადვილად შეიძლებოდა აქვე, რა თქმა უნდა, პარტიულ კომიტეტთან ერთად ურთიერთ კოლეგიალური დახმარებით.

— მაშასადამე, აქედან სათანადო დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ჩვენ უარს ვამბობთ ამხ. ტალიაშვილის თხოვნაზე გავათავისუფლოთ იგი ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობისაგან. ამჟამად თვითონ ის უნდა ჩაუდგეს სათავეში ინსტიტუტის კოლექტივში მდგომარეობის გაჯანსაღების, ნაკლოვანებათა გამოსწორების პროცესს.

კრება დაიშალა. დემოკრატიული ცენტრალიზმის შხამ-ბანგისგან გაბრუებულნი და გაბრიყვებულნი ნამთვრალევივით მივბარბაცებდით თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად ჩვენ-ჩვენი ბინებისკენ. ქალაქის ქუჩებში დეკემბრის ცივი, მშრალი რიყრაჟი დგე-

ბოდა. ოძელაშვილზე ჩემი ოთახის კარის ღრიჭოში შეკეცილი პაკეტი დამხვდა. ვ. მჟავანაძის თანაშემწე მატყობინებდა: 2 დეკემბერს, დილის 10 საათზე, დანიშნულია თქვენი შეხვედრა ვ. პ. მჟავანაძესთან. აბა, რა დამაძინებდა!

ვასილ მჟავანაძე (1953—1972) 19 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მაშინდელ პარტიულ ორგანიზაციას. სტაბილურობის სარეკორდო დროა მისი არსებობის ისტორიაში: მით უფრო ხაზგასასმელია ეს ფაქტი იმის გათვალისწინებით, რომ იგი მოექცა სათავეში უცხო ქვეყნიდან შემოტანილი იმპორტული საქონლის იმიტირებით. მთელი სიცოცხლე სამხედროში პოლიტმუშაკად აღზრდილი მაინც ადვილად შეეგუა ქართულ გარემოს, სამოქალაქო ცხოვრების წეს-ჩვეულებას. ცხადია, მშობლიური კუთხის მადლით და სიყვარულით. იგი არ დაუკარგავს მას. მართალია, ძნელ პირობებში, რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში მოუხდა მუშაობა, მაგრამ საქართველოს პრესტიჟი ორდენებით და გარდამავალი დროშებით ძირს არ დაცემულა. პირიქით — გაიზარდა კიდეც.

სამაგიეროდ, დაჩქარდა დემორალიზაციის პროცესი. მის ნეიტრალიზებას იგი ცდილობდა ლიბერალიზმის მეთოდით. ამიტომ გზა გაეხსნა „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ წარმოშობის ტენდენციას, ბევრ სხვა ნეგატიურ მოვლენას. სახელმწიფო რესურსების გამოყენებისადმი კონტროლის მოდუნებით ვ. მჟავანაძე ახერხებდა მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლებას. მის პერიოდში გაიშალა ქალაქად და სოფლად აგურის კერძო სახლების მასობრივი მშენებლობა. ომგამოვლილს ომის ვეტერანები იმდენად არ ახსოვდა, რამდენად მთელი ხალხი, სურდა მათი გამდიდრება მაშინ მიუღებელი კერძომესაკუთრული ინსტინქტების გაღვივების გზით, ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ და ებრძოდნენ. და მაინც ინარჩუნებდა იუმორის გრძნობას. ორი დეტალი.

ლენინის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო მედალს არიგებდა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. მოწვეული ბევრი იყო. სიის მიხედვით იძახებდნენ დაჯილდოებულს, თვითონ გადასცემდა და ულოცავდა მედლის მიღებას. დამთავრდა გამოძახება. დარბაზს გადმოხედა, ისევ ბევრი იყო დარჩენილი. გაეღიმა და ასე მიმართა შეკრებილთ.

— თქვენ გული არ დაგწყდეთ, მალე გაიცლის მეორე ასი წელი, მოვალ და ჩემი ხელით გადმოგცემთო.

ყოფილ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთი ლექტორი მხილებულ იქნა ქრთამის აღებაში. მოახსენეს, დაპატიმრების სანქციის აღსრულების ნება თხოვეს.

— რა საჭიროა დოცენტი კაცის დაპატიმრება. უფრო დიდი მორალური სასჯელი იქნება: მოაცილეთ ინსტიტუტს, მოაცილეთ დედაქალაქს, გადაიყვანეთ პერიფერიის ერთ-ერთ უმაღლეს სკოლაში თავისი სპეციალობით, არ გააკაროთ მისი გვარი და სახელი პრესას, არ დაუბეჭდოთ წიგნი და სტატია და როცა საზოგადოებისგან ასეთ გარიყვას იგრძნობს, თვითონ ადგება და აღებულ ქრთამს პატრონს დაუბრუნებს... მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა. მის დროს მექრთამეობა „ჰყვაოდა“ კიდეც.

...აი, მე უკვე ვასილ მჟავანაძის იმ კაბინეტში ვზივარ, სადაც ცეკას ძველ შენობაში ჩიტაძის ქუჩაზე მანამდე გამოცელილი ყველა პირველი მდივანი იჯდა. არც ისე დიდი ოთახი, არც რაიმე ისეთი ბრჭყვიალა მორთულობა, არც რაიმეთი გამორჩეული საწერი მაგიდა. მოკლე განცხადება მივართვი, წაიკითხა და მკითხა:

— ვისთან იყავით ჩემამდე?

— დაწყებული რაისაბჭოსა, რაიკომისა და რაისაბინაო განყოფილებიდან, საქალაქო საბჭოში, საქალაქო საბინაო სამმართველოში, საქალაქო კომიტეტში, პირადად ამხ. გეგეშიძესთან და ამხ. მელაძესთან.

— რას გეუბნებოდნენ.

— რეზოლუციებს ადებდნენ ჩემ განცხადებებს და პასუხებს მიგზავნიდნენ.

— გაქვთ ასლები?

— აი, აგერ, ერთად აკინძული.

კარგა მოზრდილი შეკვრა იყო, წინ დავუდევი. ღერ-ღერობით ფურცლავდა. ბოლოს ერთი ფურცელთაგანი გამოიღო შეკვრიდან და ჩემ განცხადებას თავისი ხელით მიაკრა.

— რა ნაკლი აქვს თქვენ ოთახს?

წინასწარ მომზადებული სქემა-ნახაზი მოვიმარჯვე, თანაშემწის დარიგებისამებრ წინ გავუშალე და თითებით დაწვრილებით ახსნა-განმარტება დავუწყე:

— ყოფილი სამზარეულოა. გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ, მეზობლების საერთო სამზარეულო აკრავს. ვეძინის ქუჩის მხრიდან უკანა კედელი მიწაზეა მიყრდნობილი, დაობებული და ნესტიანია.

საქალაქო საბჭოს სანიტარული კომისიის დასკვნით საცხოვრებლად უვარგისია. ეზოში ჩაედინარი აი, ამ კიბით. მარჯვნით ეზოს მცხოვრებთა საერთო საპირფარეშოა. კანალიზაცია უმოქმედოა. არ იწმინდება, ამიტომ...

— გასაგებია. — მითხრა და კალამი მოიმარჯვა.

განცხადებაზე ზემო კიდურთან წახრილად, გაშლილი ასოებით წერა რომ დაიწყო, ცალი თვალი იქითკენ მჭონდა მიპყრობილ-მიფაციცებული, მაგრამ ჩემგან ცოტა მოშორებით იჯდა და ვერაფერს ვარკვევდი. რეზოლუციადადაბული ქაღალდი განზე გადადო, ჩემი საბუთები უკან მომიბრუნა და წამოდგა. სხვა რა გზა მქონდა, მეც წამოვდექი. კარისკენ გაცილებას რომ მიპირებდა, სულ ახლოდან ვხედავდი, საშუალო ტანის, მკვრივი, ლარიეით სწორი აღნაგობის კაცი იყო. კოხტად შეკრეჭილი ულვაში მრგვალ პირისახეს თავისებურ იერს აძლევდა. გლეხური ტიპის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ამიტომაც იქექებოდა იმდენხანს ქაღალდებში. კართან მისვლამდე შევბედე და ვუთხარი:

— მეორედ თქვენთან ვერ მოვხვდები, რა იმედით მიშვებთ, ბატონო ვასილ. თქვენ გარეშე ბინას, ეატყობ, ვერასოდეს მივიღებ.

გაეღიმა და თავისთავად დამაჯერებელი სერიოზულობით მიპასუხა:

— მე პოლიტიკური ხელმძღვანელი ვარ, ბინებს აღმასკომი იძლევა.

— თქვენ ხომ ნახეთ, როგორ იძლევა. წარმოიდგინეთ რამდენი დამცირება მაქვს გამოვლილი ამოდენა რეზოლუციების მოსაგროვებლად!

კვლავ გაეღიმა, კარს რომ მივუახლოვდით, მხარზე ხელი მომადო და დაბალი ხმით მითხრა:

— მიგიწვევენ და მიიღებ.

ხელი ჩამოვართვი, დიდი მადლობა მოვახსენე. დიდი, დიდი. პირდაპირ აუწერელი აღტაცებით გამოვედი კაბინეტიდან. ეს აღტაცება რამდენიმე წუთის შემდეგ მკავანაძის თანაშემწემ, ვ. ზურაბიშვილმა, მთლად ზეასწია, გასაფრენად შემამზადა. მას უკვე ხელთ ჰქონდა რეზოლუციანი ჩემი განცხადება.

— ხო, ხო, ხო, ამისთანა მოკვეთილი, გადამწყვეტი რეზოლუცია ჯერ არავისთვის დაუდვია. მრგვილოცავ, ბატონო აკაკი, ერთ

კვირაში სამოთახიანი ბინის ორდერი ხელთ გექნება. ოთხი სული ხართ არა? კი — სამოთახიანი: აღვნიშნოთ უნდა, აბა როგორ.

— რაღაც არ მჯერა, ბატონო ვალიკო, მე უფრო ეფექტურს მოველოდი.

— რას ამბობ! ხედავ რა წერია? „ამხ. მელაძეს! მოიწვიეთ ამხ. თოფურია და შეეცადეთ შეასრულოთ თქვენი მითითება ბინის შესახებ. 2 დეკემბერი, 1959 წ. ვასილ მჟავანაძე“.. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი რეზოლუციაზე მიკრული თვით მელაძის ტექსტით ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს აფრთხილებს, შენ რა ხელმძღვანელი ხარ, რაისაბჭოს თავმჯდომარეს დავალებას აძლევ და ის კიდევ არ ასრულებსო. ხო, ხო, ხო, როგორ ჰყავს გამოჭერილი მუშაობის ბიუროკრატიულ სტილში! ხომ გითხარი, ყველა მასალა მზად იქონიე-მეთქი. ყოჩაღ. ამას მკაცრ კონტროლზე ავიყვან. დღესვე გავუგზავნი მელაძეს. შენ ასე, 5-6 დღეში გამოგიძახებენ, ორდერს ჩაგაბარებენ და... დამირეკე უეჭველად, მაინტერესებს შედეგი. ამიხსნა ასე ყოველი დეტალი და წერილმანი თანაშემწემ, კიდევ ერთხელ მომილოცა და დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

შვიდი დეკემბერია. გათენებამდე 2-3 საათი კიდევ უკლია. კარზე გაისმის რაღაც შიშის მომგვრელი კაკუნ-ბრახუნი. ავანთე შუქი, კარი გავაღე და... თითქოს დასაჭერად შემოვიდაო, შავი სახის უცხო კაცი შავი თვალების ბრიალით ჯერ ჭერს მიაშტერდა, ხელები მიაბჯინა, მერე უკანა კედელი გასინჯა, სისველე იგრძნო, ნავთქურას ფეხი წაკრა, მოსატრიალებელი ადგილი ვერ იპოვა პატარა მაგიდასა და ლოგინს შორის, ბრაზით შემომხედა და მითხრა:

— დილის 9 საათზე მელაძესთან ხარ გამოძახებული. მე მისი თანაშემწე ვარ — ტარიელაშვილი. საშვი დაშვებული იქნება. — დააგდო ეს სიტყვა და წავიდა.

მელაძის მისაღებში იმ დროს შევედი, როცა ტრამვაის სავაგონო პარკის მუშა ქალი საყელოში ჩაფრენოდა, მგონი, დირექტორს და ცემას უპირებდა. გამწარებული ჩანდა. ძლივს დააკავეს. ცუდად მენიშნა, რაიმეს გაფიქრებაც ვერ მოვასწარი და უცებ პირდაპირ ალექსანდრე მელაძის ვეებერთელა კაბინეტში შემიყვანეს. მე კართან ახლოს მოვკალათდი. მელაძის მაგიდა მოშორებით იყო. მარცხენა მხარეზე გრძელი მაგიდის გასწვრივ ისხდნენ რაისაბჭოთა გამოძახებული თავმჯდომარეები, მათ შორის ჩემი — მაშინდელი კალინინის რაიონისაც. ჩემ წინ რუსთაველის სახელობის ქართული

ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის საჩივარი იხილებოდა. მას მოსკოვში გაეგზავნა ვრცელი განცხადება. იქიდან დაბრუნებულს მელაძე ნაწილ-ნაწილ კითხულობდა და ნაწილ-ნაწილ... ფერი მეცვალა, ეს მეორე, უფრო უარესი „უვერტიურა" მიმიძღოდა წინ და გულში რაღაც ავის მომასწავებელმა გრძნობამ გამკაწრა.

— უპასუხე, ამხანაგო დანელია. შენზე წერს მექრთამეაო, ჟულიკიაო, შენ კიდევ ზიხარ და იცინი.

— სასაცილოა, ალექსანდრ ერასტოვიჩ და მეცინება. — უპასუხა ნირშეუცვლელად ყოფილი ოქტომბრის რაისაბჭოს თავმჯდომარემ გ. დანელიამ.

— თურნავა — მიუბრუნდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე თვით მომჩივანს. — მე ბინების დარიგების გარდა სხვა რამის გაკეთებაც შემიძლია. ჩემზე რომ ასეთ რამეს წერ, რას ფიქრობ, არ გეშინია?

— თქვენ პირველი ხართ ჩამოსაკიდი ხეზე. ესენი ყველა თქვენი დამჭაშებია. თქვენ არ გაგივათ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, თქვენ... კიდევ უნდოდა თურნავას წამოეროშა რაღაც, მაგრამ მელაძემ შეაჩერა.

— წაბრძანდით. თქვენ საქმეს შემდეგ განვიხილავთ. თოფურია რომელია? წამოვხტი უცებ ასეთ მძიმე ფონზე.

— დაბრძანდით. — მითხრა თითქოს მოწიწებით ბატონმა თავმჯდომარემ. ჩემი პირადი საქმე რაისაბჭოს საბინაო სამმართველოდან წინ ედო. წინ ედო მჟავანაძის რეზოლუციანი ქაღალდი. წაიკითხა ის ყველას გასაგონად, წაიკითხა მასზე მიკრული მისი მიმართვაც ყოფილი კალინინის რაისაბჭოსადმი.

— ამხანაგო ტიტვინიძე, — ტიტვინიძე ფეხზე დაუდგა და მოსასმენად მოემზადა. — პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი მავალებს სისრულეში მოვიყვანო ჩემი მითითება თქვენს მიმართ. რამდენ ხანში შეგიძლია დააკმაყოფილო მოქალაქე თოფურია კუთვნილი ბინით.

— დღესვე, ალექსანდრ ერასტოვიჩ! — უპასუხა ხელდახელ ტიტვინიძემ.

— ამხანაგო თოფურია, წაყევით ახლავე ამხ. ტიტვინიძეს და შიიღეთ ბინის ორდერი. თქვენი საკითხი მოგვარებულია. ცეკას დღესვე ვაცნობებთ.

— მადლობელი ვარ. — ძლივს ამოვილუღლუღე მოზღვავებული სიხარულისგან.

— არაფრის. წაყევით, წაყევით. — კიდევ შემეხმიანა მზრუნველობის და ყურადღების ნიშნად და ტიტვინიძესთან ერთად გამოვედი მისი კაბინეტიდან. წინ ტიტვინიძე მიდის რაც შეიძლება ჩქარა, მე კვალდაკვალ მივსდევ. ჩარბის კიბეებზე — ჩავრბივარ მეც, ქუჩის პირას მანქანისკენ მიისწრაფის — მეც მივისწრაფი, ჯდება მანქანის წინა ადგილზე — უკანა კარს ვაღებ, ჩასაჯდომად ვემზადები და ამ დროს, თითქოს პირველად დამინახა, მომიბრუნდა და მეკითხება:

— ვინ ხართ, ამხანაგო, თქვენ, უნებართვოდ რომ ჯდებით ჩემ მანქანაში?

— ამხანაგმა მელაძემ რომ გითხრათ ის ვარ, იქ კაბინეტში...

— არავითარი კაბინეტი მე არ ვიცი, ხელს ნუ მიშლით წასვლაზე.

— უკაცრავად, თქვენ ხომ ტიტვინიძე ხართ?

— მერე?

— მერედა, რა პასუხი მიეცით იქ მელაძეს და რა პასუხს მაძლევთ ხუთი წუთის შემდეგ, აქ მე?

— იქაც სწორი პასუხი მივეცი და აქაც სწორ პასუხს გაძლევთ.

— მე ბინის ორდერზე გეკითხებით.

— რა ბინის, რომელი ბინის, მოშცა ფონდი? დამისახელა რომელი ფონდიდან მოგცე? ამიტომ ცარიელ სიტყვაზე მეც ცარიელი პასუხი მივეცი.

მანქანა დაიძრა, გაქანდა... შევყურებდი მის უდარდელ სრბოლას მკერდის არეში გულის პირველი მწვავე ტკივილით და...

ერთი კვირის შემდეგ საქალაქო საბჭოს შენობასთან ახლოს, გვირაბიდან ამოსვლისას, თურნავა შემხვდა, ცხვირწინ სამოთახიანი ბინის ორდერი ჰაერში ამიფრიალა და სიამაყით მითხრა: — დამიბარა მელაძემ, გადმომცა ეს ორდერი და მომაძახა — თვალად არ დამენახო, დაიკარგე აქედანო. თვითონ დაიკარგოს, აწი რაში მეპიტნავება მაგის დანახვა. — დაუმატა სიცილ-ქირქილით და გამშორდა.

რაისაბჭოს საბინაო სამმართველოში აღრიცხვის ჩემი რიგითი ნომერი „რვა“ ათასრვად გადაეკეთებინათ. იქ ვიღაც უცნობმა ჩემ გაბრაზებაზე განზე გამიხმო და ყურში ჩამილაპარაკა: — ამათ არ აწყობთ ზემოდან რეზოლუციები. რაკი რვა ნომერი ყოფილხარ, მე ჩაგიწყობ საქმეს, მხოლოდ ამდენი უნდაო. დამისახელა თანხის რა-

ოდენობა. თქვენ ვინ ხართ-მეთქი, რომ ვკითხე, უცებ ადგილიდან გაჰქრა.

ირგვლივ კორუფციის კოშმარული ბინდი ჩამოწოლილიყო.

მაგრამ იმედის ნაპერწკალი ჯერ კიდევ არ იყო საზოგადოების ყველა სფეროსა და უბანში ჩამქრალ-ჩაფერფლილი. იგი ბუუტაედა მის ჯანსაღ წრეებში, არ თმობდა თავის ზნეობრივ პოზიციებს და მოვლენათა ობიექტური შეფასების კრიტერიუმებს ჯერ ისევ ინარჩუნებდა. თუ უკანა მხარის უჩინარ კულისებში პირადული საბინაო ინტერესები ზემოთაღწერილ აუტანელ წინააღმდეგობებს აწყდებოდა, ჩემი ცხოვრების წინა ფასადზე იმავე ხანებში ჩნდებოდა გამამხნევებელი შუქნიშნები სასოწარკვეთის დაძლევით არჩეული გზის გასაგრძელებლად. მთავარი ამ შემთხვევაში ზედიზედ 1957—1959 წლებში გამოცემული ორი წიგნის საზოგადოებრივი რეზონანსი იყო. მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კერძო წერილების, ცალკეულ სპეციალისტთა და პედაგოგთა პუბლიკაციების გარდა ყველაზე მნიშვნელოვნად და საყურადღებოდ მათი საჯარო განხილვები უნდა ჩაითვალოს.

ამ მხრივ ჩემთვის სიურპრიზს წარმოადგენდა „ახალგაზრდა კომუნისტის" 1957 წლის 17 დეკემბრის ნომერში მოთავსებული ინფორმაცია სათაურით „ა. თოფურიას წიგნის განხილვა". იგი იუწყებოდა ქუთაისის მასწავლებელთა სახლის ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარებული „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის" პირველი წიგნის საჯარო განხილვის შედეგებზე. „როგორც მომხსენებელმა ასპირანტმა რაფიელ შამელაშვილმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა... მაღალი შეფასება მისცეს წიგნს. განხილვის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრით, აუცილებელია რაც შეიძლება ჩქარა გამოიცეს იმავე სახელწოდების მეორე წიგნი, რომელშიც გაშუქებული იქნება VIII—X კლასებში ქართული ლიტერატურის სწავლების საკითხები".

და, აი, სტამბურად 1960 წელს დაბეჭდილი მოსაწვევი ბარათი. მასში ნათქვამი იყო: „პატ... ქუთაისის ქალაქის განათლების განყოფილება და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკაბინეტი აწყობენ დოც. აკაკი თოფურიას წიგნის „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" (II ნაწილი) საჯარო განხილვას. განხილვა მოეწყობა მასწავლებლის სახლის დარბაზში 1960 წლის 30 იანვარს,

საღამოს 7 საათზე. გთხოვთ დაესწროთ. საორგანიზაციო კომისია". დავესწარი. საქალაქო გაზეთის „სტალინელის" იმავე წლის 6 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი იყო განხილვის ქვეშ მასალები.

...1960 წლის თებერვლის შუარიცხვებში ცეკას პარტიულ-საორგანიზაციო განყოფილების გამგის იოსებ რთველიაშვილის გამოძახებით მის კაბინეტში მოულოდნელად იმედის ახალი შუქი გადაეფარა ჩემს უიმედობას. პოეტ შაქრო სამადაშვილს ეამბნა ჩემი მონაყოლი სიმწარე სიძისთვის და დახმარებას შეპირებოდა. ი. რთველიაშვილს დაწერილებით გავაცანი საკითხის ისტორია, აღშფოთდა და უცებ ყურმილი აიღო.

— ოთარ, ვამოწმებ თბილისის მასშტაბით ამხანაგ ვასილ პავლოვიჩის რეზოლუციების შესრულებას. თქვენთან არის ცენტრალური კომიტეტის მკაცრ კონტროლზე გასული წლის 2 დეკემბრის მისი რეზოლუციანი განცხადება მოქ. თოფურიას ბინის საკითხზე. რამდენი დრო გჭირდებათ... რა თქვით? ახლავე მოვიდეს? მადლობელი ვარ. — ყურმილი დადო, სახეგაბადრულმა და შინაგანად კმაყოფილმა მომილოცა.

— ბედი გქონიათ. რაიკომის პირველი მდივანი ოთარ ნემსაძე გელოდებათ. ა, ჩემი ტელეფონის ნომერი, არ მოგერიდოთ, დამირეკეთ როგორც კი ორდერს მიიღებთ. — მითხრა ამხელა თანამდებობის კაცმა და ამის შემდეგ მაინც როგორ არ მერწმუნა, როგორ არ ჩამსახოდა კვლავ სულში ის წინანდელი „ყოვლისმძლეველი" ოპტიმიზმი, რომელიც ცხინვალიდან თბილისში გადმოსვლის ამ ერთ წელიწადს სულ მთლად „შემომძარცოდა" საბინაო პრობლემაზე აქეთ-იქით, ზევით-ქვევით, წინ და უკან აზნაურთა მაჭანკალივით წანწალში.

ცეკას იმ ძველი შენობიდან ყოფილი კალინინის რაიკომამდე, ახლა მის ადგილას ცხრასართულიანი ყვითელი სახლი რომაა წამოშართული, რა შორი მანძილი იყო. ტროტუარზე თითქოს კი არ მივდიოდი, ზეზეულად, ხელების გაშლით მივფრინავდი ფეხდაუკარებლად. გამელელ-გამომველელთ, ალბათ, გიჟი ეგონებოდი. აქოშინებული, გულამოგდებული მივადექი პირველი მდივნის შავად დაგმანულ კარებს. დღის ოთხი საათი იყო.

— მოიცათ, მოიცათ, ვინა ხართ, ამხანაგო, ასე ჯიქურ, დაუკითხავად, პირდაპირ რომ აპირებთ პირველთან შეღწევას? რისთვის ვარ მე აქ!

— ბოდიში, დაბარებული ვარ. — ძლივს ამოვითქვი სული.

— მოვახსენებ და მერე — მითხრა ციედ და საკერავი ხელსაქშე განაგრძო. რამდენჯერ შევიდა ზარის ხმაზე და გამოვიდა, იმდენჯერ არაფრად ჩამაგდო, ვითომდა არც კი მამჩნევდა კუთხეში ბაიყუშივით მიმჯდარს. ეტყობოდა, გაფრთხილებული ჰყავდა. მიიწურა ლოდინში მეხუთე, მეექვსე საათი. შიმშილისგან კუჭი ამეწვა, თავის ტკივილები დამეწყო... უცებ წასასვლელად გამზადებული პირველი მდივანი კარს მოადგა, გამოაჩინა თავისი ჟანგისფერი, უქმური სახე და უმალ ბატონის მორჩილ ყმასავით ვეახლე, მისებრ მოსავათებული ხმით მოვახსენე.

— ორი საათია გიცდით. თქვენ რომ დამიბარეთ...

— ვინ ხართ თქვენ? — მიპასუხა აგდებულად.

— რთველიაშვილი როშ... სიტყვა არ დამამთავრებინა.

— რას დადიხართ, რას არეკინებთ ამხანაგ რთველიაშვილს, მას სხვა საქმე არაფერი აქვს?

— თვითონ დამიბარა.

— ჰოდა, თვითონ მოგცეს ბინა, ჩემთან რას მოდიხარ...

ი. რთველიაშვილს ქუჩის ტელეფონით ვაცნობე იმავე დღესვე ნემსაძის პასუხის შესახებ და კვლავ რომ დამიბარა, უცებ ერთი სიტყვით მოვათავე მასთან ლაპარაკი. ეს სიტყვა იყო გულისამრევად გამოხატული კეთილშობილური — „გმადლობთ“.

ამით დამთავრდა ჩემთვის პარტიის „გმირული“ ისტორიის ერთი ფურცელი, რომლის შესწავლას პოლიტგანათლების სისტემაში პერმანენტულად ბოლო არ უჩანდა. სემინარის ხელმძღვანელს, დამსახურებულ პროპაგანდისტს გავანდე, პარტიიდან უნდა გავიდე-მეთქი. პირზე ხელი მომადო და მთელი სერიოზულობით, შთამაგონებლად მითხრა: — სუ, სხვას ნუ ეტყვი. პიროვნებები ცდებიან, პარტია — არა. პარტია ბრძენია. შენ პიროვნებები, ვთქვათ, ნემსაძეები გიშლიან ხელს. პარტიამ ნემსაძე კი არა, ბელადი არ დაინდო. ერთიანი ძალით უნდა ვებრძოლოთ ცალკეულ მახინჯ პიროვნებებს.

რა მეთქმოდა. აჭა-იქ ჯერ კიდევ ასე ეგონათ და სწამდათ. მარტის თვიდან გაუქმდა ყოველგვარი საბინაო აღრიცხვიანობა. თბილისის საქალაქო კომიტეტის ახალი მდივნის ლელაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა სარაიონო ახალი საბინაო კომისიები, რომელთა ოპერატიული მუშაობით იელისის ბოლოსათვის გადაამოწმდა აღრიცხვაზე აყვანილი ყველა ობიექტი და ამ კომისიის წყალობით

საბოლოოდ მოვხვდი განაწილების რეალურ სიაში, რომელიც საჯაროდ იყო გამოკრული რაიონული საბინაო სამმართველოს დერეფანში.

ესეც შენი დაპირებები, ესეც შენი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის რეზოლუციაზე დაწესებული მკაცრი კონტროლი, ესეც შენი პარტიულ-ლენინური სინდისის დაფასება. ესეც...

1960 წლის დეკემბრის ბოლოს, ერთი წლის შემდეგ, მივიღე 31 კვ. მეტრი მოცულობის ოროთახიანი იზოლირებული კომუნალური ბინის ორდერი მოსაშვილის ქუჩის მისამართზე (№ 9, ბინა 24), სადაც... სამუდამოდ დავემშვიდობე რა თოთხმეტი წლის განმავლობაში თავშესაფრად გამოყენებულ ნესტიან სამზარეულოს ნავთქურის ჭვარტლით, აბაზანისა და გაზქურის კაფელებით მორთულ კედლებს მკერდით ვენუტებოდი, ლამის ვკოცნიდი, ვასუფთავებდი მტვრის ნარჩენი მცირედი ნაშთებისაგან. უსაზღვროა ბედნიერების გამოსახვის ფორმები, სახეები და მასშტაბები! ამიტომაც შევრჩი...

სად ვწერდი? ყველგან, იმ ვიფორმდა ოთახშიც ღამე, როცა გარშემო მშვიდად ეძინათ, ბიბლიოთეკებში, სადაც ხელი მიმიწვდებოდა, მატარებელში ცხინვალამდე მგზავრობისას, არქივსაცავებში, ზაფხულობით პარკებში, სასტუმროებში წყალტუბოსა და ბორჯომში მასწავლებელთა კურსებზე ლექციების კითხვის დროს, ცხინვალის ლექტორთა საერთო საცხოვრებელში, სამეცნიერო მივლინებების, პასტერის, ჯავახიშვილის ქუჩებზე ხიზნად ყოფნის დროს და ა. შ. ამიერიდან საწერად გარეთ ხეტიალი არ დამჭირდებოდა.

გასალებს ჯიბით ვატარებდი და მიზეზს ვეძებდი მტანჯავი განცდებისგან გულის მოსაოხებლად. და, აი, საუცხოო მიზეზიც. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“ 1960 წელს გამოვიდა კარგი პოლიგრაფიული გაფორმებით ჩემი წიგნი „წერილები ლიტერატურულ საკითხებზე“. ჰონორარი ავიღე. ბედად იქვე იყვნენ ალეკო შენგელია — ჩემი ომამდელი ძველი მეგობარი, წიგნის ტექნიკური რედაქტორი შალვა დემეტრაძე — ფრონტელი მეგობარი და თვით წიგნის რედაქტორი, პოეტი ვასო გორგაძე.

დავპატიჟე სამივე. ბატონმა ვასომ სასწრაფო საოჯახო საქმე მოიმიზეზა და ვერ წამოგვყვა. შალვა და ალეკო პირველნი იყვნენ, ვინც ფეხი შედგა ჩემ მოუწყობელ, დაულაგებელ, ჯერ კიდევ სარემონტო, მოსაწესრიგებელ ბინაში. თან წავიყოლიეთ ხმელი საჭმელ-

სასმელი მოხარშული ღორის ხორცისა და ღვინო-კონიაკის ჩათვლით.

შეზარხოშების და მოლხენის შუალედში ალეკომ ჯერ ის პერიოდი გაიხსენა, როცა ომამდე ფოთში ემსახურობდი და ერთმანეთთან მიწერ-მოწერა გექონდა, შემდეგ „ჩვენ თაობაში" 1941 წელს დაბეჭდილი ჩემი ლექსის — „აკაკი სავანეში" ჰონორარით როგორ იქეიფეს ანდრო ლომიძემ, ერემია ქარელიშვილმა და თვითონ, მერე გაიხსენა „ლიტერატურულ საქართველოში" ფოთიდან გამოგზავნილი ლექსის „მარცხენა ეძახის მარჯვენას" დაუბეჭდაობის ისტორია და ბოლოს უსიამოვნო თემაზე გადავიდა.

— შენი კარგი მეგობარი ფოთიდან, — ამბობდა ნასვამი ალეკო, — შენ ძალიან ხშირად რომ გახსენებდა და გაქებდა, ჩემი „შპიონი" იყო. იცი ეს, არ იცი. არც მე ვიცოდი, მაგრამ ახლა ვიცი. ამიტომ ერიდე, გულს ნუ გადაუშლი, შენ რომ იცი ისე.

— ბოლო ხანებში ბევრი რამ უკუღმა გადაბრუნდა, ძნელია ყველაფერი დაიჯერო. — შევეპასუხე სიტყვის ცოტა ბანზე აგდებით, რათა საუბარი სხვა „რელსებზე" გადამეყვანა. მაგრამ, ეტყობოდა, ალეკოს უნდოდა ჩემთვის გაემჟღავნებინა დიდი ხნის საიდუმლოდ ნატარები ამბავი და შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა.

— ნუ დაიჯერებ. ფრთხილად მაინც იყავი, რომ ჩემსავით არ გაბრიყვდე. — კვლავ მიუბრუნდა სათქმელს. შალვამ დაადასტურა — ეს ამბავი მეც ვიცი, სწორია, რასაც ლაპარაკობსო.

— ჯერ ბოლომდე არ უთქვამს და მაინც რა მოხდა ისეთი-მეთქი. — ჩავილაპარაკე ჩემთვის, სასხვათაშორისოდ, და ეს საკმარისი აღმოჩნდა ალეკოსათვის ამოეფხანა, ამოეფხიკა გულიდან ბალღამად ჩადებული წარსულის ბოღმა. იგი დაწვრილებით ყვებოდა 1942 წლის მძიმე განსაცდელის დროს თბილისში დაჭერისგან იღბლად გადარჩენის სულის შემძვრელ დეტალებს, რა როლი შეასრულა გარდუვალი რეპრესიისაგან ხსნის საქმეში მაშინდელი სუკის ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა, გვარად მალანიამ, როგორ იყო მინდობილი იმ „შპიონს" და მერე როგორ ჩამოშორდა, როგორ წყინს, რომ მე ისევ ძველებურად განვაგრძობ იმ კაცთან საშიშ სიახლოვეს. შალვა დემეტრაძე ალეკოს ყოველ ნათქვამს ბეჭედს ურტყამდა.

— განა ის უარყოფს მწერალთა კავშირიდან სუკის აგენტობას? არაერთხელ მომისმენია მისგან: ასე იყო საჭირო მაშინ, რასაც გვა-

ვალებდნენ, იმას ვაკეთებდითო. ილო მოსაშვილიც ასე არ ამბობდა? ტყვილა კი არ მოიკლა თავი.

— მე და შენ, ჩემო შალვა, იქ, ფრონტზე ვიბრძოდით, აქ კი მწერლები ერთმანეთს აბეზღებდნენ? ვერ წარმომიდგენია მწერალი „შპიონის“ მანტიით.

— რამდენიც გინდა. — უცებ მიპასუხა შალვამ. — მეავანაძემ დიდი როლი ითამაშა პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაციის დაჩქარებაში. ჩვენთან ეს პროცესი ყველაზე ადრე დაიწყო. მათი საქმეების განხილვამ ფარდა ახადა ბნელით მოცულ ზოგ რამეს. ამიტომ დამბეზღებლების ვინაობის გამხელა არ უნდათ.

— არ დაიმალება. ისე როგორც მე თქვენ ვერ დაგიმალავთ, როგორც ახლო მეგობრებს, რა ტანჯვა გამოვიარე ამ ბინის მიღებაში, ,ვერც ისტორია დამალავს მათ აგენტობას.

— შენ რა ტანჯვა უნდა გამოგეცლო. ამაზე მეტი ფართობი არ გეკუთვნოდა? — მითხრა გაკვირვებით შალვამ. — ალეკომ თავის ქნევით დაუდასტურა — სწორიაო და კონიაკის მისი „ულუფა“ ერთი ყლუპით დალია. შალვა ღვინოს ეტანებოდა.

— კუთვნილის გარეშე ამითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ... და მოუყევი მათ რაც გადამხდა ბოლო ერთ წელიწადში.

ოდისეას ფათერაკები, შეჰერაზადას ზღაპრების გაგრძელება თუ სულხან-საბას იგავ-არაკების ახალი სიუჟეტური ქარგა?!

— გაუფრთხილდი, ამხანაგო, პარტიულ-ლენინურ სინდისს, ის ყველაზე წმინდაა თვით უწმინდესთა შორის. — კვლავ მახსენებდა დემონის ხმა მაგიური ძალის არსებობას და ვითომდა დაუჯერებლის დაჯიწყებისკენ მომიწოდებდა.

ამ დროს ხრუშჩოვი „მშვიდობის რეისით“ ამერიკის კონტინენტისკენ მიემართებოდა ზღვებისა და ოკეანეების გადალახვით. მის მიერ ათჯერ შემცირებული მანეთის ღირებულება სახელფასოდ გაიყინა, საბაზროდ — ათმაგად გაიზარდა, ობლიგაციების გადახდის შეჩერებით დროებით გადაურჩა გაუფასურებას და ინფლაციას.

სასურსათო მაღაზიებში, დროდადრო, მხოლოდ გაყინული ხორცი ჩნდებოდა, ისიც ნაკად-ნაკადებად და ნაკადებადვე სწრაფად ჰქრებოდა. ხოლო მაღლა, ჰორიზონტზე, 80-იან წლებამდე დაპრორგრამებული კომუნიზმის უხილავი, სარეზერვო-საჟანგბადო „ბალონები“ შხამნარევი მომაკვდინებელი ბაცილებით თანდათან ივსებო-

და, იყღინთებოდა და განწირულების ყორნისფერ „სამოსელში“ უფრო შორს, კოსმოსის მიღმა მხარეებისკენ მიფარფატებდა... თომას მორის „უტოპიასთან“ ერთად კიდევ ასეული წლობით განსასვენებლად.

5. უნივერსიტეტის „წიალში“

1961 წლის სექტემბრიდან, ზუსტად სამი წლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მიწვევით ამ კათედრის სრულუფლებიანი წევრი გავხდი. მალე კათედრის მდივნის მოვალეობა დამეკისრა. დაიწყო ჩემი ცხოვრების ნიშანდობლივად ახალი ეტაპი, ხანა უწყვეტად დაკავშირებული საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების, თვით მეცნიერებათა აკადემიის მშობელ დედა-ტაძართან. ასე ეწოდა მას თავიდანვე, დაარსებიდან და ასე ეწოდებოდა ამ დროსაც. კათედრა მაშინ ძალზე მრავალრიცხოვანი იყო. მასთან იყრიდა თავს მე-19—20 საუკუნეების ქართული ლიტერატურის ისტორიის, ქართული ფოლკლორისტიკის სპეციალისტთა საუკეთესო ძალები. პროფ. პ რ. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარეც იყო და კათედრასაც უძღვებოდა.

ორი თანამდებობის ერთდროულად დაკავება, რაშიაც სრულიად არ უშლიდა ხელს უპარტიობა, მას მოუხდა ჭყონიას ე. წ. საქმესთან დაკავშირებით. იყო ასეთი ნაკლებად ცნობილი ფილოლოგი ილია ჭყონია, უცებ ამოტივტივებული რესპუბლიკურ და საკავშირო ინსტანციებში თავისი გაუთავებელი განცხადებებით და საჩივრებით. აბეზღებდა ერთ დროს სამეცნიერო-ლიტერატურულ ორბიტაზე ავტორიტეტულ, პოპულარულ პირისწვნებად, ლიტერატურული კრიტიკის მედროშედ, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად, უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრობის ღირსად მიჩნეულ შალვა რადიანს, რომელსაც ყველა ამ მოვალეობათა შესრულების თვალსაზრისით ეპითეტი — „ლიბერალი“, „ლმობიერი“ უფრო შეეფარდებოდა, ვიდრე „მკაცრი ადმინისტრატორი“, „მკაცრი ოპონენტი“.

და მაინც და მაინც ი. ჭყონიას სადოქტორო დისერტაციის დაც-

ვის დროს მოუვიდა რაღაც „იაღლიში“. არ მოისვენა შურისმაძიებელმა მანამ, სანამ არ გადაიყოლა შ. რადიანი სულერად და ფიზიკურადაც და თვითონაც ზედ მიყვა, მაგრამ ყველაფერი ეს მოგვიანებით მოხდა. ამ შემთხვევაში ფაქტის კონსტატაციას ვახდენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ნათელვყო სიტუაცია, რომელიც ჩემთვის ახალ კათედრაზე არსებობდა იქ გადაყვანის მომენტში. ამბობდნენ, ბატონ პროკლეს კათედრა დროებით შეუთავსესო. მაგრამ ეს დროებითობა მეოთხედ საუკუნედ იქცა.

მაშასადამე, საქმე გვქონია არაორდინალურ პიროვნებასთან. პრ. კეკელიძე ერთი შეხედვით მართლა იმსახურებდა ამგვარ წარმოდგენას. 1950 წლიდან ვიცნობდი მას. აქ კი, მრავალრიცხოვან, სხვადასხვა განხრის და მასშტაბის მეცნიერთა კოლექტივთან მუშაობის მისი ფორმა და უნარი, წინააღმდეგობრივი კვანძების უმტკივნეულოდ მოხსნის, დაპირისპირებულ ძალთა მორიგების თუ შერიგების მისებური „დიპლომატია“ სრულიად ახალ ელფერს იძენდა. მისი ნიჭი ამ განხრით ულეველ რეზერვს იტევდა. ხუმრობდნენ კიდეც ზოგჯერ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალურ მდივნად პროკლე უნდა იყოს და არა ვიღაც ტრიუგველიო. ამით იგი ბოლომდე ინარჩუნებდა გამოუცნობის თუ ამოუცნობის გარეგნულად მოსარიდებელ შთაბეჭდილებას. სწორედ ამიტომაც ხუმრობითვე იტყოდნენ ხოლმე — მისი ბამბა უფრო ხმაურიანად „ჟღარუნობს“, ვიდრე სხვისი ოქროს უზალთუნებიო. პირადი ცხოვრებით და პედაგოგიური საქმიანობით მთლიანად სიკეთისათვის იხარჯებოდა, სასკოლო ქრესტომათია-სახელმძღვანელოებს ადგენდა და ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ძიებებს ეწეოდა აკაკი წერეთლის ისტორიული პოემების მაგალითებზე.

კათედრის წევრთაგან ბატონ მიხეილ ზანდუკელის შესახებ აქ ვერაფერს ვიტყვი იმაზე მეტს, რაც ნათქვამი მაქვს მეორე თავში, მხოლოდ, რა თქმა უნდა, მცირე ნიუანსით საჭიროა დამატებიო ორიოდე შტრიხით შევავსოთ იგი. ჯერ კიდევ ცხინვალში ჩამსვლელად მუშაობის დროს გამოცემული „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ პირველი წიგნი, მოვალეც ვიყავი და ისედაც ეკუთვნოდა, იოსებ მეგრელიძის ხელით 1957 წელს გაეუგზავნე ბატონ მიხეილს სათანადო წარწერით. მასში საგანგებო ქვეთავად მჭონდა გამოყოფილი მისი 1934 წელს გამოცემული „ქართული ლიტერატურის მეთოდიკის“, როგორც წინაპერიოდის, რო-

ლისა და მნიშვნელობის, შეფასება. წაეკითხა იგი და გულითადი მადლობა შემომითვალა. ჩემი მომდევნო მეორე წიგნი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1959 წელს დაიბეჭდა. ამ წელსვე პარალელურად გამოვიდა მ. ზანდუკელის წიგნის მესამე გამოცემაც, რომელშიაც დაემატებინათ ახალი თავი მე-8—10 კლასებში ქართული ლიტერატურის სწავლების თაობაზე, რაც წინა გამოცემებში საერთოდ არ იყო იმიტომ, რომ ადრეულ წლებში თვით სკოლის ათწლიანი სისტემა არ არსებობდა.

ეს თავი იმდენად ხელოვნურად იყო ჩამატებული წიგნის არქიტექტონიკაში, ჩანდა, იგი არ გამოდიოდა ავტორის ხელწერიდან, მისი ჩანაფიქრიდან და საეჭვო ქვენა გრძნობებით თითქოს გამიზნული იყო ჩემ წიგნებთან ერთგვარი დაპირისპირებისათვის. მაგრამ ეს ცდა ჩრდილს აყენებდა თვით ავტორს. აი, ეს წუხილი გამომიხატა მან კათედრაზე ერთად მუშაობის დროს, როცა გადმომცა თავისი „ახალი ქართული ლიტერატურის“ მეორე ტომის ახალი გამოცემა წარწერით: „დოცენტ აკაკი თოფურიას — პატივისცემით ავტორისაგან. 30. VII. 1962“.

— თქვენ სწორი იყავით ჩემი წიგნის შეფასებაში. — მითხრა მან, — იგი ადრინდელი, 20-იანი წლების სკოლების სტრუქტურაზე, კომპლექსური სწავლების მეთოდზე იყო აგებული და ვერავითარი გადაკეთება მას ვერ შველოდა. ახლად უნდა დაწერილიყო. ეს მისია თქვენ შეასრულეთ. თქვენს მეორე წიგნში საბოლოოდ გამოიკვეთა ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სისტემატური კურსის თანამედროვე მეცნიერული დონე. მადლობელი ვარ იმით, რომ ისტორიაში ჩემი ადგილი არ დამიკარგეთ. ამიტომ, არ იფიქრით დაინტერესებული ვყოფილიყავი ახალი გამოცემით. არც მეცალა მისთვის. დათეური სამსახური კი გამიწიეს უხვეირო აღდგენით. — ეს გამონათქვამი ბატონ მიხეილის წესიერების კიდევ ერთი ნიშანგამოხატულებაა. მისი დადებითი წონადი ხმა მომდევნო წლის ჩემს გადოქტორობაში ერია.

კათედრის ისტორიაში ერთ-ერთ საგულისხმო მოვლენად ვაჟა ფშაველას სახელობის კაბინეტის შექმნა იყო. მას საფუძველი ბედად სწორედ ჩემი მდივნობის დროს ჩაეყარა და ძალაუნებურად ყოველი დეტალის უშუალო მოწმე და მონაწილე ვიყავი. ფაქტობრივად ამ საქმის არა მხოლოდ ინიციატორი, სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი, მისი ჰეშმარიტი შემოქმედი და ფუძემდებელი გ რ ი-

გოლ კიკნაძე იყო. საქმეს ართულებდა, შედარებით ფინანსურ და ტექნიკურ მხარესთან, არც ისე უბრალო რამ. არ არსებობდა უნივერსიტეტში არც რუსთაველის, არც ილია ჭავჭავაძის, არც აკაკი წერეთლის, არც გალაკტიონ ტაბიძის ამჟამად შექმნილი და მოქმედი კაბინეტები, ე. ი. არ არსებობდა, ვულგარულად რომ ვთქვათ, „კაბინეტომანიის“ ტრადიცია. ამის გადალახვა ადვილი როდი იყო.

თეორიული დასაბუთება იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას პოეტური ლექსიკა, ცალკეულ ნაწარმოებთა შემოქმედებითი ბიოგრაფია, ფშავ-ხევსურული კოლორიტულობის თავისებურებათა ნიადაგზე, განსაკუთრებულია და მისი სიტყვათა ლექსიკონების შედგენა საშური და გადაუდებელია, არ იყო საკმარისი ყველა დონესა და ინსტანციაში საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის.

მთავარი ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ფაქტორის წინ დაყენება, მისი ობიექტურად განჭვრეტა და გათვალისწინება იყო. იგი მართლა იმსახურებდა მხარდაჭერას, ანგარიშის გაწევას, ლოიალურ დამოკიდებულებას. კათედრის გამგე ყოველ წვრილმანს მაცნობდა, მიზიარებდა, მიყვებოდა კათედრაზე მდგომარეობის დამძაბველი კონფლიქტური სიტუაციების წარმომშობ მიზეზებზე. 1945 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ სადისერტაციო ნაშრომი დაუცავს დოცენტ გრ. კიკნაძეს. სამეცნიერო საბჭოს, საჯარო პაექრობის შედეგად, მიუნიჭებია მისთვის საძიებელი ხარისხი. აქაურთა აქტიურობით სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მაშინდელ მინისტრს კაფტანოვს თბილისში ყოფნის დროს თვითნებურად გაუუქმებია სამეცნიერო საბჭოს დადგენილება, რასაც მოჰყოლია მთელი რიგი უხერხულობები და უსიამოვნებები.

ამ ფონზე პრ. კეკელიძე შინაგანად თანაუგრძნობდა კაბინეტის შექმნის იდეას, მაგრამ აფიქრებდა იმ გავლენიანი ძალების მოსალოდნელი ხელახალი გააქტიურება, რომელთა მონაწილეობა დისერტანტის „ჩავარდნაში“ მეტ-ნაკლებად აშკარა და ნათელი იყო.

ყველასთან ორიენტირებული ურთიერთობა გვაკავშირებდა. მაგრამ კათედრის გამგემ მაინც მისახვედრად წამახალისა ერთგვარი „დაზვერვითი“ ოპერაციის ჩატარებისკენ. თითოეული ცალ-ცალკე განიცდიდა მომხდარს და განვლილს, თავიანთი პოზიციებიდან და მაშინდელი კონიუნქტურული პრინციპებიდან ისინი ამართლებდნენ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე კოლექტიური კრიტიკული წე-

რილის გამოქვეყნების ფაქტს. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გაუწევდნენ რაიმე წინააღმდეგობას გრ. კიკნაძისთვის არათუ კაბინეტის შექმნას, არამედ დოქტორის სამეცნიერო ხარისხისა და პროფესორის წოდების მინიჭებასაც. პირიქით — მიესალმებოდნენ კიდეც ამგვარ ღონისძიებას. ამის შემდეგ გადამწყვეტი სიტყვა უნივერსიტეტის რექტორს ეკუთვნოდა.

ევგენი ხარაძე (1961—1965) სპეციალობით ასტრონომი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, მაშინ იმავდროულად რექტორის მოვალეობასაც ასრულებდა და, უნდა ითქვას, მონდომებით, ზედმეტი აფიშირებისა და საკუთარი პერსონის წინ წამოწევის გარეშე. ამაში ელინდებოდა მისი განათლებულობა, თავმდაბლობა, დახვეწილი ინტელიგენტური მანერებით შემკობილობა, პუნქტუალობა და აკურატნობა. ყველაფერი ეს შეხამებული და შერწყმული ჰქონდა უნივერსიტეტის ღირსების დაცვის ინტერესებთან, მომთხოვნელობასთან, რითაც მისი რექტორობის პერიოდში ჯერ კიდევ ცოცხლობდა კეცხოველის „რკინის ხელის“ მოგონება, იგრძნობოდა სისუფთავე და წესრიგი.

სასწავლო აუდიტორიებში მერხები, დაფა, ჩვარი, ცარცი, ლექტორის მაგიდა, სკამი, ტრიბუნა, ფანჯრები, კედლები და იატაკი მეცადინეობის დაწყების წინ გაკრიალებული და გამზადებული იყო. ზარის დარეკვის შემდეგ პირველი კორპუსის მეორე სართულზე, დერეფნის კართან, ისევ ის ცნობილი მოსე იდგა და, აბა, გაებედა ვინმეს მის უნებართვოდ შესვლა და ყიალი. ადმინისტრაციულ ნაწილში რექტორის მოადგილე ალექსანდრე კანდელაკი თვითონ ამოწმებდა ყოველ კუთხე-კუნჭულს და, ვაი სამეურნეო დარგის იმ მუშაკს, რომლის უბანში რაიმე დარღვევა აღმოჩნდებოდა. დისპეტჩერები „საგუშაგოებზე“ რკინიგზელი მეისრეებივით ფხიზლად იდგნენ და ლექტორის გაცდენას კი არა, აუდიტორიაში შესვლის დროს წუთებით თვლიდნენ. ასეთი იყო სასწავლო რეჟიმის შემორჩენილი წყობა და სტრუქტურა. დიახ, შემორჩენილი თუ გადარჩენილი.

რექტორმა ე. ხარაძემ „მწვანე შუქი“ უმალ გაუხსნა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის და სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობებს და ბრძანებით უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსის პირველ სართულზე 1962 წლიდან ბინა დაუდო ეკა-ფშაველას სახელობის კაბინეტს, რომლის გამგედ უცვლელად და ნაყოფიერად მუშაობდა გრ. კიკნა-

ძე 1974 წლამდე — გარდაცვალებამდე, მძიმე, უკურნებელი ავადმყოფობის დროსაც. მან ბევრის გაკეთება მოასწრო კაბინეტის სახელისა და დიდებისათვის. მისი გზით და დასახული პროგრამით კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეძლო მის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად მისმა ერთგულმა მოწაფემ, პროფ. ჯ. ჭუმბურიძემ, რაც მისასალმებელი და მისაბაძია.

...1962 წლის აგვისტოში, მისაღები წერითი გამოცდების მიმდინარეობის პროცესში, პირველი კორპუსის 107-ე აუდიტორიიდან გამოვარდა აბიტურიენტი გოგონა და მეზობელი 106-ე აუდიტორიის კედელთან დამხობილი განაგრძობდა წივილ-კივილს. სწორედ ამ დროს მას თავზე დაადგა რექტორი ე. ხარაძე თავისი მომყოლებით. გაირკვა, რომ იგი მოეხსნათ გამოცდებიდან „შპარგალკების“ გამოყენებისათვის. რექტორის შენიშვნაზე — სწორად მოქცეულან, თქვენი კივილი უსაფუძვლოაო, აბიტურიენტმა პასუხად რეპეტიტორის გვარი დაუსახელა, მასთან ვემზადებოდი, მან მასწავლა როგორ გამომეყენებინა „შპარგალკა“, მან დამლუპა და ამიტომ ვტირიო. ეს ხდებოდა დერეფანში ოთახებიდან გამოსული მეთვალყურე გამომცდელთა თვალწინ, რომელთა შორის მეც ვიყავი. ფრიად მძიმე, არა, უმძიმესი სიტუაცია შეიქმნა.

რექტორმა ფეხზე წამოაყენა ის გოგონა, დაამშვიდა, უშპარგალკოდ თემის დაწერის უფლება მისცა, ხოლო ლექტორი ყოველგვარი ხმაურის გარეშე გამოცდებიდან მოხსნა. ეს პირველი გაბედული შეტევა იყო რეპეტიტორობის მახინჯი გამოვლინებების წინააღმდეგ, მაგრამ ამ დროისათვის მას იმდენად ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, მისი ამოძირკვა ძნავის შეეძლო[1].

...პირველი და მეორე კორპუსს შორის ე. ხარაძის დროს გაიყვანეს შემაერთებელი გვირაბი თავისი კეთილმოწყობით, რათა მისელა-მოსვლა გაადვილებულიყო განსაკუთრებით ზამთრის პერიოდებში. ეს წამოწყება გახდა საბაბი პარტიულ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე ზოგიერთ განაწყენებულთ რექტორისათვის ბრა-

[1] მომდევნო 1963 წელს იმავე 107-ე აუდიტორიაში ზეპირ გამოცდაზე უფრო საზარელი ამბავი დატრიალდა. არაპროგრამულ საკითხზე მედალოსანი გოგონა „ჩაჭრეს“. მისი გმინვა-გოდება ახლაც მზარავს. იმ სურათის დანახვის დღიდან — 1963 წლის აგვისტოდან არასოდეს მონაწილეობა არ მიმიღია მისაღებ გამოცდებში. შემდგომ ფილოლოგიის ფაკულტეტის ორი პროფესორი ხომ მართლა ამხილეს მექრთამეობაში, მიუსაჯეს და გააძევეს კიდეც უნივერსიტეტიდან.

ლად დაედოთ უნივერსიტეტის საძირკვლების გამოთხრაში. — რა საჭირო იყო გვირაბი, იგი შენობის დეფორმაციას, დანგრევას გამოიწვევსო. — იყვნენ ასეთი დემაგოგი კომუნისტები სწავლულთა რიგებში...

ევგენი ხარაძე კარგა ხანს ედგა სათავეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. მე მის დროს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია და იქიდან თუ ვახსოვდი, ალბათ, თავისებურად გახმაურებული საჯარო დაცვა იყო. და, აი, 1985 წლის 12 დეკემბრის თარიღით უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატის მეშვეობით გადმომცეს აკადემიის პაკეტი, რომელშიც იდო ბარათი. მოამაქვს ტექსტი უცვლელად: „დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი! გულწრფელად გილოცავთ საპატიო ჯილდოს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1985 წლის რესპუბლიკურ პირველ პრემიას და გისურვებთ ყოველივე კეთილს. პატივისცემით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე".

ამ მოლოცვის ქვეტექსტი ოცი წლის ლოდქვეშაა მოქცეული. 1965 წლიდან ბატონი ევგენი უკვე აღარ იყო უნივერსიტეტის რექტორი და არავითარი პირადული, არც სამსახურებრივი კონტაქტი მასთან არ მქონია. მაშ, რაღაც ნიშნით მის ცნობიერებაში ჩავრჩენილვარ, როგორც ადამიანი და მოქალაქე. ხანგრძლივმა დრომ იგი ვერ წაშალა. მცირე საბაბი და... დაირღვა წელთა ლოდების სიმძიმე, გამჟღავნდა ქვეტექსტი უბრალო, ჩვეულებრივ, კერძოობითი ხასიათის აქტად. მაგრამ იგი ახლა განზოგადების საგანი და ობიექტია.

ბატონ ევგენის ბარათი მოვიტანე არა ჩემდამი გულთბილი განწყობილების გამოხატვის, სახელმძღვანელოსათვის პრემიის მონიჭების და დაფასების გამო (იგი მომენიჭა პრემიების დაწესების ათი წლის შემდეგ, მეხუთე გამოცემის ნიშნად, მაშინ როცა სხვებს პირველივე გამოცემებში ენიჭებოდათ),[1] არამედ, უპირველესად და

[1] ასევე მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებაზე წარდგენიდან, 1971 წლიდან, ბრძანებულებით იგი მომენიჭა 1979 წელს, ხოლო გოგებაშვილის სახელობის პრემია დაწესებიდან თითქმის უველაზე გვიან, 1985 წელს. ის რაც იოლად უხერხდებოდა სხვებს, ჩემთვის ლოდინის, ხვედრის, სიძნელეების „ტვირთით" იყო დამძიმებული. და ეს უფრო მერჩიენა, ვიდრე პირფერობით რაიმეს მოპოვება.

უმთავრესად, მაღალი შინაგანი დიდი კულტურის გამოვლენისათვის. ასეთი მისაბაძი კულტურა სჭირდება დამოუკიდებელი საქართველოს მშენებელ ახალ თაობას, ადამიანებს, რომლებიც მოექცნენ დანგრეულ და აუშენებელ წყობილებას შორის წარმოშობილ სიცარიელეში, მატერიალურ და სულიერ სიღატაკეში. ასეთ დროს პათოლოგიური დაავადებანი ერს განადგურებას უქადის. მისი გადარჩენის ერთ-ერთი გზა პიროვნებათა დიდსულოვნებაში, ურთიერთ დიდ სიყვარულსა და პატივისცემაშია საძიებელი...

ამ თვალსაზრისით, რაკი ზემოთ სადოქტორო დისერტაციის დაცვა ვახსენე, ღირს მასზე გაკვრით შეჩერება. ეს დაცვა შედგა 1963 წლის 11 დეკემბერს, პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში. მაშინ ყოველ ასეთ მაღალი რანგის წარმატებით დამთავრებულ პაექრობას, როგორც წესი, თანდართულ ატრიბუტად საზეიმო ბანკეტი ახლდა. იგი 60—70-იან წლებში თითქოსდა ისეთ სავალდებულო „ნორმატივად" იყო გადაქცეული, გვერდის ავლა ვერ ხერხდებ'ოდა. აღუნიშნაობა მორალურ ზიანს გაყენებდა, აღნიშნა — მატერიალურს. ჩემი 31-მეტრიანი ახალმიღებული ბინა, აბა, რა საბანკეტოდ გამოდგებოდა!

როგორც კი გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე, დებულების თანახმად, გამოქვეყნდა დაცვის დღე და საათი, ფოთში ჩემიანები, ჩემი ნათესაობა შეკრებილან და ერთხმად დაუდგენიათ: გადაეხადათ ჩემთვის ბანკეტი 200 კაცის ოდენობი. მე უნდა მომეგვარებინა მხოლოდ სასმელის და რესტორნის დაჭირავების საკითხი. ღვინის პრობლემა ადვილად რომ გადაწყდა, ქალაქის საბჭოს რესტორნების სამმართველოში ახლო არ გამიკარეს. ერთი კვირით ადრე ვაცნობე საქმის მესვეურებს: არავითარ ბანკეტზე არ იფიქროთ, რესტორანს ვერ ეშოულობ, მაგისთვის არ მცალია, არ ჩამოხვიდეთ-მეთქი.

მრავალშვილიანობა, მრავალტოტა ნათესაობა დიდი ბედნიერებაა ერისთვისაც და „ბერისთვისაც", თითოეულისათვის ცალ-ცალკე და ყველასათვის ერთად. მარტოოდენ დედმამის ძირიდან ამონაყარი, როგორც პირველ ნაწილში მოგახსენეთ, ასამდე იყო მიღწეული. ახლა ბიძაშვილ-მამიდაშვილობა, მათი წრე და შთამომავალი? ო, როგორი ურთიერთ სიყვარული, როგორი ერთიანობა და თანადგომა იცოდნენ!

ჩემმა ბიძაშვილმა, ჩემმა ტოლმა და ბავშვობიდან ჩემ გვერდით გაზრდილმა შოთა გერასიმეს ძე ცომაიამ ტელეფონით დამირეკა და

პირდაპირ მიბრძანა: შენ მიხედე შენ საქმეს, მე ჩამოვალ სამი დღით ადრე, აქ ყველაფერი მომზადებულია, თითო ქათამი არავის უჭირს, ხურსათს წამოიღებენ და ჩამოვლენ. სირცხვილს არ გაჰმეევთ, ოღონდ შენ არ გვაჭამო სირცხვილიო.

დაცვის წინა ღამე შინ არ გამითენებია. შოთა ძიძიგურის დედამ — ქალბატონმა ცოტომ ამიკრძალა შინ გაჩერება. მატარებლიდან ჩამოსულები ათასნაირი მიკითხვა-მოკითხვით გაგაცდენენ, დაუყოვნებლივ გადმოდი ჩემთანო. დავემორჩილე. ჩემი მასალებით, მეხსიერების „ხურჯინში“ ჩალაგებული სარეზერვო „მარაგით“ გადავბარგდი მასთან, როგორც ცხოვრების მდიდარი გამოცდილებით ყველაზე ახლობელთან, განსაცდელის მძიმე ჟამს ყველაზე დიდ იმედთან. დაუვიწყარია დედა-შვილური ჩურჩულით ის უძინარი, ქალბატონ ცოტოს დარიგებებით, ფერება-ალერსით, გამხნევებით, დალოცვით და ამღვრეულ-აწეწილი განცდებით აღსავსე ღამე!

...ვაკის პარკში რესტორან „ბუდაპეშტის“ 200 კაციან დარბაზში გაწყობილ ბანკეტზე მე, გიორგი ჯიბლაძე და იოსებ ბოცვაძე ყველაზე გვიან მივედით. სუფრა ირაკლი აბაშიძის თამადობით და შოთა ძიძიგურის მოადგილეობით გაჩაღებულ-გაკაშკაშებული იყო. გიორგი ჯიბლაძე საერთოდ არ დადიოდა ბანკეტებზე, ჩემთან პირველად იყო არა როგორც ოფიციალური ოპონენტი, არამედ მეგობრული გრძნობით. ამ გრძნობით იყვნენ ყველანი შეკრებილნი და დიდად ნასიამოვნებიც დარჩნენ ფოთელების მასპინძლობით, გულუხვობით, დედაჩემის გაცნობით და დიმიტრი ბენაშვილთან მისი „შინაურული“ ცეკვით. დიდხანს დარჩა მოსაგონებლად დაცვის წინა მხარეც და მისი მეორე — კულისებს მიღმაც. მე დამრჩა ვალად „საბეგარო“, ე. წ. შემოწირულებათა სია, ვინ რა გაიღო ნატურით თუ ფულად. მე მისი გადახდა არ შემეძლო, არც არავინ აიღებდა ჩემგან, მაგრამ ეს სია საისტორიოდ შესანიშნავი დოკუმენტია ცხოვრების წარსული წესის, საქართველოს ყოველ კუთხესა და კუნჭულში და-ძმური, ნათესაური სიმტკიცის გაგება-გაცნობიერების, ერთიანობისა და ურთიერთ თანადგომისათვის.

მესამე დღეს „ნამცეცობაზე“ მეწვივნენ მაშინდელი პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დავით ჩხიკვიშვილი და ამავე ინსტიტუტის კათედრათა გამგეები როსტომ წულუკიძე და შოთა ძიძიგური.

— ბანკეტზე არ წამოვიდნენ, ბევრი სტუმარი ჰყავსო და მოგე-

რიდნენ. ვიცი, რომ გაგიხარდებოდა ამათი შოსვლა და მოგიყვანეო. — ოთახში შემოსვლისთანავე „რევერანსად“ მომიძღვნა შოთამ ეს სიტყვები და გაშლილ სუფრას რომ შეხედა, დაუმატა: ა, გველოდა თურმე, ხომ ხედავთ. მაგიდას მიუჯდა.

— სუფრა სულ გაშლილია, იმდენი დაუტოვებიათ, ცოტა ხანს მეყოფა კიდევ. — ეუთხარი შოთას და სტუმრები მაგიდასთან მივიპატიჟე. ხელახალი ცხელი ღომით და საცივით სუფრა თავის „ექსტაზში“ შევიდა. მართალია, ძალზე გადაღლილი ვიყავი, მაგრამ დავითის და როსტომის სტუმრობა მესიამოვნა. ისინი გარეშე მეთვალყურის პოზიციიდან უფრო რეალურად გამაგებინებდნენ იმ დღის შთაბეჭდილებას. არადა, დილიდან საღამომდე ფეხზე დგომით გაბრუებულს, არაფრის შეგრძნების თავი არ მქონდა. რას ველაპარაკობდი ან როგორ, ვერ ვიხსენებდი. თითოეული ცალკეულ ეპიზოდს გადმოსცემდა, მთლიანობას შედეგით საზღვრავდნენ. როსტომ წულუკიძემ თქვა:

— გუშინ ვალერიან რამიშვილმა ჩვენს ინსტიტუტში ამბავი მოიტანა: პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს გრიგოლ ფოფხაძეს დაცვის შედეგების გამოცხადების შემდეგ დარბაზში ხმამაღლა უთქვამს: შაჰაბაზს არ მიუყენებია იმდენი ზარალი საქართველოსათვის, რაც ზნეობრივად პედაგოგიკის ინსტიტუტს მიაყენა უღირსმა თანამშრომელმაო. ორსაათნახევარს ბოდიალობდა და საბჭოს წევრები მოთმინებიდან გამოდიოდნენ. რამდენჯერ რეპლიკა მისცეს, მაინც არ ჩერდებოდაო. სინდისიდან გარეცხილია ვიღაცაა.

— გიორგი ჯიბლაძის მთელი გამოსვლა ბრწყინვალე იყო, მაგრამ ბოლოს რომ საბჭოს მოახსენა: — ჩემი კოლეგა ოპონენტების სერგო სიგუას და სერგი ჭილაიას სახელით ვაცხადებ — არაოფიციალური ოპონენტის გამოსვლას ჩვენ მიერ გაკეთებულ დასკვნებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენიაო, პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო — დაუმატა როსტომის ნათქვამს დავითმა. შოთამ ეფექტიანობის თვალსაზრისით დაცვის პროცედურიდან ორი მომენტი გამოყო.

— არასოდეს მინახავს 93-ე აუდიტორია ხალხით ასე გაჭედილი: კარებთან და უკანა კედელთან ფეხზე იდგნენ. დისერტანტი ყველაზე ძლიერი იმ ათწუთიან პასუხში იყო, როცა მოწონების ნიშნად სამჯერ დაუკრეს ტაში. გამანადგურებელი ის ერთი ფრაზა იყო, შეც-

დომიანად მიითვისა ჩვენი აზრი და გამოღმა შემოდავების პრინციპით თავის დანაშაულს აქეთ გედებს ბრალადო.

— მართალი გითხრათ, — განმარტების სახით ჩავერიე მათ საუბარში, — არ მოველოდი. იგი ხომ ჩემი ჩამოყვანილია აფხაზეთის შორეული სოფლიდან, მე წავაკითხე მოხსენება მასწავლებელთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, მე დავუბეჭდე კრებულში, როცა პედაგოგიკის იმავე კელევით ინსტიტუტში სექტორის გამგედ ვმუშაობდი. მერე მისივე თხოვნით ჩემი სახელმძღვანელოს რედაქტორად დავანიშნინე და ყოველივე ამის შემდეგ იფიქრებდით, გამოვიდოდა მის მიერ რედაქტირებული წიგნის წინააღმდეგ? ასეთი რამ საერთოდ ხომ წარმოუდგენელია. ჩემი სადისერტაციო ნაშრომი ხომ სრულიად სხვა იყო, სახელმძღვანელო წიგნისგან სავსებით განსხვავებული[1].

— არ ღირს მაგისთანა ვიგინდარაზე ლაპარაკი. მთავარია მასალები დროზე გაიგზავნოს ვაკში (უმაღლეს საატესტაციო კომისიაში — ა. თ.). იქ არ შეგიშალოს ხელი. ეტყობა, ვიღაც კიდევ დგას მის უკან. — განაცხადა როსტომმა და დაცვის გარშემო საუბარი ამით ამოიწურა. კიდევ კარგა ხანს დარჩნენ, ბევრი იხუმრეს, ისიამოვნეს და კმაყოფილებით დამცილდნენ.

...ყოველ დიდ აღმართს, სახიფათო დაღმართი მოსდევს. ფეხი რომ დაგიცდეს, უფსკრულში გადაიჩეხები. ასე დამემართა სხვების ჭკუის სასწავლად. ომიდან დაბრუნების შემდეგ განუწყვეტელმა, ზაფხულის თვეებშიც კურსებზე დაუსვენებლად მუშაობამ, მაშინდელი მოთხოვნით ექვსასგვერდიანი სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამ, დაცვის პროცედურამ, „ბანკეტომანიამ“ და, რაც ყველაზე უმთავრესია, სიკეთის დეფალვაციის მწვავედ შეგრძნებამ დაღმართზე მიწია. მთარგმნელთან ერთობლივად ტექსტების სწორების დროს, 1964 წლის 15 იანვარს, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე 61-ე სახლში, ფსიქოლოგ ელადიმერ ცომაიას ბინაზე, ღამის თერთმეტ საათზე გულის მძიმე შეტევა დამეწყო. იგი სწრაფად გადაიზარდა სპაზმში, რომელმაც გასასვლელ კარებთან დამაგდო.

ღმერთი თუ გწყალობს, ეშმაკი ვერაფერს დაგაკლებსო, — ნათქვამია და ასედაც მოხდა. სრული ორი წელი გასტანა ჩემმა მძიმე

---

[1] გამოიცა ცალკე წიგნად. იხ. ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია, თსუ, 1969, აკად. გ. ჯიბლაძის წინასიტყვაობით.

პერიოდმა მე-8 საავადმყოფოდან ზღვის სანაპიროებზე (გუდაუთა, ჭობულეთი), სანაპიროებიდან მშობლიურ კარ-მიდამოში და ბოლოს მაინც გადავურჩი პირველი ინფარქტის პირველ სასიკვდილო დარტყმას. არც ბიულეტენი მოუთხოვიათ, არც ხელფასი შეუწყვეტიათ. განა კათედრის და უნივერსიტეტის მაშინდელი ხელმძღვანელობის მადლიერი არ უნდა ვიყო? ყველგან უფასოდ, დიდი ყურადღებით და გულისხმიერებით მკურნალობისათვის სამედიცინო დარგის მუშაკები არ იმსახურებენ ჩემგან უღრმეს და უსათუთეს მადლობას? განზოგადებულად ეს გრძნობა იყო ჩაქსოვილი პაციენტებისა და დასტაქრებისადმი ჩემს მაშინდელ ძლივს აფარფატებულ, მერცხალივით აჩიკჩიკებულ ფიქრებში:

1. ჯანმრთელობა — სინათლის კაშკაშია, ავადმყოფობა — სიბნელის ეშმაკისეული როკვა. ორივე დღეღამესავით თან სდევს ადამიანს.

2. თუ შენ დაუძლურებული ხარ და მწოლიარე, იცოდე, ექიმის სათნოება და სიფაქიზე წამალივით უებარია შენთვის. პირველი სულს ეფინება, მეორე — სხეულს. ჰეშმარიტი დასტაქარი სულიდან იწყებს სხეულის დარღვეული წონასწორობის აღდგენას. მასში მოქმედება თვით უნდა ავლენდეს ადამიანურ სიკეთეს, და არა სიკეთეში — ექიმის მოვალეობას.

3. ამ მოვალეობის შესრულება ზოგჯერ თავგანწირვაა შენთვის, ზოგჯერ თავგამოდება, ზოგჯერ კი უბრალოდ იმედით გამხნევება. სამივე შემთხვევაში ექიმი შენი სიცოცხლის ფხიზელი დარაჯია და ნუ დაგაფიწყდება, ამ სიცოცხლის უჩინარ ციცაბოზე სულ მუდამ გუშაგად დგომა მისთვის მისჯილი კი არ არის, არამედ შინაგანი მოთხოვნილებაა, რომელიც არასოდეს ისაზღვრება მხოლოდ სამსახურებრივი ჩარჩოებით... ყოველივე ამის საილუსტრაციოდ, აი, ერთი ლირიული ეპიზოდი გადარჩენის მონაკვეთიდან.

...1964 წლის აგვისტოს მიწურულს ჭობულეთიდან ფოთში უიმედოდ გადაყვანილი კავკასიის ქუჩაზე (№ 14) მამისეულ იმ სახლში ვწევარ, საიდანაც 1941 წელს ომში წაველი. ფართო წინა ოთახის კედელთან მიდგმულ ხის ლოგინს ნიავისაგან დერეფანში შემოსასვლელი კარი იცავს. ფანჯრები დაგმანულია. გარეთ ცხელა. მე კი სიცივისაგან მაჟრჟოლებს, მაკანკალებს. შიშით ვარ შეპყრობილი. გამხდარს, ფერმიხდილს, დასუსტებულ-დაუძლურებულს ოთხი თვის დაუბანელი თმები ქერტლით მაქვს საყსე. ამ თმების სიამაყით მა-

შინ ფოთის ქუჩებზე მედიდურად დაედიოდი. კაპარჭინას ნაპირებთან, მაგნოლიების ფოთლოვანი რტოების ღამეულ ჩრდილში, თითებით მივარცხნიდა... ახლა?

კონსილიუმი ჩამიტარდა. თუ ერთი ბიძაშვილი ნახევარი წლის წინ თბილისში ბანკეტის ორგანიზაციულ საქმეს მეთაურობდა, მეორე — ვაჟა სანდროს ძე ცომაია, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, ჩემი ჯანმრთელობის აღდგენისათვის თავგამოდებულია. მოიყვანა ექიმთა ნაკრები ქალაქის მთავარი თერაპევტის შოთა სვანიძის მეთაურობით, დამიწესეს ყოველდღიური მეთვალყურეობა. პოლიკლინიკიდან სადაცაა უბნის ექიმი უნდა მოვიდეს. მე მის მოლოდინში წუთებს ვითვლი. აბესალომმა წინასწარ გამაფრთხილა:

— კარგი სპეციალისტია. სანატორიუმში რომ ნერვიულობდი პაპიროსის მქაჩავ ზოგიერთ ექიმზე, ისე აქაც არ ინერვიულო, მანდილოსანი არ დააფრთხო. გარეგნობას ნუ მიაქცევ ყურადღებას. მთავარი მკურნალობაა.

ამ დარიგებას ანგარიშს ვუწევ, ვეგუები, ფსიქოლოგიურად ვემზადები, კარისკენ ვიხედები შესახვედრად და...

კარის გაღებაზე უეცრად გულის ძარღვები მჩხვლეტავი შეგრძნებით შემეკუმშა, სისხლის მიმოქცევა დამერღვა, მკერდის არეში ჩაშავადა, ჩაწყდა რაღაც და მწვავე ტკივილი მოედო მის წინა და უკანა კედლებს, სუნთქვა შემეკრა, ოფლი დამასხა, აჰა... ამ დროს ძალამილეულს ყურში თითქოს ნაცნობი, შორეული, მგრძნობიარე ხმის გაურკვეველი ბგერები ჩამესმის, ჰუჰყიან თმებში ფაქიზი თითების საამო სრიალს ვგრძნობ, ჩემს გაციებულ ლოყებზე, ვატყობ, ცრემლის ცხელი წვეთები ეცემა, მაჯისცემას ჩაფრენია მყისვე და ითვლის იდუმალ...

და როცა ლოგინზე ჩამომჯდარის ნაზ ჩურჩულში ბუნდოვნად შეიკრა ბწკარედის წყობა და აზრი, შეიკრა და განმეორდა:

მე არ ვკითხულობ უპანიშადებს,
იყოს ქართული, იყოს შვედური.
მაინც არ ვიცი, რა დაგიშავე,
მაინც არ ვიცი, რისთვის მემდური!..

და მერე როცა ამ სტროფს ზედ დაერთო წარმომთქმელის კვნესასა და ცრემლებში ამოვლებული სიტყვები: არა, შენ არაფერი

დაგიშავებია, ერმინ, მე ვარ დამნაშავე შენ წინაშე, და მოვედი, მოვედი, რომ დაგიბრუნო ის მშვენიერი სიცოცხლე, რომლითაც ალამაზებდი ჩემს სულს. ეს მე ვარ, ერმინ, თვალი გაახილე, ნუ გეშინია, თვალი გაახილე, ერმინ! — გულზე თითქოს მალამოსებური მაამებელი საფენი გადამეფარა. საკურთხეველის ამბიონიდან მომსულიერებელი წვეთები გადამესხურა და ძარღვების „აჯანყებაც“ ნელ-ნელა ცხრებოდა.

მაჯას ჩაფრენილი განაგრძობდა მაგიურ ჩურჩულს და უგონობიდან გამოვყავდი... სიჭაბუკის დროინდელ, ომით დაზაფრულ და დათალხულ, მეოთხედი საუკუნე ჩემი ოცნების ხატად, სანთლად და ანგელოზად ქცეულ სიყვარულის... ფრთამოკვეცილ ფერიას.

ცის მადლია თუ ღვთის ნება?... ლანდია თუ მოჩვენება?... ვატრიალებდი კლდის წყაროსავით ანკარა კითხვებს თვალდახუჭულად კედლისკენ კისერმიღრეცილი ამღვრეულ ფიქრებში და კვლავ ჩამესმოდა:

— მოულოდნელობისგან გული შეგიწუხდა, ერმინ, ყველაფერმა გაიარა. თვალი გაახილე, კისერი მოაბრუნე ჩემკენ. ეს მე ვარ, შენი მკურნალი ექიმი.

— კეთხინ? კეთხინ? — ვჩურჩულებ.

— ჰო, კეთხინ, კეთხინ. — ჩურჩულითვე მპასუხობს ახალმოსული.

— ის... ის რომ უნდა მოსულიყო? — ვეკითხები მიკნავებული ხმით.

— გავცვალეთ უბნები. დღეიდან მე ვივლი შენთან ყოველდღე საღამოს ექვსი საათიდან. დავრჩები შენთან რამდენი ხანიც დასჭირდება შენი განცდების, შენი ემოციების მოწესრიგებას. ვეგეტონევროზიდან ამოფრქვეულ შავი ფიქრების ნიაღვარს მხოლოდ ემოციური ზემოქმედება აშრობს და აქრობს. მას თეთრი, ყვავილოვანი ფიქრები უნდა დავუპირისპიროთ. ხომ დამიჯერებ, რასაც გეტყვი, რასაც გირჩევ? — ჩამჩურჩულებს ფერია ყურის ბიბილოებთან და ხელებით მეფერება.

— მეუღლე? უსიამოვნება? ოჯახი? პატარა ქალაქია, ვერ ჩაიმალები. — ჩურჩულითვე ვპასუხობ კედლის მხრიდან.

— ყველაფერს გავწირავ შენი გადარჩენისათვის.

— გვიანაა. — ვუპასუხე იმედგაწყვეტით და კისერი მოვაბრუნე მისკენ.

ო, ღმერთო, სახიერო! ოცდახუთი წლის შემდეგ როს პირველად შევხედეთ ერთმანეთს, თვალებში თითქოს მბრწყინავი, მანათობელი დიდი კანდელი გვედგა. ისე გვიციმციმებდა, გვინათდებოდა იგი. ისე ჩამცქეროდა და შევცქეროდი, თითქოს პაწაწინა ხინჯს ვეძებდით ერთმანეთის თვალთა სიღრმეში, მაგრამ ამაოდ, იგი არ ჩანდა.

— არაფერიც. — მიპასუხა გაღიმებით, — გუშინ გავიგე შენი ჩამოყვანის ამბავი და, აჰა, დღეს შენთან ვარ. გამაგრდი. ნაადრევად ხარ წამოსული თბილისიდან და ამიტომ თბილისში ვერ წახვალ გამოჯანმრთელებამდე. კონსილიუმის გადაწყვეტილებით ოთხი თვე დარჩები აქ. ეს დრო საკმარისია შიშის დაძლევისათვის. იგი იწვევს სისხლძარღვების შეკუმშვას და ისედაც ნაინფარქტალ გულს აწვალებს, ჰკორტნის ყორნებივით. გახსოვს, გაჯავრებულმა ერთხელ სტუდენტურ ბლოკნოტში რომ ჩამიწერე? „ქალბატონო ორძახია, ყვავ-ყორნები მოგძახიან“.

— უკეთესი არაფერი გახსენდება? ამით შეგიძლია შური იძიო ჩემზე.

— ყველაფერი მახსოვს და ამიტომაც ლოყებს ცრემლებით გისველებდი. რა ულმობელი იყავი „მიძღვნა უკანასკნელის“ სახელწოდებით უკანასკნელად დაბეჭდილ ლექსში.

— მთლიანად?

— არა. ჩემ ამხანაგებს, თინა გეგეჭკორს და სხვებს იგი ახლაც აქვთ ამოჭრილი გაზეთიდან და იხსენებენ. იხსენებენ იმასაც, რომ კეთხინ გოეთეს რომანიული ბიოგრაფიიდან შემარქვი, მაგრამ ერმინ ერმინელს რომ აწერდი ჩემდამი ბარათებს, ვერაფრით წარმოედგინათ, იგი შენი საიდუმლო შიფრი იყო. მე ახლაც არ ვიცი, საიდან გამოიგონე ასეთი უცნაური სახელი და გვარი.

— კითხვაზე არ მპასუხობ. ულმობელი ლექსში მთლიანად-მეთქი?

— არა, არა.

ო, დამრჩენია შენთან კიდევ სათქმელი რაღაც,
გულს ნაღვერდალად შემოენთო, მწვავს და მაშფოთებს.
იმ პირველ თრთოლვას მოკრძალებით ვიგონებ ახლაც,
არ ვიცი ახლაც, როგორ განგშორდე!

თუნდაც ათასი სივაგლახე შეთხზან კვლავ ჩვენზე,
მოსდონ მსოფლიოს ცისარტყელას ფერების მსგავსად.
მე მაინც გული შეუცვლელი დამრჩება შენზე
და შენს სამდურავს არ ვიტყვი არსად.

მაგრამ მე ვიტყვი, რომ იმ ღამეს, მაისის ღამეს,
როცა ვიდექით პალმის რტოსთან გულების ფეთქვით,
შენს ფაქიზ გრძნობებს, უწყინარ და უნაზეს თვალებს
მე უსათუოდ ვუყვარდი-მეთქი!...

მზისდარ სიყვარულს აღარ შერჩა მზის აპრილობა,
ჩადგნენ გრძნობათა ჯალათებად ჩვენ შორის სხვები.
ხმაურის ტყეში გზა დაებნა წმინდა პირობას
და ჩვენ ერთმანეთს გულცივად ვხვდებით!

— მერედა, აქ რაში ჩანს, კეთხინ, ულმობელობა?

— აი, ხომ დაგიბრუნდა შენი აზრი და გონება. შენი წამალი მხოლოდ მე ვიცი. აბა, ახლა ბოლო სტროფს გაგახსენებ:

გაივლის ჟამი... სინანული გეწვევა დარდად,
ვითარც ცოდვილი, მტანჯველ ფიქრებს გულში გაივლებ.
გაგიხუნდება, დაგეხევა დუმილის ფარდა
და ყოველივეს ერუანტელით მოინანიებ.

— ზეპირად ამდენ ხანს ინახავდი მსუსხავ სტრიქონებს?

— ეს სტრიქონები ორეულივით მიმყვება და მომყვება საქმიან უბნის შემოვლის დროს. ხან მწარედ მივსტირი ჩემს სიჯიუტეს, ხან გესლით შენს აჩქარებულობას ვკენწლავ. ორივემ დავუშვათ საბედისწერო შეცდომა, გამოსწორება შეგვეძლო და ომმა გაგვთიშა. ახლა ორივე თანაბრად ვინაწილებთ მის სასჯელს სულიერს, მისგან ჯვარცმას სამართლიანს. მაგრამ ორივეში ხომ იმ გაუნელებელი პირველი სიყვარულის ნაპერწკალი ღვივის, ანთია და ელავს! ჩვენ ამითაც ბედნიერები უნდა ვიყოთ. გული არ შეგიწუხდებოდა, ერმინ, რომ გძულდე.

— კიდევ თუ გახსოვს რამე, კეთხინ.

ყველაფერი მიდის, ყველაფერი მოდის,
ჩვენ შეევრთდეთ უნდა, მაგრამ როდის, როდის?!
საუკუნედ მაწევს მკერდზე ორი ლოდი,
შენ მპირდები მხოლოდ წერილსა და ლოდინს.
ჩვენ შეევრთდეთ უნდა, მაგრამ როდის, როდის?!

— ორი წელი მიკლდა საექიმოს დამთავრებას. შენ მაძალებდი, მე თავს ვიკავებდი. ახლა სტუდენტობა კი არა, სკოლაში თხოვდებიან. მაშინ ხომ ასე არ იყო, თავს ვიკავებდი, მრცხვენოდა. ჩვენი გულები, ჩვენი სიყვარულის დაბნეული ელჩები გამოდგნენ, გვაცდუნეს, ერმინ! ამიტომაც გითხარი, ჩემს სიჯიუტეს მივსტირი-მეთქი. ხვალ მოვალ და ყოველდღე გაუთავებლად გაგახსენებ ჩემდამი მოძღვნილ შენს ლექსებს — შენთვის ჩინურ ჟენშენზე უფრო უებარს, უკეთ განმკურნავს.

და ოთხი თვე ყოველდღე მოდიოდა. მის ყოველ მოსელაზე გული ღიღინებდა, ლაღობდა, ხარობდა, ხოლო ყოველი წასვლის შემდეგ გულის მინდორზე აბიბინებულ მდელოში ჩვენი სულების ფერიები განაგრძობდნენ საამო და საალერსო მოგონებებს...

იმ ოთხი თვის მანძილზე ფოთის საქალაქო გაზეთის რედაქციის ძველი და ახალი მუშაკები აკაკი ტიკარაძე, კარლო კომახიძე, თამაზ ჭითანავა, იასონ დოლბაია, კუკური ესაკია და სხვა მოდიოდნენ და მახსენებდნენ გაზეთის მტერიან კომპლექტებში „ჩაძინებულ“ ომამდელ ჩემს მცირე ლიტერატურულ თუ ჟურნალისტურ სტატიებს, რომლებთაც პრესის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ტრადიციის გაგრძელების მიზნით ზოგჯერ „აღვიძებდნენ“ და ათვალიერებდნენ თურმე. ამით გულს მიკეთებდნენ, მიხალისებდნენ. ჰშველოდნენ. მომდიოდა უამრავი გამამხნევებელი ბარათები თბილისიდან... მოკითხვის წერილებში შეფუთული საგულე ამბები საქ. დამსახ. პროჰიზორისგან, ლეო ბიგვავასგან...

ეპიზოდი მეორე — არალირიული. ოქტომბრის მიწურულს მოულოდნელად ჩემ სანახავად მოვიდა ოცდაათი წლის წინათ სოფლიდან ჯარში გაწვეული, ბავშვობის დროინდელი ის ცელქი ბიბილო გელოზია, რომლის ეშმაკური ოინები აღწერილი მაქვს ამ მოგონების პირველ ნაწილში (გვ. 44). ჰაუ, რამდენი დრო იყო გასული, ქცევის და ლაპარაკის მანერა იგივე შერჩენოდა. მხოლოდ ეგ არი, წლოვანების შესაბამისად უფრო დადინჯებული, მოტეხილი ჩანდა.

ცოლშვილი ფოთში გადმოსახლებულა და შვილიშვილებიანი ოჯახი დახვედრია. გადამკოცნა, მომიკითხა, შემანჯღრია ბავშვობაში რომ იცოდა ჩქმეტა-ჯიკაობა ისე, და როცა დარწმუნდა მე, ქვიშაში ერთად რომ ვთამაშობდით, ისევ იმ ხასიათის და თვისებების ვიყავი, გული გამიხსნა, მომესიყვარულა და უპირველესად ნაღვლიანად მომისამძიმრა.

— ნახე დღევანდელი გაზეთი? ხრუშჩოვი მოუხსნიათ, ბრეჟნევია პირველი კაცი. ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი.

— ვისი? — ვკითხე მე.

— ვისიდა ხრუშჩოვის. მან მიხსნა პატიმრობიდან, თორემ ახლაც იქ ვიქნებოდი, ოცდახუთი წელი მქონდა მისჯილი.

— უკანონოდ?

— არა. უკანონოდ რატომ. მაგრამ ოცდახუთი წელიწადი ოცდაზუთი დღე ხომ არ არის?

— თუ თავს დამნაშავედ გრძნობდი და კანონიერად მიგაჩნდა დასჯა, შეგეძლო ვადის საკითხი გაგესაჩივრებინა, მაგრამ, ალბათ, უკიდურეს ზომას იმსახურებდი.

— ვიმსახურებდი იმიტომ, რომ ომის დამთავრების შემდეგაც იქ დავრჩი. მაგრამ, ხომ გითხარი, ზომაზე მეტი იყო. ხრუშჩოვს იმიტომ ვაქებ, რომ გამათავისუფლა.

— შენ კი მოგიმადლიერა, მაგრამ ტალახიან პურამდე და კუბაში ომის პირამდე რომ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა და მთელი მსოფლიო, ეს არ გაწუხებს?

— ეგ რა ჩემი საქმეა. მე ამ ტალახიანი პურითაც კმაყოფილი ვარ მისგან.

— სად იყავი, ბიბილო, შენ ხომ ომამდე გაგიწვიეს?

— კი. ვადის გასვლას ნახევარ წელი აკლდა, ომმა რომ მომისწრო. მერე გადაება ერთმანეთს და 1940 წლიდან ჩემი ასავალ-დასავალი აქ არავინ იცოდა.

— სად მოგისწრო ომმა?

— კიევთან ახლოს, ასი კილომეტრის დაშორებით.

— კიევისათვის ხომ ცხარე ბრძოლები სწარმოებდა, მონაწილეობდი, ალბათ. დაჭრილი ჩავარდი?

— აბა, რას ამბობ, ერთი ტყვიაც არ გამისერია. სულელი კი არ ვიყავი.

— შენ რა, იქაც ცუღლუტობდი, სოფელში რომ იცოდი ისე?

— ნაწილი ბრძოლაში რომ ჩაება, მე და ჩემი ამხანაგი ერთ ხევში ჩაეიმალეთ. ნემცების მოტონაწილებმა გაწმინდეს იქაურობა, წინ გაემართნენ. მე და ჩემი ამხანაგი მაშინვე უკან მომაეალ დამსჯელ რაზმს შევუერთდით. ხიშტზე ცხვირსახოცი ავაფრიალეთ თეთრი ბაირაღის ნიშნად და ჩაგვრიცხეს რაზმში. ეს მოხდა 1941 წლის აგვისტოში. იმ დროიდან სულ ნემცების ჯარში ემსახურობდი.

— რა ჩინამდე მიაღწიე, რას აკეთებდი.

— აქ წითელარმიელი ვიყავი, იქ — ეფრეიტორი. სალაპარაკო ნემეცური კარგად ვისწავლე. ისე ვიყავი გამოწკიპული, რომ გენახე, ვერ მიცნობდი. მუცელზე ქონი დამედო, კისერი გამისქელდა. მშვენოდა ფაშისტური ფორმის ტანსაცმელი. ასე დაგლახაკებული კი არ ვიყავი.

— სად მოგიწია ყოფნა?

— ჩვენ დამსჯელი რაზმი ვიყავით და გვაგზავნიდნენ, სადაც ცხელი წერტილები გაჩნდებოდა. თვით გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, ბელგიაში.

— ჩვენებს არ ხვდებოდი?

— უამრავი იყო ტყვეებად ჩავარდნილი. გადავიდნენ გერმანიის მხარეზე და მათ ემსახურებოდნენ.

— აბა, უმიზეზოდ არ დაუჭერიხართ.

— არა, მე იქიდან ამწიეს. აქ ვინც ჩამოვიდა, მათი გასახლება 1949 წელს მოხდა. ბანაკებში ისევ შევხვდით ერთმანეთს.

— 1942 წელს სად იყავი, გერმანია რომ საქართველოს აღებას აპირებდა?

— სად ვიყავი და ისევ დამსჯელ რაზმში. კლეისტის არმიას კავკასიაში მაღლაკელიძის ქართული ლეგიონი მოჰყვებოდა. ისინი რომ აიღებდნენ საქართველოს, მერე ჩვენ შემოვიდოდით ადგილობრივი მოწინააღმდეგეების გასანადგურებლად. მე ვიცოდი ცოლ-შვილი ომამდე ფოთში რომ უნდა გადმოსულიყო და ფოთის ზონის დამსჯელ რაზმში ვიყავი ჩარიცხული.

— რას მიზამდი მე, მაგალითად, აქ რომ დაგხვედროდი?

— როგორც კომუნისტს, პირველ რიგში დაგხვრეტდი. აბა, ორი იდეოლოგია ერთად ვერ იარსებებდა. კომუნისტური დაემხობოდა, ფაშისტური გაიმარჯვებდა.

— ახლა რას აკეთებ.

— ახლა კომუნისტებს ვემსახურები. მაგრამ ხელფასი პატარაა.

წისქვილკომბინატში დილით მუცელჩავარდნილი შევდივარ, საღამოს ფეხმძიმე ქალივით აჯა-ბაჯად გამოვდივარ ნაპარავი ფქვილის ცელოფანებით გამობერილი. ცოტა საშოვარი ადგილი მინდა. ვაჟა ახლო არ მიკარებს, არადა, მისი ერთი დარეკვა მიშველის. შემაწიე ერთი ორი ღერი სიტყვა. შენ უარს არ გეტყვის.

— შენ, ჩემო ბიბილო, სამსახურის საშოვნელად მოხვედი თუ ნახვით მონატრებული?

— ორივე ერთად.

— ყოჩაღ. კარგი, ჩვენი სოფლელი ხარ, ვეტყვი, უეჭველად ვეტყვი.

ვაჟამ ცოტა თავი შეიკავა, მაგრამ ხათრი მაინც გამიწია და ყოფილი გაფაშისტებული ჯანმრთელობის განყოფილებას კუნძულზე არსებული ქალაქის საავადმყოფოს სამნეო ნაწილად დაანიშვნინა. იყვნენ ასეთი თვალთმაქცი „საბჭოთა ადამიანები" ჩვენს გვერდით, ჩვენს ირგვლივ, ახლობელთა თუ შორებელთა წრეში...

...1965 წლის ივნისის ბოლოს ფოთის მახლობლად, მალთაყვის საგარეუბნო ზღვისპირა კეთილმოუწყობელ სააგარაკო ზონაში ჯოფნის დროს, მოსკოვიდან ცნობა მივიღე დისერტაციის დამტკიცების და ფილოლოგიური მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მონიჭების შესახებ. ინფორმაცია სურათით გამოქვეყნდა „კომუნისტის" ფურცლებზე (22. VIII. 1965). მაშინ ასეთი წესი იყო.

იმავე წლის სექტემბრიდან, დოქტორის დიპლომის მიღების დროიდანვე, მე აღვისრულე უპირველესი სანუკვარი ოცნება თუ ნატვრა. ყოველთვიურად 1980 წლამდე (გარდაცვალებამდე) დედას ვუგზავნიდი ხელფასის დანაზოგიდან 100 მანეთს (მაშინდელ არც ისე მცირე თანხას) არა იმიტომ, რომ მას პურის ფული არ ჰქონდა, ფოთში მცხოვრები და-ძმები არაფერს აკლებდნენ, მაგრამ იგი ყოველი თვის ოც რიცხვში ფოსტალიონისგან ელოდა ჩემს გაგზავნილს შვილიშვილებისა და შვილთაშვილების შვილებისათვის დასარიგებლად. ფულის მიღებით მისი სიხარულის ეს განცდა წარმოდგენაში მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ეს იყო დედის აუნაზღაურებელი ამაგის წინაშე შვილის მოვალეობის მოხდის უმნიშვნელო, მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება.

ამასთან, საკითხავია, როგორ მოხდა დისერტაციის დამტკიცება? მე ხომ ნათარგმნი მასალების მოწესრიგებაც ვერ მოვასწარი. მე ხომ

ამ საქმისთვის თვალ-ყურის მიდევნება არ შემეძლო არათუ მოსკოვში, თბილისშიც. ფაქტობრივად ჩემი პატრონი აქ უნივერსიტეტის მაშინდელი სწაელული მდივანი, შემდგომ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, კათედრის გამგე, პროფ. ვახტანგ აბაშმაძე იყო, ხოლო იქ, მოსკოვში — რუსულ ენაზე დაბეჭდილი ვრცელი ავტორეფერატი, ქართულ ენაზე დაწერილი სამეცნიერო ნაშრომი და სამეცნიერო საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის სხდომის სტენოგრამული ოქმი.

მთელი ამ მასალების შეკერა, არაოფიციალური ოპონენტის გამოსვლის სამოცგვერდიანი ტექსტის დართვით ვ. აბაშმაძემ ითავა და პირნათლად შეასრულა არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობა, არამედ ჯარისკაცური სიტყვაც. ომის დამთავრებამდე, გარკვეულ დროს, ერთ სამხედრო ნაწილში ვმსახურობდით და იქიდან ვმეგობრობდით ერთმანეთს.

უმაღლეს საატესტაციო კომისიაში იმ დროს მექრთამეობის არა ერთი ქერა იქნა გამოაშკარავებული. „პრავდისა“ და „იზვესტიის“ ფურცლებზე ფელეტონები იბეჭდებოდა ამ ფაქტებზე. მიუხედავად ამისა, მისი ლიკვიდაცია არავის სჯეროდა. ამიტომ დისერტაციებს დისერტანტებიც თან მიჰყვებოდნენ. მით უფრო, თუ საჩიეარი ან „საკულაოზნიკო“ მასალა შეეიდოდა. მისი განხილვა რთულ, ხანგრძლივ პროცესს გადიოდა, დისერტანტს თავად იძახებდნენ, „ჩაწყობის“ ათასგვარ გზებს ეძებდნენ და პოულობდნენ კიდეც...

ჩემს ვითარებაში, სტენოგრამის გარდა, იმდენივე საჩიერის სახით დამატებით აღმოჩნდა გაგზავნილი. იმავე პირისგან. სიტუაცია არაორდინალური იყო. ამის ნიადაგზე, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, ჩემი საქმე გადიოდა კონტროლირებულ შემოწმებას და ბოლოს პლენუმი დასჭირდა. არც გამოუძახებიათ. არც რაიმე წერილობითი პასუხი მოუთხოვიათ. ყველა სადავო საკითხზე თვით დისერტაცია იყო პასუხის გამცემი. მაგრამ ეს დისერტაცია ხომ მხოლოდ ქართველს უნდა განეხილა. მის დასკვნას ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან მაშინ თარგმანს არ თხოულობდნენ.

აი, ეს როლი უკისრია და პლენუმზე საბოლოოდ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში დიდი წვლილი შეუტანია მოსკოვში მცხოვრებ ცნობილ ლიტერატურისმცოდნეს, მაშინდელი გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ფილოლოგიურ

შეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გ ი ო რ გ ი ლ ო მ ი ძ ე ს, რომელიც იმავდროულად საექსპერტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობასაც ასრულებდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. გიორგი ლომიძე იყო მწერალ ანდრო ლომიძის უმცროსი ძმა. მისი მეშვეობით თბილისში ჩამოსველის ხანებში 1966 წელს დაეუახლოვდი მას და, რა თქმა უნდა, უღრმესი მადლობა მოვახსენე.

მაგრამ იმდენად პირუთვნელი, ზედმიწევნით ობიექტური და სამართლიანი გამოდგა, ანდროს თანდასწრებით სიცილით მითხრა: — შრომა გქონდა დაწერილი ღირსეულად და ის მიადვილებდა მომჩივანისგან თქვენს დაცვას. აბა, სუსტი რომ ყოფილიყო, ვერ გიშველიდი. ამასთან გულწრფელად ხაზი გაუსვა ორ გარემოებას.

„პლენუმზე, — მითხრა მან, — თქვენს მიმართ დაშვებულ იქნა ერთადერთი გამონაკლისი. თქვენ ერთხმად მოგენიჭათ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, როგორც ორი დარგის სპეციალისტს — ლიტერატურისმცოდნეს და ამავდროულად ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიის ნიჭიერ მკვლევარს. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას ამ იდეის დასაცავად მხარი დაუჭირა პლენუმის წევრმა, აკად. ვ. გოლუბკოვმა, რომლის სიტყვას დიდი წონა ჰქონდა. მისი „ოტზივი“ საბჭოს სტენოგრამულ ოქმში იყო ჩაკერებული და პლენუმის თავმჯდომარის ელიუტინის მოთხოვნით საჯაროდ იქნა წაკითხული. ეს ჩემი პოზიციის გამამაგრებელი დოკუმენტი იყო“.

გამონაკლისის დაშვების ფაქტის შესახებ პროფ. გ. ლომიძის გაცნობამდე ფოთში შოთა ძიძიგური მატყობინებდა 1965 წლის 10 ივლისს დაწერილი ბარათით: „ძმაო აკაკი! მოგიკითხავ ძმურად. მიხარია, რომ თანდათან უმჯობესდება შენი ჯანმრთელობა. რაც მთავარია: დ. ჩხიკვიშვილი იყო ახლახან მოსკოვში და შეიარა სადაც ჯერ არს. შენ დაგამტკიცეს საბოლოოდ. (სხვათა შორის რამიშვილი-თალაკვაძე არ დაუმტკიცებიათ[1]. მათი საქმე დაუბრუნებია ფილოლოგიის კომისიას პედაგოგიკის კომისიისათვის). ამრიგად, მოგილოცავ სულით და გულით“.

[1] აქაურმა სამეცნიერო საბჭომ ვ. რამიშვილსაც და მ. თალაკვაძესაც მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მაგრამ „ეაკმა“ შეუცვალა ინდექსი. ბარათში ამ ფაქტზეა მინიშნება.

ამასთან დაკავშირებით, მოვიტან აქ „ოტზივის“ რუსული ტექსტის თარგმანს ოფიციალური დოკუმენტის სახით:[1]

„რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და პოლიტექნიკური განათლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მოსკოვი, ბ-64. მაკარენკოს ქ. 5/6, 21. XI. 1963. ახლი.

გამოხმაურება

ა. ს. თოფურიას სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატზე „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის ძირითადი საკითხები“.

დისერტაციაში ციტირებული ნ. გ. ჩერნიშევსკის სიტყვები: „საგნის ისტორიის გარეშე არ არსებობს საგნის თეორია“ შეიძლებოდა წაგვემძღვარებინა წარმოდგენილი რეფერატის ეპიგრაფად. ა. ს. თოფურიას დისერტაციაში მართლაც არის მოცემული ლიტერატურის მეთოდიკის ისტორიაც და თეორიაც („ქართული ლიტერატურის სწავლების თეორიის პრობლემური საკითხები“) და, ამასთან, ორივე ეს ნაწილი ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული.

შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, რომ ა. ს. თოფურიამ, რომელიც ცნობილია საქმიანი წიგნებით ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის დარგში, განმაზოგადებელი ხასიათის ახალი შრომა შექმნა და ამით თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი დიდი ქვეყნის მასშტაბით ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესწავლაში. ქართული ენის და ქართული ლიტერატურის იმ დონით არ ცოდნის შემთხვევაში, რაც ასეთ დროს აუცილებელია, რა თქმა უნდა, ძნელია იკისრო მსაჯულის ან რეცენზენტის როლი. მაგრამ თვით ა. ს. თოფურიას მისწრაფება, დაამუშაოს ქართულ სკოლებში ლიტერატურის სწავლებისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხები, უეჭველზრიე მხარდაჭერას იმსახურებს.

რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ვ. გოლუბკოვი. პირადი ხელმოწერა დამოწმებულია ინსტიტუტის სწავლული მდივნის მიერ ბეჭდის დასმით“.

განა დამხობილ იმპერიაში ყველა რუსი იმპერიულ-შოვინისტური სულისკვეთების გამომხატველი იყო? რატომ არ უნდა ვიხსენებდეთ ასეთი რუსი ინტელიგენტების ამაგს? განა ასეთები ცოტანი იყვნენ თვით ცარისტულ საუკუნეშიც? განა ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის მთელი თაობები პეტერბურგსა და მოსკოვში არ აღიზარდნენ?

---

[1] ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე მოსკოვიდან მიღებული ეს დოკუმენტი გამოაქვეყნა საბჭოს მაშინდელმა სწავლულმა მდივანმა, აწ განსვენებულმა პროფ. აკ. უ რ უ შ ა ძ ე მ.

აქვე, ვ. გოლუბკოვის „ოტზივში“ მითითებულ „წვლილზე“ ერთგვარ გამართლებად ზედმეტი არ იქნებოდა აღგვენიშნა, რომ 1983 წელს ერევანში რუსულ ენაზე დაბეჭდილ გ. მაჩხანიანის სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში, რომლის თემაა „სომხური ლიტერატურის მეთოდიკის ისტორია და მისი მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენება თანამედროვე სკოლებში“ რუსეთის, უკრაინის და სხვა. მაშინდელი რესპუბლიკების მეთოდიკური აზროვნების ხუთ გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევართა შორის (ვ. გოლუბკოვი, ი. როტკოვიჩი და სხვ.) მესამე ადგილას დასახელებულია ჩემი გვარიც (იხ. გვ. 5)...

1966 წლიდან 1986 წლამდე საკანდიდატო და სადოქტორო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი ჯერ საფაკულტეტო, შემდეგ კი საუნივერსიტეტო სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი ვიყავი და მეკისრებოდა სადისერტაციო ნაშრომთა ორი ინდექსით ოპონირება — ლიტერატურისმცოდნეობის და ქართული ლიტერატურის მეთოდიკის განხრით. არა მგონია, საბჭოს წევრთაგან ვინმე დამიდგეს წინ და დაიჭადნოს, ჰაპანწყვეტით ჩემ კისერზე გადადიოდა უნივერსიტეტის ღირსების დაცვა და შენ, მხართეძოზე წამოწოლილს, ბიულეტენების დათვლიის მეტი არაფერი გაგიკეთებიაო. ჩემდა საბედნიეროდ, პირიქით ხდებოდა, და ახლა სიმწრით ვავლებ თვალს იმ ოც წელიწადში დაწერილ ოცდაათამდე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების რეცენზიების გაყვითლებულ ფურცლებს, რომლებმაც ბევრი სიხარული მარგუნა და დიდი უსიამოვნებაც მომიტანა.

პირველი უსიამოვნება უნივერსიტეტში მისვლამდე შემხვდა. არ გასჭრა შეტევაზე გადმოსული კანდიდატობის მაძიებელი დისერტანტის მიმართ არც რჩევამ, არც მტკიცებამ, არც დახმარების გაწევის აღთქმამ მანამ, სანამ დაცვის დღემდე ორი კვირით ადრე ყოფილი პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის დასკვნით (კომისიის წევრები იყვნენ: პროფ. დ. ბენაშვილი, პროფ. გ. ნადირაძე, პროფ. შ. გაფრინდაშვილი) საბოლოოდ არ დადგინდა ჩემ რეცენზიაში მითითებული მთავარი ბრალდების სისწორე. ჟურნალ „ნიანგის“ 1960 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა მთელი გვერდი ასეთი სენსაციური სათაურით „პლაგიატობისა და ციტატომანი-

ის დიდოსტატი", თვით ნიანგის ხელმოწერით, ე. ი. რედაქციის პუბლიკაციით, ცხადია, ინსტიტუტის მასალებზე დაყრდნობით.

ს. გაჩეჩილაძის ლიტერატურის თეორიის სასკოლო სახელმძღვანელოს სტამბურ ტექსტზე დისერტანტს (ი. წ.) რემინგტონზე გადაბეჭდილ სადისერტაციო ნაშრომში შესაბამის ადგილას ჩაემატებინა ფრაზა „მასწავლებელმა უნდა ასწავლოს" და ამას ყველგან მოსდევდა პასუხად ის, რაც სახელმძღვანელოში იყო მოცემული და ამ მანიპულაციაში სამეცნიერო ხარისხს მოითხოვდა. (დისერტაციაში ციტირებული ვიყავი რამდენიმეჯერ. მიუხედავად ამისა, პირფერობით ჩემი გადაბირება ასეთ სიტუაციაში არავის შეეძლო, არც კუთხურობით და ნაცნობობით).

უფრო საკვირველი იყო მეორე რამ. სარეცენზიოდ ჩემთვის გადმოცემული სადისერტაციო ნაშრომი წიგნად იყო გამოცემული 1958 წელს სახელწოდებით „ლიტერატურის თეორიის სწავლება" იმავე გამომცემლობის მიერ, სადაც ს. გაჩეჩილაძის „ლიტერატურის თეორია" დაისტამბა. საკმარისი იყო რედაქტორის ოდნავი ფხიზელი თვალი, სულ მცირედი პასუხისმგებლობის გამოჩენა, რომ თავიდანვე აეცილებინათ ავტორი მოსალოდნელი „ჩავარდნისაგან". მაგრამ, როგორც „ნიანგის" პუბლიკაციაში იყო აღნიშნული, რედაქტორი და ავტორი „ერთსულ და ერთხორც" დამგვანებოდნენ ერთმანეთს....

მხოლოდ ობიექტურობის არსოლუტურ „მეუფებას" შეეძლო ჩემი ხსნა ამგვარი ადამიანების თავდასხმებისაგან. მხოლოდ პირადულზე ამაღლების, არგუმენტირების ძალით შემეძლო მიმეღწია რეალური ეფექტისათვის. ეს კი ბეწვის ხიდზე სახიფათო გავლას ჰგავდა.

ჯადო-ხვითოს მაგვარი სხვა რა თილისმა მეპყრა ხელთ, სამეცნიერო საბჭოს მრავალრიცხოვან შემადგენლობას, სპეციალიზებულსაც თუ არასპეციალიზებულს, განურჩეველად იმისა, საკითხი შეეხებოდა დადებით შეფასებას თუ უარყოფითს (ასეთთა რაოდენობა ხუთს აღემატებოდა), ყოველთვის მხარი დაეჭირა ჩემი აზრისათვის და დისერტანტის ბედი გადაეწყვიტა ამ აზრის გათვალისწინებით? ყოველ შემთხვევაში იმ ოცდაათამდე ოპონირებულიდან რაიმე გადახრითი შემთხვევა არ მახსოვს. იქნებ გეჩოთირებათ, გეხამუშებათ, რაღაც ძნელად დასაჯერებლად გეჩვენებათ? უნივერსიტეტის პრაქტიკიდან ჩემი პირდაპირობის მაგალითი ამ განხრით იმდენად ცნობილი იყო, აქ უადგილოდ მიმაჩნია მასზე შეჩერება...

...1966 წელი, მოგეხსენებათ, რუსთაველის რვაასი წლისთავის საიუბილეო წელი იყო. უნივერსიტეტის „წიაღში“, განსაკუთრებით ფილოლოგიის ფაკულტეტისათვის, იგი ხელსაყრელი და „ბარაქიანი“ გამოდგა. ჯერ ერთი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან შეიქმნა რუსთაველის საბჭოს კაბინეტი, ხოლო, მეორის მხრივ, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას გამოეყო ორი კათედრა: ფოლკლორისტიკის (გამგე, პროფ. ქს. სიხარულიძე) და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიისა (გამგე, პროფ. ს. ჭილაია). რექტორატმა ორივე ერთდროულად წარადგინა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად, მაგრამ რატომღაც პირველი მაშინვე დამტკიცდა და მუშაობას შეუდგა, მეორის საქმე კი კარგა ხანს ყოვნდებოდა.

აწ განსვენებულმა სერგი ჭილაიამ (1912—1993) ნამდვილი მიზეზი გვიან გამიმჟღავნა. მინისტრი ჩემთან არ არის კარგ დამოკიდებულებაში, შეიარე და შეახსენე დაგვიმტკიცოსო. არავითარი შეცდა არ დამჭირვებია. უნივერსიტეტში მას ლექციების თავისი განრიგი ჰქონდა, შევხვდი ეზოში გამოსულს და კი არ შევახსენე, უთხოვე, ორი წელია გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფებით, არც აქეთ ვართ და არც იქით-მეთქი. ერთი კვირის თავზე დამტკიცდა და ამიტომ ფაქტობრივად უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა მუშაობას 1968 წლის 24 მაისიდან შეუდგა.

ამ კათედრაზე ჩემი გადასვლა განაპირობა ლიტერატურულ კრიტიკაში თანამშრომლობასთან ერთად სერგი ჭილაიას მდგომარეობამ. მაშინ იგი მწერალთა კავშირის გამგეობის წამყვან მდივნად ითვლებოდა, უნივერსიტეტში ნახევარი განაკვეთის შეთავსებით იყო. იმ კათედრაზე, საიდანაც გამოყოფა მოხდა, ჩემ გარდა სხვა არავინ ეგულებოდა საიმედო დამხმარე ძალად. ასე და ამრიგად, გამოვეთხოვე ჩემი შტატით ბატონ პროკლეს კათედრას და იქვე, ორი ნაბიჯის დაშორებით გადმოვინაცვლე ბატონ სერგის კათედრაზე, სადაც პირველ დღიდანვე საზოგადოებრივ საწყისებზე კათედრის გამგის მოადგილის მოვალეობას, ფაქტობრივად კათედრის ძირითად ფუნქციებს ვასრულებდი.

ახალი კათედრის პირველი ნაბიჯები მიმართული იყო ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის, საუნივერსიტეტო ალმანახ „პირველი სხივის“ მუშაობის განახლებისა და ამოქმედებისაკენ, რაშიც

თვალსაჩინო შედეგი გამოიღო. ასპირანტის ერთ ადგილზე მიღწეულ იქნა ერთდროულად სამი კანდიდატის ჩარიცხვა. მახსოვს, სპეციალობის ძირითად საგანში მათი გამოცდის პირველი დღე. რექტორატის სამეცნიერო ნაწილი მოითხოვდა ლიმიტის მტკიცედ დაცვას. სამივე მომზადების ერთნაირ მაღალ დონეს ამჟღავნებდა. სამივეს ერთნაირი ნიშნები დავუწერეთ და რექტორატიც იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. ასე შეემატა ქართულ მწერლობას და ფილოლოგიურ მეცნიერებას მაკა ჯოხაძე, მანანა ხელაია, მანანა ყიფიანი. კათედრის მშვენება იყო ლია სტურუა თავისი სინაზით, პოეტური ნიჭიერებით და ფილოსოფიური აზროვნების სიღრმით. მას სადიპლომო ნაშრომის რეცენზირების დროიდან ვიცნობდი.

კათედრაზე ძირითად წევრებს გარდა (რ. მიშველაძე, ტ. კვანჭილაშვილი, ვ. ცისკარიძე, მ. ძაძამია, ლ. შატბერაშვილი, თ. მაღლაფერიძე), საათობრივი ანაზღაურებით და შემთავსებლის შეზღუდული საგანაკვეთო ტარიფით სპეცსემინარებისა და სპეცკურსების ორგანიზაციის საქმეში აქტიურ როლს ასრულებდნენ ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მერკვილაძე და იმ ხანად დოცენტი გიორგი ციციშვილი (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგე, აკადემიკოსი, გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე). მაგონდება ერთი ეპიზოდი ომგამოვლილის პიროვნული ბიოგრაფიიდან.

ეს იყო 1970 წლის გაზაფხულის მიწურულს, ჯერ კიდევ სპეციალიზებული საბჭოების სტრუქტურის დაწესებამდე, ბატონმა გიორგი ციციშვილმა კათედრაზე წარმოადგინა რემინგტონზე გადაბეჭდილი სადოქტორო დისერტაცია სათაურით „ქართველი საზოგადოებრიობა და მაქსიმ გორკი (რევოლუციამდელი პერიოდი)“. თითქოს საიდუმლო რამ ყოფილიყო, გულახდილად გამანდო: მსგავს თემაზე სამეცნიერო საბჭოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად მომზადებულია სხვა ავტორის შრომა. დამდეთ პატივი, ლეო ქიაჩელის შემოქმედებაზე თქვენი პუბლიკაციებით თქვენ ახლო ხართ ჩემი დისერტაციის პრობლემატიკასთან. დიდი დრო არ დაგჭირდებათ, გამიკეთეთ წინასწარი აპრობაცია და სამეცნიერო საბჭოზე წარდგინება ისე, რომ მოკლე დროში დაცვა მოვასწრო. ეს ჩემთვის დაუვიწყარი ამაგი იქნება.

— დაეთანხმებით ჩემს უარყოფით დასკვნას, თუ შრომამ მაიძულა გადავიხარო აქეთკენ?

— უთქმელად, უსიტყვოდ, ულაპარაკოდ. — მიპასუხა მაშინვე ბატონმა გიორგიმ და თან დაუმატა, — მაგრამ იმედი მაქვს ჩემი შრომის და თქვენი ობიექტურობის.

— კარგი. სამ დღეში შემოიარეთ.

იმ სამ დღეში ხუთასგვერდიანი ნაშრომის ჩემი დადებითი დასკვნა და კათედრის სხდომის წარდგინება გამგის ხელმოწერით სამეცნიერო საბჭოს მორიგი შეკრების დღის წესრიგში იდგა. საბჭომ სწრაფად განიხილა კიდეც, დაინიშნა დაცვის დღეც, წარმატებულად, მეორისათვის სრულიად უვნებლად, ჩაიარა მისმა პროცესმაც. მაგრამ, შედარებით ყოველივე ამასთან, უფრო ტრიუმფალური და უჩვეულო იყო უმაღლესი სატესტაციო კომისიის მიერ გიორგი ციციშვილისათვის დოქტორის სამეცნიერო ხარისხისა და პროფესორის წოდების ასევე მოკლე ვადაში ერთდროულად დამტკიცების ფაქტი, რაც იშვიათად ხდებოდა.

იგი იმსახურებდა ასეთ გამონაკლისობას თავისი ერუდიციით, მახვილგონიერებით, უბრალო ადამიანური თვისებებით. ორათეულზე მეტი დრო გავიდა იმის შემდეგ და მაინც აკადემიკოსი გ. ციციშვილი ყოველ შეხვედრისას თითქოს უხმოდ, თავმდაბლურად იმეორებს მაშინდელ ხუმრობით ნათქვამს: თქვენი ხმალი, ჩემი კისერი (შეადარეთ ამაგისათვის ახლანდელ უმადურთა და თავხედთა მკრეხელურ დევიზს: თქვენი კისერი, ჩემი ხმალი!).

გალაქტიონ ტაბიძის სახელობის კაბინეტის შექმნამდე კათედრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახლდათ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა ს (1891—1975) რვატომეულის საჯარო განხილვა, რომელიც მოეწყო 1969 წლის 2 დეკემბერს უნივერსიტეტის წინანდელ სააქტო დარბაზში (კლუბში). ამ ტომეულების გამოცემა განხორციელდა 1958—1967 წლებში. კათედრაზე წინასწარ დაიგეგმა განხილვის თემატიკა. იგი მოიცავდა მწერლის შემოქმედების პრობლემურ ასპექტებს. შეირჩა ძირითადი მომხსენებლები. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1969 წლის 26 დეკემბრის ნომერში მთელი გვერდი აქვს დათმობილი ამ განხილვის გაშუქებას. ამ შემთხვევაში მწერალთან კონტაქტის ერთ დეტალზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო.

მე იგი შორიდან მრავალჯერ მინახავს მრვალაგვარ გარეგნულ

ფორმაში, ხან ღრმა, იდუმალ ფიქრებში ჩაძირული. მინახავს ჩოხა-ახალუხით და ბოხოხის ქუდით, გალიფეთი და ჩექმით, ზამთრის პალტოთი და საზაფხულო პლაშით, ჰალსტუხით და მუნშდუკით. მინახავს მწერალთა კლუბში ვითომდა მხოლოდ მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაჯდომის გამო სერგო კლდიაშვილთან ჩაბმულ სიტყვიერ შეხლა-შემოხლაში და, ბოლოს, 1947 წელს საკუთარ ბინაში პიჟამათი ომიდან დაბრუნებულ ჩემ უმცროს ძმასთან პირადი შეხვედრის დროს. მის მკრთალ სახეზე გაღიმების თუ გაცინების ნიშანკვალი იშვიათად ირეკლებოდა. მუდამ რაღაც აზრებით შეპყრობილს თითქოს არასოდეს ეცალა ამგვარი ბანალურობის გამოვლენისათვის. ასეთი იყო ჩემი შთაბეჭდილება იმ 2 დეკემბრის საღამომდე, როცა კ. კეკელიძის სახელობის კაბინეტში რაღაც ხუთწუთიან შუალედში პირდაპირ შევრჩი სტუმრად მოსულს თავის ვაჟიშვილთან — ზვიადთან ერთად.

ბატონი სერგი ჩასული იყო რექტორის ამოსაყვანად. კლუბში პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა გროვდებოდა, კაბინეტი წინასწარ გეჭონდა გაფრთხილებული სტუმრის მოსასვენებლად და მისი გამგე, ქალბატონი ეკატერინე (კატუშა) ამ მხრივ იშვიათი დამხვდური, ფაქიზი და გამრთობი მანდილოსანი იყო.

ბატონი კონსტანტინე და მისი ვაჟი კაბინეტის ოვალურ მაგიდასთან დასხდნენ. ზვიადს ჩვენს საბჭოზე მაშინ დაცული არ ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია თარგმნის თეორიაში, და მაინც, როგორც საბჭოს წევრს, უფრო ნაცნობივით მომესალმა, ბატონი კონსტანტინე კი კაბინეტში განლაგებულ წიგნთა თაროებს მისჩერებოდა. ეკატერინე შეკითხვის მოლოდინში მისკენ მზერას არ წყვეტდა. უცებ საპატიო სტუმარმა თავი ეკატერინეს მაგიდისკენ მიაბრუნა და მოულოდნელად ჰკითხა:

— ქალბატონო, ამბობენ, თქვენთან ქრთამებით ეწყობა ახალგაზრდობა, რას იტყვით ამის თაობაზე?

— ტყუილია, ბატონო, ვინ თქვა მაგი. — უპასუხა ქალბატონმა კატუშამ და უეცარი გაწიწმატებისგან შუბლის ნაოჭები დაეძაბა.

— ვინ თქვა და მე ვამბობ. ახლაშიდან ერთი მეზობელი მეახლა ამას წინათ. კონსტანტინე, — მეუბნება, — უნივერსიტეტში ქრთამით ეწყობიან ბავშვები. ჩამიდექი და დამეხმარე. მე ვუთხარი, რამდენს მომცემ-მეთქი. იქ ამდენი უნდა თურმე და შენ ამდენს მოგცემო. რასაც მე ღამეების თევით ერთ თვეში ვერ ვღებულობ, ის შუა კა-

ცობაში მაძლევდა. გაიქეცი აქედან-მეთქი, ვუყვირე და სიცილი ამიტყდა. ვხარხარებდი სულელივით. კონსტანტინე და შუამავალი... სანამდე მივიდა უნივერსიტეტის სახელი... თქვა ეს და თვითონ აუტყდა ისეთი სიცილი, მართლა ჰომერულ ხარხარს ჰგავდა. თვალები და შუბლი გაეხსნა, სახეზე ნათელი გადაეფინა, სულ სხვა იერით შეხედა ვაჟიშვილს, რომელიც უხერხულობას ვერ ფარავდა.

ამ დროს რექტორი, ბესო ჟღენტი და სერგი ჭილაიაც გამოჩნდნენ და ყველანი კლუბისკენ გავემართეთ. დარბაზი სავსე იყო ხალხით. პრეზიდიუმში სტუმრები და კათედრის მიერ გამოყოფილი მომხსენებლები იჯდნენ. სერგი ჭილაიას მოკლე შესავალი სიტყვით დაწყებული განხილვა დიდხანს გაგრძელდა. ჩემი მოხსენების თემა კ. გამსახურდიას კრიტიკული წერილების ანალიზს შეეხებოდა. მთლიანად იგი დაბეჭდილია 1972 წელს გამოცემულ წიგნში „ლიტერატურული წერილები“ (გვ. 65—89). მოხსენებას ვამთავრებდი სიტყვებით:

„ეს ფაქტები მოწმობენ, რომ კონსტანტინე გამსახურდიას კრიტიკულ-პუბლიცისტური და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების სფერო არ ამოიწურება რვატომეულის მე-6—8 ტომებში მოთავსებული მასალებით, რომ ამ სფეროს ასპექტები და ჰორიზონტები გაცილებით უფრო ვრცელი, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და კიდევ უფრო მდიდარია“. ტრიბუნიდან რომ გამოვბრუნდი, ვხედავდი, პრეზიდიუმის მაგიდიდან კმაყოფილების გამომხატველი მზერით მაცილებდა მწერალი, რომელსაც კაბინეტში, ალბათ, ლაბორანტი ვეგონე.

კონსტანტინე გამსახურდიას საბოლოო სიტყვიდან ისტორიისათვის საგულისხმოა განსაკუთრებით „მთვარის მოტაცების“ გარშემო მოკლე გამონათქვამი. — ამას წინათ ბესარიონ ჟღენტის წიგნი გამოვიდა და ჩემი „მთვარის მოტაცება“ უბრწყინვალეს რომანად მონათლა. აი, ამას რომ მოვესწარი, ეს დიდი ბედნიერებაა ჩემთვის. ბესარიონი იყო ის თავკაცი კრიტიკოსებისა, რომელნიც მესხმოდნენ და მაკრიტიკებდნენ, ყალბი ნაწარმოებიაო, ამტკიცებდნენ. დრომ გვიჩვენა, თვითონ კრიტიკოსები ყოფილან ყალბნი.

აკადემიკოს ი ლ ი ა ვ ე კ უ ა ს (1965—1972) უნივერსიტეტის მშენებლობის ოცწლიანი გეგმა თავისი ოდიოზურობით თუ გრანდიოზულობით მოსკოვის მიერ დამტკიცებული დახვდა და სასიკეთოდ





სურათზე: 1909 წლის 2 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხაშტო კლუბში კონსტანტინე გამსახურდიას რვატომეულის ხუთარო განხილვის ეპიზოდი. პრეზიდიუმზე სხედან მარცხნიდან მარჯვნივ მწერალი-აკადემიკოსი კ. გამსახურდია და უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა. ტრიბუნაზეა ერთ-ერთი მომხსენებელი პროფ. აკაკი თოფურია.

ფოტო თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის იმდროინდელი სტუდენტის, ვ. ჭითავასი.

არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ეს იყო კომპაქტურობიდან დაჩსაქსულობისკენ გადასვლის სამწუხარო მოვლენა. გეგმის მიხედვით საბურთალოს ყველაზე ქარიან მხარეში პირველი მაღლივი კორპუსის ჩქაროსნული ტემპით აშენების დამთავრება კი ნამდვილად დაემთხვა რექტორობის მის პერიოდს, რომლის მთავარი ნიშანდობლივი ღირსებაა 1968 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს მაღალ დონეზე ჩატარება. ეს ქართული კულტურის დიდი ზეიმის, მსოფლიო კონტინენტზე ივანე ჯავახიშვილის სახელის განფენის შესანიშნავი გამოხატულება იყო. იგი დასრულდა ფუნიკულიორის რესტორანში ორასადგილიანი ბანკეტით, სადაც უცხოელ და „საბჭოელ“ სტუმრებთან ერთად უნივერსიტეტის პროფესურა მონაწილეობდა სათანადო ფინანსური წვლილის გაღებით. აქ დინჯი, დარბაისელი ილია ვეკუა გაშლილი დიდი სუფრის სწორუპოვარ, მხიარულ და მომხიბვლელ თამადად მოგვევლინა.

საიუბილეო-საზეიმო ორომტრიალში შთაინთქა მისაღებ გამოცდებში იმხანად გამოვლენილი სახელგამტეხი დარღვევები. იგი სწრაფად დაიფარა სასწავლო ნაწილიდან პრორექტორის სამეცნიეროში გადანაცვლებით, რასაც მოჰყვა შელახული ადგილის ერთგვარი დაჩქარებით კრისტალიზება, მითქმა-მოთქმის მიჩქმალვა და თანდათან დროებით ჩაქრობა. რექტორის ქმედითი „ქირურგიული ოპერაციის“ წარმატებულობა განაპირობა ახალი პრორექტორის გურამ ჭილაშვილის პიროვნულმა თვისებებმა.

იგი ერთი შეხედვით ლევ ტოლსტოის მიერ შექმნილი ჩინოვნიკი მოხელის — ალექსი ალექსის ძე კარენინის უკვდავ ლიტერატურულ ტიპს მოგაგონებდათ. თითქოს მისებრ მშრალი, გულცივი, უტეხი, შეუვალი იყო ინსტრუქციების, წესების და კანონების მიმართ, იცავდა, ატარებდა და ანხორციელებდა მათ. ხელთ ეპყრა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის, ყველა კორპუსის თუ მიჯნის სამართავი პულტი. კარგა ხანს ასრულებდა ვითომდა სტაბილიზატორის როლს უნივერსიტეტის კედლებში კორუფციის ნაკადის გაჟონვის შესაკავებლად, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო, აიძულეს დაკავებული ადგილი დაეტოვებინა და ბოლოს სიცოცხლესაც გამომშვიდობებოდა. ყოველ შემთხვევაში მსოფლიო სახელის მეცნიერ-რექტორისათვის მისი სასწავლო ნაწილში პრორექტორობა დიდი შვება იყო.

1970 წლის 20 ივლისიდან 30 ივლისამდე მე მომიხდა ბატონ

იქნა ვეკუას გვერდით, რომ იტყვიან, კარის მეზობლად ცხოვრება ფოთის მეთევზეთა დასასვენებელ სახლში პალიასტომის ტბის ახლოს, მალთაყვის საკურორტო ზონაში. ეს შემთხვევით მოხდა. ჩემთვის მალთაყვა მაშინდელი თავისი „ველურობით“ აღმოჩენა იყო. მართალია, მის უკაცრიელ მიდამოში ტყეპარკის გაშენება ადრე დაიწყო, მაგრამ ქვიშიან პლაჟს ქალაქის მოსახლეობა სიშორის გამო მაინც არ ეტანებოდა. ქობულეთიდან ავტომანქანით გადმოყვანის დროს მალთაყვის ხიდზე პირველად ვიგრძენი ჰაერში ჟანგბადის ისეთი სიმდიდრე, რაც აღემატებოდა პირთან ბავშვის საწუწნიერით გამუდმებით მიდებული ხელოვნური ბალიშის „სინოყივრეს“ და 1964 წლის იმ დღიდან, ცოტათი მოლონიერების შემდეგ, ფოთიდან ყოველდღე დავყავდით მალთაყვის ჰაერის „საყლაპავად“. აქედან დაიწყო, სხვა ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად, ჩემი გამოჯანმრთელება.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წლის 10 სექტემბრის ნომერში მცირე სტატიის გამოქვეყნების შემდეგ სათაურით „პოეტის ოცნება ხორცშესხმას ელის“, მალთაყვის კეთილმოწყობა არა მხოლოდ ქალაქის ხელმძღვანელობის, — რესპუბლიკური პროფესიული კავშირებისა და ტურისტული სახბჭოს ყურადღების საგანგებო საგნად იქცა. მთავარი როლი ითამაშა მალთაყვისადმი პაოლო იაშვილის მიერ მიძღვნილი ლექსის წერილში ხსენებამ და საზოგადოებრივ სამსჯავროზე მასში ჩაქსოვილი იდეის პრაქტიკულ ამოცანად გამოტანამ. პოეტის რა ოცნებაზე იყო ლექსში ლაპარაკი?

კოლხეთის მშენებლობის თაედაპირველ გეგმაში ბავშვთა და გულით ავადმყოფთა სამკურნალო კურორტად მალთაყვის გადაქცევის პრობლემა პირველხარისხოვან მიზნად იყო დასახული. პოეტმა პაოლო იაშვილმა საკუთარი თვალით ნახა მალთაყვის მიდამოები და დასახული მიზნის განხორციელების რეალურობის გათვალისწინებით თავის ლექსში შეამკო და განადიდა მისი დიდებული მომავალი. „აი, მალთაყვა, უახლოეს დღეთა მშვენება“. — წერდა იგი. მაგრამ ყველაფერი ეს ომის დროიდან დავიწყებას მიეცა. ასეთი იყო წინა ისტორიული ვითარება.

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ გამოხმაურებისათვის წერილი ერთდროულად გადაუგზავნა პროფკავშირულ და ტურისტულ რესპუბლიკურ საბჭოებს, რომელთა მიერ გამოყოფილმა კომისიამ საკითხის ადგილზე შესწავლით პირველი რიგის ღონისძიებად დასახა ორმოცდაათადგილიანი ტურისტული ბაზის გახსნა მალთაყვაში. მალე იგი ფინური სახლების მშენებლობის ბაზაზე 500 ადგილიანად იქცა. გაცხოველდა ინტერესი და ლტოლვა მალთაყვისაკენ. ხუთი წლის შემდეგ იმავე გაზეთის ფურცლებზე მე უკვე საფუძველი მქონდა ვრცელი ნარკვევი დამებეჭდა სათაურით „მალთაყვის ჰორიზონტები“ („ლიტ. საქ.“, 1971, № 2), რომელშიც ასახული იყო პირველი წერილის გამოქვეყნებიდან მალთაყვის განვითარებისა და პოპულარობისათვის მომხდარი რადიკალური ცვლილებები.

აი, ამ საერთო კომპლექსურ ღონისძიებათა ერთ-ერთი გამოძახილი იყო მეთევზეთა დასასვენებელი სახლის მოწყობაც და ზაფხულობით ამ სახლში ჩემი დასვენებაც. რაც შეეხება ბატონ ილიას, იგი ფოთის საარჩევნო ოლქიდან საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იყო არჩეული და ხშირად უხდებოდა ფოთში ჩასვლა. იმ წელს, რაკი შედარებით ტურბაზასთან უკეთ იყო კეთილმოწყობილი მეთევზეთა სახლი, აქ მოუსურვებია რამდენიმე დღით შეჩერება, რაც თავისთავად მალთაყვისათვის დიდ საავტორიტეტო „განძად“ ითვლებოდა. ასეთი იყო შეხვედრის შემთხვევითობის არსი.

მეთევზეთა სახლის მეორე სართულზე მარცხენა განაპირას ოთხი ოთახი ბატონ ილიას ეკავა, მარჯვენა განაპირა ოთახში მე ვცხოვრობდი. სახლს გრძელი, ფართო აივანი ჰქონდა. აივანზე გამოტანილ საწერ მაგიდას აკაციის ჩრდილი და ფოთლოვანი ტოტები „ამშვენებდა“. ბატონი ილია დილაადრიანად იწყებდა ამ მაგიდასთან მუშაობას და, მიუხედავად ეზოში მეთევზეთა მორიდებული ყაყანისა, სანამ დაღლას არ იგრძნობდა, თავს მაღლა არ წევდა. წერდა, წერდა, წერდა. წიგნები გვერდით ელაგა. ერთ ხანს სულ მარტო იყო. მერე, ცოტა ხნით, ორი მოზრდილი შვილიშვილი ჩამოუვიდა, ორიეე ვაჟი, ერთი სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლე, მეორე, მგონი, პირველი კურსის სტუდენტი იყო. საშმელ-სასმელი ქუთაისიდან კვირაში ორ-სამჯერ ავტომანქანით ჩამოჰქონდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პრორექტორს, გვარად კორძაძეს, მაღალ, ტანმსხვილ კაცს, რომელთანაც,

ეტყობოდა, ბატონ ილიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა. მე ტურბაზაში დავდიოდი სასაუზმოდ. ხანდახან, კიბეებზე ასვლის თუ ჩასვლის დროს რომ დამინახავდა, თავისთან მიხმობდა და მაიძულებდა მასთან მესადილა. ზოგჯერ ნარდს გამოიტანდა და ერთობოდა ჩემთან თამაშით.

ერთხელ სათვალე ოთახში დამრჩენოდა და მის მოსატანად რომ წამოვედექი, მითხრა:

— რად გინდა სათვალე, გააგორე კამათელი, მე გეტყვი და შენ ქვები დაალაგე. დროს ნუ დავკარგავთ, კარგი გრილი ნიავი ჰქრის. სასიამოვნოა კამათლის გაგორება.

— კარგი, ბატონო, მაგრამ თქვენ შეწუხდებით.

— არა უშავს. თამაშის სიამოვნება გამოისყიდის შეწუხებას.

ვაგორებ კამათელს, ბატონი ილია მკარნახობს, მე ქვებს ვალაგებ. მოვიგე პირველი პარტია. მოვიგე მეორეც. და მესამე რომ უნდა დაგეწყო, შევატყვე, წინანდელ ხასიათზე აღარ იყო.

— ისე, უსათვალოდაც კარგად რომ აგორებ, ესაა მთავარი, თორემ მე კარნახში შეცდომა არ მომდის. — თქვა შეღონებული თუ შეწუხებული ხმით.

— მე, ბატონო ილია, ჭადრაკს უფრო ვეტანები, ვიდრე ნარდს. მე ვაგორებ, თქვენ მკარნახობთ ხან დუშაშს, ხან დუბეშს. დალაგებაში არც მე მომდის შეცდომა. ახლა ვეცდები შეცდომით დავალაგო.

— კარგი, კარგი. ახლა გაგორება ჩემია. და ამ გაგორებას მოგება მოყვა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ უცებ როგორ გახალისდა, გამოიცვალა ეს ვეება კაცი. ადამიანის ბუნება, როგორი დიდიც და პატარაც არ უნდა იყოს, ნიუანსებითაა სავსე. რაც ზედაპირზე არ ჩანს, დეტალში ვლინდება.

ზღვისპირა პლაჟზე საღამოობით გავდიოდით. ერთობოდა ზღვიდან ამოსვლის და შემშრალების შემდეგ თბილ ქვიშაში კოტრიალით. მუხლებზე და შიშველ ფეხებზე ბლომად შემოიყრიდა და ნებიერობდა. სულ სამი ასეთი საღამო გავატარეთ ერთად.

შტრიხები პირველი საღამოს საუბრებიდან:

— რა მინდოდა ვარნაში, როცა ამგვარი ქვიშიანი პლაჟი, სუფთა ნაპირი და გრილი ნიავი შეზავებულად ბულგარეთის არც ერთ საზღვაო კურორტზე არ არსებობს. რაც აქა ვარ, თავის ტკივილები გა-

ჭიქრა. ნაყოფიერად ვმუშაობ. მოხიბლული ვარ პირდაპირ. — თქვა ბატონმა ილიამ.

მე ჩემი ავადმყოფობის ისტორია მოვუყევი. ვაჩვენე ის ადგილი პლაჟზე, სადაც საათობით ალუმინის საკეც ლოგინზე ვიწექი მოხუცი დედის მეთვალყურეობით. — მეექვსე წელია, რაც აქ დავდივარ, — უფრო დაეაკონკრეტე საუბრის თემა, — ჩამოვდივარ დაღლილი და გაკაჟებული ებრუნდები. აქ მოსასვლელი გზა, ახლა რომ მოკირწყლულია, ფეხით მოსიარულეთათვის გაუვალი იყო. აი, ტურბაზის იმ ღობემდე წყალი უნდა გადაგეცურა. ქალაქის ხელმძღვანელობისათვის მე საცდელი კურდღელი აღმოვჩნდი. ჩემს გამოკეთებაში დაინახეს მალთაყვის სარგებლიანობა და სიკეთე. ორი წელია, რაც ეს გზა გააკეთეს, საჩრდილობლები, კარვები, ფიცრის გრძელი სკამები დადგეს. ნელ-ნელა წავა კეთილმოწყობა.

— ჩვენი საერთო უბედურება საკუთარი სიმდიდრის დაუფასებლობა და გამოუყენებლობაა. შორეულ ჰორიზონტებს უფრო მივესდევთ, ვიდრე ახლობელ ბორცვებს. მათემატიკური სიზუსტე და თანმიმდევრობა გვაკლია.

— დასაბამიდან რა უფრო სჭარბობდა საქართველოში, ბატონო ილია, მათემატიკური მიდრეკილება თუ პოეტური ნიჭი?

— რასაკვირველია, პოეტური. აქედანაა ხუროთმოძღვრული ძეგლების მეტი სიდიადე და სილამაზე, ვიდრე საკუთარი კარ-მიდამოსი. ევროპაში ვერ ნახავ ეზოს, ბაღნარს არ ჰგავდეს. გაიელი ჩვენს სოფლებში და ზოგან ჰიშკარიც კი მორღვეულია. ჩვენს ბუნებაში თავიდან ინდივიდუალიზმი კოლექტივიზმის ჩრდილქვეშ ღვივდებოდა. ეს იმიტომ, რომ გარეშე მტრებს მუდამ გაერთიანებული ძალით ვებრძოდით.

— ამ შემთხვევაში ჩვენთან, ალბათ, კომუნისტური იდეალი უფრო მეტერგო კოლექტივიზმის პრინციპს და სწრაფადაც ავითვისეთ, მაგრამ ბოლო წლებში უკუსპობადი პროცესი ასევე სწრაფად ვითარდება.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— პირველ რიგში მექრთამეობა. აქ, ამ პლაჟზე, თბილისიდან ჩამოსული სტუდენტი ახალგაზრდებისაგან რას არ გაიგონებ. წევხარ ქვიშაზე, არავინ იცის, ვინ ხარ. ისინი ერთმანეთს გულახდილად უზიარებენ გამოცდების განცდებს, ასახელებენ გვარებს, ჩვენს ნაცნობ კოლეგებს, უნივერსიტეტის სახელს ლაფში სვრიან. სიმართლე

აქ — ქვიშაში იმარხება, იქ — ბოროტება ჰყვავის. რადიკალური ამოკვეთა არ ხდება.

— მექრთამეობა ბოლო წლების გლობალური მოვლენაა და მარტო ჩვენი უნივერსიტეტი მას რადიკალურად ვერ შეებრძოლება.

— მაშ, რა შეაჩერებს საზოგადოების ზნეობრივ გახრწნას?

— მხოლოდ გლობალურად ზემოდან ძირისძირამდე რადიკალური ერთობლივი მოქმედება. მაგრამ ზემო ფენებში ამაზე ფიქრი გამორიცხულია. ხომ გაგიგონია — თევზი თავიდან ყარსო...

შტრიხები მეორე საღამოს საუბრებიდან:

— მაშ, მალთაყვის მზის მცხუნვარებამ ლექსების წერაც დაგაწყებინა, სიჭაბუკე გაგახსენა, არა? — თქვა ბატონმა ილიამ.

— ლექსებს სიჭაბუკეში თქვენც წერდით, ალბათ.

— კი, მოწაფეობის დროიდან.

— აქვეყნებდით?

— არასოდეს. იმ დონემდე არ ადიოდა და მათემატიკას გავყევი. როგორ მთავრდება ბოლო სტროფი? წუხელ ვიხსენებდი. აი, მაგალითად: „მალთაყვის მზევ, ყოველ დილით, როს სხივებს ჰფენ ველად. უძლური და ფერმიხდილი შენგან ვითხოვ შველას". დასაწყისი ასე არ არის? გულით არის ნათქვამი, უბრალოდ და მომეწონა.

— გუშინ იმ წლის ამბავს გიყვებოდით და იმიტომ ვთქვი, თორემ რა მოსატანი იყო.

— ბოლო, ბოლო სტროფი მითხარი.

— თუ დავფარე შენი ვალი, მაშინ მკითხე: — ვინ ხარ? და აქ ჩემი ნატერფალი შემინახე დიდხანს.

— ხომ გითხარი, კარგია. ვალის დაფარვაში რას გულისხმობ? მალთაყვის მზეს უძღვნი ლექსს და მზეს რით გადაუხდი ვალს?

— მარტივად. მალთაყვა ფოთის შემადგენელი ნაწილია. როცა აქ ოთხი თვე ვმკურნალობდი, აქაური რადიოგადაცემების მოსმენისას ჩემი ყურადღება მიიქცია თბილისზე, ქუთაისზე და ბათუმზე შექმნილმა სიმღერებმა. შემშურდა მათი. ფოთზეც იყო სიმღერა, მაგრამ ვგრძნობდი, მისი მომავალი მშვენება — მალთაყვა აუცილებლად უნდა შესულიყო სიმღერის ერთ-ერთ კომპონენტად, როგორც თანამედროვე ფოთისათვის განსაკუთრებულად ნიშნეული. აი, ამ იდეამ დროებით კვლავ დამაბრუნა სიჭაბუკის დროინდელ პოეტურ გატაცებასთან.

— ლექსი დაწერე, მაგრამ სიმღერა?

— სიმღერისათვის მელოდიური მოტივის შექმნა ვთხოვე ცნობილ კომპოზიტორს, შოთა ჯოჯუას. მან 1967 წელს მართლაც დაწერა ფოთისადმი პატივისცემით მუსიკალური ნაწარმოები. იგი პირველად შეასრულა ფოთის კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა არჩილ ხორავას ხელმძღვანელობით. საქართველოს რადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქციამ არაერთხელ გადასცა ეს სიმღერა ეთერში. ფირი საჩუქრად გადავეცი ფოთის რადიოგადაცემათა რედაქციას და იქ ინახება. ქალაქში რამდენიმეჯერ გადაიცა კიდეც. აი, ამით გამოვხატე მალთაყვის მზის ვალის დაფარვა.

— ძალიან საინტერესო პატრიოტული მაგალითია. ლექსი თუ გახსოვს, მთლიანად ან ნაწყვეტი. სხვა რომ არა იყოს, ფოთელების დეპუტატი ვარ და უნდა ვიყო ასეთი კულტურული წამოწყების საქმის კურსში.

— ყოველთვის ვემალებოდი საკუთარი ლექსის ვინმესთან წაკითხვას. ახლა თქვენს რექტორობას დეპუტატობა დაემატა და ოფიციალურობა ორმაგი გახდა. სხვა რა გზა მაქვს. მაგრამ წინდაწინ თავი უნდა დავიზღვევო მოსალოდნელი დაწუნებისაგან. სიმღერაში მუსიკის ავტორია უფრო პატივდებული, ვიდრე ტექსტის. ეს ტექსტი შეფარდებულია მუსიკოსის სიმღერის მოტივთან.

— აქ ჟიური არ გვყავს და არც სიმღერას ვისმენთ. ზღვისპირზე თავშესაქცევად სიმღერის ტექსტიც საკმარისია.

— კი ბატონო.

სიმღერა ფოთზე

სადაც რიონს ზღვა იხუტებს
ღურჯ ტალღების ნარნარებით,
იქ ახალი გაჩნდა მხარე,
მოდი, გული გაიხარე,
ნახე ფოთის ბაღნარები!

ეს ქალაქი ძველთაძველი
საქართველოს ჭიშკარია.
მის ახალ და ნათელ გზებზე
მედეას კვალს სანთლით ვეძებ,
დავდივარ და მიხარია!

ნავსადგურთან თეთრ თოლიას,
ჯით პეპელას, გინდა სდიო.
აქ გიტაცებს ყველაფერი,
მაგრამ ზღვიდან მონაბერი
სულ სხვა არის მაინც სიო!

შენს სიყვარულს შევცქერი,
ამ მალთაყვას კი — ვერაო.
აშენდება, დამშვენდება,
მალე წვალკოტი გახდება
ჩემი ფოთის რაიონიო.

ეს ქალაქი ძველთაძველი
საქართველოს ჭიშკარია.
მის ახალ და ნთელ გზებზე
სიხაბუკის ლანდებს ვეძებ,
დავდივარ და მიხარია!

— კონსტანტინეს რვატომეულის განხილვა რომ გქონდათ, თქვენი მოხსენების თემა რა იყო მაშინ?

— კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკა.

— **ახლა გამახსენდა**, გვერდით მეჯდა პრეზიდიუმის მაგიდასთან და ჩამილაპარაკა, დღემდე არავის განუხილავს ჩემი პუბლიცისტური წერილები, ამ კაცმა პოეტურად გადმომილაგა, ლექსებს ხომ არ წერდა, თუ იცით. თქვენ ყველა მონაცემი გქონიათ ამ მიმართულებით და არ ნანობთ?

— თუ ბატონმა კონსტანტინემ ჩემს მოხსენებაში პოეტური ელემენტები შენიშნა, სანანებელი არაფერი მაქვს. პირიქით — სტიმულის მომცემია ჩემი გეზის გასაგრძელებლად.

— რაში გამოიხატება ეს გეზი?

— დაწყებული მეთოდიკური სახელმძღვანელოდან ყველა მეცნიერულ-კრიტიკულ ნაშრომში მეტ-ნაკლებად ვცდილობ შევიტანო რაღაც პოეტური ფრაზა, ლოგიკური აზროვნება შევაფერადო პოეტიზირებული საღებავით. ერთმა უგუნურმა დამიწერა გამკილავად — დახეთ, სახელმძღვანელოს პოეტიზაციას ახდენსო. ის კი არ იცოდა, ამ შემთხვევაში ევროპეიზმის, აზრის ესთეტიზაციის პრინციპიდან, მისი სტილობრივი ხაზიდან ამოვდიოდი. ამაში ვხარჯავ ჩემს პოეტურ პოტენციალს. სხვანაირად, პოეტური სული თან დამდევს ორეულივით და, ალბათ, სიბერემდე გამყვება.

— ეს მეცნიერისათვის დიდი პრიმატია.

— ლოგიკურობისა და ემოციურობის ჰარმონიზებისაკენ სწრაფვა ჩვენთვის თანამედროვეობიდან მომავლისკენ მიმართული გარდუვალი გზაა. წინაპართა ნაკვალევი და ტრადიცია ამ სფეროში აუცილებლად უნდა აღდგეს. ეს ჩემი ფარული რწმენაა. თუ ოდესმე შესაძლებლობა მომეცა, ხორცს შევასხამ სანუკვარ იდეას. მხოლოდ თქვენთან ვამხელ ამ მრწამსის საიდუმლოს.

— მალთაყვის პლაჟი იყოს ჩვენი საიდუმლოს მფლობელი და შემნახველი, ა, ასე. — თქვა ბატონმა ილიამ გაღიმებით და, ვითომდა ფიცის ნიშნად, შიშველი ფეხებით ქვიშა დატკეპნა...

შტრიხები მესამე საღამოს საუბრებიდან: ვდგავართ კარვის კიდესთან ჯოხებზე დაყრდნობით.

— არ დამავიწყდეს, 24 ივლისს, საზღვაო ფლოტის სადღესასწაულო ზეიმი ჰქონიათ. ადმირალმა ადიუტანტი გამომიგზავნა. უნდა ვეწვიოთ. მანქანა მოგვაკითხავს დილის ათ საათზე. მზად იყავი.

— მე რა საჭირო ვარ, ბატონო ილია, თქვენ უნდა ეწვიოთ როგორც საპატიო სტუმარი.

— არა. ერთ სახლში ვცხოვრობთ, ერთად ვმუშაობთ, სტუმრადაც ერთად უნდა ვიყოთ.

— წინანდელ ადმირალს ვიცნობდი. საბჭოთა კავშირის გმირი იყო — პახალშჩუკი. ყოველ დილით აქ, პლაჟზე, 6 საათზე მანქანით მოდიოდა, გაიხდიდა და ტრუსის ამარა დარბოდა აქედან ეგერ, ე, გრეიპფრუტის მეურნეობის საზღვრამდე. რვაზე, როგორც წესი, მიდიოდა.

— ახლა, მგონი, სხვა არის. არჩევნების დროს გამაცნეს. ჯარში გიმსახურია? — მკითხა უცებ.

— მთელი ომის პერიოდი. ასეულის მეთაური ვიყავი უფროსი ლეიტენანტის ჩინით. ბრეჟნევმა გაიხსენა ომის ოცი წლისთავი და რაღაც მემუარების წერა დაიწყეს მარშლებმა და გენერლებმა.

— არა. ომში ჩვენი გამარჯვების დავიწყება არ მოხდება. მთელი მსოფლიო ამაყობს საბჭოთა ჯარის უძლეველობით. რომელ მარშრუტსა და განედებზე ხარ ნამყოფი?

— ომის დროს?

— არა. ახლა, მიმოსვლა რომ დაიწყო მერე.

ჯოხი მოვიმარჯვე და ქვიშაში ყვარყვარესავით დავიწყე მარშრუტის ხაზების გავლება: თბილისი-მოსკოვი, მოსკოვი-თბილისი, თბილისი-ფოთი, ფოთი-სუფსა-სამტრედია-თბილისი, თბილისი...

— მოიცა, ნუ ხაზავ, მე გეკითხები უცხოეთის რომელ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— არცერთში. — ვუპასუხე.

— როგორ. ჩვენთან ხომ არსებობს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილება, ხელს გიშლიდნენ? ჩავალ თუ არა, გამოვიძახებ მის გამგეს. ეს როგორ მოხდა, ამდენ ხანს დარჩი ტურისტული მოგზაურობის გარეშე?

სერიოზულად, გულმოსვლით, ცოტა აღშფოთებით ლაპარაკობდა ბატონი ილია. მე გამეცინა.

— ჯერ ერთი, ბატონო ილია, გულით ავადმყოფი ვარ და ვერიდები. ამიტომ უცხოეთის განყოფილება არაფერ შუაშია. მეორე — ტურისტული მოგზაურობისათვის საამისო ფული არ მრჩება. და მესამე — რატომღაც არ მიზიდავს. ამბობენ, სამოთხეს ჰგავს იქაურო-

ბაო. არ მინდა გული ავიყარო სამშობლოზე, საქართველოზე, გაორებული კაცის ნიღბით ვიარო.

— შეხედულება კი მართლა შეგეცვლება და თქვენ სადღაც მართალი უნდა იყოთ...

...24 ივლისს ნაბადის ყურეში საზღვაო ფლოტის ზეიმის დამთავრების შემდეგ მეთაურთა ბანკეტიდან შინ რომ დავბრუნდით, ბატონმა ილიამ ოთახის კარამდე მიმაცილა, ლოგინზე ტურბაზის ბიბლიოთეკიდან ნათხოვი „მნათობის“ წინა წლის ნომრები ეყარა, შენიშნა, აიღო ერთი მათგანი (№-11) და უცებ მკითხა:

— რა არის ამ ნომერში ყველაზე საყურადღებო? თან დაუმატა: ლიტერატურას ჩამოვრჩი, ვერ ვასწრებ ყველაფრის წაკითხვას. მე ვუპასუხე: — ოთარ ჭელიძის ლექსები. უზარმაზარი ფანტაზიის მფლობელია. ამის თქმაზე ჩაკეცილი გვერდები გაშალა, „მოხეტიალე კუნძულიდან“ წაიკითხა პირველი სტრიქონები, მერე განიმეორა: „გამომწვარია გულის ღუმელში და ნახშირივით წმინდაა იგი“. — ორიგინალური ფრაზაა, ნიჭიერი პოეტი ჩანს. თქვა ეს და დაღლილობის გამოხატვით ჟურნალი თან გაიყოლია წასაკითხად...

გ. ჭილაშვილის დეპეშა როცა მიიღო და თხოვდა ჩამობრძანებას, გაჭირდუვალი გახდა, რომ ბატონი ილია 30 ივლისს უნდა გამგზავრებულიყო. ერთი დღით ადრე, 29 ივლისისათვის, სადილად დავპატიჟე ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ რესტორან „ფაზისში“, რიონის ნაპირას. სხვა სხვაა, ღომში ჩახარშული სულუგუნით გაკეთებული ელარჯი მაინც ჩვენებური სუფრის თავისებური კოლორიტია. მარტო ხომ არ დავჯდებოდით! გარემოებათა გათვალისწინებით სუფრა 10—15 კაცზე იყო გაანგარიშებული. ყველა ატრიბუტის ჩათვლით ფული წინასწარ გადავიხადე (ადრინდელთან ცოტა გადიდებული, მაგრამ მაინც მისაწვდომი) და გულარხეინად მეორე დილის კარგ ამინდზე ვოცნებობდი. დამპირდნენ, მანქანას გამოგზავნიდნენ აქეთ-იქით სამგზავროდ.

29 ივლისის დილიდან ისევ თავის საწერ მაგიდასთან აივანზე მუშაობას განაგრძობდა. პირველი საათი სრულდებოდა. უცებ წამოდგა მაგიდიდან, მხრები და ხელები შეათამაშა დაღლილობის განსაქარვებლად, ჩემი ოთახისკენ წამოვიდა და აივნიდან ჩემ შემოკავებულ ეზოს გადახედა, თითქოს პირველად შეენიშნოს.

— ჩვენ რომელ საათზე უნდა ვიყოთ ქალაქში? როგორ დაეთქვით გუშინ? — მკითხა დაფიქრებით.

— ორზე, ბატონო ილია, სადაცაა მანქანა მოვა, გზისკენ მიჰყრავს თვალი.

— წავალისში ჩვენთან რატომ არ აიღე ნაკვეთი, ახლა შორიდან ნარგავებზე დარდი ღამე არ გაწუხებს? მე ჩემი ხელით დარგულის ერთი ტოტიც რომ მოტეხილი დამხვდეს, ალბათ...

— ტოტიც მხვდება მოტეხილი და ძირიანად ამოგდებულიც, — შეავწყვეტინე პასუხად სიტყვის გაგრძელება ბატონ ილიას, — კოღოები ხომ ძილს მიკარგავენ, მაგრამ მაინც მინდა როგორმე დავამთავრო და შიგ შევიდე. ნაკვეთი აქ თქვენი შუამდგომლობით გამომიყვეს. თქვენი და მწერალთა კავშირის. ეს აქაური არქიტექტორების ე. კუჭავას და ლამარა ნოდიას პროექტით აშენებული პირველი სიმბოლური სააგარაკო სახლი იქნება მალთაყვაში, თითქოსდა, თავისთავზე პასტერისებური საექსპერიმენტო ცდებისთვის გამიზნული ნაგებობა, პირადი მაგალითის პირველი ნიმუში. ჩემი ერთადერთი მიზანია მისი სახელის განდიდება ჩემებრ ავადმყოფთა და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის. ზედიზედ შარშან და შარშანწინ გამოსული სამი წიგნის ფული არ ეყო. ახლა „მერანში“ გამოდის ერთი წიგნი და იმით, მგონი, უნდა დავასრულო[1].

— ჰოდა, გადავდოთ სადილი შემდეგი ჩამოსვლისათვის. — მომიჭრა უცებ სიტყვა ბატონმა ილიამ.

— შეკვეთა მიცემული მაქვს. ქალაქის ხელმძღვანელობიდან იქ შეიკრიბებიან. თქვენ, ბატონო ილია, რამდენიმეჯერ დამპატიჟეთ, მე დაგეთანხმეთ იმ იმედით, რომ საშუალება მომეცემოდა ჩვენებური ადათ-წესით სამაგიერო პატივისცემა გამომეხატა. ეს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს ორიეს და...

— არა, ასე შორს ადათ-წესების გახსენებისკენ ნუ წავალთ. ჩვენ ორიევნი სტუმრები ვართ აქ და ისე უნდა ვექცეოდეთ ერთმანეთს, როგორც სტუმარი სტუმარს და არა მასპინძელი-სტუმარს. მაგრამ რაკი ადათ-წესზე მიდგა საქმე, ა, აგერ შენი დოხორე, შენი ეზო. რა სჯობია აქ დაჯდომას. დავლოცოთ ბარემ დოხორე მამაპაპურად.

იმდენად მოულოდნელად და იმდენად გულწრფელად იყო ნათქვამი ეს სიტყვები, კინაღამ სისხლი ჩამექცა. დაუმთავრებელი სამუშაოებით აყრილ-დაყრილი ფიცრები, გადაუხურავი კედლები,

[1] ლაპარაკია 1968—1972 წლებში გამოცემულ წიგნებზე: „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ სახელმძღვანელო მესამეჯერ, „ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“, „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“ და „ლიტერატურული წერილები“.

აგურის და ცემენტის გროვა, ერთი სიტყვით, სრულიად მოუწყობელი და შეუფერებელი. თან შვიდი კილომეტრით დაშორებულ ქალაქიდან სხვადასხვა სახეობით გამზადებული სუფრის მოტანა არ გინდა?! შემატყო ნერვიულობა თუ არა, გაეცინა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— რაკი შეკვეთა მიცემული გაქვს, ახლა შენ წამოწექი ლოგინზე, მე დავრეკავ და ერთ საათში აქ გაჩნდება ყველაფერი.

— მაგიდა? სკამი? ბატონო ილია, ნუ ვიზამთ ამას, წავიდეთ იქ, კულტურულად, გემრიელად ვისადილოთ. — ხვეწნასავით გამომდიოდა.

— ჰმ, შენი არ მიკვირს? ელარჯს არ დავტოვებ უპმელად. მაგიდასაც გავაწყობთ და სკამებსაც. ფიცრების მეტი რა ყრია ეზოში. ფუძე უნდა დაველოცოთ აქ და არა იქ. მერე როგორი ფუძე — სიმბოლური, სამაგალითო. — თქვა ეს და შელაპარაკების ყველა ზღვარი უკვე ამოწურული იყო.

...ოთხ საათზე მომავალი სააგარაკო ბინის კედლებს შიგნით ფიცრების მაგიდაზე სუფრა გაშლილი იყო. ფიცრების სკამზე ყველანი მოვკალათდით: ქალაქკომიდან ორი მდივანი იყო — მაშინდელი რიგით მეორე და მესამე. ტურბაზის დირექტორს სუფრის გადასაფარებლები და სალფეთქები თან წამოეღო. ჩემი ახლობლებით და სტუმრებიანად თორმეტი კაცი იჯდა. მოგვარებული იყო განათების საქმეც. ღვინო, ლიმონათი, ბორჯომი ჭის წყლით ცივდებოდა... ღამის თერთმეტ საათამდე ვსაუბრობდით, ვილხენდით, ვქეიფობდით.

ყოველგვარ კომფორტს მოკლებულ ამ პრიმიტიულ სუფრაზე ბატონი ილია ვეკუა იჯდა არა აკადემიკოსობით, რექტორობით და დეპუტატობით გალაღებული, გაამაყებული და ცხვირაბზუებული უკარება ვინმე, არამედ ძველებური ადათ-წესების, ჩვეულებების და ტრადიციების დამცველი და გამგრძელებელი, ადამიანი, მოქალაქე, პირველნება, რომელიც თავის ღირსებებს მათემატიკურ თეორემებზე კი არ აფუძნებდა, პირიქით — მისი ყოველი თეორემა ამ ღირსებებიდან იყრიდა ყლორტებს. იგი მყარად იდგა მშობლიური მიწის ფესვებზე, როგორც ანთეოსი და ეს ძალას აძლევდა გადაეტანა დევნა-შევიწროების, საქართველოდან რუსეთში გადახვეწის მძიმე განსაცდელი, კელავ დაბრუნებოდა საყვარელ სამშობლოს.

— ციმბირის მხარეში ხრუშჩოვის მოგზაურობის დროს, — ყვე-

ბოდა ბატონი ილია ერთ ეპიზოდს იმ პერიოდის ცხოვრებიდან, — დამირეკეს ციმბირის აკადემიიდან, თქვენთან პირველი ამპირებს შემოვლას, მზად იყავიო. მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ მანქანებით შემოგრიალდნენ უნივერსიტეტის განიერ ეზოში. მე ჩემი კოლეგებით შესასვლელი კარების წინ, კიბის თავთან დავხვდი. წინ ხრუშჩოვი მოდის, უკან — ელიტა. მას თურმე ვერ წარმოედგინა, თუ რუსეთის ასეთ შორეულ მხარეში, ისეთ სასწავლო დაწესებულებაში, როგორიც ახალდაარსებული ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი იყო, რექტორად ქართველი დახვდებოდა. აკი საქვეყნოდ განაცხადა — კრემლში ამიერიდან „კაცოს“ გაგონება არ მოსდებაო. ეს ნიშნავდა ყველა თვალსაჩინო ადგილებიდან ქართველთა განდევნას. ეს პროცესი დაწყებული იყო. წარმადგინეს როგორც რექტორი, უთხრეს ჩემი გვარი.

— როგორ როგორ, რა გვარი? განიმეორეთ. — მკითხა ჩაციებით.

— ჯაკუა, — ვუპასუხე. წელამდე მწვდებოდა, ტანდაბალი იყო. მე მაღლიდან დავცქეროდი, ის ქვემოდან მომჩერებოდა. ამან მთლად გააგიჟა. მიუბრუნდა სამხარეო კომიტეტის მდივანს და ისტერიკულად ყვირილი დაუწყო.

— ისევ „კაცო“! საიდან მონახეთ და მოიყვანეთ აქ ამ სიმაღლის ზორზოხა „კაცო“. „კაცო“, „კაცო“. არ დავინახო მაგათი ჰაჯანება. არ არის საჭირო შესელა. საკმარისია, რაც ვნახე. — თქვა ეს გაცხარებით და დაბრუნება მოინდომა. რა არ ელაპარაკენ, რა არ უთხრეს, მაგრამ არ გაჩერდა. მადლობელი იმით ვარ, რომ არ ჩამრსულიყო, კიდევ დიდხანს მომიწევდა ციმბირში გაჩერება. ის კი მოხსნეს, მაგრამ მე უკვე ბარგი შეკრული მქონდა. საქართველოდან დეპეშას ველოდებოდი. რა სჯობია საქართველოში ყოფნას. — დაასრულა თავისი მოგონება ბატონმა ილიამ...

1971 წლის დეკემბრის ბოლოს რექტორის გამოძახებით მისმა თანაშემწემ წინასწარ გამაფრთხილა — უარი არ უთხრა, ეწყინებაო. რაზე მეძახოდა, არ ვიცოდი. ამ დროს ზარის ხმაც გაისმა — შედი, გელოდება, არავის შევუშვებ. მართლაც არავინ შემწრსულა. კარგა ხანს დავრჩი. მალთაყვაში ყოფნის შემდეგ სალაპარაკოდ არ შემხვედრია და არც არასოდეს შევდიოდი რექტორებთან გამოძახების გარეშე. მიმიღო თბილად, მიკითხე-მოკითხეით. შორიდან მიელიდა, ეატყობდი.

— ამ რამდენიმე ხნის წინათ დავით კობიძე იყო ჩემთან და მიამბო ფილოლოგიის სამეცნიერო საბჭოზე ერთი დისერტაციის დაცვის უცნაური ეპიზოდის შესახებ.

— ჩემზე საჩივარია რაიმე შემოსული? — ვკითხე გაოცებით.

— არა. — თქვა ბატონმა ილიამ და დაიწყო დავით კობიძის ნაამბობის გადმოცემა, რაც შეიძლება დაწვრილებით. მეც ნაამბობის ნაამბობს გადმოგცემთ, რაც შეიძლება შემოკლებით.

— დისერტანტს ოთხი ოპონენტი ჰყავდაო, მითხრა. განვეწყეთ დადებითი ხმის მისაცემად. თქვენ თურმე ჯერ ორიოდე შეკითხვა დაგისვამთ დარბაზიდან დისერტანტისათვის და მისი მოგუგუნე ხმა უმალ მოდუდუნეს დაემსგავსაო. მერე, — განაგრძობდა ბატონი დავითი ამბის თხრობას, — გამოვიდა არაოფიციალური ოპონენტის როლში და გაგვაოცა ყველა. ზეპირად, რაიმე მასალის მოშველიების გარეშე, დამაჯერებლად ქვაქვაზე დაადუღა, არარაობად აქცია დისერტაცია. ნუ შეეცდებით ჩაიხედოთ დისერტანტის მეცნიერული კვლევის ვიწრო თუ ფართო ლაბირინთებში, აქ საერთოდ არავითარი ლაბირინთი არ არსებობს იმიტომ, რომ არა აქვს ის სიღრმე, რომელზედაც შესაძლებელია რაიმეს ლაბირინთი წარმოიშვას. — თქვა ეს და შეგვატრიალა უარყოფითისკენ. მონუსხულებივით ვუსმენდით. მერე წუთით შეჩერდა და ჩვენი, საბჭოს წევრების, მისამართით თქვა:

— დაცვის დღევანდელი დღე შემთხვევით არ არის შერჩეული. ბჭალ პირველი მაისია — საზეიმო-სადღესასწაულო დღე. დისერტანტი ნამუშევარია განათლების სისტემის ხაზით. მართალია, როგორც დაინახეთ, მისი ნაშრომი ღირსი არ არის საძიებელი სადოქტორო ხარისხის მიკუთვნების, ვაკი არაფრით არ დაამტკიცებს თარგმნის გარეშე, ხოლო თარგმანი უნივერსიტეტს ს ა ხ ე ლ ს გაუტეხს. ამიტომ უპირველესად ვთხოვოთ დისერტანტს ვაკში მასალების გაგზავნისას გააკეთილშობილოს ნაშრომი[1]. ხოლო საბჭოს წევრებს გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ დისერტანტის დაჟინებით სურვილს და ფრთა შეავსხათ მის ოცნებას, რათა კმაყოფილი შეხვდეს ხვალინდელ დღესასწაულს. მე პირველი ვაძლევ ხმას საჯაროდ და თქვენც მოგიწოდებთ ასე მოიქცეთ. და ისევ შევტრიალდით დადებითობისკენო. ასე

[1] გაკეთილშობილება ვერ მოხერხდა და ვაკმა მართლაც არ დაამტკიცა ჩვენი საბჭოს 1971 წლის 30 აპრილის დადგენილება.

გვატრიალა წალმა-უკუღმაო. ყვებოდა ამ ამბავს ბატონი დავითი და ბევრი მაცინა. მე ახლა შეიძლება მთლად ისე ვერ გადმოგცეთ, როგორც ჰყვებოდა, მაგრამ დაახლოებით მგონი ასე უნდა ყოფილიყო. მართალია? ასე იყო? — მკითხა ბოლოს.

— ბატონი დავით კობიძე ირანული ფილოლოგიის დიდი სპეციალისტია და სიუჟეტის გადმოცემაში არ შეცდებოდა. ძირითადი ჩონჩხი სწორია. ნამეტანი გაზშირდა უმდაბლესი დონის დისერტაციები, პირდაპირ აუტანელი ხდება. მაგრამ ამ არასასიამოვნო ამბავს რატომ მახსენებთ? რასთან დაკავშირებით? — ვუპასუხე მოკრძალებით.

— მე მჭირდება თქვენი პირუთვნელი სიტყვა ერთ დისერტაციაზე და ძალიან გთხოვთ უარი არ მითხრათ.

— ვინ გყავთ მხედველობაში, ბატონო ილია, იქნებ ვიცნობ. მაშინ უფრო გამიადვილდება თქვენი თხოვნის შესრულება.

— ვინდა, თქვენივე საბჭოზე ჩავარდნილი სადოქტორო დისერტაცია კონსტანტინე გამსახურდიაზე, მირეკავს გამუდმებით.

როგორც კი დაასახელა თემა, მაშინვე ნემსნაჩხვლეტივით წამოვხტი და სიტყვა-სიტყვით მოვახსენე ბატონ ილიას:

— ჩვენ საბჭოზე იმ დისერტაციის განმეორებით დაცვა ასე მოკლე დროში, გადაკეთების და გადამუშავების გარეშე, რანაირად შეიძლება. მე თვით ვესწრებოდი დაცვას და ვიცნობ საბჭოს განწყობილებას. ახლა როგორ შემიძლია კოლეგები გადავიკიდო და ჩაუდენელი ჩავიდინო. მირჩევნია თქვენ მემდუროდეთ, ვიდრე გავტეხო ობიექტურობის და სამართლიანობის მრწამსი, ნდობა და პრინციპი.

— დაბრძანდით. თქვენს საბჭოზე არ მოხდება განმეორებითი დაცვა. ეს მე გავითვალისწინე.

— აბა, როგორ, რა პირობებში?

— გამოსავალი ახლა ერთადერთია. „ვაკმა“ დამიმტკიცა ჩემი მოთხოვნა. შევქმენი საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული დარგის საბჭო, ფილოლოგიის საბჭოზე უფრო მაღალი ინსტანცია, რომლის დადგენილება დაედება საფუძვლად ვაკის გადაწყვეტილებას. ამ საბჭოზე მოწვეული იქნებიან წინანდელი ოპონენტებიც. მაგრამ საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული საბჭო მოისმენს მხოლოდ თქვენს, ე. ი. საუნივერსიტეტო საბჭოს მიერ გამოყოფილი ოფიციალური ოპონენტის რეცენზიას. მე გავუწევ საბჭოს თავმჯდომარეობას და როგორი დასკვნაც. თქვენ გექნებათ — უარყოფითი თუ დადებითი, ისე გა-

დაწყდება. თქვენ სიტყვას დაეემყარებით. ეს უდიდესი ნდობაც არის და, ვიცი, თქვენ უმძიმესი მდგომარეობის წინაშე გაყენებთ. მაგრამ მე დამდეთ პატივი, იკისრეთ ეს საპატიო მოვალეობა და განთავისუფლებთ რაიმე მიკერძოებისაგან.

— ბატონო ილია, ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია. თქვენ კონსტანტინე გამსახურდიას გამო მიდიხართ ამგვარ არაორდინალურ ნაბიჯზე და არა დისერტანტის საპატივცემლოდ. მაგრამ უნდა შეეთანხმდეთ, კ. გამსახურდია ამ შემთხვევაში დისერტაციის თემაა და სამეცნიერო ხარისხი ენიჭება არა მწერალს, არამედ ამ მწერალზე დაწერილი დისერტაციის ავტორს. ამ ავტორის დისერტაცია კვლავ ჩავარდება, თუ დაცვას კვლავ დაესწრება მწერალი. ამიტომ ერთადერთ პირობას ვითხოვ თქვენგან — არ მოვიდეს ბატონი კონსტანტინე დაცვაზე, დანარჩენი ვნახოთ.

— ა, ახლა კი მიეაგენი მიზეზს. მისმა დასწრებამ უარყოფითად იმოქმედა?

— რა თქმა უნდა.

— რატომ, რა მოხდა?

— გამოვიდა სიტყვით და ისედაც მდარე დისერტაციის ავტორს საქმე გაუფუჭა.

— რა თქვა ისეთი?

— ლაპარაკი დაიწყო იმაზე, თუ როგორ გააწნა სილა თბილისიდან „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილი საპასუხო წერილით ვიქტორ შკლოვსკის — ცნობილ რუს ლიტერატურისმცოდნეს, როგორ გადაიგრიალა ამ პასუხის ძლიერმა ექომ გრუხუნ-გუგუნით კავკასიონის მაღალი ქედი, როგორ შეულეწა მოსკოვში შკლოვსკის ქარ-ფანჯრები და, ბოლოს, როგორ მიუგრიხ-მოუგრიხა მას ცხვირ-პირი და ორივე ყბა. არ მოეწონათ ბაქი-ბუქობა და...

— გასაგებია. პირობას გაძლევთ, კონსტანტინე არ იქნება დაცვაზე.

— რამდენი მეძლევა დრო რეცენზიის დაწერისათვის?

— ორი თვე გეყოფათ?

— კი.

— მაშ, შეეთანხმდით.

1972 წლის 13 მარტს დაინიშნა საუნივერსიტეტო საგანგებო სამეცნიერო საბჭოს პირველი და უკანასკნელი სხდომა ბატონ ილიას თაოსნობით. საკითხი დადებითად გადაწყდა. რექტორი დი-

დად კმაყოფილი დარჩა, მწერალიც, დისერტანტიც. ადრე შავი ხმის ზოგიერთი ფარულად მიმცემი კი ნამდვილად გამინაწყენდა. ამით მაინც გამოავლინეს თავიანთი თავი. შეუძლებლის გაკეთება შეეძლო ბატონ ილიას. მისი დიდი ადამიანობის ნიშანია ეს.

...1969 წლის იანვრის ბოლოს ბესარიონ ჟღენტი მწერალთა სასახლის ასასვლელ კიბესთან შემხვდა და მითხრა: — ხვალ 12 საათზე აქ იყავი, მიმღები კომისიის სხდომა გვაქვს, ეგებ დაგვჭირდე და გამოგიძახოთო. ამის მოსმენა და უმალ ვუპასუხე: — ბატონო ბესო, ახლა რაღა დროს ჩემი მიღებაა, ფეხი სიბერისკენ გადავაბიჯე-მეთქი. ჭაეცინა და კვლავ განიმეორა — მოდი უეჭველადო. მიმღები კომისიის მდივანი მაშინ ცნობილი პოეტი ქალი მარიჯანი იყო. ერთხელ გაღიმებით შემომჩივლა: — დავიღალე შენი პირადი საქმის კარადიდან გამოტანით და კომისიაზე წარდგენით. არ ვიცი პირდაპირ, რას კეკლუცობენო. კენჭისყრამდე საკითხის განხილვა არ მიდიოდა. მიზეზი? გაგეცინებათ, მაგრამ ხანდახან სიცილი შვების მომგვრელია.

დიდხანს ვიკავებდი თავს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის ირაკლი აბაშიძის წინადადებაზე კავშირში მისაღებად განცხადების დაწერის შესახებ, 1959 წლის შემოდგომაზე კი ბოლოს მაინც შემადგენინეს პირადი საქმე. სასახლეში შესვლისას ბატონი ირაკლი შემხვდა, კიბეზე ჩამოდიოდა. უცებ შეჩერდა, შენი განცხადება და პირადი საქმე ხომ დევს მარიჯანთანო — მკითხა. არა-მეთქი — ვუთხარი. წამოდი ჩემთანო. მომკიდა ხელი, შეტრიალდა და მეორე სართულზე სერგი ჭილაიას ოთახში შემიყვანა. — სანამ მე ტაშკენტიდან ჩამოვალ, იმ კომისიაში გაატარეთ აკაკი, მე რომ დაგიბარეო. კიო, მაშინვე მიაგება პასუხად სერგიმ და ირაკლი წავიდა. სერგიმ გამოუძახა მარიჯანს და დაავალა — შეუდგინე პირადი საქმე და მოამზადე კომისიისათვისო.

აი, აქედან დაიწყო ჩემი „მომზადების“ და „შემზადების“ ისტორია. ათი წელი სრულდებოდა და ნამეტანი „გადამზადებისაგან“ თუ მომაბეზრებელი გამოძახებებისაგან თავმინებებულს, სკეპტიკური აზრი არ მშორდებოდა, კიდევ გამაპანღურებენ-მეთქი, ვფიქრობდი, და, ცხადია, არ მიცსულვარ.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ოქროსფერად მოვარაყებული საწევრო ბილეთი, რომელშიც მიღების თარიღად 1969 წლის 13 თებერვალი იყო ნაჩვენები, საქართველოს მწერალთა კავშირის ახალმა თავმჯდომარემ, ბატონმა გრიგოლ აბაშიძემ, გადმომცა. მან

მითხრა: — შენი მიღების გაჭიანურების ხელშემშლელი ბარიერი როგორც იქნა მოიხსნა. მოგილოცავ ჩვენს კავშირში ოფიციალურად შემოსვლას.

— რა იყო ისეთი ბარიერი, ათი წელი რომ დასჭირდა-მეთქი. — ხუმრობით ვკითხე. კავშირის უცვლელი საქმეთა მმართველი იროდიონ ქავჟარაძე ამ დროს გრიგოლის ხელმოწერას ბეჭედს არტყამდა.

— მე ოთარ ჯინორიას მიღების ულტიმატუმს შენს მიღებასთან ვუკავშირებდი. ბესო მისი მიღების სასტიკი წინააღმდეგი იყო, ამიტომ ორიევს კანდიდატურა ერთდროულად იხსნებოდა. მე არ ვთმობდი ჩემს პოზიციას, არც ბესო თმობდა თავისას. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სპეციალისტია, საქართველოს მწერალთა კავშირში რა უნდაო. — მიმტკიცებდა. აი, მე დავთმე პოზიცია და საკითხიც სწრაფად გადაწყდა[1].

ხედავთ, პოზიცია-ოპოზიცია საიდან მოედინება თურმე თავისი მღვრიე „ჩანჩქერებით"...

საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1969 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით (№ 267) დამტკიცდა ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს 15 წევრიანი შემადგენლობა და მისი ოპერატიულად მოქმედი პრეზიდიუმი. საბჭოსა და პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა არჩევითობის წესის მიხედვით მე მომანდეს. ათი წელიწადი ვხელმძღვანელობდი ამ საგნობრივ საბჭოს. სასწავლო პროგრამების შედგენა-განახლებიდან ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა-გამოცემის, აქედან სწავლების ხარისხის ამაღლებისაკენ. — ასე გამოიკვეთა ჩვენი საბჭოს კონკრეტულ ამოცანათა წრე, საზოგადოებრივი დატვირთვის მასშტაბი და ეროვნულ-პატრიოტული ასპექტი.

მოკლე დროში სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის დაიბეჭდა და გამოიცა ქართული ლიტერატურის ისტორიის ძველი, ახალი და უახლესი პერიოდების, ქართული ფოლკლორის, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიის,

---

[1] 1980 წლის „მნათობის" პირველ ნომერში (გვ. 135—141) დაბეჭდილ ჩემ სტატიას „ჯვარცმა სხვათა გადასარჩენად (ცოტნეს მხატერული სახის შექმნის გამო)" ბატონი გრიგოლ აბაშიძე ტელეფონის ზარით გამოეხმაურა და მადლობის თბილი სიტყვებით დამაჯილდოვა. ეს იყო მწერლის მხრივ დიდი შინაგანი კულტურის გამოხატულება, რაც მომხიბვლელად შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის, ქართული ენის და ქართული ლიტერატურის მეთოდიკების პროგრამები საბჭოს მიერ განხილული და რეკომენდებული სახით და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ცალკეულ საგანთა სწავლების მდგომარეობის შესწავლა-განზოგადება, სამინისტროს კოლეგიაზე საკითხის გატანა და ქმედითი ღონისძიებების გატარება. ექსი რესპუბლიკური თათბირ-სემინარის დღის წესრიგის შერჩევას, მოსაწვევი ბარათების დაბეჭდვას და დანიშნულებისამებრ დაგზავნას, თვით ჩატარების ორგანიზაციას ცოტა დრო და ენერგია როდი სჭირდებოდა.

იმის წარმოსადგენად, თუ როგორი ურთიერთ კონტაქტები იყო დამყარებული ამ მიმართებით საბჭოსა და გამოჩენილ მეცნიერთა შორის, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი ბარათის ტექსტი: „ბ-ნო აკაკი! გიგზავნით ხალხური სიტყვიერების პროგრამას. შევსებულია უახლესი მასალებით. მადლობას მოგახსენებთ იმის გამო, რომ სასტამბოდ გაგიმზადებიათ უკანასკნელი რედაქცია. ეს საქმე პროგრამის ავტორს უნდა შეესრულებინა, მაგრამ თქვენ დაასწარით მას სულგრძელად. ერთხელ კიდევ ჩახედეთ. იქნებ კიდევ არის რაიმე საჭირო! ამის შესაბამისად თქვენს მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელო, ჩემი ვარაუდით, წელს უნდა გამოქვეყნდეს ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ. პატივისცემით. მიხეილ ჩიქოვანი. 31. V. 74“.

...1968 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ მესამედ გამოსცა „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ წინანდელი ორი წიგნის ნაცვლად გაერთიანებული, ერთობლივი სახით და ამით შესაძლებელი გახდა მისი უფრო ეფექტურად გამოყენება. ამასთან საჭიროებამ მოითხოვა სახელმძღვანელოს, ჯერ ერთი, შემცირება 40 თაბახიდან 25—30-მდე, ხოლო, რაც მთავარია, მისი გადამუშავება და მისადაგება დროის ახალ მოთხოვნებთან. ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გეგმით 25 თაბახი იყო განსაზღვრული, ფაქტობრივად 30 დაიბეჭდა. ხელშეკრულების დამატებით 5 თაბახის ასანაზღაურებლად კომიტეტის ნებართვა გამომცემლობის მთავარ რედაქტორს ელ. სვანიძეს რომ გადაეცი, მან მითხრა:

— ეს ბრძანება რომ არ მოგეტანა, მაინც უნდა გაგეცა თქვენთვის ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით. მე ბუღალტერიას გადავეცი საჭირო ცნობა და იქ მიაკითხეო. მივაკითხე და იქ მითხრეს: დირექტორმა განკარგულება მოგვცა ეკონომიაში. ჩარიცხეთო. ამ

დროს პოეტი-დირექტორი ხუტა ბერულავა დერეფანში შემომხვდა, მომკიდა ხელი და ქვევით ქუჩაზე გამიყვანა, იქ მანქანა უცდიდა თურმე, შიგ ჩამსვა და ჰაიდა... ბატონი დირექტორი მძღოლთან ზის, მე მის ზურგს უკან. ის წინ იყურება, მე მის კისერს მიჩერებული გაოგნებით ვფიქრობ: სად მივყეევარ, რაღაც გაბუტული ჩანს, თან... კიდევ მინდოდა ფიქრის გაგრძელება სიტუაციის გასარკვევად. ამ დროს უკან მოუხედავად პოეტმა-დირექტორმა ჩაილაპარაკა:

— ჩემ მტრებს ახარებ და მე გულს მიკლავ, იარე მაგ გზით, ხუთი თაბახის ეკონომია წარმოებისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე... არ ვიცი რა სიტყვა ჰქონდა გულში მომარჯვებული კიდევ უფრო გასაკიცხად, მე დავასწარი და ფიცხლად ვკითხე:

— რატომ ასე ქარაგმებით მელაპარაკებით, რა მტრები, ვისი მტრები. არც იმ ხუთი თაბახის მინდა და არც იმ ოცდახუთი ფორმისაც. ღირსება უფრო მაღალია ჩემთვის, ვიდრე თქვენი... არა თქვენი პირადი კი არა, სახელმწიფოს პონორარი-მეთქი. ეტყობა ამან იმოქმედა. მოლბა და გამიხსნა ფრჩხილები.

— აბა, ჩემ მტერ ელგუჯა მაღრაძეზე ქება რამ დაგაწერინა.

— როდის მერე გახდა ელგუჯა მაღრაძე თქვენი მტერი, აკი ძმაკაცები იყავით?

— „მნათობის“ ბოლო ნომერი არ წაგიკითხავს? — მკითხა.

— ვერ მოვასწარი. — ვუპასუხე.

— ჰოდა, „ლიტერატურულ საქართველოში“ მიმაქვს წერილი „სიყალბე, მხოლოდ სიყალბე“, ნახავ, მაგათ...

მოხდა საოცარი დამთხვევა. ერთდროულად გამოვიდა „მნათობის“ 1968 წლის ის ნომერი, რომელშიც ცნობილი პოეტი მურმან ლებანიძე აქიაქებდა თანამოკალმე პოეტ-დირექტორს ხუტა ბერულავას, ხოლო ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ ფურცლებიდან (1968, № 11) მე ვაქებდი და ვადიდებდი „მნათობის“ რედაქტორის, ე. მაღრაძის მონოგრაფიას გრიგოლ ორბელიანზე. სრულიად სხვადასხვა პოლუსზე ვიდექით და სრულიად გაუგებარი იყო ჩემთვის მათი პირადი ურთიერთობის ქვეტექსტები. და მაინც, მათ პირადულ ჭიშპობას ხუთი თაბახის ჩემი ხვედრი ჰონორარი შეეწირა.

მაგრამ ამის გამო გულში ხინჯად ოდნავადაც არ ჩამიდვია პოეტის ახირება. პირიქით — ჟურნალ „დროშის“ 1972 წლის მეექვსე ნომერში დაბეჭდილია ჩემი წერილი „სიმღერა და ხალხის გული“, რომელშიც მოთხრობილი მაქვს ხუტა ბერულავას მშვენიერი ლექ-

სის „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძევ“ შემოქმედებითი ისტორია. ახირებები პოეტებისათვის შესანდობია, ჩვეულებრივი მოკვდავთათვის კი — არა...

1975 წლის 12-13 თებერვალს ჩატარებული საქართველოს მწერალთა კავშირის მეთორმეტე პლენუმი თავისი დღის წესრიგით მისი არსებობის ისტორიაში უჩვეულო და განსაკუთრებული იყო. შემოქმედებითი ხასიათის აქტუალური თემატიკის ნაცვლად ორი დღის განმავლობაში იგი განიხილავდა ქართული ლიტერატურის სწავლების მწვავე პრობლემას. მისი მდგომარეობით დაინტერესება პირობადებული იყო ჰუმანიტარული განათლებისადმი იმ ხანებში ფესვგადგმული ნიჰილისტური ტენდენციების წარმოშობით. მწერალთა კავშირის კლუბი ხალხით იყო გაჭედილი.

პლენუმს მწერლების გარდა ესწრებოდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრები თვით მაშინდელი მინისტრის მეთაურობით, მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკები, ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიასახელმძღვანელოების ავტორები, დედაქალაქის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. პლენუმის მუშაობას ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე. სკოლებში ქართული ლიტერატურის სწავლების მდგომარეობაზე ფართო მიმოხილვითი მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი.

პირველი დღის პლენარულ სხდომაზე კამათში პირველი გამოვიდა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. მისი სიტყვის ძირითადი შინაარსი გამსჭვალული იყო ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების საქმეში ქართული მწერლობის, ქართული მხატვრული ლიტერატურის უდიდესი როლის გაშუქების პათოსით და, ამდენად, მაღლა წევდა პლენუმის თეორიულ-მეცნიერულ დონეს. მაგრამ მისი დანიშნულება უფრო პრაქტიკული მიზნებით იყო შემოსაზღვრული. იმავე სხდომაზე რიგით მესამე თუ მეოთხე მოკამათის შემდეგ გამოსვლა მეც მომიხდა სამდივნოს წინასწარ თხოვნით. გამოსვლის სტენოგრამა უცვლელად დაბეჭდილია 1977 წელს გამოცემულ წიგნში „სპეცსემინარის ორგანიზაციის ზოგიერთი საკითხი“.

ჩამოვაყალიბე რა ჩემი სიტყვის მთავარ ამოცანად მოსწავლე-

თა ლიტერატურული განათლების მოცულობის განსაზღვრასთან ერთად მაღალ კლასებში ქართული ლიტერატურის სწორად სწავლებისათვის ისტორიზმის პრინციპის გამოყენების ინტერესების დაცვა, ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებული ვიყავი შევხებოდი პლენუმიათვის მზადების წინა პერიოდში ჩემ მიერ დასმულ საკითხზე გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სადისკუსიო წერილებს.

მიუხედავად კრიტიკული შენიშვნების კორექტულობისა, — ამას მოწმობდა თუნდაც ის ფაქტი, რომ პლენუმის მუშაობის ორი დღის მანძილზე მას არ გამოხმაურებია ჩემ მიერ მიმოხილული აზრების არც ერთი ავტორი, — თვით გაზეთის რედაქციამ და პირველ რიგში მისმა მაშინდელმა რედაქტორმა ჩემ მიმართ სრულიად გაუგებარი, გაურკვეველი პოზიცია დაიკავა.

იქვე, პლენუმზევე, წარმოიშვა ურთიერთ საპირისპირო რეაქცია. განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჩემ გამოსვლაში დაინახა მათ მიერ გამოცემული ქართული ლიტერატურის პროგრამებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის ქრესტომათიების ობიექტური შეფასება, ხოლო „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ — მის მიერ ორგანიზებული „მრგვალი მაგიდის“, ე. წ. „სადისკუსიო დარბაზის“ გაუფასურება. ამ ორმა ტენდენციამ პლენუმის დამთავრების შემდეგ გამოხატულება ჰპოვა, ერთი მხრივ, წახალისებაში, მეორის მხრივ, შეუფერებლობაში.

გაზეთ „სახალხო განათლების“ 1975 წლის 21 მაისის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით ჩემი დაჯილდოების შესახებ, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ კი არ დაბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მოლოცვა დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით. „საშინაო“ ჩუმი მტრობის ელფერი მკაფიოდ გამოჩნდა „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1976 წლის 14 აპრილის ნომრის „საგარეო“ შუქზე, რომლის რუბრიკაში „მივესალმებით იუბილარებს“ აზერბაიჯანელ, რუს, უკრაინელ და სომეხ ლიტერატორთა შორის, ჩემდა გასაკვირად თუ გასახარად, გამოქვეყნებული იყო სურათთან ერთად ჩემდამი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამ-

გეობის სამდივნოს, ქართული ლიტერატურის საბჭოს და კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობის საბჭოს ერთობლივი მისასალმებელი მოლოცვის ტექსტი.

ამასთან დაკავშირებით, აქ არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნო ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის, ბატონ ვახტანგ ჭელიძის მიერ ათი წლის შემდეგ გამოვლენილი საოცარი ოპერატიულობა, გულისხმიერება და ყურადღება. 1986 წლის 14 მარტს მან ზუსტად დაამთხია ჩემი დაბადების დღეს „ლიტერატურული საქართველოს" მორიგი ნომრის გამოშვება, რომელშიც შოთაესებული იყო დაბადების სამოცდაათი წლის აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის უფრო გავრცობილი, გულთბილი მოლოცვა აბსოლუტური ტექსტუალური სიზუსტით, წერტილ-მძიმის შეუცვლელადაც კი, რა თქმა უნდა, სურათის კლიშით. ურთიერთ მიმტევებლობის ეს მაგალითი, ვფიქრობ, მცირედად მაინც ეხმიანება დღევანდელობის მძიმე სატკივარს.

..საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1975 წლის 31 მარტის ბრძანებით (№ 132) შეიქმნა სამინისტროს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო, მისი დარგობრივი სამეცნიერო-მეთოდური სექციები, დამტკიცდა დებულება ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების გრიფის მინიჭების წესების შესახებ (მანამდე ამ ფუნქციას საგნობრივი სასწავლო-მეთოდური საბჭოები ასრულებდნენ). გარკვეული ხნით ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს ხელმძღვანელობასთან ერთად პარალელურად დამეკისრა ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო-მეთოდური სექციის თავმჯდომარის მოვალეობა, რაც ჩემს საზოგადოებრივ დატვირთვას კიდევ უფრო აფართოებდა და ამძიმებდა.

სექციაში გაერთიანდა ქართულ ფილოლოგიაში შემავალი ყველა დარგის სპეციალისტი. ეს საშუალებას იძლეოდა პასუხისმგებლობით მოვკიდებოდით სამინისტროს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოდან გამოგზავნილ შრომებს, რომლებსაც სათანადო გრიფი მხოლოდ სექციის გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭებოდა. ამ ღონისძიებას მოყვა ყოველ ორ წელიწადში სამინისტროს პრემიების ლაურეატების საკონკურსო წესით გამოვლენა საუკეთესო სახელმძღვანელოების შექმნისათვის. სექციის თავმჯდომარის მოვალეობას 1989 წლამდე ვასრულებდი.

სექციაზე განხილული ორმოცზე მეტი ნაშრომიდან[1] ორის მწარე მოგონება დაკავშირებულია 70-იან წლებში სამედიცინო ინსტიტუტში აბიტურიენტთა საგამოცდო პროცესებში გამომჟღავნებულ დარღვევებთან, ინსტიტუტის რექტორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მექრთამეობის ბრალდებით უნივერსიტეტის ორი პროფესორის დაპატიმრების ფაქტებთან. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ე. შევარდნაძე 1974 წლის 16 ნოემბერს რესპუბლიკურ პარტიულ პლენუმზე ამბობდა:

„უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტრომ, პირადად მინისტრმა და სხვა ამხანაგებმა ამ მხრივ კარგად უნდა მოიფიქრონ. ჩვენ ეჭვი არ გეეპარება, რომ მათ აქვთ პრინციპული პოზიცია, შინაგანი სიძულვილი და შინაგანი პროტესტი ყველა ამ მოვლენის მიმართ. მაგრამ გაუგებარია, რომ უნივერსიტეტის ორი პროფესორი დაპატიმრებული და პასუხისგებაშია მიცემული, — და ეს, ამხანაგებო, სრულიადაც არ არის ჩვეულებრივი ამბავი... საჭიროა შევკრიბოთ მთელი აქტივი და ყველა ამხანაგს გავაცნოთ ამის გამო შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა. ჩვენ უნდა განვაწყოთ ადამიანები, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ცალკეული ფაქტების გარშემო“ (გაზეთი „კომუნისტი“, 1974, 17 ნოემბერი).

...მატარებლით სოხუმიდან ჩამოსულს ბინის კართან დილის ცხრა საათზე მოულოდნელად პროფ. ივანე ქავთარაძე დამხვდა. გაოცებისგან კარის გაღება ვერ მოვასწარი, ბატონმა ივანემ შემაჩერა და მითხრა:

— დაგირეკავენ პროკურატურიდან, ძალიან გთხოვ უარი არ უთხრა.

— რაზე, რისთვის?

— საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ ხართ დანიშნული. თქვენი წევრები უკვე ერთი კვირაა პროკურატურაში მუშაობენ. თქვენზე შევსებულია ყველა დოკუმენტი ხელმოსაწერად და უარი რომ უთხრათ, ხელახლა გახდება გადასაწერი.

---

[1] მათ შორის ცნობილი მეცნიერისა და მწერლის, პროფესორ ალექსანდრე კალანდაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ სექციის დასკვნით გამოცემა მისი საქმიანობის და მასშტაბურობის ერთ-ერთი თვალსაჩინო, ნიმუში იყო.

— რა დოკუმენტებზე ლაპარაკობთ, ბატონო ივანე, ჩემთვის გაუგებარია თქვენი სიტყვები.

— თბილისში თქვენი არ ყოფნის დროს სამედიცინო ინსტიტუტის საქმეზე საექსპორტო კომისიებია შექმნილი მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში, და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ უკანასკნელის თავმჯდომარედ დამტკიცებული ხართ ყველა ინსტანციაში. ხომ იცით, მეც ვიყავი ერთ-ორჯერ ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ სამედიცინო ინსტიტუტში. იქნებ რაიმე შეცდომა მომივიდა. დაპატიმრებულებს რაღა ეშველება, მაგრამ ჩემი პერიოდის ნაწერების შემოწმება თქვენი მეთვალყურეობით მინდა ჩატარდეს. მე დამდეთ პატივი და უარს ნუ ეტყვით.

ეს ბოლო სიტყვები ხვეწნას უფრო ჰგავდა, ვიდრე თხოვნას. ივანე ქავთარაძეს ვიცნობდი როგორც ქართული ენის გამოჩენილ სპეციალისტს, სპეტაკს და პატიოსან მეცნიერს, პიროვნებას, რომელმაც დაიკავა დაპატიმრებულის ნაცვლად ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" კვარტალური დამატების — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორის ადგილი და ახლა, რაღაც მოჩვენებითი შიშით შეპყრობილი, მთელ იმედებს თითქოს ჩემზე ამყარებდა. ეს შიში პლენუმზე პირველი კაცის მიერ მინისტრის მისამართით ნათქვამი ზემოთ მოტანილი სიტყვის შემაშფოთებელი, საგანგაშო ტონიდან გამოიძინარეობდა. იგი ახალი ცოცხით ბევრი ნაგავის გაყრას ლამობდა. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, აურზაურის ატეხილ ჰექა-ქუხილში ახალი სიყალბისა და მექრთამეობის, რამდენი ახალი ორგიების გაუშლელი „ნერგი" და „ყლორტი" იფარებოდა.

ივანე ქავთარაძე მომხდარ ფაქტს აღიქვამდა, როგორც საზოგადოებრივი ზნეობის გაწმენდისაკენ მიმართულ რეეოლუციურ ღონისძიებას და სჯეროდა, მისი, როგორც კომუნისტი მეცნიერის, ყოველი მოქმედება მკაცრად იქნებოდა შეფასებული მხოლოდ და მხოლოდ ამ ახალი რადიკალური მოთხოვნების განასერში. 1984 წელს უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ იგი ხმის უმრავლესობით აირჩია ახალი ქართული ენის კათედრის გამგედ. ამ უმრავლესობას განვეკუთვნებოდი მეც, რადგან გაუმართლებლად მიგვაჩნდა, ერთი მხრივ, კონკურსში ყოფილი სტუდენტის დაპირისპირება ალმზრდელ-პედაგოგთან, ხოლო, მეორეს მხრივ, საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ბოლო ათ წელიწადში საერთოდ არ ესწრებოდა

აკაკი შანიძე, მისი მოულოდნელი გამოცხადება და ივ. ჯავთარაძის საწინააღმდეგო სიტყვის წარმოთქმა. კონკურსში გამარჯვებიდან სამი დღის შემდეგ პროფ. ივ. ჯავთარაძე გარდაიცვალა...

ოთახის კარი გავაღე, ხელის დაბანა ვერ მოვასწარი, უცებ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ა, ხომ გითხარი. — თქვა ბატონმა ივანემ. საქართველოს მაშინდელი პროკურორის არონ ტაქიძის თანაშემწემ მაცნობა — მანქანა წამოსულია თქვენ მოსაყვანადო და ყურმილი დამიკიდა...

...რესპუბლიკის მაშინდელ პროკურორს ვაკის პარკიდან ვიცნობდი. თადარიგის გენერალმაიორ ნიკოლოზ თავართქილაძესთან ერთად იგი კვირაობით საღამოს საათებში გამოდიოდა სასეირნოდ პარკის ხეივნებში და ხშირად შევხვედრივარ, გეისაუბრია. არასოდეს მქონია შემთხვევა ჩემი ვინაობა გამეცნო. არც არავისთან არასოდეს მიცდია ჩემი პერსონის რაიმეთი წინ დაყენება. ახლომდებარე სახლებიდან სასეირნოდ ბაღში გამოსულთ, ალბა, ვის რაში სჭირდებოდა პირადობის აფიშირება. კაბინეტში რომ შემიყვანეს, უცებ გაუკვირდა თითქოს, ცოტათი შეცბუნდა, წამოდგა სკამიდან და ოფიციალურად მომესალმა.

— თქვენ თუ იყავით ის პროფესორი, ყველგან, ყველა ინსტანციაში მოწონებით რომ დაგამტკიცეს, როგორც მიუკერძოებელი, მართალი გითხრათ, არ მეგონა. დიდად საპასუხისმგებლო მოვალეობა დაგეკისრათ პარტიისა და მთავრობისაგან. ჩვენი გამოძიება თქვენს დასკვნებს დაემყარება. ალბათ, იცით რაზეა ლაპარაკი.

— თუ თქვენზეა დამოკიდებული, მადლობელი ვიქნები დღესვე გამანთავისუფლოთ პარტიისა და მთავრობის ესოდენ საპასუხისმგებლო მოვალეობისაგან, — ვუპასუხე პროკურორს.

— ეს შეუძლებელია. ერთი კვირაა გელოდებით. თქვენს კომისიასთან გაპიროვნებულია ორი თქვენი კოლეგა პროფესორის საქმეთა გამომძიებელი წულაია. ის ჩაგაყენებთ ყოველი დეტალის კურსში. თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიშობა თქვენს მუშაობაში, შეგიძლიათ პირადად დამიკავშირდეთ...

...გამომძიებელ წულაიასაგან იმ დღესვე დაწვრილებით გაეცა იმ ორი, ე. წ. „კოლეგა" პროფესორის დაპატიმრების ნივთიერ მტკიცებათა „ნუსხა". ამის შემდეგ პირველად ვეუწოდე მათ არამზადები. ე. ი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ თვით აბიტურიენტთა ნაწერების შეჯერწმებას და ჩემამდე კომისიის წევრთა მუშაობის შედეგებს გავეც-

ნობოდი. რა მაძლევდა საფუძველს? სამედიცინო ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიის თავჯდომარეობა რა არი, უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის დაპატიმრებული პროფესორი უნივერსიტეტშიც და საერთოდ მთელ რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების დროს წლების განმავლობაში ითელებოდა ხელშეუხებელ, ყოვლისშემძლე, ე. წ. პრივილეგირებულ პერსონად, რადგან... ყველამ იცოდა, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მაშინდელი პირველი მოადგილის განუსაზღვრელი მხარდაჭერით სარგებლობდა.

ეს სწორედ უბინაო, ნაქირავებ ოთახში ნაცხოვრები ის ასპირანტი იყო, რომელმაც ჩემი რეკომენდაციით და მაშინდელი კანონის დარღვევით (მეხუთე თავის ბოლოში რომ აგიწერეთ), „სახალხო განათლების“ რედაქციაში მუშაობის დაწყების შემდეგ მიაღწია დოცენტობას, პროფესორობას და ჟურნალ-დამატების რედაქტორობას. ამით არ დაკმაყოფილებულა და სიხარბით სამოთახიანი კომუნალური ბინიდან ატენის ქუჩაზე ოთხოთახიან კერძო სახლში გადასულს იმ დროისათვის იშვიათი იაპონური პარკეტებით და პლინთუსებით მოურთავს თურმე თავისი საცხოვრებელი.

მეორე, უნივერსიტეტის ფოლკლორის კათედრის პროფესორი ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე 1971 წელს მოხსენებით გამოვიყვანე უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ფოლკლორის სწავლების საკითხებზე. ეს ნდობა გამოვუცხადე მას შემდეგ, რაც ჩემთვის ცნობილი იყო მასზე ადრე გავრცელებული საეჭვო ხმები, მაგრამ ამ შემთხვევაში დაველოდე მისი კათედრის გამგის, პროფესორ ქს. სიხარულიძის რეკომენდაციას. შუამავლობისათვის დაეპატიმრებინათ, როცა თანამარტვილელ ფულის მიმცემს უმხელია, მაშინვე განცხადებით მიუმართავს პროკურატურისათვის, მშობლიურ პარტიას ვერ ვუღალატებ, ფული ავიღე და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს მივეციო. გამოძიებას პირისპირ წაუყენებია ორივე. ძველი კინტოებივით, თავის მხრივ ამღები ამღებს მშვიდად ახსენებდა, მე ის აპოლონი ვარ,[1] შენი მეგობარი, ფული რომ გადმოგეციო, ხოლო თავმჯდომარე გამოძიებას თვალს უხვევდა ვითომ, ვინ არის ეს კაცი, მოშაშორეთ აქედან, პირველად ვხედავო.

[1] მისი პიროვნული ნიშნების სარწმუნო დახასიათება იხ. ტარიელ ჭანტურიას მშვენიერ ესეისტურ წიგნში „დინოზავრიდან დიზაინამდე“, 1989, გვ. 320—328.

აი, აღმზრდელი კომუნისტი პროფესორების მაშინდელ მორალთან შეუთავსებელი არამზადული სახე. გაზეთ „ახალგაზრდა იველიელის“ 1990 წლის 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის მეცნიერმუშაკის ნათელა იმედაძის წერილი-აღსარება სათაურით „ჩვენც ვცოდეთ...“, რომელშიც პირდაპირი მინიშნებით გაცემულია პასუხი მღელვარე კითხვაზე, თუ რატომ გახდა ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ყველაფრისადმი გულგრილი. „სამწუხაროდ, — წერს იგი, — ისეთი გამომცდელებიც მომრავლდნენ, რომლებიც უკვე აშკარად, ყველას დასანახად, „ხელშეკრულებას“ დებენ მშობლებთან, ახლობლებთან, კარგავენ სინდისს, პატიოსნებას და ის, რომელმაც მომავალი თაობა უნდა აღზარდოს, რომელიც ხვალ იმ მოზარდთან უნდა შეეიდეს და მას მარტო საგანი კი არა, მორალი, ზნეობა უნდა ასწავლოს, თავად არის ამორალური, უზნეო, მექრთამე“...

...ინფორმაციები მიღებული მქონდა, როცა იმავე დღეს რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში შევუერთდი საექსპერტო კომისიის წევრებს, აწ განსვენებულ პროფ. ილია ნატროშვილს და მაშინ პროფესორს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ამჟამად ახალი ქართული ენის კათედრის გამგეს, ქალბატონ ელენე ბაბუნაშვილს. აქ მათ დამახვედრეს იმ აბიტურიენტის წერითი ნამუშევარი, რომლისგანაც ქრთამი ჰქონდათ აღებული დამნაშავეებს და რომელიც შეფასებული იყო ნიშანზე — კარგი. კომისიის წევრთა აზრით, ნიშანი უნდა ჩამოკლებულიყო დამაკმაყოფილებელ შეფასებამდე, რადგან ამას დაჟინებით მოითხოვდა პროკურორი. ამ პოზიციის გასამაგრებლად ნაწერში ნაპოვნი იყო გაუსწორებლად დატოვებული ორთოგრაფიული და სხვა ხასიათის შეცდომები. გულდასმით გადავიკითხე ნაწერი, გამოვხატე ჩემი ბოლმა და გულისწყრომა თვით დაკისრებული უმადური საქმიანობის გამო და ბოლოს უარი განვაცხადე კომისიის წევრების მიერ ჩამოკლებული ნიშნის თანხმობაზე.

— დაპატიმრებამდე საპროფესოროში შეხვედრისას მე მათ სალამს არ ვაძლევდი, — განვუცხადე კოლეგებს, — არამზადებად მიმაჩნდა და მით უფრო, რაც დღეს გავეცანი ნაწილობრივ მათ მამხილებელ მასალებს, უფრო მეტ, ორმაგ არამზადებად მიმაჩნია. მაგრამ ის, რაც დასაშვები და გამართლებული იყო ჩვეულებრივ, თავისუფალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, ეთიკურად გაუმარ-

თლებლად უნდა ჩავთვალოთ ახლანდელ ვითარებაში, როცა ამ არამზადებს ბორკილები ადევთ. ჩვენ ნუ დავადგამთ ფეხს როგორც წაქცეულებს, გამოვიჩინოთ სულგრძელობა და ნუ დავუმძიმებთ ისედაც დამძიმებულ მდგომარეობას.

— პროკურატურას, როგორც მე შევატყვე, საკმაო ნივთიერი მტკიცებები მოეპოვება წაყენებული ბრალდების დასამტკიცებლად. ჩვენი მხარდაჭერით ისინი შეეცდებიან გააძლიერონ სასჯელის ზომა. ნიშნის დაკლება სასჯელის გაორმაგებას ნიშნავს, დატოვება კი — განახევრებას. შევთანხმდეთ, როცა ნაწერში შეფასების ქულა კარგსა და საშუალოს შორის ქანაობს, ნახევარი აქეთ გადმოიხრება თუ იქით, ეს ინსტრუქციით არავითარ ბოროტებას არ წარმოადგენს. დარჩეს წინანდელი შეფასება და ამით კიდევ ერთხელ ვაგრძნობინოთ მათ ჩვენი ადამიანური სიკეთის ძალა.

— ამას თქვენგან არ მოველოდით, ბატონო აკაკი, — მითხრა ქალბატონმა ელენემ, — მიუდგომელი და უკომპრომისო იყავით ყოველთვის და ჩვენც ეს გავითვალისწინეთ.

— კონკრეტული ვითარების, თვით სიტუაციის არგუმენტაცია გვკარნახობს და მოდით, დავიცვათ ჩვენი პროფესიული და არა იურდიული ინტერესები. ეს უკანასკნელი ძიებამ და სასამართლომ არკვიოს.

წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე 200-მდე აბიტურიენტის წერითი ნამუშევრის გადამოწმებას, საბოლოო ნიშნების დასმას და დოკუმენტაციის გაფორმებას. 1975 წლის ივლისის დასაწყისში, ჟელეზნოვოდსკის სანატორიუმში საგზურით წასვლის დღეს, დილით მაცნობეს: სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის სასამართლო პროცესის დაწყების წინ საგნობრივი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეები უნდა გამოცხადდნენ უმაღლესი სასამართლოს შენობაში 10 საათზეო. მე თბილისის აეროპორტიდან მინეოდში უნდა გავფრენილიყავი დღის ორ საათზე. შემპირდნენ, პირველად ჩემ სიტყვას მოისმენდნენ და ავტომანქანით აეროპორტამდე დროულად მიმიყვანდნენ. ჩემოდნით დანიშნულ დროზე უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში ვიყავი. სასამართლო პროცესს სულავა უძღვებოდა. მის წინ მაგიდაზე რამდენიმე ტომი ელაგა.

— ვიწყებთ სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის მიმართ წამოყენებულ ბრალდებათა განხილვას. — განაცხადა მოსამართლემ, — საბრალდებო დასკვნის წაკითხვამდე უნდა მოვისმი-

ნოთ საგნობრივი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეების გამოსვლები, ტოვებენ ისინი ძალაში მათ მიერ გადამოწმებულ ნიშნებს, თუ შეაქვთ რაიმე შესწორებანი აქ წარმოდგენილ დოკუმენტებში. დაპირებისამებრ პირველი სიტყვა მე მომეცა.

— ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებლებში წერითი მისაღები გამოცდები და აბიტურიენტთა წერითი ნამუშევრების გასწორება ტარდება ძალზე შემჭიდროებულ ვადებსა და დაძაბულ სიტუაციაში. ამიტომ წერითი ნამუშევრების გასწორების ინსტრუქცია საგანგებოდ ითვალისწინებს ნახევარი ქულით აბიტურიენტის სასარგებლოდ გადახრას, რაც მეტ-ნაკლებად გაწონასწორებულ მდგომარეობას უნდა ჰქმნიდეს. ჩვენს საგანში საექსპერტო კომისიას შექმნილი ჰქონდა მუშაობის ნორმალური პირობები. ამიტომ, შეეცადეთ ჩვენ მიერ გადამოწმებული ნაწერების ნიშნები შეგვეფასებინა რაც შეიძლება აბსოლუტური სიზუსტით. ყველა ამ ნიშანს ძალაში ვტოვებთ და მათში რაიმე ცვლილების შეტანის არავითარი პრეტენზია არა გვაქვს. — განეუცხადე მოკლედ მოსამართლეს.

წამოდგა უცებ მარჯვენა მხრიდან სახელმწიფო ბრალმდებელი და რაღაც ვრცელი სიტყვა გამოუვიდა, რომელშიც ჩემი კომისიის მუშაობის გაბიაბრუებაც გამოსჭვიოდა. იმ კაცის არც გვარი ვიცოდი, არც სახელი. მოსამართლეს მივმართე:

— გამაგებინეთ, რა კითხვას მისეამს ბრალმდებელია თუ პროკურორი?

— თქვენს სიტყვაში პასუხისგებაში მიცემული ყოფილი რექტორის რაღაც მხარდაჭერა ჩანსო. ორიანი ნაწერი ხუთზე რომ ფასდებოდა და ხუთიანი ორზე, ამის შესახებ რატომ არაფერს ამბობთო. — ამიხსნა მოსამართლემ ბრალმდებლის მოთხოვნის აზრი.

— სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილ რექტორს დღეს პირველად ვხედავ ბრალდებულის სკამზე და არასოდეს არავითარი კონტაქტი არ მქონია მასთან. მე თქვენ ინფორმაცია მოგაწოდეთ წერითი გამოცდების პრაქტიკაში არსებულ სიტუაციებსა და, აქედან გამომდინარე, წერითი ნაშრომების გასწორების სახელმწიფო ინსტრუქციის ერთ დეტალზე. რაც შეეხება ორიანისა და ხუთიანის ურთიერთშეფარდებაში დაშვებულ უხეშ დარღვევებს, ასეთი ბოროტების ფაქტი ქართული ენისა და ლიტერატურის ჩვენ მიერ შემოწმებულ წერით ნამუშევრებში არ შეგხვედრია, ბრალმდებელმა კეთილი ინებოს და იმ საგნის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს

მოთხოვოს პასუხი, სადაც ამას ადგილი ჰქონდა. — განეუმარტე მოსამართლეს...

...ჩვენი კომისიის წევრთა ერთსულოვნობის წყალობით განახეერებული სასჯელის მოხდის შემდეგ გავიდა რამდენიმე ხანი. უნიერსიტეტიდან გაძევებულმა ორივე მსჯავრდადებულმა, ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს, ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო-მეთოდურ სექციას წარმოუდგინა თავიანთი ნაშრომები დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფის მისანიჭებლად. მათ პროტექტორებიც გამოუჩნდნენ. „საქართველოა, ხომ იცი“ — წამდაუწუმ მახსენებდნენ საქართველოს სახელს და ძმა-ბიჭობის „თეორიის“ ნიუანსებში ჩემს გათვითცნობიერებას ცდილობდნენ.

უნიერსიტეტის ფოლკლორის კათედრის გამგემ, ჩვენი სექციის წევრმა, პროფ. ზ. კიკნაძემ წერილობით გვაცნობა: „სარეცენზიო ნაშრომი „ქართული მითოლოგიის საკითხები (გამოკვლევა და ტექსტები)“... არ პასუხობს იმ პროგრამას, რომლის მიხედვით თსუ ფილოლოგიის და ისტორიის ფაკულტეტებზე იკითხება „ქართული მითოლოგიის“ კურსი... ამის გამო ნაშრომს ვერ მიეცემა სათანადო გრიფი. თსუ ფოლკლორის კათედრას მომზადებული აქვს შესატყვისი დამხმარე სახელმძღვანელო-ქრესტომათია, რომელიც უახლოეს ხანში გადაეცემა თსუ გამომცემლობას ჩვენი სექციიდან სათანადო გრიფის მიღების საფუძველზე. 5. XI. 1986 წელი“. ასეთი დელიკატური მოტივით (ამგვარი შემთხვევა სხვაც იყო)[1] ორივეს უარი ეთქვა არა საერთოდ შრომის გამოცემაზე, არამედ გრიფზე, სტუდენტი ახალგაზრდობის აღსაზრდელად სავალდებულო დამხმარე სახელმძღვანელოდ დამტკიცებაზე.

და ორივე, მადლობის მაგიერ, გათამამებულნი პრესის ფურცლებზე მონოპოლიური მდგომარეობის დაკავებით (ერთი უწმინდური ქართული ენის სიწმინდეზე ქადაგებდა, მეორე — ქართულ მითოსში მორალურ სენტენციებზე), თავს მესხმოდა იმავე პრესის ფურცლებიდან გამოგონილი ბრალდებებით და აბსურდული პრეტენზიებით, ხოლო მათი „გულშემატკივრები“ გულს იოხებდნენ, ახია მაგაზეო...

---

[1] მაგალითად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომლის ნაშრომზე დაწერილ უარყოფით რეცენზიას და სექციის უარყოფით დასკვნას არ მოყოლია არავითარი კონფლიქტური რეაქცია.

რაც უფრო მასშტაბურ სტადიაში შედიოდა ლპობადობის შეუქცევადი პროცესი, მით უფრო მწვავე ხასიათს იღებდა უნივერსიტეტში კვალიფიციური სპეციალისტის, კერძოთ, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების პრობლემა. განა მარტოოდენ უნივერსიტეტში? ცხადია, არა. მაგრამ მეცნიერების წმინდა ტაძრის საყრდენი ფუძის შერყევა გაორკეცებით ზრდიდა მეტასტაზების ფართოდ გავრცელების საფრთხეს. 1973 წლის ნოემბერში ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს ინიციატივით ჩატარდა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი საგანგებოდ უმაღლეს სკოლებში პედაგოგიური კადრების მომზადების, სახელმწიფო-საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების საკითხებზე. სხვა მრავალთა შორის გამომზეურდა ასეთი ფაქტებიც.

მთელი რიგი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დაუსწრებელი განყოფილებების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე ზოგჯერ ქრთამით ეწყობოდნენ მეყასბეები, მექისეები და სხვა ამგვარი კატეგორიის ადამიანები. ისინი წლიდან წლამდე ქრთამით აბარებდნენ სასწავლო საგნებს, სახელმწიფო გამოცდებს და ამ გზით მიღებული დიპლომების საფუძველზე ქრთამითვე ინიშნებოდნენ სკოლების დირექტორებად, მასწავლებლებად. სწავლების დასწრებული ფორმის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს კი ყოველმხრივ ეხშობოდათ გზა პროფილით სამუშაო ადგილის დასაკავებლად. ზნეობრივი დაცემულობის ზღვარი ამაზე შორს სად უნდა წასულიყო!

ასეთ გარემოებათა შედეგად საშუალო სკოლიდან უმაღლესი სკოლა იღებდა დაბალი მომზადების კონტინგენტს, თავის მხრივ უმაღლესი სკოლიდან საშუალო სკოლას უბრუნდებოდა ასევე მოუმზადებელი კადრი და ამ ჯადოსნური წრის ტრიალში სწავლა-აღზრდის სახელმწიფოებრივი საქმე სიძნელეებს სიძნელეებზე აწყდებოდა (ამის შესახებ პროფ. ი. ბოცვაძის თანაავტორობით თათბირ-სემინარის მოწვევამდე მოთხრობილი იყო ჩვენს წერილში „სტუდენტობიდან-მასწავლებლობამდე", რომელსაც რედაქციამ წარუმძღვარა რუბრიკა „პრობლემები, რომლებიც გვაღელვებენ", (იხ. გაზეთ „კომუნისტი", 1973, № 132).

აი, ამ რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მხარდაჭერაზე, მის წინადადება-რეკომენდაციებზე დაყრდნობით, სამინისტროს წინაშე 1974 წლის მიწურულში წარვადგინე ვრცელი განმარტებითი ბარათი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქარ-

თული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის დაარსების შესახებ. პირველი, ვინც დადებითად გამოეხმაურა ამ იდეას, იყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე (1913—1989) საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების ჯერ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ 1963 წლის ნოემბრიდან დაინიშნა, ხოლო, კომიტეტის სამინისტროდ გადაკეთებისთანავე, 1964 წლიდან, მინისტრი გახდა. ამ თანამდებობაზე ის 1980 წლამდე მუშაობდა. ადრე, 1953 წლიდან, საქართველოს განათლების მინისტრი იყო. ორივე ეს თანამდებობა, ისე როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტობა, რომლის მოვალეობას 1980 წლიდან უკანასკნელ დრომდე ასრულებდა, სავსებით მიესადაგებოდა მის ცენზს, პროფილს, ერუდიციას, მოქალაქეობრივ-ზნეობრივ თვისებებს და ღირსებებს. ასევე სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური იყო შრომითი საქმიანობის ადრეულ ეტაპზე სამეცნიერო-პედაგოგიურ და ლიტერატურულ მუშაობასთან უწყვეტ კავშირში ქუთაისის საქალაქო გაზეთის რედაქციის თანამშრომლიდან გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელი რედაქტორის პირველი მოადგილის თანამდებობამდე განვლილი გზა.

მაგრამ გიორგი ჯიბლაძის ბიოგრაფიაში ფიგურირებდა პარტიული ფუნქციონერის არც ისე უბრალო, პირიქით — თვალსაჩინო ტიტულები. მათ ანაქრონიზმად ვერ ჩავთვლით. გარკვეული დროის მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ თბილისის, მთლიანად საქართველოს პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ ფრონტს. სწორედ აქ იწვნია თანამდებობრივი კიბის მაღალი საფეხურიდან — ცეკას მდივნობიდან ფეხის დაცდენის ერთგვარი „მარცხი“, ყოფილი, ვითომდა, „მეგობრებისაგან“ ზურგის შექცევის სიმწვავე და სიმწარე. ეს იყო 1962-1963 წლებში, როცა ბატონი გიორგი მანამდეც და შემდეგაც ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე შეთავსებით მომუშავე (კითხულობდა ფილოლოგებთან ლექციებს ლიტერატურის თეორიაში), უფრო მეტ დროს პოულობდა პირადი განცდების გამოსახატავად.

თუ იგი ამ მხრივ წინათ გარეგნულად თითქოს ჩაკეტილ, გულდახურულ, გალაღებულ და განებივრებულ პერსონად მოჩანდა, ახლა მისი ხასიათის ცვალებადობაში სკამის „ძლევამოსილების“ დაკარგვით გამოწვეულ დიდ-შინაგან წუხილს თუ დრტვინვას აშკარად

იგრძნობდით, თვალებიდან მისთვის რაღაც უჩვეულო, ფარული სევდის ნიშნებს ადვილად ამოიკითხავდით. ადამიანს გვერდში ამოდგომა და სულიერი გამხნევება შეჰირვებულ, ძნელად ასატან, შეუგუებელ მდგომარეობაში ჰირდება.

ჟურნალ „მნათობის“ 1963 წლის მე-6 ნომერში (გვ. 112—115) გამოქვეყნდა ჩემი სტატია სათაურით — „გიორგი ჯიბლაძის კრიტიკული ეტიუდები“. ცხადია, რედაქციაში მიტანიდან მის დაბეჭდვამდე საკმაო დრო გავიდა (მაშინ ჩემი დისერტაციის ოპონენტების გამოყოფის საკითხი საერთოდ არც კი იდგა). შუალედ პერიოდში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამომზეურდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მისალოცი წერილი გიორგი ჯიბლაძის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. უკეთესი იყო იგი საერთოდ არ დაბეჭდილიყო.

ისედაც მცირე ზომის მილოცვაში მკაფიოდ ჩანდა იუბილარის დაუფასებლობა, მისდამი გულგრილი დამოკიდებულება. ჩემ წერილში მე შენიშვნების ფონზე საკმაო ეპითეტებს ვიყენებდი მისი „კრიტიკული ეტიუდების“ სამი ტომის განსახილველად და რაკი ვიცოდი იგი შეუსწორებლად ჩაშვებული იყო სტამბაში, გულდამშვიდებით მივაბიჯებდი უნივერსიტეტიდან ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე იმის ღრმა რწმენით, რომ მილოცვით განაწყენებულს ჟურნალის მეშვეობით ცოტა სიამოვნებას მაინც მივანიჭებდი.

მოულოდნელად ბატონი გიორგი მისი ბინის წინ, ტროტუარზე შემხვდა და ვერ ვიტყვი გულმოსულად-მეთქი, მაგრამ ძალზე განაწყენებულმა ნაღვლიანი სახით მკითხა:

— ნახე მოლოცვა? შენც იმათ მიბაძე?

ადგილზევე გავშეშდი, გავხევდი, ენა ჩამივარდა. შემატყო უეცარი მეტამორფოზა და პირველ ნათქვამს შერბილებული ტონით დაუმატა:

— გოგუცამ მომიტანა კორექტურული ჩასწორებები. ახლა უკვე ტირაჟი დაბეჭდილია. ალბათ, მალე გამოვა.

გოგუცა აგიაშვილი „მნათობის“ უცვლელი თანამშრომელი და ბატონ გიორგის ოჯახის ახლობელი იყო. მაშასადამე, წყარო უტყუარი და შეუვალია. ვინ მოახდინა კორექტურული ჩასწორებანი? მე?! და ეს დაუდასტურა ქალბატონმა გოგუცამ ბატონ გიორგის? კიდევ უფრო ავენთე, ჩემთვის და თვით ბატონ გიორგისათვის დამახასიათებელი სიფიცხით (ასეა ხოლმე — ზოგი ფიცხია და ალალ-

კეთილი. ზოგი — დინჯი და გულდახურული) კიდევ უფრო მეტი აღგზნებით ხმა... მაგრამ ბატონმა გიორგიმ ამ დროს ცრემლიანი თვალებით შემომხედა, მხარზე ხელი დამადო და ისევ ნაღვლიანად მითხრა:

— არ ინერვიულო. ჩასწორებანი რედაქტორის ხელითაა გაკეთებული. შენი ტექსტიდან ძვალია დარჩენილი, ხორცი კი ჩამოუკრია. მაგრამ შენ რა შუაში ხარ. პირიქით — შენი კარგი კაცობა დაუვიწყარი და ძვირფასია ჩემთვის. მხოლოდ შენ აღმოჩნდი ერთადერთი, ყველასაგან განდგომის ჟამს ხელი რომ გამომიწოდე. ახლა შენც გადაგემტერებიან.

— მაპატიეთ, ახლავე დავბრუნდები. — დავტოვე ეს სიტყვა, მოვტრიალდი, სწრაფად გავეშურე „მნათობის“ რედაქციისკენ, რომელიც იმ ხანად გმირთა მოედანზე, თერთმეტსართულიანი სახლის მეორე სართულზე იყო მოთავსებული. ბედად რედაქტორი თავის კაბინეტში დამხვდა.

— ბატონო გრიგოლ, — მივმართე გრიგოლ აბაშიძეს, — პროტესტს ვაცხადებ ჩემ წერილში ჩემთან შეუთანხმებლად შესწორებების შეტანის გამო. უარს ვამბობ წერილის ავტორობაზე და ამას გაზეთში გამოვაქვეყნებ. ბატონმა გრიგოლმა შემატყო აღელვება, გაძიძგძიმა და ტკბილი სიტყვებით დამამშვიდა:

— გიორგის მე ავუხსნი ყველაფერს. შენც ხომ უნდა იცოდე, მილოცვის ტონი ოფიციოზის ტონია. მე ვალდებული ვიყავი გამეთვალისწინებინა ზემო ინსტანციის ხაზი და მიმართულება. ეს წესი თვითონ ბატონმა გიორგიმ კარგად იცის. ამიტომ არ არის საჭირო საკითხის გართულება.

ებრუნდებოდი რედაქციიდან და ტოტალიტარიზმის გამოვლინების უხეშ ფაქტთან პირისპირ შეხვედრაზე, კონიუნქტურის უხილავ „მექანიზმზე“ ეფიქრობდი. ეფიქრობდი პარტიული ფუნქციონერის თანამდებობრივ ბედსა და ხვედრზე, ხელსახოცივით ერთბაშად რომ იცილებდნენ, იშორებდნენ და თავისთავის ანაბარად მარტოობის ნაჭუჭში აგდებდნენ (ასე ადრეულ ხანებში ხდებოდა. მერე და მერე, ერთგან რომ „მოაბალახებდნენ“, მეორე, უფრო დიდ „საბალახოში“ გადაჰყავდათ). ეფიქრობდი იმაზეც, თუ ბუნებისგან ტალანტით, შრომისმოყვარეობით ესოდენ უხვად დაჯილდოებულ გიორგი ჯიბლაძეს, სიღარიბესა და ნახევრად ობლობაში გაზრდილს, რისთვის სჭირდებოდა მძიმე ჯვრის მსგავსად პარტიული იერარქიის უმძიმე-

სი ხამუტის ტარება! ნუთუ ამის გარეშე იგი ვერ გახდებოდა ორგზის აკადემიკოსი? ნუთუ მართლა, ერთი ნაცნობი პოეტის ნათქვამისა არ იყოს, რუსთაველიც რომ წამოდგეს, თანამდებობის გარეშე არარაობად იქცევა?

უფრო რთულ გამოცანას ჩემთვის წარმოადგენდა იმ საიდუმლოს ამოხსნა, თუ როგორ ახერხებდა გ. ჯიბლაძე მთელი დღე ჩინოვნიკური საქმეებით დაკავებული, გადაჭანცული და გადაღლილი ამოდენა შრომების, წიგნების, სტატიების, წერილების შექმნას და გამოქვეყნებას, როგორ უძლებდა ორგანიზმი საწერ მაგიდასთან უძილო ღამეების განუწყვეტლივ შთანთქმას, ან რკინის რა ჯანმრთელობას შეეძლო დღე-ღამის ასე გასწორება დაძაბულ გონებრივ შრომაში! ამ გზით იგი მუდამ იხვეჭდა სახელს, იძენდა თაყვანისმცემლებს და ამავე დროს იზრდიდა მოშურნეთა რიგებს ყველაზე ახლო მდგომ კოლეგათა შორის.

როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი, წერის მანერით, სტილით, ინტუიციით, მრავალფეროვნებით და მაღალფარდოვნებით გ. ჯიბლაძე ერთი შეხედვით თითქოს ბელინსკის მიმდევრის, მიმბაძველის შთაბეჭდილებას სტოვებდა. თუ ბელინსკის რუსულ ლიტერატურაში წილად ხვდა დასავლეთ ევროპიდან მოწონაცვე რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიზმის შემოტანა და დამკვიდრება, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გ. ჯიბლაძე მოგვევლინა მის ესთეტიკურ შეხედულებათა ერთ-ერთ ყველაზე თანმიმდევრულ პოპულარიზატორად, მისებრ რაოდენობრივ სიუხვეს გამოდევნებულ, მისებრ ლიტერატურისადმი ტრფიალებაში სულიერად ამაღლებულ ისეთ რაინდად, რომელიც ქვეცნობიერად ყოველთვის ვერ ახერხებდა თავისი ფიქრი და აზრი მოემწყვდია თვითგანსჯის, თვითკონტროლის „ხაფანგში“. ამის დამადასტურებელია „კრიტიკული ეტიუდების“ რვა ტომი და სამოცთაბახიანი მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძე“.

მომხიბვლელი იყო გიორგი ჯიბლაძე, როგორც ორატორი, არა ორატორული ხელოვნების კლასიკური გაგებით, არამედ ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურის თავისებური გამოვლენით. მისი წარმატების მთავარი ჯადო ამ მხრივ მის ნიჭიერებაში, მისი მეხსიერების ძალოვნებასა და უღალატობაში იყო ჩაქსოვილ-ჩაბუდებული. მის მოხსენებას, გამოსვლას, ლექციას, ლაპარაკს ხშირად ადარებდნენ სიტყვების ნიაღვარს, ჩანჩქერს, ეულკანურ ამოფრქვევას

და ამაში უეჭველად იყო სიმართლის გარკვეული ელემენტები. არასოდეს არაფერი ეჭირა ხელში და მაინც ზეპირად შეეძლო ციტირება რომელიც გნებავთ ფილოსოფოსის თუ ესთეტიკოსის, მწერლის თუ პედაგოგიკის კლასიკოსის აზრებისა.

გიორგი ჯიბლაძე პედაგოგიკურ მეცნიერებათა ყოფილი საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრი მინისტრობის თანამდებობით გახდა, ისე რომ არასოდეს უმუშავნია სკოლის პედაგოგად, მაგრამ სულ მალე მან ამ დარგის პროფილით იმდენი წიგნები და სტატიები დაახვავა, ისე ღრმად შეიჭრა მის სპეციფიკურ „სიერცეში", უკან მოიტოვა თვით პრეზიდენტის ტიტულოვანი ე. წ. სწავლულები. რომ არაფერი ვთქვათ იან ამოს კომენსკის პედაგოგიკურ ფილოსოფიაზე, ესთეტიკური აღზრდის პრინციპებზე, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ზოგად საკითხებზე დაწერილი მისი შრომების შესახებ, არ შეიძლება გაოცებას არ იწვევდეს მიგნება და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ახალ მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბების ცდა, რომელზედაც მანამდე მსჯელობაც კი არ ჰქონიათ (იხ. წერილების სერია სათაურით „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა როგორც მეცნიერება", გაზეთი „კომუნისტი", 1972, № 127, 129). სიახლის გრძნობის ნიჭი ძვირფასი და დიდად დასაფასებელი ნიჭია ადამიანისათვის ყველა დროსა და ეპოქაში. უპირველესად ასეთი ნიჭი ამკობდა გ. ჯიბლაძის პიროვნებას.

...საკითხის დასმიდან მისი აპრობირების, აწონ-დაწონვის შემდეგ, ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ წინასწარ შემუშავებული და მოწონებული პროექტის საფუძველზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1976 წლის 25 ნოემბერს მიიღო დადგენილება (№ 3—113) სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში საგანგებოდ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე. მის ერთ-ერთ პუნქტად გამოყოფილი იყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის ჩამოყალიბება კონკრეტული ამოცანების განსაზღვრით. კოლეგიის დადგენილება განხილულ იქნა უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოების სხდომებზე, კერძოთ, თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მხარი დაუჭირა დადგენილების

მოთხოვნას და რექტორატს წარუდგინა თავისი თანხმობა კათედრის დაარსების შესახებ.

მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის რექტორატი აჭიანურებდა ბრძანების დაწერას. განსაკუთრებით წინ აღუდგა მას პრორექტორი სასწავლო ნაწილში დოც. გ. ჭილაშვილი. იგი პედანტური მიდგომით უნივერსიტეტს ძველებურად კლავ სამეცნიერო კადრების აღზრდის უმაღლესი რანგის სასწავლო დაწესებულებად მიიჩნევდა და არ უწევდა ანგარიშს იმ რეალურ სინამდვილეს, რომელმაც აღძრული საკითხიდან რამდენიმე წლის შემდეგ საუნივერსიტეტო განათლებით პედაგოგების მომზადება მთელ მაშინდელ გაერთიანებულ ქვეყანაში სავალდებულო მოთხოვნად აქცია.

დაიწყო მანევრირების, კონტრღონისძიებების შემუშავების, ბარიერების შექმნის რთული პროცესი. საქმე იქამდე მივიდა, გამოიყენეს აკაკი შანიძის ავტორიტეტი და დააწერინეს რექტორის სახელზე კათედრის დაარსების საწინააღმდეგო ბარათი. ყოველივე ამან ერთ წელიწადზე მეტი დრო წაიღო. სამინისტროს უმაღლესი სკოლების სამმართველო, პირადად მისი უფროსი ელ. ჩაკვეტაძე დაჟინებით მოითხოვდა კოლეგიის დადგენილების განხორციელებას. ბოლოს, 1977 წლის 17 ოქტომბერს, დაიწერა რექტორატის ბრძანება (№ 199), რომლის საკონსტატაციო ნაწილში ნათქვამი იყო: „მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის ამ მხრივ საორიენტაციო ცენტრის შექმნის მიზნით ჩამოყალიბდეს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების გაერთიანებული კათედრა“.

1978 წლის 15 მაისს დაინიშნა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომლის დღის წესრიგში კათედრის გამგის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად საკონკურსო წესით კენჭისყრის სიაში შეტანილი იყო ორი კანდიდატი. ერთი — უნივერსიტეტელი, კათედრის დაარსების ინიციატორი, მეორე — გარედან. ორივეს წინასწარ ჩატარებული ჰქონდა საცდელი ლექციები, ორივეს საკითხი განხილული იყო რექტორატის საკონკურსო კომიისის სხდომაზე. წინადღით, კვირას, ბინაზე დამირეკა საბჭოს წევრმა, ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა დავით კობიძემ და ერთგვარი საყვედურით მითხრა:

— ახლა მეოთხე კაცი გავაგდე ბინიდან შენი მოწინააღმდეგე კანდიდატის მხარდაჭერის მთხოვნელი. დააქვთ შენი ავტორიტეტის მაკომპრომეტირებული რაღაც ქალალდები. შენ რას აქეთებ, ასსა-მოცამდე წევრია საბჭოში და ყველა ხომ ჩემსავით არ გიცნობს. მიდექ-მოდექი, გადარეკე, იმოქმედე.

— ბატონო დავით, — ვუპასუხე სრულიად დამშვიდებით. — მადლობელი ვარ ყურადღებისათვის. მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე, ხუთი წელი შევალიე ყველა ინსტანციასა და დონეზე საკითხის დასმას, დასაბუთებას და გადაწყვეტილების მიღებას. ხვალ წარედგები თქვენს წინაშე ისევ კათედრის შექმნის აუცილებლობის არგუმენტაციით. თუ საბჭოს უმრავლესობას იმის უნარი არ აღმოაჩნდება, გაარჩიოს თეთრი და შავი, იმ საბჭოს შემადგენლობაში არც შესელას ვისურვებდი. მე არავის შევაწუხებ ხვეწნით და მუდარით. თქვენ რომ მე ეს გაკადროთ, ამით, ვფიქრობ, შეურაცხყოფას მოგაყენებთ.

— მე, რა თქმა უნდა, ასედაც მივიღებდი შენს თხოვნას, მაგრამ სხვები მყავს მხედველობაში.

— იმ სხვების სინდისზე იყოს საჭირო ეროვნული საქმის დაუფასებლობა და გარედან მოსული კანდიდატისადმი მხარდაჭერა. იმ გარედან მოსულს ხომ ახალი შტატი და ახალი საათობრივი დატვირთვა სჭირდება! ამაზე არ უნდა ფიქრობდნენ?...

...უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოს აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე არასოდეს დასწრებია, როგორც მინისტრი. დანიშნულ დღეს თერთმეტ საათზე პირველი კორპუსის 93-ე აუდიტორიაში ყველასათვის მოულოდნელად იგი პირველი გამოვიდა საბჭოს წინაშე სიტყვით კათედრის დაარსების მნიშვნელობაზე, მის ფუნქციებსა და როლზე. — ორი კანდიდატიდან თქვენი ნებაა, ვინც თქვენ მიგაჩნიათ ღირსად, ის აირჩიეთ. — განაცხადა სიტყვის დასასრულს და ამით დაიცვა სრული ნეიტრალიტეტის სტატუსი.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, პრორექტორ გ. ჭილაშვილიის ინფორმაციის შემდეგ საბჭომ მოისმინა ჩემი ხუთწუთიანი გამოსვლა. ერთი სიტყვა არ დამცდენია ჩემს არც ნაშრომებზე და არც კათედრის დაარსებისათვის გაწეულ მომქანცველ მუშაობაზე. ვილაპარაკე მხოლოდ კათედრის კონკრეტულ მიზნებსა და პერსპექტივებზე. შეკითხვით მომმართა საბჭოს წევრმა, ზოგადი მათემატი-

კის კათედრის გამგემ, პროფ. კ. ზერაგიამ — რა კავშირი გაქვთ თქვენი მეცნიერული შრომებით კათედრის პროფილთანო.

— ამ კითხვაზე, წესისა და წარდგენილი მასალების მიხედვით, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს უნდა მოეხსენებინა თქვენთვის, — ვუპასუხე შემკითხველს, — მაგრამ რაკი გამორჩა თუ განზრახ გამოტოვა, შემიძლია გაჩვენოთ. და იქვე საბჭოს წევრებისათვის თვალსაჩინოდ გამოჩნდა სამი წიგნი — მეთოდიკის სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემა და ორი მეთოდიკური მონოგრაფია. ამით დავტოვე საბჭოს სხდომა. დღის ბოლოს ტელეფონით მილოცავდნენ გამარჯვებას. მაგრამ იგი მარტო მე არ მეკუთვნოდა. ეს იყო კათედრის დაარსების იდეისადმი მხურვალე მხარდაჭერისათვის მინისტრის გამარჯვებაც, მაშასადამე, მისდამი მილოცვის გამოხატულებაც.

...1989 წლის 4 სექტემბერს პროფ. ირ. მაჩაიძესთან და პროფ. მიხ. შენგელიასთან ერთად ბატონი გიორგი უკანასკნელად ვნახე რესპუბლიკურ პირველ საავადმყოფოში. იგი იწვა პირველ სართულზე, სრულიად შეუფერებელ ადგილას, მაგრამ დიაგნოსტიკით განკუთვნილ სარეანიმაციო განყოფილებაში. მუდამ მოუსვენარს და მბორგავს მოძრაობის ძალა და უნარი უკვე ალარ ჰქონდა. თირკმლების გადაგვარებით სხეულში აზოტის დაგროვებას სწრაფად ჩაეჭრო სიცოცხლის ის ელვარე ნიშნები, რითაც ხასიათდებოდა მისი შთაგონებებით, მუდმივი შრომა-საქმიანობით და ტკივილიანი მწუხარებით აღსავსე ღრმაშინაარსიანი ცხოვრება.

ტკივილიანი მწუხარება დაკავშირებული იყო თბილისის ზღვაზე შვილიშვილის — მისი სულიერი სიცოცხლის გამგრძელებლის — უნიჭიერესი ახალგაზრდა გიორგის ტრაგიკულ სიკვდილთან. 28 სექტემბერს ვაკის სასაფლაოს კარიბჭესთან, მის გვერდით, სამუდამოდ დაიდო ბინა ბაბუა გიორგი ჯიბლაძემ, რომელმაც კომუნისტურ ეპოქაში სამსახურის ყველა კარიერის საფეხურებზე ბოლომდე უმწიკვლოდ შეინარჩუნა უანგარო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, კეთილშობილებით შემოსილი ადამიანის სახელი.

აკადემიკოს ილია ვეკუას შემცვლელის როლში პროფესორ დავით ჩხიკვიშვილის (1972—1980) უნივერსიტეტის რექტორად დანიშვნის დღეებში ხმა დაირხა — აკაკი შანიძე თავისი ბინის მეოთხე სართულის აივნიდან გადმოვარდნას აპირებდაო. ყოველ შემთხვევაში, ყოფილი პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგო-

გიური ინსტიტუტის რექტორობის ბოლო წლებში მას სახელი განსაკუთრებით მას შემდეგ შეელახა, რაც სამინისტროს კოლეგიაზე სამეურნეო დარგში მისი პრორექტორის საქმიანობის საკითხი იხილებოდა. ამ ამბების ფონზე, ბუნებრივია, გარედან ახალი რექტორის მოყვანას, უნივერსიტეტში მაინც და მაინც ერთსულოვანი დადებითი რეაქცია არ მოჰყოლია. და ამის მთავარი საფუძველი იმაში იყო, რომ იგი ნამდვილ მეცნიერად არ მიაჩნდათ.

მაგრამ პროფ. დ. ჩხიკვიშვილს ჰქონდა პრიმატის მიმნიშებელი ნიშან-თვისებები. ომში მფრინავად ნამყოფის ორგანიზაციული მუშაობის დაგროვილი გამოცდილება საკმაო „წონადობით“ განირჩეოდა. რაიკომის მდივნობიდან, ცეკას აპარატამდე, იქიდან — კულტურის მინისტრობამდე და ინსტიტუტის რექტორობამდე განვლილი ცხოვრებისეული გზის ანარეკლები საანკეტოდ მას იმ დროისათვის შესაფერის ბიოგრაფიას უქმნიდა. სწორედ ამ ბიოგრაფიის ლოგიკურ შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული უნივერსიტეტის რექტორობის რვა წლის პერიოდში მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შორის ორი ძირითადი ასპექტი — კომუნისტური აღზრდის ვითომდა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შექმნა (პარტისტორიის ორი დიდი კათედრის არსებობის პარალელურად) და პირველი კორპუსის შენობის რეკონსტრუქციის დაწყება (ცლუბის გადაკეთება-გაფართოება, დერეფანში ტიხარების მოხსნა), რაც შემდგომ პერმანენტულად გრძელდებოდა. ამიტომ მოსვლისთანავე მას დავით „სტროიტელი“ — დავით აღმშენებელი შეარქვეს.

თუ კათედრის დაარსების გაფერმკრთალებულ ისტორიაში რექტორ დ. ჩხიკვიშვილს გარეგნულად თითქოს უწყინარი, უვნებელი პოზიცია ეჭირა, მისი შინაგანი არსი ჯერ არჩევნებამდე თვით აკაკი შანიძემ გახსნა, როცა გაიგო კათედრის დაარსების ბრძანებას რექტორმა ხელი მოაწერაო. — მე რას მთხოვდა საწინააღმდეგო მოსაზრების წარდგენას, თუ თვითონ მომხრე იყო. — ეთქვა მისი კათედრის ახლობელი წევრისთვის, დოც. ლ. კიკნაძისთვის. არჩევნების დამთავრების შემდეგ კი, ჯერ კიდევ კათედრის მუშაობის დაწყებამდე, 1978 წლის 20 მაისის ბრძანებით მან მისი „ასაფეთქებელი“ მძიმე „ყუმბარა“ ჩადო.

ამ ბრძანებით კათედრის ასისტენტის 0,5 განაკვეთზე ინიშნებოდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან ერთი მანდილოსანი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუ-

ტი, ხოლო კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოპოვებული ჰქონდა ჟურნალისტიკის სპეციალობით. ბრძანების ქვემოთ იურიდიულ საფუძვლად მითითებული იყო კათედრის გამგის (ე. ი. ჩემი) შუამდგომლობა.

— თქვენ მე პირველად გხედავთ, არავითარი შუამდგომლობა არ აღმიძრავს, რაღაც გაუგებრობაა და გავარკვევ-მეთქი, თავაზიანად რომ მოვახსენე ბრძანების მომტანს, მისგან ჯიქური პასუხი მივიღე.

— თქვენ რექტორის ბრძანებას არ ასრულებთ?

— თუ უკანონოა, არა. — ვუპასუხე მეც. და აქედან დაიწყო.

— ბატონო დავით, რაღაც გაუგებრობაა ამ ბრძანებაში. ჟურნალისტიკის ისტორიის და თეორიის კათედრის გამგეს, იმავდროულად ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანს, თუ ვინმეს მოცილება უნდა, ჩემი ახლადდაარსებული კათედრა სანაგვე გოდორი არ გახლავთ. აქ მხოლოდ კათედრის პროფილით და სპეციალობით უნდა მოხდეს ახლის მიღება. გთხოვთ უკან დაიბრუნოთ ბრძანება და სათანადო რეაგირება გაუკეთოთ...

— ვიცი, — შემაწყვეტინა სიტყვა რექტორმა და მშვიდად მითხრა, — მისი კათედრის შუამდგომლობით შენს კათედრაზე პიროვნების დანიშვნა არ შეიძლება შენთან წინასწარ შეთანხმების გარეშე. ცოტა ხანს მაცალე, ასე, ორი-სამი კვირა, აჰა, ერთი თვე, უეჭველად მოგაცილებ...

...გურამ ჭილაშვილმა კათედრას გამოუყო მეორე კორპუსის მეოთხე სართულზე რადიოტექნიკის კათედრის სამფლობელოში რვამეტრიანი ოთახი — დროებით შესახლდით აქ და მერე ვნახოთო. ეს დასჯას უფრო ჰგავდა, ვიდრე მხარში ამოდგომას, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ პრორექტორის დროებითობა თერთმეტ წელიწადს გაგრძელდა, ხოლო რექტორის მოცემული პირობითი ერთი თვე — ერთი წელიწადი. მთელმა უნივერსიტეტმა გაიგო იმ მანდილოსნის მიერ ჩემი აწიოკების, ლანძღვისა და გინების ამბავი. სამართლის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი ივანე სურგულაძე ზოგჯერ მაფრთხილებდა, რექტორი რექტორია, ბრძანებას უკან არ წაიღებსო.

და მართლაც, ზუსტად ერთი წლის თავზე, კანცელარიიდან გადმომცეს რექტორის 1979 წლის ბრძანება (№ 3/191), რომლის ტექსტის გაცნობა ნათელყოფს ფასადის მიღმა საუნივერსიტეტო ცხოვრების მაშინდელ პანორამაზე გაჩენილ მახინჯ კერებს შორის ასეთ

„წერილმან“ ლაჭასაც: „ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების გაერთიანებულ კათედრაზე 1978 წლის 20 მაისის ბრძანებით ასისტენტ 0,5 განაკვეთზე ჩაირიცხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი[1]... კათედრის გამგემ, პროფ. ა. თოფურიამ დღემდე არ იზრუნა ასისტენტის დატვირთვა იმ დროს, როცა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს..., რომელიც კათედრაზე მუშაობს ლაბორანტის თანამდებობაზე, მისცა სრული დატვირთვა. ეს არის შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევა“. აქედან გამომდინარე, ბრძანებაში სამპუნქტიანი განკარგულებით მევალებოდა შრომის კანონმდებლობის დაცვა-გატარება. დიახ, დაცვა და გატარება.

სულ მალე ამ ბრძანების მიღებიდან ის ქალბატონი უმტკივნეულოდ დაუბრუნდა თავისი პროფილით ჟურნალისტიკის კათედრას, თავის სპეციალობას (რამდენიმე ხნის შემდეგ მან მადლობა გადამიხადა ჩემი შეურიგებელი პოზიციისათვის), ხოლო ლაბორანტს შეუნარჩუნდა თავისი სრული დატვირთვა, გამოეყო ჯერ ასისტენტის, მერე დოცენტის სრული განაკვეთი და ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას იმავე კათედრაზე.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა გავლენა მოახდინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ „ინციდენტმა“ პროფ. დ. ჩხეიძესთან, როგორც რექტორთან და შემდგომ მინისტრთან ჩვენს პირად ურთიერთობებზე? აკი გავრცელებულია აზრი თითქოს ჩვენ ყველა, ძველი თაობის წარმომადგენლები, მონური მორჩილების შიშით ადმინისტრაციის ბრძანების მხოლოდ ყრუდ შემსრულებლები ვიყავით და არა ადამიანები, რომლებთაც შეეძლოთ დაეცვათ თავიანთი ღირსება კანონიერების ფარგლებში. რომ ეს ყოველთვის ასე არ იყო, ამას ჩვენი მაგალითი ცხადყოფს. აბსოლუტურად არაფერი არათუ არ შეცვლილა, პირიქით — უფრო თბილი, კეთილი ურთიერთ დამოკიდებულება გვქონდა, ვიდრე უსიამოვნო შემთხვევამდე. დამადასტურებელი ფაქტი? მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდით დოკუმენტის ენით მოგახსენებთ:

1986 წლის 6 ივნისს ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სამინისტროს სახელმძღვანელობის განყოფილების უფროსი, გივი მელიქიშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აუწყა:

[1] ნამდვილის ვინაობას ტექსტიდან არ ვასახელებთ. ამით ბრძანების ფაქტი არ იცვლება.

— ვასრულებ პირადად მინისტრის დავალებას და წვგიკითხავთ მის ბრძანებას № კ—57. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მეცნიერული კურსის ფუძემდებლის, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო-მეთოდური სექციის თავმჯდომარის, სამინისტროს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატის, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანის, პროფესორ აკაკი სარდიონის ძე თოფურიას დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით ვბრძანებ: 1. დაჯილდოვდეს პროფესორი აკაკი სარდიონის ძე თოფურია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სიგელით. მინიტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი“.

ყოველივე ზემოთ თქმული იმისათვის მოვიტანე, რომ მეგრძნობინებინა თქვენთვის, ცხოვრება საერთოდ ყოველ დროსა და ეპოქაში იავარდით როდია მოფენილი. კათედრის პირველი ნაბიჯები, მისი ისტორია იწყებოდა წინააღმდეგობებით, მაგრამ ამავე დროს მათი დაძლევისა და სიმართლის ინტერესებისათვის შეუპოვარი ბრძოლის, საქმის კეთების წყურვილით. ეს განწყობილება და პათოსი სრულადაა გამოხატული გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1978 წლის 4 ივლისის ნომერში (№ 78) გამოქვეყნებულ გაზეთის კორესპონდენტთან მიცემულ ჩემს ინტერვიუში სათაურით: „ახალი კათედრა. ახალი პერსპექტივები. სტუდენტთა სპეციალიზაციისა და პედაგოგიზაციის ახალი კერა უნივერსიტეტში“. მასში ნათქვამი იყო:

„თუ მშობლიური ენა და ლიტერატურა ეროვნულობის ბურჯი და საძირკველია, უნდა შევთანხმდეთ და ვიწამოთ, რომ ამ საგნის მასწავლებლები რესპუბლიკის სკოლების დედაბოძია. პირველის უკვდავება, სიმტკიცე და გამძლეობა ბევრად არის დამოკიდებული მეორის მიერ ერის წინაშე თავისი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ღრმად შეგნებაზე, მის სიყვარულზე საგნისადმი, ცოდნაზე, სწავლების პროცესში ამ ცოდნის გამოყენების ფორმებსა და საშუალებებზე“.

თუ რა მუშაობა გასწია კათედრამ დასახული ე რ ო ვ ნ უ ლ ი მ ი ზ ნ ე ბ ი ს განხორციელების მიმართულებით დაარსებიდან 1989 წლამდე, ამის შესახებ საკმაოდ არის მოთხრობილი პრესაში გამოქ-

ვეყნებულ მასალებში და აქ თავს არ შეგაწყენთ (იხ. „კათედრის პირველი ნაბიჯები“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1984, № 5, „შედეგები და პრობლემები“, „სახალხო განათლება“, 1988, № 41, ბ. მიშველაძე „მსჯელობენ მომავალი პედაგოგები“, „სახალხო განათლება“, 1988, № 100, კრებული „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები“, თსუ გამოცემა, 1987, გვ. 154—170 და სხვა). მარტო მასწავლებელთა საქალაქო მუდმივმოქმედი სემინარის 10 წლის ისტორია რად ღირს. მხოლოდ აუცილებელია მოკლედ გავიხსენო ერთი მტკივნეული ეპიზოდი.

კათედრის დაარსებისთანავე ჩემი უპირველესი მიზანი იყო ასპირანტის ადგილის გამოყოფისათვის ზრუნვა. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში ძველი ნაცნობი, ავტორიტეტული თანამშრომელი მყავდა. იქიდან დავიწყე ნიადაგის მოსინჯვა.

— ვისთვის გინდა ასპირანტის ადგილი? — მკითხა მოულოდნელად ივერი ლორთქიფანიძემ.

— ვისთვის თუ რისთვის? — შევაგებე უნებურად.

— უნდა ვიცოდეთ, სახელდობრ ვისთვის. — მომიგო ბატონმა ივერმა.

— მისალები კონკურსის ჩატარებამდე, წინდაწინ საიდან უნდა ვიცოდე ახალდაარსებულ კათედრაზე ვის მოუწევს ეს ადგილი.

— აბა, წინდაწინ თუ არ იცი, რატომ თხოულობ?

— შემცვლელის გამოსაზრდელად. ახალი დარგია, ახალი კათედრა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო აკაკი, ვინ ფიქრობს დღეს შემცვლელზე?

— აბა, რაზეა აგებული ამ მიმართებით ფიქრი?

— ურთიერთ პირად სარგებლიანობაზე...

კათედრასთან შექმნილი სტუდენტთა სამეცნიერო წრე და სადიპლომო შრომების დაცვის დაწესება ღირსეულთა გამოვლენის საიმედო ბაზად ისახებოდა, მაგრამ ამისთვის წლები იყო საჭირო. უნდა გამომეყენებინა ე. წ. მაძიებელთა მიღების ფორმა და აქაც გარკვეული სიძნელე არსებობდა. სავალდებულო იყო პროფილით მუშაობის არანაკლები ორი წლის სტაჟი, რომ საგნების ჩაბარების ნება მისცემოდა.

აი, ასეთ სიტუაციაში გამომეცხადა კათედრაზე ფილოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი კურსდამთავრებული ახალგაზრდა ნ. გ.-ლი,

რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად განაწილებული აღმოჩნდა სვანეთის ერთ-ერთ რაიონში. მას სტუდენტობიდან არ ვიცნობდი. 1978 წლიდან დისიდენტურ მოძრაობაში აქტიურად ყოფილა ჩაბმული და მეთოდიკური საგნების ლექცია-პრაქტიკუმების გაცდენა, ალბათ, ბევრჯერ უხდებოდა. მის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შემიქმნა მეზობელი — ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ზოგიერთმა წევრმა. მეც დადებითად განვეწყე.

— კარგად დაფიქრდით, აწონ-დაწონეთ თქვენი სამეცნიერო მიდრეკილება. თუ მაინც და მაინც ჩვენსკენ გადმოიხრებით, გაეცანით სახელმძღვანელო წიგნს ქართული ლიტერატურის მეთოდიკაში და ერთი კვირის შემდეგ მობრძანდით. — ვუთხარი პირველი შეხვედრის დღეს. ერთი კვირის თავზე მობრძანდა და წერილობით განმიცხადა.

— სურვილი მაქვს ვიმუშაო თქვენი ხელმძღვანელობით თქვენ მიერ შექმნილი მეცნიერული სახელმძღვანელოს მიმართულებით. გთხოვთ საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების ნება დამრთოთ და თემა შემირჩიოთ.

მომეწონა ახალგაზრდა კაცის დაჟინებითი მოთხოვნა. იმ დროისათვის რაიმე სტატია გამოქვეყნებული არ ჰქონდა. თან სამინისტრო აძალებდა განაწილებით წასვლას.

— სურვილი ერთია, შედეგი — მეორე. — ვუხსნიდი მეორედ შეხვედრის დროს, — იცოდეთ, მე ჩემი შემცვლელი მჭირდება, მეცნიერული დარგის და კათედრის მუშაობის გამგრძელებელი. ხანში შესულს მაფიქრებს საიმედო, კეთილსინდისიერი მუშაკების დეფიციტი. რაც უფრო მონდომებით დაეუფლებით საგანს, სპეციალობას, დაწერთ დისერტაციას, მით უფრო ჩქარა დაიკავებთ ჩემ ადგილს.

— ყველაფერს გაეკეთებ, ბატონო აკაკი, ოღონდ დამეხმარეთ განაწილებიდან დახსნაში.

დავეხმარე. განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოში ჩემი ფეხით მიეყვეი. სამმართველოს უფროსის მოადგილის, ქალბატონ ე. ვაჩნაძის თანხმობით მხოლოდ ორი თვის მასწავლებლად მუშაობა აკმარეს, განაწილებიდან მოხსნეს, ორი წლის სტაჟის ნაცვლად განათლების რაიონული განყოფილებიდან წარმოდგენილი ორი თვის მუშაობის ცნობით, კანონის უხეში დარღვევით

საკითხი აღძარი, 1981 წელს დაიწერა რექტორის ბრძანება საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარების ნებართვის შესახებ, შევურჩიე თემა, მოვაწყვე ერთდროულად წიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში (რეფერანტად) და თბილისის პირველ საშუალო სკოლაში (მასწავლებლად), ეს სკოლა მისი დირექტორის, ქალბატონ ლია შეწირულის თანხმობა-თანადგომით გადავაქციე კათედრის სასწავლო ბაზაფილიალად, რათა იქ ჰქონოდა სამუშაო ოთახი. ასე და ამრიგად, შევუქმენი ყოველგვარი პირობები იმისათვის, რომ შეესრულებინა ჩემთვის მოცემული სიტყვა-პირობა, ემუშავა გულმოდგინედ, დაეწერა დისერტაცია. გავიდა გარკვეული დრო.

კათედრაზე ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში საკანდიდატო მინიმუმის ჩასაბარებლად მაძიებლებისათვის, როგორც წესად იყო მიღებული ყველა სპეციალობაზე, გამოყოფილი მქონდა საკონსულტაციო საათების გრაფიკი. ვცხადდებოდი ყოველთვის დანიშნულ დროზე, ცხადდებოდნენ სხვებიც, არ ცხადდებოდა მაძიებელი ნ. გ-ლი. ორი წელი ისე გავიდა, რაიმე რეფერატიც არ წარმოადგინა. 1983 წლის 8 დეკემბერს კათედრის სხდომაზე მოვისმინეთ მისი თვითანგარიში. ერთსაათიან მოხსენებაში ერთი სიტყვაც არ ერია იმის სანიშნოდ და საჩვენებლად, რომ წაკითხული ჰქონოდა თემასთან დაკავშირებული რაიმე სავალდებულო ლიტერატურა. აშკარად ეტყობოდა, საგანს გულს არ უდებდა, ნიჭს და უნარს სხვა საქმეს ახმარდა.

— რა გიშლიდათ ხელს წარმოგედგინათ კათედრაზე საჭირო პასუხისმგებლობის გრძნობით მოხსენება შენივე სადისერტაციო თემიდან, როგორც ამას საგნის და თემის სპეციფიკა მოითხოვს? ორი წელიწადი საკმარისი არ იყო საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული სპეციალური ლიტერატურის შესწავლისათვის? კათედრაზე ხომ დევს ამ ლიტერატურის ცნობარი? — ვკითხე მაძიებელს მიზეზის გასარკვევად. იუკადრისა შეკითხვა-შენიშვნა, თუ თავს გაუვიდა, გავშეშდი, როცა კათედრის წევრთა თანდასწრებით, ყოველგვარი მორიდების გარეშე, პასუხად ასეთი სიტყვები მომახალა:

— თქვენ და თქვენი თაობა, სტალინის თაობა, მოსასპობი ხართ ყველა. თქვენ შეჩვეული ხართ მონურ დისციპლინას. ჩვენ, ახალგაზრდობას, თავისუფლება გვინდა. როცა მინდა, მაშინ წავიკითხავ.

უცებ მომაგონდა ალფონს დოდეს ნაწარმოებიდან სეგენის თხის იგავი, მინდოდა მეპასუხა, დააბრუნე კათედრისათვის ფუჭად და-

კარგული ორი წელი-მეთქი, მაგრამ უცებვე გადავიფიქრე. აზრი არ ჰქონდა.

— კი ბატონო. კარი ღიაა. თავისუფალი ბრძანდებოდეთ კათედრის მოთხოვნებისაგან. თქვენი დისერტაციის დაწერისათვის ჩემი თაობის ნაშთარ ადამიანებს მოსასპობად ვერ გავიმეტებ. — აუღელვებლად ვუპასუხე ქედმაღლურად გაამაყებულ იმ ახალგაზრდას, რომელიც გულისტკენით კი არ დაკმაყოფილდა, შემდგომ სათავეში ედგა ალმანახ „კრიტიკიდან“ ჩემს წინააღმდეგ თავდასხმას, მიმართავდა სხვა უმსგავსო ხერხებსაც. მიუხედავად ამისა, აზრადაც არ მომსვლია მაძიებელთა სიიდან მისი გვარის ამოშლა. მეგონა მოინანიებდა შეცდომას, მიხვდებოდა, რომ პირმოთნეობით, სპეციალური საგნის შეუსწავლელად, ჩემგან შეღავათს ვერ მიიღებდა.

კათედრის სხდომის იმ დღიდან გამომყვა მტანჯავი ფიქრი: როგორ მოვტყუვდი, როგორი იმედი მქონდა, რა დათმობებზე არ წავედი, რა არ გავუკეთე. შედეგად? მანუგეშებდა ხალხური სიბრძნე: კეთილშობილი ადამიანის არსებაში დასაბამიდან შეუთავსებელია ერთმანეთთან ნიჭი და თავხედობა, ამაგი და უმადურობა. ორივე ეს მანკიერება საშიში და მაენე სენია, რაც, სამწუხაროდ, გავრცელებას უფრო პოულობს, ვიდრე...

ე დ უ ა რ დ შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ი ს[1] (1972—1985) მიმღები განყოფილების გამგემ, ვლადიმერ პაჭკორიამ, მოგონების პირველ ნაწილში ნახსენები სირიაჩქონელი ღარიბი გლეხის არსენ პაჭკორიას შვილმა, რომელმაც თავისი ვინაობა ცენტრალური კომიტეტის შენობაში პირველად შეხვედრის დროს მორიდებით გამაცნო (სოფლიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ დაბადებულა), წინასწარ ერთი ფრიად საიდუმლო, ჩემთვის ფრიად საინტერესო შტრიხი გამანდო: დააკვირდით სახეზე, თქვენი საუბრის დროს თუ ჩალიმების იერი გადაეფინა, ჩათვალეთ, მასთან თქვენი შემდგომი ყოფნა უაზროა, თუ თვალები დაძაბული ინტერესით მოგაპყროთ — მიზანი მიღწეულია.

1977 წლის 17 მარტს ღამის ათ საათზე მე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ისევ იმ კაბინეტში, ისევ იმ მაგიდის პირისპირ ვიჯექი, სადაც 1959 წლის 2 დეკემბრის დი-

[1] ამ ქვეთავის ჩათვლით მოგონებათა მეორე ნაწილის დაწერა მთლიანად დამთავრებული მქონდა, როცა „ცისკრის“ 1991 წლის მე-6 ნომერში (გვ. 105—124) გამოქვეყნდა ბატონ გურამ ფანჯიკიძის საინტერესო სტატია „ედუარდ შევარდნაძე — შტრიხები პოლიტიკური პორტრეტისათვის“. იქვე (გვ. 150—158) დაბეჭდილია ჩემი ერთი ნაწყვეტი მეორე ნაწილიდან. აქ მთავარია თვით ფენომენისადმი სხვადასხვა ასპექტით მიდგომის პოზიციური თანხვედრილობა.

ლის ათ საათზე შესვლა მომიხდა ე. შევარდნაძის წინამდივანთან ბინის სათხოვნელად. ამჟამად რაიმე პირადული მიზნით არ ვიყავი მისული.

ყოველგვარი სიყალბის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლის აუცილებლობაზე ახალი მდივნის გამოსვლებით გამხნევებული ეახ ყენებდი საკითხს მეცნიერებაში შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობის, მომავალი საიმედო სამეცნიერო კადრების აღზრდის დარგში არსებული მახინჯი მხარეების აღმოსაფხვრელად, გამოსასწორებლად, კომუნისტის საწესდებო მოვალეობით ცენტრალური კომიტეტის, პირადად ე. შევარდნაძის მიერ აღებული გეზისა და კურსის კიდევ უფრო გასაფართოებლად და ასამაღლებლად.

ეს გეზი და კურსი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ლიდერის როლში მისი გამოჩენისთანავე მოინათლა „განახლების გრიგალის“ ქროლვის, ფსიქოლოგიურ-ზნეობრივი რევოლუციის, სამართლიანობისა და პატიოსნების აღდგენის კაშკაშა იმედის ნიშნად. სტავროპოლის მხარეში, კერძოთ, ჟელეზნოვოდსკის სანატორიუმებში ზაფხულობით ორ წელს ზედიზედ დასვენების დროს (1975, 1976), ლერმონტოვისა და სლავიანსკის სახელობის მინერალური წყაროების აუზებთან თავმოყრილი სხვადასხვა ეროვნების დამსვენებლებისაგან ჩემი ყურით მომისმენია „ზარია ვოსტოკას“ მეშვეობით ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე მათი აღფრთოვანებით შეფასებები. განსაკუთრებით მართლწესრიგის დამყარების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მათი აზრით მოპოვებული მიღწევების გამომხატველი ასეთი სასიხარულო სიტყვები. — შევარდნაძე ჩვენ გვჭირდება, — აცხადებდნენ შუააზიელები. — არა, შევარდნაძისთანა რკინის კაცი პირდაპირ მისწრება იქნებოდა ჩვენთვის. — უსწორებდნენ მედუნოვის[1] მხარიდან ჩამოსულები.

ამის საფუძველს მათ აძლევდა კერძომესაკუთრული ინსტინქტების, პროტექციონიზმის ასალაგმავად, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლებისა და სოციალისტური საკუთრების დასაცავად გატარებული პირველი რადიკალური ღონისძიებანი, დაუნდობელი, შემტევი ლაშქრობები „მარცხენა ილეთებით“ მოვაჭრე ბნელი ძალების გამოაშკარავებისა და პასუხისგებაში მისაცემად, წინამორბედის ხელმძღვანელობაში დაშვებული ე. წ. იდეოლოგიური შეცდომების თუ

[1] მედუნოვი — კრასნოდარის სამხარეო პარტიული კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი, ბრეჟნევის სიკვდილამდე მხილებული და მოხსნილი თანამდებობიდან ბოროტმოქმედებისათვის.

„ჩვენს მშვენიერ სახელმწიფოში ფარული სახელმწიფოს“ წარმომშობი მიზეზების მოსპობისა და ლიკვიდაციისათვის. ბრჭყალებში ჩასმული ფრაზა ე. შევარდნაძემ პირველად გამოიყენა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს, როცა ასურათებდა და მუქ ფერებში ხატავდა საქართველოს მაშინდელ სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებს.

შემდგომ ვ. მჟავანაძის პერიოდის მძაფრ კრიტიკას, კერძოთ, მისი მეუღლის პარპაშის და მოქმედების სფეროების მავნე კერების გამოვლენას მან თითქმის სამი-ოთხი წელი მოანდომა, რასაც თავისთავად მოჰყვა ძირეული საკადრო ცვლილებები ყველა ეშელონსა და ინსტანციებში. ყოველივე ამის პირდაპირი გამოძახილი იყო, ერთი მხრივ, სამედიცინო ინსტიტუტის, ცეკავშირის, ძმები ლაზიშვილების, წვენების დამამზადებლების და სხვა შორს გახმაურებული ამბები, ხოლო, მეორე მხრივ, უკურეაქციად ხანძრის ხშირი შემთხვევები საგარეჯოში, ზუგდიდში, თბილისში (ოპერისა და ბალეტის შენობაში), მთავრობის სახლის აფეთქების ცდა და ა. შ.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ე. შევარდნაძის მიერ ახლადდაწყებულ, პროპაგანდისტულად დამაჯერებელ, გულახდილობისა და გულწრფელობის სამოსელში ოსტატურად გახვეულ, გარეგნულად, ვითომდა, მტკიცე მოძრაობას, სამწუხაროდ, იმთავითვე თან დაჰყვა მისი რამდენადმე გამაუფასურებელი, მოჩვენებითობის ანტიპოდური, ყალბი ელფერი. ჩვეულებრივ ამგვარი ჩრდილოვანი შემთხვევა ხელმძღვანელობის სუბიექტივისტურ სტილში, სუბიექტივიზმში ვლინდება.

...1972 წლის ივნისის დასაწყისში, ჯერ კიდევ მჟავანაძის დროს, თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ძველ, ერეკლესეული სასახლის შენობაში, სანამ ქართული ენისა და ლიტერატურის დღის განყოფილებაზე გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდები დაიწყებოდა, პირველ სენსაციურ ამბად დამახვედრეს: — ჩვენთან, თელავში, დიდი „ბომბი“ გასკდა. საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე სახელმწიფო ფონდებიდან ინდივიდუალური ნაკვეთების გამოყოფის საქმეში კანონის უხეში დარღვევების გამო მოხსნილია სამსახურიდან და სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულია აღმაშფოთებელი მასალები. იმავე წლის სექტემბერში რომ ჩავედი დაუსწრებლებთან გამოცდების ჩა-

სატარებლად, ახლა უკვე ინსტიტუტის საკუთარ ახალაშენებულ კორპუსში, სიცილით მითხრეს: — პასუხისგებაში მიცემული საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მალე რაიკომის მდივანი იქნება. და მართლაც, იგი ხელუხლებლად ასრულებდა ამ მომოვალეობას ე. წ. ეროვნული ძალების მიერ პოლიტიკური ბრძოლის უხეში ფორმის გამოყენებით კაბინეტის კარების აქედამდე.

მაშასადამე, ფაქტობრივად იგნორირებულ იქნა რაიონული პრესის და თელავის პარტიული კომიტეტის კრიტიკული პოზიცია. საქმე ეხებოდა ისეთ ნეგატიურ მოელენას, რომელსაც მაშინდელი კანონების მიხედვით ბრძოლას უცხადებდა წინანდელი ხელმძღვანელობა. როცა იმავე ხელმძღვანელობას ბრალი ედებოდა მსგავსი მოვლენების მიჩქმალვასა თუ დაფარვაში, საზოგადოება ინფორმირებული უნდა ყოფილიყო პრესაში საჯაროდ გამოქვეყნებული მასალის გარშემო საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის, კერძოთ, თელავის საქალაქო პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილების შედეგებზე. საზოგადოებრივი აზრი მაშინ ამ ფაქტის გამო, ცხადია, გაორებული იყო, რაც თავიდანვე ბზარად დააჩნდა ე. შევარდნაძის რადიკალურ ღონისძიებათა ქმედითობის ძალას. მაგრამ თვითნებობის ასეთი ცალკეული მაგალითი ჩანასახში ჯერ კიდევ რელიეფურად არ ჩანდა.

...ჩემ მიერ წერილობით დასმულ საკითხზე ნახევარსაათიანი საუბრის და რეზოლუციის სახით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ე. შევარდნაძემ კაბინეტიდან ლაკონური სიტყვებით გამომისტუმრა: თქვენ ჩემგან მიიღებთ პასუხს. გავიდა სამი დღე და მიმღები განყოფილებიდან ტელეფონით ე. პაპკორიამ აღტაცებით მახარა: — გილოცავთ, ბატონო აკაკი. პირველთან ყოფნის მეორე დღეს ბიუროს სხდომაზე თქვენი გვარი მან პატივისცემით მოიხსენია. აღშფოთებით ლაპარაკობდა თქვენ მიერ დაყენებული საკითხების ირგვლივ. რეზოლუციანი თქვენი წერილობითი ტექსტის ასლები გადაეცა შესაბამის ადრესატებს. საქმე აყვანილია მტკიცე კონტროლზე. ერთ კვირაში გამოგიძახებენ. ქალაქიდან არ გახვიდეთ.

— რა რეზოლუცია ადევს, თუ საიდუმლო არ არის, ეგებ მიკარნახოთ.

— ახლავე. ძირითადი პირი მაგიდაზე მიდევს. „ამხ. ე. სეხნიაშვილს, ამხ. ს. ხაბეიშვილს, ამხ. შ. ყარყარაშვილს! შეისწავლეთ ერთობლივად და არ გამოვრიცხავ შესაძლებლობას ბიუროს სპეცია-

ლური მსჯელობის საგნად იქცეს ეს საკითხი. ე. შევარდნაძე. 17. III. 1977". პირველის უდიდესი ინტერესია ჩაქსოვილი ამ რეზოლუციაში. ცენტრალური კომიტეტის სამი ყველაზე მთავარი განყოფილება — მეცნიერების და სკოლების, პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის და პარტიული კომისიის — უკვე ჩაბმულია საკითხის ერთობლივი შესწავლის პროცესში. ასეთი გამოძახილი ჯერ არ მახსოვს ვინმეს ღირსებოდეს. წინასწარ გილოცავთ გამარჯვებას.

გავიდა კიდევ ერთი კვირა და, მართლაც, პარტიული კომისიის თავმჯდომარის შ. ყარყარაშვილის მაგიდაზე ელაგა სასამართლოებიდან გამოხმობილი ერთი „ჩავარდნილი" სადოქტორო დისერტაციის ავტორის საჩივრების ექვსი ტომი. გაცნობოდა დეტალურად და ფაქტის უცნაურობით გაკვირვებული, ჩემგან ითხოვდა დამატებით ინფორმაციას დისერტანტის საჩივრების სხვა ასპექტებსა და ხასიათზე. ქრონოლოგიურმა ნუსხამ ოცდახუთი ნაბეჭდი გვერდი შეადგინა. ამან უფრო განაცვიფრა შ. ყარყარაშვილი და აღმითქვა მოკლე დროში პრინციპული შეფასება მიეცემოდა უნივერსიტეტში დისერტაციების დაცვის მდგომარეობას.

გავიდა ამის შემდეგ კიდევ ორი კვირა და აპრილის შუარიცხვებში ბიუროსათვის მომზადებული პროექტის წინასწარ გასაცნობად პარტიული კომისიის თავმჯდომარესთან მიწვეული იყვნენ უნივერსიტეტის რექტორიდან და პარტიული კომიტეტის მდივნიდან დაწყებული ყველა ის პირი, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1973 წლის 19 ოქტომბერს ჩატარებული სადოქტორო დისერტაციის დაცვის პროცედურასთან. ეს ნიშნავდა ბიუროსათვის საკითხის მომზადების უკანასკნელი ეტაპის დამთავრებას.

ოპერატიულობა, საკითხისადმი პარტიული ინტერესებით მიდგომა, დაპირება და იმედი უმალ გაჰქრა, როგორც კი ბიუროზე განსახილველ პროექტში იმ კაცის გვარი გამოჩნდა, ვის მიმართ ე. შევარდნაძეს თავისი სუბიექტური აზრი კუთხურობის თვალსაზრისით ჰქონდა შემუშავებული. მდინარის მღვრიე ნაკადში გადაგდებულ ანკესს უნებლიეთ ამოყვა არა მეორეხარისხოვანი ღორჯო... და წერტილი დაესვა ეიფორიას. არც პირადად მისგან და არც საკითხის შემსწავლელი ერთობლივი, ესოდენ ავტორიტეტული კომისიისაგან მიმიღია რაიმე პასუხი. მაშინდელ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ 1977 წელს გამოცემულ ბიულეტენში ნათქვამი იყო: „ადამიანი, რომელიც საჭი

დადებითის შემთხვევაში წერს უარყოფით რეცენზიას, ეწევა გმირულ მუშაობას“ (იხ. № 1, გვ. 6).

სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტანტის უღირსი ნაშრომის საწინააღმდეგო დებულებების საჯაროდ დასაბუთება, დამტკიცება და საბჭოს მიმხრობა განა სამის ნაცვლად ოთხი დადებითის შემთხვევაში უარყოფითი რეცენზიის დაწერაზე უფრო ორმაგ გმირობად, უნივერსიტეტის ღირსებისათვის ერთგვარ თ ა ვ გ ა ნ წ ი რ ვ ა დ არ ჰქონდათ აღქმული სასამართლო დევნის მასალების გაცნობის შედეგად პროექტის შემდგენლებს?! განა აქეთკენ, საკითხის ამგვარი პრინციპულობით შესწავლისაკენ არ აქეზებდა მათ თვით რეზოლუციის ავტორი? მაშ, რამ შეაყოვნა, რამ შეაფერხა, რამ მოახსნევინა ბიუროს[1] დღის წესრიგიდან?...

სამაგიეროდ, ე. შევარდნაძემ სპეციალური პლენუმი მიუძღვნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენების, სახალხო მეურნეობაში მისი მიღწევების დანერგვის საკითხს, მაგრამ რა შედეგი მოყვა ამ დანერგვას, საყოველთაოდ ცნობილია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, უდავოა და ამაში დამარწმუნა თვით შეხვედრის ფაქტმა, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას მანამდე არ ჰყოლია ისეთი ნიჭიერი, ერუდირებული, გაბედული, ინტელექტუალურად მოაზროვნე პირველი მდივანი, როგორიც იყო ე. შევარდნაძე. და იმავე დროს პირდაპირ უნდა ითქვას, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია არასოდეს გახრწნილა ზნეობრივად ისე ღრმად და ისე ძირფესვიანად, როგორც მის პერიოდში. ამის მიზეზი პირველ რიგში ხრწნადობის გ ლ ო ბ ა ლ უ რ ო ბ ა იყო. ამის რეგიონალურობის ნათელი დადასტურება იყო ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების, სიღნაღის, ოზურგეთის და სხვა რაიკომების მდივნების ტელევიზიით გადაცემული სასამართლო პროცესები.

და ბოლოს, ამის მეტად საინტერესო მხატვრულ-პუბლიცისტური, მახვილგონივრული ირონიზაციაა გამოხატული ნიჭიერი პოე-

[1] ბიუროსათვის მომზადებულ პროექტში სამეცნიერო საბჭოს სტენოგრამიდან მრავალთა შორის დამოწმებული იყო ასეთი ეპიზოდიც: დისერტანტს ავტორეფერატში მოხმობილ სასკოლო პროგრამულ თემაზე, ეთქვათ ნ. ბარათაშვილზე, 736 გაკვეთილს ჩასატარებლად სჭირდებოდა 50 წელიწადი, იმავე თემაზე 5337 მოსწავლის წერითი ნამუშევრის შესამოწმებლად კი — 150. დაცვის დროისათვის თვითონ 51 წლისა იყო. მაშასადამე, მეცნიერებაში თაღლითობის გაუგონარ, ძირშივე აღსაკვეთ მაგალითთან გვქონდა საქმე.

ტის და მწერლის დავით მჭედლურის 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში „პირველი“, რომელშიც სწორედ იმ პერიოდის გადაგვარებული, შენიღბული, გაეშმაკებულ-გამამაძღლებული ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების ზოგადტიპიური სახეა გამოძერწილი და გამოჭანდაკებული.

ერთი მხრივ, თითქოს შემხვედრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვების ნიადაგზე გარდამავალი დროშებით, სოციალისტური შრომის გმირებით, ორდენებით და „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატებით ეითომდა იზრდებოდა, დიდდებოდა საქართველოს სახელი. მეორის მხრივ, მეჩაიეობის, მეღვინეობის, მეცხოველეობის დარგებში მასობრივად გამეფებულმა მიწერებმა დააკნინა მისი ეკონომიკა, ბირს დასცა პროდუქციის ხარისხი, გამოაცალიერა საწყობები, ბაზები და მაღაზიები, ახალი ფრთები შეასხა კორუფციას, პროტექციონიზმს, კერძომესაკუთრულ ინსტინქტებს, რომელთა მოსპობა ე. შევარდნაძის მთავარ საბრძოლო დევიზს წარმოადგენდა მისი მუშაობის დაწყების პირველ ეტაპზე.

მაშასადამე, ატეხილ ჰექა-ქუხილს ვერ მოჰყვა ე. წ. ნეგატიურ მოვლენათა წამლეკველი სეტყვა და ნიაღვარი, გულწრფელობას — სიდინჯე, წინდახედულება, მოსალოდნელი შედეგის წინასწარ განჭვრეტის სიბრძნე და სილაღე. ეს იყო საკავშირო მასშტაბით პარტიაში კრიზისული პერიოდის კიდევ უფრო გამწვავების ხანა, როცა წესიერებისა და პატიოსნების მიმდევრებისათვის კომუნისტის ბილეთის ტარება სამარცხვინო ტვირთად იქცა, კარიერისტებისათვის კი — თანამდებობის „უიდვის“ წყაროდ.

სწორედ იმ პირველ ეტაპზე შექმნა ე. შევარდნაძემ საშუალო და უმაღლეს სკოლებში სრულიად გაუმართლებელი, პარტიული ორგანიზაციების აქტიურობის შემზღუდველი, 20—30-იან წლებში სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან ჩამოყალიბებული პოლიტგანყოფილებების რაღაც ანალოგიური დამატებითი ახალი შტატი იდეურ-პოლიტიკურ დარგში დირექტორებისა და რექტორების მოადგილეებისა (პრორექტორებისა), რომელთა გაუქმებამდე ყოველწლიურად დიდძალი თანხა იხარჯებოდა. ამის ერთ-ერთ საბაბად იქცა თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში არალეგალური კედლის გაზეთის გამოშვების ფაქტი.

მაგრამ განა ამ ღონისძიებით დისიდენტური მოძრაობა შენელდა

და შეჩერდა? განა აბაშისა და ფოთის ექსპერიმენტებმა რაიმე მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო? წითელწყაროში მეცხოველეობის „გრანდიოზული“ კომპლექსის მშენებლობამ, რომლის დამთავრების შემდეგ ე. შევარდნაძის მიერ ერთ-ერთ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის მიხედვით საქართველოში ხორცის პრობლემა ორ-სამ წელიწადში უნდა გადაჭრილიყო, სინამდვილეში გადაიჭრა? მოგვცა რაიმე შედეგი?

სამაგიეროდ, ფართო გავრცელება ჰპოვა ყოველ კუთხესა და რაიონში ათასგვარი დღეობების დაწესებამ, წარმოება-დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ხარჯზე მოწვეული დიდძალი სტუმრების „პურ-მარილით“ უხვად გამასპინძლებამ, სურსათ-სანოვაგის უთაებოლოდ ხარჯვამ, ზარ-ზეიმით, პომპეზურობით და პარადულობით მოსკოველი დიდი კაცების მიღება-გაცილებამ, მათ წინაშე უსაზღვრო მლიქვნელობისა და მაამებლობის ტენდენციამ. აი, ამის ორი ტიპობრივი მაგალითი:

1. 1984 წლის 8 ნოემბერს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმზე ე. შევარდნაძე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით თემაზე: საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, პლენუმზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად („კომუნისტი“, 1984, 4 ნოემბერი, № 124). განა დღის წესრიგის პირველი ასპექტი „დებულებებისა და დასკვნების“ გარეშე საკმარისი არ იყო? 2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომაკვდავი გენერალური მდივნის კ. უ. ჩერნენკოს ვითომდა დიდი თეორიული საგანძურის, მისი (თუ სხვისი) სტატიის — „განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნების დონეზე“ განსადიდებლად იმავე ე. შევარდნაძემ, ახლა როგორც სკკპ ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, შესაშური ოპერატიულობით გამოაქვეყნა ჟურნალში „პრობლემი მირა ი სოციალიზმა“ წერილი სათაურით „ეკონომიკის პარტიული ხელმძღვანელობა განვითარებული სოციალიზმის პირობებში“ (იხ. 1984, № 12). განა შეიძლებოდა ყალბი თეორიისა და ყალბი პრაქტიკის კიდევ უფრო ესოდენ გაყალბება?

ე. შევარდნაძის მიერ საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომათა შორის უნივერსიტეტისათვის ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა სამედიცინო დარგის სპეციალისტის, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯა-

ვას (1980—1985) რექტორად დანიშვნა ფორმალურად დიდ საბჭოზე არჩევის გზით.

პირველი დღეებიდანვე ზოგჯერ ჰორის დონეზე დასული მითქმა-მოთქმის გაფანტვა ადვილად შეიძლებოდა, რომ რექტორს მის გარშემო სამეურნეო-ადმინისტრაციულ და სხვა განხრით საეჭვო რეპუტაციის მუშაკები არ შემოეკრიბა. მალე ცნობილი გახდა აგრეთვე მის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახატიო მედლის გამაუფასურებელი ნაბიჯის გადადგმა, რამაც ხელი შეუწყო მითქმა-მოთქმის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ამას დაემატა მიღების საათების არა უბრალოდ შეზღუდვა, არამედ მკაცრი რეგლამენტირება იმდენად, რომ კათედრის გამგეებსაც არ შეეძლოთ მათთვის გამოყოფილ დროში პირდაპირ რექტორთან შესვლა. ჯერ უნდა მიგემართა პირადი მდივნისათვის, ის გაგაგზავნიდა სათანადო განხრის პრორექტორთან, მისგან უნდა აგეღო თანხმობა, რომ საკითხის განხილვა უშუალოდ რექტორის ნახვას მოითხოვს და მხოლოდ ამის შემდეგ შეგეძლო მოხვედრილიყავი მის კაბინეტში. ასეთი ხელოვნური ბარიერი პრაქტიკულად ართულებდა, გამაღიზიანებლად აბრკოლებდა საკითხების ოპერატიულად, სწრაფად გადაწყვეტას.

მერე და მერე ნათელი გახდა, რომ რექტორი უფრო მეტად ზრუნავდა საკავშირო და საქართველოს ტელევიზიის გამოყენებით, თვითრეკლამის გზით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევისათვის, ვიდრე შინაარსუნივერსიტეტო ცხოვრების აქტუალურ პრობლემებზე. თავისთავად არჩევის თანამგრძნობი ვინ არ იყო, მაგრამ როგორც სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მისი კანდიდატურის წაყენების დროს გაირკვა, არ გააჩნდა საამისო შრომები, მონაცემები და, მიუხედავად საბჭოს მხრიე ყოველმხრივი მხარდაჭერისა, მაინც ვერ გავიდა მოსკოვის ფარულ „ტურნირში“.

ვ. ოკუჯავას, როგორც რექტორის, მესამე დამახასიათებელი ნიშანი იყო ის „სიახლე“, რომელიც შეიტანა მან, შედარებით წინამორბედებთან, საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. მისი რექტორობის პერიოდში სამეცნიერო საბჭოს ყოველი სხდომის დღის წესრიგში პირველ საკითხად შეტანილი იყო ზოგადთეორიული, ზოგადმეცნიერული ლექციის მოსმენა, მის გარშემო სჯა-ბაასი. ამ ლექციებს დაახლოებით ისეთივე საგანმანათლებლო ხასიათი ჰქონდა, როგორც სავალდებულო ფინანსური ზარალით ათეული წლობით რომ იკითხებოდა საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით

„საბჭოურ“ წარმოება-დაწესებულებებში (პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკის მჭევრმეტყველური ხელოვნებით ხომ იშვიათად იყო სხვა ვინმე დაჯილდოებული!), და უშუალოდ უნივერსიტეტის საჭირბოროტო ამოცანებთან ნაკლებად იყო დაკავშირებული. ამიტომ მოსაბეზრებელიც იყო და დროის ფუჭად დამკარგველიც.

ხუთი წელიწადი ვიყავი ამ „სიახლით“ ტკბობის მოწმე და მონაწილე და არა მგონია საბჭოს მაშინდელი მრავალრიცხოვანი შემადგენლობიდან ვინმეს დასამახსოვრებელი აზრი გამოეტანოს მისგან. რექტორის აკადემიკოსობა ამგვარ „აკადემიზმში“ პოულობდა ერთგვარ გამონათებას, ხოლო მისი ორგანიზატორული უნარი — შრომის დისციპლინის სულ მთლად მოშლაში, თავაშვებულობასა და განუკითხაობაში. თსუ, როგორც მთელი ქვეყანა, უმართავობის ფაზაში შედიოდა.

1985 წლის 7 მარტს ღამით უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ჭიმიის ფაკულტეტის უმდიდრესი კაბინეტ-ლაბორატორიების ოთხი სართული ხანძრისგან ისე გადაიწვა და განადგურდა, რექტორისგან არათუ მწვავე, სულის შემძვრელი რეაქცია არ მოჰყოლია, უბრალოდ თავიც არ შეუწუხებია უბედურების იმ ღამესვე სანახავად.

სიმპტომატურია, ეს ფაქტი უნივერსიტეტის დაარსებიდან მის სახელოვან ისტორიაში ერთ-ერთი უმძიმესი, ტრაგიკული ეპიზოდი იყო. იგი მოხდა სამ წელიწადში ზედიზედ კრემლის სამი სამგლოვიარო პროცესიიდან (ბრეჟნევი — ანდროპოვი — ჩერნენკო) ზუსტად ერთი კვირით ადრე იმ მესამე უკანასკნელი ფარდის დაშვებამდე, რომელმაც სათავე დაუდო ე. წ. პერესტროიკას, ან განახლების თუ გადაშენების ხანას. იქნებ აკად. ვ. ოკუჯავა წინასწარ ჰგრძნობდა ამ ჟამის დადგომას? მაშინ პატარა ხანძრის გულთან მიტანას რა აზრი ჰქონდა! ენთუზიაზმით, ტანჯვით და ვაებით ნაშენ უზარმაზარ ქვეყანას უფრო დიდი ხანძრის დიდი უბედურება ელოდა თურმე.

როგორ თუ უბედურება! როგორ თუ ხანძარიო! მაშ, თავისუფლება და დემოკრატია, როგორც პერესტროიკის უდიდესი მონაპოვარი, უდიადესი ეპოქალური მოვლენა არ არის? კი ბატონო!...

სანამ თქვენ ამ მოვლენისგან ზღვის სანაპიროებზე ლაყუჩების საცოდავი ფართქალით გამორიყული თევზების შორიდან ცქერით და ყაყან-ქაქანით გაერთობოდეთ, ნება მომეცით, დაპირებისამებრ, აქ, ამ „კარიბჭესთან“ დავასრულო ამბის ემპირიული თხრობა. დადგა დრო ზემოდან, სიმართლის ღმერთთან მიახლოების, მისკენ

უმრწამესი ლტოლვის და სწრაფვის, მისი ცისფერი კოშკების სიმაღლიდან გადავხედო ჩემი ცხოვრების ხანგრძლივ, სამოცდაათი წლის **ფრეპარესიოდ** გაველილ შრომის და ბრძოლის გზას.

დიახ, იყო ცხოვრების ასეთი გზაც, ასეთი გზებიც.

მაგრამ რატომ მარტო ჩემი ცხოვრების? აქამდე „ჩემის“ და „ჩვენის“ ცალ-ცალკე არსებობა ხომ არ წარმოგვედგინა! აკი კერძოსა და საზოგადოს ერთმანეთთან შერწყმაზე ფიქრისას ილია ჭავჭავაძე ყოველ კერძოში ზოგადს ეძებდა, ზოგადში — კერძოს. ის რაც ოცნებად და ნატერად დაგვიტოვა, რეალურად მისი ხორცშესხმის პროცესი, აეად თუ კარგად, ჩემი თაობის, ე. ი. ჩვენი ხალხის, ქვეყნის თვალწინ ხდებოდა და მიმდინარეობდა.

აქედან გამომდინარე, კერძოობითი ჩემი გზა ძალაუნებურად გადახლართული იყო საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების გლობალურ გზასთან და მისი განუყოფელი, შემადგენელი ნაწილია. ჩემს ქცევებსა და მოქმედებებში, მიზნებსა და მისწრაფებებში, ზნეობრივ მრწამსსა და მოვალეობისადმი დამოკიდებულებაში თავთავიანთი პროფესიონალიზმით, სამუშაო ადგილით და საქმიანობით მილიონობით ჩემისთანა ადამიანების, კოლეგების, ნაცნობების თუ უცნობების აზრი და ფიქრია გამოხატული.

ამგვარი „კატალიზატორების“ გარეშე იმპერიად, ინტერნაციონალურ მასად წოდებული ქვეყანა ვერ აშენდებოდა. პერესტროიკის შედეგად, თავად მოგეხსენებათ, რამდენი უჩინარი პოტენციური მოწინააღმდეგე, რამდენი ქამელეონი, ბოღმით გატენილი და ნიღაბაფარებული მუშაკები ჰყოლია მას ხელმძღვანელობის ზედა ეშალონებიდან სულ ქვედა ძირამდე. და რა გასაკვირია, ადრეულ ეტაპებზეც ჰყოლოდა?! მაგრამ არასოდეს მიგვრძნია თავი ისე დათრგუნულად, როგორც სწორედ ამ ბოლო ეტაპზე, როცა მოვარდნილი მეწყერის მსგავსად სულიერად გამანადგურებელი რისხვა პირველ რიგში წესიერ, ზნეობრივად სპეტაკ და ღირსეულ ადამიანებს დაატყდათ, ხოლო არენაზე მეტწილად უსაქმურები და ყალთაბანდები მოტივტივდნენ.

ეწყვეტ რა ემპირიულ თხრობას იმპერიულ ქვეყანასთან, ინტერნაციონალურ მასასთან სამუდამო დამშვიდობებით, ყველას გასაგონად ზეცისკენ ხელებაპყრობილი ვყვირი: მასა დაიშალა. იმპერია დაინგრა! განვედ თქვენგან, ვითარცა ცდომილ-ცოდვილთაგან, საჯიჯგნად და სათრევლად დაგდებულნო უკანასკნელ ზღვართან.

მაგრამ თხრობის დამთავრებამდე ელვისებური სისწრაფით მომხდარი ფაქტები ხომ ჩემ გარეშეც ყველამ კარგად უწყის, ყვირილი რაში გამოდგება! აი, ისტორიად ქცეულ წინ გასწრებულ გრანდიოზული მასშტაბის მოვლენებს კი ფიქსაცია თუ „ბალზამირება“ ნამდვილად ახლაეე სჭირდება, რათა ისტორიიდანაც სულ მთლად არ გაჰქრნენ.

მართალია, ეს პოლიტიკოსების საქმეა, მაგრამ ყველაფრის ათასმაგად გაძვირების ფონზე იმდენად გაიაფდა თვით პროფესია, პოლიტიკობანა ერთბაშად ყველამ თავის აზარტად დაიგულვა, ქუჩად გაიჭრა და... მოვლენების საისტორიო „კონსერვირებისათვის“, როგორც იფრინდას სააგენტო იუწყება, ჯერჯერობით არავინ იცლის. ხოლო კოლეგა „სწავლულები“ კერძო სკოლებს მიეძალნენ დოლარების მოსახვეჭად. მე კი პანსიონატს შევაფარე თავი და დღე და ღამეს ვასწორებ, რათა... ბოლომდე მოვასწრო:

თქმა უცნობი სიმართლისა, ჩამქრობელის თვალთა მზისა,
მაგრამ ისევ აღმდგენელის, ვით სტალინის მარადისად.

ჩემო მკითხველო! ჩავიხედოთ მოვლენათა განვითარების ზოგიერთ ასპექტში მიუკერძოებელი **ანალიტიკოსის** პოზიციებიდან ისეთივე სიწრფელით და სიცხადით, როგორადაც გიყვებოდით ზემოთ გადმოცემულ ამბებს. ჩემმა მეხსიერებამ სანდოობის „მიკროსკოპული“ შემოწმება პირველი ნაწილის პატარა წიგნით უკვე გაიარა. სულ მაწვალებდა ფიქრი სამოცი წლის წინანდელ თემსაბჭოს თავმჯდომარის გვარისა და სახელის სიზუსტეზე. და, აი, ბარათი სოხუმიდან.

„ბატონო აკაკი!... წავიკითხე თქვენი ნაწარმოები — „იყო ასეთი სოფელი“. მეც იმ სოფლიდან ვარ, რომელსაც თქვენ ასე სიმართლით აღწერთ და ახასიათებთ. ყველანი ჩემი ახლო ნაცნობებია. მეც იმ სკოლაში მისწავლია, რომელსაც თქვენ ბევრჯერ ახსენებთ. თქვენს მოთხრობაში (უნდა იყოს მოგონებაში — ა. თ.) ორ ადგილზე ნახსენებია კირილე გარუჩავა. ის ჩემი მამა იყო. გმადლობთ ჩემი მამის კეთილად წარმოსახვისათვის. თამარა გარუჩავა. 26 ივლისი, 1991 წელი“.

თუ შორეულის გახსენების გამოცდა ასე „ბედნიერად“ გადავიტანე, ვგონებ, აქ მოთხრობილის და მესამე ნაწილში მოცემული შეფასებების მიმართ უფრო მეტი ნდობით აღიჭურვებით. იმედია, მათ წაკითხვას, ღმერთი იყოს თქვენი მოწყალე, მოისურვებთ და ინებებთ.

კათარზისი

რევოლუციას ფანატიკოსები ახდენენ, მონაპოვარს ენთუზიასტები განამტკიცებენ, მიტმასნილები ეუფლებიან, ტაქიმასბარები ახგრევენ.

ძველის ვარიაციით

1. ლენინიდან გორბაჩოვამდე

ბარათი პირველი

ჩემგან, ჩემისთანა მილიონებისგან იმაზე მეტს კიდევ რა განწმენდას მოითხოვთ, ვიდრე ვიყავით ჩვენ-ჩვენს უბნებზე, გზატკეცილებზე, ჩვენ-ჩვენი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა-შეგნებით? რა უნდა იყოს სხვა უფრო ძვირფასი და ტკბილი, თუარადა ყველა დროის ადამიანისათვის ერთნაირად სანეტარო შეგრძნება იმისა, რომ აისიდან დაისამდე პირნათლად გიცლია, შეგიძლია მშვიდად წარდგე შენი სიცოცხლის აზრის — ღვთიური სასოების — ზენაარსის წინაშე. და... რისხვად მეხტეხა?!

ამ ბარათებს გწერთ ყეენის მთაკორტოხიდან, უფრო სწორად, წიწვოვანი ნარგავებით დაფარულ, მისი მწვანედ აქოჩრილი კალთებიდან, და უფრო ზუსტად თუ გნებავთ, ამ კალთების ქვემო ფერდობზე განლაგებულ დავრდომილთა, დავარდნილთა, დამთხეულთა, უპატრონო-უსახლკაროთა, ხეიბართა, განდგომილთა და განწირულთა თაეშესაფარი სახლის ორასცხრა ოთახის ექვსმეტრიანი ღია აივნიდან.

აქ გამომრიყა „პარტიულ-ლენინური სინდისით“ ორმოცდაათი წლის ცხოვრების შემდეგ პერესტროიკის მიერ აზვირთებულმა საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკის ტალღამ. იგი ჩვენი მონაგარის, ჯილაგის ჯერ სულ მთლად მოსპობას გვიქადის, ხოლო ბოლოს ყვავილოვან მდელოზე ბედნიერად დასახლებას გვპირდება. აივანზე მიდგას ერთი სკამი, ალუმინის ზამბარებიანი საკეცი ლოგინი და სამფეხა ტაბლა. ეს არის ჩემი აცლა-დიდება, შემოღამების ჟამის,

დალხინება, ადგილსამყოფელი, ადვილმამყოფელიც და ჰირვარამ-გამყოფელიც. შეგიძლიათ მომწეროთ შემოკლებულ მისამართზე: ყეენის მთაკორტოხი, ფერდობის განედი — 209.

ირგვლივ არე-მარეს გაზაფხულის ნაცნობი სურნელება და არაჩვეულებრივი სილამაზე ამკობს. ნამდვილი სოფლური იდილია სუფევს. ო, ეს ბუნება! ჰირვეულიც და გრძნეულიც. არაფრად დაგიდევს სოციალური ძვრების ქარტეხილებს. სულიერი მხნეობის მომნიჭებელი სიმშვენიერე ჩემს ფიზიკურ უძლურებას ურმის ქვესადგამივით ჯერხნობით თითქოს მყარ ბურჯად უდგას. დალახვროს ღმერთმა, სიბერეში ურმის გახსენებამ რიონის ნაპირებზე ოდესღაც გაშლილი, აწ გადაშენებული ჩემი სოფლის ლაღი ტყე-ველმინდვრები არ მომანატრა?!

ამით აცუნცრუკებული ზოგჯერ ყავარჯნით ავდიეარ ზემოთ, მთაკორტოხის წვერზე. იქნებ იქიდან გადახედვით სადმე დაველანდო-მეთქი! იმ დალოცვილი ზეციერი სიმაღლიდან კი თვალსაწიერზე მხოლოდ თბილისის საკვირველი, ზღაპრული პანორამა იშლება, ხედი მილიონნახევარამდე მოსახლეობისა თანამედროვე კომფორტული ყოფიერებით.

ქალაქი თითქოს მთაგორაკთა ვეებერთელა სალტეშია მოქცეული. მტკვრის გაღმა-გამოღმა ჩაღრმავებული ადგილებიდან, სადაც მისი გაშენება სამხსათასამდე მცხოვრებით დამთავრებული იყო ჩვენი საუკუნის ოციანი წლებისათვის, იგი წინანდელ უკაცრიელ მიდამოებში სიგრძე-სიგანით თანაბრად გადაჭიმულა თვალუწვდენ სივრცეზე, აღმართებსა და ფერდობებზე განფენით, და, რეალობას თუ პირდაპირ შევხედავთ, თვალსა და გულს ახარებს მაღალსართულიან შენობათა მზეზე თეთრად მოქათქათე კორპუსების ურიცხვი მწკრივებით.

მთელი ამ უზარმაზარი გეოგრაფიული გარემოს შენაკადებს: მუხიანსა და თემქას, ფონიჭალასა და საბურთალოს, ვაზისუბანსა და ორხევს, დიღომსა და ნუცუბიძის პლატოს, ვაკესა და ქვემო ბაგებს, ვარკეთილსა და გლდანის მასივებს, კრწანისის, სამგორის და თბილისის ზღვის გარშემო მიმდებარე ველებს მეტროპოლიტენის მიწისქვეშა ცისფერი მატარებლები წუთების გამოთვლით აკავშირებენ ერთმანეთს. ყველაფერი ეს, როგორც საუკუნის სასწაული, გაკეთდა და აღმოცენდა ორმოცი-ორმოცდაათი წლის მანძილზე, ჩემი და ჩემი თაობის თვალწინ.

განა შეიძლება იდგეთ ამ მთაკორტოხზე, ჩემთან ერთად გაცქეროდეთ ესოდენ ხილვად სანახაობას და ჭუჩის ზნედაცემული დედაკაციით მეგაფონში მაინც ჩასძახოდეთ: კომუნისტებმა დაგვიტოვეს გაპარტახებულ-განადგურებული ქალაქი, გაპარტახებულ-განადგურებული ქვეყანაო?! მაშ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამოდენა ნაგებობანი ადამიანთა დაკოჭრილი ხელების გარეშე თავისთავად გამზადებულ-გამწკრივებული ციდან ჩამოფრინდა, ან სოკოებივით ქვესკნელიდან ამობიბინდა? როგორი ზიზღიც არ უნდა გედოთ გულში, სიმართლის, რეალიზმის გრძნობა, სიტყვის ფასი, წონა და ღირებულება არ უნდა დაკარგოთ!

რაც მარტოოდენ რუსთაველის გამზირზე მოხდა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში, მსგავსი რამ მათი ბატონობის ისტორიას ოციან წლებიდან არ ახსოვს. გადაიტანეთ ოცნებით ყოფილი იმპერიის რომელიც გნებავთ რესპუბლიკის ნებისმიერ დედაქალაქზე აქ მომხდარი ამბები და თქვენ ყველგან მეტ-ნაკლები გაჭანებით წინა აღმშენებლობითი და ბოლო დამანგრეველი სურათების ანალოგიურ ანაბეჭდებს წააწყდებით.

მაშასადამე, კომუნისტებისადმი სიძულვილის გამოსახატავად ამგვარი უსუსური არგუმენტის გამოყენება არაფრის მაქნისია. იგი ბუმერანგივით უკან მოგიბრუნდებათ. უფრო კონკრეტულად, თბილისში 22 დეკემბრიდან 5 იანვრამდე დატრიალებული ტრაგედიისა და ვანდალიზმის ჩამდენებს, რომელი ბანაკიდანაც არ უნდა იყვნენ ისინი, არავითარი მორალური უფლება არ უნდა ჰქონდეთ აქიაქონ წინანდელი მმართველობები. 1921 წელს მენშევიკებმა ისე დატოვეს თბილისი, ქალაქის ნაგებობებს არაფერი დასტყობია. გამოუვალ ბედგომარეობაში ეს მათ მხრივ საღი გონების გამარჯვების ნიშანი იყო. უფრო მეტი, 1940 წელს გენერალმა პეტენმა ფაშისტური გერმანიის მიერ პარიზის ოკუპაცია არჩია მის დანგრევას, ხოლო დე გოლის ჯარებმა ოთხი წლის შემდეგ ისევ იხსნეს ხელუხლებელი ხუროთმოძღვრული ძეგლებით. ამრიგად, მოქმედება განსაზღვრავს ზნეობრივ ნორმებს. თუ გინდა მოიპოვო ზნეობრივი უფლება, არ უნდა ჩაეფლო უგუნურების, უზნეო მოქმედების ჭაობში.

თქვენ მეტყვით, ახალმოვლენილი დიქტატორის დამხობა განა უგუნურობა და უზნეობა იყო? არა, მიზანი კი არ იყო უზნეობა, არამედ მისი მიღწევის გზად პირველი საშუალო სკოლის ისტორიული შენობის, მის რვა ოთახში განლაგებული სახალხო განათლე-

ბის სახელმწიფო მუზეუმის უნიკალური არქივის განადგურების, პროსპექტისა და თავისუფლების მოედნის დასახიჩრების, ეროვნული ძალების ხელით ეროვნული განძების მოსპობის მიჩნევა. ვინ ვის ებრძოდა, ვინ ვის უშენდა ტყვიებს, ვინ ვის სახლკარზე აჩენდა ხანძარს? მთავრობის სახლის ოთხკუთხა ლამაზი სვეტების შუაში „გადაჭრის“ ცდა რომელი სამხედრო მოსაზრებით უქმნიდა რაიმე საფრთხეს ბუნკერში შეხიზნულთ?! რა უნდა გამოეყენებინათ? სასახლის კომუნიკაციების სრული ბლოკადა, იძულებითი კაპიტულაციის ცივილიზებული ფორმა, ულტიმატუმი არა მოჩვენებითი, არამედ ძლიერი და ქმედითი[1].

კომუნისტების ავყია განქიქებით ზერელობის ახალ ტლაპოში უფრო ღრმად რომ არ ჩაეფლოთ, იქნებ სჯობდეს პურის გამოცხობა ისევ მეპურეს მიანდოთ. თქვენი მონამორჩილი, როგორც ყოფილი სკკპ-ის ყოფილი ვეტერანი, პრეტენზიას ვაცხადებ ასეთი ნდობის მოპოვებისათვის. იურიდიულად ამის უფლებას მაძლევს: 1. ოქტომბრელურ-პიონერულ-კომკავშირულ-პარტიულ რაზმებსა და ორგანიზაციებში ბავშვობიდან გამოვლილი იავარქმნილი გზა, 2. ლენინის იდეების ფეტიშად აღიარება, მისი გატარებისათვის საკუთარი კეთილდღეობის შეწირვა და თვით სიცოცხლის ბედის რისკის ქასწორზე შეგდება, 3. კრებებსა, თათბრებსა და პარტსწავლებაზე უნაყოფოდ დახარჯული დრო — ასტრონომიული გაანგარიშებით სამი წელიწადი, 4. ომში ყოფნის პერიოდი — ოთხი წელიწადი და ოთხი თვის ხანგრძლივობით, 5. პარტიის ინტერესებისათვის გადახდილი საწევრო შესატანი ხელფასიდან და ჰონორარიდან, რაც შეადგენს ნახევარ მილიონზე მეტ მანეთს, 6. საწესდებო მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ გვერდის აქცია პერსონალური პენსიით, ბინით, მანქანით, მთავრობის ჯილდოებით ან სხვა სახის რაიმე პრივილეგიის გამოყენებაზე, ე. ი. ამ მხრივ სრული სიცარიელე, 7. მაშასადამე, აბსოლუტურად ნეიტრალიზებული მდგომარეობა.

თუ ეს არგუმენტები სარწმუნოდ გეჩვენებათ, მაშინ თვით მე წარმოგიდგენთ კომუნისტების განმაქიქებელ, თქვენთვის სარწმუნო

---

[1] ჩილეში საყოველთაოდ არჩეული კანონიერი პრეზიდენტი ალიენდე ძალადობის გამოყენებით არათუ დამხობილ იქნა, არამედ დახვრეტილი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პინოჩეტისათვის ემართა ქვეყანა 19 წლის განმავლობაში. ასე რომ, კანონიერების ფორმალური არგუმენტი ყოველთვის როდი გამოდგება.

ზოგად ასპექტებს, რომლებსაც შიგნიდან, უშუალო მხილველის თვალით, მე უფრო კარგად ეხედავდი, ვიდრე თქვენ გარედან, შორიდან, მრუდე სარკიდან ჰვრეტით. გზადაგზა ზოგ რამეზე დაუფარავად გიამბობდით კიდეც. მაგრამ კათარზისის ჟამს დადგა დრო უველაფერს თავისი სახელი ეწოდოს. კომუნისტების „წყეველაკრულება“, ახალ მოპოვებულ ფაქტებსა და მოვლენებთან მჭიდრო კავშირში, უწინარესად, უნდა დაიწყოთ პარტიის ბატონობის პირველშემქმნელის მიუდგომელი, ლოგიკური შეფასებიდან.

– არსად, არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არც ერთი პარტია არ იყო მმართველობის სისტემის სინონიმად ქცეული, ე. წ. ზესახელმწიფოებრივი ტიპის პარტია. იგი ლენინამდე უველგან იწოდებოდა და ახლაც იწოდება საპარლამენტო პარტიად, ანუ პარლამენტალური, დემოკრატიული წყობილებისათვის მებრძოლ ისეთ პარტიად, რომელიც სახელმწიიფოს მართვის სისტემას პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონების სამართლებრივ პრინციპებზე აგებს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ბატონობს პარტიებზე და არა ცალკეული პარტია პარლამენტზე. ჩვენს სინამდვილეში თავიდანვე პირიქით მოხდა — პარტია ბატონობდა მთავრობაზე, უმაღლესი საბჭოს სესიებზე, უველაფერზე.

ამის დაფუძნება სათავეს იღებს ლენინის 1917 წლის აპრილის თეზისებიდან, როცა მან წამოაყენა საბჭოების რესპუბლიკის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის, ლოზუნგი. აქედან მოწოდება — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“. არსებითად ეს ნიშნავდა დასავლეთ ევროპის უველა ქვეყნის მარქსისტების მიერ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში პარლამენტარული დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებული სწორი თეორიის უკუგდებას, რამაც გამოიწვია განხეთქილება ლენინსა და სხვა ქვეყნების მარქსისტებს შორის, საბოლოო ჯამში მსოფლიო რევოლუციის იდეის ჩაფუშვა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1918 წლის 29 მაისს, ლენინის მიერ შედგენილ სადირექტივო ცირკულიარში ნათქვამი იყო: „ჩვენი პარტია დგას საბჭოთა ხელისუფლების სათავეში. მისი უველა ღონისძიება, დეკრეტი გამოდის ჩვენი პარტიიდან. უველა ისინი მიმართულია მუშათა კლასის საბოლოო იდეალების განხორციელებისაკენ — კლასობრივი უთანასწორობის, ექსპლუატაციის მოსპო-

ბისა და კომუნიზმის დღესასწაულისკენ" (ჟურნალი „იზვესტია", 1989, № 4, რუბრიკაში „პარტიული არქივიდან", გვ. 151).

თითქმის ერთდროულად დაემხო სამოცდაცამეტწლიანი კომუნისტური მმართველობის სისტემაც და სახელმწიფოებრივი წყობაც. ახლა, როცა აქედან, ზემოდან დავყურებ მთელ წარსულს, ჩემთვის საკვირველი ნათელი და ცხადზე უცხადესია, იგი დაემხო ისეთივე უცნაურობით, თვითნებობით და ალოგიკურობით, როგორადაც გაჩნდა დედამიწის ერთ მეექვსედზე. ამ უცნაურობათა ხლართში ბევრი რამ არის საერთო და საპირისპირო, ადექვატური და არაორდინალური. შევეცადოთ გავაკლოთ მოკლე პარალელი და ამოვხსნათ პირველი გამოცანა.

1917 წლის 25 ოქტომბერი. იურიდიული განათლების მქონე ლენინის მიერ ეშმაკურად განჭვრეტილი ზუსტი დრო. არც 24, არც 26. შედეგების წინასწარ ყოველმხრივ აწონ-დაწონილად გათვალისწინების გარეშე, თვითმპყრობელური რეჟიმის დამამხობელი დროებითი მთავრობის დაპატიმრება პეტროგრადში, სმოლნის სასახლეში. ძალაუფლების ხელში ჩაგდება ერთი მუჭა რევოლუციონერების მიერ და დეკრეტით საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ბრჭყვიალა, ანდამატური მიზიდულობის ლოზუნგებით (მიწა — გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს, თავისუფლება — ჯარისკაცებს) ათ დღეში კაცობრიობის გაბრუება. მსოფლიო სოციალ-დემოკრატიულ ძალებში ეჭვის შეტანა და გაღვივება. სამოქალაქო ომის დამთავრების მომდევნო ხანებში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი კავშირის შექმნა. ახალი ტიპის პარტიის და სახელმწიფოს დამაარსებლის მოღვაწეობის ხანგრძლივობა ექვსი წელი და სამი თვე. გარდაცვალება 54 წლის ასაკში.

1985 წლის 15 მარტი. სკკპ-ის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე გენერალური მდივნის პოსტზე იურიდიული განათლების მქონე 54 წლის მ. გორბაჩოვის პირველი გამოჩენა. ლენინგრადის პარტიული აქტივის შეკრებაზე იმავე წლის 15 მაისს ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცხადება, როგორც ქვეყნის გადარჩენის ძირითადი ელექსირი და გადასარჩენი ქვეყნის კიდევ უფრო დაზარალება ორასი მილიარდი მანეთით. ორ-სამ წელიწადში ქვეყნად წესრიგის დამყარების ფუჭი დაპირება და ჩერნობილის ტრაგედიით მსოფლიოს გაღიზიანება. ფართო დემოკრატიის, გარდაქმნის და განახლების მოწოდებით მისი დაშოშმინება და ყურადღების არეში სწრაფად

მოქცევა. გამოჩენიდან ქვეყნის მეთაურად ყოფნის ექვსი წლისა და ხუთი თვის თავზე, წინასწარ აუწონ-დაუწონავად, ლენინურად გათვლილი ჰადრაკული სვლებით, 1991 წლის აგვისტოს გადატრიალების მარცხის შემდგომ, ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ოცმილიონიანი კომუნისტური პარტიის ლიკვიდაცია და მისი ხელმძღვანელი ცენტრალური აპარატის კრემლიდან განდევნა. ჩქაროსნული ტემპით სსრ კავშირის დაშლა.

პირველ შემთხვევაში არჩევითობის დემოკრატიული პრინციპი უხეშმა ძალადობამ შეცვალა, მეორეში — პარტიის ყრილობის საწესდებო სუბორდინაცია — დიქტატორულმა ველურობამ. სათავეში სტარტთან — ფანატიკოსი რევოლუციონერი იდგა, ფინიშთან — მაღალი რანგის გაიძვერა და ცბიერი, რომელიც ხელიდან გაუძვრა ყველას და არენიდან ისე გავიდა თითქოს პიროვნებას (ვთქვათ ელცინს) შეეცვალოს პიროვნება (ვთქვათ გორბაჩოვი) და არა წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს — წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა (კაპიტალისტურს — კომუნისტური).

აი, აქ პოულობს პერესტროიკაში თავიდანვე ჩამარხული კრედო-კვინტესენციის — უეცრად წარმოშობილი უბედურების საიდუმლო სრულყოფილ გამოვლენას. აი, დილემათა დილემა, ახალახალ გამოცანათა „ჭაბურღილი", საიდანაც მათი გამომრკვევი და ამხსნელი დაფარული სიმართლე უნდა გადმოდინდეს, როგორც მასულდგმულებელი, მაცოცხლებელი წყარო.

ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო ლენინი?

იგი იყო მარქსიზმის იდეების ნამდვილად ერთგული დამცველი, მიმდევარი, ფართო დიაპაზონის პოლიტიკური მოღვაწე, თეორეტიკოსი, მოაზროვნე ჟურნალისტი, ხანგრძლივ ემიგრანტულ ცხოვრებაში დახელოვნებული კონსპირანტი, ულმობელი, შეუპოვარი, მაგრამ არამყარი, არა შესაფერისი ახალი ტიპის სახელმწიფოს პრაქტიკულად შექმნისათვის. ამ მხრივ, მ. შატროვის დოკუმენტურმა პიესებმა („1918, 6 ივლისი", „შორს... შორს... შორს"... და სხვ.), რომლებმაც დაიპყრო პერესტროიკის წინა და მიმდინარეობის პერიოდის თეატრალური სამყარო, თვალნათლივ გამოაჩინა ლენინის უმწეო ფიგურა და ისტორიზმის ნიღაბქვეშ ფარდა ახადა მანამდე ჩვენთვის უცნობ მის ზოგიერთ ნიშან-თვისებას.

არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტიც, რომ ემიგრანტული ჯგუფის გარკვეულმა ნაწილმა კარგად იცოდა ლენინის სუსტი

მხარე. ზოგიერთი მაშინვე ჩამოცილდა, როგორც კი თავი დააღწია ემიგრანტობას. მათ შორის იყო ქართველი მწერალი დავით სულიაშვილი, კაცი, რომელიც ლენინთან ერთად ჩამოვიდა ჟენევიდან პეტროგრადში 1917 წლის აპრილში. ერთ კუპეში ზედა საწოლებზე ლენინი და სულიაშვილი იწვა, ქვედაზე — ნადეჟდა კრუპსკაია და ინესა არმანდი.

დავით სულიაშვილი იყო საქართველოში 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე, ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გაქცეულ პოლიტიკურ პატიმართა შორის ერთი პირველთაგანი, რომელმაც 1907 წლიდან ჟენევაში ჩასულმა ლენინის გვერდით გაატარა ემიგრანტული ცხოვრების ათი წელი, სარგებლობდა მისი ნდობით, განაგებდა ბოლშევიკური ფრაქციის ერთ-ერთ ურთიერთდამხმარე სალაროს და ქართველებიდან ყველაზე ახლო იცნობდა მის პიროვნულ ხასიათს და ინტიმურ საიდუმლოებებს (თუნდაც არმანდისადმი „ტრფიალებას").

რით უნდა აიხსნას საქართველოში ჩამოსვლისთანავე მისი მოულოდნელი მეტამორფოზა, ღალატი ბოლშევიკური პარტიისადმი და ხაშურში მენშევიკური ერობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე 1921 წლამდე მუშაობა? რად დასჭირდა ბაქოში თავის შეფარება ალ. სვანიძესთან 1922 წლამდე? რატომ შეხვდა ს. ორჯონიკიძე ცივად სამსახურის სათხოვნელად მისულ თავის ძველ მეგობარს? რატომ მოიშორა თავიდან და თავის მოადგილესთან ნაზარეტიანთან მიაგზავნა? მოვუსმინოთ მწერალს.

„ამის შემდეგ ნაზარეტიანთან რომ მიეედი კვლავ ადგილის შესახებ, მან მითხრა:

— აბა, დავით, რაღას აგვიანებ და არ შემოიტან განცხადებასო. მივხვდი რასაც კითხულობდნენ — უნდა მიმეცა პარტიაში შესვლის განცხადება. მე ვუპასუხე მაგაზე მოვიფიქრებ-მეთქი.

— მაგაზე, მაშ, აქამდის არ გიფიქრიათ? — მითხრა და სახე შეიცვალა, პატარა ქაღალდზე რაღაც დაწერა და მომაწოდა „(თხზულებანი, ტ.II, 1973, გვ. 492).

იმ პატარა ქაღალდის მისამართზე დავით სულიაშვილს მუშაობა არც დაუწყია და არც გაუგრძელებია, რადგან მისთვის შერჩეული ადგილი აღემატებოდა ცინიზმის ყოველგვარ საზღვარს. იგი დასჯის გაძოხატულება უფრო იყო, ვიდრე ზრუნვის. ერთი შეხედვით, დ. სულიაშვილი იმსახურებდა ამ სასჯელს და არც რაიმე პროტესტი

გამოუხატავს. პირიქით — იგი ლენინის გარდაცვალების შემდეგ ქართულ ენაზე ლენინიანის ერთ-ერთი საფუძველჩამყრელი იყო იმ ბროშურის გამოცემით, რომელსაც ერქვა „მოგონებები ლენინზე". მან შემოგვინახა მისი „მონღოლური მოყვანილობის", „წითური სახის" პორტრეტული აღწერილობა. „პირველ შეხედვაზე არ მიგიზიდავდა, მაგრამ დააკვირდებოდი თუ არა შინაგანი ენერგიით სავსე თაფლისფერ თვალებს — იგრძნობდი, ის არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი". ამით დ. სულიაშვილმა უკანასკნელი ხარკი მოიხადა ბოლშევიკების წინაშე, რომელთა მოძღვრებას და იდეებს თაეგამოდებით ემსახურებოდა ახალგაზრდობის წლებში.

სწორედ ის ბროშურა გახდა 1949 წელს საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის ვიწრო წრეში წარმოშობილი უხერხულობის თუ გაუგებრობის მიზეზი. მომდევნო თაობებს, ალბა, რატომ უნდა გაჩენოდა ეჭვი დ. სულიაშვილის ბოლშევიკობაზე, როცა თავისი ნაწარმოებით მის ბელადზე ქება-დიდების ერთ-ერთი პირველი გამომხატველი იყო. ამ მოტივით იგი, როგორც ძველი ბოლშევიკი, სტალინის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოსკოვში გასამგზავრებელი დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანეს. მოახლოვდა წასვლის დრო. ანკეტური მონაცემების შედგენისას გაირკვა, სულიაშვილი უპარტიო იყო. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ბესო ჟღენტს დაეკალა უხმაუროდ გაუგებრობის მიფანტ-მოფანტვა. დიდის ვაი-ვაგლახით დაიყოლიეს მწერალი დროებით აღედგინათ პარტიაში და დელეგაციასთან ერთად წაეყვანათ ბელადის იუბილეზე. თავისებური უჩვეულო ამბავია, არა?! რისთვის მოეხმეთ ეს უცნაური ფაქტი თუ მაგალითი?

ლენინის პიროვნულ არსში ჩაწვდომის, მისი იდუმალების ამოხსნის ერთგვარი ცდისთვის. დავით სულიაშვილი ემიგრაციაში ათი წლის განმავლობაში უსმენდა ლენინის ლექციებს, ამჩნევდა აზრების და შეხედულებების ხშირ ცვალებადობას, სწრაფმოსაზრებულობის უნარს და მოვლენათა განჭვრეტის სიძლიერეს, მაგრამ არც ის ეპარებოდა მხედველობის არედან, თუ როგორ შორდებოდა მის მიერ აგებული ილუზიების კოშკი ევროპის რევოლუციურ პრაქტიკას, ხოლო რუსეთის სინამდვილიდან ფაქტობრივად ხომ მოწყვეტილნი იყვნენ! როცა ასეთი შთაბეჭდილებებით პეტროგრადში მასთან ჩამოსული პირველად უსმენდა ლენინს და უბის წიგნაკში იწერდა მის მიერ ფინლანდიის ვაგზალზე პიტერის მუშებთან შეხვედრის

დროს ნათქვამ პირველ ფრაზებს: „დღეს თუ არა ხვალ დაიწყება ევროპის იმპერიალიზმის ნგრევა.“ — იგი გულში. შინ დაბრუნების სხვა გეგმებს ადგენდა.

ფაქტობრივად, „მსოფლიო რევოლუციაზე“ ორიენტირებული ასეთი დემაგოგიური ფრაზეოლოგია იქცა არა მხოლოდ დ. სულიაშვილის იდეური რწმენის შერყევის, თვით ლენინის, ლენინიზმის ტრაგიკული ბედის საწინდრად. და თუ ამას დაეუმატებთ „უკურნებელი სენით“ ლენინის დაავადების, მისი სიცოცხლის გარდუვალი შეზღუდულობის თაობაზე დავით სულიაშვილისათვის ჟენევიდან კარგად ცნობილ საიდუმლო ამბავს, მაშინ გასაგები უნდა იყოს ბოლშევიკური პარტიის რიგებიდან მისი გასვლის, ქვეყანაში დატრიალებული უბედურების ნამდვილი მიზეზიც.

რა სენზეა ლაპარაკი, რა ვიცით მის შესახებ ოფიციალური სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით? არსებობდა კი ასეთი დასკვნა? დიახ, არსებობდა, გამოქვეყნდა 1924 წელს და მერე არ იხსენიებოდა. არ იხსენებდნენ უკანასკნელ პერიოდშიც გარკვეული მიზნით. მოვიტანთ აქ ამ დასკვნის სრულ ტექსტს გამოქვეყნებულს ქართულ ენაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების ყოველთვიურ ჟურნალში „ჩვენი გზა“ 1924 წლის მე-4 ნომერში (გვ. 3—4)[1].

„ცნობა ამხ. ლენინის ავადმყოფობის და გარდაცვალების შესახებ. საყვარელ ბელადს ავადმყოფობა დაეწყო 1922 წლის დამდეგს. ავადმყოფობის დასაწყისის სისწორით განსაზღვრა ძნელია, ვინაიდან ძალიან ნელა ვითარდებოდა და თანდათან ღრღნიდა მის მძლავრ ორგანიზმს მისი მოქმედების გაფურჩქნის ხანაში. ამასთანავე თვით ვლადიმერ ილიჩი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა თავის ავადმყოფობას. 1922 წლის მარტში ექიმებმა, რომელთაც ვლადიმერ ილიჩი განსინჯეს, ვერ შეძლეს აღმოჩენა რაიმე ორგანულ დაზიანებათა,, როგორც ნერვიული სისტემის, ისე შინაგან ორგანოების მხრივ, მაგრამ ძლიერი თავის ტკივილის და დაქანცულობის მოვლენების გამო, მას წინადადება მიეცა დაესვენებია რამდენიმე თვის განმავლობაში, რის გამოც ის გადასახლდა გორკაში.

მაგრამ ჩქარა ამის შემდეგ, მაისის დასაწყისში, თავი იჩინეს ტვინის ორგანულ დაავადებათა ნიშნებმა. პირველი შეტევა გამოიხატა საერთო სისუსტესა, მეტყველების დაკარგვისა და მარჯვენა კიდურების მოძრობის შესუსტებაში. ეს მოვლენები გაგრძელდა სამი კვირის განმავლობაში. შემდეგშიც მეორდებოდა ასეთივე მოვლენები; ეს მოვლენები პერიოდულად მეორდებოდა მაისის, ივნისის და ივლისის განმავლობაში და გრძელდებოდა ნახევარი საათიდან ორ საათამდე, მაგრამ მუდმივი და მტკიცე ხასიათი არ ჰქონდათ. მძლავრი ორგანიზმის და კარგი მოვლის წყალობით ივლისში უკვე დაეტყო გაუმჯობესება, რომელიც იმდენად თვალსაჩინო გახდა აგვისტოში და სექტემბერში, რომ ოქტომბერში ვლადიმერ

[1] ჩვენი პუბლიკაციით პირველად იბეჭდება 1924 წლის შემდეგ.

ილიჩი დაუბრუნდა თავის მოღვაწეობას, თუმცა არა წინანდებური სიძლიერით. ნოემბერში მან წარმოთქვა სამი დიდი საპროგრამო სიტყვა.

დეკემბრის დასაწყისიდან შეტევები განახლდნენ, რაც გამოიხატა მარჯვენა კიდურების გარდამავალ სიდამბლეში, ხოლო 16 დეკემბერს დასჩემდა ძლიერი სიდამბლე მარჯვენა ფეხსა და ხელში, რამაც აიძულა ავადმყოფი ლოგინში ჩაწოლილიყო. 1923 წლის იანვარსა და თებერვალში ელადიმერ ილიჩის ჯანმრთელობაში შემჩნეული იყო მერყეობა ხან გაუმჯობესებისაკენ, ხან გაუარესებისაკენ. თებერვალში ელადიმერ ილიჩი კიდევ ახერხებდა თავისი პოლიტიკური წერილების კარნახს.

9 მარტს დაიწყო მძიმე შეტევა, რაც გამოიხატა სხეულის მარჯვენა ნახევრის სიდამბლეში და მეტყველების მკვეთრად შეცვლაში, რამაც ერთბაშად მტკიცე ხასიათი მიიღო. მაისის შუა რიცხვებში, იმ მიზნით, რომ პაერი სასურველ გავლენას მოახდენდა, ელადიმერ ილიჩი გადაუვანილ იქნა გორკაში, სადაც დარჩა ავადმყოფობის უკანასკნელ დრომდე. გორკაში თავდაპირველად ოტტოდენი გაუმჯობესება დაეტყო მას, მაგრამ ივნისის მეორე ნახევარში ავადმყოფობის პროცესი გამწვავდა აღგზნების და უძილობის მოვლენებით, რაც ერთ თვემდე გაგრძელდა. ივლისის მეორე ნახევარში ავადმყოფობის მოვლენები მიყუჩდნენ და ამ დროიდან დაიწყო ნელი, მაგრამ თანდათანობითი გაუმჯობესების პერიოდი. ყოველდღე ელადიმერ ილიჩი დადიოდა სასეირნოთ მოძრავ სავარძლით ბაღში, სულერთი განწყობილება კარგი ჰქონდა, ჰაპის მადა და ძილი ნორმალური. თანდათან მან დაიწყო სიარული სხვისი დახმარებით, ხოლო აგვისტოს დასაწყისში შესაძლებელი გახდა მეტყველების დაკარგული უნარის აღდგენის ცდა. ამ მიზნით სწარმოებდა ვარჯიშობა სისტემატურად, თავდაპირველად ექიმების ხელმძღვანელობით. ავადმყოფის ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვა თავიდანვე იკისრა მისმა დამ მარია ილინიშნამ და დაუღალავად განაგრძო ეს საქმე ბოლომდის. სექტემბერში ელადიმერ ილიჩს შეეძლო სხვის დაუხმარებლად ასვლა-ჩამოსვლა კიბეზე ისე, რომ არ დაყრდნობოდა სახელურს. სექტემბერში ის თავისუფლად დადიოდა ოთახში ჯოხით ხელში.

სექტემბერში ის თითქმის ყოველდღე დადიოდა სასეირნოთ ტყეში ავტომობილით და რჩებოდა ჰაერზე 2-3 საათი. მეტყველება თანდათან გაუმჯობესდა. ელადიმერ ილიჩი ყოველდღე იღებდა გაზეთს, ათვალიერებდა მას და თითით უჩვენებდა იმ წერილზე, რომელიც მისთვის უნდა წაეკითხათ. ძალიან დაინტერესებული იყო მათი შინაარსით და ჩქარა დაიწყო მან ვარჯიშობა მარცხენა ხელით წერის შესასწავლად.

ზამთრის მზიან დღეებში, ელადიმერ ილიჩი დადიოდა მარხილებით ტყეში მონადირის თანხლებით. ამ სეირნობის დროს ის კარგად გრძნობდა თავს და მხიარულად იყო. შობას დადგმულ იქნა შობის ხე ბავშვებისათვის. დაესწრო ელადიმერ ილიჩიც; ის მხიარულად იყო და ზრუნავდა იმაზე, რომ ბავშვებისათვის ხელი არ შეეშალათ თამაშის დროს.

მოსალოდნელი იყო, რომ ელადიმერ ილიჩის ჯანმრთელობა გაუმჯობესდებოდა, თუმცა თანდათან, მაგრამ წინასწარი ნიშნების მოკლე ხნის შემდეგ, 1924 წლის 21 იანვარს საღამოს მოხდა კატასტროფა. თითქმის ერთი საათი გაგრძელდა მწვავეთ განვითარებული და სწრაფად მიმდინარე პერიოდი, რაც გამოიხატა

ცნობიერების სრულ დაკარგვასა და კუნთების საერთო დაჭიმულობაში. საღამოს 6 საათზე და 50 წუთზე ავადმყოფი გარდაიცვალა სუნთქვის სიდამბლის და ოჰიპერტემიის გამო (სხეულის ზედმეტად გაცხელება — 42,3°-მდე). სიკვდილის დასასრული გათვალისწინებული იყო პროფესორ ფერსტერის, ოსიპოვის და ექიმ ელისტრატოვის მიერ, რომლებიც ავადმყოფთან იყვნენ უკანასკნელ წუთამდე და უწევდნენ მას დახმარებას.

ვლადიმერ ილიჩის დაავადების დასაწყისიდან და ავადმყოფობის მიმდინარეობის დროს მიღებული იყო ყოველგვარი ზომები, რათა გამორკვეული ყოფილიყო ავადმყოფობის ხასიათი და აღდგენილი ყოფილიყო მისი ჯანმრთელობა. ავადმყოფს მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ ექიმები. პერიოდულად იმართებოდა კონსილიუმები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის და საზღვარგარეთის პროფესორები და ექიმები, რომელთა ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ავადმყოფის მკურნალობაში. უკანასკნელი კონსილიუმი გაიმართა 1924 წლის 15 იანვარს. ვლადიმერ ილიჩის მკურნალობასა და კონსილიუმებში მონაწილეობდნენ პროფესორები: დარკშევიჩი,' ფერსტერი, ნონო, ბუმკე, ეესბორტი, ავერბახი, ბეხტერევი, ოსიპოვი, ფელდბერგი, ექიმები: კოჟევნიკოვი, ლევინი, გოტიე, ელისტრატოვი, ობუხი, როზანოვი, დობროგაევი, პოპოვი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარი სემაშკო.

განსვენებულის გვამის განკვეთა მოახდინა 22 იანვარს პროფესორმა აბრიკოსოვმა, პროფესორ ფერსტერის, ოსიპოვის, ვენშენის, ეეისბორტის და ბუნაკის, ექიმ გოტიეს, ელისტრატოვის, როზანოვის, ობუხის და ჯანმრთელობის სახალხო კომისრის სემაშკოს თანდასწრებით.

განკვეთის დროს გამოირკვა — მკვეთრად გამოხატული საერთო სკლეროზი (სისხლის ძარღვების დაავადება), არტერიოსკლეროზის ნიადაგზე მომხდარ გარბილებათა დიდი კერები თავის ტვინის მარცხენა და ნაწილობრივ მარჯვენა ჰემისფეროებში და ახალი სისხლის ჩაქცევა ოთხი გორაკის მიდამოში.

განკვეთა და ავადმყოფობის ისტორია ამტკიცებს, რომ ვლადიმერ ილიჩის ერთ-ერთი ავადმყოფობა იყო თავის ტვინის სისხლის მილების გაერცელებული და მკვეთრად გამოხატული ძველისძველი სკლეროზი, რაც შედეგად მოჰყვა ტვინის ძალიან დიდ მუშაობას; გარდა ამისა, ავადმყოფს ჰქონდა შთამომავლობითი მიდრეკილება სკლეროზისადმი. ტვინის არტერიების სანათურების შევიწროების და კვების დარღვევის გამო განვითარდა ტვინის ქსოვილის გათხელება, რითაც აიხსნებოდა ავადმყოფობის ყველა წინასწარი სიმპტომები (მეტყველების მოშლა და სიდამბლე). გარდაცვალების უშუალო მიზეზი იყო თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის ძლიერი დაშლა და სისხლის ჩაქცევა ორ გორაკის მიდამოში.

ამგვარად, განკვეთამ დაამტკიცა, რომ ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა განუკურნებელი ავადმყოფობის პროცესი სისხლის მილებში, რომელსაც მიუხედავად ყოველგვარი ზომების მიღებისა, უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა საბედისწერო დასასრული.

პროფესორები: ფერსტერი, ოსიპოვი, აბრიკოსოვი, ფელდბერგი, ეეისბროტი, გენშენი, ჯანმრთელობის სახ. კომისარი სემაშკო".

თუ აქამდე მიჩქმალულ ამ ოფიციალურ დოკუმენტს დაეუმატებთ ნ. კრუპსკაიას ასევე ბოლო დრომდე გამოუქვეყნებელი მოგონებიდან ერთ ადგილს[1], (ლენინს არც ლაპარაკი შეეძლო და არც რაიმეს დაწერა, რის გამო თვით ნ. კრუპსკაია მალულად ტიროდა თურმე, რადგან ვერანაირი მიმიკით და ცალი ხელის ჟესტიკულაციით ვერაფერს იგებდა მისი უტყვი ბაგეების უაზრო რხევისაგან), მაშინ სრული სიცხადით თვალწინ წარმოგვიდგება უ ლ მ ო ბ ე ლ ი რ ე ა ლ ო ბ ა, რომელიც გვაიძულებს გავარღვიოთ სიცრუის ბადეში გახვეული სამოცდაათწლიანი ისტორიის ბურუსი, აღვადგინოთ სიმართლე და ერთხელ და სამუდამოდ განვშორდეთ ცთუნებათა სატანურ არეალს.

ამ ორ უტყუარ წყაროზე დაყრდნობით ახლა შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ახალი ტიპის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ნორმალურ, ჯანსაღ მდგომარეობაში ლენინის ყოფნის ხანგრძლივობა. იგი მოიცავს პერიოდს 1917 წლის 25 ოქტომბრიდან 1922 წლის დამდეგამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა „საყვარელ ბელადს ავადმყოფობა დაეწყო". ეს არის არა უმეტესი ოთხი წლისა და ოთხი თვის ხანა (1917 წლის ბოლო ორი და 1922 წლის პირველი ორი თვის მიმატებით), ხანა, რომელიც მხოლოდ ნგრევის, ქაოსის, შიმშილობის, მილიონობით ადამიანების გაუგონარი ჟლეტის ეპოქად რომ შეეიდა რუსეთის ისტორიაში.

დროის ამ მოკლე მონაკვეთში მოხდა დამფუძნებელი კრების დათხოვნა და ერთპარტიული, ტოტალიტარული სისტემის შექმნა. მეფე ნიკოლოზ მეორის ოჯახის ამოწყვეტა, კრონშტადტის ციხეში პატიმრების ამბოხების ჩაქოლვა ტყვიამფრქვეველების ცეცხლის დაშენით, შეიარაღებული აჯანყებების ჩაქრობა ასტრახანის, იაროსლავსკის, პერმის, ტამბოვის, იჟორსკის და სხვა გუბერნიებსა და ქალაქებში, დონის კაზაკების სტანიცების გადაწვა და განადგურება, მემამულეთა, კულაკთა, მეწარმეთა და მსხვილ კაპიტალისტთა ქონების ექსპროპრიაცია, წითელი ტერორის საგანგებო წესების შემოღება და საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზაცია, მათი „კეთილმოწყობა", სამხედრო, ე. წ. ყაზარმული კომუნიზმის სწრაფად აშე-

[1] „მოგონება დაწერილია 1924 წლის 3 თებერვალს. დაბეჭდილია ჟურნალ „იზვესტიაში" რუბრიკით „პარტიის არქივიდან", 1989, № 4, გვ. 169—178. სარედაქციო შენიშვნაში ნათქვამია: „ხელნაწერს ჰქონდა ავტორის ხელით გაკეთებული მინაწერი: „სრულიად საიდუმლოდ, არა პრესისათვის".

ნებაც და გაუქმებაც, სამოქალაქო ომში ასობით ქალაქების გაპარტახება და სოფლების გაჩანაგება, მწერლისა და პუბლიცისტის ელ. სოლოუხინის ცნობით, თვით მოსახლეობის მესამედის მოსპობა-ამოჟლეტა.

ყველა ამ ბარბაროსული აქციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, როგორც ბოლო ხანებში საყოველთაოდ გახდა ცნობილი, იყო ვ. ი. ლენინი, მის გარშემო შემოკრებილი თანამოაზრეების ვიწრო წრე (ლ. ტროცკი, გ. ზინოვიევი, ნ. ბუხარინი, ი. სვერდლოვი, ლ. კამენევი, ა. რიკოვი და სხვა). პერესტროიკის პერიოდში საფრანგეთის პრესის მეშვეობით ჩვენამდე შემოაღწია პოლიტბიუროს წევრებისადმი სრულიად საიდუმლოდ 1922 წლის 10 თებერვალს გაგზავნილმა, მის ტომებში გამოუქვეყნებელმა, მაგრამ ხრუშჩოვის წყალობით გამოცემულ თხზულებათა უკანასკნელ 45-ე ტომში მინიშნებულმა (1964, გვ. 666-667) შემაზრზენმა წერილმა. იგი, ნ. სტრუვეს კომენტარისა არ იყოს, ნამდვილად ახასიათებს მის ავტორს, როგორც ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის „გენიალურ სტრატეგს“ და აქარწყლებს ჩვენს თაობაზე თავსმოხვეულ მოგონილ ლეგენდას, თითქოსდა, რაღაც „ლენინური კანონიერების“ არსებობაზე.

ლენინის სადირექტივო წერილის საფუძველზე მარტო ქ. შუეში 1922 წლის 15 მარტს 1414 ადამიანი დაიხოცა, მათ შორის უმრავლესობა ღვთისმსახურები იყვნენ. „რაც უფრო მეტი რაოდენობით მოგვიხერხდება რეაქციული ბურჟუაზიისა და რეაქციული ღვთისმსახურების... დახვრეტა, მით უკეთესი. საჭიროა, სახელდობრ, ახლა ვასწავლოთ ამ წრეს ისე, რომ რამდენიმე ათეული წლობით რაიმე წინააღმდეგობაზე ფიქრიც არ გაბედონ“. — ნათქვამი იყო დირექტივაში.

ამასთან დაკავშირებით, საგულისხმო და ფრიად სარწმუნო ფაქტია, ასეთი თეორიისა და პრაქტიკის დანერგვის პირველი დღიდანვე მის წინააღმდეგ ხმა მთელი პირდაპირობით და გაბედულებით აღიმაღლა ემიგრაციიდან ლენინის მეორე ახლო მეგობარმა, მისმა დიდმა მაქებარმა მაქსიმ გორკიმ, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იძულებული გახდა პროტესტის ნიშნად კვლავ გადახვეწილიყო უცხოეთში და სამშობლოს 1928 წელს დაუბრუნდა.

„ლენინი, ტროცკი და მათი დამქაშები, — მიუთითებდა იგი თავის ერთ-ერთ სტატიაში, — უკვე მოწამლულნი არიან ძალაუფლე-

ბის მყრალი საწამლავით, რასაც ამტკიცებს მათი სამარცხვინო დამოკიდებულება სიტყვისა და პიროვნების თავისუფლებასთან და მთელ მთლიანობასთან, რომლის მოსაპოვებლად ასე თავისუფლად იბრძოდა დემოკრატია. ბრმა ფანატიკოსები და უსინდისო ავანტიურისტები კისრის ტეხით გარბიან თითქოს „სოციალიზმისკენ“. ამ გზით ლენინს და მის დამჭაშებს შესაძლებლად მიაჩნიათ ყოველივე ბოროტმოქმედების ჩადენა, როგორც პეტროგრადში და მოსკოვში მომხდარი ხოცვა-ჟლეტა, სიტყვის თავისუფლების მოსპობა, უსაფუძვლოდ დაჭერა-დატუსაღება და ყოველივე სისაძაგლე, რომელსაც სჩადიოდნენ პლეხე და სტოლიპინი“. (გაზეთი „ნოვაია ჟიზნ“, 1917, 17 ნოემბერი).

დიდი ჰკუა და გონების დაძაბვა არ სჭირდება ჯანსაღ, ნორმალურ მდგომარეობაში მყოფის მახასიათებელ ამ მცირე ინფორმაციების მოწოდების შემდეგ იმ უბრალო ჭეშმარიტების დადგენაგაგებას, რომ ოთხი წლის ასეთი მონაცემებიდან მომდევნო ორი წლის მანძილზე (1922-1924) გაგრძელებული სიცოცხლის ის დრო, რომელიც სკრუპულოზური სიზუსტით არის აღწერილი საექიმო ექსპერტიზის ზემოთ მოტანილ ვრცელ დასკვნაში, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფოს მართვაში მ. გეფტერის თქმით „მუნჯი და უძლური“ ლენინის აქტიური მონაწილეობის, რაიმე ღირებული თეორიული ნაშრომის, კონცეფციის შექმნის, გაბირვებიდან ჭეყნის ხსნის მაჩვენებელ სერიოზულ ეტაპად. „ნეპის“ იდეის წამოყენება მან ავადმყოფობის დაწყებამდე მოასწრო და მის ხორცშესხმაზე ფიქრიც არ შეეძლო. (იმდენად მოშლილი ჰქონდა სააზროვნო სისტემა, თვით უახლოესი მეგობრის ლ. კამენევის ინიციატივით „პრავდის“ ფურცლებზე ან შემოკლებით ან სულ არ ბეჭდავდნენ ლენინის სტატიებს, „ლიტერატურნაია როსია“, 1988, № 29).

ასეთ გარემოებებსა და ვითარებებში ხალხის მოტყუების კიდევ ერთი ახალი უმაგალითო პრეცედენტი იყო 1990 წლის 20 აპრილს ლენინის დაბადების ასოცი წლისთავისადმი მიძღვნილ უკანასკნელ საზეიმო შეკრებაზე მ. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული „სიტყვა ლენინზე“. თავიდან ბოლომდე მისი ყალბი პათოსის აკორდად გაისმოდა სიტყვები: „ლენინის ბოლო ნაშრომებიდან ვიცით, — ამბობდა ის, — თუ რაოდენ დაძაბულად ეძებდა იგი დამღუპველი ტენდენციების შეჩერების ხერხს, რომ პარტიული მასების, პარტიული

ქვედაფენების ჩაბმის მეოხებით მიეცა პარტიისათვის ქვეყნის ახალი ვითარების ადეკვატური სახე".

და ეს მაშინ, როდესაც უცხოელი და რუსი სპეციალისტ-ექსპერტების დასკვნის მიხედვით, ზემოხსენებულ სწორედ ბოლო ეტაპზე ადამიანი, რომელიც თითით უჩვენებდა მორიგე მომვლელებს გაზეთებიდან წასაკითხ სტატიებს, რომელსაც უმძიმესი სნეულებისგან „სისხლის მილებში" ჰქონდა ჩაბუდებული „საბედისწერო დასასრულის" მომასწავებელი „განუკურნებელი ავადმყოფობის პროცესი", ფაქტობრივად „მარად უკვდავი" გენიოსის მხოლოდ „ცოცხალ ლეშს", მის მხოლოდ იმიტაციას, მუმიას წარმოადგენდა. ამ აშკარად გამოვლენილი სიცრუის და სიყალბის ფონზე, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის მ. გორბაჩოვი?

მისი სიტყვიდან მოტანილი ციტატი მოღვაწეობის ექვსი წლის მანძილზე მისივე ჟონგლიორული მანერების შედარებით უმნიშვნელო ანასხლეტია. იმისდა მიხედვით, თუ რა სიტუაციის, რა მომენტის რკალში იყო მოქცეული პერესტროიკის „ხუროთმოძღვრად" წოდებული მიხეილ სერგის ძე, მისი ელასტიურობის, მოქნილობის თუ გაქნილობის მასშტაბი რეზინის საბავშვო ბურთივით ხან იჩუტებოდა და იბერებოდა, ხან კიდევ ვიწროვდებოდა და ფართოვდებოდა. იგი კაცობრიობას მოეელინა კომუნიზმის საფრთხობელისგან, „ბოროტების იმპერიისგან" მხსნელ ანგელოზად. ამისათვის ებოძა კიდეც ნობელის პრემია.

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული შირმა იყო, საყოველთაო განიარაღების, საყოველთაო მშვიდობის სამოსელში გახვეული ის შირმა, რომელსაც უკანასკნელ ჩიხამდე შეეძლო დაეფარა მ. გორბაჩოვის არნახული ოსტატობით შენიღბული ნამდვილი სახე. მსოფლიო პოლიტიკური „ცირკის" არენაზე მისი „თამაშის" მთავარი არბიტრის როლში, მისდა საბედნიეროდ, თანამედროვეობის ორი ჭკვიანი პოლიტიკოსი აღმოჩნდა — როლანდ რეიგანი და მარგარეტ ტეტჩერი. ყველაფერი მათი სცენარით მათივე ტრიუმფით დაგვირგვინდა. და საოცარია, მიზნის მიღწევის შემდეგ ორივე თითქმის ერთდროულად გავიდა ოლიმპოს მაღალი სცენიდან. როგორ ემზადებოდა სტავროპოლელი მექანიზატორი (თუ მაქინატორი) ესოდენ სახიფათო, საკუთარი ხალხის და ქვეყნის დამღუპველი „თამაშისათვის"?

რატომ დამღუპველი? და არა აღმდგენი, „მონობის ბორკილებისგან" მხსნელი, სიტყვის და აზრის თავისუფლების, პიროვნების პო-

ტენციური ძალის უხვად გამოვლენის შესაძლებლობის მომნიჭებელი, ლაპარაკისა და ლაყბობის „დიდოსტატების“ გამწვრთნელი, მრავალპარტიული პარლამენტარული წყობის დამწესებელი? ამოღენა სიკეთესთან დროებითი ეკონომიკური სივიწროვე, აბა, რა გასამხელი იყო. და ჩნდებოდა მოსკოვის მიტინგებსა და მანიფესტაციებზე ურთიერთსაწინააღმდეგო პლაკატები წარწერებით: „ძირს გორბაჩოვი“, „გაუმარჯოს გორბაჩოვს“, „სტავროპოლელი ქურდი“, „სტავროპოლელი გმირი“ და ა. შ. და ა. შ.

ამიტომ ისმის, მომავალშიაც ბევრჯერ დაისმება კითხვა: ვინ არის ან ვინ იყო ბოლოს და ბოლოს გორბაჩოვი? ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტულად, ჩვენი დაკვირვების და გამოცდილების ასპექტიდან ვიხედებით ამ, ერთი შეხედვით, ურთულესი გამოცანის — კითხვისნიშნიანი ფენომენის არსში და მხოლოდ ჩემ საკუთარ აზრს გიზიარებთ, გამოთქმულს ვაკის პარკის ჯანმრთელობის კლუბის ერთ წრეში ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი უმაღლესი კარიერის რიჟრაჟი იწყებოდა.

— დღეს გადმომცეს სიფხიზლისათვის მებრძოლი სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საქართველოს საზოგადოების წევრობის ბილეთი 185471 ნომრით. როგორც ჩანს, ყველგან ჩამოყალიბებულია თავისი შტატებით, ბეჭდვითი ორგანოებით. ვენახების აკაფვასთან ერთად ამიერიდან დაიწყება ფართო მასშტაბის ლაშქრობა ლოთობის აღსაკვეთად. მაგრამ მასობრივი ალკოჰოლიზმის ქვეყანაში რანაირად შეიძლება ადამიანი — ლოთი იმავდროულად გამოცხადდეს ქვეყნის გარდაქმნის მთავარ ფაქტორად? ჯერ ლოთობისგან უნდა განიკურნოს იგი, რათა ნორმალურ ადამიანად იქცეს, ხოლო შემდეგ დაჩქარების სტრატეგიაში ჩაებას, თორემ ერთიდაიმავე დროს, არც გარდაქმნის დაჩქარება მოხდება და არც ლოთობის მოსპობა.

— მაშ, გამოდის გორბაჩოვის ხაზს მხარს არ უჭერ. — დამისვა პროვოკაციული შეკითხვა პარტისტორიის ერთმა ლექტორმა.

— გორბაჩოვი კი არა, ვინც არ უნდა იყოს, ეს სულელური ხაზია და სულელურად დამთავრდება. — ვუპასუხე პროპაგანდისტობაში დახელოვნებულს და თან დავუმატე. — როგორც ხრუშჩოვის უგუნური რეფორმები იყო თავიდანვე მისი კარიერის ბარომეტრი, ისე გორბაჩოვის დაჩქარების სტრატეგია იქცევა ასპარეზიდან მისი გასვლის დამაჩქარებელ. იმპულსად. არ ვიცი, ის საგანგამოცლილი უპარტისტორიოდ დარჩენილი ლექტორი ამჟამად რა აზრისა პრძან-

დება, ჩვენ კი კმაყოფილების ნაცვლად წუხილიღა გვიპყრობს თვით გორბაჩოვის ახლანდელი ტრაგი-კომიკური მდგომარეობის გამო. როგორც ჩანს, მას ხიბლავს დასავლეთის სამყაროდან მისი მისამართით აღვლენილი დითირამბები.

კომუნისტური პარტიის ბატონობის სამოცდაცამეტწლიან ისტორიაში თქვენ იშვიათად იპოვით თანამდებობრივი საფეხურების თვალსაზრისით გორბაჩოვის პოლიტიკური კარიერის მსგავს „წარმატაც“ ბიოგრაფიას. იგი ომისშემდგომი თაობის წარმომადგენელია. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების დროიდან, 1953 წლიდან, გამუდმებით კომკავშირულ-პარტიულ ხელმძღვანელ სამუშაოებზეა და დაწინაურების გზით რეკორდულად მიიწევდა ყოველთვის წინ და მაღლა. თუ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისათვის, წლოვანების გამო, ომში თავდადების გამოჩენა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, მშვიდობიან ხანაში, უნდა ვივარაუდოთ, დღეღამეს ასწორებდა მისდამი ერთგულების, წმინდა სამსახურის, საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებისათვის.

სხვა რა ლოგიკური ახსნა უნდა მოეძებნოს ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში სტავროპოლის პარტიული სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის, 1978 წლიდან სოფლის მეურნეობის დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, 1983 წლიდან პოლიტბიუროს წევრობის, ხოლო 1985 წლიდან გენერალური მდივნის პოსტების დაკავებას? ან არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭი, უნარი, სისხლხორცეულად პარტიის საქმის რწმენა და გამორჩეული სიყვარული უნდა დასდებოდა საფუძვლად დაბალი კიბიდან უმაღლეს ინსტანციამდე ამგვარ ნახტომებს, ან კრემლში, განსაკუთრებით ბრეჟნევის „მეფობიდან“, დაკანონებული მექრთამეობა და პროტექციონიზმი (აკი მისი ერთ-ერთი თანაშემწე, სიძე და სხვა ახლო წრის „მუშაკები“ სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი, გასამართლებულნი და მისჯილნი სწორედ ასეთი ბრალდებით დანაშაულის ჩადენისათვის). ცხადია, მეორე უფრო უპრიანად მოჩანს.

რაღა „უზბეკეთის საქმიდან“ ყბადაღებული გდლიანის კომისიის ნაკვლევები, სხვა ფაქტები და მასალები მოვიხმო, როცა ჩემივე მონათხრობიდან, გახსოვთ, ალბათ, 1975-1976 წლებში ჟელეზნოვოდსკში ზაფხულობით დასვენების დროს საკუთარი ყურით ვისმენდი დამსვენებლებისაგან თავიანთ მხარესა და რესპუბლიკაში წესრიგის

დასამყარებლად ე. შევარდნაძის ნატვრას. მათ რიგებში სტავროპოლელებიც იყვნენ. მაშინ პირველად გავიგონე მ. გორბაჩოვის გვარი და სახელი. პურის მოსავლის აღების ცხარე დღეები იდგა. „სტავროპოლსკაია პრავდას“ ფურცლებზე თითქმის ყოველ კვირა გამოშვებით ფელეტონებად იბეჭდებოდა ინფორმაციები პურის „მღრღნელების“ შესახებ. მე მინდვრის თაგვების შესევაზე მეგონა ლაპარაკი. სანატორიუმში ჩემთან დამსვენებელმა გიორგიევსკის რაიონიდან ამიხსნა:

— მღრღნელები ეწოდება ჭურდებს. პურის გალეწილი კალოები ელევატორში მიტანამდე ღამე ჰქრება. ამას მასობრივი ხასიათი აქვს. — მითხრა მან.

— მერედა, ზომებს არ იღებენ?

— კი, გორბაჩოვამდე აღწევს სიგნალი. ხომ ხედავთ, გაზეთიც ამხელს, ე. ი. არ იმალება. შედეგი არ იკითხო. და თუ ვინმე ძალიან მოინდომებს კრიჭაში ჩადგომას, ფსიქიატრიულში ამოყოფს თავს. ესაა მისი მუშაობის მეთოდი და სტილი...

1988 წლის ივლისში სახელგანთქმული მაშუკის აღმოსავლეთ მხარეზე პიატიგორსკის ახალაშენებულ თორმეტსართულიან სანატორიუმ „როდნიკში“ ვისვენებდი. წიწიბურას „ქაშა“ შაქრის დიაბეტით დაავადებულთა რაციონიდან როგორც კი ამოიღეს, ატყდა დამსვენებელთა ჩივილი. საქმე მთაყარ ექიმამდე მივიდა. იგი თვითონ ეწვია საუზმის დროს დამსვენებლებს და ყველას გასაგონად განუცხადა: წიწიბურას არ გეაწვდიან საკურორტო ბაზებიდან. მიწერეთ გორბაჩოვს, რა პასუხსაც იქიდან მიიღებთ, იმ პასუხის საპასუხოდ კვლავ გეახლებით. ახლა კი ბრინჯი მიირთვით. ბრინჯი არ შეიძლებაო, რომ იყვირეს, მთაყარმა ექიმმა სიცილით უპასუხა:

— ამდენი მეც ვიცი, მაგრამ რა ვქნა, იქ, ზევით არ ესმითო...

უფრო საინტერესო იყო ერთი ასეთი ეპიზოდიც. ქალაქ პიატიგორსკის გარეუბნებს ტრამვაი უელიდა გარშემო ცენტრალური ქუჩის გავლით. მაინტერესებდა უცნობი უბნების დათვალიერება. დამემგზავრა მოხუცი ცოლ-ქმარი. კაცი ხეიბარი იყო, ომის ვეტერანის ნიშანი ეკეთა მკერდზე. სულ ბუზღუნებდა. ყოველ გადასარბენზე უწესრიგობას ხედავდა და ბოლმას ვერ მალავდა. თურმე იმ შენობის გასწვრივ გაგვეცლია, სადაც ახალგაზრდობის წლებში პიატიგორსკის კომკავშირის რაიკომის მდივნობიდან დაუწყია თავისი კარიერა გორბაჩოვს.

— გაჩერდი, ნუ ბუზღუნებ. — ეუბნებოდა მეუღლე თავის ხეიბარ ქმარს, — ხომ გახსოვს რა იყო აქ, უკეთესს რას მოელოდი ჭისგან. რაც აქ იყო, ის არის იქაც...

არა, მოხუცი ცდებოდა. ორმოცდაათიანი წლების ლაზღანდარა, ჩვეულებრივი მოლაქლაქე პიატიგორსკელი კომკავშირელი გორბაჩოვი სულ სხვა გორბაჩოვად მოევლინა ჯერ სტავროპოლს, მერე კრემლს. ხოლო მისი ამოუცნობი სრული მეტამორფოზა მოხდა 1984 წელს ინგლისში არც ისე ინკოგნიტოდ, ვითომდა ოფიციალური ვიზიტის დროს, რომლის შედეგებზე არსებითად არაფერი თქმულა. ამ მცირე მინიშნებებიდან და მწირი შტრიხებიდან უპირველესად ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მ. გორბაჩოვს „ძირაფენებში", ე. წ. „მასებში" საქმით არასოდეს დაუმსახურებია რაიმე ყურადსაღები ავტორიტეტი. მიწერებით, მლიქვნელობით, თვალთმაქცობით ახერხებდა მხოლოდ ზედაფენების „მოხიბლვას", კერძოდ, სუსლოვ-ანდროპოვის მხარდაჭერით იკაფავდა გზას უმაღლესი მთავარსარდლობის, ქვეყნის ისტორიაში პრეზიდენტის უმაგალითო ჩინისა და წოდებისაკენ.

გენერალურ მდივნობამდე მთელი შვიდი წელიწადი იგი ფაქტობრივად სოფლის მეურნეობას კი არ განაგებდა („სწორედ მაშინ დაიწყო კატასტროფიული მოუსავლიანობის ზოლი, რაც ფარაონის მიწაზე შვიდ მოუსავლიან წელიწადზე იოსების წინასწარმეტყველებას თუ შეედრება. ოღონდ ამას მის პოლიტიკურ რეპუტაციაზე არავითარი გაელენა არ მოუხდენია". ვ. სოლოვიოვის და ე. კლეპკოვას დისიდენტურ წიგნიდან „კრემლის შეთქმულებანი სტალინის სიკვდილიდან გორბაჩოვამდე"), არამედ საკუთარ თავს, იჩენდა სიფრთხილეს და თავშეკავებას, ერიდებოდა ტრიბუნაზე გამოჩენას, თავისი პერსონის აფიშირებას, ფხიზლად ადევნებდა თვალს ზემო ეშელონის შემადგენლობაში დაწყებული სამგლოვიარო პროცესიების დინამიკას, თავდაუზოგავად მუშაობდა თვითგანვითარების გზით საკუთარი ცოდნის ჰორიზონტის გაფართოებისათვის. განათლებით იურისტს არ აკმაყოფილებდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და ცდილობდა შეევსო იგი იურისპრუდენციის, ფილოსოფიის და ხელოვნების დარგებიდან უახლესი მონაცემებით, დაუფლებოდა ლენინურ ფრაზეოლოგიას და დემაგოგიას.

მაგრამ თუ ლენინთან ერთიც და მეორეც გამიზნული იყო მისი

რწმენის და იდეის მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად, გორბაჩოვი მათ იყენებდა საკუთარი პარტიის და ხალხის მოსატყუებლად. ამიტომ მისი ყოველი გამოსვლა, სიტყვა, უცხოელი და საბჭოელი ჟურნალისტებისათვის მიცემული ინტერვიუები, მოხსენებები, რეპლიკები, დაწყებული 1985 წლიდან უკანასკნელ დრომდე, უხვად რომ იბეჭდებოდნენ და პირდაპირ გადაიცემოდნენ ტელევიზიით ეთერში, ტყუპის ცალივით კიდეც ჰგავდნენ და კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ, ავსებდნენ და გამორიცხავდნენ ერთმანეთს, აბნევდნენ და აოცებდნენ მკითხველს.

ახალი აზროვნების გორბაჩოვისეული მოდელი მალე უფრო მისაწვდომი და გასაგები გახდა დასავლეთისათვის, ე. ი. ქვეყნის საზღვრების მიღმა მხარიდან მოთვალთვალე პოლიტიკოსებისათვის, ვიდრე ქვეყნის შიგნით იმ პარტიული ფუნქციონერებისათვის, რომლებიც ინერციით მიჩვეულნი იყვნენ დიდი ხელმძღვანელის ყოველი გამონათქვამის აღქმას პარტიისა და ხალხის ერთიანობის გამოხატულებად.

გორბაჩოვის იდუმალი ჩანაფიქრით სწორედ ეს ერთიანობა უნდა დარღვეულიყო. ამისათვის წყალ-წყალა დადგენილებები და მითითებები, კანონები და დირექტივები ფარატინა ქაღალდებად რჩებოდნენ. მოსავლის აღების დღეებში საწვავი მასალის უქონლობის გამო კომბაინები ჩერდებოდა, ყრილობები და სესიები საგანგებოდ იმართებოდა, ხოლო თვითდაფინანსებაზე გადასვლით წარმოების რიტმი, სამეურნეო მექანიზმი ყველგან სწრაფად იშლებოდა და ინგრეოდა. ხელოვნურად გაჩენილ მწვავე კრიზისს, პროდუქციის დეფიციტს, უკმაყოფილებას და ანარქიას, ყაჩაღობებსა და ეთნოკონფლიქტებს, ბლოკადებს და ავარიებს, კატასტროფებს და კატაკლიზმებს უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც დემოკრატიული, ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მძლავრი მოძრაობა კომუნისტური პარტიის გაბატონებული სისტემის წინააღმდეგ. ვინ არის დამნაშავე? სად არის მიზეზთა მიზეზი?

ეს კითხვები ჯერ კიდევ მაშინ წამოიჭრა, როცა პოლიტბიუროში გორბაჩოვსა და ელცინს შორის განხეთქილების პირველი ნაპრალი გაჩნდა, რამაც მთელი სიგრძე-სიგანით თავი იჩინა 1987 წლის 2 ნოემბრის პლენუმზე ოქტომბრის რევოლუციის სამოცდაათი წლისთავისათვის მ. გორბაჩოვის მოხსენების წინასწარ განხილვის დროს. ელცინი ჯერ პოლიტბიუროს ჩამოაცილეს, მერე სკკპ მოსკოვის სა-

ჭალაჭო კომიტეტის პირველ მდივნობას. ხრუშჩოვისადმი მიბაძვის თუ მისი „ტრადიციის“ გაგრძელების ნიშნად მოხსენებაში მკაფიოდ გამოვლინდა აწმყოს მანკიერებათა წარსულზე გადაბრალების, სტალინიზმის ნაშთების ამოსაძირკვად ახალი ლაშქრობის დაწყების, ისტორიის თეთრი და შავი ლაქების მხილების მკვეთრი გეზი და მიმართულება. გაჩაღდა გააფთრებული კამპანია რეპრესიების ზნეობრივ კატეგორიათა ხელახალი გადაფასების მიზნით.

ეს იყო სადღეისო ამოცანებისადმი საზოგადოებრივი აზრის მოდუნების, მანევრირების ყრუ ფორმა, რომელმაც შემტევი ძალით ერთიანად იფეთქა 1990 წლის 5-7 თებერვალს ჩატარებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, სადაც განიხილებოდა გორბაჩოვის ხელმძღვანელობის ხუთი წლის შედეგები. „პრავდის“ 6, 7, 8, 9 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებულ პლენუმის სტენოგრაფიული ანგარიშიდან ჩანს, რომ აქ იგი ფაქტებისა და მდგომარეობის კრიტიკული ანალიზის წინაშე გაშიშვლებულ, კედელზე მიკრულ იმ დამნაშავეს ჰგავდა, რომელსაც არაფერი დარჩენოდა, გარდა თავისი შეცდომების აღიარებისა. მაშინ პერესტროიკას კონტრრეოლუცია ეწოდა. „ეკონომიკური რეფორმის გატარებაში ვერ გავითვალისწინეთ გადამჭრელი ზომების მიღება. დავაგვიანეთ ამ მხრივ. კრიტიკული გამოსვლები სწორი იყო. ჩვენი პარტია ძლიერია. ჩვენ წავალთ წინ მეტი დემოკრატიის, მეტი სოციალიზმის გზით“. — ამბობდა ის საბოლოო სიტყვაში. მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითობის ახალი ფარსი იყო.

მომდევნო 12 მარტის პლენუმზე გორბაჩოვის ხელმძღვანელობის კრიზისმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია. დადგა მისი გადაყენების საკითხი. ამ შემხვევაში ე. შევარდნაძემ იხსნა, დაარწმუნა პლენუმი ნატოს ქვეყნებიდან ეკონომიკური დახმარების ნაკადებად მიღების რეალობაში, გორბაჩოვის ძალაუფლების გაძლიერების აუცილებლობაში და 15 მარტს სახალხო დეპოტატების მესამე რიგგარეშე ყრილობაზე იგი პრეზიდენტად აირჩიეს. „ვფიცავ, — ამბობდა პრეზიდენტის გვირგვინოსანი, — ერთგულად ვემსახურო ჩვენი ქვეყნის ხალხებს, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემზე დაკისრებული სსრ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობა, დავიცვა სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება“. ეს გარეგნული ეფექტის შექმნის მეორე, უფრო დიდი მასშტაბის გაიძვერული ფარსი იყო.

რომ ამაში დავრწმუნდეთ, წუთით საჭიროა მივუბრუნდეთ ინგლისში მ. გორბაჩოვის ვიზიტის ეპიზოდს. როგორც აღვნიშნეთ, ჩერნენკოს მიმწუხრის ჟამის დადგომამდე რამდენიმე თვით ადრე იგი ჩავიდა ლონდონში. სანამ მოსკოვს დაუბრუნდებოდა, მარგარეტ ტეტჩერისაგან მიღებული სრულიად საიდუმლო ბარათით რეიგანმა უკვე იცოდა მოლაპარაკების შთაბეჭდილებები, რომლიდანაც ჩვენთვის საინტერესოა ფრაზები: „რუსეთში აღმოჩნდა კაცი, რომელსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ გორბაჩოვს კომუნიზმის საბოლოო დანგრევაში“.

ამერიკის შეერთებული შტატების ცრუ-ს დახურული სეიფებიდან გაჟონილი ამ ინფორმაციის ეჭვმიუტანელი, სრული და მკაფიო დადასტურებაა უკვე ექსპრეზიდენტ მ. გორბაჩოვის მიერ „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველისათვის მიცემული ინტერვიუ, სადაც იგი უსინდისოდ იხსნის აქამდე ნატარებ ქამელეონისებურ ნიღაბს და ავლენს თავისი მოქმედების ნამდვილ საფუძვლებს. მოვიშველიოთ ერთი ნაწყვეტი გაზეთის 1991 წლის 4 დეკემბრის ნომრიდან (№ 48). მიმომხილველის შეკითხვაზე:

„— ძალადობის სისტემის წინააღმდეგ შინაგანი პროტესტი განსაზღვრავს თქვენს, როგორც რეფორმატორის, რწმენას?“ მ. გორბაჩოვი უპასუხებს:

— შინაგანად რომ არ მივსულიყავი იქამდე, რომ აუცილებელია ყველაფერი შეიცვალოს, მაშინ მეც ისე განვაგრძობდი მუშაობას, როგორც ჩემამდე მუშაობდნენ...

— არის კი ისტორიაში მეორე ასეთი შემთხვევა, როცა ადამიანმა ჩაიბარა ხელისუფლება და თვითონვე განუდგა, დაშალა?

— როგორც ბუნებაში ყოველი გამოცანა, ეს თქვენ უნდა გიზიდავდეთ. სისტემას მე ვიცნობდი ძირფესვიანად. პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად ათი წელი ტყუილა კი არ მიმუშავია“.

იბადება ბუნებრივი კითხვა: რამ გაუჩინა შინაგანი პროტესტი, ზიზღი მ. გორბაჩოვს იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც ემსახურებოდა ათი წელი, როგორც პარტიის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი? შეიძლებოდა თუ არა ზიზღის ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ერთგულად ემსახურა პარტიის, სისტემის მიზნებისათვის? პირველი კითხვის პასუხს თვით ინტერვიუ იძლევა. „ჩვენ, — ამბობს ძ. გორბაჩოვი, — ძირფესვიანად პირი ვიბრუნეთ ძველისაგან, სტა-

ლინურისაგან. 37-მა წელმა გადაიარა ჩვენს ოჯახებზედაც. ერთი ბაბუა განაკულაკეს, მეორე სასამართლო პასუხისგებაში იყო მიცემული იმის გამო, რომ საზაფხულო თესვის გეგმა არ შეასრულა. იდგა 1933 წელი. კავკასიაში შიმშილობა: ექვსი შვილიდან სამი მოუკვდა. ეს იყო უაზრო სისასტიკის და ადამიანური ცხოვრებისადმი საშინელი უპატივცემულობის დრო".

მაშინ გორბაჩოვი ორი წლისა იყო და, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის თეორია და პრაქტიკა იმ ლენინიდან მოდიოდა, რომელსაც 59 წლის იგივე გორბაჩოვი სანთელს უკმევდა თავის პათეტიკურ სიტყვაში ლენინზე. მაგრამ ცბიერების სამხელად უფრო საინტერესოა ინტერვიუს სხვა ადგილი. პირადი მოტივით ბავშვობიდან გამოყოლილი ზიზღისა და სიძულვილის ატმოსფეროში იგი ზემონათქვამს იქვე კმაყოფილების გამომხატველი მშვიდი ტონით დასძენს: „ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც გათვალისწინებული მქონდა".

დიახ, მ. გორბაჩოვს ადრიდანვე გაზომილი და განჭვრეტილი ჰქონდა ვერაგული ხრიკებით შური ეძია პარტიის ბატონობის სისტემისადმი ორი ბაბუას „განაწყენებისათვის", ისე როგორც ლენინს ჰქონდა ძმის ჩამოხრჩობისათვის მეფის დინასტიისადმი ზიზღისა და შურისგების გრძნობა. ამ შემთხვევაში ბედის ირონიად თვით ლენინის იდეით აშენებული სრულიად ახალი სოციალურ-პოლიტიკური წყობის დამანგრეველის როლი ისტორიამ ლენინის სადიდებლად სიტყვის წარმოთქმის ერთი წლის შემდეგ მის ლანდს მაცდურად ამოფარებულ თვით გორბაჩოვს დააკისრა. აქ ხვდებიან ისინი ერთმანეთს პროგრესის და რეგრესის, ანომალიის, პარადოქსული მოვლენების კომპლექსის სახით.

ლენინი ხელს იშვერდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ, გორბაჩოვმა კი ერთპიროვნულად შეატრიალა ისტორიის ჩარხი უკუღმა და დაშლილ-დაქუცმაცებული ყოფილი იმპერიის სამხსი მილიონი ხალხი სოციალიზმიდან პირდაპირ საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკის, ან კაპიტალზმის, უფრო სწორად, 21-ე საუკუნის კარიბჭიდან შუა საუკუნეების კუსტარული აღებმიცემობის უფსკრულში გადაჩეხა (მაპატიეთ, სიტყვა „უფსკრული" მარქსის და ლენინის ძველი ლექსიკიდან წამომცდა. უნდა მეთქვა ცივილიზებული ტერმინი „სამოთხე"). ასეთი მოქმედებით, თუ ორგულობით მან, სავსებით კანონზომიერად, კაპიტალისტური სამყაროს უსაზღვრო ერთგულება დაიმსახურა. იქნებ მართლა მიმზიდველია მისი გზა და იდეალი?

ბარათი მეორე

თანამედროვე ეტაპზე, რა თქმა უნდა, მიმზიდველი და მისაბაძია რაფინირებული დემოკრატიისა და მოწესრიგებული ეკონომიკის ის მაღალი დონე, რომელიც მიღწეულია ე. წ. შვიდეულის და სხვა მთელ რიგ ქვეყნებში. მაგრამ კიდევ უფრო მისაბაძი და მიმზიდველია ათეული წლობით, საუკუნეობით მათთან დამკვიდრებული თვითაღზრდის, შრომის, წესრიგის და დისციპლინის უმაღლესი კულტურაც. ამ გზით და ამის ბაზაზე ყალიბდებოდა იქ დემოკრატიის თანამედროვე ფორმები.

ჩვენთან დემოკრატია ჯერ ხომ აკვანში მწოლიარე ძუძუმწოვარა პირველეული ბავშვის მდგომარეობაშია. მისი გაზრდა იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ჰყავს მშობელი, ვინ ურწევს აკვანს, ვინ აჩვევს პატარაობიდანვე წესიერებას და ფეხის ადგმას. ოცი-ოცდაათიანი წლების ბოლშევიკურ ლოზუნგს „დავეწიოთ და გავუსწროთ“ ახლა შეენაცვლა ნეობოლშევიკური მოწოდება — გავუტოლდეთ ევროპას, გავუტოლდეთ ამერიკას. ამ დროს კი ბავშვს „მანის“ ფაფა სჭირდება და ფქვილი არ იშოვება. საბაზრო პოლიტიკა გვიშველის, ზოგი მილიონერი გახდება, ზოგი კიდევ ლუმპენპროლეტარიო. საყოველთაო განუკითხაობის მოუკითხაობაში დატაცებული სახელმწიფოებრივი დოვლათით მართლა გაჩნდნენ ბობოლები და ღატაკები. რაფიელ ერისთავისა არ იყოს, „ე, როგორ არის ეერ მივხვდი, როგორი განაჩენია?“ ერთნი უშრომელად მდიდრდებოდეს, მეორენი კი გაუფასურებულ შრომაში სულს ღაფავდეს?! მოწოდებები და ლოზუნგები არც კომუნისტებს აკლდათ.

საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრობლემას — კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის, კერძო საკუთრების დაფუძნების ამოცანას ვერ გადაჭრის მარტოოდენ დიპლომატიური კავშირების დამყარება და დიდძალი სესხების მიღება, ჰუმანიტარული დახმარებები და კომერციულ-კოოპერაციულ საქმიანობათა მაფიოზური ქსელი, ფასებისა და ხელფასების უთანაბრო ზრდის უწყვეტი ფაქტორი, პრივატიზაცია და ინვენსტიციები. საზოგადოებრივი საკუთრებიდან კერძოზე გადასვლა მარტო ინდივიდის ფსიქიკაზე არ არის დამოკიდებული. ნატურალური მეურნეობის ატრიბუტები დიდი ხანია ამოვარდნილია სოფლის ყოფა-ცხოვრებიდან. მექანიზაცია და საწვავი მასალა საძებარია.

ამგვარ და სხვა სახის სიძნელეებს ერთი შეხედვით ყველა მოქმედი პარტია და რამდენადმე გათვითცნობიერებული ორატორი გრძნობს და ყველა მაინც „თუ“ს საცობით აზრის ჰერმეტიულად ჩახშობის ერთდა იმავე მაგიურ ხერხს იყენებს: „თუ ბანკში ფული შევიდა“, „თუ გლეხმა მოსავალი მოიყვანა“, „თუ ბლოკადებმა ხელი არ შეგვიშალა“, „თუ ოკეანის გაღმიდან პური დროზე მივიღეთ“, „თუ კონკურენციის ლაშქარი დაიძრა“ და ა. შ.

ვთქვათ და, გემი სადღაც ქარიშხალმა გარიყა. თბილისის და სხვა ქალაქების მილიონობით მოსახლეობა რისი იმედითღა რჩება? კვირის, ორი კვირის, ხუთი თვის მარაგით?! მხოლოდ შემოტანის, შემოზიდვის და შემოწირულების? ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებსა თუ ოლქებში მოქმედ ათასგვარ ძალთა კაპრიზების, მუქარების და ულტიმატუმების?

კონკურენცია საიდან გაჩნდება, თუ მწარმოებელი მასა დოვლათის შექმნით არ არის დაინტერესებული, დასაქმებული და ხელებწაკაპიწებული?! დაშრეტილი თბოენერგეტიკული რესურსების ამოჭაჩვის, პოლიტიკური დიალოგით დავის მოგვარების მოლოდინში მოშიმშილე ბავშვთა ჟრიამულს და მათ მშობელთა კვნესა-გოდებას რა დააცხრობს?! კალორიული კვების პროდუქტების გაქრობის ნიადაგზე მშობიარობის შენელების, დემოგრაფიული დეგრადაციის სწრაფ პროცესს რა შეაჩერებს? განა შეიძლებოდა ქვეყნის და ხალხების ასე ალალბედობაზე შეგდება?

განა გადაგვარებული, სახელგატეხილი სოციალიზმის წიაღიდან მასობრივი უზნეობის, მუქთახორობის, შინაომებისა და შინაგათიშულობის, კუთხური პარტიკულარიზმის წუმპედან შეიძლება დეკრეტით, ბრძანებულებებით, სხდომებით, ლაილაით, ზემოდან კარნახით, მუშაობის კომუნისტური, ბიუროკრატიული მეთოდებით კაპიტალიზმის უეცარი აღმოცენება და აღმავლობა? იგი ხომ ისტორიულად ქვემოდან, ფეოდალიზმიდან იწყებოდა ჩანასახების სახით, იზრდებოდა, იხვეწებოდა და ფორმირდებოდა თანდათანობითი განვითარების გზით? სად, რომელ ქვეყანასა და საუკუნეში მომხდარა ასეთი ანომალია?

ოქტომბრის რევოლუციაც ხომ თავისებური ანომალია იყო — განუვითარებელი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის უკუღმართი ცდა. მისი განსაკუთრებით პირველი ოთხი წლის, სამოქალაქო ომის საშინელი, შიმშილიანი და სისხლიანი შედეგების მწარე

გაკვეთილი აკი გამოვლილი გვქონდა. რატომ არ გაითვალისწინეს მისი აცილების ბერკეტები?

„— ჩემს ჩანაფიქრში შედიოდა სწორედ შემობრუნების ეტაპი შრავალსაუკუნოვანი ქვეყნის ისტორიაში პირველად გაგვეცლო უსისხლოდ.

— მაგრამ სისხლი ხომ ბევრი იღვრება დღესაც.

— იცით რა, მე თქვენ პირდაპირ გეტყვით, დიდი სისხლის დაღვრამდე მაინც არ მისულა.

— შეიძლება მივიდეს.“ — ეს მ. გორბაჩოვის ინტერვიუდან „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველის შეკითხვებზე გაცემული ცინიკური პასუხებიდანაა, საიდანაც ჩანს, რომ მას ჯერ კიდევ ნათლად არა აქვს გააზრებული და შეცნობილი ფერგანაში, სუმგაითში, თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში, ყარაბახში, სამაჩაბლოში და სხვა ქალაქებსა და ადგილებში უდანაშაულო ადამიანების დაღვრილი სისხლის დანაშაულებრივი სიმძიმე.

ამ მხრივ უფრო ფრთხილი და ზომიერი გამოდგა ე. შევარდნაძის პასუხი საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის ჟურნალისტის შეკითხვაზე: — ხალხი უმძიმეს მდგომარეობაშია. ფასები კატასტროფიულად იზრდება. მაღაზიები დაცარიელებულია. კონკრეტულად როდის, რამდენ ხანში ფიქრობთ ეკონომიკის გაუმჯობესებას?

— ახლანდელ რთულ ვითარებაში ძნელია რაიმე კონკრეტული ვადის განსაზღვრა. ურთიერთმიწოდების და კავშირების სამეურნეო მექანიზმი აბსოლუტურად მოიშალა. ყველაფერი ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, მთელ ყოფილ იმპერიაში ქაოსი და ანარქიაა. გარდამავალი პერიოდი უნდა გაგვეთვალისწინებინა, ძველი მექანიზმები ასე ერთბაშად არ უნდა დანგრეულიყო.

ყოფილი იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორი ყოფილი მესაჭე დღეს ასე აფასებს თავს დამტყდარ დრამატიზმს. ერთისთვის იგი ნაკლებისხლიანია და მოსწონს, მეორისთვის — წინდაუხედაობის დეფიციტია და ეს სინანულის გრძნობას უჩენს. მაგრამ კუჭის ფილოსოფია ხომ ერთადერთი მისანია, რომლისთვისაც არ არსებობს ლუკმა პურზე უფრო ძვირფასი რამ. ცნობიერებაში მოხასხასე იდეები და თეორიები, თუნდაც დემოკრატია და დამოუკიდებლობა, მისთვის გაძღომის ზედნაშენებია, მხოლოდ შემდეგ იფურჩქნებიან და მხოლოდ ყოფიერების ბაზაზე ხდებიან მატერი-

ალურ ძალად. აკი წყლის ღირებულება უბრალოდ წყურვილით იზომება. გაჭირვების, შიმშილობის ატანის ზღვრული მიჯნების იქით სიკვდილი იწყება.

ფილოსოფოსი და სწავლული ალექსანდრე ზინოვიევი, რომელიც დისიდენტობის გამო გაძევებული იყო საბჭოთა კავშირიდან და თოთხმეტ წელზე მეტია გერმანიაში ცხოვრობს, თავის სტატიაში „მინდა მოგითხროთ დასავლეთის შესახებ“ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის: „არ არსებობს არავითარი აბსტრაქტული დემოკრატია. თანამედროვე დასავლეთის დემოკრატია არის კაპიტალიზმის, მხოლოდ კაპიტალიზმის პოლიტიკური ფორმა. მისი ძირითადი ელემენტებია მრავალპარტიულობა და პარლამენტარიზმი. ორივეს არსებობას მხოლოდ იმ პირობით აქვს აზრი, რომ საზოგადოებაში არსებობს ხელისუფლების ამ ნაწილისაგან დამოუკიდებელი თვითორგანიზაცია, ან სხვანაირად, მმართველობის და თვითმმართველობის არაარჩევითი მუდმივად მოქმედი მექანიზმი. ის ფაქტი, რომ მთავრობის რეგულარული კრიზისები არსებითად არ ახდენენ გაელენას დასავლეთის ქვეყნების ცხოვრებაზე და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არც კი ამჩნევს მას, მოწმობს სოციალური ორგანიზაციის სისტემაში მის მეორე ხარისხოვნობას“ (გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, 1990, № 211).

ილაობე პარლამენტში რამდენიც გინდა, ამით დასავლეთში მცხოვრები ადამიანების საყოფაცხოვრებო პირობებს არაფერი აკლდება. ტოტალიტარული სახელმწიფოებრივი მართვის სტრუქტურაში კომუნისტური პარტია თავისი ორგანიზაციების, აპარატის ქსელით სისხლხორცეულად იჯდა და, ავად თუ კარგად, ასრულებდა ხალხის სოციალური დაცვის მუდმივმოქმედი მექანიზმის როლს. როგორც კი დაირღვა და დაიშალა ამ მექანიზმის მრავალწლიანი მარეგულირებელი სისტემა, შეწყდა მიწოდება-მოწოდება, მაშინვე ყველგან წარმოიშვა უმძიმესი ეკონომიკური კატაკლიზმები.

შეცდომით ზემოდან გატარებულმა პოლიტიკურმა რეფორმამ ჩაკლა მატერიალური ბაზისის მასაზრდოებელი სული, ყბედობამ — საშინაო პრაქტიკული საქმე, სხდომობანა-თათბირობანამ კი — ორგანიზატორული ნიჭი და უნარი.

მაშასადამე, საქმე გვაქვს მოვლენათა არსში ჩაუწვდომლობის, ერთი მდგომარეობიდან მეორეზე უთავბოლოდ, უბერკეტოდ გადასვლის ფეთქებად ფაქტთან, რის შედეგად კარს მომდგარი საშიშ-

როება საფრთხეს უქადის ნანატრ, მოპოებულ დამოუკიდებლობას და დემოკრატიას. ვინ არის პასუხისმგებელი, საიდან მოდის ასეთი გაუთვალისწინებლობანი?

როგორც მ. გორბაჩოვი, ისე ე. შევარდნაძე პარტიულ ხელმძღვანელობაში 60-იანი წლებიდან მოვიდა. პარტიულ ფუნქციონერებად ისინი აღიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ ვოლუნტარისტული, ქარაფშუტული, წინდაუხედაობებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე რეფორმების გატარების, ზნეობრივი გახრწნილების, დემორალიზაციის განვითარების პროცესებთან ერთად. ამ პროცესებმა მოიცვა პარტიული მასა ზედა ეშელონებიდან ძირა უჯრედებამდე. ეს რთული, მტკივნეული, მძიმე პროცესი იყო.

ფაქტობრივად, 1956 წლიდან პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაკარგეს ადრინდელი ქმედითუნარიანობა, ავანგარდობის პოზიცია, დაკისრებული ფუნქცია და მოპოვებული ავტორიტეტი. კრება კრებას არ ჰგავდა, სემინარი — სემინარს, თათბირი — თათბირს. ფორმალობა, ლაყბობა, მოტყუება და მოჩვენებითობა იქცა პარტიული მუშაობის გამსჭვალავ სტილად და ბუნებრივია, გეგმების შესასრულებლად მთელი თავისი სიმძლავრით ამოქმედდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდი. წინანდელ შეგნებულობას მოვალეობისადმი გულაცრუების გამო ძეძულება, კაბინეტური მბრძანებლობა, ადმინისტრირება ცვლიდა.

როცა გორბაჩოვი გვეუბნება, პარტიის სამხარეო კომიტეტში პირველ მდივნად ათი წელი ტყუილა კი არ მიმუშავია, ძირფესვიანად შევიცანი პარტიის ბატონობის სისტემაო, იგი სწორედ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდის გამოყენების იმ მექანიზმზე მიგვანიშნებს, რომელიც ძალუმად მკვიდრდებოდა განსაკუთრებით ხრუშჩოვის პერიოდიდან და რომელსაც თვითონ ვირტუოზულად ფლობდა. ყოველივე ამას ჰქონდა ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი. პიროვნების კულტის ხრუშჩოვისეულმა მხილებამ არა მხოლოდ პარტიული, არამედ ე. წ. მთელი „საბჭოთა“ მასის ჯანსაღი ნაწილი ჩააგდო ერთგვარ „შოკში“, აპათიამ, გულგატეხილობამ მოიცვა.

მაგრამ რწმენის მყარი კედლის რღვევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ხრუშჩოვს წარმოედგინა. უმრავლესობის ცნობიერებაში სტალინი ქვეყნისა და ხალხისათვის თავგამოდების განსახიერება იყო. თუ მას არ დაუფასდა ღვაწლი, მე რა ვარ. მე ვინ დამიფასებსო. — აი, ამ უბრალო, მარტივი „დოქტრინით“ ბევრი წესიე-

ერი პარტიული მუშაკიც, თანამდებობის პირიც, ინტელიგენციის, პრესის წარმომადგენელიც დაადგა მოლიპულ, მანამდე დაუშვებელ, ამორალურ გზას[1]. ბოროტება, ყალბქმედობა, გამოძალვა გადამდებ სენად იქცა. სწავლა-აღზრდის მთავარი საყრდენი ბაზა — საზოგადოებრივი გარემო არსებითად მოშლილი იყო. იყიდებოდა პარტიაში მისაღები საანკეტო ფურცლებიც კი. ე. შევარდნაძემ პირველად როგორც ზემოთ აღვნიშნე, ულმობელი ბრძოლა გააჩაღა პატიოსნების დაცვის დროშით ამგვარ მანკიერ მოვლენათა წინააღმდეგ. მაშინ საქმოსნების გარკვეული ნაწილი სტავროპოლში იხიზნებოდა. იქ პოულობდნენ თავშესაფარს, რაც შინაგანად, უნდა ვიფიქროთ, აღიზიანებდა კიდეც.

მერე და მერე, შემტევი ტემპი შენელდა. გარემოებები შეიცვალა, კერძოთ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. შჩოლოკოვის თვითმკვლელობის შემდეგ ერთხანს ე. შევარდნაძის რეიტინგი სწრაფად დაეცა, მაგრამ ჩერნენკო-გორბაჩოვის „პროტეჟობამ“ უცებ ისევ ზეასწია. ამ უკანასკნელთან დამაკავშირებელი უხილავი ძაფი ცოლის მხრიე რეპრესიების მძიმე განცდების ყუნწში გადიოდა. მოსკოველ ჟურნალისტთან (მოლჩანოვი) ინტერვიუში ე. შევარდნაძემ პირდაპირ აღიარა, საკუთარი ოჯახის (ე. ი. მეუღლის) ზეგავლენით იგი ომში დაღუპულ და დაჭრილ უფროს ძმებთან შედარებით ფარულად ანტისტალინურ განწყობილებას ატარებდა, ე. ი. ისევე გაორებული იყო, როგორც გორბაჩოვი.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი არჩევანი“ გარკვევით ნათქვამია: „პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (იგულისხმება საქართველოს ცენტრალური კომიტეტი — ა. თ.) ერთმა მაღალი თანამდებობის ფუნქციონერმა მირჩია ნანულიზე არ დავქორწინებულიყავი; „ბიოგრაფიას გაიფუჭებ, მამამისი, რაჟდენ ცაგარეიშვილი, დახვრეტილია, როგორც ხალხის მტერი“... ემიგრანტებსაც „ხალხის მტრებს“ უთანაბრებდნენ, ისევე როგორც მათ რიცხვს აწერდნენ ისეთ უდანაშაულო ადამიანებს, როგორიც იყვნენ მამაჩემი და ნანულის მამა“. აქედან გასაკვირი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ე. შევარდნაძეს პირწავარდნილი ანტისტალინური განწყობილების თანა-

---

1 ამ დროიდან გაჩნდნენ მხატვრულ ლიტერატურაში საქმოსანთა ტიპები საზოგადოების ყველა წრიდან, მათ შორის მწერლების, მეცნიერების, ჟურნალისტების, პედაგოგების, ლექტორების რიგებიდან.

შემწე ჰყავდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობის მთელ პერიოდში.

ეს ფაქტორები ნიადაგს ამზადებდა ბიჭვინთის აგარაკებსა და გურიის ლამაზ სოფელ ბახვში მ. გორბაჩოვისა და ე. შევარდნაძის შეთანხმებისათვის ერთობლივად ემოქმედათ პერესტროიკის შირმით. გორბაჩოვი არც მალავდა ე. შევარდნაძესთან ამ საკითხზე წინასწარი საუბრების ამბავს.

ხრუშჩოვისტები ახალი „კაცოს“ კრემლში დაბრუნებას პირველ ხანებში აგრესიულად შეხვდნენ. ე. შევარდნაძემ წარმატებით მოიგერია მათი იერიში, მაგრამ კრემლის ინტრიგების რკალში გახვეულს გარდუვალად მოელოდა საფრთხე, რომელსაც ვერ აცდა ბერია. რაც უფრო სახელს იხვეჭდა და ძლიერდებოდა მისი ავტორიტეტი სსრ კავშირის დასაშლელად საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო ეცემოდა იგი გორბაჩოვთან კავშირში ეკონომიკის ფრონტზე.

ორიენს იდეური მოძღვარი ამ მხრივ პიროვნების კულტის და მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ XX ყრილობაზე ვითომდა გაკეთებული მოხსენების მიხედვით ნ. ხრუშჩოვი იყო. რატომ ვითომდა? მითია თუ სინამდვილე? არც ერთი, არც მეორე, რალაც მათ შორის ნაზავი, ყრილობის სახელის ფალსიფიცირების იშვიათი ნიმუში.

ბარათი მესამე

1939 წელს „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მლიქვნელურ სტატიაში პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ნ. ხრუშჩოვმა სტალინის დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით პირველად გამოიყენა ტერმინი „სტალინიზმი“. ამის გამო იმავე გაზეთის ფურცლებზე იგი სასტიკად დაიტუქსა თვით სტალინისაგან. ომის პერიოდიდან ხრუშჩოვს გულში ჩადებულ ბოღმად გამოყვა მისგან ჩიბუხის ტარით თავში ჩაკაკუნება კრემლის დატოვების უაზრო რჩევის გამო და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით უმძიმესი დანაშაულისათვის შვილის დახვრეტა. სამჯერ იხსნა სტალინმა. მეოთხეჯერ თხოვნაზე უარით გასისტუმრა. (იგი ერთნაირად ულმობელი იყო ყველას მიმართ). მოლოტოვის და კალინინის ცოლები პატიმრობაში იყვნენ, კაგანოვი

ჩის ორი ძმა კი — რეპრესირებული. პოლიტბიუროს ამ წევრებიდან არც ერთს სტალინის სიკვდილამდეც და შემდეგაც საყვედური არ დასცდენია, ერთადერთი აღმოჩნდა ხრუშჩოვი, რომელიც დასაფლავების დღეს ნიანგის ცრემლებით მისტიროდა ბელადს, მერე კი...

მან კარგად იცოდა, პარტიაში პირველის სავარძელში მოკალათებულ ყოველ რეგვენს შეეძლო უბრალო სიფრთხილის გამოჩენით დირიჟორის ჯოხიანით ემართა ლენინის მეთოდით პარტიაზე სტალინის მიერ უმტკიცესად „მიყნობილ-მიყრდნობილი“ სახელმწიფო. როგორც კი დიდი „კაცოს“ კაბინეტის ბატონ-პატრონი გახდა, როგორც კი მეორე პატარა „კაცოსაც“ სწრაფად გაუსწორდა, რუსული შოვინიზმის ამბიციურ აღზევებაში, რაიკომის მდივნობიდან მხოლოდ მითითებების შესრულებაში გაწაფულს, გამოჩვეულს და გამობრძმედილს არსებიდან უმალ გაუქრა სიფრთხილის გრძნობა. ჰოდა, საათის მექანიზმი ხომ მაშინ კარგავს დროის ზუსტად ჩვენების ფუნქციას, როცა მის მფლობელს დაქოქვა ავიწყდება.

ხრუშჩოვს არათუ ახალდაკისრებული მოვალეობის სიდიდე, სიმძიმე და სირთულე დაავიწყდა, საერთოდ მას არ ჰქონდა საკუთარი ქცევისა და მოქმედების, აზრის რეგულირების ის უნარი, რომელიც ყოველ გონიერ, წინდახედულ ადამიანს უნდა ახასიათებდეს. სახელდობრ, ელემენტარულად უნდა იცოდეს, ვისთან (მოზრდილთან თუ მოზარდთან), სად (შინ თუ გარეთ), როდის (დღესასწაულზე თუ ქელეხზე) რა უნდა თქვას, რა უნდა გააკეთოს, რა უნდა მოიმოქმედოს შემუშავებული ეტიკეტებისა და ნორმების ფარგლებში.

ხრუშჩოვის პერიოდის პრესა სავსეა სენსაციური ალოგიზმებით მის სიტყვებსა, გამოსვლებსა და ქცევა-მოქმედებებში; ეს იქნება ციხიდან გამოშვებულ ქურდებთან სურათის გადაღება თუ ინდოეთში აქლემზე ამხედრებით სეირნობა, ადენაუერთან მოსკოვში შეხვედრის დროს მისთვის მარქსიზმის „ფაფის“ ახსნა-განმარტება თუ კრასნოდარში მოგზაურობისას სილოსის ღეროვანი ფოთლების პირში დაღეჭვით მისი გემოს პროპაგანდირება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე ფეხსაცმლის ბრახუნით ქვეყნის ავტორიტეტის შებღალვა თუ მორალური კოდექსით ამ ავტორიტეტის აღდგენის უნაყოფო ცდა, მოწოდება კერძო საკუთრებაში პირუტყვის სულადობის მოსპობაზე თუ ყამირი მიწების ვითომდა ათვისებით საზღვარგარეთ ხორბლეულის სამათხოვროდ

თავისი დესპანების დაგეშვა-დაგზავნა, კრემლის სასახლეში იდეოლოგიური დარგის მუშაკებთან ქუჩური ჟარგონით თავისი გამოსვლის შემკობა თუ ჩინეთის კომპარტიის დელეგაციის წინაშე შეურაცხყოფილი მიცვალებულის სარეაბილიტაციოდ თავის მოკატუნება ასეთი ფრაზით: „ღმერთმა ქნას, ყველა იყოს ისეთი კომუნისტი, როგორიც იყო სტალინი". ეს ითქვა უბადაღებული XX ყრილობიდან ორი წლის შემდეგ ჯოუ ენ ლაის საპატივცემლოდ გამართულ ბანკეტზე.

XX ყრილობის (ისე როგორც წინა ყრილობების) დღის წესრიგი წესდების შესაბამისად პლენუმის მიერ წინასწარ იყო დამტკიცებული და იგი 1956 წლის 14-24 თებერვლის შუალედში ჩატარდა მისი შესაბამისობით. ჩვეულებისამებრ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით ყრილობის წინაშე წარდგა პირველი მდივანი ხრუშჩოვი. კამათიც ამ მოხსენების გარშემო გაიშალა. მთელი ეს მასალა მაშინვე ჯერ გაზეთებში იბეჭდებოდა, მერე წიგნად გამოიდა.. ამ ოფიციალურ დოკუმენტებში არსად ფიგურირებდა ხრუშჩოვის მეორე მოხსენების თემა. ყრილობის მიმდინარეობის პირველი დღეებიდანვე მისი შინაარსი ცნობილი რომ ყოფილიყო, თბილისის მარტის ტრაგედია თებერვალშივე დატრიალდებოდა. მეამბოხე სტუდენტი ახალგაზრდობის ავანგარდულმა ბირთვმა იგი გაიგო არა პრესიდან, არამედ საიდუმლო წყაროებით, მას შემდეგ, რაც დაგზავნილი იყო წერილის სახით პარტორგანიზაციების დახურულ კრებებზე განსახილველად.

ასეთ კრებას ვესწრებოდი ცხინვალში და თვით მინახავს იმ ბროშურად შეკრული წერილის ტექსტი, რომელსაც თან ახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დირექტივა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ" მისი განხილვის ორგანიზაციის შესახებ. ჩემი მოგონების წინა თავებში გაკვრით ნათქვამი მაქვს 1954 წლიდან დახურული წერილების სერიალების შესახებ. განსაკუთრებით გახშირდა იგი 1955 წლის მეორე ნახევრიდან. ასე რომ, დახურულ წერილებს პარტორგანიზაციები შეჩვეულნი იყვნენ და ეს ბოლო დირექტივაც ინერციით ინდიფერენტულად მიიღეს და „გაასაღეს". აკად. შალვა ნუცუბიძის რეპლიკა ყრილობის დადგენილებას რა დახურული წერილი სჭირდებოდაო, ყოველთვის მახსენებდა მომხდარ ფაქტს, მაგრამ ახსნას ვერ ვპოულობდი. ვერ პოულობდა პარტიული მასა, ხალხი. და XX ყრილობის სახელით აგორებული სიყალბის ტალღა პერესტრო-

იკის ბნელ კედლებს შეასკდა, როგორც სინათლის შუქზე დამფრთხალი მწყერები ელექტრო ანძებს.

1989 წლის ჟურნალ „იზვესტიის“ მესამე ნომერში (გვ. 128—170) რუბრიკით — „პარტიის არქივიდან“ პირველად გამოქვეყნდა ნ. ხრუშჩოვის იმ მოხსენების სრული ტექსტი, რომელიც ვითომდა წაკითხული იყო XX ყრილობაზე. დართულ მცირე კომენტარში ნათქვამია: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ მოსმენილ იქნა ყრილობის დელეგატების მიერ 1956 წლის 25 თებერვლის დილის დახურულ სხდომაზე. ყრილობის დახურული სხდომის მიმდინარეობის სტენოგრაფირება არ ხდებოდა. კამათი არ გახსნილა“. ამას ერთვის მეორე კომენტარი. აი, მისი ტექსტიც:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1956 წლის 5 მარტს მიიღო დადგენილება „სკკპ XX ყრილობაზე „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაკეთებული მოხსენების გაცნობის შესახებ“, რომელშიც მითითებული იყო: 1. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ, სამხარეო და საოლქო კომიტეტებს XX ყრილობაზე „პიროვნების კულტის და მისი შედეგების შესახებ“ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება გააცნონ ყველა კომუნისტს და კომკავშირელს, აგრეთვე მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა უპარტიო აქტივს. 2. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს გრიფით „არა პრესისათვის“ და ბროშურიდან მოიხსნას წინანდელი გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“. ამ დადგენილების თანახმად მოხსენება წაკითხულ იქნა ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციაში. ეს ტექსტი ქვეყნდება ჟურნალის დღევანდელ ნომერში“ (გვ. 166).

იბადება კითხვები: თუ ყრილობაზე გაკეთებულ პირველ მოხსენებას არ დასჭირვებია დამატებითი ღონისძიებების გატარება მის გასაცნობად, რად დასჭირდა იგი იმავე ყრილობაზე გაკეთებულ მეორე მოხსენებას? თუ ეს მეორე მოხსენება ყველა კომუნისტს, კომკავშირელს, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა უპარტიო აქტივს გაეცნობოდა, მაშინ ვინღა რჩებოდა, რისთვის გახდა აუცილებელი მიეცათ მოხსენებისათვის გრიფი „არა პრესისათვის“ და რისთვის ჩაბარდა არქივს, საიდანაც ამომზეურდა მხოლოდ ოცდაცამეტი წლის შემდეგ? თუ საზღვარგარეთისათვის დამალვის მიზ-

ნით ხდებოდა ყოველივე ეს, მაშინ საიდან გავრცელდა ამერიკის პრესაში თვით ყრილობის დღეებშივე? რად გახდა საჭირო პირველად მიცემული გრიფის — „სრულიად საიდუმლოდ“ სასწრაფოდ შეცვლა მეორე გრიფით — „არა პრესისათვის?“ და ბოლოს, ჯერ ერთი, რატომ უნდა ყოფილიყო საიდუმლო ის, რაც ყრილობაზე ათასობით დელეგატის წინაშე ითქვა? და მეორე — რატომ, საიდან, რომელი პარტიული წესდებიდან გაუჩნდა, სახელდობრ, XX ღია ყრილობას დანამატად XX — „დახურული“?

ეს დამაეჭვებელი კითხვები ხომ თავისთავად ამცლავნებენ მანიპულაციის რაღაც უზომო მასშტაბს, რომლის მიღმა არ რჩება იმდის რაიმე ნატამალი ცენტრალური კომიტეტის აპარატში იმ დროს მუშაობის ნორმალური რიტმის წარმოსადგენად. 5 მარტი ხომ თბილისში იმ „სრულიად საიდუმლო“ გრიფის შინაარსის გაგებით წარმოშობილი მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციის დაწყების თარიღია, რომლის ეჭვმა აიძულა ცეკას პრეზიდიუმი იმავე დღესვე გრიფთა შეცვლით ოდნავ მაინც შეერბილებინა უარყოფითი რეაქციის სიმწვავე.

მაგრამ საკითხავია, რატომ არ მოხდა, თუ ის, დაეუშვათ და, ნამდვილად ყრილობის დახურული სხდომა იყო, სხდომის მიმდინარეობის სტენოგრაფირება, რატომ აიკრძალა კამათი? მაშ, საიდან გაჩნდა წინასწარ მომზადებულ ტექსტში შეტანილი ზოგიერთი შესწორებანი, „მჭუხარე ტაშით“ შელამაზებული ადგილები? რატომ არ ჩანს კომენტარებში რა დადგენილება მიიღო თვით დახურულმა ყრილობამ 25 თებერვალს და არა ცეკას პრეზიდიუმმა 5 მარტს? რომელი იყო უმაღლესი ორგანო — ყრილობა თუ პრეზიდიუმი? რამდენი დელეგატი ესწრებოდა იმ დახურულ სხდომას?

საქმე იმაშია, რომ ყველაფერი და ყოველივე მოხდა ყრილობის დახურულად გამოცხადების შემდეგ, ახალარჩეული ცენტრალური კომიტეტის წევრთა ვიწრო წრეში. ამას ადასტურებს იმ დელეგატთა ნაამბობი, რომლებიც დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებში ყრილობის დახურვის შემდეგ. მათ შორის ირაკლი აბაშიძე. მან მოგვიანებით კონიუნქტურული, მაგრამ მისახვედრი მოგონებაც გამოაქვეყნა ამ საკითხზე. მერე რა, ყველა მოგონების და სიმართლის გამაჭარწყლებელ მთალოდად იდგა შეთითხნილი სიყალბე, რომელიც საფუძვლად დაედო XX ყრილობის სახელით ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ მთელ მსოფლიოში გავრცელებულ ვერსია-ლეგენდას.

უცხოელი სოვეტოლოგების მეშვეობით (ა. ავტარხანოვ და სხვა) ახლა ჩვენთვის ცნობილია ყრილობის წინა ბატალიებიდან ერთი საგულისხმო დეტალი. ხრუშჩოვის აგრესიულ ხაზს სტალინის შეფასებისადმი უპირისპირდებოდა სუსლოვის ხაზი, რომელიც ითვალისწინებდა კრიტიკას მხოლოდ ზომიერების ფარგლებში სტალინის ნეშტის მავზოლეუმში მოთავსების და სტალინგრადის სახელწოდების შენარჩუნებით. ამიტომაც დასჭირდა ყრილობის შემდეგ კიდევ ხუთი წელიწადი პირველი ხაზის მთლიანად გატარებას.

აი, ამ ორი ხაზის შინაგანი ბრძოლის ანარეკლია ზემოთ აღნიშნული ფაქტების ურთიერთ გამომრიცხავი, ურთიერთ საწინააღმდეგო ტენდენციები. სუსლოვი, რომელიც ხრუშჩოვის იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდა, მერყეობისა და კუდაბზიკობის მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს, იძულებული შეიქნა თვითონ ჩადგომოდა მისი გადაყენების ფარულ შეთქმულებას და 1964 წლიდან მხედართმთავართა მემუარების გამოქვეყნებით შეეცადა გაებათილებინა პიროვნების კულტის ხრუშჩოვისებური ვარიანტისაგან მიღებული მძიმე შთაბეჭდილებანი, შეეკავებინა რეპრესირებულთა რეაბილიტაციის პროცესი და მოექცია იგი ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოში.

მაგრამ ფაქტობრივად ეს შეუძლებელი იყო. ხრუშჩოვის მითითებით და XX ყრილობის ფალსიფიცირებული სახელის ზეგავლენით რეაბილიტაცია დაიწყო ახალმიღებული კანონებისა და კოდექსების საფუძველზე, და ეს საღდებოდა დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის სულისკვეთების გამოხატულებად. გაზეთ „იზვესტიის“ 1968 წლის 10 აპრილის ნომერში იურიდიული განათლების მქონე ჟურნალისტი ი. თეოფანოვი წერილში „რატომ ხდებოდა ასე?“ გაკვირვებას გამოთქვამს რეაბილიტაციის უხეშ დარღვევებზე, მოაქვს აღნაშფოთებელი ფაქტები იმისა, თუ როგორ იყენებდნენ მას პოლიტიკურების ნაცვლად ზოგჯერ სისხლის სამართლის დიდი დამნაშავეების, თავიანთი ნაცნობებისა და ახლობლების ზემოდან ტელეფონის ზარებით ადვილად განთავისუფლების მიზნებისათვის. ერთ უკიდურესობას მეორე, უფრო საზიანო უკიდურესობა ემატებოდა.

ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილია 1937 წლის ე. წ. მასობრივი რეპრესიის ციფრობრივი მაჩვენებელი და ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის გ. სმირნოვის იძულებითი ალიარება „პრავდის“ ფურცლებზე რაოდენობრიობის სპე-

კულირებით ხალხის უზომოდ მოტყუების თაობაზე. თითქოსდა, არ დარჩენილიყოს არც ერთი ოჯახი, რომელსაც პოლიტიკური რეპრესიის სუსხი არ შეხებოდა. თითქოსდა, ერთი წლის რეპრესიის მსხვერპლთა რიცხვი ათეულ მილიონს აღემატებოდა. ამით გაგულისებული გ. სმირნოვი მკითხველს აწვდიდა დაზუსტებულ ცნობას. ამას მოყვა ჯერ „კომსომოლსკაია პრავდას“ (1989, 29 სექტემბერი), მერე „ნა ბოევომ პოსტუს“ (1989, 27 დეკემბერი) და, ბოლოს, „არგუმენტი ი ფაქტის“ (1990, № 5) ფურცლებზე გამოქვეყნებული უტყუარი ოფიციალური მასალები. კურსკელი მკითხველის შეკითხვაზე — არსებობს თუ არა ყბადაღებული 58-ე სტატიით დასჯილთა რაოდენობაზე რაიმე ცნობები? — ამ უკანასკნელი გაზეთის სარედაქციო პასუხიდან მოვიტანთ აქ ერთ ადგილს:

„ნ. ს. ხრუშჩოვის დავალებით 1954 წლის 1 თებერვლის თარიღით მის მაგიდაზე იდო სსრ კავშირის გენერალური პროკურორის რ. რუდენკოს, შინაგან საქმეთა მინისტრის ს. კრუგლოვის და იუსტიციის მინისტრის კ. გორშენინის ხელმოწერილი ხუთგვერდიანი ცნობარი 1921 წლიდან 1954 წლის 1-ლ თებერვლამდე კონტრრევოლუციონური დანაშაულისათვის დასჯილთა შესახებ. სულ მთელ ამ პერიოდში სამხედრო ტრიბუნალებისა, ტროიკებისა და სასამართლოების მიერ მსჯავრდადებულია 3.777.380 კაცი, აქედან უმაღლესი სასჯელით — 642.980... ამათგან სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 5 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შექმნილი საგანგებო სათათბიროების, სასამართლოების და ტრიბუნალების მიერ ამ დროიდან 1953 წლის პირველ სექტემბრამდე ზემოაღნიშნული ბრალდებით მსჯავრდადებულია სულ 442.581 კაცი, აქედან დახვრეტილია 10.101“.

ხრუშჩოვმა შეგნებულად გვერდი აუარა ლენინის დროიდან დაწყებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მისთვის მიწოდებული ცნობა-დოკუმენტის ზემოთ ნაჩვენებ ადგილს, გამოყო იქიდან მხოლოდ ბოლო ეპიზოდის მახასიათებელი შედარებით ნაკლები, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში პოლიტიკური რეპრესიების ტემპის თავზარდამცემი მაჩვენებელი და, ვითომდა თავად უმწიკვლომ, ლენინური კურსის ლენინურად გაგრძელების ნიშნად, მთელი რისხვა მხოლოდ ერთ კაცს დაატეხა. ამავე დროს, სწორედ 1937 წელს გაისმა იმ ერთი კაცის სიტყვები: „შვილი მამისთვის პასუხს არ აგებს“,

რამაც სისხლიან დროჟამს გარკვეულწილად რაღაც სხვა ელფერი შესძინა.

მწერალი ვლ. სოლოუხინი „ოგონიოკის“ 1991 წლის 29-ე ნომერში (გვ. 21) წერს: „ხრუშჩოვმა პიროვნების კულტის შესახებ მოხსენებაში მოიტანა ციხიდან კედროვის მიერ სტალინისადმი გაგზავნილი წერილიდან ციტატი მისი უცოდველობის დასამტკიცებლად. მაგრამ მან დამსახურებულად იწვნია შურისძიება. ეს ის კედროვი იყო, რომელიც ლენინმა გაგზავნა რუსეთის ჩრდილოეთ მხარეში, არხანგელსკისა და ვოლოგდის ოლქებში საუკეთესო რუსი ხალხის მოსპობისა და განადგურებისათვის. მას სრული საფუძველი გვაქვს ვუწოდოთ იმ დროის ჯალათთა შორის ყველაზე პირსისხლიანი ჯალათი“. მაშასადამე, ნამდვილი დამნაშავის რეაბილიტაციის ინსცენირება თავის მხრივ უარესი დანაშაული იყო.

სწორედ ეს ედო საფუძვლად ხრუშჩოვის მანიპულაციებიდან ერთი წლის შემდეგ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის მიერ მისი გადაყენების ისტორიულ ფაქტს, რაც თავისთავად მეტყველებს ცენტრალურ კომიტეტში მაშინ არსებულ ურთიერთ საწინააღმდეგო, დაძაბულ ატმოსფეროზე. მაგრამ ეს ფაქტი იმის მაჩვენებელიცაა, რომ ვინც სტალინის დროს ქვეყანაში ავტორიტეტით სარგებლობდა, არც ერთი არ აღმოჩნდა არა თუ ამის ღირსი, არამედ უბრალოდ პარტიულ-ორგანიზატორული, დამოუკიდებელი უნარის მქონე, რომ ისინი მხოლოდ სტალინის გვერდით, მისი ლანდით ჩანდნენ თურმე დიდად და ავტორიტეტულად და არა თავიანთი გამჭრიახობით. მარტოოდენ დოყლაპია მალენკოვის მაგალითი რად ღირს. რა სიმაღლეზე იდგა! და როგორ გამოიჭირეს ხრუშჩოვის „ბიჭებმა“ XIX ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებაში ლიტერატურული ტიპის განმარტების პლაგიატობაზე. ან მოლოტოვი, მეორე კაცი სახელმწიფოში.

1957 წლის 18 ივნისს პრეზიდიუმმა ხრუშჩოვის ნაცვლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ვ. მოლოტოვი აირჩია. საჭირო იყო რადიკალური, გადამწყვეტი ორგანიზაციული ზომების მიღება ამ დადგენილების სწრაფად რეალიზებისა და ამოქმედებისათვის. სინამდვილეში მოლოტოვმა, დაიკავა თუ არა ხრუშჩოვის სავარძელი, იქვე, იმავე სხდომაზე დაიწყო ხრუშჩოვის დანაშაულებრივ მოქმედებათა, პიროვნების კულტის გამოცხადებით ქვეყნისათვის მიყენებული საერთაშორისო და საშინაო მორალური ზიანის კრიტიკული ანალიზი, რაც ხუთი საათი გრძელდებოდა. მ. გეფ-

ტერის გამონათქვამისა არ იყოს, „ყველაფრით, რასაც აკეთებდა... მან მიაყენა სისტემას ზარალი, რომლის გამოსწორებაც საეჭვოა რომ შესაძლო იყოს" (იხ. მისი წერილი „ხრუშჩოვის ხვედრი", ჟურნალი „განთიადი", 1991, № 5, გვ. 128). მართლაცდა, იმ სხდომის სტენოგრამა ხომ უტყუარი დოკუმენტი იქნებოდა ისტორიისათვის ხრუშჩოვის ნამდვილი სახის შესაცნობად, მაგრამ იგი ჯერჯერობით უცნობია და გამოსაყენებლად არ არსებობს.

არ არსებობს მოლოტოვის, ლენინის დროინდელი პარტიული მუშაკის უფრო დიდი ბედოვლათობით, ვიდრე მალენკოვზე ვამბობდი. იმ ხუთი საათის განმავლობაში თავდაცვის მინისტრმა გ. ჟუკოვმა სამხედრო სწრაფმავალი თვითმფრინავებით შეძლო ცენტრალური კომიტეტის წევრების შეკრება მოსკოვში და მათი შეყვანა პრეზიდიუმის სხდომის დარბაზში, სადაც იმავე დღესვე ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა. პრეზიდიუმის სხდომა ექსტერნად მოწვეულ ერთკვირიან პლენუმად გადაიქცა. იგი მიმდინარეობდა 22 ივნისიდან 29 ივნისამდე მწვავე შინაპარტიულ ბრძოლაში მოლოტოვსა და ხრუშჩოვს, ცენტრალური კომიტეტის აპარატში არსებულ დაჯგუფებებს შორის. მიქოიანისა და სუსლოვის იმ ჟამის ორპირობამ გადასწონა დავა-კამათის ბედი და 29 ივნისის საღამოს რადიოთი გადაიცა საინფორმაციო ცნობა პლენუმის მიერ ანტიპარტიული ჯგუფის განადგურების შესახებ. ის ვინც ხრუშჩოვი მოხსნა, მოიხსნენ და გაძევებულ იქნენ კრემლიდან, გაირიცხნენ პარტიიდან. „კოშკა-მიშკას" სამარცხვინო თამაშს ჰგავს, არა? იქვე ახლოს, მავზოლეუმის მღვიმეში კი, ლენინი და სტალინი ჯერ ისევ ერთად განისვენებდნენ.

და, რალა თქმა უნდა, თერთმეტი წელიწადი ქვეყნის მართვას კვლავ განაგრძობდა კაცი — ხეპრე, კაცი — ეშმაკი, რომელმაც ტაოახიანი შავი პურისა და ყარიბის ზღვის ყურეში ლამის მესამე მსოფლიო ომის ზღვრამდე მიიყვანა ხალხი. და მაინც ხრუშჩოვი ისტორიაში შევიდა, როგორც XX ყრილობის ტიტულით მხრებდამშვენებული, რეპრესიების დამგმობი და გულმოწყალე. მაგრამ თბილისის 1956 წლის და ნოვოჩერკასკის 1962 წლის ქუჩებში მოწყობილი სტუდენტი ახალგაზრდობისა და მუშების მასობრივი ხოცვა-ჟლეტის სცენარის ავტორს ჰქონდა კი მორალური უფლება ემოციური გრძნობების სპეკულირებით, ადამიანთა გულების მოსაგებად, ღია კარები ემტვრია და დაგმობილის დაგმობით აწმყო გაეჩანაგე-

ბინა? როგორ თუ დაგმობილი! ხრუშჩოვამდე? დიახ, ხრუშჩოვამდე თვრამეტი წლით ადრე. გაკვრით ამის შესახებ ნათქვამი მაქვს მეორე ნაწილის მესამე თავში. ახლა კი უფრო გაშლილად მოგახსენებთ როგორც იმდროინდელის და ახლანდელის მოწმე.

მასობრივი რეპრესიების დაწყებიდან (იგი დაიწყო 1937 წლის მარტიდან, როცა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით დაისახა რადიკალური ღონისძიებანი ანტისახელმწიფოებრივ-დივერსიულ მოქმედებათა სალიკვიდაციოდ) ცხრა თვის გასვლის შემდეგ, 1938 წლის 14 იანვარს, ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა გაანალიზა რეპრესიების მიმდინარეობის პროცესში დაშვებული შეცდომები, სათანადო შეფასება მისცა მათ მიზეზებს და დასახა ქმედითი ღონისძიებანი უდანაშაულოდ დასჯილთა რეაბილიტაციისათვის. ამ შემთხვევაში მთავარია დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების მოკლე დროში თვით პარტიის მიერ საჯაროდ არა მხოლოდ აღიარების, არამედ მათი დაგმობისა და გამოსწორებისათვის ქმედითი გზების დასახვის თვით ფაქტი, მისი არსებობის რეალობა და ზომების ოპერატიულად მიღება.

გაზეთ „პრავდის“ 1938 წლის 26 იანვრის მოწინავე წერილში სათაურით „რეაბილიტაცია ვუყოთ არასწორად გარიცხულთ (ე. ი. რეპრესირებულთ — ა. თ.), მკაცრად დავსაჯოთ ცილისმწამებლები“ ნათქვამი იყო: „პლენუმმა დაავალა პარტორგანიზაციებს მკაცრ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებსაც დანაშაული მიუძღვით პარტიის წევრებისათვის ცილისწამებებში, პატიოსანი კომუნისტების წინააღმდეგ დაუმტკიცებელი, ლიტონი ბრალდებების წაყენებისათვის“. პლენუმის დადგენილების მესამე მუხლი ითვალისწინებდა სააპელაციო საკითხების ოპერატიულად განხილვას, ცილისწამებით პარტიიდან გარიცხულთა და რეპრესირებულთა სრულ რეაბილიტაციას, პრესაში გამოცხადებით მათი ღირსების აღდგენას და სანახურში დაუბრკოლებლად დაბრუნებას.

ეს დადგენილება სრულდებოდა. ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაუბრუნდა თავის ოჯახს, კოლექტივს (მათ შორის სსრ კავშირის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი მოგოშა შარტავა, საშენ მასალათა მინისტრი ვანიუკოვი, ცნობილი სამხედრო ოფიცერი, შემდეგში მარშალი კ. როკოსოვსკი, ფილოსოფოსი შალვა ნუცუბიძე და სხვა), ხოლო საპირისპიროდ დაისაჯა პროვოკატორებისა და ცილისმწამებლების გარკვეული ჯგუფი, დაიხვრიტა

უშუალოდ თვით მასობრივი რეპრესიის მთავარი ორგანიზატორი, შინაგან საქმეთა ე. წ. „რკინის კომისარი“ ეჟოვი, რომლის მსგავსთა რეაბილიტირება ვერც ხრუშჩოვმა და ვერც გორბაჩოვმა ვერ შეძლეს.

„ზოგი ამხანაგი ფიქრობს, — ამბობდა ი. სტალინი პლენუმზე, — რომ მიზანშეუწონელია ვილაპარაკოთ ჩვენს შეცდომებზე, ვინაიდან ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარება შეიძლება ჩვენმა მტრებმა შეაფასონ ჩვენს სისუსტედ და შეიძლება გამოიყენონ კიდეც. ეს არაფერია, ამხანაგებო, სრულიად არაფერი. ჩვენი შეცდომების აშკარად აღიარებასა და მათს პატიოსნად გამოსწორებას, პირიქით, შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს ჩვენი პარტია, აამაღლოს ჩვენი პარტიის ავტორიტეტი მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის თვალში, აამაღლონ ჩვენი სახელმწიფოს ძალა და ძლიერება“.

და მართლაც, პარტიის ავტორიტეტის კიდევ უფრო გაძლიერების მაჩვენებელი იყო სწორედ იმავე 1938 წლიდან პარტიის რიგებში წლობით შეწყვეტილი მიღების აღდგენა, მასობრივი ლტოლვა პარტიის წევრობის უფლების მოპოვებისათვის. იგი პირველ რიგში ენთუზიასტების ხვედრად და, როგორც ამ წიგნის მეორე ნაწილის მესამე თავში გიამბობდით, მხოლოდ ღირსების საქმედ ითვლიებოდა. ამიტომ უგუნურებაა სულალად ჩათვალო ყველა, ვინც მაშინ პარტიაში შედიოდა.

1937 წლის რეპრესიის დროს დაშვებული შეცდომების აღიარება და დაგმობა, პლენუმის დადგენილებით, არ ნიშნავდა უარის თქმას მტრულ გამოვლინებათა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის. „პარტია სწმენდდა, სწმენდს და მომავალშიც გასწმენდს თავის რიგებს ფარული და აშკარა მტრებისაგან, მაგრამ არ დააყოვნეს ამ უდიდეს გამწმენდ მუშაობას მიტმასნოდნენ თავკერძა ადამიანები და კარიერისტები, რომლებიც ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ და დაწინაურებულიყვნენ პარტიიდან გარიცხვებით, ცდილობდნენ ამით დაემსახურებინათ ფხიზელი პარტიელების სახელი. თავკერძა და კარიერისტ ადამიანებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი მოქმედებდნენ შენიღბული მტრებიც, რომლებიც გაჰყვიროდნენ რა სიფხიზლეზე და მოითხოვდნენ რა სრულიად უდანაშაულო ადამიანთა გარიცხვას, საკუთარ კვალს ფარავდნენ მოსაჩვენებელი, ყალბი სიფხიზლით, ფარავდნენ საკუთარ დანაშაულობებს“ („პრავდის“ 1938 წლის 26 იანვრის მოწინავედან).

განა აქ არ ჩანს დამსმენების, ცილისმწამებლების, მიტმასნილების, კარიერისტების გამოაშკარავებისა და მათი მტრული მოქმედებით უდანაშაულოთა ღირსების შელახვის აღკვეთისათვის გარკვეული ზრუნვა და წადილი? თუ ხრუშჩოვმა იკადრა მკვდრის წინააღმდეგ შენიღბულად მოქმედება, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, ცოცხლებს ცოცხლის წინააღმდეგ უფრო მეტად დასჭირდებოდათ შენიღბვა?

ანდა, თუ ჩვენს დღევანდელობაში, 1992 წლის 24 ივნისის მოვლენების ფონზე, გადაუდებლად დადგა ტერორისტულ-დივერსიული აქტების ჩამდენი ბანდების წინააღმდეგ მებრძოლი სპეცსამსახურის შექმნის და სახელმწიფო საბჭოს ამავე წლის 29 ივნისის დეკრეტით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში უკიდურესი გამკაცრების, სიკვდილით დასჯის ცვლილებების შეტანის, „მოღალატის“ და „მტრის“ იარლიყების მიკერების აუცილებლობა, რატომ არ უნდა დაეუშვათ მათი არსებობის შესაძლებლობანი წარსულში? განა დივერსიები და საბოტაჟები მაშინ არ იყო? არ ხდებოდა?

მოვიტანთ ორ მაგალითს: 1. გაზეთ „კომუნისტის“ 1930 წლის 14 იანვრის ნომრიდან (№ 11): „ქუთაისი. 12 იანვარს, საღამოს 9 საათზე კულაკებმა დაწვეს სოფელ გეგუთის კოლექტივის წევრის ონისიმე ბოდოკიას სახლი, ბეღელი, კამეჩები, ძროხა, სიმინდი და ოჯახის მთელი ქონება. სახლში დაიწვა ორი ბავშვი. ერთი სამი წლის, მეორე წლინახევრის. ნახეს მხოლოდ ჩონჩხი. სასიკვდილოდ დამწვარია აგრეთვე ბოდოკიას თერთმეტი წლის გოგო, რომელიც გადაგზავნილია ქუთაისის საავადმყოფოში. ცეცხლის წაკიდება მოხდა მაშინ, როცა კოლექტივს საერთო კრება ჰქონდა. ბოდოკიას ოჯახიდან ყველა, გარდა ბავშვებისა, კოლექტივის კრებაზე იყვნენ. ღარიბი და საშუალო გლეხობა მოითხოვს კულაკების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას“.

2. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1937 წლის პირველი სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია 23-28 აგვისტოს გამართულ მემარჯვენეთა სიღნაღის კონტრრევოლუციონერ მავნებელთა ორგანიზაციის სასამართლო პროცესის შესახებ. „ქუჩებსა და მოედნებზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა. საღამოს 7 საათსა და 50 წუთზე ხუთი დღის სხდომის შემდეგ დაიწყო განაჩენის კითხვა. ყველანი ფეხზე დგას და სულგანაბული უსმენს. შ. ალავერდაშვილს,

წითლიძეს, კ. აბაშიძეს, ი. სტეფანოვს, გ. მეტრეველს, ა. კობეშავიძეს, ვ. მახოშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, უველას მიმართ მთელი პირადი ქონების კონფისკაციით. ამ განაჩენს ხალხი მქუხარე ტაშით შეხვდა. სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს! — ისმოდა შეძახილები. გაუმარჯოს რევოლუციურ მართლმსაჯულებას, მადლობა სასამართლოს. ტაში დიდხანს გაგრძელდა".

შეადარეთ ეს ამონაწერი 1991 წლის ოქტომბერში მთავრობის სასახლის წინ გამართულ საინფორმაციო მიტინგებზე ყოფილი პრეზიდენტის მოწოდებებს ხალხის მტრების განადგურებაზე თაობაზე და მომიტინგეთა აღზევებებს, მათ მქუხარე შეძახილებს, ერთ წელიწადში მისი გაკერპების, გაკულტების ცდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ ხრუშჩოვის გალაშქრების ფაქტს. განა ადამიანთა ცნობიერების გამოსაველენ ქცევებსა და მოქმედებებში რაიმე შეიცვალა? რაიმე ანალოგიის გავლება შეიძლება გამოგონილ და ნამდვილ კულტს შორის? (მიხეილ შოლოხოვი: იყო კულტი, იყო შესატყვისი პიროვნებაც). საიდან გაჩნდა გამოგონების ფანტასმაგორია?

წარსულის შესწავლის ობიექტურობის პრინციპი უკუაგდებს, გამორიცხავს და დაუშვებლად მიიჩნევს მის განჭიქებას ტენდენციურობის, პირადული ინსტინქტებისა და ანგარიშსწორების პოზიციებიდან. ასეთ დროს ადამიანები კი არ უახლოვდებიან, პირიქით — მეტწილად უოველთვის შორდებიან ჭეშმარიტების ნაპირს და უნებურად მის საპირისპირო მხარეზე დგებიან. ტენდენციური მიდგომა საერთოდ მიუღებელია უოველგვარი მოვლენის მიმართ, მით უფრო ისეთი ფაქიზი და მგრძნობიარე აქტისადმი, როგორიცაა ადამიანის ბედის, სიკვდილ-სიცოცხლის, მიცვალებულთა სულებისადმი პატიეისცემის საკითხი. ჩვენ ამ შემთხვევაში ამ საკითხით პოლიტიკური „ვაჭრობის" ასპექტი გვაინტერესებს.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რუსეთის პოეტურ გენიას, მის ერთადერთ სიამაყეს და სათაყვანებელს ალექსანდრე პუშკინს 1837 წელს ტრიბუნალის გადაწყვეტილებით მისჯილი ჰქონდა დახვრეტა და იგი სისრულეში მოყვანილად ჩაითვალა დანტესის განმგმირავი ტყვიის საფუძველზე („კრასნაია ზვეზდა", 1989, 5 თებერვალი). რომანოვების დინასტიის მომდევნო პერიოდის ვერცერთმა მეფემ ვერ გააუქმა ტრიბუნალის დადგენილება და ვერ მოახდინა პოეტის რეაბილიტაცია იმიტომ, რომ ძალაში იყო პეტრე პირველის მიერ მოეებული კანონი დუელის აკრძალვის შესახებ. მეფეები იცვლე-

ბოდნენ, თვითმპყრობულური სახელმწიფო კი განაგრძობდა არსებობას. მისი სამასწლიანი ისტორია, ავად თუ კარგად, საკუთარ კანონთა ფუნდამენტზე იდგა. ასე დარჩა პოეტის სული ხელუხლებელი, დაცული იურისპრუდენციის არენაზე ჯიჯგნისა და „წვალებისაგან“.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ს. ალექსეევის აზრით, ტოტალიტარულ რეჟიმს თავისი არსებობის სიმყარისათვის აუცილებლად სჭირდებოდა კანონიერების უზენაესობის დაცვა და იგი იცავდა კიდეც მას. ასეთი კანონიერების იურიდიული საფუძვლები მოცემული იყო საზოგადოებრივი საკუთრების მცირედი მითვისების გამოც კი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, კონტრრევოლუციური საქმეების დაჩქარებით, პროცესუალური გარანტიების დაცვის გარეშე განხილვის და სამუშაო დროის გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ 1932 წლის 8 აგვისტოს, 1934 წლის პირველ დეკემბერს და 1939 წელს მიღებულ კანონებში. ყოველ ქვეყანაში კანონები ცივილიზებულ სახეს მხოლოდ მათი შესრულების, გატარების შედეგად იღებს. სახელმწიფო როგორც ორგანიზაციაქმნილი, ორგანიზებული საზოგადოება, აღნიშნავს ს. ალექსეევი, იშლება და ირღვევა, როცა კანონები კანონებად, უმოქმედოდ და უსიცოცხლოდ რჩებიან. ტოტალიტარული სახელმწიფო ტოტალიტარულ ყაიდაზე აგებულ კანონებს ეფუძნებოდა, მტკიცედ ატარებდა და ანხორციელებდა მის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, ხრუშჩოვის თვითნებობით, კონკრეტულ-ისტორიული პირობების, ფაქტორებისა და გარემოებების გაუთვალისწინებლად ტოტალიტარულ სახელმწიფოში წინათ მოქმედი კანონების გაუქმება და ამ ნიშნით რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დაწყება უწინარესად მიმართული იყო თვით ამ ტოტალიტარული სახელმწიფოს დ ა ნ გ რ ე ვ ი ს ა კ ე ნ და მისი გულამაჩუყებელი სიტყვები მხოლოდ ფანდი იყო ვერაგული მიზნის დასაფარავად. (როგორც აღინიშნა, რეაბილიტაცია ომამდე იყო დაწყებული. იგი ჯერ ფინეთთან, შემდეგ გერმანიასთან ომებმა, ხოლო ომის შემდგომ გრანდიოზულმა აღდგენითმა სამუშაოებმა შეაფერხა. ამიტომ საჭირო და აუცილებელი იყო მისი გაგრძელება, მაგრამ არა მკრეხელური, სულელური გაბედულების გამოჩენის, შურისძიების წყურვილით, არამედ კოლექტიური პასუხისმგებლობისა და იმგვარიევე თვითკრიტიკულობის გრძნობით, როგორადაც 1938 წელს მოხდა).

ბუნებრივია, ქვეცნობიერად ასეთი შეფარვის ფონზე განაწყენებულთა საზოგადოებაში შინ და გარეთ ხრუშჩოვი XX ყრილობის სახელთან ერთად აღიარებულ ფეტიშად უნდა ქცეულიყო და იქცა კიდეც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ხრუშჩოვის დროიდან იდეოლოგიურ სფეროს, პრესას, ტელევიზიას, შემოქმედებით ორგანიზაციებს ყველგან, ყოველ კიდითკიდეში დაეუფლა ამ საზოგადოების ფენებიდან გამოსული ახალი თაობა, რომელიც ხელმძღვანელობაში გორბაჩოვის მოსვლის პერიოდისათვის გარკვეულ დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა.

გორბაჩოვის პერიოდის რეაბილიტაციის მესამე ეტაპი თითქმის მეოთხედი საუკუნის შუალედის შემდეგ დაიწყო, როცა გაზეთ „იზვესტიის“ 1988 წლის 7 თებერვლის ნომერში (№ 38) გამოქვეყნდა ცნობა შეფერადებული, წინანდელისგან უფრო ხმიანი და ჟღერადი სათაურით: „30-40-იანი წლების პერიოდის და 50-იანი წლების დასაწყისის რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებით შემსწავლელი სკკპ ცეკას პოლიტბიუროს კომისიისაგან“, რომელსაც პოლიტბიუროს წევრი, სკკპ იდეოლოგიური დარგის ხელმძღვანელი, რეპრესირებულის შთამომავალი ალ. იაკოვლევი თავმჯდომარეობდა. წინა გვერდზე დაბეჭდილ ამ ინფორმაციას შიდა გვერდზე ჟურნალისტის შეკითხვების კვალდაკვალ კომენტარს უკეთებდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი ჩინოვნიკი-მოხელე, რომლის აზრით, სასამართლოს პლენუმის 4 თებერვლის დღე „ისტორიაში შევა, როგორც სამართლიანობის დღესასწაული“. რა მოხდა ამ დღეს?

ზუსტად ნ. ბუხარინის და სხვა ანტისაბჭოთა მემარცხენე ტროცკისტული ბლოკის წევრთა რეპრესიიდან ორმოცდაათი წლისთავზე უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო დადგენილება მათი სრული და ყოველმხრივი რეაბილიტაციის შესახებ, რის შედეგად პოლიტბიუროს კომისიამ პარტიულ რიგებში მათი აღდგენით განაგრძო ხრუშჩოვის მიერ დაწყებული, მაგრამ სხვათა შეყოვნებული საქმე. რატომ ვერ მოახერხა თვით ხრუშჩოვმა ტუხაჩევსკის მსგავსად. ბუხარინის რეაბილიტაცია? უბრალოდ იმიტომ, რომ თვითონ უშუალო აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის რეპრესირებაში. რატომ არ ჩანს პოლიტბიუროს კომისიის ოფიციალურ ცნობაში „20-იანი წლები“? იმიტომ, რომ ამ ზღუდესთან ლენინის აჩრდილი იდგა.

გორბაჩოვს, როგორც ხრუშჩოვს, ლენინური კურსის გაგრძელე-

ბის საფარქვეშ სჭირდებოდა მხოლოდ და მხოლოდ 30-40-იანი და 50-იანი წლების უკანონობის გამომზეურება, მისგან ვითომდა ლენინის გაწმენდისათვის, ხოლო, რა თქმა უნდა, ლენინის დროის უკანონობას განაპირობებდა იმ დროის „კონკრეტულ-ისტორიული პირობები". 30-40-50-იან წლებს არ გააჩნდა „კონკრეტულ-ისტორიული პირობები"?

ეს აზრი რომ არ დაბადებოდა ვინმეს, გორბაჩოვმა ოქტომბრის რევოლუციის სამოცდაათი წლისთავის გამო გაკეთებულ მოხსენებაში, ისე როგორც ადრე, ხრუშჩოვმა, პარტიის 22-ე ყრილობაზე, 1987 წლის 2 ნოემბერს სტალინი კვლავ დამნაშავედ გამოაცხადა. ამით მან ფარდა ჩამოაფარა ორი წლის წინათ, 1985 წლის 8 მაისს, გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მისსავე მოხსენებაში სტალინის როლის გამოკვეთისას დამსწრე საზოგადოების „მხურვალე და ხანგრძლივ ოვაციას". ეს ახლა წიგნთსაცავების ფოლიანტებშია საძიებელი.

თავის მხრივ პოეტმა ევგენი ევტუშენკომ არ დააყოვნა და 1962 წელს ხრუშჩოვის ზეგავლენით დაწერილი ლექსი გორბაჩოვის მეოხებით 1987 წელს ისე გადააკეთა, რომ ისტორიას შემორჩენოდა პროფაშისტური სტრიქონები: „დაე, მე მითხრან: „დამშვიდდი". — მშვიდად მე ყოფნა არ შემიძლია, სანამ დედამიწაზე სტალინის თუნდაც ერთი მემკვიდრე ცოცხალია" („ნედელია", 1987, № 45).

შეადარეთ ეს სტრიქონები ქართული თანამედროვე მეტაფორული პოეზიის მშვენების — შოთა ნიშნიანიძის ლექსიდან ერთ ადგილს: „სამშობლოს ბედი ბეწვზე ეკიდა... ხიფათი მოსკოვს გარე უვლიდა... არ გამოსულა იგი კრემლიდან და არც გამოდის ხალხის გულიდან". — რაოდენი კონტრასტია! კონტრასტი სიძულვილსა და ალტრუიზმს შორის. აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველი მწერლის, ევგენ აქუბარდიას რომანი „კოჩა" ადრინდელ ეპოქაში ახალგაზრდობის არა მუქთახორული, არამედ შრომითი აღზდის მთელი მხატერული მატიანეა. ევტუშენკოს აზრის საპირისპიროდ, რამდენიც გნებავთ იმდენს დაგისახელებთ, მაგრამ ამჯერად უფრო საინტერესოა მივუბრუნდეთ იმ პირველი ცნობის პირველ რეაქციას. მომაქვს ჟურნალისტისა და სასამართლოს ჩინოვნიკ-მოხელის დიალოგის ერთი ეპიზოდი:

„— რამდენადაც ვიცით, თქვენ ხელმძღვანელობდით დღევანდე-

ლი ზნეობრივი კატეგორიებით. მაშინ, 1938 წელს, სასამართლოები ხომ სხვა ატმოსფეროში, სხვა შეფასებებით მუშაობდნენ.

— ვერ დავმალავ. ეს საკითხი უძილო ღამეები მიჯდებოდა. მაშინდელი კანონმდებლობა, მართალია, არ იყო დღევანდელთან შედარებით სრულყოფილი, მაინც შესაძლებლობას იძლეოდა სწორად გარკვეულიყვნენ საქმეში და გამოეტანათ სწორი გადაწყვეტილებები. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკაში იმ დროს არ იყო სერიოზული გადახვევები კანონებიდან. რაც შეეხება პოლიტიკურს...

— ძველი თაობის ხალხი დაიჯერებს თქვენი მოქმედების სისწორეს?

— მგონი, კი.

— ხომ არ იქონია გავლენა გორბაჩოვის მიერ გასული წლის 2 ნოემბერს გაკეთებულმა მოხსენებამ, მის მიერ მიცემულმა შეფასებებმა?

— მოხსენებაში მოცემული შეფასებები ხომ პარტიის და ხალხის, ე. ი. კოლექტიური აზრის გამოხატულებაა". (გაზეთი „იზვესტია", 1988, № 38).

დიახ, ზემოთ აკი ვნახეთ, „პარტიისა და ხალხის კოლექტიური აზრის" როგორი გამოხატულება იყო პიროვნების კულტის შესახებ ხრუშჩოვის მოხსენება და როგორ ხორციელდებოდა რეაბილიტაცია ამ მოხსენების შუქზე. ტყუპის ცალიჯით არ ჰგვანან ერთმანეთს?

მივუბრუნდეთ ისევ ნ. ბუხარინის რეაბილიტაციის თემასთან დაკავშირებით პრესაში (ჟურნალები: „იზვესტია", „ოგონიოკი", გაზეთები: „იზვესტია", „ნედელია", „სოვეტსკაია კულტურა" და სხვ.) გაჩენილ არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. მათი ძირითადი არსი რადიკალურად არათუ ურთიერთ საპირისპიროა, ზოგჯერ პირდაპირ საწინააღმდეგოა მომხდარი ფაქტის, კატეგორიული დადასტურებაა 1938 წელს გამოტანილი განაჩენის სისწორის, აქედან გამომდინარე, პირდაპირი და კატეგორიული მაჩვენებელია მიცვალებულთა (ამ შემთხვევაში ნ. ბუხარინის) სულების „აწიოკების", ქრისტიანული დოგმების უგულებელყოფის, ადამიანური, ეთიკური ნორმების წაბილწვის და ფეხქვეშ გათელვისა.

ნაადრევი, თითქოს წუთიერი გამოდგა ბუხარინის ქვრივის ანა ლარინას ქედმაღლობა ქმრის ანდერძის სიტყვა-სიტყვით, წერტილმძიმიანად ორმოცდაათი წელიწადი ზეპირად შენახვის ლეგენდარული სიდიადით. ვლადიმერ სოლოუხინი საჯაროობისა და დემოკრა-

ტიის შუქზე მას ერთადერთ შეებას ანიჭებს — არ აეალდებულებს მონანიებას და პატიებას „ტერორის თეორეტიკოსის“ მიერ ჩადენილი დანაშაულობებისათვის. არა, ლარინამ არ უნდა აგოს პასუხი ქმრის ცოდვების გამო. — ასეთია მისი დევიზი.

ჯერ კიდევ 1920 წელს გამოცემულ წიგნში — „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“ ბუხარინის კლასიფიკაციით სოციალიზმის მშენებლობის დაწყებამდე ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყვნენ შემდეგი სოციალური ფენები და ჯგუფები: 1. ძველი პარაზიტული ელემენტები — ბანკირები, ბირჟავიკები, სპეკულიანტები, მემამულეები, მეწარმეები, 2. ბურჟუაზიული წარმოშობის წარმოებათა, სინდიკატებისა და ტრესტების ორგანიზატორები და დირექტორები, კაპიტალისტურ სამყაროსთან დაკავშირებული მსხვილი რანგის ინჟინრები, გამომგონებლები და სხვა, 3. ამ სამყაროს არამწარმოებელი ადმინისტრაციული არისტოკრატია, საბელმწიფო მოხელეები, გენერლები და სხვა, 4. კვალიფიციური და ტექნიკური ბიუროკრატია (სამხედრო, სასულიერო, სამოქალაქო, ტექნიკოსები, ზოოტექნიკოსები, ექიმები, ჟურნალისტები, ვექილები, მასწავლებლების უმრავლესობა და სხვა). 5. ოფიცრობა. 6. მსხვილი შეძლებული გლეხობა, 7. საშუალო და წვრილი საქალაქო ბურჟუაზია. 8. სასულიერო წოდება არაკვალიფიცირებულთა ჩათვლით. („ოგონიოკი“, 1991, № 29, გვ. 21).

ვინღა რჩებოდა მოსპობის გარეშე? (რუსეთის მეორე დიდმა პოეტმა სერგეი ესენინმა ვერ გაუძლო ნ. ბუხარინის რაპპულ მასირებულ თავდასხმებს პარტიული პრესის ფურცლებიდან და 1925 წელს თავი მოიკლა).

1923 წლიდან 1934 წლამდე ნ. ბუხარინს რვაჯერ ჰქონდა დაწერილი განცხადება თავისი შეცდომების აღიარების შესახებ. განსაკუთრებული გააქტიურებით ებრძოდა იგი პარტიის ხაზს 1928 წელს. იმდენად მერყეევი, ცვალებადი და არამტკიცე იყო თავისი შეხედულებებისა და იდეების გამოხატვაში, მის მიმართ იმ დროიდან ზედგამოპრილ დახასიათებად დარჩა ტროცკის გამონათქვამი: „სტალინთან ერთად ბუხარინის წინააღმდეგ — კი, მაგრამ ბუხარინთან ერთად სტალინის წინააღმდეგ — არასოდეს“. XVII პარტყრილობაზე იგი გამოდის ვითომდა თვითკრიტიკულად და აცხადებს: „ამხანაგი სტალინი სავსებით მართალი იყო, როცა მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ბრწყინვალე გამოყენებით გააცამტვერა ჩემ მიერ

ფორმულირებული მემარჯვენე გადახრის მთელი რიგი თეორიული წანამძღვრები".

ითვლებოდა რა გაზეთ „იზვესტიის" რედაქტორად და სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ნ. ბუხარინი 1935 წელს საგანგებო მიელინებით იგზავნება საფრანგეთში კ. მარქსის არქივის ჩამოსატანად. იმ რვა განცხადებისა და ყრილობაზე პირფერული გამოსვლის მიუხედავად პარიზშიც და ბერლინშიც ის ფარულად ხვდება ემიგრანტებს და ამ შეხვედრის კასეტებმა აგენტურის ნეშვეობით მოსკოვში ამოყო თავი. ამის მიუხედავადაც, მისდამი ლოიალური დამოკიდებულება ოდნავადაც არ შეცვლილა. როცა 1936 წლის ზინოვიევ-კამენევის სასამართლო პროცესებზე ბრალდებულთა გარკვეულმა ნაწილმა „ჩაითრია" იგი, მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო გამოძიება.

კითხულობ ჟურნალ „იზვესტიის" 1989 წლის მე-5 ნომრის 69-85-ე გვერდებზე სკკპ ცეკას პოლიტბიუროს კომისიის სახელით გამოქვეყნებულ, ტენდენციური ჩანართებით, მაგრამ მაინც უცვლელ დოკუმენტურ მასალებს და ძალაუნებურად სიმპათიური გრძნობა გიქრება, დოკუმენტები ძალაუნებურად თვით ამხელენ კომისიას გადაწყვეტილების ულოგიკობაში და ნილაბს ხდიან ხრუშჩოვ-გორბაჩოვის ოინებს, მათ ქადაგებებს დემოკრატიასა და ჰუმანიზმზე. პარალელისათვის ამ შემთხვევაში აუცილებელია თვალი გადავაყოლოთ დასახელებული ჟურნალის მომდევნო, 1991 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ 1953 წლის ივლისის პლენუმის სტენოგრამას და გაზეთ „იზვესტიის" ამავე წლის 4 და 5 იანვრის ნომრებში ზედიზედ დასტამბულ ნიკოლოზ მიხაილოვის სტატიებს სათაურით, „1953-ის ივლისში".

ყველა ამ მასალიდან ჩანს, რომ სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, ნ. ბუხარინის საკითხი საგამომძიებლო ორგანოებზე გადაცემამდე რამდენჯერმე განხილულა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, პოლიტბიუროს მიერ შექმნილი კომისიების სხდომებზე. მათი თანდასწრებით მომხდარა კ. რადეკთან, გ. სოკოლნიკოვთან, ე. კულიკოვთან, ლ. სოსნოვსკისთან, ი. პიატაკოვთან, ვ. ასტროვთან და სხვებთან ბუხარინის პირისპირ შეხვედრა. მარტო 1936 წლის სექტემბრიდან 1937 წლის თებერვლამდე ცენტრალურ

კომიტეტს გადაუმოწმებია ბუხარინზე შესული სამოცი „ჩვენება“. 1936 წლის 4-7 დეკემბრის ცეკას პლენუმზე სამი დღის განმავლობაში მას საშუალება ჰქონდა თავი დაეცვა მოწმეთა ბრალდებებისაგან. საკითხი დამატებითი შესწავლისათვის გადადებულა მორიგ პლენუმამდე.

ამ პლენუმზე, რომელიც შედგა 1937 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში, ბუხარინის საკითხზე მისი თანდასწრებით მოხსენებით გამოსულა პოლიტბიუროს მიერ გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარე ა. მიქოიანი. პლენუმს დამატებით კიდევ გამოუყვია სპეციალური კომისია 35 კაცის შემადგენლობით წინადადებათა პროექტის საბოლოო დაზუსტებისათვის. მასში შედიოდნენ: ნ. ხრუშჩოვი, ნ. კრუპსკაია, მ. ულიანოვა და სხვა. კომისიის საერთო მოთხოვნისათვის ბუხარინის სასამართლოში გადაცემის და დახვრეტის თაობაზე მხარი არ დაუჭერია სტალინს. 1937 წლის 27 თებერვალს პლენუმს მიუღია დადგენილება ბუხარინის პარტიიდან გარიცხვის, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანის და კიდევ დამატებითი გამოძიებისათვის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გადაცემის შესახებ. ნივთიერი მტკიცებების (საზღვარგარეთული კასეტების გამოყენებით) და დანაშაულის აღიარების საფუძველზე 1938 წლის მარტში ნ. ბუხარინს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა.

როგორც ვხედავთ, თითქმის მთელი ორი წელიწადი გრძელდებოდა თურმე პარტიის წევრის პირადი მონაწილეობით საკითხის ყოველმხრივი შესწავლა. დემოკრატიულობის თვალსაზრისით ამაზე მეტი კიდევ რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო? და ეს მაშინ, როდესაც ნ. ბუხარინს ბრალი ედებოდა სტალინის წინააღმდეგ 1936 წლის 6 ნოემბერს მოსკოვის დიდ თეატრში სადღესასწაულო საღამოზე ტერორისტული აქტის მოწყობის დაგეგმვაში. და, აი პარადოქსი. 1953 წლის 2-7 ივლისს ნ. ხრუშჩოვის მეთაურობით ჩატარებულ პირველ პლენუმზე იხილებოდა საკითხი „ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ“ და თვით ბერია, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი კი არა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის (იგივე პოლიტბიუროს) წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი პლენუმს არ ესწრებოდა. იგი ამ დროს, უკანასკნელი ვერსიით, ფიზიკურად უკვე განადგურებული იყო.

„1953 წლის 26 ივნისს, — გვიამბობს ბერიას შვილი, ატომის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის გენერალური დირექტორი სერგო გეგეჭკორი, — 11 საათზე დანიშნული იყო სკკპ ცეკას პრეზიდიუმის სხდომა. მამამ სახლში გვითხრა, იგნატიევის საკითხს განვიხილავთ ექიმთა და მეგრელების საქმის შეთითხენაზეო. იმ დღეს მთავრობის სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო წყალბადის ბომბის მატარებელი რაკეტის შექმნის დამთავრება. საშენ მასალათა მინისტრის ვანიუკოვის კაბინეტში მოვიყარეთ თავი. პრეზიდიუმის სხდომა გადაიდო. ვცხოვრობდით კაჩალოვის ქუჩაზე. მამას ჩვეულად ჰქონდა საუზმე სახლში ეჭამა. შებრუნებულა. მთავრობის სხდომაც იგვიანებდა. დღის 2 საათზე ვანიუკოვის კაბინეტში მფრინავმა ანოხინმა დამირეკა — თქვენი სახლი გარშემორტყმულია ჯარითო. მერე გავიგე, რომ გამოუტანიათ ბრეზენტგადაფარებული კაცი. ის იყო მოკლული მამა. მე და დედა დაგვიჭირეს. თექვსმეტი თვე ცალ-ცალკე ვიყავით“ (გაზეთი „დრონი“, 1992, 18 აპრილი).

აქედან ცხადი ხდება, რომ 1953 წლის დეკემბრის სასამართლო ფარსი ხრუშჩოვის რეჟისორული ვირტუოზობით დადგმული ის „სპექტაკლი“ იყო, რომელსაც არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა მაყურებელი. ასეთივე რეპრესია განხორციელდა იმ ხანებში ბაგიროვის მიმართაც.

ამასთან დაკავშირებით, ნ. მიხაილოვი თავის ზემოთ მითითებულ სტატიაში ლოგიკურად ამახვილებს ყურადღებას ანალოგიაზე. „მართალია, წინათ ირღვეოდა წესი და კანონი, მაგრამ როცა საქმე შეეხებოდა უმაღლესი პარტიული არეოპაგის წევრობას, ტრადიციის ეტიკეტი მოითხოვდა თუნდაც ცენტრალური კომიტეტის თანხმობას, როგორც ეს მოხდა ბუხარინისა და რიკოვის შემთხვევაში. აქ კი, პლენუმზე, უმაღლესი ეშელონიდან ერავის მოსვლია აზრად მოეთხოვათ განმარტება „პარტიული ამხანაგიდან“ (გაზეთი „იზვესტია“, 1991, 4 იანვარი).

მეორეს მხრივ, ნ. მიხაილოვი აანალიზებს რა პლენუმის სტენო-

გრამას, მიდის დასკვნამდე, ლ. ბერიას მიმართ გამოყენებული სისხლის სამართლის 56-ე მუხლს — სამშობლოს ღალატისა და ტერორისტული აქტების მოწყობის თაობაზე, აბსოლუტურად აბათილებს პლენუმზე გამოსული „ხელმძღვანელი ამხანაგების" სიტყვები. მათი მიხედვით ბერიას უმტკიცდებოდა არა იმპერიალიზმის აგენტობა, არამედ ორი გერმანიის შეერთების, იუგოსლავიასთან კავშირ-ურთიერთობის აღდგენის, ნაციონალური პრობლემისადმი ახლებური მიდგომის მოთხოვნა და, რაც მთავარია, მისწრაფება ძალაუფლების ხელში აღებისაკენ. აი, ამ უკანასკნელის შიშით, კანონიერების ყოველგვარი დარღვევით, პლენუმამდე იგი მოსპობილ იქნა.

მაგრამ გერმანიის გაერთიანება, იუგოსლავიასთან კავშირის დამყარება და ნაციონალური პრობლემები ხომ მართლა რეალურ ფაქტად იქცა. რა პასუხს გასცემს მიცვალებული ხრუშჩოვი ანტიდემოკრატიულ, ანტიკონსტიტუციონურ აქციაზე საჯაროობის დღევანდელ ტრიბუნალს? რა მორალური უფლებით იქექებოდა იგი ყოველივე ამის შემდეგ წარსულის ნეგატიურ მოვლენებში და თვალს იბრმავებდა პოზიტიურის წინაშე? აკი ჭეყანაზე არ არსებობს მხოლოდ ბოროტება, ისე როგორც არ არსებობს მხოლოდ სიკეთე?

ან რა პასუხს გასცემს ცოცხალი გორბაჩოვი კანონიერების უმაღლეს მსაჯულს მის მიერ, წინასწარ ცეკას პლენუმზე საკითხის განხილვის გარეშე, 1991 წლის აგვისტოს „პუტჩის" მესვეურების — ყოფილი სსრ კავშირის ვიცეპრეზიდენტის, ყოფილი სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს სპიკერის, თავდაცვის, უშიშროების მინისტრების და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა ხელის ერთი მოსმით დაპატიმრების, საკნებში გამომწყვდევის გაუკუღმართებულ ფაქტზე? თუ მთელი გარემომცველი აპარატი გადაუდგა, რატომ არ უნდა გადამდგარიყო თვითონ, როგორც ეს ყოფილი გფრ-ის კანცლერმა ვილი ბრანდტმა გააკეთა დაშვებული შეცდომისათვის? განა გორბაჩოვის ხელწერა ამ აქციათა შეპირისპირებისას არ მისდევს ხრუშჩოვის ნაკვალევს? რა უკეთესი რამ გვიჩვენეს მათ კანონიერებისა და მართლწესრიგის დარგში, ვიდრე წინათ იყო? განა ორივე ერთად — დანგრევის დამწყები და დამამთავრებელი (ორივე უნიათო როგორც შენების ისე ნგრევის საქმეშიც) — ფარული მიზნის, ზრახვის და სწრაფვის პო-

ლიტიკურ ფილისტერებად, რენეგატებად და რევიზიონისტებად არ გვეელინება?[1]

სტალინი და სტალინიზმი ხრუშჩოვისა და გორბაჩოვისათვის ადამიანებზე, საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ის ხელსაყრელი, ფართო ფოჩებიანი ქოლგა იყო, რომლითაც, ერთის მხრივ, საიმედოდ იცავდნენ თავს ქვეყნის მართვის უ უ ნ ა რ ო ბ ი ს გამო ოპოზიციონერთა თავდასხმებისგან, ხოლო, მეორეს მხრივ, მის ჩრდილს შეფარებულნი ადვილად ახერხებდნენ ტყუილ-მართლის ერთმანეთში აზელვით ახალგაზრდა თაობების აზრის და გონების მოწამლვას, მამებისა და შვილების გადაკიდებას, ზნეობრივ ღირებულებათა თანდათანობით გაქრობის გზით ამორალიზმისა და ატავიზმის აღზევებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი იწრთობოდნენ წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი ვერაგობასა და ცბიერებაში.

ასეთია, ჩემი თვალთახედვით, განვლილი მწარე სინამდვილის ძირითადი ზოგადპოლიტიკური ასპექტები. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან?

1. ლენინიდან გორბაჩოვამდე ყოფილი სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის მმართველობის სისტემა ერთადერთი უნიკალური **უსისტემო სისტემა** იყო მსოფლიოს უკიდეგანო სამყაროში. უსისტემობა მდგომარეობდა მის არათანმიმდევრულობაში, უნიკალურობა — გამძლეობაში. თუ გამძლეობის კრიტერიუმად ცოცხალ ორგანიზმის ძალაკობრივ განსაზღვრებას მივიღებთ, მაშინ სამოცდაცამეტი წელი არ გამოდგება სისტემის უნიკალურობის ბარომეტრად.

2. ამიტომ აქედანვე უნდა გაიმიჯნოს უნიკალური — უნიტაზისაგან, წინაკარი — უკანასკნელისაგან, პროლოგი — ფინალისაგან. მათი ერთმანეთში გათქვეფა ისეთივე დომხალია ისტორიისათვის, როგორი სასაცილოც და კურიოზულიც იყო ლენინური კურსის ტრაფარეტუ-

[1] სწორედ ამ უმწვავეს კრიზისულ მომენტამდე გამოიჩინა ედუარდ შევარდნაძემ დიდი გონიერება კრემლის ინტრიგებიდან თავის დასაღწევად, რამაც შესაძლებლობა მისცა დაბრუნებოდა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მშობლიურ მხარეს და მხარში ამოდგომოდა დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. მის დროს, მოკლე ხანში, საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო დიპლომატიაში, ერთგვარი დაჩქარების თვალსაზრისით, „პროტექციონიზმის“ ეს აქტი კიდევ უფრო მეტად ზრდის მისივე პასუხისმგებლობას მწვავე კონფლიქტური სიტუაციების ალყებს შორის მოქცეული ქართველი ხალხის წინაშე.

ლად მორგება ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ჩერნენკოს და გორბაჩოვის თანამდებობრივ ხამუტებზე.

3. ისინი მეტ-ნაკლებად უფრო ხრწნიდნენ, ვიდრე მატებდნენ რაიმეს მმართველობის მზამზარეულად ბოძებულ სისტემას, უფრო ალპობდნენ, ვიდრე აჯანსაღებდნენ, უფრო და უფრო ინტენსიურად ანგრევდნენ მის საძირკვლებს, კედლებს და ჭონგურებს, ვიდრე ზრდიდნენ და განამტკიცებდნენ. „მე ოცდათხუთმეტი წელიწადი ვსწავლობდი საბჭოთა ეკონომიკას და მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარი თვალებით ვხედავდი, როგორ ნადგურდებოდა იგი... ინფრასტრუქტურების და სარემონტო ხარჯების სისტემატური შემცირების შედეგად ფიზიკურად მწყობრიდან გამოდიოდა ტრანსპორტი, სათბობი სისტემა, მეტალურგიული აგრეგატები“ (ო. ლაცისი, გაზეთი „იზვესტია“, 1991, № 100).

4. მაშასადამე, კომუნისტური პარტიის მმართველობის ისტორია მისი ხელმძღვანელი ბირთვის გამოცდის, წინასა და მომდევნოს შორის მემკვიდრეობით კავშირის, თუ არაკავშირის, ისტორიაც არის.

5. აქედან გამომდინარე, უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან მმართველობის საძირკვლების ჩამყრელ-ჩამბეტონებელი (ლენინი), მასზე დიდი რწმენის და დიდი იმედის, უზარმაზარი სახელმწიფოებრივი წყობილების დამშენებელი, მართლაც საშიში, უძლეველი იმპერიის შემქმნელი (სტალინი), შემდეგში ყოველივესი და ყველაფრის გამპარტახებლებისა და გამჩანაგებლებისგან. ასეთი თვალსაზრისი და მიდგომა ადრინდელი სოფლური ცხოვრების ადათ-წესშიც იდო. მუდამ პატივით იხსენიებოდა კარგი, ლამაზი, მდიდარი სახლ-კარის დამტოვებელი წინაპარი, აუგად კი — კერიის უღირსი გამგრძელებელი.

6. ამ ღვთისნიერი ტრადიციის პოზიციებიდან უკანასკნელად კიდევ ერთხელ შევხედოთ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის მმართველობის სისტემის ნანგრევებს, რომლებსაც არც აღდგენა, არც შეკოწიწება და არც ფასადებზე აბრების გამოცვლა ამიერიდან არაფერს უშველის. არც პარაკლისს გადაუხდის ვინმე ქვეყნის სამასხარაოდ თავისი არსებობის სამარცხვინოდ დასრულებისათვის. 37-ის ტრაგიკულ ამბებზე ორმოცწლიან პერმანენტულ ფსიქიკურ დაწოლას გარდუვალად უნდა მოჰყოლოდა ტაკიმასხრული ასეთი შედეგი და საკვირველად ლოგიკურად მოჰყვა კიდეც.

7. მაგრამ იმავე ორმოცი წლის მანძილზე ანტიპოდური ლოგი-

კურობით და გარდუვალობით კიდევ უფრო მონუმენტურად წარმოისახა სტალინის ფიგურა. იგი განდიდდა, გაიზარდა და ამაღლდა პროგრესულად მოაზროვნე ისეთი გამოჩენილი ადამიანების, მხედართმთავრების, მწერლების და მეცნიერების მიერ როგორებიც იყვნენ და არიან: უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ რუზველტი, ეიზენჰაუერი, ლიონ ფოიხტვანგერი, ანრი ბარბიუსი, ჩარლზ სნოუ, ალექს დე ჯონდი, ადამ ულანი, მილოვან ჯილასი, მაქსიმ გორკი, მიხეილ შოლოხოვი, ვლადიმერ უსპენსკი, გიორგი ჟუკოვი, ნიკოლოზ კუზნეცოვი, ალექსანდრე ვასილევსკი, ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე და მრავალი, მრავალი, მრავალი.

8. ამიტომ, მიუხედავად პირადი ვნებისა, პატივი მაქვს არა მხოლოდ დავეთანხმო ამ ადამიანთა ნააზრევს და ნაწინასწარმეტყველევს, არამედ გავბედო და დავსძინო კიდეც: დედამიწის ზურგზე საკაცობრიო, კერძოთ, ომგამოვლილთა შთამომავლების საპარაკლისო ხსოვნაში, ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად, მარადის დარჩება მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან საუკუნეთა უსასრულობაში სანათებლად მოვლენილი კაცი — ფოლადივით უდრეკი, კაცი — მითოლოგიურ გმირად გარდასახული, კაცი — მესია. და რომ მეამაყება: ეს კაცი იყო ქართველი, გორელი უღარიბესი მეწაღის შვილი, იოსებ ჯუღაშვილი.

ბარათი მეოთხე

მივიღე თქვენი ბარათი ორი შეკითხვით: რა პირადი ვნება გახსოვთ იმ ჯალათისგან და რატომ საგანგებოდ უსვამთ ხაზს მის ქართველობას, იმას, რომ, სახელდობრ, მეწაღის შვილია, ისიც უღარიბესის და არა... ვნება მომეცით ბოლო კითხვიდან დავიწყო მცირე ექსკურსით. (რაც შეეხება ვნებას, იგი პუნქტებად მაქვს ჩამოთვლილი პირველივე ბარათის დასაწყისში).

1988 წლის 20 მაისს ჩვენი უნივერსიტეტის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭომ სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთად მეორე კორპუსის 87-ე, ე. წ. ქიმიის დიდ აუდიტორიაში შეხვედრა მოუწყო ცნობილ მეცნიერს და მწერალს, „უკარჩაშო ჰმლებს“ ტომეულების ავტორს, პროფესორ ლევან სანიკიძეს. მისი მოხსენების ძირითადი შინაარსი დემოკრატიის ცნების ეტიმოლოგიურ განმარ-

ტებას და მასთან მიმართებაში დიქტატორული რეჟიმის მოჰიკანის — სტალინის მძულვარებით დახასიათებაში გამოიხატებოდა.

იმ დროს რუსულ და ქართულ პრესაში სტალინის ლანძღვა-გინება ზენიტზე იყო ასული. რას არ აბრალებდნენ, რა ეპითეტებით არ ამკობდნენ, დაწყებული ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქებაში მონაწილეობის და მოსკოვის მალაზიების დახლებიდან სარეცხი ფხვნილისა თუ შაქრის გაქრობის ფაქტებამდე. მოდას ეყოლილი მეცნიერი, ეტყობოდა, იზიარებდა ამგვარ მონაჩმახებს და რამდენადმე მკვახედ რეაგირებდა აუდიტორიის რეპლიკებზე. მე მაშინ შეკითხვით მივმართე ბატონ ლევანს და უნებურად მოკლე სიტყვად გადამექცა. მისი მთავარი აზრი ასეთი იყო:

— თქვენ, — მივმართავდი მომხსენებელს, — მარჯვედ იყენებთ დიდ პიროვნებათა შეფასებისათვის შემუშავებულ საერთო სტანდარტებს, კრიტერიუმებს, მაგრამ რატომღაც გვერდს უვლით მას, როცა საკითხი ისტორიაში სტალინის როლისა და ადგილის გარკვევას შეეხება. ხომ არ გეპატარავებათ საზომის გამოსაყენებლად? ან ხომ არ გეჩვენებათ, რომ დიქტატურა, როგორც დემოკრატიის ანტიპოდი, სტალინის თვითმიზნური გამოგონებაა თავისი კარიერის, კულტის შესაქმნელად? ტოტალიტარიზმის თეორიული საფუძვლების ძებნა დაიწყეთ ჯერ მარქსიდან, ენგელსიდან, ლენინიდან, უარყავით მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც დიქტატურის იდეოლოგია და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ ილაპარაკოთ სტალინზე, სტალინიზმის დანაშაულობებზე.

მაშინ ბატონმა ლევანმა თავის საბოლოო სიტყვაში პოლემიკა არ გამართა ჩემთან, გავიაზრებ და გავითვალისწინებო, თქვა მოკლედ და დარწმუნებული ვიყავი, რაღაც გარდატეხა მოხდებოდა მის მსოფლგაგებაში. მით უფრო, რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ა. ციპკოს წერილების თარგმანი სათაურით „სტალინიზმის სათავეები“, რომლებშიც გაშლილად, ღრმაფილოსოფიურად დასაბუთებული იყო ჩემ მიერ იმ დღეს გამოთქმული მოსაზრება (ამას შეხვედრაზე დამსწრე უნივერსიტეტის თანამშრომლების გარდა თვით სხდომის წამყვანი ვეტერანთა თავმჯდომარე და ესთეტიკური ფილოსოფიის სპეციალისტი, ბ. დობორჯგინიძეც დაადასტურებს, რომელიც ცხარედ და პრინციპული პოზიციებიდან ედავებოდა მომხსენებელს).

გარდატეხა მართლა მოხდა და თვალსაჩინოც. პროფ. ლევან სა-

ნიკიძე, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლა როცა „ქვეყანა თავზე ეცემაო“, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე (1992, 13 ივნისი), პოეტ ი. გრიშაშვილის გახმაურებული ლექსიდან ერთი სტრიქონის სათაურად გამოტანით — „მთელ ქვეყანას უყვარხარ“, თითქოს თავისიანე უსაზღვრო სიყვარულის გამოხატვით, წინადადებას აყენებს მოსკოვის წითელი მოედნიდან სტალინის ნეშტის გადმოსვენების შესახებ. ამ წინადადების პირველობის დასამტკიცებლად წერილის დაწერის თარიღსაც გვაუწყებს, იგი 9 მაისს დაუწერია, მისგან მოწოდებული „დიდი სამამულოს“ დასასრულის დღეს, ანუ მეორე მსოფლიო ომის 47-ე წლის მიწურულსო.

მოდი და ნუ მიესალმები პროფ. ლ. სანიკიძის ასეთ გულმოდგინე, ასთხმოცგრადუსოვან შემობრუნებას! და ამის შემდეგ მოდი და ნუ დაიცვეწყებ მის ადრინდელ ორმაგ თამაშს, ერთი მხრივ, ანტისტალინელთა წინა რიგებში მოსახვედრად, ხოლო, მეორეს მხრივ, „ხუთწლედის მატიანის“ პრემიის მოსაპოვებლად სტალინის წინამძღოლობით აშენებული სოციალისტური სისტემის მსახურზე, საგარეჯოს რაიკომის ყოფილ პირველ მდივანზე ქება-დიდებით აღსავსე ნარკვევის დაწერის და გამოქვეყნების ფაქტს. კონიუნქტურის წინააღმდეგ ბრძოლა კონიუნქტურისადმი ერთგულების გამოცხადებით. — ასეთი იყო ორმაგი თამაშის ხასიათი. ყოველივე ეს ერთბაშად გააქარწყლა გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიამ. მაგრამ, ვთქვათდა, აღსრულდა ლ. სანიკიძის ნატერა-მოთხოვნა, რა პირით შეხვდება იგი გადმოსვენებულის ნეშტს?

ეს პატარა შესავალი იმიტომ წარუმძღვარე თქვენდამი პასუხს, რომ გაცნობოთ ჩემი გაოცება-გაკვირვებასთან ერთად ის გულისწყრომაც, რომელიც გამოიწვია მის მიერ 1989 წელს ორმოცი ათასი ტირაჟით გამოცემულ სოლიდურ წიგნში „მესამე დასის საქართველოში“ წაკითხულმა საქილიკაო სტრიქონებმა:

„სოსოს დაბადებიდან შვიდი წლის თაეზე, — წერს იგი, — ბესო ჯუღაშვილმა ოჯახი მიატოვა, თბილისში გადასახლდა და ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკაში მოეწყო დაჭირავებულ ხელოსანმეჩექმედ... პროვინციული ქალაქიდან დედაქალაქში გადასახლების მთავარი მიზეზი, უეჭველად, ეკონომიკური სიდუხჭირე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასევე არანაკლები (შეიძლება მეტიც) როლი უნდა ეთამაშა გორის მეშჩანურ წრეებში ფართოდ და დაუინებით მოწრიალე ჭორს: ვითომც, კეკე ქმარს ღალატობდა და ადგილობრივ აზ-

ნაურ იაკობ ეგნატაშვილთან (რომელთანაც ის მრეცხავად მუშაობდა) აკრძალული რომანი ჰქონდა. და იმ დროიდან აყოლილი ეს ჰორი სამარადჟამოდ, სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდგომაც, განუშორებლად აეკიდება ჯუღაშვილ-სტალინს: თითქოს იგი ეგნატაშვილის ნაშიერი ყოფილიყოს და არა ჯუღაშვილისა. შემდგომში იმასაც დაბეჯითებით იტყვიან, რომ ეგნატაშვილი გადასახლებაში მყოფ „თავის სოსოს“ სისტემატურად ფულსაც უგზავნიდა“ (გვ. 177).

როგორ! სერიოზული მეცნიერის სერიოზული ნაშრომი ჰორის დონეზე?! თუ საგაზეთო სტატიის მინაწერში მკითხველებს მოძღვრავს — „ისტორიას ისტერიკებთან არაფერი ესაქმებაო“, დავიჯეროთ, ჰორიკანობასთან, ანეკდოტურ ბილწსიტყვაობასთან ესაქმება?! რომელი ცანცარა ჟურნალისტი ლ. სანიკიძე ბრძანდებოდა, რომ, საგაზეთო სენსაციურობის მიბაძვით, თავის სქელტანიან წიგნში ასე დაწვრილებით, დაჟინებით, გამკილავად და შეურაცხმყოფელად გადმოეცა „გორის მეშჩანურ წრეებში“ მე-19 საუკუნის 80-იან წლებიდან აგორებული მითქმა-მოთქმის ამბავი? ვის სჭირდებოდა ან რისთვის საუკუნის წინანდელის კვლავ რესტავრირება უფრო გაფართოებულად და შხამ-გესლად? რა იურიდიული დოკუმენტებით შეუძლია წიგნის ავტორს თავი იმართლოს სინდისის სასამართლოს წინაშე ასეთი უხამსობისათვის? განა სტალინის სამეცნიერო-ბიოგრაფიულ ნარკვევებში, ი. ჯავახიშვილის, თვით სტალინის დაუძინებელი მტრის, ტროცკის შრომებში არის სადმე რაიმე მინიშნება ამაზე? პაპულია ორჯონიკიძის და ზოგიერთ სხვა ქართველ უსაქმურთა და მოშურნეთა ლაზღანდარობის დონემდე უნდა ეშვებოდეს, თუ მისგან შორს იდგეს თანამედროვე ისტორიოგრაფია, ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევის მეცნიერი-ავტორი?

არა, ასეთი ავტორის ქომაგობა, მიუხედავად ნარკვევის სხვა ადგილას ირონიზებული შესხმითი აზრებისა, არ შეიძლება გულწრფელი იყოს.

აი, რატომ ვუსვამ საგანგებოდ ხაზს ი. სტალინის არა მხოლოდ ქართველობას, არამედ მის წარმომავლობას დაბალი უღარიბესი წრიდან, მეწაღის შვილობას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში 1917 წლის ოქტომბრის დროიდან მოსულ არც ერთ ბოლშევიკს არც რუსეთში და არც საქართველოში არ ჰქონდა ასეთი სუფთა პროლეტარული გენეტიკა. ტროცკი ხერსონის გუბერნიის უმდიდრესი კოლონისტის შვილი იყო, ი. სვერდლოვი — საგრავი-

ორო სახელოსნოს მფლობელის, ა. რიკოვი — ნოქრის (თვითონაც ნოქარი იყო), გ. ზინოვიევი — ნოეომირგოროდის რძის ფერმის პატრონის, ლ. კამენევი — ვაჭრის (თვითონაც ვაჭარი იყო), ნ. ბუხარინი — მასწავლებლის, ს. ორჯონიკიძე — აზნაურის, ფ. მახარაძე — მღვდლის, მ. ორახელაშვილი — შეძლებული ფენის და ა. შ. (ლენინი ხომ ყველამ იცის რა ოჯახიდან იყო).

ამიტომაც ჰპოვა პროლეტარულმა იდეოლოგიამ სტალინის არსებაში სისხლხორცეული საბუდარი, ამიტომაც იქცა თვით ეს არსება ამ იდეოლოგიის ურყევობის და ურღვევობის საწინდრად, მაშასადამე, მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე აგებული პროლეტარიატის დიქტატურის მედროშედ თუ მეწინამძღვრედ (თვით იდეოლოგია, დიქტატურა და მედროშეც ახლა მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაა). განზრახ, ჰორების მოშველიებით გამოაცალო მას ეს გენეტიკური საწყისი — ნიშნავს განზრახ, ერთსახოვნად ზემოთ ჩამოთვლილთა კატეგორიაში მოაქციო მათი აპოლოგეტების გულგასახარად, რათა გამართლება მოუნახონ თავიანთი მტკიცების მთავარ თეზისს: რუსეთის უბედურება აზიელი სტალინის დესპოტიზმშია. აი, ტროცკი, ბუხარინი, ზინოვიევი ან კამენევი რომ გამხდარიყვნენ ლენინის მემკვიდრენი, მაშინ... აქ მთელი აქცენტი ნაციონალურ ფაქტორზე, ფსიქიკის გაუხეშების მიზეზებზეა გადატანილი. ეს მოტივი ედო საფუძვლად ხრუშჩოვ-გორბაჩოვის „ჰიდილსაც“ და იგივე მოტივი ამოძრავებთ მათ მიმდევრებს დღესაც.

პერესტროიკის პერიოდში ხშირად გაისმოდა უცხოელი სოვეტოლოგების გაკვირვებითი შეკითხვები: თქვენში კიდევ არ დამყარდა სტალინთან ობიექტური დამოკიდებულება? ერთდა იმავეს განმეორება არ მოგწყინდათ? სულ უკან ხედვით წინ როდის წახვალთ? და არც მიდიოდა წინ საქმე. პოლიტიკურ მიმომხილველს და ჟურნალისტს ა. ოვჩარენკოს თავის წერილში „სამი მოგზაურობა აშშში“ (იხ. ჟურნალი „ნაშ სოვრემენიკ“, 1987, № 5) მოაქვს თანამედროვე ამერიკელ სოვეტოლოგთან, იმ ხანად სტალინზე გამოცემული წიგნის ავტორთან, ალექს დე ჯონდთან საუბრის ერთი ასეთი ჩანაწერი:

„რეპრესიებზე მეც ვლაპარაკობ მკვეთრად ჩემ წიგნში, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია შეგახსენოთ, ჯერ ერთი, იმის შესახებ, რომ არც საფრანგეთის რევოლუციას, არც ნაპოლეონს, არც სხვა ვინმეს ისტორიაში არ გაუკეთებია იმდენი რამ, რაც სტალინმა გააკეთა:

რუსეთი ხომ 1917 წლის შემდეგაც კარგა ხანს არ შეცვლილა. მან კი ნამდვილად გარდაქმნა იგი, დააყენა ისეთ გზაზე, რომელზედაც მის მერე ორმოცი წელიწადი მიდიოდა. მეორე, მე მიმაჩნია, რომ მის სახელთან არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა. სსრ კავშირში ჰიტლერის გამარჯვებით არათუ რუსები არ იქნებოდნენ, არ იქნებოდნენ არც ფრანგები, არც ინგლისელები, არც ამერიკელები. როგორც გენებოთ ისე გაიგეთ, მაგრამ ის გენიალურია კიდევ იმიტომ, რომ შესძლო მეორე მსოფლიო ომში თავის მოკავშირეებად გაეხადა ინგლისელებიც, ამერიკელებიც და ფრანგებიც. ყველაზე დიდ შეცდომას მაშინ უშვებენ, როცა ჰგონიათ, რომ პოლიტიკის აგება შეიძლება პირად ურთიერთობებზე. ამას ემყარებოდა ჩერჩილი იმ იმედით, რომ დარწმუნებული იყო, თუ ახლო გაიცნობდა სტალინს, უმალ თავის მორჩილად გაიხდიდა. სტალინმა კი აიძულა ჩერჩილიც და რუზველტიც გაჰყოლოდნენ მის მიერ განჭრეტილ გზას" (გვ. 157).

ასე ფასდება სტალინი მსოფლიო გლობალური მოვლენების სამზერდან სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუდგომლობისა და ისტორიზმის პრინციპების მომარჯვების საფუძველზე. ეს პრინციპები უცვლელად გამოიყენება ცივილიზებული ქვეყნების ისტორიოგრაფიაში, მაშასადამე, უნდა ვიყენებდეთ ჩვენთანაც. არავის აქვს უფლება სპიციგაო მოლიპულ „ველად" აქციოს ისინი, რომლის ზედაპირზე ნებიერად სრიალი, თითქოსდა, ყველასათვის ადვილად მისაღწევი სპორტული იმიჯი იყოს. აბა, სცადეთ და გააჭენეთ ყინულოვან ერცელ ბასეინზე პლაკატებით და ლოზუნგებით შეკაზმული დემოკრატიის ცხენი. კისერს მოიტეხთ!

ისტორიულ პიროვნებათა დამსახურების შეფასების საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმებიდან უპირველესთაგანია არა იმის მოთხოვნა, თუ რა ვერ გააკეთეს, რა არ მოუციათ მათ თანამედროვეობის ინტერესებთან შეფარდებით, არამედ ა ხ ლ ი ს, იმ უკ ე თ ე ს ი ს აღნუსხვა, ფიქსირება და კრისტალიზება, რაც დაგვიტოვეს თავიანთ წინამორბედებთან შედარებით. ლიტერატურისმცოდნეობაში დიდი ხანია გაზიარება ჰპოვა კ. იუნგის აზრებმა: „ხელოვანი უნდა განვსაჯოთ მხოლოდ მისი შემოქმედების მიხედვით და არა მისი პიროვნული ნატურის სისუსტით ან იმ პირადი კონფლიქტებით, რომლებიც სამწუხარო შედეგებს წარმოადგენენ იმისა, რომ ის არის ხელოვანი, შემოქმედი. ამ გაგებით, გოეთემ კი არ შექმნა „ფა-

უსტი", არამედ „ფაუსტის" სულიერმა კომპონენტებმა შექმნეს გოეთეს პიროვნება".

მართლაცდა, ბაირონის ბიოგრაფიიდან, მისი პიროვნული თვისებებიდან და ნიშნებიდან ისეთი შეუსაბამობებია მკვლევარების მიერ ზოგჯერ ამოკრეფილი და ამოტივტივებული (თუნდაც სამშობლოდან გადახვეწის ფაქტი უცნაურობებით აღსავსე ქცევებისა და მეამბოხური სულისკვეთებისათვის), ერთი შეხედვით, ანტიპატიურ პერსონად წარმოგვიდგება, მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ იგი შემოინახა მებრძოლი რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის სახელით არა ამ შტრიხებით, არამედ თავისი ბრწყინვალე შემოქმედების, პოეტური მარგალიტების შექმნის შედეგად, უკანა პლანზე გადასწია რა მისი ადამიანური ხასიათის სისუსტენი. ან ავიღოთ იტალიელი პოეტის, ლეოპარდის მაგალითი. იგი ხომ ფიზიკურად მახინჯი, კუზიანი იყო. მერედა, ამის გამო ვინ გადასცა ანათემას მისი პოეზია?

პეტრე პირველის — პეტრე დიდად წოდებულის სახელმწიფოებრივი მმართველობის პერიოდი უსასტიკესი დესპოტიზმის ხანად არის შეფასული რუსეთის ისტორიაში. ნევის ჭაობიან ნაპირებზე ახალი ევროპული ტიპის ქალაქის მშენებლობას მან მსხვერპლად სამ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შესწირა, ეკლესიებიდან ჩამოხსნა ზარები და ქვემეხებად გადაადნო, მაგრამ იმავე პროფ. ლ. სანიკიძის მართებული, ხატოვანად გამოთქმული აზრისა არ იყოს, „პეტრე პირველმა რუსეთი წუმპედან ამოათრია და ევროპას უკან მიადევნა. და ეს დიდი პროგრესი იყო" (იქვე, გვ. 176).

ცხადია, პროგრესი წინამორბედთან შედარებით. მეტ-ნაკლებად ასეა დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის და სხვა ჭართველ სახელმწიფო მოღვაწეთა შეფასების მაგალითებიდანაც.

სტალინმა ლენინისგან სამოქალაქო ომით დანგრეული რუსეთი ჩაიბარა. მიუხედავად ამისა, ლენინის ოთხწლიანი (1917—1922) მშფოთვარე, დაძაბული, ხანმოკლე ხანა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად, ხოლო თვით ლენინი ისტორიულ ფიგურად იქცა. ეს იყო რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სწრაფი მეტამორფოზის, რევოლუციური გადატრიალების შედეგად ახალი ტიპის სახელმწიფოებრივი წყობილების შექმნისათვის ბრძოლის საწყისი ეტაპი, როცა ხდებოდა მისი მხოლოდ საძირკვლის ჩაყრა და გამაგრება. გარეშე (ანტანტის ქვეყნების) და შიდა თეთრგვარდიელ

ძალებზე დაუნდობელი ძალადობით მოპოვებულმა გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა მთავარი მონაპოვრის — საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება. ძალადობა ძალადობად დარჩა, ხოლო ამ მთავარი მონაპოვრით ლენინის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის სახელს, ეერავითარი ჭარიშხალი ვერ წალეკავს ისტორიის „უდაბნოდან“.

ამაში გადამწყვეტი როლი სტალინს მიუძღვის, როგორც ლენინის ღირსეულ მემკვიდრეს. ეს ლენინისთვის ბედნიერება იყო (აბა, ბედად ხრუშჩოვს რგებოდა ან ემიგრაციიდან რომელიმე თანამოაზრეს. რუსეთის დიდი უბედურება მაშინ უნდა გენახათ!). ამას ახლა საღად მოაზროვნე ყოველი რუსი გრძნობს და მომავალში უფრო მწვავედ და მტკივნეულად შეიგრძნობენ. (უნებურად მაგონდება მეორე ნაწილში ნახსენები მოსკოველი ინტელიგენტის დიმიტრი ვიკულინის 50-იან წლებში გამონათქვამი სტალინზე: ჩვენი სახელმწიფო მაშინ დაინგრევა, როცა არ ეყოლება ასეთი ხელმძღვანელიო).

სტალინი ლენინის მემკვიდრედ მისი ანდერძით არ გამხდარა. იგი 1922 წელს ყრილობამ აირჩია გენერალურ მდივნად. ლენინის მოთხოვნით მალე უნდა გადაეყენებინათ. XIII ყრილობაზე წაკითხულ იქნა მისი წერილი, ე. წ. „ანდერძი“, რომელშიც სტალინი დახასიათებული იყო, როგორც უხეში. ყრილობაზე სტალინმა ამ საკითხზე მოკლე განცხადება გააკეთა: — ილიჩი მართალია, — ამბობდა ის, — მე ნამდვილად უხეში ვარ, მაგრამ გააჩნია ვის მიმართ. მე უხეში ვარ მუშების, გლეხების, სოციალიზმის მტრების მიმართ და ასეთად დავრჩები ბოლომდე. ყრილობამ, ლენინის სურვილის საწინააღმდეგოდ, სტალინი ისევ აირჩია გენერალურ მდივნად. ამასთან დაკავშირებით მწერალ ი. იდაშკინს მოაქვს მოლოტოვთან ინტერვიუდან საყურადღებო დეტალი:

„მენჟინსკი, რომელსაც თქვენ ყველა ბოლშევიკობის და ჩეკისტობის ეტალონად თელით, შემხვდა ოციანი წლების ბოლოს, გამაჩერა და მითხრა: როგორ ვცდებოდი თურმე, როცა სწორად მიმაჩნდა ლენინის გაფრთხილება სტალინზე. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ლენინი სწორი არ იყო. სტალინი დიდებული გენსეკი გამოდგა“ (გაზეთი „ლიტერატურნაია როსია“, 1988, № 29).

ყოველივე ეს მოხდა მას შემდეგ, რაც არათუ ნ. კრუპსკაიას გაუბედა სტალინმა ლენინის ჯანმრთელობის დაცვისათვის შენიშვნის მიცემა, რასაც მოყვა ზემოთაღნიშნული „ანდერძი“ (წინა პირველივე წერილში დოკუმენტურად ცხადვყავი, რომ ლენინს არ შეეძლო

არაეითარი ანდერძის არც კარნახი და არც დაწერა — ა. თ.), არამედ უფრო ადრე, ლენინის კარგად ყოფნის დროს, თვით მის მითითებებშიც შეჰქონდა შესწორებები. ეს ფაქტი ხელზე დაიხეიეს ამ ოთხიოდე წლის წინათ და იქამდე მიეიდნენ, სტალინს ბრალად დასდეს ლენინის აბუჩად აგდება. რას ეხებოდა მითითება?

ლენინი 1921 წელს ქვეყანაში შიმშილობის დასაძლევად გორკადან ტელეფონოგრამით დავალებას აძლევდა სტალინს ლონდონში ელჩად დანიშნულ ლევ კრასინისათვის მისი სახელით დეპეშა გაეგზავნა ასეთი შინაარსით: „კრასინ, თუ სასწრაფოდ არ უზრუნველყოფთ ინგლისიდან 15.000 ტონა მარცელეულის რუსეთში შემოტანას, თქვენ დახვრეტილი იქნებით ლენინი". ეს დეპეშა სტალინმა კრასინს გაუგზავნა შეცვლილი ტექსტით: „კრასინს, გეევალებათ სასწრაფოდ უზრუნველყოთ 15.000 ტონა მარცვლეულის შემოტანა რუსეთში წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მიმართ მიღებული იქნება უმკაცრესი ზომები". როგორ გაუბედაო ეს ლენინს. — გაჰკიოდნენ თანამედროვე მოსკოველი „ლენინელები".

პარადოქსად მოგეჩვენებათ, მაგრამ დოკუმენტურად დამტკიცებულია და ბარემ აქვე შევნიშნავ, ბევრი ეცადნენ, ეძებეს, მაინც ვერსად მიაგნეს სტალინის რეზოლუციას ვინმეს დახვრეტაზე. ერთადერთი შემთხვევა, რაშიაც გადაუხვია ლენინის პრაქტიკაში დამკვიდრებულ პათოლოგიურ ხაზს სტალინმა, ეს არის რეპრესიებისადმი სიფრთხილე, პირადი წერილობითი განკარგულების, ერთპიროვნული გადაწყვეტილებისგან ყოველთვის განზე გადგომა, პოლიტბიუროს, კომისიების, ცეკას პლენუმების, კოლექტიური პასუხისმგებლობის ისეთი მექანიზმის შემუშავება, რაც ვარაუდით ააცილებდა „ჭუჭყით და სისხლით შეესვარა თავისი სახელი" (ვლ. უსპენსკი). შორს გამიზნული ეს ვარაუდი, რა თქმა უნდა, არ ათავისუფლებდა შეცდომებისგან, რასაც არც თვითონ უარყოფდა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ, 20-იან წლებში, შინაპარტიული ფრაქციული ბრძოლები მწვავე დისკუსიების ფორმით მიმდინარეობდა და ტროცკიზმის, მემარჯვენე-მემარცხენე დაჯგუფებათა იდეური განადგურება დემოკრატიული პრინციპებით მოხდა. მდგომარეობა გართულდა კიროვის მკვლელობის, ფაშისტური გერმანიიდან თავდასხმის საშიშროების გაძლიერების, საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის და ტერორისტულ-დივერსიული აქტების გახშირების შედეგად, რამაც განაპირობა 1937 წლის აუცილებლობა, დამნაშა-

ვეებთან ერთად უდანაშაულოთა მსხვერპლი. მრისხანება და სისასტიკე ამ დროს საზღვარს სცილდებოდა. მაგრამ ნამდვილ დამნაშავეთა დასჯის გარდუვალობაც გარდუვალი იყო დევიზით — „სისხლი სისხლის წილ“. მოვუსმინოთ 1937 წელს მოსკოვში გამართული სასამართლო პროცესების თვითმხილველს, მსოფლიო მასშტაბის ცნობილ მწერალს ლიონ ფოიხტვანგერს:

„ალბათ, არასოდეს დამავიწყდება მწერალი კარლ რადეკი... იგი ბარიერს ხან გაზეთს ურტყამდა, ხან ჩაის ჰიქას იღებდა ხელში, მაგრამ აგდებდა ლიმონის ნაჭერს, ურევდა კოვზით, პატარა ყლუპებით სვამდა ჩაის და თან შემზარავ საქმეებს ჰყვებოდა. მან ყოველგვარი მხატვრულობის გარეშე წარმოთქვა საბოლოო სიტყვა, რომელშიაც განმარტა, თუ რატომ აღიარებდა დანაშაულს... ასევე ძნელია დაივიწყო ინჟინერ სტროილოვის გულისამაჩუყებელი მონათხრობი იმაზე, თუ როგორ აღმოჩნდა ტროცკისტულ ორგანიზაციაში, როგორ წვალობდა მისგან თავის დაღწევას. ტროცკისტები კი, წარსულში მის მიერ ჩადენილი დანაშაულით სარგებლობდნენ და მტკიცედ ეჭირათ იგი ხელში... ასევე დაუვიწყარია რიბინის წვერიანი ებრაელი მეწაღე — დრობნისი, რომელიც აღიარებდა, რომ მის მიერ მოწყობილმა აფეთქებებმა არა მარტო მატერიალური ზარალი გამოიწვიეს საწარმოებში, არამედ მუშებიც შეიწირა. შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე ინჟინერმა ნორკინმა, რომელმაც თავის ბოლო სიტყვაში დასწყევლა ტროცკი, მასზე ამოანთხია თავისი უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი... ყველანი — მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები — ყოველთვის ლაპარაკობდნენ მშვიდად, პათოსის გარეშე, ხმის აუწევლად“ (მოსკოვი, 1937, ქართულ ენაზე, გვ. 100-101).

ამ ამონაწერიდან მთავარია დავინახოთ 30-იან წლებში ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაციების გააქტიურების, მათი ფართო ქსელის არსებობის, მათში სულმოკლე ადამიანების ჩაბმის ფაქტები და ხერხები. მეორეს მხრივ, იგი სასამართლო პროცესის ნორმალურად, თითქოს ეგზოტიკურადაც წარმართვის მაჩვენებელია (ბრალდებული ლიმონიანი ჩაის ჰიქით ხელში) და, მესამეს მხრივ, ჩემი მეხსიერების ერთგვარი სასინჯი ქვაცაა. პირველ ნაწილში, სოფლის სურათებს რომ აღვწერდი, ერთგან 1934 წელს ორ გურულ სიძესთან საუბრის ეპიზოდი მაქვს მოტანილი. მაშინ ლანჩხუთელი ილია ჩხაიძე ტროცკისტული ფარული ორგანიზაციების ამოქ-

ნედებას მტკიცედ აკავშირებდა ჰიტლერის წიგნის — „ჩემი ბრძოლა“ გამოქვეყნებასთან და საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში ზურგიდან მეხუთე კოლონის დარტყმას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ბოლშევიკების დამარცხებისათვის. საიდან იცოდა მან იმავე 1934 წელს გერმანიაში ჰიტლერის წიგნის გამოცემის ამბავი, თუ კავშირურთიერთობის საიდუმლო ქსელი არ იყო შექმნილი? რატომ არ შეეხო მას პოლიტიკური იზოლირება?

აქედან, ისტორიულ სიმართლეს მოკლებულია მტკიცება, თითქოს არ დარჩენილიყოს ოჯახი, რომლის თავზე არ გადაევლოს რეპრესიის ღრუბლებს. ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები თავისთავად უარყოფენ ამას, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ: არათუ ჩემს, არამედ ჩვენს საერთო, ფართო ნათესაურ წრეში ლანჩხუთსა, სენაკსა, აბაშასა და ფოთში არავის შეხებია იგი, არ შეხებია სოფლიდან 1924 წელს გახიზნულ, მენშევიკური ამბოხების ხელმძღვანელს შალვა იოსელიანსაც კი. რაიმე ნივთიერი მტკიცების საფუძველი რომ ჰქონოდათ, 1937 წელი არ უნდა აცდენოდა ჩემს ლანჩხუთელ სიძეს, დის ქმარს — როსტომ ჟორდანიას, ნოე ჟორდანიას შორებელ ნათესავს, შუხუთის კოლმეურნეობის წევრს, მაგრამ არავის ხელი არ უხლია მისთვის.

მოგონების პირველ ნაწილში ნახსენები, სოფელში ლაყბობისათვის ერთადერთი დაპატიმრებული ბუხუტი ცხვიტარია მე შემხვდა 1953 წელს მამის დასაფლავების დღეებში და თავისი ჩვეული ხუმრობით ამიხსნა მიზეზი: — სიცოცხლეს ვუმწარებდი დაცინვით თანასოფლელ თემკომის მდივანს. მან დამაბეზღა, მაგრამ ეს კი არ დამიდევს საფუძვლად. 1937 წელს წყალდიდობა იყო ჩვენთან, ჩემი ბრიგადის სიმინდის ყანა წალეკა წყალმა. მე მაშინ კოლმეურნეობის ყანის აღდგენაზე არ ვზრუნავდი, ჩემს საოჯახო საქმეს ვაკეთებდი და ეს დამედო ბრალად. ვაღიარე ჩემი დანაშაული და სამ წელიწადში გამომიშვეს.

აქედან, ისტორიულ სინამდვილეს მოკლებულია მეორე მტკიცებაც საერთოდ რეპრესიის უსაფუძვლობაზე, მისი ხელოვნურად გამოგონების, განზრახ მოწყობის, ხალხის დაშინების თაობაზე. ახლა საბოლოოდ, დღევანდელ სიტუაციებს რომ ეკვირდები, ღრმად ვარ დარწმუნებული, ამ მძიმე, რთული, ტრაგიკული ოპერაციის ჩატარების გარეშე ომში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. გენერალ ვლასოვის ღალატის ფაქტის გარდა ამას ადასტურებს ოურისტ დურ-

მიშხან ლორიას ნაამბობიც. იგი 1958 წელს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში მუშაობდა და უშუალოდ მონაწილეობდა რეაბილიტაციის საქმეთა განხილვაში. „ჩვენთან გამოძახებით გეწვია ყოფილი რეპრესირებული, საქართველოს სახალხო არტისტი გრიგოლ კოსტავა. კომისიის თავმჯდომარემ გადასცა სრული რეაბილიტაციის დოკუმენტი და მიულოცა სამართლიანობის აღდგენა. გრიგოლ კოსტავამ ხელი არ მოკიდა დოკუმენტს, იგი უკან დაგვიბრუნა და გვითხრა: თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ, სულელად გამოგყავართ. ათი წელი სწორად მქონდა მოსჯილი. ვიყავი ტროცკისტულ ორგანიზაციაში და ახლაც ვამაყობ იმით, რომ ვებრძოდი არსებულ ხელისუფლებას. დატოვა ეს სიტყვა და ოთახიდან ნაწყენი გავიდა გამოძახებისათვის“. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

რატომ მომაქვს ასეთი, ერთი შეხედვით, ბანალური მაგალითები? პრესაში, ტელევიზიაში წარმოსახავდნენ და ახლაც წარმოსახავენ სტალინს, თითქოს, სიტყვის ადეკვატური მნიშვნელობით ნამდვილი ჯალათი ყოფილიყოს. თოფი ეკავა ხელში, მეტი საქმე არაფერი ჰქონდა, თვითონ თავისი ხელით ხვრეტდა ქუჩებში მილიონობით ხალხს. მოსკოველმა ერთმა ყოფილმა პროკურორმა შეხვედრა ასამართლოში უჩივლა მწერალ ა. ადამოვიჩს თავის ნაწარმოებში სტალინის მიმართ სიტყვა „დამნაშავის“ ხმარებისათვის. რაიონული სასამართლოდან საქმე საოლქოში გადავიდა. იურიდიული კანონების მომარჯვებით მან დაუმტკიცა ადამოვიჩს და მის თანადამცველებს ისტორიკოს პოლიკარპოვს და სხვას დანაშაული პიროვნების სახელის საჯაროდ შეურაცხყოფისათვის. პოლიკარპოვი იძულებული გახდა შეხვედრისათვის მუდარით მიემართა: ადამოვიჩს და ჩვენ რას გვერჩი, სიტყვა „დამნაშავე“ გორბაჩოვმა იხმარა, მას უჩივლეო (გორბაჩოვმა ხომ ხრუშჩოვიდან განიმეორა).

აი, სანამდე მიეიდა ფავაშვებულობა სიტყვიერი მასალის საკონტექსტოდ შერჩევა-განლაგების საქმეში. სიტყვის კულტურას ჟარგონული სითავხედე გადაეფარა. ნაწილობრივ ამგვარი მინიშნება თქვენი ბარათიდანაც გამოსჩვიოდა. რა პირადი ვნება გახსოვთ იმ ჯალათისგანო. იქნებ თქვენ გინდოდათ გეთქვათ არა პირდაპირი გაგებით, არამედ... სიტყვა „ჯალათი“ საფრანგეთის რევოლუციიდან, გილიოტინის შემოღებიდან გახდა პოპულარული. დაქირავებული ჯალათები თავებს კვეთდნენ სპეციალური მანქანით სიკვდილმისჯი-

ლებს. რანაირად გინდათ წარმოიდგინოთ მათ როლში სტალინი? ვის მიერ დაჭირავებულად?

თუ დაუჯერებთ რეპრესირებულის შვილს, თვით რეპრესირებულ ა. ანტონოვ-ოვსეენკოს, იგი თურმე სტალინზე „გაბოროტებით“ ცდილობს ილაპარაკოს „სიმართლეზე“. მაგრამ გაბოროტებული გული ვერასოდეს დადგება სიმართლის კვარცხლბეკზე. მას სიმართლის გული ჩამოაგდებს. და მართლაც, ანტონოვ-ოვსეენკოს, მისივე აღიარებით, განუდგა უფროსი და-ძმა: „სწორი ქნეს, მაშა რომ დახვრიტეს, იგი ტროცკისტი იყოო“ („საქართველოს პროფკავშირები“, 1989, № 9, გვ. 18). სიმართლე ხომ უმრავლესობის მხარეზე უნდა იყოს.

სტალინის ყველაზე დიდი, აქამდე მიფუჩეჩებული (როგორც ჭეშმოთ დაინახავთ, მიფუჩეჩება აწყობდათ, ვინაიდან მათაც სჭირდებოდათ იდეოლოგიურ საყრდენად) დანაშაული (თუ ამას დანაშაული შეიძლება ეწოდოს) უნდა ეძიოთ არა კრიმინალისტიკაში, არამედ ცნობიერების სფეროში. ანტიკური დროიდან იდეალური სამართლებრივი სახელმწიფო არასოდეს შექმნილა. ამავე დროიდანვე იურისპრუდენცია არც ერთ სახელმწიფოში არასოდეს მისულა სრულყოფადობის ზღვრამდე. იგი ვერც ვერასოდეს მიაღწევს ამ ზღვარს, რადგან სანამ ადამიანთა საზოგადოება იარსებებს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ მუდამ აუცილებელი გახდება ცვლილებების შეტანა ამ ცხოვრების მარეგულირებელ კანონებსა და კოდექსებში. მაშასადამე, მუდმივი ცვალებადობა მუდმივ უკმარისობას წარმოშობს, მუდმივი უკმარისობა — მუდმივ უკმაყოფილებას.

მართლმსაჯულების ისეთ თანამედროვე კლასიკურ ქვეყანაშიც კი, როგორადაც ინგლისი გვესახება, ე. წ. „გილფორდის ოთხეულის“ საქმე, „კომსომოლსკაია პრავდის“ 1988 წლის 1 და 2 ოქტომბრის ნომრებში მოთავსებული ი. საგაიდაკის მამხილებელი წერილის მიხედვით, საუკუნის სენსაციად ითვლება. ოთხი უდანაშაულო ადამიანი თოთხმეტი წელიწადი იტანჯება თურმე ციხის საკნებში სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილების გამო. აქედან სამს მისჯილი აქვს მუდმივი პატიმრობა სწორედ გილფორდში 1974 წელს ტერორისტული აქტების მოწყობისათვის.

ამ წელს აფეთქებები ზედიზედ მოხდა ხიტროუს აეროდრომზე, ტიუსოს მუზეუმთან, ლონდონთან ახლოს, რამაც აღაშფოთა საზო-

გადოება. ხელისუფლება შეეცადა მათ დასამშვიდებლად პოლიციის და სასამართლოს მეშვეობით მიეღოთ გადამჭრელი ზომები. ასე მოხვდნენ ციხეში სრულიად უდანაშაულონი, რომლებიც ფიზიკური ზემოქმედებით აიძულეს ელიარებინათ ფაქტი. რამდენიმე ხნის შემდეგ სხვა ტერორისტულმა ორგანიზაციამ გამოაცხადა მისი უშუალო მონაწილეობა გილფორდის აფეთქებებში. მაგრამ ინგლისის ხელისუფლებას, კორესპონდენტის ცნობით, დღემდე არ მოუხდენია „გილფორდის საქმის" გადასინჯვა. სასამართლო მექანიზმის პრესტიჟის, კანონის უზენაესობის კომპრომეტირებას, ე. ი. კონსერვატიზმს უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან. იქ ხომ პიროვნების კულტის რაიმე ლანდი არ ადგა კანონთა თემიდას?

ასეთია სახელმწიფოთა ისტორიაში კრიმინალურ მოვლენებსა და იურისპრუდენციულ პროცესებს შორის ურთიერთმიმართების მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი ნიშნები, რომლებსაც აწ უკვე გარდაცვლილი, არა, ზემოდან გაუქმებული, თვით სახელმწიფოთა ისტორიაში გაუგონარი ხერხებით დამხობილი ჩვენი ყოფილი სახელმწიფოც განასახიერებდა. იგი დაემხო არა სახალხო აჯანყებების (როგორც რუმინეთში), ქვემოდან დაძრული პროტესტანტული მოძრაობის მძლავრი აზვირთების ნიადაგზე, არამედ პრეზიდენტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გადაწყვეტილებით, რელიგიური თეითგვემის, თვითლიკვიდირების სახით. (ასეთი სურათი აღწერილი მაქვს მოგონების მეორე ნაწილში მათხოჯის დედათა მონასტრის მაგალითზე). იყო და არა იყოს ზღაპარივით საოცარზე საოცარი, მხოლოდ რუსეთის შორეული წარსულის უმგვანობის მსგავსი რამ მოხდა.

თავისი მართლწესრიგის ატრიბუტებით (მილიცია, სასამართლო, ჯარი, კონსტიტუცია) ყოფილი სახელმწიფოც სხვა სახელმწიფოებს ემსგავსებოდა, თავისი წყობით, მმართველობის სისტემით და იდეოლოგიით კი წარმოადგენდა დედამიწაზე, მსოფლიოს გეოგრაფიულ რუქაზე სრულიად ახალ, უნიკალურ, სიცოცხლით და წიაღისეული სიმდიდრით სავსე ისეთ კუნძულს, რომელსაც არ ჰყავდა წინაპარი, არ გააჩნდა არავითარი სტრუქტურული მონახაზი, არ ჰქონდა ტრადიცია. ყველაფერი არარაობიდან, ნულოვანი ნომინალიდან უნდა დაწყებულიყო.

ლენინის ოთხწლიანი ეტაპი საძირკვლის ჩაყრიდან არ შეიძლებოდა სამოქალაქო ომის პირობებში ქცეულიყო ახალი ტიპის სა-

ხელმწიფოს შენების ეტაპად. იგი სსრ კავშირის შექმნის, ამ კავშირში რესპუბლიკების გაერთიანების პროცესიდან ითვლიდა თავის განსხვავებულ, გარე სამყაროსგან იზოლირებულ, საკუთარ ძალებსა და ორგანიზატორულ უნარზე დამყარებულ, დამოუკიდებელ და უჩვეულო ისტორიას.

ამ ისტორიის სტარტიდან — 1922 წლიდან 1953 წლამდე გასული სამი ათეული წელი ჩემი და ჩემი თაობის შეგნებული ცხოვრების ეარდყვავილოვანი და ეკალბარდოვანი, გამორჩეული და თავისებური დიადი პანორამაა. იგი მრავალნაირი სიუჟეტებით მდიდარი, დაუსტამბავი, აუკინძავი წიგნია.

წიგნი — ალსავსე მღელვარე, დაუვიწყარი, წარუშლელი ფურცლებით; წიგნი — სასწაულების კოლექცია; წიგნი — გრანდიოზული გარდაქმნების მატიანე; წიგნი — თომას მორის „უტოპიიდან“ ხუთასი წლის შემდეგ ამოფრქვეული მსოფლიოს საგამოფენო დარბაზების საგანძურად; წიგნი — მომავალი ხუთასი წლის საძიებელი, აღმოსაჩენი და აღმაფრენი ექსპონატი; წიგნი — ნაოცნებართა სინამდვილე: წიგნი — იდეათა იდეა; წიგნი — შეუძლებლის, განუხორციელებლის, მიუღწეველის მიღწევა, განხორციელება და შეძლებითობა: წიგნი — სიხარულის და წუხილის, მონოლითობის და უძლეველობის, ტრაგიკულის და ტრიუმფალურის; წიგნი — თვისებრივად მანამდე უცნობი შედეგის — ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ფეიერვერკებით განათებული და გაბრწყინებული.

ეს წიგნი იწერებოდა ჩემ თვალწინ, ჩემთან ერთად ჩაის გასაშენებლად გეიმრების თხრაში თუ კულტურულ რევოლუციაში მონაწილეობით. იგი რეზიუმეა ჩემივე მოგონებებში ბავშვობიდან 1953 წლამდე აღწერილი ჩემივე შემეცნებითი გზებისა. იგი იქმნებოდა მილიონობით ენთუზიასტის თაედადებული შრომით, ტანჯვა-ვაებით და გმირული ბრძოლით. რა ძალა რაზმავდა მათ?

აი, აქ მივადექით დანაშაულის სათავეს, ცნობიერებიდან ქვეცნობიერამდე გამდინარი, სისხლძარღვების გამჟღენთავი აზრის შთაგონების კერას. შთაგონება არა ფსიქიატრიული, სამკურნალო ჰიპნოზის ერთ-ერთი მონაცელე სახეობა, როგორც ფსიქიატრებს ჰგონიათ მართლა, არამედ შემოქმედებითი ენერგიის აღმძვრელი, ზემოქმედი და იმპულსური, გამაერთიანებელი და გამაძლიერებელი, ელექტროდენივით გადამდები ინდივიდებიდან მასებზე, ხალხიდან

ხალხებზე, მათი სულისკვეთების აღმგზნები, დამრაზმავი და დამპყრობელი.

ის რაც ლენინმა დირექტივებით წაართვა ხალხს — რელიგიის რწმენა, სტალინმა თითქოს დაუბრუნა ცივილიზებული ფორმით. გაჭაღარავებულ ევროპულ მარქსიზმს მან ოსტატურად მოარგო მის მიერ მწყობრ, ლოგიკურ სისტემად ჩამოყალიბებული, 1924 წლის 27 იანვრის სამგლოვიარო ფიციდან ახლადფეხადგმული რუსული ლენინიზმი, „ლენინიზმის საფუძვლები", შეაკავშირა ერთმანეთს ლინგვისტურად შეურყეველი კომპოზიტით და მარქსიზმ-ლენინიზმის ერთიანი მოძღვრების იდეოლოგიურ ქარგაზე ლენინის ხატება აიყვანა ზეციურ სიმაღლემდე, მისი პიროვნება აქცია სალოცავ კერპად, გამოაფინა საფიცარ დროშებად და წინ წარუმძღვარა რევოლუციის იდეებით გულანთებულ, შეუპოვარ ახალგაზრდობას, მილიონობით ხალხს.

ამ თაობათა მხრებზე გადავიდა ნეპის, რეკონსტრუქციის, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, დიდი სამამულო ომის, აღდგენითი სამუშაოების მთელი სიმძიმე თავის რეპრესიებით და დეპრესიებით, აღმშენებლობითი პათოსით და ენთუზიაზმით, ზრდისა და განვითარების რეკორდული სისწრაფით და ცხოვრების დონის აძაღლების თვალსაჩინო მაჩვენებლებით.

სახელმწიფოთა ეკონომიკური სიძლიერის სამი ძირითადი ნიშნის — შრომის ნაყოფიერების, ეროვნული შემოსავლის და წარმოების ტემპის მიხედვით საბჭოთა კავშირს 1939 წლისათვის მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი ადგილი ეკავა, ხოლო ომის შემდეგ, 1952 წელს, სამხედრო-სამრეწველო პოტენციალით და მატერიალური სიმდიდრით ამერიკასთან ერთად მეორე ზესახელმწიფო იყო. იგი გადაიზომა კარპატებიდან პორტარტურამდე, ბალტიისპირეთიდან — კურილის კუნძულებამდე, შავი ზღვიდან — ვლადივოსტოკამდე. 1950 წელს დოლარის შეფარდება საბჭოთა მანეთთან განისაზღვრებოდა 40 კაპიკით (გაზ. „იზვესტია", 1988, № 217).

მთელი იმ სამი ათეული წლის განმავლობაში თითქოს სიძნელეების დაძლევის, დაპირებების და იმედების შესრულების, ახალ-ახალი იდეალების ზღაპრულ ელდორადოში ვცხოვრობდით. ომის წინა ბოლო ორი და ომის შემდგომი რვა წელი ხომ სულ სხვა იყო. ქოხებიდან და მიწურებიდან ელექტრონათურებით განათებული აგურის და ხის ოდა სახლებში გადასული ადამიანები ვერ ფარავდნენ სო-

ციალური კეთილდღეობით აღძრულ კმაყოფილებას, მაგრამ ისინი ვერც სიხარბით მეტის მოხვეჭისკენ მიისწრაფოდნენ. მათი ცნობიერება საზოგადოებრიობისა და კერძოს ზომიერად შეხამების დაკანონებულ სტანდარტს შეგუებოდა, დისციპლინას, წესრიგს და მოთხოვნას შერიგებოდა და შეჩვეოდა. არც სიღარიბე, არც სიმდიდრე, რაღაც შუალედი, ყველასათვის ერთნაირად, თანასწორად საზიარო და ხელშესახები.

ყველა ღარიბს შეეძლო ალალი შრომით შეძლებულობისკენ ლტოლვა, ყოველ შეძლებულს გადაჭარბებით — არა. აქ მოქმედებდა საზოგადოებრივი აზრის უხილავი მექანიზმი — ბურჟუაზიულ გადმონაშთებთან ბრძოლა პურიტანული ცხოვრების თეორიით და მაგალითებით.

აი, ეს იყო აგვუსტ ბებელის „ქრისტიანობა და სოციალიზმის“, ჯონ ლოკის „სოციალიზმის“ და სხვა წიგნების ნაფიქრ-ნააზრევიდან მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად **სიტყვაძუნწის** და **საქმეუხვის** მიერ განხორციელებული სოციალიზმი. 50-100 წლის ჩამორჩენილობიდან ნახტომი საკაცობრიო, სამარადისო „მზისკენ“!

დოგმატურობის ჟანგისგან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის გადასარჩენად მის დამატებით 1938 წელს გამოქვეყნებული „ს.კ.კ.პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, რომლის შესწავლა პარტიელების გარდა სავალდებულო იყო საზოგადოების ყველა ფენისა და წრისათვის, ექვსპუნქტიანი დასკვნების განმაზოგადებელ დებულებად აცხადებდა: „მარქსისტულ-ლენინური თეორია დოგმა კი არ არის, არამედ სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის“.

ამით სტალინი ხელფეხს იხსნიდა შებოჭილობის აქამდე დადებული ბორკილებისგან, თავისუფლდებოდა მის მიერ დარგული ლენინიზმის რტოებგაშლილი ხის ჩრდილქვეშ ყოფნისგან და, ამიერიდან, როგორც დიდი თეორეტიკოსი და დიდი ორგანიზატორი, უშუალოდ უერთდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა რიგებს. ასე მივიღეთ ამ წიგნის გამოსვლიდან ორნაირი შეხამებანი ფართო და ვიწრო გაგებით:: „მარქსი-ენგელსი-ლენინი-სტალინი“ და „ლენინ-სტალინი“.

წიგნი — სატანა! წიგნი -- იდეოლოგიური რწმენის კიდევ უფრო გამღვივებელი, მასების მაორგანიზებელ და მამობილიზებელ ძალად გარდამქმნელი, ჩემი თაობის სულიერად და გონებრიებად ვითომდა ამამაღლებელი და ბოლოს — ყველაზე ბედშავად მიმტოვებელი და

საკუთარი კვალის გამჭრობელიც. ამ წიგნის პირდაპირი ნაყოფი იყო ის, რომ დიდი ხნის მიცვალებული ფეტიშის ადგილი ადამიანთა ცნობიერებაში ბუნებრივად დაიკავა ცოცხალმა ფეტიშმა. მოხდა გა-ოთხ-ებული და გა-ორ-ებული რწმენის კონკრეტიზება.

სტალინის სახელი ხალხურ შემეცნებაში განუყრელად დაუკავშირდა, ერთი მხრივ, ფორმალურობის თვალსაზრისით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა პლეადას, მეორეს მხრივ, პრაგმატიზმის პოზიციიდან, 1922 წლიდან ქვეყანაში მომხდარ სასწაულებრივ მოვლენებს, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნებს, ბაზისურ და ზედნაშენურ ფუნდამენტებს, კაცობრიობის ნაცნობარის პრაქტიკულ ხორცშესხმას, ომში გამარჯვებას, იდეიდან იდეის გზით აშენებული სოციალიზმის მსოფლიო-პოლიტიკურ სისტემად ჩამოყალიბებას, პირველი მრავალეროვანი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მძლავრი გეგმიანი სტრუქტურების შექმნას.

ასეთი მასობრივი პოლიტიზირებული ცნობიერების გადაბირება, სტალინის უკანონობაზე, ჯალათობაზე და ტირანობაზე დარწმუნება არაფერს და არავის შეეძლო. მითოსის „სივრცეში" შეჭრილს მითოსის გარსი ეფარა. ხალხური თქმულებით — კაცი იყავ, ღმერთად იქეც. ისევ მიწად გაქცეს, შენი ხსოვნა შერჩათ მზისებრ შენით დაზრდილ არწივებს.

აქედან, თუ კ. იუნგის ზემოთმოტანილი ფიგურალური გამოთქმის პერეფრაზირებას მოვახდენო, ხატოვნად სტალინმა კი არ შექმნა სოციალიზმი, არამედ „საქმემან მისმან", რეალურად, ნამდვილად არსებული სოციალიზმის ცხოველმყოფელმა კომპონენტებმა, მათმა **მშენებელმა ზღვა ხალხმა** შექმნეს სტალინის კულტი, განადიდეს მისი პიროვნება და განუკუთვნეს ყველაზე ძვირფასი ადგილი თავიანთ გულისთქმათა უპრეტენზიო ისტორიაში. აქედან წარმოიშვა იმ დროის საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე და ბსოფლიო ლიტერატურაში სახოტბო-სადიდებელი პოეზიის კაკაისიონისებური მთაგრეხილები. ვინ შეძლებდა მათ მთლიან ამოყრა-ამოძირკვას?

ახლა, სანამ მეხუთე ბარათს მოგწერდეთ, თქვენის ნებართვით სიტყვას გადავცემ სტალინის თანამედროვე მსოფლიო მასშტაბის უთვალსაჩინოეს სახელმწიფო მოღვაწეს, მის უპირველეს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, ლორდ უინსტონ ჩერჩილს: „რუსეთისათვის

დიდი ბედნიერება იყო, რომ მძიმე განსაცდელის წლებში რუსეთს სათაეში ედგა გენიოსი და შეუდრეკელი მხედართმთავარი ი. ბ. სტალინი. ის იყო უდიდესი პიროვნება, შესატყვისი ჩვენი მკაცრი ეპოქისა, რომელშიაც გაიარა მთელმა მისმა ცხოვრებამ. მან ჩაიბარა კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით აღჭურვილი. არა! რაც უნდა თქვან მასზე — ისტორია, ხალხი არ ივიწყებს".

კარგად ბრძანდებოდეთ.

2. კათარზისიდან ზნეობრივი ჰარმონიისაკენ

ბარათი მეხუთე

მომიტევეთ წინა ბარათში გრძნობების რამდენადმე ეგზალტირებულად გამოხატვისათვის. ოდნავადაც არ გაიელოთ ფიქრად, მისგან თითქოს ნოსტალგიის რაღაც ნიშან-შუქი გამოკრთოდეს. პირობითად მე მას გრძნობათა ამბოხებას ვუწოდებდი, ამბოხებას რაციონალიზმიდან ერთბაშად ირეალური ფანტასტიკისაკენ უკიდურესი გადახრის წინააღმდეგ, რასაც თვით რეპრესირებულებიც და მათი კეთილსინდისიერი შთამომავლებიც ვერ იტანდნენ. აბა, როგორ არ უნდა გავიხსენო მრავალთა შორის ამის კლასიკურ მაგალითად საკონცენტრაციო ბანაკებში ტანჯვაგამოვლილი მწერლის, ლევან ხაინდრაცას სტატია საგულისხმო სათაურით „ზოგიერთი მოსაზრება თანამედროვე „სტალინიანის" შესახებ". იგი დაბეჭდილია ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" 1989 წლის პირველ ნომერში (გვ. 125—150) და 23 პუნქტს მოიცავს.

უკლებლივ ყველა პუნქტი ერთნაირი ძალით, დოკუმენტური სიცხადით და ლოგიკური დამაჯერებლობით ამხელს სიცრუეთა იმ ფართო ქსელს, რომელშიაც გახვეული აღმოჩნდა მილიონი ადამიანი სტალინის პიროვნების, მისი ეპოქის გაგებასთან დაკავშირებით. ავტორი, რომ იტყვიან, ქვას ქვაზე „ადუღებს", რათა გაიმარჯვოს „ისტორიული ჰეშმარიტების დაცვის" პრინციპმა, „ელემენტარული სამართლიანობის გრძნობამ" (გვ. 149).

ბულგარელი პოლიტიკური ემიგრანტის, დიმიტრი ივანეს ძე გაჩევის 1938 წლის 26 ივლისის დღიურში ვკითხულობთ (იგი რვა წლით გადასახლებული იყო კოლმის შრომით გამასწორებელ კო-

ლონიაში): „მე ვრჩები პარტიის ისეთივე ერთგულ წევრად და ისევე მწამს სტალინის, როგორც წინათ... მშვენივრად მაქვს შეგნებული, რომ ზოგიერთი უცხოელი ელემენტების იზოლაციისათვის პარტიის და მთავრობის მიერ მიღებული ზომები, რომლებსაც ჩვენ ყველანი განვიცდით და ვგრძნობთ, ახალი ომისათვის მზადების პირობებში აბსოლუტურად სწორია და ისტორიულად გარდუვალი“ („ოგონიოკი“, 1989, № 18, გვ. 13).

განა შეიძლებოდა გულგრილად გვერდი ამეცლო ამგვარი ფაქტებისათვის? ურეპრესიოდ, უკომპრომისოდ, უმლიქვნელოდ და უმწიკვლოდ ცხოვრებაგამოვლილთა, ამ კატეგორიის ყველაზე **მოტყუებულთა და გაწბილებულთა** სახელით განა არ მომეთხოვებოდა მეტი პირდაპირობის, დაფარული სინამდვილის და სიმართლის მიახლოებით მაინც სწორად გამოჩენა? განა პირადი ფსიქოლოგიური შიშის გამო, რაც განვიცადე 1942 წლის მარტის ბოლოს სამტრედიის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, შური მეძია და ზოგიერთივით ობიექტურობისა და ზომიერების გრძნობა დამეკარგა?

...ლეიტენანტი ვიყავი და მატარებლის მოლოდინში, დილაადრიან, ბაქანზე სეირნობისას ფიქრებში გართულს, წესდებით ჩინით უფროს კაპიტნისათვის ხელის აღება დამვიწყებოდა. კაპიტანი სამტრედიის სამხედრო კომენდანტი აღმოჩნდა. თელავის საოფიცრო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, პარტბილეთის გარდა, პირადობის არავითარი საბუთი არ მქონდა. იგი შვიდკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელს ებარა. ორშაბათს უნდა გამოვცხადებულიყავით დანიშნულების ადგილზე. შაბათს, თბილისიდან მგზავრობისას, გადავწყვიტეთ მოგვესწრო მშობლების ნახვა. მე ფოთისკენ უნდა გავყოლოდი შემხვედრ მატარებელს, რათა კვირა საღამოს უკან დავბრუნებულიყავი. ასეთი გულუბრყვილო გეგმით სამტრედიაში ამოვყავი თავი. კომენდანტს სრული უფლებამოსილებით შეეძლო დეზერტირად ჩაეთვალე და სამხედრო ტრიბუნალისათვის გადაეცა ჩემი საქმე. სამტრედიის დეპოს ელმავლის მემანქანემ, იონა ზაქრაძემ მიხსნა. თავდებად დამიდგა და თვითონ ჩამიყვანა თავისი ელმავლით იმავე დღესვე განაწილების პუნქტში. აი, გაჭირვებაში, განსაცდელში მშველელი როგორი ადამიანები იყვნენ! ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

მაგრამ აქ მთავარია სხვა რამ. რა დონეზე იდგა ომიანობის დროსაც კი სახელმწიფოში დისციპლინა! უმცროს-უფროსის მისალმების

აქტი ჩიტის ბრდღვნად რომ არ ღირს, ხომ ყველამ იცის! ასეთ მცირედ, ბეწვის ოდენა დეტალსაც კი ექცეოდა ყურადღება მაშინ, რათა წვეთისგან დამყაყებული ტბორე არ გაჩენილიყო, მისი გაჟონვიდან — გამაგრებული ნაპირის წამლეკველი სტიქია. ბუნებაში ხომ ყველაფერი სულ მცირედიდან იწყება! სუბიექტურად მართალი ვიყავი თუ ობიექტურად დამნაშავე, ამის გარკვევამდე წუთების თუ საათების განმავლობაში შიშის წვეხს ხომ მართლა განვიცდიდი! მერედა, განა ასეთი შიშის გადატანისათვის გამოვიყენო ეს ფაქტი მონობის ეკვივალენტად? მოვდგე და გიმტკიცოთ, მეც იმ მონობის ეპოქიდან ვარ, კინაღამ დამიჭირეს, კინაღამ მაწამეს, კინაღამ...

მიტმასნილები და ორპირები სპეკულაციური მიზნით ყველაფერს კადრულობენ, ყველაფერს ეგუებიან, ყველაფრით სარგებლობენ, ყველაფერში პოულობენ გასაძრომ-გამოსაძრომს...

სტალინის ფენომენი ჩემი თაობისათვის წარმოადგენდა ცოცხალ, რეალურად არსებულ ინდივიდს და, ამდენად, იგი მიწიერი არსება იყო ჩვენთვის. ამ გაგებით, როგორც ყოველ მის თანამედროვეს, უბრალოდ მეც მინდოდა გამომეთქვა ჩემი აზრი და შეხედულება სიკვდილის შემდეგ მის გარშემო წარმოშობილ ვულგარიზატორულ, იაფფასიან ნიჰილისტურ პოპულიზმზე. მაგრამ, ამავე დროს, აზროვნების, შორსმჭვრეტელობის და წინასწარმეტყველების უნარძალით და სიღრმით იგი იმთავითვე ზეციერად ჩანდა და ჩემისთანა მოკვდავებისათვის მიუწვდომელი და შეუცნობელი იყო.

ამიტომ მე მხოლოდ კონსტატაციას ვუკეთებდი იმ ფაქტებს და მოვლენებს, რომლებმაც მიგვიყვანეს დღევანდელ **კრიზისულ** ჩიხამდე. რეფორმატორული ღონისძიებები რომ გასატარებელი იყო, ამას ყოველი გონიერი მოქალაქე, ყოველი რიგითი პრინციპული კომუნისტი, პირველ რიგში ყოველი კრიტიკულად მოაზროვნე შემოქმედი, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელი გრძნობდა. 50-იანი წლებიდან ქართულმა მწერლობამ (ო. ჩხეიძის, გ. ფანჯიკიძის, ლ. მრელაშვილის, რ. ჯაფარიძის, რ. ჯეიშვილის და სხვების სახით) ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. 1972 წლის „მნათობის“ მე-6 ნომერში (გვ. 117—135) გამოქვეყნებულ ვრცელ წერილს „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია“, რომელშიაც პირველად იყო მოცემული ამ მოვლენათა მხილების ლიტერატურულ-სოციოლოგიური განზოგადება, მხილე-

ბის მხარდაჭერაც და პროტესტანტული გამძაფრებაც, მაშინდელი ცენზურა ხიშტით შეხვდა (ხელისუფლების მთავარი იერიში მიმართული იყო გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანის“ წინააღმდეგ, რომელსაც განსაკუთრებული გულმოდგინებით ვიცავდი). იგი ამოღებულ იქნა მეოთხე ნომრიდან და მხოლოდ ჟურნალის რედაქტორის, მწერლისა და მეცნიერის ელგუჯა მაღრაძის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად იქნა შესაძლებელი ორი ნომრის გამოტოვებით დაბეჭდვა[1]. მაგრამ ეს არაა ამ შემთხვევაში მთავარი.

წერილის შინაარსით დაინტერესდა მოსკოვის ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქცია, რომელმაც თბილისში მოვლინებული ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომლის მეშვეობით ანაიდა ბესტავაშვილს დაავალა მისი თარგმნა ჟურნალისათვის. ჩვენთან ინახება 1972 წელს ბანდეროლით მოსკოვიდან გადმოგზავნილი თარგმანის სრული ტექსტი ჟურნალის კონვერტით და ფოსტის ნიშნებით. რედაქცია იუწყებოდა, წერილი არსებული სოციალური სინამდვილის მკაცრ კრიტიკას შეიცავს, ამიტომ მისი დაბეჭდვისაგან თავს ვიკავებთო. მაშასადამე, გარდაქმნის და განახლების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ობიექტური კანონზომიერებით. ზემოდან რომელ ეპოქაში არ გატარებულა რეფორმა, მაგრამ მათ წინ უძღოდა მოფიქრებულობა და განსჯა.

ასე, მაგალითად, ცარიზმის დროს 1861 წელს რუსეთში და 1864 წელს საქართველოში ბატონყმობის მრავალსაუკუნოვანი ინსტიტუტი ისე გაუქმდა, ყოფილ მებატონეებსა და ყმებს შორის მიწის განაწილების თაობაზე სისხლისმღვრელი შეტაკებები არ წარმოშობილა. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების, ან ველური სამხედრო კომუნიზმიდან კერძო საკუთრებაზე დროებით გადასვლის მოკლე პერიოდში ქალაქად უმუშევრობა გაჩნდა, ფასებიც გაიზარდა, მაგრამ ამას არ მოჰყოლია ანარქია და ქაოსი. ყველგან გახსნილი იყო უფასო სასადილოები, ყოველ უმუშევარს დამატებით ოჯახის სარჩენად ეძლეოდა 25 მანეთი (მაშინდელი ოქროს კურსით). 1928 წლიდან უმუშევრობა მოისპო,

---

[1] „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1973 წლის 23 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ბესარიონ ჟღენტის ერცელ მიმოხილვით სტატიაში „დროის მოთხოვნათა პასუხად“ ჩვენი ზემოთ აღნიშნული წერილი დასახელებული იყო დადებითობის კონტექსტში.

მოხდა ფასების რეგულირება და ისევ საზოგადოებრივ ვაჭრობაზე გადავიდა მთელი სახელმწიფო.

განა არ შეიძლებოდა წინა ისტორიული გამოცდილებების გათვალისწინებით, სამხედრო ანარქიულ კომუნიზმთან შედარებით მაინც რამდენადმე უკეთ მოწესრიგებული სოციალიზმიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლა ჩატარებულიყო თანდათანობით, ეტაპობრივად, დარგობრივი გეგმიანობით და უმტკივნეულოდ? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. მაგრამ ამისთვის სერიოზული, ღრმა ფიქრი იყო საჭირო. მ. გორბაჩოვს კი არ ეცალა. იგი ჩქარობდა, ისწრაფოდა... რათა კალიფორნიის შტატში დაპირებული, მისთვის გამოყოფილი ბაღი-ფერმა ჩქარა ენახა. და ნახა კიდეც. ამიტომ დღევანდელობის კრიტიკული ვითარების სიგრძნე-სიგანით წარმოდგენაში მეტი სიცხადისა და გარკვეულობის შეტანისათვის, ნება მომეცით, მოკლედ კიდევ ზოგიერთ მომენტზე შეეაჩერო თქვენი ყურადღება.

ახლანდელი კრიზისული ჩიხის სიმწვავე და მასშტაბურობა არ ამოიწურება მარტოოდენ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სფეროებით. საფრთხის უფრო დიდი, პერმანენტულად ფეთქებადი საშიშროება ჩამარხულია ერთიანი სამშობლოს ერთიანი **გეოგრაფიული სივრცის უგუნურად** რღვევაში, რომლის უარყოფითი შედეგების სათანადო სიღრმით გაცნობიერება ამჟამად, საწყის ეტაპზე, ჯერ კიდევ იმიტომ ჭირს, რომ ყველანი, დიდი და პატარა, გაბრუებულნი ვართ სსრ კავშირის დაშლიდან მოპოვებული დამოუკიდებლობის ეიფორიით. მართლაცდა, უდიადესი ადამიანური განცდაა.

დიდ სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი 1922 წელს სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გარეგნულად მტკიცედ შეკრული და შედუღაბებული სწორედ სსრ კავშირი იყო. იგი ემყარებოდა ხალხურ სიბრძნეს, რომლის არსი გადმოცემულია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკში „ძალა ერთობისა“. შეხსენება ყოველთვის არ ნიშნავს შეგონებას. ჰკვიანებისათვის იგი არასოდეს ზედმეტ ბარგად არ ითელება.

მეფეს ოცდაათი ვაჟი ჰყავდაო, იგავიდან ვამბობ. სიკვდილის მოახლოების წინ მოიწვია ყველა ერთად, მოატანინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრად, მოზიდა, მაგრამ... ვერაფერი დააკლო. მერე ცალ-ცალკე მოზიდა თითოეული და ცალ-ცალკე ყველა დალეწა. ფაშისტურმა გერმანიამ ცალ-ცალკე ორ-სამ წელიწადში დაიპყრო თით-

ქმის მთელი ევროპა და ინგლისზე იყო შეჩერებული, როცა წარმატებებით გაბრუებულმა ომი დაიწყო სსრ კავშირთან. და აქ სტალინგრადამდე მისულს, 1942 წელს ხერხემალი გადაუტყდა, ხოლო მერე მისსავე ბუნაგში განადგურდა.

ამ გამარჯვებით მრავალ ეროვნებათა გამაერთიანებელი სახელმწიფოს სიმბოლურმა გამოხატულებამ — ყოფილმა სსრ კავშირმა თავისი ისტორიული მისია შეასრულა არა მხოლოდ საკუთარი ხალხის, არამედ კაცობრიობის წინაშეც. მაშინ ყველა მასში შემავალი ერი ერთიანი სულისკვეთებით იყო დარაზმული საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, თითქოსდა, ხორციელდებოდა საუკუნეობრივი მოარული მოწოდება — ყველა ერთისთვის, ერთი — ყველასათვის. არავითარ კონფლიქტს ერებს შორის ადგილი არ ჰქონდა!

ომის შემდგომ, სსრ კავშირის ისტორიული გამოცდილების გამოყენებით, დასავლეთ ევროპაში თორმეტი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება — ევროპარლამენტი იმ დროს უკვე ამოზრდილი და მძლავრად ფესვგადგმული იყო, როდესაც მისი მზის ნათება დედამიწაზე უკვალოდ და უაზროდ ჰქრებოდა. (ასევე, გეგმიანი მართვის სისტემა ჩვენთან რომ მოისპო, ანალოგიური თუ არა, ეკონომიკური ინტეგრაციის, კოორდინაციის გამოხატულებაა ე. წ. „შვიდეულის“ გაერთიანება). ამ შემთხვევაში დაშლის მექანიზმი ისეთ ელემენტარულ იურიდიულ საფუძველზე მაინც უნდა დაფუძნებულიყო, რომ იგი ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხებს **დამატებით** დრამატული სიტუაციების წარმომშობ დაუძლეველ კერად არ შემობრუნებოდა.

აი, გადაივლის ეიფორიის ტალღა, დაცხრება ემოციები და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკათა, მათში შემავალ ავტონომიათა თუ ეთნიკურ დაჯგუფებათა შორის საზღვრების, საბაჟოების პრობლემა დღევანდელი ლოკალურობიდან ხვალინდელ გლობალურ, მტანჯველ და მწამებელ მოვლენად გადაიქცევა. გარე სამყაროსგან ერთი მთლიანი ქვეყნის საზღვრებით სამოცდაათი წლის განმავლობაში დაცული გეოგრაფიული გარემოს დაჩუცმაცებამ, ოდესღაც თავისად მიჩნეული მიწა-ადგილის დაბრუნების ნაციონალისტურმა ტენდენციამ, ვაიისტორიკოსებისა და ვაიპოლიტიკანების ჩხირკედელაობამ, კერძო საკუთრების მძაფრად გაღვიძებულმა ინსტინქტმა, რეალიზმის გრძნობის დაკარგვამ, ხან სად და ხან სად, არ შეიძლება არ გააჩინოს ერებსა, ცალკეულ ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის მიჩ-

ქმალული შუღლისა და მტრობის ისეთი ხანძარი, რომლის დროგამოშვებით ჩაქრობა ვერ შეუცელის მას ადამიანთა მსხვერპლის მ უ დ მ ი ვ ო ბ ი ს საზარელ ელფერს.

სანამ შემაკავებელი კანონების შემუშავებას მოესწრებოდეთ, არეულობის თუ ამღვრეულობის მთელ სტადიაზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ყოყლოჩინა პრეზიდენტად გამოცხადების ამბიცია გაუჩნდება ყოველი ჯურის ეთნოერთეულს და მის ვიგინდარა ატამანს. შთაინთქმება საღი აზრი, იმძლავრებს ბელადომანია, გრაფომანია და სეპარატისტული ნაირსახეობანი.

ასეთ ვითარებებში, ე. ი. არასტაბილურობის მობილურობაში, საფიქრებელია, ვერც ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები წარიმართება ნორმალურად და ვერც ხანგრძლივი გათიშულობიდან შეერთებული გერმანიის არა ახლანდელი, არამედ შემცველი თაობა (რომლის ერთმა, სრულიად ახალგაზრდა, 16 წლის წარმომადგენელმა დღისით, მზისით, კრემლის კედლებთან პერესტროიკის პერიოდში სპორტული თვითმფრინავი დასვა) დაინდობს სსრ კავშირის მემკვიდრედ დარჩენილ, სხვის შემყურედ პირდაბჩენილ რუსეთს შელახული ღირსების აღდგენისათვის იარაღის გარეშე დასაპყრობად.

თქვენ, რა თქმა უნდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე დიდი იმედის დამყარებით, შეეცდებით ხელის ერთი დაკვრით უკუაგდოთ ჩემი სკეპტიკური ვარაუდები. და მეც უკან ვიხევ, გნებდებით. ღმერთმა ქნას, აგისრულდეთ იმედი. მაგრამ, იმავე ღმერთის წყალობით, რაკი „გაეროზე" ჩამოვარდა სიტყვა, რატომ არ უნდა გაგიხსენოთ დიდი მფარველი იმედის სამ ფუძემდებელს შორის იმ ქართველის სახელი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელ მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობის, ჰუმანიზმის, ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთ სოლიდარობისა და დახმარების სტრუქტურული საფუძვლების შემუშავებაში, ვისაც თვით მისი შექმნის იდეა ეკუთვნის?

ან როგორღა მოხერხდა ბოლშევიზმის ციტადელის — მოსკოვის, „რკინის ფარდებს" მიღმა ჩვენი ქვეყნის მტრებად მიჩნეული კოლონიების მფლობელის — ლონდონის და კაპიტალისტური გიგანტომანიის ტიპური ნიმუშის — ვაშინგტონის ურთიერთდაკავშირება, ორი ანტიპოდური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოება და თანამშრომლობა? არ გესახებათ ეს

იმ დროისათვის რაღაც წარმოუდგენელ, ამოუხსნელ გამოცანა-სფინქსად?

დიახ, ასეთი ამოუხსნელი გამოცანა-სფინქსია თვით სტალინის ფენომენი (რომელსაც დ. ვოლკოგონოვი, ა. სამსონოვი, ა. რიბაკოვი, რ. მედვედევი და სხვა მათი მსგავსნი ამაოდ ცდილობენ უკუღმართული პირადული მოტივებით გადააფარონ დავიწყების სუდარა), მისი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდი, ტაქტიკური თუ სტრატეგიული ჩანაფიქრები, დაუცხრომელი თვითგანვითარების გზით მიღწეული განათლებულობის და ლოგიკური მსჯელობის ის დონე, ფორმა და კულტურა, რაც ანცვიფრებდა სხვადასხვა რანგის ყველა იმ ადამიანს, ვისაც რაიმე პირადი კონტაქტი ჰქონია მასთან. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ თანამდებობიდან თვით სტალინის მიერ ერთ დროს ჩამოქვეითებულ (ე. ი. განაწყენებულ) და მერე ისევ აღდგენილ სამხედრო-საზღვაო ფლოტის მაშინდელ მინისტრს, ადმირალ ნ. კუზნეცოვს მოეუსმინოთ:

„ი. ბ. სტალინი უჩვეულო გონების, უაღრესად განვითარებული და დიდად ნაკითხი ადამიანი იყო. ბევრ პარტიულ და სამხედრო ხელმძღვანელებს შევხვედრივარ, მისაუბრია მათთან და არასოდეს მომისმენია ვინმესგან მისი დაუკვირვებელი გადაწყვეტილების ან არასწორი წინადადების შესახებ, რომელ დარგსაც არ უნდა შეხებოდა იგი“ („პრავდა“, 1988, № 211).

პოლიტიკას, ისტორიას და ფილოსოფიას თავი რომ დავანებოთ, სახალხო მეურნეობის ათასგვარი დარგი იყო და, ალბათ, ათასგვარი სპეციფიკური ცოდნა იყო საჭირო. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, შემდგომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა მიუსერას აგარაკზე ხშირად შეხვედროდა სტალინს, ვაკის პარკში, პენსიონერობის ჟამს სეირნობისას, არაერთგზის უამბნია: ერთხელ დერეფნის სკამზე სქელტანიანი წიგნი დავლანდე. მის გარეკანზე ეწერა: „ფეხსაცმლის შეკერვის ტექნოლოგია“. როცა სტალინი გამოჩნდა, გაკვირვებით ვკითხე: ეს წიგნი რაში გჭირდებათ-მეთქი. მსუბუქი მრეწველობის მინისტრთან ფეხსაცმლის ხარისხზე ლაპარაკი რომ მექნება, მე თვითონ უნდა ვიცოდე მისი შეკერვის ტექნოლოგიური პროცესები, რომ შეცდომაში არ შემიყვანოს და არ მომატყუოსო. — მიპასუხა.

ინგლისელი პოლიტოლოგი ჩარლზ სნოუ უფრო შორს მიდის და,

ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, თავის ნარკვევში სტალინზე პირდაპირ წერს: „იგი ლიტერატურული გაგებით გაცილებით უფრო ღრმად განათლებული იყო, ვიდრე მისი თანამედროვე რომელიც გნებავთ სახელმწიფო მოღვაწე. მასთან შედარებით ამ მხრივ მკრთალად გამოიყურებიან ლოიდ ჯორჯი და ჩერჩილი, თვით რუზველტიც. ჩერჩილმა, მაგალითად, თავისი ცხოვრების ღრმა მოხუცებულობის ჟამს გადაშალა პირველად ჯეინ ოსტინისა და ტროლოპის წიგნები... სტალინი კი რუსულ კლასიკურ ლიტერატურას ჯერ კიდევ მოწაფეობის დროიდან სწაელობდა... ის ხშირად ცნობილი რუსი მწერლების ნაწარმოებებს პუბლიკაციამდე ხელნაწერშივე კითხულობდა. შეიძლება ვიფიქროთ, ამას აკეთებდა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებითო, მაგრამ არ ვიქნებოდით მთლად სწორი. მას ჰქონდა წმინდა ლიტერატურული ინტერესი. საოცარია, როგორ, სად პოულობდა ამისათვის დროს?“ („უჩიტელსკაია გაზეტა“, 1990, № 30).

საოცრების ამ თვალსაწიერიდან თუ გადავხედავთ ივან სტადნიუკის რომან-ტრილოგიაში „ომი“ 1941 წლის ივნის-ივლისის მცხუნვარე დღეებში სმოლენსკის მისადგომებთან წარმოებული თავდაცვითი ბრძოლების შემაძრწუნებელი სურათების აღწერას, მეორე, უფრო საკვირველი საოცრებისგან თმა ყალყზე დაგვიდგება. როგორ გადაეურჩით!.. თითქოს ფერფლიდან, ნაცარტუტიდან ამოგიზგიზებულა ძლევამოსილი გამარჯვების უქრობი, ცეცხლოვანი, მარადიული მზე! უკანდახევის სიმწარე და საშინელება თვით განმიცდია (იხ. მეორე ნაწილის მეოთხე თავი „ეპიზოდები ფრონტული ცხოვრებიდან“), მაგრამ სულ სხვაა, როცა მას დიდი ხნის შემდეგ ყეენის მთაკორტოხიდან ფართო რაკურსით ხედავ.

დიდი სამამულო ომის პირველ ხანებში, ჩვენი ქვეყნისათვის მიყენებული მატერიალური ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი (სხვათა შორის, ომის პირველივე წელს, კერძოთ, 1941 წლის 7 დეკემბერს, იაპონია მოულოდნელად თავს დაესხა ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზას ჰავაის კუნძულებზე და მეზღვაურებიანად ჩაძირა წყნარი ოკეანის ფლოტის დიდი ნაწილი პერლჰარბოროში), დაღუპულთა და ტყვეობაში ჩავარდნილთა სახით, იმდენად დიდი და შემზარავი იყო, მთავარსარდლობის დადანაშაულება, რა თქმა უნდა, სუბიექტურად ადვილიც არის და თითქოსდა ბუნებრივიც. აქედან გაჩნდა მკითხაობისა თუ მარჩიელობის მსგავსი ათასგვარი

ვარაუდები, უმწეო ჰიპოტეზები და პირდაპირი ბრალდებები სტალინის სამხედრო მოუმზადებლობაზე, მის დაბნეულობაზე, შეცდომებზე.

ობიექტური გარემოებათა გათვალისწინებით იგივე ადმირალი ნ. კუზნეცოვი გვიდასტურებს, 1941 წლის 7 ივნისს მან სტალინისგან მიიღო დავალება, მტრის წყალქვეშა კატარღებისგან დაცვის მიზნით, ქერჩის ყურეში გადამღობი ქსელის გაშლის თაობაზე. „ჩვენ მაშინ ოდესიდან ბათუმამდე შავი ზღვის ფლოტის გაძლიერების ოპერატიულ გეგმას ვამუშავებდით“. — დასძენს იგი („პრავდა“, 1991, № 173).

აქედან ჩანს, სტალინმა კარგად იცოდა გერმანიისგან მოსალოდნელი თავდასხმის ამბავი, მაგრამ უმკაცრეს სიფრთხილეს იჩენდა, ყოველი ღონით ცდილობდა დროის როგორმე გადაწევასთან ერთად სახმელეთო სასაზღვრო ჯარების დისლოკაციის საეჭვო გადანაცვლებებით პროვოკაციისათვის არ მიეცა რაიმე საბაბი, რაც თანამედროვე ჩვენს ისტორიოგრაფიაში მეტწილად აღქმულია, როგორც მისი მერყეობის თუ აშკარა დანაშაულის გამოვლინება.

1946 წლის 9 თებერვალს მოსკოვის ერთ-ერთი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეკრებაზე სტალინი თვითონ ამბობდა: „ჩვენს მთავრობას ჰქონდა არა ერთი შეცდომები დაშვებული. ჩვენ გვქონდა 1941-1942 წლებში გამოუვალი მდგომარეობის მომენტები. ომმა გამოცდის მსგავსი რამ მოუწყო ჩვენს საბჭოთა წყობილებას, მაგრამ ჩვენ გავიმარჯვეთ“.

ეს მოკლე, ლაკონური სიტყვები — სტალინის მეტყველების ძირითადი განმსაზღვრელი სტილი და ფორმა — პირდაპირი პასუხი იყო 1941 წლის 3 ივლისს, ომის წარუმატებლად დაწყების თორმეტი დღის შემდეგ რადიოთი წარმოთქმულ. ასევე მოკლე, ლაკონურ სიტყვაში ხალხისთვის მიცემული იმ დაპირება-იმედის აღსრულების ნიშნად, რომლის მოლოდინი მაშინ, ცხადია, ძნელად წარმოიდგინებოდა. რას ემყარებოდა კონკრეტულად ფანტასტიკური დაპირება? რატომ მოხდა კატასტროფიული მარცხი პირველ ხანებში? რაშია, ჩვენი აზრით, სტალინის მაშინდელი სტრატეგიული ჩანაფიქრის გენიალობა?

1941 წლის 3 ივლისის ისტორიული სიტყვა მთავრდებოდა ფრაზებით: „ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენ გავიმარჯვებთ“. მასში ჩადებული იყო ისეთი ამოსავალი საერთაშორისო ეურიდიული კონ-

ცეფციის კრედო, მხოლოდ რომლის ეფექტურად მომარჯვებას შეეძლო მსოფლმხედველობრივი ბარიერების გადალახვით იმ დროისათვის აუცილებელი მხარდაჭერისა და თანადგომის საერთაშორისო რეზონანსის წარმოქმნა-წარმოშობა. სიტყვაში, რომელიც გამსჭვალული იყო ოპტიმიზმის პათოსით, იგი გაიშიფრა მშვიდად და ლოგიკურად, მისახვედრად და მისაწვდომად, შორს გამიზნულად და წინასწარ განჭვრეტილად. აი, მისი ძირითადი ასპექტები:

1. გერმანიამ დაარღვია 1939 წლის თავდაუსხმელობის, ე. წ. „რიბენტროპ-მოლოტოვის“ პაქტი, 2. ეერაგულად, მოულოდნელად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, 3. იგი სარგებლობს დაპყრობილი ევროპის მატერიალური რესურსებით, საომარი გამოცდილებით, ტექნიკის და ელეისებური დარტყმის უპირატესობით. 4. ამიტომ შემოიჭრა სწრაფად, ღრმად და პანიკის დამთესად ჩვენი ტერიტორიის სივრცეში, 5. ჩვენს სამშობლოს დაემუქრა უმძიმესი საფრთხე. ჩვენი ხალხი აღსდგება მის დასაცავად, 6. მაგრამ საფრთხე ემუქრება სხვა ქვეყნებს და სხვა ხალხებსაც, 7. მსოფლიოზე ბატონობის, ჰეგემონიის მილიტარისტული იდეა გადაშენებას უქადის მათ. 8. აქედან, ფაშიზმი კაცობრიობის საერთო მტერია, 9. უნდა შეიქმნას ერთიანი ფრონტი მის განადგურებლად.

მსოფლიოს თვალში გერმანიის კვლავ ახალ აგრესორად გამოჩენამ უდიდესი **მორალურ-პოლიტიკური** პრიმატი მიანიჭა საბჭოთა კავშირს. იზოლირებიდან, განცალკევებიდან ძალაუნებურად იგი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის, პირველ რიგში ინგლისისა და ამერიკის თანადგომის არეალში მოექცა. „სხვისი ხელით ნარის გლეჯის“ პოლიტიკიდან ისინი იძულებული გახდნენ გადასულიყვნენ ერთი პლატფორმით ბრძოლის სტრატეგიაზე. ასე გაჩნდა რეალური პერსპექტივა ანტიჰიტლერული მძლავრი კოალიციის შესაქმნელად, რომლის გარეშე, როგორი მომზადებულიც არ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირი, არ შეიძლებოდა გამარჯვების სრული იმედი ჰქონოდა.

ბოლოს და ბოლოს, მას ხომ მხლოდ 13 წელიწადში მოუხდა ერთდროულად ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის, ხასანისა და ფინეთის ბრძოლების დასრულებაც და სამხედრო ტექნიკის და არმიის მობილიზებაც მოსალოდნელი დიდი ომისათვის? იყო კი ყოველივე ეს საკმარისი ომში გაწვრთნილი და კბილებამდე შეიარაღებული გერმანიის დამარცხებისათვის? რა უფრო იყო გამართლებუ-

ლი და სახელოვანი, მცირედი დანაკლისით მტრის წინაშე დაჩოქება, თუ თავდაცვითი უკანდახევით და მეტი მსხვერპლის გაღებით ძალების მოკრება, გაერთიანება და აგრესორის საბოლოოდ მოსპობა?!

უკანდახევა 1941 წელს ობიექტურად ისეთივე გარდუვალი აუცილებლობა აღმოჩნდა, როგორც საფრანგეთ-რუსეთის ომში 1812 წელს, მაგრამ საპირისპიროდ, თუ მაშინ ნაპოლეონის არმიამ მოსკოვი გადათელა და გადაბუგა (ხოლო კუტუზოვი ხაფანგს დასავლეთის მხრიდან მომარაგების საკომუნიკაციო გზებზე უგებდა), 1941 წლის 7 ნოემბერს, მოსკოვის მისადგომებთან დაბანაკებული ჰიტლერელების გულგასახეთქად, სტალინი სიტყვით მიმართავდა ლენინის მავზოლეუმიდან სადღესასწაულო პარადის მონაწილეებს და მეომრებს ფრონტებისკენ მიაცილებდა მოწოდებით: — გფარავდეთ პოჟარსკის, ბოგდან ხმელნიცკის, სუვოროვისა და კუტუზოვის დროშებიო.

ზნეობრივად პარადის მოწყობის აქტი **მეორე დიდი** მორალურ-პოლიტიკური ფაქტორი გახდა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის დაჩქარებისათვის. ამ ფაქტებს ზედიზედ მოჰყვა მოსკოვში ჯერ ჩერჩილის, ხოლო მერე კი ამერიკის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ჰოპკინსის ჩამოსვლა. აქედან დაისახა კოალიციის ორგანიზაციული ფორმების შეკვრის გზები. მისი პირველი კონტურები გამოჩნდა 1942 წლის იანვარში ოცდაექვსი ქვეყნის მეთაურების ერთობლივი დეკლარაციის გამოქვეყნებით, ხოლო საბოლოოდ ბერლინ-ტოკიო-რომის კავშირს მტკიცედ წინ აღუდგა მოსკოვ-ლონდონ-ვაშინგტონის ან სამეულთან სამეულის ტიტანური ძალის კედელი.

თეირანის (1943, 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი), იალტის (1945, 4—11 თებერვალი) და პოტსდამის (1945, 17 ივლისი — 2 აგვისტო) კონფერენციები ანტიჰიტლერული კოალიციის დოქტრინათა, მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა საუნჯით ისტორიიდან წარუშლელი ის უტყუარი ფურცლებია, რომლებშიაც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სწორედ თქვენთვის, თქვენი თაობისათვის დღეს მხსნელად მოვლენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩასახვის, ჩამოყალიბების, მიზნებისა და ამოცანების საწესდებო დომინანტური პოსტულატები. როგორ წარმოიშვა იგი?

თეირანის კონფერენციაზე, სადაც, უწინარესად, გერმანელთა ზურგში მეორე ფრონტის გახსნის პრობლემა იხილებოდა, ჯერ კი-

დევ ომის შუაცეცხლის, მისი საბოლოო ბედის გაურკვეველობის ხანაში, სტალინმა რუზველტთან საუბარში ერთხელ, სასხვათაშორისოდ, ჩამოაგდო სიტყვა ომის შემდგომ მსოფლიო მასშტაბის ისეთი მექანიზმის შექმნაზე, რომელიც გადაარჩენდა მომავალ თაობებს ომების საშინელებისა და უბედურებებისაგან. რუზველტი ერთხანს გაოგნებული ყოფილა ამ იდეის წამოყენებით არა იმიტომ, რომ იგი უცხო და მიუღებელი იყო მისთვის, არამედ იმის გამო, რომ იგი მოდიოდა ფაშიზმთან გაიგივებული მოძღვრების მიმდევარი ქვეყნის ხელმძღვანელიდან.

მაშ, თვით ბოლშევიზმისადმი მიდგომა მოითხოვდა სხვაგვარ დამოკიდებულებას, ან, სხვანაირად, სტალინი და ბოლშევიზმი რუზველტის წარმოდგენაში უცებ სხვა გაგებას იძენდა. აქედან დაიწყო ამ იდეის ხორცშესხმა, მის გარშემო შემუშიდროება, დაახლოება და თანამშრომლობა.

ა. გრომიკო, ყველა ზემოხსენებული კონფერენციის უშუალო მხილველი და მოწმე, ერთგან თავის მოგონებათა პირველ ტომში, მართებულად შენიშნავს: „თუ ადამიანი შინაგანად მტრულად არის განწყობილი მშვიდობისადმი, ატარებს აგრესიულ სულს, არ შეიძლება სხვა ადამიანებთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან ყოველდღიურ ყოფით კონტაქტში გამოიყურებოდეს გაორებულად, ადამიანური სიკეთის, მეგობრობის და სიყვარულის იდეალების გამტარებლად. იგი ვერ დამალავს თავის ნამდვილ სახეს". („სამახსოვრო", მოსკოვი, ტ. I, 1990, გვ. 105).

ყველაფერი ეს იმ პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეებზეა ნათქვამი, ვინც მონაწილეობდა ამ კონფერენციებზე. მათ შეეძლოთ დიპლომატიურ „დუელში" ერთმანეთის პირისპირ პოზიციების უკომპრომისოდ შენარჩუნება, ნიღბებისა — არა. ისინი ერთმანეთის ღირსეული პარტნიორები იყვნენ.

რუზველტის, სტალინისა და ჩერჩილის მიერ რედაქტირებული და ხელმოწერილი დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ ნიურნბერგის საერთაშორისო სასამართლო პროცესზე ფაშიზმი კაცობრიობის უბოროტეს იდეოლოგიად გამოცხადდა. ეს იყო მოვლენათა განვითარების ის ეპოქა, რომლიდანაც დაიწყო კაცობრიობის ისტორიის **ახალი** ხანა.

მაშასადამე, უკანდახევის ტაქტიკიდან — ანტიჰიტლერული კო-

ალიციის შექმნის სტრატეგიამდე, მსხვერპლის გაღებიდან — გამარჯვებამდე, ბოლშევიზმის ფაშიზმთან გაიგივების ყალბი წარმოდგენებიდან — მისი მოძღვრების, სახელის და დიდების კიდევ უფრო განფენა-გავრცელებამდე, კომინტერნის დაშლიდან — ნდობის ამაღლებამდე, აქედან — გაერთიანებული ერების ორაგნიზაციის მოქნილი მექანიზმის შემუშავებით საყოველთაო მშვიდობისა და ჰუმანიზმის იდეალებისაკენ. — ასეთია ღირსეულ პარტნიორებთან ურთიერთობებიდან სტალინის პოლიტიკური გ უ ლ თ მ ი ს ნ ო ბ ი ს კიდევ ერთი დიდი დანატოვარი, რომლის სიკეთეს თქვენთან ერთად ახლა მთელი მსოფლიო გრძნობს.

ყოველივე ამის შემდეგ, რაოდენ შეუთავსებელია საღ აზრთან ის, რაც ჩემი ყურით მოვისმინე 1990 წლის 16 თებერვალს პროფ. მიხეილ ზანდუკელის დაბადებიდან ასი წლისთავის საიუბილეო საღამოზე ჩვენი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. იგი გაჭედილი იყო ხალხით. სხდომას უძღვებოდა უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი ვახტანგ გოგუაძე. მისი მიმდინარეობის შუა პროცესში დარბაზში მოულოდნელად შემოვიდა ზ. გამსახურდია, დაუკითხავად ავიდა სცენაზე, პირდაპირ ტრიბუნაზე შედგა, წამით სცენის უკანა მხარეს ჩამოკიდებულ მ. ზანდუკელის გადიდებული ფოტოსურათისკენ მიიხედა და დამსწრე საზოგადოებას ქედმაღლურად აუწყა:

— ახლა ქუჩების სახელწოდებათა გადამრჩმევი ქალაქის საბჭოს კომისიის სხდომიდან მოვდივარ და ამიერიდან ყველამ იცოდეს: ეს პიროვნება — კიდევ მიიხედა სურათისკენ მარჯვენა ხელის მაღლა აწევით — ჩვენი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადია. ჩვენ დღეს მისი სახელი დავარქვით თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. მალე ძეგლს ავუგებთ. 1942 წელს იგი მეთაურობდა ახალგაზრდობის იმ შეთქმულებას, რომლის მიზანი იყო საქართველოში გერმანიის ჯარის შემოყვანა ბოლშევიზმის ტირანიისაგან განთავისუფლებისათვის. ბევრი შეეწირა ამ შეთქმულებას, თვით ბატონი მიხეილ ზანდუკელი ხუთი წლით გადასახლებულ იქნა. ეს სასჯელი მაშინდელი კანონით დამსახურებულად ეკუთვნოდა, მაგრამ აქიერიდან მის ღვაწლს და დამსახურებას დიდებით შევმოსავთ. — დაამთავრა სიტყვა და, ალბათ, სასწრაფო საქმით დაკავებული, უცებ გავიდა დარბაზიდან.

გვერდით გადასახლებაში მიხეილ ზანდუკელთან ნამყოფი მეგო-

ბარი პროფესორი იოსებ მეგრელიძე მეკითხა. — რა თქვა ეს, რა გავიგონე, მართალია თუ არა-მეთქი. — ვკითხე გაოგნებულმა.

— არა, არ დაიჯერო. მიხეილი სულ სხვა საქმეზე იყო გადასახლებული. — მიპასუხა ბატონმა იოსებმა. ამან დამაშვიდა, თორემ, ნამდვილად გეუბნებით, აღელვებისაგან ანათემაზე უნდა გადამეცა ჩემი ყოფილი მასწავლებელი, რომლის შესახებ თბილი სიტყვები არ დამიშურებია მოგონებების მეორე ნაწილში.

იმ საიუბილეო საღამოდან დაწყებული უფრო მეტი გულმოდგინებით ვაკვირდებოდი ჯერ კიდევ პრეზიდენტობამდე და პრეზიდენტობის დროსაც მიტინგებზე ზ. გამსახურდიას გამოსვლის მანერებს, ჟესტებს, მსმენელებზე, განსაკუთრებით მოსწავლე[1] და სტუდენტი ახალგაზრდობის ემოციებზე ზემოქმედების მისეულ ხერხებს და ყოველთვის რაღაც საერთოს ვპოულობდი ჰიტლერისებურ მანერებთან და მიმიკურ გამოსახულებებთან. მათში ირეკლებოდა არა მხოლოდ დიქტატორული, არამედ წმინდა ნაცისტური მსოფლგაგების ელემენტები. როგორც ჩანს, იგი საყრდენ ფესვებს იქ ეძებდა, სადაც კავშირის რაიმე ძაფს ხედავდა ნაცისტურ (ე. ი. ფაშისტურ) იდეოლოგიასთან, თუნდაც ეს კავშირი მცდარი, უაზრო, უსაფუძვლო ყოფილიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ პრესაში მართლა გამოჩნდა წერილების სერია, სპეციალური გამოკვლევები, მტკიცებები და პროპაგანდისტული ქადაგებები შეთქმულების როლსა და მნიშვნელობაზე. შეთქმულებისა, რომლის მიზნად, როგორც ზ. გამსახურდია ბრძანებდა, ბოლშევიკების ნაცვლად საქართველოში ფაშისტური გერმანიის ბატონობის დამკვიდრება, ამ გზით 1942 წლიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება მიაჩნდათ. წუთით გადავდოთ თვით მოძრაობის სახელწოდების და დათარიღების საკითხი, აღვადგინოთ ისტორიული რეალობა, დაკარგული და დავიწყებული მაშინდელი სახალხო პატრიოტიზმის ძალხმიანი ყეფა.

1942 წელს საქართველოს ყოფნა-არყოფნის ბედი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ კავკასიის მისადგომებთან გაშლილ სისხლის-

[1] აქვე უნდა შევნიშნოთ: საერთოდ 1988—1990 წლებში სკოლებიდან დემონსტრაციებზე ასაყრისა და კლასის განურჩეველად მოსწავლეთა მასობრივად გაყვანის ფაქტები პოლიტიკური პლაკატებითა და ლოზუნგებით, მათი სწავლა-აღზრდის თვალსაზრისით, ეროვნული მოძრაობის ლიდერთა უმძიმესი შეცდომა იყო.

მღვრელ ბრძოლებში წყდებოდა. მასში მონაწილეობდა ყველა ეროვნების წარმომადგენელი შენაერთების და დივიზიების სახით. მათ შორის იყო გორში დაკომპლექტებული ოციათასიანი 392-ე პირველი ქართული მსროლელი დივიზია, რომელთა რიგებში მეც შევდიოდი, როგორც ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაური (პეტრე შამათავა, მებრძოლი სიტყვა ქართული, 1985, გვ. 59). ხარახორას მთებსა, ჩეგემისა და მდინარე ბაქსანის მიდამოებში დივიზიას ზაფხულსა და სექტემბერ-ოქტომბერში პირისპირ შებმა უხდებოდა გაფთრებით დარიალისკენ წინ გამოჭრილ მტერზე. იგი შეჩერებულ იქნა ვლადიკავკაზის კარიბჭესთან, ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის დაპყრობით, და მხოლოდ ნოემბრის დამლევს უკუიქცა სტალინგრადში დიდი სტრატეგიული სამხედრო ოპერაციის დაწყების შედეგად.

იმ ბრძოლების დროს დივიზიის შემადგენლობიდან ნახევარზე მეტი დაიღუპა. ყაბარდო-ბალყარეთში დატოვა თავისი ჰაბუკური სიცოცხლე საბჭოთა კავშირის გმირმა ვლ. კანკავამ, კაპიტანმა მ. ბუხაიძემ, რომლის მამაცობაზე ი. აბაშიძის პოპულარული ლექსის მიხედვით შექმნილი გმირულ-ჰეროიკული სიმღერა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ლექსის უკანასკნელი სტროფი:

და ეუბარებ ყოველ ქართველს,
მისი წმინდა ვალი არი:
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
დერბენტი და დარიალი. —

საქართველოს მოსახლეობას გაცნობიერებული ჰქონდა, როგორც მოწოდება, უწმინდესი მოვალეობა, იმის ღრმად შეგნება, რომ დერბენტისა და დარიალის მკერდით შეკვრა ნიშნავდა საკუთარი მიწა-წყლის, ოჯახის, საკუთარი ღირსების და ისტორიის წაუბილწავად შენარჩუნებას. და ასედაც მოხდა.

რა პასუხი გავცე ჩემს გენერდით დაღუპულ თანამემამულეთა აჯანყებული სულების მშფოთვარე აჩრდილებს საიქიოში მარტივ, ადამიანურ კითხვებზე?

— მართალია? ჩეჩნებ-ინგუშების მსგავსად, რომლებიც გროზნოში ტაშ-ფანდურით შეხვდნენ გერმანელ ფაშისტებს, თბილისშიც მიპატიჟებას უწყობდნენ და ფარულად მათი საზეიმოდ მიღებისათ-

ეის ემზადებოდნენ?! ინტელიგენციის 1942 წლის აგვისტოს ანტიფაშისტური მიტინგი, მაშ, ფარსი ყოფილა?! ისევ წაჯექ-უკუჯექობის ძველი ჰანგით და შინა ღალატის გამქრალი ჩვევის აღდგენით განაგრძობენ თავიანთ ცბიერებას და ნიღაბაფარებულ „მოღვაწეობას“?! ჩვენთან ერთად თავგანწირულად იბრძოდნენ სხვა ერის შვილები საქართველოს გადასარჩენად და ჩვენს სამშობლოში მათ თვალწინ ლაფი დაგვასხეს?! ვაი, სირცხვილო!..

ეს უკანასკნელი სიტყვა საერთოდ წარსულ ომში დაღუპული სამასი ათასი ქართველის სულების გოდების, გმინვის და დრტვინვის საშინელ ექოდ ჩამესმის თითქოს და მოსვენებას მიკარგავს, მიბნელდება აზრი და გონება ჩემი ყურით გაგონილი ზემოთმოტანილი გამონათქვამისა და ჩემი თვალებით წაკითხული პრესაში დაბეჭდილი მასალებიდან.

თურმე გმირები საქართველოს ფაშიზმზე მიმყიდველი შეთქმულები ყოფილან, ხოლო მთელი ცივილიზებული სამყაროს მიერ დაგმობილი ფაშიზმისგან საქართველოს გადამრჩენები — მისი დამღუპველები. თურმე კომუნისტური ტირანიისაგან ხსნის ერთადერთ გზად ფაშისტური ტირანიის საქართველოში გაბატონება ჰქონიათ არჩეული! და... ნაცვლად სსრ კავშირის პირობებში შეთქმულების ტრაგიკული შეცდომის სწორად გაანალიზებისა და სინანულის გამოხატვისა, აზვიადებენ მათ ჩაფერფლილ იდეალებს თავის დროზე განუხორციელებლობისა და ჩაფუშვისათვის!

მაშ, რა ლოგიკით მივისწრაფოდით და რა მორალური უფლებით შევდიოდით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომუნისტური პარტიის ბელადის ინიციატივით შექმნილი გაერთიანებული ერების იმ ორგანიზაციაში, რომელიც დასაბამიდან ახლო არ იკარებს ფაშიზმის ბაცილების რაიმე მატარებლებს და გამავრცელებლებს? მაშინ ისეთ და დღეს ასეთს ქირქილ-ღიღინით?!

აღსანიშნავია, რომ 1942 წლის შეთქმულების მონაწილეთა გმირებად მონათვლის იდეას[1] ამას წინათ დაემატა არანაკლები ახალი თეზა. საქართველოს მწერალთა XI ყრილობის ტრიბუნიდან 1992 წლის 23 მარტს გაისმა იმ პოეტების და მწერლების გმირებად აღიარების მოთხოვნა, რომლებიც ფაშისტურ მუნდირებში გამოწყო-

[1] მხედველობაში გვაქვს არა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ გერმანული ფაშიზმის აღიარება მისგან ხსნის იდეალად.

ბილნი ტყვეობის მთელ პერიოდს გერმანიის სამსახურში ატარებდნენ. ჯერ ერთი, რატომ მარტო „პოეტების და მწერლების“ და არა ყველა იმ მოკვდავის, ვისაც წილად ხვდა ტყვეობის ჯილდოდ „ფაშისტური მუნდირი“!

მაგრამ უნებლიედ ჩვენს წინაშე პოეტების მირზა გელოვანის და ვლადიმერ უბილავას აღგზნებული აჩრდილები იკვეთება. ისინი ხომ არც ტყვედ ჩავარდნილან და არც ლაჩრად გაქცეულან ბრძოლის ველიდან. გმირულად დაეცნენ გმირული სიკვდილით. მათთან გავათანაბროთ ფაშისტური ემბლემის „მუნდირიანი“ პოეტები? მათი წმინდა ხსოვნის წინაშე თვით არ იგრძნობენ სინდისის ქენჯნას? ვფიქრობ, ამ უხერხულობას ისინი უეჭველად გრძნობენ და ხედავენ და გულში, ალბათ, მაინცდამაინც დიდად არ ეპიტნავებათ საჯაროდ მათი წარსულის ზედმეტად განდიდება. საკითხი სწორედ ზედმეტობას ეხება, თორემ ტყვეთა გარკვეული ნაწილის რეპრესირება რომ შეცდომა იყო, ეს ავადმოსაგონებელი ფაქტი საყოველთაოდ ცნობილია.

მეორეს მხრივ, ცნობილია ისიც, რომ ომის პირველ ხანებში ტყვეობის ორი კატეგორია არსებობდა: გამოუვალ, ობიექტური მდგომარეობის გამო იძულებით ჩავარდნილთა და ნება-სურვილით, სუბიექტური მოტივით მოხვედრილთა (ამ ორი კატეგორიის ტიპიური წარმომადგენლები იყვნენ ჩემი მოგონების მეორე ნაწილის რეალური პერსონაჟები, თანასოფლელი ბიბილო გელოზია და ჩემივე ასეულიდან ხარახორას მთაზე ბრძოლის დროს ღამის წყვდიადში ტყვედ ჩავარდნილი ათეული თოდუას მეთაურობით). პირველ კატეგორიას განსაკუთრებული შთამბეჭდაობით განასახიერებდა არტილერიის უფროსი ლეიტენანტი, იაკობ იოსების ძე ჯუღაშვილი. მისი ტყვეობის ტრაგედიით დასრულებული ორი წელიწადი სიმტკიცის და ნებისყოფის ლეგენდარული დიდებით არის შემოსილი. ასევე ითქმის კაპიტან გრიგოლ კუხალეიშვილის ტყვეობის პერიოდის გმირობაზე რუმინეთში.

ასევე ლეგენდარულია გენერალ-მაიორ პ. ი. აბრამიძის ტყვეობის სამი წელიწადი. იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ჩვენს უნივერსიტეტში სამოქალაქო სამხედრო კათედრას — მედდების მომზადების საქმეს განაგებდა და ყოველთვის გვერდით მეჯდა საუნივერსიტეტო დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომების დროს, როგორც ომის ვეტერანი ვეტერანთან.

წარმოსადეგი, მაღალი, სარივით სწორი აღნაგობის, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნირშეუცვლელად ინარჩუნებდა დისციპლინირებული, შინაგანად ურყევი, გაბედული, სამაგალითო ყოფილი ოფიცრის, შესანიშნავი ადამიანის და მოქალაქის შესაშურ შთაბეჭდილებას. მიამბობდა ჯარისკაცობიდან გენერლის ჩინამდე განვლილ სამხედრო წერთნის, ზრდის და დაწინაურების გზებზე, ომის დაწყებიდან სულ მალე კიევის მიმართულებით მომხდარ კატასტროფულ მოვლენებზე, ტყვეობაში გადატანილ მძიმე სულიერ დამცირებებზე. მაგრამ ერთი წუთითაც არ მოუხრია ქედი, არ დაუკარგავს რწმენა. თურმე იქაც შეიძლებოდა ტყვეობის „ტიტულის“ ღირსეულად ტარება, თუ სიმხდალის ნაცვლად ვაჟკაცობას გამოიჩენდი.

პ. ი. აბრამიძის გულწრფელი ნაამბობი დადასტურებულია ფრონტელი ცნობილი რუსი პოეტის ევგენი დოლმატოვსკის 1985 წელს მოსკოვში გამოცემულ სქელტანიან წიგნში „ზელიონაია ბრამა“, რომლის 213-ე გვერდიდან მოვიტან აქ ერთ ნაწყვეტს: „72-ე მსროლელი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი პაველ ივლიანეს ძე აბრამიძემ ტყიდან გამოსვლისას უმალ მძღოლის კომბინიზონი გადაიცვა და ტყვედ ჩავარდა, როგორც რიგითი მებრძოლი. კარგა ხანს შეძლო მძღოლად თავის გასაღება, მაგრამ ჯაშუშმა გასცა და გაქცევა ვერ მოასწრო. ბედად იგი ტყვეობაში შეხვდა სხვა გამოჩენილ ისეთ მეთაურებს, როგორებიც იყვნენ: კარბიშევი, შეპეტოვი, ოგურცევი, ტხორი, პოტაპოვი და სხვა. მათთან ერთად მონაწილეობდა ტყვეთა ბანაკის იატაკქვეშეთში. მერე გადაიყვანეს სხვა ბანაკში, სადაც მასთან ტყვეობაში აღმოჩნდა მე-8 კორპუსის მეთაური სნეგოვი, რომლის შენაერთში შედიოდა აბრამიძის დივიზია. ორივე განაგრძობდა ბრძოლას წმინდად და სიცოცხლის დაუზოგავად. რამდენიმე საათით რომ დაეგვიანებინა განთავისუფლებას, ისინი ესესელების მიერ განადგურებული იქნებოდნენ“. ათასობით და ათიათასობით ასეთი ტყვეების მიმართ არავის არავითარი რეპრესიული ღონისძიება არ გაუტარებია.

ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ზნეობრივად გაუმართლებელია, საზოგადოებრივი წყობილების რა ფორმა და სისტემაც არ უნდა არსებობდეს, ტყვეთა საერთაშორისო ნორმიდან გადახვევით, იმათი წინა პლანზე გამოჩენა, ვინც მოწინააღმდეგე ბანაკის სამსახურში იდგა თავისი ქვეყნის საზიანოდ, ხოლო ერთგულებისათვის ნამდვილად თავდადებულთა სახელები მივჩქმალოთ და შეურაცხვყოთ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი აზრის ქადაგება მიუღებელია თანამედროვე საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის ფონზე მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის[1]. ნებით თუ უნებლიეთ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, იგი ფაშიზმის რეანიმაციის, ერთგვარი რეაბილიტაციის გამოხატულებას ჰგავს, რაც თვით გერმანიაში ჯერჯერობით არავის უცდია. ყოველივე ამის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო 9 მაისის საერთაშორისო დღესასწაულის გაუქმების ფაქტი, რაც მოხდა პირველად არჩეული პარლამენტის დადგენილებით 1991 წელს.

არ შეიძლება მეცნიერების თუ პოლიტიკის ამა თუ იმ დარგსა და სფეროში დასაშვები და გამოსაყენებელი პლურალიზმის მეთოდით ცხოვრებისეულ ყოფიერებაში ყველაფრის გაშიშვლება, ყველაფერზე წინდაუხედავად წერა და ლაპარაკი, ყველაფრის გაუხამსება და გაეულგარება.

დაუკვირვებელი, ან, როგორც სხვათა გასაგონად მენტორული ტონით იტყვიან ხოლმე, საკუთრივ ა უ წ ო ნ ა ვ ი სიტყვებისგან წარმოშობილი ცალკეული უარყოფითი რეაქცია ზოგჯერ კიდევ უფრო ალრმავებს კრიზისულ ჩიხს, საიდანაც გამოსავალს ყველა ერთად უნდა ვეძებდეთ, რათა ერთად, ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ა დ ვესწრაფოდეთ მოპოვებული დამოუკიდებლობიდან საერთო მიზნის — ადამიანთა უკეთესი ცხოვრების მიღწევისა და დამკვიდრებისათვის...

ბარათი მეექვსე

წინა ორ ბარათთან დაკავშირებით, ერთი რამეც უნდა გაგიმხილოთ. იშვიათი თანადამთხვევაა, მაგრამ მაინც უნდა იცოდეთ. მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ ფარგლებში არითმეტიკულად ზუსტად იმდენი წელიწადი იცოცხლა. რამდენიც ბიოლოგიურად სტალინმა. რაღაც დღეების და თვეების სხვაობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ეს ციფრი განისაზღვრება კენტი რიცხვით — სამოცდაცამეტი. სტალინის გარდაცვალებიდან

[1] აფხაზეთში ომის დროს, 1992 წლის ნოემბერში, საველე სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მტრის მხარეზე გადასული და მისი ხელისშემწყობი ქართველი, როგორც სამშობლოს მოღალატე (იხ. „საქ. რესპ.", 11 ნოემბერი, № 232). თვით ომის დაწყება კი შეცდომაც იყო და დიდი უგუნურებაც.

38 წელი სკკპ ბოგინობდა თვითდინებით, ინერციით და ამაში უპირველეს როლს ასრულებდა მის მიერ შექმნილი, მყარი ბაზისის ბაზაზე პრაქტიკაში დანერგილი ზედნაშენური კატეგორია — ე. წ. იდეოლოგიის მის მიერვე პირალესილი „დამოკლეს მახვილი“.

ვერაფინ შეძლო მისი ვერც უარყოფა, ვერც შეცვლა, ვერც გაცვეთისაგან ხელახლა „ალესვა“ და სამოქმედოდ მომარჯვება. „მომწიფებული“, „განვითარებული“, „განახლებული“ და „ჰუმანური“ სოციალიზმის ყალბი თეორიები გამუდმებით უკან ეჭაჩებოდა ეკონომიკას. ასე მივიღეთ 38 ჩიხოვანი, ჩირქოვანი, ხრწნადი და ლპობადი წელი. გაუქმდა ერთპარტიულობის ლენინური იდეოლოგია და 1991 წელს სკკპ-ც, თითქოსდა ინსულტით, ისევე სწრაფად გარდაიცვალა, როგორც სტალინი 1953 წელს. სამდღიანი აგონიის შემდეგ ინსულტით სიკვდილი მისთვის დიდი ბედნიერება იყო. თვითონ ორი წელიწადი უვლიდა ლენინს, ოცდაათი წელიწადი უნახავდა ავადმყოფობის საიდუმლოს (რომელიც ემიგრანტმა რუსმა მწერალმა ივან ბუნინმა მაინც გაამჟღავნა და მსოფლიოს მოსდო — „ენამოჩლექილი, სიფილისიანი ლენინი როს გამეფდა რუსეთშიო“...). მას კი... სიბერის ჟამის კაპრიზებს ღერ-ღერად უთვლიდნენ.

თუ ახალი თეორიული მოძღვრებისათვის არ შემოლევია ფენომენალური მეხსიერების და ლოგიკური აზროვნების „საწვავი მარაგი“ (ამის ნიშნები თვალსაჩინოდ აჩნდა სიცოცხლის უკანასკნელ, 1950 და 1952 წლებში გამოქვეყნებულ მის შრომებს — „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ და „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები“ რომ ჰქვია), სამაგიეროდ, გამჭრიახობის, სიბრძნის, წინდახედულების, ენერგიის და სიმკვეთრის ნაცადი ძალა შემოაკლდა ქვეყნის მართვის ოცდაათწლიან საქეს. იგი მოშვებულობისაგან თითქოს რაღაცას განიცდიდა (საქართველოში ამის პირველი გამოვლინება იყო „მეგრელების საქმეზე“ და ჩვენი რესპუბლიკის ორ ოლქად — თბილისისად და ქუთაისისად. — დაყოფაზე 1951—1952 წლებში მიღებული ყოვლად გაუმართლებელი დადგენილებები).

როგორც ყოველი მოკვდავი და ყოველი დიდი მოღვაწე, შეუდარებელი დიდი პიროვნება, სტალინი ადამიანური ნაკლოვანებებისა და შეცდომებისგან დაზღვეული როდი იყო (და, საერთოდ, არსებობს უნაკლო და უშეცდომო ვინმე?). მაგრამ როცა ნაკლის ძებნას პირის ღრუდან დაიწყებენ, ხოლო შეცდომებისას კი — პლანეტების მოძრაობის ასტრონომიული გაანგარიშების მეთოდებით,

ცხადია, საქმე გვაქვს ფაქტებისადმი სადისტურ და არა ობიექტურ მიდგომასთან.

„XIX ყრილობის შემდეგ, 1952 წელს, ახალარჩეულ პლენუმზე, — იხსენებს ნ. კუზნეცოვი, — სტალინი წინადადებით გამოვიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაენთავისუფლებინათ იგი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი პოსტებიდან. სინამდვილეში კი მხოლოდ შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისგან განთავისუფლდა. თავის კაბინეტში საუბრებისას ის ხშირად უჩიოდა მოხუცებულობას, ნახევარხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ლაპარაკობდა, რომ ისევ და ისევ უხდება ნერვიულობა, გაჯავრება. კაბინეტში ბოლო ხანებში იშვიათად ჩნდებოდა“ („პრავდა“, 1988, № 211). და არც დაბრუნებულა ისევე, როგორც ა რ ა ს ო დ ე ს დაბრუნდება ეპოქა, რომელსაც მისი სახელი ჰქვია.

გენერალური მდივანი ა. ანდროპოვი იყო ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის შემდეგ პირველი და ერთადერთი კაცი, რომელმაც არათუ სცადა, ჩაუყარა კიდეც გარკვეული დოკუმენტური საფუძველი სტალინის შელახული სახელის ერთგვარ ეტაპობრივ რეაბილიტაციას, მაგრამ არ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა 1982 წლიდან დასახული გეგმა-ვარაუდი. დიდი სამამულო ომის ორმოცი წლისთავისათვის, ე. ი. 1985 წლის 9 მაისს ეს გეგმა-ვარაუდი უნდა დაგვირგვინებულიყო სტალინგრადის სახელწოდების აღდგენით. მანამდე სხვა შემამზადებელი ღონისძიებები უსწრებდა წინ. ჩერნენკომაც განიზრახა მათი შესრულება და ისიც... საიდან ვიცით ყოველივე ეს?

ჯერ ერთი, პიროვნების კულტის მხილების აღზევების ხანაში სამშობლოდან გაქცეული სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა 1984 წელს დაბრუნდა მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში და მას თბილისის ვაკის რაიონში გამოეყო ოროთახიანი საცხოვრებელი კომუნალური ბინა თორმეტი წლის გოგონასთან ერთად. პოლიტბიუროს სპეციალური დადგენილებით, როგორც სტალინის მემკვიდრეს, დაენიშნა მამის ხელფასის — 450 მანეთის ფარგლებში პერსონალური პენსია თავისი პრივილეგიებით. მაგრამ იგი თვითონ განერიდა ამ პრივილეგიებს. სულ რაღაც ერთი წელიწადი დაჰყო აქ. როგორც კი გარდაიცვალა ჩერნენკო, იგი ისევე უცხოეთში გაიქცა, რათა კვლავ არ განეცადა მამისადმი აღვირახსნილი ლანძღვა-გინების ახალი ტალღის ზეგავლენა, რაც მართლა აზვირთდა მისი წასვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ.

მეორე თვალსაჩინოებითი არგუმენტი: 1982 წლიდან დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და გამარჯვების ორმოცი წლისთავზე ეკრანებზე გამოვიდა საგანგებოდ შექმნილი ორი ფილმი. პირველი იყო ცნობილი კინორეჟისორ ვ. ოზეროვის „მოსკოვი, 1941 წელს“, რომელშიაც სტალინის, როგორც მთავარსარდლის როლს, განასახიერებდა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, აწ განსვენებული იაკობ ტრიპოლსკი. იგი არაერთხელ შემხვედრია თბილისის ქუჩებში და აღტაცებით ლაპარაკობდა გადაღებების მიმდინარეობაზე, იმაზე, თუ როგორ გადაწყდა თეატრის ეოლგოგრადში საგასტროლოდ მოგზაურობის გადადება სწორედ 1985 წლის ცხრა მაისამდე, როცა ეს გასტროლები დაუკავშირდებოდა ეოლგის-პირა ქალაქისათვის თავისი წინანდელი სახელის დაბრუნებას.

მეორე ფილმი გადაღებული იყო კიევის დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში და მწერალ ი. სტადნიუკის ნაწარმოების „ომის“ ეკრანიზაციის პირველ ცდას წარმოადგენდა.

მესამე დოკუმენტალური თხუთმეტსერიანი კინოფილმი სახელწოდებით — „თხუთმეტი სტრატეგიული გაელვება“ აგებული იყო გამოჩენილი მხედართმთავრების გ. ჟუკოვის, კ. როკოსოვსკის, ა. ვასილევსკის, ი. ბაგრამიანის და სხვათა მემუარულ მასალებზე, რომლებშიაც დიქტორის გარდა, მხოლოდ ისტორიული ფაქტები, მოვლენები, ადამიანები და გარემოებები მოქმედებდნენ თავიანთი სიმართლით, სიდიადით და მონუმენტალობით.

ახლაც თითქოს ყურში ჩამესმის დიქტორის შესანიშნავი დიქციით წარმოთქმული სიტყვები მთავარსარდლობის კაბინეტიდან: აქ ომის მთელ პერიოდში ფეხი არ დაუდგამს არც ერთ ფოტორეპორტიორს, რომ ისტორიას შემორჩენოდა მთავარსარდლის დაძაბული მუშაობის ალმბეჭდავი შტრიხები. მას ყოველი წუთი მხოლოდ მტერზე გამარჯვებისათვის ჰქონდა განკუთვნილი და არ იცლიდა ამგვარი „ფუფუნებისათვის“. ტელევიზორებს და კინოთეატრებს იმ დროს მილიონობით ხალხი რაღაც მონატრებულის, რაღაც დაკარგულის პოვნის იმედით უყურებდა. მათ ფსიქოლოგიურ განცდას უეჭველად ჰქონდა გარკვეული მითოლოგიური საფუძველი.

მესამე არგუმენტი — გამოხატული და გამოელენილი პუბლიკაციებში. 1985 წლის პირველი იანვრის ნომრიდან გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე დაიწყო ტონის და გეზის მიმცემი სტალინის სახელის

ხსენება დადებითობის კონტექსტებით, მისი გამონათქვამების ციტირებებით, მოგონებათა შტრიხებით, რაც დიდი ხნიდან გადაჩვეული მკითხველისათვის პრესისადმი ინტერესის გამაღრმავებელ და გამაცოცხლებელ ფაქტორად იქცა. ყოველივე ეს გრძელდებოდა მხოლოდ მარტის შუარიცხვებამდე, ე. ი. ჩერნენკოს სიკვდილამდე, რის შემდეგ ისევ შენელდა და მერე სულ მთლად შეწყდა.

აი, დროის ამ მცირე მონაკვეთიდან შემომრჩა მეხსიერებაში „პრავდის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მოსკოვის საქალაქო საბჭოს ომის დროინდელი თავმჯდომარის ე. პრონინის მოგონების ერთი ეპიზოდი, რომელიც 1941 წლის 7 ნოემბრის პარადის ჩატარებას ეხებოდა. თურმე მდგომარეობა იმდენად მძიმე, დრამატული, საგანგაშო ყოფილა, ელექტროდენის მოულოდნელად გამორთვის გამო სტალინის მიერ ამ პარადზე წარმოთქმული სიტყვის რადიოფირზე აღბეჭდვა ვერ მოხერხებულა. იგი სამუდამოდ დაიკარგებოდა ისტორიისათვის, თუარა თვით პრონინის გამბედაობა, რითაც მიუღწევიათ სტალინის სიტყვის განმეორების გზით ხმის ჩაწერაც და ტექსტის მთლიანად აღდგენაც.

მეოთხე და მთავარი არგუმენტი: საქართველოს კინოსტუდიის მიერ ცხრა მაისისათვის კინოეკრანებზე გამოსაშვებად მომზადებული იყო თ. აბულაძის ცნობილი სურათი „მონანიება“, რომელსაც არავითარი პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა ომის დამთავრებიდან ორმოცი წლისთავის საზეიმო აღნიშვნასთან. ჩერნენკოს სიკვდილიდან ცხრა მაისამდე დარჩენილ მოკლე დროში მ. გორბაჩოვმა, როგორც ჩანს, ვერ შეძლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე აღმავლობითი პროცესების შეჩერება, მომზადებული მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმების კონფისკაცია, საზოგადოებრივი აზრის და განწყობილების ერთბაშად დათრგუნვა, და დინებას მიყოლილი, იძულებული აღმოჩნდა ომის დამთავრებიდან ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ თაყვის პირველ მოხსენებაში მხურვალე ტაშისა და ოვაციის გამომწვევი თბილი სიტყვებით შეემოსა სტალინის სახელი, მისი როლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ამან გადაწყვიტა „მონანიების“ ეკრანზე გაუშვებლობის ბედი, რასაც მოჰყვა კასეტებით მისი არალეგალური გავრცელება, ხოლო იმ დროისათვის დაუშვებელ ასეთ ფარულ მოქმედებას — დამნაშავე პირთა დასჯა. 1985 წლის მხოლოდ მიწურულს, ოქტომბრის თვიდან მოხერხდა მისი ლეგალიზაცია. ამ კინოსურათის სცენარის ავ-

ტორობის გარშემო მაშინ დიდი დავა-კამათი ატყდა, რის გამო თვით სურათის იდეურ კონცეფციას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მისი ღირებულება ერთმა იტალიელმა ხელოვანმა ნახევისთანავე ორიოდე ფრაზით განსაზღვრა: აქამდე გვეგონა ფაშიზმის სამშობლოდ იტალიას თვლიდნენ და გვრცხვენოდა კიდეც ამის, თურმე, უფრო ადრე იგი საქართველოში არსებულაო.

დამდგმელმა კინორეჟისორმა მხოლოდ ამის შემდეგ იგრძნო მწვავე რეაქციის უხერხულობა და „პრავდის" ფურცლებიდან სცადა მისი გაფანტვა უსუსური არგუმენტით — ჩემს ფილმში ბოროტების ზოგადი სახეა დახატული და არა კონკრეტულიო. მაგრამ როცა ის ზოგადი კონკრეტული ისტორიული პიროვნების კონკრეტული მოუცილებელი პენსნეთი აღიჭურვა და ადვილად შესაცნობი პასაჟებით შეიმოსა, ცხადი იყო მთელი კავშირის მასშტაბით მონანიება პირველ რიგში საქართველოდან უნდა დაწყებულიყო.

მაგრამ 1937 წელი ხომ მარტო საქართველოში არ იყო? რატომ მსოფლიოს დასანახად იაგოდასა და ეჟოვზე უფრო მეტი ბოროტების შხამ-გესლით უნდა დადაღულიყო ტაძრისკენ მიმავალი გზა მაინც და მაინც ჩვენგან? აკი ცნობილი გახდა, რომ ორივე უფრო დიდი მასშტაბის ბოროტმოქმედები იყვნენ? უნებლიეთ მაგონდება რეზო ჭეიშვილის 70-იან წლებში გამოქვეყნებული ერთი მოთხრობის მეტად საზრისიანი სათაური „ნუ დაუშენთ ქვებს საკუთარ სახლს". განდიდება სხვის თავში საკუთარის ჩაწიხვლის, ფაშიზმის კერად საქართველოს აღიარებისათვის იდეოლოგიური ნიადაგის მომზადების ხარჯზე!

ასეთი იყო აღნიშნული ფილმი-სურათის გაშვება-არ გაშვების გარშემო მაშინ ატეხილი აურზაურის ძირითადი ასპექტი, რომელიც საბოლოოდ მიმართული იყო ანდროპოვის მიერ დასახული გეგმა-ვარაუდის ჩაშლისა და ჩახერგვისაკენ. ასევე ჩაიშალა და ჩაიხერგა მის მიერ სახელმწიფოებრივი დისციპლინის, წესრიგისა და კანონიერების აღდგენისაკენ გადადგმული პირველი გაბედული ნაბიჯები, რასაც მოჰყვა შუააზიაში, კერძოთ, უზბეკეთში ე. წ. „შაებნელი საქმეების" სწრაფად ამოტივტივება და სხვა სენსაციური ამბები.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ანდროპოვის ხელმძღვანელობის ხანმოკლე პერიოდი არსებითად მიჩნეული უნდა იქნეს კრემლის ზედაშელონებში XX ყრილობის სახელით კულტის საწინააღმდეგო ტენდენციების გამოვლენის უტყუარ ნიშნად, რაც, ვფიქრობთ,

კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს პოზიციას ამ საკითხზე და, ამასთან, კიდევ უფრო ნათელს ხდის გორბაჩოვ-იაკოვლევის ახალი ხრიკებისა და მოქმედებების ვერაგულ, გამყიდველურ, ავანტიურისტულ ხასიათს...

სტალინის ტრაგედია იმაშია, რომ მას არ აღმოაჩნდა მემკვიდრე არც სახელმწიფოებრივ, არც პარტიულ-პოლიტიკურ და არც პირადულ ცხოვრებაში (ვერც აღმოაჩნდებოდა, რადგან ასეთი პიროვნებების ბედი კოსმოსური განზომილებების მიღმაა საძიებელი). საერთოდ მას არ ჰქონდა პირადული ცხოვრება ჩვეულებრივი, ტრადიციული გაგებით[1]. ყველაფერი და ყოველივე იდეალს და ქვეყნის სამსახურს შესწირა. მისი ტრაგიზმი ამ მხრივ გაორმაგებული იყო. პირველი ცოლის ნაადრევ სიკვდილს ცხრაასიან წლებში ზედ დაერთო 30-იან წლებში მეორე ცოლის თვითსიკვდილი. სამი შვილიდან შთამომავალთა შორის მხოლოდ ერთადერთი — ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილი განაგრძობს მისი ქართული გვარის გენეალოგიას. სვეტლანა ალილუევა აღიარებს:

„როცა სვეტებიან დარბაზში თითქმის მთელი დღეები გაქვავებული უსიტყვოდ ვიდექი... მესმოდა, რომ დადგა რაღაცისგან განთავისუფლების დრო. ჯერ კიდევ არ ვიცოდი და ვერც გამეაზრებინა რა იყო, რაში გამოიხატებოდა იგი. ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ ეს იყო რაღაც უღლისგან ყველაზი და ჩემი განთავისუფლება; განთავისუფლება იმ უღლისგან, რომელიც ყველას სულსა და გულს აწვებოდა. ამავე დროს ვუყურებდი მის ლამაზ, მშვიდ და სევდიან სახეს, ვუსმენდი სამგლოვიარო მუსიკას (ძველ ქართულ იავნანას,

---

[1] 1951 წლის აგვისტოში ორი კვირა სტალინმა ბორჯომში გაატარა. იგი წუალტუბოდან ცხელი ამინდების გამო გადაიყვანეს იქ. ცხოვრობდა ლიკანის ტყიან მასივში რომანოვების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის მიერ სანადიროდ აშენებულ ერთსართულიან დაბალ სახლში, რომელსაც შესასვლელი პირდაპირ მიწიდან ჰქონდა. იმ დროის ხის საწოლზე იწვა. ქუდის დასაკიდად ლურსმანი თავისი ხელით მიუკეთებია თურმე კედლის ძელზე. 1985 წელს თვითონ ვნახე ის ლურსმანიც და ის წაალისფერი ლოგინიც. ა. მიქოიანის შვილი მამის კვალობაზე — სერგი მიქოიანი კი, სტალინის ვითომდა ფუფუნებით ცხოვრებაზე ყალბი წარმოდგენის შესაქმნელად, თავის ჩანაწერებში სტალინისათვის საგანგებოდ აგებულ აგარაკებს შორის ასახელებს ბორჯომსაც, რასაც არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. ასე ითხზებოდა ყოველნაირი მითი და სიცრუე ადამიანზე, რომლის ყოფიერება ისე იყო დაშორებული მისივე რომანტიკული სილაღით აღსავსე ცნობიერებისგან, როგორც დედამიწა — მზისგან.

ხალხური სიმღერის ნაღელიანი მელოდიით) და გული ნაღველისაგან მეწურებოდა. ვიგრძენი, რომ ყოველად უვარგისი შვილი ვიყავი, არასოდეს ვყოფილვარ კარგი, რომ სახლში უცხოსავით ვცხოვრობდი, ვერაფრით ვეხმარებოდი ამ მარტოსულ, მოხუც, ავადმყოფ, ყველასაგან განწირულ და ოლიმპოზე მყოფ ადამიანს" (ხაზგასმა ჩემია, — ა. თ. წიგნიდან: „ოცი წერილი მეგობარს").

„მარტოსული მოხუცი", ავადმყოფი, ყველასაგან განწირული და მაინც ოლიმპოზე მყოფი! (პირადი ექიმი ვინოგრადოვი 1953 წლის იანვარში მოაცილეს, პირადი დაცვის უფროსი გენერალი ვლასიკი, 1919 წლიდან რომ ემსახურებოდა, ერთი თვით ადრე მოუხსნეს, 1935 წლიდან უცვლელი და უერთგულესი თანაშემწე პოსკრიბიშევი 20 დღით ადრე... და კატასტროფაც დატრიალდა).

მოსკოვის სვეტებიან დარბაზში გაისმოდა ძველებური ქართული იავნანა!

შვილი თავისუფლდებოდა „იმ უღლისაგან, რომელიც ყველას სულსა და გულს აწვებოდა". რას ნიშნავდა სვეტლანა ალილუევასათვის ეს „უღელი"?

პირველ რიგში ნებიერად ცხოვრების უფლების აკრძალვას, შრომის ჩვევის გამომუშავებისაკენ მოწოდებას. სხვებისთვის? შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებას, შრომის იმ მაღალი კულტურისათვის ბრძოლას, რომლითაც ხასიათდებოდა და ხასიათდება თანამედროვე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ნებისმიერი წარმოება, დაწესებულება, ნებისმიერი ფაბრიკა თუ ქარხანა.

მაშასადამე, ის რაც წესიერებისა და დისციპლინის ჩვეულებრივ ტრადიციად ითვლებოდა დასავლეთ სამყაროში, ჩვენთან, სსრ კავშირში, მაშინ ახლად იკიდებდა ფეხს და ერთხანს, საზოგადოების პარაზიტულ წრეებში, გარკვეულწილად შეუგუებელ სატანად, დესპოტიზმის აუტანელ გამოხატულებად აღიქმებოდა. მისი ცალკეული ნიშნები სხვადასხვა ფორმით მალულად ყველგან ბუდობდა. საჯაროობის „ვარდყვავილობის" პერიოდში უცებ იჩინა თავი... და იფეთქა კიდეც.

...1989 წლის აპრილის შუა რიცხვების საგანგებო, განსაკუთრებული რეჟიმის მძიმე დღეები იყო, რაც მოითხოვდა მკაცრ წესრი-

გიანობას. ცხრაწევრიან კათედრაზე ბოლო ერთ წელიწადს მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება, როგორც ყველგან, მიკროანარქიაში გადაიზარდა. ორი ლაბორანტიდან კათედრაზე ერთი საათით ერთიც აღარ ჩერდებოდა. მოტყუებაში „იწრთობოდნენ“ და მეც, ტყუილების ორგანულად მოძულე, გამოსაცდელად თვალს ვარიდებდი. როცა თავაშვებულობამ ხსენებულ დღეებში გადააჭარბა ყოველგვარ საზღვარს, სხდომაზე განზრახ გავცხარდი, გამომწვევად მაგიდაზე სახაზაი დავატრიალე და... რეაქციამაც არ დააყოვნა. ერთ-ერთი უსაქმური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიიდან ჩემ მიერ გადმოყვანილმა თანამშრომელმა უცებ ისტერიულად წამოიკივლა:

— ძირს ტირანია! ძირს დესპოტიზმი! გაუმარჯოს დემოკრატიას და თავისუფლებას!

აი, მაშინ შევიცანი სიტყვა „ტირანის“ და „დესპოტის“, ანარქიაზე დაშენებული „თავისუფლების“ პირდაპირი, ნამდვილი მნიშვნელობა, ცოლისთვის თურმე დესპოტი და ტირანია ის ქმარი, რომელიც ოჯახში სისუფთავის მოყვარულია. მოსამსახურისათვის — ის ხელმძღვანელი ან დირექტორი, რომელიც ვერ ეგუება დროის ფუჭად დაკარგვას, სტუდენტისათვის — ის ლექტორი, რომელიც მკაცრად ეკიდება ცოდნის შემოწმებას.

საინტერესოა, როგორ შეაფასებდნენ ისინი ილია ჭავჭავაძის ქცევა-მოქმედების შესახებ პროფ. დავით თევზაძის პუბლიკაციით „ლიტერატურული საქართველოს“ 1987 წლის 23 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ ვასილ წერეთლის მოგონების იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია თანამშრომლებთან ურთიერთობაში ზოგჯერ მის უხეშობაზე, გაბრაზებაზე, სამუშაოდან ერთ-ერთი კრიტიკოსის მოხსნაზე?

„მახსოვს, ნიკო ხიზანიშვილმა ილიას საყვედურით მიმართა, — წერს ვ. წერეთელი, — ილია, შენ, როგორც რედაქტორს, დიდი დანაშაული მიგიძღვის, რადგანაც ყველა ნიჭიერი მწერალი ჩამოიშორე და აღარ დგას შენს გვერდითო. რატომ ჩამოიშორე დავით კეზელი, ილია ბახტაძე („ხონელი“) და სხვებიო. ილიამ დაიღრიალა, როგორც ფაფარაშლილმა ლომმა და მიუგო: „კეზელი ჩამოვიშორე. დიაღაც ჩამოვიშორე, რადგანაც ის ისეთი კაცია, რომ, თუ დასჭირდა, დაგაბეზღებსო. რაც შეეხება ხონელს, მას აქვს მცირე ღირებულების იუმორი რუსულ ენაზე, ქართულ ენაზე კი ეს ღირსებაც აკ-

ლიპო“. იგანე ზურაბაშვილის დახასიათებითაც ილია ჭავჭავაძე იყო „ხშირად მკაცრი და უკმეხი, მუდამ მებრძოლი, ამასთან თუ გნებავთ, სასტიკიც“ („სახალხო განათლება“, 1989, 9 აგვისტო).

სასტიკი მომთხოვნელობა ყველგან და ყველაფერში, შინ და გარეთ, მთელ უზარმაზარ სახელმწიფოში! — ასეთი იყო დიდი ნიჭით ღაჯილდოებული სტალინის ნატურა, რითაც „იპყრობდა ადამიანებს და შეუძლებელს გხდიდათ მისთვის წინააღმდეგობა გაგეწიათ“. შეიძლებოდა კი ამ პრინციპის მტკიცედ დაცვის გარეშე ისეთი სახელმწიფოს აშენება, როგორიც მან შექმნა?

განა ცამეტ წელიწადში ჰიტლერმა ებრაელების გენოციდით და უსასტიკესი რესპრესიებით სულ მთლად განადგურებამდე, დამარცხებამდე არ მიიყვანა გერმანია? მერედა, დასავლეთ ნაწილში ადენაუერმა მისი აღდგენა ჰიტლერის გინებით დაიწყო? ან ესპანეთში ფრანკოს დიქტატურის დროს მსხვერპლთა ჩონჩხების ძიება მისი სიკვდილის შემდეგ ქვეყნის იდეალად იქცა? და, საერთოდ, ნიშნავს თუ არა საქმისადმი მტკიცე მომთხოვნელობა ტირანიას? ყველა ამ კითხვაზე და, რაც მთავარია, კითხვებზე:

ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, სტალინი, როგორც ბრძენი პოლიტიკოსი, მოაზროვნე, თეორეტიკოსი და ორგანიზატორი, პიროვნება, ადამიანი, მოქალაქე, დიდბუნებოვანი თუ კაციჭამია დიქტატორი, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ამომწურავი პასუხი თანამედროვე დოკუმენტური პროზის კლასიკური ნიმუშიდან, რუსი მწერლის ელადიმერ უსპენსკის სინდისიერად დაწერილი ვრცელი ტრილოგიდან — „ბელადის საიდუმლო მრჩეველი“, რომელიც ჟურნალ „განთიადში“ სისტემატურად იბეჭდებოდა 1988 წლიდან (მთარგმნელი ავთანდილ ყურაშვილი)...

საოცარია, თითქოს მონოტონურ ხმებზე აწყობილ სამგლოვიარო სიმბოლურ გალობას ჰგავდეს:

...იყო და აღარ არის ჩემი სოფელი-სირიაჩქონი — სიღარიბიდან წელგამართულად წამომდგარი და რიონის წყალდიდობისგან უნდოდ წალეკილი.

...იყო და აღარ არის მამისეული ექვსთვალიანი ოდა სახლი ფოთის კავკასიის ქუჩაზე, სადაც სოფლურ ქოხთან და ჭრაქთან შედარებით, კარ-მიდამო ელექტრო შუქით იყო გაკაშკაშებულ-გაჩირაღდნებული.

...იყო და აღარ არის 1848 წელს გამოქვეყნებული „კომუნისტუ-

რი პარტიის მანიფესტიდან“ 1917 წელს ხელისუფლების სათავეში მსოფლიოში პირველად მოსული ის კომუნისტური პარტია, რომლის რიგებში სიშაბუკის ამ ქალაქიდან ვირიცხებოდი.

...ვითომ დადიოდა და ახლა აღარ დადის არათუ ევროპაში, მსოფლიოს კონტინენტის არც ერთ მატერიკზე კომუნიზმის აჩრდილის რაიმე ნასახი და მოჩვენებაც კი. მისი შემორჩენილი მბუტავი ლანდები კუბასა და აზიის განედებზე განწირულია გასაქრობად.

...იყო და აღარ არის ის სსრ კავშირი, რომლის დასაცავად დიდ სამამულო ომში ბრძოლა ნიშნავდა მასში გაერთიანებული ყველა რესპუბლიკის ინტერესებისათვის ბრძოლას.

...იყო, იყო, იყო... იყო და არა იყო რა, იყო ერთი...

ცვალებადია დღე, სხივთ ისარიც,
წელიწადები ასე გადიან.
ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის,
რომ ყველაფერი ცვალებადი.
(ალიო მირცხულავა)

ბარათი მეშვიდე.

ერთი დიდი ეპოქის უცნაური საწყისი ეტაპიდან, მისი მთლიანი წარსულიდან მოვდივარ მისსავე ნანგრევებზე ახლადშობილი, ჯერ კიდევ ბუნდოვანი მომავლისკენ იმედიანი მზერით. რაც ახლა ხდება, ქარიშხლის ამაოხრებელ მოვარდნას ჰგავს. არა ერთი სევდიანი პოეტური ქრონიკა საგანგებოდ მიეძღვნა რუსთაველის პროსპექტზე ძმათამკვლელ ამბებს. კრწანისის ისტორიული დროიდან გასულ ორასწლოვან ხანაში ამ პროსპექტზე ჩვენს თვალწინ დატრიალებულ ორ ტრაგედიას ორნაირი განფენილობა, გაგება და ახსნა მოეპოვება.

1989 წლის 9 აპრილი რაღაცათი ემსგავსება კრწანისის „საგარეო“ ასპექტს — უცხო ძალის უხეშ ჩარევას თავისუფლებისათვის აღზევებული მებრძოლი სულის ჩასაქოლად. ეს სული გამარჯვებული გამოვიდა 1795 წელს კრწანისში დამარცხების ნაცვლად.

რაღა გვეთქმის მეორე, უფრო დიდ, საზარელ, სამარცხვინო ტრაგედიაზე? ისიც ხომ თბილისში იმავ ადგილას, იმავე სასახლის მიდამოებში დატრიალდა ივერიის დაკარგული წმინდა კვერთხის კიდევ წასაბილწად უნდო და შხამგესლიანი? მართალია, იმავე მიდა-

მოში, მაგრამ გრძელდებოდა არა მხოლოდ ერთ დღედაღამეს, როგორც პირველ ბარათში მოგახსენეთ, არამედ დროის ვრცელ მონაკვეთში — 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 5 იანვრამდე. იგი შავ ლაქად შევიდა საქართველოს მდიდარ, სამაყო ისტორიაში. შავ ლაქად და მისგან მობრუნებად, მისგან განწმენდად, უკეთესი მომავლის გეზით.

ეს გეზი ამჟამად მწვავე საშინაო კრიზისს განიცდის. თითქოს ლეკიანობა, კრიმინოგენური გრიგალი თარეშობდეს საქართველოში, იძარცვებოდეს, იყიდებოდეს, იღუპებოდეს... თქვენ თვითონ ყველაფერს ხედავთ, ისმენთ, ყველაფერს გრძნობთ და კითხულობთ, რაც იწერება და ქვეყნდება პერიოდულ პრესაში. რაღა ჩემი მოწოდებული ცნობებით დაგიმძიმოთ ისედაც დამძიმებული თქვენი სულიერი და ეკონომიკური მდგომარეობა?

აი, ცოტათი მაინც მდგომარეობის შემსუბუქება იმით შეიძლებოდა, რომ გვეთქვა: ყალყზე შემდგარი გრიგალ-ქარიშხალი ხანგრძლივად ერთ ადგილზე ვერ შეჩერდება „საბუქნაოდ“ და საჯირითოდ. მოვა, უნდა მოვიდეს სიმშვიდე და სილაღე, მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს ერთგულება და სიმტკიცე. უნდა მოხდეს ეროვნულ მოძრაობაში შეპარულ სახელგატეხილთა, საეჭვო რეპუტაციის ინტელიგენტთა ფილტრაცია, ე. წ. „სადეგუსტაციო“ გადახარისხება მათივე ინტერესებისათვის პოლიტიკანობიდან ჩამოცილებით და საკვალიფიკაციო დიპლომის მისამართზე დასამაგრებლად.

მათ კისერზეა საქართველოს გათიშულობის, ურთიერთგადაკიდების, შიდა ბრძოლებში ასობით დაღუპული ახალგაზრდის, აოხრებული და განადგურებული ოჯახების ცოდვის ის გოლგოთა, აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოკრილი ყაჩაღური ბანდების ბარბაროსობის ის გაუგონარი ამბები, რომლებმაც შეაძრწუნეს საღად მოაზროვნე ადამიანთა მოწინავე საზოგადოება მთელ მსოფლიოში. თითქოს საშინელი, კოშმარული ღამეა ზვავად ჩამოწოლილი ჩვენს ბედკრულ ცაზე!

რაკი სიტყვა ეროვნულ მოძრაობაზე ჩამოვარდა, ნება მომეცით მცირე ინფორმაცია მოგაწოდოთ. ჯერ კიდევ 1960 წელს კამათის წესით გამოქვეყნებულ სტატიაში „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის“ (იხ. წიგნში „წერილები ლიტერატურულ საკითხებზე“) ჩვენ შევეცადეთ, რუსეთში 1825 წელს დეკაბრისტების გამოსვლიდან დაწყებული გან-

მართალი განმათავისუფლებელი მოძრაობისგან განსხვავებით, საქართველოში ეს მოძრაობა თავისი სპეციფიკურობით დაგეკავშირებინა ე რ ო ვ ნ უ ლ. ე. ი. ერთობლივად ეროვნულ და განმათავისუფლებელ მოძრაობასთან არა ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე გავრცელებული მხოლოდ 60-იანი წლების პერიოდის და მისი მომდევნო ხანის ისტორიული სინამდვილის მიხედვით, არამედ მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ გაჩაღებულ ხალხო აჯანყებებთან, კერძოთ, 30-იანი წლების ისეთ დიდ მოვლენასთან, როგორიც იყო 1832 წლის შეთქმულება. აქედან გაჩნდა ეროვნული მოძრაობის სამ ეტაპად დაყოფის იდეაც.

ამ იდეას ინტერესით ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა აწ განსვენებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიკოსი აკ. სურგულაძე, რომელმაც 1968 წელს გამოცემულ წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“ თითქმის მთელი გვერდი დაუთმო ჩვენი დებულების ციტირებას (იხ. გვ. 290), გაიზიარა იგი და გააშუქა უფრო ვრცლად მოხმობილი მასალების საფუძველზე. ალბ რომ, დასმულ პრობლემას ლოზუნგების ზეგავლენით კი არ ვიცნობ, მგონი, ცოტათი უფრო შორიდან. ამიტომ მივუბრუნდეთ ზემოთ, მეხუთე ბარათში მოტოვებულ საკითხს და გ ა კ ე რ ი თ შევეხოთ მის ზოგიერთ ასპექტს.

ზ. გამსახურდიას მიერ მ. ზანდუკელის საიუბილეო საღამოზე გამეღავნებული მიზანდასახულებით 1942 წლის შეთქმულება აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა იმ ღრმა იდეურ შინაარსს, რომელიც ჩადებული იყო თავიდან მცნებაში — „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“. ეს მცნება-ტერმინი ჩვენს სამეტყველო ლექსიკაში შემოვიდა და დამკვიდრდა სწორედ იმ ავადსახსენებელი 1937 წლიდან, როცა ერთდროულად ჩატარდა ქართული კულტურის ორი დიდი საზეიმო იუბილე — რუსთაველის დაბადების 750 წლისთავისა და ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავის აღსანიშნავად. ამ უკანასკნელის იუბილისათვის მზადების დღეებში გაზეთ „პრავდის“ მოწინავე წერილში პირველად გამოჩნდა რაპპელების მიერ ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ლამის გარიყული ილია ჭავჭავაძის სახელის მაღალი შეფასება. სახელდობრ:

„ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი და ორგანიზატორი“. ეს ფორმულირება და თვით იუბილის ჩატარების იდეა მოდიოდა სტალინისგან, რო-

შელმაც ჯერ კიდევ 1904 წელს სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“ გარკვეული შეფასება მისცა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ 1832 წლის ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულებას.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებით მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის თითქმის 10-იანი წლების ბოლომდე, ე. ი. 1918 წლამდე საქართველო მოკლებული იყო არა მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მმართველობის, არამედ სკოლებში მოზარდი თაობის მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებასაც. ასე შეერთდა ერთმანეთთან **ეროვნული ჩაგვრისაგან** ხსნისა და **პოლიტიკური ბატონობისგან** განთავისუფლებისათვის ბრძოლის მიზან-ამოცანები. 1921 წლიდანაც ქართული ენა ერთიან სახელმწიფო ენად იყო გამოცხადებული და ყველგან დაარსებულ მასობრივ სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. გამომდინარე აქედან, რა კავშირი უნდა ჰქონოდა 1942 წელს ბოლშევიკური ტირანიის ფაშისტური ტირანიით შეცვლას მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის მიერ გაჩაღებულ ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან?!

ცარიზმის დამხობაში 1917 წელს არავითარი უშუალო მონაწილეობა არ მიუღია არც ქართველ მენშევიკებს და არც რუს ბოლშევიკებს. მეფე ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადააყენა ესერების სოციალისტურმა პარტიამ და ამ დროიდან, უფრო ზუსტად, კავკასიაში მეფის ნაცვალის მიერ თბილისის დატოვების თარიღიდან საქართველოში ნიადაგი გამოეცალა ნაციონალურ ჩაგვრას, ნაციონალური, ან ეროვნული ენის სკოლებიდან რაიმე გზით განდევნას[1] და სხვა ერის წარმომადგენლების ბატონობას ქვეყნის შიდა პოლიტიკური ცხოვრების მართვა-გამგეობაში. ეს გარემოება იქცა საუკუნის განმავლობაში შელახული ეროვნული ღირსების, ჩახშობილი ეროვნული გრძნობის და ჩაკლული ეროვნული სულის ერთბაშად აღზევებისა და ამაღლების საწინდრად.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის შთაბეჭდილებით აღფრთოვანებული გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ყრილობა ერთს მაგარს რაზმს წარმოადგენდა. აღარსად ჩანდა ჩვეული ჯგუფური და-

[1] ხრუშჩოვ-სუსლოვის პერიოდებიდან ცალკეულ დამახინჯებებს არ შეეძლოთ და ვერც შეძლეს ხელი შეეშალათ მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებაზე, ჩაიფუშა ერთენოვანი „საბჭოთა ადამიანის“ აღზრდის მათი უბადრუკი იდეაც.

ყოფა, ალარსად ისმოდა საშინელი „შენჩემობა“, აღარ იყო შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს პირველი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილთა შორის ერთიმეორის მანადგურებელი განხეთქილება“ (გაზეთი „საქართველო“, 1917, 25 გიორგობისთვე).

პირველ ორ წელიწადს, ე. ი. 1917-1919 წლებში დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ საქართველოს მოწინავე ძალებისათვის რეალურ საფრთხედ იდგა მისი **შენარჩუნების** საკითხი. ნ. ჟორდანია აღიარებს: „პოლიტიკურად ჩვენ ვიდექით თავისუფალი რეჟიმის ნიადაგზე. დემოკრატიული რესპუბლიკა ამას გულისხმობს. მაგრამ არ ვიცავდით ყველა ფორმის თავისუფლებას, არც პრესის, არც აგიტაციის. ის გაზეთები, რუსული და სომხური, რომელნიც ჩვენს დამოუკიდებლობას არ იცავდნენ, დავხურეთ და სამაგიეროს გამოცემის ნება არ მივეცით. პრესა იყო თავისუფალი მხოლოდ დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ბატონობის ფარგლებში. ვინც ამ ორ ძირითად დებულებას ებრძოდა, ის იდევნებოდა“ („ჩემი წარსული“, გამომცემლობა „სარანგი“, 1990, გვ. 108-109).

შინაურ წინააღმდეგობებთან ერთად ამ ხანებში გენერალ დენიკინის გამოლაშქრებას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს დასაბრუნებლად უპირისპირდებოდა სამოქალაქო ომში ჩაბმული ლენინის ხელისუფლების ორიენტაცია. ორივეს მიმართ საქართველოს მაშინდელ მესვეურებს ევროპის, პირველ რიგში ინგლისის პროტექტორატობის იმედით უარყოფითი პოზიცია ეკავათ. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება განაპირობა, ერთი მხრივ, ევროპული მხარის მერყეობამ, ხოლო, მეორის მხრივ, დენიკინის აგრესიულმა მოწოდებამ: „საქართველო ჩვენ გვეკავა და ჩვენ უნდა დავიკავოთ“ (1919 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული ანონიმური წიგნიდან, გვ. 56).

1921 წლიდან საქართველოს ხელში ჩაგდება კომუნისტური ჯარების მეშვეობით და კომუნისტური წყობილების დამყარება არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ცარიზმის მმართველობის სისტემასთან და გარუსების იმ საგანმანათლებლო ხაზთან და მიმართულებასთან, რომელსაც ატარებდა იგი. ცარიზმი, როგორც ხალხთა საპყრობილე, მაშინ ერთნაირად სძულდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე განაყოფს — მენშევიზმი იქნებოდა ეს თუ ბოლშევიზმი და მშობლიურ ენაზე სკოლებში სწავლების, ეროვნული ძალებით ქვეყნის

მეთაურობის მათი პოლიტიკა არსებითად არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

სწავლების ეროვნული კონცეფციის შემუშავების სათავეებთან იდგნენ: ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, მიხეილ ზანდუკელი, ნიკო მუსხელიშვილი და სხვა მრავალი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი. ეს კონცეფცია მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მყარ ფუნდამენტს წარმოადგენდა, რომლის განხორციელებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ადრე დეფილი ძირითადი სასწავლო საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია. სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა 18 უმაღლესი სასწავლებლის, ექვსი ათასამდე დაწყებითი და საშუალო სკოლის, ბაგა-ბაღების, ტექნიკუმების, თეატრების, კლუბების, კულტურის სახლების ფართო ქსელი ქართული ნაციონალური კულტურის აღმავლობის უტყუარი ფაქტი იყო.

ამ ტრივიალურ ამბებს იმიტომ შეგახსენებთ, რომ თქვენთვის ნათელი გახდეს ელემენტარული ჭეშმარიტება. „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მცნებაში თავიდანვე ჩადებული შინაარსი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების განვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობის შესაბამისად ლოგიკურად განიცდიდა გარკვეულ მეტამორფოზას, ტრანსფორმაციას, ამის შედეგად იგი ბუნებრივად ცილდებოდა თავის პირვანდელ ზოგადეთიკურ ამოცანებს, იღებდა ხან სახალხო-განმათავისუფლებელ და უფრო პოლიტიკურ, ან ძალაუფლებისათვის ბრძოლის ხასიათს[1].

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველა ქვეყანაში მეტნაკლებად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკური მიზნებისათვის ბრძოლის არენად იქცა და, ცხადია, ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ის სიმძლავრე, ეროვნული ძალების კონსოლიდირების ის ფუნქცია, რაც ჩანასახ და ადრეულ ეტაპებზე

[1] უნდა განვასხვაოთ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის ეტაპი მოპოვებულის შესანარჩუნებლად ბრძოლის ეტაპისაგან, თვით ეროვნული მოძრაობა ამ ეტაპზე პოლიტიკური ინტერესებითა და მიზნებით გამსჭვალული მოძრაობისაგან, გარეშე ძალების წინააღმდეგ ომი — შინა ან სამოქალაქო ომისგან. ამ თვალსაზრისით სსრ კავშირის პირობებში 1924 წლის მენშევიკური აჯანყება არა ეროვნული, არამედ მარქსიზმის ორ განშტოებას შორის ძალაუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლის მკაფიო გამოვლინება იყო. (გ. მაზნიაშვილის, რ. გაბაშვილის მოგონებანი).

ჰქონდა. ასე მოხდა ჩვენშიაც. ახლა შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, მიუხედავად გარკვეული დამსახურებისა, დეკემბერ-იანვრის შეიარაღებული ბრძოლა პარლამენტის პოზიციონერთა და ოპოზიციონერთა შორის ფაქტობრივად ქართული ეროვნული მოძრაობისათვის ის ლახვარი იყო, რომელმაც წარუხოცელი ჩირქი მოსცხო მის სახელს.

მრავალზე მრავალი პარტიობანას ნიშნით მოვლენათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნული მოღვაწის კრიტერიუმად ნაკლებად გამოდგება მარტოოდენ პატიმრობით, დისიდენტობით ან პროკლამაციების ფარულად გავრცელების ფაქტით თავის მოწონება და ტრაბახი. გრიგოლ ორბელიანი გადასახლებული იყო 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. ამ უკანასკნელს არასოდეს დაუყვედრებია ვინმესთვის თავისი „დამსახურება“ შორეულ ჩრდილოეთში ცივი „უგარის“ გადატანით, საკუთარი განცდები მხოლოდ ლექსში ჩააქსოვა („იარალის“), ხოლო ილია ჭავჭავაძის ეროვნულ მოღვაწეობაზე არავის შეუტანია ეჭვი იმის გამო, რომ ციხის კარები არ უნახავს.

ყოფილი დისიდენტი, საზღვარგარეთ მცხოვრები რუსი პოლიტოლოგი ალექსანდრე ზინოვიევი აღიარებს: ახალგაზრდობაში სტალინის მოკვლა მქონდა განზრახული, ომში გამარჯვების შემდეგ შეხედულება შემეცვალა. უცხოეთში ცხოვრებამ კი დამარწმუნა, რუსეთისათვის საბჭოთა ხელისუფლებაზე უკეთესი წყობილება მსოფლიოში არ არსებობსო („პრავდა“, 1990, № 157). ასეთია ახალგაზრდული დილეტანტობის ან, საერთოდ, დილეტანტიზმის სავალალო შედეგი. იგი თვით ავლენს თავის ფსევდოფილოსოფიის სიღატაკეს.

ოცდაათი წლის განმავლობაში საშუალო და უმაღლესი სკოლებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს მეშვეობით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პრობლემატიკის კონკრეტიზება განა ხელს არ უწყობდა ზარის მომხმობი ილიასეული აზრების პროპაგანდირებას, ლელთ ღუნიას მოწოდების აღორძინებისა და ხორცშესხმისაკენ მებრძოლი სულისკვეთების, ეროვნული თ ვ ით შ ე გ ნ ე ბ ი ს გაღვივებას? განა არ შეიძლებოდა მის ავტორს სხვა ნაწარმოები შეერჩია საილუსტრაციოდ? მით უფრო მაშინ, როცა ცენტრისტული შოვინიზმის მოძალებით ჩვენს სკოლებში „მგზავრის წერილების“ მთავარი იდეის გამოჩენის მოთხოვნა შერბილებული კი არა,

ფაქტობრივად მიჩქმალულიც იყო? („სახალხო განათლება", 18. XII. 1991).

მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიის სამეცნიერო დარგების ყოველი ჭეშმარიტი წარმომადგენელი, პოეტი, მწერალი, ხელოვანი, მკვლევარი, მეცნიერი, მასწავლებელი მეტ-ნაკლებად ეროვნული საქმის მსახურია (ი. გოგებაშვილის რანგისა არა, მაგრამ მისდამი მიბაძვით) და რატომ უნდა მივაყენოთ შეურაცხყოფა იმ ადამიანებს, ვისთვისაც მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ო ბ ა მოვალეობის თავმდაბლური განცდაა და არა პირმოთნეობის, ემბიციის და რეკლამირების საშუალება?! აკი გაჩნდნენ კიდეც თ ვ ი თ მ ა რ ქ ვ ი ა ერისკაცები, პრეზიდენტები, ლაურეატებიც და... წარმოიდგინეთ — პოლიტიკოსებიც!

ამა თუ იმ მოძრაობის ლიდერი ფასდება ურყევ რწმენად ქცეული საზოგადოებრივი მრწამსისადმი უანგარო ერთგულებით. თუ მის ქცევებსა და მოქმედებებში, სიტყვასა და საქმეებში ურთიერთსაწინააღმდეგო, ლიდერისათვის შეუფერებელი წინდაუხედაობები ვლინდება, თუ მას არ აღმოაჩნდა ქვეყნის ხელმძღვანელობის ორგანიზატორული უნარი, დემოკრატიის ცივილიზებული კანონით, იგი თვითონ უნდა განუდგეს სახელმწიფოს მართვის საქმეს, უწინარესად თვით უნდა შეიგნოს თავისი შეცდომები და ეყოს გამბედაობა აღიაროს იგი. დემოკრატიის ასეთი ადათ-წესი ანტიკური დროიდან მომდინარეობს. იგი ისეთივე ბუნებრივ ჩვევად უნდა ჩამოყალიბდეს ჩვენშიც, როგორადაც, მაგალითად, თავისუფალი სეირნობის დროს ხელების წინ და უკან მოძრაობა გვიხდება ქვეშეცნეულად, ე. ი. უნებურად, ინსტინქტურად.

სიჯიუტის ყოველი ნიშან-თვისება სხვანაირად, გარდა იმისა, რომ უზურპატორული, ტოტალიტარული მიდრეკილების გამოხატულებაა, იგი ლიდერის მრწამსის მერყეობის, გამოუცდელობის, ერისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის მოდუნების, მაშასადამე, სამოღვაწეო არენიდან უცილობელი გასვლის ნიშან-არგუმენტია. უბრალო მაგალითიც საკმარისია.

როცა ქვეყნის მეთაურად გახდომისთანავე სამეცნიერო-ლიტერატურული წიგნების, მათ შორის ლექსების კრებულის, გამოცემის, რუსთაველის რესტავრირებული ძეგლის საზეიმოდ გახსნის დღე და საათის მამის მემორიალის გახსნასთან დაკავშირების, ე. ი. კ. გამსა-

ხურდიას რუსთაველთან გატოლების,[1] თანამდებობის გამოყენებით გადოქტორების ფაქტებთან გვაქვს საქმე, არ არის საჭირო არავითარი დამატებითი მასალების ძებნა იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთ მეთაურს ტყუილად უკისრია ლიდერობა. (ფრიად განათლებულს ამგვარ საქმეებზე ადრეც შეეძლო ეზრუნა). ხალხის საკეთილდღეოდ ზრუნვის ნაცვლად პირადი კულტურული საქმით დაკავებულის გარემოცვა ასეთ ხელსაყრელ ვითარებაში ყოველთვის პირადი გამორჩენის ბინძურ ხრიკებს ეძებს, ხოლო ხელმძღვანელობაში ალთაბალთობის ატმოსფერო ისადგურებს.

აკი მართლაც, პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომისიის მაშინდელი თავმჯდომარე მისაღებ გამოცდებზე პროტექციონიზმისა და „ძმა-ბიჭობის“ წინააღმდეგ, ვითომდა, თავგამოდებით რომ იბრძოდა, მთავრობის თავმჯდომარის ასევე მაშინდელი პირველი მოადგილე პრესის ფურცლებიდან ქართველის გენებში ჩასახულ მის ისტორიულ მნიშვნელობაზე ქადაგებდა. საზოგადო საქმე წმინდად უნდა კეთდებოდეს, პირადული, სიყვარულიც რომ იყოს, შიგ არ უნდა გაერიოს, თორემ ბედნიერება ბედნიერება არ იქნება. — ასე მოძღვრავდა გლეხური სიბრძნით დაჯილდოებული ტარიელ გოლუა ჯერ კიდევ 1905-იან წლებში ერთობის წინამძღოლ თავის ახალგაზრდა შვილს, ლევანს და ჩამოაცილა კიდეც ხალხის მეთაურობას შეცდომის დაშვებისათვის.

ცხადია, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ეროვნული მოძრაობის ლიდერის მარცხი თვით მოძრაობის მარცხიც არის, რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა მოვლენების განვითარების ის დრამატული დაძაბულობა, რაც, სამწუხაროდ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მწვავედ იგრძნობა დღევანდელობის სისხლით შეღებილ სიტუაციებში...

ეცადეთ თავაზიანად გაუმკლავდეთ მოსალოდნელ მთავარ საფრთხეს — უცხოელთა მოზღვავების ზეგავლენისგან გადაარჩინოთ ეროვნული მ ე ო ბ ი ს კოლორიტულობა, ჩვენი დედაენის სიწმინდე. ამას ვერ მიაღწევთ ვერც კონსერვატიზმის — ძველი ტოპონიმების (ჩუღურეთი, ავლაბარი და მისთანების) რესტავრაციის გზით და ვერც პროვინციალიზმის — უცხოური ცნება-ტერმინების წინაშე

[1] სამწუხაროა, რომ ეს ფაქტი მოხდა საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით.

(პრეფექტი, პოლიცია, მერია და სხვა) ზედმეტი კეკლუცობის გამოჩენით. ფორმის გარეგნული ზიზილ-პიპილები ვერ ამოაესებს შინაარსის შინაგან სიცარიელეს. გერმანულ სიზუსტეს და ამერიკულ საქმიანობას სიძუნწეც და სიხარბეც თან სდევს, ხოლო გადაჭარბებულ გულუხვობას — სინანული.

ამიტომ ურთიერთობათა აღზევებაში ალრევა და ასიმილირება რომ არ მოხდეს, გაუფრთხილდით და მოუარეთ საკუთარი ხალხის თვისებათა, ხასიათთა და ზნე-ჩვეულებათა ოქროს საბადოებს, სულიერ და მატერიალურ წიაღისეულ სიმდიდრეს,· ქართული ენის ლექსიკას, მათი საგანძურიდან გამოიყენეთ ყოველივე კარგი და ლამაზი დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობისათვის. ამ საერთო და სანუკვარი მიზანდასახულების ჭერქვეშ გასაყოფი ხაზი არ არსებობს.

ამიერიდან მისი სიძლიერე და უკვდავება საოჯახო მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ი ს, საოჯახო ალბომების, როგორც რელიკვიის, შენახვის, შთამომავალთა სულიერი და მატერიალური კავშირების ურღვევობაშია ჩაკირული და ჩაგვირისტებული. თითოეული ოჯახი — საქართველოს ბურჯი! ასე ისახება მისი როლი და მისია თანამედროვე საქართველოს მომავალ სახელმწიფოებრივ უჩინარ სტრუქტურებში.

ამ ოჯახებში უნდა სუფევდეს მხოლოდ შრომით შეძენილი სიმდიდრე (ბიზნესმენობაც ხომ თავისებური შრომაა), ღვთით ბოძებული სიკეთე, ურთიერთ წრფელი ნათესაური სიყვარული, იდილიური კდემამოსილების უძველესი ფესვებიდან აღმოცენებული ზრდილობა და მხოლოდ სიმართლის კულტი. მაშინ შური და შუღლი, სიხარბე, თაღლითობა, თავხედობა და მატყუარობა — ყოველგვარი ბოროტების საწყისი ბაცილები — თავად ჩაიმარხებიან მოუსავლეთის საფლობში. გენეტიკის მღვრიე ნაშთებს გენეტიკის ძირებითვე უნდა ეებრძოლეთ.

ამ მხრივ, კერძოთ, გენეტიკური ნიშნების თვალსაზრისით, არც ისე სახარბიელო დახასიათება მოგვყვება. დავით აღმაშენებლის მემატიანე გადმოგვცემს: „ხოლო არიანცა რომელნი აბრალებენ მეფესა განუსუენებლობასა სპათასა და ამაღლებასა უაზნოთასა და დამდაბლებასა გუარიანთასა; არამედ ვინაჲთგან ნათესავნი ქართველნი ორგულ-ბუნება არიან პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნიან, განსუქდიან და განისუენიან, იწყებენ განზრახ-

ვასა ბოროტსა, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე ქართლისა ძუელი და ახალი". („ქართლის ცხოვრება", სიმონ ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობით, რედაქციით და კომენტარებით, 1973, გვ. 164)[1].

ილია ჭავჭავაძის პოეტური მოწოდება — მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი — მოწოდებად დარჩა. წარსულის ჭარბი, გაუმართლებელი იდეალიზაცია ტრაბახისა და კუდაბზიკური პატიემოყვარეობის საგნად იქცა. ბუნებრივი ადგილმდებარეობით განებივრებამ წარმოშვა ყოველგვარი სიგლახე, მათ შორის ლუარსაბ თათქარიძის ფენომენიდან გამონაყარი ყველაზე საშიში მეტასტაზები — აწმყოსადმი უდარდელობა და უპასუხისმგებლობა. მისი შენების პათოსით ყოველდღიურ განმსჭვალვას წინ გადაეღობა ნგრევის და განადგურების ველური სტიქია, რომელიც ძირს უთხრის მომავალს — შვილთა და შვილიშვილთა სადგომისს. რა იყავი წარსულში — ერთია, რა ხარ დღეს — მეორე, სრულიად დაშორებული და გადამწყვეტი. არსებითად არაფერია შეცვლილი ზემოთმოტანილი მემატიანის მიერ ჩვენი უარყოფითად მახასიათებელი ცნობების მოწოდების დროიდან. ისევ ისე წამოყო თავი ბოროტმა ზრახვებმა, ურთიერთ მტრობამ და ღალატმა.

გროზნოდან ადრე მოსული სარწმუნო წყაროებით საქართველო იქ დაყოფილი იყო სამ ნაწილად... ამას, ალბათ, უნდა მოჰყვეს საგეარეულოების,[1] სამთავროების, სატახტოების რესტავრაციაც. უკან მიბრუნება ოთხი-ხუთი საუკუნით. რა გასაკვირია, განა იმერეთის მეფის თურქეთიდან გადმოსვენების ცერემონია ამისკენ სწრაფვას არ მოასწავებდა? განა სირცხვილისგან არ უნდა იწვოდე, როცა ისმენ, დიდი კულტურის ერის შვილმა ბავშვი გაიტაცა დიდძალი ფულის გამოძალვისთვისო?!

თუ ჩვენი ერის ილიასებური სარკაზმული დახასიათება („ბედნიერი ერი") და აკაკი წერეთლის შეძახილი — ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო, საუკუნის წინ რაიმე საჩოთიროდ მიაჩნდათ, იგი ახლა რეალურ გამართლებას პოულობს უღირს ქართველთა ქცევა-მოქმედებებში და სარკესავით წინ გვიდგას ჩასახედად და საკუთარი სიმახინჯის შესაცნობად. სავსებით გამართლებული და დროული

---

[1] ბაში-აჩუკობაც და მამლუქობაც ჩვენი გენეტიკური ისტორიის განუყოფელი ტრაგიკული ნაწილია.

[1] საგვარეულო სასაფლაოებისკენ მიბრუნების ცდები აკი გამოჩნდა. აკი გაჩნდა საგვარეულო საზოგადოებების ჩამოყალიბების ტენდენციაც!

იყო პროფ. ლევან სანიკიძის მიერ ამას წინათ ქართველთა სამასზე მეტი სირცხვილის აღმნუსხველი ცალკე წიგნის გამოცემა და სავსებით გაუმართლებელი მის წინააღმდეგ ზოგიერთთა გალაშქრება. როცა „უქარქაშო ხმლების“ ავტორს უფრო ადრე გამეტებით ესხმოდნენ თავს, მეთოდიკური სახელმძღვანელოს თორმეტათასტირაჟიან მეხუთე გამოცემაში რეკომენდაციას ვაძლევდი საგნის მასწავლებლებს სკოლებში მისი გამოყენების შესახებ (იხ. 1983, გვ. 225); ამას მოითხოვდა თანადგომა, ობიექტურობა: იგი ყველას უნდა ამშვენებდეს.

ბნელი ტენდენციებიდან, დაბნეულობიდან და თავზარდაცემულობიდან ერთობლივი განდგომით ყველანი მთელი ძალღონით ერთიანი, ძლიერი, მისაბაძი და მიმზიდველი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნისკენ. — აი, რა უნდა იყოს დღევანდელობის მამოძრავებელი, მაორგანიზებელი, მამობილიზებელი მთავარი ამოცანა.

ამ გზაზე საქართველოს წინსვლისათვის უპირველესი ფაქტორი ზნეობრიობასთან ერთად საგნის ცოდნის, პროფესიული მომზადების, განათლებულობის, შრომა-საქმიანობის უნივერსალიზმია. 50-იანი წლებიდან ამ მიმართულებით ყურადღების მოდუნება-დაქვეითებამ ჯერ მეცნიერული სკოლების თანდათან გაუჩინარებამდე მიგვიყვანა, შემდგომ მომთხოვნელობამ ცოდნის მიმართ კიდევ უფრო დაჰკარგა ფასი, ხოლო კერძო ფასიანი სასწავლებლების უკონტროლო და უთავბოლო მომრავლებით ამჟამად მისი ღირებულება სულ მთლად დაეცა და გაუფასურდა. ზნეობრივ დევალვაციას დაემატა ფულით ნაყიდი ცოდნის დევალვაციაც, შრომის ნაყოფიერების ზრდას — მისი უგულებელყოფა.

ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის მოძღვარი, პედაგოგი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი პადრე ბარტოლომე ვისენსი, რომელმაც მადრიდში 1962 წელს შექმნა პედაგოგიური ცენტრი, მოსკოველ ჟურნალისტთან ინტერვიუში აღნიშნავდა: „სწავლება ამ ცენტრში დაყენებული იყო კარგად, ისე სერიოზულად, რომ დატვირთვა იყო დიდი, ხოლო დისციპლინა მკაცრი, შეიძლება ითქვას — უსასტიკესი. ვინც გაუძლო და აიტანა, შემდგომ ესპანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში გახდნენ გამოჩენილ ფიგურებად. მათ შორისაა ხუან კარლოსი, რომელიც იმდენად ნორმალური ადამიანია, მარტო ღმერთმა იცის, რომ ის მეფეა“ („იზვესტია“, 1989, № 14).

ჩვენთან კი დათმობის, ლმობიერების, ლიბერალიზმის ფესვგად-

გმულმა ტენდენციამ იქამდე მიიყვანა საუნივერსიტეტო განათლების ისტორიაში საქმე, რომ 1989 და 1990 წლების ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა პროტესტი განაცხადეს კვალიფიკაციის მიმნიშვნელ სპეციალურ საგნებში სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებაზე და ისე მიიღეს დიპლომი, არავითარი უხერხულობა არ უგრძვნიათ ამ აქციის მოწყობით. პირიქით — ამაყობდნენ და ტრაბახობდნენ კიდეც. არაფორმალურ მოძრაობაში 1988 წლიდან აქტიურად ჩაბმული ვიყავით? ლოზუნგებს ლოზუნგებით ვუპასუხებდით? მაშ დიპლომიც გვეკუთვნოდა. დავიჯეროთ ერთეულებივით ყველა ვუნდერკინდი იყო?! აი, ცოდნის უნივერსალიზმის გაყალბების ერთი ნიმუში.

მეორე მაგალითი. ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება და მისდამი იმედგაცრუების სათავე გაჩნდა არა მხოლოდ ადრე და არა მხოლოდ მთავრობის სასახლის წინ დადგმული სამარცხვინო კარვებიდან, არამედ იმ სიმღერიდან („ზვიადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო"), რომელიც გაისმოდა 1991 წლის ოქტომბრის დღეებში სასახლის მოედანზე გამართულ საინფორმაციო მიტინგებზე. იმ სიმღერის ავტორს რომ სცოდნოდა, რა ზიანს აყენებდა იგი თავისი არაპროფესიულობით ყოფილ პრეზიდენტს და თვით მოძრაობას, არა მგონია წასულიყო პოპულისტურ ავანტიურაზე.

მესამე მაგალითი. ჩვენი სკოლების აღზრდა-განათლების სისტემას უცნაურობის უცხო ბზარი იმავე 1991 წლის დასაწყისიდან დაეტყო, როცა განათლების მინისტრების ხშირ შეცვლასთან ერთად იყო ცდა ნ. ჟორდანიას წიგნი „ჩემი წარსული" გადაექციათ მოსწავლეთა იდეოლოგიური აღზრდის სახელმძღვანელოდ. მოგონებათა ამ წიგნში ხომ უარყოფილი, დაგმობილი მარქსიზმის მოძღვრების საქართველოში გავრცელებაზეა ლაპარაკი?! ანტიმარქსისტული მთავრობა და მარქსისტული იდეებით აღზრდაზე ფიქრი და მოწოდება! აი, სანამდე მიდიოდა ხელმძღვანელ ორგანოებში კონკრეტული მოცემული თანამდებობისათვის შეუსაბამოთა შერჩევის საქმე. ასეთი პრაქტიკა ახლაც გრძელდება.

მეოთხე მაგალითი. „სახალხო განათლების" მონაცვლე სახელწოდების გაზეთ „ერის" ფურცლებზე (12.VI.91) ერთმა ისტორიკოსმა დაიწყო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიათა ისტორიის მასალების პუბლიკაცია. ამ მიმართულებით ახლა პარტისტორიის ყოფილი კათედრები, ამბობენ, კვლევა-ძიებით მუშაობას

აწარმოებენო. პუბლიკაციის ავტორის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, რათა ხელი არ შეეშალოს ერთი საგნის ნაცვლად მეორე საგნის საათობრივ დატვირთვაში ხელფასის მისაღებად. მაგრამ სხვების საყურადღებოდაც მინდა შევნიშნო, ასეთ თემაზე ყოველი პუბლიკაცია, ისიც სურათით, განსაკუთრებულ სიფრთხილეს და დაკვირვებულობას მოითხოვს. შეცდომა ადვილად გადადის გაზეთიდან წიგნში, ორიენტირიდან — მკითხველთა ცნობიერებაში. მისი ამოგდება იქიდან ძნელია.

ერთ-ერთი პუბლიკაცია შეეხებოდა საქართველოში სოციალისტ-ესერების პარტიას და მის მთავარ წარმომადგენელთა შორის დასახელებული აღმოჩნდა მწერალი ლეო ქიაჩელი. ფოტოკლიშეში სულ ბოლო ადგილი უკავია. ორჯერ გამოქვეყნდა ჩემი მონოგრაფია ლეო ქიაჩელზე 1977 და 1984 წლებში და მასში დაწვრილებით არის აღწერილი მწერლის ცხოვრების ბიოგრაფია სათანადო საარქივო წყაროების მითითებით. ჩვენს ხელთ არის მისივე ავტობიოგრაფია, ანკეტა, რომლის უკანასკნელი, 1956 წლით დათარიღებული ვარიანტი ინახება გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

არასოდეს ლეო ქიაჩელი არ იყო ესერების პარტიის წევრი. იგი, როგორც მენშევიკი, 1918-1921 წლებში ზუგდიდის ერობის თავმჯდომარედ მუშაობდა. ამ თანამდებობაზე კი ესერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. საიდან მოდის შეცდომა? იყო ლეონ შენგელაიას გვარსახელით მეორე, მწერლის გვარსახელის მატარებელი პიროვნება, რომელიც მართლა შედიოდა დასახელებულ პარტიაში. მაშასადამე, ისტორიკოსმა-მკვლევარმა ვერ გაარკვია ესერებსა და სოციალ-დემოკრატებს, კერძოთ, მენშევიკებს შორის პოლიტიკური სხვაობის ნიშნები. რა ვუწოდოთ ამას, არა კომპეტენტურობა თუ არაპროფესიონალიზმი? ორივე შემთხვევაში სამწუხარო ფაქტია (არაფერს ვამბობთ სამხედრო თავდაცვით და სხვა დარგში შესაფერი ხელმძღვანელი კადრების აბსოლუტურ დეფიციტზე).

ამიტომაა საჭირო სპეციალისტის მომზადებისადმი მოთხოვნის გამკაცრება. „ძმა-ბიჭობით" და „საქართველოა, ხომ იცი" — ძახილნუგეშით აშენებული ტაძარი კვლავ ასაშენებელი გახდება. ჩვენ ახლა ამ ტაძრის აშენების ყველაზე საპასუხისმგებლო სტადიაზე ვიმყოფებით. დემოკრატიის ანბანიდან დემოკრატიული წყობილების მშენებლობის ანბანს უნდა შევუდგეთ. ეს არ არის შეჰერეზადას

„ათასერთი ღამის“ ზღაპარი. ეს არის ის მიტოვებული ყამირი, რომლის ათვისების მხოლოდ სამი წლის წარუმატებელი მოგონება შემოგვრჩა. მოვუსმინოთ ნოე ჟორდანიას, კაცს, რომელიც უკეთ წერდა, ვიდრე ლაპარაკობდა და კიდევ უფრო უკეთესად კითხულობდა, ვიდრე წერდა:

„...ვცდილობდი მთავრობის პრესტიჟი ამეწია, როგორც ერის ხელმძღვანელი. მაგრამ ამ მუშაობაში გამოირკვა მეორე ამბავი, რაც ღრღნიდა ამ მთავრობას გარედან. ეს ამბავია გაგება და დაფასება დემოკრატიის, დემოკრატიული მართველობის. ქართველი დემოკრატის გაგებით დემოკრატია არის არა ის, რაც ყოველგანაა, ე. ი. სახელმწიფოს მართველი ორგანოების ხალხის საშოდან შექმნა საყოველთაო კენჭის უფლების საშუალებით. თვით ეს შექმნილი ორგანიზაციები კი არ ორგანოებენ, არ მართავენ, არ ბრძანებლობენ; მართავს და ბრძანებლობს ყველა, ყველა დემოკრატი... საქმეს შეხედეს ამხანაგური თვალსაზრისით და არა სახელმწიფოებრივათ... ამ ფსიქოლოგიით იყო შეპყრობილი სამხედრო კომისია, როცა ის მთავრობას არავითარ ანგარიშს არ უწევდა თავის მუშაობაში. და თვით დამფუძნებელ კრებაში რა აყალ-მაყალი ატყდა იმის გამო, რომ ერთ წევრს კრებისას არ დავანებეთ მთავრობის განკარგულებაში მყოფ ბინაში ჩასახლება.

ერთი სიტყვით, ყველა მთავრობაა, ხოლო თვით მთავრობა ფიქციაა, სახელითაა, რაც ნაკლებს იმთავრობებს, მით უკეთესია... არჩი-დემოკრატების უმეტესობა მუშაობდა გლახათ, აგდებულათ, არ სწამდა არც ჩვენი თავისუფლება, არც ჩვენი რეფორმები. მრავალ შემთხვევაში მათ გაგეძარცვეს, მექრთამეობდნენ, ყალბ ანგარიშებს ადგენდნენ, განსაკუთრებით მხედრობაში“ („ჩემი წარსული“. 1990, გვ. 97-98). დამფუძნებელი კრების მოწვევით, ეფიქრობდი, დასრულდებოდა ჩემი მისია და არც ვაპირებდი მის გაგრძელებას, მაგრამ ვერას გზით ვერ მოვიშორე ეს თანამდებობაო. — დასძენს არჩი-დემოკრატებით განაწყენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელი.

ეს ვრცელი ამონაწერი მწარე გაკვეთილია, რომლის რეციდივი პირველი ახალი პარლამენტის მაგალითზე ჩვენ უკვე ვნახეთ და გამოვცადეთ. (შეორესაც მალე გამოვცდით). ეს რეციდივი არათუ ემსგავსება, სიმახინჯის თავისი კოეფიციენტით აბსოლუტურად ემიჯნება წინამორბედს და უფრო შორს მიდის მისგან. მაშასადამე, არ-

სებობს საფუძველი გამოვიტანოთ ერთადერთი ლოგიკური დასკვნა: არც 1918-1921 წლებში, როცა, ასეთუისე, საქართველოს ერთიანობა „რუსების ხელმწიფობის ქვეშ“ (გრ. რობაქიძე) საკმაოდ განმტკიცებული იყო და არც მე-20 საუკუნის 90-იან წლებშიც, კომუნისტური ტოტალიტარიზმის მეოხებით კიდევ უფრო განმტკიცებული ერთიანობის ვითარებაშიც, ქართველი ხალხი და, კერძოთ, ინტელიგენცია, სამწუხაროდ, დემოკრატიისათვის მომზადებული ვერ აღმოჩნდა (ვერც აღმოჩნდებოდა გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო).

ამის ნიშანდობლივი დამადასტურებელია, ერთი მხრივ, პირველყოფილი, თემურ-ტომობრივი პატრიკულარიზმის ამოტივტიეების ცდები, ხოლო, მეორე მხრივ, არავინ უწყის საზოგადოების რა ფენიდან და რა ჯურიდან, რა პრინციპით და იდეოლოგიით აღმოცენებული პარტიათა და დაჯგუფებათა საოცარი სიმრავლე, რომელმაც ეროვნული კონსოლიდაციის ნაცვლად ლამის კონფრონტაციის უფსკრულისკენ გადაჩეხა ქვეყანა.

თუ დემოკრატიის ადრინდელი სამწლიანი ექსპერიმენტის დროს მოუმზადებლობის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ, მისაღებ ფაქტორად ითელებოდა ბურჟუაზიული კლასის თითქმის არ არსებობა, გლეხური ნატურალური მეურნეობის სიჭარბე და თავადაზნაურობის წოდების შემორჩენა უკანასკნელ მიჯნამდე, რაც დიდი ხნით ადრე ევროპაში ანაქრონიზმად იყო გადაქცეული, რატომ იჩინა თავი ანალოგიურმა და უფრო მწვავე სიმპტომებმა წინა დროისაგან დიდად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის არსებობის სამოცდაათი წლის შემდეგ?

აქ ჩვენს წინაშე დგება თვით დემოკრატიის აღზრდის, პოლიტიკური პარტიების და მათი ლიდერების, მათი პასუხისმგებლობის, სამოქმედო პროგრამებისა და საბრძოლო იდეალების პრობლემა. წინა ბარათებიდან თქვენთვის ნათელი გახდა, დამოუკიდებლობა ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას ყოფილი სსრ კავშირის დაშლის, ვიწრო წრის მიერ წინასწარ ჩაფიქრებული ამ „ოპერაციის“ გეგმის სწრაფი ტემპით განხორციელების შედეგად ზ ე მ ო დ ა ნ ებოძა. რომ არ ყოფილიყო ასეთი იდუმალი, თვითმავალი ქვემეხივით ძლიერი ფაქტორი, მარტო დემონსტრაციებით და მიტინგებით მისი მოპოვება ადვილად არავის შეეძლო. ჩინეთშიც იყო მძლავრი დემონსტრაციები პეკინის ცენტრალურ მოედანზე ქვემოდან გადატრიალების მოსახდენად, მაგრამ სისხლში ჩაახრჩვეს ისევე, როგორც

ჩვენთან ადრე, 1956 წლის 9 მარტს ან ნოემბერკასკში 1962 წელს.

პოლიტიკური ლიდერის პ ო ლ ი ტ ი კ ო ს ობა პირველ რიგში წინდახედულებით, ორიენტაციის განჭვრეტით, ტაქტიკური და სტრატეგიული სვლების სწორი განსაზღვრით, სწორი და დროული მოქმედებით, იდეალებით იზომება. ამ კრიტერიუმების და შექმნილი სიტუაციების ფონზე სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში დაგროვილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სიმდიდრის არა დატაცება, არამედ ხელშეუხებლობა და დაცვა-პატრონობა უნდა გამხდარიყო მასებისადმი უპირველეს მამობილიზებელ მოწოდებად მათივე კეთილდღეობისათვის. სინამდვილეში კი ვითომდა საქართველოს მთავრობის დასამხობად 1989 წლის ზაფხულში სამტრედიასა და 1991 წლის გაზაფხულზე რუსეთისადმი დაუმორჩილებლობის ლოზუნგით შავი ზღვის სანაპიროებზე რკინიგზის სატვირთო და სამგზავრო მატარებლების ბლოკირება, საქართველოს ეკონომიკის გაჩანაგების და მოსახლეობის აწიოკების ა ქ ე დ ა ნ დაწყებული პროცესი აშკარად გამოკვეთილი ის ბარომეტრი იყო, რომელიც თავისთავად გვიჩვენებდა, რომ მის ორგანიზატორებს აკლდათ ზემოთ აღნიშნული ნიშნები, მათ არც რაიმე კონკრეტული სამოქმედო პროგრამა ჰქონდათ დასახული და არც რაიმე შორს გამიზნული იდეალი გააჩნდათ.

აბა, გარეშე მტრების თავდაუსხმელად საკუთარი ხალხის აწიოკება და ეკონომიკის დარბევა რომელ ეროვნულ მოღვაწეს ან ზნეობრივ გმირს მოუვიდოდა თავში? პოლიტიკური ბრძოლის რა ფორმით შეიძლებოდა მოსავლის აღების ცხარე დღეებში, იმავე 1991 წლის შემოდგომაზე, რაიონებიდან ავტობუსებით ხალხის სამიტინგოდ ჩამოყვანის გამართლება, თუარადა პირადი განდიდების, გაკერპების და გაკულტების ინტერესებით? მოქმედი პარტიებიდან და ლიდერებიდან ვინ კისრულობს პასუხისმგებლობას დედაქალაქზე მიყენებული უდიდესი მატერიალური ზარალისათვის? მონური შიშიანობის, განუკითხაობის და თავაშვებულების გამეფებისათვის? ცხადია, არავინ. ზუსტად ისეა, როგორც 9 აპრილის ტრაგედიისათვის არავის არავინ მიუცია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. თუმცა ბაქი-ბუქი, მუქარა და საპროტესტო განცხადებები ბევრი იყო.

ყოველივე ამის შემდეგ, ნება მომეცით მოკრძალებულ ესკიზებად, თეზისებად და პოსტულატებად მოგაწოდოთ მთელი ემპირიუ-

ლი მონათხრობისა და მოვლენათა ანალიზის ერთგვარი შემაჯამებელი, განმაზოგადებელი, ალტერნატიული აზრები და შეხედულებები იმის გარშემო, რაც ითქვა და იმაზეც, რაც არ თქმულა.

ბარათი მერვე

ბოდიშს გიხდით პუნქტების პუნქტუალურად ჩამომწკრივებისათვის. შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ავანგარდიზმის ან კუბიზმის თანამედროვე მოდური ხერხები, მაგრამ ტრადიციული ვარჩიეთ. რითაც დავიწყე — სინდის-ნამუსით („იყო ასეთი სოფელი"), იმით ვამთავრებ. მაშ, ასე:

1. ჟიულ ვერნის ფანტასტიკურ წარმოსახვას ვერ შევეტოლები. როგორც მას თვალით არ უნახავს წყალქვეშა გემი და მაინც აღწერა ოკეანეთა ფსკერზე ადამიანთა ცხოვრება, ისე არც მე ვიცნობ არც ერთ ქვეყანას კავკასიისა და რუსეთის გარდა, მაგრამ მაინც მგონია და მჯერა: **მსოფლიოს არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ მომხდარა დემოკრატიულ წყობილებაზე გადასვლა ანარქიისა და ქაოსის აშმორებულ წუმპედან.**

2. მრავალპარტიულობა, საჯაროობა და დემოკრატია საყოველთაო უზნეობის, უბადრუკობის და გულქვაობის ატმოსფეროში მეტნაკლებად ყველგან, ყველა ეროფილად წოდებულში, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენთან, გაუხედნავ გალალებულ ცხენებს ჰგვანან. ვერც ლაგამის ამოდებას ეგუებიან და ვერც უნაგირის დადგმას. ამის გარეშე კი მოთოკვა, მოქალაქე-ცხენებად მათი მორჯულება-მოთვინიერება შეუძლებელია.

3. ჩვენი განსაკუთრებულობა ჩვენივე ღრმა გენეტიკური ხასიათითაა განპირობებული. იგი ჩამოგვიყალიბდა არა გუშინ და დღეს, მთელი ჩვენი შორეული ისტორიიდან და ორეულივით მოგვყვება. გრიგოლ რობაქიძის აზრით, „რომელი მხრიდანაც არ უნდა შემოვუაროთ ამ საკითხს, ერთი რამ ნათელსაყოფელია: პოლიტიკურს ცხოვრებაში ჩვენ ვერ შევქმენით მტკიცე და მძლავრი ხელმწიფება. ამან ხელი შეუწყო ჩვენი „ანარქიული" ბუნების განვითარებას" (გაზეთი „საქართველო", 1917, გიორგობისთვის 21). ანარქიული ბუნება ემოციონალიზმის სიჭარბით და, ამავე დროს, ძველთაგანვე უფსკრულის პირას ერთ მუშტად შეკრული ძლიერი ფენომენი — გონებამახვილიც და შეუდრეკელიც.

4. პირველი ქართველი კაპიტალისტის — დავით სარაჯიშვილის

დავალებით და დაფინანსებით ახალგაზრდა ნოე ჟორდანიამ მე-19 საუკუნის ბოლო წლებში ორჯერ შემოიარა საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, შვეიცარიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების სოფლები და ქალაქები იქაური სოციალური სტრუქტურების შესასწავლად. იგი თავის მოგონებაში გვაუწყებს: „საბოლოოდ დავრწმუნდი, ევროპის სოციალური წყობილების ერთი და იგივეობაში. გლეხიც ისეთივე მესაკუთრე და წვრილი ბურჟუაა, როგორც დანარჩენები. ამნაირათ, ნახული ევროპის -სოციალური სტრუქტურა ძალიან შორს იდგა საქართველოს სოციალური სტრუქტურიდან" („ჩემი წარსული", 1990, გვ. 28). შორს იდგა საუკუნის წინ, შორს დგას ახლაც.

5. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ვიწუებთ ევროპის დღევანდელი სიმაღლიდან ჩვენი ნაბიჯების ათვლას და არა იმ საწყისი ეტაპიდან, რომელიც განვლო დღევანდელობამდე? საფრანგეთის ბურჟუაზიულუციიდან ორასზე მეტი წელი გავიდა, ჩვენთან ხომ რევოლუციის გარეშე ბურჟუაზიის მხოლოდ ჩასახვის, ბუდეებში კვერცხის დადების, ბარტყების აფრენის და ფრთების გაშლის სამზადისში ვართ. ჩვენი მოქმედება ამ შემთხვევაში უნდა ემყარებოდეს არა კარნახს გარედან, ვიღაც-ვიღაცათა ჟინიანობას და სურვილებს, არამედ კონკრეტულ სოციალურ მიკროსტრუქტურას, მზადყოფნას და პირობებს.

ილია ჭავჭავაძეს საქართველოს დედაბოძად სოფელი და გლეხობა მიაჩნდა. არც ის სოფელია და არც ის ნაღდი გლეხობა. ამასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის გამონათქვამი პანამის არხის ხელში ჩაგდების შემდეგ: მე რომ კონგრესიდან დამეწყო, ხელში შემრჩებოდა ნახევარი საუკუნე ლაქლაქი და მხოლოდ ამის შემდეგ პანამის არხი. ავირჩიე მეორე გზა — ჯერ პანამის არხი, ხოლო ამის შემდეგ ნახევარი საუკუნე ლაქლაქი.

6. ის ფაქტი, რომ 48 რეგისტრირებული პარტიიდან 32 პარტია და 4 ბლოკი იღებდა მონაწილეობას ორ წელიწადში რიგით მეორე საპარლამენტო არჩევნებში, ე. ი. ორ-სამჯერ მეტი, ვიდრე პირველში, მოწმობს ჩვენს მართლა საუკუნეობრივ ანარქიულობას, დაქსაქსულობას და დემოკრატიისათვის პოლიტიკურ მოუმწიფებლობას. გაჩნდა ცალკე პარტია ფიზიკურად მომუშავეთა, უპარტიო პატრიოტთა, მშრომელთა, ეროვნული თანხმობის, ერთიანი საქართველოს,

ერთობის, ერის ხმის და ა. შ. წერტილ-მძიმის სხვაობით, გამოკლებით თუ მიმატებით.

ახლანდელი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები, კავშირები და საზოგადოებები მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში წარმოშობილ ჯგუფთა და ორგანიზაციათა პირდაპირ თუ არაპირდაპირ წამონაზარდებად გვესახებიან. აქედანაა მათი სახელწოდებების, პლატფორმების და მიზანდასახულობების არა ნაირფეროვანი, არამედ საოცარი კონგლომერატული, ჰიბრიდული მსგავსება-ერთსახეობანი. სიტყვა „ეროვნული“ მათთვის უმეტეს შემთხვევაში ნარდის კამათელს ჰგავს. გაგორების ეფექტი წინ უსწრებს მიზნის და იდეალის წარმოჩენას.

ადვილი წარმოსადგენია, რა სიჩქარით გაიზრდება ეს რაოდენობა მესამე არჩევნებამდე, რა ადვილად წარიმართება პარტიათა ურთიერთ ბლოკირებისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა „ნოკდაუნში“ ჩაგდების პროცესები პარლამენტის სხდომებზე და გარეგნულად ყველაფერი დემოკრატიისა და თავისუფლების საზეიმო ელფერით შეიმოსება.

მაგრამ ვინ აგებს პასუხს საპარლამენტო შენობის გარეთ, პურის მაღაზიების წინ, ღამენათევი, ყინვით გათოშილი ადამიანების წინაშე საწვავის უქონლობის გამო გამომცხვარი პურის მიუწოდებლობისათვის? გამოსაცხობი ფქვილის პურის ჭარხნებში უქონლობისათვის? ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალური დაცვის მექანიზმი ხომ პარლამენტზე არ არის დამოკიდებული? (იხ. ზემოთ ალ. ზინოვიევის მიერ დასავლეთ ევროპიდან მოწოდებული ცნობა). მაშ, რატომ არ ვაკეთებთ როგორც არის ი ქ და როგორადაც უნდა იყოს?

7. ოი, სულმოკლეობავ! უზომოა შენი სიშმაგე, მძლავრობა, აღტყინება და აღზევება .თავის გამოჩენისა და პირადი გამორჩენისკენ ლტოლვამ შთანთქა საზოგადოებრივ ინტერესთა ისედაც დაშრეტილი ენერგია. თავშეკავებას წინ უსწრებს — პატივმოყვარეობა, თავმდაბლობას — ქედმაღლობა, საპარლამენტო კულტურას — სამიტინგო ჟესტიკულაციები, პროფესიულ შინაგან მოწოდებას — პროფესიონალური ასოკირკიტობანა, საქმის და საგნის ღრმა ცოდნას — ზერელობა, დილეტანტობა და ბოლოს — აბსურდი. ეს ყველა დროის და ქვეყნის საპარლამენტო სკოლის დაწყებითი კლასების ზოგადი სქემატური მონახაზია. გამონაკლისი არც ჩვენი ნულოვანი ჯგუფია.

კვალიფიციურები მათ შორის, იმედია, „ჩააწყობენ“ და მოახერხებენ შეგირდობის დონემდე გადაყვანას.

8. მაგრამ სანამ ეს „ჩაწყობა“ და ამაღლება მოხდებოდეს, დაშვებულ შეცდომათა გამოსწორების ერთადერთ გზად გონიერებაში მხოლოდ **ექსტრაორდინალური** მოქმედება ისახება. მისი არსია: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალ ხანად თუ პროლეტარიატის დიქტატურის გამოყოფამ ცუდი შედეგი გამოიღო, სოციალიზმიდან ჩვენთვის უჩვეულო კაპიტალიზმზე გადასასვლელად, ანარქიისა და ქაოსის შუალედში, საქართველოს დღევანდელი კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით, პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს **კანონიერების საგანგებო დიქტატურა**, როგორც გარდამავალი, მოსამზადებელი ფაზა დემოკრატიული წყობილების **მყარი საფუძვლების** შესაქმნელად.

მოქმედების დევიზი: ლაგამი — კანონია, უნაგირი — მართლმსაჯულების ორგანოები (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა), მხედარი — მთავრობა. საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობის უღელი — მის ყველა მოქალაქეს! ვინც იუკადრისებს ამ უღელს, ვინც ღრღნას დაუწყებს კანონის ლაგამს და ვინც მართლმსაჯულების უნაგირს გადაგდებას მოუნდომებს — მთავრობა ვალდებულია ხალხის სახელით გარიყოს ასეთი მოქალაქენი საზოგადოებიდან, ხოლო პარლამენტმა — ინერტული მთავრობა.

9. გარდამავალ 3—5 წლიან ფაზაში ამ დევიზით უნდა დამყარდეს სრული წესრიგი და დისციპლინა მშვიდობიანი შრომისა და ცხოვრებისათვის. ფეხი უნდა აიდგას საკუთარმა ბურჟუაზიულმა წარმოებითმა ურთიერთობამ, გამოჩნდეს მისი მკაფიო, დახვეწილი კონტურები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. შეიქმნას მთავრობისგან დამოუკიდებელი მუდმივმოქმედი მწყობრი მექანიზმი საკვები პროდუქტებით და პირველი მოთხოვნილების საგნებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად. გამოიკვეთოს ბიზნესმენთა აქტიური მოქმედი ძალები და ჯგუფები, საზოგადოების ახალი ფენები და კორპორაციები მათი ინტერესების გამომხატველი პარტიებითა და ორგანიზაციებით. წარიმართოს საოჯახო, სასკოლო და საზოგადოებრივი აღზრდა მოვალეობის შეგნებასთან დემოკრატიისა და თავისუფლების წეს-ჩვეულებათა ნორმატიულად შეხამების სულისკვეთებით.

10. საქართველოს ყოველმა მოქალაქემ ბავშვობიდან უნდა ისწაელოს, იცოდეს და იწამოს, რომ არც დემოკრაცია და არც თავი-

სუფლება არ ნიშნავს თავაშვებულებას, თავგასულობას და თავხედობას, კანონისადმი უპატივცემულობას, რომ ისინი არ არსებობენ განყენებულად, ფარატინა ცნებებად და ჰაერზე გამოკიდებულ ფიტულებად, კონკრეტული ადგილის, დროის, გარემოების, აუცილებლობის, მოვალეობის, პასუხისმგებლობის და ზნეობის ნორმების დაცვის გარეშე. ფრანგ მწერალს ალფონს დოდეს აქვს საინტერესო ნაწარმოები ამ თემაზე სახელწოდებით — „ბატონ სეგენის თხა". შინაარსს შეგახსენებთ სიუჟეტის რამდენადმე ერცლად გადმოცემით.

11. პარიზის ქუჩებში დახეტიალობს დახეული პერანგით, დაძონძილი შარვლით და დალეული სახით პოეტი გრენგუარ — ამბის მთხრობელის მეგობარი. რამდენჯერაც შესთავაზეს გაზეთის რედაქციაში ქრონიკიორის თანამდებობა, იმდენჯერვე იუარა. მშვენიერი რითმების ენებიანი სიყვარულით თავისუფლად ცხოვრება ერჩიენა, მაგრამ საარსებოდ საამისო პირობები არ ჰქონდა. აკვიატებული აზრის მფლობელის გაჭირვებისგან დასახსნელად მეგობარი წერილს უგზავნის გრენგუარს სამხრეთ საფრანგეთის ბუნებით სახელგანთქმულ პროვანსიდან და უყვება ბატონ სეგენის თხების უცნაურობებზე.

გაიყვანა ერთხელ სეგენმა მინდორზე საბალახოდ თხა, თოკით პალოზე მიაბა. მოიბალახა, გაძღა და კიკინი მორთო. რა გინდაო, ჰკითხა სეგენმა. აი, იმ მთაზე ავალ, იქიდან გადმოვხედავ ქვეყანას და უკან დავბრუნდებიო. იქ მგელი შეგჭამსო. — აუხსნა პატრონმა. მე რქებით მოვიგერიებო. — მიუგო მედიდურად თხამ. შეატყო პატრონმა ბედისწერას აეტანა და თოკი უფრო დაუგრძელა, რომ სურვილი ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა. არ გასჩრა ამან. არ მიატოვა კიკინი. ადგა და ბოსელში დაამწყვდია. ფანჯრიდან გადახტა და მაინც გაიქცა მთისკენ. ზეგანზე შედგა, ამაყად გადმოხედა ქვეყანას და აღტაცებით შესძახა: მონობაში ვყოფილვარ, თავისუფლებას ველირსეო. საღამოს მგელი გამოვიდა ტყიდან და ეახშმად მსუქანი კერძი მიირთვა. ასე განიმეორა მეორეშაც, მესამეშაც. „უშიშარი, გაბედული თხები კი იყვნენ, მაგრამ მაინც შეჭამეს მგლებმაო". — ამთავრებს თხრობას მწერალი.

დასკვნა თქვენ თვითონ გამოიტანეთ, ალფონს დოდეს თქვენ ედავეთ და ეკამათეთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, იგი იმ ქვეყნის წარმომადგენელია, სადაც დაირწა თავისუფლების, თანასწორობის და ძმობა-ერთობის აკვანი.

12. უცნაურობის სენი მარტო სეგენის თხას და მის მეგობარ პოეტ გრენგუარს როდი სჭირდა. ყველა დროის მეტ-ნაკლებად მეოცნებე ადამიანი, განურჩევლად წარმოსახვის მასშტაბისა, დაავადებული იყო, არის და იქნება ამ სენით. უცნაურობა გენიოსთათვის თავშესაფარი ლამაზი ჩრდილია, ამკობს და ამშვენებს მათ, უბრალო მეოცნებეთათვის — გრენგუარის დაძონძილი შარვალი, შესაბრალისი და გულსატკენი. ბლეზ პასკალის აზრით, წარმოსახვა ადამიანის ყველა ცთუნებათა სათავე და წყაროა, რადგან ის ისევე უმართავია გონებისგან, როგორც ჩვენი დღევანდელი დემოკრატია კანონებისგან.

გენიალურ ადამიანთა ფსიქიკის ეტიმოლოგიურ კვლევას მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი. მისი პირველი წარმომადგენელია იტალიელი ანტროპოლოგი ლომბროზო, რომლის კლასიფიცირებით პეტრარკა, მოლიერი, ფლობერი, დოსტოევსკი ეპილეპსიკები იყვნენ, მელანქოლიამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა რუსო, შატობრიანი, ჟორჟ სანდი, გოგოლი, ალკოჰოლით დაავადებულნი იყვნენ ედგარ პო, ჰოფმანი და, ცხადია, ლომბროზოს კვლევის სპექტრში ვერ მოექცეოდა, მაგრამ მათ რიცხვს განეკუთვნება ჩვენი პოეტური გენიაც, გალაკტიონ ტაბიძეც.

მათი ცხოვრების პიროვნული ტრაგიზმი ისტორიული ფაქტის კანონზომიერ გამოვლინებად არის მიჩნეული და არავითარი კავშირი არა აქვს ამა თუ იმ ეპოქასთან. როგორც წესი, ე. ფიშერის, მ. არნაუდოვის, არნოდოს და სხვათა აზრით, დიდი შემოქმედის სულიერი ელიტა მუდამ კონფლიქტშია არსებულ სინამდვილესთან, გაბატონებულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემასთან (ვოლტერი, რუსო, ბაირონი და ა. შ.).

საკადავი უფრო პატარა მასშტაბის მეოცნებენი არიან, რომელთა უცნაურობებს საერთოდ არ მოეპოვება რაიმე მეცნიერული ახსნა, რადგან მათი გამოვლენის ფორმა ძირშივე შეცდომებით ხასიათდება. ამ კატეგორიას ახალგაზრდობაში, 30-იან წლებში, მეც განვეკუთვნებოდი. ყველაფერში თითქოს ორიგინალურობისკენ აკვიატებულმა ფიქრმა მიმიყვანა სკეპტიკურ დასკვნამდე: არ არსებობს მხატვრულ ლიტერატურაში რაიმე თემა, რომელსაც არ შეხებოდა წინაპარნი, მაშასადამე, ეპიგონობა დაბადებიდან მისჯილი მქონია. ეს ჰგავდა სხვისი ნასვამი ჭიქიდან მასში ჩარჩენილი წყლის დალევას. აქედან ერმინ ერმინელის პერსონიფიცირებით,

მისტიფიკაციით გამიჩნდა მწვალებელი აზრები არსებობის არარაობაზე. მაშინდელი მჭიდრო კოლექტივი რომ არა, შეიძლებოდა სისულელე ჩამედინა (მერედა, ეპოქის, წყობა-სისტემის ბრალი იქნებოდა?!). ანატოლ ფრანსის ერთმა ფრაზამ უცებ თვალები ამიხილა: ჩვენ, მწერლები, ყველანი ვიმეორებთ წინაპართა თემებს. სიახლე განმეორების ახლებურებაშია. მართლაცდა, ბუნება ხომ თავად განმეორების დედაა. გოეთეს ეკუთვნის მოხდენილი გამონათქვამი: გაზაფხულის გარკვეულ დროს ვარდები ყველგან ერთნაირად ყვავიან.

რაკი ჩემ თავს თავად გამოვუტანე განაჩენი, უცნაურობის ორ ანტიპოდურ მაგალითს მოგიტანთ. ერთმა კრიტიკოსმა ერთ-ერთ პოეტურ სტრიქონში „ისევ ეძებენ მორწმუნე მოძმეს, რამეთუ მამულს უშველონ მერმის“ აღმოაჩინა ალოგიკურობა. მოცემულ კონტექსტში „რამეთუ“ და არც მისი მონაცვლე „რადგან“ ვერ შეასრულებდა ორი წინადადების მიზეზობითი გარემოებით დაკავშირების ფუნქციას. მამულის შველა მოითხოვს არა დამაკავშირებელ, არამედ თვით შველის გამომხატველ სიტყვას. ასეთია „რამეთი“. „ისევ ეძებენ მორწმუნე მოძმეს, რამეთი მამულს უშველონ მერმის“. ე. ი. საქმე გვქონდა აშკარა კორექტურულ ლაპსუსთან[1].

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან 1987 წელს მეორე კრიტიკოსმა ამის თაობაზე შენიშნა, მიცვალებული პოეტის მიმართ ხანდაზმულ მეცნიერს უზნეობა არ ეკადრებაო. განა მიცვალებულებზე არ არის აგებული ლიტერატურის ისტორიები? განა სწორი აზრის მიგნება და გამოხატვა უზნეობად ითვლება? დასმულ საკითხს კი არ შეეხო, კი ვერ დაარღვია დებულება, მოხმობილი არგუმენტი, ეთიკის სფეროდან დაუწყო ჭკუის დარიგება. საშიშია ასეთი უცნაურობა. მაგრამ უფრო საშიში და საზიანოა ერისთვის, როცა მცირე მასშტაბის ასეთი მეოცნებენი პარლამენტისკენ მიიწევიან. იქ, ალბათ, მალე უცნაურ მეოცნებეთა ცალკე ფრაქცია ჩამოყალიბდება გრენგუარის მსგავსი ჩვენებური პოეტის მეთაურობით...

---

[1] ბიბლიური ტექსტების სტოკჰოლმის ქართული ბოლო გამოცემებიდან მთლიანად ამოგდებულია „რამეთუ“, იგი შეცვლილია სალიტერატურო ენის თანამედროვე ფორმებით: ვინაიდან, რათა, რადგან და ა. შ. ეს ფრიად საგულისხმო ფაქტი თვალნათლივ მოწმობს ჩვენი პოზიციის სისწორეს, რომელიც გამოხატული გვქონდა სტატიაში „რატომ“ „რამეთუ“? (იხ. „კომუნისტი“, 1986, 20.VIII.). აქედან ჩანს მაშინდელი თავდასხმების სრული ფიასკო, მისი ყალბი მოტივაცია.

13. დამთავრდა ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარების ე. წ. „საბჭოური“ სამოცდაათწლიანი ეტაპი. მისი ძირფესვიანი გადაფასების, მის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ გამოცხადება („კრიტიკა“, 1990, № 4) ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში პროლეტკულტელების მიერ დაშვებული უხეში შეცდომების სამწუხარო რეციდივია. საუკეთესო ლიტერატურულ ტრადიციათა უწყვეტი მემკვიდრეობითობის შენარჩუნებით, შემოქმედებითი კავშირების თუ ორგანიზაციების ძველი სტრუქტურების და მკითხველთა გემოვნების ასამაღლებლად დროშოქმული პრემიების უკუგდებით მთელი ყურადღება ამიერიდან უნდა მიექცეს ახალ სოციალურ სინამდვილეში ჰეშმარიტი მხატვრული ინდივიდუალობის გამოვლენის ახალი ფორმებისა და საშუალებების ძიებას.

14. ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად ქართული ლიტერატურა გაჭირვების ჟამს ყოველთვის მყარ ბურჯად ედგა თავის ხალხს გამხნევების და გამძლეობის იმედად. იგი მუდამ ქართველი ერის სულიერი აღზრდის მედროშე და მეწინამძღვრე იყო. ასეთი თანადგომა მწერლობისაგან არანაკლებ სჭირდება დღევანდელობას. ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედთა თაობისათვის აქედანვე ცხადი უნდა გახდეს **ისტორიის უცნაური პარადოქსი**. მათ ძალაუნებურად მოუხდებათ შეხვედრა მე-19 და მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ ლიტერატურაში გამოსახული პერსონაჟების (მეჯლანუაშვილი, კარატეტა, ბახვა ფულავა, კიკოლიკი, ჩიკოლიკი, დავით დროიძე და სხვების) ანალოგიურ პროტოტიპებთან, ანალოგიურ თემებთან, პრობლემებთან და მოვლენებთან. მაშასადამე, ლოგიკურად მოუხდებათ მათი განმეორება, ახლებურად გააზრება, თანამედროვეობის პოზიციებიდან ნათლად განჭვრეტა და განზოგადება.

მაშინ ხომ სწორედ იმ პროცესის **ბუნებრივი** გზები ისახებოდა, რომელსაც დიდი ხნით შეწყვეტის შემდეგ ახლად რომ ვიწყებთ, ახლა ისევ რომ დავადექით არაორდინალურ ვითარებებსა და ისრულიად არანორმალურ, არაბუნებრივ პირობებში. რამ განაპირობა პარადოქსულობა, ცხოვრების დინების კალაპოტიდან უეცარი ამოვარდნა და ორიენტაციის აღება ჩაფერფლილი წეს-წყობილების შეფერადებული რესტავრაციისაკენ? ამის სუბიექტურ ფაქტორებზე ზემო ბარათებში აღინიშნა. რაც შეეხება ობიექტურ ფაქტორს და პერსპექტივას...

15. სოციოლოგიურ თეორიაში საზოგადოების წარმოშობიდან

მისი განვითარების ფორმაციებად დაყოფის ჩვენში აღიარებულმა კლასიფიკაციამ კრახი განიცადა. პრაქტიკამ დაგვანახა: თვით სოციალიზმმა, მარქსიზმის მოძღვრების საწინააღმდეგოდ, თავისსავე წიაღში წარმოშვა თავისივე მესაფლავე კორუფციის, მაფიის და სხვა მაკომპრომეტირებელი, კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ბნელი ძალების სახით, რომელთა ასალაგმავად მას არ აღმოაჩნდა პარლამენტური წყობის არავითარი დამცველი მექანიზმი.

16. წინსვლითი მოძრაობა სოციალიზმიდან უფრო უმაღლესი — უკლასო საზოგადოების საფეხურისაკენ შეწყდა სწორედ იმ კულმინაციურ მიჯნაზე, როცა მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს არა ძველებური (ე. ი. მარქსისტული) გაგების კლასობრივი ინტერესები, არამედ თვით კლასების წარმომშობი უძველესი ორი ანტაგონისტური ინსტინქტი: კერძოობითი და საზოგადოებრივი.

17. აქედან, ადამიანთა საზოგადოების მთელი ისტორია საბოლოოდ ამ ორი ინსტინქტის — კერძოობითის და საზოგადოებრივის, მათი გამომხატველი სოციალური ფენების, ჯგუფების, იდეებისა და იდეალების ბრძოლის ისტორიაა.

18. ეს ისტორია დასაბამს ღებულობს ორი მოაზროვნის — ორი უკვდავი ლოკოკინის გონის ნიჟარიდან. ჯერ ერთმა ბრძანა: დამნაშაეა ის ადამიანი, ვინც თავის კარ-მიდამოს პირველად შემოავლო ღობე და ხმამაღლა განაცხადა — ეს ჩემიაო. მეორემ ამის საპირისპიროდ ლოზუნგად გადმოისროლა: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ასე დაიწყო სოციალური მოძრაობის მსოფლიო არენაზე ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ორთაბრძოლა, ჰიდილი იდუმალი ზრახვით: ვინ — ვის?

19. პრაქტიკამ დაგვარწმუნა: გარკვეულ ეტაპზე ადამიანის საზოგადოებრივი შეგნება საგრძნობლად ჩამორჩება განვითარებადი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის პროგრესულ მოთხოვნებს, საზოგადოებრივი დოქტრინა მოვლა-პატრონობისა და სარგებლიანობის საერთო წესებს. ეგოიზმი, ეგოცენტრისტული მიდრეკილებანი სძლევს კეთილშობილურ მიზნებს და ზრახვებს. უძლური აღმოჩნდა ადამიანის ჭკუებსა და შეგნებაში დალექილი კერძომესაკუთრული ტენდენციების აღმოსაფხვრელად წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ყბადაღებული ლოზუნგი.

20. ნაწილობრივ გამართლდა თომას მორის „უტოპიიდან" უკანასკნელი სტრიქონების წინასწარმეტყველური აზრი: დარწმუნე-

ბული ვარ, ჩემი ილუზიით აგებული სახელმწიფოს რეალურად აშენება შეუძლებელი გახდებაო.

21. მაშასადამე, კრახი განიცადა არა ზოგადად სოციალისტურმა იდეამ საზოგადოებრივი საკუთრების კერძოსთან მიმართებაში უპირატესობაზე, ამ იდეაზე სახელმწიფოს აშენების ილუზიამ, არამედ ამ იდეის და ილუზიის განხორციელების გზაზე შრომის ორგანიზაციის მოწესრიგების, ადამიანის ფსიქიკის **ერთგვაროვანი** გარდაქმნის, მისი შეგნების **ერთგვაროვნად** ამაღლების ყოველნაირმა ექსპერიმენტულმა ცდებმა. განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან მთელი სიცხადით გამოვლინდა კაპიტალისტურ გარემოცვაში კომუნიზმის აშენების გეგმის უტოპიურობა, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების გაყალბების, მისი ეულგარიზების ლოგიკური შედეგები.

22. ე. ი. ისტორიულად იდეებისა და რეალობის გზაჯვარედინზე ადამიანი თავისთავთან **საბოლოოდ** მაინც მარტოდმარტო რჩება. იგია მეუფე, დამოუკიდებელი ის ლამაზი, მაგრამ რთული და ძნელად შესაცნობი ფენომენი, რომელსაც ინდივიდი ეწოდება. ეს ინდივიდი ერთპიროვნული შემბოჭველი სალტეების გარღვევისათვის საუკუნეობით იბრძოდა, სამოცდაათი წელიწადი კოლექტივიზმის ნექტარით იყო გაბრუებული, ახლა იქიდანაც გარბის... და ამჟამად, ფიგურალურ გამოსახულებას ვიზუალურად თუ წარმოვიდგენთ, ჰაეროვან, მოფარფატე ხის ტოტზეა წამოსკუპებული არა მესაკუთრე მწარმოებლის, არამედ მესაკუთრე-სპეკულანტის უხამსი ფორმით ბატონი ინდივიდი ჰაეროვან ხის ტოტზე! რა მდგომარეობაა მისი **არსის** გაგება-გაცნობიერების საქმეში?

23. ფილოსოფოსები თითქოსდა ჩაწვდნენ ობიექტური რეალობის კანონზომიერებათა ამოხსნის ყველა საიდუმლოს და ახლა კოსმოსური სამყაროს ზემოდან დაჰკირკიტებენ. დადგა დრო თვით ამ რეალობის მთავარი შემმეცნებელი სუბიექტი — ადამიანი გახდეს გლობალური შემეცნების საგნად.

იგი ყოველთვის იყო იდეალიზმისა და მატერიალიზმის სხვადასხვა ფილოსოფიური სახეობის — სტოიციზმი იქნებოდა ეს თუ ეპიკურეიზმი, სკეპტიციზმი თუ რაციონალიზმი ჰვრეტისა და შესწავლის ობიექტი, მაგრამ ცალმხრიობა, ურთიერთდაპირისპირებულობა ყოველთვის თიშავდა მათ მთავარისგან — ადამიანის მთლიანობაში, კომპლექსურად შესწავლა-შემეცნების მიზნისაგან. მაშასადამე, **ადა-**

მიანთმცოდნეობა ჩამორჩა ბუნებათმცოდნეობას, გნოსეოლოგია — ნატურფილოსოფიას მისი დიალექტიკური გაგებით.

24. უწინდელი იდეოლოგიური რწმენისაგან დაცლილ და ახალი უიდეოლოგიო პოლიტიკური პარტიებისგან გზადაბნეულ ინდივიდს მხოლოდ ქრისტიანული თუ სხვა რელიგიური დოგმების გაზეპირებით არ შეუძლია თავისი ყოფიერების მოწყობა. მას ვერასოდეს ვერაფერს უშველის ღვთისნიერი სიტყვებით თუთიყუშივით წარამარა ძახილი: ღმერთი არს ჩვენთან. მზისთვის თუ ყველგან ყველა ერთია, ყველას ერთნაირ სითბოს მიაგებს, მაშინ ის ღმერთი რაღა ღმერთია, ყველგან ეძებ და ვერსად მიაგნებ?! ამ დამაეჭვებელი პოეტური ფრაზის სიბრძნე ღმერთის მარადიულ მიუწვდომლობაშია. აქედან თანამედროვე თეოლოგიის უმწვავესი პრობლემა: დოგმატიზმისა და პრაგმატიზმის შერიგების გზების ძიება.

25. საკუთარი სინდისის ღმერთთან მიახლოების, ცხოვრებაში აქტიური მოქმედების, შრომა-გარჯის მოქალაქეობრივი მოვალეობის მოხდის გარეშე ადამიანი თვით ღმერთის მონად იქცევა. ღმერთი მაშინ გევლინებათ მხსნელად და იმედად, როცა თქვენ იქნებით მასთან დაწმენდილი სინდისით — სიტყვის, საქმის, ქცევის და მოქმედების ურღვევი ერთიანობით. ეძიებდეთ და ჰპოებდეთ. — ეს მისი მოძღვრების ქვაკუთხედია.

26. ადამიანის მტანჯველი დემონი — უსინდისობაა (უსირცხვილობა, უზნეობა), მფარველი ანგელოზი — სინდისი (სირცხვილის შეგრძნება, ზნეობრიობა). ამით განსხვავდება იგი პირუტყვისაგან. ადამიანიც ხომ ისეთივე ცხოველია, როგორც ყოველი ოთხფეხა და ორფეხა, მაგრამ მატერიათა შორის ყველაზე ორგანიზაციამნილი, უმაღლესი მატერიაა გონიერებით და საზოგადოებრივ-მორალური კანონების წინაშე თავისი შეგნებული მორჩილებით. ამიტომ არა ფული, ნივთი და საგანი უნდა ბატონობდეს მასზე, არამედ სინდისი, რომელიც მუდამ უნდა ანათებდეს სულში, როგორც უწმინდესი და უზენაესი სანთელი. იგი ზნეობრიობის ზოგადადამიანური შინაგანი საღეთო მრწამსია, ყოფაქცევის წესთა დამცველი, და არა დროთა წარმავლობაზე დაფუძნებული ქიმერა.

27. კერძო საკუთრების დროს ძველად უფროსის ერთ შემგონებელ სიტყვას „სირცხვილია“ (ინჯღორერე) მაგიური ძალა ჰქონდა, სახეზე სიწითლის ალმური ათინათდებოდა. პირადი მაგალითით თვითაღზრდა თავისებური საოჯახო სკოლა იყო. ამ გზით საზოგა-

დოებაში მკვიდრდებოდა წესიერების ადათ-ნორმები, რომელთა რეგულირებას დიდად უწყობდა ხელს ეკლესია. ასე და ამრიგად, ოჯახური, სასკოლო და საეკლესიო აღზრდა ერთ მიზანს — ქრისტიანული მოძღვრების ფეტიშიზაციას ემსახურებოდა.

28. ახლა როცა დიდი ხანია დანგრეულია ძველი ერთიანი მიზნის და ერთიანი რწმენის კედლები, ადამიანის სულის გაუცხოების, დაკნინების და გაველურებიის დღევანდელ ექსტრაფსიქიკურ სტადიაზე, როცა დაიწყო მისი მიბრუნება ისევ ძველი კერძოობითი საკუთრებისკენ, ე. ი. ხდება ერთგვარი **სოციალური რეგენერაცია**, ძალაუნებურად ამ პროცესს უნდა მოჰყვეს მისი ფსიქიკის **რეანიმაციაც**, ან მიბრუნება ინდივიდის ზნეობის **საწყისი** ჯანსაღი ფესვებისკენ.

29. ეჭო იმ დროიდან: **ხსნის გზა შენშია**. შენი ღმერთია შენი სინდისი. შენი სინდისი — შენი რწმენაა, შენი რწმენა — შენი მრწამსი და აბჯარია. შენი აბჯარი — შენი ძალა და იმედია. შენი ძალა, ენერგია და იმედი — შენი ბედნიერი ცხოვრების საწინდარია. შენი ბედნიერება — ზეციერი ღმერთის წყალობაა. ზეციერ ღმერთამდე შენ მაღლდები მხოლოდ საკუთარი სინდისის ღმერთის მეშვეობით, მისი შეგრძნებითი, შეცნობითი და განსჯითი კიბეებით.

30. ამ კიბეთა ყოველი საფეხური უხილავი ძაფებით გადანასკვულია შენი სიცოცხლის მჩქეფარე გულისისხლძარღვების წრიულ ბრუნვასთან. წესიერების ნორმების მცირედი დარღვევის თუ ღვთისგან გმობილი დიდი დანაშაულისათვის რხევადი ბგერის სისწრაფით იდუმალ ინფორმაციას ერთდროულად იღებს გულთან ჩართული ყველა მგრძნობიარე „მექანიზმი" — გონების, მგრძნობელობის, ნებელობის არხებით; ერთდროულად იღებენ შენივე რწმენის, იმედის, ბედნიერების მიწიერი და ზეციერი ღმერთები.

31. რომელი გირჩევნია: კანონის უზენაესობის ყულფში კისრის გაყოფა თუ საკუთარი სინდისის წინაშე საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა? მე არც ერთი დამჭირვებია იმიტომ, რომ ვცხოვრობდი და ვიღწოდი ბავშვობიდან, სოფლიდან გამოყოლილი ხალხური ეთიკის დოგმით. მოგონების წინა ორი ნაწილი ამის ჩვენების ცდას წარმოადგენდა.

ისე როგორც უკვდავია ხალხი, უკვდავია მის მიერ შემუშავებული დოგმები, მითები და ლეგენდები. აქედანაა წარმოშობილი ყოველი გენიალური ინდივიდის დაუშრეტელი გენიალური სიბრძნე.

შეგიძლია არხეინად წამოწვე მაგნოლიებისა და პალმების ნაზი ფოთლების ჩრდილქვეშ, გულზე დაიდო „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ხელთუქმნელი **პოეტური ბიბლია** და მასში ეძებო პასუხები ადამიანთმცოდნეობის ამოუწურავ პრობლემებზე. აბსოლუტური ჰეშმარიტებისკენ მიმავალი გზა შედარებითობის ბილიკებზე გადის. შეუცნობადი შეცნობადად იქცევა, უხილავი — ხილვადად, დაუჯერებელი — დამაჯერებლად, ზოგადი — კერძოდ.

32. ჰოდა, განიწმინდე, განახლდი, ადამიანო! შეხედე გარე სამყაროს შენი სინდისის წმინდა თვალებიდან. ცხოვრების კიბის საფეხურები აიარე არა თვალთმაქცური ნახტომებით, იოლად და ყალბად, როგორც მიჩვეული იყავი, პირველიდან ბოლომდე დინჯად და სისწორით, სამართლიანობის სიმძიმის ნელი-ნელ ზიდვით.

33. ამ სულისკვეთებით შენმა ურთიერთობამ მეორესთან, მეორისამ — მესამესთან, მესამისამ — მეოთხესთან, კარის მეზობლიდან — ყველა მეზობელთან, შინაურებთან და გარეშეებთან და ასე თანმიყოლებით, თავდავიწყებით და ლტოლვით, ბოლოს და ბოლოს, უნდა აღადგინოს, შექმნას და მოქსოვ-მოჰქარგოს ადამიანთა შორის დარღვეული კავშირების მომწესრიგებელი **ზნეობრივი ჰარმონიის** უმშვენიერესი გამა. ამით სამუდამოდ უნდა გაირიყოს მოქმედების არენიდან ყოველგვარი აბსტრაქტულობა აგებული სოფისტურ ფორმულაზე: ყველას და — არავის.

34. ზნეობრივი ჰარმონიის სათნოების, თვით იდეის შეუცნობლად, მისი ნორმების დაუნერგავად და გამოუყენებლად ადამიანი ადამიანისათვის წინანდელი მეგობრობის არსობიდან გარდუვალად გადაიქცევა მესაკუთრე ინდივიდიდან ინდივიდი მესაკუთრისათვის დაუნდობელ ინდივიდ-**მგლად**, გამძვინვარებულ ინდივიდ-**ვეფხად** და გაუმაძღარ, კბილებდალესილ ინდივიდ-**აფთრად**. ეს კაპიტალისტური კონკურენციის, ინდივიდუალიზმის, კარჩაკეტილობის ულმობელი კანონია განსაკუთრებით მის საწყის სტადიაზე. ამის მხატვრული დადასტურებაა ახლახან „ლიტერატურული **საქართველოს“ 1992** წლის 11 დეკემბრის ნომერში ცნობილი მწერლის, ქალბატონ ნანა კანდელაკის მიერ გამოქვეყნებული ნოველა „სახლიკაცები“.

35. ამ ეტაპის პირველი გამოცდა ჯერ შენ არ ჩაგიბარებია. შენი ფსიქიკა ჯერ ისევ ბურანშია. თითქოს ლითარგიული ძილისგან ძლივსძლივობით გამოდის. ცნობიერად ახლისკენ იხრება, ქვეცნობიერად — ძველისკენ. მერყეობის საქანელიდან კი არ უნდა გადახ-

ტე, უნდა გადაფრინდე არჩევანის უმტკიცეს ჯებირზე. სხვა გზა ჩარაზულია. წინ — შენი თავის **უფალ-ღმერთია**, უკან — სხვებში გათქვეფილი, შეზავებული, ჰიანჭველას ჯგუფებივით არეულ-დარეული.

36. ჰოდა, განიწმინდე, განახლდი კერძო საკუთრების მფლობელო, სულიერად განძარცულო და ნივთიერი ამაღლებისკენ მარუღას ცხენებივით გაჭენებულო, თავისუფალო ადამიანო! წარსული ნაბადივით მოსახური, გასაცვეთი და გადასაგდები კი არ არის, იგი შენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია, სანამ სუნთქავ და ცოცხლობ. მერე კი ამაოებათა წყვდიადიდან იდუმალ ყლორტებად კვლავ გამონათების, სულიერებაში განფენის და გარდასახულად ახალი სიცოცხლის უშრეტი წყაროა.

ამიტომ ჩამოირეცხე პირადულ სარკეზე წლობით დალექილი უზნეობის ფარულად დარჩენილი ნაშთები. ჩამოიბერტყე ცოდვებითა და შეცოდებებით აღსავსე ჰუჰყიანი კალთები. ყოველივეს და ყველაფერს შეხედე შენი სინდისის წმინდა თვალებიდან...

37. ...ახალი დროის მბორგავ კუნძულზე შენი სილუეტი, თითქოსდა, სვეტად აღმართული ის უჩინარი სხივოსანი ჭანდაკებაა, რომელსაც ხარბად შემოჰყურებს მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო. ჰოდა, გამხნევდი, გამაგრდი, გამოისხი არწივის ფრთები. იზრუნე, იშრომე და იბრძოლე საკუთარ ქვეყანაში საკუთრივ ტრადიციებზე მორგებული ცივილიზებული ყოფიერების დამკვიდრებისათვის. ყოველთვის უკეთესზე, უფრო მშვენიერზე იფიქრე, ვიდრე არსებობს.

38. იმ უკეთესი, უფრო მშვენიერი, ოცნებებში ცისფერ კოშკებად წარმოსახულ მომავლისკენ, მიწიერებიდან ზეციერებისკენ შენს დაუოკებელ ლტოლვა-სწრაფვასთან ერთად, დაე, მუდამ სამხიარულოდ და საქორწილოდ გაისმოდეს **მაღალზნეობრივი ჰარმონიულობის** ტკბილხმოვანი ჰანგები შენებრ განახლებულ, ერთიან, აბიბინებულ, გამრავლებულ და გამდიდრებულ საქართველოში.

39. გფარავდეთ ზეციერი ღმერთი და წინ მიგიძღოდეთ მისი მიწიერი მოციქული — თქვენი სინდისი თქვენი სიმართლის მოზეიმე ფრთებით.

40. ყველანი — სინდისის ღმერთების რენესანსულ ბარიკადებზე! იქიდან, მხოლოდ იქიდან აღმობრწყინდება **საყოველთაო კათარზისის** ახლადშობილი მზე — ქვეყნისა და ხალხის მხსნელი, მფარველი, მწყალობელი ანგელოზი. იდუმალი თაყვანისცემით პირნათელი უნ-

და შეეგებოთ მას თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად — მთელი საქართველო.

...თვითგვემის, საყოველთაო ზნეობრივი თვითგანწმენდის უზადო, უხსოვარი, უმაღლესი რანგის **მისტერიაა ფერფლიდან რწმენის**, იმედის, ნიშან-ღირსებების კელაპტრებად ამონათების, ჯვარცმიდან მკვდრეთით აღდგენის ბიბლიური ჟამი. დათრგუნული სულიერების დღესასწაული. ეპოთეოზური სიდიადე.

1988, 18 სექტემბერი —
1992, 18 ნოემბერი.

თბილისი-ყვენის მთაკორტოხი.

ბოლოსიტყვაობა

ოთხი წელიწადი და ორი თვე ვწერდი ამ წიგნს. ვწერდი ქვეყანაში უეცრად აგორებული ქარბორბალას კვალდაკვალ. ვწერდი გამალებით, გამწარებით, გატაცებით, ერთგვარი შემოქმედებითი ექსტაზით. ხანაც გონებისა და მეხსიერების უკიდურესი დაძაბვით, ზოგჯერ ჩამუხლებით, და მაინც დაჟინებით, რათა აკიდებული მძიმე ტვირთი მიზნის მწვერვალზე საქართველოს მთლიანობის სიმბოლურ, მკვრივ თაიგულად ამეტანა.

ასეთი იყო გამძაფრებული შინაგანი მოთხოვნილების, იმპულსური ძალის გარეგნული ეფექტი.

როცა რედაქტირების წინ ხელახლა მიეუბრუნდი შეიდასგვერდიანი ტექსტის რემინგტონზე გადაბეჭდილ ფურცლებს დასვენებული, რაიმე ხინჯის აღმოსაჩენად გაწრთვნილი თვალით, შვებით აღტყინებულმა უფალს შევღაღადე: გმადლობ ზეციერო, წელთა დასალიერის სახიფათო ბაკში ჯვარცმა მელოდა, ტანჯვას გადამარჩინე.

უხინჯო და უწუნარი არაფერი არსებობს ცისქვეშ. თვით მზესაც შესამჩნევი ლაქები აქვს. აზრთა ლოგიკური დინება არსად გუბდებოდა, არ ბრკოლდებოდა, ძაფებივით არ იბურდებოდა. ამ მთავარმა ღირსებამ გადაწყვიტა შემდგომი მსვლელობის ბედი.

წერის პროცესში დროს არ ვკარგავდი სიტყვების საძებნელად. ისინი თავისთავად, მოხმობის გარეშე, ქაღალდზე ლაგდებოდნენ იმ აზრების სამოსელში გამოწყობილნი, რომლებიც წამდაუწუმ ჩნდებოდნენ გონებაში ერთმანეთის მიყოლებით, მიმდევრობით, კონტექსტთან შეხმატკბილებულად.

ასეთი იყო ამაღლებული სულიერი განწყობილების, წინასწარი ინტელექტუალური შემზადების და შემართული ენერგიის ერთობლიობის იდუმალებით მოცული გამოხატულება, რომლის მსგავსი წინათ არასოდეს მიგვრძნია. წინათ, ან გუშინ. ელეისებურად დაირღვა დროისა და სივრცის განზომილებანი.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩემი წინასწარი შემზადების

პროცესი ადრე, 60-იანი წლებიდან, წიგნში აღწერილი მოვლენებიდან დაიწყო. ამ მიმართებით, სხვა ფაქტორთა შორის, ფრიად საყურადღებოა ურთულეს პირობებში ქართული მწერლობის ახლანდელი თაობის, მზრუნველი წინამძღოლის, ბატონ გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანის“ შთამგონებითი, წამქეზებლური როლი. მე მას წიგნად გამოქვეყნებისთანავე განმაზოგადებელი ხასიათის ვრცელი სტატია მივუძღვენი სახელწოდებით „კრიტიკული პათოსი და მწერლის პოზიცია“ („მნათობი“, 1972, № 6), ხოლო ერთი ადგილი იმ სტატიიდან სიტყვა-სიტყვით მაქვს გამოყენებული ზნეობრივი თვითგანწმენდის იდეის 26-ე თეზისში. ეი, რამდენად საგულისხმო იყო ჩემთვის ხსენებული ნაწარმოების ზეგავლენა, მისი წვლილი თქვენ მიერ, ალბათ, უკვე წაკითხული ამ წიგნის შექმნისათვის ნიადაგის მომზადებაში. ეს საგანგებო ძიების საგანია შემოქმედებითი ნათესაობის, შემოქმედების ფსიქოლოგიის პრობლემურ მთათა გადასახედიდან.

ჟანრული სახეობის მიხედვით, გასაგები მიზეზების გამო, ეს წიგნი ვერ თავსდება აქამდე ცნობილი კლასიფიკაციის ერთ რომელიმე ჩარჩოში, ისე როგორც ვერ განეკუთვნება გნოსეოლოგიის ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროს. იგი არ არის მოგონებები ტრადიციული გაგებით. მეტნაკლებად მათ წარსულის „ბოქლომი“ ადევთ. უმთავრესად გამოსახაენ ავტორის პიროვნული ცხოვრების ეპიზოდებს მის სტატიკურობაში.

აქ კი, ჩემდა უნებურად, დიდი სოციალურ-პოლიტიკური, ისტორიული და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური მოვლენები დინამიკურად, გრანდიოზული მასშტაბურობით ვითარდებიან. ამ ფონზე არეკლილი ავტობიოგრაფიული ელემენტები მემუარულობის ნაცნობ ელფერს პუბლიცისტურ პათოსთან შერწყმის შედეგად იძენენ. თავის მხრივ პუბლიცისტური მსჯელობები არგუმენტირების გზით თვით იერთებენ მეცნიერული განზოგადების შენაკადებს, ხოლო სხვადასხვა ხასიათის შეხედულებათა მწყობრი სისტემა თეზისებისა და დებულებების სახით, თითქოსდა, ერთგვარ თეორიულ განაცხადად წარმოგვიდგება. და ბოლოს, გარკვეული ემოციების, ინტერესის აღძვრის მიზნით თხრობის რამდენიმე პოეტიზირებული ფორმა ფაქტიურად აღიქმება, როგორც განსჯის და განცდის სინთეზირების, დოკუმენტური პროზის თავისებური ნიმუში (ამაზე მინიშნებას თვით წიგნში იპოვით).

ჟანრობრივი ნიშნების ასეთი ურთიერთგადახლართულობა განპირობებულია იმით, რომ წიგნი იწერებოდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უჩვეულო გარემოებებსა და სიტუაციებში. იგი იწერებოდა მსოფლიო ისტორიაში პირველად არსებული სოციალისტური წყობილებიდან კაპიტალისტურზე უკუღმართულად გადასვლის ქაოსური, რყევადი სტადიის დროს, როცა მოვლენათა **სწრაფცვალებადობა** საშუალებას არ იძლეოდა რაიმე გეგმის, ან ჩანაწერების წინასწარ გულდასმით მოფიქრებისათვის.

და მაინც, მგონია, ალღომ არ მიმტყუნა. „საშენი მასალა“ არ შემომლევია. მემუარული ტრილოგიის სახით რაღაც ახალი იშვა.

განვლილი ცხოვრების, ნახულ-განცდილი ეპოქალური ამბების დიდმა შინაარსმა თვით მოირგო შესაფერი ფორმა და მოგვევლინა დასრულებულ ისეთ ნაწარმოებად, რომლიდანაც, ეფიქრობ, ადვილად შეიძლება წარსულის ძაგებიდანაც ამოკითხულ იქნეს ჰკუაგამთცდილების საღი აზრები, ოპტიმიზმის შთამნერგავი ალტერნატიული იდეები და კონცეფციები, პრაგმატისტული ცოდნით გამამდიდრებელი, ცხოვრებისეული სასარგებლო რჩევები და დაკვირვებები.

ამ გაგებით, „სინდისის ღმერთების ბარიკადებზე“ სამოცდაათწლიანი დროის დასურათებასთან ერთად პირველ რიგში მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების, მისი შემეცნებითი ჰორიზონტის გაფართოების, საზოგადოებაში (როგორიც არ უნდა იყოს იგი) საკუთარი ადგილის **თვითდამკვიდრების**, ხალხური ზნეობის საუკეთესო თვისებების და ტრადიციების, მემკვიდრეობითი კავშირების, ადამიანური ღირსებების დაცვის, შენარჩუნებისა და განმტკიცება-გაღრმავებისათვის ბრძოლის ერთგვარი ნატურისტორიაა. მაგრამ ამავე დროს ის არის პარტიული ნიღბების, იდეების და ქიმერების დონკიხოტური თვითმსხვრევის ნამდვილი ისტორიაც.

აქედან ძნელი მისახვედრი როდია წიგნის მთავარი სულისკვეთება. იგი ზოგად ესპექტში განკუთვნილია თანამედროვეთა გეერდით მომავალი თაობების კეთილისმყოფელ მეგზურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძველებურ სიმედო მეჩირაღდნედ, რათა წინაპართა ნაკვალევის სწორად გაგების, მისი ობიექტურად შეცნობის მოლიპულ გზაზე ორიენტაცია გაუადვილდეთ.

ავტორს პრეტენზია არა აქვს რაიმე მოძღვრების შემუშავებაზე, არც პოლიტიკოსობასა და ისტორიკოსობაზე დებს თავს (მკითხველმა თვითონ განსაჯოს), მაგრამ სიმართლის, პირდაპირობის, მიუკერ-

ძოებლობის, საკითხის არსში ჩაღრმავებით, სკრუპულოზურად წვდომის წესებისა და პრინციპებისათვის, სხვანაირად, საკუთარი სინდისისათვის არასოდეს უღალატნია. ამის გამო ერთ-ორ მედროვესთან მათი გამანადგურებელი პოლემიკური ბრძოლებიც მჭონია, მეცნიერების ორ დარგში მსახურებას მოშურნეებიც გასჩენია და წარმატების ბევრი სიხარულიც მოუტანია. მაგრამ თვითკმაყოფილების ნაცელად მაინც ყოველთვის უკმარისობის გრძნობა მიპყრობდა, წინა ფასადებს გაეურბოდი. უკანა რიგებში მდგომს მოვალეობის შეგნებით, შრომით და ცოდნით მნიშნავდნენ, მირჩევდნენ, მაფასებდნენ...

თუ უკანასკნელ აღსარებად წიგნის ფურცლებზე მიმობნეულ ამგვარ ნიშნებს, განწყობილებებს და მიდრეკილებებს შეამჩნევთ, მოიწონებთ, გაიაზრებთ და გაიზიარებთ წინასწარ გიხდით მადლობას, წინასწარ გლოცავთ და ოჯახურ დიდ ბედნიერებას გისურვებთ.

ესარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას მოვახსენებ ყველა იმათ, ვინც ადამიანური თანადგომით, მხარდაჭერით და ხელშეწყობით გვერდში მედგა ცხოვრების რთულ, წინააღმდეგობრივ, საკუთრივ გაკაფულ გზაზე, ვინც დიდი ამაგი დამდო ხელნაწერიდან დაწყებული ამ წიგნის ნაწყვეტებად თუ მთლიანი სახით რედაქტირებისა და პუბლიკაციის საქმეში. მომიტევოს ყველამ, თუ მათდამი პატივისცემას აქ კატეგორიებისა და ტიტულების მინიშნებით ვერ ვახერხებ. მიზეზი? ისევ ყეენის მთაკორტოხზე უნდა ავხოხდე ერთხელ და უკანასკნელად.

...წამსვე ფრთებქვეშ შემიფარა ჩემმა გარდამოხსნილმა სულმა და თვალის დახამხამებაში ფიჩორას ნაპირებთან ტყის შუაგულში, იმ ტრიალ მინდორზე ჩამიყვანა, სადაც ძიკი კვარაცხელიას ჯოგის კარავი მეგულებოდა. იქ ბიძაჩემის — იულონის სული დამხვდა, ფრთებად შემომერტყა და უცებ თავი აშოვყავი ჩემი სოფლის უკაცრიელ, თითქოს უდაბურ მიდამოში. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ის ძველი საუცხოო ადგილია, ერთმანეთის მეზობლად სკოლის შენობა და ეკლესია რომ იდგა. იქვე ახლოს მამაჩემის ნასახლარიც ჩანდა.

— ა, ბაბა, — მითხრა ბიძაჩემის აჩრდილმა, — აქედან დაიწყო შენი ცხოვრების პირველი ნაბიჯები. ახლა რას აპირებ, აქ დარჩები თუ...

— არა, ბიძია, აქ ჩემი სული დარჩება. არა ის — სკოლის მერხიდან თქვენს ლანდს აყოლილი. სრულიად ახალი, ჩემგან ამოზრდილი, ჩემივე ანტიპოდი. რევკომობის დროს თქვენ მიერ ნეპის პოლი-

ტიკის გატარებაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებით მან სწორედ აქედან უნდა დაიწყოს გაჩანაგებული ეკონომიკის — ყრ-ეელგვარი ზედნაშენური კატეგორიების ამ უპირველესი ბაზისის, თანდათანობითი აღორძინება.

თანდათანობითი, მაგრამ ელასტიურად, ქმედითად, უფრო გამ-ჯრიახად, გაბედულად და ეფექტიანად.

დიახ, აქედან, ამ მიტოვებული, ყამირად ქცეული მსუყე ნასახ-ლარებიდან, ბუნების ამ უმშვენიერესი, გამოუყენებელი და გაუხე-შებულ-გაბერწებული ტყე-მინდორველებიდან.

იმავე კავით და ქალამნით, იმავე ხელის წიასქვილით და ჰრაქის სინათლით, ისეთივე ჯოგის მომრავლებით და დოვლათის შექმნით, სინდის-ნამუსით და ერთმანეთის სიყვარულით, იმგვარივე უბრალო და სადა, წრფელი და მგრძნობიარე ადამიანური ურთიერთობებით, როგორადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ აქ, ჩემ მიერ აღწერილ, ოდესღაც მდიდარ სირიაჩქონში.

მამაპაპური შრომის ოფლით გაჟღენთილი ეს გზა ყველაზე მარ-ტივი, იოლი და მოკლე გზაა კაპიტალისტური წყობილებისკენ, კერ-ძო საკუთრებიდან სულთა მარადიული კაშირებისკენ, თავისუფლე-ბისა და დემოკრატიისკენ.

ჰო კეი, დღეგრძელი იყავ სულო...

მირაჟია ეს თუ წინათგრძნობა, ორივე დღევანდელი რეალობის თვალსაწიერიდან საქართველოს ხვალინდელი სვებედით არის ნააზ-რევი და ნაკარნახევი.

აკაკი თოფურია

20. I. 1993.

თბილისი-უეენის მთაკორტოხი.

პოსტსკრიპტუმი P. S. 1993 წლის 20 იანრის თარიღით დაწერი-ლი ეს ბოლოსიტყვაობა და იმავე წლის 16 თებერვალს ბატონ ელიზბარ უბილავას მიერ დედნის სატიტულო ფურცელზე გაკეთე-ბული წარწერა „აიწყოს და დაიბეჭდოს“ უცნაურ გარემოებათა წყალობით ჰაერზე გამოკიდული აღმოჩნდა. მართალია, იმ დედნი-დან მოზრდილ წიგნად ერთი ნაწილი დაიბეჭდა, მაგრამ მთლიანი ტექსტის პროფესიონალი რედაქტორის სახელი და ჩემი ბოლოსიტყ-ვაობის შინაარსი დღემდე უცნობი იყო, აღარაფერს ვამბობ რა, თვით „დაკარგულ“, ნაძალადევად დარღვეულ მთლიანობაზე.

ეს გასაკვირი არც უნდა იყოს შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. განვლილ სამ წელიწადში საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, ისე გაუარესდა, ლამის გამოუვალი დეგრადაციის გზას დაადგა. კრიტიკული სიტუაციებიდან თავის დაღწევის საიმედო ძვრები ორი-სამი თვეა, რაც დაიწყო.

ამ კეთილისმყოფელმა პროცესმა გავლენა იქონია და, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო მცირე ტირაჟით, მაგრამ მაინც წიგნის მთლიანი სახით გამოცემას. იგი იბეჭდება ადრე რედაქტირებული ტექსტის სრული შესაბამისობით, რის გამო, ცხადია, მომდევნო ხანებში მომხდარი ამა თუ იმ ხასიათის ცვლილება მასში ვერ აისახებოდა.

რაც შეეხება მოვლენათა პერსპექტიული განვითარების თაობაზე და სამოცდაათწლიანი ეპოქის დახასიათება-ანალიზის გარშემო ჩემ მიერ გამოხატულ მოსაზრებებს, ვარაუდებს და პროგნოზებს, მათ არავითარი მეტამორფოზა არ განუცდიათ. პირიქით — სინამდვილეში უფრო მყარი და შორს გამიზნული გამოდგნენ. ეს დადასტურებულია ჯერ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გასული წლის 20 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციული წერილით „განიხილეს ახალი წიგნი“, ხოლო შემდგომ ამავე გაზეთის მიმდინარე წლის 19 იანვრის ნომერში დაბეჭდილი ვრცელი მასალებით (იხ. „ლიტ. საქ.“ 1996, № 3, გვ. 7, 8, 9, 10).

ეს მასალები შეეხებოდა საერთაშორისო ფონდის — „იტალიის მეგობრები საქართველოში“ და მისი საგამომცემლო სერიალის „ოცნება და სინამდვილის“ მიერ ბოლო წელიწადნახევარში სასწაულებრივად გამოცემული სამი წიგნის პრეზენტაციას, მათ შორის ჩემის, რომლის საჯარო განხილვა მოეწყო საქართველოს მწერალთა კავშირში 1995 წლის 21 სექტემბერს.

ეს იყო მწერალთა სასახლეში ჩემი წიგნის რიგით მეორე განხილვა, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე. 1978 წლის 5 იანვარს კრიტიკოსთა სექციაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გურამ გეურდწითელი — იგივე მომხსენებელი, ლეო ქიაჩელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე იმ ხანად გამოქვეყნებულ მონოგრაფიას მაღალი შეფასება მიეცა უპირველესად უცნობი საარქივო წყაროების გამომზეურებით ლიტერატურისმცოდნეობაში გარკვეული სიახლისათვის (იხ. — „ლიტ. საქ.“, 1978, № 7, ალმანახი „კრიტიკა“, 1978, № 2, გვ. 166—172). ისტორიულ მასალათა სისტემატიზაციის პირველი გა-

მოცდილების შემდეგ („ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორია“, თსუ-ს გამომცემლობა, 1969) ეს მეორე წარმატება იყო.

21 სექტემბრის განხილვას კრიტიკოსების, გამოჩენილი მეცნიერების, ლიტერატორების გარდა ესწრებოდნენ მკითხველი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, სტუდენტობა. მოხსენების გარშემო კამათში თოთხმეტი მსურველი გამოვიდა. ნაწყვეტად გამოცემულ წიგნში ფილოსოფიური, თეოლოგიური, სოციოლოგიური, პუბლიცისტური თუ სხვა განხრის იმდენი ორიგინალური, გაბედული, რაღაც კარგი და დადებითი, განძის თუ მოვლენის ნიშნები აღმოაჩინეს, მოსმენილი სცილდებოდა ჩემს უკიდურეს სკეპტიკურ მოლოდინსაც კი. დიდი ხელოვანის, ბატონ ვახტანგ ტაბლიაშვილის გამოსვლა ხომ განხილვის ტრიუმფად იქცა. ხოლო ცნობილი ფილოსოფოსის, ბატონ შალვა კობახიძისა კი — წიგნის ძირითად არსში წვდომის აპოთეოზად.

აი, ხსენებულ განხილვაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე მაშინ წარმოთქმული სიტყვა-პირობის კეთილსინდისიერი აღსრულების სანეტარო მაგალითია ეს წიგნი. იგი ორ საპატივცემლო ორგანიზაციას შორის დამყარებული შემოქმედებითი კონტაქტების პირველი სასიკეთო ნიშანსვეტიცაა.

ათასი ფუთი მადლობით, თაყვანისცემით სიონის ტაძარში სანთლებს ვუნთებ წიგნის გამომცემელს, ფონდის პრეზიდენტსა და საგამომცემლო სერიალის დამაარსებელს, ახალი დროის მოაზროვნე-ეკონომისტს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ **თენგიზ უჩანეიშვილს**, რათა დიდხანს შერჩენოდეს ჯანი და ღონე ქართულ მწერლობასთან, ქართველ ხალხთან ხელიხელჩაკიდებულად საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და ეროვნული მთლიანობის შეულახავად დაცვისათვის...

ისღა დამრჩენია, ჩემ მეორე არსებასთან ერთად მოგზაურობას შევუდგე ჩემიეგ ეპიტაფიებით.

14 მარტი, 1996.
თბილისი.

ეპიტაფია

მიმოიხედე, რამდენია საფლავის ქვები,
ძვლებად შთენილნი აქ ჩამარხეს უშრეტი ქებით.
მერე უეცრივ დაივიწყეს, როგორც ცხოველნი,
ლოცვა-კურთხევა არ ეღირსათ სვეტიცხოველის.

მიდი, მის კედლებს ეამბორე მლოცველის რიდით,
ის არის შენი წარსულის და მომავლის ხიდი.
სადაც ხატებად ანთებულა წინაპართ კვალი,
მიჰყევი იმ გზას, ვით წმინდანი, ღვთისადმი კრძალვით.

შენი სიმაღლე ორბის ფრთებით შენი ღვაწლია,
შენი ლხენაა შენი კერა, შენი ვარძია.
იდექ დარაჯად, ფხიზელ თვალით, მტკიცედ და მედგრად,
რომ საქართველოს შუბლს ჰკოცნიდე მუდამ, ვით დედას.

გეთქვას: — შვილი ვარ მისი მთების — ცამდე აწვდილის,
მწვამს სიყვარული მხოლოდ ერთი — მწვავედ განცდილი!
ეამსა ქარიშხლის ეს კლდეები მეფაროს მკერდად
და ჩემი მიწის გული ძგერდეს ჩემ გულთან ერთად...

თუ შენი სიტყვა საქმით იყო მუდამ მართალი,
თვითონ შენა ხარ მაშინ შენი ხსოვნის სარდალი...
ხარობდეს ყველა, შენი მოდგმის ძე და ასული
და მარად ეღერდეს ერთიანი მხნეობა სულის.

1996, იანვარი.

მწამს ნათება...

მჯერა ჩემი გზის ვარდების,
იებისაც მჯერა.
მე იმათი სურნელებით
მესმის გულის ძგერა.
მესმის ხმები ანგელოზთა,
ზეციერი ხმები:
„საუფლოსკენ, საუფლოსკენ".
— მეძახიან ფრთებით.

...ჩემი ცისკრის ეტლი მიჰქრის,
ჩემი ყრმობა-ლტოლვის.
მიმაცილებს ცისკენ ფიქრი,
ჩუმი ნატვრის ტოლი:
გზად ნაპოვნის მწამს ნათება —
უძველესი კვერთხის.
ივერიის აღმატება
ირმის ლაღი მკერდით.

1996, თებერვალი.

* *

ველარ ვიხსენებ ზღვის ყურეს,
სადაც მზე წვავდა თვალებს.
მეყოფა, რაც ცას ვუმზირე
და ვარსკვლავები ვთვალე.
ახალი დროის მტარვალებს
ძველის ნიშნები თან სდევს.
წავალ, გავყვები ნარვალებს
მოუსავლეთის მთამდე.

იქიდან, იმ მთის იქიდან,
მოსჩანს ცხოვრება ლაღად.
თავის სამშობლოს ვინც ჰყიდდა,
მდიდარია თუ გლახა.
დიახ, იმ მთიდან ყოველი
მოსჩანს ფიფქების ბარდნად...
ზარები სვეტიცხოველის
და ჩანჩქერების ვარდნაც.

1996, 25 თებერვალი.

კიდევ ერთხელ...

კიდევ ერთხელ გამატარეთ რუსთაველის გამზირზე,
კიდევ ერთხელ დამანახეთ გიმნაზიის ბადრი მზე.
კიდევ ერთხელ შემახედეთ ქაშუეთის მიდამოს,
მერე თუნდაც, დაე ეშმამ, უელი გამომიღადროს.

1996, 14 მარტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოკლე ცნობარი	3
ნაწილი პირველი: იყო ასეთი სოფელი	7
ნაწილი მეორე: იყო ცხოვრების ასეთი გზებიც	**119**
თავი I: სენაკის ხანა	119
თავი II: სტუდენტობა — ოქროს „საბადო“	**153**
თავი III: პირველად ფოთში	190
თავი IV: ეპიზოდები ფრონტული ცხოვრებიდან	**233**
კურსანტობიდან დაწყებული გზა	233
როგორ მოვხვდი ქართულ დივიზიაში	235
პირველი „ნათლობა“	240
ხარახორასათვის ბრძოლაში	242
ათი დღე ხარახორაზე	245
უცნობი ვინაობის „მოლალტე“	249
შეხვედრა მკვდართან	254
ლაშქრობა მრისხანე გადასასვლელის გადასალახავად	**257**
„პური არსობისა“	265
თავი V: ისევ ჟურნალისტად	277
თავი VI: ფართო სარბიელზე	319
1. ინტერმეცცო... ირონიზებული სახით	319
2. დისციპლინა, უპირველეს ყოვლისა	322
3. ჩამსვლელის სტატუსი	**372**
4. შხამნარევი ბაცილებით	405
5. უნივერსიტეტის „წიაღში“	423
ნაწილი მესამე: კ ა თ ა რ ზ ი ს ი	512
1. ლენინიდან გორბაჩოვამდე	513
2. კათარზისიდან ზნეობრივი ჰარმონიისკენ	585
ბოლოსიტყვაობა	646
ეპიტაფიები	653

კორექტორი ფ. ლახაძე
ტექრედაქტორი გ. კაკუშაძე
ამწყობი მ. ულუმბელაშვილი
დამკაბადონებელი თ. ადუაშვილი

გადაეცა წარმოებას 22.04.96 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.08.96 წ. ქაღალდი № 1 ოფსეტის. ზომა 60×82¹/₁₆. სტამბო ფორმათა რაოდენობა 41.

შეკვ. № 207. ტირ. 500

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი“.
თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. № 7.